ვ. სეფაევი

ჯვაროსნები



ჰენრიკ სენკევიჩი

ჰენრიკ სენკევიჩი დაიბადა 1846 წლის 5 მაისს სოფელ ვოლია ოქჟეისკაში, პოლონეთში, რომელიც იმ დროს უკვე რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა. სენკევიჩები გაღარიბებული შლიახტიჩები იყვნენ. მწერლის პაპა ნაპოლეონის არმიის ოფიცერი იყო, მამა მონაწილეობდა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ 1831-32 წლების პოლონელთა აჯანყებაში, რომელიც ცნობილია „ნოემბრის“ აჯანყების სახელით. მწერლის ძმა კაზიმეჟი გარიბალდის რაზმებში იბრძოდა ავსტრიის წინააღმდეგ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების ტრადიციებთან დაკავშირებულ ასეთ გარემოს არ შეიძლებოდა კვალი არ დაემჩნია მწერლის შემოქმედებისათვის.

პოლონეთის 1863 წლის „იანვრის“ აჯანყებამდე სულ ცოტა ხნით ადრე სენკევიჩების ოჯახი მუდმივ საცხოვრებლად ვარშავაში გადავიდა. აქ მომავალმა მწერალმა 1866 წელს დაამთავრა გიმნაზია და შევიდა „მთავარი“ სკოლის (შემდგომში, 1869 წლიდან, ვარშავის უნივერსიტეტის) იურიდიულ ფაკულტეტზე. მალე ის სამედიცინო ფაკულტეტზე გადავიდა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, 1867 წლის თებერვალში, უნივერსიტეტის ფილოლოგიურ განყოფილებაზე გადაინაცვლა. უმაღლესი სკოლის დიპლომი ჰენრიკ სენკევიჩს არ მიუღია. მთელ თავის დროს იგი ლიტერატურულ მოღვაწეობას უთმობდა. ჯერ კიდევ სტუდენტობაში სენკევიჩი დაუკავშირდა „ყოველკვირეული მიმომხილველის“ რედაქციას და მის ფურცლებზე 1869 წელს გამოჩნდა მომავალი მწერლის პირველი სტატია. ეს იყო ვარშავის თეატრის ერთ-ერთი სპექტაკლის კრიტიკა. ამავე დროს ის წერდა რომანს სტუდენტთა ცხოვრებაზე (გამოვიდა 1871 წელს სათაურით „ამაოდ“). მომდევნო წელს გამოიცა წიგნი „იუმორესკები ვორშილოს საქაღალდიდან“, რომელიც შედგებოდა ორი მცირე ზომის ნაწარმოებისგან: „თავისიანებში არავინაა წინასწარმეტყველი“ და „ორი გზა“.

რომანი „ამაოდ“ თითქმის შეუმჩნეველი დარჩა, „იუმორესკები“ კი „ახალგაზრდების“ წარმომადგენლებმა დიდი ენთუზიაზმით მიიღეს. იმ ხანებში „ახალგაზრდებს“ უწოდებდნენ პოლონეთის ლიბერალური ბურჟუაზიის იდეოლოგებს, რომლებმაც მიზნად დაისახეს თავისი სამშობლო ზომიერი ბურჟუაზიული პროგრესის გზით წაეყვანათ. „ახალგაზრდებმა“ თავი გამოაცხადეს ხალხთა მასების გათვითცნობიერების, ქალთა თანასწორუფლებიანობის, პიროვნების თავისუფლების, მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მომხრედ. „ახალგაზრდებმა“ სენკე-

ვიჩში შენიშნეს არა მხოლოდ ხალასი ნიჭი, არამედ ახალი, პროგრესული იდეებიც, „იუმორესკების“ ორსავე ნაწარმოებში რომ იგრძნობოდა. არისტოკრატიისა და შლიახტიჩების მორალური და ზნეობრივი ჩვევების, კონსერვატიზმის, სნობიზმისა და ზეიმურობის კრიტიკა აშკარად მიგვანიშნებდა, რომ ახალგაზრდა მწერალი სწორად აფასებდა თავისი სამშობლოს „შინაგან“ მტრებს. მის მიერ დახატული დადებითი გმირები კი განათლებული და ნასწავლი ადამიანები იყვნენ, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ სენკევიჩი თავისი სამშობლოს მომავალს კონსტრუქციული შრომის შედეგებში ხედავდა.

შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში „იუმორესკების“ ავტორი დაუახლოვდა „ახალგაზრდათა“ ბანაკს. 1873 წლიდან იწყება მისი მუდმივი თანამშრომლობა იმდროინდელ პრესაში. „ლიტვოსის“ ფსევდონიმით სენკევიჩი წერს „უსათაურო“ ფელეტონებს, რომლებიც ორ კვირაში ერთხელ იბეჭდება „პოლონეთის გაზეთში“. ერთი წლის განმავლობაში ის რედაქტორობდა ჟურნალ „ნივას“, იქვე აქვეყნებდა თავის ლიტერატურულ და თეატრალურ რეცენზიებს. მერე ისევ დაუბრუნდა „პოლონეთის გაზეთს“ და ყოველკვირა ათავსებდა მასში ფელეტონებს სათაურით „მიმდინარე მომენტი“. ეს ფელეტონები გამსჭვალული იყო საზოგადოების საკეთილდღეოდ თავდადებული შრომის იდეებით და აკრიტიკებდა ბატონკაცურ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს, რომლებიც გზას უღობავდნენ პროგრესს. ამ დროს თანამედროვენი უკვე ხედავდნენ „ლიტვოსში“ გამორჩეული ნიჭის ადამიანს. მისი ფელეტონების მხატვრული, ცოცხალი სტილი მას დიდ პოპულარობას უქმნიდა.

ამავე პერიოდში სენკევიჩმა თავი გამოიჩინა აგრეთვე, როგორც ნიჭიერმა ნოველისტმა. 1875 წელს მან გამოაქვეყნა მოთხრობა „მოხუცი მსახური“, ხოლო 1876 წელს – „ჰანია“. ორივე ეს ნაწარმოები დაიბეჭდა „პოლონეთის გაზეთში“. ისინი უჩვეულოდ გამოიყურებოდნენ „ლიტვოსის“ შემოქმედებაში, რადგან მტკიცედ ემიჯნებოდნენ მის პოზიტივისტურ შეხედულებებს.

თემატურად ეს მოთხრობები წარსულთან, სენკევიჩის ბავშვობის პერიოდთან არის დაკავშირებული. მათში დახატულია ძველი შლიახტიჩის კარმიდამოს, მისი მაცხოვრებლებისა და მტკიცე ტრადიციების იდილიური სურათი. აქ აღწერილია პატრიარქალური წესები, რომლებიც განაპირობებენ ურთიერთდამოკიდებულებას არა მხოლოდ მშობლებსა და შვილებს შორის, არამედ ბატონსა და მსახურს შორისაც. ამ ფონზე გაშლილი თხრობა აშკარად ვერ ეთანხმებოდა პროგრესული ლიტერატურის კანონებს. და მა-

ინც იმდროინდელმა კრიტიკამ ეს ორი ნაწარმოები ძალზე გულთბილად მიიღო. მოეწონა ისინი მკითხველთა ფართო წრეებსაც. სენკევიჩმა შეძლო ძველი შაბლონური ფორმებისთვის მიენიჭებინა უდიდესი მომხიბვლელობა და სიახლე. ამავე დროს კრინტიც არავის დაუძრავს „ახალგაზრდების" ბანაკის შეხედულებებიდან რაიმე გადახვევაზე.

1876 წლის 15 თებერვალს სენკევიჩი, ამერიკაში გაემგზავრა „პოლონეთს გაზეთის“ კორესპონდენტად. მისი გზა გერმანიაზე, ბელგიაზე, ინგლისზე გადიოდა, იქიდან კი ოკეანით ნიუ-იორკსა და სან-ფრანცისკომდე გრძელდებოდა. მერე მწერალი გადავიდა სამხრეთ კალიფორნიაში, შემდეგ კი მოგზაურობა განაგრძო სხვადასხვა შტატებისა და ქალაქებში, იყო ბოსტონში, პიტსბურგში. 1978 წლის აპრილში მწერალი ევროპაში დაბრუნდა, თითქმის ერთი წელი დაჰყო საფრანგეთში, უმთავრესად პარიზში, იქიდან გაემგზავრა ლვოვში, რომელიც იმ დროს ავსტრია-უნგრეთის მონარქიის შემადგენლობაში შედიოდა, მერე იტალიაში წავიდა. იტალიაში მან გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე მარია შეტკევიჩი.

1879 წლის 7 ნოემბერს სენკევიჩი ვარშავაში დაბრუნდა და ჟურნალისტური საქმიანობა განაგრძო.

თითქმის ოთხწლიანი მოგზაურობა სენკევიჩისათვის ნაყოფიერი შემოქმედებითი ზრდის პერიოდი იყო. უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია მისი კორესპონდენციები, რომელთაც იგი რეგულარულად აგზავნიდა „პოლონეთის გაზეთის“ რედაქციაში: „წერილები ამერიკაში მოგზაურობაზე“, „წერილები პარიზიდან“, „წერილები რომიდან“, „ვენეციიდან“. ამ კორესპონდენციებში სრულად გამოვლინდა მისი როგორც ფელეტონისტის, ან უფრო სწორად, რეპორტიორის უბადლო ნიჭი. ეს არის ქალაქების, დაბების, სოფლების, უდაბნოებისა და უღრანი ტყეების საინტერესო სურათები, მომხდარი ამბების, შეხვედრების, საუბრების, შთაბეჭდილებების აღწერა, ავტორის ფიქრები, განზოგადებები, რომლებიც მკითხველს საშუალებას აძლევენ გარკვეული დასკვნები გამოიტანოს. სენკევიჩს ორი მიზანი ჰქონდა დასახული: შემეცნებითი და აღმზრდელობითი. მოცემულ აღწერილობებს არა მხოლოდ უნდა გაეფართოებინათ მკითხველთა ცოდნა მსოფლიოს შესახებ, არამედ უნდა ესწავლებინათ კიდეც, რას მორიდებოდა პოლონური საზოგადოება და რისი სწავლა და გადაღება ღირდა სხვა ქვეყნებიდან.

სენკევიჩს ბევრი საპრობლემო საკითხი დაებადა შეერთებულ შტატებში: ცივილიზაციისა და კულტურის განვითარების უთანასწორობა, გამწვავებული ეროვნული ურთიერთობები და სხვა. მწერალმა ჯერ კიდევ მაშინ

მიაპყრო მთელი მსოფლიოს ყურადღება ინდიელ ტომთა გარდუვალი დაღუპვის საკითხებს. ის ხედავდა კონტრასტებს საზოგადოებაში, იმიგრანტთა ტანჯვას, აღწერა პოლონელი გლეხობის მძიმე ხვედრი ამერიკაში. მაგრამ ამავე დროს სენკევიჩმა ყურადღება მიაქცია ამერიკელთა დადებით თვისებებსაც: შრომისმოყვარეობას, სიმამაცეს, ზნეობრივი. ცრურწმენების უქონლობას, დემოკრატიზმსა და პატიოსნებას ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს დაკვირვებები ეხებოდა „ველური დასავლეთის“ მოსახლეებს, სადაც, მწერლის აზრით, შეიძლებოდა ნამდვილი ამერიკელების გაცნობა.

მოგზაურობის დროს და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სენკევიჩმა დაწერა საუკეთესო ნოველები. კალიფორნიაში მან დაასრულა ეგრეთწოდებული „მცირე ტრილოგია“ („მოხუც მსახურსა“ და „ჰანიას“ მიუმატა მესამე ნაწილი – „სელიმ მირზა“). კალიფორნიაშივე შეიქმნა მისი ცნობილი „ნახშირით ჩანახატები“, რომელმაც სათავე დაუდო მოთხრობების ციკლს ხალხის ცხოვრებიდან. პარიზში მან დაწერა მოთხრობები: „იანკო მუსიკოსი“ (1878 წ.) და „იამიოლ“ (1878 წ.), იტალიაში ყოფნის დროს დაწერა მოთხრობა „პურისათვის“ (1879 წ.). ვარშავაში ჩამოსვლის შემდეგ კი „ძლევამოსილი ბარტეკი“ (1882 წ.).

ამავე პერიოდში ავტორი ბევრს წერს ამერიკის ცხოვრებაზე. ასეთ ნაწარმოებთა შორის უნდა მოვიხსენიოთ „ტრამალზე“ (1879 წ.), „ორსო“ (1879 წ.) და სამი ბრწყინვალე ნოველა: „კაცი შუქურიდან“, „მოგონებანი მარიპოზიდან“ (1882 წ.) და „სახემი“ (1883 წ.)

ამ პერიოდში შექმნილი მოთხრობებიდან გამოირჩევა „ნახშირით ჩანახატები“. ეს არის შესანიშნავი პამფლეტი იანვრის აჯანყების შემდეგ პოლონეთში გამეფებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ავტორი აღწერს პოლონელი გლეხების ტრაგიკულ ბედს, აკრიტიკებს სასულიერო პირებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს, ხატავს პოლონეთის სოფლების სურათებს, სადაც ჩამორჩენილობა და სიბნელეა გამეფებული. მწარე ირონია და ნახევრად პათეტური, ნახევრად გამკილავი სტილი გახდა მიზეზი იმისა, რომ „ჩანახატები“ არაკეთილმოსურნედ მიიღო პოლონეთის საზოგადოებრიობამ და თვით პოლონეთის პროგრესულმა კრიტიკამაც. მაგრამ დღეს ეს ნაწარმოები პოლონური ლიტერატურის ერთ-ერთ თვალსაჩინო მიღწევად ითვლება.

დიდი პოპულარობა მოიპოვა პოლონელ მკითხველებში „იანკო მუსიკოსმა“. ეს არის ამაღელვებელი მოთხრობა სოფლელ მუსიკოს ბიჭზე, რომლის ნიჭიც სოფლის მცხოვრებთა ბედ-იღბლისადმი „მაღალი“ კლასის წარმომადგენელთა გულგრილობამ დაღუპა. ასეთივე აზრია გატარებული

„იამიოლში“. სულ სხვა მოვლენებია ასახული ნოველებში „პურისათვის“ და „ძლევამოსილი ბარტეკი“. ამ ნაწარმოებებში განვითარებული სიუჟეტები და დასკვნები მწერლის პუბლიცისტურ გამონათქვამებს გვაგონებს. პირველი მიმართული იყო პოლონელი გლეხობის ოკეანის გადაღმა ემიგრაციის წინააღმდეგ, მეორე კი ებრძოდა პრუსიის ხელისუფალთა პოლიტიკას, რომელიც პოლონური ეროვნების ადამიანთა მოსპობას ითვალისწინებდა.

„კაცი შუქურიდან“ მეცხრამეტე საუკუნის პოლონური ნოველისტიკის შედევრია. ამ მოთხრობის სიუჟეტად მწერალმა ნამდვილი ამბავი გამოიყენა. აქ მოთხრობილია დრამატული თავგადასავალი პოლონელი სკავინსკისა, რომელიც 1831 წლის აჯანყების მარცხით დამთავრების შემდეგ. იძულებული გახდა სხვა ქვეყნებში დაეწყო ხეტიალი. იგი მონაწილეობდა უნგრეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, იბრძოდა ესპანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო ომებში, ალჟირში, ხოლო სიბერის ჟამს, მარტოხელამ და დაავადებულმა, ამერიკის ურთ-ერთ უკაცრიელ კუნძულზე შუქურის ზედამხედველად დაიწყო მუშაობა. მისი სიცოცხლე უღიმღამო, ერთფეროვნად წარიმართა. ერთხელ მას ნავით სურსათი და სასმელი წყალი მიუტანეს. როცა ნავი უკან გაბრუნდა, სკავინსკი შუქურიდან წამოვიდა და დაინახა, რომ ნაპირზე კიდევ რაღაც პაკეტი იდო. შიგ აღმოჩნდა დიდი პოლონელი პოეტის ადამ მიცკევიჩის წიგნი „პან თადეუში“. პირველივე სტრიქონებმა, სკავინსკიმ აცახცახებული სმით რომ წაიკითხა, სამუდამოდ დაკარგულ სამშობლოზე მოგონებები აუშალა. ის კითხვამ გაიტაცა, სულ უფრო და უფრო ღრმად შეიპყრო წარსულის მოგონებებმა, თვალწინ წარმოუდგა თავისი ქვეყანა, მშობლიური სოფელი, საკუთარი სახლი. ვერ შეამჩნია როგორ ჩამობნელდა და შუქურის ანთება დაავიწყდა, ამის გამო იგი სამსახურიდან დაითხოვეს. და კვლავ გაემართა პოლონელი სკავინსკი უცხო ზღვებსა და მატერიკებზე სახეტიალოდ „ვითარცა ქარისგან დევნილი მოწყვეტილი ფოთოლი“.

ამ ნაწარმოების გვერდით ღირსეული ადგილი უჭირავს აგრეთვე ნოველას „სახემი“. აქ შესანიშნავად არის აღწერილი ინდიელთა ტომის განადგურების ამბავი და ამ ფონზე ნაჩვენებია ინდიელთა ბელადის ვაჟიშვილის სახემის დრამატული ბედი, რომელმაც თავისი ხალხის გმირულ წარსულზე მხოლოდ საცირკო სანახაობის შექმნაღა შეძლო. ასეთი ბედი ელის არა მხოლოდ ინდიელებს, არამედ ყველა დამონებულ ხალხს, თუ ის ფიზიკურად და მორალურად დამპყრობელს დაემორჩილება.

სენკევიჩის შემოქმედება შემდგომში წინააღმდეგობრივი გზით განვითარდა. 1882 წ. მწერალი გახდა კონსერვატიული ჟურნალის „სიტყვის“ რე-

დაქტორი. ამ პერიოდში პოლონეთში გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა, გაძლიერდა მუშათა მოძრაობა, ჩამოყალიბდა პირველი რევოლუციური პარტია „პროლეტარიატი“ (1882 –1885). ახალ ვითარებაში სენკევიჩმა ვერ შეძლო მკაფიოდ განესაზღვრა თავისი იდეური პოზიციები, მისი ადრინდელი ნაწარმოებების დემოკრატიზმი ვერ უძლებდა გამოცდას – სენკევიჩი კონსერვატორთა ბანაკისკენ იხრებოდა. თავის ახალ წიგნებში ის წარსულს მიმართავდა, სადაც, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყველაფერი გხიბლავთ დიდებულებით და ძალოვანებით თანამედროვე ცხოვრების უბადრუკობასთან შედარებით“. ასეთი განწყობილების შედეგი იყო ისტორიული ტრილოგია „ცეცხლითა და მახვილით“ (1883 წ.), „წარღვნა“ (1886 წ.) და „პან ვოლოდიევსკი“ (1887 წ.), რომლებშიც სენკევიჩმა მეჩვიდმეტე საუკუნის პოლონეთი გააცოცხლა. ტრილოგიის პირველი ნაწილი მოგვითხრობს პოლონელი ხალხის ბრძოლებზე კაზაკობასთან, მეორე ნაწილი შვედებთან ბრძოლას შეეხება, მესამე კი თურქებთან და თათრებთან ომის სურათებს გვიხატავს.

რომანში „ცეცხლითა და მახვილით“ ძალზე ცოტაა ისტორიული სინამდვილე. ავტორი დუმილით უვლის გვერდს გლეხობის აჯანყების ღრმა სოციალური მიზეზებს.

გაცილებით მეტი ისტორიული სინამდვილეა „წარღვნაში“. აქ ხაზგასმულია უბრალო ადამიანების დიდი როლი პოლონელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში შვედების წინააღმდეგ. ნაჩვენებია პოლონური სახელმწიფოს დაცემის მიზეზები, გამოაშკარავებულია მაგნატთა გამცემლური პოლიტიკა, მმართველი წრეების თვითნებობა და ეგოიზმი.

სენკევიჩს საყვედურობდნენ, რომ ტრილოგიის ფურცლებზე მან ჰიმნი მიუძღვნა შლიახტიჩების ფენას და არასწორად გააშუქა პიროვნების როლი ისტორიულ მოვლენებში. დავა ამ ტრილოგიის გენეზისის, იდეური მნიშვნელობისა და მხატვრული ღირსების თაობაზე დღესაც გრძელდება.

ყველა ამ საყვედურისა და შენიშვნის მიუხედავად, ტრილოგია ოთხმოციანი წლების ჭეშმარიტად დიდი ლიტერატურული მოვლენა იყო და გამოქვეყნებისთანავე ყველა ფენის უსაყვარლესი წიგნი გახდა; მას გატაცებით კითხულობდნენ როგორც ახალგაზრდები, ისე მოხუცები, სტუდენტები, მუშები და გლეხები, კითხულობდნენ პირველი და მეორე მსოფლიო ომების ჯარისკაცები, ტრილოგიას დღესაც საპატიო ადგილი უჭირავს თანამედროვე მკითხველის საყვარელ წიგნებს შორის.

1885 წელს, ცოლის სიკვდილის შემდეგ, სენკევიჩი დასასვენებლად გაემგზავრა ავსტრიაში, მერე კი სამოგზაუროდ წავიდა ახლო აღმოსავლეთში და მხოლოდ 1887 წლის დასაწყისში დაბრუნდა ვარშავაში. აქედან მოყოლებული მწერალი განუწყვეტლივ მოგზაურობს. ის იყო ვენაში, იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიასა და ინგლისში. შედარებით დიდი ხანი იცხოვრა ესპანეთში და 1891 წელს რამდენიმე კვირა დაჰყო აფრიკაში.

სადაც არ უნდა ყოფილიყო მწერალი, მას არასოდეს შეუწყვეტია შემოქმედებითი მუშაობა. 1890 წელს გამოქვეყნდა თანამედროვე თემაზე დაწერილი რომანი „უდოგმატოდ“, 1891 – 1892 წლებში – „წერილები აფრიკიდან“, 1894 წელს – მეორე რომანი თანამედროვე თემაზე „პალანეცკების ოჯახი“, 1896 წელს – ძველი რომის ეპოქაზე დაწერილი ეპოპეა „ვიდრე ჰხვალ“, 1900 წელს კი დამთავრდა რომანი „ჯვაროსნები“.

„უდოგმატოდ“ ფსიქოლოგიური რომანია. დაწერილია მთავარი გმირის – პლოშოკსკის დღიურების ფორმით და „ავადმყოფი სულის“ პრობლემას ეხება. ის გვიჩვენებს თანამედროვე ინტელიგენტს – არისტოკრატს, რომელსაც ცხოვრების მიზანი ვერ უპოვია. პლოშოკსიმ ვერ დაიპყრო თანამედროვეთა გულები.

„პალანეცკების ოჯახი“ მხოლოდ კონსერვატორმა მკითხველმა მიიღო კეთილმოწყალედ. სხვები მას დიდი სურვილით არ ჰკიდებდნენ ხელს, ხოლო ზოგი ბრაზობდა კიდეც პოლონელ პალანეცკიზე, რომელიც ვაჭრობას ეწეოდა, კარიერისტი და გამომძალველი იყო, სიტყვა „პალანეტშჩინა“ პროგრესის უარყოფის სინონიმი გასდა.

მსოფლიო აღიარება მოუტანა მწერალს მომდევნო წიგნმა „ვიდრე ჰხვალ“. 1905 წელს ამ წიგნს ნობელის პრემია მიენიჭა. ორი გმირის - ქრისტიანი ქალის ლიგიუსისა და წარმართი ვინიციუსის თავგადასავალი, პირველ რიგში კი სკეპტიკოსისა და ესთეტის პეტრონიუსის ბრწყინვალედ დახატული სახე მთელი მსოფლიოს აღტაცებას იწვევდა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ქმნილება სენკევიჩის შემოქმედებაში არის რომანი „ჯვაროსნები“.

რომანში ზუსტადაა დაცული ისტორიულ მოვლენათა სინამდვილე, განსაკუთრებით სახოვნად არის აღწერილი ძველი პოლონეთის ყოფა. სწორედ ასე ცხოვრობდა მეფე იაგელოს დროს პოლონელი – სწორედ ასე ჭამდა და სვამდა, ასე ეცვა, ნადირობდა, მოგზაურობდა, მართავდა ორთაბრძოლებს, უყვარდა, სწამდა და იმედოვნებდა.

მთელი ნაწარმოები გამსჭვალულია ჯანსაღი პატრიოტიზმის მხურვალე გრძნობით. ეს გამოსჭვივის არა მხოლოდ მთავარ გმირთა მოქმედებაში, არამედ თვით თხრობის მანერაშიც – როცა მწერალი მკითხველის თვალწინ გადაშლის ნათელ სურათს მაშინდელი პოლონეთისას: ხატავს მის გზებსა და ტყეებს, ციხესიმაგრეებსა და კარ-მიდამოებს, ქალაქებსა და სოფლებს; ასახავს უბრალო ხალხისა და შლიახტის ცხოვრებას; ქმნის რაინდული ასპარეზობის, ორთაბრძოლების ბრწყინვალე სცენებს; აღადგენს XIV – XV საუკუნეების პოლონელი ხალხის წეს-ჩვეულებებსა და მორწმუნეობას.

რომანი აღსავსეა დინამიკით, დაძაბულობით, მოქმედებით, ვნებათა ჭიდილით, სიცოცხლის დუღილით. ბევრია მასობრივი სცენა. ძირითადი მოვლენები ვითარდება ბაზრის მოედნებზე, ქუჩებში. გაშლილ მინდორზე, ფართო გზებზე, ციხესიმაგრეებში, სასახლეებში, ფუნდუკებში. გვესმის ტყეში ცულების ტაკა-ტუკი, ჭრიალებენ კავები, რომლებიც ყამირს ტეხენ; ხმაურობს ენაწყლიანი ხალხი, ახალმოსახლეები, უშენ ადგილებზე რომ სახლდებიან; ვხედავთ, როგორ მიიწევს ფორნების უწყვეტი რიგი დედაქალაქ კრაკოვისაკენ, შევცქერით უსაქმურთა ბრბოს, რომელიც მოუთმენლად ელის ახალგაზრდა შლიახტიჩის სიკვდილით დასჯას; შევყურებთ საომრად შემართული რაინდების აღტყინებულ სახეებს სამეფო ნადიმებზე; ვტკბებით ბრწყინვალე ნადირობით მაზოვიის ველურ ტევრებში; ცნობისმოყვარეობით შევცქერით ჟმუდელთა საველე ბანაკს.

სენკევიჩის თანამედროვე ცნობილი პოლონელი პოეტი ქალის მარია კონოპლიცკას აზრით, „რომანის მთელი თხრობა წარმოგვიდგება რაღაც ვეება მოძრავ პანორამად. მოქმედ პირებს ჩვენ ყოველთვის ვხვდებით გზაზე, ცხენზე. თითქოს ამ ადამიანებს რაღაც ერეკება ერთი ადგილიდან მეორეზე.

ვინც მხიარულია და ძალების მოჭარბებას გრძნობს, ის ჯდება ცხენზე და სიმღერით გაუდგება გზას; ვინც ნაღვლიანია ან ბედის მომდურავი, ვისაც სული დამძიმებია, ისიც ცხენზე ჯდება და ისიც მიდის, საითაც გზა წაიყვანს“.

მოძრაობის, მოქმედების ასეთი სიუხვე ძალზე მოსახერხებელია რომანის ფაბულის გახსნისთვის. სენკევიჩი ფეხდაფეხ მიჰყვება თავის მოგზაურ გმირებს და გვიხატავს ბუნების ბრწყინვალე სურათებს, პოლონური საზოგადოების ცხოვრების მრავალფეროვნებას.

პერსონაჟთა სიმრავლე არ ქმნის ერთფეროვან მასას. ყოველ გმირს თავისი სახე აქვს, თავისი ხასიათი, თავისი ინდივიდუალური თავისებურებები. განსაკუთრებით კარგად არიან დახატული რომანის მთავარი გმირები: ზბიშკო, მაცკო, იურანდი და იაგენკა. ახალგაზრდა, მომხიბვლელი, კეთილშობილი ჭაბუკის ზბიშკოს სახეში ავტორმა ხორცი შეასხა ყველა იმ საუკეთესო თვისებას, რომლებიც სურდა პოლონელ შლიახტიჩში დაენახა: სიმამაცე, ფიზიკური ძალა, მორალური სიწმინდე, ქალისადმი რაინდული დამოკიდებულება, პატიოსნება, მტრის სიძულვილი და ეროვნული სიამაყე; იმავე პერიოდის რაინდების უფრო ტიპიური წარმომადგენელია მაცკო ბოგდანეცელი, ზბიშკოს ბიძა. ეს არის ჭკვიანი, ეშმაკი, პრაქტიკული და ანგარიშიანი ადამიანი. ომსაც კი მზრუნველი მეურნის თვალით უყურებს და სურს შინ დიდი ნადავლით დაბრუნდეს, რათა მოშლილი მეურნეობა აღადგინოს; შესანიშნავად ასახავს ეპოქას „მრისხანე შურისმაძიებელი“ რაინდი იურანდ სპიხოველი. ის ჯვაროსანთა ორდენის საზღვარზე ცხოვრობს და მოწმეა გერმანელი „რაინდების“ ულმობლობისა. ის სათავეში უდგას შეიარაღებულ რაზმს და სასტიკად უსწორდება მტერს. იურანდის სახე ყველაზე დრამატული და რთულია „ჯვაროსნებში“ და ნათლად ასახავს იმ დაძაბულ ატმოსფეროს, რომელიც XIV საუკუნის დასასრულს შეიქმნა მტაცებელ ჯვაროსნებსა და პოლონელ ხალხს შორის; ქალთა პერსონაჟებიდან ყველაზე ცოცხლადაა ასახული იაგენკა – მამაცი, ძლიერი ქალიშვილი, მოხერხებულობაში ტოლს რომ არ უდებს მამაკაცებს. ეს ლამაზი, მხიარული, გულადი ქალიშვილი არის მზრუნველი და მოსიყვარულე შვილი, ხოლო გათხოვების შემდეგ სამაგალითო მეუღლე.

ყველა მთავარი გმირი ავტორს დახატული ჰყავს დინამიურობაში, სხვადასხვა კუთხითა და სხვადასხვა სიტუაციაში: ბრძოლასა და შრომაში, მხიარულებასა და სევდაში, ხუმრობასა და ტანჯვაში. ნაწარმოების დანარჩენი გმირები მხოლოდ ცალკეულ ეპიზოდებში გამოჩნდებიან. ჩვენ მათ ვხედავთ, ვუსმენთ, ვარჩევთ ერთმანეთისგან, მაგრამ არ ვიცნობთ მათს აზრებსა და გრძნობებს. ისინი ეხმარებიან ავტორს მთავარი გმირების მდიდარი სულიერი ცხოვრების უფრო ღრმად გახსნასა და ეპოქის თავისებურებების ასახვაში.

განსაკუთრებული ძალითა და სიმართლით არიან ასახული რომანში მტრის ბანაკის წარმომადგენლები: ჯვაროსანთა ორდენის ხელმძღვანელი ფონ იუნგინგენი, მისი ძმა ულრიკი, ორდენის დიდი კომტური კუნო ლიხტენშტაინი და ჩლუხოვის კომტური არნოლდ ფონ ბადენი. ესენი რეალური პიროვნებები არიან – გარეგნულად ბერები და პროფესიით ყაჩაღები. ისინი

ყველაზე ნაკლებად უწევენ ანგარიშს რაინდულ პატიოსნებას და ქრისტიანულ მორალს.

კრიტიკოსები გარკვეულ პრეტენზიებს უყენებდნენ ისტორიულ პერსონაჟებს – მეფე იაგელოს, დედოფალ იადვიგას, დიდ მთავარ ვიტოლდს, რომლებიც მკრთალად და სტატიურად არიან აღწერილნი. მაგრამ გამოგონილ გმირებზე – ზბიშკოზე, მაცკოსა ან იაგენკაზე არასოდეს შედავებიან მწერალს, რადგან მხატვრულად ბრწყინვალედ ასახული ეს პერსონაჟები სავსებით ადასტურებენ ისტორიულ მონაცემებს XIV საუკუნის დასასრულისა და XV საუკუნის დასაწყისის პოლონელებზე. თანაც ეს ეხება არა მხოლოდ მათ ხასიათს, გონებრივ მონაცემებს, შეხედულებებს, არამედ მათ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ აქტივობასაც. ესენი არიან არა უნაკლო ადამიანები, რომელთაც არავითარი ხინჯი არ გააჩნიათ, არამედ სრულიად ჩვეულებრივი მოკვდავნი, რომელთაც ხშირად უხდებათ საკმაოდ რთულ კონფლიქტურ სიტუაციებში გარკვევა.

ტრილოგიის საპირისპიროდ „ჯვაროსნების“ მოქმედება არ მიმდინარეობს საომარი ორომტრიალის ფონზე. სათავგადასავლო თემებს აქ სულ სხვა მოტივირება ეძლევა, ისინი გამომდინარეობენ ინტრიგების ხლართიდან, რომელსაც ვერაგულად ქსოვს ჯვაროსანთა კანონები. ამ ინტრიგებს რომ თვალი გავადევნოთ, ისინი მკითხველს აოცებენ არა მიმდინარეობითა და განვითარებით, არამედ თავისი მექანიზმით. ეს მექანიზმი სწორედ ორდენის საერთო პოლიტიკაა. მაგრამ საით მიჰყავს ის ასეთ პოლიტიკას? ცხადია, ჯვაროსანთა ასეთმა საქციელმა ბოლოს უნდა გამოიწვიოს აშკარა კონფლიქტი და ულმობელი ანგარიშსწორება შეურაცხყოფილ ხალხსა და აგრესორებს შორის.

მთელი თხრობა იმის დადასტურებაა, თუ რატომ წარმოიშვა ისტორიული აუცილებლობა ჯვაროსნებთან სამართლიანი ომისა, როცა პოლონელ ხალხს სამაგიერო უნდა მიეზღო საძულველი მტრისთვის. ამჯერად ომი სენკევიჩისათვის არის არა მამაცობის გამოვლენის ხელსაყრელი შემთხვევა, არამედ იგი განიხილება როგორც პოლონელი ხალხის მოვალეობა, როგორც ისტორიული აუცილებლობა, რომელსაც მთელი პასუხისმგებლობით, სერიოზულად და გონივრულად უნდა მიუდგე. და ამის გამო ავტორი ჯვაროსნების წინააღმდეგ არგუმენტების შეგროვებისას ისეთივე საფუძვლიანი და სამართლიანი საბუთებით სარგებლობს, როგორითაც პოლონელი ხალხისა და პოლონური საზოგადოების დახასიათებისას.

ასე აგებული რომანი, ოსტატურად და კეთილსინდისიერად რომ გვიჩვენებს პოლონეთსა და ჯვაროსნებს შორის მომხდარი კონფლიქტის მიზე-

ზებს, მიმდინარეობასა და შედეგებს, აღტაცებით მიიღეს მთელ მსოფლიოში. რომანი სწორად გაიგეს. მასში ყველამ დაინახა ორი აზრი ისტორიული და თანამედროვე. მსოფლიოს ხალხებმა რომანში იგრძნეს გაფრთხილება ჯვაროსანთა პოლიტიკის ახალი გამტარებლის, იმდროინდელი პრუსიული სახელმწიფოს მიმართ.

იშვიათი მხატვრული ოსტატობით დაწერილ რომანში სენკევიჩმა მხოლოდ პოლონელი ხალხის გმირობა როდი განადიდა, ის უდიდესი პატივისცემით წერს 1410 წლის 15 ივნისის ბრძოლაში მონაწილე რუსების, უკრაინელების, ბელორუსების, წესებისა და სხვა ხალხთა გმირობაზე. სენკევიჩი ისტორიულ სინამდვილეს არ ღალატობს, როდესაც ხაზს უსვამს ბრძოლის რიგით მონაწილეთა მამაცობას, გლეხების – ქვეითთა წარმატებას, ხაზს უსვამს მათს გადამწყვეტ როლს ჯვაროსანთა არმიაზე გამარჯვების საქმეში.

„ჯვაროსნებით“ სენკევიჩმა დაასრულა 25-წლიანი სამწერლო მოღვაწეობა. ეს იყო საიუბილეო რომანი. მისი გამოცემის თარიღი – 1900 წელი – მწერლის საიუბილეო დღესასწაულის წელიც გახდა. იუბილეები მოეწყო არა მხოლოდ პოლონეთში, არამედ შორს მის საზღვრებს გარეთაც. მას უგზავნიდნენ ადრესებს მსოფლიოს ყველა კუთხიდან, სენკევიჩის პატივსაცემად მართავდნენ საღამოებს, ლექციებს, თეატრალურ სპექტაკლებსა და ბანკეტებს. ხოლო საზოგადოების ფულადი შემოწირულების ხარჯზე იყიდეს და უსაჩუქრეს ობლეგორკის მამული, ქალაქ კელცის მახლობლად, სადაც დღეს სენკევიჩის მუზეუმია მოწყობილი.

1900 წლის შემდეგ სენკევიჩი უკვე ცოტას წერდა. ამ პერიოდში შექმნილი ვერც ერთი ნაწარმოები ვეღარ შეედრებოდა მის უდიდესი ქმნილებებს: ტრილოგიას, „ვიდრე ჰხვალ“, „ჯვაროსნებს“. ჩაფიქრებული ახალი ტრილოგიის პირველ ნაწილს „დიდების ველზე“ (1906 წ.) წარმატება არ მოჰყოლია. თანამედროვე თემაზე დაწერილი რომანი „ქარბორბალა“ (1910 წ.), რომელშიც აღწერილი უნდა ყოფილიყო 1905 – 1907 წლების რევოლუცია, ძალზე უინტერესო გამოდგა. უკანასკნელი ისტორიული რომანი „ლეგიონები“ (1916 წ.) დაუმთავრებელი დარჩა, ამ წლების ერთადერთმა ნაწარმოებმა მოინადირა მკითხველთა გულები. ეს იყო „უდაბნოსა და ტევრში“ (1911 წ.). მას შეუნელებელი ინტერესით კითხულობენ დღესაც.

ცხოვრების უკანასკნელი წლები სენკევიჩმა სამშობლოდან მოშორებით გაატარა. 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე. ის ვენაში წავიდა, მერე კი გადავიდა შვეიცარიაში, სადაც შექმნა ომში დაღუპულ პოლონელთა ოჯახების დამხმარე საზოგადოება.

დიდი პოლონელი მწერალი 1916 წლის 15 ნოემბერს გარდაიცვალა შვეიცარიაში, ვევეიში და იქვე დაასაფლავეს. 1924 წელს მწერლის ნეშტი პოლონეთში გადმოასვენეს. მისი კუბო ასვენია წმინდა იანის კათედრალური ტაძრის აკლდამაში.

ჰენრიკ სენკევიჩი პოლონელ მწერალთაგან ყველაზე პოპულარულია. მისი ნაწარმოებები მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. მას კითხულობენ ყველგან, სადაც ადამიანებს აღელვებთ ძალმომრეობისგან დაჩაგრული და განაწამები ხალხის ბედი. ერთობ საგულისხმოა, რომ პოლონურ ენაზე გამოქვეყნების მერე რომანი „ჯვაროსნები“ პირველად სწორედ გერმანულ ენაზე ითარგმნა. თარგმანი შეასრულა ფ. ვორნშტედტმა და უკვე 1901 წელს წიგნი გამოვიდა ქ. აიზიდელნში, შვეიცარიაში. აქედან მოყოლებული რომანი გერმანულად ათჯერ გამოვიდა ისეთი პოლიგრაფიული გაფორმებით, როგორიც თვით პოლონეთშიც არ ღირსებია.

მთელი კაცობრიობა აღფრთოვანებულია სენკევიჩის წიგნებით და ცალკეული გმირებით, პოლონელ მკითხველს კი ხიბლავს მწერლის კეთილშობილური პატრიოტიზმი, მისი მხურვალე სიყვარული პოლონელი ხალხისადმი, პოლონური კულტურისადმი, რომ აღარაფერი ვთქვათ მისი მხატვრული ენის უზომო სილამაზეზე. ჰიტლერული გერმანიის განადგურებისთანავე პოლონეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გამოეცა სენკევიჩის თხზულებათა სრული კრებული, რაც განხორციელდა კიდევაც 1948 – 1955 წლებში. ექვს წელიწადში დღის სინათლე იხილა სამოცმა ტომმა, სადაც შევიდა მწერლის მთელი შემოქმედება. ამას გარდა, მისი ცალკეული ნაწარმოებები გამოდის ყოველწლიურად. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის არსებობის 30 წლის მანძილზე იგი 367-ჯერ გამოვიდა 11 მილიონ 600 ათასი საერთო ტირაჟით.

როგორც პოლონეთის ყოველკვირეული ორგანო „პშიაზნი“ („მეგობრობა“, N8, 22/II, 1976 წ.) გვაცნობებს, ჰენრიკ სენკევიჩი ყველაზე პოპულარული პოლონელი მწერალია საბჭოთა კავშირში, მისი ნაწარმოებები გამოცემულია საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე 4 მილიონ 800 ათასი ეგზემპლარი საერთო ტირაჟით.

ქართველი საზოგადოებრიობა იმთავითვე დიდ ინტერესს იჩენდა სენკევიჩის შემოქმედებისადმი.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში რუსული თეატრის ცნობილმა მოღვაწემ ნ. ი. სობოლშჩიკოვ-სამარინმა სცენისთვის გადააკეთა სენკევიჩის მოთხრობა „ვიდრე ჰხვალ“, ხოლო რუსული ენიდან ქართულად ეს პიესა გადმოთარ-

გმნა აკაკი წერეთელმა. სენკევიჩის მოტივების მიხედვით პიესა პირველად დაიდგა თბილისში 1909 წლის 23 აპრილს და წლების მანძილზე არ ჩამოსულა თბილისისა და ქუთაისის თეატრების სცენებიდან.

1883 წლიდან 1915 წლამდე, ე. ი. სენკევიჩის სიცოცხლეში, მისი ნაწარმოებები ქართულ ენაზე 18-ჯერ გამოიცა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მრავალი ქართული თარგმანი განხორციელებულია რუსული თარგმანის გამოჩენამდე ბევრად ადრე. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს დამსახურებაა იმ დროს თბილისში მცხოვრები არტურ ლაისტისა (1852 - 1927), რომელიც, როგორც ამ მწერლის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ფაქტები მოწმობენ, იყო გერმანული წარმოშობის პოლონელი, დაიბადა პოლონეთის ქალაქ ვროცლავში, მიიღო განათლება პოლონურ ენაზე და, პოლონელი პროფესორის რაიხმანის ცნობების მიხედვით, იბეჭდებოდა კიდეც პოლონეთში „არტურ ლებრანსკის“ ფსევდონიმით.

ქართული ლიტერატურული საზოგადოებრიობა იცნობდა არა მარტო ჰენრიკ სენკევიჩის შემოქმედებას, იგი ინტერესით ადევნებდა თვალს აგრეთვე მწერლის ცხოვრებასაც. ასე, მაგალითად, „ცნობის ფურცელი“ (N838, 1899 წ.) იტყობინებოდა სენკევიჩის ავადმყოფობის ამბავს; გაზეთი „ივერია“ (N279, 1900 წ.) მოგვითხრობდა პოლონელი მწერლის იუბილეზე; გაზეთმა „კვალმა“ (N2, გვ. 23, 1901 წ.) დაბეჭდა ოდესაში მყოფი ქართველი სტუდენტების მისალმება პოლონელი მწერლისადმი. სენკევიჩთან დაკავშირებული კიდევ მრავალი სხვა პუბლიკაცია მოიპოვება მაშინდელ ქართულ პერიოდიკაში, შეგახსენებთ კიდევ ერთ მათგანს: 1914 წლის დასასრულს სენკევიჩმა გამოაქვეყნა მიმართვა ყველა ხალხისადმი. იგი მოგვითხრობდა პოლონელთა ტრაგიკულ მდგომარეობაზე, რომლებიც ერთმანეთს ხოცავდნენ სამი ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლი სახელმწიფოს არმიათა რიგებში. ეს მიმართვა მთლიანად ითარგმნა ქართულ ენაზე და დაიბეჭდა სათაურით „პოლონეთის გოდება“ (გაზეთი „თემი“, 1915 წლის 30 მარტი).

დღეს ჰენრიკ სენკევიჩის შემოქმედება ცნობილია ქართველ მკითხველთა ფართო წრეებისთვის. მისი ნაწარმოებები სულ უფრო ხშირად ითარგმნება ქართულად. კ. მარქსის სახელობის თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში სენკევიჩის ნაწარმოებთა ქართული თარგმანების მრავალი ტომი ინახება. პოლონური პროზის კლასიკოსის ცხოვრებასა და შემოქმედებას ბევრმა ქართველმა მეცნიერმა მიუძღვნა თავისი წერილი თუ გამოკვლევა.

სტანისლავ რავიჩი

ჯვაროსნები

ტომი პირველი

I

ქალაქ ტინეცის სააბატოში შემავალ „მძვინვარე ხარის“ ფუნდუკში მაგიდას ხალხი შემოსხდომოდა და ათას ცეცხლში გამოვლილ რაინდს უსმენდა. ეს კაცი შორეული ქვეყნებიდან დაბრუნებულიყო და ახლა იმასა ჰყვებოდა, რა გადახდენოდა თავს ლაშქრობებსა და მოგზაურობაში.

ეს გახლდათ წვერმოშვებული, მხარბეჭიანი, გოლიათური აღნაგობის, ჯან–ღონით სავსე, თუმცა ძალზე ხმელ–ხმელი რაინდი. თმა წვრილი მძივებისაგან ნაკერი ბადურით ჰქონდა შეკრული, ტყავის ქურთუკზე ჯავშნის მრგვალი ნაჭდევები აჩნდა, სპილენძის მოსართავებიან ქამარში რქისბუდიანი დანა გაერჭო, გვერდზე კი მოკლე საგზაო მახვილი ეკიდა.

მას გვერდით უჯდა მხიარული გამომეტყველების გრძელთმიანი ჭაბუკი. ეტყობა, მისი ამხანაგი ან საჭურველმტვირთველი უნდა ყოფილიყო, რადგან ისიც სამგზავროდ იყო გამოწყობილი – ტყავის ისეთივე ქურთუკი ეცვა ჯავშნის ნაჭდევებით. მათ გარდა მაგიდას უსხდნენ ორი მემამულე კრაკოვის მახლობელი ადგილებიდან და სამი ქალაქელი, მათ წითელი ჩასაკეცი ქუდები ეხურათ; ქუდებს ბოლოები გვერდზე გადმოჰკიდებოდათ და თითქმის იდაყვებამდე სწვდებოდათ კაცებს.

ფუნდუკის პატრონი, ღია ყვითელი ფერის დაკბილულჩაჩიანი გერმანელი, სტუმრებს სქელ ლუდს თიხის ტოლჩებში უსხამდა და თან გაფაციცებით უსმენდა ომის ამბებს.

კიდევ უფრო მეტი ცნობისმოყვარეობით უსმენდნენ რაინდს ქალაქელები. ლოკეტეკის მეფობისას ქალაქელებსა და რაინდებს შორის გაღვივებული ზიზღი იმ ხანებში ნელ–ნელა ცხრებოდა და ქალაქელი ახლა გაცილებით უფრო თავდაჯერებული იყო ბატონის წინაშე, ვიდრე მომევნო საუკუნეებში. ბატონი ჯერ კიდევ აფასებდა მის მზადყოფნას ad coincessionem

percuniarum[1] და ფუნდუკებში არც ისე იშვიათად ნახავდით, როგორ ღრეობდნენ ერთად ვაჭრები და შლიახტა. მათ რამდენადმე წყალობის თვალითაც კი უყურებდნენ, რადგან ფული ყოველთვის მეტი ჰქონდათ და თავიანთი კეთილშობილი თანამეინახეების დანახარჯსაც იხდიდნენ ხოლმე.

ასე და ამგვარად ისხდნენ ისინი და საუბრობდნენ, თან დროდადრო თვალით ანიშნებდნენ მეფუნდუკეს, ტოლჩები გაავსეო.

ვინ იცის, რა არ გადაგხდენიათ თავს, კეთილშობილო რაინდო. – მიმართა ერთმა ვაჭარმა.

– დიახ, კრაკოვისკენ ყოველი მხრიდან მიმავალ ხალხში ბევრს ვერ შეხვდებით ახლა, ჩემდენი ენახოს, – გამოეპასუხა ჩამოსული რაინდი.

– მერე რა მილეთის ხალხი არ მიეშურება იქით – განაგრძობდა ქალაქელი. – დიდი ზარ–ზეიმია ახლა სამეფოში. ხმა დადის და მართალიც იქნება, მეფემ დედოფლის სანთიობოში სარეცელი მარგალიტებით ნაკერი ფარჩით და ასეთივე ბალდახინით მოართვევინაო. ათასნაირი თამაშობანი და ასპარეზობანი გაიმართება, დღემდე რომ არავის უნახავს, ისეთიო.

– ნათლია გამროტ, ნუ აწყვეტინებთ რაინდს, – შენიშნა მეორე ვაჭარმა.

– არა, ნათლია აიერტრეტერ, მე კი არ ვაწყვეტინებ, მგონია, რაინდისთვისაც საინტერესოა იცოდეს, რას ამბობს ხალხი, ალბათ ესეც კრაკოვში მიდის. ჩვენ ამაღამ ქალაქში დაბრუნებას ვეღარ მოვასწრებთ, ალაყაფის კარს დაკეტავენ, ძილით კი ბურბუშელაში დაბუდებული უწმინდურება არ დაგვაძინებს, ასე რომ, სალაპარაკო დრო გვეყოფა.

– კაცი ერთ სიტყვას გეტყვით, თქვენ კი ათასს პასუხობთ. ბერდებით, ნათლია გამროტ!

– ვბერდები, მაგრამ მთელ თოფ სველ მაუდს იღლიის ქვეშ ამოვიდეთ და ისე წავიღებ.

– ალბათ ისეთს, საცერივით ლანდი რომ გასდის.

მათ დავა შეაწყვეტინა მოხეტიალე რაინდმა.

– რა თქმა უნდა, კრაკოვში დავრჩები, თქვა მან, – მეც მოვკარი ყური ასპარეზობის ამბავს და სიამოვნებით ვცდი ძალას. ეს ჩემი ძმისშვილიც ჯერ თითქმის ბავშვია და არც წვერ–ულვაში ამოსვლია, მაგრამ ბევრ ჯავშნიან რაინდს შერკინებია და უჯობნია კიდეც.

[1] ნაღდი ფული გადაეხადა (ლათ.)

სტუმრებმა თვალი შეავლეს ჭაბუკს, რომელმაც გულღიად გაუღიმა მათ, გრძელი თმა ყურებზე გადაიწია და ლუდით სავსე ტოლჩა პირთან მიიტანა.

– ასეც არ იყოს, ახლა ძალიანაც რომ გვინდოდეს უკან დაბრუნება, წასასვლელი აღარსაით გვაქვს, – დასძინა მოხუცმა რაინდმა.

– როგორ თუ უკან დაბრუნება? – ჰკითხა ერთმა შლიახტიჩმა, – განა სადაურები ხართ, ან რა გქვიათ?

– მაცკო მქვია, ბოგდანეცელი გახლავართ, ეს ჭაბუკი ჩემი ძმისშვილია, ზბიშკო. ორთავენი „ბლაგვი ნალის“ გერბს ვეკუთვნით, ჩვენი საბრძოლო შეძახილი კი „გრადია“.

– სად არის ეგ თქვენი ბოგდანეცი?

– ეჰ, ძმაო, უკეთესია მკითხოთ, სად იყო-თქო, რადგან ის აღარ არსებობს. ჯერ კიდევ გჟიმალითებისა და ნალენჩების ომის დროს ჩვენს ბოგდანეცში ქვა ქვაზე აღარ დატოვეს. ძველი სახლიღა დარჩა; რაც გაგვაჩნდა, წაიღეს, მსახურები კი გაიქცნენ. დარჩა გადახრიოკებული მიწა. მეზობელი გლეხებიც ტყეებში გაიხიზნენ. მე და ჩემმა ძმამ, მისმა მამამ, ვითომ ხელახლა გავაშენეთ რაღაც, მაგრამ წლის თავზე ისიც წყალდიდობამ წალეკა. მერე ძმაც გარდამეცვალა. დავრჩით მე და ჩემი ობოლი ძმისშვილი ღვთის ანაბარა. მაშინ ვიფიქრე, აქ რა დამაყენებს-მეთქი. იმ დროს ხმა დადიოდა, ომი იწყება და იასკო ოლესნიცელი, მეფე ვლადისლავმა მიკოლაი მოსკოჟოველის ადგილზე რომ გაგზავნა ვილნოს, პოლონეთში რაინდებს აგროვებსო. მიწა ღირსეულ აბატს, ჩვენს სახლიკაცს, იანეკ ტულჩინელს მივაგირავე, იმ ფულით ცხენები და საჭურველი შევიძინე, გამოვეწყვე, როგორც ჯერ არს, შევსვი იაბოზე ჩემი პატარა – მაშინ ეს ბიჭი მხოლოდ თორმეტი წლისა იყო – და ჰაიდა, იასკო ოლესნიცელისაკენ!

– მოზარდიც თან წაიყვანე?

– ამას იმ დროს მოზარდიც არ ეთქმოდა, მაგრამ ჯან–ღონე ყოველთვის ერჩოდა. მეთორმეტე წელში რომ გადადგა, დააბჯენდა ხოლმე კონდახიან მშვილდს მიწაზე, ზედ მუცლით დააწვებოდა და ისე მოზიდავდა სახელურით, ვერც ერთი ინგლისელი – ისინი ვილნოსთან მყვანან ნანახი – ვერ აჯობებდა.

– ასეთი ღონიერი იყო?

– მუზარადს მიტარებდა. მეთოთხმეტეში რომ გადადგა, ფარიც დაიკავა.

– გეტყობათ, ბრძოლები არ დაგკლებიათ.

– ყველაფერი ვიტოლდის გულისთვის. იჯდა მთავარი ჯვაროსნებთან და ყოველ წელიწადს თავს ესხმოდა ლიტვას, ვილნოს მახლობლად. ათასი ჯურის ხალხი ახლდა მათ: გერმანელები გინდათ, ფრანგები, ინგლისელები – ესენი ყველაზე კარგი მშვილდოსნები არიან, – ჩეხები, შვეიცარიელები თუ ბურგუნდიელები. ისინი ჩეხდნენ ტყეებს, გზადაგზა ციხესიმაგრეებს აგებდნენ, მთელი ლიტვა ცეცხლითა და მახვილით გააჩანაგეს, იქაური ხალხი მზად იყო თავისი მხარე მიეტოვებინა და თუნდაც ცხრა მთას იქით გადაკარგულიყო, ოღონდაც გერმანელებს გასცლოდა.

– ჩვენამდისაც მოვიდა ხმა, ლიტველები დედიან–ბუდიანად აპირებენ აყრასო, მაგრამ არ გვჯეროდა.

– მე კი ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახე. ეჰ, ეჰ! მიკოლაი მოსკოჟოველი, იასკო ოლესნიცელი და, აი, ჩვენ რომ არა ვყოფილიყავით, კვეხნით არ ვიტყვი და, აქამდე ვილნოს სახსენებელიც აღარ იქნებოდა.

– ეგ ვიცით. ციხესიმაგრე თქვენ დაიცავით.

– ოღონდაც რომ დავიცავით. ახლა ყური კარგად მიგდეთ, რას მოგახსენებთ: მე ბევრის მნახველი და ომშიაც გამოცდილი კაცი გახლავართ. ჯერ კიდევ ჩვენს წინაპრებს უყვარდათ თქმა: „მძვინვარე ლიტვაო“, – სრული ჭეშმარიტებაა! მარჯვედ იბრძვიან ლიტველები, მაგრამ ტრიალ მინდორზე რაინდებთან გამკლავება უჭირთ. აი, გერმანელებს თუ ცხენი ჭაობში ჩაეფლობათ, ან უღრან ტყეში გზა აებნევათ, მაშინ სხვა საქმეა.

– გერმანელები მამაცი რაინდები არიან! – შესძახეს ქალაქელებმა.

– ისინი კედლად აღმართულნი მოდიან ერთმანეთის მხარდამხარ და ის ძაღლისშვილები ისე არიან ჯავშნებსა და აბჯარ–აბგარში ჩამსხდარნი, რომ თვალებიღა უჩანთ, რკინის ცხაურს იქით. ზვავივით მოიწევენ. ხანდახან ლიტველები რომ შეუტევდნენ, გიყვარდეს, გაიბნეოდნენ ქვიშასავით აქეთ–იქით, არადა, გერმანელები ერთი თუ შემოერტყმებოდნენ, გადათელავდნენ კიდეც. ჯვაროსნებს მარტო გერმანელები კი არა ჰყავთ, – რაც ამ დუნიაზე ხალხია, ყველა მას უდგათ სამსახურში. ჰოი, რა მამაცები არიან. დაიხრება უნაგირზე რაინდი, მოიმარჯვებს შებს და რომ მოსხლტება ადგილიდან ბრძოლის დაწყების წინ, მთელ ლაშქარს მარტოდმარტო ეკვეთება, როგორც ძერა დააცხრება ხოლმე ფრინველების გუნდს.

– ღმერთო ჩემო! – წამოიძახა გამროტმა. მაინც რომელია იმათში მჯობნის მჯობნი?

– ეგ იმაზეა დამოკიდებული, რომელს რა იარაღით აბრძოლებ. ინგლისელებს ყველაზე მეტად კონდახიანი მშვილდის სროლა ეხერხებათ: ჯავშანს ისრით ერთ გასროლაზე გახვრეტენ, მტრედს კი ას ნაბიჯზე მოახვედრებენ. ჩეხებს ნაჯახით ჩეხვაში ვერავინ აჯობებს. რაც შეეხება ორსახელურიან მახვილს, გერმანელი პირველობას არავის დაუთმობს. შვეიცარიელი რკინის კვერით ადვილად გახლეჩს ჩაფხუტს, მაგრამ ფრანგთა მიწის რაინდებს მაინც არავინა სჯობს. ცხენდაცხენ გინდა თუ ქვეითად, თანაბრად კარგად იბრძვიან და თან ვაჟკაცურადაც შეუძახებენ ხოლმე, ოღონდ სულ ერთია, მაინც ვერაფერს გაუგებ, რადგან ფრანგები ისე ტარტარებენ, გეგონებათ, კალის ბადიებზე ურტყამენო. ისე კი ხალხს რას ერჩი, ღვთისმორწმუნეა. გერმანელებს აბარებდნენ ჩვენთან, თქვენ, ქრისტიანები, კერპთაყვანისმცემლებსა და სარკინოზებს იცავთო, და სიტყვაც დაუდიათ, ამას რაინდულ ორთაბრძოლაში დაგიმტკიცებთო. აი, ასეთი ღვთის სამსჯავრო უნდა შედგეს ოთხ იმათსა და ოთხ ჩვენს რაინდს შორის, შეხვედრა კი დანიშნულია რომისა და ჩეხეთის მეფის ვაცლავის კარზე.

შლიახტიჩები და ვაჭრები ისეთმა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, რომ კისრები წაიგრძელეს და ბოგდანეცელ მაცკოს უამრავი კითხვა დააყარეს.

– ჩვენგან ვინ იქნება? თქვით მალე, გული გადაგველია.

მაცკომ ტოლჩა პირთან მიიტანა და ლუდი მოსვა.

– ეჰ, – უპასუხა მან, —— ჩვენების დარდი ნუ გექნებათ. ვლოშჩოველი იანი იქნება იქ, დობჟინის კაშტელანი, მიკოლაი ვაშმუნტოველი, იასკო ზდაკოვიელი და იაროშ ჩეხოველი – ყველანი დიდებული რაინდები არიან და რჩეული ვაჟკაცები, პირველად არ იბრძვიან არც შუბებით, არც მახვილებით და არც ცულებით. თვალიც ბევრს რასმე ნახავს და ყურიც ბევრს გაიგონებს, რადგან, აკი უკვე გითხარით, – ფრანგს რომ მუხლი ყელზე დააჭირო, სულ ერთია, რაინდულ ლაპარაკს ვერ მოაშლევინებ. იმდენი ღმერთი და წმინდა ჯვარი შეგვეწიოს, რამდენიც ისინი წააგებენ, ჩვენები კი ბრძოლაში დაჯაბნიან ყველას.

– პატივი და დიდება ნუ მოჰკლებოდეს ჩვენებს ღვთის ლოცვა–კურთხევით, – თქვა ერთ–ერთმა შლიახტიჩმა.

– და წმინდა სტანისლავისა, – დაამატა მეორემ. მერე მაცკოს მიუბრუნდა და ისევ გამოკითხვა დაუწყო: – აბა, ერთი ყველაფერი თქვით! აი, გერმანელი და სხვა რაინდების სიმამაცეზე ჰყვებოდით, ამბობდით, როგორ ადვილად დაიპყრეს ლიტვა. განა თქვენთან უფრო არ გაუჭირდათ ბრძო-

ლა? განა თქვენს წინააღმდეგაც ასეთივე ხალისით მოდიოდნენ? თუ ღმერთმა გიბოძათ ის გამარჯვება? ადიდეთ ჩვენები!

მაგრამ მაცკო ბოგდანეცელი, ეტყობა, ტრაბახა კაცი არ გახლდათ და თავმდაბლად უპასუხა:

– შორეული ქვეყნებიდან ახლად ჩამოსულნი, გიყვარდეს, ჯიქურ მოდიოდნენ ჩვენზე, მაგრამ ერთი–ორჯერ შემოგვიტევდნენ და მერე მადა ეკარგებოდათ. დაუცხრომელია ჩვენი ხალხი და ამ დაუცხრომლობისათვის ხშირად გვსაყვედურობდნენ: „სიკვდილისა მაინც არ გეშინიათ, სარკინოზებს რომ ეხმარებით, ამისთვის ჯოჯოხეთში ამობუგვა მოგელითო!“ ჩვენი მძვინვარება კიდევ უფრო მატულობდა ამის გამო, რადგან ეს ყველაფერი არ არის მართალი! მეფემ და დედოფალმა ლიტვა მონათლეს და ახლა ლიტვაში ყველა იესო ქრისტეს სახელს ლოცულობს, თუმცა ბევრმა არც იცის, როგორ უნდა ილოცოს. ყველას გაუგონია, რომ როცა პლოცკის კათედრალურ ტაძარში პირქვე დაამხეს კერპი, უმოწყალესმა მეფემ ჩვენმა ბრძანა, სანთლის ნამწვი დაენთოთ მისთვის. დიდი ვაივაგლახით ჩააგონეს ქსონძებმა, არ ივარგებსო ასე მოქცევა. უბრალო კაცს რაღა უნდა მოსთხოვო ამის შემდეგ ბევრი ასეც ფიქრობს: „მთავარმა მიბრძანა, მოინათლე, და მეც მოვინათლე, მიბრძანა, ქრისტე ირწმუნეო, და მეც ვირწმუნე, მაგრამ რატომ უნდა დავინანო ძველი უწმინდური კერპებისათვის ცოტაოდენი ხაჭო, ან შემწვარი თალგამი, ანდა ლუდის ქაფი? ამას თუ არ ვიზამ, ცხენები დამეხოცება ან ძროხებს მეხი დაერევა, სისხლნარევ რძეს მოიწველიან, ანდა სულაც მოსავალი დამეღუპება“. ბევრი იქცევა ასე. ამიტომაც მიიტანეს მათზე ეჭვი. მაგრამ უვიცობით, უწმინდური კერპების შიშით ემართებათ ეს. ძველად კერპები უკეთესად ცხოვრობდნენ. თავიანთი ტყეებიც ჰქონდათ, საკუთარი ხალვათი ქოხებიც, ცხენებიც და მოსავლის მეათედსაც იღებდნენ. ახლა კი ტყეები გაჩეხილია, საჭმელი აღარაფერი აქვთ, ქალაქებში ზარებს რეკავენ, ჰოდა, ამ უწმინდურებმაც უღრან ტყეს შეაფარეს თავი და იქა ღმუიან დასევდიანებულნი. ლიტველი კაცი რომ ტყეში წავა, იქ ხან ერთი ავსული წაატანს ხელს კალთაში, ხანაც მეორე – „მოიტაო“, ეუბნებიან ზოგიერთები აძლევენ კიდეც. მაგრამ ისეთი გულადებიც მოიძევებიან, რომ არათუ მიცემა არ უნდათ, იჭერენ კიდეც მათ. ერთმა კაცმა მოთუთქული მუხუდო ჩაყარა ხარის ფაშვში და მაშინვე ცამეტი ეშმაკი ჩაძვრა შიგ. იმან კი ცირცელის ხის რიკი დაუცო და ვილნოში წაიღო, რომ ფრანცისკელი მამებისათვის მიეყიდნა. იმათაც სიამოვნებით გადაუხადეს ოცი სკოიცე, ოღონდაც კი მოესპოთ მტერნი ქრისტეს სახელისა. მე თვითონ ვნახე ის ფაშვი, შორიდანვე

გეცემოდათ ღვთის საძულველი სიმყრალე – ავსულებს ეს ნაკურთხი წყლის შიშით ემართებოდათ...

– ვინ დათვალა, რომ მაინცადამაინც ცამეტნი იყვნენ? – ჰკითხა მსწრაფლ ვაჭარმა გამროტმა.

– ლიტველმა თვითონ დაითვალა: იმან ნახა, როგორ ძვრებოდნენ. მარტო სუნითაც შეიძლებოდა მიხვედრა, რომ შიგ ისხდნენ, რიკის ამოძრობა კი არავის უნდოდა.

– ნამდვილი სასწაულია! – წამოიძახა ერთმა შლიახტიჩმა.

– მართლაც, ათასნაირი სასწაულის მომსწრე გავხდი იქ. ხალხი კარგია, წუნს ვერაფერს დასდებ, მაგრამ ყველაფერი განსაკუთრებული აქვთ: გაბურძგნულები დადიან, იშვიათად თავადი თუ გამოერევა ვინმე, რომ თმას ივარცხნიდეს, შემწვარ თალგამსა ჭამენ, ყველაზე კარგ საჭმელად მიაჩნიათ, ვითომდა სიმამაცეს მატებსო კაცს. ტყეში ცხოვრობენ, ხულებში, საქონელსა და ანკარებთან ერთად. სმა–ჭამის არავითარი ზომა არ იციან. დედაკაცებს არაფრად აგდებენ, სამაგიეროდ, ქალიშვილებს დიდ პატივს სცემენ, სწამთ, რომ ისინი დიდ ძალასა ფლობენ. ასე ჰგონიათ, საკმარისია ქალიშვილმა გამხმარი მოცვით დაუზილოს კაცს მუცელი და ჭვალი მაშინვე გაუვლის.

– ლამაზი გოგო იყოს, თორემ მუცლის გვრემასაც გაუძლებს კაცი, – წამოიძახა ნათლია აიერტრეტერმა.

– მაგათი ამბები ზბიშკოსა ჰკითხეთ, – მიუგო მაცკო ბოგდანეცელმა.

ზბიშკომ ისე გადაიხარხარა, რომ მის ქვეშ სკამიც კი აქანავდა.

– ლამაზებიც იყვნენ, როგორ არა, რინგალა მშვენიერი არ იყო?

– რინგალა ვინღაა? კალთამადლიანი ხომ არ არის ვინმე? აბა, ერთი გვიამბე.

– როგორ, ნუთუ არაფერი გსმენიათ რინგალაზე? – გაიოცა მაცკომ.

– ყურიც არ მოგვიკრავს.

– მთავარი ვიტოლდის დაა, მაზოვიის მთავრის, ჰენრიკის მეუღლე.

– რას ამბობთ! ეგ რომელი ჰენრიკია? ერთი ჰენრიკი ვიცი, მაზოვიის მთავარი, პლოცკის ეპისკოპოსი იყო, მაგრამ ის აღარაა ცოცხალი.

– სწორედ ეგ არის. რომს უნდა გაეთავისუფლებინა აღთქმისაგან, მაგრამ სიკვდილმა დაასწრო და გაათავისუფლა: როგორც ჩანს, მაინცდამაინც ვერ ასიამოვნა ღმერთს თავისი საქციელით. ოლესნიცელმა იასკომ სწო-

რედ იმ დროს გამგზავნა წერილით მთავარ ვიტოლდთან რიტერსვერდერ-ში, როცა პლოცკის ეპისკოპოსი, მთავარი ჰენრიკი, მეფის ელჩად მოვიდა მთავართან. ამ დროისათვის ვიტოლდს მოსწყინდა ომი, ვილნოს აღებას მაინც ვერ ახერხებდა, ჩვენს მეფეს კი თავი მოაბეზრეს ღვიძლმა ძმებმა თა-ვიანთი უტიფრობით. დახედა მეფემ, რომ ვიტოლდი მის ძმებზე ბევრად უფრო მარჯვე და ჭკვიანი იყო, ეპისკოპოსი გაუგზავნა და შესთავაზა, ჯვა-როსნებს თავი გაანებე და მე დამმორჩილდიო. სამაგიეროდ, ლიტვის გადა-ცემას შეჰპირდა საგამგებლოდ. ვიტოლდი საერთოდ სიახლის დიდი მოყ-ვარული იყო და თავაზიანად მოუსმინა ელჩს. მერე გაიმართა ლხინი და ას-პარეზობანი. და, თუმცა სხვა ეპისკოპოსებს არაფრად ეპიტნავებოდათ, მთავარი ჰენრიკი სიამოვნებით ჯდებოდა ცხენზე და თავის რაინდულ ძა-ლას აჩვენებდა ასპარეზობაზე. მაზოვიის მთავრები ყველანი გოლიათი ვაჟკაცები არიან, მათი გვარის ქალიშვილები კი სულ ადვილად ამტვრევენ ცხენის ნალს. ერთხელ მთავარმა სამი რაინდი გადმოაგდო ცხენიდან, მე-ორედ – ხუთი, ხოლო ჩვენებიდან მე დამცა ძირს და ზბიშკოს ცხენი უკანა ფეხებზე ჩაჯდა მასთან შერკინებისას. ყველა ჯილდოს მშვენიერი რინგა-ლა გადასცემდა მთავარს და ისიც იარაღასხმული იყრიდა მუხლს მის წინა-შე. ისე შეუყვარდათ ერთმანეთი, რომ ნადიმის დროს მთავართან ერთად ჩამოსული cherici[2] სახელოში ხელჩავლებულს მიათრევდნენ ეპისკოპოსს რინგალასაგან, რომელსაც თავის მხრივ ძლივს აკავებდა მისი ძმა ვიტოლ-დი. „მე თვითონ გავითავისუფლებ თავს აღთქმისაგან, – ამბობდა მთავარი, – ხოლო პაპი, თუ რომის არა, ავინიონისა მაინც, დამიდასტურებს ნებარ-თვას. მაგრამ ჯვარი ახლავე უნდა დავიწერო, თორემ ამ ცეცხლს ვეღარ გა-ვუძლებ!“ მძიმე ცოდვა იყო ღმერთის წინაშე, მაგრამ ვიტოლდს არ უნდოდა მეფის ელჩისათვის ეწყენინებინა და წინააღმდეგობა აღარ გაუწია. ჰოდა, იქორწინეს კიდეც. მერე სურაჟს გაემგზავრნენ, იქიდან კი სლუცკში წავიდ-ნენ, ამ ჩვენი ზბიშკოს გულის გასახეთქად, რომელმაც გერმანელთა წესისა-მებრ, გულის დედოფლად აირჩია მთავრის მეუღლე რინგალა და აღთქმაც დადო, კუბოს კარამდე მისი ერთგული ვიქნებიო.

– ეგ კი ეგრეა, – შეაწყვეტინა უცებ ზბიშკომ, – მაგრამ მერე ხმა გავრცელ-და, თითქოს მთავრის მეუღლე რინგალა ჩაფიქრდა და გადაწყვიტა, არ შემ-ფერის ცოლობა ეპისკოპოსისა, რომელმაც ქორწინებით კი იქორწინა, მაგ-რამ სასულიერო ხარისხის აყრა არ ისურვაო. ღვთის კურთხევას ვერ ვეღირ-

[2] სულიერი მამები (ლათ.)

სებითო, იფიქრა და მოწამლა ქმარი. ეს რომ გავიგონე, ლიუბლინთან ერთ ღვთისმოსავ განდეგილს ვთხოვე აღთქმისაგან გავეთავისუფლებინე.

– განდეგილი კი იყო, – სიცილით შეეპასუხა მაცკო, – მაგრამ ღვთისმოსაობისა რა მოგახსენო. პარასკევი დღე გახლდათ, ჩვენ რომ მივედით, ის კი ნაჯახით დათვის ძვლებს ჩეხდა და ისე წუწნიდა ტვინს, რომ ხვანჩი უთამაშებდა.

– კი მაგრამ, აკი გვითხრა, ტვინი ხორცი არ არის, თანაც განსაკუთრებული ნებართვით ვწუწნიო, რადგან ამის მერე ძილში მშვენიერ ზმანებებს ვხედავ და მეორე დილით შუადღემდე შემიძლია წინასწარმეტყველებაო.

– კარგი ერთი, თუ ხათრი გაქვს! – უთხრა მაცკომ. – მშვენიერი რინგალა ახლა ქვრივია და შეუძლია მოგთხოვოს, მომემსახურეო.

– ტყუილად შეიწუხებს თავს. მე სხვა მბრძანებელს ავირჩევ და კუბოს კარამდე მისი ერთგული ვიქნები, ამასობაში კი ცოლსაც ვიშოვნი.

– შენ ჯერ რაინდის სარტყელი იშოვე.

– ეჰე! განა დედოფლის მშობიარობის შემდეგ არ გაიმართება ასპარეზობები? ხელმწიფე მაშინ ბევრს აკურთხებს რაინდად. ვისაც გინდათ, იმას შევებმები. ეპისკოპოსიც ვერ მაჯობებდა, ცხენს რომ არ ჩაჰკეცოდა უკანა ფეხები.

– იქ შენზე უკეთესები გამოჩნდებიან.

ამ დროს კრაკოველი შლიახტიჩები აყვირდნენ:

– ღმერთო დიდებულო! დედოფლის წინაშე შენისთანებს ვინ გამოიყვანს. იქ საქვეყნოდ ცნობილი რაინდები იქნებიან. იასპარეზებენ ზავიშა გარბოველი, ფარურეი, დობკო ოლესნიცელი, ერთმანეთს შეეჯიბრებიან აგრეთვე პოვალა ტაჩეველი, პაშკო ბისკუპიცელი, იასკო ნაბანი, აბდან გურელი, ანჯეი ბროხოტიცელი, კრისტინ ოსტროველი, იაკუბ კობილიანელი!.. სად შეგიძლია შენ იმათთან გატოლება, მაგათ ვერავინ გაუმაგრდება ვერც ჩეხეთის, ვერც უნგრეთის მეფის კარზე. თავს რას იდებ, მაგათ ვჯობივარო? განა რამდენი წლისა ხარ?

– მეთვრამეტეში გადავდექი, – მიუგო ზბიშკომ.

– შენ ხომ ფრჩხილით მიგასრესენ, თუ ვინმემ მოინდომა.

– მაგასაც ვნახავთ.

– ამბობენ, მეფე გულუხვად აჯილდოებს ლიტვის ომიდან დაბრუნებულ რაინდებსო, – ჩაურთო მაცკომ. – რომელი ხართ კრაკოველი, მითხარით, მართალია, თუ არა?

– სრული ჭეშმარიტებაა! – უპასუხა ერთმა შლიახტიჩმა. – მეფის გულუხვობა ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ ახლა მეფემდე ისე იოლად ვერ მიაღწევ. კრაკოვი ძეობასა და ნათლობაზე ჩამოსული სტუმრებითაა გავსებული, სურთ პატივი და დიდება მიაგონ ჩვენს ხელმწიფეს. უნგრეთის მეფესაც ელოდებიან, ამბობენ, რომის იმპერატორიც ჩამოვაო. ამას გარდა, ათასი სხვა მთავარი და ხელისუფალი ეწვევათ, რაინდობაც ხაშხაშივით უთვალავი იქნება ყველას იმედი აქვს, მეფე ხელცარიელს არ გაგვაბრუნებსო. თვითონ პაპი ბონიფაციუსიც ჩამოვაო, ამბობენ. ისიც წყალობასა და დახმარებას ეძებს ჩვენ ხელმწიფესთან თავისი ავინიონელი მოწინააღმდეგეების დასამარცხებლადო. ვეჭვობ. ასეთი თავყრილობის დროს მეფესთან შესვლა მოახერხოთ, მაგრამ თუ მოახერხებთ და მუხლებზე ემთხვევით, მაშინ კი უეჭველად უხვად დაგაჯილდოებთ, დამსახურებისამებრ.

– მე ვემთხვევი მუხლებზე მეფეს, რადგან ეს დავიმსახურე, და თუ ომი კვლავ დაიწყო, ისევ წავალ საბრძოლველად. ცოტაოდენი ნადავლი მეც მოვიპოვე და მთავარ ვიტოლდს დავიწყებული არ ვეყოლები. ღარიბი კაცი არა ვარ, მაგრამ სიბერე კარს მომდგომია და ძალ–ღონე რომ მიღალატებს, ალბათ სურვილი გამიჩნდება მეც ჩემი მყუდრო კუთხე მქონდეს.

– მეფეს არ დაუკლია თავისი წყალობა მათთვის, ვინც ლიტვიდან დაბრუნდა, იასკო ოლესნიცელისაგან. ისინი ახლა ყელამდე სავსე არიან.

– აი, ხომ ხედავთ! მე კი იმ დროს არ დავბრუნებულვარ – ჯერ ისევ ვიბრძოდი. უნდა მოგახსენოთ, რომ გერმანელებს ძვირად დაუჯდათ მეფისა და მთავარ ვიტოლდის კავშირი. მთავარმა ათასი ხრიკებით დაიბრუნა თავისი მძევლები, მერე ერთბაშად თავს დაესხა გერმანელებს! დააქცია და ცეცხლს მისცა მათი ციხესიმაგრეები, რაინდები ამოუხოცა და ხალხიც ბევრი გაუჟლიტა. გერმანელებს სურდათ მური ეძიათ სვიდრიგელოსთან ერთად, რომელიც მათ მხარეზე გადავიდა. დაიწყო ისევ ახალი ლაშქრობა. ვილნოს თვით მაგისტრმა კონრადმა შემოარტყა ალყა დიდი ლაშქრით. ჯერ ცდილობდნენ მაღალი კოშკებიდან გაენგრიათ ციხესიმაგრეთა კედლები, მერე ღალატით სურდათ ხელში ჩაგდება, – ვერც ერთი ვერ მოახერხეს! უკან გამობრუნებისას კი ისეთი ცხელი დღე დაადგათ, ნახევარზე მეტი ხალხი ამოუჟუჟეს. ჩვენ ბრძოლის ველზე ულრიკ ფონ იუნგინგენს, მაგისტრის ძმას, სამბიის მმართველსაც შევებით, მაგრამ ულრიკი შიშით ზარდაცემული და აბღავლებული დავიფრინეთ და ამის მერე ჩამოვარდა მშვიდო-

ბა. ქალაქი მშენებლობას შეუდგა. ერთმა წმინდა ბერმა, რომელსაც შეეძლო ფეხშიშველს ევლო გავარვარებულ რკინაზე, იწინასწარმეტყველა, ამის შემდეგ ვილნო მეორედ მოსვლამდე აღარ იხილავს თავის კედლებთან შეიარაღებულ გერმანელებსო, და თუკი მართლა ასე იქნება, ვისმა მარჯვენამ მოიმოქმედა ეს?

ამ სიტყვებზე მაცკო ბოგდანეცელმა გამოიშვირა თავისი ფართო, ღონიერი ხელი, დანარჩენებმა კი თავის ქნევით დაუდასტურეს:

– ჰო, ჰო, ეგ მართალს ამბობს. ჰო!

მაგრამ ამ დროს ქუჩიდან შემოსულმა რაღაც ხმაურმა შეაწყვეტინათ საუბარი. ფანჯრებიდან ხარის ბუშტები ამოეღოთ, რადგან თბილი და მოწმენდილი ღამე იყო. შორიდან მოისმა იარაღის ჩხარუნი, ადამიანების ხმები, სიმღერა და ცხენების ჭიხვინი. ფუნდუკში ყველა გაოცდა, რადგან უკვე გვიანი ღამე იყო, მთვარე კარგა მაღლა აწეულიყო. მეფუნდუკე გერმანელი გარეთ გავარდა, მაგრამ სტუმრებს ჯერ ბოლო ტოლჩების გამოცლა ვერ მოესწროთ, რომ ის ისევ სწრაფად შემობრუნდა და დაიძახა:

– რომელიღაც მთავრის ურიცხვი ამალა მობრძანდება!

ერთი წამიც და კარში ცისფერ ქურთუკსა და წითელ დასაკეც ქუდში გამოწყობილი მსახური გამოჩნდა. ზღურბლთან შეჩერდა, თვალი მოავლო იქ მყოფთ და, მეფუნდუკეს რომ შეხედა, თქვა:

– გადაიწმინდოს მაგიდები და დაინთოს სანთლები: მთავრის მეუღლე ანა დანუტა შეჩერდება აქ დასასვენებლად.

ეს რომ თქვა, მსახური უკან გაბრუნდა. ფუნდუკში ხალხი აწრიალდა: მეფუნდუკემ მსახურებს უხმო, სტუმრები კი გაოცებულები შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

– ქალბატონი ანა დანუტა, – თქვა ერთმა მოქალაქემ, – ეს ხომ მთავარ კეისტუტის ასულია, იანუშ მაზოვიელის მეუღლე. ორი კვირა ხდება, რაც კრაკოვშია; ალბათ ზატორში იყო სტუმრად მთავარ ვაცლავთან და ახლა იქიდან ბრუნდება.

– სათივეზე წავიდეთ, ნათლია გამროტ, – უთხრა მეორე მოქალაქემ, – ჩვენთვის ეს მეტისმეტად მაღალი წრეა.

– გასაკვირი არ არის, რომ ღამით მგზავრობენ, – თქვა მაცკომ, – დღისით ძალიან ცხელა. მაგრამ რაღა ფუნდუკში მოვიდნენ, მონასტერი ხომ აქვეა, ყურისძირში? მერე ზბიშკოს მიუბრუნდა:

– მშვენიერი რინგალას ღვიძლი დაა, გესმის?

– და ალბათ უთვალავი მაზოვიელი სეფექალიც ახლავს! — მიუგო ზბიშკომ.

II

ამ დროს კარი გაიღო და მთავრის მეუღლე შემობრძანდა. შუა ხნის, სახემღიმარი ქალი იყო; ტანთ წითელი ლაბადა და ვიწრო მწვანე კაბა ემოსა, წელზე ერტყა მოოქროვილი ქამარი, რომელიც თეძოებზე ეშვებოდა და ქვევით დიდი ბალთით იყო შეკრული. ქალბატონს მოჰყვებოდნენ სეფექალები, ზოგი ასაკოვანი, ზოგიც სულ მთლად ბავშვი. ყველას ვარდისა და შროშანის გვირგვინები ედგა თავზე და ბევრს ბარბითიც ეჭირა ხელში. ზოგიერთებს ყვავილების უზარმაზარი თაიგულები მოჰქონდათ, ალბათ გზაში დაეკრიფათ. სეფექალებს კარისკაცები და პაჟები მოჰყვნენ. ფუნდუკი გამოცოცხლდა. ყველა ხალისიანი და მხიარული იყო, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და ღიღინებდნენ, თითქოს ნათელ ღამესა და კაშკაშა მთვარეს დაუთვრიაო. ამალაში ორი მოსიმღერეც ერია, ერთს ბარბითი ეჭირა, მეორეს კი ქნარი. თორმეტიოდე წლის გოგონა სპილენძის ლურსმნებით მოჭედილი ბარბითით ხელში მოჰყვებოდა ქალბატონს.

– დიდება იესო ქრისტეს! – წარმოთქვა ქალბატონმა და შუა ოთახში გაჩერდა.

– უკუნითი უკუნისამდე, ამინ! – მდაბლად თავის და კვრით უპასუხეს იქ მყოფებმა.

– მასპინძელი სადღაა?

რომ გაიგონა, მიხმობენო, გერმანელი წინ წადგა და თავიანთი წესისამებრ მუხლი მოიყარა.

– დასასვენებლად და დასანაყრებლად გავჩერდებით აქ, – უთხრა მთავრის მეუღლემ. – აბა, დატრიალდით, თორემ მშივრები ვართ.

მოქალაქეებმა მოასწრეს ფუნდუკიდან გასვლა, ორმა ადგილობრივმა შლიახტიჩმა, მაცკო ბოგდანეცელმა და ზბიშკომ ერთხელ კიდევ დაუკრეს თავი და წასვლა დააპირეს, რათა ხელი არ შეეშალათ ამალისათვის, მაგრამ ანა დანუტამ შეაჩერა ისინი:

– შლიახტიჩები ბრძანდებით და ხელს არ შეგვიშლით! იცნობდეთ ჩვენს კარისკაცებს. საიდან მოეშურებით?

შლიახტიჩებმა მოახსენეს თავიანთი სახელები, გერბები, საბრძოლო შეძახილები და მშობლიური სოფლები. როცა მაცკომ უთხრა, თავის ძმისშვილთან ერთად საიდან ბრუნდებოდა, ქალბატონმა ხელი ხელს შემოჰკრა.

– ოჰ, როგორ გამიხარდა! – წამოიძახა მან, – გვიამბეთ ვილნოს, ჩემი ძმისა და დის ამბები. ვიტოლდი ძეობასა და ნათლობაზე ჩამოსვლას არ აპირებს?

– ჩამოსვლა კი სერს, მაგრამ არ იცის, მოახერხებს თუ არა; ამიტომაც ადგა და ქსონძებისა და ბოიარების ხელით ვერცხლის აკვანი გამოუგზავნა დედოფალს. სწორედ ამ აკვანს მოვყვებოდით მე და ჩემი ძმისშვილი. ჩვენ ვიცავდით გზაში.

– მაშ აკვანი უკვე აქ არის? დიდი სიამოვნებით ვნახავდი. მართლა სუფთა ვერცხლისაა?

– სუფთა ვერცხლისაა, მაგრამ აქ აღარ არის. კრაკოვში წაიღეს.

– თქვენ რაღას აკეთებთ ტინეცში?

– აქეთ გადმოვუხვიეთ, მონასტრის მმართველი უნდა ვნახოთ. ჩვენი სახლიკაცია და გვინდა წმინდა მამებს მივაბაროთ სამხედრო დავლა და მთავრის ნაბოძვარი.

– ეგ ყველაფერი ღვთის ნაბოძვარია. დიდია დავლა? თუმცა, ის მითხარით, რატომ ყოყმანობს ჩემი ძმა წამოსვლაზე?

– თათრებზე გასალაშქრებლად ემზადება.

– ეგ ვიცი, მხოლოდ ერთი რამ არ მასვენებს, დედოფალმა კეთილი ბოლო არ უწინასწარმეტყველა ამ ლაშქრობას, მისი წინასწარმეტყველება კი ყოველთვის მართლდება.

მაცკოს გაეღიმა.

– ეჰ, ვერაფერს ვიტყვი, ჩვენი დედოფალი მართლაც ღვთისმოსავია; მაგრამ მთავარ ვიტოლდს ხომ მთელი ჩვენი რაინდობა გაჰყვება, რჩეული ვაჟკაცები, ისეთები, არავისთან რომ არ შეგარცხვენენ.

– თქვენ კი არ წახვალთ?

– მე ხომ სხვებთან ერთად აკვნის დასაცავად გამომგზავნეს და, ესეც არ იყოს, ხუთი წელია, იარაღი არ შემიხსნია, – უპასუხა მაცკომ და თავის დომბის ტყავის ხიფთანზე ჯავშნის ნაჭდევები აჩვენა, – მაგრამ ცოტას თუ სულს მომათქმევინებთ, ისევ წავალ, თუ არა და ჩემს ძმისშვილს ზბიშკოს გავატან

პან სპიტეკ მელშტინელს, რომელიც ჩვენს რაინდებს ლაშქარში წარუძღვება.

ანა დანუტამ თვალი შეავლო ზბიშკოს ზორბა აღნაგობას, მაგრამ ამ დროს საუბარი შეწყდა, რადგან ფუნდუკში შემოვიდა ბერი, ქალბატონს მიესალმა და მორჩილად ჰკადრა საყვედური, რატომ მაცნე არ გამოგზავნეთ მონასტერში და არ შეგვატყობინეთ თქვენი ჩამობრძანება ან რატომ გაჩერდით უბრალო ფუნდუკში, რაც ასე არ შეეფერება თქვენს დიდებულებასო. განა მონასტერს ცოტა აქვს სახლები, სადაც უბრალო ადამიანებიც კი პოულობენ თავშესაფარს, ხოლო ისეთ საპატიო სტუმარზე, როგორიც თქვენ ბრძანდებით, ლაპარაკიც ზედმეტია, თქვენმა წინაპრებმა და ნათესავებმა ხომ ესოდენი ქველმოქმედება გაუწიესო მონასტერს! მაგრამ ქალბატონი მხიარულად შეესიტყვა:

– აქ ჩვენ მხოლოდ ჩასამუხლებლად შემოვიარეთ, დილას კრაკოვს უნდა გავემგზავროთ. დღისით გამოვიძინეთ, ღამით კი სიგრილით მოვდიოდით, უკვე მამლები ყიოდნენ და აღარ გვინდოდა ღვთისმოსავი ძმების შეწუხება, მით უფრო ისეთი ხალხისათვის, რომლებიც დასვენებაზე იმდენს არა ფიქრობენ, რამდენსაც სიმღერასა და ტაშ–ფანდურზე.

მაგრამ ბერი თავისას არ იშლიდა.

– არა, ჩვენ აქ დავრჩებით. მოვისმენთ საერო სიმღერებს, დრო შეუმჩნევლად გაირბენს, ცისკრის ჟამს კი ეკლესიაში წავალთ, რომ დღე ღმერთთან ერთად დავიწყოთ.

– წირვა იქნება მწყალობელი მთავრისა და მისი მეუღლის სადიდებლად, – უთხრა ბერმა.

– მთავარი, მეუღლე ჩემი, ოთხ–ხუთ დღეზე ადრე ვერ გეახლებათ.

– ღმერთი შორიდანაც მიაგებს მას დღეკეთილობას, მანამდის კი ნება გვიბოძეთ, თქვენს მონამორჩილთ, ღვინო მაინც მოგართვათ მონასტრიდან.

– მადლობას გწირავთ, – უპასუხა ქალბატონმა.

ბერი რომ გავიდა, მან იმწამსვე გასძახა:

– ჰეი, დანუსია! დანუსია! შედექ სკამზე და დაგვატკბე იმ სიმღერით, ზატორში რომ მღეროდი.

მსახურებმა წამში დადგეს ძელსკამი შუა ფუნდუკში. მოსიმღერეები აქეთ–იქით ჩამოსხდნენ, მათ შუა კი დადგა ის გოგონა, რომელსაც სპილენძის ლურსმნებით მოჭედილი ბარბითი მოჰქონდა. თმა მხრებზე ჩამოშლო-

და, თავზე ყვავილების გვირგვინი ედგა. ცისფერი კაბა და წითელი ტარსიკონის ჭვინტიანი მაშიები ეცვა. სკამზე შემომდგარი გოგონა პატარა ზღაპრულ ბავშვსა ჰგავდა. ეტყობოდა, პირველად არ იდგა ასე თავისუფლად ქალბატონის წინაშე და მღეროდა, რადგან მორცხვობის ნატამალსაც ვერ შეამჩნევდით.

– აბა, დანუსია, დაიწყე! – შესძახეს სეფექალებმა.

დანუსიამ ბარბითი აიღო, მომღერალი ჩიტივით მოიღერა ყელი და წკრიალა ხმით წამოიწყო:

ნეტავი ჩიტად მაქცია,
ცაში გავშლიდი ფრთებს,
გავშლიდი, სილეზიისკენ
გადავიფრენდი მთებს.[3]

მოსიმღერეები მაშინვე აჰყვნენ, ერთი ქნარზე უკრავდა, მეორე კი დიდ ბარბითზე. ქალბატონი, რომელსაც საერო სიმღერები ყველაფერს ერჩია, თავის ქნევით აჰყვა მას, გოგონამ კი ბავშვური წკრიალა ხმით კვლავ გაბა, თითქოს ჩიტუნა გალობსო გაზაფხულის ტყეში თავის საგალობელს:

ერთ სარკმელს გამოვარჩევდი
უცხო მხარეში, შორს,
ალერსით ჩაგჭიკჭიკებდი
გულის სწორსა და ტოლს.

და ისევ აჰყვა ორივე მოსიმღერე. ჭაბუკ ზბიშკო ბოგდანეცელს, რომელიც ბავშვობიდან შეეჩვია ომის საშინელ სურათებს, თავის სიცოცხლეში ამის მსგავსი არაფერი ენახა; მას გვერდით მდგომ მაზურს მხარზე ხელი შეახო და ჰკითხა:

– ვინ არის ეს გოგო?

– ქალბატონის სეფექალია. ბევრი მოსიმღერე ართობს ჩვენს კარს, მაგრამ ეს გოგონა ქალბატონს ყველას ურჩევნია და არავის ასე სულშეტაცებული არ უსმენს, როგორც ამას.

– ან რა გასაკვირია. მე ანგელოზი მეგონა, თვალი ვეღარ მოვწყვიტე. რა ჰქვია?

[3] ლექსები თარგმნა მურმან ლებანიძემ.

– განა არ გაგიგონიათ? დანუსია. მამამისი, იურანდ სპიხოველი, მძლავრი და მამაცი კომესი, სახელმოხვეჭილი რაინდია და ბრძოლაში სადროშოს წინ მოუძღვის ხოლმე.

– ნამდვილი მზეთუნახავია!

– ყველას ძალიან უყვარს სიმღერისა და სილამაზის გამო.

– ვინ არის მაგისი რაინდი?

– რას ამბობთ, ჯერ ხომ სულ ბავშვია.

დანუსიამ ისევ წამოიწყო სიმღერა და საუბარი შეწყდა. ზბიშკო გვერდიდან შესცქეროდა მის ოქროსფერ თმას, აღერებულ თავს, მოჭუტულ თვალებს, სანთლებითა და ღია ფანჯრებში შემოსული მთვარის შუქით სხივფენილ მის ტანს და თანდათან უფრო იპყრობდა გაოცება. ეჩვენებოდა, თითქოს სადღაც ენახა ეს გოგონა, ოღონდ აღარ ახსოვდა – სიზმარში, თუ სადმე კრაკოვში, ეკლესიის მოხატულ სარკმელზე.

ზბიშკომ ფრთხილად შეახო ხელი კარისკაცს და ხმადაბლა ჰკითხა:

– მაშ ეგ გოგონა თქვენს კარზე ცხოვრობს?

– დანუსიას დედა ლიტვიდან ჩამოყვა ქალბატონს ანა დანუტას, რომელმაც იგი გრაფ იურანდ სპიხოველს გაატანა ცოლად. ძალიან ლამაზი იყო და თანაც დიდგვაროვანი. ქალბატონს ყველა სეფექალზე მეტად ჩავარდნოდა გულში და იმასაც ძალიან უყვარდა ქალბატონი, ამიტომაც დაარქვა ქალიშვილს ანა დანუტა. მაგრამ ხუთი წლის წინ ზლოტორიასთან ჩვენს კარს გერმანელები დაესხნენ თავს და დანუსიას დედა ელდისაგან გარდაიცვალა. მაშინ ქალბატონმა გოგონა წამოიყვანა და მას აქეთ აქ იზრდება. მამამისიც ხშირად ჩამოდის მთავრის კარზე და გახარებულია, როცა ხედავს, მისი შვილი ჯანმრთელად არის და მთავრის სიყვარული გარემოსილია. მხოლოდ ეგაა, ქალიშვილის ნახვისას ყოველთვის მიცვალებული მეუღლე ახსენდება, ცრემლად იღვრება და შინ რომ ბრუნდება, გულის ჯავრს გერმანელებზე იყრის ამ მძიმე დანაკლისის გამო. მასავით არავის უყვარდა ცოლი მთელს მაზოვიაში და მისი გულისათვის უკვე აურაცხელი გერმანელი ამოხოცა.

ზბიშკოს უმალ თვალები აენთო და შუბლზე ძარღვები დაებერა.

– მაშ გერმანელებმა მოუკლეს დედა? – იკითხა მან.

– თითქოს მოუკლეს კიდეც და არც მოუკლავთ. თვითონ გარდაიცვალა შიშისაგან. ხუთი წლის წინ მშვიდობა იყო, ორზე არავინ ფიქრობდა, ყველა უდარდელად გრძნობდა თავს. მთავარიც ლაშქრის გარეშე, როგორც მშვი-

დობიან დროს შეეფერება, მხოლოდ თავისი ამალის თანხლებით ზლოტორიაში წავიდა კოშკის ასაგებად. და ამ დროს ომის გამოუცხადებლად, სრულიად უმიზეზოდ შემოიჭრნენ ჩვენს ქვეყანაში მაღალატე გერმანელები. მათ გადაივიწყეს ღმერთი და ყველა სიკეთე, რაც მათთვის მთავრის წინაპრებს უბოძებიათ. გამოაბეს მთავარი ცხენზე და ტყვედ წაიყვანეს, ხალხი კი დახოცეს. დიდხანს ჰყავდათ ტყვედ, მხოლოდ მაშინ შეშინდნენ, როცა მეფე ვლადისლავი ომით დაემუქრა, და მთავარი გაათავისუფლეს. ეგ კი იყო, ამ თავდასხმის დროს დანუსიას დედა გარდაიცვალა. შიშით გული მოადგა ყელთან და გაგუდა.

– ბატონო რაინდო, თქვენ შეესწარით ამ ამბავს? მითხარით თქვენი სახელი, თორემ უკვე დამავიწყდა.

– მიკოლაი დლუგოლიასელი გახლავარ, მეტსახელად კი ობუხს მეძახიან. მე იქ ვიყავი თავდასხმის დროს. საკუთარი თვალით ვნახე, როგორ უპირებდა მუზარადში ფარშავანგის ფრთაგარჭობილი გერმანელი დანუსიას დედას უნაგირზე მიბმას და როგორ მიტკალივით გათეთრდა იგი მისი თვალის წინ თოკგამობმული. მე თვითონ აფთი ჩამცხეს, აი, ნაიარევი.

ამ სიტყვებზე მან დაანახვა ღრმა ნაჭრილობევი თავზე, თმის ქვეშიდან წარბამდე რომ გასალტულიყო.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ზბიშკო ისევ დანუსიას მიაშტერდა.

– მაშ თქვენა თქვით, – ჰკითხა მან დინჯად, – რომ რაინდი არა ჰყავსო?

მაგრამ, სანამ უპასუხებდნენ, სწორედ ამ წამში სიმღერა შეწყდა. ერთ-ერთი მოსიმღერე, მსუქანი და მსხვილ–მსხვილი ჭაბუკი, უცებ ფეხზე წამოდგა და სკამმა მეორე მხარეს გადასძლია. დანუსია შექანდა, ხელები წინ გაიშვირა, მაგრამ, ვიდრე გადმოვარდებოდა ან გადმოხტომას მოასწრებდა, ზბიშკო გარეული კატის ნახტომით მასთან გაჩნდა და ხელში აიტაცა.

ქალბატონმა პირველ წუთს შიშისაგან შეჰყვირა, მაგრამ მერე მხიარულად გადაიკისკისა:

– აი, დანუსიას რაინდი! – შესძახა მან. – მომიახლოვდი, ჭაბუკო რაინდო, და აქ მომიყვანე ჩემი საყვარელი მგალობელი.

– უჰ, რა ყოჩაღად აიტაცა! – გაისმა კარისკაცებში. ზბიშკომ გულში ჩაკრული მიჰგვარა დანუსია ქალბატონს. გოგონას ერთი ხელი კისერზე შემოეჭდო მისთვის, მეორეთი კი ბარბითი აეწია ზევით, რომ არ დაეზიანებინა. მის ოდნავ შემკრთალ სახეს უკვე ღიმილი დასთამაშებდა. ჭაბუკი მიუახლოვდა ქალბატონს, დანუსია ჩამოსვა, თვითონ მუხლი მოიყარა, თავი მაღ-

ლა ასწია და მისი ასაკისათვის შეუფერებელი, გასაოცარი სითამამით მოახსენა:

– აღსრულდეს სიტყვა თქვენი, მოწყალეო ქალბატონო, დროა, ამ პატარა გოგონას თავისი რაინდი ჰყავდეს, მე კი ჩემი მბრძანებელი, რომლის სიკეთესა და სილამაზეს საქვეყნოდ გავუთქვამ სახელს. ამიტომ, თქვენის ნებართვით, მსურს შევფიცო ამ პატარა პანას, რაც არ უნდა შეემთხვეს, კუბოს კარამდე ერთგულად ვემსახურო.

ქალბატონს სახეზე გაოცება გამოეხატა, მაგრამ ის ზბიშკოს ნათქვამმა კი არ გააოცა, არამედ იმან, ასე სწრაფად რომ მოხდა ყველაფერი. მართალია, რაინდული აღთქმის დადება წესად არა ჰქონდათ პოლონეთში, მაგრამ გერმანელთა მოსაზღვრე მაზოვია, სადაც ხშირად ჩამოდიოდნენ შორეული ქვეყნების რაინდებიც, პოლონეთის სხვა მხარეებთან შედარებით უკეთ იცნობდა და ხშირად მისდევდა კიდეც ამ ადათს. ანა დანუტას ყური მოეკრა ამ ჩვეულებისათვის ჯერ კიდევ დიდებული მამის სასახლეში, სადაც ყველა დასავლური წეს–ჩვეულება კანონად და კეთილშობილ მეომართათვის სანიმუშოდ მიაჩნდათ. ამიტომაც ანა დანუტამ ზბიშკოს საქციელში ვერაფერი დაინახა თავის ან დანუსიას შეურაცხმყოფელი, პირიქით, გაუხარდა კიდეც, რომ მისი საყვარელი სეფექალი უკვე ხიბლავდა რაინდთა გულსა და თვალს.

– დანუსკა, დანუსკა! – მიუბრუნდა გოგონას გამხიარულებული ქალბატონი, – გინდა, საკუთარი რაინდი გყავდეს?

დანუსიამ ჯერ სამჯერ შეიკუნტრუშა თავისი წითელი მაშიებით, გაშლილი კულულები ზურგზე უთამაშებდა, მერე ქალბატონს კისერზე შემოეხვია და თითქოს მხოლოდ უფროსებისათვის განკუთვნილი გასართობის ნება მიეცეთ, იყვირა:

– მინდა! მინდა! მინდა...

ქალბატონს სიცილით ცრემლებიც კი გადმოსცვივდა თვალთაგან. მასთან ერთად იცინოდა მთელი მისი ამალა. მერე, როგორც იქნა, დანუსიას შემოჭდობილი ხელები მოიშორა და ზბიშკოს მიუბრუნდა:

– აბა, ერთი თქვი შენი რაინდული აღთქმა, ნეტავ რას ეფიცები ამ გოგონას.

თუმცა ირგვლივ ყველა იცინოდა, მუხლდაჩოქილმა ზბიშკომ შეუდრეკელი სერიოზულობით წარმოთქვა:

– ვფიცავ, რომ კრაკოვში ჩასვლისთანავე ფარს ფუნდუკის კარზე დავკიდებ და ზედ გავაკრავ პერგამენტზე დაწერილ გამოწვევას, რომელსაც წესისა და კანონის მიხედვით დამიწერს განსწავლული ბერი: რომ დანუტა ყველაზე ლამაზი და კეთილი ქალიშვილია ყველა სამეფოს ქალიშვილებს შორის. ხოლო თუ ვინმე გაბედავს და იტყვის, ეს ასე არ არისო, ვფიცავ. შევებმები და ვიბრძოლებ მანამდის, სანამ ან მე არ შევაკლავ თავს, ან იმას არ გამოვასალმებ სიცოცხლეს, თუ არა, დავიმორჩილებ მაინც.

– კეთილი, ვხედავ, გცოდნია რაინდული ადათები, კიდევ რას იფიცებ?

– კიდევ... პან მიკოლაი დლუგოლიასელისაგან შევიტყვე, რომ დანუსიას დედა მუზარადში ფარშავანგის ფრთაგარჭობილი გერმანელის მიზეზით გარდაიცვალა... ამიტომ ვფიცავ, დავაგლიჯო რამდენიმე გერმანელს მუზარადიდან ფარშავანგის ფრთები და ფერხთით დავუწყო ჩემი გულის დედოფალს.

ამ სიტყვებზე ქალბატონმა უკვე სერიოზულად ჰკითხა:

– შენ ამას ნამდვილად იფიცებ?

ზბიშკომ უპასუხა:

– იმდენი შემეწიოს მაღლა ღმერთი და წმინდა გიორგი; მზადა ვარ ჩემი ფიცი ეკლესიაში ქსონძის წინაშე გავიმეორო.

– საქებარია ჩვენი ტომის დაუძინებელ მტერთან ბრძოლა, მაგრამ მეცოდები, ახალგაზრდა ხარ და ადვილად დაიღუპები.

ამ დროს მათ მაცკო ბოგდანეცელი მიუახლოვდა. ის ძველი ყაიდის კაცი გახლდათ და ზბიშკოსა და ქალბატონის საუბარს რომ ისმენდა, მხოლოდ მხრებს იჩეჩავდა, მაგრამ ახლა საჭიროდ ჩათვალა ჩარეულიყო:

– მაგაზე ნუ იდარდებთ, მოწყალეო ქალბატონო! ბრძოლაში სიკვდილი ყველას შეიძლება წამოეწიოს. შლიახტიჩისათვის კი, მოხუცი იქნება ის თუ ახალგაზრდა, ბრძოლაში თავის დადება ყველაზე ლამაზი სიკვდილია. ჩემი ჭაბუკისათვის ომი უცხო ხილი არ არის, თუმცა წლოვანებით პატარაა, მაგრამ ერთხელ და ორჯერ არ შებმია მტერს ცხენდაცხენაც და ქვეითადაც, ცულითაც უბრძოლია და მოკლე და გრძელი მახვილებითაც, ფარითაც და ფარის გარეშეც. გულის რჩეულისათვის ფიცის მიცემა ახალი ჩვეულებაა, მაგრამ მე არ დავძრახავ ზბიშკოს იმის გამო, რომ თავის ქალბატონს ფარშავანგის ფრთებს შეჰპირდა. ცოტა არ უჩეხია გერმანელები და კიდევ რამდენიმე რომ მიაყოლოს, ეს მხოლოდ სახელსა და დიდებას შეჰმატებს.

– დიახ, მეც ვხედავ, დიდი მოკრძალებული არ უნდა იყოს, თქვა ანა დანუტამ.

მერე ის დანუსიას მიუბრუნდა:

– მოდი, ჩემს ადგილზე დაჯექი, დღეს შენ პირველი ქალი ხარ. ოღონდ ნუ იცინი, არ შეგფერის.

დანუსია დაჯდა ქალბატონის ადგილას; ძალიან უნდოდა სერიოზულად დაეჭირა თავი, მაგრამ მისი ცისფერი თვალები მუხლმოყრილ ზბიშკოს უღიმოდა და სიხარულით ისიც ვერ მოეხერხებინა, ფეხების ქნევა შეეწყვიტა.

– მიეცი ხელთათმანები, – უთხრა ქალბატონმა დანუსიას.

დანუსიამ ამოიღო ხელთათმანები და ზბიშკოს გაუწოდა. მან მოწიწებით გამოართვა, ეამბორა მათ და თქვა:

– მე ამ ხელთათმანებს მუზარადზე მივიმაგრებ, და ვაი მას, ვინც გაბედავს და ხელის ხლებას დაუპირებს.

ესა თქვა, დაუკოცნა დანუსიას ხელები, ფეხები და წამოდგა. მაგრამ მაშინვე სადღაც გაქრა მთელი მისი ადრინდელი სიდინჯე. ჭაბუკს სიხარულით აუვსო გული იმან, რომ ამიერიდან სასახლის კარზე სრულასაკოვან ვაჟკაცად იქნებოდა მიჩნეული; მან ჰაერში შეარხია დანუსიას ხელთათმანები და მხიარულად, მაგრამ თან გაცხარებით შესძახა:

– ჰეი, აქეთ, ფარშავანგისფრთიანო ძაღლისშვილებო! ჰეი, აქეთ!

ამ დროს ფუნდუკში შემოვიდა ის ბერი, ადრე რომ იყო აქ, თან ორი სხვა ხნიერი ბერიც ახლდა. მათ შემოჰყვნენ მონასტრის მსახურები, რომლებმაც შემოიტანეს ღვინით სავსე კონჩხოებით და ხელდახელ შეგროვილი ნუგბარი საჭმელებით პირმოდგმული ტირიფის კალათები. ახლად მოსული ბერები მიესალმნენ ქალბატონს და კვლავ უსაყვედურეს, რატომ მონასტერში არ მობრძანდებითო. ქალბატონმა კი ისევ აუხსნა, დღისით ვიძინეთ და ღამით სიგრილით ვმგზავრობდით, ამიტომ დასვენება არ მინდა, თანაც არ ვისურვე გამეღვიძებინა არც ღვთისნიერი აბატი და არც წმინდა ბერები. ფუნდუკში კი იმიტომ გავჩერდი, რომ ცოტა მუხლში ქარი ამომეღოო.

დიდხანს ისაუბრეს თავაზიანად, ბოლოს იმაზე შეთანხმდნენ, რომ დილის წირვის შემდეგ ქალბატონი თავისი ამალით მონასტერში ისაუზმებდა და იქვე მოისვენებდა. სტუმართმოყვარე ბერებმა მაზურებთან ერთად კრაკოვის შლიახტიჩებიც მიიპატიჟეს და მათ შორის მაცკო ბოგდანეცელიც, რომელიც ისედაც აპირებდა საბატოში მისვლას, რათა თავისი სამხედრო

ნადავლი და ვიტოლდის უხვი ნაბოძვარი დაეტოვებინა შესანახად. მთელი ეს ქონება ბოგდანეცის გამოსასყიდად უნდოდა. მაგრამ ახალგაზრდა ზბიშკოს მიპატიჟება არ გაუგონია – ის სასწრაფოდ გავიდა თავის და ბიძამისის ფორნებთან, რომლებსაც მსახურები დარაჯობდნენ, რომ ტანსაცმელი გამოეცვალა და ქალბატონისა და დანუსიას წინაშე მათთვის საკადრისი მორთულობით წარმდგარიყო. ფორნიდან ხოკერი გადმოაღებინა, უბრძანა სამოახლოში წაეღოთ და იქ ტანსაცმლის გამოცვლას შეუდგა. სასწრაფოდ დაივარცხნა თმა და ქარვის მძივებით მოოჭვილი აბრეშუმის ბადურით შეიკრა. ბადურას წინ ხალასი მარგალიტი ჰქონდა მიბნეული. მერე ჩაიცვა ლომ–არწივებით დაქარგული ლამაზქობაშემოვლებული თეთრი აბრეშუმის ხიფთანი. ხიფთანზე ორმაგი მოოქრული ქამარი შემოირტყა. ქამარზე ვერცხლითა და სპილოს ძვლით მოჭედილი მოკლე მახვილი ეკიდა. ყველაფერი ახალთახალი იყო, ლაპლაპი გაუდიოდა და სისხლის კვალიც არ აჩნდა, თუმცა გერმანული ორდენის მსახურ ახალგაზრდა ფრიზიელთან ორთაბრძოლაში ჰქონდა მოპოვებული. მერე ზბიშკომ ჩაიცვა ლამაზი შარვალი, რომელსაც ერთ ტოტზე მწვანე და წითელი ზოლები ჰქონდა, მეორეზე – იისფერი და ყვითელი, ზემოთ კი ჭადრაკული უჯრები. წითელი წვრილცხვირიანი ფეხსაცმელებიც მოირგო და საერთო ოთახისაკენ გაემართა მორთულ–მოკაზმული და დამშვენებული.

ზბიშკო რომ კარში გამოჩნდა, ყველას გაოცება აღმოხდა. როცა ქალბატონმა დაინახა, რა მშვენიერმა რაინდმა მისცა აღთქმა მის საყვარელ დანუსიას, კიდევ უფრო გაიხარა. დანუსია ჯერ ზბიშკოსაკენ გაექანა ქურციკივით, მაგრამ ვერ მოასწრო მასთან მირბენა, ჭაბუკის სილამაზემ თუ ამალის შეძახილებმა შეაჩერეს. სულ ერთ ნაბიჯზე გაშეშდა, თვალები დახარა, ალმური მოედო, დარცხვენილმა მომუჭა ხელები და თითების მტვრევა დაიწყო.

მას მოჰყვნენ სხვები: თვითონ ქალბატონი, ამალის წევრები, მოსიმღერეები, ბერები; ყველას სურდა, რაც შეიძლება კარგად შეეთვალიერებინა ჭაბუკი რაინდი. მაზოვიელი დიდებული ქალები, როგორც ცისარტყელას, თვალს არ აშორებდნენ და ყოველ მათგანს გული სწყდებოდა, რომ თვითონ არ იყო ამ რაინდის რჩეული. უფროსებს მისი მდიდარი ჩაცმულობა აოცებდათ. ერთი სიტყვით, ზბიშკო ცნობისმოყვარეებით გარშემორტყმული აღმოჩნდა; იდგა მათს შუაგულში, კმაყოფილი და ამაყი ღიმილი დაჰფენოდა ჭაბუკ სახეზე და ოდნავ ტრიალებდა ადგილზე, რომ უკეთესად დაეთვალიერებინათ.

– ეს ვინ არის? – იკითხა ერთმა ბერმა.

– რაინდია, აგერ იმ შლიახტიჩის ღვიძლი ძმისშვილი, უპასუხა ქალბატონმა და მაცკოზე მიუთითა, – დღეს ჩემს დანუსიას აღთქმა მისცა.

ბერებს არც ეს გაჰკვირვებიათ, რადგან ასეთი აღთქმა არავითარ ვალდებულებას არ გულისხმობდა. რაინდები ხშირად აძლევდნენ აღთქმებს გათხოვილ ქალებს. დიდგვაროვანთა შორის კი, ვინც კარგად იცნობდა დასავლურ ადათებს, ვერ იპოვიდით ისეთ გათხოვილ ქალს, რომელსაც თავისი რაინდი არა ჰყოლოდა. როცა რაინდი ქალიშვილს აძლევდა აღთქმას, ამით ის მისი საქმრო არ ხდებოდა, ქალი ხშირად თხოვდებოდა სხვაზე, ხოლო რაინდს, თუ ის ერთგულებით გამოირჩეოდა, შეეძლო მისი თაყვანისმცემელი დარჩენილიყო, შერთვით კი სხვა შეერთო.

ბერები დანუსიას ასაკმა უფრო გააოცა, თუმცა არც იმდენად, რადგან იმ დროს თექვსმეტი წლის ჭაბუკები კაშტელანები ხდებოდნენ. თვით ბრწყინვალე დედოფალ იადვიგას, როცა ის უნგრეთიდან ჩამოიყვანეს, თხუთმეტი წელი ის–ის იყო შესრულებოდა; მაშინ ცამეტი წლის გოგონებიც თხოვდებოდნენ. ერთი სიტყვით, ხალხს ზბიშკო უფრო აინტერესებდა, ვიდრე დანუსია. თანაც უსმენდნენ მაცკოს ქადილს იმაზე, თუ როგორ მოიპოვა ჭაბუკმა ასეთი მდიდრული ტანსაცმელი.

– ერთი წლისა და ცხრა კვირის წინ, – ჰყვებოდა მაცკო, – საქსონიის რაინდებმა მიგვიპატიჟეს. მათთან სტუმრად იყო შორს, ზღვისპირას მცხოვრები ფრიზიელი რაინდი და მასთან ერთად სამიოდე წლით ზბიშკოზე უფროსი მისი შვილი. ნადიმზე რაინდის ვაჟმა დაცინვა დაუწყო ზბიშკოს, წვერი და ულვაშები არა გაქვსო. ზბიშკო გულფიცხი ბიჭია, ბევრი არ უფიქრია, ადგა, წაავლო ხელი წვერში და სულ ღერა–ღერა დააგლიჯა, რისთვისაც ჩვენ სამკვდრო–სასიცოცხლო ბრძოლა გადავიტანეთ.

– როგორ, თქვენც იბრძოლეთ? – ჰკითხა პან დლუგოლიასელმა.

– მამა შვილს მიემხრო, მე – ზბიშკოს, ჰოდა, ვიბრძოლეთ ოთხივემ სტუმრების თვალწინ დატკეპნილ მიწაზე. პირობა ისეთი იყო, რომ ვინც გაიმარჯვებდა, იმას წაეყვანა სავსე ფორნები, ცხენები და დამარცხებულის მსახურნი. ღმერთი ჩვენ შეგვეწია. დავხოცეთ ფიზიელები, თუმცა არც ისე ადვილი იყო ამ ღონიერი და მამაცი რაინდების დამარცხება. ნადავლიც მდიდრული გვერგო: ოთხი სავსე ფორანი, თითოეულში ორ–ორი იაბოა შებმული, ოთხი ტანადი ბედაური, ცხრა მოსამსახურე, ორი კაცის საუკეთესო აღჭურვილობა, ჩვენთან იშვიათად რომ შეხვდები. მართალია, ცოტა ჩაფხუტები დაგვეჭყლიტა ბრძოლაში, მაგრამ ქრისტე ღმერთმა სხვა რამით აგვინაზღაურა – ძვირფასი ტანსაცმლით გატენილი მთლად მოჭედი-

ლი ზანდუკი წამოვიღეთ; აი, ახლა ზბიშკოს რაც აცვია, ისიც იმ ზანდუკში იყო.

ამის შემდეგ ორთავე კრაკოველი შლიახტიჩი და მაზურები მეტი მოწიწებით განიმსჭვალნენ ბიძასა და ძმისშვილის მიმართ, დლუგოლიასელმა პანმა კი, მეტსახელად ობუხი რომ ერქვა, თქვა:

– ვხედავ, მამაცი და თამამი ხალხი ყოფილხართ.

– ახლა კი გვჯერა, რომ ეს ჭაბუკი უეჭველად მოიპოვებს ფარშავანგის ფრთებს!

მაცკო იცინოდა, თუმცა მის მკაცრ სახეში იყო რაღაც მტაცებლური.

ამასობაში მონასტრის მსახურებმა ტირიფისაგან მოწნული კალათებიდან ღვინო და ნუგბარი საჭმელები ამოალაგეს, ხოლო გოგოებმა ძეხვებშემოწყობილი ხაფხაფა ერბო კვერცხი შემოიტანეს ლანგრებით. მთელ ფუნდუკში ღორის ქონის მადის აღმძვრელი, მძაფრი სუნი დატრიალდა. ერბოკვერცხისა და ძეხვის დანახვაზე სტუმრებმა კიდევ უფრო მეტად იგრძნეს შიმშილი და ყველამ მაგიდებს მიაშურა.

მაგრამ არავინ დამჯდარა, სანამ ქალბატონმა არ დაიკავა თავისი ადგილი; ის შუაში დაბრძანდა, ზბიშკოსა და დანისიას კი უბრძანა მის პირისპირ დამსხდარიყვნენ, ერთმანეთის გვერდით. მერე ზბიშკოს უთხრა:

– შენ მოვალე ხარ დანუსიას ჯამიდან ჭამო, ოღონდ სკამის ქვეშ ფეხი ფეხზე არ დააჭირო და მუხლებზე ხელი არ შეახო, როგორც ამას სხვა რაინდები აკეთებენ, – დანუსია საამისოდ ძალზე ქორფაა. ვაჟმა ქალბატონს მიუგო:

– მე თუ ასე მოვიქცევი, მოწყალეო ქალბატონო, მხოლოდ ორი–სამი წლის მერე, როცა უფალი ისურვებს და აღთქმას შემასრულებინებს და როცა ეს მარწყვი მომწიფდება, რაც შეეხება ფეხზე ფეხის დაჭერას, ამის გაკეთება ძალიანაც რომ მინდოდეს, არ შემიძლია, – ეგ ხომ ფეხებს იატაკამდე ვერც კი აწვდენს.

– ეგ მართალია, – თქვა ქალბატონმა, – ძალზე სასიამოვნოა ისიც, რომ შენ ზრდილი ვაჟკაცი ყოფილხარ.

ამის მერე ყველა ჭამას შეუდგა და სიჩუმე ჩამოვარდა. ზბიშკო ჭრიდა ძეხვის ყველაზე ქონიან ნაჭრებს და დანუსიას ულაგებდა, ხანდახან კი პირდაპირ პირში უდებდა. ისიც კმაყოფილი იყო, ასეთი მორთულ–მოკაზმული რაინდი რომ ემსახურებოდა. გემრიელად ილუკმებოდა, თვალებს აფახულებდა და ხან ზბიშკოს უღიმოდა, ხან ქალბატონს.

როცა სტუმრებმა სინები მოაცარიელეს, მონასტრის მსახურებმა ტკბილი, სურნელოვანი ღვინო ჩამოატარეს, კაცებს ბევრი დაუსხეს, ქალებს კი ცოტ–ცოტა. ზბიშკომ განსაკუთრებით მაშინ გამოიჩინა რაინდული ზრდილობა, როცა მონასტრიდან გამოგზავნილი კაკლით სავსე ხის ჯამები შემოიტანეს. შიგ ტყის კაკალიც ერია, და იმ დროისათვის იშვიათი, შორიდან ჩამოტანილი ბერძულა თხილიც, რომელსაც სტუმრები ისე დაესიენ, რომ ერთი წუთის შემდეგ მთელ ფუნდუკში ნაჭუჭების კნატა–კნუტიღა ისმოდა. მაგრამ არ გეგონოთ, რომ ამ დროს ზბიშკოს მხოლოდ თავისი თავი ახსოვდა: მან ამჯობინა, თავისი რაინდული ღონე და თავშეკავება ეჩვენებინა ქალბატონისა და დანუსიასთვის, ვიდრე ხარბად სცემოდა ნუგბარ სასუსნავს და თავი დაემცირებინა მათ წინ. ზბიშკო მუჭით იღებდა თხილსა და კაკალს, მაგრამ კბილით კი არ ამტვრევდა სხვებივით, რკინის თითებით ტეხდა და გარჩეულ გულს დანუსიას აწვდიდა. თან ასეთი გართობა მოიგონა: ლებანს რომ ამოაცლიდა, მეორე ხელისგულს პირთან მიიტანდა და ისე მაგრად შეუბერავდა ხოლმე, რომ ნაჭუჭი ჭერამდე მიფრინავდა. დანუსია ისე გულიანად კისკისებდა, ქალბატონს შეეშინდა, გოგო არ გაიგუდოსო, და ზბიშკოს უბრძანა, შეწყვიტეო ანცობა. რაკი დაატყო, დანუსია ძალზე კმაყოფილი იყო, ქალბატონმა ჰკითხა:

– რაო, დანუსია, კარგია, როცა საკუთარი რაინდი გყავს?

– ოჰ, ძალიან კარგია! – მიუგო გოგონამ.

დანუსიამ თითი შეახო ზბიშკოს აბრეშუმის ხიფთანს, მაგრამ მაშინვე გასწია ხელი და იკითხა:

– ხვალაც ჩემი იქნება?

– ხვალაც, კვირასაც და სულ, სიკვდილამდე, – უპასუხა ზბიშკომ.

კაკლის შემდეგ ქიშმიშიანი ტკბილი ღვეზელები შემოიტანეს, ვახშამი გაგრძელდა. ზოგს ცეკვა მოუნდა, ზოგს მოსიმღერეების ან დანუსიას მოსმენა. მაგრამ დანუსიას უკვე თვალები ელულებოდა და თავის ქინდვრას მოჰყვა; ერთი–ორჯერ კიდევ შეხედა ქალბატონს, ზბიშკოს, კიდევ ერთხელ მოისრისა პატარა მუშტებით თვალები, მერე მინდობილად ჩამოადო თავი მხარზე თავის ჭაბუკ რაინდს და იქვე ჩაეძინა.

– სძინავს? – იკითხა ქალბატონმა, – ეგეც შენი „გულის დედოფალი“.

– მძინარე დანუსია მირჩევნია სხვა, თუნდაც მოცეკვავე ქალს, – მიუგო ზბიშკომ, რომელიც გაჭიმული გაუნძრევლად იჯდა, რომ გოგონა არ გაეღვიძებინა.

მაგრამ მუსიკამ და სიმღერებმაც ვერ გამოაღვიძეს დანუსია. ზოგიერთები ფეხებს აბაკუნებდნენ მუსიკის ტაქტზე, მეორენი ხმას აყოლებდნენ და ჯამებს არახუნებდნენ, მაგრამ რაც უფრო მეტი ხმაური იდგა, მით უფრო ტკბილად ეძინა გოგონას და თევზივით გაეღო პატარა პირი.

მამლებმა რომ იყივლეს და ეკლესიაში ზარებს ჩამოჰკრეს, მაშინღა გაეღვიძა დანუსიას. ყველა წამოიშალა და იძახდნენ:

· ცისკრის ლოცვაზე წავიდეთ! ცისკრის ლოცვაზე!

– ფეხით წავიდეთ ღვთის სადიდებლად, – ბრძანა ქალბატონმა.

ხელი ჩაჰკიდა ახლად გამოღვიძებულ დანუსიას და პირველი გავიდა ფუნდუკიდან. მას მთელი ამალა გაჰყვა თან.

ღამე თანდათან გაიცრიცა. აღმოსავლეთით ცას ნათელი შეეპარა. ზემოდან მწვანე, ქვემოდან კი ალისფერი არშიით შემოვლებული აისის ვიწრო ოქროსფერი ზოლი თვალწინ ლივლივებდა. მთვარემ თითქოს უკან დაიხიაო მის წინაშე. აისს კი ცეცხლი თანდათან ედებოდა და სინათლეც ემატებოდა. ქვეყანა იღვიძებდა, უხვი ნამით განბანილი, მხიარული და დასვენებული.

– ღვთის წყალობით, კარგი ამინდი დგება, მაგრამ პაპანაქება სიცხე კი იქნება, – ამბობდნენ სასახლის კარისკაცები.

– იყოს სიცხე, მერე ჩვენ რა, – ამშვიდებდა მათ პან მიკოლაი დლუგოლიასელი, – საბატოში გამოვიძინებთ. კრაკოვში კი საღამოს პირას გავემგზავრებით. – და უეჭველად ნადიმზე მივუსწრებთ.

– იქ ახლაც ყოველდღე ქეიფის მეტს არაფერს აკეთებენ, ძეობისა და ასპარეზობის შემდეგ კი ღრეობას საზღვარი აღარ ექნება.

– ვნახოთ ერთი, როგორ გამოიჩენს თავს დანუსიას რაინდი.

– ეჰ, ვერა ხედავ, რა გოლიათი მუხებივით არიან!.. არ გესმოდათ, რას ჰყვებოდნენ ორ ფრიზიელთან ბრძოლაზე?

– იქნებ ჩვენ შემოგვიერთდნენ, აგერ, რაღაცაზე ბჭობენ.

მაცკო და ზბიშკო მართლაც თათბირობდნენ: მოხუცი მაინცდამაინც კმაყოფილი არ იყო, საქმე რომ ასე აეწყო; ამალას განგებ ჩამორჩა, უნდოდა ძმისშვილს თავისუფლად მოლაპარაკებოდა, ახლა კი ეუბნებოდა:

– სიმართლე გითხრა, ამ ამბებში შენთვის სახეიროს ვერაფერს ვხედავ. მეფემდე მე როგორმე მივაღწევ, თუნდაც ამ ამალასთან ერთად. ეგებ გამოვიდეს რამე. ძალიან მინდა, ერთი მცირე ციხესიმაგრე ან პატარა ქალაქი მა-

ინც ჩავიგდო ხელში... ვნახოთ, როგორ წავა საქმე, ბოგდანეცს, თავისთავად ცხადია, გამოვისყიდით. რაც ჩვენს მამა–პაპას ეკუთვნოდა, უეჭველია, ჩვენ უნდა ვფლობდეთ, მაგრამ გლეხები სად ვიშოვოთ? აბატმა იქ ახალი ხალხი ჩაასახლა, მაგრამ უკანვე წაიყვანს, უგლეხებოდ კი მიწის ფასი კაპიკია. ჰოდა, აი, ხვდები თუ არა, რას გეუბნები! შენ, ვისაც გინდა, ფიცი იმას აძლიე და რაც გინდა, ისა ჰქენი, მაგრამ პან მელშტინელთან ერთად მთავარ ვიტოლდს უნდა ეახლო თათრებთან საბრძოლველად. მშობიარობამდე რომ საყვირებს აახმიანებენ, ნუ დაელოდები, სანამ მემკვიდრე გაჩნდება და ასპარეზობანი დაიწყება, პირდაპირ ლაშქრად გაემართე, იქ დიდი დავლა მოგელის, ხომ იცი, როგორი გულუხვია მთავარი ვიტოლდი. შენ ის უკვე გიცნობს. თავს თუ გამოიჩენ, უხვად დაგასაჩუქრებს. მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, იქნება ღმერთმა ინებოს და ბევრი ტყვედ ჩაიგდო ხელთ. თათრები ამ დუნიაზე ჭიანჭველებივით არიან მოდებული. თუ გაიმარჯვებთ, თითოს ორმოცდაათზე მეტი თუ არა, ნაკლები არ შეგხვდებათ.

მიწასა და გლეხებზე დახარბებული მაცკო ოცნებას მიეცა:

– ღმერთო ჩემო! წარმოიდგინე ბოგდანეცში ჩამორეკილი და დასახლებული ორმოცდაათი გლეხი! როგორ გაკაფავდნენ ტევრის ერთ მოზრდილ ნაწილს და ჩვენც წელში გავიმართებოდით. იცოდე, ვერსად ვერ მოიდგამ ისე ღონივრად ფეხს, როგორც იქ! მაგრამ ზბიშკომ უარის ნიშნად თავი გაიქნია:

– ერიჰა! მოვრეკო ცხენის მძორს მიჩვეული ორმოცდაათი მეჯინიბე, რომელთაც მიწისა არა იციან რა! განა რა უნდა გაგვიკეთონ იმათ ბოგდანეცში?.. ამას გარდა, მე ფარშავანგის სამ ჯიღას შევპირდი გერმანელთა მუზარადებიდან, აბა, თათრებში სად უნდა ვიშოვო ისინი?

– ეგ სიტყვა შენი სისულელით მიეცი და ფასიც ასეთივე აქვს.

– მერე ჩემი რაინდული პატიოსნება? იმას რა უნდა ვუყო?

– რინგალასთან როგორღა იყო? რინგალამ მთავარი მოწამლა და განდეგილმა ამხსნა ფიცი!

– ასევე გაგათავისუფლებს ტინეცში აბატიც. აბატი მეუდაბნოეს აღარ სჯობია? ის განდეგილს კი არა, ყაჩაღს უფრო ჰგავდა.

– რომ არა მსურს?

მაცკო შეჩერდა და აშკარად გულმოსულმა ჰკითხა:

– მაშ, აბა რა უნდა ვქნათ?

– ვიტოლდთან თქვენ მიბრძანდით, მე არ წამოვალ.

– ეჰ, შე თავქარიანო ბიჭო! მეფეს ვინღა ეახლება თაყვანისსაცემად?.. ჩემი ბებერი ძვლები მაინც არ გეცოდება?

– თქვენს ბებერ ძვლებს, ხეც რომ გადმოიქცეს, ისიც ვერაფერს დააკლებს. მაგრამ მე კიდეც რომ მეცოდებოდეთ, ვიტოლდთან მაინც არ წამოვალ.

– აბა რა უნდა გააკეთო? ბაზიერად დარჩები მაზოვიის კარზე თუ მოსიმღერედ?

– ბაზიერობა ცუდია თუ? რაკი ჩემი მოსმენა აღარა გსურთ და ბუზღუნი დაიწყეთ, იბუზღუნეთ, რა ვქნა.

– მაინც სად უნდა წახვიდე? ნუთუ ბოგდანეცი არაფრად გიღირს? ფრჩხილებით მოპოტნი მიწას? რას იზამ, გლეხები თუ არ გეყოლება?

– არ არის მართალი! ძალიან კი მოიგონეთ მაგ თათრების ამბავი, არ გაგიგონიათ, რუსები რომ ამბობენ: თათარს იმდენს იპოვი, რამდენიც ბრძოლაში მოიკვლება, ტყვედ კი ვერც ერთს ვერ წაიყვანო. ველზე ხომ ვერავინ დაეწევა თათარს. ან კი რითი უნდა გამოეკიდო? იმ ვეება ცხენებით ხომ არა, გერმანელებს რომ წავართვით! უცებ დაეწევი, აბა, როგორ არა. ანდა რა ნადავლი დამრჩება? გაქუცული ტყაპუჭები და მეტი არაფერი. ო, როგორი გამდიდრებული დავბრუნდები ბოგდანეცში, მაშინვე კომესს დამიძახებენ!

ზბიშკო ბევრ რამეში იყო მართალი და მაცკო გაჩუმდა, ოღონდ ცოტა ხნის შემდეგ ისევ უთხრა:

– მთავარი ვიტოლდი დაგასაჩუქრებდა.

– ეგ ჯერ არავინ იცის, ის ზოგს ძალიან ბევრს აძლევს, ზოგს კი სულაც არაფერს.

– მაშინ მითხარი მაინც, სად წახვალ?

– იურანდ სპიხოველთან.

განრისხებულმა მაცკომ ტყავის ქამარზე ჩამოიკრა ხელი.

– შენ შეგარცხვინა ღმერთმა!

– მომისმინეთ, – მშვიდად უთხრა ზბიშკომ. – მიკოლა დლუგოლიასელს ველაპარაკე და იმან მიამბო, იურანდი ცოლის სიკვდილისათვის სამაგიეროს უხდისო გერმანელებს. მეც იმას მივეშველები. აკი თქვენ თვითონ ამბობდით ჩემზე, გერმანელებთან ბრძოლაში გაწაფულიაო. იმათი ჩვეულებებიც ვიცი და დამარცხებაც შემიძლია. თანაც იქ, საზღვარზე, უფრო

ადვილად ვიშოვი ფარშავანგის ფრთებს. კარგად მოგეხსენებათ, ფარშავანგის ჯიღებს ვიღაც კნეხტები არ იკეთებენ ქუდზე. გამოდის, თუ ღმერთი ჯიღის პოვნაში დამეხმარება, კარგ ნადავლსაც მაშოვნინებს. ბოლოს და ბოლოს, იქაური ტყვე თათარი არ გეგონოს, იმას თუ დაასახლეს ტყეში, არც ინანებ.

– ხომ არ გადაირიე, ყმაწვილო? ახლა ომი არ არის და ღმერთმა უწყის, როდის იქნება!

– ეჰ ბიძაჩემო! დათვებს მეფუტკრეებთან ზავი შეუკრავთ – არც სკებს ერჩიან რამეს, არც თაფლს ჭამენ! ხა–ხა! ნუთუ არ იცით, რომ ჯარები არ იბრძვიან. მეფემ და მაგისტრმა პერგამენტზე თავიანთი ბეჭდები დასვეს, მაგრამ აბა საზღვარზე ნახეთ, რა ხდება... ვიღაცა პირუტყვს გარეკავს, მოდგებიან და ერთი ძროხის გულისათვის სოფლებს წვავენ, ციხესიმაგრეებს ალყას არტყამენ. განა გლეხებსა და გლეხის გოგოებს. კი არ მიერეკებიან ტყვედ? ვაჭრებს და დღეს აყრიან შარაგზებზე? გაიხსენეთ ძველი დროება, რომელზედაც თქვენ თვითონ მიამბობდით. განა ცუდად გრძნობდა თავს ნალენჩი, როცა ჯვაროსნებისაკენ მიმავალი ორმოცი რაინდი დაატყვევა, ჯურღმულში ჩასვა და მანამდის არ გამოუშვა, სანამ მაგისტრმა ერთი ურემი ფული არ გამოუგზავნა? იურანდ სპიხოველიც ამითი არის დაკავებული და საზღვარზე საქმე არასოდეს გამოილევა.

ერთი წუთი უსიტყვოდ მიდიოდნენ. ამასობაში კარგად ინათა და მზის კაშკაშა სხივებმა გააცისკროვნა კლდეები, რომლებზეც საabატო იყო გაშენებული.

– ღმერთს ყველგან შეუძლია ბედსა გწიოს, – მოლბა ბოლოს მაცკო, – ილოცე, რომ წყალობა არ მოგაკლოს.

– ეგ მართალია, ღმერთი ყოვლისშემძლეა!

– ბოგდანეცსაც ნუ დაივიწყებ. არ დამიწყო მტკიცება, თითქოს მისთვის მიდიხარ იურანდ სპიხოველთან და არა ამ მესტვირე გოგოსათვის.

– ეგ აღარ მითხრათ, თორემ მეწყინება. უარობას არ დავიწყებ, ვუყურებ – თვალი ვერ მომიშორებია, მაგისთვის მიცემული ფიცი რინგალასას კი არა ჰგავს. განა გინახავთ სადმე ამაზე ლამაზი ქალიშვილი?

– მერე მე რა, რომ ლამაზია! ისა სჯობია, ცოლად შეირთო, როცა წამოიზრდება, თუკი ასეთი გამოჩენილი მხედართმთავრის ქალია.

ზბიშკოს ჭაბუკური ნათელი ღიმილი მოეფინა სახეზე.

– არც ეგ იქნება გასაკვირი. მე არც სხვა ქალბატონი მინდა, არც სხვა ცოლი! აი, რომ დაბერდებით და სახსრები ტეხვას დაგიწყებთ, ჩვენი შვილების გადიობას უნდა მიჰყოთ ხელი.

ამ სიტყვებზე მაცკოსაც გაეღიმა და უკვე სულ მთლად გულმომბალმა უპასუხა:

– ეგრემც ქნილა, სეტყვასავით წამოსულან თქვენი შვილები. ღმერთო, მოგვეცი სიბერეში სიხარული და სიკვდილში ხსნა!

III

ქალბატონი დანუტა, მაცკო და ზბიშკო ნამყოფი იყვნენ ტინეცში, მაგრამ ზოგიერთი დიდებული პირველად ჩავიდა იქ. ისინი გაოცებული შეჰყურებდნენ დიდებულ მონასტერს, მის ქონგურებიან კედლებს, კლდეებს რომ მიჰყვებოდა უფსკრულის პირას, მაღალ ნაგებობებს, რომლებიც მთის ფერდობზე და ციხის უკან აღმართულიყვნენ და ოქროსფრად ელავდნენ ამომავალი მზის სხივებში. ამ დიდებული კედლების, სახლებისა და სამეურნეო ნაგებობების, მთის ძირში გაშენებული ბაღების, გულდაგულ დამუშავებული ყანების პირველსავე შეხედვაზე, მაღლობიდანვე რომ იშლებოდა თვალწინ, მიხვდებოდა კაცი, რომ აქ ასეული წლების მანძილზე დაგროვილიყო ღატაკი მაზოვიის მცხოვრებთათვის უჩვეულო და საოცარი აურაცხელი სიმდიდრე.

მართალია, სხვა ადგილებშიც იყო ბენედიქტელების ძველებური მდიდარი სააბატოები, მაგალითად, ლიუბუშაში ოდერზე, ველკოპოლსკაში, პლოცკში, მოგილნში, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრებოდა ტინეცისას, რომელსაც ზოგიერთ სამთავროზე გაცილებით მეტი მამულები ჰქონდა, მისი შემოსავალი კი ბევრ მაშინდელ მეფეს შეშურდებოდა.

დიდებულები გაოცებული იყვნენ, სხვები თვალს არ უჯერებდნენ, მთავრის მეუღლემ კი, რომელსაც სურდა დრო მოეკლა და თავისი მხლებელი ქალბატონები გაერთო, ერთერთ ბერს სთხოვა ეამბნა ძველისძველი საზარელი ამბავი ვალგეჟ მშვენიერზე; ეს ამბავი მას შემოკლებით უკვე უამბეს კრაკოვში.

ამის გაგონებაზე ქალბატონები მჭიდროდ შემოერტყნენ ანა დანუტას და აუჩქარებლად მიაშურეს მთას. ამომავალი მზის სხივებში ისინი ფეხადგმულ ყვავილებსა ჰგავდნენ.

– მამა ჰიდულფი მოჰყვეს ვალგეჟის ამბავს. მაგას ის ერთხელ ღამით გამოეცხადა, – თქვა ერთმა ბერმა და მიკოლაი დლუგოლიასელის გვერდით მიმავალ მხრებში მოხრილ, ხნიერ კაცს გადახედა.

– ნუთუ თქვენ, წმინდა მამას, საკუთარი თვალითა გყავთ ნანახი ის? – ჰკითხა მთავრის მეუღლემ.

– მყავს, – თქვა შუბლშეკრულმა ბერმა, – ხანდახან, როცა ღმერთი ინებებს, ის ჯოჯოხეთიდან ამოდის ხოლმე და ქვეყნიერებას გამოეცხადება.

– ეგ როდის ხდება?

ხნიერმა კაცმა თვალი გადაავლო დანარჩენ ბერებს და აღარაფერი უთქვამს, – გადმოცემით, თურმე ვალგეჟის სული მაშინ გამოეცხადებოდათ, როცა ბერთა ორდენში ადათებს არ იცავდნენ და ბერები იმაზე მეტს ფიქრობდნენ მიწიერ სიამოვნებასა და ამქვეყნიურ კეთილდღეობაზე, ვიდრე უფლება ჰქონდათ.

არც ერთ მათგანს არ უნდოდა გამომტყდარიყო ამაში, მაგ. რამ მოჩვენება, გადმოცემით, ომსაც წინასწარმეტყველებდა, ან რაიმე სხვა უბედურებას, ამიტომ ბერმა ჰიდულფმა ერთი წამის მერე წაილაპარაკა:

– იმისი გამოცხადება კარგს არას მოასწავებს.

– არც მე ვისურვებდი იმის ნახვას, – თქვა მთავრის მეუღლემ და პირჯვარი გადაისახა. – მაგრამ რატომ მოხვდა ის ჯოჯოხეთში, თუ მხოლოდ შური იძია მძიმე შეურაცხყოფისათვის, როგორც მე მითხრეს?

– მთელი სიცოცხლე უმწიკვლო და ალალმართალი რომ ყოფილიყო, – კუშტად შეესიტყვა ბერი, – სულ ერთია, მუდმივი წამება მოელოდა, რადგან წარმართებში ცხოვრობდა და წმინდა ნათლობით არ განიწმინდა პირველი ცოდვისაგან.

ანა დანუტას ტანჯვით შეეჭმუხნა წარბები იმის მოგონებაზე, რომ მისი დიდებული მამაც, რომელიც სულითა და გულით უყვარდა, წარმართად გარდაიცვალა და მარადიულ ცეცხლში უნდა დაიდაგოს.

– გისმენთ, ბრძანეთ, – თქვა მან ცოტა ხნის შემდეგ.

– წარმართობის დროს იყო ერთი დიდებული გრაფი, – დაიწყო მამა ჰიდულფმა. – ენით აუწერელი სილამაზის გამო ვალგეჟ მშვენიერი შეარქვეს. მთელი ეს თვალუწვდენელი მხარე გრაფისა იყო, ლაშქრობებში მარტო ქვეითი ჯარი კი არ გამოჰყავდა, არამედ ასობით შუბოსანიც, რადგან ყველა რაინდი დასავლეთით ოპოლამდე და აღმოსავლეთით სანდომეჟამდე მის ვასალად ითვლებოდა. უთვალავი საქონელი ჰყავდა, ტინეცში კი ჭერამდე

ფულით გამოტენილი კოშკი ჰქონდა, როგორიც ახლა ჯვაროსნებს აქვთ მალბორგში.

– ვიცი, მართლა აქვთ ეგეთი კოშკი, – შეაწყვეტინა ანა დანუტამ.

– გოლიათი იყო, – განაგრძობდა ბერი, – მუხას მოთხრიდა ფესვებიანად, სილამაზითაც დედამიწის ზურგზე ვერავინ შეედრებოდა, ვერც ბარბითზე დაკვრასა და სიმღერაში გაუტოლდებოდა ვინმე. ერთხელ რაღაც საქმეზე საფრანგეთის მეფის კარს სწვევია და საფრანგეთის მეფის ასულს ჰელგუნდას შეჰყვარებია. მეფე–მამა ღვთის სახელის სადიდებლად ქალიშვილს მონასტერში უპირებდა აღკვეთას, ის კი გრაფთან ერთად ტინეცში გაიპარა და დაიწყეს ცოდვიანი ცხოვრება, რადგან არც ერთმა ქსონძმა არ ისურვა ქრისტიანული წესით ჯვარი დაეწერა მათთვის. იმ დროს ვისლიცაში პოპელის მეფის შთამომავალი ვისლავ ლამაზი ცხოვრობდა. როცა ვალგეჟი შინ არ იყო, თავდასხმებს აწყობდა ხოლმე ტინეცის საგრაფოზე. ვალგეჟმა ის დაამარცხა და ტყვედ წამოიყვანა ტინეცში, თუმცა კარგად იცოდა, რომ ყველა ქალი, ვინც კი თვალს მოჰკრავდა ვისლავს, მზად იყო მიეტოვებინა დედა, მამა, ქმარი, ოღონდ კი მასთან დაეოკებინა თავისი ვნება. ასე დაემართა ჰელგუნდასაც. ვალგეჟისათვის მან ისეთი ხუნდები მოიგონა, რომ, თუმცა გოლიათი იყო და მუხას ფესვებიანად თხრიდა, ეს ხუნდები მაინც ვერ დაამსხვრია. ჰელგუნდამ ქმარი ვისლავს ჩააბარა, მან კი ვისლიცაში ტყვედ წაიყვანა. მაგრამ აი, რინგალას, ვისლავის დას, ჯურღმულიდან ვალგეჟის სიმღერა მოესმა, მისი სიყვარულით აინთო და გაათავისუფლა. ვალგეჟმა ხმლით აჩეხა ვისლავი და ჰელგუნდა და მათი სხეულები ყვავ–ყორნებს მიუყარა, თვითონ კი რინგალასთან ერთად ტინეცში დაბრუნდა.

– რა, სწორად არ მოიქცა თუ? – იკითხა მთავრის მეუღლემ.

მაგრამ ბერმა ჰიდულფმა უპასუხა:

– ის რომ მონათლულიყო და ტინეცი ბენედიქტელი ბერებისათვის გადაეცა, იქნებ ღმერთს ეპატიებინა ცოდვები, მაგრამ გრაფი ასე არ მოიქცა და მიწამ შთანთქა იგი.

– განა მაშინ ბენედიქტელები უკვე იყვნენ სამეფოში?

– ბენედიქტელები არ ყოფილან, სამეფოში მაშინ მხოლოდ წარმართები ცხოვრობდნენ.

– აბა, როგორ უნდა მონათლულიყო, ან ტინეცი როგორ უნდა გადაეცა?

– არ შეეძლო და ამიტომაც მოხვდა მარადიულ სატანჯველში, – მედიდურად უპასუხა ბერმა.

– სწორია, მართალს ამბობს! – გაისმა ხმები.

ამასობაში ყველა მიუახლოვდა მონასტრის მთავარ შესასვლელს, სადაც მთავრის მეუღლეს აბატი ელოდებოდა ბერებისა და შლიახტიჩების მთელი ამალით. მონასტერში ყოველთვის ბევრი საერო პირი იმყოფებოდა – „ეკონომები“, „ადვოკატები“, „პროკურატორები“ და ორდენის სხვა მსახურები. ბევრი შლიახტიჩი, მათ შორის მდიდარი რაინდებიც, პოლონეთში საკმაოდ იშვიათად გამოყენებული სალენო სისტემის საფუძველზე მონასტრის ვრცელი მამულებით სარგებლობდნენ და როგორც „ვასალები“ ხალისით ცხოვრობდნენ „სიუზერენის“ კარზე. აქ უმნიშვნელო სამსახურისათვის, მოსწრებული სიტყვის ფასად ანდა ყოვლისშემძლე აბატის კარგი გუნების წყალობით ადვილად ღებულობდნენ საჩუქრებს, შეღავათებს და სხვა სიკეთეს. ბევრი ვასალი იმ ზეიმმა მოიზიდა შორეული კუთხეებიდან, სატახტო ქალაქში რომ მზადდებოდა. ვინც კრაკოვში ვერ მოთავსდა დიდი სტუმრიანობის გამო, ტინეცში დაიდო ბინა. ამის გამო abbas centum villarum[4] ჩვეულებრივზე უფრო მრავალრიცხოვანი ამალით შემოეგება მთავრის მეუღლეს.

აბატი ტანმაღალი კაცი იყო, გამხდარი ჭკვიანი სახე ჰქონდა და გაპარსულ საქოჩრეს გვირგვინივით ერტყა შეჭაღარავებული თმა. შუბლზე ნაჭრილობევი აჩნდა, ალბათ ახალგაზრდობის დროინდელი, როცა ჯერ კიდევ რაინდი იყო. მისი გამსჭვალავი თვალები მედიდურად იცქირებოდნენ შავი წარბების ქვემოდან. სხვა ბერებივით აბატსაც ანაფორა ეცვა, ოღონდ ზემოდან ძოწისფერი ხავერდით გამოკრული შავი მანტია წამოესხა, კისერზე კი ოქროს ძეწკვით. ძვირფასი ქვებიანი ოქროსავე ჯვარი ეკიდა – აბატის ღირსების ნიშანი. მთელი მისი შესახედაობა ამჟღავნებდა, რომ მბრძანებლობას მიჩვეული, გულზვიადი და თვითდაჯერებული ადამიანი იყო.

მაგრამ აბატს კარგად ახსოვდა, რომ ანა დანუტას მეუღლე მაზოვიის თავადთა იმავე გვარს ეკუთვნოდა, რომელსაც – მეფეები ვლადისლავი და კაზიმეჟი, ხოლო დედის მხრით – ახლანდელი დედოფალი, მსოფლიოს ერთ–ერთი უდიდესი სახელმწიფოს მბრძანებელი; ამიტომ აბატი მოკრძალებით, თითქოს ცოტა პირმოთნედაც მიესალმა მთავრის მეუღლეს. მან მონასტრის კარიბჭეს გადააბიჯა, მდაბლად დახარა თავი, მერე პატარა ოქროს სანაწილეთი, მარჯვენა ხელში რომ ეჭირა, ანა დანუტა და მისი ამალა დალოცა და წარმოთქვა:

[4] ასი სოფლის აბატი (ლათ.)

– მოგესალმები, მოწყალეო ქალბატონო, ჩვენს უბადრუკ სავანეში. ჯანმრთელობა და სიკეთე ნუ მოგაკლოთ წმინდა ბენედიქტე ნურსიელმა, წმინდა მაურუსმა, წმინდა ბონიფაციუსმა, წმინდა ბენედიქტე ანიანელმა, აგრეთვე იოან ფტოლომეელმა, საუკუნო ნეტარებაში მყოფმა ჩვენმა მფარველებმა, დღეში შვიდგზის გაკურთხონ მთელი შენი სიცოცხლის მანძილზე.

– მათ არ ძალუძთ არ ისმინონ თქვენისთანა სახელოვანი აბატის ვედრება, თუ ყურს არ დაკლებიათ. – თავაზიანად მიუგო ქალბატონმა, – მით უმეტეს, რომ ჩვენ წირვის მოსასმენად მოვედით აქ და მთელი ჩვენი არსებით მათზე ვართ მონდობილი.

ამ სიტყვებზე ქალმა ხელი გაუწოდა აბატს, იმან კი მუხლი მოიყარა ჩვეულებისამებრ და რაინდულად ეამბორა ხელზე; შემდეგ მათ ერთად შეაბიჯეს მონასტრის კარში. როგორც ჩანს, წირვაზე მათ მოსვლას ელოდნენ, იმავე წუთს ატყდა ზარების რეკვა. ეკლესიასთან ჩამწკრივებულმა მებუკეებმა სპილენძის ბუკები აახმიანეს მთავრის მეუღლის პატივსაცემად. მედაფდაფეებმა წითელი სპილენძით ნაჭედ, ტყავგადაკრულ დაფდაფებს შემოჰკრეს და ააგუგუნეს. წარმართულ ქვეყანაში დაბადებულ ანა დანუტაზე ჯერაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ყველა ეკლესია, ტინეცისამ კი განსაკუთრებით იმოქმედა, რადგან ბევრი ეკლესია ვერ შეედრებოდა მას დიდებულებით. ტაძრის სიღრმეში ბნელოდა, მხოლოდ მთავარ საკურთხეველთან ციმციმებდა ლამპრებისა და სანთლების შუქი და ოქროს ვარაყსა და წმინდანთა ქანდაკებებს ნათელს ჰფენდა. გამოვიდა შემოსილი მღვდელი, მთავრის მეუღლეს მოწიწებით მიესალმა და წირვა დაიწყო. სურნელოვანი გუნდრუკი მაშინვე სქელ, ფაფუკ ტალღებად აისვეტა საცეცხლურებიდან, მღვდელსა და საკურთხეველს შემოებურა და, ნარნარად ზემოთ მიმავალმა, იდუმალება და დიდებულება შეჰმატა ტაძარს. ანა დანუტამ თავი უკან გადახარა. ხელები აღაპყრო და მხურვალე ლოცვას მოჰყვა. მაგრამ როცა იმ დროისათვის ჯერ კიდევ იშვიათი ორღანის ხმა გაისმა და დიდებულმა გუგუნმა ააზანზარა ტაძრის თაღები, მერე ანგელოზისებერი ხმებით აავსო და ბულბულივით არაკრაკდა, ანა დანუტამ ზეცას მიაპყრო მზერა და მოწიწებასა და შიშთან ერთად უსაზღვრო ნეტარება გამოეხატა სახეზე. კაცს ეგონებოდა, წმინდანია და ნეტარ ზმანებაში ესახება ცის გახსნილი კარიო.

ასე ლოცულობდა კეისტუტის წარმართად შობილი ასული, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვებივით უბრალოდ იხსენიებდა ღვთის სახელს, მაგრამ ამ ღვთის სასახლეში ბავშვური თრთოლვითა და მორჩილებით მიეპყრო მზერა ყოვლისშემძლე იდუმალი ძალისათვის.

ასევე მოწიწებით, ოღონდ ნაკლები გულმოდგინებით ლოცულობდა მისი ამალაც. ზბიშკოსა და მაზურებს მუხლი მოეყარათ ქსონძებისათვის განკუთვნილი ადგილის უკან და ღმერთისათვის მიენდოთ თავი. საკურთხეველთან მხოლოდ სამეფო კარის დიდებულები მისულიყვნენ მთავრის მეუღლესთან ერთად. დროდადრო ზბიშკო გადახედავდა ხოლმე დანუსიას, რომელიც თვალებმოჭუტული იჯდა თავისი ქალბატონის გვერდით, და ფიქრობდა, რა თქმა უნდა, ღირს ასეთი ქალიშვილის რაინდობა, მაგრამ არც მისთვის მიცემულ აღთქმა არისო ხელწამოსაკრავი. ახლა, როცა სიმთვრალე გამოუნელდა, ზბიშკო იმაზე ფიქრს მიეცა, როგორ შეესრულებინა თავისი აღთქმა. ომი ახლა არ იყო, თუმცა საზღვარზე შეტაკებისას სულ ადვილად შეიძლებოდა შეიარაღებულ გერმანელს წაწყდომოდა კაცი და მოეკლა ან თვითონ შეკვდომოდა. ამაზე ესაუბრებოდა ზბიშკო მაცკოს. „ეს კი ასეა, – ფიქრობდა ზბიშკო, – მაგრამ ყველა გერმანელს ხომ არა აქვს ფარშავანგის ან სირაქლემას ჯიღა მუზარადში“. ჯვაროსნების სტუმართაგან მას მხოლოდ გრაფები იკეთებენ, თვითონ ჯვაროსნებში კი – კომტურები და ისიც ზოგიერთი. თუ არა ომი, ალბათ წლები გაივლის, სანამ ამდენ ჯიღას იშოვიდეს; მერე გაახსენდა, რომ თუ რაინდად არ მონათლეს, მასაც მხოლოდ მოუნათლავების გამოწვევის უფლება აქვს ორთაბრძოლაში. მაგრამ მაინც იმედი ჰქონდა, მომავალ ასპარეზობაზე მეფისაგან რაინდულ ქამარს მიიღებდა, – მან ხომ დიდი ხანია, ეს დაიმსახურა. კეთილი და პატიოსანი! მერე რა ქნება? ის წავა იურანდ სპიხოველთან, დაეხმარება კნეხტების დახოცვაში – მორჩა და გათავდა. ჯვაროსნების კნეხტები ფარშავანგის ფრთებგარჭობილი რაინდები როდი არიან.

რაკი დაატყო, თუ ღმერთმა წყალობის თვალით არ გადმომხედა, ბევრს ვერას გავხდებიო, შეშფოთებული და აღელვებული ზბიშკო ლოცვად დაეცა:

„ღმერთო, გვიწყალობე ომი ჯვაროსნებთან და გერმანელებთან, ჩვენი სამეფოსა და ყველა ხალხის მოძულე მტრებთან. ვითარმედ ჩვენს ენაზე ითქმის, ქებაი შენი, ჩვენ დაგვლოცე, ხოლო ისინი წარხოცე პირისაგან მიწისა, რამეთუ შენ კი არა, ჯოჯოხეთის მეფეს ემსახურებიან ისინი და შენ წინააღმდეგ ბალღამით აქვთ სავსე გული, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ჩვენმა მეფემ და დედოფალმა ლიტვა მონათლეს და აუკრძალეს მათ მახვილის აღმართვა მონათა შენთა ზედა. მიაგე მისაგებელი მათ ამ სიბოროტისა გამო.

ხოლო მე, ცოდვილი მონა შენი, მოვინანიებ შენს წინაშე და შენს ხუთ იარას შევთხოვ: მალე წარმომიგზავნე ფარშავანგის ჯიღიანი სამი წარჩინე-

ბული გერმანელი და შემეწიე მათს მოსრვაში, რადგან ჩემს ქალბატონს, დანუტას, იურანდის ასულსა და შენს მხევალს, აღვუთქვი ის ფრთები და რაინდის, პატიოსანი სიტყვაც დავდე.

რასაც კი ამის გარდა ავართმევ მოკლულებს, მეათედს შენს წმინდა ეკლესიას შევწირავ, ქებას შეგასხამ, უტკბესო იესო, რათა უწყოდე, რომ ტყუილუბრალოდ კი არა, წმინდა გულით დავდე აღთქმა ესე. ჭეშმარიტად ასეა, უფალო იესო, შენ შემეწიე, ამინ!“

ამ მოწიწებულ ლოცვაში ზბიშკოს ისე აუჩუყდა გული, რომ იქვე ახალი აღთქმა დადო: როგორც კი ბოგდანეცს გამოვისყიდი, ეკლესიას შევწირავ მთელ ცვილს, რასაც კი ფუტკრები ერთი წლის განმავლობაში დააგროვებენო. მას იმედი ჰქონდა, ბიძაჩემი მაცკო წინ არ აღმიდგება ამაში, იესო ქრისტეს კი განსაკუთრებით გაახარებს სასანთლე ცვილი და განზრახვის შესრულებაში დამეხმარებაო. ეს აზრი ზბიშკოს ისე მოსწრებული ეჩვენა, რომ გული სიხარულით აევსო: თითქმის დარწმუნებული იყო, ღმერთი შეისმენდა მის ვედრებას და სულ მალე ატყდებოდა ომი, ან არადა ომის გარეშეც მიაღწევდა თავისას. ისეთი ღონე მოეძალა ხელებსა და მუხლებში, რომ მზად იყო მთელ რაზმს მარტოდმარტო შებმოდა. ისიც კი იფიქრა, რაკი ღმერთს აღთქმა მივეცი, დანუსიასაც ხომ არ წავუმატოო ორიოდე გერმანელი. ჭაბუკური გზნება უბიძგებდა ამისაკენ, მაგრამ ამჯერად გონებამ გაიმარჯვა. ზბიშკოს შეეშინდა, ზედმეტი თხოვნით თავი არ მოვაბეზროო ღმერთს.

ვაჟს იმედი გაუღვივდა, როცა წირვის შემდეგ, ყველა რომ დასასვენებლად წავიდ–წამოვიდა, საუზმეზე აბატისა და ანა დანუტას საუბარს მოჰკრა ყური.

იმხანად მეფეთა და მთავართა მეუღლეები თავიანთი ღვთისმოსაობისა და იმ ძვირფასი საჩუქრების წყალობით, ორდენის მაგისტრებისაგან რომ უხვად ღებულობდნენ, კეთილად იყვნენ განწყობილი ჯვაროსნებისადმი. ღვთისმოშიში იადვიგაც კი, სანამ ცოცხალი იყო, ახერხებდა შეეკავებინა მათზე აღმართული ხელი თავისი ძლევამოსილი მეუღლისა. მარტოოდენ ანა დანუტას ეჯავრებოდა ჯვაროსნები, რომელთაც დიდი უბედურება დაატეხეს მის ოჯახს. როცა აბატმა ჰკითხა, მაზოვიის საქმეები როგორ არისო, ქალმა მწარედ დაიჩივლა:

– როგორ უნდა იყოს საქმე სამთავროში, როცა ასეთი მეზობლები გყავს? თითქოს მშვიდობა სუფევს: დესპანებს და ეპისტოლეებს უგზავნიან ერთმანეთს, მაგრამ ადამიანი გულდამშვიდებული მაინც არ არის. საზღვრისპირას მცხოვრები ღამით რომ წვება, იმის დარდი მიჰყვება, დილით

ბორკილებდადებული, ყელში ხანჯალგაყრილი, ანდა ცეცხლმოდებულ სახლში არ აღმოვჩნდეო. მზაკვრებისაგან ვერც ფიცი გვიხსნის, ვერც ბეჭედი და ვერც ეტრატი. სწორედ ასე მოხდა ზლოტორიასთან, როცა სრული მშვიდობის ჟამს ჯვაროსნებმა მთავარი დაატყვევეს. იმდენად გაკადნიერდნენ, რომ ამბობდნენ, ეს ციხესიმაგრე შესაძლოა საშიში გახდესო ჩვენთვის. მაგრამ ციხესიმაგრეებს ხომ თავის დასაცავად აგებენ და არა თავდასხმისათვის. განა რომელ მთავარს არა აქვს უფლება ციხე ააგოს ან განაახლოს თავის მიწა–წყალზე? ვერავინ შეურიგდება ორდენს, ვერც სუსტი და ვერც ძლიერი, იმიტომ, რომ სუსტს იგი არად აგდებს, ძლიერს კი ცდილობს მოერიოს. სიკეთის წილ ბოროტებას მიაგებს. განა მოიპოვება ქვეყნად მეორე ისეთი ორდენი, ამდენი წყალობა რომ ჰქონდეს მიღებული სხვა სამეფოებიდან, რასაც ჯვაროსნები ღებულობენ პოლონელ მთავართაგან? მერედა რითი გვიხდიან სამაგიეროს? სიძულვილით, თარეშით, ომითა და მუხანათობით. ამაოა საყვედური, ამაოა ჩივილი მოციქულის ტახტის წინაშე, რადგან გაყოყოჩებულნი და უჯიათნი რომის პაპსაც კი აღარ ეპუებიან. ალბათ იცით, ლიტვაში რაც მოიმოქმედეს, ახლა კი ელჩობა გამოუგზავნიათ ძეობასა და ნათლობაზე დასასწრებად, მაგრამ ამას იმიტომ სჩადიან, რომ ძლევამოსილი მეფის რისხვა აიცდინონ, გულში კი იმას ფიქრობენ, როგორ აღგავონ პირისაგან მიწისა პოლონელთა სამეფოც და მთელი მისი მოდგმაც.

აბატი ყურადღებით უსმენდა, თავს აქნევდა, მერე კი თქვა:

– ჩვენ ვიცით, რომ კრაკოვში ჩამოსულ საელჩოს კომტური ლიხტენშტაინი ხელმძღვანელობს, ორდენის ბერი, რომელსაც თავისი ცნობილი შთამომავლობის, სიმამაცისა და გონიერებისათვის დიდად აფასებენ. უმოწყალესო პანი, თქვენ შესაძლოა სულ მალე იხილოთ იგი, რადგან გუშინ კომტურმა მაცნობა, რომ ტინეცს მოინახულებს, სურს თაყვანი სცეს თქვენს წმინდანებს. ეს რომ გაიგონა, მთავრის მეუღლე ისევ წუწუნს მოჰყვა:

– ხალხში ხმა დადის, და ალბათ სწორიც არის, მალე დიდი ომი იქნებაო. პოლონეთის სამეფო და ყველა ის ხალხი, რომლებიც პოლონურის მსგავს ენაზე ლაპარაკობენ, გერმანელებსა და ორდენს შეებრძოლებიან. ამბობენ, ეს ომი რომელიღაც წმინდანმა იწინასწარმეტყველაო...

– ბრიგიტამ, – შეაწყვეტინა მთავრის მეუღლეს სწავლულმა აბატმა. – რვა წლის წინ ის წმინდანად შერაცხეს. ალვასტრის წმინდა პეტრემ და ლინკეპინგის მათემ ჩაიწერეს მისი წინასწარმეტყველება, რომელშიც პირდაპირ არის ნათქვამი, დიდი ომი იქნებაო.

ამ სიტყვებზე ზბიშკო სიხარულით აცახცახდა, თავი ვეღარ შეიკავა და იკითხა:

– მერე როდის იქნება ეგ ომი, მალე?

მაგრამ მთავრის მეუღლესთან საუბრით გართულმა აბატმა ვერ გაიგონა ეს შეკითხვა, ან იქნებ თავი მოაჩვენა, რომ არ ესმოდა.

– ეს ომი ჩვენს ჭაბუკ რაინდებსაც უხარიათ, – განაგრძობდა ამასობაში ანა დანუტა, – უფრო ხანში შესულები და ჭკუადამჯდარნი კი ამბობენ: „ჩვენ გერმანელებისა არ გვეშინია, თუმცა ზვიადნი და ძლიერნი არიან, არც მათი შუბები და მახვილები გვიკრთობენ გულს, მაგრამ ჯვაროსანთა წმინდანებისა კი გვეშინია, ძეხორციელი ვერაფერს გააწყობსო მათ წინააღმდეგ“.

ანა დანუტამ შიშით გადახედა აბატს და ხმადაბლა დაუმატა:

– ამბობენ, მაცხოვრის ჯვრის ძელი ჭეშმარიტი აქვთო. როგორ უნდა ვებრძოლოთ მაგათ?

– საფრანგეთის მეფემ გამოუგზავნათ, დაუმოწმა აბატმა.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, მერე ლაპარაკი დაიწყო მიკოლაი დლუგოლიასელმა, მეტსახელად ობუხმა, ბევრის მნახველმა და გამობრძმედილმა კაცმა.

– ჯვაროსნებთან ტყვედ რომ ვიყავი, – თქვა მან, – ჩემი თვალით მინახავს, როგორ გამოასვენეს ეს წმიდათაწმიდა ნაწილი. მაგრამ ამის გარდა ჯვაროსნებს სხვა უძვირფასესი რელიკვიებიც აქვთ ოლივის მონასტერში. თუ არა ისინი, ორდენი ასე ვერ გაძლიერდებოდა.

ამ სიტყვებზე ბენედიქტელებმა კისრები წაიგრძელეს და ცნობისმოყვარეობით დაუწყეს გამოკითხვა:

– გვითხარით, კიდევ რა წმინდა ნაწილები აქვთ?

– რა აქვთ და ღვთისმშობლის შესამოსლის კალთის ნახევი, უპასუხა დლუგოლიასელმა პანმა, – მარიამ მაგდალინელის უკანა კბილი აქვთ, კიდევ მუგუზლები მაყვლოვანისა, საიდანაც თვითონ მამაღმერთი გამოეცხადა მოსეს, აქვთ წმინდა ლიბერიუშის ხელი. ხოლო, რაც შეეხება სხვადასხვა წმინდანების ძვლებს, იმათ გადასათვლელად ხელისა და ფეხის თითებიც არ იკმარებდა...

– როგორ უნდა ვაჯობოთ ჯვაროსნებს? – ოხვრით გაიმეორა ანა დანუტამ.

აბატმა მაღალი შუბლი შეჭმუხნა, წუთით ჩაფიქრდა და შემდეგ წარმოთქვა:

– მაგათთან ბრძოლა სხვამხრივაც ძნელია. ბერები არიან და ლაბადებზე ჯვრები ჰკიდიათ. მაგრამ თუკი პირთამდე აღავსებენ შეცოდებათა ფიალას, შენს წმინდანებსაც მობეზრდებათ მათთან ყოფნა და მაშინ არათუ ძალას არ შეჰმატებენ ორდენს, პირიქით ძალას გამოაცლიან, რათა უფრო ღვთისნიერ ხელში მოხვდნენ. ღმერთმა დაიფაროს სისხლისღვრა ქრისტიანთა შორის, მაგრამ თუ ომი მაინც დაიწყო, ჩვენს სამეფოშიც მოიპოვება წმინდა რელიკვიები, ჩვენ რომ გამოგვექომაგებიან ბრძოლაში. ტყუილად კი არ ღაღადებს ხმა მღაღადებლისა წმინდა ბრიგიტას წინასწარმეტყველებაში; „მე დავაყენე ისინი, ვითარცა მშრომელი ფუტკრები, და ქრისტიანთა მიწა–წყლის საზღვარზე დავსვი; მაგრამ ისინი ჩემს წინააღმდეგ აღსდგნენ. რამეთუ არ იურვიან სულზე და არ იბრალვიან ხორცსა ადამიანთა, რომელთაც კათოლიკური სარწმუნოება ირწმუნეს. მათ დაიმონეს ისინი, არა ასწავლეს ღვთის მცნებანი, დააკლეს წმინდა ზიარება და გაუმზადებენ ტანჯვასა ჯოჯოხეთსა შინა, უფრო მწვავეს, ვიდრე წარმართობაში მოელოდათ. ომსაც თავიანთი სიხარბის დასაკმაყოფილებლად აწარმოებენ. ამად დადგება ჟამი, ოდეს კბილნი ამოსცვივდიან მათ, მოეჭრებათ მარჯვენა და მკელობელი შეიქმნებიან მარჯვენა ფეხითა, რათა შეიცნონ ცოდვანი თვისნი“.

– ღმერთმა ინებოს! – წამოიძახა ზბიშკომ.

წინასწარმეტყველების სიტყვები რომ მოისმინეს, დანარჩენი რაინდები და ბერებიც გამხნევდნენ, აბატმა კი ანა დანუტას მიმართა:

– ამიტომაც ღვთის იმედად იყავით, მოწყალეო ქალბატონო, რადგან თქვენი კი არა, იმათი დღეები დათვლილი. ახლა კი წმინდა გულით მიიღეთ ეს სანაწილე, რომელშიც ჩვენი ერთ–ერთი მფარველის, წმინდა ფტოლომეს ფეხის თითია დაცული.

მთავრის მეუღლემ მუხლი მოიყარა, ბედნიერებისაგან აცახცახებული ხელები გაუწოდა, სანაწილე გამოართვა და ტუჩებთან მიიტანა. მის სიხარულს კარისკაცები და სეფექალებიც იზიარებდნენ. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ასეთი საჩუქრის შემდეგ ღმერთი ყველას გადმოხედავდა, იქნებ მთელ სამეფოსაც. ზბიშკოც ბედნიერი იყო. ეგონა, ომი მაშინვე დაიწყებოდა, კრაკოვის ზეიმის შემდეგ.

IV

შუადღე დიდი ხნის გადასული იყო, როცა ანა დანუტა თავისი ამალით სტუმართმოყვარე ტინეციდან კრაკოვისაკენ მიმავალ გზას დაადგა. იმ ხანებში წარჩინებულ პირთან სტუმრად მიმავალი რაინდები ქალაქში ან ციხესიმაგრეში შესვლისას ხშირად აბჯარში გამოეწყობოდნენ ხოლმე. მართალია, ძველთაგანვე დაწესდა, როგორც კი ჭიშკარს გასცდებოდა რაინდი, მაშინვე უნდა აეყარა საჭურველი, თანაც ციხესიმაგრეში, ჩვეულებრივ, თვითონ მასპინძელი მიმართავდა სტუმარს: „იარაღი აიხსენით, კეთილშობილო რაინდო, რადგან მეგობრებთან იმყოფებით“. და მაინც, ქალაქში სრული საბრძოლო აღჭურვილობით შესვლას უფრო საზეიმო ელფერი ჰქონდა და რაინდსაც ფასი ემატებოდა. ამის ხათრით მაცკომ და ზბიშკომ ფრიზიელ რაინდებთან ბრძოლაში მოპოვებული ლაპლაპა, ოქრომკედის ქობაშემოვლებული საუცხოო ჯაჭვკურტაკები და საბეჭურები ჩაიცვეს. მიკოლაი დლუგოლიასელმა, ამ ცხოვრებაში გამოჯეკილმა კაცმა, უამრავ რაინდს რომ შეხვედროდა და სამხედრო საქმეშიც დიდად განსწავლული იყო, მაშინვე იცნო საქვეყნოდ განთქმულ მილანელ მეაბჯრეთა ნახელავი. ასეთი ჯავშანი მხოლოდ ძალზე მდიდარ რაინდებს შეეძლოთ შეეკვეთათ, რადგან მეტად ძვირი ღირდა. ამით მან დაასკვნა, ფრიზიელი რაინდები დიდებულთა წრიდან უნდა ყოფილიყვნენო, და უფრო მეტი პატივისცემით დააცქერდა მაცკოსა და ზბიშკოს. მხოლოდ ეგ იყო, მუზარადები არა ჰქონდათ ისეთი მდიდრული, თუმცა მაინც კარგი ხარისხისა იყო, სამაგიეროდ, მათი ლამაზასალოგადაფარებული უზარმაზარი ცხენები აკვირვებდა და შურს აღუძრავდა კარისკაცებს. უზომოდ მაღალ უნაგირებზე წამომსხდარი მაცკო და ზბიშკო ზევიდან დასცქეროდნენ მთელ ამალას. ხელში გრძელი შუბები ეჭირათ, გვერდზე მახვილები ეკიდათ, უნაგირთან კი ჩუგლუგები. მართალია, მეტი სიმარჯვისათვის ფარები ოთხთვალაზე დატოვეს, მაგრამ უამისოდაც ომში მიმავალთ უფრო ჰგვანდნენ, ვიდრე მშვიდობიან მგზავრებს.

ორივენი შორიახლოს მიჰყვებოდნენ ეტლს, რომლის უკანა დასაჯდომზე მთავრის მეუღლე და დანუსია ისხდნენ, ხოლო წინ – დარბაისელი სეფექალი, კრისტინ იაჟომბკოველის ქვრივი ოფკა და მოხუცი მიკოლაი დლუგოლიასელი. დანუსია ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა შეჯავშნულ რაინდებს, ქალბატონი კი ხშირ–ხშირად იღებდა უბიდან სანაწილეს და ეამბორებოდა.

– ძლიერ მაინტერესებს იმ ძვლის ნახვა, შიგ რომ დევს, – თქვა ბოლოს მან, – მაგრამ მე თვითონ არ გავხსნი სანაწილეს, რომ წმინდანს არ ვაწყენინო. კრაკოვის ეპისკოპოსს გავახსნევინებ.

– ისა სჯობია, სულაც არ გაუშვათ ხელი, – შენიშნა ფრთხილმა მიკოლაი დლუგოლიასელმა. – ძალიან სახარბიელო რამეა.

– იქნებ მართალიც იყოთ, – მცირე ფიქრის შემდეგ უთხრა ქალბატონმა და დაუმატა: – დიდი ხანია, აღარავის გავუხარებივარ ასე, როგორც ამ ღირსეულმა აბატმა გამახარა თავისი საჩუქრით და კიდევ იმით, რომ ჯვაროსანთა წმინდანების შიში გამიქარწყლა.

– ბრძნულ და სამართლიან სიტყვებს ამბობდა, გაელაპარაკა მაცკო ბოგდანეცელი.– ვილნოსთანაც ჰქონდათ ჯვაროსნებს სხვადასხვა წმინდა ნაწილები და ძალიანაც უნდოდათ დაერწმუნებინათ ხალხი, წარმართებს ვეომებითო. მერე რა გამოვიდა? ნახეს ჩვენებმა, რომ ხელის გულზე თუ დაიფურთხებ და მთელი ძალით მოიქნევ ჩუგლუგს, ზუჩსაც გააპობ და თავსაც. რა თქმა უნდა, წმინდანები ეხმარებიან, – ამის გადათქმა ცოდვა იქნებოდა, – მაგრამ მხოლოდ იმათ, ვინც ღვთის სახელით იბრძვის სამართლიანი საქმისათვის. მე ასე, ვფიქრობ, მოწყალეო პანი: თუ დიდი ომი დაიწყო, გინდ ყველა გერმანელი ჯვაროსნებს მიეშველოს, მაინც დავამარცხებთ, რადგან ჩვენი ხალხი დიდი ხალხია და ძალაც მეტი მოუცია მკლავში იესო ქრისტეს. რაც შეეხება წმინდა სალოცავებს, განა ჩვენ კი არა გვაქვს წმინდა ჯვრის ნაწილი წმინდა ჯვრის მონასტერში?

– სრული ჭეშმარიტებაა, – დაუმოწმა ქალბატონმა, მაგრამ ჩვენი წმინდა სალოცავი მონასტერში ინახება, მათ კი თან დააქვთ, როცა სჭირდებათ.

– სულ ერთია! ყოვლისშემძლეობა ღვთისა უსაზღვროა.

– მართლა ასეა? მითხარით გეთაყვა, – ჰკითხა ქალბატონმა ბრძენ მიკოლაი დლუგოლიასელს.

– ყოველი ეპისკოპოსი დაგიდასტურებთ მაგას, – მიუგო მან. – რომიც შორს არის, მაგრამ პაპი მთელ მსოფლიოს განაგებს. ღმერთზე რაღა უნდა ვთქვათ?

ამ სიტყვებმა საბოლოოდ დაამშვიდა მთავრის მეუღლე და მან ტინეცსა და მის მშვენიერებაზე გადაიტანა სიტყვა მაზურებს აოცებდათ მონასტრის სიმდიდრე და მთელი იმ მხარის სილამაზე, სადაც ისინი მოგზაურობდნენ. ირგვლივ გადაშლილიყო ხეხილის ბაღებში ჩაფლული მდიდარი სოფლები; სოფლებს გარს ერტყა ცაცხვის ჭალები. ცაცხვებზე წეროებს დაედოთ ბუდეები, უფრო ქვევით კი ნამჯით დახურული სკები მოჩანდა. შა-

რაგზის ორივე მხარეს ყანები იყო გადაჭიმული. დროდადრო ქარი ანანავებდა ჯეჯილის მწვანე ზღვას, რომელშიც ვარსკვლავებივით კიაფობდნენ ლურჯი ღიღილოები და წითელი ყაყაჩოები. ყანებს გადაღმა, შორს, აქა–იქ ფიჭვნარი მოჩანდა მრუმედ, თვალს ახარებდა მზით გაცისკროვნებული მუხნარი და თხმელნარი, ბალახით გადავლილი მდელოები, პრანჭიები რომ დასტრიალებდნენ თავს ჭანჭრობებს; მერე ისევ ქოხებშეფენილი გორაკები და ყანები იწყებოდა; ყველაფერს ემჩნეოდა, რომ აქ საქმიანი და შრომისმოყვარე ხალხი ცხოვრობდა და მთელი არემარე, სადამდეც კი თვალი გასწვდებოდა, მარტო რძესა და თაფლში მცურავ ქვეყანას კი არ წააგავდა, როგორც პოლონელებს უყვარდათ თქმა, არამედ სიმყუდროვისა და ბედნიერების სავანეც იყო.

– მეფე კაზიმეჟის სამფლობელოა, – თქვა ქალბატონმა. – ას წელიწადს იცოცხლებს აქ ადამიანი.

– ასეთ მიწას ქრისტეც უღიმის, – შენიშნა მიკოლაი დლუგოლიასელმა, – ღვთის წყალობაც მას დასტრიალებს; ან კი როგორ იქნება სხვაგვარად, ზარებს რომ ჩამოჰკრავენ, ერთ კუთხესაც ვერ ნახავთ, სადაც მათი ხმა არ გაისმოდეს!

მოგეხსენებათ, ავსულები ამას ვერ იტანენ და უღრან ტყეებში გარბიან უნგრეთის საზღვრისაკენ.

– მაგიტომაც მიკვირს, – ჩაერია საუბარში კრისტინ იაჟომბკოველის ქვრივი პანი ოფკა, – როგორ ხდება, რომ ვალგეჟ მშვენიერი, რომელზეც ბერები გვიამბობდნენ, ტინეცში გამოჩნდება ხოლმე, სადაც დღეში შვიდჯერ რეკავენ ზარებს.

მიკოლაი წამით შეცბა, მაგრამ მცირე ფიქრის შემდეგ უთხრა:

– ჯერ ერთი, ამოუცნობია განგება ღვთისა, და თან ისიც გაითვალისწინეთ, რომ ვალგეჟი ყოველთვის საგანგებო ნებართვას ღებულობს საამისოდ.

– როგორც უნდა იყოს, მიხარია, რომ მონასტერში არ ვათევთ ღამეს. ალბათ სულიც გამძვრებოდა შიშისაგან, უცებ ქვესკნელიდან რომ გამომცხადებოდა ის გოლიათი.

– ვინ იცის. ამბობენ, კალმით ნახატს ჰგავსო.

– როგორი ლამაზიც უნდა იყოს, მისი კოცნა არ მინდა – პირიდან ალბათ გოგირდის სუნი ამოსდის.

– მერედა საიდან იცით, რომ მაშინვე კოცნას დაგიპირებდათ?

ამ სიტყვებზე მთავრის მეუღლეს, მიკოლაის და ორივე ბოგდანეცელ რაინდს სიცილი აუტყდათ. დანუსიაც იმათ აჰყვა, თუმცა ხეირიანად არც იცოდა, რაზე იცინოდნენ. მაშინ ოფკა მიკოლაი დლუგოლიასელს მიუბრუნდა და გაწიწმატებულმა უთხრა:

– თქვენს თავს კი ისევ ის მირჩევნია.

– მგელს ნუ უხმობთ ტყიდან, – მხიარულად მიუგო მაზურმა, – ის ავსული ხშირად დაეხეტება გზაზე კრაკოვსა და ტინეცს შუა, განსაკუთრებით საღამო ჟამს. ვაითუ გაიგონოს და გოლიათად გამოგეცხადოთ.

– ფუი ეშმაკს! ფუი ეშმაკს! – წამოიძახა ოფკამ.

იმავე წუთს მაცკო ბოგდანეცელმა, რომელიც მაღალ ცხენზე იჯდა და უფრო შორს იხედებოდა, ვიდრე ეტლში მსხდომი მთავრის მეუღლე და მისი თანამგზავრები, სადავე მოსწია და ჩაილაპარაკა: – ღმერთო ჩემო, ეს რაღაა ნეტავ?

– რა მოხდა?

– გორაკს იქიდან ვიღაც გოლიათი მოემართება ჩვენკენ.

– ღმერთო, შენ დაგვიფარე! – შეშინდა ქალბატონი. – ეს სადაური ხუმრობაა!

მაგრამ ზბიშკომ უნაგირზე წამოიწია და თქვა:

– ვფიცავ ყველა წმინდანს, მართლაც გოლიათია. ვალგეჟის მეტი ვინ იქნება!

ამ სიტყვებზე გულგახეთქილმა მეეტლემ ცხენები შეაჩერა და სადავე ხელიდან არ გაუშვია, ისე მოჰყვა პირჯვრის წერას, რადგან იმანაც დაინახა კოფოდან უახლოეს გორაკზე მდგომი უზარმაზარი მხედარი.

ანა დანუტამ წამოიწია, მაგრამ მაშინვე ჩაჯდა შიშისაგან ფერშეცვლილი. დანუსიამ მისი კაბის კალთაში ჩამალა თავი, კარისკაცები და მოსიმღერები, ცხენდაცხენ რომ მოჰყვებოდნენ მთავრის მეუღლეს, ავისმომასწავებელი სახელის გაგონებაზე ეტლს შემოეხვივნენ. მამაკაცები ვითომ იხტიბარს არ იტეხდნენ და იცინოდნენ კიდეც, მაგრამ თვალებში შიში ჩასდგომოდათ, ქალები კი გადაფითრებულიყვნენ. მხოლოდ ყოვლისმნახველ მიკოლაი დლუგოლიასელს შერჩენოდა მშვიდი გამომეტყველება. ქალბატონის დასაწყნარებლად მან თქვა:

– ნუ შიშობთ, მოწყალეო პანი. მზე ხომ ჯერ არ გასულა, და თუნდაც დაღამდეს, წმინდა პტოლომე გაუსწორდება ვალგეჟს.

ამასობაში უცნობმა მხედარმა ფერდობი ამოათავა, ცხენი შეაჩერა და ადგილზე გაირინდა. ის კარგად მოჩანდა ჩამავალი მზის შუქზე და მართლაც გოლიათს ჩამოჰგავდა. იმასა და მთავრის მეუღლის ამალას შორის სულ სამასიოდე ნაბიჯი თუ იქნებოდა.

– რატომ შეჩერდა? – იკითხა ერთმა მოსიმღერემ.

– იმიტომ, რომ ჩვენც შევჩერდით, – მიუგო მაცკომ.

– ისე მოგვჩერებია, თითქოს ვიღაცას ირჩევსო, – შენიშნა მეორე მოსიმღერემ. – რომ ვიცოდე, ადამიანია და არა ავსული, მივუახლოვდებოდი და ბარბითს ვთხლიშავდი თავში.

ქალები სულ მთლად დაფრთხნენ და ხმამაღლა ლოცვას მოჰყვნენ. ზბიშკომ მოინდომა თავი გამოეჩინა ქალბატონისა და დანუსიას წინაშე და თქვა:

– მე კი ავდგები და წავალ. რას მიქვია ვალგეჟი! დანუსიამ ცრემლნარევი ხმით დაიძახა:

– ზბიშკო, ზბიშკო!

მაგრამ ჭაბუკმა ცხენი დასძრა და გორაკისაკენ გააქანა. დარწმუნებული იყო, ნამდვილი ვალგეჟიც რომ შემხვდეს, შუბზე წამოვაგებო.

მაცკომ, რომელსაც მახვილი თვალი ჰქონდა, წარმოთქვა:

– გოლიათად იმიტომ გვეჩვენება, რომ გორაკზეა შემდგარი. კაი მოსული კაცი კია, მაგრამ მაინც ჩვეულებრივი ადამიანია – მეტი არაფერი. ეჰ! მეც წავალ, ზბიშკო ჩხუბს არ გადაეყაროს.

ამასობაში ზბიშკო ცხენს მიაყენებდა და თან ფიქრობდა, ახლავე მოემარჯვებინა შუბი, თუ ჯერ ახლოს მისულიყო და ენახა, რა კაცი იდგა გორაკზე. ბოლოს გადაწყვიტა, ჯერ ვნახავო, და მაშინვე დარწმუნდა, რომ სწორად მოიქცა: რაც უფრო უახლოვდებოდა უცნობს, თანდათან ჰკარგავდა ის ჭაბუკის თვალში არაჩვეულებრივ ზომას. მაღალი ვაჟკაცი კიდევ უფრო დიდ ცხენზე იჯდა, ვიდრე ზბიშკო, მაგრამ მაინც ჩვეულებრივი ადამიანის სიმაღლე ჰქონდა. თანაც უსაჭურვლოდ იყო: ხავერდის წოპწოპა ქუდი ეხურა და თეთრი ტილოს სამტვერე ლაბადა ეცვა, რომლის ქვეშიდანაც მწვანე ხიფთან მოუჩანდა. მხედარი ბორცვზე იდგა, თავი აეწია და ლოცულობდა. როგორც ჩანს, ცხენიც იმისათვის შეაჩერა, რომ საღამოს ლოცვა დაემთავრებინა.

„ესეც შენი ვალგეჟი“! – გაიფიქრა ჭაბუკმა.

ზბიშკო იმდენად მიუახლოვდა უცნობს, რომ უკვე შუბით მისწვდებოდა, მაგრამ იმან საუცხოოდ აღჭურვილი რაინდი რომ დაინახა, კეთილად გაუღიმა და უთხრა:

– დიდება იესო ქრისტეს!

– უკუნითი უკუნისამდე!

– მაზოვიის მთავრის მეუღლის ამალა ხომ არ არის იქ, ქვემოთ?

– სწორედ ის გახლავთ.

– მაშ ტინეციდან მობრძანდებით?

მაგრამ ზბიშკოს პასუხი აქ გაუცია, რადგან ამ დროს ისეთი რამ დაინახა, ძლიერ გაოცდა და შეკითხვაც აღარ გაუგონია. ერთხანს გაქვავებული იდგა და საკუთარ თვალებს არ უჯერებდა, – უცნობისგან სულ რაღაც ასიოდე ნაბიჯზე თხუთმეტამდე მხედარი მოდიოდა. მათ წინ მოუძღოდა პრიალააბჯრიანი რაინდი, რომელსაც შავჯვარგამოსახული თეთრი მაუდის ლაბადა მოესხა და ფოლადის მუზარადში ფარშავანგის ფრთების ჯიღა გაერჭო.

– ჯვაროსანი! – წაიჩურჩულა ზბიშკომ.

ჯვაროსნის დანახვაზე იფიქრა, ღმერთმა ისმინა ჩემი ლოცვა და სწორედ ის გერმანელი გამომიგზავნა, ტინეცში რომ ვთხოვეო. ღმერთის წყალობაზე კი უარის თქმა როგორ იქნებოდა. ამიტომ კარგად არც კი გამორკვეულა, ბევრი აღარ უფიქრია, უნაგირზე დაიხარა, შუბი მოიმარჯვა, თავისი საგვარეულო ყიჟინა – „გრადი! გადი!“ – დასცა და ცხენი ჯვაროსნისაკენ გააჭენა.

გერმანელიც გაკვირვებული იყო. მან ცხენი შეაჩერა, შები არც მოუმარჯვებია, ისე მიაჩერდა მხედარს, თითქოს არ იყო დარწმუნებული, რომ მართლა თავს ესხმოდნენ.

– შუბი მოიმარჯვე! – ყვიროდა ზბიშკო და რკინის დეზებს ურტყამდა ფერდებში ცხენს. – გრადი! გრადი!

მანძილი ზბიშკოსა და ჯვაროსანს შორის თანდათან მცირდებოდა. რაკი დაატყო, რომ მხედარი მართლაც მისკენ მოჰქროდა, ჯვაროსანმა ცხენი ყალყზე შეაყენა და ხელი იარაღზე იტაცა. ის იყო, ზბიშკოს შუბი რაინდის მკერდს უნდა შეხებოდა, რომ უცებ ვიღაცის ხელმა ჩხირივით გადაუმტვრია შუბი ზედ მაჯასთან. მერე იმავე ხელმა ისეთი საშინელი ძალით მოსწია ზბიშკოს ცხენის სადავე, რომ ბედაური ოთხივე ფეხით ჩაეფლო მიწაში და ადგილზე გაშეშდა.

– რას სჩადი, უგუნურო? – მრისხანედ ჩასძახა ვიღაცამ ბოხი ხმით. – ეს ელჩია. მაგას რომ თავს ესხმი, ამით თვით მეფეს შეურაცხყოფ!

ზბიშკომ შეხედა უცნობს და იცნო სწორედ ის გოლიათი, ქალბატონის ამალას რომ ვალგეჟი ეგონა და ასე დააშინა.

– მიმიშვი გერმანელზე! შენ ვინა ხარ? – შესძახა ზბიშკომ და ცულზე იტაცა ხელი.

– მოაშორე ეგ ცული აქედან! გაფიცებ ყველაფერს წმინდას! მოაშორე ცული, გეუბნები, თორემ ცხენიდან გადმოვისვრი! – კიდევ უფრო მრისხანედ შესძახა უცნობმა. – შენ შეურაცხყავი მისი უდიდებულესობა მეფე და სამართლის წინაშე წარსდგები.

შემდეგ მიუბრუნდა ჯვაროსნის მხლებელ მხედრებს და შესძახა:

– აბა მომყევით!

მაგრამ სწორედ ამ დროს მათთან მიიჭრა მაცკო. შეშფოთება და რისხვა ერთად აღბეჭდოდა სახეზე. მასაც მშვენივრად ესმოდა, რომ ზბიშკომ უგუნური საქციელი ჩაიდინა და ამას შეიძლებოდა ძალზე ცუდი შედეგი მოჰყოლოდა. მაგრამ მაინც მზად იყო ბრძოლაში ჩასაბმელად. უცნობ რაინდსა და ჯვაროსანს შუბებითა და კონდახიანი მშვილდებით შეიარაღებული თხუთმეტიოდე მხედარი ახლდათ, ასე რომ, ჯავშანში ჩამჯდარი ორი რაინდი არც მთლად უიმედოდ შეიძლებოდა შერკინებოდა მათ. ამას გარდა, მაცკომ ისიც იფიქრა, თუკი მაინც გასამართლება მოგველის, ხომ არ სჯობია თავი იმით ავარიდოთ, რომ ამ რაინდებს შევერკინოთ და მივიმალოთ, სანამ საშიშროება გაივლიდესო. სახე მოექცა, ნამდვილ მგელს დაემგვანა, მსხვერპლის დასაგლეჯად გამზადებულს, ზბიშკოსა და უცნობის შუა ჩავარდა და იარაღზე ხელი წაივლო:

– ვინა ხართ და რა უფლება გაქვთ? – შესძახა მან.

– ის უფლება მაქვს, – შეედავა უცნობი, – რომ მეფემ ამ ადგილების უშიშროების დაცვა დამავალა, სახელად კი პოვალა ტაჩეველი მქვია.

მაცკომ და ზბიშკომ ერთი შეავლეს თვალი რაინდს, თავიანთი ნახევრად ამოწეული მახვილები წამსვე უკან ჩააგეს და თავები დახარეს. შიშმა კი არ მოიცვა ისინი, არა, – მათ თავი დახარეს პოვალა ტაჩეველის დიდებული, მათთვის კარგად ცნობილი სახელის წინაშე. გამოჩენილი შლიახტიჩისა და ძლევამოსილი წარჩინებულის, რადომის მიდამოებში უდიდესი მიწების მეპატრონისა და სამეფოს ერთ–ერთი სახელოვანი რაინდის წინაშე. მასზე სიმღერებს თხზავდნენ, როგორც სიმამაცისა და თავდადების განსახიერე-

ბაზე. ადიდებდნენ ისეთი რაინდების გვერდით, როგორებიც იყვნენ ზავიშა გარბოველი და ფარურეი, სკარბეკ გურელი და დობკო ოლესნიცელი, იასკო ნაშანი, მიკოლაი მოსკოჟოველი და ზინდრამ მაშკოვიცელი. ამას გარდა, ამ წუთში ის რამდენადმე მეფის წარმომადგენელიც იყო და მასზე თავდასხმა საკუთარი ნებით სასიკვდილოდ თავის დადებას ნიშნავდა.

მაცკო გონს მოეგო და მოკრძალებით უთხრა:

– პატივი და დიდება თქვენ, ბატონო რაინდო, თქვენს მამაცობასა და თქვენს სახელს.

– დიდება თქვენც, ბატონო რაინდო, – უპასუხა პოვალამ, – თუმცა ვამჯობინებდი, ასეთ მძიმე პირობებში არ გაგცნობოდით.

– რითია მძიმე პირობები? – ჰკითხა მაცკომ.

მაგრამ პოვალა ზბიშკოს მიუბრუნდა:

– ეს რა ჩაიდინე, ყმაწვილო? დღისით–მზისით, დიდ გზაზე, ლამის მეფის ცხვირწინ, თავს დაესხი ელჩს. იცი კი, რა მოგელის ამისათვის?

– ახალგაზრდობით და სიბრიყვით მოუვიდა, – მიუგო მაცკომ. – ძალზე ფიცხია, ფიქრი არ ეხერხება. მაგრამ მკაცრად აღარ განსჯით, როცა საქმის ვითარებას შეიტყობთ.

– მე არ ვიქნები მაგის მსაჯული. მე მხოლოდ ბორკილი უნდა დავადო...

– როგორ თუ ბორკილი? – იკითხა მაცკომ და მოღუშული მზერა მოავლო იქ მყოფთ.

– ასეთია მეფის ბრძანება.

ამ სიტყვების შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა.

– ის ხომ შლიახტიჩია, – წარმოთქვა ბოლოს მაცკომ.

– მაშინ რაინდული ფიცი დადოს, რომ თვითონ გამოცხადდება სასამართლოში.

– ვფიცავ პატიოსნებას! – შესძახა ზბიშკომ.

– კეთილი. რა გქვიათ?

მაცკომ თავისი სახელი და გერბი უთხრა.

– თუ ქალბატონ ანა დანუტას ამალიდან ხართ, სთხოვეთ, მეფესთან გიშუამდგომლოთ.

– არა, ჩვენ კარისკაცები არა ვართ. ლიტვიდან მოვდივართ, მთავარ ვიტოლდისაგან. ნეტავ სულაც არ შევხვედროდით არავითარ ამალას! ამ შეხვედრის გამო გადაეყარა ხიფათს ყმაწვილი.

მაცკომ უამბო ყველაფერი, რაც ფუნდუკში მოხდა, – როგორ შეხვდნენ მთავრის მეუღლის ამალას და როგორ დადო ზბიშკომ აღთქმა. უცებ მოხუცი ისე გაჯავრდა თავის ძმისწულზე, რომლის თავქარიანობამაც ასეთ მძიმე დღეში ჩაჰყარა, რომ მიუბრუნდა და დაუყვირა:

– ნეტავ ვილნოსთან დაღუპულიყავი! მაინც რას ფიქრობდი, ძაღლის ლეკვო?

– აღთქმა რომ მივეცი, აკი ვილოცე და ღმერთს შევთხოვე, გერმანელები შემახვედრე–მეთქი, შესაწირავსაც შევპირდი. ჰოდა, ფარშავანგის ჯიღა და შავჯვრიანი ლაბადა რომ დავინახე, მაშინვე ხმა ჩამესმა: „ჰკა გერმანელს, ეს სასწაულია!“ მეც წამსვე შევუტიე, ან კი ვინ არ შეუტევდა?

– მომისმინეთ, – შეაწყვეტინა ზბიშკოს პოვალამ. – ცუდი არ მინდა თქვენთვის, რადგან ვხედავ, ჭაბუკმა დაუდევრობით მისი ასაკისათვის დამახასიათებელი დანაშაული ჩაიდინა. მოხარულიც ვიქნებოდი, არ დამენახა და ისე გამეგრძელებინა გზა, თითქოს არაფერი მომხდარაო. მაგრამ მხოლოდ მაშინ შემიძლია ასე მოვიქცე, თუ კომტური დაგვპირდება, რომ მეფესთან არ იჩივლებს. სთხოვეთ, იქნებ შეიბრალოს ყმაწვილი.

– სჯობს სასამართლოს წარვუდგე, ვიდრე ჯვაროსანს ქედი მოვუხარო! – შესძახა ზბიშკომ. – ეს არ შეჰფერის შლიახტიჩის ღირსებას.

პოვალა ტაჩეველმა პირქუშად შეხედა და უთხრა:

– არ იქცევი კარგად. უფროსებმა უკეთ იციან, რა შეჰფერის და რა არ შეჰფერის რაინდის სახელს. მეც მიცნობს ხალხი, მაგრამ მაინც გეტყვი, რომ არ შემრცხვებოდა ასეთი რამის გამო პატიების თხოვნა.

ზბიშკო შეცბა, მერე იქაურობა მოათვალიერა და თქვა:

– აქ სწორი ადგილია, ცოტაც რომ მოიტკეპნოს, ეყოფა. ვიდრე გერმანელს ქედი მოვუხარო, მირჩევნია სამკვდრო–სასიცოცხლოდ შევება მას, გინდ ცხენდაცხენ, გინდ ქვეითად.

– ყეყეჩო! – გააწყვეტინა მაცკომ. – ელჩის საბრძოლველად გამოწვევა ვის გაუგია? არც შენ გაქვს მასთან და არც იმას ასეთ ძუძუმწოვართან ბრძოლის უფლება.

და პოვალას მიუბრუნდა:

– მაპატიეთ, კეთილშობილო რაინდო. ბიჭს ომმა თავგზა აუბნია, სჯობს სულ ნუ გავაკარებთ სალაპარაკოდ გერმანელს, თორემ მეშინია, კიდევ არ მიაყენოს შეურაცხყოფა. მე თვითონ მოველაპარაკები მას, მე თვითონ შევეხვეწები, ხოლო თუ ელჩობის დამთავრების შემდეგ კომტური მოისურვებს ასპარეზზე გამოვიდეს ორთაბრძოლაში, მაშინ მე თვითონ შევებრძოლები.

– ეს დიდებულთა მოდგმის რაინდია და ყველას არ გაუყადრებს თავს, – შეედავა პოვალა.

– მაგას რატომ ბრძანებთ? განა მე კი არა მაქვს ქამარი და დეზები? თვით მთავარს არ შერცხვება ჩვენთან ორთაბრძოლაში გამოსვლა.

– ეგ მართალია, მაგრამ თქვენ ნურაფერს ეტყვით, თუ თვითონ არ დაიწყო ამაზე ლაპარაკი, თორემ ძალიან მეშინია, არ განრისხდეს. მაშ ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

– წავალ, შენს მაგიერ ბოდიშს მოვუხდი, – უთხრა მაცკომ ზბიშკოს, – დამაცა, მე შენ გიჩვენებ სეირს.

მაცკო მიუახლოვდა ჯვაროსანს, რომელიც მათგან რამდენიმე ნაბიჯზე გაჩერებულიყო და თუჯის მონუმენტივით გაშეშებული, აქლემივით ზონზროხა ცხენზე ამხედრებული, სრულიად განურჩევლად ისმენდა მათ საუბარს. ხანგრძლივი ომის მანძილზე მაცკომ იმდენი გერმანული ისწავლა, რომ ასე თუ ისე გააგებინებდა კაცს რამეს, და ახლა კომტურს მომხდარ ამბებს თავის ენაზე უხსნიდა. ეუბნებოდა, ზბიშკოს ყველაფერი ახალგაზრდული მოუფიქრებლობით დაემართა, ეგონა თვით ღმერთმა გამოუგზავნა ფარშავანგის ჯიღიანი რაინდი და ახლა პატიებას გთხოვსო.

კომტურს ერთი კუნთიც არ შერხევია სახეზე. გაჭიმული, უძრავი, თავაწეული, ისე უგულოდ და ზიზღით შეჰყურებდა მაცკოს ფოლადის თვალებით, თითქოს მის წინაშე რაინდი ან, საერთოდ, ადამიანი კი არა, ღობის სარი მდგარიყო. ბოგდანეცის მფლობელმა ეს შეამჩნია და, თუმცა გარეგნულად თავაზიანობა შეინარჩუნა, გული კი ამოუბრუნდა. უფრო და უფრო დაებორკა ენა, ლოყებზე ალმური მოედო, აშკარად ეტყობოდა, თავს ძლივს იკავებდა, რომ კბილები არ აეხრჭიალებინა და რისხვის კანკალს არ აეტანა ასეთი ცივი სიგოროზის შემყურეს.

პოვალას ეს არ გამოეპარა. კეთილი გულის ადამიანი იყო და გადაწყვიტა მაცკოს დახმარებოდა. სიჭაბუკეში, როცა თვითონაც ხიფათს ეძიებდა უნგრეთის, ავსტრიის, ბურგუნდიისა და ჩეხეთის მეფეთა კარზე და სახელი

შორს გაითქვა, პოვალამ ისწავლა გერმანული ენა და ახლა ამ ენაზე მიმართა მაცკოს შემარიგებელი და ამასთან ნაძალადევი ხუმრობის ტონით:

– ხომ ხედავთ, ძვირფასო რაინდო, კეთილშობილ კომტურს მიაჩნია, რომ ყველაფერი ეს უბრალო საქმეა და სალაპარაკოდაც არ ღირს. ჭაბუკები მარტო ჩვენს სამეფოში არ არიან დაუფიქრებელნი, ისინი ყველგან ასეთები არიან, მაგრამ რაინდი, და თანაც ასეთი რაინდი, არც იკადრებს ბავშვებთან იარაღით ბრძოლას ან კანონის ძალით მათ დევნას.

ამის გაგონებაზე ლიხტენშტაინმა ჟღალი ულვაშები ააცმაცუნა და ერთი სიტყვაც არ დასცდენია, ისე დასძრა ცხენი ადგილიდან, მაცკოს და ზბიშკოს გვერდი აუარა და გზა განაგრძო.

ორთავე ბოგდანეცელი მრისხანებამ აიტანა, ჩაფხუტებს ქვეშ თმა ყალყზე დაუდგათ და ხელი უნებურად იარაღზე გაივლეს.

– დამაცადე, ტევტონელო ქოფაკო, – გამოსცრა კბილებში უფროსმა ბოგდანეცელმა რაინდმა, – ჩამივარდები ხელში. ერთი ელჩობა მოამთავრე. პოვალაც დუღდა ბოღმისაგან, მაგრამ თქვა:

– ეგ შემდეგ. ახლა კი ქალბატონი უნდა გამოგექომაგოთ, თორემ ბიჭს უბედურება არ ასცდება.

პოვალა ჯვაროსანს გაჰყვა, შეაჩერა ის და რამდენიმე ხანს რაღაცაზე გაცხარებით ლაპარაკობდნენ. მაცკომ და ზბიშკომაც შეამჩნიეს, რომ გერმანელი რაინდი ისე გოროზად არ უყურებდა პოვალას, როგორც მათ, და კიდევ უფრო მეტად აღშფოთდნენ. ორიოდ წუთში პოვალა მაცკოსა და ზბიშკოსთან დაბრუნდა, ცოტა შეიცადა, რომ ჯვაროსანი უფრო შორს წასულიყო, და მერე უთხრა მათ:

– მე ვთხოვე თქვენს მაგივრად, მაგრამ ეს ადამიანი კი არა, ქვა არის. თუ უნდათ ჩივილი არ დავიწყო, რასაც მოვთხოვ, ის უნდა შემისრულონო...

– მერე რაო, რა მნებავსო?

– რა და, ასე მითხრა: მე შევჩერდები, რომ მაზოვიის მთავრის მეუღლეს მივესალმო, ისინი კი მომიახლოვდნენ, ცხენებიდან ჩამოხდნენ, მუზარადები მოიხადონ და თავშიშველებმა ითხოვონ პატიება. მაშინ გავცემო პასუხს.

პოვალამ სწრაფად შეავლო თვალი ზბიშკოს და დაუმატა:

– ძნელია შლიახტიჩისათვის ამის გაკეთება... მაგრამ უნდა გაგაფრთხილო, რომ თუ ამას არ იზამ, ვინ იცის, რა მოგელის. იქნებ ჯალათის ხმალიც.

მაცკოსა და ზბიშკოს სახეები გაუქვავდათ. ისევ სიჩუმე გამეფდა.

– აბა, რას იტყვით? – ჰკითხა პოვალამ.

მშვიდად და ისეთი ნაღველით, თითქოს ამ ერთ წუთში ოცი წლით დაბერდაო, ზბიშკომ უპასუხა:

– რას იზამ, ყველანი ღვთის შვილები ვართ.

– ესე იგი?

– ესე იგი, ის, რომ ორი თავიც რომ მებას და ჯალათს ორივეს მოკვეთა ჰქონდეს ნაბრძანები, სულ ერთია, ღირსება ერთი მაქვს და არავის მივცემ უფლებას ჩრდილი მიაყენოს მას.

ამ სიტყვებზე პოვალა უფრო მოიღუშა, მაცკოს მიუბრუნდა და ახლა იმას ჰკითხა:

– თქვენ რაღას იტყვით?

– მე ვიტყვი, – უთხრა პირქუშად მაცკომ, – რომ ეს ყმაწვილი ჩემი გაზრდილია... მთელი ჩვენი გვარი მაგას შეჰყურებს, რადგან მე უკვე დავბერდი, მაგრამ სიცოცხლის ფასადაც რომ დაუჯდეს, ამას არ გააკეთებს.

ამ დროს მაცკოს მოქუფრული სახე შეუკრთა და გული უეცრად ისეთი სიყვარულით აევსო, რომ ძმისშვილს ჯავშანში ჩაჭედილი ხელებით გადაეხვია და წამოიძახა:

– ზბიშკო! ზბიშკო!

ახალგაზრდა რაინდი კიდევაც გაოცდა, ბიძას თან ეხვეოდა და თან ამბობდა:

– ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ასე გიყვარდით!..

– ნამდვილი რაინდები ყოფილხართ, რა მეთქმის, – თქვა გულაჩუყებულმა პოვალამ – რაკი ყმაწვილმა პირობა მომცა, სასამართლოში ჩემი ნებით გამოვცხადდებიო, ახლა ხუნდებს აღარ დავადებ: თქვენნაირ ხალხს დაეჯერება. გულს ნუ გაიტეხთ. გერმანელი ტინეცში ერთ დღეს მაინც გაისეირნებს, მე მანამდის მეფეს მოვინახულებ და ყველაფერს ისე ვუამბობ, რომ არ განრისხდეს. კიდევ ბედი, რომ შუბის გადამტვრევა მოვასწარი, ნამდვილი ბედი!

მაგრამ ზბიშკო შეედავა:

– სულ ერთია, რაკი თავი მოსაკვეთი მქონია, გულს იმითი მაინც დავიმშვიდებდი, გერმანელს ძვლები გადავუმტერიე–მეთქი.

– საკუთარი ღირსების დაცვა კარგად გცოდნია, მისი გაგება კი არა გაქვს, რომ მთელ ხალხს თავს მოსჭრიდი! ვეღარ მოითმინა პოვალამ.

– გაგებით კი გამეგება, – უპასუხა ზბიშკომ, – სწორედ ამიტომაც ვნანობ...

მაშინ პოვალა მაცკოს მიუბრუნდა:

– იცით, ბატონო რაინდო, თუ თქვენი ყმაწვილი სასამართლოს სასწაულად გადაურჩა, ალბათ თავზე თალფაქი უნდა წამოაცვათ გაწვრთნილი შავარდენივით, თორემ მაგას თავისი დღით სიკვდილი არ უწერია.

– გადარჩენით კი გადაურჩებოდა, ბატონო რაინდო, თუ ინებებდით მეფესთან არ გაგემხილა ეს ამბავი.

– გერმანელს რაღა ვუყო? პირს ხომ ვერ ავუკრავ?

– რაც მას თალია, მართალია!..

ამ საუბარში ისინი ქალბატონის ამალისაკენ მობრუნდნენ. პოვალას მსახურნი, რომლებიც წეღან ლიხტენშტაინის ხალხში იყვნენ არეულები, ახლა მათ გაჰყვნენ უკან. შორიდან მოჩანდა, როგორ არხევდა ქარი ჯვაროსნის ფარშავანგის ფრთებს და როგორ ელავდა მზეზე მისი მუზარადი.

– საოცარი ხალხია ეს ჯვაროსნები, – თქვა ჩაფიქრებულმა ტაჩეველმა რაინდმა. — როცა გაუჭირდება ჯვაროსანს, ფრანცისკელი ბერივით მორჩილია, კრავივით უმანკო და თაფლივით დამტკბარი – იმაზე უკეთესი არავინ არის ამქვეყნად. მაგრამ საკმარისია დაინახოს, რომ ძალა მის მხარესაა და იმაზე უფრო ამპარტავანსა და შეუბრალებელს ვერავის ნახავ. როგორც ჩანს, გულის მაგიერ ქვა ჩაუდგამს ღმერთს მაგათთვის. ბევრნაირ ხალხს შევხვედრივარ და არაერთხელ მინახავს, როგორ შეუბრალებია ჭეშმარიტ რაინდს სუსტი მოწინააღმდეგე და გულში უთქვამს: „რა სახელს შემმატებს წაქცეულის ცემა“. ჯვაროსანი კი სწორედ ასეთ დროს გამხეცდება. მაშინ მაგრად თუ არ სტაცე ხელი ქეჩოში, ცუდად იქნება შენი საქმე! ამ ელჩს სურს, რომ ბოდიშიც მოგახდევინოთ და დაგამციროთ კიდეც. ძალიან მიხარია, რომ ეს არ მოხდება.

– ვერ ეღირსება! – შესძახა ზბიშკომ.

– ეცადეთ, არ შეგამჩნიოთ, რომ დადარდიანებულები ხართ, თორემ გაიხარებს.

ასე მიუახლოვდნენ მთავრის მეუღლის ამალას და შეუერთდნენ მას. ჯვაროსანთა ელჩმა მათ დანახვაზე მედიდური და დამცინავი სახე მიიღო, მაგრამ მაცკომ და ზბიშკომ თითქოს ვერც შეამჩნიეს იგი. ზბიშკო დანუსიას გაჰყვა გვერდით, მხიარული საუბარი გაუბა და უთხრა, გორაკიდან უკვე კარგად ჩანსო კრაკოვი; ხოლო მაცკო ერთ–ერთ მოსიმღერეს უყვებოდა, როგორი არაჩვეულებრივი ძალა ჰქონდა ტაჩეველ პანს, რომელმაც ჩხირივით გადაუმტვრია ზბიშკოს ხელში შუბი.

– მაინც რატომ გადაუმტვრია? ჰკითხა მოსიმღერემ.

– ყმაწვილი ჯვაროსანს დაესხა თავს, ისე, ხუმრობით.

მოსიმღერე ბევრის მნახველი შლიახტიჩი იყო და ასეთი ხუმრობა უადგილოდ ეჩვენა, მაგრამ რაკი დაინახა, მაცკო უდარდელად ჰყვებოდა ამ ამბავს, თვითონაც აღარ მიაქცია ყურადღება. გერმანელს კი სულაც არ მოეწონა ასეთი საქციელი. მან ერთი–ორჯერ გადახედა ჯერ ზბიშკოს, მერე მაცკოს და მიხვდა, რომ ისინი არ აპირებდნენ ცხენებიდან ჩამოხდომას და განგებ არ აქცევდნენ ყურადღებას. მაშინ მან ფოლადივით დააკვესა თვალები და უმალ დაემშვიდობა ყველას...

ჯვაროსანთა რომ ცხენი დასძრა, ტაჩეველმა რაინდმა ვეღარ მოითმინა და გამოთხოვებისას უთხრა:

– თამამად იმგზავრეთ, მამაცო რაინდო. ჩვენს მხარეში მშვიდობაა და არავინ დაგესხმით თავს, რომელიმე დაუდეგარი ბიჭის მეტი...

– საოცარი წეს–ჩვეულებები გქონიათ, მაგრამ მე თქვენთან დაცვას კი არ ვეძებდი, თქვენს საზოგადოებაში მინდოდა ყოფნა, – მოუჭრა ლიხტენშტაინმა – თუმცა, იმედი მაქვს, ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, აქაურ სასახლეშიც და სხვაგანაც...

უკანასკნელ სიტყვებში თითქოს ფარული მუქარა იგრძნობოდა, ამიტომ პოვალამ ცივად მიუგო:

– ღმერთმა ქნას...

მერე თავი დაუკრა, ზურგი შეაქცია, მხრები აიჩეჩა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა, ისე რომ ახლოს მდგომთ გაეგონათ:

– ჯანდაგო! ნეტავ ხელში ჩამივარდებოდე, შუბის წვერით აგაძრობდი უნაგირიდან და მანამდე გაფართხალებინებდი ჰაერში ფეხებს, სანამ სამჯერ წარმოვთქვამდი ,,მამაო ჩვენოს“.

მერე საუბარი გაუბა მთავრის მეუღლეს, რომელსაც კარგად იცნობდა. ანა დანუტამ ჰკითხა, აქ რას აკეთებო, და იმანაც მოახსენა, მეფის ბრძანე-

ბით ამ ადგილებში წესრიგის დასაცავად ვმოგზაურობ, რადგან კრაკოვში სხვადასხვა მხრით ბევრი სტუმარი იყრის თავს და შეიძლება გზაზე რაიმე გაუგებრობა მოხდესო, ამის საბუთად პოვალამ აუწერა ის შემთხვევა, თვითონ რომ შეესწრო. თან იფიქრა, ზბიშკოს გამოსარჩლება შეიძლება ცოტა უფრო გვიან ვთხოვო ქალბატონს, როცა ეს საჭირო იქნებაო. ახლა კი საერთო მხიარულება რომ არ ჩაეშალა, ისე მოუყვა ამბავს, რომ დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია მისთვის. ქალბატონმა დასცინა კიდეც ზბიშკოს, რომელიც ასე ჩქარობდა ფარშავანგის ჯიღების შოვნას, სხვები კი, რომ შეიტყვეს, ტაჩეველმა პანმა ცალი ხელით გადატეხაო შუბი, გაოცებული იყვნენ მისი ღონით,

პოვალა ცოტა პატივმოყვარე კაცი იყო, გულში სიამოვნებდა ქება და მოჰყვა თავისი გმირობის ამბებს, რომელთაც სახელი გაუთქვეს მას განსაკუთრებით ბურგუნდიაში, ფილიპე გაბედულის კარზე. ერთხელ, ასპარეზობის დროს, შუბი რომ გადაუტყდა, ხელი სტაცა ერთ არდენელ რაინდს, უნაგირიდან დაითრია და შუბის სიმაღლეზე შეაგდო თურმე მთლიანად ჯავშანში ჩამჯდარი. ფილიპე გაბედულმა ოქროს ძეწკვი უბოძა ამის გამო, ხოლო დედოფალმა – ხავერდის პატარა ქოში, რომელსაც ახლაც მუზარადზე მიბნეულს ატარებდა.

ამის გაგონებაზე ყველა გაოცებული დარჩა, მხოლოდ მიკოლაი დლუგოლიასელმა თქვა:

– გავდიაცდით ყველანი, აღარა გვყავს ისეთი გოლიათები, ჩემს ახალგაზრდობაში რომ იყვნენ, ანდა მამაჩემი რომ მიამბობდა. ახლა შლიახტიჩმა ბეგთარი თუ გაუგლიჯა ვინმეს, უსახელოროდ მოზიდა მშვილდი, ანდა რკინის ცული დაახვია თითებით, უკვე ფალავანი ჰგონია თავი და ყოყოჩობს. ადრე კი ქალიშვილებიც აკეთებდნენ ამას.

– არ გედავებით, რა თქმა უნდა, წინათ ხალხი უფრო ღონიერი იყო, – მიუგო პოვალამ, – მაგრამ ახლაც მოიძებნებიან დევგმირები. ღმერთს ჩემთვის მცირე ძალა როდი მოუცია მკლავში, მაგრამ მაინც არ მიმაჩნია თავი სამეფოში ყველაზე ღონიერ ადამიანად. ზავიშა გარბოველი თუ გინახავთ ოდესმე? ის მეც მომერევა.

– მინახავს. კრაკოვის ზარის ძელივით ფართო მხარბეჭი აქვს.

ახლა დობკო ოლესნიცელი? ერთხელ, ჯვაროსნების მიერ ტორუნში მოწყობილ ასპარეზობაზე, თავის თავისა და ჩვენი ხალხის სასახელოდ თორმეტი რაინდი მიაწყო ზედიზედ.

– მაგრამ მაინც, ჩვენი მაზური სტაშკო ციოლეკი თქვენზე ძლიერიც იყო, ბატონო ჩემო, ზავიშაზეც და დობკოზეც. ამბობენ, ნედლ ტოტს ხელს რომ მოუჭერდა, წვენს ადენდაო.

– მეც კი გამოვადენ წვენს, – წამოიძახა ზბიშკომ.

ვერც კი მოასწრეს თხოვნა, რომ ზბიშკომ გზის პირას მიაჭენა ცხენი, მოზრდილი ტოტი შეატეხა ხეს და ქალბატონისა და დანუსიას თვალწინ ისე მაგრად მოუჭირა ხელი, გზაზე წვენმა დაიწყო წვეთვა.

– ღმერთო დიდებულო! – შესძახა ოფკა იაჟომბკოველმა. – არ წახვიდე ომში, თორემ ცოდო იქნები ასეთი ვაჟკაცი ქორწინებამდე რომ დაიღუპო...

– ჰო, ცოდო იქნება, ცოდო! – გაიმეორა მაცკომ და უცებ მოიღუშა.

მხოლოდ მიკოლაი დლუგოლიასელმა და მთავრის მეუღლემ გაიცინეს. სხვები ხმამაღლა ასხამდნენ ხოტბას ზბიშკოს, რადგან იმ ხანებში ძლიერი მკლავი ყველაზე მეტად ფასობდა. სეფექალები დანუსიას ჩასჩიჩინებდნენ, – გიხაროდესო, და იმასაც უხაროდა, თუმცა ხეირიანად ვერც გაეგო, რაში გამოადგებოდა წვენგამოდენილი ხის ტოტი. ზბიშკოს სულ გადაავიწყდა ჯვაროსანი და ისე მედიდურად შესცქეროდა ყველას, რომ მიკოლაი დლუგოლიასელმა გადაწყვიტა ცოტა გამოეფხიზლებინა:

– ტყუილუბრალოდ ყოყოჩობ, ღონიერი ვარო, შენზე უკეთესებიც მოიძებნებიან. მე არ მინახავს, მაგრამ მამაჩემი შესწრებია ბევრად უფრო ღირსშესანიშნავ ამბავს, რომის იმპერატორის კარლოსის კარზე რომ მოხდა. ჩვენი მეფე კაზიმეჟი ესტუმრა თურმე დიდი ამალით და თან იახლა სახელოვანი დევგმირი სტაშკო ციოლეკი, ვოევოდა ანჯეის შვილი. იმპერატორს ტრაბახი დაუწყია, ერთი ჩეხი მყავს, შეუძლია დათვი მოიგდოს ხელში და გაგუდოსო. ბრძოლა გამართეს და ჩეხმა მართლაც გაგუდა ზედიზედ ორი დათვი. ჩვენი მეფე ძალიან იყო შეწუხებული, ვაითუ დამცირებულს მომიხდესო აქედან წასვლა. „ჩემი ციოლეკი, – უთქვამს მას, – თავს არ შეირცხვენსო“. გადაწყვიტეს სამი დღის შემდეგ გაემართათ მათ შორის შერკინება. თავი მოიყარეს დიდებულმა ქალბატონებმა და რაინდებმა და დანიშნულ დღეს სასახლის ეზოში შეებნენ ერთმანეთს ჩეხი და ციოლეკი. ოღონდ დიდხანს არ უბრძოლიათ, როგორც კი ჭიდილი დაიწყეს, ციოლეკმა ხერხემალი გადაუმტვრია ჩეხს, ნეკნები დაულეწა და ჩვენი მეფის სასახელოდ მკვდარსღა გაუშვა ხელი. ამის მერე „ძვლების მსხვრეველი“ შეარქვეს. ერთხელაც მარტომ აიტანა სამრეკლოზე დიდი ზარი, რომელიც ოცმა კაცმა ვერ დასძრა ადგილიდან.

– რამდენი წლისა იქნებოდა? – ჰკითხა ზბიშკომ.

– ახალგაზრდა იყო!

ამასობაში პოვალა ტაჩეველი, რომელიც მარჯვენა მხრის დან მიჰყვებოდა ქალბატონს, დაიხარა და ჩურჩულით უამბო მომხდარი მძიმე შემთხვევის შესახებ, თან სთხოვა, შემწეობა გაეწია მისთვის, როცა ზბიშკოს გამოსარჩლებას ეცდებოდა, – ყმაწვილს შეიძლებოდა ძვირად დასჯდომოდა თავისი შეცდომა. მთავრის მეუღლე კეთილად იყო განწყობილი ზბიშკოსადმი და ამ ამბის გაგონებამ დააღონა და ძალზე შეაშფოთა.

– კრაკოვის ეპისკოპოსი ყოველთვის კარგად მხვდება, უთხრა პოვალამ, – იქნებ გაჭრას ჩემმა თხოვნამ იმასთან და დედოფალთანაც, მაგრამ რაც უფრო მეტი მოსარჩლე ეყოლება, მით უკეთესია ყმაწვილისათვის.

– თუ დედოფალი გამოესარჩლა, ერთ ბეწვსაც ვერავინ შეეხება მის თავზე, – თქვა ანა დანუტამ. – მეფე დიდად აფასებს დედოფალს ღვთისმოსაობისა და მზითევის გამო, განსაკუთრებით ახლა, რაკი უშვილობის სამარცხვინო ლაქა ჩამოირეცხა. ჰო! ამჟამად კრაკოვში იმყოფება მეფის საყვარელი და, მთავრის მეუღლე ალექსანდრა ზემოვიტოვა – იმას მიმართეთ. მეც ყველაფერს ვიღონებ, რაც შემიძლია, მაგრამ ის ღვიძლი და მეფისა, მე კი ბიძაშვილი ვარ.

– მეფეს თქვენც უყვარხართ, მოწყალეო პანი.

– ეჰ, ისე მაინც არა, – ოდნავ ნაღველმორეულმა მიუგო ანა დანუტამ. – მე რომ ერთ რგოლს მომცემს, იმას მთელ ძეწკვს უბოძებს; მე – მელიის ბეწვი, იმას – სიასამურისა. არც ერთი ნათესავი არ უყვარს მეფეს ალექსანდრასავით. დღე ისე არ დაილევა, რამე საჩუქარი არ მიიღოს მეფისგან..

ასე საუბარ-საუბარში მიუახლოვდნენ კრაკოვს. ტინეციდან დაწყებული გზაზე ხალხმრავლობა იყო, ახლა კი საერთოდ გაიჭედა იქაურობა. აქ იყვნენ შლიახტიჩები მსახურთა თანხლებით, ზოგი აბჯარასხმული, ზოგიც საზაფხულოდ გამოწყობილი, ჩალის ქუდებით. ერთნი ცხენებით მგზავრობდნენ, მეორენი ოთხთვალებზე ისხდნენ ცოლ-შვილით, რომელთაც მოსურვებოდათ ენახათ დიდი ხნის დაპირებული ასპარეზობანი. აქა-იქ ვაჭრებს გადაეღობათ გზა თავიანთი ფორნებით; იმათ უფლება არ ჰქონდათ გვერდი აევლოთ კრაკოვისათვის, რათა ქალაქს ბაჟი არ მოჰკლებოდა. ვაჭრებს მოჰქონდათ მარილი, ცვილი, მარცვლეული, თევზი, ტყავი, ქერელი, ხე-ტყე. ქალაქიდან მოემართებოდნენ მაუდით, ლუდის კასრებითა და სხვა ქალაქური საქონლით დატვირთული ფორნები. კრაკოვი უკვე კარგად მოჩანდა: მეფის, დიდებულთა და მოქალაქეთა ბაღები, რკალად რომ ერტყმოდა მთელ ქალაქს, იმათ იქით კი – გალავანი და ეკლესიების კოშკები,

რაც უფრო მიუახლოვდნენ კრაკოვს, მით უფრო გაცხოველდა მოძრაობა, ხოლო ქალაქის კარიბჭესთან ისეთი ორომტრიალი იდგა, რომ საერთოდ გაძნელდა გავლა.

– აი, ამან უნდა დაიკვეხოს, ქალაქი ვარო! ალბათ მთელ დუნიაზე ბადალი არა ჰყავს, – ჩაილაპარაკა მაცკომ.

- აქ ყოველთვის ისეთი ხალხმრავლობაა, თითქოს ბაზრობააო, – თქვა ერთმა მოსიმღერემ. – დიდი ხანია, არა ყოფილხართ?

– დიდი ხანია. ამიტომაც მიკვირს, თითქოს პირველად ვხედავდე. ჩვენ ხომ ველური მხარიდან ჩამოვედით.

– ამბობენ, მეფე იაგელოს ხელში კრაკოვი ძალიან გაიზარდაო.

ეს მართალი იყო: დიდებული ლიტველი მთავრის ტახტზე ასვლის შემდეგ მანამდის უცნობი ადგილები ლიტვისა და რუსეთისა ხელმისაწვდომი გახდა კრაკოვის ვაჭრებისათვის, კრაკოვის მოსახლეობა ყოველდღიურად იზრდებოდა, ქალაქი მდიდრდებოდა, შენდებოდა და მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი ხდებოდა...

– ჯვაროსნებსაც კარგი ქალაქები აქვთ, – თქვა სქელსქელმა მოსიმღერემ.

– ერთი ჩვენ მოგვახვედრა იქ, – უპასუხა მაცკომ. – აი, ნადავლი იქ იქნებოდა!

მაგრამ პოვალა სულ სხვაზე ფიქრობდა: ჭაბუკი ზბიშკო, რომელმაც დანაშაული მხოლოდ უგუნური გაცხარების გამო ჩაიდინა, პირდაპირ მგელს უვარდებოდა ხახაში. ტაჩეველი პანი ომის დღეებში მრისხანე და უდრეკი იყო, მაგრამ მის გოლიათურ მკერდში მართლაც მტრედის გული სცემდა, სხვებზე მეტად ესმოდა, რა ელოდა დამნაშავეს, და მისდამი დიდი სიბრალულით განიმსჭვალა...

– მე კი ერთი ფიქრი არ მშორდება, – კვლავ მიუბრუნდა ის მთავრის მეუღლეს, – ვუთხრათ თუ არა რამე მეფეს. თუ ჯვაროსანი არ იჩივლებს, ყველაფერი ჩაივლის, მაგრამ თუ ჩივილს აპირებს, მაშინ წინასწარ სჯობს იცოდეს მეფემ, რომ ერთბაშად არ განრისხდეს.

– თუ ჯვაროსანს ვინმეს დაღუპვის საშუალება მიეცა, ის ამ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებს, – უპასუხა ანა დანუტამ. – მე ზბიშკოს გავაფრთხილებ, რომ ჩვენს ამალას შემოუერთდეს. იქნებ მაშინ ისეთი სიმკაცრით აღარ დასაჯოს მეფემ.

ქალბატონმა ზბიშკო მოიხმო. იგი ცხენიდან ჩამოხტა, მუხლებზე დაეცა მის ფეხებთან და უდიდესი სიხარულით დაეთანხმა ამალაში ხლებოდა, თუმცა უფრო დანუსიასთან ახლოს ყოფნის სურვილით, ვიდრე თავისი თავის გადარჩენისა...

ამასობაში პოვალამ მაცკოს ჰკითხა:

– სად აპირებთ გაჩერებას?

– ფუნდუკში.

– ფუნდუკებში კარგა ხანია არც ერთი ადგილი აღარ არის.

– მაშინ ნაცნობ ვაჭარ ამილეისთან შევივლით, იქნებ იმან გაგვათევინოს ღამე...

– მე კი, აი, რას გეტყვით: ჩემთან წამოდით. თქვენს ძმისწულს ციხედარბაზშიც შეუძლია ჩამოხდეს კარისკაცებთან ერთად, მაგრამ უმჯობესია თვალში. არ შეეჩხიროს მეფეს. რასაც განრისხებული ადამიანი ჩაიდენს, იმას დაშოშმინებული აღარ იზამს. ალბათ ქონების, ფორნებისა და მსახურების გაყოფაც მოგიწევთ, ამას კი დრო სჭირდება. იცით, ჩემთან კარგადაც მოეწყობით და უშიშრადაც იქნებით.

მაცკო ცოტათი შეაფიქრიანა იმან, რომ პოვალა ასე ზრუნავდა მათ უშიშროებაზე, მაგრამ მაინც გულითადი მადლობა მოახსენა რაინდს და ყველანი ერთად შევიდნენ ქალაქში. აქ ბიძასა და ძმისშვილს თვალწინ ისეთი საოცრებანი გადაეშალათ, რომ ერთხანს გულიდან გადაუვარდათ დარდი. ლიტვაში და საზღვარზე ციხესიმაგრეებს კანტი-კუნტად თუ შეხვედროდნენ, დიდი ქალაქი კი ვილნოს მეტი არ ჰქონდათ ნანახი. ეს უხეიროდ ნაგები ქალაქიც ცეცხლით იყო გადაბუგული და ფერფლწაყრილ ნანგრევებად ქცეული; აქაურ ვაჭართა ქვით ნაგები სახლები ასწილ სჯობნიდა იქაურ მემამულეთა სახლებს. მართალია, ბევრი ხის სახლიც შეგხვდებოდათ, მაგრამ გაგაოცებდათ მათი მაღალი კედლები და სახურავები, ტყვიისჩარჩოიანი, ამობურცულმინიანი ფანჯრები, ჩამავალ მზეს ცეცხლივით რომ ირეკლავდნენ, სახლს ხანძარი გასჩენიაო, იფიქრებდით. ბაზრის ახლომახლო ქუჩებში წითელი აგურით ან ქვით ნაგები აივნიანი შენობები იდგა, კედლებზე ყველას შავი ჯვარი ჰქონდა გამოსახული. ერთიმეორეზე მიჯრით მიწყობილი ეს სახლები ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულიყვნენ: ზოგი განიერი, ზოგი ვიწრო, ცხრა წყრთას არ აღემატებოდა, მაგრამ ყველა მაღალი იყო, თაღიანი წინკარის თავზე ბევრგან ჯვარცმა ან ღვთისმშობლის ხატი გამოესახათ. შეგხვდებოდათ ისეთი ქუჩებიც, სადაც სახლები ორ მწკრივად იყო ჩარიგებული, ზემოთ ცის ზოლი მოჩანდა, ქვემოთ – მოკირწყლული

გზა, ხოლო ორივე მხარეს, თვალსაწიერამდის – საწყობები და საწყობები, მდიდრული, სავსე საუკეთესო, ხანდახან საოცარი, ხანდახან კი სრულიად უცხო. საქონლით. მიწყივ ომებსა და ნადავლს შეჩვეული მაცკო ამას ყველაფერს ხარბი თვალით შესცქეროდა, მაგრამ მაცკოსა და ზბიშკოს კიდევ უფრო აოცებდათ საზოგადოებრივი შენობები: მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია მოედანზე, ქარვასლა, რატუშა უზარმაზარი სარდაფით, სადაც სვიდნიცის ლუდს ჰყიდდნენ, ჯინგჰუსი; აქ იყო სხვა ეკლესიებიც, მაუდის საწყობები, ვეებერთელა mercatorium,[5] რომელიც უცხოელი ვაჭრებისათვის იყო განკუთვნილი, შენობა, სადაც ინახებოდა ქალაქის სასწორი, სადალაქოები, აბანოები, სპილენძის, ცვილის, ოქროსა და ვერცხლის სადნობები, ლუდის სახდელები, მთად დადგმული კასრები. ეგრეთ წოდებული შროტამტის მახლობლად – ერთი სიტყვით, ბარაქა და სიმდიდრე, ოცნებითაც რომ ვერ წარმოიდგენდა ქალაქს შეუჩვეველი კაცი, თუნდაც თვით ყოფილიყო დიდი მამულის მფლობელი.

პოვალამ მაცკო და ზბიშკო თავის სახლში მიიყვანა წმინდა ანას ქუჩაზე. ბრძანა, მათთვის ხალვათი ოთახი გამოეყოთ, თავის მსახურებს ჩააბარა ისინი, თვითონ კი ციხესიმაგრისაკენ გაეშურა და ვახშმად გვიან ღამით დაბრუნდა. თან მეგობრები მოიყვანა და გაიმართა მხიარული ქეიფი, ძღომისად შეექცეოდნენ ხორცს, ღვინო მდინარესავით იღვრებოდა, მხოლოდ მასპინძელი ვერ იყო რაღაც გუნებაზე. ბოლოს, როცა სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ, მან მაცკოს უთხრა:

– ერთ კანონიკს ვესაუბრე, წერაც ეხერხება და კანონებიც კარგად იცის. მითხრა, ელჩის შეურაცხყოფისათვის სიკვდილით დასჯა მოელისო. ასე რომ, ილოცეთ, ჯვაროსანმა არ იჩივლოს...

ქეიფში ორთავე რაინდს კარგა ბლომად გადაეხუხა, მაგრამ ამის გაგონებაზე დასაძინებლად დაძმარებულ გუნებაზე წავიდნენ. მაცკოს საერთოდ არ მიეკარა ძილი და ცოტა ხნის შემდეგ ძმისშვილს გასძახა:

– ზბიშკო!

– რა იყო?

– ბევრი ვიფიქრე და მაინც ისე მგონია, რომ შენ თავს მოგკვეთავენ.

– თქვენ ასე ფიქრობთ? – უპასუხა მძინარე ზბიშკომ.

[5] ქარვასლა (ლათ.)

მერე კედლისაკენ იბრუნა პირი და ნამგზავრსა და დაქანცულს ტკბილად ჩაეძინა.

V

მეორე დღეს ორივე ბოგდანეცელი რაინდი პოვალასთან ერთად კათედრალურ ტაძარში წირვაზე სალოცავად და თან სასახლის დიდებულებისა და ციხესიმაგრეში შეგროვილი სტუმრების დასათვალიერებლად წავიდნენ. გზად პოვალა უამრავ ნაცნობს შეხვდა, მათ შორის ბევრი რაინდი იყო, სახელგანთქმული სამშობლოშიც და საზღვარგარეთაც; ჭაბუკი ზბიშკო მათ აღტაცებით შეჰყურებდა, გულში იფიცებოდა, ტოლი არ დაედო მათთვის სიმამაცესა და გმირობაში, ერთი იმდენი, ლიხტენშტაინის ამბავი დასრულებულიყო კეთილად. ერთმა ამ რაინდთაგან, ტოპორჩიკმა, კრაკოვის კაშტელანის ნათესავმა, შეატყობინა მათ ახალი ამბავი რომიდან სქოლასტიკოს ვოიცეხ იასტჟემბცის დაბრუნებისა. ეს კაცი პაპი ბონიფაციუს IX-სთან იყო წასული და მეფის წერილი ჰქონდა წაღებული. მეფე წმინდა მამას კრაკოვში ნათლობაზე ეპატიჟებოდა. ბონიფაციუსმა მიწვევა მიიღო, მაგრამ დარწმუნებული არ იყო, პირადად ჩამოსვლას თუ მოახერხებდა და ამიტომ უფლებით აღჭურვა ელჩი მისი სახელით მოენათლა ჩვილი, რომელიც ამ ქვეყანას უნდა მოვლენოდა. ამას გარდა, მეფისა და მისი მეუღლისადმი განსაკუთრებული სიყვარულის ნიშნად, სთხოვა ჩვილისათვის ბონიფაციუსი ან ბონიფაცია დაერქმიათ.

ერთი მითქმა-მოთქმა იყო აგრეთვე უნგრეთის მეფის სიგიზმუნდის ჩამოსვლაზე, რომელიც არაფრით არ დააკლდებოდა დღესასწაულს. მოიპატიჟებდნენ თუ არა, სულ ერთია, მაინც ჩამოდიოდა ხოლმე ნადიმსა და ასპარეზობებზე; სიგიზმუნდს გატაცებით უყვარდა ყოველივე ეს, მუდამ მონაწილეობდა შეჯიბრებებში და ძალზე სურდა სახელი გაეთქვა არა მხოლოდ როგორც მეფეს, არამედ როგორც მოსიმღერესა და ერთ-ერთ პირველ რაინდს. პოვალა, ზავიშა გარბოველი, დობკო ოლესნიცელი, ნაშანი და სხვა ქებული ვაჟკაცები ღიმილით იგონებდნენ, როგორ საიდუმლოდ სთხოვა მათ მეფე ვლადისლავმა სიგიზმუნდის ბოლო ჩამოსვლაზე, მაინცდამაინც არ შეევიწროებინათ ასპარეზობაზე და დაეზოგათ „უნგრელი სტუმარი“, რომელსაც მთელი ქვეყანა იცნობდა, როგორც ცუდა-კაცს, მარცხის დროს რომ თვალზე ცრემლები ადგებოდა. მაგრამ რაინდებს ყველაზე მეტად ვიტოლდის საქმეები აინტერესებდათ. გაუგონარ ამბებს ჰყვებოდნენ წმინდა

ვერცხლისაგან ჩამოსხმულ მდიდრულ აკვანზე, რომელიც დედოფალს ვიტოლდისა და მისი მეუღლის, ანასაგან მიართვეს ლიტვის თავადებმა და ბოიარებმა. როგორც ყოველთვის, წირვის წინ ხალხი აქა-იქ შეჯგუფდა და ახალ ამბებს ჰყვებოდნენ. აკვნის ამბავს რომ ყური მოჰკრა, მაცკომ ერთ ასეთ ჯგუფში დაიწყო ამ აკვნის აღწერა. მაგრამ მას კითხვები დააყარეს თათრებთან ლაშქრობის თაობაზე, ვიტოლდს რომ ჰქონდა განზრახული, და მაცკოც იძულებული გახდა მთავრის ამ ახალ განზრახვაზე ელაპარაკა. ლაშქრობა თითქმის უკვე მზად იყო, მრავალრიცხოვანი ჯარი რუსეთისაკენ დაიძრა; თუ ის გამარჯვებით დასრულდებოდა, მეფე იაგელოს სამფლობელოები თითქმის ნახევარ მსოფლიოს გადასწვდებოდა, – აზიის მიუვალი უდაბნოებიდან სპარსეთის ზღვებსა და არალის ნაპირებამდე. მაცკო, რომელიც აქამდე ვიტოლდის ერთ-ერთი ყველაზე დაახლოებული პირი იყო და უნდა სცოდნოდა მისი განზრახვები, ისე დაწვრილებით და ენაწყლიანად ჰყვებოდა ამ ამბებს, რომ სანამ წირვის ზარს ჩამოჰკრავდნენ, მის გარშემო ტაძრის კიბეებთან ცნობისმოყვარეთა დიდი ჯგუფი შეგროვდა. ახლა ლაპარაკია, ამბობდა ის, უბრალოდ ჯვაროსნულ ლაშქრობაზე. მართალია, ვიტოლდს დიდი მთავარი ჰქვია, მაგრამ ის მხოლოდ იაგელოს ნაცვალია, ესე იგი, ყველაფერი მეფის დამსახურება იქნება. რაოდენ გაიზრდება ახლად გაქრისტიანებული ლიტვისა და მძლეთამძლე პოლონეთის დიდება, როცა მათი გაერთიანებული ძალები ჯვრით ხელში გაემართებიან ისეთი ქვეყნებისაკენ, სადაც თუ კიდევაც ახსენებენ მაცხოვრის სახელს, მხოლოდ იმიტომ, რომ ძრახვა და გმობა ამოანთხიონ მის მიმართ, და სადაც ჯერ არ დადგმულა პოლონელისა და ლიტველის ფეხი! როცა პოლონეთისა და ლიტვის ლაშქარი კვლავ დასვამს ყივჩაღთა ტახტზე გაძევებულ თოხთამიშს, ის თავის თავს მეფე ვლადისლავის „ძედ“ გამოაცხადებს და, როგორც შეპირებული იყო, მთელ ოქროს ურდოსთან ერთად ემთხვევა ჯვარს.

მაცკოს დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ, მაგრამ ბევრმა ხეირიანად არ იცოდა, რაზე იყო ლაპარაკი, ვისი დახმარება განეზრახა ვიტოლდს და ვისთან ომი, ამიტომაც ზოგიერთი შეეკითხა:

– თქვით, თუ შეიძლება გარკვეულად, ვისთან იქნება ომი?

– ვისთან? კოჭლ თემურთან, – უპასუხა მაცკომ.

ერთი წამით სიჩუმე ჩამოვარდა. დასავლეთის რაინდთა ყურამდე ხშირად აღწევდა სახელები ოქროს, ლურჯი, აზოვის და სხვა ურდოებისა, მაგრამ თათართა საქმეების და ძმათაშორისი ომებისა მათ არა გაეგებოდათ რა. სამაგიეროდ, მთელ მაშინდელ ევროპაში ძნელად მოიძებნებოდა ადამიანი, რომელსაც არ გაეგონა მრისხანე კოჭლი თემურის ანუ თემურლენგის

სახელი. ამ სახელს ისეთივე შიშის ზარით იმეორებდნენ, როგორც ოდესღაც ატილას სახელს. ეს იყო „მსოფლიოს მპყრობელი“ და „დროთა მპყრობელი“, ოცდაშვიდი დამორჩილებული სამეფოს მბრძანებელი, მპყრობელი მოსკოვის რუსეთისა, მპყრობელი ციმბირისა და ჩინეთისა თვით ინდოეთამდე, ბაღდადის, ისპაანის, ალეპოსა და დამასკოსი, ვისი ჩრდილიც არაბეთის უდაბნოებიდან ეგვიპტემდის სწვდებოდა, ბოსფორის გზით კი – საბერძნეთის სამეფომდის, ადამიანთა ჯილაგის ამომწყვეტი, ადამიანთა თავის ქალებიდან პირამიდების გაუგონარი აღმმართველი, ყველა ბრძოლაში გამარჯვებული, „სულთა და სხეულთა“ დაუძლეველი მეუფე.

სწორედ ის იყო, თოხთამიში რომ ოქროსა და ლურჯი ურდოების ტახტზე დასვა და თავის „ძედ“ გამოაცხადა. მაგრამ როდესაც ამ „ძის“ სამფლობელო არალიდან ყირიმამდე გადაიჭიმა და მას გაცილებით მეტი მიწა აღმოაჩნდა, ვიდრე მთელ დანარჩენ ევროპას ეჭირა, დამოუკიდებლობა მოისურვა, რის გამოც მრისხანე „მამამ“ „ერთის მოქნევით“ მოისროლა ტახტიდან და ისიც დახმარების სათხოვნელად ლიტვის მმართველისაკენ გამოეშურა. სწორედ მისი დაბრუნება უნდოდა ვიტოლდს ტახტზე, მაგრამ ამისათვის ჯერ ქვეყნის მპყრობელ „კოჭლს“ უნდა შერკინებოდა.

აი, რატომ მოახდინა „კოჭლის“ ხსენებამ ასეთი დიდი შთაბეჭდილება მსმენელებზე. წამიერი დუმილის შემდეგ ერთმა უხუცესმა რაინდმა, ვოიცეხ იაგლოველმა, თქვა:

– ასეთ მტერთან ბრძოლა სახუმარო საქმე არ არის.

– მაგრამ ერთი გამაგებინა, რისთვის უნდა ვიბრძოლოთ? დინჯად შეესიტყვა მიკოლაი დლუგოლიასელი. ნეტა ჩვენ რას გვარგია იქ, ზღვებისა და მთების გადაღმა, ეშმაკის ნაშიერების მმართველი თოხთამიში იქნება თუ ვინმე ყუთლუღი?

– თოხთამიში ქრისტიანობას მიიღებდა, – თქვა მაცკომ.

– ეგ არავინ იცის, მიიღებდა თუ არა, განა დაეჯერებათ რამე იმ ძაღლისშვილებს, რომლებსაც ქრისტე არა სწამთ?

– მაგრამ ხამს ქრისტესათვის თავის დადება, – შეედავა პოვალა.

– და რაინდის სახელისთვისაც, – დასძინა ტოპორჩიკმა, კაშტელანის ნათესავმა. – ჩვენს შორის განა ცოტა აღმოჩნდება წამსვლელი. პან სპიტეკ მელშტინელმა ახალგაზრდა, საყვარელი ცოლი მიატოვა და ვიტოლდს ეახლა.

– არც არის გასაკვირი, – ჩაერია იასკო ნაშანელი. – რანაირი ცოდვაც არ უნდა გედოს კისერზე, ამისთანა ომში წასვლით ყველაფერი მიგეტევება.

– და საუკუნო დიდებასაც მოიპოვებ, – ისევ ჩაერია პოვალა ტაჩეველი. – თუ ბრძოლაა, ბრძოლა უნდა იყოს, ხოლო მტერი რაც უფრო ძლიერია, მით უკეთესი. თემურმა დაიპყრო მთელი მსოფლიო, ოცდაშვიდი სამეფო დაიმორჩილა. აბა, წარმოიდგინეთ, რა პატივი და დიდება იქნებოდა ჩვენი ხალხისათვის, ასეთი კაცი რომ აღგვეგავა პირისაგან მიწისა.

– ვითომ რატომ ვერ აღვგვით? – წამოიძახა ტოპორჩიკმა. ასი სამეფოც რომ დაემორჩილებინა, ჩვენ რა გვჭირს იმის შესაშინებელი; დაე, მისი სხვებს ეშინოდეთ! ნამდვილს ბრძანებთ, ერთ დაძახებაზე ათი ათასამდე შუბოსანი შეიკრიბება – და ჩვენ მთელ მსოფლიოს ავიღებთ!

– განა სხვა რომელი ხალხია „კოჭლის“ მძლეველი, თუ არა ჩვენი?

ამ საუბარში იყვნენ რაინდები, ზბიშკო კი გაოცებული ფიქრობდა, როგორ არ მოუვიდა აქამდე აზრად ვიტოლდთან ერთად ველური ტრამალებისათვის მიეცა თავი... ვილნოში მყოფს გული კრაკოვისაკენ მოუწევდა, მეფის სასახლისაკენ, უნდოდა რაინდთა ასპარეზობაში გამოეჩინა სიმარჯვე, ახლა კი დაფიქრდა, რომ აქ მას ალბათ მხოლოდ სახელის გატეხვა და გასამართლება ელის, იქ კი, უარეს შემთხვევაში, მამაცთა სიკვდილი...

მაგრამ ამ დროს ასი წლის ვოიცეხ იაგლოველმა, რომელ. საც სიბერისაგან თავი უცახცახებდა. თუმცა ამავე წლებს დაებრძენებინა კიდეც, ცივი წყალი გადაასხა ატაცებულ რაინდებს.

– თქვე უგუნურებო, – უთხრა მან, – განა არც ერთმა თქვენთაგანმა არ იცის, რომ დედოფალს თვით ქრისტეს ხმა ჩაესმა, და რაკი თვით მაცხოვარი უყურებს მწყალობელი თვალით დედოფალს, მაშინ სული წმინდა, წმინდა სამების მესამე იპოსტასი, რაღად უნდა სწყალობდეს ნაკლებად? ამის გამო დედოფალი ისე ჭვრეტს მომავალს, თითქოს აგერ, მის თვალთა წინ მომხდარიყოს. და, აი, ის ამბობდა...

აქ მან ლაპარაკი შეწყვიტა, თავის ქნევას მოჰყვა და ერთი წუთის მერე თქვა:

– დამავიწყდა, რას ამბობდა ის, მაცალეთ, გავიხსენო.

ის იხსენებდა, რაინდები კი მოთმინებით უცდიდნენ, რადგან ყველა დარწმუნებული იყო, რომ დედოფალი წინასწარმეტყველია.

– ჰო! – წამოიწყო ბოლოს მან. – გამახსენდა! დედოფალმა თქვა, თუ ყველა აქაური რაინდი ამოუდგება მხარში ვიტოლდს „კოჭლის“ წინააღ-

მდეგ საბრძოლველად, ჩვენ ვაჯობებთ კერპთაყვანისმცემლებს, მაგრამ ამაში ქრისტიანი მეფეები შეგვიშლიან ხელს. საზღვრებს ჩეხებისგანაც სჭირდება დაცვა, უნგრელებისგანაც, ჯვაროსნებისგანაც, კაცი ვერავის ენდობა. ხოლო თუ ვიტოლდს ერთი მუჭა პოლონელები გაჰყვებიან, იმათ კოჭლი თემური დაამარცხებს, ან მისი ვოევოდები, რომელთაც უთვალავი ჯარი ჰყავთო...

– კი მაგრამ, ახლა ხომ მშვიდობაა, – თქვა ტოპორჩიკმა და თითქოს თვით ორდენი ეხმარება ვიტოლდს. ჯვაროსნებსაც არ შეუძლიათ სხვანაირად მოიქცნენ, წმინდა მამას მაინც უნდა მოაჩვენონ ისე, ვითომ მზად არიან ებრძოლონ ურწმუნოებს. მეფის ამალაში იმასაც კი ამბობენ, თითქოს კუნო ლიხტენშტაინი მარტო ნათლობაზე კი არ ჩამოვიდა, არამედ მოსალაპარაკებლადაცო...

– აგერ ისიც! – შეჰყვირა გაოცებულმა მაცკომ.

– მართლაც ის არის! – მიიხედა იქით პოვალამ. – ღმერთმანი, ის არის! ცოტა ხანს გაჩერებულა აბატთან, ალბათ განთიადს არც დაუცადა, ისე გამოვიდა ტინეციდან.

– ძალიან აჩქარებულა რაღაც, – მოიღუშა მაცკო. ამ დროს კუნო ლიხტენშტაინმა სულ ახლოს ჩაუარა. მაცკომ ის მოსასხამზე დაკერებული ჯვრით იცნო, ჯვაროსანმა კი ვერც ბიძა იცნო და ვერც ძმისშვილი, რადგან ისინი ადრე მუზარადებში ნახა, მუზარადების ქვეშიდან კი, ჩაფხუტიც რომ აწეული გქონდეს, სახის მხოლოდ ქვემო ნაწილი ჩანს. რაინდებს რომ გვერდით ჩაუარა, ლიხტენშტაინმა თავი დაუკრა პოვალა ტაჩეველს და ტოპორჩიკს და საჭურველმტვირთველთა თანხლებით ნება-ნება, მედიდურად აჰყვა ტაძრის კიბეებს.

ამ დროს ჩამორეკეს ზარი, რომელმაც ტაძრის გუმბათში ბუდედადებული ჭკებისა და მტრედების გუნდები წამოშალა და, ამასთან ერთად, აუწყა, რომ მალე წირვა დაიწყებოდა, მაცკო და ზბიშკო სხვებთან ერთად ტაძარი შევიდნენ. ისინი, ცოტა არ იყოს, შეშფოთებულები იყვნენ ლიხტენშტაინის ასე მალე დაბრუნებით. უნდა ითქვას, რომ შეშფოთება ხნიერ რაინდს უფრო ეტყობოდა. ზბიშკოს მთელი ყურადღება სასახლის კარისაკენ იყო მიმართული. გაჩენის დღიდან არაფერი ენახა ამ დიდებული ტაძრისა და დიდებული შეკრებულობის ფასი. გარშემო სამეფოს ცნობილზე ცნობილი ვაჟკაცები ერტყა, რომელთაც თავი გამოიჩინეს ბრძოლაში ანდა მეფის მრჩევლობაში. მრავალი იმათგანი, ვინც ასეთი წინდახედულებით შერთო ლიტვის დიდ მთავარს პოლონეთის ნორჩი და მშვენიერი დედოფალი, უკვე გარ-

დაცვლილიყო, ცოცხლებს კი ხალხი დიდი მოკრძალებით შეჰყურებდა. ჭაბუკი რაინდი ვერ გამძღარიყო კრაკოვის მოხდენილი კაშტელანის, იასკო ტენჩინელის ცქერით, რომელშიც მრისხანება, კეთილშობილება და მედიდურობა ერთად შერწყმულიყო; აღტაცებით შეჰყურებდა ის სხვა მრჩეველთა ჭკვიან, ღირსების გრძნობით აღსავსე სახეებს, ჯანსაღ რაინდებს, რომელთაც წარბებზემოთ სწორად შეკრეჭილი თმა გრძელ კულულებად დაჰყროდათ მხრებზე, ზოგს კი თავზე ბადურა ჰქონდა წაკრული. საზღვარგარეთელი სტუმრები, რომის იმპერატორის, ჩეხეთის, უნგრეთის, ავსტრიის ელჩები და მათი თანმხლები პირნი, გაოცებდნენ თავიანთი დახვეწილი ტანსაცმლით. ლიტვის თავადებსა და ბოიარებს, მცხუნვარე ზაფხულის მიუხედავად, ძვირფასი ბეწვით გამოკრული ქურქები ჩაეცვათ, რომ სიმდიდრით უფრო გამორჩეულიყვნენ; რუსი თავადები თავიანთ ფართო, გახეშეშებულ ტანსაცმელში, ეკლესიის კედლებისა და ოქროს ვარაყის ფონზე, ბიზანტიურ ხატებს მოგაგონებდნენ. მაგრამ ყველაზე დიდი ინტერესით ზბიშკო მეფისა და დედოფლის გამოსვლას ელოდებოდა; ცდილობდა, წინ გამძვრალიყო, ქსონძების დასაჯდომ ადგილას, რომლის წინ, საკურთხეველთან, ორი წითელი ხავერდის ბალიში იდო, – მეფე და დედოფალი წირვას ყოველთვის მუხლმოყრილნი ისმენდნენ. დიდხანს არ დასჭირვებიათ ცდა: მეფე პირველი გამოჩნდა საეკლესიო სამოსის საცავიდან და სანამ საკურთხეველთან მივიდოდა, ზბიშკომ მოასწრო კარგად შეეთვალიერებინა. შუბლიდანვე შეთხელებული შავი, გრძელი და აწეწილი თმა ყურებზე გადაეწია, შავგვრემანი, სუფთად გაპარსული სახე და კეხიანი, წაწვეტებული ცხვირი ჰქონდა, ტუჩების გარშემო ნაოჭები მოსძალებოდა, შავი, წვრილი, მოელვარე თვალები აქეთ-იქით გაურბოდა, გეგონებოდათ, სანამ საკურთხეველთან მივა, ტაძარში თავშეყრილ მლოცველთა გადათვლა მოუსურვებიაო. მეფეს კეთილი სახე ჰქონდა, მაგრამ, ამავე დროს, დაძაბულობა ემჩნეოდა, როგორც შეეფერება ადამიანს, რომელსაც ბედმა მოსალოდნელზე უფრო მაღლა ასვლა უბოძა და იძულებულია ყოველთვის იფიქროს იმაზე, პასუხობს თუ არა მისი საქციელი მეფის ტიტულს, და ეშინია გაკილვისა. ალბათ ამიტომ იყო, მის სახესა და მოძრაობას რაღაც მოუთმენლობა რომ დატყობოდა. ადვილად მიხვდებოდით, როგორი ულმობელი და საშიში იქნებოდა ის მრისხანების ჟამს და რომ მაინც იმ მთავრად დარჩენილიყო, რომელმაც ოდესღაც, ჯვაროსნების ხრიკებით მოთმინებადაკარგულმა, მათ გამოგზავნილ ხალხს მიაძახა: „თქვენ ჩემთან პერგამენტებით მობრძანდით, მე კი შუბით გაგისწორდებით!“

მაგრამ ეს ბუნებით ფიცხი ხასიათი ახლა დაეყურებინა ღრმა და წრფელ ღვთისმოშიშობას. მეფე ყოველთვის მისაბაძი იყო არა მარტო ლიტვის ახლად მოქცეულ მთავართათვის, არამედ იმ პოლონელი დიდებულებისთვისაც, რომლებსაც ათადან-ბაბადან გაეთქვათ სახელი თავიანთი ღვთისმოსაობით. ხშირად ხელმწიფე ბალიშს გვერდზე მიაგდებდა და ხორცის ყოველნაირად დასათრგუნავად მუხლმოყრილი შიშველ ქვებზე იდგა; ხელებს მაღლა აღაპყრობდა და მანამდე არ დაუშვებდა, სანამ არაქათგამოცლილი თვითონ არ ჩამოუცვივდებოდა. ის დღეში, სულ ცოტა, სამ წირვას ისმენდა უდიდესი გულმოდგინებით. ფიალის გახსნა და მცირე ზარის ხმა ჟამის წირვაზე ყოველთვის აღფრთოვანებით, შიშით, ნეტარებითა და სასოებით აღავსებდა მის სულს. წირვის შემდეგ ისე გამოდიოდა ტაძრიდან, თითქოს ახლა გამოფხიზლდაო, დამცხრალი და მორჩილი, და დიდებულებმა იცოდნენ, რომ ამ დროს ყველაზე ადვილად დაითანხმებდნენ მას მოწყალებასა ან ნაბოძვარის გაცემაზე.

მეფის შემდეგ გამოვიდა იადვიგა. წირვა ჯერ არ იყო დაწყებული, მაგრამ წინა რიგში მდგომმა რაინდებმა დედოფლის დანახვაზე მუხლი მოიყარეს, უნებურად თაყვანი სცეს მას, როგორც წმინდანს. ზბიშკომაც იგივე მოიმოქმედა, რადგან მლოცველთა შორის არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ შესცქეროდნენ წმინდანს, ვისი ხატებიც სულ მალე დაამშვენებდნენ ტაძართა საკურთხევლებს. იადვიგა ისეთ მკაცრ და მოსაგრეობით ცხოვრებას ეწეოდა, განსაკუთრებით ბოლო წლებში, რომ იმ პატივის გარდა, რომელსაც მას მიაგებდნენ როგორც დედოფალს, წმინდანადაც შერაცხეს. ხალხი და დიდებულები ერთმანეთს ლეგენდად გადასცემდნენ დედოფლის ნამოქმედარ სასწაულებს. ხმა დადიოდა, იგი ხელის მიკარებით ავადმყოფს ჰკურნავსო, ადამიანები, რომელთაც ხელ-ფეხი წართმეული აქვთ, განიკურნებიან, თუ დედოფლის ძველ ტანსაცმელში გაეხვევიანო. ხალხი, ვისაც დაეჯერებოდა, ამბობდა, საკუთარი ყურით გავიგონეთ, როგორ უქადაგაო დედოფალს ერთხელ იესო ქრისტემ. მის წინაშე მუხლს იყრიდნენ უცხოელი მონარქები, მას ანგარიშს უწევდნენ და შეურაცხყოფის მიყენებას ერიდებოდნენ თვით ჯვაროსანთა ამაყი ორდენის წარმომადგენელნი. პაპი ბონიფაციუს IX ღვთისმოსავ ასულსა და ეკლესიის რჩეულს უწოდებდა. მსოფლიო შეჰყურებდა მის საქმეებს და ახსოვდათ, რომ ის ანჟუელთა და პოლონელი პიასტების შთამომავალი იყო, ქალიშვილი ძლევამოსილი ლუდოვიკისა, აღზრდილი ყველაზე უფრო ბრწყინვალე მეფის კარზე, ბოლოს, ის იყო უმშვენიერესი ქალწული დედამიწაზე, რომელმაც უარყო ბედნიერება, გასწირა პირველი ქალწულებრივი სიყვარული და თავად დედოფალი შეუ-

უღლდა ლიტვის „ველურ“ მთავარს, რათა მასთან ერთად იესო ქრისტეს ფერხთით დაემხო უკანასკნელი კერპთაყვანისმცემლები ევროპაში. ის, რაც არ ძალუძდათ გერმანელებს, ყოვლისშემძლე ორდენს, ჯვაროსნულ ლაშქრობებსა და დაღვრილი სისხლის ზღვებს, მოიმოქმედა მისმა ერთმა სიტყვამ. ჯერ ასეთი ნორჩი და მშვენიერი სხეული არასოდეს გაბრწყინებულიყო სამოციქულო შარავანდედით, არასოდეს მოციქულობა არ შეხამებოდა ასეთ თვითაღკვეთას, არასოდეს ქალური მშვენება არ გასხივოსნებულიყო ასეთი ანგელოზური სიკეთით და ასეთი გამოუთქმელი ნაღველით.

მენესტრელები ევროპის ყველა მეფის კარზე სიმღერებს თხზავდნენ მასზე; კრაკოვში ყველაზე შორეული ქვეყნებიდანაც კი ჩამოდიოდნენ რაინდები, რათა ეხილათ პოლონეთის დედოფალი. თვალისჩინივით უფრთხილდებოდა და ესიყვარულებოდა მას საკუთარი ხალხი, ვისი ძალოვანება და სახელიც მან გაამრავლა იაგელოსთან საქორწინო კავშირით. ერთი დიდი ნაღველი უწამლავდა სიცოცხლეს მასაც და მის ხალხსაც: მრავალი წლის განმავლობაში ღმერთი თავის რჩეულს შთამომავლობას არ აძლევდა.

მაგრამ როცა ბოლოს და ბოლოს ამ უბედურებამაც გაიარა, სასიხარულო ცნობა ღვთისაგან ბოძებულ წყალობაზე ელვის სისწრაფით გავრცელდა ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე და კარპატებამდე და ვეება სახელმწიფოს ყველა ხალხის გული სიხარულით აღავსო.

უცხო სამეფოთა კარზეც, ყველგან, ჯვაროსნების დედაქალაქის გარდა, ეს ამბავი სიხარულით მიიღეს. რომში გალობდნენ „Te Deum”[6]. პოლონეთში საბოლოოდ განუმტკიცდათ აზრი, რომ საკმარისია „წმინდა მეუფემ“ რამე შესთხოვოს ღმერთს – და მის ლოცვას უეჭველად შეისმენსო.

ხალხი მიდიოდა მასთან და შესთხოვდა, ელოცა მათი ჯანმრთელობისათვის. ქვეყნებისა და მაზრების ელჩები ემუდარებოდნენ, წვიმის მოსაყვანად ელოცა, ხან მკის დროს კარგი ამინდის დადგომას ავედრებდნენ, ხან ხელხვავრიელ თიბვას, ხან თაფლის კარგ მოსავალს, ხან უხვ თევზს ტბებში და ნადირს ტყეში. საზღვრისპირა ციხესიმაგრეთა მრისხანე რაინდები, რომლებიც გერმანელების წაბაძვით გამუდმებით მართავდნენ შინაომებს და ყაჩაღობდნენ, მის ერთ სიტყვაზე ჩააგებდნენ ხოლმე ხმალს ქარქაშში, ათავისუფლებდნენ ტყვეებს გამოსასყიდის გარეშე, აბრუნებდნენ გარეკილ საქონელს და, მშვიდობის ნიშნად, ხელს უწვდიდნენ ერთმანეთს. ყველა ღარიბი და ღატაკი კრაკოვის ციხესიმაგრის კარიბჭესთან იყრიდა თავს. მი-

[6] ვადიდოთ უფალი (ლათ.) – ლოცვის ნაღვლიანი სიტყვები.

სი წმინდა სული სწვდებოდა ადამიანთა გულების უშორეს კუნჭულებს, ხვედრს უმსუბუქებდა ტუსაღებს, აშოშმინებდა დიდებულთა სიამაყეს, მოსამართლეთა პირქუშობას და მთელ ქვეყანაში მოეხვეჭა სახელი, როგორც მცნევარს ბედნიერებისა, როგორც სამართლიანობისა და მშვიდობის ანგელოზს.

ყველა გულის ფანცქალით ელოდა იმ დალოცვილ დღეს.

რაინდები ყურადღებით აკვირდებოდნენ დედოფლის ტანს, რომ მიმხვდარიყვნენ, დიდი ხანი იყო დარჩენილი თუ არა მომავალი ტახტის მემკვიდრის დაბადებამდე. კრაკოვის არქიეპისკოპოსი ვიში, რომელიც, ამავე დროს, ყველაზე გამოცდილი მკურნალი იყო მთელ ქვეყანაში და საზღვარგარეთაც ჰქონდა სახელი გავარდნილი, მაინცდამაინც მალე მოლოგინებას არ წინასწარმეტყველებდა, და თუ დღესასწაულისათვის მაინც ემზადებოდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინდელი წესების მიხედვით, დღესასწაული დიდი ხნით ადრე იწყებოდა და მთელი კვირები გრძელდებოდა. თუმცა დედოფალს სხეული ოდნავ შემრგვალებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა სიკოხტავე. ძალზე უბრალოდ ეცვა. ოდესღაც ბრწყინვალე სასახლეში აღზრდილს, მაშინდელ მთავრის ცოლებსა და მეფის ასულებს შორის ულამაზესს, უყვარდა ძვირფასი ქსოვილები, სამკაულები, მარგალიტები, ოქროს სამაჯურები და ბეჭდები, მაგრამ ახლა უკვე რამდენიმე წელი იყო, არა მარტო მონაზვნის ტანსაცმელი ეცვა, სახესაც იფარავდა, რათა საკუთარი სილამაზით არ გაამაყებულიყო. როდესაც იაგელომ გაიგო, დედოფალი ფეხმძიმედააო, გახარებული ამაოდ ცდილობდა მის დაყოლიებას, რომ სარეცელი ფარჩითა და ძვირფასეულობით მოერთო. დედოფალმა უპასუხა, დიდი ხანია დავთმე სიმდიდრე, რადგან კარგად ვიცი, მშობიარობის საათი ხშირად სიკვდილის საათად იქცევა, ამიტომ ღვთის წყალობა ძვირფას თვლებში გამოწყობილმა კი არა, გულმშვიდმა და უბრალოდ ჩაცმულმა უნდა მივიღოო.

ამასობაში ოქრო და ძვირფასეულობა იხარჯებოდა აკადემიისათვის ან ახლად გაქრისტიანებული ლიტველი ჭაბუკების საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში გასაგზავნად.

მას შემდეგ, რაც დედობის იმედი განუმტკიცდა, დედოფალმა მხოლოდ ერთში შეცვალა თავისი მონაზვნური გარეგნობა, – სახეს აღარ იფარავდა, რაკი გადაწყვიტა, რომ ამას იქით აღარ შეეფერებოდა მოსანანიებელი სამოსი.

ყველა სიყვარულით მისჩერებოდა მშვენიერ სახეს, რომელსაც მოსართავად სულაც არ ესაჭიროებოდა ოქრო და ძვირფასეული. დედოფალს თვალები ზეცისკენ აღეპყრო, ერთ ხელში ლოცვანი ეჭირა, მეორეში – კრიალოსანი და დინჯად მიდიოდა საკურთხევლისაკენ. ზბიშკომ დაინახა მისი ნატიფი სახე, ლაჟვარდისფერი თვალები, ჭეშმარიტად ანგელოზისებური ნაკვთები, აღსავსე სიმშვიდით, სიკეთითა და მოწყალებით, და გულმა ბაგაბუგი დაუწყო. მან იცოდა, რომ ღვთის ნებით უნდა ჰყვარებოდა თავისი მეფე და დედოფალ და უყვარდა კიდეც თავისებურად, მაგრამ ახლა უეცრად აღენთო მათდამი უდიდესი სიყვარულით, რომელიც გულში დაუკითხავად აბრიალდება ხოლმე და აღავსებს დიდესი მოწიწებით, მორჩილებით და ერთადერთი სურვილით – თავი შესწირო ამ ხალხს. ზბიშკო ახალგაზრდა იყო, ფიცხი და ახლა საოცრად-მოუნდა დაემტკიცებინა მეფისა და დედოფლისათვის მთელი თავისი რაინდული სიყვარული და ერთგულება, უნდოდა რაიმე გმირობა ჩაედინა ამ სიყვარულის გამო, სადღაც წასულიყო, ვიღაც აეჩეხა, რაღაც მოეპოვებინა და ამისთვის თავი შეეწირა. „ხომ არ გავყვე მთავარ ვიტოლდს, – ამბობდა თავისთვის, – აბა სხვანაირად როგორ ვემსახურო ამ წმინდა მეუფეს, თუკი აქ ახლო-მახლო არსად ომი არ არის?“ მას აზრადაც არ მოსდიოდა, რომ სამსახური მარტო მახვილით, მშვილდისრითა ან ცელით როდი შეიძლებოდა, და მზად იყო მარტოდმარტო გასულიყო თემურლენგის მთელი ლაშქრის წინააღმდეგ. მას სურდა ახლავე, წირვის შემდეგ, ზურგზე მოქცეოდა ცხენს და რაღაც გადაეწყვიტა. მაგრამ რა? ეს თვითონაც არ იცოდა. იცოდა მხოლოდ ის, რომ მოუთმენლობისაგან იწვოდა, რომ არ შეეძლო გულხელდაკრეფილი მჯდარიყო, რომ მთელი სული აფორიაქებული ჰქონდა.

მას კვლავ გადაავიწყდა, რა საშიშროება ემუქრებოდა. ერთი წუთით დანუსიაც კი გაუქრა მეხსიერებიდან. ხოლო როცა ეკლესიაში ბავშვებმა გალობა წამოიწყეს და ზბიშკოს დანუსია გაახსენდა, უცებ იგრძნო, რომ მასთან „სულ სხვა ამბავი იყო“. დანუსიას მან ერთგულება შეჰფიცა, შეჰფიცა, მოეკლა სამი გერმანელი – და კიდეც შეასრულებს ამ ფიცს, მაგრამ დედოფალი ყველა ქალზე მაღლა დგას, და როცა გაიფიქრა, რამდენი გერმანელი შეეძლო მოეკლა დედოფლისათვის, თვალწინ წარმოუდგა ჯავშნების, ჩაფხუტების, სირაქლემისა და ფარშავანგის ფრთების მთელი მთები, მაგრამ ესეც კი ეცოტავა...

ის თვალს არ აშორებდა დედოფალს და გულაფრენილი ფიქრობდა, როგორ ელოცა მის პატივსაცემად, რადგან მიაჩნდა, რომ დედოფლისათვის უგულოდ ლოცვა არ შეიძლებოდა. მან იცოდა წაკითხვა: Pater noster, qui

es in coelis, sanɢtificetur nomen tuum[7]. ეს მას ერთმა ფრანცისკელმა ასწავლა ვილნოში, მაგრამ თვითონ ბერმა არ იცოდა ამაზე მეტი, თუ ზბიშკომ ვერ დაიმახსოვრა ლოცვა, ეგ კი იყო, რომ „მამაო ჩვენო“ ბოლომდე ვერ თქვა. და ახლა გაუთავებლად იმეორებდა ლოცვის რამდენიმე სიტყვას, რომლებიც მის გულში ნიშნავდა: „მიეც სანატრელსა მეუფეს ჩვენსა სიკეთე ჯანისა, დღეი გრძელი და იყავნ მოწყალე მას ზედა უმეტეს ყველა დანარჩენთა“. რაკი ლოცვის სიტყვებს იმეორებდა ადამიანი, რომელსაც აგერ-აგერ სასამართლო და სასჯელი ემუქრებოდა, გასაგებია, რომ მთელ ტაძარში მასზე გულმხურვალედ არავინ ლოცულობდა...

წირვა რომ დამთავრდა, ზბიშკომ გაიფიქრა, ოღონდ ნება დამრთონ დედოფალს ვეახლო, მის წინაშე დავემხო და მუხლებზე ვემთხვიო და მერე თუნდა აღსასრულიც დამდგომიაო, მაგრამ პირველ წირვას მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე, ხოლო ამის შემდეგ დედოფალმა თავის პალატებს მიაშურა, წესისამებრ, შუადღემდე მარხულობდა ხოლმე და მონაწილეობას არ ღებულობდა მხიარულ ტრაპეზებში, რომელთა დროს მეფისა და სტუმართა გასართობად მასხარები და მემუსიკეები გამოდიოდნენ. ამ ოცნებაში რომ იყო, ზბიშკომ დაინახა დლუგოლიასელი რაინდი, რომელმაც უთხრა, მთავრის მეუღლე გიხმობსო.

– სუფრაზე მე და დანუსიას შენ მოგვემსახურები, როგორც ჩემი კარისკაცი, – უთხრა ქალბატონმა, იქნებ შეძლო მოსწრებული სიტყვით ან ხუმრობით მოიგო მეფის გული, რომ წყალობის თვალით გადმოგხედოს, ჯვაროსანმა კიდევაც რომ გიცნოს, როცა დაინახავს, მეფის სუფრაზე მე მემსახურები, იქნებ გადაიფიქროს დაბეზღება.

ზბიშკო ხელზე ეამბორა ქალბატონს და მერე დანუსიას მიუბრუნდა; მართალია, ის ომებსა და ბრძოლებს უფრო შეჩვეული იყო, ვიდრე კარის წეს-ჩვეულებებს, მაგრამ ალბათ გაიხსენა, როგორი მოქცევა მართებს რაინდს, როცა დილით თავის ქალბატონს ხვდება: მან ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, სახეზე გაოცება გამოესახა, პირჯვარი გადაიწერა და წამოიძახა:

– სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა!..

დანუსიამ ცისფერი თვალები შეანათა და გაოცებით ჰკითხა:

– რატომ იწერ პირჯვარს, ზბიშკო, წირვა ხომ უკვე დამთავრდა.

– ო, ტურფაო ქალბატონო, როგორ გამშვენიერებულხარ ამ ერთ ღამეში! პირდაპირ სასწაულია!

---

[7] მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა... (ლათ.)

მაგრამ მიკოლაი დლუგოლიასელმა, ხანდაზმულმა ადამიანმა, უცხოური ახალი რაინდული წესების მოძულემ, მხრები აიჩეჩა და თქვა:

– რატომ ხარჯავ ტყუილუბრალოდ დროს, მომდგარხარ და სილამაზეზე ელაყბები მაგ გამსლეულ გოგოს, ჯერ მიწას რომ არ ასცილებია. ზბიშკომ მძვინვარედ გადახედა მას.

– ცოტა ფრთხილად იყავით, როცა გამსლეულს უწოდებთ, – უთხრა და რისხვისაგან გაფითრდა, – და ისიც იცოდეთ, ცოტა ახალგაზრდა რომ ყოფილიყავით, ახლავე ვბრძანებდი, ამ ციხის უკან მიწა მოეტკეპნათ და სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეგებმოდით...

– ხმა გაწყვიტე, შე ლაწირაკო!., მე ახლაც კარგად გაგისწორდები!

– გაჩუმდი! – გაიმეორა მთავრის მეუღლემ. – იმის მაგივრად, საკუთარ ტყავზე იზრუნოს, ერთი ამას დამიხედეთ, ისევ მუშტებზე არ იყურება. ეტყობა, შენზე გონიერი რაინდი უნდა შემერჩია დანუსიასთვის! იცი, რას გეტყვი: თუ აქ აყალ-მაყალის ასატეხად ხარ მოსული, სადაც გნებავს, მიბრძანდი! გზა დიდია, შენისთანები აქ არავის სჭირდება...

ზბიშკოს შერცხვა და ბოდიში მოუხადა ქალბატონს. მაგრამ გულში მაინც ჩაიხვია, თუ პან მიკოლაი დლუგოლიასელს მოზრდილი შვილი ჰყავს, ისე როგორ იქნება, როდისმე არ შევხვდე, ორთაბრძოლაში არ გამოვიწვიო და „გამსლეულის“ გულისთვის შური არ ვიძიოო. ჯერჯერობით კი გადაწყვიტა, სანამ მეფის პალატებში იყო, თავი ისე დაეჭირა, რომ არავისი ყურადღება არ მიექცია და, თუ რაინდის სახელისა და პატივის დაცვაზე არ მიდგებოდა საქმე, ისე ორთაბრძოლაში არავინ გამოეწვია...

ბუკის ხმამ ყველას ამცნო, რომ საუზმე მზად იყო. ქალბატონმა ანამ დანუსიას ხელი მოჰკიდა და მეფის პალატებისაკენ გაემართა, რომლის შესასვლელში მას რაინდები და დიდებულები ელოდებოდნენ. ქალბატონი ალექსანდრა, ზემოვიტის მეუღლე, პირველი შევიდა. როგორც მეფის ღვიძლ დას, სუფრასთან მას უფრო მაღალი ადგილი ეკავა. მალე დარბაზი გაივსო უცხოელი სტუმრებით და საუზმეზე მოპატიჟებული წარჩინებულებითა და რაინდებით. მეფე სუფრის თავში იჯდა, ამაღლებულ მხარეს, მის გვერდით ისხდნენ კრაკოვის ეპისკოპოსი და ვოიცეხ იასტჟემბეცი, რომელიც, როგორც პაპის ელჩი, მხარმარჯვნივ ეჯდა მეფეს, თუმცა ეპისკოპოსზე ნაკლები წოდებისა გახლდათ. ორივე მთავრის მეუღლეებმა მომდევნო ადგილები დაიკავეს. ანა დანუტას შემდეგ მოხერხებულად მოკალათდა გნეზნის არქიეპისკოპოსი იანი, სილეზიის პიასტების შთამომავალი, ოპოლის მთავრის ბოლეკ III-ის შვილი. ზბიშკოს მისი სახელი ჯერ კიდევ ვიტოლდის

კარზე გაეგონა და ახლა, ქალბატონისა და დანუსიას უკან მდგარმა, მყისვე შეიცნო მთავარი სქელი, გაბურძგნილი, ლობიოს გამხმარი პარკივით დაგრეხილი თმით, თავს რომ აიაზმის სასხურებელს უმგვანებდა. პოლონელ მთავართა სასახლეებში მას „კროპიდლოს“ (კროპეს – სასხურებელს ნიშნავს) უწოდებდნენ, ხოლო ჯვაროსნები – „გრაპიდლოს“, ეს კაცი მხიარულ და გულღია ადამიანად იყო ცნობილი. როცა მეფის ნება-სურვილის წინააღმდეგ გნეზნის საარქიეპისკოპოსო მიიღო და მისი დაკავება იარაღით მოისურვა, ამის გამო მას საეკლესიო წოდება ჩამოართვეს და გააძევეს. მერე ჯვაროსნებს დაუკავშირდა, რომელთაც მას საცოდავი კამენის საეპისკოპოსო უწყალობეს. მაშინ კი მიხვდა, რომ ძლევამოსილ მეფესთან კეთილგანწყობილებაში ერჩია ცხოვრება, პატიება სთხოვა, სამშობლოში დაბრუნდა და დაელოდა, როდის განთავისუფლდებოდა რომელიმე ეპარქია, რომ მწყალობელ მეფეს მისთვის ებოძებინა. მერე და მერე ეს იმედები გაუმართლდა, ახლა კი ჯერჯერობით ოხუნჯობით ცდილობდა მეფის გულის მონადირებას. უნდა ითქვას, რომ ჯვაროსნებს ჯერაც კეთილი თვალით შეჰყურებდა. აქაც კი, იაგელოს კარზე, სადაც არც დიდებულები და არც რაინდები დიდად არად აგდებდნენ მას, ერთთავად ლიხტენშტაინის ახლომახლო ყოფნას ცდილობდა და სუფრასთან მის გვერდით დაჯდომა სურდა.

ახლაც ასე მოხდა. როცა ზბიშკო ქალბატონის სავარძლის უკან დადგა, ისე ახლოს აღმოჩნდა ჯვაროსანთან, რომ სულ ადვილად მისწვდებოდა. ჭაბუკმა რაინდმა ერთბაშად იგრძნო, რომ ხელები ექავებოდა და უნებურად მუშტებს კუმშავდა, მაგრამ დაიოკა ბრაზი და რაიმე უღირსის გაფიქრების ნებაც არ მისცა თავის თავს. თუმცა დროდადრო ხარბი თვალით გადახედავდა ხოლმე ლიხტენშტაინის ქერა, შემელოტებულ თავს. მის კისერს, ხელებს და მხრებს, თითქოს გუნებაში ანგარიშობდა, ადვილად დაამარცხებდა თუ არა ბრძოლაში ან პირისპირ შერკინებისას. ზბიშკოს მოეჩვენა, რომ არც ისე გაუჭირდებოდა. თუმცა ღონიერი მხრები გამოკვართოდა თხელი ნაცრისფერი მაუდის ვიწრო ხიფთანში, მაგრამ მაინც მოლეული ჩანდა პოვალასთან, პაშკო ბისკუპიცელთან, ორთავე მამაც სულიმჩიკთან, კოზიხგლუველ ქშონსა და სხვა მრავალ რაინდთან შედარებით, რომლებიც ამ სამეფო სუფრას შემოსხდომოდნენ.

აღფრთოვანებითა და შურით შესცქეროდა - ზბიშკო ამ რაინდებს, მაგრამ მთავარი მისთვის მაინც მეფე იყო, რომელიც ყურადღებით ათვალიერებდა ირგვლივ ყველაფერს, დროდადრო კი თმას ყურებზე გადაიწევდა ხოლმე, თითქოს ბრაზობდა, აქამდე რატომ არ შემოაქვთო საუზმე. მან ერთი წამით მზერა ზბიშკოზეც შეაჩერა. რაღაც გაურკვეველმა შიშმა შეუკუმშა

უცებ ჭაბუკს გული, როგორ უნდა წარმდგარიყო მრისხანე მეფის წინაშე. მხოლოდ ახლა დაფიქრდა სერიოზულად, რა ჩაიდინა, და რომ პასუხისგებას ამ საქციელის გამო ვერ ასცდებოდა. ამ წუთამდე მოსალოდნელ სასჯელზე ფიქრი ისეთი შორეული და ბუნდოვანი ეჩვენებოდა, რომ ყურადღების ღირსადაც არ თვლიდა. გერმანელს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ჭაბუკი რაინდი, რომელიც თავხედურად დაესხა თავს გზაზე, ახლა მასთან სულ ახლოს იდგა. საუზმეზე მოიტანეს ღვინის შეჭამანდი, ისე უხვად შეზავებული კვერცხით, დარიჩინით, ზაფრანით, მიხაკით და ჯანჯაფილით, რომ სანელებლების სუნი მთელ დარბაზს მოედო. სწორედ ამ დროს კართან სკამზე ჩამომჯდარმა მასხარა ციარუშეკმა ბულბულივით დაუსტვინა. ალბათ იცოდა, რომ ეს ართობდა მეფეს. მეორე მასხარა მსახურებთან ერთად სუფრას უვლიდა ირგვლივ, შეუმჩნევლად დგებოდა რომელიმე სტუმრის უკან და ისე ბაძავდა ფუტკრის ზუზუნს, რომ ზოგიერთმა სტუმარმა კოვზი დადო და მოგერიება სცადა. ამის დანახვაზე ხალხი სიცილით იხოცებოდა. ზბიშკო გულმოდგინედ ემსახურებოდა ქალბატონსა და დანუსიას, მაგრამ როცა ლიხტენშტაინმაც დაიშინა ხელი გამელოტებულ თავზე, კვლავ დაავიწყდა, რა საფრთხე ემუქრებოდა, და ისე გადაიხარხარა, ცრემლები წამოსცვივდა. იქვე მახლობლად მდგარი ახალგაზრდა ლიტველი თავადი იამონტი, სმოლენსკის გამგებლის ვაჟი, აჰყვა მას და ისე გულმოდგინედ აძლევდა ბანს, რომ თეფშებიდან საჭმელი უცვიოდა.

ბოლოს ჯვაროსანმა თავისი წინდაუხედაობა შენიშნა, ეპისკოპოს კროპიდლოს მიუბრუნდა, ხელი ჯიბეში ჩაიყო და რამდენიმე სიტყვა უთხრა გერმანულად, რაც ეპისკოპოსმა მაშინვე გადათარგმნა პოლონურად.

– კეთილშობილმა რაინდმა მოგახსენათ, – მიმართა მან მასხარას, – ორ სკოიცეს მოგცემ, ოღონდ ყურში ნუ ჩამზუზუნებო, რადგან ფუტკრებს აქშევენ, ხოლო შენსავით მუქთახორა მამალ ფუტკრებს ხოცავენო...

მასხარამ შეინახა ჯვაროსნის მიცემული ფული, ისარგებლა იმით, რომ მეფის კარზე მასხარებს თავისუფალი ლაპარაკის უფლება აქვთ და უპასუხა:

– ბევრი თაფლია დობჟინის მიწაზე და ამიტომაც დაესივნენ მას მამალი ფუტკრები. მისცხე მაგათ, მეფეო ვლადისლავ!

– აჰა, კიდევ ერთი გროში ჩემგან მოსწრებული პასუხისათვის, – უთხრა მას კროპიდლომ, – მაგრამ გახსოვდეს, თუ წკალა ჩაუტყდა, თაფლის ამომღები უეჭველად კისერს წაიტეხს. მალბორგელ ფუტკრებს, დობჟინს რომ შესევიან, შხამიანი ნესტრები აქვთ და იმათ როგოში შესვლა საშიშია.

– დიდი საქმე! – წამოიძახა კრაკოველმა მეხრმლემ, ზინდრამ მაშკოვიცელმა, – მათი დახრჩოლება შეიძლება!

– როგორ?

– დენთით!

– ანდა ფუღურო ნაჯახით უნდა დაიმსხვრეს, – თქმა გოლიათმა პაშკო ბისკუპიცელმა.

ზბიშკოს ამის გაგონებაზე გული აუფართხალდა, რადგან, მისი აზრით, ასეთი საუბარი ომს მოასწავებდა. კუნო ლიხტენშტაინმაც შესანიშნავად გაიგო მთელი ამ ლაპარაკის შინაარსი, რადგან ტორუნსა და ჰელმნოში დიდი ხანი იცხოვრა და კარგად ისწავლა პოლონური ენა, თუმცა არასოდეს კადრულობდა პოლონურად ლაპარაკს. ახლა კი გულზე უკბინა ზინდრამ მაშკოვიცელის ნათქვამმა, თავისი ნაცრისფერი თვალებით მიაჩერდა და თქვა:

– ვნახოთ.

– ჩვენს მამებს პლოვცესთან უნახავთ და ჩვენც გვინახავს ვილნოსთან, – უპასუხა მას ზინდრამმა.

– Pax vobiscum![8] – წამოიძახა კროპიდლომ,– Pax! Pax! დაე, ჯერ ყოვლად სამღვდელო მიკოლაი კუიაველმა დასტოვოს კუიავის საეპისკოპოსო, ხოლო მწყალობელმა მეფემ მე დამნიშნოს მის მოადგილედ, მე თქვენ იმისთანა მშვენიერ ქადაგებას წაგიკითხავთ ქრისტიანი ხალხის ურთიერთსიყვარულზე, რომ ყველას ერთ წამში მოგათვინიერებთ. ვინაიდან სიძულვილი სხვა არა არის რა, თუ არა ignis, და თანაც ignis infernalis,[9] – ეს ცეცხლი კი ისეთი საშინელია, რომ წყლით ვერაფერს დააკლებ, მხოლოდ ღვინით შეიძლება ჩაქრობა, მოიტანეთ ღვინო! სვი და იმხიარულე, როგორც აწ განსვენებული ეპისკოპოსი ზავიშა კუროზვენკელი იტყოდა.

– მხიარულების შემდეგ კი პირდაპირ ჯოჯოხეთს მიაშურე, როგორც ეშმაკი იტყოდა! – დასძინა მასხარა ციარუშეკმა.

– ეშმაკსაც წაუღიხარ!

– უფრო საინტერესო იქნება, თუ თქვენ წაგიღებთ. ჯერ არავის უნახავს ეშმაკი „კროპიდლოსთან“ ერთად, მაგრამ, ვფიქრობ, ყველას კარგად გაგვამხიარულებთ...

---

[8] მშვიდობა ჩვენდა! (ლათ.)

[9] ჯოჯოხეთის ცეცხლი (ლათ.)

– ჯერ შენ დაგასხურებ. მიბოძეთ ღვინო და გაუმარჯოს ქრისტიანებს შორის სიყვარულს.

– ჭეშმარიტ ქრისტიანებს შორის! – ხაზგასმით თქვა კუნო ლიხტენშტაინმა.

– რა ბრძანეთ? – თავი ასწია და შესძახა- კრაკოვის ეპისკოპოსმა ვიშმა, – განა თქვენ ძველისძველ ქრისტიანულ სამეფოში არ იმყოფებით? განა ჩვენი ტაძრები მალბორგისაზე ძველი არ არის?

– არ ვიცი, – უპასუხა ჯვაროსანმა.

როცა საქმე ქრისტიანობას შეეხებოდა, მეფე განსაკუთრებით მგრძნობიარე ხდებოდა ხოლმე. მას მოეჩვენა, რომ ჯვაროსანს პირადად მისი წყენა განეზრახა; გამხდარი ლოყები აუფორეჯდა, თვალები აენთო.

– რას ნიშნავს ყოველივე ეს? – გაისმა მისი დაბალი ხმა. – განა მე ქრისტიანი მეფე არა ვარ?

– სამეფო კი ქრისტიანულია, – ცივად მიუგო ჯვაროსანმა, – მაგრამ წესჩვეულებები წარმართული გაქვთ...

ამ სიტყვებზე წამოიწიენ მრისხანე რაინდები: მარცინ ვროციმოვიცელი პულკოზის გერბისა, ფლორიან კორიტნიცელი, ბარტოშ ვოძინკელი, დომარატ კობლიანელი, პოვალა ტაჩეველი, პაშკო ბისკუპიცელი, ზინდრამ მაშკოვიცელი, იაკსა ტარგოვისკელი, ქშონ კოზიგლუველი, ზიგმუნდ ბობოველი და სტაშკო ხარბიმოვიცელი, მძლეთამძლენი, მრავალ ბრძოლასა და ასპარეზობაში გამარჯვებულნი. მათ მრისხანებისაგან ალმური ასდიოდათ, ხან ფიფრდებოდნენ და კბილების ღრჭიალით ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ:

– ვაი, ჩვენი ბრალი, რომ სტუმარია და ბრძოლაში ვერ გამოვიწვევთ!

ზავიშა შავი სულიმჩიკი, რჩეულთა შორის გამორჩეული, რაინდობის ნიმუში“, შუბლშეჭმუხნილი მიუბრუნდა ლიხტენშტაინს და ჰკითხა:

– ვეღარ მიცვნიხარ, კუნო! როგორ ბედავ, შენ, რაინდმა, შეურაცხჰყო შესანიშნავი ხალხი, მხოლოდ იმის იმედით, რომ ელჩი ხარ და ამისათვის სასჯელი არ მოგეზღვის?

კუნომ მშვიდად გაუძლო გოროზ მზერას და დამარცვლით უპასუხა:

– სანამ პრუსიაში მივიდოდით, ჩვენი ორდენი პალესტინაში იბრძოდა, იქ სარკინოზებიც კი პატივს სცემენ ელჩებს. მხოლოდ თქვენ არ აგდებთ აღარაფრად მათ. აი, ამიტომ ვუწოდე თქვენს ადათ-წესებს წარმართული.

ამ სიტყვებზე კიდევ უფრო დიდი ხმაური ატყდა. ისევ გაისმა მაგიდასთან ხმები:

– ვაი, ჩვენი ბრალი!

მაგრამ როცა მეფემ, რომელსაც მრისხანებისაგან სახეზე ალმური ასდიოდა, ლიტვური ადათის მიხედვით რამდენჯერმე შემოჰკრა ტაში, ყველა მიწყნარდა. მაშინ წამოდგა კრაკოვის კაშტელანი იასკო ტოპურ ტენჩინელი, ჭაღარა, ღირსეული მოხუცი, რომლის მაღალი წოდება ყველას შიშს ჰგვრიდა, და თქვა:

– კეთილშობილო ლიხტენშტაინელო რაინდო, თუ თქვენ, როგორც ელჩს, ვინმემ გაწყენინათ, ბრძანეთ და დაუყოვნებლივ საკადრისად დავსჯით მას.

– არც ერთ სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოში ეს არ შემემთხვეოდა, – უპასუხა კუნომ. – გუშინ, ტინეცისაკენ რომ მივეშურებოდი, თავს დამესხა ერთი რაინდი და, თუმცა ლაბადაზე გამოსახული ჯვრით ადვილად მიხვდებოდა, ვინ ვიყავი, ჩემი სიცოცხლის ხელყოფა მოინდომა.

ამ სიტყვებზე ზბიშკოს მკვდრის ფერი დაედო და უნებლიეთ მეფისაკენ გაიხედა, რომელსაც სახე საზარლად შეეცვალა. იასკო ტენჩინელმა გაოცებით შესძახა:

– ეგ წარმოუდგენელია!

– ჰკითხეთ ტაჩეველ პანს, ის გახლდათ ამისი მოწმე.

ყველამ პოვალას მიაპყრო მზერა, რომელიც ერთ წამს თავდახრილი იდგა, მერე კი თქვა:

– დიახ, ასე იყო!..

ამის გაგონებაზე რაინდები აყვირდნენ: „თავი მოგვჭრა! თავი მოგვჭრა! მიწა უნდა გაუსკდეს ასეთ რაინდს და თან ჩაიტანოს!“ სირცხვილით თვალს ვერ უსწორებდნენ ერთმანეთს. მკერდში მჯიღებს იბაგუნებდნენ, ზოგი კი მაგიდაზე დალაგებულ კალის ჯამებს მუჭში ჭყლეტდა.

- მერე რატომ არ მოჰკალი! – დაიქუხა მეფემ.

– იმიტომ, რომ სასამართლოს წინაშე უნდა აგოს პასუხი, – უთხრა პოვალამ.

– შეიპყარით თუ არა? – იკითხა კაშტელანმა ტოპურ ტენჩინელმა.

– არა, რაინდული სიტყვა მომცა, რომ სასამართლოზე თვითონ გამოცხადდებოდა.

– მაგრამ არ გამოცხადდა! – თავი ასწია და დაცინვით დაუმატა კუნომ.

ამ დროს ჯვაროსნის უკან გაისმა ახალგაზრდული ნაღვლიანი ხმა:

– ღმერთმა დამიფაროს, რომ სირცხვილი ვარჩიო სიკვდილს. ეს მე ჩავიდინე, ზბიშკო ბოგდანეცელმა. ამის გაგონებაზე რაინდებმა წაიწიეს უბედური ზბიშკოსაკენ, მაგრამ მეფემ ხელი მკაცრად გაიქნია და შეაჩერა ისინი; თვალებიდან ცეცხლს აკვესებდა, მრისხანებისაგან სული უგუბდებოდა. მან ქვებზე არახრახებული ფორნის მინამგვანე ხმით დაიყვირა:

– თავი მოჰკვეთეთ! მოჰკვეთეთ! დაე, ჯვაროსანმა მაგისტრს მიართვას მისი თავი მალბორგში! - მერე იქვე ახლოს მდგარ ჭაბუკ ლიტველ დიდებულს, სმოლენსკის ნაცვლის ვაჟს შესძახა:

– დაიჭი, იამონტ!

მეფის მრისხანებით შეძრულმა იამონტმა აცახცახებული ხელები დაადო ზბიშკოს მხრებზე, მაგრამ ფერწასული ზბიშკო მოუბრუნდა და უთხრა:

– მე გაქცევას არ ვაპირებ...

კრაკოვის თეთრწვერა კაშტელანმა ტოპურ ტენჩინელმა ხელი ასწია, ანიშნა, ლაპარაკი მსურსო და, როცა ყველა მიწყანარდა, თქვა:

– მოწყალეო ხელმწიფევ! მოდით, კომტური დავარწმუმოთ, რომ თქვენი რისხვა კი არა, ჩვენი კანონები სჯიან ელჩის შეურაცხყოფისათვის, თორემ შეუძლია იფიქროს, რომ ჩვენს სამეფოში ქრისტიანული კანონები არ არსებობს. მე თვითონ გავასამართლებ დამნაშავეს!

ბოლო სიტყვებზე მან ხმას აუწია და, ეტყობა, გულში არც კი გაუვლია, რომ მის ხმას ვერ გაიგონებდნენ, იამონტს მიუბრუნდა:

– ჩაჰკეტეთ კოშკში. თქვენ კი, ტაჩეველო პანო, მოწმე იქნებით.

– მე მოგიყვებით, რაც დააშავა ჭაბუკმა; არც ერთი ჩვენთაგანი, უფროსი თაობის რაინდი, ამას არ ჩაიდენდა, - უპასუხა პოვალამ და ქუშად გადახედა ლიხტენშტაინს.

– მართალს ბრძანებთ! – მაშინვე გამოეხმაურნენ სხვები. - ეს სადაური რაინდია? ეს ხომ ჯერ ბავშვია! განა ამის გულისათვის უნდა შევერცხვინეთ ელჩს ყველანი?

სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ მტრულად შეუბღვირა ჯვაროსანს. ამასობაში იამონტმა ზბიშკო დარბაზიდან გაიყვანა, რომ ციხის მშვილდოსნები-

სათვის ჩაებარებინა. შეეცოდა ტყვე მის ჭაბუკ გულს. ეს თანაგრძნობა მით უფრო ძლიერი იყო, რომ თავადს დაბადებიდანვე არ უყვარდა გერმანელები. მაგრამ, როგორც ლიტველი, მიეჩვია ბრმად დამორჩილებოდა დიდ მთავარს. არც თვითონ იყო ნაკლებ შეშინებული მეფის რისხვით, ამიტომ გზად უჩურჩულა ჭაბუკ რაინდს:

– იცი, რას გეტყვი: თავი ჩამოიხრჩე! ყველაფერს სჯობია, უცებ ჩამოიხრჩო თავი. მეფე განრისხებულია. სულ ერთია, მაინც მოგკვეთენ თავს. რატომ არ უნდა ასიამოვნო? ჩამოიხრჩე თავი, მეგობარო! ჩვენ ასეთი ადათი გვაქვს.

შიშისა და სირცხვილისაგან ნახევრად გონწართმეულ ზბიშკოს თავდაპირველად არაფერი გაეგებოდა, რას ეუბნებოდნენ, მაგრამ ბოლოს, ნათქვამის აზრს რომ ჩასწვდა, შეთ ჩერდა კიდეც გაოცებული:

– რაო, რას ამბობ?

– თავი ჩამოიხრჩე! რისთვის გინდა, რომ გაგასამართლონ! მეფეს ასიამოვნებ! – გაიმეორა იამონტმა.

– შენ თვითონ ჩამოიხრჩე თავი! – წამოიძახა ჭაბუკმა რაინდმა. – ვითომ მონათლულხარ, მაგრამ ტყავი მაინც სარკინოზისა შეგრჩენია. იმდენიც არ გესმის, რომ ქრისტიანისათვის საკუთარი სულის დაღუპვა ცოდვად ითვლება.

მაგრამ თავადმა მხრები აიჩეჩა:

– შენი სურვილით ხომ არ აკეთებ ამას. სულ ერთია, მაინც უნდა მოგკვეთონ თავი.

ზბიშკომ ერთბაშად გაიფიქრა, ამ სიტყვებისათვის ბოიარის ვაჟი ბრძოლაში გამოეწვია ქვეითად ან ცხენდაცხენ, მახვილითა თუ ცულით, მაგრამ თავი დაიოკა, რადგან გაახსენდა, რომ საამისოდ დრო აღარ ეყოფოდა. მან ნაღვლიანად ჩაჰქინდრა თავი და უხმოდ ჩაბარდა სასახლის მშვილდოსანთა მეთაურს.

ამასობაში სულ სხვა ამბავმა მიიპყრო დარბაზში შეკრებილთა ყურადღება. როცა დანუსიამ დაინახა, რა ხდებოდა, თავდაპირველად თავზარი დაეცა, სუნთქვა შეეკრა. ბავშვურ სახეზე მკვდრის ფერი დაედო, თვალები შიშისაგან გაუფართოვდა, ტაძრის გაშეშებული სანთლის ქანდაკებასავით მისჩერებოდა ის მეფეს. მაგრამ ბოლოს, როცა გაიგონა, ჩემს ზბიშკოს თავი უნდა მოჰკვეთონო, როცა ზბიშკო გააკავეს და დარბაზიდან გაიყვანეს, უსაზღვრო სიბრალულმა შეიპყრო, ტუჩები და წარბები აუცახცახდა; ძალი-

ან ეშინოდა მეფის, ტუჩებს იკვნეტდა, მაგრამ მაინც ვერ შეიკავა თავი და უცებ ისეთი საცოდავი და ხმამაღალი ღრიალი მორთო, რომ ყველა მისკენ მობრუნდა, თვით მეფემაც კი იკითხა:

– ეს რა ამბავია?

– მოწყალეო ხელმწიფევ! – მიმართა ქალბატონმა ანამ. ეს იურანდ სპიხოველის ქალიშვილია, რომელსაც უბედურმა ახალგაზრდა რაინდმა შეჰფიცა, მუზარადიდან მოგლეჯილ ფარშავანგის სამ ჯიღას მოგართმევო, და ასეთი ჯიღა რომ დაინახა კომტურის ჩაფხუტზე, იფიქრა, თვითონ ღმერთმა გამომიგზავნაო. ბოროტი განზრახვით კი არ გაუკეთებია ეს, ხელმწიფეო, სიბრიყვით დაემართა. იყავ მოწყალე, მეფეო, ნუ მოუსპობ სიცოცხლეს ჭაბუკს, მუხლმოდრეკილი გევედრები ამას.

ის წამოდგა, დანუსიას ხელი მოჰკიდა და მეფესთან მიიყვანა. მეფემ უკან დაიხია, მაგრამ ორთავენი ფეხებში ჩაუვარდნენ მას, დანუსიამ მუხლებზე მოჰხვია ხელი და ემუდარებოდა:

– აპატიე, მოწყალეო ხელმწიფევ, აპატიე ზბიშკოს!

მან მღელვარებითა და შიშით ჩამალა თავისი ქერა თავი მეფის ნაცრისფერი სამოსის ნაოჭებში და ფოთოლივით ათრთოლებულმა მუხლები დაუკოცნა. ქალბატონი ანა დანუტა დაჩოქილი იდგა მეორე მხრიდან და გულხელდაკრეფილი მუდარით შესცქეროდა მეფეს, რომელსაც სახეზე საშინელი დაბნეულობა დაეტყო. ის სავარძლიანად უკან-უკან იხევდა დანუსიასა და ქალბატონისაგან, მაგრამ დანუსიას ძალით მოშორება არ იკადრა, მხოლოდ ხელებს იქნევდა, თითქოს ბუზებს იგერიებსო.

– დამანებეთ თავი! – ყვიროდა მეფე. – მას დანაშაული მიუძღვის მთელი სამეფოს წინაშე! საკუთარი თავით უნდა აგოს პასუხი!

მაგრამ პატარა ხელები უფრო მძლავრად ეჭიდებოდა მუხლებზე, ბავშვური ხმა კი უფრო საწყალობლად გაჰყვიროდა:

– აპატიე, მეფევ, ზბიშკოს, აპატიე!

უცებ გაისმა რაინდთა შეძახილები:

– იურანდ სპიხოველი მამაცი რაინდია, გერმანელების რისხვაა!

– თვითონ ჭაბუკმაც თავი ისახელა ვილნოს ბრძოლებში, – დაუმატა პოვალამ.

მაგრამ მეფე თავისას არ იშლიდა, თუმცა გული მოულბო მუხლმოყრილი დანუსიას მუდარამ.

– თავი დამანებეთ! ჩემს წინაშე არ ჩაუდენია მას ეს დანაშაული და ამიტომ მე ვერც შევიწყალებ. თუ ელჩი აპატიებს, მეც დაგეთანხმებით, არადა, მოჰკვეთონ თავი.

– აპატიე, კუნო, – უთხრა ზავიშა შავმა, სულიმჩიკმა, - თვით მაგისტრიც არ გეტყვის საყვედურს ამის გამო.

– აპატიე, რაინდო! – შეჰღაღადა ორთავე ქალბატონმა,

– აპატიე, აპატიე! – აჰყვნენ მათ რაინდები.

კუნოს თავი მაღლა აეწია, თვალები მოეჭუტა, თითქოს ტკბებოდა, რომ ეს ქალბატონები და ცნობილი რაინდები ასეთი მუდარით შემოსცქეროდნენ. მერე უცებ გარდაიქმნა: თავი დახარა, ხელები გულზე გადაიჯვარედინა, ქედმაღალი მორჩილად იქცა და ლბილი, დაბალი ხმით წარმოთქვა:

– ქრისტემ, მაცხოვარმა ჩვენმა, როცა ჯვარზე გააკრეს, აპატია ყაჩაღსა და თავის მტრებს...

– აი, ეს შეეფერება კეთილშობილ რაინდს! თქვა ეპისკოპოსმა ვიშმა.

სამართლიანი სიტყვებია! სამართლიანი

– როგორ შემეძლო არ მეპატიებინა, განაგრძობდა კუნო, – თუკი მეც ქრისტიანი ვარ და ამას გარდა ბერიც? ამიტომაც, როგორც ქრისტეს მსახურსა და ბერს, მთელი სულითა და გულით მიპატიებია!

– დიდება მას! – შესძახა პოვალა ტაჩეველმა.

– დიდება! – აიტაცეს დანარჩენებმა.

– მაგრამ, – თქვა ჯვაროსანმა, – თქვენთან მე ელჩი და ჩემი დიდი ქრისტიანული ორდენის წარმომადგენელი ვარ. ეს იმას ნიშნავს, რომ ვინც მე შეურაცხმყო, შეურაცხყო ორდენი, ვინც შეურაცხყო ორდენი, შეურაცხყო თვით ქრისტე, ასეთი შეურაცხყოფის პატიება კი მე ხალხისა და ღვთის წინაშე არაფრით არ შემიძლია, ხოლო თუ თქვენი კანონი შეიწყნარებს მას, ეს უნდა გაიგოს ყველა ქრისტიანმა ხელმწიფემ.

ამ სიტყვებზე ყველა დადუმდა. მხოლოდ ერთი წუთის შემდეგ გაისმა კბილთა ღრჭიალი, ჩახშობილი რისხვის გამომხატველი მძიმე ამოოხვრა და დანუსიას ქვითინი.

საღამოსპირას ყველა რაინდი უკვე ზბიშკოს მხარეზე იყო. ვისაც დილით ხელი არ აუკანკალდებოდა, მეფის ერთ დაძახებაზე ხმლებით რომ აეჩეხათ ჭაბუკი, ახლა უკვე მის საშველ გზებს ეძებდნენ. ქალბატონებმა გადაწყვიტეს დედოფალს ხლებოდნენ და ეთხოვათ დაეყოლიებინა ლიხ-

ტენშტაინი, უკან წაეღო თავისი საჩივარი და, თუ საჭირო გახდებოდა, დიდი მაგისტრისთვისაც გაეგზავნათ წერილი, რათა მას ებრძანებინა კუნოსათვის ამ საქმის შეწყვეტა.

ეს გზა უფრო სარწმუნო ჩანდა, რადგან იადვიგა ისეთი პატივით იყო გარშემორტყმული, რომ დიდი მაგისტრი უეჭველად პაპისა და ყველა ქრისტიანული სახელწმიფოს რისხვას დაიმსახურებდა, თუ უარს ეტყოდა ამ თხოვნაზე. მათი ვარაუდით, კონრად ფონ იუნგინგენი კიდევ იმიტომ არ ეტყოდა უარს დედოფალს, რომ მშვიდობიანი ადამიანი იყო, გაცილებით უფრო გულმოწყალე, ვიდრე მისი წინამორბედნი. სამწუხაროდ, კრაკოვის ეპისკოპოსმა ვიშმა, რომელიც, ამავე დროს, დედოფლის მკურნალიც იყო, უმკაცრესად აუკრძალა ქალბატონებს დედოფალთან ამ საკითხზე კრინტის დაძვრა. დედოფალი გულგრილად ვერ იტანს სასიკვდილო განაჩენებზე ლაპარაკს, – თქვა მან. – გულთან ახლოს მიაქვს ეს ამბავი მაშინაც კი, როცა საქმე უბრალო ყაჩაღს ეხება; ზედმეტია ლაპარაკი, რაღა დაემართება იმ ჭაბუკის ხსენებაზე, რომელსაც სამართლიანად უნდა ჰქონდეს მისი გულმოწყალების იმედი. ახლა დედოფლისათვის მავნებელია ყოველგვარი მღელვარება და შეიძლება მძიმედაც დააავადოს ის, ხოლო მისი ჯანმრთელობა სამეფოსათვის გაცილებით ძვირფასია, ვიდრე ათობით რაინდის თავი“. ყველას, ვინც გაბედავდა, მისი აკრძალვის მიუხედავად, შეეწუხებინა დედოფალი, ეპისკოპოსი დაპატიმრებითა და ანათემაზე გადაცემით დაემუქრა.

ორთავე ქალბატონი შეშინდა და გადაწყვიტეს დედოფლისათვის არაფერი გაემხილათ, მაგრამ, სამაგიეროდ, მეფეს იქამდე არ მოშვებოდნენ, სანამ ზბიშკოს არ შეიწყალებდა. მთელი კარი და ყველა რაინდი უკვე ზბიშკოს მხარეზე იყო. პოვალა ტაჩეველი სასამართლოზე სიმართლის თქმას აპირებდა, მაგრამ მაინც ზბიშკოს სასარგებლოდ დაემოწმებოდა და მთელ საქმეს ისე წარმოადგენდა, როგორც ჭაბუკურ დაუფიქრებლობას. და მაინც, ყველას გული უგრძნობდა, ხოლო კასტელანი იასკო ტენჩინელი ხმამაღლა აცხადებდა, თუ ჯვაროსანი ამ საქმეს არ მოეშვება, სიკვდილის განაჩენს სისრულეში მოიყვანენო.

მით უფრო მეტი მრისხანებით აგიზგიზდა რაინდთა გულები ლიხტენშტაინის წინააღმდეგ. ბევრი მათგანი ფიქრობდა, ზოგი კი ხმამაღლაც აცხადებდა: „ელჩია, რას იზამ, ორთაბრძოლაში მისი გამოწვევა არ იქნების, მაგრამ ერთი მალბორგში დაბრუნდებოდეს და, სულ ერთია, თავისი დღით სიკვდილი აღარ ეღირსებაო“. ეს ტყუილი მუქარა როდი იყო რადგან ნაკურთხ რაინდებს არ სჩვეოდათ ფუჭი ლაპარაკი, და თუ რომელიმე მათგანი

ფიცს დადებდა, უნდა შეესრულებინა ეს ფიცი, ან არადა დაღუპულიყო, ყველაზე მეტად მრისხანე პოვალა ბობოქრობდა. ტაჩევში დანუსიასოდენა ქალიშვილი ჰყავდა და დანუსიას ცრემლებმა საბოლოოდ გატეხეს.

პოვალამ იმ დღესვე ინახულა ზბიშკო საკანში, გული გაუმაგრა, სულით არ დაეცეო, სთხოვა, და მოუყვა, როგორ ექომაგებიან მთავრების მეუღლეები და როგორ იღვრება ცრემლად დანუსია... როცა გაიგო, გოგონა ჩემი გულისთვის მეფეს ფეხებში ჩავარდნიაო, ზბიშკოს გული აუჩუყდა და, რაკი არ იცოდა, როგორ გამოეხატა თავისი მადლობა დანუსიასადმი, დადარდიანებულმა ცრემლების წმენდით თქვა:

– ეჰ! ღმერთმა დალოცოს, მე კი მალე მომცეს საშუალება, ბრძოლით დავუმტკიცო ერთგულება! ძალიან ცოტა გერმანელს შევპირდი. ასეთ გოგონას იმდენ გერმანელს უნდა შევპირებოდი, რამდენი წლისაც თვითონ არის. თუ ღმერთმა ამ უბედურებას გადამარჩინა, გიყვარდეს, მე მისთვის იმათ არ დავიშურებ!..

და ცას აღაპყრო მადლიერების გამომხატველი თვალები...

– შენ თავდაპირველად ეკლესიას უნდა შეპირდე რასმე, – შეედავა ტაჩეველი პანი. – თუ შენი მსხვერპლი ღმერთს თვალში მოუვა, უეჭველად მოიპოვებ თავისუფლებას. ამას გარდა, მომისმინე! ბიძაშენი ლიხტენშტაინს ეახლა, მერე მეც მივალ. შენთვის სულაც არ იქნება სირცხვილი, მას პატიება სთხოვო, რადგან მართლაც დამნაშავე ხარ და პატიებასაც ვინმე ლიხტენშტაინს კი არა, ელჩსა სთხოვ. თანახმა ხარ?

– თუკი თქვენნაირი რაინდი მეუბნება, სირცხვილი არ არისო, – დაგიჯერებთ! მაგრამ თუ ჯვაროსანი ბოდიშის მოხდას ისე მომთხოვს, როგორც ეს ტინეციდან მომავალ გზაზე მოინდომა, მაშინ თავის მოკვეთა მირჩევნია. ბიძაჩემი ხომ დარჩება. მაინც მიუზღავს სამაგიეროს, როცა ის ელჩობას დაამთავრებს...

– ვნახოთ, რას ეტყვის მაცკოს.

მაცკო მართლაც იყო იმ საღამოს გერმანელთან, მაგრამ მან ისე ქედმაღლურად მიიღო მოხუცი რაინდი, რომ სინათლის ანთებაც არ ინება და სიბნელეში ელაპარაკა. მაცკო მისგან ღამესავით მოქუფრული დაბრუნდა და მეფეს მიაშურა. მეფე ტკბილად შეხვდა, რადგან უკვე გული მობრუნებული ჰქონდა. და როცა მაცკო ფეხებში ჩაუვარდა, უბრძანა ამდგარიყო და ეთქვა, რაზე მოვიდა.

– მოწყალეო ხელმწიფევ, – მოახსენა მაცკომ, – ნათქვამია, რაკი დანაშაული არსებობს, სასჯელიც უნდა იყოსო. სხვაგვარად ძალა არ ექნებოდა

ამქვეყნად არავითარ კანონს. მაგრამ ამ ამბავში მეც მიმიძღვის ბრალი. ბალღობიდან ფიცხსა და სულსწრაფს აროდეს ვთოკავდი, პირიქით, კიდევაც ვაქეზებდი. აი, ასე ვზრდიდი. ამას გარდა, მას ომიც ზრდიდა ბალღობიდანვე. მე ვარ დამნაშავე, მოწყალეო ხელმწიფევ. რამდენჯერ ჩამიგონებია, აჩეხე და მერე გაარჩიე, ვის ჩეხავმეთქი. ომიანობის დროს ეს კარგია, მაგრამ მეფის კარზე სრულიად შეუფერებელი გამოდგა! ოღონდ იცოდეთ, ყმაწვილი კი არა, ოქრო მყავს ნამდვილი, ერთადერთი ვაჟია შემორჩენილი ჩვენს გვარში, ძალიან მენანება...

– მან შემარცხვინა მე, შეარცხვინა მთელი სამეფო, – შეედავა მეფე, – რა უნდა ვუყო ამისათვის, თავზე ხელი გადავუსვა?

მაცკო დადუმდა, ზბიშკოს გახსენებაზე ყელში რაღაცამ წაუჭირა მისი სიბრალულით, მაგრამ, მცირე სიჩუმის შემდეგ, ისევ წამოიწყო მღელვარედ და ნაწყვეტ-ნაწყვეტად:

– როცა უბედურება კარს მომადგა, მხოლოდ ახლა ვიგრძენი, როგორ მყვარებია იგი. მე მოხუცი ვარ, ეს კი ბოლო ბიჭი გვყავს გვარში. ეგ რომ გაქრეს, ჩვენც გავქრებით. დაინდე ჩვენი გვარი, მოწყალეო ხელმწიფევ! დაინდე!

მაცკო ისევ მუხლებზე დაეცა, ომებში მოღლილი ხელები გაუწვდინა და ცრემლმორეულმა განაგრძო:

– ჩვენ ვილნოს ვიცავდით, ღმერთმა უხვი დავლა გვიბოძა, ვისღა უნდა დავუტოვო? ჯვაროსანი ანგარიშის გასწორებას თხოულობს, ხელმწიფეო, იყოს ნება მისი, მაგრამ უფლება მომეცით, მე დავდო თავი კუნძზე. რად მინდა სიცოცხლე ზბიშკოს გარეშე? ის ჯერ ჭაბუკია, გამოისყიდოს მიწა, დაზარდოს შვილები, როგორც დაუდგენია ღმერთს ადამის ძეთათვის. აბა, რას იკითხავს ჯვაროსანი, ვისი თავი მოსწყდა მხრებიდან, ერთი იმდენი, რომ მოსწყდეს კი. არც გვარი შერცხვება ამის გამო. მძიმეა საკუთარი ფეხით სასიკვდილოდ წასვლა, მაგრამ, როცა ჩავფიქრდები და განვსჯი, მიჯობს მე მოვკვდე, ვიდრე ჩემი მოდგმა დავღუპო,..

ამ სიტყვებზე ის მეფეს მუხლებზე ემთხვია; მეფემ თვალები აახამხამა, რაც მღელვარებას მოასწავებდა, და ბოლოს და ბოლოს უთხრა:

– ღმერთმა ნუ ჩამადენინოს, რომ ნაკურთხი რაინდისათვის უმიზეზოდ თავი მოვაკვეთინო! ღმერთმა ნუ ქნას, ღმერთმა ნუ ქნას!

– აბა, ეს რა სამართალი იქნებოდა, – დასძინა კაშტელანმა. – დამნაშავეს კანონი სჯის, მაგრამ კანონი ურჩხული ხომ არ არის, რომ სულ ერთი იყოს, ვის სისხლს გადაყლურწავს. ისიც არ დაივიწყოთ, რომ მაშინ მთელ

თქვენ გვარს მოეცხებოდა ჩირქი, – თქვენი ძმისშვილი რომ ამაზე დათანხმდეს, მასაც და მთელ მის მოდგმასაც სინდისდაკარგულებად ჩათვლიდნენ...

– არ დამეთანხმებოდა ის მე ამაზე, – შეედავა მაცკო, მაგრამ თუ ეს ყველაფერი იმისი თანხმობის გარეშე გაკეთდებოდა, მერე ხომ უეჭველად იძიებდა შურს ჩემი გულისათვის, ისევე, როგორც მე არ დავტოვებ მის სიკვდილს შურისძიების გარეშე.

– ეჰ, – თქვა ტენჩინელმა, – ჯვაროსანი დაითანხმეთ როგორმე, უკან წაიღოს თავისი საჩივარი...

– უკვე ვიყავი იმასთან.

– მერე რაო? სმენად გადაიქცა მეფე, რათ?

– რა და, აი, რა მითხრა: „იქვე უნდა გეთხოვათ პატიება ტინეცის გზაზე. არ ინებეთ, ახლა არც მე მნებავსო“.

– მერედა რატომ არ ინებეთ?

– ცხენებიდან ჩამოსვლა მოგვთხოვა და ისე მობოდიშება.

მეფემ თმა ყურებზე გადაიწია და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ამ დროს შემოვიდა კარისკაცი და მოახსენა, ლიხტენშტაინელი რაინდი აუდიენციას თხოულობსო.

იაგელომ ჯერ იასკო ტენჩინელს გადახედა, მერე მაცკოს და უბრძანა დარჩენილიყვნენ, ალბათ ფიქრობდა, რომ ასე უფრო ადვილად შესძლებდა ამ საქმის მოგვარებას თავისი მეფური ძალაუფლებით.

ამასობაში შემოვიდა ჯვაროსანი, მეფეს მიესალმა და უთხრა:

– მოწყალეო ხელმწიფევ! აი, წერილობითი საჩივარი იმ შეურაცხყოფაზე, რომელიც მე მომაყენეს თქვენს სამეფოში.

– იჩივლეთ იმასთან, – უპასუხა მეფემ და იასკო ტენჩინელზე მიუთითა.

ჯვაროსანმა ჯიქურ შეხედა სახეში მეფეს და უპასუხა:

– მე არა ვიცი რა არც თქვენი კანონებისა და არც თქვენი სასამართლოსი, ვიცი ერთი რამ: ორდენის ელჩს შეუძლია ჩივილი მხოლოდ თვით მეფესთან.

იაგელომ მოუთმენლად ააფახულა პატარა თვალები, მაგრამ ხელი მაინც გაუშვირა, გამოართვა საჩივარი და ტენჩინელს გადასცა.

მან გახსნა საჩივარი და დაიწყო კითხვა; სახე თანდათან მოექუფრა, შეშფოთება გამოეხატა.

– თქვენ, ბატონო რაინდო, – უთხრა მან ბოლოს, ისე დაჟინებით მოითხოვთ ამ ჭაბუკის სიკვდილს, თითქოს მთელი თქვენი ორდენისათვის საშიში მტერი იყოს. ნუთუ ჯვაროსნებს უკვე ბალღებისაც გეშინიათ?

– ჩვენ, ჯვაროსნებს, არავისი არ გვეშინია, – უკმეხად უპასუხა კომტურმა.

მოხუცმა კაშტელანმა კი წყნარად დაამატა:

– განსაკუთრებით მამაღმერთის.

მეორე დღეს კაშტელანის სასამართლოში პოვალა ტაჩეველმა ყველაფერი იღონა, რომ ზბიშკოს დანაშაული შეემსუბუქებინა, მის საქციელს ბავშვობითა და გამოუცდელობით ხსნიდა, თავგამოდებით ლაპარაკობდა, ამაზე ხანდაზმული რაინდიც რომ შეპირებოდა ფარშავანგის სამ ჯიღას, მის შოვნაზე დღედაღამ ელოცა და უეცრად ასეთი ჯიღა დაენახა, უეჭველად განგებისაგან მოვლენილად ჩათვლიდაო ამ ამბავს. თუმცა ღირსეული რაინდი ვერც იმას უარყოფდა, რომ თუ არა ის, ზბიშკო ჯვაროსანს გულს გაუგმირავდა. კუნომ მოატანინა სასამართლოში საჭურველი, რომელიც იმ დღეს ეცვა. აღმოჩნდა, რომ ის ძალზე თხელი, მყიფე რკინისაგან იყო ნაკეთები და მხოლოდ დღესასწაულების დროს იცვამდა, ასე რომ, ზბიშკოს, ამ არაჩვეულებრივი ძალის პატრონს, თავისუფლად შეეძლო შუბით გაეხვრიტა ის და ელჩი მოეკლა. ამის შემდეგ ზბიშკოს ჰკითხეს, განზრახული გქონდა თუ არა ელჩის მოკვლაო, და მას უარის თქმა არც უფიქრია. „მე მას შორიდანვე შევძახოდი, შუბი მოიმარჯვე-მეთქი, – ცოცხალი თავით ხომ არ დამანებებდა მუზარადის მოგლეჯას, – მაგრამ შორიდანვე რომ დაეძახა, ელჩი ვარო, რა თქმა უნდა, მოვეშვებოდი“.

ეს სიტყვები გულზე ეფონათ რაინდთ, ჭაბუკისადმი თანაგრძნობას რომ მოეგროვებინა სასამართლოზე, და გაისმა ხმები:

– ეს მართალია. რატომ არ უპასუხა? მაგრამ კაშტელანი ისევ მრისხანე და წარბშეკრული იჯდა, დამსწრეთ უბრძანა სიჩუმე დაეცვათ, თვითონ ერთ წამს შეყოვნდა, მერე მცდელი თვალი ზბიშკოს მიაპყრო და ჰკითხა:

– შეგიძლია თუ არა დაიფიცო ჯვარზე, რომ ლაბადა და ჯვარი არ დაგინახავს?

– არაფრით! – უპასუხა ზბიშკომ, – ჯვარი რომ არ დამენახა, მაშინ ჩვენი რაინდი მეგონებოდა და ჩვენს რაინდს რაზე დავესხმოდი თავს.

– განა რომელი ჯვაროსანი შეიძლებოდა ყოფილიყო აქ, კრაკოვთან, თუ არა ელჩი ან ელჩის მხლებელი?

ზბიშკოს ამაზე არაფერი უპასუხნია, რადგან საპასუხო არაფერი ჰქონდა. ყველაფერი აშკარა იყო. ბედად ტაჩეველი ბატონი იქ რომ არ ყოფილიყო, ახლა პოლონელი ხალხის საუკუნო სირცხვილად და თავის მოსაჭრელად სასამართლოს წინ რაინდის საჭურველი კი არა, თვით გულგანგმირული ელჩი იქნებოდა გართხმული. ყველას, იმათაც კი, ვინც მთელი სულითა და გულით თანაუგრძნობდა ზბიშკოს, ესმოდათ, რომ განაჩენი საიმედო ვერ იქნებოდა.

ერთი წუთის მერე კაშტელანმა თქვა:

– რაკი ატაცებულმა ვერ გაითვალისწინე, ვის ესხმოდი თავს, და სიბოროტით არ ჩაგიდენია ეს, ჩაგეთვლება და შემოქმედი გაპატიებს ყველაფერს, მაგრამ შენ, ცოდვილო, მიუძღვენ სული შენი ყოვლად წმინდა ღვთისმშობელს, რამეთუ კანონს შენი პატიება არ ძალუძს...

ზბიშკო ყველაფერს მოელოდა, მაგრამ ამ სიტყვებზე მაინც გადაფითრდა, თუმცა მაშინვე გადაიყარა უკან გრძელი თმა, პირჯვარი გადაისახა და თქვა:

– ღვთის ნებაა! რას ვიზამ!

შემდეგ მაცკოსაკენ მიბრუნდა და თვალით ლიხტენშტაინზე ანიშნა, თითქოს სთხოვდა, არ დაივიწყოო. მაცკომ თავი დაუქნია იმის ნიშნად, ყველაფერი მესმის და მახსოვსო. ეს გადახედვა და ეს მოძრაობა არ გამოჰპარვია ლიხტენშტაინის თვალს, და თუმცა მის მკერდში რამდენადაც ბოროტი, იმდენად მამაცი გულიც ძგერდა, ერთი წამით მაინც ჟრუანტელმა დაუარა, ისეთი საშინელი და ავისმომასწავებელი გამოხედვა ჰქონდა ბებერ მეომარს. ჯვაროსანი მიხვდა, რომ ამ წუთიდან მასსა და ამ ბებერ რაინდს შორის, რომლის მუზარადის ქვეშ სახესაც კი ვერ არჩევდა, სიკვდილის აჩრდილი ჩამოწვა. ძალიანაც რომ მოენდომებინა, მოხუცს ვეღარსად დაემალებოდა და, ელჩობას როგორც დაამთავრებდა, უეჭველად შეხვდებოდა სადმე, თუნდაც იმავე მალბორგში.

ამასობაში კაშტელანი მეორე ოთახში გავიდა, რათა ნაცადი მწერლისათვის ზბიშკოს განაჩენი ეკარნახა. შესვენებისას ხან ერთი რაინდი მივიდოდა ჯვაროსანთან, ხან მეორე და ეუბნებოდნენ:

– ღმერთმა შეგინდოს, როცა მისი სამსჯავროს წინაშე წარსდგები. გაძეხი სისხლით?

მაგრამ ლიხტენშტაინისთვის მხოლოდ ზავიშას აზრს ჰქონდა მნიშვნელობა. მას ხომ დიდება და სახელი მოეხვეჭა თავისი საბრძოლო წარმატებებით, რაინდული კანონების ცოდნითა და მათი მკაცრი დაცვით. როცა საქმე რაინდულ ღირსებას შეეხებოდა, მას მიმართავდნენ ყველაზე რთული საქმეებზე, ხანდახან შორიდანაც კი ჩამოდიოდნენ, შეკამათებას ვერავინ უბედავდა, განა მხოლოდ იმიტომ, რომ მასთან შებმას არავითარი აზრი არ ჰქონდა, არამედ იმიტომაც, რომ მას სინდისის განსახიერებად თვლიდნენ. მის მიერ წარმოთქმული საქები ან საძრახი სიტყვა სწრაფად ვრცელდებოდა პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხეთის, გერმანიის რაინდებში და მარტო ამასაც შეეძლო სახელი გაეტეხა ან მოეხვეჭა რაინდისათვის.

ლიხტენშტაინი მიუახლოვდა მას და, თითქოს თავისი ულმობლობის გამართლება სურსო, უთხრა:

– მხოლოდ დიდ მაგისტრს შეეძლო მისი პატიება კაპიტულთან ერთად, მე კი არ ძალმიძს...

– თქვენი მაგისტრი ჩვენი მბრძანებელი არ არის. იმას კი არა, მხოლოდ ჩვენს მეფეს შეუძლია მისი პატიება, – მოუჭრა ზავიშამ.

– მე, როგორც ელჩს, ხომ უნდა მომეთხოვა დასჯა.

– შენ, ლიხტენშტაინ, ელჩი კი არა, პირველ რიგში რაინდი ხარ...

– ნუთუ ფიქრობ, რომ ამით ჩემი რაინდული ღირსება დაეცა?

– შენ იცნობ ჩვენს რაინდულ წიგნებს და იცი, რომ რაინდი ორ ნადირს უნდა ბაძავდეს: ლომსა და კრავს. ვის მიბაძე შენ ამ შემთხვევაში?

– შენ არავინ გკითხავს ჩემს გასამართლებას...

– შენ თვითონ მკითხე, რაინდული ღირსება ხომ არ დაეცაო, და მეც მოგახსენე ჩემი აზრი.

– ვერ გიპასუხია კარგად, თუკი შენი სიტყვები ყელში გამეჩხირა.

– ჩემი რა მოგახსენო, საკუთარი ბოროტი სიტყვები კი გაგგუდავს.

– მაგრამ იესო ქრისტე გამიგებს, რომ ორდენის სახელზე უფრო ვზრუნავდი, ვიდრე ქების დამსახურებაზე.

– ყველანი წარვსდგებით მისი სამსჯავროს წინაშე.

გამოჩნდნენ კაშტელანი და მწერალი. ლაპარაკი შეწყდა სამარისებური სიჩუმე გამეფდა, თუმცა წინასწარ ყველამ იცოდა, რომ განაჩენი ულმობელი იქნებოდა. კაშტელანმა მაგიდასთან თავისი ადგილი დაიკავა, ჯვარცმა აიღო და ზბიშკოს უბრძანა დაჩოქილიყო.

მდივანმა ლათინურად დაიწყო განაჩენის კითხვა. ლათინური არც ზბიშკოს ესმოდა და არც სხვა აქ მყოფ მეომრებს, მაგრამ ყველა მიხვდა, რომ დამნაშავეს სიკვდილი მიუსაჯეს. როცა კითხვა დაამთავრეს, ზბიშკომ მჯიღი დაიშინა გულში:

– ღმერთო, შემიწყალე, მე, ცოდვილი! მერე წამოდგა და მაცკოს ჩაეკრა. მოხუცმა უხმოდ დაუკოცნა თავი და თვალები.

იმავე საღამოს ჰეროლდმა საყვირების ხმაზე ბაზრის ოთხივ კუთხივ გამოუცხადა რაინდებს, სტუმრებსა და მოქალაქეებს, კეთილშობილ რაინდს ზბიშკო ბოგდანეცელს კაშტელანის სასამართლომ თავის მოკვეთა მიუსაჯაო...

იმ ხანებში ასეთი ადათი ჰქონდათ: სიკვდილის წინ მთელი ქონება, უკანასკნელ წვრილმანამდე, პატრონის სურვილისამებრ უნდა განაწილებულიყო. ამიტომ სიკვდილმისჯილებს ყოველთვის აძლევდნენ დროს მემკვიდრეობის თაობაზე შინაურებთან მოსალაპარაკებლად და, ამას გარდა, ღმერთთან შესარიგებლადაც. მაცკომაც იშუამდგომლა და ადვილად გამოითხოვა ნებართვა, რომ განაჩენის სისრულეში მოყვანა გადაედოთ. თვითონ ლიხტენშტაინმაც აღარ დაიჭინა განაჩენის სასწრაფოდ აღსრულება. კარგად ესმოდა, რომ შეურაცხყოფილი ორდენი უკვე დაკმაყოფილებული იყო და მძლავრი მონარქის კიდევ მეტად განრისხებაც აღარ ღირდა, რადგან მასთან მარტო ძეობაზე კი არ იყო მოპატიჟებული, დობჟინის მიწის თაობაზე მოლაპარაკებასაც აპირებდა. მაგრამ ყველაზე მთავარი ახლა მაინც დედოფლის ჯანმრთელობა იყო. ეპისკოპოს ვიშს დედოფლის მშობიარობამდე განაჩენის აღსრულებაზე ლაპარაკიც არ სურდა. ის სამართლიანად ფიქრობდა, რომ თავის მოკვეთის ამბავს ვეღარ დაუმალავდა დედოფალს, ის უეჭველად ინერვიულებდა, ამას კი შეიძლებოდა დამღუპველი გავლენა მოეხდინა მის ჯანმრთელობაზე. ასე და ამგვარად, საქმეების მოსაგვარებლად და ნაცნობებთან გამოსათხოვებლად ზბიშკოს იქნებ რამდენიმე თვეც კი რჩებოდა.

მაცკო ყოველდღე ნახულობდა მას და შეძლებისამებრ ამშვიდებდა. ისინი გულმოკლულები საუბრობდნენ გარდუვალ აღსასრულზე და კიდევ უფრო მეტად წუხდნენ, მათი შთამომავლობა არ გადაშენებულიყო.

– მეტი გზა არა გაქვთ, ცოლი უნდა შეირთოთ, – უთხრა ერთხელ ზბიშკომ.

– მაგას ვინმე შორეული ნათესავის გამონახვა სჯობს. – შეესიტყვა დასევდიანებული მაცკო. – რა მეცოლება, თუკი შენ თავის მოკვეთას გიპირე-

ბენ. მაგრამ თუ ცოლის შერთვა აუცილებელი გახდა, სანამ ლიხტენშტაინს გამოწვევას არ გავუგზავნი და შურს არ ვიძიებ, მანამდე არც ვიფიქრებ. შენ ნუ გეშინია!..

– ღმერთმა გადაგიხადოთ სიკეთისათვის. ამით მაინც მშვიდად მექნება გული! ვიცოდი, არ აპატიებდით. როგორ აპირებთ ამის გაკეთებას?

– როგორც კი ელჩობას დაასრულებს, ან ომი იქნება, ამ მშვიდობა – ხომ გესმის? თუ ომი დაიწყება, ბრძოლის წინ გავუგზავნი გამოწვევას.

– დატკეპნილ მიწაზე?

– დატკეპნილ მიწაზე ან ცხენდაცხენ, ან ქვეითად, ოღონდ უეჭველად სამკვდრო-სასიცოცხლოდ და არავითარ შემთხვევაში ტყვეობაზე. ხოლო თუ მშვიდობა იქნა, მალბორგს გავემგზავრები, შუბს დავკრავ ციხესიმაგრის ჭიშკარს, მესაყვირეს კი ვუბრძანებ ხმამაღლა გამოაცხადოს, რომ ლიხტენშტაინს სასიკვდილო ორთაბრძოლაში ვიწვევ. დამალვას ვერ მოახერხებს, ნუ გეშინია.

– რა თქმა უნდა, ვერ მოახერხებს და თქვენც ადვილად მოერევით.

– მაგას?.. აი, ზავიშას ვერ მოვერევი, პაშკოს ვერ მოვერევი, ვერც პოვალას; მაგისთანებს კი, ტრაბახად ნუ ჩამითვლი და... ორს ერთად მივაწყობ. მე მაგას ვუჩვენებ სეირს, მაგის ჯვაროსანი დედაც ვატირე! მაგაზე ღონიერი არ იყო ფრიზიელი რაინდი? მუზარადში რომ ჩავცხე, აბა თუ გახსოვს, სად გაეჩხირა ჩემი ცული? კბილებში გაეჩხირა. ხომ მართალს ვამბობ?

ზბიშკოს გულზე მოეშვა, ამოიოხრა და უთხრა:

– ეგ გამიადვილებს სიკვდილს.

ორთავე ოხვრას მოჰყვა. ცოტა ხნის მერე ბებერი შლიახტიჩი ისევ ალაპარაკდა გრძნობამორეული:

– შენ დარდი ნუ გექნება! განკითხვის ჟამს შენს ძვლებს ერთმანეთი საძებარი არ ექნება. ისეთი მუხის კუბო შევუკვეთე, ღვთისმშობლის ტაძრის კანონიკებიც ვერ ინატრებენ უკეთესს. ვინმე მატრაკვეცა გლეხუჭა რაინდივით კი არ დაიღუპები. არც იმის ნებას მივცემ, რომ იმ მაუდზე მოგკვეთონ თავი, რომელზეც მოქალაქეებს ჰკვეთენ. ამილეის უკვე მოველაპარაკე, ის მომცემს ახალთახალსა და ისეთ ძვირფას მაუდს, მეფესაც კი გამოადგება ქურქისთვის. სულის მოსახსენიებლადაც არ დავზოგავ ფულს – შენ ნუ გეშინია!

გული გაუხარა ზბიშკოს ამ სიტყვებმა, ის ბიძამისის ხელთან დაიხარა და გაიმეორა:

– მადლობელი ვარ. ღმერთი გადაგიხდით.

მიუხედავად ამ დამშვიდებისა, დროდადრო ზბიშკოს მძიმე სევდა იპყრობდა. ერთხელ სანახავად მოსულ მაცკოს ძლივს მიესალმა და ცხაურს იქიდან იკითხა:

– რა ამბებია გარეთ?

– გაჩახჩახებული დღეა, მზე აცხუნებს, გული სიამით ივსება.

ზბიშკომ თავი უკან გადააგდო, ხელები კეფაზე შემოიჭდო და თქვა:

– ეჰ, ღმერთო ჩემო! ერთი ცხენზე ამამხედრა და მინდორ-ველად გამაქროლა! ცოდვაა, ასეთი ჭაბუკი რომ ვიღუპები! საშინელი ცოდვაა!

– ცხენზე ამხედრებულიც ბევრი იღუპება, – შეესიტყვა მაცკო.

– სამაგიეროდ, მანამდე რამდენს წაიმძღვარებს წინ!..

ზბიშკომ დაუწყო გამოკითხვა იმ რაინდებზე, მეფის კარზე რომ ნახა; ზავიშას ამბავი იკითხა, ფარურეისა, პოვალა ტაჩეველის, ტარგოვისკელი ლისის და ყველა დანარჩენის. რას შვრებიან, როგორ ზეიმობენ, როგორ იწაფავენ ხელს კეთილშობილ სამხედრო ხელოვნებაშიო. ის ხარბად უსმენდა მაცკოს ნაამბობს იმაზე, როგორ ახტებიან დილდილობით სრული აღჭურვილობით ცხენებს, როგორ გლეჯენ თოკებს, როგორ ცდიან თავიანთ ძალას მახვილითა და ცულებით და, ბოლოს, როგორ ქეიფობენ და რანაირ სიმღერებს მღერიან. მთელი სულითა და გულით ილტვოდა ზბიშკო მათკენ; როცა გაიგო, ნათლობის შემდეგ ზავიშა მაშინვე სადღაც უნგრეთის ველებზე აპირებსო თურქებთან შებმას, თავი ვეღარ შეიკავა და წამოიძახა:

– ერთი იმათთან მამყოფა! ურჯულოსთან ბრძოლაში არა სჯობს თავის გაწირვა?

მაგრამ ამაზე ფიქრიც ზედმეტი იყო და თანაც სხვა ახალი ამბებიც მოხდა. მაზოვიის ორთავე ქალბატონს არ ავიწყდებოდა ზბიშკო, რადგან მოხიბლულები იყვნენ მისი სიჭაბუკითა და სილამაზით. ბოლოს და ბოლოს ქალბატონმა ალექსანდრამ გადაწყვიტა წერილი გაეგზავნა დიდი მაგისტრისათვის, მართალია, მას კაშტელანის განაჩენის შეცვლა არ ძალუძდა, მაგრამ მეფის წინაშე გამოსარჩლება შეეძლო, იაგელოს არ შეშვენოდა დამნაშავის პატიება, როცა საქმე ელჩის სიცოცხლის ხელყოფას შეეხებოდა, მაგრამ ზბიშკოს თუ თვით მაგისტრი გამოესარჩლებოდა, მეფე სიხარულით აპატიებდა მას. ისევ იმედი ჩაესახა გულში ორივე ქალბატონს. ორდენის ბრწყინვალე რაინდები დიდად აფასებდნენ მთავრის მეუღლე ალექსანდრას, რომელიც თვითონაც ვერ იყო გულგრილი მათ მიმართ. ერთხელ

და ორჯერ არ მიურთმევიათ მალბორგიდან მდიდრული საჩუქრები და ბარათები, რომლებშიც მაგისტრი ორდენის განსაკუთრებულ მწყალობელსა და დამცველს უწოდებდა. მისი სიტყვა ბევრს ნიშნავდა და იმედოვნებდნენ, უარს არ მიიღებდა. ერთი იმდენი, გამგზავნი ეშოვათ, ვინც ეცდებოდა სწრაფად წაეღო წერილი და პასუხიც დროზე მოებრუნებინა. ეს რომ გაიგონა, ბებერი მაცკო უყოყმანოდ შეუდგა საქმეს.

კაშტელანმა თხოვნა შეისმინა, უკანასკნელი ვადა დანიშნა და განაჩენის შესრულება ამ დრომდე გადაიდო. მაცკოს სიხარულის ფრთები შეესხა და იმავე დღეს შეუდგა გასამგზავრებლად მზადებას, მერე კი ზბიშკოს მიაშურა, რომ კარგი ამბავი ეხარებინა.

თავდაპირველად ზბიშკომ ისე გაიხარა, თითქოს მის წინ უკვე განიხვნეს კარნი საპყრობილისანი, მაგრამ წუთის შემდეგ ჩაფიქრდა, წარბი შეჰყარა და თქვა:

– განა გერმანელებისაგან სიკეთეს ეღირსები? ლიხტენშტაინსაც შეეძლო ეთხოვა მეფისათვის, აპატიეო, მაგრამ როდი მოინდომა ამის გაკეთება...

– ის იმაზე გაჯიუტდა, რომ ტინეცის გზაზე არ ვისურვეთ მობოდიშება. დიდ მაგისტრ კონრადზე ხალხში კარგი ხმები დადის. ბოლოს და ბოლოს ამით შენ არაფერს ჰკარგავ.

– ეგ მართალია, – თქვა ზბიშკომ, – მაგრამ მაინცადამაინც ნუ დაეღრიჯებით იქ.

– მე რა მაქვს დასაღრეჯი? მე წერილი მიმაქვს მთავრის მეუღლე ალექსანდრასგან – ეს არის და ეს...

– რაკი ასე მოწყალე ბრძანდებით, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ...

უცებ ზბიშკომ თვალი შეავლო ბიძას და უთხრა:

– ოღონდ იცოდეთ, თუ მეფემ შემიწყალა, ლიხტენშტაინი ჩემი იქნება და არა თქვენი. გახსოვდეთ...

– შენ ჯერ არ იცი, შეგრჩება თუ არა თავი კისერზე, და წინასწარ ნურავითარ დაპირებებს ნუ იძლევი, – განრისხდა მაცკო, – ვერა ხედავ, იმ უგუნურმა აღთქმებმა სადამდე მიგიყვანეს.

ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ, დაემშვიდობნენ და ზბიშკო ისევ მარტო დარჩა. მის გულში იმედს კვლავ ეჭვი ენაცვლებოდა. როცა ღამე ჩამოდგა და მასთან ერთად საავდრო ღრუბლები შემოიჯარა, როცა სარკმელში ელვამ გაჰკვესა და კედლები ქუხილმა შეაზანზარა, როცა ქარი შემოიჭრა

სისინით საკანში და ტუსაღის სასთუმალთან ბჟუტია ლამპარიც გაქრა, ზბიშკომ უკუნეთში ისევ დაკარგა ყოველგვარი იმედი და მთელი ღამე თვალი აღარ მოუხუჭავს.

„არა, არ მიწერია გადარჩენა, – ფიქრობდა ის. – არაფერი მე არ დამიხსნის“.

მაგრამ დილით მის მოსანახულებლად დიდებული ქალბატონი ანა მობრძანდა და თან სარტყელზე პატარა ბარბითჩამოკიდებული დანუსია მოიყვანა. ზბიშკო ჯერ ქალბატონის წინ დაეცა მუხლებზე, მერე დანუსიასი და, თუმც მთელი ღამის უძინარი, დარდით მოკლული და ეჭვებით განაწამები იყო, მაინც არ დაივიწყა რაინდული ვალი და დანუსიას მშვენება შეუქო.

მაგრამ ქალბატონმა სევდიანი თვალები მიაპყრო მას და უთხრა:

– ნუ ხარობ მაგის სილამაზით, თორემ, მაცკომ თუ კარგი პასუხი არ ჩამოიტანა ან სულ ვერ დაბრუნდა, მალე ზეცაში უნდა გაიხარო, შე საცოდავო, რამე უკეთესით.

მერე ახალგაზრდა რაინდის ავბედობით შეწუხებულმა ცრემლები გადმოყარა, იმას დანუსიაც აჰყვა. ზბიშკო ისევ დაეცა მათ ფეხებთან, რადგან ამ ცრემლების სითბომ გული ცვილივით დაუდნო. დანუსიასადმი ის გრძნობა არ ამოძრავებდა, რაც მამაკაცს შეიძლება ჰქონდეს ქალის მიმართ, მაგრამ იგრძნო, რომ მთელი სულითა და გულით უყვარდა, რომ ქალიშვილის დანახვაზე რაღაც უცნაური ხდებოდა მის გულში, თითქოს მასში ცხოვრობდა სულ სხვა ადამიანი, არც ასეთი მკაცრი, არც ასეთი ფიცხი, არც ასეთი ომს დახარბებული, სამაგიეროდ, დამატკბობელი სიყვარულით უძღები. დაბოლოს, სინანულმა შეიპყრო, რომ უნდა გაშორებოდა მას და თავისი აღთქმა ვეღარ შეესრულებინა.

– ვეღარ დაგიწყობ ფერხთით, ჩემო საბრალო გოგონი ფარშავანგის ჯიღებს, – ეუბნებოდა ის. – მაგრამ თუ მძლეთამძლე ყოვლისმხილველის წინაშე წარვსდგები, მაშინ მას მოვახსენებ: „ღმერთო დიდებულო, მომიტევე ცოდვანი ჩემნი და ყოველი სიკეთე, რაც კი დედამიწაზე სუფევს, მხოლოდ ერთ ქალიშვილს, დანუტას უბოძე“.

– ცოტა ხანია, რაც ერთურთი შეიცანით, – თქვა ქალბატონმა, – ღმერთს ვთხოვ, ამაოდ არ ჩაევლოს.

ზბიშკომ გაიხსენა ყველაფერი, რაც ტინეცის ფუნდუკში გადახდა, და გული აუჩუყდა. ბოლოს დანუსიას სთხოვა ემღერა ის სიმღერა, რომლის დროსაც ხელი შეაშველა და ქალბატონს ატატებული მიჰგვარა.

დანუსიას აბა რა ემღერებოდა, მაგრამ მაშინვე ასწია თავი, ძელურ ჭერს მიაპყრო მზერა, მერე ჩიტივით მილულა თვალები და დაიწყო:

ნეტავი ჩიტად მაქცია,
ცაში გავშლიდი ფრთებს,
გავშლიდი, სილეზიისკენ,
გადავიფრენდი მთებს.
ერთ სარკმელს გამოვარჩევდი
უცხო მხარეში შორს,
ალერსით ჩაგჭიკჭიკებდი
გულის სწორსა და ტოლს

და უცებ დახრილი ქუთუთოებიდან ნიაღვარივით წამოუვიდა ცრემლები – სიმღერა ვეღარ შეძლო. ზბიშკომ ისევ აიტაცა, როგორც მაშინ, ტინეცში, და საკანში წინ და უკან ტარება დაუწყო, თან აღფრთოვანებული იმეორებდა:

– მარტო მბრძანებლად კი არ მესურვებოდი. ღმერთს რომ გადავერჩინე, შენ კი წამოზრდილიყავ და მამაშენსაც ნება დაერთო, უეჭველად ცოლად შეგირთავდი, ჩემო მშვენებავ!.. ეჰ!..

დანუსიამ ხელები მოჰხვია კისერზე და ნამტირალევი სახე, მის მხარში ჩამალა, ზბიშკოს კი უსაზღვრო სინანული უღვივდებოდა, სლავის თავისუფალი გულის სიღრმიდან ტალღად რომ ლამობდა ამოხეთქვას და ველის უბრალო სიმღერად გადაქცევას:

გეტყოდი: „ცოლად გამომყე!“
ერთურთს მივცემდით ხელს.
შენთან გავლევდი სიცოცხლეს,
წუთისოფლისა დღეს.

VI

მოულოდნელად ისეთი ამბები დატრიალდა, რომლის წინაშე ადამიანთა თვალში ყველაფერმა დაკარგა მნიშვნელობა. ოცდაერთ ივნისს, საღამო ხანს, ციხესიმაგრეში ხმა დაირხა, დედოფალი მოულოდნელად შეუძლოდ შეიქნაო. მთელი ღამე ეპისკოპოსი ვიში და სხვა მოწვეული მკურნალ-

ნი დედოფლის სარეცელს არ მოშორებიან. მსახურმა ქალებმა ამასობაში ამბავი გამოიტანეს, დედოფალს ადრეული მშობიარობა დაეწყოო. კრაკოვის კაშტელანმა იასკო ტოპურ ტენჩინელმა იმავე ღამეს აფრინა მალემსრბოლები მეფესთან, რომელიც სადღაც გამგზავრებულიყო. მეორე დილით ეს ამბები მთელ ქალაქსა და მის შემოგარენს მოეფინა. კვირა დღე გათენდა და ყველა ტაძარი ხალხით იყო გაჭედილი. ქსონძები ხალხს მოუწოდებდნენ ელოცათ დედოფლის ჯანმრთელობისათვის. მაშინ კი მიხვდა ყველა, რაც მომხდარიყო. წირვის შემდეგ სადღესასწაულოდ ჩამოსული საზღვარგარეთელი რაინდები, შლიახტა და ვაჭართა დეპუტაციები ციხისაკენ გაემართნენ; ამქრები და ძმობის წევრებიც თავიანთი ბაირაღებით სასახლისაკენ წავიდნენ. შუადღეზე ვაველს გარს შემოერტყა უამრავი ხალხი; მეფის მშვილდოსნები სიმშვიდისა და წესრიგისაკენ მოუწოდებდნენ ხალხს. ქალაქი თითქმის სულ მთლად დაიცალა. ახლომახლო სოფლებიდან ჩამოსული გლეხები თუ ჩაივლიდნენ ხანდახან გამოცარიელებულ ქუჩებში; უსაყვარლესი დედოფლის ავადმყოფობა რომ შეიტყვეს, გლეხებმაც ციხესიმაგრეს მიაშურეს. ბოლოს და ბოლოს ალაყაფის კართან გამოჩნდნენ ეპისკოპოსი და კაშტელანი, მათ ახლდნენ კათედრალური კანონიკები, მეფის მრჩევლები და რაინდები, ისინი გალავანს გაჰყვნენ, გაიშალნენ სხვადასხვა მხარეს და ხალხს შეერივნენ; სახეზე ეტყობოდათ, რაღაცის თქმას აპირებდნენ, მაგრამ ლაპარაკი იმით დაიწყეს, რომ ხალხს მკაცრად უბრძანეს, თავი შეეკავებინათ ყოველგვარი შეძახილებისაგან, რათა არ შეეწუხებინათ ავადმყოფი დედოფალი, ამის შემდეგ აცნობეს ყველას, დედოფალს ქალიშვილი შეეძინაო. ამის გაგონებაზე ხალხს გული სიხარულით აევსო, განსაკუთრებით, როცა გაიგეს, რომ ადრეული მშობიარობის მიუხედავად, ბავშვისა და დედის სიცოცხლეს ჯერჯერობით არაფერი ემუქრებოდა. ციხის სიახლოვეს ხმაური არ შეიძლებოდა. ხალხს კი სურვილი ჰქონდა თავისი სიხარული რამენაირად გამოეხატა, ამის გამო მათ მოედნისაკენ მიმავალ ქუჩებს მიაშურეს. როცა ქუჩები ხალხით აივსო, უეცრად გაისმა სიმღერები და სიხარულის შეძახილები. არავის არაფრად ადარდებდა, რომ დედოფალს ქალიშვილი შეეძინა. „გადა რითი იყო ცუდი, – ამბობდნენ ისინი, თუ მეფე ლუისს ვაჟიშვილი არა ჰყავდა და ტახტის მემკვიდრე იადვიგა გახდა? მისი და იაგელოს შეუღლებით სახელმწიფო ორჯერ უფრო გაძლიერდა. ახლაც ასე იქნება. ძნელად იპოვი ისეთ მემკვიდრეს, როგორიც ჩვენი დედოფლის ქალიშვილია, – რომის იმპერატორსაც არ გააჩნია სიმძლავრით ამისი მსგავსი სახელმწიფო, ასეთი თვალშეუდგამი მიწები და ასეთი მრავალრიცხოვანი რაინდები! ყველაზე ძლიერი მონარქები შეეცდებიან მისი ხელის მოპოვებას, ჩამოვლენ მეფისა და დედოფლის თაყვანისსაცე-

მად, ხშირად ივლიან კრაკოვში, ჩვენ კი, ვაჭრებს, ამისგან ხეირი გვექნება, იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ რომელიმე ახალი სახელმწიფო, ჩეხეთი ან უნგრეთი, შემოუერთდება ჩვენს სამეფოს“. ასე მსჯელობდნენ ვაჭრები, ირგვლივ კი ყველაფერი ზეიმობდა. ხალხი ლხინს მიეცა საკუთარ სახლებშიც და ყავახანებშიც. მოედანზე ჩირაღდნები და ფარნები აბდღვრიალდა. ახლომახლო სოფლებიდან გლეხები დაიძრნენ ქალაქისაკენ და თავიანთ ფორნებთან ქალაქის გარეუბნებში დაიდეს ბინა. ებრაელები კაზიმეჟზე, სინაგოგის მახლობლად ყაყანებდნენ. გვიან ღამემდე, თითქმის განთიადამდე, როგორც ბაზრობა დღეს, ისე ფუთფუთებდა მოედანი, განსაკუთრებით რატუშისა და სასწორის მახლობლად. ხალხი ცხელ-ცხელ ამბებს ჰყვებოდა, ზოგიერთს კოშკში აგზავნიდნენ, ახალი ხომ არაფერი მოხდაო, და უკან დაბრუნებულებს ალყად ერტყმოდნენ გარს.

ყველაზე საწყენი ის იყო, რომ არქიეპისკოპოსმა პეტრემ ახალშობილი იმავე ღამეს მონათლა. აქედან დაასკვნეს, რომ გოგონა ძალზე სუსტი უნდა ყოფილიყო. თუმცა გამოცდილი ქალაქელი დედაკაცები ჰყვებოდნენ ისეთ შემთხვევებსაც, როცა ნახევრად მკვდარი ახალშობილები მონათვლის შემდეგ გამობრუნებულან. ხალხს სჯეროდა, რომ ახალშობილი იცოცხლებდა, განსაკუთრებული იმედი ჰქონდათ იმ სახელისა, რომელიც მას უწოდეს. ამბობდნენ, არც ერთ ბონიფაციის და არც ერთ ბონიფაციას არა აქვს უფლება გარდაიცვალოს დაბადებისთანავე, რადგან მათ კარგი საქმეების კეთება აქვთო დაკისრებული. სიცოცხლის პირველ წლებსა და, მით უმეტეს, სიცოცხლის პირველ თვეებში კი ჩვილს აბა რა კარგი ან რა ცუდი საქმეების გაკეთება შეეძლო.

მაგრამ მაინც მეორე დღეს ჩვილზეც და დედაზეც სასახლიდან ავი ამბები მოვიდა და ქალაქი ააფორიაქა. ტაძრებში, როგორც დღესასწაულებზე, დილიდან საღამომდე ირეოდა ხალხი. მსხვერპლსა სწირავდნენ დედოფლისა და მისი ასულის სახელზე. ყველა მღელვარებით შესცქეროდა უღარიბეს გლეხებს, რომლებსაც მოჰქონდათ ბათმანი ხორბალი, ბატკნები, ქათმები, გამხმარი სოკოების ასხმულები და კოთხოებით თხილი. მსხვილ-მსხვილი შესაწირავები გაიღეს რაინდებმა, ვაჭრებმა და ხელოსნებმა. მალემსრბოლები აფრინეს წმინდა ადგილებში. ვარსკვლავთმრიცხველები ვარსკვლავებზე მარჩიელობდნენ. შიგ კრაკოვში საზეიმო პროცესიები მოეწყო. გამოვიდა ყველა ამქარი და ყველა ძმობა. ქალაქი დროშებით მორთეს. ბავშვთა პროცესიებიც შედგა, რადგან ყველა ფიქრობდა, უმანკო ბავშვების ლოცვას ღმერთი უფრო ადვილად შეისმენსო. ქალაქის კარიბჭეში სულ ახალი და ახალი ხალხი შემოდიოდა.

ასე მისდევდა დღე დღეს საეკლესიო პარაკლისებსა და პროცესიებში, ზარების განუწყვეტელ გუგუნსა და ტაძრებში თავშეყრილი ხალხის ზრიალში. ერთი კვირის შემდეგ, რაკი დედოფალი და ახალშობილი ისევ ცოცხლები იყვნენ, ხალხს კვლავ იმედი ჩაესახა გულს. სრული უგუნურება იქნებოდა, ღმერთს დროზე ადრე გამოეთხოვა თავისთან სახელმწიფოს მფარველი, რომელსაც ამდენი საქმის აღსრულების შემდეგ დაუმთავრებელი უნდა დაეტოვებინა თავისი დიდებული წამოწყებები, მოციქულთ სწორი მეუღლე, რომელმაც საკუთარი ბედნიერების ფასად მოაქცია ქრისტეს რჯულზე უკანასკნელი კერპთაყვანისმცემელი ხალხი ევროპაში. მეცნიერები იხსენებდნენ, რამდენი გაუკეთა მან აკადემიას, სასულიერო პირები – რა იღონა ღმერთის სადიდებლად, სტატისტები – ქრისტიან მონარქებს შორის მშვიდობის ჩამოსაგდებად, კანონიკები – სამართლიანობისათვის, ობლები – სიღატაკის მოსასპობად, და არც ერთს არ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა, რომ ასე უდროოდ შეწყვეტილიყო სამეფოსა და მთელი მსოფლიოსათვის ასე საჭირო სიცოცხლე.

ამასობაში, ცამეტ ივლისს, გლოვის ზარმა ხალხს ამცნო ჩვილის გარდაცვალება. ისევ აზრიალდა ქალაქი, შიშმა ჩაიბუდა გულებში, ისევ გარს შემოერტყნენ ვაველს, კითხულობდნენ დედოფლის ჯანმრთელობის ამბავს. მაგრამ ამჯერად არავინ გამოსულა ხალხში სასიკეთო ამბებით. ციხეში შემავალი ან იქიდან გამომავალი დიდებულები მოღუშულები იყვნენ და დღითი დღე უფრო ექუფრებოდათ სახეები. ამბობდნენ, ქსონძი სტანისლავ სკარბიმეჟელი, თავისუფალ მეცნიერებათა მაგისტრი კრაკოვში, დედოფლის სარეცელს არ სცილდება, ყოველდღე აზიარებს მას. იმასაც ამბობდნენ, თითქოს ყოველი ზიარების შემდეგ მის სარეცელს ღვთიური ნათელი ადგებაო. ზოგიერთებმა ეს ნათელი ფანჯრებშიც კი დაინახეს, მაგრამ იმ მოლანდებამ მხოლოდ შესძრა დედოფლის მოყვარული გულები, რადგან ის საიქიო ცხოვრების დასაწყისად მიიჩნიეს.

ზოგიერთს არც კი სჯეროდა, რომ ასეთი საშინელება შეიძლებოდა მომხდარიყო. ისინი გულს იმშვიდებდნენ იმედით, სამართლიანი ზეცა ერთი მსხვერპლით დაკმაყოფილდებაო. და მაინც, პარასკევს დილით, ჩვიდმეტ ივლისს, ხმა გავარდა – დედოფალი სიკვდილის პირას არისო. ყველამ, ვისაც სული ედგა, ციხე-კოშკს მიაშურა. ქალაქი მთლად დაცარიელდა. მხოლოდ ხეიბრები დარჩნენ. ძუძუთა ბავშვების დედებიც კი ციხისაკენ გაეშურნენ. ფარდულები დაიკეტა. ხალხი სადილს აღარ ხარშავდა, ყველა საქმე გვერდზე გადადეს, ვაველის კედლებს კი აღელვებული, თავზარდაცემული და ხმაჩაწყვეტილი ხალხის ზღვა ერტყა.

და უცებ, დღის პირველ საათზე, კათედრალური ტაძრის სამრეკლოზე ზარმა ჩამოჰკრა. თავიდან ვერავინ მიხვდა, რაა მოასწავებდა ეს. მერე კი ხალხს ელდისაგან თმა ყალყზე დაუდგა. ყველა თავი და ყველა თვალი სამრეკლოსაკენ მიბრუნდა, სადაც სულ უფრო ფართოდ ქანაობდა ზარი. მისი საბრალისი კვნესა მაშინვე აიტაცეს დანარჩენმა ზარებმა: ფრანცისკელებთან, წმინდა სამებაში, წმინდა მარიამისაში – და სულ შორს და შორს, მთელ ქალაქში. ხალხი ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რას მოასწავებდა ეს გოდება; და ისეთმა ძრწოლამ შეიპყრო ყველა, ისეთმა ტკივილმა დასერა თითქოს ზარების ფოლადის ენები შიგ გაშიშვლებულ გულებში ურტყამდათ.

უცებ სამრეკლოზე გამოჩნდა შავი საეკლესიო ბაირაღი, რომელზეც შუაში დიდი თავის ქალა იყო გამოსახული, მის ქვევით კი თეთრად მოჩანდა ორი გადაჯვარედინებული წვივის ძვალი. ყველაფერი გასაგები გახდა. დედოფალმა ღმერთს მიაბარა სული.

ათასობით ადამიანის მოთქმამ და კვნესამ შესძრა ციხის კედლები და გლოვის ზარების გაუთავებელ რეკვას შეუერთდა. ბრბოში ზოგი მიწაზე ეცემოდა, ზოგი ტანისამოსს იგლეჯდა, ზოგი სახეს იხოკავდა, ზოგი ენაჩავარდნილი შეჰყურებდა კედლებს, სხვები ოხრავდნენ ან დედოფლის ოთახებისა და ტაძრისკენ. ხელებგაწვდილნი ღმერთს სასწაულსა და შეწყალებას სთხოვდნენ. ზოგიერთი სასოწარკვეთილებას იქამდე მიეყვანა, რომ ღვთის სახელის შებღალვასაც აღარ ერიდებოდა. „ღმერთმა წაგვართვა საყვარელი დედოფალი, - ისმოდა მათი მრისხანე ხმები, – მაშ რიღასთვის ვაწყობდით პროცესიებს? რისთვის ვგალობდით და ვლოცულობდით? ოქრო და ვერცხლი ინება ღმერთმა, სამაგიეროდ რა მოგვცა? არაფერი? ასაღები აიღო, მოსაცემი კი არ გაიმეტა!“ სხვები ცრემლების ფრქვევით, კვნესით იმეორებდნენ: „იესო ქრისტევ! იესო!“ ხალხმა ციხეში შესვლა მოინდომა, რათა კიდევ ერთხელ შეევლო თვალი საყვარელი დედოფლისათვის. ისინი არ შეუშვეს, მოახსენეს, ცხედარს მალე ტაძარში დავასვენებთ და ყველა შესძლებთ დახედოთ მიცვალებულს და ილოცოთო მის კუბოსთან. საღამოხანს გულდათუთქული და დამწუხრებული ხალხი ნელ-ნელა გამობრუნდა ქალაქისაკენ; ისინი ჰყვებოდნენ დედოფლის უკანასკნელ წუთებზე, მომავალ დაკრძალვასა და იმ სასწაულებზე, რომლებიც მის ცხედართან და აკლდამასთან უნდა მომხდარიყო. ამაში ხალხი სრულიად დარწმუნებული იყო. იმასაც ამბობდნენ, დედოფალი ახლავე წმინდანად უნდა შერაცხონო, ხოლო როცა ზოგიერთმა ეჭვით შეხედა ამას, სხვები იმწამსვე ავინიონით დაემუქრნენ...

მთელი ქალაქი, მთელი ქვეყანა სევდამ და სასოწარკვეთამ მოიცვა. და არა მხოლოდ უბრალო ხალხს, ყველას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს დედოფლის სიკვდილთან ერთად სამეფოს ბედის ვარსკვლავი ჩაესვენა. კრაკოველ დიდებულთაგან ზოგიერთი მომავალსაც უსასოოდ შეჰყურებდა. ხალხი კითხულობდა, რა მოხდებაო ახლა? ჰქონდა თუ არა უფლება იაგელოს დედოფლის სიკვდილის შემდეგ პოლონეთის ტახტის გამგებლად დარჩენილიყო, ხომ არ დაბრუნდებოდა ის თავის ლიტვაში და მხოლოდ ლიტვის დიდი მთავარი იქნებოდა ზოგიერთი ვარაუდობდა და, როგორც შემდეგ გამოირკვა, არცთუ უსაფუძვლოდ, რომ მეფე თვითონ იტყოდა უარს ტახტზე და სამეფოს ამის შემდეგ ჩამოსცილდებოდა უამრავი მიწები, ისევ დაიწყებოდა ლიტველთა თავდასხმები, რაზედაც სისხლიანი დარტყმებით უნდა ეპასუხათ სამეფოს გაშმაგებულ მცხოვრებთ. გაძლიერდებოდა ორდენი, რომის იმპერატორი, უნგრეთის მეფე, დღემდე მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სამეფო კი მხოლოდ დაცემისა და თავლაფის დასხმის მოლოდინში უნდა ყოფილიყო.

ვაჭრები, რომელთაც გზა ხსნილი ჰქონდათ ვეებერთელა ლიტვისა და რუსეთის მიწებისაკენ, წინასწარ ანგარიშობდნენ ზარალს და ღმერთს შესაწირავს აღუთქვამდნენ, ოღონდ იაგელო ტახტზე დარჩენილიყო; მაგრამ ამ შემთხვევაში სულ მალე ორდენთან ომი არ ასცდებოდათ. ყველამ იცოდა, რომ დედოფალი იყო ამ ომის ერთადერთი შემჩერებელი. ხალხმა გაიხსენა, ერთხელ ჯვაროსნების სიხარბითა და ცბიერებით აღშფოთებულმა დედოფალმა როგორ წინასწარმეტყველურად უთხრა მათ: „სანამ ცოცხალი ვარ, მე ვაკავებ ჩემი მეუღლის სამართლიან რისხვას; მაგრამ გახსოვდეთ, ჩემი სიკვდილის შემდეგ, მთელი სასჯელი ერთად დაგატყდებათ თავს თქვენგან ჩადენილი ცოდვების გამო!“

გაყოყოჩებულ, დაბრმავებულ ჯვაროსნებს მართლაც არ ეშინოდათ ომისა. ფიქრობდნენ დედოფლის სიკვდილის შემდეგ წმინდანობის შარავანდედი, რომლითაც ის იყო გარემოცული, განიფანტება, აღარავინ გაუწევს წინააღმდეგობას დასავლეთის სახელმწიფოთა მომძლავრებას, და მაშინ ჯვაროსნების დასახმარებლად ათასობით მხედარი მოვაო გერმანიიდან, ბურგუნდიიდან, საფრანგეთიდან და სხვა, კიდევ უფრო შორეული ქვეყნებიდან. იადვიგას სიკვდილი მართლაც ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომ ჯვაროსანთა ელჩი ლიხტენშტაინი მეფის ჩამოსვლას არც დაელოდა, ისე გაემართა მალბორგისაკენ, რათა სასწრაფოდ ეცნობებინა დიდი მაგისტრისა და კაპიტულისთვის ასეთი მნიშვნელოვანი და თანაც რამდენადმე მრისხანე ამბავი.

უნგრეთის, ავსტრიის, კეისრისა და ჩეხების ელჩებიდან ზოგი ლიხტენ-შტაინის კვალდაკვალ გაეშურა თავის ქვეყნებისაკენ, ზოგმა კი თავთავის მონარქს მაცნეები გაუგზავნა, იაგელო კრაკოვში საშინლად სასოწარკვეთილი ჩამოვიდა. პირველ წუთებში დიდებულებს განუცხადა, არ მსურს ვმართო სახელმწიფო დედოფლის გარეშე და ლიტვაში ჩემს მამულებს უნდა მივაშუროო. შემდეგ დარდისაგან თითქოს გაოგნდა, აღარც საქმე აინტერესებდა არც კითხვებზე პასუხობდა, დროდადრო კი მწარედ საყვედურობდა თავის თავს, რომ წავიდა და დედოფლის სიცოცხლის ბოლო წუთებში აქ არ იყო, რომ ვერ დაემშვიდობა მას და ვერ მოისმინა მისი ბოლო სიტყვები და ანდერძი. ამაო იყო სტანისლავ სკარბიმეჟელისა და ეპისკოპოს ვიშის ჩაგონება, რომ დედოფალი მოულოდნელად გახდა ცუდად და ყველანაირი ანგარიშით მას უნდა მოესწრო ჩამოსვლა, მშობიარობა რომ დროზე ადრე არ დაწყებულიყო. მაგრამ ამით იაგელო ვერც მშვიდდებოდა და ვერც დარდი უმსუბუქდებოდა. „მე უიმისოდ მეფე არა ვარ, – უპასუხა მან ეპისკოპოსს, – ვარ მხოლოდ ცოდვილი, რომელიც ინანიებს თავის ცოდვებს, მაგრამ სიმშვიდე მისთვის მაინც არა ჩანს“. ამის მერე მიწას დააშტერდა და ამაოდ ელოდნენ მისგან თუნდაც ერთი სიტყვის გაგონებას.

ამასობაში ყველა დედოფლის დაკრძალვაზე ფიქრს შეეპყრო. ქვეყნის ოთხივ კუთხიდან მოაწყდა დიდებულთა, შლიახტიჩთა და უბრალო ხალხის ახალი ნაკადი. განსაკუთრებით ბევრნი იყვნენ ღატაკები. იმედი ჰქონდათ, რომ დაკრძალვის მთელი წეს-ჩვეულების შესრულებისას, რომელიც ერთ თვეს უნდა გაგრძელებულიყო, უხვ მოწყალებას მიიღებდნენ. დედოფლის ცხედარი კათედრალურ ტაძარში დაასვენეს ამაღლებულ ადგილას, ისე, რომ თავი გაცილებით უფრო მაღლა ჰქონოდა, რათა ხალხს შესძლებოდა უკეთ დაენახა მისი სახე. ტაძარში შეუწყვეტლივ წირავდნენ; კატაფალკის გარშემო ათასი თაფლის სანთელი ენთო და ამ ელვარებაში ესვენა ყვავილებში ჩაფლული დედოფალი, მშვიდი და გაღიმებული, საარაკო თეთრი ვარდის მინამგვანი, ცისფერ ტანისამოსში გამოწყობილი და გულხელდაკრეფილი. ხალხი მას წმინდანად თვლიდა, მასთან მოჰყავდათ შეშლილები, ხეიბრები, ბავშვები. ტაძარში ხან დედების შეძახილი ისმოდა, რომელთაც ავადმყოფი შვილის გაფითრებულ სახეზე ჯანმრთელობის მაუწყებელი სიწითლე შენიშნეს, ხან დამბლადაცემულისა, რომელიც მოულოდნელად იგრძნობდა, რომ ისევ ემორჩილება აქამდე უმოძრაო სხეულის ნაწილები. ხალხს ჟრჟოლა უვლიდა ამის გაგონებაზე, ელვასავით ედებოდა სასწაულის ამბავი ტაძარს, ციხეს, ქალაქს და უფრო და უფრო მეტ

ღატაკს იზიდავდა აქეთ, მათ ხომ მხოლოდ სასწაულის იმედი ჰქონდათ, მისგან ელოდნენ ხსნას.

ამასობაში ზბიშკო ყველას გადაავიწყდა. ან კი ვის უნდა გახსენებოდა ასეთ მძიმე დღეებში ციხის კოშკში გამომწყვდეული ერთი უბრალო შლიახტიჩის ბიჭი! ციხის მცველებისაგან ზბიშკომ იცოდა დედოფლის ავადმყოფობის ამბავი, ხალხის ხმაურიც ესმოდა ციხესთან; ხოლო როცა მოთქმა და ზარების გუგუნი შემოესმა, მუხლებზე დაეცა, საკუთარი ხვედრი დაავიწყდა და საყვარელ დედოფალს დასტიროდა. ეჩვენებოდა, რომ ამ ქალთან ერთად გაქრა მთელი მისი იმედები და დედოფლის სიკვდილის შემდეგ სიცოცხლეს აზრი სრულიად ეკარგებოდა.

დასაფლავების ხმები, ზარების რეკვა, საეკლესიო გალობა, ხალხის ქვითინი კვირით კვირამდე ჩაესმოდა ზბიშკოს. ამ ხანებში ისე დაიბოღმა, მადა დაკარგა, ძილი გაუტყდა და გალიაში ჩამწყვდეული ველური ნადირივით წრიალებდა ამ მიწისქვეშეთში. მას კლავდა მარტოობა. ხანდახან დღე ისე გავიდოდა, მისთვის ახალი წყლისა და საჭმლის მოტანაც კი ავიწყდებოდათ, იმდენად იყო ყველა დაკავებული დედოფლის დაკრძალვით. დედოფლის გარდაცვალების დღიდან მასთან აღარავინ მოსულა. არც მთავრის მეუღლე, არც დანუსია, არც პოვალა ტაჩეველი, რომელიც უწინ ასე აქტიურად მონაწილეობდა მისი ბედის გადაწყვეტაში. არც მაცკოს ნაცნობი ვაჭარი ამილეი მოდიოდა. ზბიშკო გულმოკლული ფიქრობდა, მაცკოს გამგზავრების შემდეგ ყველას დავავიწყდიო. ხანდახან ისიც გაუელვებდა თავში, ნაცნობ-მეგობრებთან ერთად მართლმსაχულებასაც ხომ არ დავავიწყდი და ცოცხლად ხომ არ უნდა ჩავლპე ამ χურღმულშიო. და მაშინ ზბიშკო სიკვდილს შესთხოვდა ღმერთს.

როცა დედოფლის დაკრძალვიდან ერთი თვე გავიდა და მეორე დაიწყო, ზბიშკოს იმაშიც ეჭვი შეეპარა, რომ მაცკო ოდესმე დაბრუნდებოდა. აკი მოხუცი პირდებოდა, ეჩქარა და ცხენი არ დაეზოგა. მალბორგი ქვეყნის დასალიერი არ არის. თორმეტ კვირაში შეიძლებოდა ჩასვლა და მობრუნება, მით უმეტეს, როცა ასე ჩქარობ. „მაგრამ იქნებ აღარც ჩქარობს! - ფიქრობდა მწარედ ზბიშკო, - იქნებ სადმე გზაში საცოლეც ამოირჩია. სიხარულით წაიყვანს ბოგდანეცში, საკუთარ შვილებს გააჩენს, მე კი აქ უსასრულოდ უნდა ველოდო, სანამ ღმერთი ინებებს ჩემს გახსენებას!“

ბოლოს მან დაკარგა დროის ანგარიში, საპყრობილის დარაχებსაც აღარ სცემდა ხმას და თავისი სარკმლის გისოსზე გაბმული აბლაბუდა რომ შენიშნა, მაშინღა მიხვდა, უკვე შემოდგომა დამდგარიყო. მთელი დღეები იχდა ტახტზე თავჩაღუნული, ბურანში წასული, გაოგნებული და მხრებამ-

დე ჩამოზრდილ თმას თითებით აწვალებდა. თავს მაშინაც კი არ სწევდა, როცა დარაჯი საჭმელს მოუტანდა და გამოელაპარაკებოდა. მაგრამ, აი, ერთხელ გაიჭრიალა კარმა და ნაცნობმა ხმამ საკანში შემოსძახა:

– ზბიშკო!

– ძია! – იყვირა ზბიშკომ და ფეხზე წამოვარდა.

მაცკომ ხელები გაშალა, მაგრად ჩაიკრა გულში ჭაბუკი და ქერა კულულები დაუკოცნა. სინანულმა, სიმწარემ და ნაღველმა ისეთი ძალით ამოხეთქა ჭაბუკში, რომ ის ბავშვივით აქვითინდა ბერიკაცის მკერდზე.

– იმედი გადავიწყვიტე, მეგონა, აღარ დაბრუნდებოდით, – უთხრა ატირებულმა.

– ცოტა დააკლდა, არ შეგისრულე ეგ შენი შიში, – უპასუხა მაცკომ.

მხოლოდ ახლა ასწია თავი ზბიშკომ, სახეში შეხედა მას და ჩაეკითხა:

– ხიფათს გადაეყარეთ რასმე?

ის დააცქერდა გატანჯულ, გამხდარ, მიტკალივით გაფითრებულ, მხრებში მოხრილსა და გაჭაღარავებულ ჭარმაგ მეომარს.

– რა დაგემართათ? – გაუმეორა მან.

მაცკო საწოლზე დაეშვა და ერთ წამს სული ძლივს მოითქვა.

– რა შემემთხვა? – თქვა მან ბოლოს. – ზედ საზღვარზე, ტყეში, გერმანელებმა ფერდში დამჭრეს ისრით. გაგიგონია ყაჩაღი რაინდები? ახლაც მიჭირს სუნთქვა... ღმერთს რომ მშველელი არ გამოეგზავნა, ვეღარასოდეს მიხილავდი.

– ვინ მოგეშველა?

– იურანდ სპიხოველი, – უპასუხა მაცკომ.

წამით სიჩუმე გამეფდა.

– ისინი მე დამესხნენ თავს, შუადღეზე კი იურანდი დაესხა მათ. იმათი ნახევარი ხელიდან ვეღარ დაუსხლტა. სამი კვირა ვიწექი იმასთან სპიხოვში და სიკვდილს ვებრძოდი. ღმერთმა მიხსნა. ახლაც არა ვარ გამომჯობინებული, მაგრამ მაინც დავბრუნდი.

– მაშ მალბორგში არ ჩასულხართ?

– მალბორგს რაღა მინდოდა? ყაჩაღებმა პირწმინდად გამძარცვეს და მაგისტრისათვის მისატანი წერილიც წამართვეს. ახლა დავბრუნდი, რომ ქალბატონ ალექსანდრასთვის მეორე წერილის დაწერა მეთხოვა, მაგრამ

ვეღარც იმას ჩამოვუსწარი. არ ვიცი, დავეწევი თუ არა. თითქმის იმქვეყნად წასასვლელად ვარ გამზადებული.

ამ სიტყვებზე მან ხელზე დაიფურთხა და ზბიშკოს სუფთა სისხლი დაანახვა.

– აი, ხედავ?

მერე დაუმატა:

– ასეთია ალბათ ნება ღვთისა. ერთ წამს შავმა ფიქრმა წაიღო ორთავე, შემდეგ ზბიშკომ ჰკითხა:

– გამუდმებით სისხლს იღებთ?

– აბა რა იქნება, თუკი ისრის წვერი ნეკნებს შუა ნახევარ მტკაველზე მაქვს შესობილი! ვერც შენ გადაურჩებოდი. იურანდ სპიხოველთან ცოტა მოვმჯობინდი, ახლა კი საშინლად გავწვალდი – შორი გზა იყო გამოსავლელი, თანაც ვჩქარობდი.

– ეჰ! რა გაჩქარებდათ?

– მე ხომ ქალბატონ ალექსანდრასთვის მინდოდა ჩამომესწრო და მეორე წერილი დამეწერინებინა. იურანდ სპიხოველმა კი, აი, რა მითხრა: „წაბრძანდით და წერილი აქ, სპიხოვში ჩამომიტანეთ. მე სარდაფში რამდენიმე გერმანელი მყავს დამწყვდეული. ერთ მათგანს გავუშვებ, რაინდულ სიტყვას ჩამოვართმევ და მაგისტრთან წერილს გავატან“. იურანდს ყოველთვისა ჰყავს დატყვევებული რამდენიმე გერმანელი. ის ხომ შურს იძიებს ცოლის სიკვდილის გამო. გააფთრებულია და სიამოვნებით ისმენს, ღამღამობით როგორ კვნესიან და ბორკილებს აჩხარუნებენ. გასაგებია?

– გასაგებია. მაგრამ საოცარი ის არის, როგორ დაკარგეთ პირველი წერილი. თუკი იურანდმა დაატყვევა, ვინც თქვენ დაგესხათ თავს, წერილიც ხომ იმათ უნდა ჰქონოდათ?!

– ყველა არ დაუტყვევებია. ხუთიოდე კაცი გაუსხლტა, ხელიდან. ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი.

ამ სიტყვებზე მაცკომ ისევ დაახველა, ისევ ამოიღო სისხლი, მკერდში ტკივილი იგრძნო და წყნარად ამოიოხრა.

– ზორბად დაუჭრიხართ, – უთხრა ზბიშკომ, - როგორ მოახერხეს? სამალავში იყვნენ?

– ისეთ ხშირ ბუჩქებს იყვნენ ამოფარებული, რომ ერთ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა. უჯავშნოდ მივდიოდი, – ვაჭრებმა მითხრეს, ეს ადგილები უშიშარიაო. თანაც პაპანაქება სიცხე იყო.

– ვინ მეთაურობდა იმ ყაჩაღებს? ჯვაროსანი?

– ბერი არ არის, მაგრამ მაინც გერმანელია, ხელმელია ლენციდან, ძარცვითა და ყაჩაღობით სახელგანთქმული.

– მერე რა უქენით?

– იურანდს უზის ბორკილდადებული. მაგრამ ამ გერმანელს თვითონაც ჰყავს გამომწყვდეული ორი მაზური შლიახტიჩი. სწორედ იმათი გაცვლა უნდა თავის თავში. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

– ღმერთო დიდებულო, – თქვა ბოლოს ზბიშკომ, – ესე იგი, ლიხტენშტაინიც იცოცხლებს, ის ლენცელი გერმანელიც, მე და თქვენ კი ასე უნდა დავიღუპოთ, შურსაც ვერ ვიძიებთ. მე, თავს მომკვეთენ, თქვენ კი ალბათ ამ ზამთარსაც ვერ გაატანთ.

– რას ამბობ, გავატან კი არა, ზამთრამდეც ვერ მივაღწევ. ერთი შენ გადამერჩინე როგორმე...

– აქ თუ ნახეთ ვინმე?

– როცა გავიგე, ლიხტენშტაინი გაემგზავრაო, კრაკოვის კაშტელანთან წავედი, ვიფიქრე, იქნებ შეუმსუბუქოს-მეთქი სასჯელი.

– მაშ ლიხტენშტაინი წავიდა?

– დედოფლის გარდაცვალებისთანავე მალბორგს მიაშურა. მივედი კაშტელანთან, ის კი მეუბნება: „იმიტომ კი არ უპირებენ თავის მოკვეთას შენს ძმისშვილს, რომ ლიხტენშტაინს ასიამოვნონ, არამედ იმიტომ, რომ მიუსაჯეს თავის მოკვეთა, და ლიხტენშტაინი აქ იქნება თუ არა, სულ ერთია. კიდევაც რომ მოკვდეს ჯვაროსანი, ამითი არაფერი შეიცვლება, რადგან კანონი წმინდაა, ჯუბა კი არ არის, უკუღმა გა– დააბრუნო და ისე ჩაიცვა. მხოლოდ მეფეს შეუძლია თქვენი ძმისშვილის შეწყალება და სხვას არავისაო“.

– მერე მეფე სადღაა?

– დაკრძალვის შემდეგ რუსეთში წასულა.

– მაშ საშველი აღარა ყოფილა.

– არა. კაშტელანმა ისიც მითხრა: „ძალიან მენანება, ქალბატონი ანაც მეხვეწება, მაგრამ არ შემიძლია, არაფრით არ შემიძლიაო“.

– ქალბატონი ანა ჯერ არ წასულა?

– მადლობა იმას! კეთილი ქალია! ჯერ არ წასულა, იურანდის ავადმყოფი აული ვერ მიუტოვებია, შვილივით უყვარს.

– ღმერთო ჩემო! მაშ დანუსიაც ავად არის. რა და-მართა?

– აბა, რა ვიცი?.. ქალბატონი ამბობს, ვიღაცამ გათვალაო.

– ეგ მართალია, ლიხტენშტაინმა! სხვამ არავინ, იმ სულძაღლმა ლიხ-ტენშტაინმა.

– იქნებ სწორედ იმან. რას გააწყობ? ვერაფერს.

– აი, თურმე რატომ დავვიწყებივარ ყველას. დანუსია ავად ყოფილა...

ზბიშკო ფართო ნაბიჯებით მოჰყვა საკანში ბოლთის ცემას, მერე მაც-კოს ხელზე ეამბორა და უთხრა:

– ღმერთმა გადაგიხადოთ ყველაფრისათვის, რაც გამიკეთეთ, – თქვენ ხომ ჩემს გამო ხართ სასიკვდილოდ განწირული, მაგრამ რაკი პრუსიამდეც მიაღწიეთ, სანამ ჯერ კიდევ ფეხზე დგომა შეგიძლიათ, ერთ უკანასკნელ თხოვნაზე ნუ მეტყვით უარს. კაშტელანს შემახვეწეთ, თორმეტი კვირით გა-მიშვას. რაინდულ სიტყვას დავდებ, დავბრუნდები და მერე თუნდაც მომ-კვეთონ თავი, ისე ხომ არ უნდა დავიღუპოთ, რომ შური ვერ ვიძიოთ. იცით... მალბორგში წავალ, იმწამსვე ლიხტენშტაინს გამოვიწვევ ბრძოლაში. სხვა გზა არ არის, ან ის მოკვდება, ან მე!

მაცკომ შუბლი მოისრისა!

– მისვლით კი მივალ, მაგრამ გაგიშვებს თუ არა კაშტელანი, ეგ არის საქმე.

– რაინდულ სიტყვას მივცემ. თორმეტი კვირით, მეტი არ დამჭირდება.

– ადვილი სათქმელია: თორმეტი კვირით! რომ დაგჭრან და ვერ დაბ-რუნდე, რას იფიქრებენ?..

– ოთხზე რომ დამჭირდეს ფორთხვა, მაინც მოვალ. ნუ გეშინიათ! ამა-სობაში იქნება მეფეც დაბრუნდეს რუსეთიდან; მაშინ შეიძლება მუხლებში ჩაუვარდეს კაცი და შეწყალება სთხოვოს.

– ეგ მართალია, – თქვა მაცკომ.

მცირე დუმილის მერე კი დაუმატა:

– კაშტელანმა ესეც მითხრა: „თქვენი ძმისშვილი დედოფლის სიკ-ვდილმა მიგვავიწყა, ახლა კი დროა ბოლო მოვუღოთ ამ საქმესო“.

– არა, უეჭველად გამიშვებს! – იმედიანად თქვა ზბიშკომ. – განა არ იცის, რომ შლიახტიჩი სიტყვას არ გადავა. თავს კი ახლა მომკვეთენ თუ მიქაელობის შემდეგ, სულ ერთი არ არის მისთვის?

– კეთილი! დღესვე მივალ.

– დღეს ამილეისთან წადით და ცოტა მოისვენეთ. იქნება რამე მალამო დაგადოთ ჭრილობაზე; ხვალ კი კაშტელანს მიაკითხეთ.

– მაშ, ნახვამდის!

– ნახვამდის!

ერთმანეთს გადაეხვივნენ და მაცკო გასასვლელისაკენ გაემართა, მაგრამ ზღურბლთან შეჩერდა, შუბლი შეჭმუხნა, თითქოს რაღაც გაახსენდაო!

– შენ ხომ ჯერ რაინდის სარტყელი არა გაქვს! ლიხტენშტაინმა რომ უსარტყელო რაინდთან არ მოისურვოს ბრძოლა, მაშინ რას იზამ?

ზბიშკო დაიბნა, მაგრამ მხოლოდ ერთი წამით.

– ომში როგორღა ხდება? – იკითხა მან. – განა სარტყელის მქონე თავისნაირს ეძებს?

– ომი მაინც ომია, ორთაბრძოლა კი სულ სხვა არის.

– მაშ ასე-ე... თუმცა დამაცადეთ... რამენაირად უნდა მოვუაროთ ამ საქმეს. დიახ... არის გამოსავალი! მთავარი იანუში მომცემს სარტყელს. ქალბატონი და დანუსია თუ სთხოვენ, უეჭველად მომცემს. გზად კი, მაზოვიაში, მიკოლაი დლუგოლიასელის ვაჟს შევებრძოლები.

– ეგ ვითომ რატომაო?

– იმიტომ, რომ მიკოლაიმ, აი, დედოფლის ამალაში რომ არის და ობუხს რომ ეძახიან, დანუსიას გამსლეული დაუძახა.

მაცკომ გაოცებულმა შეხედა, ზბიშკომ კი მოინდომა კიდევ უკეთესად აეხსნა საქმის ვითარება და განაგრძო:

– მე ამის პატიებაც არ შემიძლია, მაგრამ იმას ხომ ვერ შეგებმები, აგერ თითქმის ოთხმოცი წლის არის.

– მისმინე, ჭაბუკო, - იყვირა მაცკომ. – მეცოდება ეგ შენი თავი, მაგრამ შენი გონება კი სრულიად არა, რადგან გამოთაყვანებული ხარ მამალი თხასავით.

– რაზე ბრაზობთ?

მაცკოს აღარაფერი უპასუხია, წასვლა დააპირა, მაგრამ ზბიშკომ მასთან მიირბინა:

– დანუსკა როგორ არის? მოიკეთა? ნუ მიბრაზდებით უბრალო რაღაცეებზე. ამდენი ხანია არ გინახივართ.

და ისევ ემთხვია მოხუცს ხელზე; იმან მხრები აიჩეჩა, მაგრამ უკვე გულმომბალმა უპასუხა:

– იურანდის ქალიშვილი უკვე მომჯობინდა, მაგრამ გარეთ ჯერ არ უშვებენ. კარგად იყავი.

ზბიშკო მარტო დარჩა, თითქოს რაღაცამ სულითა და ხორცით გაამხნევაო. ძალზე სიამოვნებდა იმაზე ფიქრი, რომ წინ კიდევ მთელი სამი თვის სიცოცხლე ჰქონდა, რომ წავიდოდა შორეულ ქვეყნებში, მოძებნიდა ლიხტენშტაინს და სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებმოდა. ამის გაფიქრებაზე ზბიშკოს გული სიამით აევსო. როგორი ბედნიერებაა, თუნდაც თორმეტი კვირა გრძნობდე, რომ ცხენზე ზიხარ, იარო ამ უკიდეგანო ქვეყანაზე, იბრძოლო და იცოდე, რომ სიკვდილამდე შურისძიებას მაინც მოასწრებ. მერე კი მოხდეს, რაც მოსახდენია. დრო ჯერ კიდევ უამრავი აქვს! იქნებ რუსეთიდან მეფეც დაბრუნდეს და სიცოცხლე უბოძოს, იქნებ ომი დაიწყოს, რა ხანია, ამაზე ლაპარაკობენ. თუ არადა, იქნებ თვით კაშტელანმა, სამი თვის მერე ამაყი ლიხტენშტაინის დამმარცხებელს რომ იხილავს, ჩაიქნიოს ხელი და უთხრას: „წადი, სადაც გინდა, ღმერთი იყოს შენი შემწე!“ ზბიშკოს კარგად ესმოდა, რომ ჯვაროსნის გარდა მისი მტერი არავინაა და კრაკოვის მრისხანე ბატონი მხოლოდ იძულებული გახდა მისთვის სიკვდილი მიესაჯა.

ზბიშკოს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ სამ თვეს მისცემდნენ და იმედმა ფრთა შეასხა. იმასაც ფიქრობდა, იქნებ მეტი დროც მომცენო, რადგან მოხუც ტენჩინელ ბატონს აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ შლიახტიჩი, რომელიც რაინდულ ფიცს დასდებდა, არ შუასრულებდა თავის სიტყვას.

მეორე საღამოს, როცა მაცკო ციხეში მოვიდა, ზბიშკომ თავი ვეღარ შეიკავა, ადგილიდან წამოხტა და მოხუცს კითხვა შეაგება:

– გამიშვა თუ არა?

მაცკო სისუსტისაგან ფეხზე ვეღარ იდგა, ის საწოლზე დაეშვა და სული ძლივს მოითქვა.

– აი, რა თქვა კაშტელანმა, – უთხრა მან ბოლოს, - „თუ მიწა ან ქონება გაქვთ გასაყოფი, ერთი-ორი კვირით, არა უმეტეს, რაინდული ფიცის ქვეშ გავუშვებო თქვენს ძმისშვილს“.

ზბიშკომ გაოცებისაგან რამდენიმე წუთი ენაც ვეღარ მოატრიალა.

– ორი კვირით? – ჩაეკითხა ბოლოს.– ორ კვირაში ხომ საზღვრამდეც ვერ მივაღწევ! ეს რა გამოვიდა. არ უთხარით კაშტელანს, რისთვის მინდა მალბორგს წასვლა?

– მარტო მე კი არა, ქალბატონი ანაც ბევრს ეხვეწა.

– მერე?

– მერე? მოხუცმა უთხრა, რომ შენი თავი მას არაფერში სჭირდება და თვითონ არანაკლებ ეცოდები. „რაღაც კანონი ან საბაბი რომ მაპოვნინა მის სასარგებლოდ, მაშინ სულ მთლად გავათავისუფლებდი, ახლა კი, რაც არ შემიძლია, არ შემიძლია. რა წესრიგი იქნება ისეთ სამეფოში, სადაც ხალხი კანონს გვერდს აუხვევს და მეგობრობით ერთმანეთს შეღავათებს მისცემს. მე ამას საკუთარ თვისტომს ტოპოროჩიკს, თვით საკუთარ ძმასაც არ გავუკეთებო“. ასეთია აქაური ხალხი. ხვეწნა-მუდარით ვერაფერს გააწყობ მათთან. ამას გარდა, კიდევ ესა თქვა: „ჩვენ არაფერში გვჭირდება ჯვაროსნების წამხედურობა, მაგრამ მათ წინაშე, თავს მაინც არ შევირცხვენთ. რა უნდა იფიქრონ მათ და მათმა სტუმრებმა, ქვეყნის ოთხივ კუთხიდან რომ გამუდმებით ჩადიან იქ, თუ მე სიკვდილმისჯილ შლიახტიჩს მათთან საბრძოლველად გავუშვებ? განა დააჯერებ მათ, რომ ამ კაცს მაინც დავსჯით და ჩვენს სახელმწიფოში არის რაიმე სამართლიანობა? ერთი თავის მოკვეთა არ მირჩევნია, ვიდრე მთელი სამეფოსა და მეფის მასხრად აგდება!?“ ქალბატონმა ამაზე უთხრა, ეს რა უცნაური სამართლიანობაა, როცა მეფის ნათესავსაც კი არ შეუძლია დაიხსნასო ადამიანი. მაგრამ მოხუცმა მოახსენა: „თვით მეფესაც მხოლოდ სიცოცხლის ჩუქება შეუძლია და არავითარ შემთხვევაში უკანონობის ჩადენა“. ამაზე იდავეს, რადგან ქალბატონი განრისხდა. „მაშინო, – თქვა, – რაღა საჭიროა ციხეში ამდენ ხანს დალპობაო!“ – „კეთილი, – უპასუხა კაშტელანმა, – ხვალ ვუბრძანებ, მოედანზე ეშაფოტი გამართონ“. მერე ქალბატონი წამოვიდა. ახლა, შე საცოდავო, სასწაულის მეტი ვერაფერი გადაგარჩენს...

დიდხანს ხმა არც ერთს აღარ ამოუღია.

– მაშ სულ მალე უნდა აღსრულდეს ეს ყველაფერი?

– ორი-სამი დღის მერე. წინ აღარაფერი დაუდგება. მე რაც შემეძლო, გავაკეთე. კაშტელანს მუხლებში ჩავვარდი, ვემუდარე შეეწყალებინე, ის კი

თავისაზე დგას: „რაიმე საბაბი გამომინახეო კანონში“. მე რა უნდა გამოვნახო? ქსონძ, სტანისლავ სკარბიმეჟელთანაც ვიყავი, მინდოდა მეთხოვა, ეზიარებინე. სახელი მაინც იქნებოდა, იგივე ქსონძი რომ გაზიარებდა, რომელმაც დედოფალი აზიარა. შინ არ დამიხვდა, ქალბატონ ანასთან წასულიყო.

– იქნებ დანუსკასთან?

– რას ამბობ, გოგონა ყოველდღიურად უკეთ და უკეთ ხდება. დილით ადრე კიდევ შევივლი. ამბობენ, მისი ზიარების მერე უეჭველად ცხონდებიო.

ზბიშკო ჩამოჯდა, იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო, თავი ჩაქინდრა, თმა სახეზე ჩამოეშალა. დიდხანს უყურა მოხუცმა. მერე წყნარად გამოელაპარაკა:

– ზბიშკო! ზბიშკო!

ჭაბუკმა თავი ასწია, მისი სახე ტანჯვას კი არ გამოხატავდა, უფრო გაღიზიანებული იყო და ზედ მტკიცე გადაწყვეტილება ეწერა.

– რა გნებავთ?

– ყური მიგდე, მგონი რაღაც მოვიფიქრე.

ამ სიტყვებით მოხუცი ახლოს მიუჯდა და თითქმის ჩურჩულით დაიწყო:

– ალბათ გსმენია მთავარ ვიტოლდის ამბავი, ჩვენმა მეფემ რომ კრევის ციხეში ჩაამწყვდია, ის კი ქალის კაბით გამოაპარეს იქიდან? ქალისა რა მოგახსენო, შენი გულისთვის აქ არც ერთი ქალი არ დარჩება, მაგრამ აი, ჩემი ხიფთანი, ქუდი – აიღე და წადი, გასაგებია? გარეთ ბნელა. დარაჯები ვერაფერს შეამჩნევენ. სახეში ხომ არ მოგანათებენ. გუშინ რომ გავდიოდი, ზედაც არავის შემოუხედავს. გაჩუმდი და ყური მიგდე: ხვალ რომ მე დავუხვდები შენს მაგივრად, რა უნდა მიქნან? ადგებიან და თავს მომკვეთენ? არა უშავს, უმაგისოდაც მოვკვდები ორ-სამ კვირაში. შენ კი, როგორც აქედან გახვალ, ცხენს მოაჯექ და მთავარ ვიტოლდს მიაშურე. გაახსენე შენი თავი, თაყვანი ეცი, მიგიღებს და ისე იცხოვრებ, დარდი არაფრისა გექნება. აქ ხალხი ლაყბობს, თათრებმა მთავარს ლაშქარი ამოუხოცესო. ვინ იცის, იქნებ მართალიც არის. განსვენებული დედოფალიც წინასწარმეტყველებდა ამას. თუ ეს მართალია, მთავარს კიდევ უფრო მეტად ეჭირვება რაინდები და სიხარულით მიგიღებს. შენც უერთგულე, მასთან სამსახურს არაფერი სჯობია. ზოგი მეფე რომ ომს წააგებს, მისი აღსასრულიც დგება, მთავარი

ვიტოლდი კი ისეთი მოხერხებულია, როცა დამარცხდება, მაშინ უფრო გაძლიერდება ხოლმე. გულუხვიცაა და ჩვენებიც ძალიან უყვარს. ყველაფერი უამბე, როგორც იყო. უთხარი, თათრებთან საბრძოლველად რომ გინდოდა ხლებოდი, მაგრამ ციხეში ვიჯექი-თქო. ღმერთმა ქნას, მიწები და გლეხები გიბოძოს, რაინდადაც გაკურთხოს და მეფის წინაშეც გამოგესარჩლოს. კარგი მფარველია – აი, ნახავ, თუ არა! აბა, რას იტყვი?

ზბიშკო უხმოდ უსმენდა. მაცკო კი, თითქოს საკუთარმა სიტყვებმა გაამხნევაო, განაგრძობდა:

– აბა ასეთი ახალგაზრდა ხომ არ უნდა დაიღუპო, ბოგდანეცში დაბრუნება კი აუცილებელია. ჩახვალ თუ არა, მაშინვე ცოლი მოიყვანე, გვარი გააგრძელე და მხოლოდ მერე, როცა შვილები გაგიჩნდება, შეგიძლია ლიხტენშტაინი გამოიწვიო. მანამდე კი გირჩევ არ მიჰყვე შურისძიებას, თორემ სადღაც პრუსიაში ისარს დაგაწევენ, როგორც მე დამაწიეს, და მერე ვეღარაფერი გიშველის. აბა, აიღე ხიფთანი, ქუდი და ღმერთი იყოს შენი შემწე.

ამ სიტყვებზე მაცკო ადგა და გახდა დააპირა, მაგრამ ზბიშკოც წამოდგა, შეაჩერა და უთხრა:

– არა ვარ ამის ჩამდენი, – ღმერთი, რჯული, – არა ვარ.

– ვითომ რატომაო? – გაოცდა მაცკო.

– ისე, უბრალოდ, ვერ ჩავიდენ და მორჩა.

მაცკო გაფითრდა კიდეც მღელვარებისა და რისხვისაგან.

– ნეტა სულაც არ გაჩენილიყავი ამქვეყნად.

– თქვენ ხომ უკვე შესთავაზეთ კაშტელანს თქვენი თავი ჩემს მაგივრად.

– საიდან იცი ეს?

– ტაჩეველმა ბატონმა მითხრა.

– მერე რა გამოვიდა?

– რა გამოვიდა და ის, რომ კაშტელანმა გიპასუხათ: მაშინ თავი მომეჭრებოდა მეც და მთელს სასახლესო. განა უფრო მეტად თავის მოსაჭრელი არ არის, მე რომ აქედან გავიქცე და თქვენ დასასჯელად მიგატოვოთ?

– დასასჯელად? რა უნდა დამაკლონ მაგათ, თუ დღეს-ხვალ ისედაც სიკვდილი მიწერია? გონს მოუხმე, ღვთის გულისათვის!

– მით უმეტეს, ვერ მიგატოვებთ აქ სნეულსა და უსუსურს, ღმერთი განმირისხდება. ფუ! სირცხვილო!..

ისევ დადუმდა ორთავე; მხოლოდ მაცკოს ხროტინი ისმოდა და ჭიშკართან მდგარ მშვილდოსანთა გადაძახილი. გარეთ უკვე უკუნეთი ღამე ჩამოწოლილიყო..

– ყური მიგდე, – წარმოთქვა მაცკომ ნაწყვეტ-ნაწყვეტად. – თუკი მთავარ ვიტოლდს არ შერცხვა კრევიდან ასე გაქცევა, არც შენთვის იქნება სირცხვილი...

– ეჰ! –- თქვა ნაღვლიანად ზბიშკომ, თქვენ მაინც იცით! ვიტოლდი დიდი მთავარია. გვირგვინი თვითონ მეფემ დაადგა, სიმდიდრეც აქვს და ძალაუფლებაც. მე კი საცოდავი შლიახტიჩი ვარ, საკუთარი ღირსების მეტი არაფერი გამაჩნია...

მერე კი, თითქოს ერთბაშად რისხვა მოაწვაო, წამოიყვირა:

– ნუთუ არ გესმით, რომ მიყვარხართ და ჩემი გულისთვის არ გაგწირავთ!

მაცკო ბარბაცით წამოდგა, ხელები წინ გაიწვდინა და, თუმცა მაშინდელი ხალხი სულით ისეთი ძლიერი იყო, რკინისაგან ნაჭედს ჰგავდა, გულისგამგმირავი ხმით შესძახა:

– ზბიშკო!..

მეორე დღეს სასამართლოს მსახურებმა მოედანზე ძელების მიზიდვა დაიწყეს ეშაფოტის დასადგმელად რატუშის მთავარი შესასვლელის პირდაპირ.

მაგრამ ქალბატონი ანა არ ცხრებოდა, ის ეთათბირებოდა ვოიცეხ იასტჟემბეცს, სტანისლავ სკარბიმეჟელს და სხვა სწავლულ კანონიკებს, რომლებმაც კარგად იცოდნენ თავისი ქვეყნის დაწერილი და დაუწერელი კანონები. ქალბატონი კაშტელანის სიტყვებმა შეაგულიანა, თუ რამე „კანონს ან თუნდაც საბაბს“ მომიძებნიან, ზბიშკოს უეჭველად გავათავისუფლებო. დიდხანს ბჭობდნენ, ცდილობდნენ გამოენახათ რაიმე ხელჩასაჭიდი. და თუმცა ქსონძმა სტანისლავმა უკვე შეამზადა და უკანასკნელად აზიარა ზბიშკო, მერე პირდაპირ ჯურღმულიდან დაბრუნდა ისევ საბჭოზე, რომელიც თითქმის განთიადამდე გაგრძელდა.

დასჯის დღეც დადგა. დილიდანვე დაიძრა ხალხი მოედნისაკენ, რადგან შლიახტიჩის მოკვეთილი თავის ნახვა გაცილებით უფრო საინტერესო იყო, ვიდრე ვინმე მდაბიოსი. ამინ დიც შესანიშნავი იდგა. ამას გარდა, ქალებში ხმა გავრცელდა, სიკვდილმისჯილი ახალგაზრდა და არაჩვეულებრივად ლამაზიაო. ასე რომ, ციხისაკენ მიმავალი მთელი გზა ყვავილნარი-

ვით აჭრელდა მორთულ-მოკაზმული ქალებით. მოედანზე გამავალი ფანჯრები, აივნები აივსო ჩაჩიანი, ოქროსა და ხავერდის თავსახვევიანი, შროშანისა და ვარდის გვირგვინიანი ქალიშვილებით. ქალაქის მრჩევლები, თუმცა მათ ეს ამბავი არც ეხებოდათ, მაინც მედიდურად გამოვიდნენ მოედანზე და რაინდების უკან ჩამწკრივდნენ. რაინდები კი ზბიშკოსადმი თავიანთი თანაგრძნობის ნიშნად ზედ ეშაფოტთან დამდგარიყვნენ. მათ უკან ჭრელაჭრულა ვაჭარ-ხელოსნები იდგნენ თავიანთი ამქრების ტანსაცმელში გამოწყობილნი. შეგირდები და ბავშვები ხალხს უკან გაეყარა, მაგრამ მაინც აბეზარი ბუზებივით ტრიალებდნენ და ცდილობდნენ, სადაც მოახერხებდნენ, წინ გამძვრალიყვნენ. ადამიანთა ამ უთვალავი თავების ზემოთ აღმართული იყო ახალმაუდგადაფარებული ეშაფოტი, რომელზეც სამი კაცი იდგა: ჯალათი – წითელხიფთანიანი და წითელჩაჩიანი ბეჭგანიერი საშინელი გერმანელი ხელში ორლესული მახვილით, და ხელებდაკაპიწებული, სარტყელზე თოკგამობმული ორი მისი თანაშემწე. მათ ფეხებთან ედგათ კუნძი და მაუდგამოკრული კუბო. ღვთისმშობლის ტაძრის სამრეკლოზე ზარები გუგუნებდნენ, ქალაქს სპილენძის ხმებით ავსებდნენ და ჭილყვავებისა და მტრედების გუნდებს აფრთხობდნენ. ხალხი ხან ციხისაკენ მიმავალ გზას გაჰყურებდა, ხან ეშაფოტსა და ჯალათს, მზის სხივებზე ათასფრად რომ უელავდა ხმალი, და ხან, ბოლოს, რაინდებს, რომელთაც ქალაქელები ყოველთვის განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობითა და მოწიწებით შეჰყურებდნენ. მართლაც რომ იყო საყურებელი ამჯერად – ეშაფოტთან ოთხკუთხად დამდგარიყვნენ განთქმულზე განთქმული რაინდები. ხალხი გაოცებული შეჰყურებდა ზავიშა შავის ფართო მხარბეჭსა და ვეება ტანს, მის მხრებზე დაყრილ ყორნისბოლოსფერ კულულებს, აოცებდათ ზინდრამ მაშკოვიცელის კვადრატული ფიგურა და რკალივით მოგრეხილი ფეხები, პაშკო ბისკუპიცელის გოლიათური, არაადამიანურად მაღალი ტანი, ბარტო ვოძინკელის მრისხანე გამომეტყველება, დობკო ოლესნიცელის სილამაზე, დობკოსი, რომელმაც ტორუნის ასპარეზობაზე თორმეტი გერმანელი რაინდი დასჯაბნა; მოწიწებით შეჰყურებდნენ ზიგმუნდ ბობოველს, ასევე რომ გაეთქვა სახელი უნგრელებთან ასპარეზობაზე კოშიცაში, და ქშონ კოზიხგლუველს, ხელჩართული ბრძოლის რისხვას ლის ტარგოვისკელს და სტაშეკ ხარბიმოვიცელს, რომელიც გაჭენებულ ცხენს ეწეოდა. საერთო ყურადღება მიეპყრო აგრეთვე მაცკო ბოგდანეცელს; მოხუცს მკვდრის ფერი ედო, ფეხზე ძლივს იდგა და ფლორიან კორიტნიცელი და მარცინ ვროციმოვიცელი მხრებში შესდგომოდნენ. ის ყველას სიკვდილმისჯილის მამა ეგონა.

მაგრამ ყველაზე დიდ ყურადღებას მაინც პოვალა ტაჩეველი იქცევდა. ის წინა რიგში იდგა, ღონიერი ხელებით აეტატებინა თეთრებში გამოწყობილი დანუსია, რომელსაც ქერათმიან თავზე მწვანე მარიამსაკმელას გვირგვინი ედგა. ვერავის გაეგო, რას ნიშნავდა ეს და რისთვის მოეყვანათ ეს თეთრკაბიანი გოგონა დასჯის საყურებლად. ზოგი ამბობდა, ჭაბუკი რაინდის და არისო, ზოგი – შეყვარებულიაო. მაგრამ მაინც ვერ აეხსნათ, რატომ ეცვა ასე და რატომ მოსულიყო აქ. გოგონას ალმურმოდებული და ცრემლდადენილი სახე საყოველთაო თანაგრძნობას იწვევდა. ხალხში გაურკვეველი ბუბუნი გაისმა, ემდუროდნენ ულმობელ კაშტელანს, მკაცრ კანონებს; ბუბუნმა იმატა და მრისხანე გუგუნად გადაიქცა, აქა-იქ ისიც გაისმა, ეშაფოტი დავანგრიოთ და დასჯა გადაიდებაო.

ბრბო გამოცოცხლდა, აბობოქრდა. ხალხი ალაპარაკდა, მეფე რომ კრაკოვში იყოს, უეჭველად შეიწყალებდა ჭაბუკს, რომელსაც, ირწმუნებოდნენ, არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიაო.

მაგრამ უცებ ყველა მიყუჩდა. შორეულმა შეძახილებმა ამცნოთ, რომ ახლოვდებოდნენ მეფის მშვილდოსანთა და მეაფთეთა რაზმები და სიკვდილმისჯილი მოჰყავდათ. მალე ეს პროცესია მოედანზე გამოვიდა. წინ მოდიოდნენ „დამკრძალავი ძმობის“ ბერები. კოჭებამდე შავი ლაბადები ეცვათ, შავი კაპიუშონებიდან მხოლოდ თვალები მოუჩანდათ. ხალხს შიშს ჰგვრიდა ეს შავბნელი ფიგურები და მათ დანახვაზე ხმა გაწყვიტეს. მათ მოჰყვებოდნენ ირმის ტყავის ქურთუკებში გამოწყობილი რჩეული ლიტველი მსროლელნი, ეს მეფის გვარდია იყო. სულ ბოლოს სხვა რაზმის აფთები გამოჩნდა. შუაში მოაბიჯებდა ზბიშკო, რომელსაც ერთ მხარეს სასამართლოს მოხელე მოჰყვებოდა განაჩენის გამოსაცხადებლად, მეორე მხარეს კი – ქსონძი სტანისლავ სკარბიმეჟელი ჯვარცმით ხელში.

ყველამ ზბიშკოს მიაპყრო თვალი, ფანჯრებიდან თავები გადმოჰყვეს ქალებმა, აივნის მოაჯირებს გადმოეკიდნენ. ზბიშკოს ბრძოლებში მოპოვებული ოქრომკედით ნაქარგი ხიფთანი ეცვა. ამ ბრწყინვალე სამოსში ის პრინცი ან ცნობილი გვარეულობის შვილი გეგონებოდათ. სიმაღლით, მხარბეჭით, მძლავრი ბარძაყებით და ფართო მკერდით მოწიფულ ვაჟკაცს ჰგავდა, მაგრამ თავი ბავშვისა ჰქონდა, პირისახე კი ქორფა, ლამაზი, ზემო ტუჩთან ოდნავ შეღინღლული. წარბზევით შეჭრილი, მხრებამდე ჩამოშლილი ოქროს კულულებით მეფის პაჟს მოგაგონებდათ.

ზომიერი, მტკიცე ნაბიჯით მოდიოდა, მაგრამ ფერწასული იყო. დროდადრო მის სახეზე რაღაც გაოცებაც იხატებოდა: ნუთუ ეს ზარების გუგუნი, ქალთა ქვითინი, მთელი ეს ამბავი – ყველაფერი მისთვის იყო მოწყობილი.

მოედანზე ზბიშკომ შორიდანვე დაინახა ეშაფოტი და ზედ წამოჭიმული წითელსამოსიანი ჯალათი. შეკრთა და პირჯვარი გადაისახა, ქსონძმა მაშინვე ჯვარცმა მიუტანა ტუჩებთან. ვაჟმა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მის ფეხებთან ხალხის ბრბოდან ნორჩი ქალწულის გადმოგდებული ღიღილოების გული. დაეცა. ზბიშკო დაიხარა, აიღო თაიგული და გოგონას გაუღიმა, ის კი ხმამაღლა აქვითინდა.

როგორც ჩანს, ზბიშკომ გადაწყვიტა, ამდენი ხალხის, ამდენი ქალების წინაშე, ფანჯრებიდან რომ უქნევდნენ ხელსახოცებს, მამაცურად შეხვედროდა სიკვდილს და „გულადი ვაჟკაცის“ სახელი მაინც დაეტოვებინა, ამიტომ მთელი სიმხნევე და ნებისყოფა მოიკრიბა, ერთბაშად კულულები უკან გადაიყარა, თავი უფრო მაღლა ასწია და ასპარეზობიდან დაბრუნებული, დასასაჩუქრებლად მიმავალი გამარჯვებული რაინდის სიამაყით გასწია წინ. პროცესია მაინც ნელა მიიწევდა, რადგან ხალხი სულ უფრო მჭიდროვდებოდა და არცთუ დიდი სიამოვნებით უთმობდა გზას. ამაოდ გაიძახოდნენ პირველ რიგში მიმავალი ლიტველი მშვილდოსნები: „Eyk szalin! Eyk szalin!“ („გზიდან ჩამოეცალეთ“). ხალხს არ სურდა მიმხვდარიყო ამ სიტყვების შინაარსს და სულ უფრო მჭიდროვდებოდა. თუმცა იმდროინდელი კრაკოვის მოსახლეობის ორი მესამედი გერმანელები იყვნენ, ირგვლივ ყოველი მხრიდან მაინც წყევლა-კრულვას უთვლიდნენ ჯვაროსნებს: „სირცხვილია! თავის მოჭრაა! მაგათი გაწყვეტა გვენახოს, მაგ ტევტონელი მგლებისა! მაგათი გულის მოსაგებად ჩვენს ბავშვებს სიკვდილით სჯიან! სირცხვილი მეფესა და მთელ სამეფოს!“ ხალხი კიდევ უფრო მოჯარდა. ლიტველებმა მშვილდები მოიხსნეს, დაჭიმეს და წარბშეკრულნი იბღვირებოდნენ, მაგრამ, სანამ ბრძანება არ მიეღოთ, ხალხს სროლას მაინც ვერ უბედავდნენ. მაშინ კაპიტანმა წინ მეაფთეები გაუშვა, რომელთაც აფთებით უფრო გაუადვილდებოდათ გზის გაწმენდა, და ამგვარად მსვლელობა ეშაფოტთან ოთხკუთხად დამდგარ რაინდებს მიუახლოვდა.

რაინდებმა გზა თავისი ნებით დაუთმეს. ეშაფოტზე ჯერ მეაფთეები ავიდნენ. მას მიჰყვა ზბიშკო ქსონძისა და მოხელის თანხლებით. მაგრამ ამ დროს ისეთი რამ მოხდა, რასაც არავინ ელოდა. რაინდებს უცებ პოვალა ტაჩეველი გამოეყო, წინ წამოდგა ხელში ატატებული დანუსიათი და დაიძახა: „შესდექ!“ ამ მეხისებურ ხმაზე ყველა მოჯადოებულივით შეჩერდა. არც კაპიტანმა და არც ჯარისკაცებმა არ ისურვეს წინააღმდეგობა გაეწიათ დიდებული ბატონისა და ნაფიცი რაინდისათვის, რომელსაც ყოველდღე ხედავდნენ ციხესიმაგრეში, ხშირად კი მეფესთან გულდაგულ მოსაუბრეც უნახავთ. ამას გარდა, დანარჩენმა არანაკლებ სახელგანთქმულმა რაინდებმაც

ბრძანების კილოთი გაიმეორეს: „შესდექ! შესდექ!“ ტაჩეველი პანი ზბიშკოსთან მივიდა და თეთრებში გამოწყობილი დანუსია გადასცა.

ზბიშკოს ეგონა, დანუსია გამოსამშვიდობებლად მომიყვანესო, მკლავები მოჰხვია და მაგრად ჩაიკრა გულში; მაგრამ დანუსიამ, იმის მაგივრად, რომ მიჰკვროდა მას და თავისი პაწაწინა ხელები კისერზე შემოეჭდო, სწრაფად მოიგლიჯა ქერა თმიდან მარიამსაკმელას გვირგვინის ქვეშ დამალული საქორწინო რიდე, ზბიშკოს თავზე გადააფარა და ატირებულმა ბავშვური ხმით იყვირა:

– ჩემია! ჩემი!

– დიახ, მაგისია! – დაიგუგუნეს რაინდებმა. – კაშტელანთან წავიყვანოთ!

ქუხილივით გადაუარა მოედანს ხალხის ყვირილმა: „კაშტელანთან. კაშტელანთან!“ ქსონძმა ცაში აღაპყრო თვალები, სასამართლოს მოხელე სულ დაიბნა, კაპიტანმა და მეაფთეებმა იარაღი დახარეს, რადგან კარგად მიხვდნენ, რაც მოხდა.

ოდითგანვე არსებობდა პოლონეთისა და სლავური მოდგმის ყველა ხალხში – პოდჰალეში, კრაკოვის სავოევოდოსა და სხვა კუთხეებში – ეს ადათი და მას კანონის ფარდი ძალა ჰქონდა: თუ ქაბუკი დასასჯელად მიჰყავდათ და ამ დროს უმანკო ქალიშვილი რიდეს გადააფარებდა იმის ნიშნად, რომ მისი ცოლობა სურდა, ამითი სიკვდილით დასჯისაგან ათავისუფლებდა მას. ეს ადათი იცოდნენ რაინდებმაც, იცოდნენ გლეხებმაც და პოლონეთის მოქალაქეებმაც; თუ რა ძალა ჰქონდა მას, ძველთაგანვე პოლონეთის ქალაქებსა და ციხესიმაგრეებში ჩასახლებულ გერმანელებსაც გაეგონათ. მაცკომ რომ ეს სურათი იხილა, მუხლებში ღონე წაერთვა მღელვარებისაგან; რაინდებმა სასწრაფოდ მისწი–მოსწიეს მშვილდოსნები და ზბიშკოსა და დანუსიასთან მივიდნენ. გახარებული და აღელვებული ხალხი სულ უფრო და უფრო ხმამაღლა ყვიროდა: „კაშტელანთან! კაშტელანთან!“ უცებ ბრბო მძლავრი ტალღასავით მიაწყდა ეშაფოტს. ჯალათი და მისი თანაშემწეები ფაცხაფუცხით ჩამოცვივდნენ ძირს. დაიწყო ორომტრიალი. ყველასათვის აშკარა იყო, ახლა რომ იასკო ტენჩინელი წინ აღდგომოდა საუკუნეთა მანძილზე ნაკურთხ ადათს, ქალაქში დიდი მღელვარება დაიწყებოდა. ხალხი ზვავივით ეძგერა ეშაფოტს. თვალის დახამხამებაზე მოგლიჯეს და ნაკუწებად აქციეს მაუდი, ცულების ჩახაჩუხით სულ ღერა-ღერად დაშალეს ფიცარნაგი და, სანამ რამდენჯერმე მოასწრებდი „მამაო ჩვენოს“ თქმას, მოედანზე ეშაფოტის კვალიც აღარ დარჩა.

ზბიშკოს დანუსია ისევ ხელში ეჭირა და ციხესიმაგრეში ბრუნდებოდა, მაგრამ ამჯერად როგორც ჭეშმარიტად გამარჯვებული, როგორც ტრიუმფატორი. მას. სახეგაბრწყინებული მიჰყვებოდნენ სამეფოს პირველი რაინდები, შორიახლოს კი ირეოდა უთვალავი ქალი, ბავშვი და კაცი. ისინი ყვიროდნენ, მღეროდნენ, დანუსიასაკენ ხელებს იწვდიდნენ და ხოტბას ასხამდნენ მეფე-პატარძლის სიმშვენიერეს. მდიდარი ქალაქელი ქალები ფანჯრებიდან ტაშისცემით ესალმებოდნენ ქალ-ვაჟს, თვალებში ყველას სიხარულის ცრემლი უკიაფებდა. შროშანებისა და ვარდების გვირგვინები, ბაფთები და ფარჩის თავსაფრები წვიმასავით ცვიოდა ბედნიერი ჭაბუკის ფეხებთან. ის კი მზესავით ბრწყინავდა, მადლიერებით აღვსებოდა გული, დროდადრო თავის თეთრ ქალბატონს მაღლა სწევდა და აღტაცებით უკოცნიდა მუხლებს. ამის დანახვაზე გულაჩუყებული ქალიშვილები თავიანთ შეყვარებულებს ეხვეოდნენ და ფიცს აძლევდნენ, თუ ასეთი უბედურება შეემთხვეოდათ, ისევე ეხსნათ, როგორც ამ ქალწულმა იხსნა თავისი ჭაბუკი რაინდი. ზბიშკო და დანუსია რაინდების, მოქალაქეებისა და უბრალო ხალხის საყვარელ შვილებად გადაიქცნენ. მოხუცი მაცკო, რომელიც ისევ ხელჩაკიდებული მოჰყავდათ ფლორიან კორიტნიცელსა და მარცინ ვროციმოვიცელს, თითქმის გონს ჰკარგავდა ბედნიერებისაგან და თან გაოცებული იყო, რატომ თვითონ არ მოუვიდა აზრად ამისთანა ხერხით ძმისშვილის დახსნა. ამ საყოველთაო ხმაურში პოვალა ტაჩეველი თავისი ბუხუნა ხმით უყვებოდა რაინდებს, როგორ მოიფიქრეს გადარჩენის ეს ხერხი დაწერილი კანონებისა და ადათების დიდმა მცოდნეებმა ვოიცეხ იასტჟემბეცმა და სტანისლავ სკარბიმექელმა. უფრო სწორად, როგორ გაიხსენეს იგი ერთ-ერთ თათბირზე, რომელიც ქალბატონთან ტარდებოდა. რაინდები გაოცებას იყვნენ ამ ადათის სიმარტივით და ერთმანეთში ლაპარაკობდნენ, ალბათ იმიტომ არავის ახსოვს ეს წესი, რომ გერმანელებით დასახლებულ ქალაქში დიდი ხნის გადავარდნილიაო.

მაგრამ ჯერ მთავარი ის იყო, კაშტელანი რას გადაწყვეტდა. რაინდები და ხალხი ციხესიმაგრისაკენ გაემართნენ, სადაც მეფის არყოფნაში ჩვეულებრივ კრაკოვის ბატონი იმყოფებოდა. სასამართლოს მდივანი, ქსონძი სტანისლავ სკარბიმეჟელი, ზავიშა, ფარურეი, ზინდრამ მაშკოვიცელი, პოვალა ტაჩეველი მაშინვე შევიდნენ კაშტელანთან, რათა დაენახვებინათ მისთვის, რაოდენ ძლიერია ადათები, და გაეხსენებინათ საკუთარი სიტყვები, „ოღონდ რაიმე კანონი ან საბაბი გამომინახეთ“, მაშინვე გავათავისუფლებო მსჯავრდადებულს. განა შეიძლებოდა კანონი ძველისძველ ადათზე უკეთესი ყოფილიყო, ადათზე, რომელსაც არავინ არასოდეს წინ არ აღდგო-

მია? მართალია, ტენჩინელმა პანმა თქვა, ეს ადათი უბრალო ხალხს და პოდჰალიელ ყაჩაღებს უფრო შეეფერება, ვიდრე შლიახტასო, მაგრამ მან კარგად იცოდა ადათთა ძალა და ამას რომ ამბობდა, ვერცხლისფერ წვერზე ხელს იფარებდა ღიმილის დასამალავად. ეტყობოდა, თვითონაც გახარებული იყო. ბოლოს საქმე იმით დამთავრდა, რომ ქალბატონ ანა დანუტას, რამდენიმე სასულიერო პირისა და რაინდის თანხლებით პარმაღზე გამოვიდა.

ზბიშკომ, ეს რომ დაინახა, კვლავ ზემოთ ასწია დანუსია, კაშტელანმა ოქროს თმაზე დაადო თავისი დამჭკნარი ხელი, ერთ წამს შეჩერდა, მერე კი გულკეთილად და მედიდურად დაიქნია ჭაღარა თავი.

ყველა მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს, და ხალხის ყიჟინამ ციხესიმაგრის კედლები შეაზანზარა. „ღმერთო უშველე! დიდხანს სიცოცხლე სამართლიან პანს! იდღეგრძელოს და განსაჯოს საქმენი ჩვენი!“ – ისმოდა ყოველი მხრიდან. მერე კვლავ ატყდა ზბიშკოსა და დანუსიას სადიდებელი შეძახილები. ერთი წუთის შემდეგ კი ისინი კიბეზე ავიდნენ და ანა დანუტას ფერხთით დაეცნენ. ზბიშკო სწორედ მისგან იყო დავალებული სიცოცხლით, სწორედ მან მოიფიქრა სწავლულებთან ერთად მისი დახსნის გზა და ასწავლა დანუსიას, რა უნდა გაეკეთებინა.

– გაუმარჯოს ახალგაზრდა წყვილს! – დაიძახა პოვალა ტაჩეველმა, როცა დაინახა, ზბიშკო და დანუსია ფეხებში ჩაუვარდნენ ქალბატონს.

– გაუმარჯოს! – აიტაცეს დანარჩენებმა.

ჭაღარა კაშტელანი კი ქალბატონს მიუბრუნდა და უთხრა:

– ახლა ესენი უნდა დავნიშნოთ. ასე მოითხოვს ადათი, ქალბატონო.

– დანიშვნით დავნიშნოთ ახლა, – უთხრა სახეგაბრწყინებულმა კეთილმა ქალბატონმა, – მაგრამ გვირგვინს ამ ახალგაზრდებს ვერ დავადგამ, სანამ მამამისი, იურანდ სპიხოველი, არ დალოცავს თავის ქალიშვილს.

VII

მაცკო და ზბიშკო ვაჭარ ამილეის მოეთათბირნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. მოხუცი რაინდი დღე-დღეზე სიკვდილს ელოდებოდა; მისი დღეები რომ დათვლილი იყო, ამას ჭრილობების მკურნალი ფრანცისკელი ბერი ციბეკიც არ უმალავდა. ამიტომ იყო, რომ მოხუცი ჩქარობდა ბოგდანეცში დაბრუნებას. საგვარეულო სასაფლაოზე უნდოდა დაემარხათ ოსტროვში.

თუმცა ყველა მისი წინაპარი როდი იყო იქ დამარხული. ოდესღაც მათ ძალზე დიდი საგვარეულო ჰქონდათ. ომების დროს მაცკოს წინაპრები ერთმანეთს მეტსახელს „გრადის“ ეძახდნენ, „ბლაგვი ნალის“ გერბს ფლობდნენ და თავი მოჰქონდათ იმ შლიახტიჩებთან, ვისაც გერბის უფლება არა ჰქონდა. ათას სამას ოცდათერთმეტ წელს პლოვცესთან ბრძოლაში გერმანელმა მშვილდოსნებმა ჭაობში სამოცდათოთხმეტი ბოგდანეცელი მეომარი ამოწყვიტეს. ერთადერთი ვოიცეხი გადარჩა, მეტსახელად ტური, რომელსაც მეფე ვლადისლავ ლოკეტეკმა გერმანელების განადგურების შემდეგ საგანგებო სიგელით უბოძა ეს გერბი და ბოგდანეცის მიწები. მას აქეთ პლოვცეს მინდვრები თეთრად იყო მოფენილი დანარჩენების ძვლებით, ვოიცეხი კი მშობლიურ გადამწვარ კარ-მიდამოს მხოლოდ იმისათვის დაუბრუნდა, რომ თავისი თვალით ეხილა საკუთარი მოდგმის მოსპობა.

სანამ ბოგდანეცელ მამაკაცებს გერმანელთა ისრები მუსრავდა, მეზობელი სილეზიის ყაჩაღი რაინდები თავს დაესხნენ მათ საგვარეულო სამყოფელს. ძირისძირობამდე გადაწვეს ის, მოსახლეობა კი ამოხოცეს ან ტყვედ წაასხეს შორეულ გერმანულ მიწებზე გასაყიდად. დარჩა ვოიცეხი მარტოდმარტო, ჩასახლდა შემთხვევით გადარჩენილ ძველ სახლში და გახდა. მფლობელი თვალუწვდენელი, მაგრამ გატიალებული მიწებისა, რომლებიც ადრე მთელ მის მძლავრ მოდგმას ეკუთვნოდა. ხუთი წლის მერე მან ჯვარი დაიწერა. შეეძინა ორი ვაჟი – იასკო და მაცკო. შემდეგ ის ტყეში გარეულ ხარზე ნადირობისას დაიღუპა.

ბიჭებს დედა ზრდიდა, კახნა სპალენიცელი. ამ ქალმა ორჯერ ილაშქრა სილეზიელ გერმანელებზე ძველი შეურაცხყოფის გამო სამაგიეროს გადასახდელად. მესამე ლაშქრობას შეეწირა კიდეც. იასკო დავაჟკაცდა და ცოლად მოიყვანა იაგენკა მოცაჟეველი. ამ ქალმა მას ზბიშკო შესძინა. მაცკო კი დარჩა უცოლოდ და, თუ ლაშქრობებს შუა თავისუფალ დროს იპოვიდა, არც მამულს აკლებდა ხელს და არც თავის ძმისწულს.

მაგრამ როცა გჟიმალითებსა და ნალენჩებს შორის გამართული შინაომის დროს ისევ გადაწვეს მთელი ბოგდანეცი, გლეხები კი გარეკეს, მაცკო ამაოდ ცდილობდა მეურნეობის აღდგენას. რამდენიმე წლის შემდეგ მან მიწები თავისსავე ნათესავ აბატს მიაგირავა, თვითონ კი ჯერ ისევ მცირეწლოვან ზბიშკოსთან ერთად ლიტვას მიაშურა, რომ გერმანელებს შებრძოლებოდა.

ბოგდანეცზე ხელი არასოდეს აუღია. ლიტვაშიც იმიტომ, წავიდა, რომ დავლა ეშოვა, შინ მობრუნებულიყო, მიწა გამოესყიდა და ყმებით დაესახლებინა. პატარა დაბაც გაეშენებინა და შიგ ზბიშკო დაემკვიდრებინა. ახ-

ლაც, როცა ჭაბუკი ასე ბედნიერად გადარჩა, მხოლოდ ამაზეღა ფიქრობდა და ამაზე ეთათბირებოდა მას ვაჭარ ამილეისთან.

მიწის გამოსასყიდი ფული მათ არ უჭირდათ. სამხედრო დავლა, ტყვე რაინდებში აღებული გამოსასყიდი და ვიტოლდის საჩუქრები მცირე სიმდიდრე არ იყო. განსაკუთრებით დიდი ქონება შესძინა შათ ორ ფრიზიელ რაინდთან ბრძოლამ. მარტო მათი აღჭურვილობა მთელი განძი იყო. საჭურველს გარდა მათ ერგოთ ფორნები, ცხენები, ყმები, ტანსაცმელი, ფული და ძალზე მდიდრული საომარი იარაღი. ამ დავლიდან ბევრი რამ ახლა ამილეიმ შეიძინა, მათ შორის ორი შეკვრა ძვირფასი ფლანდრიული მაუდი, რომელსაც თან ატარებდნენ ფორნებით თავშენახული მდიდარი ფრიზიელები. მაცკომ ორთაბრძოლაში მოპოვებული მდიდრული საჭურველიც გაყიდა, რადგან ფიქრობდა, მალე მოვკვდები და აღარაფერში დამჭირდებაო. მეაბჯრე ხელოსანმა, რომელმაც აღკაზმულობა შეიძინა, მეორე დღესვე მიჰყიდა ის მარცინ ვროციმოვიცელს და დიდი სარგებელიც ნახა, რადგან მილანელი ოსტატების ნახელავი ჯავშანი იმ დროს ყველაზე ძვირად ფასობდა.

ზბიშკოს თვალი ზედ დარჩა ამ აღჭურვილობაზე.

– ღმერთმა რომ ქნას და გამოკეთდეთ, განა ასეთს მეორეს კიდევ იშოვით სადმე?

– იქვე, სადაც ესენი ვიშოვე, – უპასუხა მაცკომ. – რომელიმე სხვა გერმანელს ავართმევ. მაგრამ ამჯერად სიკვდილი მე არ ამცდება. ისრის წვერი ნეკნებს შორის გადამემსხვრა და ნატეხი შიგ ჩამრჩა. სულ ვებღაუჭებოდი, ფრჩხილებით მინდოდა ამომეთრია, მაგრამ უარესად ჩაიჭედა და ახლა იმას აღარაფერი ეშველება.

– ერთი-ორი კათხა დათვის ქონი რომ დაგელიათ!

– ჰო, მამაო ციბეკიც ამბობდა, კარგი იქნებაო, იქნებ ის ნატეხი როგორმე გარეთ გამოეტანაო. მაგრამ ქონს, აბა, აქ სად იშოვი? აი, ბოგდანეცში სხვა საქმეა. აიღებ ხელში ცულს და დაუდარაჯდები ღამით როგოსთან!

– ჰოდა, ჩვენც ავდგეთ და წავიდეთ ბოგდანეცში. ოღონდ გზაში არ შემომაკვდეთ ხელში.

მოხუცმა მაცკომ გრძნობამორეულმა შეხედა ძმისშვილს და უთხრა:

– განა არ ვიცი, გული საით მიგიწევს, ან იანუშ მთავრის სასახლისაკენ, ან არადა სპიხოვში, იურანდთან, ხელმელ გერმანელებზე თავდასხმის მოსაწყობად.

– ასეა, უარობას არ დავიწყებ. მე სიამოვნებით გავეშურებოდი ვარშავაში ან ცეხანოვში ქალბატონის ამალასთან ერთად, ოღონდ რაც შეიძლება დიდხანს ვყოფილიყავი დანუსიას გვერდით. ახლა მე უიმისოდ სიცოცხლე აღარაფრად მიღირს. ის მხოლოდ ჩემი ქალბატონი კი არა, ჩემი სიყვარულიცაა. ვუყურებ და ცქერით ვერ დავმტკბარვარ, მხოლოდ გაფიქრებაზეც გული მიკვნესის. ქვეყნის დასალიერამდე წავყვებოდი მას. მაგრამ ჯერ თქვენს წინაშე ვალი მაქვს მოსახდელი. თქვენ არ მიმატოვეთ, ვერც მე მიგატოვებთ. რაკი ბოგდანეცში წასვლაა საჭირო, დაე, ასე იყოს!

– კარგი ბიჭი მყავხარ, – უთხრა მაცკომ.

– ღმერთი დამსჯიდა, თქვენთვის რომ კარგი არ ვიყო, აგერ უკვე ცხენებს აბამენ. თქვენთვის ცალკე ფორანზე თივის დაგება ვუბრძანე. ამილეის ქალიშვილმა შესანიშნავი ბუმბულის ლეიბი გვაჩუქა. ოღონდ დაგცხებათ, არ ვიცი, გაუძლებთ თუ არა. ჩვენ ნელ-ნელა ვივლით ქალბატონის ამალასთან ერთად. მინდა გზაში მიმხედავი გყავდეთ. როცა ისინი მაზოვიაში გადაუხვევენ, ჩვენ ჩვენს გზას გავუყვებით და მერე ღმერთი იყოს ჩვენი შემწე.

– ცოტა ხანს მაინც მეცოცხლა, რომ კარ-მიდამოს გაშენება მომესწრო, – თქვა მაცკომ, – მე რომ შენ გიცნობ, ჩემი სიკვდილის შემდეგ ბოგდანეცისაკენ არც კი მოიხედავ.

– რატომ ფიქრობთ ეგრე?

– თავში ბრძოლისა და სიყვარულის მეტი არაფერი გიტრიალებს.

– განა თქვენ კი არ გიტრიალებდათ თავში ბრძოლები? მე უკვე ყველაფერი კარგად მოვიფიქრე, რაც უნდა გავაკეთო, – უპირველეს ყოვლისა, გავაშენებთ მუხის ციხე-ქალაქს და ირგვლივ თხრილს შემოვავლებთ.

– განა შენც ასე ფიქრობ? – გამოცოცხლდა მაცკო. – ჰო, გავაშენებთ ქალაქს, მერე, მერე რაღას ვიზამთ, თქვი ჩქარა!

– როგორც კი გავაშენებთ ქალაქს, მაშინვე ქალბატონის კარს მივაშურებ ვარშავაში ან ცეხანოვში.

– ჩემი სიკვდილის მერე?

– თუ მალე მოკვდებით, მაშინ თქვენი სიკვდილის მერე. ოღონდ ჯერ დაგასაფლავებთ, როგორც წესი და რიგია. ხოლო თუ ღმერთმა ქნა და გამობრუნდით, მაშინ თქვენ ბოგდანეცში დარჩებით. ქალბატონი შემპირდა, რაინდის სარტყელს გიბოძებსო მთავარი. სხვაფრივ ლიხტენშტაინი ჩემთან ბრძოლას არ ისურვებს.

– გამოდის, მერე მალბორგს უნდა წახვიდე?

– მალბორგი იქნება, თუ ქვეყნის კიდე, სულ ერთია, ოღონდ ლიხტენ-შტაინს მოვუღო ბოლო.

– აბა, მაგაზე რა მეთქმის სასაყვედურო. ან ის არ უნდა დადიოდეს ამ ქვეყანაზე, ან შენ!

– მე თქვენ იმის ხელთათმანსა და სარტყელს ჩამოგიტანთ ბოგდანეცში, ამაში ეჭვიც არ შეგეპაროთ.

– ოღონდ იცოდე, ღალატს უფრთხილდი. დიდი ვერაგი ხალხია.

– მე მუხლს მოვიყრი მთავარ იანუშის წინაშე და ვთხოვ, გამაგზავნოს დიდ მაგისტრთან გლეიტის ჩამოსატანად. ამჟამად ჩვენს შორის მშვიდობაა. მე გლეიტისათვის მალბორგს გავეშურები, იქ ყოველთვის უამრავი რაინდია სტუმრად. თქვენთვის, რაღა თქმა უნდა, გასაგებია – ჯერ ლიხტენ-შტაინის საქმეს მოვათავებ, მერე კო შევათვალიერებ, რომელს ექნება ფარშავანგის ფრთები მუზარადში და რიგრიგობით გამოვიწვევ. ღმერთო დიდებულო! თუ მამაღმერთი მომეხმარა იმათ დაძლევაში, აღთქმაც შესრულებული იქნება.

ამას რომ ამბობდა, ზბიშკო საკუთარ აზრებს შეჰხაროდა, სულ იმ ყმაწვილს მიუგავდა სახე, რომელიც ჰყვება, რა ამბებს დაატრიალებს, როცა გაიზრდება.

– ეჰ! – თქვა მაცკომ თავის ქნევით. – სამ წარჩინებულ რაინდს რომ აჯობებდე, განა მარტო აღთქმას შეასრულებ, ისეთ იარაღსაც აართმევ, რომ შენი მოწონებული!

– სამიო, რასა ბრძანებთ! – წამოიძახა ზბიშკომ. – ჯერ კიდევ საპყრობილეში ვფიქრობდი, რომ დანუსიასათვის არ დავზოგავდი სამს კი არა, იმდენ გერმანელს, რამდენი თითიც ორთავე ხელზე მაქვს!

მაცკომ მხრები აიჩეჩა.

– გნებავთ დამიჯერეთ, გნებავთ არა, – თქვა ზბიშკომ, – მე მალბორგიდან პირდაპირ იურანდ სპიხოველთან წავალ. როგორ შემიძლია არ ვეახლო და არ მოვიკითხო ჩემი დანუსიას მამა? მერე მე და ის თავს დავესხმით ხელმელ გერმანელებს. თვითონ არ მეუბნებოდით, გერმანელების რისხვაა, იმისთანა საშიში მტერი გერმანელებს მთელ მაზოვიაში არავინა ჰყავთო.

– ერთიც ვნახოთ და დანუსია არ მოგცეს?

– ვითომ რატომ არ უნდა მომცეს! ის თავის შეურაცხყოფაზე იძიებს შურს, მე – ჩემსაზე. უკეთესს ვისა ნახავს? რაკი ქალბატონმა დაგვრთო ნიშნობის ნება, არც ის გაგვიწევს წინააღმდეგობას.

– მე ერთი მადარდებს, – უთხრა მაცკომ. – იქიდან მსახურები უნდა წაიყვანო, რაინდს ხომ ყოველთვის უნდა ახლდეს მსახურები, ბოგდანეცი კი ღვთის ანაბარა დარჩება. სანამ ცოცხალი ვარ, ამ ხალხს ვერ მოგცემ, ჩემი სიკვდილის მერე კი, ცხადია, მაშინვე წაიყვან.

– ღმერთი ხელს მომიმართავს, მეც მაშოვნინებს მსახურებს. იანკო ტულჩელიც არ დაინანებს, ის ხომ ჩვენი ნათესავია.

ამის თქმა იყო და კარი გაიღო, თითქოს იმის დასადასტურებლად, რომ ღმერთი ზბიშკოზე ზრუნავდა, ორი კაცი შემოვიდა. სახის კანი შავი ჰქონდათ, ჩასხმულები იყვნენ, ყვითელი, ებრაულის მსგავსი ხიფთანები და უსაშველოდ განიერი შარვლები ეცვათ, წითელი ყირიმული ქუდები ეხურათ. ისინი კართან გაჩერდნენ. თითები ჯერ შუბლთან მიიტანეს, მერე ტუჩებთან, მკერდთან და მიწამდე დაიხარნენ.

– ეს გადამთიელები ვინღა არიან? – იკითხა მაცკომ. თქვენ ვინა ხართ?

– ჩვენ თქვენი მონები ვართ, – მოახსენეს დამტვრეული პოლონურით მოსულებმა.

– როგორ? საიდან? ვინ გამოგგზავნათ?

– ჩვენი თავი ბატონმა ზავიშამ გამოუგზავნა საჩუქრად ახალგაზრდა რაინდს, რომ მისი მონები ვიყოთ.

– ღმერთო დიდებულო, კიდევ ორი ყაზახი! – გაიხარა მაცკომ. – რა ხალხი ხართ?

– თურქები.

– თურქები? – ჩაეკითხა ზბიშკო. – მე მსახურად მეყოლება ორი თურქი. გინახავთ ამის მეტად როდისმე თურქები?

მან მონებთან მიირბინა და ისე დაუწყო ხელით სინჯვა და თვალიერება, თითქოს ზღვის გადაღმელი ურჩხულები ყოფილიყვნენ.

– ნახვისა რა მოგახსენო, – უთხრა მაცკომ, – მაგრამ გაგონებით კი გამიგონია, რომ გარბოველ ბატონს მსახურებად თურქები ჰყავდა. რომის იმპერატორის, ზიგმუნდის მხარეზე რომ იბრძოდა დუნაიზე, იქ ჩაუგდია ხელთ. როგორ უნდა მოვიქცეთ? ძაღლისშვილებო, თქვენ ხომ ურჯულოები ხართ?

– ბატონმა გვიბრძანა და უკვე მოვინათლეთ, – თქვა ერთმა მონამ.

– გამოსასყიდი არა გქონდათ?

– ჩვენ შორი ქვეყნიდანა ვართ, აზიის ნაპირებიდან. ბურსა გაგიგონიათ?

ზბიშკო ყოველთვის ხარბად ისმენდა ომის ამბებს, განსაკუთრებით ზავიშა გარბოველის გმირობა აინტერესებდა, და ახლაც დაუწყო თურქებს გამოკითხვა, როგორ მოხვდითო ტყვეობაში. იმათ ნაამბობში არაფერი იყო საოცარი. სამი წლის წინათ ერთ-ერთ ხეობაში ზავიშა თურქების რაზმს დასხმია თავს. ნაწილი ამოუხოცავს, ნაწილი კი ტყვედ წამოუყვანია და მერე ბევრი გაუჩუქებია. ზბიშკო და მაცკო ძალზე გახარებულები იყვნენ ასეთი შესანიშნავი საჩუქრით. იმ ხანებში მონები ძნელად იშოვებოდა და მათ მფლობელს შეეძლო თავი მდიდარ კაცად ჩაეთვალა.

ამასობაში თვითონ ზავიშაც მობრძანდა პოვალასა და პაშკო ბისკუპიცელის თანხლებით. ყველანი მონაწილეობდნენ ზბიშკოს გადარჩენაში და ახლა საქმის კეთილი დასასრულით გახარებულები იყვნენ. გამომშვიდობებისას ყველამ რაღაცით დაასაჩუქრა ჭაბუკი.

გულუხვმა ტაჩეველმა ბატონმა განიერი, მდიდრული, წინიდან ოქროს ფოჩებმოვლებული ცხენის თოქალთო მოართვა, პაშკომ - რამდენიმე გრივნად ღირებული ძვირფასი უნგრული ხმალი. შემდეგ მოვიდნენ ლის ტარგოვისკელი, ფარურეი, ქშონ კოზიხგლუველი, მარცინ ვროციმოვიცელი, დაბოლოს ზინდრამ მაშკოვიცელი – ყველა ხელდამშვენებული.

გალაღებული ზბიშკო დიდის ამბით ხვდებოდა მათ. ბედნიერი იყო ასეთი კარგი საჩუქრების მიღებითაც და იმითაც, რომ მეფის ყველაზე სახელგანთქმული რაინდები ასე მეგობრობდნენ მასთან. მათ გამოჰკითხეს გამგზავრებისა და მაცკოს ჯანმრთელობის ამბები და ბევრი სასწაულმოქმედი მალამო და ბალახი ურჩია ჭრილობის მოსარჩენად ამ ახალგაზრდა, მაგრამ ბევრის მნახველმა ხალხმა.

მაგრამ მაცკო იმასღა აბარებდა, ზბიშკოს მიმიხედეთო, თვითონ კი იმქვეყნად გამგზავრებას აპირებდა. ძნელია სიცოცხლე, როდესაც რკინის ნატეხი გაქვს ნეკნებში გაჩრილი. მოხუცი წუწუნებდა, განუწყვეტლივ სისხლს ვიღებ და ჭამაც არ შემიძლიაო.

ერთი ჩარექი გარჩეული ნიგოზი, ორი რგოლი ძეხვი და ერთი ჯამი ერბოკვერცხი – აი, ეს იყო სულ ერთი დღის საკვები. მამაო ციბეკმა რამდენჯერმე გამოუღო სისხლი, გულს სიმხურვალეს მოვაშორებთ და მადაც დაუბრუნდებაო, ფიქრობდა, მაგრამ ამანაც არ უშველა.

თუმცა მაცკო ისე გაახარა ძმისშვილისათვის მოტანილმა საჩუქრებმა, რომ ცოტა უკეთაც იგრძნო თავი, და როცა ვაჭარმა ამილეიმ ასეთი სახელოვანი სტუმრების მოსვლის აღსანიშნავად კასრით ღვინის მოტანა ბრძანა, მოხუციც გვერდით მიუჯდა დასალევად. სუფრაზე ლაპარაკი გააბეს ზბიშკოს გადარჩენასა და დანუსიასთან დანიშვნაზე. რაინდებს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ იურანდ სპიხოველი ქალბატონის ნებას წინ არ აღუდგებოდა, მით უმეტეს, თუ ზბიშკო დანუსიას დედის სიკვდილის გამო შურს იძიებდა და შეპირებულ ფარშავანგის ჯიღებსაც იშოვიდა.

– ოღონდ საქმე ის არის, – თქვა ზავიშამ, – მოისურვებს თუ არა ლიხტენშტაინი შენთან ბრძოლას. ის ხომ ბერია და ამას გარდა ორდენის ერთ-ერთი მაგისტრიც. მისი ამალის ხალხი იმასაც ამბობდა, სულ ადვილი შესაძლებელია დიდი მაგისტრიც კი გახდესო.

– თუ შებრძოლებაზე უარს იტყვის, თავის ღირსებას შელახავს, – ჩაურთო ლის ტარგოვისკელმა.

– არა, – შეეკამათა ზავიშა, – ის ხომ საერო რაინდი არ არის, ბერებს კი ნება არა აქვთ ორთაბრძოლაში გასვლისა.

– მაინც რომ ხშირად იბრძვიან?

– ეგ იმიტომ ხდება, რომ ორდენში კანონებს აღარავინ დაგიდევს. მოდგებიან ბერები, დადებენ აღთქმას, მერე კი ქრისტიანული სამყაროს უდიდეს ცდუნებათა გამო არღვევენ მას. მაგრამ თუ ორთაბრძოლაში ჯვაროსანი არ გამოვა, მით უმეტეს კომტური, ეს დანაშაულად არ ჩაეთვლება.

– მაშინ ერთადერთი საშუალება მასთან შესახვედრად ომია,

– აკი ხმა დადის, ომი არ იქნებაო, – თქვა ზბიშკომ, - თითქოს ჯვაროსნებს ახლა ჩვენი ხალხის ეშინიათო.

– მშვიდობა დიდხანს არ გასტანს, – თქვა ზინდრამ მაშკოვიცელმა, – რა მშვიდობა უნდა გქონდეს მგელთან, რომელმაც სხვის ხარჯზე ცხოვრების გემო გაიგო.

– ამასობაში კი იქნება თემურ ლენგთანაც დაგვჭირდეს შებრძოლება, – თქვა პოვალამ. – ედიგეიმ რომ მთავარი ვიტოლდი დაამარცხა, ეს ხომ ცნობილზე ცნობილია.

– ცნობილია. ვოევოდა სპიტეკიც ვეღარ დაბრუნდა, დასძინა პაშკო ბისკუპიცელმა.

– ბევრი ლიტველი მთავარი დაიღუპა იმ ბრძოლაში.

– განსვენებული დედოფალი წინასწარმეტყველებდა ამას ყველაფერს, – თქვა ტაჩეველმა ბატონმა.

– ალბათ, მართლა მოგვიხდება თემურთან შებრძოლება.

მერე სიტყვა გადაიტანეს ლიტველების გალაშქრებაზე თათრების წინააღმდეგ. არავითარი ეჭვი აღარ იყო, რომ მთავარმა ვიტოლდმა, ამ ფიცხმა, მაგრამ ნაკლებ გამოცდილმა სარდალმა, საშინელი დამარცხება იგემა ვორსკლაში. მრავალი ლიტველი და რუსი ბოიარი დაიხოცა, მათთან ერთად კი ბრძოლაში თავიანთი სურვილით წასული ცოტაოდენი პოლონელი რაინდებიც. თქვენ წარმოიდგინეთ, ჯვაროსნებიც კი. ამილეისთან თავმოყრილი რაინდები განსაკუთრებული გულისტკივილით ლაპარაკობდნენ ჭაბუკ სპიტეკ მელშტინელზე, ყველაზე განსწავლულ დიდებულზე მთელს სამეფოში, რომელიც საკუთარი სურვილით წავიდა ლაშქრად და ბრძოლის შემდეგ უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მისი წმინდა რაინდული საქციელი ცამდე აჰყავდათ: თათრების ხანს მისთვის შეუვალობის ქუდი უბოძებია, მაგრამ ბრძოლის დროს არ ისურვა თურმე მისი დახურვა. სახელოვანი სიკვდილი არჩია ურჯულო ხელმწიფისაგან ნაბოძებ სიცოცხლეს. ჯერაც არ იყო გარკვეული, დაიღუპა თუ ტყვედ ჩავარდა ის. ტყვეობიდან თავის დახსნა მას არ გაუჭირდებოდა, რადგან უთვალავი სიმდიდრის პატრონი იყო. მეფე ვლადისლავმა კი დამატებით მისცა სალენო მფლობელობაში მთელი პოდოლიე.

მაგრამ ლიტველების დამარცხება საშიში იყო იაგელოს მთელი სამეფოსათვის, რადგან წინასწარ ვერავინ იტყოდა, რას იზამდნენ თათრები. იქნებ ვიტოლდზე გამარჯვებით ფრთაშესხმულნი ახლა დიდი სამთავროს ქალაქებსა და მიწებს შესეოდნენ. ასეთ შემთხვევაში სამეფო ომში ჩათრეული აღმოჩნდებოდა. ამიტომაც. ისეთი რაინდები, როგორიც იყვნენ. ზავიშა, ფარურეი, დობკო და პოვალაც კი, სხვათა სამეფო კარზე თავგადასავლების ძიებას რომ იყვნენ შეჩვეულნი, სრულიად შეგნებულად არ მიდიოდნენ კრაკოვიდან, რადგან სულ მალე რაღაც ცვლილებებს მოელოდნენ. ოცდაშვიდი სახელმწიფოს მბრძანებელ თემურ ლენგს რომ დასავლეთისაკენ დაეძრა მთელი მონღოლური სამყარო, სამეფოს დიდი რისხვა დაატყდებოდა. ზოგიერთი ფიქრობდა, ასეთი რამ მართლაც შესაძლებელია მოხდესო.

– თუ საჭირო გახდება, კოჭლსაც შევებმებით. ჩვენი ხალხის დამარცხება არც ისე ადვილია, როგორც სხვები დაიმორჩილა, ამოხოცა და დაიმონა. სხვა ქრისტიანული სახელმწიფოებიც მხარში ამოგვიდგებიან.

ზინდრამ მაშკოვიცელი, რომელიც განსაკუთრებული სიძულვილით იყო ანთებული ორდენის მიმართ, ცხარედ შეედავა მოსაუბრეს:

– მეფეებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჯვაროსნები რომ მზად არიან მოურიგდნენ თათრებს და ზურგიდან დაგვცხონ, ეს კი კარგად ვიცი.

– სჯობს ატყდეს ომი! – წამოიძახა ზბიშკომ. – მე ჯვაროსნების წინააღმდეგი ვარ!

მაგრამ სხვა რაინდები სხვანაირად ფიქრობდნენ. მართალია, ჯვაროსნებს ღმერთი დავიწყებული ჰყავთ და საკუთარი კეთილდღეობის მეტი არაფერი აინტერესებთ, მაგრამ ქრისტიანი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში ურჯულოებს მაინც არ დაეხმარებიანო. თემური სადღაც შორს, აზიაში იბრძვის ახლა, თათრების ხანს ედიგეის კი იმდენი ხალხი დაეხოცა ბრძოლაში, მგონი თავისი გამარჯვებისა თვითონვე შეეშინდა. მთავარი ვიტოლდი წინდახედულია და, ალბათ, კარგად გაამაგრა თავისი ქალაქები. ისიც უნდა ითქვას, რომ მერე რა მოხდა, თუ ახლა დამარცხება იგემეს ლიტველებმა, განა სხვა დროს ცოტაჯერ გაუმარჯვიათ თათრებთან ბრძოლაში!

– თათრებს კი არა, გერმანელებს უნდა შევებრძოლოთ სამკვდრო-სასიცოცხლოდ, – თქვა ზინდრამ მაშკოვიცელმა, – თუ ისინი არ მოვსპეთ, მაშინ ჩვენ გაგვანადგურებენ.

მერე ზბიშკოს მიუბრუნდა:

– ყველაზე ადრე კი მაზოვია დაიღუპება. დარდი ნუ გაქვს, საშენო საქმე იქ ყოველთვის გამოჩნდება!

– ეჰ, ბიძაჩემი ყოფილიყო კარგად, პირდაპირ ბრძოლაში წავიდოდი.

– ღმერთმა მუდამ გამარჯვებული გატაროს! – უთხრა პოვალამ და თასი ასწია.

– შენი და დანუსკას კარგად ყოფნა მენახოს!

– და გერმანელების სიკვდილი! – დაუმატა ზინდრამ მაშკოვიცელმა.

რაინდები ის იყო უნდა გამომშვიდობებოდნენ ზბიშკოს, რომ ქალბატონის მსახური შემოვიდა, ხელში შევარდენი ეჭირა, რაინდებს მიესალმა და რაღაც უცნაური ღიმილით ზბიშკოს მიუბრუნდა:

– ქალბატონმა მიბრძანა გადმომეცა, რომ ამ ღამეს კრაკოვში გაათევს და ხვალ გაემგზავრება.

– კეთილი და პატიოსანი, – თქვა ზბიშკომ, – მაგრამ რატომ? ავად ხომ არავინაა? – არა. ქალბატონს სტუმარი ჰყავს მაზოვიიდან.

– მთავარი ხომ არ ჩამოსულა?

– არა, მთავარი კი არა, იურანდ სპიხოველი, – უპასუხა მსახურმა.

ამ სიტყვებმა ზბიშკო საშინლად შეაშფოთა, გული სწორედ ისე აუძგერდა, როგორც სასიკვდილო განაჩენის წაკითხვის დროს.

VIII

ქალბატონ ანას იურანდ სპიხოველის ჩამოსვლა მაინცდამაინც არ გაჰკვირვებია. გაუთავებელი თავდასხმებით, დევნითა და მეზობელ გერმანელ რაინდებთან ბრძოლით გაბეზრებულს, ერთბაშად გულს შემოაწვებოდა ხოლმე დანუსიას დარდი. მაშინ ის მოულოდნელად გამოჩნდებოდა ვარშავაში, ცეხანოვში ან სხვაგან, სადაც დროებით იმყოფებოდა ხოლმე იანუშ მთავრის ამალა. დანუსიას დანახვაზე ძველი ჭრილობები ისევ ეხსნებოდა. რაც დრო გადიოდა, დანუსია სულ უფრო ემსგავსებოდა დედას და იურანდს ეჩვენებოდა, რომ თავის განსვენებულ მეუღლეს უყურებდა სწორედ ისეთს, როგორიც ოდესღაც ნახა ვარშავაში ანა დანუტას კარზე, ხალხი ფიქრობდა, უკვე დროა ამ ბოროტი ნაღველისაგან განთავისუფლდესო შურისძიების გრძნობით შეპყრობილი მისი გული. ქალბატონმაც რამდენჯერმე შესთავაზა, დაეთმო თავისი სისხლიანი სპიხოვი და სასახლეში დარჩენილიყო დანუსიასთან ერთად. თვით მთავარი დიდად აფასებდა მის ძალასა და გულადობას, მაგრამ მაინც სურდა თავი დაეღწია იმ უსიამოვნებებისათვის, საზღვრისპირა გაუთავებელი შეტაკებები რომ აყენებდა, და ამიტომ მეხრმლის წოდება უბოძა მას, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო, დანუსიას დანახვაზე ისევ თავიდან ეხსნებოდა ძველი ჭრილობები, რამდენიმე დღე ძილი გაუკრთებოდა, მადა დაეკარგებოდა და ლაპარაკს აიკრძალავდა. ბოღმა უდუღდა გულში, შურისძიებით ანთებული უეცრად გაქრებოდა თვალთაგან. მიუბრუნდებოდა სპიხოვის ჭაობებს, რათა სისხლში ჩაეხრჩო თავისი ბოღმა და დარდი. მაშინ ხალხი ამბობდა: „ვაი, გერმანელების ბრალი! რა თქმა უნდა, არც ისინი არიან ცხვრები, მაგრამ იურანდისათვის ცხვრები არიან, რადგან თვითონაა მათთვის მგელი“. ცოტა ხანიც და დაირხეოდა ხმები ხან ტყვედ წამოყვანილ უცხოელებზე, რომლებიც საზღვარზე გავლით ჯვაროსნებთან მიდიოდნენ მოხალისეებად, ხან მემამულეთა ფერფლად ქცეულ კარ-მიდამოებზე, დატყვევებულ გლეხებზე ან სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებებზე, რომლებშიც იურანდი ყოველთვის გამარჯვებული რჩებოდა. მაზურებსა და გერმანელ რაინდებს, ორდენის თანხმობით რომ ფლობ-

დნენ მიწებსა და კარ-მიდამოებს მაზოვიის საზღვარზე, მტაცებლური ზნე სჭირდათ, ამიტომ მშვიდობიან დროსაც მაზოვიის მთავრებისა და ორდენის საზღვარზე საბრძოლო ხმაური არა ცხრებოდა. მცხოვრებლები ტყის მოსაჭრელად და პურის სამკელადაც მშვილდ-ისრებითა და შუბებით შეიარაღებულნი გამოდიოდნენ. ხალხს არა სწამდა ხვალინდელი დღისა, ყოველ წამს მზად იყვნენ ბრძოლისათვის და ამის გამო გულები გაჰქვავებოდათ. მხოლოდ თავის დაცვით არავინ კმაყოფილდებოდა, ძარცვას ძარცვით უპასუხებდნენ, ხანძარს – ხანძრით, თავდასხმას – თავდასხმით. ისეთი შემთხვევებიც იყო, როცა გერმანელები ჩუმად მიიპარებოდნენ ტყე-ტყე რომელიმე მამულზე თავდასასხმელად ან ხალხის გასარეკად და ამ დროს სხვა ადგილას ამასვე სჩადიოდნენ მაზურები. ერთხელ და ორჯერ არ შებმიან ცხარედ მტრები, მაგრამ უფრო ხშირად მხოლოდ მხედართმთავრები იწვევდნენ ერთმანეთს ორთაბრძოლაში, რის შემდეგაც გამარჯვებული ტყვედ წაასხამდა ხოლმე დამარცხებულის ხალხს. როდესაც ვარშავის კარზე საჩივარი მოვიდოდა იურანდზე, მთავარი ასეთივე საჩივრებით პასუხობდა გერმანელ რაინდთა თავდასხმების გამო, ამგვარად, ორთავე მხარეს სწყუროდა სამართლიანობა, მაგრამ არც ერთს არ სურდა და არ შეეძლო მისი დამყარება. ამიტომ ყველა ძარცვა, ხანძარი და თავდასხმა დაუსჯელი რჩებოდა.

მაგრამ თავის ჭაობიან, ლერწმებით გადავლილ სპიხოვში, ჩამჯდარმა და შურისძიების დაუოკებელი წყურვილით ანთებულმა იურანდმა ისე გამოასავათა თავისი საზღვრისგაღმელი მეზობლები, რომ, ბოლოს და ბოლოს, გულში დაგუბებული ბოღმა დაიოკეს და შიშით დაიხიეს მის წინაშე. სპიხოვის საზღვრებზე ყანები დაუმუშავებელი იყო, ტყეებს გაველურებული თხილნარი და სვია მოსდებოდა, კორდებზე ლერწამს გადაევლო.

შინ მუშტის წესებს მიჩვეულმა ბევრმა გერმანელმა მოინდომა სპიხოვის საზღვარზე დასახლება, მაგრამ გავიდოდა რამდენიმე ხანი და ამჯობინებდა უარი ეთქვა ფეოდზე, ჯოგებზე, გლეხებზე, ვიდრე შეუბრალებელი მეზობლის გვერდით ეცხოვრა. ხშირად უთათბირიათ რაინდებს და შეერთებული ძალით დასხმიან თავს სპიხოვს, მაგრამ ეს თავდასხმები მუდამ მათი დამარცხებით დამთავრებულა. ისინი სხვა ხერხებსაც მიმართავდნენ. ერთხელ მაინიდან ძალ-ღონითა და სიმკაცრით განთქმული ერთი რაინდი ჩამოიყვანეს. ამ რაინდმა ჯერ არ იცოდა, რა იყო დამარცხება და უნდოდა იურანდთანაც ეცადა ძალა. მაგრამ როცა მოწინააღმდეგეებმა თავ-თავიანთი ადგილები დაიკავეს და გერმანელმა მრისხანე მაზური შეათვალიერა, გეგონებოდათ, გული რაღაც ჯადოსნურმა ძალამ ჩასწყვიტაო, ცხენი შეაბ-

რუნა და გაქცევით უნდოდა ეშველა თავისათვის. იურანდმა კი შეუჯავშნავ გავაში ატაკა შუბი. ამით პატივიც აჰყარა და სიცოცხლესაც გამოასალმა. იმ დღიდან მეზობლები ისეთმა შიშის ძრწოლამ აიტანა, რომ გერმანელი შორიდან მოჰკრავდა თუ არა თვალს სპიხოველთა ქოხებს, პირჯვარს გადაისახავდა და ღმერთს შველას სთხოვდა. ყველა დარწმუნებული იყო, შურისძიებისათვის იურანდმა სული ეშმაკს მიჰყიდაო.

სპიხოვზე საშინელ ამბებს ჰყვებოდნენ, – თითქოს ლემნით გადავლილ ჭაობზე სპიხოვისაკენ ისეთი ვიწრო გზა მიდის, რომ ორი მხედარი გვერდიგვერდ ვერ მოთავსდება, თითქოს ამ გზის გასწვრივ ორთავე მხარე გერმანელთა ძვლებითაა მოფენილი, ღამღამობით კი დამხრჩვალთა თავები ობობას ფეხებზე წამოსკუპდებიან და ასე დაბორიალობენ, კვნესიან, მოთქვამენ და მხედარს ცხენიანად ჭაობში ითრევენო. იმასაც ჰყვებოდნენ, შიგ დაბაში ღობეებზე ადამიანთა თავებია წამოცმულიო. ამაში სიმართლე მხოლოდ ის იყო, რომ სპიხოვში სახლის ქვეშ გათხრილი ჯურღმულიდან მართლაც ყოველთვის ისმოდა ტყვეთა კვნესა, ხოლო ჩონჩხებსა და დამხრჩვალთა შესახებ მონაყოლ ყველა ზღაპარზე თავზარდამცემი იყო იურანდის სახელი.

როგორც კი იურანდის ჩამოსვლის ამბავი გაიგო, ზბიშკო მაშინვე მისკენ გაექანა; თუმცა დანუსიას მამასთან შეხვედრის წინ ჭაბუკის გულს რაღაც შფოთი შეჰპარვოდა. დანუსიას ქალბატონად არჩევასა და აღთქმის მიცემას მას ვერავინ დაუშლიდა, მაგრამ აკი ანა დანუტამ დანიშნა კიდევაც ის დანუსიაზე. ნეტა ამაზე რაღას იტყვის იურანდი? მისცემს თუ არა თანხმობას? ერთიც ვნახოთ, იყვირა, მე ამაზე არასოდეს დაგეთანხმებითო? შიში თანდათანობით იზრდებოდა ზბიშკოს გულში, რადგანაც დანუსია უკვე მთელ ქვეყანას ერჩია. ხანდახან თავს იმით იიმედებდა, იქნებ ლიხტენშტაინზე თავდასხმა იურანდმა დანაშაულად კი არა, დამსახურებად ჩამითვალოსო, და ეს ცოტა სიმხნევეს მატებდა. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ დანუსიას დედისათვის შურის საძიებლად ჩაიდინა და კინაღამ თავიც წააგო.

მან დაუწყო გამოკითხვა სასახლის მსახურს, რომელიც ამილეისთან მის დასაპატიჟებლად გამოეგზავნათ:

– სად უნდა წამიყვანოთ? ციხესიმაგრეში?

– რა თქმა უნდა, ციხესიმაგრეში. იურანდი იქ არის თავისი ამალით, ქალბატონთან.

– ერთი მითხარით, რა კაცია? ხომ უნდა ვიცოდე, როგორ მოვიქცე მასთან...

– რა მოგახსენოთ? ძალზე თავისებური ადამიანია. ამბობენ, სანამ ასე გაასიებდნენ ნაღველზე, ძალიან მხიარული კაცი იყოო.

– ჭკვიანია?

– მოხერხებულია. სხვებს ამარცხებს, თვითონ კი არ ნებდება. ეჰ! ცალთვალაა. მეორე გერმანელებმა ამოუგდეს ისრით, მაგრამ არც ამ ცალი თვალით შეეშლება კაცის ცნობა. ვერავის ეგუება. მარტო ჩვენი ქალბატონი უყვარს. მისი სეფექალი შეირთო ცოლად. ახლა კი ქალიშვილიც ჩვენ კარზე იზრდება. ზბიშკომ შვებით ამოისუნთქა.

– თქვენ ამბობთ, რომ ქალბატონის სურვილს წინ არ აღუდგება?

– მესმის, რისი გაგებაც გსურთ და ახლავე მოგიყვებით, რასაც ყური მოვკარ. ქალბატონს უამბნია თქვენი ნიშნობის ამბავი – როგორ შეიძლებოდა მამისათვის ამის დამალვა, – მაგრამ იურანდმა რა უპასუხა, არავინ იცის.

საუბარში გართულები ჭიშკარს მიუახლოვდნენ. მეფის მეაფთეთა კაპიტანმა, სულ ცოტა ხნის წინ დასასჯელად რომ მიჰყავდა ზბიშკო, ახლა გულღიად გაუღიმა; დაცვას რომ ჩაუარეს, ზბიშკო და მისი გამცილებელი ეზოში შევიდნენ, მერე კი მარჯვნივ სახლის იმ მხარეს გაუხვიეს, სადაც ქალბატონი ცხოვრობდა. კარებში მსახური შემოხვდათ.

– სად არის იურანდ სპიხოველი? – ჰკითხა კარისკაცმა.

– კუთხის ოთახშია თავის ქალიშვილთან ერთად.

– აქეთ მობრძანდით, – უთხრა კარისკაცმა და კარი დაანახვა.

ზბიშკომ პირჯვარი გადაისახა, ღია კარზე ფარდა გადასწია და გულაფართხალებული შევიდა ოთახში. ერთბაშად ვერც კი შეამჩნია იურანდი და დანუსია, რადგან ოთახში ბნელოდა. მხოლოდ კარგა ხნის მერე გაარჩია გოგონას ქერა თავი. დანუსია კალთაში ეჯდა მამას. იმათ ზბიშკოს "შესვლა არც გაუგიათ, ამიტომ ის ფარდასთან გაჩერდა, ჩაახველა და ბოლოს წარმოთქვა:

– დიდება იესო ქრისტეს!

– უკუნითი უკუნისამდე! – უპასუხა იურანდმა და წამოდგა.

ამ დროს დანუსიამ ჭაბუკ რაინდთან მიირბინა, ხელი ჩაავლო და წამოიძახა:

– ზბიშკო! მამილო ჩამოვიდა!

ზბიშკო ხელზე ეამბორა გოგონას, მერე მასთან ერთად იურანდს ეახლა და მოახსენა:

– გეახელით მდაბალი სალმით. ალბათ იცით, ვინცა ვარ?

ჭაბუკი ოდნავ დაიხარა და ხელებით ისეთი მოძრაობა გააკეთა, გეგონებოდათ, მუხლებზე უნდა მოჰხვეოდა იურანდს. მაგრამ მან ხელი სტაცა, სინათლისაკენ მოაბრუნა და უხმოდ ჩააცქერდა.

ზბიშკო ცოტა გონს მოეგო, იურანდს ცნობისმოყვარე თვალები მიაპყრო და დაინახა გოლიათი, რომელსაც წითური თმა, ასეთივე ულვაშები, ნაყვავილარი სახე და ერთადერთი ფოლადისფერი თვალი ჰქონდა. ჭაბუკს მოეჩვენა, რომ ამ თვალით იურანდი მზად იყო გაეგმირა ის. ამიტომ ისევ აწრიალდა, აღარ იცოდა, რა ეთქვა და უხერხულობის დასაფარავად ჰკითხა:

– მაშ, თქვენ ბრძანდებით იურანდ სპიხოველი, დანუსიას მამა?

მაგრამ მან ზბიშკოს სკამზე მიუთითა მუხის სავარძლის გვერდით. თვითონ სავარძელში ჩაჯდა, ერთი სიტყვაც არ უთქვამს, კვლავ დაჟინებით მისჩერებოდა ყმაწვილს.

ბოლოს ზბიშკომ მოთმინება დაკარგა.

– იცით, – უთხრა მან, – ჩემთვის უხერხულია, აი, ასე ჯდომა, თითქოს სასამართლოში ვიყო.

იურანდი ახლაღა შეეკითხა:

– მაშ, შენ აპირებდი ლიხტენშტაინთან შებმას?

– დიახ! – უპასუხა ზბიშკომ.

ამის გაგონებაზე სპიხოველი პანის ერთადერთი თვალი საოცარი სინათლით აინთო და რაინდის მრისხანე სახემ ცოტა გამოიდარა. ერთი წუთის შემდეგ მან დანუსიას გადახედა და კვლავ ჰკითხა:

– და მაგას ამის გულისთვის აკეთებდი?

– აბა, მაშ ვისთვის? ბიძაჩემი ალბათ მოგიყვებოდათ. აღთქმა მაქვს მიცემული, გერმანელებს ფარშავანგის ჯიღები დავაგლიჯო. ოღონდ სამს კი აღარ ავაგლეჯ, არამედ, სულ ცოტა, იმდენს, რამდენი თითიც მაქვს ორთავე ხელზე. ამით თქვენც დაგეხმარებით დანუსიას დედის გამო შურისძიებაში.

– ვაი, იმათი ბრალი! – შესძახა იურანდმა.

და ისევ სიჩუმე ჩამოწვა. ამასობაში ზბიშკო მიხვდა, რომ გერმანელთა მიმართ გამოთქმული სიძულვილით იურანდის გულს მოინადირებდა.

– არ ვაპატიებ არაფრით, – თქვა მან, – თუმცა იმათი გულისათვის ერთხელ კინაღამ თავი წამაცალეს.

ეს რომ თქვა, დანუსიას მიუბრუნდა და დასძინა:

– ამან დამიხსნა.

– ვიცი, – უთხრა იურანდმა.

მერე, ხომ არ მემდურით ამაზე?

– რაკი აღთქმა მიგიცია, უნდა ემსახურო კიდეც. ასეთია რაინდული წესი.

ზბიშკო ერთი წამით შეყოყმანდა, მერე კი აშკარა შეჭირვებით წამოიწყო:

– იცით, რა... ამან მე რიდე გადამაფარა. ყველა რაინდმა და ჩემს გვერდით ჯვრით ხელში მდგარმა ფრანცისკელმა ბერმაც თავის ყურით გაიგონეს, როგორ თქვა: „ჩემია ეს ვაჟიო!“ და ღმერთმა იცოდეს, ამის გარდა მართლაც არავისი ვიქნები სიკვდილამდე.

ამ სიტყვებზე ისევ დაიჩოქა და, აქაოდა რაინდული წესები კარგად ვიციო, მოწიწებით ეამბორა სავარძლის სახელურზე შემოსკუპებული დანუსიას ორთავე ფეხსაცმელს, მერე კი იურანდს მიუბრუნდა და უთხრა:

– გინახავთ, ამისი მსგავსი მეორე... ა?

იურანდმა უცებ თავზე იტაცა თავისი საშინელი, ამდენი სისხლის დამღვრელი ხელები და თვალებდახუჭულმა ყრუდ უთხრა:

– მინახავს, ოღონდ გერმანელებმა მომიკლეს!

– მაშ, მომისმინეთ, – წამოიწყო ცხარედ ზბიშკომ, ჩვენ დარდიც ერთი გვაქვს და შურისძიების მიზეზიც. მაგ ძაღლისშვილებმა ჩვენებურებიც ბევრი ამოხოცეს, ბოგდანეცელები. თანამგრძნობად ჩემზე უკეთესს ვერავის მონახავთ... ჩემთვის ახალი და უჩვეულო არაფერია. თუ გინდათ, ბიძაჩემს დაეკითხეთ. შუბებით იქნება, ცულებით, თუ გრძელი და მოკლე მახვილებით – ჩემთვის სულ ერთია! ბიძაჩემს არაფერი უამბნია ფრიზიელებზე? ცხვრებივით ამოგიხოცავთ მაგ გერმანელებს. ხოლო რაც შეეხება ქალიშვილს, მუხლმოყრილი გეფიცებით, რომ მაგის გულისთვის თვით ეშმაკსაც შევებმები და არასოდეს გავცვლი არც მამულებში, არც ჯოგებში, არც რაიმე იარაღში. თვით მინისფანჯრებიანი კოშკიც რომ შემომთავაზონ, უმაგისოდ მაინც არაფრად მიღირს. ყველაფერს მივატოვებ და ჯოჯოხეთშიც თან წავყვები,

ცოტა ხანს იურანდი თავდახრილი იჯდა, მერე კი, თითქოს გამოერკვაო, სინანულით თქვა:

– მომწონხარ, ყმაწვილო, მაგრამ დანუსიას მაინც ვერ გაგატან, რადგან ბედს ის შენთვის არ მოუცია, შე საცოდავო!

ზბიშკოს ამ სიტყვებზე ენა ჩაუვარდა და იურანდს თვალებდაჭყეტილი მიაჩერდა.

მაგრამ ამ დროს დანუსია წამოეშველა. მას ძალიან მოსწონდა ზბიშკო. ამას გარდა, ისიც უხაროდა, რომ ახლა „გამსლეულს“ კი აღარ ეძახდნენ, უკვე „მოზრდილი ქალიშვილი“ გახლდათ. ნიშნობაც მოეწონა, ტკბილეულიც, რომელსაც ყოველდღე უზიდავდა თავისი რაინდი, ამიტომ ახლა, როცა მიხვდა, ყველაფერ ამის წართმევას უპირებდნენ, წამში ჩამოცურდა სახელურიდან, თავი მამის კალთაში ჩარგო და იყვირა:

– მამილო! მამილო! მე ვიტირებ!

იურანდს თავის ქალიშვილზე მეტად ქვეყნად არავინ უყვარდა, ამიტომ ნაზად დაადო თავზე ხელი. მის სახეზე არც რისხვა იყო, არც წყენა, მხოლოდ და მხოლოდ ტანჯვა ეხატებოდა.

ამასობაში ზბიშკომ გონება მოიკრიბა და უთხრა:

– რა ბრძანეთ? მაშ თქვენ გსურთ ღვთის ნებას წინ აღუდგეთ?

– თუ ღვთის ნება იქნება, დანუსია მაინც შენი გახდება, ოღონდ მე კი არ შემიძლია ამაზე დათანხმება. ძალიანაც მინდა, მაგრამ მაინც არ შემიძლია.

ამ სიტყვებზე იურანდმა დანუსია ხელში აიყვანა და კარს მიაშურა, მაგრამ შეამჩნია, რომ ზბიშკომ გზის გადაჭრა მოუნდომა, წამით შეჩერდა და თქვა:

– რაინდულად ემსახურე, მაგაზე არ გაგინაწყენდები, მაგრამ სხვას ნუღარაფერს მკითხავ, რადგან მეტს ვერაფერს გეტყვი.

და გავიდა.

IX

და მაინც, მეორე დღეს იურანდი არ გაერიდა ზბიშკოს და არ უშლიდა, ყველანაირად მომსახურებოდა დანუსიას, რაც მას რაინდული წესების მიხედვით ევალებოდა. ზბიშკო გულდაწყვეტილი იყო, მაგრამ მაინც შეამჩნია, რომ სპიხოვის პირქუში მებატონე მას კეთილი თვალით უყურებდა და თითქოს კიდევაც ნანობდა, რომ იძულებული გახდა ასეთი მკაცრი პასუხი მიეცა. ჭაბუკმა მემამულემ გზაში რამდენჯერმე სცადა ლაპარაკის ჩამოგდე-

ბა იურანდთან. კრაკოვიდან რომ გამოვიდნენ, ეს ადვილი იყო, რადგან ორთავე ცხენდაცხენ მიაცილებდა ქალბატონს. საერთოდ სიტყვაძუნწი იურანდი ზბიშკოსთან სიამოვნებით საუბრობდა. მაგრამ როგორც კი ზბიშკო შეეცდებოდა გაეგო, რა იყო ჩამდგარი მასსა და დანუსიას შუა, ერთბაშად წყვეტდა ლაპარაკს და ისევ იღრუბლებოდა. ზბიშკომ იფიქრა, ეგებ ქალბატონმა მაინც იცოდეს რამეო და, როგორც კი დრო მოიხელთა, გამოკითხვა მოინდომა, მაგრამ ვერც იმან აუხსნა ვერაფერი.

– აქ ნამდვილად რაღაც საიდუმლო იმალება, – უთხრა ქალბატონმა, – თვითონ იურანდმა მიმახვედრა, მაგრამ ისიც მთხოვა, ნუ ჩამეძიებიო. რაღაც ფიცით უნდა იყოს შეკრული. დრო გავა და ღვთის წყალობით ალბათ ყველაფერი გაირკვევა.

– დანუსიას გარეშე ჩემი ცხოვრება დაბმული ძაღლის ან ორმოში ჩაგდებული დათვის ცხოვრებას დაემგვანება. – უთხრა ზბიშკომ ქალბატონს. – აღარც გამახარებს რამე, ვერც მოვისვენებ, დარდი და ნაღველი არ მომშორდება. ალბათ უკეთესი იქნებოდა, მთავარ ვიტოლდს წავყოლოდი ტავანში, იქ თათრები მაინც მომკლავდნენ. მაგრამ ჯერ ბიძაჩემი მყავს შინ მისაყვანი, მერე კი შეპირებული ფარშავანგის ჯიღების მოსაპოვებლად უნდა გავწიო და იქნება შევაკვდე კიდევაც ამ ამბავს. თუმცა ეს უკეთესია, ვიდრე ჩემი თვალით ვიხილო, სხვას როგორ მიჰყავს დანუსია.

ქალბატონმა კეთილი ცისფერი თვალები მიაპყრო მას და, ცოტა არ იყოს, გაოცებით ჰკითხა: –

– ნუთუ შენ ეს დასაშვებად მიგაჩნია?

– მე? სანამ ცოცხალი ვარ, რა თქმა უნდა, ეს არ მოხდება! ხელი თუ ისე არ გამიხმა, რომ ცულის დაჭერა ვეღარ შევძელი.

– აი, ხომ ხედავ!

– კეთილი, მაგრამ რა ვქნა? მშობლის ნება-სურვილს წინ აღვუდგე? ამაზე ქალბატონმა თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

– ღმერთმა უწყის, რა არ ხდება ქვეყანაზე...

მერე კი ზბიშკოს მიუბრუნდა:

– განა ნება ღვთისა უფრო მაღალი არ არის, ვიდრე მშობლისა? იურანდმა კი რა თქვა? „თუ ღვთის ნება იქნება, დაე, ეკუთვნოდესო ის ზბიშკოს“.

– იურანდმა მეც სწორედ ასე მითხრა! – შესძახა ზბიშკომ.

– აი, ხომ ხედავ?

– თქვენი წყალობის იმედი მაქვს, ქალბატონო, ერთადერთი ეს მანუგეშებს.

– ჩემზე დასამდური არაფერი გექნება, დანუსია კი შენ არ გიღალატებს. გუშინ ვკითხე: „დანუსკა, ხომ უერთგულებ მეთქი ზბიშკოს?“ იმან კი მიპასუხა: „ან მისი ვიქნები, ან არავისიო“. მართალია, ჯერ სულ ნორჩია, მაგრამ სიტყვის გატეხვა არა სჩვევია; შლიახტიჩის სისხლი აქვს, ვიღაც მაწანწალა კი არ გეგონოს. დედაც ასეთი ჰყავდა.

– ღმერთმაც ინებოს! – მიუგო ზბიშკომ.

– მაგრამ გახსოვდეს, შენც უნდა შეასრულო შენი სიტყვა, თორემ თქვენი ჯილაგისა მე რომ ვიცი, დღეს ერთს ეფიცებით სამუდამო ერთგულებას, ხვალ ვიღაც მეორეს აეტმასნებით. თოკით ვერ დაგაბამთ კაცი. ხომ მართალს ვამბობ!

– მაშინ დამლახვროს იესო ქრისტემ! – გაცხარდა ზბიშკო.

– აბა, მაშ გახსოვდეს. როგორც კი ბიძაშენს შინ მიიყვან, მაშინვე გამობრუნდი, ჩვენთან სასახლეში მოდი. პირველივე შესაძლებელ შემთხვევაში დეზებს მიიღებ, მერე კი ვნახოთ, ღმერთი როგორ ინებებს. ამასობაში დანუსკა წამოიზრდება და გული თვითონ შეატყობინებს, ვისთვისაც აძგერდება; ახლა რომ ძალზე უყვარხარ, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრამ ეს ჯერ ქალური სიყვარული არ არის. იქნებ იურანდსაც გული მოუბრუნდეს, ისე მეჩვენება, სულითა და გულით უნდიხარ. სპიხოვსაც გაემგზავრები. გერმანელებს შეუტევ იურანდთან ერთად. იქნებ ისე ასიამოვნო, სულ მთლად მოინადირო მისი გული.

– მოწყალეო ქალბატონო, მე თვითონაც ვფიქრობდი, ეგრე მოვქცეულიყავი, მაგრამ ახლა, თუ თქვენი ნებაც იქნება, უფრო გამიადვილდება. ეს

ამ ლაპარაკმა ზბიშკო ძალზე გაამხნევა. მაგრამ პირველსავე შესვენებაზე მოხუცი მაცკო ცუდად შეიქმნა და იძულებული გახდნენ შეჩერებულიყვნენ, სანამ ცოტა მობრუნდებოდა და გზის გაგრძელებას შესძლებდნენ. კეთილმა დედოფალმა დანუტამ, რაც სანოვაგე და წამლები ჰქონდა, სულ ამათ დაუტოვა, თვითონ კი გზა განაგრძო. ასე რომ, ბოგდანეცელი რაინდები ძალაუნებურად ჩამოცილდნენ მაზოვიის სასახლის ამალას. ზბიშკო მუხლებში ჩაუვარდა ჯერ ანა დანუტას, მერე დანუსიას, კიდევ ერთხელ შეჰფიცა თავის გულის დედოფალს რაინდული სამსახური, შეჰპირდა, ცეხანოვში ან ვარშავაში მალე ჩამოვალო, ბოლოს მძლავრი ხელები მოჰხვია, აიყვანა და გზნებით უთხრა:

– არ დამივიწყო, ჩემო ლამაზო ყვავილო, ჩემო ოქროს თევზო!

დანუსიამ კი ისე შემოჰხვია ხელები, როგორც საყვარელ ძმას, ლოყაზე თავისი აპრეხილი ცხვირი მიაჭეჭყა და მუხუდოს სიმსხო ცრემლები გადმოჰყარა, თან იმეორებდა:

– არ მინდა ცეხანოვში წასვლა, ზბიშკოსთან მინდა, არ მინდა ცეხანოვში!

იურანდი ყველაფერს ხედავდა, მაგრამ არ ბრაზობდა. პირიქით, ისიც გულთბილად დაემშვიდობა ყმაწვილს. ცხენზე რომ შეჯდა, ერთხელ კიდევ მობრუნდა და უთხრა:

– ბედნიერად დარჩი და ნურაფერზე დამემდურები!

– თქვენ როგორ უნდა დაგემდუროთ, დანუსიას მამას,– გულმხურვალედ უთხრა ზბიშკომ.

მერე დაიხარა იურანდის უზანგთან, მაგრამ იმან სწრაფად ჩამოართვა ხელი და უთხრა:

– ღმერთი იყოს შენი შემწე ყველაფერში! გასაგებია?

და გზას გაუდგა. ზბიშკო მიხვდა, როგორი გულწრფელი იყო მისი ბოლო სიტყვები, ფორანთან დაბრუნდა, რომელზეც მაცკო იწვა, და მოხუცს მიმართა:

– იცით, რას გეტყვით: რატომღაც მგონია, რომ თვითონ არაფერი აქვს საწინააღმდეგო, მაგრამ რაღაც უშლის. თქვენ გონიერი ადამიანი ბრძანდებით, სპიხოვში ნამყოფი ხართ – აბა, ერთი დაფიქრდით, რა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს.

მაგრამ მაცკოს არაფრის თავი აღარა ჰქონდა. დილითვე სიცხე მისცა და ახლა ისე აუწია, რომ მოხუცი დროდადრო გრძნობას ჰკარგავდა;

იმის მაგივრად, რომ ზბიშკოსთვის პასუხი გაეცა, მიაჩერდა მას და გაოცებით ჰკითხა:

– საიდან მოდის ზარების რეკვა?

ზბიშკო შეშინდა, რაკი ავადმყოფს ზარების რეკვა ესმის, ალბათ უკვე სიკვდილი უახლოვდებაო. ისიც იფიქრა, უქსონძოდ და აღსარების უთქმელად არ შემომაკვდესო ხელში, რადგან ეს, თუ თვით ჯოჯოხეთში მოხვედრას არა, სულ ცოტა, საუკუნო განსაწმენდელში ყოფნას მაინც უქადდა მოხუცს. ამიტომ ზბიშკო წასვლას დაეშურა, უნდოდა მალე მიეღწიათ რომელიმე სამწყსომდე, სადაც შესძლებდნენ მაცკო უკანასკნელად ეზიარებინათ.

გადაწყვიტეს, მთელი ღამე შეუსვენებლად ევლოთ. ზბიშკო ჩამოჯდა თივაჩაგებულ ფორანზე, რომელშიც ავადმყოფი იწვა, და დილამდე ფხიზლობდა. დროდადრო მოხუცს ღვინოს აწვდიდა, საგზლად რომ გამოატანა ვაჭარმა ამილეიმ. მაცკოს წყურვილი კლავდა და ღვინოს ხარბად ეტანებოდა, ეტყობოდა, სიამოვნებდა. მეორე კვარტი რომ გამოსცალა, მართლაც, ცოტა მობრუნდა, მესამის მერე კი ისე მაგრად ჩაეძინა, ზბიშკო დროდადრო იხრებოდა და ყურს უგდებდა, ხომ არ მიიცვალაო მოხუცი.

ამის გაფიქრებაზე უზომო ნაღველი შემოაწვებოდა ხოლმე. კრაკოვის ციხეში ჩამწყვდევამდე არასოდეს დაფიქრებულა, როგორ ჰყვარებია ბიძა, რომელმაც დედ-მამის მაგივრობა გაუწია. მხოლოდ ახლა მიხვდა ამას ნამდვილად და ისიც იგრძნო, რომ მოხუცის სიკვდილის შემდეგ სრულიად ობლად დარჩებოდა, სრულიად უთვისტომოდ, უმეგობროდ და უსასოოდ, თუ არ ჩავთვლით იმ აბატს, რომელსაც გირაოდ ჰქონდა აღებული ბოგდანეცი. იმაზედაც დაფიქრდა ჭაბუკი, რომ მაცკო ისევ იმ გერმანელების მიზეზით კვდებოდა, რომელთა გამო თვითონ კინაღამ თავი წააგო, დაეღუპა ყველა წინაპარი, დანუსიას დედა და სხვა მრავალი უდანაშაულო ადამიანი, ვისაც ის იცნობდა ან ნაცნობ-მეგობრებისაგან გაეგონა. და ერთბაშად გაოცებამ შეიპყრო. „ნუთუ მთელ სამეფოში მოინახება კაცი, – ფიქრობდა ის, – რომ რითიმე არ იყოს მათგან განაწყენებული და შურისძიებით არ ჰქონდეს ანთებული გული?“ მას გაახსენდა გერმანელები, ვილნოსთან რომ მუსრავდა, და გაიფიქრა, თათრებიც კი არ იბრძვიანო ასე ულმობლად. როგორც ჩანს, გერმანელებზე ულმობელი ხალხი ამ ქვეყანაზე სხვა არავინ არისო.

ფიქრებში გართულს დაათენდა. მაცკო გაცილებით უკეთესად გრძნობდა თავს, თანაბრად და მშვიდად სუნთქავდა. კარგა მოგვიანებით გაიღვიძა, როცა მზე უკვე მწვავედ აცხუნებდა. თვალები გაახილა და თქვა:

– თავს უკეთ ვგრძნობ. სადა ვართ?

– ოლკუშს ვუახლოვდებით. გაგიგონიათ? აქ ვერცხლის მადანს ამუშავებენ და ხაზინას აბარებენ.

– აი, რაც აქ მადანია, სულ ჩვენ რომ მოგვცა! გიყვარდეს, ავაყვავებდით ბოგდანეცს!

– გეტყობათ, თავს მართლაც კარგად გრძნობთ, – გაეცინა ზბიშკოს, – ჰო! ციხესიმაგრესაც ეყოფოდა! მაგრამ მოდით, ქსონძთან შევიაროთ, ცოტა შევისვენოთ, თქვენც აღსარებას იტყვით. ყველანი ღვთის შვილები ვართ, მაგრამ ისა სჯობია, როცა კაცს სინდისი სუფთა აქვს.

– მე ცოდვილი ადამიანი ვარ და სიხარულით მოვინანიებ. – უპასუხა მაცკომ. – მესიზმრა, თითქოს ეშმაკნი მომსეოდნენ, ჩექმებსა მხდიდნენ და თან ერთმანეთში გერმანულად ლაყბობდნენ. ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ უკეთ შევიქენ. შენ რაღა ჰქენი? ალბათ მთელი ღამე თვალი არ მოგიხუჭავს?

– რა დამაძინებდა, თქვენს მოვლაში ვიყავი.

– ახლა მაინც მიწექი ცოტა. როგორც კი ჩავალთ, გაგაღვიძებ.

– რული არ მეკარება!

– რამ გაგიფრთხო ძილი? ზბიშკომ თავისი ბალღური თვალები მიაპყრო ბიძას:

– რამ და სიყვარულმა. ოხვრა-კვნესისაგან მუცელში ჭვლები გამიჩნდა. ცხენზე შევჯდები, იქნებ უკეთ გავხდე.

ზბიშკო ფორნიდან ჩამოხტა და ცხენზე შეჯდა, რომელიც მას ფიცხლად მიჰგვარა ზავიშას ნაჩუქარმა თურქმა. მაცკო ტკივილებისაგან დროდადრო ფერდზე იტაცებდა ხოლმე ხელს, მაგრამ, ეტყობოდა, ავადმყოფობაზე მეტად რაღაც სხვა აწუხებდა, რადგან თავს აქნევდა, ტუჩებს აწკლაპუნებდა. "ბოლოს თქვა:

– ვფიქრობ, ვფიქრობ და ჩემს გაოცებას საზღვარი არა აქვს. საიდან გამოხვედი ასეთი ქალების მუსუსი. არც მამაშენი იყო ამნაირი, არც მე.

მაგრამ ზბიშკო პასუხის მაგიერ უნაგირზე გასწორდა, დოინჯი შემოიყარა თავი აიღერა და სიმღერა შემოსძახა:

მთელ ღამეს ცრემლი მდიოდა,
არ მოხველ – გული მტკიოდა,
არ ჩანდი ჩემი ლამაზი -
უკვე მამალიც ჰყიოდა.
ვეღარასოდეს მიხილავ,
აწ, სახენათელს მზესავით,
თვალს ცრემლით ამოვიღამებ,
შენთვის ვიკვნესებ ბეჩავი.

ეს მოძახილი ტყეს მოედო, გზისპირა ხეებს ნახვევი შორიდან გამოეპასუხა და ტყის ტევრში ჩაკვდა.

მაცკომ კი ისევ მოისვა ხელი ფერდზე, სადაც გერმანელის ისრის ნატეხი ჩარჩენოდა, და კვნესა-კვნესით თქვა:

– ძველი ხალხი უფრო ჭკვიანი იყო, გასაგებია? მერე ერთ წამს შეჩერდა, თითქოს ძველ დროებას იგონებსო, და დასძინა:

– კაცმა რომ თქვას, არც ძველად იყვნენ ცოტა სულელები.

ამ დროს ისინი ტყიდან გამოვიდნენ და მაღარო დაინახეს, მაღაროს იქით კი ოლკუშის ქონგურებიანი გალავანი გამოჩნდა. ეს კედელი მეფე კაზიმეჟის ნაგები იყო. იქვე გვერდით ეკლესიის სამრეკლო კი ვლადისლავ ლოკეტეკის აშენებული გახლდათ.

X

სამრეკლოს სტუმართმოყვარე კანონიკმა მაცკოს აღსარება ათქმევინა და მგზავრები ღამის გასათევად დატოვა. მათ მხოლოდ მეორე დილით განაგრძეს გზა. ოლკუშს რომ გასცდნენ, სილეზიისაკენ გადაუხვიეს, რომლის საზღვარს უნდა გაჰყოლოდნენ, სანამ ველკოპოლსკაში ჩავიდოდნენ. გზა უმთავრესად უღრან ტყეებზე გადიოდა, სადაც საღამოობით გარეული ხარებისა და დომბების ისეთი ბრდღვინვა ისმოდა, მიწისქვეშა მეხის გავარდნა გეგონებოდათ, ღამღამობით კი თხილნარში მგლები აკვესებდნენ თვალებს. მაგრამ გაცილებით მეტი საშიშროება მოელოდათ ამ გზაზე მგზავრებსა და ვაჭრებს გერმანელი ან გაგერმანელებული სილეზიელი რაინდებისაგან, რომელთა მცირე ციხესიმაგრეები ხან აქ გამოჩნდებოდა საზღვრის გასწვრივ, ხან იქ. მართალია, ომის დროს მეფე ვლადისლავსა და ოპოლის მთავრის ნადერსპანს შორის, რომელსაც თავისი სილეზიელი ბიძაშვილებიც ეხმარებოდნენ, ამ ციხეების დიდი ნაწილი პოლონელთა ხელმა დაანგრია, მაგრამ მაინც ამ ადგილებში მუდამ ფხიზლად უნდა ყოფილიყავი, განსაკუთრებით კი მზის ჩასვლის შემდეგ არ შეიძლებოდა იარაღის ხელიდან გაშვება.

ჩვენი მგზავრები მაინც გულდამშვიდებით განაგრძობდნენ გზას, ზბიშკომ მოიწყინა კიდევაც. მხოლოდ ერთხელ, როცა ბოგდანეცამდე სულ ერთი დღის სავალი იყო დარჩენილი, ზურგს უკან ცხენის თქარათქური და ფრუტუნი მოესმათ.

– ვიღაც მოგვდევს, – თქვა ზბიშკომ.

მაცკოს ამ დროს არ ეძინა. მან ვარსკვლავებს შეხედა და, როგორც გამოცდილმა კაცმა, თქვა:

– მალე ინათებს. ასეთ დროს ყაჩაღები არ დაგვესხმიან, დილაუთენია ისინი შინისაკენ მიიპარებიან ხოლმე.

ზბიშკომ მაინც შეაჩერა ფორანი, თავისი ხალხი გზაზე ჩაამწკრივა, მოახლოებული უცნობების პირისპირ, თვითონ კი წინ გამოვიდა და ცხენდაცხენ დაელოდა.

სულ მალე ღამის ბინდბუნდში მან თხუთმეტიოდე მხედარი გაარჩია. ერთ-ერთი რამდენიმე ნაბიჯით წინ მოდიოდა, მაგრამ, ეტყობოდა, დამალვას არ აპირებდა, რადგან ხმამაღლა მოსძახოდა სიმღერას. ზბიშკო სიტყვებს ვერ არჩევდა, მაგრამ მის ყურამდე აშკარად აღწევდა მხიარული „ჰოპ! ჰოპ!“ რითაც უცნობი თავისი სიმღერის ყოველ ტაეპს ამთავრებდა.

– ჩვენები არიან, – თქვა მან თავისთვის. თუმცა ერთი წამის შემდეგ შესძახა:

– სდექ!

– შენ კი დაჯექ! – გამოეპასუხა ვიღაც ხუმრობით.

– ვინა ხართ?

– თქვენ ვინღა ბრძანდებით?

– ჩვენ ხომ არ მოგვდევთ?

– შენ რაღას გადაგვიდექი გზაზე!

– ჩქარა პასუხი, თორემ მშვილდი მოზიდულია.

– ჩვენი მოზიდულიცაა და გადაზიდულიც – სტყორცნე!

– გვიპასუხე ადამიანურად. შენ რა, საფრთხე არ გიგემია? გასაჭირი არ გინახავს?

ამ სიტყვებზე ზბიშკოს მხიარული სიმღერით უპასუხეს:

გადაეყარნენ „ვაი“ და
„ვუი“ ერთმანეთს გზაზე,
დაძმაკაცდნენ და დავლური
ჩამოუარეს წამსვე.
ასე რამ გაახალისათ,
ან რამ შეშალათ ჭკვაზე?

ეტყობა, ასი წელია

არ შეხვედრილან გზაზე!

„ჰოპლა! “ –

ჰყვირიან ასე და

„ჰოპ! ჰოპ!“

ჰყვირიან ასე.

ზბიშკო გააოცა ასეთმა პასუხმა. ამასობაში სიმღერა შეწყდა და იმავე ხმამ იკითხა:

– მაცკო როგორა გრძნობს თავს? სული თუ უდგია კიდევ მოხუცს?

მაცკომ ურემზე წამოიწია:

– ღმერთო ჩემო, ესენი ხომ ჩვენები არიან!

ზბიშკომ ცხენი დასძრა:

– ვინ კითხულობს მაცკოს?

– მე ვარ, თქვენი მეზობელი ზიხ ზგოჟელიცელი. აგერ ერთი კვირაა, კუდში მოგდევთ და გზადაგზა ვკითხულობ თქვენს ამბავს.

– ღმერთო ჩემო! ძია! ზიხი ყოფილა, ზგოჟელიცელი! – წამოიძახა ზბიშკომ.

ისინი სიხარულით მიესალმნენ ერთმანეთს. ზიხი მართლაც მათი მეზობელი იყო. ამ კეთილ, გულმარიხიან კაცს ყველა პატივსა სცემდა.

– აბა, თავს როგორ გრძნობთ? – ეკითხებოდა ზიხი და ხელს ართმევდა მაცკოს.

– ეჰ, ჩემი წირვა გამოსულია, – უპასუხა მაცკომ. – მაგრამ მიხარია, რომ გნახეთ. ღმერთო ჩემო, ასე მგონია, უკვე ბოგდანეცში ვარ.

– მაინც რა დაგემართათ? გავიგე, გერმანელებს დაუჭრიხართ.

– ისრით დამკოდეს ძაღლისშვილებმა. ისრის წვერი ნეკნებს შუა ჩამეჭედა...

– ღმერთო ჩემო! ახლა როგორ ბრძანდებით? დათვის ქონი არ დაგილევიათ?

– ხომ ხედავთ, – უთხრა ზბიშკომ, – ყველა დათვის ქონის დალევას გირჩევთ. ერთი მალე მივაღწევდეთ ბოგდანეცს! იმავე ღამეს ცულით დავუდარაჯდები დათვს როგოებთან.

– იქნებ იაგენკას ჰქონდეს, თუ არადა მეზობლებში მოვიკითხავ.

– რომელ იაგენკას? თქვენს ცოლს, ასე მახსოვს, მალგოხნა ერქვა? – ჰკითხა მაცკომ.

– ეჰ! რაღა დროს მალგოხნაა! მიქაელობას მესამე შემოდგომა დაიწყება, რაც მალგოხნა სამარეში წევს. უტეხი დედაკაცი იყო, ღმერთმა აცხონოს! მაგრამ იაგენკაც პირწავარდნილი დედაა. ერთი ეგაა, ჯერ ყმაწვილი ქალია...

მინდორში თეთრი ქვა არის,

თეთრი თოვლია მთაზე.

დედის ასლი ხარ, გოგონი,

წასულხარ დედის კვალზე!

„ჰოპლა!“

ჰყვირიან ასე და

„ჰოპ! ჰოპ! -

ჰყვირიან ასე.

...ვეუბნებოდი მალგოხნას: ნუ ახვალ ფიჭვზე ეს ორმოცდაათი წლის დედაკაცი-მეთქი! ვინ გათხოვა ყური! მაინც ავიდა. ტოტი მოუტყდა საწყალს და მიწას დაენარცხა! თითქმის ორმო გაჩნდა იმ ადგილას. სამი დღის მერე კი სული უფალს მიაბარა.

– ღმერთმა აცხონოს! – თქვა მაცკომ, – მახსოვს, მახსოვს... დოინჯს რომ შემოიყრიდა და ჩხუბს გამართავდა, მსახურები სულ საბძლისაკენ მირბოდნენ. მაგრამ ცოდვას ვერ ვიტყვი: საუკეთესო დიასახლისი იყო! მაშ, ფიჭვიდან ჩამოვარდა?.. დახე უბედურებას!

– ზამთრის პირზე მოწყვეტილი გირჩივით დაასკდა მიწას... რომ გენახათ, რა დღეში ვიყავი. დასაფლავების შემდეგ ისე გამოვიბრუჟე, სამი დღე ვერ გამაღვიძეს. ეგონათ, მეც ფეხებს გავფშეკდი. მერე კი, რაც ცრემლი ვღვარე, - ზღვა დადგებოდა! მაგრამ იაგენკაც კარგი დიასახლისი მყავს. ახლა ყველა საქმეს ის უძღვება.

– თითქმის არც მახსოვს. ცეროდენა იყო, რომ მივდიოდი. ცხენს მუცელქვეშ თავისუფლად გაუვლიდა და თავსაც არ მიარტყამდა. ეჰ, ეგ დიდი ხნის ამბავია, ახლა, ალბათ, როგორ გაიზარდა.

– წმინდა აგნესას დღეს თხუთმეტისა შესრულდა, მაგრამ მეც აგერ ერთი წელია აღარ მინახავს.

– განა სად იყავით? საიდან მოდიხართ?

– ომში ვიყავი. რატომ უნდა ვიჯდე შინ, როცა იაგენკა მყავს და მეურნეობას ხელი არ აკლია.

მაცკო ავად იყო, მაგრამ ომის გაგონებაზე ყური ცქვიტა და ცნობისმოყვარეობით იკითხა:

– მთავარ ვიტოლდთან ერთად ხომ არ იბრძოდით ვორსკლასთან?

– დიახ! ფიცხლად მიუგო ზიხ ზგოჟელიცელმა. – ოღონდ ბედმა გვიმუხთლა: ედიგეიმ დაგვამარცხა. თათრებმა ჯერ ცხენები ამოგვიხოცეს. ისინი ხელჩართულ ბრძოლაში არასოდეს გამოგყვებიან ქრისტიანი რაინდებივით. მხოლოდ შორიდან ისვრიან მშვილდს. რომ შეავიწროებ, გაიქცევა და ისევ მშვილდს დაგიმიზნებს. რა გინდა უყო! ჩვენს ლაშქარში ყველა რაინდმა ასე დაიქადნა: „ჩვენაო არც შუბს დავხრით და არც მახვილს ამოვიღებთ ქარქაშიდან, ცხენის ფლოქვებით გავსრესთო მაგ მატლებს“. დაქადნებით კი დაიქადნეს, მაგრამ რომ წამოვიდა ზუზუნით ისრები, ირგვლივ ყველაფერი დააბნელა. დამთავრდა ბრძოლა და რას ნახავ! ათიდან ერთი ძლივს გადარჩენილა ცოცხალი. გინდა დაიჯერეთ, გინდა არა, და ლაშქრის ნახევარზე მეტი, სამოცდაათი ლიტველი და რუსი მთავარი, დარჩა ბრძოლის ველზე. ბოიარებსა და ნაირნაირ თავადებს ანუ, როგორც იქ ეძახიან, ყმაწვილკაცებს, ხომ, ორი კვირა რომ გეთვალა, ვერ დაითვლიდი.

– მეც გამიგონია ეგ ამბავი, – გააწყვეტინა მაცკომ. მთავართან დასახმარებლად წასული ჩვენი რაინდებიც ბლომად დაიხოცნენ.

– ვიტოლდთან იძულებით სამსახურში მყოფი ცხრა ჯვაროსანიც დაიღუპა. ჩვენებს ხომ ნუღარ იტყვით! კარგად მოგეხსენებათ, საცა სხვა ჯერ უკან მიიხედავს, იქ ჩვენიანი უკანმიუხედავად ირჯება. დიდ მთავარს ყველაზე მეტად ჩვენი რაინდების იმედი ჰქონდა და ბრძოლის დროს პოლონელების გარდა სხვა არავინ უნდოდა დაცვაში ჰყოლოდა. ეჰ! ყველა დაიხოცა, ვინც მის გარშემო იყო, თვითონ კი გადარჩა. დაიღუპნენ პან სპიტეკ მელშტინელი, მეხრმლე ბერნატი, სუფრაჯი მიკოლაი და პროკოფი პშეცლავი, დობროგოსტი, იასკო ლიაზევიცელი, პილიკ მაზური, ვარშ მიხოველი, მხედართმთავარი სოხა, იასკო დომბროველი, პეტრო მილოსლაველი, შცეპეცკი, ოდერსკი, ტომრო ლაგოდა. რა ჩამოთვლის ყველას! ზოგიერთს იმდენი ისარი დააყარეს, ზღარბებს დაემსგავსნენ, - სიცილით მოკვდებოდა კაცი!

ზიხმა მართლაც გადაიხარხარა, გეგონებოდათ, მხიარულ ამბავს ჰყვებაო, და მერე სიმღერა გააბა:

ერიდე თათარს ურჯულოს,

ტყავი გაცვია - დაგიხევს,

სულს გაგიმწარებს წყეული,

ტყავს გაგხდის, შუბზე აგიღებს!

– მერე რითი დასრულდა? – იკითხა ზბიშკომ.

– მერე დიდი მთავარი გაიქცა, ახლა კი, როგორც ყოველთვის, ისევ გამ-ხნევდა სულით. ასეთია, – რაც უფრო მეტად დახრი მიწისაკენ, უფრო მძლავრად გასწორდება წელში, კაკლის ტოტივით. მაშინ ვეცით ტავანის ფონს, გადასასვლელი უნდა დაგვეცვა. ამ დროს მოგვისწრო რამდენიმე პო-ლონელმა რაინდმა. ჰოდა! მოდის მეორე დღეს ედიგეი, თან ურიცხვი თა-თარი ახლავს, მაგრამ ვეღარაფერს გახდა. გიყვარდეს, – გავიხარეთ! რო-გორც კი შემოეტენება, ვეცემით მაშინვე დინგში. ვერაფრით ვერ გადმოვი-და ფონს. კიდევაც დავხოცეთ, ბევრი ტყვედაც წამოვასხით. პირადად მე ხუ-თი დავიჭირე, აგერ თან მომყავს ზგოჟელიცში. რომ გათენდება, თქვენი თვალით ნახავთ, რა სიფათები აქვთ.

– კრაკოვში ყური მოვკარი, ომი შეიძლება სამეფოს ტერიტორიასაც გა-დასწვდესო.

– არც ეგეთი სულელია ეგ ედიგეი. შესანიშნავად იცოდა, როგორი რაინ-დებიც გვყვანან, ისიც იცოდა, მათში ყველაზე სახელოვანი რომ შინ იყვნენ დარჩენილი, რადგან იმ დროს დედოფალი უკმაყოფილო იყო ვიტოლდისა ამ ომის წამოწყების გამო. დიდი ცბიერი ვინმეა ბებერი ედიგეი! ტავანთან უცებ იაზრა, რომ მთავარს ძალები ემატებოდა, და მაშინვე გაიძურწა, ცხრა მთას იქით გადაიკარგა...

– თქვენ რაღა ჰქენით, გამობრუნდით?

– მე დავბრუნდი. იქ აღარაფერი მესაქმებოდა. კრაკოვში კი გავიგე, რომ ჩემზე ცოტა ადრე გამოსულხართ იქიდან.

– მაშ იცოდით, რომ ჩვენც აქეთ მოვდიოდით?

– ვიცოდი. სადაც კი შევისვენე, ყველგან თქვენს ამბავს ვკითხულობდი.

ამაზე ის ზბიშკოს მიუბრუნდა:

– ღმერთო დიდებულო, წასვლის წინ რომ გნახე, სულ ბალღი იყავ, ახ-ლა ბნელა, მაგრამ მაინც ადვილი მისახვედრია, რა ხარივით ვაჟკაცი დამ-დგარხარ. მაშინვე მშვილდის სროლა არ მომინდომა!.. გეტყობა, ომის გემო ნაწვნევი გაქვს.

– მე ბალღობიდანვე ომი მზრდიდა. ბიძაჩემს ჰკითხეთ, მესმის თუ არა ამ საქმისა რამე!

– ბიძაშენის კითხვა რაში მჭირდება. კრაკოვში ტაჩეველი ბატონი ვნახე, იმან მიამბო შენი ამბები... ისე, ამბობენ, იმ მაზურს არ უნდა უნდოდეს შენთვის ქალის მოცემა. აი, მე თუ მკითხავ, ჯიუტობას არ დავიწყებდი, ძალიან თვალში მომიხვედი... ერთ წუთში დაივიწყებ იმ შენს რჩეულს, ჩემი იაგენკა რომ ნახო. შოლტივით გოგოა!..

– არა, არ არის მართალი! თქვენი იაგენკასნაირი ათიც რომ ვნახო ერთად, იმას მაინც არ დავივიწყებ.

– იაგენკას მზითევში მოჩიდოლს მივცემ, სადაც წისქვილი მიდგას. ომში რომ მივდიოდი, მინდვრად ათამდე. ფაშატი ბალახობდა თავისი კვიცებით... დარდი ნუ გაქვს, ბევრი ჩამივარდება მუხლებში, შენი იაგენკა მომათხოვეო!

ზბიშკოს უნდოდა ეთქვა: „ჩემს გარდაო“, მაგრამ ზიხ ზგოჟელიცელმა ისევ სიმღერა შემოსძახა:

თქვენ რა გესმით, რა ცეცხლიც და

რა ბალღამიც ამ გულშია!

დაგიჩოქებთ, ოღონდ ცოლად

გამატანეთ აგნუსია!

– თქვენ სიცილისა და ხუმრობის მეტი არაფერი გახსოვთ, – შენიშნა მაცკომ.

– დიახ, მაგრამ ერთი მიბრძანეთ, რას აკეთებენ ცაში ნეტარხსენებული სულები?

– მღერიან.

– აი, ხომ ხედავთ, განკიცხულნი კი ტირიან. მე მირჩევნია, მოტირალებთან არ მოვხვდე. პეტრე მოციქული ასე ამბობს: „სამოთხესა შინა უნდა გავუშვათ სული ესე, თორემ არამზადაა და ჯოჯოხეთში სიმღერას დაიწყებს, ეს კი არაფრად ივარგებს“. შეხეთ, ნათდება.

მართლაც რიჟრაჟი დგებოდა. ერთი წუთის შემდეგ ყველა გაშლილ მინდორზე გამოვიდა. უკვე კარგად ინათლა. პატარა ტბაზე მეთევზეები ჩამწკრივებულიყვნენ. შეიარაღებული ხალხის დანახვაზე ხელი უშვეს ბადეებს, წყლიდან ამოხტნენ, ფიცხლად ხელი სტაცეს კეტებს და საბრძოლოდ შემართულნი ერთ ადგილს მიეყინენ.

– ყაჩაღები ვგონივართ, – გადაიხარხარა ზიხმა. – ჰეი, მებადურნო, ვისები ხართ?

ისინი ერთხანს ისევ გაყუჩებულნი იდგნენ, უნდოდ ათვალიერებდნენ მგზავრებს, სანამ ბოლოს უფროსმა მებადურმა უცნობებში რაინდები არ შეიცნო და არ უპასუხა:

– ჩვენ ტულჩინელი აბატისანი ვართ.

– ჩვენები ყოფილან, – თქვა მაცკომ, – იმას ბოგდანეცი აქვს აღებული გირაოდ. ცხადია, ტყეც მისია, ოღონდ სულ ცოტა ხნის წინ თუ იყიდა.

– არა მგონია. – შეედავა ზიხი, – ამ ტყეებისათვის ის ვილკ ბჟოზოველს ებრძოდა და, ეტყობა წაართვა კიდეც. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ აპირებდნენ ცხენდაცხენ შებმას შუბებითა და გრძელი მახვილებით; მერე მე წავედი და აღარ ვიცი, რითი დასრულდა ეს ამბავი.

– ის ჩვენი სახლიკაცია, – შენიშნა მაცკომ, – და ბრძოლას არ გაგვიმართავს, იქნება გამოსასყიდზეც ნაკლებზე დაგვთანხმდეს.

– ეგეც მართალია. იმას თუ კარგ გულს უჩვენებ, აქეთ მოგცემს თავისას. აბატი კი არა, ნამდვილი რაინდია, მუზარადის დახურვაც არ ეუცხოება. ყველაფერთან ერთად ღვთისმოსავია და შესანიშნავადაც წირავს. ალბათ გეხსომებათ... ერთს რომ დასძახებდა წირვაზე, მერცხლები სახურავქვეშ ბუდიდან ცვიოდნენ. ასეთ დროს ხალხიც უფრო მეტად ადიდებს ღვთისმშობელს.

– როგორ არ მახსოვს! ერთს რომ ამოისუნთქავდა, ათ ნაბიჯზე სანთლები ქრებოდა. ერთხელ მაინც თუ შემოიარა ბოგდანეცში?

– როგორ არა, შემოიარა. ხუთი ახალგაზრდა გლეხკაცი დაასახლა განაკაფზე თავიანთი ცოლებით. ჩვენთანაც იყო ზგოჟელიცში, – ალბათ იცით, იაგენკა მომინათლა, ძალიან უყვარს და შვილს ეძახის.

– ღმერთმაც ქნას, რომ ის გლეხები ჩვენ დაგვიტოვოს, – თქვა მაცკომ.

– დიდი ამბავი! მაგისთანა მდიდრისათვის ხუთი გლეხუჭა არაფერია! იაგენკამ სთხოვოს და უეჭველად დაგიტოვებთ.

ცოტა ხნით ყველა დადუმდა, რადგან აღმოსავლეთით ჩაბნელებული ტყიდან ალისფერი ბდღვრიალა მზე ამოცურდა და ირგვლივ ყველაფერს თავისი ნათელი მოჰფინა. რაინდებმა ამომავალ მზეს „დიდება იესო ქრისტეს“ შეაგებეს. მერე კი პირჯვარი გადაისახეს და დილის ლოცვა წარმოთქვეს.

ზიხმა პირველმა დაასრულა, რამდენჯერმე მკერდზე დაიკრა ხელი და ამხანაგებს მიუბრუნდა:

– აბა, ახლა ერთი კარგად შემახედეთ. ოჰ, როგორი გამოცვლილები ხართ ორთავენი... თქვენ, მაცკო, პირველ ყოვლისა, გამოჯანმრთელება გჭირიათ, იაგენკამ უნდა მოჰკიდოს ამას ხელი, თორემ თქვენთან, სანთლით რომ ეძებო, ქალს ვერ იპოვი... ეტყობა, ნატეხი ნეკნებში გაქვთ ჩარჩენილი... ძალზე ცუდია...

მერე ზბიშკოს მიუბრუნდა:

– აბა, ახლა შენ დამენახვე... ღმერთო დიდებულო! გუშინდელივით მახსოვს, კვიცს რომ კუდში ხელს წაავლებდი და ზურგზე შეაფოფხდებოდი... ერთი შეხედე, როგორი რაინდი დამდგარხარ! პირისახით ნამდვილ ბატონიშვილს ჰგავხარ, მხრები კი განიერი გაქვს... შენ, ალბათ, დათვთან შეჭიდებასაც არ შეუშინდები...

– დათვი მაგას სასაცილოდ არ ჰყოფნის! – თქვა ამაზე მაცკომ. – ჯერ სულ ბავშვი იყო, რომ ფრიზიელ რაინდს ხელით დააბდღვნა ულვაშები. პირტიტველი რატომ დამიძახაო, ეს იწყინა.

– ეგ ვიცი, – შეაწყვეტინა ზიხმა მოხუცს, – მერე რომ შეებრძოლეთ იმ ფრიზიელებს და ყველა მათი მსახური ხელთ იგდეთ. ტაჩეველმა ბატონმა მიამბო ეს ამბები:

ხომ გასუქდა, გამდიდრდა
გერმანელი თავიდან,
მაინც შიშველ-ტიტველი
სამარეში ჩავიდა.
ჰოპ! ჰოპ!
ტაში, აბა ჰე!

და მან მხიარულად დაუწყო თვალის პაჭუნი ზბიშკოს, რომელიც, თავის მხრივ, ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა მის ჭოლოკივით გრძელ ტანს, გამხდარ სახეს, უზარმაზარ ცხვირს და მრგვალ მოცინარ თვალებს.

– ოჰ! – წამოიძახა ზბიშკომ, – თუ ღმერთმა ქნა და ბიძაჩემი გამოკეთდა, ამისთანა მეზობლის გვერდით არასოდეს მოიწყენს კაცი.

– მხიარულ მეზობელს რა სჯობს, – უპასუხა ზიხმა, – ვერ წაეკიდები. ახლა კი ყური მიგდეთ. რა მინდა გითხრათ, როგორც მოკეთემა და ქრისტიანმა. თქვენ დიდი ხანია შინ არა ყოფილხართ. იქ, ბოგდანეცში, ყველაფერი

ღვთის ანაბარაა მიგდებული. მე მეურნეობაზე არ მოგახსენებთ, მეურნეობას აბატი უძღვებოდა შესანიშნავად... ტყეებიც ამოძირკვა, განაკაფზეც გლეხები დაასახლა... მაგრამ თვითონ დროდადრო თუ შეივლის ბოგდანეცში. ესე იგი, თქვენი საკუჭნაო ცარიელია, სახლშიც ალბათ ხის ნარსა და ერთ მუჭა მუხუდოს ჩალას ძლივს იპოვით, რომ საწოლად გამოგადგეთ, ავადმყოფს კი ხელის შეწყობა სჭირდება. იცით, რას გეტყვით? მოდით, წამოდით ჩემთან ზგოჟელიცში, ისტუმრეთ ერთი ორი თვე, ძალიან გამახარებთ, მანამდე იაგენკა ბოგდანეცსაც მოგიწესრიგებთ. არაფერი შეეშლება, დარდი ნუ გაქვთ. - ხანდახან ზბიშკოც ჩავა ხოლმე ბოგდანეცში, მეურნეობას მიხედავს, ქსონძ აბატსაც ჩამოგიყვანთ ზგოჟელიცში, იქ თქვენ ადვილად მორიგდებით... ჩემი გოგო ღვიძლ შვილზე უკეთესად მოგივლით – მოგეხსენებათ, ავადმყოფს როგორ უხდება დედაკაცის ხელი. აბა, ჩემო კარგებო! ველი თქვენს დასტურს!

– ვის არ სმენია თქვენი კარგი ადამიანობის ამბავი, ყოველთვის ასეთი იყავით, – უპასუხა გულაჩუყებულმა მაცკომ, – მაგრამ თუ ნეკნებში გარჭობილი დაწყევლილი ხიწვისაგან სიკვდილი მიწერია, ისევ ამ ჩემს ნახანძრალზე მირჩევნია მოვკვდე. ამას გარდა, კაცი თავის სახლში, თუნდაც ავად იყოს, მაინც გაიკითხ-გამოიკითხავს, საქმეს მიხედავს და რაღაც-რაღაცეებს მოაწესრიგებს. მაგრამ თუ ღმერთი თავისთან გიხმობს, ვერაფერს გააწყობ. აქ ადამიანი უძლურია! კარგად მოგივლიან თუ ცუდად, სულ ერთია, თავს ვერ დაიხსნი. მოხეტიალე ცხოვრებას კი ჩვენ ისედაც მიჩვეული ვართ. ვისაც რამდენიმე წელი ცარიელ მიწაზე უძინია, იმისთვის ერთი მუჭა მუხუდოს ჩალაც დიდი ბედნიერებაა. მადლობა მომიხსენებია თქვენი კეთილი გულისათვის, და თუ სამაგიეროს გადახდა ვერ შევძელი, ალბათ, ზბიშკო მაინც არ დაგრჩებათ ვალში.

სიკეთითა და გულითადობით მართლაც განთქმული ზიხ ზგოჟელიცელი თავისას მაინც არ იშლიდა და მეზობლებს შინ ეპატიჟებოდა. მაგრამ მაცკო გაჯიუტდა: თუ სიკვდილია, ჩემს კუთხეში მირჩევნია მოვკვდეო. წლების განმავლობაში ეზმანებოდა ბოგდანეცი და ახლა, როცა მშობლიური კუთხე ორ ნაბიჯზეღა იყო, ვერ აუვლიდა მას გვერდს, თუნდაც იქ უკანასკნელი ღამე გაეთია. ისედაც კმაყოფილი იყო ღმერთისა, რომ აქამდე მოაღწევინა ცოცხალს.

მოხუცმა თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა, მიიხედ მოიხედა და თქვა:

– თუ ეს ვილკ ბჟოზოველის ტყეებია, მაშინ შუადღის მერე უკვე შინ უნდა ვიყოთ.

– ვილკ ბჟოზოველისა კი არა, აბატისაა, – შენიშნა ზიხმა.

ავადმყოფ მაცკოს გაეღიმა და ცოტა ხნის შემდეგ დასძინა:

– თუ აბატისაა, მაშინ იქნებ როდისმე ჩვენიც გახდეს.

– ამას დამიხედეთ, ერთი წუთის წინ სიკვდილზე ლაპარაკობდა, – მხიარულად შესძახა ზიხმა, – ახლა კი აბატზე მეტხანს აპირებს სიცოცხლეს!

– მე კი არა, ზბიშკო იცოცხლებს იმაზე მეტს.

საუბარი საყვირების ხმამ შეაწყვეტინათ, ტყიდან რომ მოისმოდა. ზიხმა იმწამსვე შეაყენა ცხენი და ყური მიუგდო.

– ვიღაც უნდა ნადირობდეს, – თქვა მან, – მოიცათ, იქნებ აბატია. რა კარგი იქნებოდა, ახლა რომ შეგვხვედროდა!

– ჩუ!

და ზიხი თავის ხალხს მიუბრუნდა:

– შესდექ!

ყველა შედგა. საყვირების ხმა ახლა უფრო ახლოდან მოისმა, ერთი წუთის შემდეგ კი მას ძაღლების ყეფა მოჰყვა.

– სდექ! – გაიმეორა ზიხმა. – აქეთ მოდიან!

ზბიშკო ცხენიდან ჩამოხტა და შესძახა:

– მშვილდი მომაწოდეთ! რამე ნადირი არ გამოგვიხტეს! მარდად! მარდად!

მან მსახურს ხელიდან გამოჰგლიჯა მშვილდი, მიწას დააყრდნო, მუცლით დააწვა, დაიხარა, ზურგი მშვილდივით გაზნიქა, ლარს ორთავე ხელი ჩასჭიდა, წამში დაჭიმა, რკინის კავა წამოაცვა, ისარი გაურჭო და ტყეში შევარდა.

– დაჭიმა! უსათითუროდ დაჭიმა! – წაიჩურჩულა ზიხმა, მისი ასეთი უჩვეულო ძალ-ღონით გაოცებულმა.

– ყოჩაღი ბიჭი მყავს! – ჩურჩულითვე უპასუხა მაცკომ ამაყად.

ამასობაში საყვირის ხმა და ძაღლების ყეფა კიდევ უფრო მოახლოვდა და უცებ ტყეში მარჯვნივ მძიმე თქარუნიც მოისმა, ამას მოჰყვა ბუჩქებისა და ტოტების ლაწა-ლუწი და გზაზე უღრანიდან ქშენით გამოვარდა ბებერი, ბანჯგვლიანი დომბა. ვეება თავი დაეხარა, თვალებჩასისხლიანებული და ენაგადმოგდებული ავი შესახედი იყო. გზისპირა თხრილს ერთი ნახტომით გადაევლო, წინა ფეხებზე ჩაიკეცა, მაგრამ იმწამსვე წამოიჭრა და ის იყო,

უკანვე ტყეში უნდა შემალულიყო, რომ გზის მოპირდაპირე მხარეს ისარმა გაიზუზუნა, მხეცი ყალყზე შედგა, ადგილზე დატრიალდა, ერთი დაიბღავლა და მეხით მოცელილივით მიწას დაენარცხა.

ხეს ამოფარებულმა ზბიშკომ გამოიხედა, ისევ დაჭიმა ლარი, ახალი ისრის სატყორცნად გაემზადა და მიეპარა წაქცეულ ნადირს, რომელიც უკანა ფეხებით ჯერ კიდევ მიწას, ფხოჭნიდა.

მაგრამ მხეცს რომ შეხედა, მშვიდად მობრუნდა თავისიანებთან და შორიდან შესძახა:

– ისე ზუსტად მოვახვედრე, მგონი, ქვეშ ჩაისვარა!

– ოჰ, შე ეშმაკის კერძო! – უთხრა მოახლოებულმა ზიხმა, – ერთი ისრით წააქციე!

– ახლოს იყო, ისარი კი ახლოდან ისეთი ძალით ურტყამს. შეხედეთ, მთელი ისარი შერჭობია ბეჭებქვეშ, მარტო წვერი კი არა. – მონადირეები ახლოს არიან და ალბათ წაიღებენ.

– ვერ მივართვი! – მოუჭრა ზბიშკომ, – ეს მე გზაზე მოვკალი, გზა კი ყველას საკუთრებაა.

– თუ აბატი ნადირობს?

– თუ აბატია, მაშინ წაიღოს.

ამასობაში ტყიდან თხუთმეტიოდე ძაღლი გამოვარდა. მხეცი რომ დალანდეს, ყურისწამღები წკავწკავით გაექანენ მისკენ, შეჯგუფდნენ და ერთმანეთს დაუწყეს ღრენა.

– ახლა მონადირეებიც გამოვლენ, – თქვა ზიხმა, – შეხედე, აგერ ისინიც, ტყიდან გამოჩნდნენ ჩვენს ზემოთ და მხეცს ჯერ ვერ ხედავენ. ჰეი! ჰეი! აქეთ! აქეთ! აგერ, სადა წევს! აგერ!..

ერთბაშად ზიხი გაჩუმდა, ხელი მოიჩრდილა და წაილაპარაკა:

– ღმერთო ჩემო, ეს რაღაა? დავბრმავდი თუ მეჩვენება?..

– ერთი ყორანა ცხენზე წინ მოუძღვის. – თქვა ზბიშკომ.

მაგრამ ზიხმა უცებ შესძახა:

– ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ეს ხომ ჩემი იაგენკაა!

და გამოეხმაურა:

– იაგნა! იაგნა!..

ზიხმა იმწამსვე მოსხლიტა ადგილიდან თავისი წაბლა.

ამ დროს ზბიშკოს საოცარი სურათი წარმოუდგა თვალწინ. პირაქაფეებულ ყორანა ცხენზე მამაკაცურად შემომჯდარი ქალიშვილი მათკენ მოაგელვებდა. ხელთ მშვილდი ეპყრა, მხარზე ოროლი ეკიდა, ჭენებაში თმა გაშლოდა, შიგ სვიის გირჩები გასჩროდა, სახე ალიონივით ასწითლებოდა, მკერდზე პერანგი შემოჰღეღოდა. პერანგს ზემოდან ცხვრის ტყავგამოკრული უსახელო მოქარგული ჯუბა მოეგდო. მგზავრებს რომ მიუახლოვდა, ქალიშვილმა ცხენი მოთოკა, წამით სახეზე ეჭვი, გაოცება თუ სიხარული გამოეხატა, სანამ ბოლოს დარწმუნდა, რომ ეს სიზმარი არ იყო, და წკრიალა, ჯერ სულ ბავშვური ხმით შესძახა:

– მამა! ჩემო კარგო მამილო!

თვალის დახამხამებაზე ჩამოსრიალდა თავისი ცხენიდან და, როცა ზიხიც ჩამოქვეითდა, კისერზე ჩამოეკიდა მას. კარგა ხანს ზბიშკოს მხოლოდ კოცნის ხმა და ორად-ორი სიტყვა ესმოდა: „მამილო! იაგუსია! მამილო! იაგუსია!“ გაუთავებლად იმეორებდა აღტაცებული მამა-შვილი.

გარშემო უკვე ხალხი ეხვიათ, მაცკოც ახლოს მოსულიყო თავისი ფორნით, ისინი კი ჯერ ისევ „მამილო! იაგუსიას!“ ძახილში იყვნენ და ერთმანეთს ჩაჰკონებოდნენ. როცა ხვევნა-კოცნით გული იჯერეს, იაგენკამ მამამისს კითხვები დააყარა:

– ომიდან მოდიხარ? ცოცხალი და უვნებელი გადარჩი?

– ომიდან. ვითომ რატომ არ უნდა ვიყო უვნებელი? შენ რაღასა იქმ! ჩემი პატარები როგორ არიან? ალბათ კარგად, არა? ასე რომ არ იყოს, ტყეტყე ჯირითის თავი არ გექნებოდა. მაინც აქ რას აკეთებ, ჩემო კარგო გოგო?

– ვნადირობ, ვერა ხედავ? – კისკისით მიუგო იაგენკამ.

– სხვის ტყეებში?

– აბატმა ნება დამრთო. ეს ხალხიც გამომიგზავნა თავისი ძაღლებით.

და თავის შინაყმებს მიუბრუნდა:

– გარეკეთ ძაღლები, თორემ ტყავს შემოახევენ!

მერე კი ისევ მამამისს მიმართა:

– როგორ მიხარია, როგორ ძლიერ მიხარია, თქვენ რომ გხედავთ!.. ჩვენთან მშვიდობაა.

– შენ რა გგონია, მე კი არ მიხარია? – უთხრა ზიხმა. – მოდი, ერთხელ კიდევ გაკოცო, ჩემო გოგუცანა!

და ისევ მოჰყვნენ კოცნას. ხოლო როცა გული იჯერეს, იაგნამ უთხრა:

– სახლიდან კარგა მოშორებით ვართ... ხომ ხედავ, სად მოვაჭენე ამ მხეცის დევნაში. ორი მილი ვდიეთ, ცხენები ფეხზე ვეღარ დგანან. მაგრამ, სამაგიეროდ, რა დომბაა, – ნახეთ?.. სამი ისარი ვტყორცნე. ეტყობა, უკანასკნელმა დასცა.

– ტყორცნით კი ტყორცნე მაგრამ დომბა აგერ იმ ჭაბუკმა მოკლა.

იაგნამ ხელით გადაიწია სახეზე ჩამოყრილი თმა და კუშტად შეხედა ზბიშკოს.

– იცი, ეს ვინ არის? – ჰკითხა ზიხმა.

– არა, არ ვიცი.

– არცაა გასაკვირი, რომ ვერ იცანი, ისე გაზრდილა. იქნებ მოხუცი მაცკო ბოგდანეცელი მაინც გეცნო?

– ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს მაცკო ბოგდანეცელია! – შეჰყვირა იაგენკამ. მან ფორანთან მიირბინა და ხელზე ეამბორა მაცკოს.

– მართლა თქვენ ბრძანდებით?

– მე გახლავართ, მაგრამ ფეხზე ვერა ვდგავარ, გერმანელებმა დამჭრეს.

– რომელმა გერმანელებმა? ომი ხომ თათრებთან იყო. ეს მაინც ვიცი. რამდენი ვემუდარე მამაჩემს, თან წამიყვანე მეთქი.

– ომი, მართალია, თათრებთან იყო, მაგრამ ჩვენ იმ ომში არა ვყოფილვართ, იმ დროს მე და ზბიშკო ლიტვაში ვიბრძოდით.

– ზბიშკო სადღაა?

– ნუთუ ვერ იცანი? – გაეცინა მაცკოს.

– მაშ ეს ზბიშკოა? – შესძახა ქალიშვილმა და ისევ გადახედა.

– ზბიშკოა, აბა ვინ არის!

– მიდი, აკოცე, თქვენ ხომ კარგად იცნობთ ერთმანეთს! – მხიარულად შესძახა ზიხმა.

იაგენკა ერთბაშად შებრუნდა ზბიშკოსაკენ, მაგრამ უკან დაიხია, სახეზე ხელები აიფარა და თქვა:

– რა ვქნა, მრცხვენია...

– ჩვენ ხომ ბავშვობიდან ვიცნობთ ერთმანეთს!-უთხრა ზბიშკომ.

– დიახ! კარგად ვიცნობთ. მე თქვენ მახსოვხართ, კარგად მახსოვხართ. ერთი რვა წლის წინ ჩვენთან ჩამობრძანდით მაცკოსთან ერთად და განსვე-

ნებულმა დედაჩემმა თაფლი და კაკალი მოგვიტანა. ოთახიდან გასვლაც ვერ მოასწრეს უფროსებმა, რომ ცხვირში მუშტი მითავაზეთ და მთელი კაკალი თვითონ შეჭამეთ!

– ახლა, ალბათ, ასე აღარ მოიქცეოდა! – თქვა მაცკომ. – მთავარ ვიტოლდთანაც არის ნამყოფი და კრაკოვის სასახლეშიც, ასე რომ, იცის სასახლის კარის ჩვევები.

მაგრამ ამ დროს იაგენკას სულ სხვა რამ გაახსენდა და ზბიშკოს მიუბრუნდა:

– მაშ თქვენ მოკალით დომბა?

– დიახ!

– მოდით ვნახოთ, სადა აქვს ისარი გარჭობილი?

– მთლიანად ჩაიმალა ბეჭში.

– ნუ დაობ, – უთხრა ზიხმა. – ყველამ საკუთარი თვალით დავინახეთ, როგორ მოკლა დომბა. ეგ კიდევ არაფერი. ერთ წამში დაჭიმა ლარი უსათითუროდ.

– იაგენკამ მესამედ შეხედა ზბიშკოს, მაგრამ ახლა უკვე გაოცებით.

– თქვენ უსათითუროდ დაჭიმეთ ლარი? – ჰკითხა მან.

ქალის ხმაში უნდობლობა რომ შენიშნა, ზბიშკომ მიწას დააყრდნო მშვილდი, ერთ წამში დაჭიმა ჩამოშვებული ლარი, ისე, რომ რკინის რკალს ჭრიალი დააწყებინა, და აქაოდა ზრდილობის წესები ვიციო, ცალ მუხლზე დაიჩოქა და მშვილდი იაგენკას გაუწოდა.

იმის მაგივრად, რომ მშვილდი გამოერთმია, გოგონა კიდევ უფრო გაწითლდა და, თვითონაც არ იცოდა, რატომ, სწრაფად შეიკრა შინნაქსოვი პერანგი, ტყეში ცხენის ჭენებისას რომ შეხსნოდა.

XI

ბოგდანეცში რომ ჩამოვიდნენ, მაცკო და ზბიშკო მეორე დილიდანვე შეუდგნენ თავიანთი ძველი ნასახლარის დათვალიერებას და სულ მალე დარწმუნდნენ, რომ ზიხ ზგოჟელიცელი მართალი იყო, როცა უთხრა, პირველ ხანებში უკაცრიელ სახლში ძალიან გაგიჭირდებათო.

მეურნეობის საქმე არც ისე ცუდად მიდიოდა. მინდვრები აქა-იქ დამუშავებული ჩანდა, ამაზე ადგილობრივ გლეხებსა და აბატის ახალმოსახლეებს ეზრუნათ. ოდესღაც ბოგდანეცში გაცილებით მეტი მიწები იყო, მაგრამ პლოვცეს ბრძოლებში „გრადების“ მოდგმა თითქმის სულ ამოწყდა, მუშახელი გაქრა, სილეზიელი გერმანელების თავდასხმამ და გჟიმალითებისა და ნალენჩების ომმა კი ბოგდანეცის ოდესღაც ნაყოფიერი მინდვრები ერთიანად გაატყიურა. მარტოხელა მაცკოს გაუჭირდა მეურნეობის მობრუნება. თხუთმეტიოდე წლის წინათ მაცკო ძალზე ცდილობდა ქშესნელი თავისუფალი გლეხების გადმობირებას და მიწის სანახევროდ მიცემას. მაგრამ იმათ სხვისი მიწების დამუშავებას თავიანთ მცირე ნაკვეთებზე დარჩენა ამჯობინეს. მაცკომ ისღა მოახერხა, რომ რამდენიმე მოხეტიალე მოეზიდა, ომებში თხუთმეტიოდე ტყვეც ჩაიგდო ხელთ, ესენი ყველანი დააქორწინა და ქოხებში ჩაასახლა. ასეთი მეცადინეობით სოფელმა ცოტათი წამოიწია, მაგრამ ყველაფერი ეს ძალზე ძნელი იყო და, როგორც კი შემთხვევა მიეცა, მაცკომ მთელი ბოგდანეცი დააგირავა. ის მართალი იყო, როცა ფიქრობდა, მდიდარ აბატს გაცილებით უფრო გაუადვილდება მიწების ათვისება, მე და ზბიშკო კი ამასობაში ომში ტყვეებსა და ფულს ვიშოვითო. აბატი საქმიანი მეპატრონე გამოდგა. მან ხუთი გლეხის ოჯახი შეჰმატა ბოგდანეცს და მუშაძალაც გაიზარდა, გაამრავლა საქონელი და ცხენების რემა, ააშენა ამბარი, წნული ბოსელი და ასეთივე საჯინიბო. მაგრამ ბოგდანეცში ის მუდმივად არ ცხოვრობდა და სახლზე არ ზრუნავდა. ასე რომ, მაცკოს, რომელიც ახლახან ოცნებობდა, შინ დაბრუნებულს სახლი თხრილითა და ციხე-გალავნით გარშემორტყმული ენახა, სინამდვილეში ყველაფერი ძველებურად დახვდა, განსხვავება ერთი ის იყო, რომ სახლის კუთხეები აცა-ბაცა წასულიყო და კედლები ისე დაწეულიყო, მოხუცს ისინი ადრინდელზე დადაბლებული ეჩვენა.

სახლში ფართო წინკარი, ორი დიდი ოთახი, ორი კუთხის ოთახი და სამზარეულო იყო. დიდი ოთახების ფანჯრებზე ხარის ბუშტი გაეკრათ. შუაგულ, მიწის იატაკზე, კერია გაემართათ. აქედან კვამლი ჭერის ჭუჭრუტანებში გადიოდა. ერთ დროს ამ შავად შემურული ჭერის ძელებში ჩარჭობილ პალოებზე შესაბოლად ეკიდა ღორის, ტახის, დათვის, ცხენირმის ბარკლები, ირმისა და ჯეირნის მკერდები, ხარის ზურგები და ძეხვეულის უზარმაზარი რგოლები. მაგრამ ახლა ყველა კაუჭი ცარიელი იყო, როგორც კედლის გასწვრივ გაყოლებული თაროები, რომლებზეც სხვა შლიახტიჩების სახლებში თუნუქისა და თიხის ჯამებს ნახავდით ჩამწკრივებულს. ერთი ეგ იყო, კედლები აღარ ჩანდა მოტიტვლებული ამ თაროების ქვეშ. ზბიშკომ

მსახურებს უბრძანა აქ ჯავშნები, ჩაფხუტები, გრძელი და მოკლე მახვილები, მშვილდები, ორთითები, კონდახიანი მშვილდები, რაინდული შუბები და, ბოლოს, ფარები, ცულები და ცხენის ყაჯრები დაეკიდათ. იარაღი და ჯავშანი კვამლისაგან იმურებოდა და ხშირად წმენდნენ, სამაგიეროდ, ყველაფერი აქვე, თვალწინ ჰქონდა. ამას გარდა, მატლი აღარ ღრღნიდა შუბების ხის ნაწილებს. ძვირფასი ტანსაცმელი წინდახედულმა მაცკომ კუთხის ოთახში გადაატანინა. ამ ოთახს ის საძინებლად ხმარობდა.

წინა ოთახებში ხარისბუშტებგადაჭიმულ ფანჯრებთან ფიჭვის ფიცრებისაგან შეკრული მაგიდები იყო მიდგმული და ასეთივე ძელსკამები ჰქონდა შემოწყობილი; სახლის პატრონები სუფრასთან შინაყმებთან ერთად სხდებოდნენ. ომის ძნელ ცხოვრებას შეჩვეულ ხალხს ბევრი არაფერი სჭირდებოდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ბოგდანეცში არ ჰყოფნიდათ პური, ფქვილი და სხვა სურსათ-სანოვაგე, განსაკუთრებით კი – ჯამ-ჭურჭელი. გლეხებმა ყველაფერი მოართვეს თავიანთ ბატონებს, რაზედაც კი ხელი მიუწვდებოდათ, მაგრამ მაცკოს მაინც მეზობლების იმედი უფრო ჰქონდა. ამისთანა დროს ხომ ყოველთვის იცოდნენ დახმარება. ზიხ ზგოჟელიცელში ის მართლაც არ მოტყუვდა.

წინა დღის ჩამოსულები იყვნენ. მოხუცი თავისი სახლის წინ მორზე ჩამომჯდარიყო და შემოდგომის წყნარი ამინდით ტკბებოდა. ამ დროს ეზოში ისევ ის ყორანა ცხენი შემოაჯირითა იაგენკამ. მსახურმა, რომელიც ტყრუშულ ღობესთან შეშას ჩეხავდა, მიაშურა, რომ მას ცხენიდან ჩამოსვლაში შეშველებოდა, მაგრამ ქალი თვითონვე მარდად ჩამოხტა და მაცკოსთან მივიდა. ისე ეჭენებინა, სულს ძლივს ითქვამდა და თურაშაული ვაშლივით დაბრაწვოდა ლოყები.

– დიდება იესო ქრისტეს! ჩამოვედი, რათა გადმოგცეთ მამაჩემის მოკითხვა და გავიგო თქვენი ჯანმრთელობის ამბავი.

– გზაზე რომ ვიყავი, იმაზე უარესად არც ახლა ვარ. გამოვიძინე მაინც ჩემს გემოზე საკუთარ ჭერქვეშ.

– ალბათ აქ ხელი ისე ვერ გეწყობათ. თქვენ კი, ავადმყოფ ადამიანს, მოვლა გჭირდებათ.

– ჩვენ კერკეტა ხალხი ვართ. პირველ ხანებში ისე მოხერხებულად ვერ ვიქნებით, მაგრამ საჭმელ-სასმელი ბევრი გვაქვს. ხარი დავაკვლევინეთ, ორიც ცხვარი, ხორცი თავზე საყრელადაა. დედაკაცებმა ფქვილი და კვერცხი მოგვივიდეს ცოტაოდენი. ყველაზე მეტად მაინც ჭურჭელი გვიჭირს.

– თქვენთვის ორი ურემი დავატვირთვინე. ერთზე ორი ხელი ლოგინი და ჭურჭელია, მეორეზე – ყოველგვარი სურსათ-სანოვაგე: ლავაშები, ფქვილი, ქონი, ხმელი სოკო, ერთი კასრი ლუდი, ერთი კასრი თაფლი და სხვაც ცოტ-ცოტა ყველაფერი, რაც კი შინ გაგვაჩნდა.

მაცკო ყოველთვის მოხარული იყო, თუ რამე შეემატებოდა ოჯახში, ამიტომ იაგენკას თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

– დიდი მადლობა შენცა და მამასაც. როგორც კი ხელს მოვიწყობთ, ყველაფერს დაგიბრუნებთ.

– რას ბრძანებთ! გერმანელები ხომ არ გგონივართ, რომ ნაჩუქარი კაცს უკან წავართვათ!

– მაშინ ორმაგად მადლობელი ვარ! მამაშენი ამბობდა, დიდი მეოჯახე გოგო მყავსო, როგორ უძღვებოდი ზგოჟელიცში მეურნეობას მთელი წელიწადი მარტოდმარტო?

– რა მექნა... ასე იყო საჭირო. თქვენ თუ კიდევ დაგჭირდათ რამე, მსახური გამოაგზავნეთ, თანაც ცოტა გონიერი, რომ იცოდეს, რა უნდა, თორემ ხანდახან ისეთი გამოთაყვანებული შეგხვდება, ვერც კი გაგაგებინებს, რაზე გამოაგზავნეს.

ამ ლაპარაკში იაგენკა თან მალულად ჩხრეკდა თვალით იქაურობას. მაცკომ ეს შეამჩნია და გაეღიმა.

– ვის ეძებ? – ჰკითხა მან.

– არავის!

– ზბიშკოს გამოვგზავნი, რომ მამაშენსა და შენ მადლობა მოგახსენოთ ამ ძღვნისათვის. მაინც რას იტყვი, განა ზბიშკო თვალში არ მოგივიდა?

– არ დავკვირვებივარ!

– შენც ადექი და ახლა დააკვირდი! აგერ თვითონაც მოდის.

ზბიშკოს პირუტყვისათვის წყალი დაელევინებინა და იაგენკას რომ თვალი მოჰკრა, ფეხს აუჩქარა. ირმის ტყავის ხიფთანი ეცვა და მრგვალი თექის ქუდი ეხურა, ისეთი, მუზარადების ქვეშ რომ იხურავენ ხოლმე. შუბლზე სწორად შეკრეჭილი თმა ბადურაში არ ჩაეტანებინა და მხრებზე ოქროს კულულებად ჰქონდა დაყრილი. ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა მაღალი და მოხდენილი ჭაბუკი. ცნობილი გვარის საჭურველმტვირთველს ჩამოჰგავდა.

იაგენკა ადგა და სულ შეაქცია ზურგი, აქაოდა, მე მხოლოდ მაცკოსთან ვარ ჩამოსულიო. მაგრამ ზბიშკო ხალისიანად მიესალმა და, მიუხედავად გოგონას წინააღმდეგობისა, ხელზე ეამბორა.

– ვითომ რადა მკოცნი ხელზე? – ჰკითხა ქალმა, – ქსონძი ხომ არა ვარ?

– ნუ მიძალიანდები! ასეთია წესი.

– მეორე ხელიც რომ დაეკოცნა, არც ის იქნებოდა მეტი, რაც შენ საჩუქრები ჩამოგვიტანე! – ჩაერია მაცკო.

– რა ჩამოგვიტანა? – იკითხა ზბიშკომ, მიიხედ-მოიხედა და სარზე გამობმული ყორანა ცხენის მეტი ვერაფერი დაინახა.

– ურმები ჯერ გზაში არიან, მალე ჩამოვლენ, – უპასუხა იაგენკამ.

მაცკომ ჩამოთვალა, რაც ქალიშვილს ჩამოეტანა. დაწვრილებით ჰყვებოდა, არაფერი ავიწყდებოდა. ორი ხელი ლოგინი რომ ახსენა, ზბიშკომ თქვა:

– მე დომბის ტყავზედაც კარგად დავიძინებდი, არაფერი მიჭირდა, მაგრამ მაინც მადლობელი ვარ, რომ არ დამივიწყეთ.

– ეგ მადლობა მე კი არა, მამაჩემს ეკუთვნის, – წამოწითლდა ქალიშვილი. – ისე, თუ ტყავზე წოლა გირჩევნიათ, ვინ გიშლით...

– მე მიჩვეული ვარ, როგორც მომხვდება. ბრძოლის ველზე მოკლულ ჯვაროსანთან თავი თავზე მიდებულსაც კი მძინებია.

– ნუთუ თქვენ ჯვაროსანი მოგიკლავთ? არა მგონია, ევ შეუძლებელია!

ზბიშკომ პასუხის ნაცვლად გადაიხარხარა.

– ღმერთისა არ გეშინია, გოგო? – შესძახა მაცკომ. - გეტყობა, შენ მაგას სრულიად არ იცნობ! გერმანელების ხოცვის მეტი სხვა ამას არაფერი უკეთებია. გინდა ცხენდაცხენ იბრძოლებს, გინდა ცულებით, როგორც გენებოს. თუ გერმანელს თვალი მოჰკრა, მერე ხომ ვეღარ დააკავებ, ეგრევე ებდღვნება. კრაკოვში ელჩი ლიხტენშტაინი კინაღამ შემოაკვდა და თავიც კინაღამ წააგო ამის გამო. აი, ასეთი მამაცი მყავს! ორი ფრიზის ამბავსაც მოგიყვები. ჩვენ იმათ ხალხიც წავართვით და ისეთი მდიდარი ნადავლიც, რომ იმის ნახევარ ფასად მთელ ბოგდანეცს გამოისყიდი.

მაცკო მოჰყვა ფრიზებთან ბრძოლაზე, სხვა თავგადასავლებსა და იმ გამარჯვებებზე, რომლებიც მათ მოიპოვეს. ციხესიმაგრის კედლებთანაც და გაშლილ მინდორზეც ებრძოდნენ ისინი სხვა ქვეყნის გამოჩენილ რაინდებს, ფრანგებს, ინგლისელებსა და ბურგუნდიელებს. ისეთ მძიმე ბრძო-

ლებშიაც ყოფილან, როცა ცხენი, კაცი, იარაღი, გერმანელი და ბუმბული სულ ერთმანეთში იყო არეული. რაღა არ უხილავს მათ თვალს! წითელი აგურით ნაგები ჯვაროსნების ციხესიმაგრეები, ხით ნაშენი მცირე ლიტვური ქალაქები და ეკლესიები, ბოგდანეცის მახლობლად რომ არასოდეს არავის უნახავს ისეთი, დიდი ქალაქები, უღრანი ტყეები, სადაც ღამღამობით შესაბრალისად წკმუტუნებენ ბომონებიდან გამოძევებული ლიტვური კერპები, და სხვა ათასნაირი საოცრებანი. და როცა საქმე ბრძოლაზე მიდგებოდა, ზბიშკო ყველგან მოწინავე იყო, ცნობილ რაინდებს აოცებდა თავისი სიმამაცით.

იაგენკა იქვე მორზე ჩამოჯდა მაცკოს გვერდით, პირდაღებული ისმენდა მოხუცის ნაამბობს და თავს ხან მაცკოსკენ მიაბრუნებდა და ხან ზბიშკოსკენ, თითქოს ბურთულებზე აქვსო დადგმული. მისი თვალები თანდათან მეტი აღტაცებით შეჰყურებდნენ ყმაწვილ რაინდს. ბოლოს, როგორც იქნა, მაცკომ დაამთავრა, ქალიშვილმა კი ამოიოხრა და თქვა:

– რა ბედნიერია, ვინც ღმერთს ბიჭად გაუჩენია! ზბიშკოც უსმენდა მაცკოს, მაგრამ სულ იაგენკას შეჰყურებდა და, ეტყობა, სხვა რამეზე ფიქრობდა, რადგან მოულოდნელად თქვა:

– რა ლამაზი ხართ!

გულდაწყვეტილმა თუ დანაღვლიანებულმა იაგენკამ უპასუხა:

– ვითომ ჩემზე უფრო ლამაზი არავინ გენახოთ.

ზბიშკოს შეეძლო გულზე ხელი დაედო და დაეფიცა, რომ ასეთი მზეთუნახავი ბევრი არ შეხვედროდა. ამ ქალში ჯანი, ღონე და სინორჩე ერთიანად დუღდა. მოხუცი აბატი მართალი იყო, იაგენკას რომ ფიჭვსაც ადარებდა და ძახველსაც. მას ყველაფერი ლამაზი ჰქონდა: აშოლტილი სხეული, განიერი მხრები, ჩამოქნილი გულმკერდი, ალისფერი ტუჩები, ცოცხალი ცისფერი თვალები. ახლა უფრო კოხტადაც იყო ჩაცმული, ვიდრე ტყეში ნადირობის დროს. ყელზე ძოწისფერი მძივები ეკიდა, მკერდზე ჩახსნილი მწვანე მაუდის ქურთუკი, შინნაქსოვი ზოლიანი ქვედატანი და ახალი ჩექმები ეცვა. მოხუცმა მაცკომაც მიაქცია ყურადღება მის მორთულობას, შეათვალიერა და უთხრა:

– რას მორთულ-მოკაზმულხარ, თითქოს ხატობაზე მიდიოდე?

მაგრამ პასუხის ნაცვლად იაგენკამ დაიძახა:

– მოდიან ურმები! მოდიან!

ურმები ეზოში შემოვიდნენ. ქალმა იქით მიაშურა, ზბიშკოც მას გაჰყვა. მაცკო დიდად ნასიამოვნები დარჩა იმით, რომ ურმები საღამომდე ძლივს გადმოცალეს; მოხუცი ყველაფერს სათითაოდ ათვალიერებდა და გაუთავებლად აქებდა იაგენკას. კარგა შეღამებული იყო, ქალიშვილი რომ შინ წასასვლელად გაემზადა. ცხენზე შეჯდომისას ზბიშკომ მოულოდნელად შეაშველა ხელი და, სანამ ხმის ამოღებას მოახერხებდა, აიტაცა და უნაგირზე დასვა. იაგენკა ისევ წითელი დაფიონივით აიტკიცა, ვაჟისკენ მოტრიალდა და ოდნავ დარცხვენით უთხრა:

– როგორი ღონიერი ხართ!..

ზბიშკომ სიბნელეში ვერც მისი დამორცხვება დაინახა, ვერც სიწითლე, გაიცინა და ჰკითხა:

– ნადირისა არ გეშინიათ?.. უკვე ღამეა!

– ურემზე მშვილდი დევს... მომაწოდეთ, თუ შეიძლება.

ზბიშკო მივიდა ურემთან, მშვილდი აიღო და იაგენკას მიართვა.

– კარგად ბრძანდებოდეთ!

– კარგად ბრძანდებოდეთ!

– დიდი მადლობა ყველაფრისათვის! ხვალ თუ არა, ზეგ უეჭველად თქვენთანა ვარ, რომ ამ სიკეთისათვის მადლობა მოგახსენოთ თქვენ და მამათქვენს.

– ჩამობრძანდით! ძალიან გაგვახარებთ! აბა, გასწი!

ქალმა ცხენი დასძრა და გზისპირა ბუჩქებს შეერია.

ზბიშკო ბიძასთან მობრუნდა.

– დროა, შინ შებრძანდეთ!

მაგრამ მაცკო მორიდან არც კი წამომდგარა, ისე თქვა:

– უჰ, რა გოგოა! ასე მგონია, ეზოსაც კი ნათელი მოჰფინა-მეთქი.

– მართალს ბრძანებთ!

ერთ წამს დადუმდნენ. მაცკო შეჰყურებდა, როგორ ინთებოდნენ ცაში ვარსკვლავები და რაღაცაზე ჩაფიქრებულიყო, მერე ისევ თითქოს თავისთვის თქვა:

– ალერსიანიც არის, კარგი დიასახლისიც, თან სულ თხუთმეტი წლისაა...

– დიახ, – დასძინა ზბიშკომ. – მოხუცი ზიხიც თვალის ჩინივით უფრთხილდება.

– იცი, რა თქვა? მზითევში მოჩიდოლის მიცემას ვაპირებო, იქ კი მინდვრებში ცხენის რემა ბალახობს თავის კვიცებიანად.

– მოჩიდოლის ტყეებშია, მგონი, საშინელი ჭაობები?..

– სამაგიეროდ, თახვებითაა სავსე.

ისევ სიჩუმე გამეფდა. ერთხანს მაცკო ალმაცერად გაჰყურებდა ზბიშკოს და მერე ჰკითხა:

– რაზე ჩაფიქრდი, რას ჩამოჰყარე ყურები?

– ისე... იცით... იაგენკას რომ შევხედე, დანუსკა მომაგონდა, გული შემიკრთა.

– შევიდეთ შინ, – უთხრა ამაზე მოხუცმა, – უკვე გვიანაა.

ის მძიმედ წამოდგა, ზბიშკოს მიეყრდნო და კუთხის ოთახისაკენ გაეშურა.

მაცკო ისე აჩქარებდა ზბიშკოს, რომ ის მეორე დღესვე გაემგზავრა ზგოჟელიცში. მოხუცმა ძალისძალად ორი მსახური გააყოლა, თვალის სეირისათვის ასეა საჭირო, და თან აიძულა, რაც შეიძლება ლამაზად მორთულიყო. ამით თურმე ზიხისადმი დიდ პატივისცემას გამოხატავდა. ზბიშკომაც აღარ აწყენინა მოხუცს და ისე მოირთო, გეგონებოდათ, ქორწილში მიდისო. ჩაიცვა ბრძოლაში მოპოვებული ოქროთი მოსირმული და ოქროსქობამოვლებული თეთრი ატლასის ხიფთანი. ზიხი მას გულღიად შეხვდა, მღეროდა და მხიარულობდა, იაგენკა კი, ზღურბლს რომ გადმოაბიჯა და ჭაბუკი რაინდი დაინახა, ზარდაცემულივით გაჩერდა და კინაღამ ღვინის მათარა ხელიდან გაუვარდა, – ისე მოეჩვენა, თითქოს თვით მეფისწული გამოცხადებულიყო მასთან. ქალიშვილმა ძლიერ დაიმორცხვა. სუფრასთან ხმას არ იღებდა, მხოლოდ თვალებს ისრესდა ხანდახან, თითქოს ძილშია და გამოფხიზლება უნდაო. გამოუცდელმა ზბიშკომ იფიქრა, ჩემი ჩამოსვლა თუ ეწყინაო, და იქით აღარ მიუხედია, მარტო ზიხთან საუბრობდა, ცამდე აჰყავდა მისი გულუხვობა, უქებდა კარ-მიდამოს, რომელიც მართლაც არა ჰგავდა ბოგდანეცს.

ყველაფერს სიმდიდრისა და სიუხვის კვალი აჩნდა. ფანჯრებში თხლად გათლილი და გაპრიალებული, თითქმის მინასავით გამჭვირვალე რქის ფირფიტები იყო ჩასმული. ოთახის შუაგულ გამართული კერიის ნაცვლად კუთხეებში ჩარდახიანი დიდი ღუმელები იდგა. ლარიქსის ხის იატა-

კი სუფთად იყო მორეცხილი, კედელზე იარაღი ეკიდა და სარკესავით გაპრიალებული უამრავი ϫამ-ფიალა იყო გაწყობილი. იქვე ეკიდა ჩუქურთმიანი ლამაზი საკოვზეები შიგ ჩალაგებული კოვზებით, რომელთა შორის ორი ვერცხლისა იყო. აქა-იქ ომში ნაშოვნი ან მოხეტიალე ვაჭრებისაგან ნაყიდი ფარჩის - სახეებიანი ხალიჩებიც ეკიდა. მაგიდების ქვეშ გარეული ხარის უზარმაზარი წითური ტყავები ეფინა. იქვე დაინახავდით დომბისა და ტახის ტყავებსაც. ზიხი სიამოვნებით უჩვენებდა ზბიშკოს თავის სიმდიდრეს და წამდაუწუმ იმეორებდა - ყველაფერი იაგენკას ნახელავიაო. მან საკუჭნაოშიც წაიყვანა ზბიშკო, სადაც ყველაფერი ხის ფისისა და პიტნის სუნა გაეჟღინთა, იქ ჭერქვეშ მგლის, მელიის, კვერნისა და თახვის ტყავის შეკრულები ეკიდა. ზიხმა დაათვალიერებინა ზბიშკოს ყველის საშრობი, ცვილისა და თაფლის საწყობები. ფქვილით სავსე კასრები, ორცხობილას, ქერელისა და გამხმარი სოკოს საკუჭნაოები. მერე ბეღლებიც ჩამოატარა, ბოსლები, - საϫინიბოები, გომურები და იმ ფარდულშიც შეიყვანა, სადაც ფორნები ეყენა, სანადირო მოწყობილობა და ბადეები ინახებოდა. ბოლოს და ბოლოს, ზიხმა ისე აუჭრელა- თვალები ზბიშკოს თავისი სიმდიდრით, ვახშამს რომ მიუსხდნენ, ვაჟი გაოცებას ვეღარ მალავდა.

– თქვენს ზგოჟელიცში სიკვდილი არ მოუნდება კაცს.

– მოჩიდოლშიც ასეთივე წესრიგი გვაქვს,-უთხრა ზიხმა. ხომ გახსოვს მოჩიდოლი? ბოგდანეცის გზაზეა. უწინ ჩვენი მამა-პაპანი საზღვარზე დაობდნენ და ერთმანეთს ორთაბრძოლაში იწვევდნენ. მე, რა თქმა უნდა, არავითარ ბრძოლას არ დავიწყებ.

მან ასწია თაფლუჭით სავსე თასი, ზბიშკოს მიუჭახუნა და ჰკითხა:

– სიმღერაზე როგორა ხარ, ხომ არ იმღერებ?

– არა, – უპასუხა ზბიშკომ, – თქვენ კი სიამოვნებით მოგისმენდით.

– ზგოჟელიცი, ჩემო კარგო, დათვის ბელებს შეხვდებათ. ოღონდ მერე არ დაერიონ ერთმანეთს...

– რომელ დათვის ბელებს?

– ჩემს ვაჟებს, იაგენკას ძმებს.

– ჰო. ზამთარში თითის წუწნა არ დასჭირდებათ.

– რაც მართალია, მართალია. ისე, მოჩიდოლშიც იშოვის იაგენკა ქონის ნაჭერს.

– ალბათ! ალბათ!

– რა მოგივიდა, რომ არცა ჭამ და არცა სვამ? აბა, ერთი დაგვისხი, იაგენკა:

– რასა ბრძანებთ, კიდევაც ვსვამ და ვჭამ კიდეც, რაც შემიძლია.

– თუ გაგიჭირდეს, ქამარი მოიშვი. კარგი ქამარი კი გაქვს! ალბათ ლიტვაში დიდი ნადავლი იშოვეთ?

– სამდურავს ვერ ვიტყვი, – უპასუხა ზბიშკომ, რაკი ისარგებლა შემთხვევით, ეჩვენებინა, ბოგდანეცელი შლიახტიჩები ეგრე ხელწამოსაკრავები არ არიანო. – ნადავლის ნაწილი კრაკოვში გავყიდეთ და ორმოცი გრივნა ვერცხლი ავიღეთ.

– რას მეუბნები! ამოდენა ფულით მთელ სოფელს იყიდის ადამიანი!

– ჩვენ მილანური ჯავშანიც გავყიდეთ, ბიძაჩემს ეგონა, უკვე ვკვდებიო. მილანური ჯავშანი კი, ხომ იცით...

– ვიცი, ფასდაუდებელია. ისე გამოდის, ლიტვაში წასვლა ღირს. მეც ვაპირებდი ერთ დროს, მაგრამ, ცოტა არ იყოს, მეშინოდა.

– ვისი, ჯვაროსნების?

– ეჰ, იმათი რაზე უნდა მშინებოდა? სანამ არ მოუკლავხართ, რა საშიშია, მოგკლავენ და ვეღარც შეგეშინდება. მე წარმართთა უწმინდური კერპებისა მეშინოდა, ათასობით დაბორიალობენ იქ, ტყეებში.

– რა ქნან, სად წავიდნენ, თუკი თავშესაყრელი გადაუწვეს?.. ერთ დროს მდიდრულად ცხოვრობდნენ, ახლა მხოლოდ სოკოებითა და ჭიანჭველებით იკვებებიან.

– შენ თუ გინახავს?

– არა, მე არა, მაგრამ გამიგონია, სხვებს უნახავთ... გამოყოფს თურმე ხეს ამოფარებული ასეთი ავსული თავის ბანჯგვლიან თათს და განიშნებს, მომეცი რამეო...

– მაცკოც მოჰყვა მაგ ამბებს, – ჩაერია იაგენკა.

– მართალია, გზაზე მეც მომიყვა, – დაუმატა ზიხმა. – არცაა გასაკვირი! აი, თუნდაც ჩვენი ამბავი აიღე. თითქოსდა ქრისტიანულ მხარეში ვცხოვრობთ და ხანდახან ჭაობში ჩვენთანაც ხარხარებს ვიღაც. შინ კი, მართალია, ქსონძები ჯავრობენ, მაგრამ მაინც სჯობს ღამღამობით ერთი ჯამი საჭმელი დაუდგა, თორემ კედლებში ისეთ ფხაჭუნს ატეხავს, თვალს არ მოგახუჭინებს... იაგენკა, ჩემო გოგონი... დადგი, თუ შეიძლება, შემოსასვლელთან ჯამი!

იაგენკამ აიღო ატრიით სავსე თიხის ჯამი და კართან დადგა.

– ქსონძები ბრაზობენ, – თქვა ზიხმა, – გვეჩხუბებიან, მაგრამ ქრისტეს, აბა, რას ვუშავებთ. უწმინდური კი, თუ მაძღარი და კმაყოფილია, სახლს ცეცხლისაგანაც დაიცავს და ქურდებისგანაც.

მერე ისევ მიმართა ზბიშკოს:

– ქამარი მოგეშვა და გემღერა

– სჯობს თქვენ იმღეროთ. ვხედავ, ვეღარ ითმენთ, ან იქნებ თქვენ ქალიშვილს, იაგენკას, ემღერა რამე.

– მოდით რიგრიგობით ვიმღეროთ, – დაიძახა გახარებულმა ზიხმა. – ერთი ჭაბუკი მყავს სახლში, სალამურით მოგვიმღერებს. დაუძახეთ მსახურს.

დაუძახეს მსახურს. ის სკამზე ჩამოჯდა, გაირჭო პირში თავისი „წრიპინა“, დააწყო ზედ თითები და იქ მყოფთ მოლოდინით მიაშტერდა, რას იმღერებენო.

ატყდა დავა. დაწყება არავის უნდოდა. ბოლოს ზიხმა იაგენკას უბრძანა, შენ დაიწყო და, თუმცა გოგონა ძალიან მორცხვობდა ზბიშკოსთან, ბოლოს მაინც წამოდგა, ხელები წინსაფრის ქვეშ შემოიწყო და დაამღერა:

ნეტავი ჩიტად მაქცია,

ცაში გავშლიდი ფრთებს,

გავშლიდი, სილეზიისკენ

გადავიფრენდი მთებს...

ზბიშკომ თვალები დააჭყიტა, წამოხტა და იყვირა:

– თქვენ საიდან იცით ეს სიმღერა?

იაგენკამ გაოცებით შეხედა:

– ამ სიმღერას ყველა მღერის... რა დაგემართათ?

ზიხმა იფიქრა, ზბიშკოს მეტი მოუვიდა სასმელიო, მოუბრუნდა და მხიარულად უთხრა:

– შეიხსენი ქამარი! ხელად შეგეშვება!

მაგრამ ზბიშკო ერთ წამს კიდევ იდგა სახეშეცვლილი, მერე კი თავს მოერია და იაგენკას უთხრა:

– მაპატიეთ. თქვენმა სიმღერამ რაღაც გამახსენა. განაგრძეთ, გეთაყვა.

– იქნებ არა გსიამოვნებთ ეს სიმღერა?

– რასა ბრძანებთ? – ხმა გაებზარა ზბიშკოს, – მთელი ღამე რომ ვისმინო, არ მომწყინდება.

ის დაჯდა, ხელები თვალებზე აიფარა და გაჩუმდა, კრინტი აღარ დაუძრავს.

იაგენკამ მეორე სტროფიც იმღერა, მაგრამ რომ დაასრულა, შეამჩნია, ზბიშკოს თითებს შუა მსხვილი ცრემლები მოედინებოდა.

ქალი ცოცხლად შებრუნდა რაინდისკენ, გვერდით მიუჯდა, იდაყვით ოდნავ შეეხო და ჰკითხა:

– რა მოგივიდათ?.. მე არ მინდა, რომ თქვენ ტიროდეთ. თქვით ჩქარა, რა დაგემართათ?

– არაფერია, არაფერი, – ამოიოხრა ზბიშკომ. – გრძელი ამბავია... რაც იყო, იყო. აი, უკვე კარგ გუნებაზე ვარ...

– ტკბილ ღვინოს ხომ არ მიირთმევთ?

– თავაზიანი ქალი მყავს! – შესძახა ზიხმა. – ნეტა ვიცოდე, რა თქვენობით ელაპარაკებით ერთმანეთს? უთხარი მას: „შენ, ზბიშკო“, შენ კი ქალს: „შენ, იაგენკა“. თქვენ ხომ ბავშვობის ნაცნობები ხართ...

მერე ქალიშვილს მიუბრუნდა:

– იცი, როგორ მიგტყიპა ერთხელ?.. ახლა, რაღა თქმა უნდა, ასეთს აღარ ჩაიდენს.

– არ ჩავიდენ! – ხალისით აჰყვა ზბიშკო. – ახლა, თუ სურვილი აქვს, მაგან მიმტყიპოს.

რაკი იაგენკას ზბიშკოს გამხიარულების საშუალება მიეცა, მუშტი მოიღერა და ხუმრობით ცემა დაუწყო.

– ესეც შენ ჩემი ცხვირის გატეხვისათვის! ესეც შენ! ესეც შენ!

– ღვინო! – გასძახა ზგოჟელიცის შეზარხოშებულმა პატრონმა.

იაგენკა საკუჭნაოში გავარდა და ერთი წამის შემდეგ სავსე მათარა ღვინო შემოიტანა, თან ვროცლავის ოქრომჭედლების ნახელავი ლამაზი სევადიანი ორი ვერცხლის თასი და ორი წველა ყველიც შემოაყოლა.

შეჭიკჭიკებული ზიხი ამის დანახვაზე მთლად გრძნობად დაიღვარა, მათარა გულთან მიიდო და წამოიწყო:

– ჩემო გოგონი! ჩემო ობოლო! რა მეშველება მე უბედურს ზგოჟელიცში მარტოდმარტოს, როცა შენ წაგიყვანენ...

– მალე გაათხოვებთ ალბათ! – უთხრა ზბიშკომ. მაგრამ გრძნობამორეული ზიხი უკვე იცინოდა:

– ხა-ხა! გოგო ჯერ თხუთმეტი წლისაა და უკვე ბიჭებისკენ მიუწევს გული!.. როგორც კი შორიდან თვალს მოჰკრავს, ფეხები სულ აცა-ბაცა მიუდის.

– მამი, მე გავალ! – თქვა იაგენკამ.

– ნუ წახვალ, მე მსიამოვნებს შენთან ყოფნა...

მერე მან ეშმაკურად ჩაუკრა თვალი ზბიშკოს:

– აქ, ჩვენთან, ორი სასიძო დადის: ბჟოზოველი ვილკი და როგოველი ჩტანი. შენ რომ დაგინახონ, იმწამსვე შეგიჩნდებიან და ღრენას დაგიწყებენ, როგორც ერთმანეთს ეღრინებიან.

– ოჰო! – შესძახა ზბიშკომ.

მერე იაგენკას მიუბრუნდა და ზიხის ბრძანებისამებრ „შენობით“ უთხრა:

– შენ რომელი მოგწონს?

– არც ერთი. ვილკი ბრაზიანი ყმაწვილია! – თქვა ზიხმა.

– სხვა მხარეს იყმუვლოს!

– ჩტანი?

იაგენკამ გადაიხარხარა.

– ჩტანს, – უთხრა მან ზბიშკოს, – ცხვარივით ხუჭუჭა თმა აქვს, თვალები არც კი უჩანს და დათვივით ქონში დაცურავს.

ამის გაგონებაზე ზბიშკომ შუბლში ხელი შემოიკრა, თითქოს უცბად რაღაც გაახსენდაო, და თქვა:

– კინაღამ დამავიწყდა! რაკი ამდენ სიკეთეს იჩენთ, ხომ არ გექნებოდათ სახლში დათვის ქონი? ძალიან მჭირდება ბიძაჩემისთვის. ბოგდანეცში კი არ აღმოგვაჩნდა.

– გვქონდა, – უთხრა იაგენკამ, – მაგრამ მსახურებს გარეთ გამოუტანიათ მშვილდების გასაპოხად და მთელი ქონი ძაღლებს ამოუჭამიათ... აფსუს, აფსუს!

– სულ არაფერი დაგრჩათ?

– არაფერი. პირწმინდად მოუსუფთავებიათ!

რა გაეწყობა, ხვალ ისევ ტყეს უნდა მივაშურო.

– ალყა შემოარტყით, დათვები ტყეში ბევრია. თუ დაგჭირდათ, იარაღსაც მოგცემთ.

– სად ველოდო! ისევ სჯობია ღამით თაფლის როგოებთან ჩავუსაფრდე..

– ხუთიოდ მონადირე გაიყოლიეთ, კარგი ბიჭები გვყავს.

– ხალხი არ მინდა. ნადირს დამიფრთხობენ.

– აბა, როგორ? მშვილდს წაიღებთ?

– მშვილდით რას უნდა გავხდე იმ უკუნეთში? ახლა -ნელი ღამეებია. დაკბილულ ოროლს წავიღებ, კარგ ნაჯახს და მარტო წავალ.

იაგენკა წამით შეყოვნდა. სახეზე შეშფოთება დაეტყო.

– შარშან, – თქვა მან, - ასე წავიდა ჩვენი მონადირე ბეზდუხი და დათვმა დაგლიჯა. საშიში საქმეა: ღამით დათვი ადამიანს რომ დალანდავს, განსაკუთრებით როგოებთან, მაშინვე უკანა ფეხებზე დგება.

– აბა, რომ გაიქცეს, მაშინ ხომ ვერც მოკლავ ვერასოდეს, – შეედავა ზბიშკო.

ამასობაში ზიხს ცოტა კიდეც წაეძინა, ახლა მოულოდნელად გაიღვიძა და დაიმღერა:

შენ – გზა გელის ძნელზე ძნელი,

მე კი - რა ვქნა, მეზარება.

გასწი, შენ. წისქვილი გელის,

მე – ქორწილში მეჩქარება.

ჰოპ-ჰოპ! ჰოპ-ჰოპ!

ტაში! ტაში!

მე - ქორწილში მეჩქარება.

მერე ზბიშკოს მიუბრუნდა:

– ხომ კარგად გაიგონე, ორი ჰყავს: ბჟოზოველი ვილკი და როგოველი ჩტანი... შენ კი...

მაგრამ შეშინებულმა იაგენკამ, მამას ზედმეტი არაფერი წამოსცდესო, ზბიშკოსთან მიირბინა და ჰკითხა:

– მაშ როდის წახვალ? ხვალ?

– ხვალ, მზის ჩასვლის შემდეგ.

– რომელ როგოებთან?

– ჩვენი, ბოგდანეცის, როგოებთან, თქვენ საზღვართან რომ არის, რაძიკოვის ჭაობის მახლობლად. მითხრეს, იქ ბევრი დათვი იცისო.

XII

ზბიშკო მართლაც მეორე დღესვე წავიდა დათვზე სანადიროდ, რადგან მაცკო დღითი დღე უარესად გრძნობდა თავს. თავდაპირველად შინ მისვლით გახარებული მოხუცი ცოტათი გამოცოცხლდა და შინაურულ საქმიანობასაც მიჰყო ხელი, მაგრამ მესამე დღეს ისევ აუწია სიცხემ, ფერდშიც ისეთი ტკივილი დაეწყო, იძულებული გახდა ლოგინში ჩაწოლილიყო. ზბიშკო დღისით წავიდა ტყეში, როგოები დაათვალიერა, შორიახლოს ჭაობში უზარმაზარი დათვის ნაკვალევი შენიშნა და მეფუტკრე ვავრეკს მოელაპარაკა. ეს კაცი ზაფხულობით იქვე ახლოს ქოხში ათევდა ღამეს და ორი ავი პოდჰალური ძაღლი ჰყავდა, მაგრამ ახლა უკვე შემოდგომა იყო, სიცივეები დაიჭირა და სოფელში აპირებდა გადაბარგებას.

ვავრეკმა და ზბიშკომ ქოხი დაფუშეს, ძაღლები წამოიყვანეს და გზადაგზა აქა-იქ ხის ძირებს თაფლი წასცხეს, სუნი მხეცს მოიზიდავსო; ამის მერე ზბიშკო შინ დაბრუნდა და სანადიროდ მზადებას შეუდგა. რომ არ შესცივნოდა, ცხენირმის ტყავის უსახლებო ჯუბა ჩაიცვა, დათვს თავი რომ არ დაეტორა, რკინის მავთულის ბადით დაიფარა; თან წაიღო კარგად ნაჭედი ორკბილა ჩანგლები და განიერი მუხისტარიანი ფოლადის ცული. საღამოს, მოწველის ხანს, უკვე ნიშანთან იყო. მოხერხებული ადგილი შეარჩია, პირჯვარი გადაისახა, სამალავში ჩაჯდა და დაელოდა.

ნაძვის ტოტებს შორის ჩამავალი მზის წითელი სხივები ჩამოღვრილიყო. ფიჭვის კენწეროებს ჩხავილითა და ფრთების ტყლაშუნით დასტრიალებდნენ ყვავები; ხანდახან წყლისაკენ კურდღლები გადაირბენდნენ. მათი უღონო თათების ქვეშ წყნარად შარიშურობდა კენკრის შეყვითლებული ციცქნა ბუჩქები და ჩამოცვივნული ფოთლები. დროდადრო ნორჩ წიფელას მარდი კვერნა გადაევლებოდა. ტყის ტევრში ჯერ კიდევ გაისმოდა აქა-იქ ფრინველთა ჟრიამული.

მზე თითქმის ეფარებოდა ჰორიზონტს, ტყე კი არ მიყუჩებულიყო. მალე ზბიშკოს ცხვირწინ საშინელი ხმაურითა და ღრუტუნით გაიჯლიგინა გა-

რეული ღორების კოლტმა, შემდეგ დაწალიკებით ჩაირბინეს ერთმანეთის გავებზე დრუნჩდადებულმა ცხენირმებმა. მათ ფლოქვებქვეშ ხმელ ტოტებს ისეთი ტკაცატკუცი გაუდიოდა, რომ ტყე კრთებოდა. ცხენირმებს ბეწვი ოქროსფრად უბრწყინავდათ მზეზე, ჭაობისაქენ მიჭენაობდნენ, სადაც ღამეს უფრო მშვიდად და უშიშრად გაატარებდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, ცაში დაისი აინთო. გეგონებოდათ, ფიჭვების კენწეროები ცეცხლმა ააბრიალაო, და ირგვლივ ყველაფერი ნელ-ნელა დადუმდა. ტყე იძინებდა. სიბნელე ქვემოდან, მიწიდან წამოიშალა და გაემართა მაღლა, ავარვარებული დაისისაკენ, რომელიც თანდათან დადნა, ჩაიქუფრა, ჩანელდა და ჩაქრა.

„ახლა, სანამ მგლები არ აყმუვლდებიან, სიწყნარე იქნება“, – გაიფიქრა ზბიშკომ.

ინანა, რომ მშვილდ-ისარი არ წამოიღო, რომლითაც სულ ადვილი იყო გარეული ირმის ან ცხენირმის მოკვლა. ამასობაში ჭაობის მხრიდან ისევ მოდიოდა რაღაც ყრუ ხმები, სტვენაგარეულ მძიმე ოხვრას რომ მიაგავდა. ზბიშკო დროდადრო შეშფოთებით გახედავდა ხოლმე ჭაობს, მოაგონდა აქ ახლოს მიწურში მცხოვრები გლეხი რაძიკი, რომელიც თავისი ოჯახიანად უგზოუკვლოდ გაქრა და დღესაც არავინ იცოდა, ცამ უყო პირი თუ მიწამ. ზოგი ამბობდა, მთელი ოჯახი ყაჩაღებმა გარეკესო, მაგრამ მერე ვიღაცეები ქოხთან საოცარ კვალს წასწყდომიან, ადამიანისა იყო თუ მხეცის, ვერ გაიგებდით, და რაღაც ეჭვით აქნევდნენ თავებს. ისიც უფიქრიათ, ქშესნელი ქსონძი ხომ არ მოვიყვანოთ და ის ქოხი ხომ არ ვაკურთხებინოთო. მაგრამ საქმე აქამდე აღარ მივიდა, რადგან აქ ჩასახლება მაინც აღარავინ ისურვა. ეს ქოხმახი, უფრო სწორად, ფიჩხით ახორხლილ კედლებზე გადაგლესილი თიხა, დროთა განმავლობაში წვიმამ ჩამორეცხა; თვითონ ადგილს კი მაინც საეჭვო სახელი შერჩა. მართალია, მეფუტკრე დავრეკი ზაფხულობით ღამეს ათევდა მოწნულ ქოხში და აქ ამბებს აინუნშიაც არ აგდებდა, მაგრამ, სამაგიეროდ, თვითონ ვავრეკზეც ათასნაირი ჭორი დადიოდა. ცულითა და ორთითებით შეიარაღებულ ზბიშკოს ნადირის არ ედარდებოდა, მაგრამ უწმინდურ ძალებზე ფიქრი მაინც უშფოთება გულს და ძალიან გაიხარა, როცა ჭაობის მხარეს ყველაფერი ჩაჩუმდა.

დაფიონის უკანასკნელი გამონაშუქი მიიფერფლა და უკუნი ღამე ჩამოწვა. ქარიც ჩადგა, ფიჭვთა კენწეროების ჩვეულებრივი ხმაურიც კი აღარ ისმოდა. ხანდახან გირჩი თუ ჩამოვარდებოდა და ამ სამარისებურ სიჩუმეში ძლიერ ხმას გამოსცემდა, მერე კი ყველაფერი დადუმდებოდა და ისეთი სიჩუმე ჩამოწვებოდა, ზბიშკოს საკუთარი გულისცემაც ესმოდა.

დიდხანს იჯდა ასე და ფიქრობდა დათვზე, რომელიც წუთიწუთზე შეიძლებოდა გამოჩენილიყო, მერე გაახსენდა დანუსია, თავისი მგზავრობა შორეულ მხარეში მაზოვიის კარის ამალასთან ერთად. მან გაიხსენა, როგორ აიტაცა ხელში გამომშვიდობებისას გოგონა, რომელიც ტიროდა და სახეზე ადენდა ცრემლებს, გაახსენდა მისი ნათელი სახე, გაშლილი თმა, მარიამსაკმელას გვირგვინი, მისი სიმღერა და პაწია წითელი, ჭვინტებიანი წაღები, რომელთაც დამშვიდობებისას ემთხვია; გაახსენდა ყველაფერი, რაც კი მათი გაცნობის წუთიდან მოხდა, და გული დაწყდა, რომ ახლაც მის გვერდით არ იყო; ამ ფიქრებმა ისეთი სევდა მოჰგვარა, ისიც კი გადაავიწყდა, ტყეში რომ იყო ჩასაფრებული ნადირის მოლოდინში, და საკუთარ თავთან ლაპარაკი წამოიწყო:

„მე უეჭველად ჩამოვალ შენთან, რადგან უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია“.

ზბიშკო გრძნობდა, რომ მართლა ასე იყო, რომ უეჭველად უნდა წასულიყო მაზოვიაში, თორემ ბოგდანეცში სევდისაგან ჩამოხმებოდა. მას მოაგონდა იურანდი, მისი საოცარი სიჯიუტე და გადაწყვიტა, მით უფრო საჭიროა წასვლა და გაგება, რა საიდუმლო იმალება ამ სიჯიუტის იქით, რა ჯებირები ეღობება გზაზე, იქნებ საქმეს მტრის ორთაბრძოლაში გამოწვევამ უშველოსო რამე. ბოლოს ისიც კი მოეჩვენა, რომ დანუსია ხელებს უწვდიდა და უხმობდა: „ჩემთან, ზბიშკო, ჩემთან“. აბა, როგორ უნდა დაუდგეს ამის შემდეგ გული!

ზბიშკოს არ ეძინა, მაგრამ გოგონას ისე აშკარად ხედავდა, თითქოს გამოეცხადა ან დაესიზმრაო. მიდის ახლა დანუსია თავისი ქალბატონის გვერდით, ბარბითზე დაკვრით ართობს, უმღერის და თან ზბიშკოზე ფიქრობს. ფიქრობს, რომ მალე ნახავს, იქნებ გზასაც გაჰყურებს, ცხენის ჭენებით უკან ხომ არ მოგვდევსო. ის კი აგერ ამ ბნელით მოცულ ტყეში ზის.

ამაზე ზბიშკო უცებ გამოერკვა, მარტო ბნელი ტყის გახსენებამ კი არა, უკნიდან რაღაც ფაჩუნმაც დააცქვეტინა ყური.

ჭაბუკმა ოროლი ჩაბღუჯა და მიაყურადა.

ფაჩუნი ახლოვდებოდა და ახლა უკვე აშკარად ისმოდა. ვიღაცის ფრთხილი ფეხის ქვეშ ხმელ ტოტებს ლაწალუწი გაუდიოდა. გამხმარი ფოთლები შრიალებდა... ვიღაც მოდიოდა.

დროდადრო ფაჩუნი წყდებოდა, თითქოს ნადირი ხის ქვეშ გაჩერდა და ისეთი სიჩუმე გამეფდებოდა ხოლმე, ზბიშკოს ყურები უბჟუოდა. მერე კი ისევ გაისმოდა ნელი, ფრთხილი ნაბიჯების ხმა. ამ მოძრაობაში იმდენი

წინდახედულობა იგრძნობოდა, რომ ზბიშკო პირდაპირ გაოცებული დარჩა.

„ალბათ დათუჩას გულში შიში ჩავარდნია, აქ ქოხთან ხომ ძაღლები ჰყავდათ, – თავისთვის თქვა მან, – ან მგელმა ხომ არ იკრა ჩემი სუნი“.

ამასობაში ნაბიჯების ხმა სულ მიწყდა. მაგრამ ზბიშკომ აშკარად გაიგონა, რომ მისგან ოც-ოცდაათ ნაბიჯზე ვიღაც გაჩერდა და თითქოს ჩაცუცქდა. ერთხელ მიიხედა, მეორედ, მაგრამ ხეთა ჩრდილების მეტი ვერაფერი გაარჩია. ისღა დარჩენოდა, დალოდებოდა.

იმდენი იცადა, უკვე საგონებელში ჩავარდა.

„დათვი რომ იყოს, აქ, როგოებს ქვეშ, დასაძინებლად არ მოვიდოდა, მგელი აქამდე მომაგნებდა და დილამდე ცდას არ დაიწყებდა“.

ამ დროს, უცებ, შიშის ჟრუანტელმა დაურბინა ტანში.

რომელიღაც უწმინდური ხომ არ ამოძვრა ჭაობიდან და უკნიდან ხომ არ ეპარება? ახლა რომ უცებ დამხრჩვალის ლორწოიანი ხელები შემოეჭდოს ან სახეში თავისი მწვანე თვალებით ჩახედოს ვამპირმა; ან არადა, ზურგსუკან ვიღაცამ გადაიხარხაროს, ან ფიჭვს ამოფარებული, ობობას ფეხებზე შემოდგმული ლურჯი თავი გამოჩნდეს?

მან იგრძნო, რომ რკინის ჩაფხუტის ქვეშ თმა ყალყზე დაუდგა.

ერთი წუთის მერე ისევ გაისმა ფაჩუნი, მაგრამ ახლა უკვე წინიდან და თანაც უფრო ძლიერი. ზბიშკომ შვებით ამოისუნთქა. მართალია, იფიქრა, უწმინდურმა წინიდან დამიარაო, მაგრამ ეს უკეთესი იყო. მან მაგრად ჩაბღუჯა ოროლი და დაელოდა.

უცებ ფიჭვების შრიალი მოესმა – ჭაობის მხრიდან ქარმა წამოუბერა და ვაჟმა მაშინვე ნადირის სუნიც იკრა.

ეჭვი არ იყო, დათვი მოაბოტებდა.

შიში ერთბაშად გაუქრა, ზბიშკომ თავი დახარა და სმენა და მხედველობა დაძაბა. მძიმე ნაბიჯები ახლოვდებოდა, სუნიც უფრო აშკარად იგრძნობოდა. მალე ქშენა და ყრუ ღრენაც გაისმა.

„ნეტა კი ორი ერთად არ იყოს!“ – გაიფიქრა ზბიშკომ.

სწორედ იმწამს ნადირის უზარმაზარი ლანდი წინ აესვეტა. დათვი თაფლის სუნზე მოდიოდა ქარის მხრიდან და უკანასკნელ წუთამდე ვერ იყნოსა ადამიანი.

– აქეთ, დათუჩა! – შეუძახა ზბიშკომ, ფიჭვს მოსცილდა და წინ წამოდგა.

დათვმა ერთი დაიღმუვლა, თითქოს ადამიანის მოულოდნელმა გამოჩენამ გააკვირვაო, მაგრამ უკვე ძალიან ახლოს იყო და გაქცევას ვეღარ მოახერხებდა. ნადირი უკანა ფეხებზე აიმართა, წინა თათები კი ისე გაშალა, გეგონებოდათ, ზბიშკო გულში უნდა ჩაიკრასო. ზბიშკოც სწორედ ამას ელოდა, ადგილიდან ელვის უმალ მოწყდა, თავისი მძლავრი კუნთები დაძაგრა და მთელი ძალით ატაკა ოროლი მკერდში.

ველურმა ღრიალმა ტყე შესძრა. დათვმა თათები წაატანა ოროლს და ამოძრობა სცადა, მაგრამ ნაკბილები არ უშვებდა, ტკივილი მოემატა და უარესად აღრიალდა. ახლა დატორვა მოუნდომა ზბიშკოს, მაგრამ უნებურად ოროლს დააწვა, რომელიც თანდათან უფრო ერჭობოდა გულში. ზბიშკო ხელიდან არ უშვებდა ოროლის ტარს, რადგან არ იცოდა, რამდენზე იყო ჩარჭობილი. ადამიანი და მხეცი აბორგდნენ. ტყეს აზანზარებდა ღრიალი, რომელშიც სასოწარკვეთილება და გააფთრება – ორთავე ერთად ისმოდა.

ზბიშკოს უნდოდა ცული აეღო, მაგრამ ამისთვის ოროლი წაწვეტებული ბოლოთი მიწაში უნდა ჩაერჭო. დათვს კი, თითქოს მიხვდაო, რაც ხდებოდა, თათები ჩაევლო ტარისთვის და, თუმცა ყოველ განძრევაზე საშინელი ტკივილი ტანჯავდა, აქეთ-იქით აქანებდა მას ზბიშკოსთან ერთად, – არ აძლევდა საშუალებას მიწაზე მიეკრო, ულმობელი ბრძოლა გაგრძელდა და ზბიშკომ იგრძნო, რომ ძალა ეცლებოდა, სადაც იყო დაეცემოდა, ეს კი უეჭველ სიკვდილს მოასწავებდა; ზბიშკომ მთელი ძალა მოიკრიბა, ფეხები გაჯგიმა, მშვილდივით მოიხარა წელში და კრიჭაშეკრულმა წაისისინა:

– ან შენ უნდა მოკვდე, ან მე!..

და უცებ ისეთმა რისხვამ მოიცვა, ისე გააფთრდა, რომ მზად იყო უმალ დაღუპულიყო, ვიდრე ნადირი ხელიდან გაეშვა. ამ დროს ხის ფესვს წამოედო, წაბარბაცდა და უეჭველად წაიქცეოდა, რომ იმწამს მის გვერდით შავი ფიგურა არ აღმართულიყო. დათვი მიწას მეორე ოროლმა „მიაჭედა“ და ვიღაცამ ზედ ყურთან ჩასძახა:

– ცული დაჰკარ!..

ზბიშკო ისე იყო ბრძოლაში გართული, რომ არც კი დაფიქრებულა, ვინ მიეშველა ასე მოულოდნელად; ცულს ხელი დასტაცა და მთელი ძალით ჩასცხო ნადირს. დათვი მიწას დაენარცხა. თავისი სხეულის სიმძიმით ოროლი დაამტვრია, იგრიხებოდა, ხრიალებდა. მალე ხრიალი შეწყდა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ზბიშკოს მძიმე ქშენის მეტი აღარაფერი ისმოდა. ჭაბუკი დაბარბაცდა და ფიჭვს მიეყრდნო, რომ არ დავარდნილიყო. ერთი წამის მერე თავი ასწია, შიშით შეხედა გვერდით მდგარ ფიგურას, უნდოდა დარ-

წმუნებულიყო, ადამიანია თუ არაო, რომელი ხარ? – ჰკითხა შეშფოთებულმა.

– იაგენკა, – გამოეპასუხა ნაზი ქალური ხმა.

ზბიშკოს გაოცებისაგან ენა ჩაუვარდა, საკუთარ თვალებს არ უჯერებდა. მაგრამ ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა – მან ისევ გაიგონა იაგენკას ხმა:

– ახლავე ცეცხლს გავაჩაღებ...

ტალ-კვესი გაკრა, დაიფრქვა ნაპერწკლები და მის ბჟუტალა სინათლეზე ზბიშკომ გაარჩია თეთრი შუბლი, შავი წარბები და გამობუშტული ტუჩები გოგონასი, რომელიც ცეცხლს აღვივებდა. ახლაღა მიხვდა, რომ იაგენკა ტყეში მის საშველად მოსულიყო. და თუ არა მისი ოროლი, შეიძლებოდა საქმე ძალზე ცუდად დამთავრებულიყო. ვაჟს გული ერთბაშად მადლიერების გრძნობით აევსო, ბევრი აღარ უფიქრია, ქალიშვილს ხელი მოჰხვია და ორთავე ლოყა დაუკოცნა.

კვესი და აბედი გოგოს ხელიდან გაუვარდა.

– გაჩერდი, რას სჩადი! – უთხრა მან ყრუდ, მაგრამ არ გაწეულა, პირიქით, თითქოს შემთხვევით ტუჩებით ზბიშკოს ტუჩებსაც შეეხო.

ზბიშკომ ხვევნას თავი ანება და უთხრა:

– მადლობელი ვარ. შენ რომ არა, ვინ იცის, რა მომელოდა.

იაგენკა სიბნელეში ჩაცუცქდა კაჟისა და აბედის მოსანახად და თან უხსნიდა:

– შემეშინდა, არაფერი დაგშავებოდა. ბეზდუხსაც ჰქონდა ცული და ოროლი წაღებული, მაგრამ დათვმა მაინც დატორა. შენ რომ რამე შეგმთხვეოდა, მაცკო ძალიან იდარდებდა, ისედაც ძლივს უდგას სული.... ავდექი, დავავლე ხელი ოროლს და წამოვედი...

– მაშ შენ იყავი, ნაძვებს უკან რომ იმალებოდი?

– მე ვიყავი.

– მე კი უწმინდური მეგონე.

– მეც სულ ვკანკალებდი. ამ ჭაობებში ღამით ძალიან საშიშია.

– რატომ ხმა არ გამეცი?

– შემეშინდა, არ გაგეგდე.

მერე ცეცხლის გაღვივებას მოჰყვა, ხმელი ქერელი დააყარა და ცეცხლი ერთბაშად აბრიალდა.

– ორად ორი ნაფოტი მაქვს, – უთხრა ქალმა, – ფიჩხი მოაგროვე ჩქარა, ცეცხლი გავაჩაღოთ.

მალე კოცონი ხალისიანად აგიზგიზდა და ალისფერმა ენებმა გაანათა სისხლის გუბეში დაგდებული დათვის უზარმაზარი სხეული.

– რამოდენაა! – სიამაყით თქვა ზბიშკომ.

– ღმერთო ჩემო! თავი სულ გაჩეხილი აქვს!

ამის თქმაზე იაგენკა დაიხარა და დათვს ბალანში ხელი შეუთათუნა, უნდოდა გაეგო, მსუქანია თუ არაო, მერე კი გახარებული წამოდგა:

– იმდენი ქონი აქვს, ორი წელი გეყოფათ!

– შეხედე, შენი ოროლი გატეხილა!

– ჰო, ეგ ცუდია, შინ რა უნდა ვუთხრა?

– განა გაგიχავრდებიან?

– მამა არაფრის გულისთვის ტყეში არ გამომიშვებდა. დაველოდე, სანამ ყველამ დაიძინა, და გამოვიპარე.

ერთი წამის მერე გოგონამ დაუმატა:

– არავის უთხრა, აქ რომ ვიყავი, თორემ მასხარად ამიგდებენ.

– სახლამდე მაინც უნდა მიგაცილო, გზაში მგლებმა არა დაგიშავონ რა. ოროლიც აღარა გაქვს.

– კარგი.

ასე საუბრობდნენ ისინი აგიზგიზებული კოცონის პირას, მოკლული დათვის გვერდით. ზბიშკომ უყურა, უყურა იაგენკას ცეცხლის ალზე განათებულ მშვენიერ სახეს და ბოლოს უნებური აღტაცებით უთხრა:

– შენსავით გულადი ქალიშვილი ალბათ მთელ დუნიაზე მეორე არ დადის. შენ მეომრად უნდა გაჩენილიყავი!

ქალმა ერთი კი შეხედა, მერე ნაღვლიანად უთხრა:

– ეგ მეც ვიცი... ოღონდ არ დამცინო.

XIII

იაგენკამ საკუთარი ხელით გადაადნო სავსე ქოთანი დათვის ქონი და მაცკომაც სიამოვნებით დალია პირველი ტოლჩა, რადგან ეს ქონი ახალი

იყო, არც დამწვრის გემო ჰქონდა და ანგელოზას სუნიც ასდიოდა, შინაური წამლების კეთებაში გაწაფულ ქალიშვილს ზომაზე რომ ჩაეყარა. მაცკო გამხნევდა და ისევ დაუბრუნდა გამოკეთების იმედი.

– სწორედ ეს მაკლდა, – ამბობდა ის, – ახლა, მთელი სხეული ქონით რომ გამეჟღინთება, იქნებ ეს შობელძაღლიც გამოძვრეს.

მომდევნო ტოლჩები მას ისეთი გემრიელი აღარ ეჩვენა, მაგრამ რაკი ჯანმრთელობისათვის ასე იყო საჭირო, მაინც სვამდა. იაგენკაც ამხნევებდა:

– მალე გამომჯობინდებით. ბილუდა ოსტროგელს ჯაჭვის პერანგის რგოლები კისერში ჩაერჭო და ქონმა გამოუყვანა. როგორც კი ჭრილობა პირს გაიხსნის, თახვის ქონს წავუსვამთ.

– მერე სადა გაქვს თახვის ქონი?

– მაქვს. თუ ახალი დაგვჭირდება, მე და ზბიშკო წავალთ თახვებზე სანადიროდ. თახვი აქ ბლომად არის. ისე, კაცმა რომ თქვას, ცუდი არ იქნებოდა, რომელიმე წმინდანისათვის რომ აღთქმა მიგეცათ.

– ეგ მეც ვიფიქრე, მაგრამ არ ვიცი, რომელს შევევედრო. წმინდა გიორგი რაინდების მფარველია, მებრძოლს ფათერაკისაგან იცავს, და, თუ საჭიროა, სიმამაცესაც ჩაუნერგავს. იმასაც ამბობენ, ხშირად თვითონ ამოუდგება მხარში, ვისი სიმართლეც სწამს, და ღმერთისათვის უსიამო ხალხის დამარცხებაში ეხმარებაო. მაგრამ საეჭვოა, სხვისი ჭრილობების მკურნალობა ისურვოს იმან, ვინც თვითონ ბრძოლისაკენ მიილტვის. ამ საქმისათვის ალბათ ვინმე სხვა წმინდანი უფრო გამოდგება, რომელსაც წმინდა გიორგი ხელს არ შეუშლის. ყველა წმინდანს თავისი ადგილი და თავისი მეურნეობა აქვს ცაში – ეს ხომ ცნობილია! იქ ერთმანეთის საქმეში არავინ ჩრის ცხვირს. ასე რომ არ იყოს, უსიამოვნება მოუვიდოდათ, ცაში კი წმინდანებს ჩხუბი და უსიამოვნება არ შეშვენით... აი, კოსმა და დამიანეც დიდი წმინდანები არიან, მკურნალებს სხვა სალოცავი არ გააჩნიათ, სულ იმას შესთხოვენ, ავადმყოფობას ნუ მოსპობ ამქვეყნად, თორემ ლუკმა დაგვეკარგებაო. აი, წმინდა აპოლონია კბილის ტკივილს არჩენს, წმინდა ლიბორიუში კენჭებისაგან ჰკურნავს, მაგრამ ეს მაინც ის არ არის, რაც ჩვენ გვინდა! აბატი მოვა და იმას ვკითხავ, ვისა სჯობია ვეაჯო, ზეციურ საიდუმლოებებს ის ჩასწვდა, ვინმე უხეირო კლერიკი კი არ გეგონოთ, ინჩიბინჩი რომ არაფრისა გაეგებათ ხოლმე. მერე რა, რომ კინკრიხო გაპარსული აქვს.

– იქნებ თვითონ იესო ქრისტესათვის მიგეცათ აღთქმა?

– რაღა სალაპარაკოა, ქრისტე ყველაზე მაღალია, მაგრამ ეს ხომ იგივეა, რომ ავდგე და კრაკოვში მეფესთან ვიჩივლო, ვთქვათ, მეზობელმა გლეხი გამილახა-მეთქი. რას მეტყოდა მეფე: „მეო, – მეტყოდა ის, – მთელი სამეფოს მბრძანებელი ვარ. შენ კი შენი გლეხით მეჩრებიო! მაგისი სამართალი ვეღარ გიპოვია? ვერ ადექი და ვერ წახვედი ჩემს კაშტელანთანო?“ იესო ქრისტე ქვეყნიერების მფლობელია, გასაგებია? შედარებით მცირე საქმეებისათვის კი წმინდანები ჰყავს.

– იცით, რას გეტყვით, – უთხრა ზბიშკომ, რომელიც მოსაუბრეებს ის-ის იყო მიუახლოვდა, – აღუთქვით ჩვენს განსვენებულ დედოფალს, რომ თუ მოგარჩენთ, კრაკოვში ჩახვალთ და თაყვანს სცემთ მის საფლავს. განა ცოტა სასწაულის მომსწრე ვიყავით მისგან? სხვისი წმინდანები რაზე უნდა ვეძებოთ, როცა საკუთარი გვყავს იმათზე უკეთესი!

– კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ის რომ აღარ ვიცით, ჭრილობებს ჰკურნავს თუ არა?

– თუნდაც არ ჰკურნავდეს! ვერც ერთი წმინდანი ვერ გაბედავს, ცერად შეხედოს მას. გაბედავს და მამა ღმერთისაგან მიიღებს საკადრისს, – ვინმე მდაბიო დედაკაცი კი არ არის, პოლონეთის დედოფალია...

– ეგეც არ იყოს, მან მთელი წარმართი ქვეყანა მონათლა, – დასძინა მაცკომ. – ეგ შენ ძალიან ჭკვიანურად მოიფიქრე. ცხადია, მისი ბრწყინვალეება მართლმორწმუნეთა საბჭოს მონაწილე ბრძანდება. აბა, სად ძალუძს რომელიმე მდაბიოს მასთან შეჯიბრება. როგორც შენ მირჩიე, სწორედ ეგრე მოვიქცევი. ისე მე ვიხარო!

ეს რჩევა იაგენკასაც ჭკუაში დაუჯდა. მას საერთოდ აოცებდა ზბიშკოს გონიერება. მაცკომ იმავე საღამოს დადო საზეიმო აღთქმა და უფრო იმედიანად განაგრძო დათვის ქონის სმა. ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ დღეს თუ ხვალ უნდა გამოჯანსაღებულიყო. ასე გავიდა ერთი კვირა. მაცკოს იმედი გადაუწყდა. ბევრი ქონისგან მუცელი უბუყბუყებდა და ბოლო ნეკნთან რაღაც მარგულივით ებერებოდა. ათა დღის მერე მოხუცის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარეს - და, ძალზე დასუსტდა, ისევ აუტყდა ციებ-ცხელება და სიკვდილის შესახვედრად დაიწყო მზადება. ერთხელ ღამით მან უცბად გააღვიძა ზბიშკო.

– ჩქარა, ჭრაქი დაანთე, – უთხრა მოხუცმა, – ჩემს თავს რაღაც ამბავია, მაგრამ კარგი თუ ცუდი, ვერ გამიგია.

ზბიშკო საწოლიდან წამოხტა, გვერდით ოთახში გავარდა, ფისის ჭრაქი აანთო და მაცკოსთან დაბრუნდა.

– რა დაგემართათ?

– რა და, დაჩირქებული გამისკდა, ეტყობა, ისრის წვერი გამოდის! ხელიც კი შევახე, მაგრამ ვერაფრით ვერ გამოვიღე, მხოლოდ ფრჩხილების მიკარებაზე ფხაჭუნებს.

– რაღა თქმა უნდა, ისარია. კარგად მოავლეთ ხელი და გამოსწიეთ.

მაცკო იგრიხებოდა და ტკივილისაგან გმინავდა, მაგრამ თითებს უფრო ღრმად ჰყოფდა ჭრილობაში, სანამ რაღაც მაგარ საგანს არ ჩაეჭიდა; ბოლოს მძლავრად გამოსწია და გამოათრია ჭრილობიდან.

– ღმერთო დიდებულო!

– გამოიღეთ? – ჰკითხა ზბიშკომ.

– გამოვიღე. ცივ ოფლში ვცურავ, მაგრამ მაინც გამოვიღე, შეხედე ერთი!

და მან აჩვენა ზბიშკოს გრძელი წვეტიანი ლითონის ნამსხვრევი, რომელიც ცუდად ნაჭედი ისრის პირს მომტვრეოდა და რამდენიმე თვე მოხუცის სხეულში მოკალათებულიყო.

– მადლობა ღმერთს და დედოფალ იადვიგას! ახლა მალე მოიკეთებთ.

– ცოტა უკეთ ვარ, მაგრამ ჯერ საშინლად მტკივა, – თქვა მაცკომ. თან იარას იწურავდა, საიდანაც უამრავი სისხლნარევი ჩირქი გამოდიოდა. – ეს სიბინძურე რომ ნაკლები დარჩება, ტკივილიც მიკლებს. იაგენკა ამბობდა, მერე ჭრილობას თახვის ქონი უნდა წავუსვათო.

– ხვალვე წავალთ თახვის მოსაკლავად.

დილით მაცკო გაცილებით უკეთესად გრძნობდა თავს, გვიანობამდე ეძინა და რომ გაიღვიძა, საჭმელი მოითხოვა. დათვის ქონის დანახვაც აღარ შეეძლო, სამაგიეროდ. ტაფაზე ოციოდე კვერცხი დაუხალეს – ამაზე მეტის მიცემა - იაგენკას შეეშინდა. მაცკო მადიანად შეექცა ერბოკვერცხს, თან ერთი დიდი პურის ნახევარიც მიატანა, ზედ ოთხი ჩარექი ლუდი დააყოლა, კარგ გუნებაზე დადგა და ზიხის მოყვანა მოითხოვა.

ზბიშკომ მეზობლის მოსაყვანად ზავიშას ნაჩუქარი თურქი გაგზავნა.

შუადღე ახალი გადასული იყო, ზიხმა რომ ცხენი მოაგელვა. ზბიშკო და იაგენკა სწორედ თახვზე სანადიროდ აპირებდნენ წასვლას ოდსტაიანის ტბაზე. მოხუცები ჯერ თაფლუჭს მიუსხდნენ, იცინოდნენ, ოხუნჯობდნენ და მღეროდნენ, მერე კი ბავშვებზე ჩამოაგდეს სიტყვა და ორივე თავისას აქებდა.

– როგორი ყოჩაღი ბიჭია - ჩემი ზბიშკო! – თქვა მაცკომ. – ქვეყანაზე ბადალი არა ჰყავს. მამაციცაა, მერანივით! სწრაფიც, მოხერხებულიც. უნდა გენახათ, როგორ მოთქვამდნენ გოგოები, კრაკოვში დასასჯელად რომ მიჰყავდათ, მერე როგორი გოგოები – სულ რაინდებისა და კაშტელანების ქალიშვილები, მოქალაქეთა ლამაზმანებზე ხომ აღარაფერს ვამბობ.

– მერე რა, რომ ისინი ლამაზები და კაშტელანის ქალიშვილები არიან! ვითომ რითი სჯობიან ჩემს იაგენკას! – მოუჭრა ზიხ ზგოჟელიცელმა.

– მერე მე როდის ვამბობ, სჯობიან-მეთქი. იაგენკაზე საყვარელი გოგო იშვიათად მოიძებნება.

– არც მე მეთქმის ზბიშკოზე ცუდი, მშვილდს უსათითუროდ სჭიმავს.

– დათვსაც მარტოხელა დააკრავს დედამიწაზე. ნახე, როგორ დაჩეხა? თავი მხარიღლივ ჩამოათალა.

– თავი კი ჩამოათალა, მაგრამ მიწაზე მარტოს არ მიუჭედებია. იაგენკა დაეხმარა.

– იაგენკა?.. ჩემთვის ამაზე არაფერი უთქვამს.

– იაგენკას სიტყვა მისცა, ხმა არ ამოეღო. გოგოსთვის, ტყეში ღამით მარტო ხეტიალი დიდი სახელი არ არის. მე კი შვილმა მაშინვე მიამბო, რაც მოხდა. ზოგს ტყუილი უყვარს, ის კი არაფერს მიმალავს. მართალი გითხრა, მეც დიდად არ მომეფონა გულზე, ეშმაკმა იცის მაგათი თავი... მინდოდა ერთი კარგად მიმეთათხა, მაგრამ, იცი, რა მითხრა: „ჩემს ქალიშვილობას და სინდისს თუ მე თვითონ არ მოვუფრთხილდები, თქვენ, მამა, ვერაფერს მიშველით, შიში ნურაფრისა გაქვთ, ზბიშკომაც კარგად იცის, რას ნიშნავს რაინდული პატიოსნებაო“.

– ეგ მართალია. აგერ დღესაც მარტო არ წავიდნენ?!

– მაგრამ საღამოს ისევ სახლში დაბრუნდებიან. მაცდური ღამე კი სხვა არის, გოგოსაც იმდენი აღარ რცხვენია სიბნელეში.

მაცკო ერთხანს ჩაფიქრდა, მერე კი თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

– მაინც მეჩვენება, რომ ერთმანეთისაკენ მიუწევთ გული...

– ეჰ! ნეტა სხვისთვის არ ჰქონდეს მიცემული სიტყვა.

– მართალია, მაგრამ ხომ იცით, რაინდული წესი მოითხოვდა ასე... თუ ჭაბუკ რაინდს ქალბატონი არა ჰყავს, კაპიკია მისი ფასი... ზბიშკო მას ფარშავანგის ჯიღებს დაჰპირდა, ამაზე რაინდული ფიცი დადო და მეტი გზა აღარ არის, უნდა კიდევაც წაგლიჯოს გერმანელებს თავიდან ჯიღები. ლიხ-

ტენშტაინიც უეჭველად უნდა დაამარცხოს. დანარჩენი აღთქმებისაგან აბატს შეუძლია მისი განთავისუფლება.

– აბატი დღეს არა, ხვალ გამოჩნდება....

– ეგრე გგონიათ? – ჰკითხა მაცკომ, მერე კი განაგრძო:– რა ფასი აქვს მთელ ამ აღთქმებს, როცა იურანდმა მიუკიბმოუკიბავად უთხრა, ქალს ცოლად არ მოგცემო! არ ვიცი, სხვას არის შეპირებული, თუ ღმერთს, გარკვევით კი თქვა, არ მოგათხოვებო...

– აკი გითხარით, აბატს იაგენკა ღვიძლი შვილივით უყვარს-მეთქი. ბოლო შეხვედრაზე ასე უთხრა: „ნათესავები მხოლოდ ქალის მხრიდან მყავს. მაგრამ მე რომ მოვკვდები, ჩემი ქონება შენ შემოგემატება და არა იმათო“.

მაცკომ მას შეშფოთებით შეხედა, ცოტა ეჭვითაც, ერთი წუთის მერე კი თქვა:

– ალბათ არც ჩვენ გვაწყენინებს...

– იაგენკას მე მზითევში მოჩიდოლს ვაძლევ, – სიტყვა გადაიტანა ზიხმა.

– ახლავე?

– ახლავე. სხვას არ მივცემდი. მაგას კი ვაძლევ.

– ნახევარი ბოგდანეცი ისედაც ზბიშკოსია, და თუ ღმერთმა ჯანი დამიბრუნა და მეურნეობა წესრიგში მოვიყვანე, ხომ უკეთესი და უკეთესი. მთავარი ის არის, თვალში მოგდით თუ არა ზბიშკო?

ზიხმა თვალები ააფახულა და თქვა:

– ყველაზე ცუდი ის არის, რომ ზბიშკოს ხსენებაზე იაგენკა მაშინვე კედლისაკენ შებრუნდება ხოლმე.

– როცა სხვებს უხსენებ?

– როცა სხვებს ვუხსენებ, ერთს ჩაიფრუტუნებს და მეტყვის: „სხვა კიდევ ხომ არაფერი გნებავთო?“

– ხომ ხედავთ. ღმერთმა ქნას, რომ ამ გოგოს სიახლოვემ ზბიშკოს მეორე დაავიწყოს. მე უკვე ხანში შესული ვარ და მაგის ადგილას მეც კი დავივიწყებდი ყველაფერს... თაფლუჭს მიირთმევთ?

– დავლევ.

– მაგრამ აბატი... კაი ჭკვიანი კაცია! მოგეხსენებათ, აბატები ხშირად ერისკაცებიც არიან, ეს კი, თუმცა ბერებში არ ცხოვრობს, მაინც ქსონძია,

ქსონძი კი ყოველთვის საქმიან რჩევას მოგცემს, აბა, სად ის და სად უბრალო ადამიანი. მან კითხვაც იცის და სულიწმინდასთანაც აქვს საქმე. ხოლო მოჩიდოლს რომ ახლავე აძლევთ ქალს, ძალიანაც სწორად იქცევით. მეც, თუ ღმერთმა ქნა და გამოვჯანმრთელდი, ვილკ ბჟოზოველისაგან უფრო მეტ გლეხებს გადმოვიბირებ. თითო ნაგლეჯ კარგ მიწას მივცემ. მადლობა ღმერთს, ბოგდანეცში მიწა საკმარისია. შობას წავიდნენ ხოლმე ვილკთან, მიულოცონ და მერე ჰაიდა, ისევ ჩემთან. რაო, განა არ ივარგებს? მერე ბოგდანეცში დაბასაც გავაშენებ, მუხის მცირე ციხე-კოშკს ავაგებ, გარშემო თხრილს შემოვავლებ... იარონ ზბიშკომ და იაგენკამ ახლა ერთად სანადიროდ... მალე ალბათ თოვლსაც დასდებს... ერთმანეთს შეეჩვევიან, ბიჭი სხვას გადაივიწყებს. იარონ, როგორც უნდათ, რაღა ბევრი გავაგრძელოთ, მიათხოვებთ თუ არა იაგენკას?

– მივათხოვებ. აკი კარგა ხანია გულში გვაქვს ჩათქმული, რომ ეგენი ერთმანეთისთვის არიან გაჩენილი, მოჩიდოლი და ბოგდანეცი კი ჩვენი შვილთაშვილებისთვის.

– გრადი! – სიხარულით შესძახა მაცკომ. – ღმერთმა ქნას, რომ შვილთაშვილები სეტყვასავით წამოვიდნენ, აბატი სუყველას მოგვინათლავს...

– თუ ბიჭია, აუვიდეს! – შესძახა ზიხმა. – კარგა ხანია, ასეთ გუნებაზე აღარ მინახიხართ.

– რატომღაც გული საგულეს აღარ მიდგება სიხარულით... ისრის ნატეხი მოვიშორე, რაც შეეხება ზბიშკოს, თქვენ იმისი დარდი ნუ გაქვთ. გუშინ იაგენკა ცხენზე ჯდებოდა, ქარიანი დღე იყო... მე ვეკითხები ზბიშკოს: „ხედავ?“ – ის კი დგას, გრძნობადაა დაღვრილი. ისიც შევნიშნე, რომ თავდაპირველად ერთმანეთში ცოტას ლაპარაკობდნენ, ახლა კი, როცა სასეირნოდ მიდიან, ერთმანეთს თვალს არ აშორებენ და ენას ვერ აჩერებენ! დავლიოთ კიდევ!

– დავლიოთ!

– ეს გაუმარჯოს ზბიშკოსა და იაგენკას.

XIV

მოხუცი მაცკო მართალს ამბობდა, ზბიშკო და იაგენკა სიამოვნებით ხვდებიან ერთმანეთს და ცალ-ცალკე კიდევაც სწყინდებათო. ვითომდა ავადმყოფი მაცკოს სანახავად იაგენკა ხშირად ჩამოდიოდა ბოგდანეცში

ხან მარტო, ხან მამასთან ერთად, მადლიერი ზბიშკოც დროდადრო ეახლებოდა ხოლმე. ზგოჟელიცელს, ასე, რომ, რაც ხანი გადიოდა, იაგენკასთან უფრო მეტი სიახლოვე და მეგობრობა აკავშირებდა. ძალიან შეეჩვივნენ ერთმანეთს და სიამოვნებით „თათბირობდნენ“. ასე ვთქვათ, ლაქლაქებდნენ ყველაფერზე, რაც კი აინტერესებდათ. მეგობრობდნენ, თანდათან ერთმანეთიც მოსდიოდათ თვალში: ახალგაზრდა მშვენიერი ზბიშკო, რომელმაც ომშიც მოასწრო თავის გამოჩენა, ასპარეზობებშიც ღებულობდა მონაწილეობას, მეფის კარზედაც ნამყოფი იყო, ვიღაც ჩტან როგოველთან და ვილკ ბჟოზოველთან შედარებით ქალიშვილს ნამდვილ კარის რაინდად ეხატებოდა, თითქმის უფლისწულადაც. ზბიშკო კი ხანდახან გაოგნებული იყო ქალიშვილის მშვენებით. მთელი თავისი შეგნებით დანუსიას ერთგული რჩებოდა, მაგრამ ხშირად, ხან ტყეში, ხან შინ, უცებ რომ თვალს შეავლებდა, უნებურად წამოსცდებოდა: „ნამდვილი ჯეირანია!“ როცა ქალიშვილს ხელს შემოჰხვევდა და ცხენზე შესვამდა, გრძნობდა, როგორი მკვრივი და ჩამოქნილი სხეული ჰქონდა და თავგზა ებნეოდა. მაცკოს თქმისა არ იყოს, ტკბილი ჟრუანტელი დაუვლიდა, ძარღვებში სისხლი აუდუღდებოდა ხოლმე.

ბუნებით ამაყი, მქირდავი და ჩხუბისთავი იაგენკა ზბიშკოსთან საოცრად თვინიერი ხდებოდა, თითქოს მსახურია და თავის ბატონს თვალებში შეჰყურებს, რა უფრო ესიამოვნებაო. ზბიშკოს კარგად ესმოდა, რა განწყობითაც იყო მასთან ქალი, ამიტომ ძალზე ემადლიერებოდა და უფრო ხშირი შეხვედრის მოსურნეც იყო. რაც მაცკომ დათვის ქონის სმა დაიწყო, ისინი თითქმის ყოველდღე ნახულობდნენ ერთმანეთს, ხოლო როცა მოხუცს ისრის წვერი გარეთ გამოუვიდა და ჭრილობის პირის შესაკრავად თახვის ქონი დასჭირდა, ორთავენი ერთად წავიდნენ თახვზე სანადიროდ.

ისინი ცხენებზე შესხდნენ, თან მშვილდ-ისრებიც წაიღეს და იაგენკას სამზითვო მოჩიდოლის მხარეს მიაშურეს, მერე კი ტყეში გადაუხვიეს; ცხენები ტყის პირას მეჯინიბეს დაუტოვეს, ხოლო თვითონ ფეხით გაუდგნენ გზას, – ჭაობებსა და შამბნარში ძნელი იყო ცხენით სიარული. გზად იაგენკამ ზბიშკოს მინდორს გაღმა ტყის ლურჯი ზოლი დაანახვა და უთხრა:

– ეს ჩტან როგოველის ტყეა.

– იმისა, შენი ცოლად შერთვა რომ უნდა?

ქალს გაეცინა:

– კი უნდა, თუ მივყვები!

– თავის დაცვა შენთვისაც ადვილია. ვილკი უნდა დაიხმარო. ამბობენ, კბილებს ილესავსო ჩტანზე. საოცარი ის არის, ამდენ ხანს რომ ორთაბრძოლაში არ გამოიწვიეს ერთმანეთი.

– მამა რომ ომში მიდიოდა, ორთავეს ასე დაუბარა: „თუ თქვენ ერთმანეთს წაეჩხუბებით, არც ერთი თვალით აღარ დამენახვოთო“. რაღა დარჩენოდათ? როცა ზგოჟელიცში არიან, ერთმანეთს უღრენენ, მერე ქშესნიაში ერთად ლოთობენ დუქანში, სანამ გონი არ წაერთმით.

– სულელები!

– ვითომ რადაო!

– სანამ ზიხი შინ არ იყო, რომელიმე თავს უნდა დასხმოდა ზგოჟელიცს და ძალით წაეყვანე. აბა, რაღას გააწყობდა ზიხი, როცა ომიდან დაბრუნებულს ხელში ჩვილატატებული დახვდებოდი. იაგენკას ცისფერმა თვალებმა ელვასავით დააკვესეს:

– შენა გგონია, დავნებდებოდი? რაო, ვითომ ზგოჟელიცში ხალხი გაწყდა, თუ მე ვეღარ ვხმარობ ოროლსა და მშვილდ-ისარს? აბა, ერთი გაებედათ! ბარგსაც ავუკრავდი, მე თვითონ იქითაც დავესხმოდი თავს როგოვს ან ბზოჟოვს. მამაჩემმა იცოდა, რომ გულდამშვიდებულს შეეძლო ომში წასვლა.

ამის თქმაზე იაგენკამ ისე შეჰკრა ლამაზი წარბები და ისე მრისხანედ დაიწყო მშვილდ-ისრის ქნევა, რომ ზბიშკოს გაეცინა და თქვა:

– შენ ქალად კი არა, რაინდად უნდა გაჩენილიყავ. ქალი დამშვიდდა და უთხრა:

– ჩტანი ვილკისგან მიცავდა, ვილკი – ჩტანისგან, აბატიც მმფარველობდა, იმასთან შებმას კი არავის ვურჩევ...

– ჰერიჰაა! – უთხრა ზბიშკომ, – აქ როგორ ყველას ეშინია აბატისა! შენს ამბავს რაც შეეხება, მაინც გეტყვი, რომ არ შემეშინდებოდა არც აბატის, არც ზიხის, არც ზგოჟელიცელი გლეხუჭების, არც შენი. წმინდა გიორგის ვფიცავ, არ შემეშინდებოდა არავისი. ავდგებოდი და წაგიყვანდი ძალით. მორჩა და გათავდა...

იაგენკა ადგილზევე გაშეშდა, თვალები ზბიშკოს მიაპყრო და შეცვლილი ხმით ჰკითხა:

– წამიყვანდი?..

ტუჩები გაჰპობოდა და დაფიონივით ალმურმოდებული პასუხს ელოდა. მაგრამ ვაჟი, ეტყობოდა, ისევ იმაზე ფიქრობდა, როგორ მოიქცეოდა, ჩტანის ან ვილკის ადგილას რომ ყოფილიყო, და წამის მერე ოქროსფერი კულულების რხევით განაგრძო:

– რატომ უნდა ედავოს გოგო ბიჭებს, თუკი მისი გათხოვების დრო მოსულა? თუ მესამე საქმრო არ გამოჩნდა, იმ ორში უნდა ამოარჩიო, რა გაეწყობა?

– მაგას ნუ გამაგონებ. – თქვა ნაღველმორეულმა იაგენკამ.

– რატომ? მე დიდი ხანია აქ აღარა ვყოფილვარ და არ ვიცი, არის თუ არა ვინმე ახლომახლო შენი მოსაწონი?..

– ოჰ! – შეაწყვეტინა იაგენკამ, – ნუღარაფერს მეტყვი!

უხმოდ მიჰყვნენ ბილიკს. ველური სვიით გაბარდნილ შამბნარში ძლივს იკაფავდნენ გზას. ზბიშკო წინ მოუძღოდა, სვიის მწვანე შოლტებს გლეჯდა, ზოგან ტოტებსაც ამტვრევდა, იაგენკა კი ნადირობის ქალღმერთივით მიჰყვებოდა მხარზე მშვილდისარმოკიდებული.

– ამ შამბნარს იქით ღრმა მდინარეა, – თქვა იაგენკამ,– მაგრამ მე ფონი ვიცი.

– მაღალყელიანი ჩექმები მაცვია, ნუ გეშინია, ისე გავალთ, ფეხიც არ დაგისველდება, – უპასუხა ზბიშკომ.

მალე მდინარესთან მივიდნენ. იაგენკა კარგად იცნობდა მოჩიდოლის ტყეებს და ფონს ადვილად მიაგნო; მაგრამ წვიმების მერე მდინარე ადიდებული დაუხვდათ. ზბიშკოს ნებართვა არც კი უკითხავს, ისე აიყვანა ხელში ქალიშვილი.

– მე ისედაც გავიდოდი, - გაუძალიანდა იაგენკა.

– კისერზე მომხვიე ხელი! – უბრძანა ზბიშკომ.

და ნელა გააბოტა ადიდებულ მდინარეში. წინასწარ სინჯავდა ფეხით, რომ ღრმა ადგილს მორიდებოდა, გოგო კი ბრძანებისამებრ ჩაეკონა მას და ნაპირამდე სულ ცოტაღა იყო დარჩენილი, რომ უთხრა:

– ზბიშკო!

– რა გინდა?

– არც ჩტანს გავყვები და არც ვილკს...

ვაჟმა ის ნაპირზე გაიყვანა, მოწიწებით დასვა რიყეზე და ოდნავ შესამჩნევი ღელვით თქვა:

– ისეც ქნილა, ღმერთს შენთვის ყველაზე უკეთესი საქმრო გაუმეტებია ამქვეყნად! წაგებული არ დარჩება.

ტბამდე დიდი გზა აღარ იყო. ახლა წინ იაგენკა მიდიოდა; იშვიათად თუ მოიხედავდა და ტუჩებზე ხელის დადებით ანიშნებდა ზბიშკოს, ჩუმად იყავიო. ნელა მიაბიჯებდნენ სველ ლერწმებსა და ტირიფნარში. მარჯვნიდან ჩიტების ჟრიამული მოდიოდა. ზბიშკო ამან ძალზე გააკვირვა, რადგან გადაფრენის დრო უკვე გასულიყო.

– აქ ჭაობები არ იყინება, – ჩურჩულით უთხრა იაგენკამ, – ბატები ზამთარში არსად მიდიან, ტბაზეც მარტო დიდი ყინვების დროს თუ შეჰკრავს წყალს, ისიც მხოლოდ ნაპირთან. შეხედე, როგორ იკვამლება.

ზბიშკომ ძეწნის ბუჩქებს შორის გაიხედა და სქელი ნისლი დაინახა: ეს იყო ოდსტაიანის პატარა ტბა.

იაგენკამ ისევ თითი მიიტანა ტუჩებთან და ერთი წამის მერე ისინი დანიშნულ ადგილზე იყვნენ. ქალიშვილი პირველი აცოცდა სქელ, ბებერ ტირიფზე, ტოტები რომ წყალზე გადმოეშვა. ზბიშკო უკან მიჰყვა. უხმოდ გაწოლილები ერთხანს ნისლში ვერაფერს არჩევდნენ. პრანჭიები და შოშიები თავს საცოდავად დაჭივჭივებდნენ. მაგრამ აი, ნიავმა წამოუქროლა, ძეწნისა და ტირიფის გაყვითლებულ ფოთლებს ჩამოურბინა, ააშრიალა და მონადირება თვალწინ გადაიშალა ნიავისაგან აქოჩრილი ტბის ზედაპირი.

– არა ჩანს? – ჩასჩურჩულა ზბიშკომ.

– არა, არ ჩანს, ჩუმად!..

წამიც არ გასულა, ნიავი ჩადგა და მდუმარებამ მოიცვა გარემო. მაგრამ აი, ტბის სარკესავით ზედაპირზე მუქად გამოჩნდა ერთი თავი, მეორე, მერე ზედ მონადირეთა წინ მდინარეში შეცურდა ერთი მოსული თახვი. პირში რაღაც ტოტი ჰქონდა გაჩრილი. დიდბაიასა და ლემნის ყვავილებს შორის გასრიალდა. დროდადრო დრუნჩს მაღლა სწევდა და ტოტს უბიძგებდა. ზბიშკომ, რომელიც იაგენკაზე ქვევით იყო გაწოლილი ტოტზე, უცებ შენიშნა, როგორ გაანძრია გოგონამ იდაყვები და თავი წინ გადახარა, – ეტყობოდა, მხეცს უმიზნებდა, რომელსაც აზრადაც არ მოსდიოდა, რა საშიშროება ემუქრებოდა და ტბის კრიალა ზედაპირზე მიცურავდა ისრის სასროლ მანძილზე.

აი, დაიზუზუნა მშვილდის ლარმა და იმავე დროს გაისმა იაგენკას შეძახილიც:

– მოხვდა! მოხვდა!..

ზბიშკო წამში აცოცდა ზევით და ტოტებს შუა გადახედა ტბას: თახვი ხან ჩაყურყუმელავდებოდა წყალში, ხან ისევ ამოტივტივდებოდა, ზურგზე ტრიალდებოდა და ღია ფერის მუცელს აჩენდა.

– კარგად მოვარტყი! მაგის საქმე გათავებულია! - თქვა იაგენკამ.

სრული სიმართლე იყო. თახვი თანდათან სუსტდებოდა, წამიც და საბოლოოდ ამოტივტივდა ტბის ზედაპირზე მუცლით ამობრუნებული.

– წავალ, ამოვიყვან, – თქვა ზბიშკომ.

– არ წახვიდე, იქ, ნაპირზე, უძირო ჭაობია, გამოუცდელ კაცს უეჭველად ჩაითრევს.

– აბა, როგორ უნდა ამოვიყვანოთ?

– შენ მაგისი დარდი ნუ გაქვს, – საღამოს ბოგდანეცში იქნება, ჩვენ კი დროა შინ დავბრუნდეთ...

– მარჯვედ კი ესროლე!

– პირველად ხომ არ ვესვრი!..

– ზოგ გოგოს მშვილდ-ისრის დანახვაც შიშსა ჰგვრის, შენთან კი კაცს ტყეში სიარული არ მობეზრდება!..

ქების გაგონება იაგენკას ესიამოვნა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ისინი უკან გამობრუნდნენ და ისევ ძეწნარს გამოჰყვნენ. გზაში ზბიშკომ თახვებზე ნადირობის ამბები გამოჰკითხა. იაგენკა მოუყვა, რამდენი თახვია მოჩიდოლისა და ზგოჟელიცის ტყეებში, როგორ იშენებენ ისინი მდინარეებსა და ტბებზე სოროებსა და ჯებირებს.

უცებ იაგენკამ ფერდებზე ხელი შემოირტყა.

– უჰ, ეს რა დამემართა! – შეჰყვირა მან. - ტირიფზე ისრები დამავიწყდა. აქ დამელოდე!

ვაჟმა ვერც კი მოასწრო ეთქვა, მე თვითონ წავალ და მოგიტანო, რომ ქალი ქურციკივით გაიქცა უკან და წამს იქით თვალს მიეფარა. ზბიშკო ელოდა, ელოდა და გაოცდა კიდეც, ამდენ ხანს სად უნდა იყოსო,

– ალბათ ისრები თუ დაკარგა და იმათ ეძებს, – თქვა მან თავისთვის, – ერთი წავიდე, დავხედო, ფათერაკს ხომ არაფერს გადაეყარა...

მაგრამ ორი ნაბიჯიც არ გადაედგა, რომ იაგენკა წინ გამოეჭიმა, ხელში მშვილდ-ისარი ეკავა, იცინოდა, ლოყები ასწითლებოდა, მხარზე კი თახვი მოეგდო.

– ღმერთო, დიდებულო! როგორ მოახერხე ამოყვანა?

– როგორ? წყალში შევედი. მორჩა და გათავდა. მე პირველად არა ვარ აქ. შენი გაშვება კი არ მინდოდა, აქაურობა არ იცი და ჭაობი ჩაგითრევდა.

– მე კი გამოყეყეჩებული ვიდექი და გელოდებოდი. რა კუდიანი გოგო ხარ!

– აბა, რა მექნა, შენთან ხომ ვერ გავიხდიდი?

– მაშ ისრებიც ტყუილად მოიგონე ხომ?

– ტყუილად. მხოლოდ შენ მინდოდა მოშორებოდი ნაპირს.

– მაშ ასე! უკან ფარულად რომ გამოგყოლოდი, აი მაშინ ვნახავდი სანახავს!

– გაჩუმდი!

– ის იყო, მოვდიოდი.

– გაჩუმდი!..

ერთი წამის მერე იაგენკამ სხვაზე გადაიტანა ლაპარაკი, - გამიწურე ნაწნავი, თორემ მთელი ზურგი დამისველა. ასე

ზბიშკომ ერთი ხელი ნაწნავს თავთან ახლოს წაავლო, მეორეთი კი დაუწურა.

– გაგეშალა სჯობდა, – ეუბნებოდა თან, – ქარი იმწამსვე გაგიშრობდა.

მაგრამ იაგენკას არ უნდოდა თმის გაშლა, რადგან ისევ ლელიანში მიდიოდნენ და ძლივს იკვალავდნენ გზას. ზბიშკომ თახვი ზურგზე მოიგდო, იაგენკა კი წინ გაუძღვა.

– ახლა მაცკო მალე გამობრუნდება, – თქვა მან, – დათვის ქონის მერე პირდაპირ მისწრებაა თახვის ქონის წასმა. ერთი კვირაც და ცხენზე შეჯდომას შეძლებს.

– ღმერთმა ქნას, – უთხრა ზბიშკომ, – გული გადამელია მაგის ლოდინში. ავადმყოფის მიტოვება არ შემიძლია, არადა აუტანელი გახდა აქ ჯდომა.

– აუტანელი? – ჩაეკითხა იაგენკა. – რატომ?

– განა ზიხს არაფერი უთქვამს შენთვის დანუსიაზე?

– კი, როგორ არა... ვიცი, ვიცი... ქორწინების რიდე გადაგაფარა... ისიც მითხრა, ყველა რაინდი აღუთქვამს თავის ქალბატონს სამსახურს... მაგრამ მითხრა, ტყუილი ბაქიბუქიაო... ყველა ეს აღთქმა... ცოლიანებიც ეფიცებია-

ნო სამსახურს რომელიღაც ქალბატონს. ეს დანუსია კი, ზბიშკო, ვინ არის... მითხარი, გთხოვ!.. ვინ არის ეს დანუსია?

ის მიუახლოვდა ზბიშკოს და გულის ფანცქალით მიაპყრო თვალები. ვაჟს ამ ამბისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია, ისე უთხრა:

– დანუსია ჩემი გულის რჩეულიც არის და შეყვარებულიც. ეს ჯერ არავისთვის მითქვამს, შენ კი, როგორც ჩემს ღვიძლ დას, გეუბნები, რაკი პატარაობიდანვე ვიცნობთ ერთმანეთს. ცხრა მთასა და ცხრა ზღვას გადავლახავ მისი გულისთვის, წავალ გერმანელებში, თათრებში, რადგან მისი ბადალი დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება. დარჩეს ბიძაჩემი ბოგდანეცში, მე კი უნდა წავიდე მასთან... ჩემთვის უიმისოდ არაფერს ფასი არა აქვს – არც ბოგდანეცს, არც საქონელს, არც აბატის სიმდიდრეს! მოვაჯდები ცხენს ამ ზამთარს და, ვფიცავ მაღალ ღმერთს, ან თავს შევწირავ, ან შევუსრულებ, რასაც შეპირებული ვარ.

– მე ეს არ ვიცოდი... – ყრუდ თქვა იაგენკამ.

მაშინ ზბიშკომ უამბო, როგორ შეხვდა ტინეცში დანუსიას, როგორ მისცა მაშინვე აღთქმა, რა მოხდა ამის შემდეგ, – როგორ იჯდა დილეგში, როგორ გადაარჩინა დანუსიამ, როგორ უთხრა უარი იურანდმა, როგორ გამოემშვიდობნენ ერთმანეთს, როგორი დადარდიანებულია უიმისოდ, და როგორ უხარია, რომ მაცკო მორჩება თუ არა, მაშინვე გაეშურება თავისი შეყვარებულისაკენ დანაპირების შესასრულებლად. ზბიშკომ ლაპარაკი შეწყვიტა, რაკი თვალი ჰკიდა მსახურს, რომელიც ცხენებთან იდგა და ტყის პირას ელოდებოდა მათ.

იაგენკა ცხენს მოახტა და სასწრაფოდ დაემშვიდობა ზბიშკოს.

– მეჯინიბე შენ გამოგყვეს და თახვი წამოიღოს, მე კი ზგოჟელიცში მეჩქარება.

– ბოგდანეცში არ წამოხვალ? ზიხი ხომ იქ არის.

– არა. მამამ მითხრა, შინ მოვბრუნდებიო.

– მაშინ დიდი მადლობა თახვისათვის.

– მშვიდობით...

იაგენკა მარტო დარჩა. გზას მანანას ტევრში მიიკვლევდა. პირველ ხანებში სულ ზბიშკოს გზას გაჰყურებდა, მერე კი, როცა ის ხეებს უკან მიიმალა, თვალებზე ხელები აიფარა, თითქოს მზეს ემალებაო.

მალე მას მსხვილი ცრემლები წამოსცვივდა თვალთაგან, ლოყებზე ჩამოუგორდა და უნაგირსა და ცხენის ფაფარს დაედინა.

პირველი ტომის დასასრული.

ტომი მეორე

I

ზბიშკოსთან საუბრის შემდეგ იაგენკა სამი დღე არ გამოჩენილა ბოგდანეცში, მხოლოდ მეოთხე დღეს მოაჭენა ცხენი და ამბავი მოიტანა, აბატი ჩამოვიდაო. მაცკო აფორიაქდა. მართალია, ბოგდანეცის გამოსასყიდი ფული ხელში ჰქონდა, ისიც გამოიანგარიშა, რომ ფული სოფელში ახალი გლეხების დასასახლებლადაც ეყოფოდა, საქონლის მოსაშენებლადაც, სხვა სამეურნეო საჭიროებისთვისაც, მაგრამ ამ საქმეებში მაინც ბევრი იყო დამოკიდებული კეთილად განწყობილ მდიდარ ნათესავზე, რომელსაც შეეძლო, მაგალითად, ისევ აეყარა და თან წაეყვანა თავისი ჩასახლებული გლეხები. შეეძლო მაცკოსთვის დაეტოვებინა და ამითი აეწია მისი სამფლობელოს ფასი.

ამის გამო მაცკომ იაგენკას დაწვრილებით გამოჰკითხა, როგორ გუნებაზეაო აბატი – ხალისიანია თუ მოღუშული, რა ილაპარაკა ჩვენზე და ბოგდანეცში ჩამოსვლას როდის აპირებსო. გოგო გონიერ პასუხებს აძლევდა მოხუცს, თან ცდილობდა გაემხნევებინა და დაემშვიდებინა.

იაგენკამ მოახსენა მაცკოს, რომ აბატი ჯანსაღი და მხიარულია, დიდი ამალა ახლავს, მათ შორის, შეიარაღებული მსახურების გარდა, რამდენიმე მოხეტიალე მედავითნე და მოსიმღერეც არის, რომ ახლა ის ზიხთან ერთად ქეიფობს და სიამოვნებით ისმენს არა მხოლოდ სასულიერო, არამედ საერო სიმღერებსაც. გოგონამ დასძინა, აბატი გულწრფელი თანაგრძნობით კითხულობდა მაცკოს ამბებს და ყურადღებით ისმენდაო ზიხის მონაყოლს ზბიშკოს თავგადასავალზე კრაკოვში.

– თქვენი საქმე თვითონ უკეთ მოგეხსენებათ, - დაასკვნა გონიერმა გოგონამ. – მაგრამ მე ვფიქრობ, ზბიშკო ახლავე უნდა წამოვიდეს ხანში შესული ნათესავის სანახავად და არ დაელოდოს, სანამ ის თვითონ ჩამოვა ბოგდანეცში.

მაცკომ ყურად იღო კეთილი რჩევა, ზბიშკოს უხმო და უბრძანა:

– აბა, ახლავე გამოეწყვე და აბატს ეახელი. პატივი ეცი, იქნება გული შეუვარდეს შენზე.

მერე კი მოხუცი იაგენკას მიუბრუნდა:

– არაფერი იქნებოდა გასაკვირი, უჭკუო რომ ყოფილიყავი, რადგან ქალი ხარ, მაგრამ გონება გაგაჩნია და სწორედ ეს არის საკვირველი. გვირჩიე, როგორ მივიღოთ აბატი, რითი ვცეთ პატივი, როცა ჩამოვა?

– აბატი თვითონ იტყვის, რაც მოესურვება, უყვარს კარგი სმა-ჭამა, ოღონდ რაც შეიძლება ბევრი ზაფრანა უნდა ჰქონდეს, მერე აღარ დაიწყებს წუნიაობას.

ეს რომ გაიგონა, მაცკომ თავში ხელები შემოიკრა.

– მერე სად უნდა ვიშოვო ზაფრანა?..

– მე ჩამოგიტანეთ, – უთხრა იაგენკამ.

– ღმერთსა ვთხოვ, ყველას მისცეს ასეთი გოგოები! გაიხარა მაცკომ. – შეხედავ და გესიამოვნება, კარგი დიასახლისიც არის, მარჯვეც, გულიც კეთილი აქვს! ეჰ! ახალგაზრდა ვყოფილიყავი, არც კი დავფიქრდებოდი, ისე შეგირთავდი ცოლად!..

იაგენკამ მალულად გადახედა ზბიშკოს, წყნარად ამოიოხრა და განაგრძო:

– მე კამათლები, თასი და მაუდიც ჩამოვიტანე; აბატს დანაყრების შემდეგ კამათლების თამაში უყვარს.

– უწინაც ასეთი ჩვეულება ჰქონდა, როგორი გაცხარება იცოდა თამაშის დროს, შეგეშინდებოდა!

– ახლაც ცხარობს ხოლმე; დაანარცხებს თასს მიწაზე და პირდაპირ მინდორში გავარდება. მაგრამ როგორც კი დაბრუნდება, თვითონვე დასცინის თავის თავს... თქვენ ხომ იცნობთ... ოღონდ ნურაფერში შეედავები და იმაზე კეთილი ადამიანი დედამიწის ზურგზე არ დადის.

– ვინ რაში უნდა შეედავოს, თუკი ის ყველაზე ჭკვიანია?

ამ საუბარში რომ იყვნენ, ზბიშკო გვერდითა ოთახში ტანსაცმელს იცვლიდა. იქიდან ისეთი ლამაზი გამოვიდა, რომ იაგენკას კინაღამ თვალები მოსჭრა. სწორედ ასეთი იყო, პირველად რომ იხილა ზგოჟელიცში თეთრ ხიფთანში გამოწყობილი, მაგრამ ამჯერად ქალს გული სინანულით ემდუღრებოდა, რადგან ფიქრობდა, ეს სილამაზე ღმერთს ჩემთვის არ გაუჩენია და ამ ვაჟის გული სხვისთვის ძგერსო.

მაცკომ კი კმაყოფილებით იფიქრა, აბატს უეჭველად მოეწონება ბიჭი და მოლაპარაკების დროს შეღავათებს მოგვცემსო. ამან მოხუცი ისე გაახარა, რომ მაშინვე გადაწყვიტა თვითონაც ზბიშკოსთან ერთად წასულიყო.

– აბა, ჩქარა, უბრძანე, ფორანში თივა ჩამიფინონ, – უთხრა მან ზბიშკოს. – კრაკოვიდან ბოგდანეცში თუკი გვერდში ისარგარჭობილი ჩამოვედი, ახლა უიმისოდ ზგოჟელიცში ვეღარ წავალ?

– არ გაგიმიზეზდეთ ჭრილობა, – შეშინდა იაგენკა.

– არაფერი დამემართება, უკვე საკმაოდ მომაგრებული ვარ. თუნდაც გამიჭირდეს, აბატი რომ გაიგებს, როგორ მივიჩქაროდი მისკენ, უფრო გულუხვი იქნება.

– თქვენი ჯანმრთელობა უფრო მეტად მიღირს, ვიდრე იმისი გულუხვობა, – შეეკამათა ზბიშკო.

მაგრამ მაცკო გაჯიუტდა და თავისი გაიტანა. გზაში სულ კრუსუნებდა და მაინც თავგამოდებით ასწავლიდა ზბიშკოს, როგორ უნდა დაეჭირა თავი ზგოჟელიცში. წყნარად და მორჩილად მოიქეციო, არიგებდა, რადგან იცოდა, მდიდარი ნათესავი შეკამათებას ვერ იტანდა.

ზგოჟელიცში რომ ჩავიდნენ, ზიხი და აბატი პარმაღზე ისხდნენ, ღვინოს შეექცეოდნენ და ღვთის გაჩენილი ქვეყნის მშვენიერებით ტკბებოდნენ. მათ უკან კედელთან ექვსი კაცი იჯდა – აბატის ამალის წევრები. მათში ორი მოსიმღერე იყო, ერთი მომლოცველი, მას ადვილად შეიცნობდით მოგრეხილი კვერთხით, ქამარზე მიმაგრებული კინჩხოთი და მუქი ფერის ლაბადაზე დაკერებული ნიჟარებით. დანარჩენები – კეფაგაპარსულები – მედავითნეებს ჰგავდნენ, თუმცა საერო ტანსაცმელი ეცვათ და ხარის ტყავის ქამრებზე მახვილები ეკიდაო.

ფორანში რომ მაცკო დაინახა, ზიხი მოსაგებებლად წამოხტა, აბატი კი, ალბათ თავისი ღირსების შესანარჩუნებლად, არ წამომდგარა, მხოლოდ მედავითნეებს უთხრა რაღაც და ისინიც გაღებულ კარში გაცვივდნენ. ზბიშკო და ზიხი აქეთ-იქიდან მხარში ამოუდგნენ დასუსტებულ მაცკოს და ისე აახლეს აბატს.

– ჯერ კიდევ ვერა ვარ სულ მოკეთებული, – უთხრა მაცკომ, როცა აბატს ხელზე ეამბორა, – მაგრამ მაინც ჩამოვედი, რათა თაყვანი გცეთ, ჩვენო კეთილისმყოფელო, მადლობა მოგახსენოთ ბოგდანეცის კარგი პატრონობისათვის და ლოცვა-კურთხევა გამოგთხოვოთ, რაც ჩვენ, ცოდვილებს, ყველაზე მეტად გვესაჭიროება.

– მითხრეს, უკეთ არისო, – უთხრა აბატმა და თავზე ხელი მოჰხვია, – ისიც გავიგე, აღთქმა დაგიდია, ჩახვიდე და გარდაცვლილი დედოფლის საფლავს თაყვანი სცე.

– არ ვიცოდი, რომელი წმინდანისათვის მელოცა და გადავწყვიტე ის ამერჩია.

– ძალიანაც კარგად მოქცეულხართ! – მხურვალედ წარმოთქვა აბატმა. – ის ყველა წმინდანზე წმინდანია და, აბა, რომელიმე მათგანმა გაბედოს და შეშურდეს მისი!

აბატს სახე მრისხანებით აენთო, ლოყებზე ალმური მოედო, თვალები დააკვესა.

ყველამ იცოდა მისი სიფიცხის ამბავი და ზიხმა სიცილით შესძახა:

– დაჰკა, ვისაც ღმერთი გწამთ!

აბატი თანდათან დაშოშმინდა, თვალი მოავლო იქ მსხდომთ და ისევე მოულოდნელად გაიცინა, როგორც წეღან განრისხდა, მერე ზბიშკოს შეხედა და იკითხა:

– ეს თქვენი ძმისშვილი და ჩემი ნათესავია?

ზბიშკო დაიხარა და აბატს ხელზე ეამბორა.

– პატარაობისას მინახავს, მაგრამ ახლა ვეღარ ვიცნობდი! – თქვა აბატმა. – აბა, ერთი, კარგად დამენახვე!

მან სწრაფად შეავლო თვალი ზბიშკოს თავით ფეხებამდე და თქვა:

– როგორი ლამაზია, რაინდი კი არა, ქალიშვილი გეგონება.

მაცკო შეედავა:

– ეს ქალიშვილი ბევრმა გერმანელმა გამოიწვია საცეკვაოდ, მაგრამ ვინც კი დატრიალდა მასთან ერთად, ისე დაასკდა მიწას, რომ მას შემდეგ აღარც წამომდგარა.

– ეგ ლარსაც უსათითუროდ სჭიმავს! – შესძახა უცებ იაგენკამ.

– შენ ვითომ რაღას ეჩრები? – მიუბრუნდა მას აბატი.

იაგენკა უცბად წამოენთო, ყელი და ყურებიც კი გაუწითლდა, და საშინლად დარცხვენილმა უპასუხა:

– მე თვითონ ვნახე...

– ჰოდა, ფრთხილად იყავი, შემთხვევით შენც არ დაგკოდოს, თორემ ცხრა თვე მკურნალობა დაგჭირდება...

ამ სიტყვებზე მოსიმღერენი, მედავითნეები და მომლოცველი სიცილით კინაღამ დაიხოცნენ, იაგენკა კი ისე დაიბნა, რომ აბატსაც კი შეეცოდა, ხელი ასწია, ფართო სახელო გამოაჩინა და უთხრა:

– დაიმალე, გოგონი, თორემ სირცხვილით დაიწვები.

ამასობაში ზიხმა მაცკო მერხზე დასვა და იაგენკას ღვინის მოტანა უბრძანა.

– ვიხუმრეთ და კმარა! – განაგრძო აბატმა და ისევ ზბიშკოს შეხედა. – ქალიშვილს იმიტომ კი არ შეგადარე, რომ შეურაცხყოფა მომეყენებინა. მიხარია, შენს მშვენებას რომ ვუყურებ, ბევრ ქალიშვილს შეშურდება ალბათ. მაგრამ შენ მამაციცა ხარ! ვილნოში შენი ვაჟკაცობის ამბებიც გამიგონია, ფრიზების ამბებიც, კრაკოვისაც. ზიხმა ყველაფერი მიამბო, გასაგებია?..

აბატმა ერთი გამსჭვალავად ჩახედა ზბიშკოს თვალებში. და მერე უთხრა:

– ფარშავანგის ჯიღებს შეპირებიხარ, – უნდა კიდევაც მოიპოვო! შენი სამშობლოს მტრების დევნა საქებარი და ღვთის მოსაწონი საქმეა... მაგრამ თუ სხვა რამესაც ხარ შეპირებული, ახლავე შემიძლია მაგ აღთქმისაგან შენი განთავისუფლება. მე მაგისი ძალაუფლება გამაჩნია.

– ეჰ, თუ კაცმა თავის გულში დადო აღთქმა, რომელ ძალაუფლებას შეუძლია ამ აღთქმისაგან გაათავისუფლოს? - თქვა ზბიშკომ.

ეს ლაპარაკი რომ გაიგონა, მაცკომ შიშნარევი გამომეტყველებით შეხედა აბატს, მაგრამ ის, როგორც ჩანს, კარგ გუნებაზე იყო და არ გაბრაზდა, მხოლოდ სიცილით დაუქნია თითი ზბიშკოს და უთხრა:

– დახე, როგორი ჭკვიანია! უფრთხილდი, ძმაო, იგივე არ დაგემართოს, გერმანელ ბეიჰარდს რომ დაემართა.

– რა დაემართა? – ჰკითხა ზიხმა.

– კოცონზე დაწვეს.

– რა დააშავა?

– რა და, ყბედობდა, ერისკაცს ისევე შეუძლია გაიგოს ღვთის საიდუმლოებანი, როგორც სასულიერო პირსაო.

– მკაცრად დაუსჯიათ!

– მაგრამ სამართლიანად! – იღრიალა აბატმა. – ეს ხომ მკრეხელობაა სულიწმინდის წინაშე! თქვენ როგორ ფიქრობთ, შეუძლია განა ერისკაცს ზეციურ საიდუმლოებებს ჩასწვდეს?

– არავითარ შემთხვევაში, – ერთხმად უპასუხეს მედავითნეებმა.

– თქვენ, მასხარებო, თქვენთვის ისხედით, თავი ქსონძები ხომ არა გგონიათ, აქაოდა კედები გავიპარსეთო.

– ჩვენ აღარც მასხარები ვართ და აღარც ოინბაზები. ჩვენ ახლა თქვენი მსახურები გახლავართ, თქვენო მოწყალებავ! – უპასუხა ერთ-ერთმა მათგანმა და უზარმაზარ კათხაში ჩაიხედა, საიდანაც ალაოსა და ფშალის სუნი ამოდიოდა.

– არა, აბა, ერთი ყური უგდეთ!.. გეგონებათ, კასრიდან ლაპარაკობსო, – ჰეი, შე გაჩეჩილო! რას გაგირბის თვალი მაგ კათხისაკენ, შიგ ლათინურად არაფერი წერია!

– მე ლათინურს არც ვეძებ, მე ლუდს ვეძებ, მაგრამ ვერ მიპოვია.

აბატი ზბიშკოს მიუბრუნდა, რომელიც გაოცებული შეჰყურებდა ამ მსახურებს, და უთხრა:

– ესენი ყველანი clerici scholares[10] არიან, თუმცა თითოეულ მათგანს ურჩევნია წიგნი გვერდზე მიაგდოს, ხელი ჩაავლოს ბარბითს და ასე იწოწიალოს კარიკარ. მე შევიფარე და ვინახავ, აბა, რა ვქნა? უსაქმურები არიან, ნამდვილი გლეხები, მაგრამ სიმღერა იციან და ასე თუ ისე წირვის ჩატარებაც შეუძლიათ, – ამით თუ გამომადგებიან ეკლესიაში და ხანდახან დამიცავენ კიდეც, ზოგი ფიცხიც არის! მომლოცველი ამბობს, წმინდა მიწაზე ნამყოფი ვარო, მაგრამ ტყუილად ნუ შეიწუხებ თავს და ნუ ჰკითხავ ზღვებისა და უცხო ქვეყნების ამბავს, ისიც არ იცის, ბიზანტიის იმპერატორს რა ჰქვია და რომელ ქალაქში ცხოვრობს.

– ვიცოდი ეგენი, – ჩახრინწული ხმით უთხრა მომლოცველმა, – მაგრამ დუნაიზე ციებ-ცხელებამ რომ ამაკანკალა, ყველაფერი ერთბაშად გამომიფრინდა თავიდან.

– ყველაზე მეტად მახვილები მაოცებს. პირველად ვხედავ, რომ მედავითნეები იარაღს ატარებდნენ, – თქვა ზბიშკომ.

– მაგათთვის შეიძლება, – უთხრა აბატმა, – ეგენი ხომ არ გვიკურთხებია. არც ის უნდა იყოს გასაკვირი, მე რომ ვატარებ მახვილს. ერთი წლის წინ ვილკ ბჟოზოველი გამოვიწვიე ბრძოლაში იმ ტყეების გამო, თქვენ რომ გამოიარეთ ბოგდანეცში ჩამოსვლისას. ვილკმა გამოწვევა არ მიიღო...

[10] მოწაფეები, რომლებიც სასულიერო პირები უნდა გახდნენ.

– როგორ უნდა მიეღო სასულიერო პირისაგან? – შეაწყვეტინა აბატს ზიხმა.

აბატი აფეთქდა, მაგიდას მუშტი დასცხო და იყვირა:

როცა ხელში იარაღი მიჭირავს, მაშინ ქსონძი კი არა, შლიახტიჩი ვარ! იმან კი გამოწვევა იმიტომ არ მიიღო, რომ ღამით უნდოდა თავს დამსხმოდა ტულჩაში თავისი მსახურებით. აი, რატომ ვატარებ ხმალს!.. Omnes leges, omniaque iura vim vi repellere cunctisque sese defensare permittunt![11] აი, რატომ დავურიგე მათაც ხმლები.

ლათინური რომ გაიგონეს, ზიხი, მაცკო და ზბიშკო დადუმდნენ და აბატის სიბრძნის წინაშე თავი დახარეს, თუმცა არც ერთი სიტყვა არ გაეგებოდათ; აბატი კი ჯერ ისევ აბრიალებდა მრისხანე თვალებს, ბოლოს თქვა:

– ვინ იცის, იქნებ აქაც დამესხას თავს?

– ერიჰაა! ნეტამც არ გვინდა, გაბედოს! – შესძახეს მედავითნეებმა და იარაღზე გაივლეს ხელი.

– მოვიდეს, მე ისედაც მომწყინდა, კარგა ხანია არ მიბრძოლია.

– ის ამას ვერ ჩაიდენს, – შეედავა ზიხი, – უფრო ადვილი მოსალოდნელია, რომ გეახლოთ და მოგინახულოთ. ტყეებზე კარგა ხანია უარი თქვა, ვაჟიშვილზე ფიქრობს, მაგრამ იცით, რა... ღმერთმა ნუ აღირსოს!..

ამასობაში აბატი დამშვიდდა და უპასუხა:

– ქშესნიის ფუნდუკში ვნახე ახალგაზრდა ვილკი და ჩტან როგოველი. ერთად სვამდნენ. ჩვენ ვერ გვიცნეს – სიბნელე იყო – და პირზე სულ იაგენკას სახელი ეწერათ.

მერე ის ზბიშკოს მიუბრუნდა:

– და შენიც...

– ჩემგან რა უნდათ?..

– შენგან იმათ არაფერი უნდათ, მაგრამ მაინცდამაინც არ სიამოვნებთ, ზგოჟელიცის მახლობლად რომ მესამე ჭაბუკი გამოჩნდა. ჰოდა, აი, ჩტანი ვილკს ეუბნება: „იმისთანა დღეს დავაყრი, თავისი ლამაზი თავი ვეღარ იცნოსო“. ვილკი კი პასუხობს: „იქნებ ჩვენი მოერიდოს, თუ არადა, ერთ წამში

[11] ყველა კანონი და რომელიც გნებავთ სამართალი, უფლებას გვაძლევს, ძალმომრეობას ძალმომრეობითვე ვუპასუხოთ და თავი დავიცვათ, რითაც შევძლებთ (ლათ.)

ნეკნებს ჩავულეწავო!“ ამის შემდეგ კი სულ იმას უმტკიცებდნენ ერთმანეთს, უეჭველად შეეშინდებაო ჩვენი.

აქ ზიხმა მაცკოს გადახედა, მაცკომ – ზიხს და ორთავეს სახეზე მაცდურმა და კმაყოფილმა ღიმილმა გადაურბინა. არც ერთი არ იყო დარწმუნებული, რომ აბატმა ასეთი ლაპარაკი ნამდვილად მოისმინა და ყველაფერი მისი მოგონილი არ იყო ზბიშკოს წასაქეზებლად; სამაგიეროდ ორთავემ, და განსაკუთრებით მაცკომ, რომელიც კარგად იცნობდა ზბიშკოს, შესანიშნავად იცოდა, რომ ზბიშკოსა და იაგენკას შეერთების უკეთესი საშუალება არ არსებობდა. ამ დროს აბატმა თითქოს შემთხვევით ჩაურთო:

– კაცმა რომ თქვას, გულადი ბიჭები არიან!..

ზბიშკოს არც უგრძნობინებია, რომ ამ ნათქვამმა მის თავმოყვარეობაზე იმოქმედა, მხოლოდ ზიხს რაღაც შეცვლილი ხმით ჰკითხა:

– ხვალ კვირაა? -

– კვირაა.

– წირვაზე წაბრძანდებით?

– რა თქმა უნდა...

– სად, ქშესნიაში?

– ყველაზე ახლოს ის არის, სხვაგან სად წავალ?

– კეთილი!

II

ზბიშკო გზაში დაეწია ზიხსა და იაგენკას, რომლებიც აბატისა და მედავითნეების თანხლებით მიდიოდნენ ქშესნიაში წირვაზე. შეუერთდა მათ და დანარჩენი გზა ერთად-იარეს. ერთი სული ჰქონდა, ეჩვენებინა აბატისათვის, რომ ვილკ ბჟოზოველისა და ჩტან როგოველის არ ეშინოდა და მათგან დამალვას არ აპირებდა. წუთით ჭაბუკი ისევ განაცვიფრა იაგენკას სილამაზემ; ზგოჟელიცშიაც და ბოგდანეცშიც ხშირად უნახავს მას სტუმრების შესახვედრად საგანგებოდ მორთულ-მოკაზმული ქალიშვილი, მაგრამ არასოდეს მოსჩვენებია მისი ჩაცმულობა ასეთი მიმზიდველი, როგორიც ახლა, როცა ის წირვაზე მიეშურებოდა. იაგენკას ალისფერი მაუდის ϰუბა ეცვა, სარჩულად ყარყუმის ბეწვი ჰქონდა გამოკერებული, ხელთათმანებიც წითელი ეკეთა, ოქრომკედით ნაკერ ყარყუმისავე ქუდს ქვემოდან მხრებზე

ორი ნაწნავი ჩამოშვებოდა. ცხენზე ბიჭურად კი არ იჯდა, იდაყვის დასაყრდნობითა და ფეხის დასადგმელით გაწყობილ მაღალ უნაგირზე დაბრძანებულს წვივები ძლივს მოუჩანდა გრძელი სწორნაკეცებიანი ქვედატანიდან. ზიხი ნებას აძლევდა ქალიშვილს შინ ტყაპუჭი და ძროხის ტყავის ჩექმები სცმოდა, მაგრამ ეკლესიაში ყველას უნდა დაენახა, რომ წირვაზე ვიღაც კაცუნას, გაღატაკებული შლიახტიჩის ქალიშვილი კი არ მოვიდა, არამედ მდიდარი რაინდული ოჯახის ასული. მისი ცხენი ორ ახალგაზრდა მსახურს მიჰყავდა. მათ პაჟების მსგავსად ზემოთ თავისუფალი და ქვემოთ ტანზე შემოტმასნილი სამოსი ეცვათ. უკან კიდევ ოთხი მსახური მიჰყვებოდა და მხოლოდ ამათ შემდეგ მოდიოდნენ აბატის მედავითნეები ქამარში გარჭობილი მახვილებითა და ბარბითებით.

ყველაფერმა ამან ზბიშკო აღტაცებაში მოიყვანა, განსაკუთრებით კი აღაფრთოვანა იაგენკამ, რომელიც დღეს ისეთი ლამაზი იყო, დახატული გეგონებოდათ. ძლიერ მოეწონა ზბიშკოს აბატიც, რომელიც წითელი განიერსახელოებიანი სამოსით მოგზაურ მთავარს მოგაგონებდათ. ყველაზე უბრალოდ თვითონ ზიხს ეცვა, – მას სხვის სილამაზეზე ეზრუნა, თავისთვის კი მხოლოდ სიმღერები და მხიარულება დაეტოვებინა.

აბატი, იაგენკა, ზბიშკო და ზიხი ერთმანეთს გაუსწორდნენ და გზა ერთად განაგრძეს. აბატმა თავის მოსიმღერეებს ჯერ საღვთო სიმღერების შესრულება უბრძანა, მერე, ეტყობა, ესეც მობეზრდა და ლაპარაკი გაუბა ზბიშკოს, რომელიც სიცილს ვერ იკავებდა, გერმანელების ორტარა ხმალივით გრძელ მის ხმალს რომ შეჰყურებდა.

– გატყობ გაოცებული ხარ, ამ ხმლით რომ მხედავ, - მედიდურად უთხრა აბატმა, – მაგრამ იცოდე, სინოდი სასულიერო პირებს უფლებას აძლევს მგზავრობის დროს იქონიონ მარტო ხმალი კი არა, თვით ლოდსატყორცნი და ფილაკვანიც, ჩვენ კი ამჟამად სწორედ გზაში ვართ. როდესაც წმინდა მამა უკრძალავდა სასულიერო პირებს იარაღისა და ზიზილპიპილა ტანსაცმლის ტარებას, ალბათ ამ დროს დაბალი წოდების ხალხი ჰყავდა მხედველობაში, რადგან შლიახტიჩი ღმერთს ისედაც იარაღისთვის გაუჩენია, და ვინც თავს იდებდა განეიარაღებინა ის, დაარღვევდა მარადიულ განჩინებას ღვთისას.

– მე ნანახი მყავს მაზოვიის მთავარი ჰენრიკი, რომელიც ორთაბრძოლაში გამოვიდა, – უპასუხა ზბიშკომ.

– დასაძრახი ის კი არ არის, რომ ორთაბრძოლაში გამოვიდა, – შეედავა აბატი და თითი ასწია, – არამედ ის, რომ ცოლი შეირთო და თანაც ძალიან

უიღბლოდ. მოიყვანა mulierem fornicariam და bibulam[12], რომელსაც, ამბობენ, ახალგაზრდობიდანვე Bacchurm adorabat[13] და, ამას გარდა, adultera[14] გახლდათ. რა თქმა უნდა, ყოველივე ამისგან თავიდანვე კარგი არაფერი იყო მოსალოდნელი.

ამაზე აბატმა ცხენი შეაჩერა და კიდევ უფრო მეტი სერიოზულობით მოჰყვა ზბიშკოს დარიგებას:

– ვისაც ცოლის შერთვა აქვს გადაწყვეტილი, ანუ uxorem[15] უნდა აარჩიოს, საჭიროა დააკვირდეს, რომ ქალი ღვთისმოშიში იყოს, ზნეკეთილი, ფაქიზი, კარგი დიასახლისი. ასე მარტო ეკლესიის მამები კი არ გვასწავლიან, თვით წარმართების ბრძენი სენეკაც ამასვე ამბობს. მაგრამ, აბა, როგორ გაიგებ, ღირსეული შეარჩიე თუ არა, თუ არ გეცოდინება მისი საგვარეულო ბუდე, საიდანაც მოგყავს ცხოვრების უღლის გამწევი? მეორე წმინდა ბრძენი ასე ამბობს: Pomus noncadit absque arbore![16] თუ ხარი გამხდარია, ტყავიც თხელი აქვს, დედა სულელია, ქალიშვილიც ტუტუცია. კარგად შეიგნე ეს ყველაფერი და ცოლს შორს ნუღარ დაუწყებ ძებნას, აქვე, ახლოს მონახე სადმე, თორემ იცოდე, შეგხვდება ვინმე ავი და თავნება და გაგიმწარებს სიცოცხლეს. ასე დაემართა ერთ ფილოსოფოსს, რომელსაც ანჩხლმა ცოლმა თავზე aquam sordidam[17] გადაასხა.

– In saecula saeculorum, amen![18] – დასძახეს ერთხმად მედავითნეებმა, რომლებიც ყოველთვის „ამინით“ აგვირგვინებდნენ აბატის სიტყვებს და მაინცდამაინც ბევრად არ დაგიდევდნენ, თავის ადგილას ყვიროდნენ თუ არა ამ „ამინს“.

ყველა ყურს უგდებდა აბატს, გაოცებული იყვნენ მისი ენაწყლიანობით და სასულიერო წიგნთა დიდი ცოდნით. ის კი უფრო მეტად ზიხსა და იაგენკას მიმართავდა, ვიდრე ზბიშკოს, თითქოს განსაკუთრებით სურსო მათი ჩაგონება. იაგენკა, ეტყობა, მიხვდა, საითაც უმიზნებდა აბატი, და გრძელი წამწამების ქვემოდან დაჟინებით გასცქეროდა ზბიშკოს, ვაჟს კი წარბები შეეკრა, თავი ჩაქინდრა, თითქოს იმაზე ფიქრს წაუღია, რაც ახლა გაიგონაო.

---

[12] გარყვნილი და ლოთი ქალი (ლათ.)
[13] უყვარდა ბახუსი (ლათ.)
[14] მრუში (ლათ.)
[15] მეუღლე (ლათ.)
[16] ვაშლი ვაშლის ხესთან ახლოს ვარდებაო (ლათ.)
[17] ბინძური წყალი (ლათ.)
[18] უკუნითი უკუნისამდე, ამინ! (ლათ.)

ერთი წუთის შემდეგ მათ გზა განაგრძეს. მაგრამ ახლა ყველა ჩუმად იყო, როცა შორს ქშესნია გამოჩნდა, აბატმა მოისინჯა ქამარი, წინ მიიბრუნა, რომ უფრო გაადვილებოდა ხმლის ვადაზე ხელის წავლება, და თქვა:

– ბებერი ვილკ ბჟოზოველი ალბათ მთელი ამალით ჩამობრძანდება.

– ალბათ, დაუდასტურა ზიხმა, – მაგრამ მსახურები ლაყბობენ, თავს ვერა გრძნობს კარგად.

– ერთმა ჩემმა მედავითნემ კი მითხრა, თითქოს ჩვენზე აპირებდეს თავდასხმას წირვის შემდეგ ფუნდუკის წინ.

– არა მგონია ეს გააკეთოს გამოუწვევლად და თანაც წირვის შემდეგ.

– ღმერთმა ჩააგონოს ჭკუა და გონიერება. მე ომს არ ვეძებ და მოთმინებით ვიტან ყოველგვარ წყენას.

ის მიუბრუნდა თავის მოსიმღერეებს და უთხრა:

– იცოდეთ, იარაღს ხელი არ ახლოთ და არ დაივიწყოთ, რომ ეკლესიის მსახურნი ხართ, მაგრამ თუ ისინი პირველნი იხმარენ იარაღს, მაშინ, ჰაიდა, მისცხეთ, რამდენიც შეგეძლოთ!

ამასობაში ზბიშკო იაგენკას გვერდით მიდიოდა და ისეთ რამეებზე ესაუბრებოდა, რაც ყველაზე მეტად აინტერესებდა.

– ქშესნიაში უეჭველად იქნებიან ჩტანი და ახალგაზრდა ვილკი, – უთხრა მან. – შორიდან დამანახვე ისინი, რომ სახეზე ვიცოდე.

– კეთილი, ზბიშკო, – უპასუხა იაგენკამ.

– ისინი ალბათ წირვის დაწყებამდეც გხვდებიან ხოლმე და წირვის დამთავრების შემდეგაც. რას აკეთებენ ამ დროს?

– მემსახურებიან, როგორც შეუძლიათ.

– დღეს ისინი არ მოგემსახურებიან, გასაგებია?

ქალმა ისევ მორჩილად უპასუხა:

– კეთილი, ზბიშკო,

მათ ლაპარაკი გააწყვეტინა ხის სარეკელას კაკუნმა, რომელიც მაშინ ქშესნიაში ზარის მაგივრობას ასრულებდა. მალე ყველანი ადგილზე მივიდნენ. წირვის მოლოდინში ეკლესიის წინ თავმოყრილ ხალხს მაშინვე გამოეყო ვილკი და ჩტან როგოველი. მაგრამ ზბიშკომ დაასწრო მათ. ჯერ იაგენკას არც მიახლოვებოდნენ, რომ ზბიშკო ცხენიდან ჩამოხტა, ქალიშ-

ვილს ხელი მოჰხვია, უნაგირიდან ჩამოსვა, გამომწვევად გადახედა ვაჟებს და ხელმოკიდებული წაიყვანა ეკლესიისაკენ.

ეკლესიის კარიბჭესთან ვილკსა და ჩტანს კვლავ გულისგატეხა ელოდა. ორთავე ერთად ეცა საიაზმე ჯამს, ხელები დაისველეს და ქალიშვილს გაუწოდეს. მაგრამ იგივე მოიმიიქმედა ზბიშკომაც, იაგენკა შეეხო მის თითებს, პირჯვარი გადაისახა და მასთან ერთად შევიდა ეკლესიაში.

ახლა კი მიხვდა ახალგაზრდა ვილკი და თვით მოშტერო როგოველი ჩტანიც, რომ ეს ყველაფერი განზრახ კეთდებოდა, და ორთავე ისე აღშფოთდა, რომ ბადეებს ქვეშ თმა ყალყზე დაუდგათ. მაგრამ ღვთის რისხვისა შეეშინდათ, როგორც იქნა, დაიოკეს თავი და ეკლესიაში განრისხებულებმა შესვლა ვერ გაბედეს. ვილკი დამთხვეულივით გამოვარდა და ხეებს შორის გაშპა ეკლესიის ეზოში, ისე, რომ თვითონაც არ იცოდა, საით მირბოდა. იმას მიჰყვა ჩტანიც. არც იმან იცოდა, რისთვის სჩადიოდა ამას.

ისინი ღობის ძირში უზარმაზარი ქვების გროვასთან შედგნენ. ამ ქვებს ქშესნიაში სამრეკლოს ასაგებად ამზადებდნენ. ბოღმა რომ რაიმეზე მაინც ამოენთხია, ვილკმა ერთ ლოდს დაავლო ხელი და დაიწყო მთელი ძალით აქეთ-იქით გორება. იმას მიბაძა ჩტანმაც და ერთი წუთის შემდეგ გონდაკარგულებმა ეკლესიის მთელი სასაფლაო გადაატარეს და ზედ კარიბჭესთან მიაგორეს ეს ლოდი.

ხალხი გაოცებული შეჰყურებდა მათ. იფიქრეს, ალბათ ასეთი აღთქმა აქვთო მიცემული, ამითი აპირებენო სამრეკლოს მშენებლობაში დახმარებას. როცა დაიღალნენ, ბიჭებს ცოტა გულზე მოეშვათ, გონს მოეგნენ, ოღონდ დაძაბულობისაგან ფერი წასვლოდათ და ახლა გულს იქარვებდნენ, ურწმუნოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს. - პირველმა ჩტან როგოველმა დაარღვია სიჩუმე:

– რა ვქნათ? – ჰკითხა მან.

– რისი? – უპასუხა ვილკმა.

– ახლა დავესხათ თავს?

– როგორ უნდა დაესხა ეკლესიაში?

– ეკლესიაში კი არა, წირვის შემდეგ.

– ის ხომ ზიხთან და აბატთან ერთად არის. ხომ არ დაგავიწყდა, ზიზი რომ დაქადნებულია, როგორც კი გავიგებ თქვენს ჩხუბს, ორთავეს გამოგყრით ზგოჟელიციდანო. ასე რომ არ ყოფილიყო, დიდი ხნის წინ ჩაგილეწავდი ნეკნებს.

– ან მე – შენ! – მოუჭრა ჩტანმა და ღონივრად დამუშტა ხელები.

თვალები ორთავეს ბოროტად აუელვარდა; თუმცა ბიჭებმა მაშინვე მოისაზრეს, რომ მათ სწორედ ახლა სჭირდებოდათ ერთმანეთის მხარდაჭერა. სხვა დროსაც ხშირად უჩხუბიათ, მაგრამ მუდამ რიგდებოდნენ, უერთმანეთოდ სიცოცხლე არ შეეძლოთ და მარტონი ყოველთვის მოწყენილები იყვნენ, თუმცა იაგენკასადმი სიყვარული თანდათან აღრმავებდა მათ შორის უფსკრულს. ახლა კი საერთო მტერი გაუჩნდათ და გრძნობდნენ კიდეც, რომ ეს ძალზე საშიში მეტოქე იყო.

წუთით უხმოდ იდგნენ. მერე ჩტანმა ჰკითხა:

– რა ვქნათ? იქნებ გამოწვევა გავუგზავნოთ ბოგდანეცში?

ვილკი თავის ამხანაგზე უფრო ჭკვიანი იყო, მაგრამ ამჯერად იმანაც არ იცოდა, როგორ მოქცეულიყვნენ. საბედნიეროდ, ამ დროს ისევ გაისმა სარეკელას ხმა, რომელმაც აუწყა, რომ წირვა იწყებოდა. ვილკმა ამით ისარგებლა და თქვა:

– რა ვქნათ? შევიდეთ და წირვას დავესწროთ, მერე კი მოხდეს, რაც მოსახდენია.

ამ გონივრულმა პასუხმა ჩტანი დააწყნარა.

– იქნებ უფალმა ღმერთმა ჩაგვაგონოს რამე, – დასძინა მან.

– და დაგვლოცოს, – დაუმატა ვილკმა.

– სამართლიანობის მიხედვით.

ვილკი და ჩტანი ეკლესიაში შევიდნენ, მოწიწებით მოისმინეს წირვა და გამხნევდნენ. სულიერი წონასწორობა მაშინაც შეინარჩუნეს, როცა წირვის შემდეგ იაგენკამ ისევ ზბიშკოს ხელიდან მიიღო ნაკურთხი წყალი. კარიბჭესთან ისინი მდაბლად მიესალმნენ ზიხს, იაგენკას და თვით აბატსაც, თუმცა ის მოხუცი ვილკ ბჟოზოველის მტრად ითვლებოდა. ზბიშკოს მოღუშული შეჰყურებდნენ, გული ეკუმშებოდათ ტანჯვით, რისხვითა და შურით, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავთ, არც იაგენკა მოსჩვენებიათ არასოდეს ასეთი ლამაზი, ნამდვილ დედოფალს დამგვანებოდა. როცა ყველანი უკან და საბრუნებელ გზას დაადგნენ და მათ ყურამდე მედავითნეების მხიარულმა სიმღერამ მოაღწია, ჩტანმა ცხენივით ჩაიფრუტუნა და ოფლი ჩამოიწმინდა წვერმოშვებული სახიდან, ვილკმა კი კბილები დააკრაჭუნა და გამოსცრა:

– ფუნდუკისაკენ! ფუნდუკისაკენ! შენ ჩემო თავო, უბედურო...

ამ დროს მოაგონდათ, რამ უშველათ წეღან, როცა ბოღმა მოერიათ. ისევ ჩაავლეს ხელი ლოდს და გაშმაგებულებმა ადრინდელ ადგილზე მიაგორეს.

ზბიშკო იაგენკას მიჰყვებოდა გვერდით და მედავითნეების სიმღერას უსმენდა, მაგრამ ერთი ვერსი რომ გაიარეს, უცებ ცხენი შეაყენა და თქვა:

– უჰ! სულ არ დამავიწყდა! აკი ბიძაჩემის გამოჯანმრთელების წირვა უნდა შემეკვეთა. უნდა დავბრუნდე, სხვა გზა არ არის.

– არ დაბრუნდე! – შეჰყვირა იაგენკამ, – ზგოჟელიციდან გამოვაგზავნოთ კაცი.

– არა, მე უნდა დავბრუნდე, თქვენ კი ნუ დამელოდებით. ღმერთმა მშვიდობით გატაროთ.

– შენც ღმერთმა ხელი მოგიმართოს! – უთხრა აბატმა, – წადი!

და მას სახეზე სიხარულმა გადაურბინა. ხოლო როცა ზბიშკო თვალს მიეფარა, ზიხს გვერდი ოდნავ გაჰკრა და თქვა:

– ხომ გასაგებია?

– რა დიდი გაგება მაგას უნდა.

– ეჭვიც არ მეპარება, ქშესნიაში ვილკსა და ჩტანს შეებმება. მე კი სწორედ ეს მინდოდა და ყველანაირად ვცდილობდი ასე მომხდარიყო.

– გულადი ბიჭები არიან! რომ დაჭრან, მერე რა გვეშველება?

– როგორ თუ რა? თუ იაგენკას გულისთვის ვინმეს შეებმის, მერე იურანდის ქალიშვილზე როგორღა იფიქრებს? მაშინ ხომ მისი ქალბატონი იაგენკა გახდება და არა ის. მე კი ამის მეტი არა მინდა რა, – თვალში მომივიდა რაღაც ეს ჩემი ნათესავი!

– მერე აღთქმა?

– იმწამსვე გავათავისუფლებ აღთქმისაგან! განა ვერ გაიგონეთ, მე თვითონ შევპირდი?

– როგორი ჭკვიანი ხართ, არსად დაიკარგებით! – უპასუხა ზიხმა.

ქებით ნასიამოვნები აბატი იაგენკას მიუახლოვდა და ჰკითხა:

– რას ჩამოგიშვია ცხვირი?

ის უნაგირზე გადმოიხარა, აბატის ხელი აიღო და ტუჩებთან მიიტანა.

– ნათლიავ, გაგეგზავნათ მოსიმღერეები ქშესნიაში.

– რისთვის? შევლენ ფუნდუკში და გამოთვრებიან – სხვა რა იქნება?

– იქნებ ჩაშალონ ჩხუბი?

აბატმა უმალ შეავლო თვალი ქალს და მკვახედ უთხრა:

– ნეტა ერთი მოკლავდნენ, სწორედ ის მინდა!

– მაშინ მეც მომკლან! – შეჰყვირა იაგენკამ.

და მთელი დარდი, მთელი სინანული, რაც მის გულში ზბიშკოსთან საუბრის შემდეგ ჩაგუბებულიყო, ერთბაშად გადმოღვარა ცრემლებად. რომ დაინახა, იაგენკა ტიროდა, აბატმა ხელი მოჰხვია ქალიშვილს, თითქმის ჩამალა თავის განიერ სახელოში, და წამოიწყო:

– ნუ გეშინია, შვილო. ნურაფრისა გეშინია. იქნებ მართლაც იჩხუბონ, მაგრამ ჩტანი და ვილკი ხომ შლიახტიჩები არიან განა ისე ერთბაშად ეცემიან, რაინდული წესის მიხედვით ჯერ ორთაბრძოლაში გამოიწვევენ. ასე კი ზბიშკო ორთავეს გაუმკლავდება, ერთადაც რომ შეებრძოლონ. რაც შეეხება იურანდის ქალიშვილს, აი, რას გეტყვი: არც ერთ ტყეში არ ხარობს ისეთი ხე, რომლისგანაც მათთვის სარეცელი გაკეთდებოდა.

– თუ ის უფრო მოსწონს, ვიდრე მე, მაშინ აღარც მე მინდა, – უპასუხა ცრემლმორეულმა იაგენკამ.

– აბა, რაღას მოთქვამ?

– მეშინია, არაფერი დაუშავონ.

– აი, მოკითხე ქალს ჭკუა! – სიცილით შესძახა აბატმა. მერე დაიხარა იაგენკას ყურთან და უთხრა:

– შენ, ჩემო შვილო, იმაზე იფიქრე, ცოლადაც რომ შეგირთოს, ბრძოლას მაშინაც ვერ გაექცევა. ის ხომ შლიახტიჩია. მერე კიდევ უფრო დაიხარა და დასძინა:

– შერთვით კი უეჭველად შეგირთავს, ვფიცავარ გამჩენს, უეჭველად შეგირთავს და თანაც სულ მალე!

– აბა, რას ამბობთ! – შეედავა იაგენკა.

მაგრამ ცრემლებში ერთბაშად გამოკრთა ღიმილი, სახე გაუნათდა და აბატს ისე შეხედა, თითქოს უნდოდა ეკითხა, საიდან იცითო.

ამასობაში ზბიშკო ქშესნიაში ჩავიდა და პირდაპირ ქსონძისაკენ გაემართა, რადგან მართლაც უნდოდა მაცკოს გამოსაჯანმრთელებელი წირვის შეკვეთა. ქსონძს რომ მოელაპარაკა, მერე ფუნდუკს მიაშურა, იმედი ჰქონდა, ახალგაზრდა ვილკ ბჟოზოველსა და ჩტან როგოველს იქ შეხვდებოდა.

მართლაც ორთავენი იქ დაუხვდნენ. ფუნდუკში ხალხმრავლობა იყო, აქ სვამდნენ წვრილი და ცნობილი შლიახტიჩები, გლეხები; რამდენიმე მოხეტიალე ოინბაზი ათასნაირ გერმანულ ხრიკებს აჩვენებდა. თავდაპირველად ზბიშკომ ვერაფერი გაარჩია, რადგან ხარისბუშტებგაკრული ფანჯრებიდან ძალზე ცოტა სინათლე შემოდიოდა; როცა მსახურმა ღუმელში ფიჭვის ნაფოტები შეყარა, ზბიშკომ კუთხეში, ლუდის ბოცებს უკან, დაინახა ჩტანის ბანჯგვლიანი და ვილკის ბოღმისაგან ჩაშავებული სიფათები.

ზბიშკო იმათკენ გაეშურა. გზადაგზა ხალხის გროვას აქეთ-და იქით სწევდა და, როცა სულ ახლოს მივიდა, ისე მაგრად დაარტყა ხელი მაგიდაზე, რომ მთელი ფუნდუკი გააყრუა.

ვილკი და ჩტანი წამოხტნენ, ტყავის ქამრები წინ შემოიბრუნეს და ხმლების დაძრობას აპირებდნენ, მაგრამ ვერ მოასწრეს. ზბიშკომ მაგიდაზე ხელთათმანი დააგდო და ცხვირში დუდღუნით, როგორც წესად ჰქონდათ რაინდებს ბრძოლაში გამოწვევის დროს, წარმოთქვა სრულიად მოულოდნელი სიტყვები:

– თუკი რომელიმე თქვენგანი ან სხვა რაინდი შემედავება იმაში, რომ იურანდ სპიხოველის ასული პანა დანუტა ყველაზე ლამაზი და ყველაზე კეთილი ქალიშვილი არ არის მთელ ქვეყანაზე, მე გამოვიწვევ მას ორთაბრძოლაში ცხენდაცხენ ან ქვეითად, პირველ ჩამუხვლამდე ან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

ვილკი და ჩტანი გაშტერებულები იდგნენ, ასევე გაშტერდებოდა ალბათ აბატიც, ეს რომ გაეგონა, და ერთხანს ენა ვეღარ მოატრიალეს. ვინ არის ეს ქალიშვილი? ისინი იაგენკაზე ოცნებობენ და არა მასზე... და თუ ამ დამთხვეულ ჭაბუკს იაგენკა არაფრად სჭირდება, რას ეჩხირება აქაურობას? რატომ გაახელა ისინი ეკლესიის კარიბჭესთან? ან აქ რატომ მოვიდა და ჩხუბის მიზეზს რისთვის ეძებს? ყველაფერი ერთად აერიათ თავში, პირიც კი დააღეს, ჩტანი კი ისე მიაშტერდა ზბიშკოს, თითქოს ადამიანს კი არა, რაღაც გერმანულ საოცრებას უყურებსო.

ვილკი უფრო მოსაზრებული ბიჭი იყო, ცოტა რაინდული წესებისაც გაეგებოდა რაღაც და იცოდა, რომ რაინდები ხშირად აღთქმით ერთ ქალს ემსახურებიან, ცოლად კი სულ სხვას ირთავენ. ჰოდა იფიქრა, აქაც ალბათ ასეთი ამბავიაო, და, რაკი შემთხვევა მიეცა იაგენკასათვის ებრძოლა, დაუყოვნებლივ უნდა გამოეყენებინა იგი.

ვილკი მაგიდას მოსცილდა, ზბიშკოსთან მივიდა ისეთი სახით, კარგს რომ არაფერს მოასწავებდა, და ჰკითხა:

– შენ როგორ ფიქრობ, ძაღლისშვილო, ზიხის ქალიშვილი იაგენკა არ არის ყველაზე ლამაზი ამ ქვეყანაზე?

ვილკს მოჰყვა ჩტანი, მათ გარშემო კი უცებ თავი მოიყარა ხალხმა, რადგან ყველა მიხვდა, ეს საქმე კეთილად არ დამთავრდებოდა.

III

შინ დაბრუნებულმა იაგენკამ მაშინვე მსახურს უხმო და ქშესნიაში გაგზავნა ამბის გასაგებად, ფუნდუკში ხომ არავის უჩხუბია ან ორთაბრძოლაში ხომ არავინ გამოუწვევიათო. მაგრამ მსახური საგზაოდ მიცემული ფულით ფუნდუკში ქსონძის მსახურებთან ერთად გამოთვრა და შინ დაბრუნებაზე აღარც უფიქრია. მეორე მსახური ბოგდანეცში გაგზავნეს, რათა მაცკო გაეფრთხილებინა აბატის ჩასვლის თაობაზე. ამ მსახურმა შეასრულა დავალება და მოახსენა, ჩემი თვალით ვნახე ზბიშკო და მოხუცი შლიახტიჩი კამათლებს თამაშობდნენო.

იაგენკა ცოტათი დაწყნარდა. იცოდა, როგორი მარჯვე და გამოცდილი იყო ზბიშკო და მისი ბრძოლაში გამოწვევა ისე არ აშინებდა. უფრო იმის ჯავრი ჰქონდა, ვაითუ ფუნდუკში მოულოდნელად რაიმე უბედურება დატრიალდესო. ძალიან უნდოდა აბატთან ერთად ბოგდანეცში წასვლა, მაგრამ აბატმა უარი უთხრა. მაცკოსთან გირაოზე და კიდევ ერთ მნიშვნელოვან საქმეზე სურდა მოლაპარაკება, იაგენკასნაირი მოწმე კი ასეთ საქმეებში სასურველი არ იყო.

ამას გარდა, აბატი ღამის გათევასაც აპირებდა ბოგდანეცში. ზბიშკოს მშვიდობით დაბრუნება რომ გაიგო, შესანიშნავ გუნებაზე დადგა და მედავითნეებს უბრძანა მთელი ხმით ემღერათ. ისინიც მოდგნენ და ისე ღრიალებდნენ, მთელი ტყე – გააყრუეს, ხოლო ბოგდანეცში დამფრთხალი გლეხები ქოხებიდან თავებს ჰყოფდნენ, ხანძარი გაჩნდა თუ მტერი დაგვესხაო თავს. მაგრამ მოგრეხილი კვერთხით ხელში წინ მიმავალი მომლოცველი ამშვიდებდა მათ – ეს მაღალი წოდების სასულიერო პირი მობრძანდებაო, და გლეხებიც მოწიწებით ხრიდნენ თავს, ზოგიერთი კი პირჯვარსაც იწერდა. აბატი ძლიერ ასიამოვნა და გაახარა ასეთმა მოწიწებამ და ამაყად მობრძანდებოდა ხალხისადმი კეთილმოწყალებით აღვსილი.

სიმღერისა და შეძახილების გაგონებაზე მაცკო და ზბიშკო ჭიშკართან გამოეგებნენ აბატს. აბატის ზოგი მსახური ნამყოფი იყო ბოგდანეცში, მაგრამ იმათ, ვინც აბატის ამალას ახლახან შემოუერთდნენ, ბოგდანეცი

არასოდეს ენახათ. ამ მსახურებმა ყურები ჩამოჰყარეს, როცა თვალი შეავლეს უბადრუკ სახლს, ახლოსაც რომ ვერ მოვიდოდა ზგოჟელიციის ხალვათ კარ-მიდამოსთან. მერე შეამჩნიეს, რომ ჩალით გადახურული სახლის სახურავიდან კვამლი ამოდიოდა და ცოტა გამხნევდნენ, ხოლო როცა შინ შევიდნენ და ზაფრანისა და ნაირნაირი ხორცეულის სუნი ეცათ, როცა დაინახეს ჯერ კიდევ ცარიელი, მაგრამ გულს რომ გაგიხარებდა, იმხელა ჯამებით გაწყობილი ორი მაგიდა, მაშინ კი სულ მთლად გამოცოცხლდნენ. მომცრო მაგიდაზე ბრჭყვინავდა აბატისათვის მომზადებული წმინდა ვერცხლის ჯამი და მდიდრულად ნაჩუქურთმევი ვერცხლისავე თასი, ფრიზებთან ბრძოლაში რომ მოეპოვებინათ სხვა საგანძურთან ერთად.

მაცკომ და ზბიშკომ მაშინვე სუფრასთან მიიწვიეს სტუმრები, მაგრამ აბატმა, რომელმაც ზგოჟელიციდან წამოსვლისას მაძღრისად ისაუზმა, უარი თქვა, მით უმეტეს, რომ ახლა სულ სხვა რამ აინტერესებდა. ბოგდანეცში ჩამოსვლისთანავე იგი გამომცდელად და თან მოუსვენრად მიაცქერდა ზბიშკოს, თითქოს უნდოდა ჩხუბის კვალი შეენიშნა. ჭაბუკის მშვიდი სახის დანახვაზე ისეთი მოუსვენრობა დაეუფლა, უკვე აღარ შეეძლო ცნობისმოყვარეობის დაოკება.

– გავიდეთ გვერდით ოთახში, გირაოზე მინდა მოლაპარაკება, – თქვა მან, თან დასძინა, – არ შემედაოთ არაფერზე, თორემ გავბრაზდები! მერე მედავითნეებს მიუბრუნდა და დაუღრიალა:

– თქვენ მანდ ხმა გაწყვიტეთ და კარის ქვეშიდან არ დამიწყოთ მოყურადღება!

მერე გვერდითა ოთახის კარი გააღო და ძლივს გაეტია შიგ, მას მიჰყვნენ ზბიშკო და მაცკო. როცა ისინი ზანდუკებზე ჩამოსხდნენ, აბატმა ახალგაზრდა რაინდს მიმართა:

– ქშესნიაში მიბრუნდი?

– მივბრუნდი.

– მერე?

– ბიძაჩემის გამოსაჯანმრთელებელი წირვა შევუკვეთე. მეტი არაფერი.

აბატი მოუსვენრად ატოკდა ზანდუკზე.

„დახე, – გაიფიქრა მან, – არც ჩტანს შეხვედრია და არც ვილკს. იქნებ იქ აღარც იყვნენ ან არ უძებნია. როგორ შევცდი!“

აბატი საშინლად ნაწყენი იყო, რომ ანგარიშში მოტყუვდა. სისხლი მოაწვა სახეზე, აქოშინდა და ნელ-ნელა თვითონვე დაიწყო დაწყნარება.

– მოვილაპარაკოთ გირაოზე! – უთხრა მან ერთი წუთის შემდეგ. – თუ ფული გაქვთ, ხომ კარგი, თუ არა და ბოგდანეცი ჩემია!..

მაცკომ აბატთან თავის დაჭერა იცოდა, ამიტომ უხმოდ წამოდგა, ახადა ზანდუკი, რომელზეც იჯდა, ამოიღო წინასწარ მომზადებული ფულის ტომსიკა და უთხრა:

– ჩვენ ღარიბი ხალხი ვართ, მაგრამ ფული მოგვეპოვება, და რაც სხვისი გვმართებს, ყოველთვის სრულად ვიხდით, როგორც წერია საგირაო ფურცელში, რომელიც ჩემი ხელით დავადასტურე და წმინდა ჯვარიც დავასვი. თუ წესრიგისა და მეურნეობაში მიღებული მოგებისათვის დამატებას მოითხოვთ, არ ვიდავებთ, გადაგიხდით, რამდენსაც გვიბრძანებთ, და მუხლებზეც გემთხვევით, ჩვენო კეთილისმყოფელო!

ამ სიტყვებით ის მუხლებზე ემთხვია აბატს, მერე ზბიშკომაც იგივე გაიმეორა. აბატს ეგონა, დავასა და ვაჭრობას გამიბამენო, და ცოტა არ იყოს შეფიქრიანებული და ნაწყენიც კი იყო, რადგან ვაჭრობის დროს თავისი პირობების წამოყენებას აპირებდა. ახლა კი ამისი შესაძლებლობა მოესპო.

როცა აბატი წერა-კითხვის უცოდინარ მაცკოს ჯვარდასმულ საგირაო ქაღალდს უბრუნებდა, უთხრა:

– რაო, რას მეუბნებოდით ფულის დამატებაზე?

– ნაჩუქარი არაფერი მინდა, – უპასუხა ეშმაკმა მაცკომ, რომელმაც იცოდა, რაც მეტს შეედავებოდა ახლა, უფრო მოგებული დარჩებოდა.

აბატი წამში აფეთქდა:

– ერთი ამას დამიხედეთ, ნაჩუქარი არაფერი უნდა თვისტომისაგან. ჩვენი ლუკმა ყელში გაეჩხირა. ცარიელი ადგილი არ დაგიგირავებია და არც ცარიელს გიბრუნებ, თუ მომინდება, მიწას დავანარცხო ეს ტომსიკა, ავდგები და დავანარცხებ!

– ამას თქვენ არ ჩაიდენთ! – შესძახა მაცკომ.

– არ ჩავიდენ? აი, თქვენი გირაო! აი, თქვენი ფული! ასე მსურს და საჩუქრად გაძლევთ, მომესურვება და გზაზე გადავაგდებ, და თქვენ ამას არავინ გეკითხებათ. არ ჩავიდენ, გგონიათ?

ამ სიტყვებით ხელი წაავლო ტომსიკას ზონარში და იატაკს ისე დასცხო, ტილო გასკდა და ფული გადმოცვივდა.

– ღმერთმა გადაგიხადოთ, ღმერთმა გადაგიხადოთ, მამაო და კეთილისმყოფელო! – შესძახა მაცკომ, რომელიც სწორედ ამას ელოდა. – სხვისგან არ ავიღებდი, სახლიკაცისგან კი, თანაც სასულიერო პირისგან, ავიღებ!.

– ერთხანს აბატი მრისხანედ შეჰყურებდა ხან მას, ხან ზბიშკოს და ბოლოს თქვა:

– რისხვის დროსაც კარგად ვიცი, რასაც ვაკეთებ. მოიხმარეთ ეგ თქვენი ქონება, მაგრამ იცოდეთ, ამის მერე ვეღარ ეღირსებით ვერც ერთ კაპიკს!

– ჩვენ არც გვიფიქრია ამაზე!

– ესეც იცოდეთ. ყველაფერი, რაც ჩემი სიკვდილის მერე დარჩება, იაგენკასია.

– მიწაც? -– მიამიტად იკითხა მაცკომ.

– მიწაც! – იღრიალა აბატმა. მაცკოს სახე ჩამოუგრძელდა, მაგრამ თავი შეიკავა და უთხრა:

– ეჰ, რა დროს სიკვდილზე ფიქრია? ღმერთმა ასი წლის ჯანმრთელი სიცოცხლე მოგცეთ, უპირველესად კი დიდი საეპისკოპოსო!

– თუნდაც ასე იყოს!.. სხვაზე ნაკლები რითი ვარ! – მოუჭრა აბატმა.

– ნაკლები კი არა, უკეთესი ბრძანდებით.

ამ სიტყვებმა აბატი დაამშვიდეს, თუმცა ისედაც დიდხანს არ გაჰყვებოდა ხოლმე გულის მოსვლა.

– თქვენ ჩემი ნათესავები ხართ, – თქვა მან, – ის კი მხოლოდ ნათლულია, მაგრამ დიდი ხანია გულში ჩამივარდნენ ისა და ზიხი. ამ დედამიწის ზურგზე ზიხზე უკეთესი ადამიანი არ დადის, და არც იაგენკაზე უკეთესი ქალიშვილი მოიძევება სადმე. ვის მოუბრუნდება ენა იმათზე ცუდის სათქმელად?

მან გამომწვევად შეხედა ორთავეს; მაგრამ მაცკოს აზრადაც არ მოსვლია შეკამათებოდა, პირიქით, სასწრაფოდ დაუდასტურა, ასეთ ღირსეულ მეზობელს მთელ სამეფოში ვერ იპოვი, ხოლო რაც შეეხება ქალიშვილს, მე ის ისე მიყვარს, ალბათ საკუთარი ქალიშვილიც არ მეყვარებოდაო ასე. იმან დამაყენა ფეხზე და ამ სიკეთეს სიკვდილამდე არ დავუვიწყებო.

– ერთიცა და მეორეც ჯოჯოხეთში ჩაიბუგებით, თუ ამას დაუვიწყებთ, – უთხრა აბატმა, – მე პირველი ვიქნები თქვენი დამაწყევარი. არ შემიძლია თქვენი წყენინება, ჩემი თვისტომები ხართ, ამიტომაც მოვიფიქრე, როგორ

მოვქცეულიყავი, რომ ჩემი ქონება იაგენკასაც რგებოდა და თქვენც, – გასაგებია?

– ღმერთმა გისმინოთ! – უპასუხა მაცკომ. – აგრემც ღმერთი იზამდა და მე ფეხით ჩავიდოდი კრაკოვში დედოფლის კუბოსთან და წმინდა მთაზეც, რათა თაყვანი მეცა მაცხოვრის ცხოველმყოფელი ჯვრისათვის.

აბატს გაეხარდა, როცა დაინახა, როგორ გულმხურვალედ ლაპარაკობდა მაცკო, და ღიმილით თქვა:

– ქალიშვილს უფლება აქვს თვითონ აირჩიოს საქმრო – ლამაზიცაა, მზითვიც ბევრი აქვს, გვარიშვილობაც კარგი! ჩტანი და ვილკი ვინ მიყრიან? ეგენი კი არა, მისთვის ვოევოდას ვაჟიც ცოტა იქნებოდა. მაგრამ ჩემს რჩევას ის ყოველი თვის გაიგონებს. ვუყვარვარ და კარგად იცის, ცუდს არასოდეს ვუსურვებ.

– ნეტა იმას, ვისაც იაგენკას გაურიგებთ, – უთხრა მაცკომ.

მაგრამ აბატი ზბიშკოს მიუბრუნდა:

– შენ რაღას იტყვი?

– მეც იმასვე ვფიქრობ, რასაც ბიძაჩემი...

აბატს უფრო მეტად გაუნათდა კეთილშობილი სახე. მან ისე მაგრად დაჰკრა ზბიშკოს ზურგზე ხელი, რომ კედლებმა ექო გამოსცეს. მერე კი უთხრა:

– რა იყო, ეკლესიასთან იაგენკას ახლოს რომ არ მიაკარე არც ვილკი და არც ჩტანი?

– არ მინდოდა ეფიქრათ, რომ იმათი მეშინია, და არც ის მინდოდა, რომ თქვენ ასე გგონებოდათ!

– ნაკურთხი წყალიც ხომ შენ მიაწოდე?

– დიახ, მე.

აბატმა ისევ ზურგზე დაჰკრა ხელი.

– მაშ შენ... მაშ შენ შეირთე ცოლად!

– შეირთე! – შესძახა მაცკომაც.

ზბიშკომ ბადურის ქვეშ თმა გაისწორა და წყნარად შეეპასუხა:

– როგორ უნდა შევირთო, როცა ტინეცში საკურთხევლის წინ აღთქმა მივეცი დანუსია იურანდის ასულს?

– შენ მას ფარშავანგის ჯიღები აღუთქვი და ეძებე კიდევაც, იაგენკაზე კი ახლავე დაიწერე ჯვარი!

– არა, – თქვა ზბიშკომ, – დანუსიამ რიდე რომ გადამაფარა, მაშინ შევ-პირდი ცოლად შერთვას.

აბატი თანდათან წამოჭარხლდა, ყურებზე ალმური მოედო, თვალები, გეგონებოდათ, ეს-ეს არის გადმოსცვივაო ბუდიდან; მან ნაბიჯი წარსდგა ზბიშკოსაკენ და ბრაზისაგან ჩაგუდული ხმით უთხრა:

– შენი აღთქმები ბაბუაწვერაა, მე კი ქარი ვარ – გასაგებია? აი!

და ისეთი ძალით შეუბერა ზბიშკოს, რომ მას ბადურა გადასძვრა და თმა მხრებზე ჩამოეშალა. ზბიშკო მოიღუშა, აბატს თვალი გაუსწორა და უთ-ხრა:

– ჩემი აღთქმები ჩემი პატიოსნებაა და მათ მე თვითონ ვუდგავარ გუშა-გად!

წინააღმდეგობას შეუჩვეველმა აბატმა ეს სიტყვები რომ გაიგონა, სუ-ლი ვეღარ მოითქვა, ენაც კი წაერთვა ერთხანს ავისმომასწავებელი სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ბოლოს მაცკომ დაარღვია:

– ზბიშკო! გონს მოდი, რა დაგემართა!

აბატმა ხელი მიაშვირა ჭაბუკს და შეჰყვირა:

– რა დაემართა? მე ვიცი, რაც დაემართა: რაინდისა და შლიახტიჩის კი არა, კურდღლის სული უდგას. ჩტანისა და ვილკის ეშინია, აი, ეს დაემართა..

ზბიშკოს ერთი წუთითაც არ დაუკარგავს წონასწორობა, მხრები აიჩეჩა და შეესიტყვა:

– არაფერიც! მე ხომ იმათ ქშესნიაში ორთავეს გოგრები გავუხეთქე.

– ღმერთისა მაინც არ გეშინია? – შესძახა მაცკომ.

აბატმა თვალები გადმოკარკლა. რისხვა და გაოცება ერთმანეთს ებ-რძოდა მასში. მაგრამ ბუნებისაგან სხარტი გონებით დაჯილდოებულმა მო-ხუცმა იმწამსვე მოისაზრა, რომ ჩტანთან და ვილკთან ჩხუბი შეეძლო თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

ცოტა გული რომ მოიბრუნა, ზბიშკოს შეუძახა:

– მერე რატომ არაფერი თქვი ამაზე?

– მრცხვენოდა. მეგონა, როგორც რაინდებს შეეფერებათ, ისე გამომიწ-ვევენ-მეთქი ორთაბრძოლაში და ცხენდაცხენ ან ქვეითად შევერკინებო-

დით ერთმანეთს, მაგრამ ისინი რაინდები კი არა, ყაჩაღები არიან. ჯერ ვილკმა ააგლიჯა მაგიდას ფიცარი, მერე ჩტანმა და ასე შემომიტიეს! რა უნდა მექნა? ხელი დავავლე მერხს და... თქვენთვის გასაგებია...

– ცოცხლები არიან? – ჰკითხა მაცკომ.

– ცოცხლები არიან, ოღონდ უგონოდ იყვნენ და ჩემს იქ ყოფნაში მოსულიერდნენ.

აბატი უსმენდა, თან შუბლს ისრესდა, მერე უცებ წამოხტა ზანდუკიდან, სადაც ის იყო ჩამოჯდა, რომ კარგად მოესაზრებინა ყველაფერი.

– დამაცა! – წამოიძახა მან. – აი, რას გეტყვი!

– რას მეტყვით? – ჰკითხა ზბიშკომ.

– იმას გეტყვი, რომ, რაკი იაგენკასთვის იბრძოდი და ბიჭებს თავები მაგის გულისთვის დაუმტვრიე, შენ უკვე იაგენკას რაინდი ხარ და არა სხვისი, და ვალდებული ხარ ცოლად შეირთო.

აბატმა დოინჯი შემოიყარა და გამარჯვებული სახით მიაჩერდა ზბიშკოს; მან კი გაიღიმა და უთხრა:

– ეჰ, შესანიშნავად ვიცოდი, რისთვისაც მაქეზებდით იქ ბიჭებზე, მაგრამ შეცდით.

– რას ჰქვია, შევცდი?.. თქვი!

– მე იმათ ვუბრძანე დაედასტურებინათ, რომ ყველაზე ლამაზი და ყველაზე კეთილი ქალიშვილი ამქვეყნად იურანდის ასული დანუსიაა და იაგენკასთვის მე კი არა, ისინი დებდნენ თავს. აი, ამაზე ვიჩხუბეთ.

ეს რომ გაიგონა, აბატი წუთით გაქვავდა, მარტო თვალების მოძრაობაზე თუ მიხვდებოდით, რომ ისევ ცოცხალი იყო. მერე ერთბაშად შემობრუნდა, წიხლი ჰკრა კარს, ოთახში შევარდა, მომლოცველს ხელიდან დაგრეხილი კვერთხი გამოგლიჯა და მოჰყვა თავისი მოსიმღერეების თათხვას:

– ცხენებზე ჩქარა, თქვე მასხარებო! ჩემი ფეხი ამ სახლში აღარ იქნება! ცხენებზე ჩქარა, ვისაც ღვთის შიში შერჩენია! ცხენებზე!

მერე მეორე კარს სთხლიშა წიხლი და ეზოში გავარდა; მას უკან გაჰყვნენ გაოგნებული მედავითნეები. ჯგროდ მიაწყდნენ საჯინიბოს, წამში შეკაზმეს ცხენები. ამაოდ დასდევდა მაცკო კუდში აბატს, ამაოდ ეხვეწებოდა და ემუდარებოდა, ეფიცებოდა, ბრალი არაფერში მიმიძღვის. ყველაფერი ამაო იყო! აბატი უკანასკნელი სიტყვებით იგინებოდა, წყევლიდა სახლსაც, მინდვრებსაც, ადამიანებსაც და, როცა ცხენი მოართვეს, უუზანგებოდ შეახ-

ტა და გააჭენა სახელოების ფრიალფრიალით, ვეება წითელი ჩიტი გეგონებოდათ. მედავითნეები დაშინებულნი მიჰყვებოდნენ უკან, როგორც ჯოგი მისდევს თავის მეთაურს.

მაცკო ერთხანს გასცქეროდა მათ, მერე, როცა თვალს მიეფარნენ, დინჯად შებრუნდა შინ და თავის ქნევით უთხრა ზბიშკოს:

– ეს რა ჩაიდინე!..

– არაფერიც არ მოხდებოდა, დროზე რომ წავსულიყავი აქედან. სულ თქვენი გულისთვის გავჩერდი.

– როგორ თუ ჩემი გულისთვის?

– არ მინდოდა ავადმყოფი დამეტოვებინეთ.

– აბა, ახლა რას იზამ?

– ახლა წავალ.

– სად? – მაზოვიაში... დანუსიასთან... და გერმანელებში ფარშავანგის ჯიღების საძებნელად.

მაცკო ერთ წამს დადუმდა და მერე უთხრა:

– საგირაო ქაღალდი კი მოგვცა, მაგრამ გირაო ხომ ისევ დარჩა და სასამართლო წიგნშია ჩაწერილი. ახლა ერთ კაპიკსაც აღარ დაგვითმობს.

– მერე რა, ნუ დაგვითმობს. ფული გაქვთ. მე კი გზისთვის არაფერი მჭირდება. კარს ყველა გამიღებს და ცხენებსაც არ მომიშიებენ. სანამ ტანზე ჯავშანი მაცვია და მახვილი ხელთ მიპყრია, სავალალოც არაფერია.

მაცკო ჩაფიქრდა და აწონ-დაწონა, რაც მოხდა. ვერ გამოვიდა ისე, როგორც მას სურდა და როგორც გული უთქვამდა. ძალიანაც უნდოდა, რომ ზბიშკოს იაგენკა შეერთო, მაგრამ ახლა დარწმუნდა, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა. ახლა აბატიც ბრაზობს, ზიხიც და იაგენკაც. იქით ჩტანი და ვილკი არიან გალახულები. მართლაც სჯობს წავიდეს ზბიშკო, ვიდრე ჩხუბი და აყალმაყალი გაგრძელდებოდეს.

– ეჰ, – თქვა მან, – რას იზამ. სულ ერთია, გერმანელთა თავები საძებარი გაქვს, სჯობს წახვიდე. იყოს ნება ღვთისა... მე კი ახლა ზგოჟელიცს მივაშურებ, იქნებ როგორმე მოვულბო გული აბატსა და ზიხს. ზიხი განსაკუთრებით მეცოდება.

მოხუცმა თვალებში ჩახედა ზბიშკოს და ერთბაშად ჰკითხა:

– განა შენ კი არ გეცოდება იაგენკა?

– ღმერთმა ჯანმრთელი და ბედნიერი ამყოფოს! – უპასუხა ზბიშკომ.

IV

რამდენიმე დღე მაცკო მოთმინებით ელოდა ზგოჟელიციდან რაიმე ამბავს. ფიქრობდა, თვით აბატი შეცვლიდა რისხვას წყალობით; ბოლოს მოსწყინდა ლოდინი და გაურკვევლობა და გადაწყვიტა თვითონ წასულიყო ზიხთან. ბრალი არაფერში მიუძღოდა, მაგრამ მაინც აინტერესებდა, მეც ხომ არ დამემდურაო ზიხი. აბატზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო, მას სჯეროდა, რომ დღეიდან მასა და ზბიშკოს აბატი არასოდეს წყალობის თვალით აღარ გადმოხედავდა.

მაცკოს მაინც უნდოდა ყველაფერი ეღონა, რაც მის ხელთ იყო, რათა აბატის რისხვა დაეცხრო. მთელი გზა იმაზე ფიქრობდა, რა და როგორ უნდა ეთქვა ზგოჟელიცში, რომ დანაშაული შეემსუბუქებინა და ადრინდელი კეთილმეზობლური დამოკიდებულება აღედგინა. მაგრამ მოხუცმა გონივრული ვერაფერი მოისაზრა და ძალზე გაიხარა, როცა შინ მარტო იაგენკა დაუხვდა. გოგონა ძველებურად მიესალმა, ხელზე აკოცა. ერთი სიტყვით, კარგად შეხვდა, თუმცა დადარდიანებული კი ჩანდა.

– მამა შინ არის? – ჰკითხა მოხუცმა.

– ის და აბატი სანადიროდ წავიდნენ. სადაც არის, დაბრუნდებიან....

ქალიშვილმა სტუმარი შინ შეიპატიჟა. დიდხანს ისხდნენ ჩუმად, სანამ ისევ იაგენკამ არ დაარღვია მყუდროება:

– მოგწყინდათ ალბათ მარტო ბოგდანეცში?

– მომწყინდა, - უპასუხა მაცკომ. – შენ უკვე იცი, რომ ზბიშკო წავიდა?

იაგენკამ წყნარად ამოიოხრა:

– ვიცი, იმავე დღეს გავიგე: ვიფიქრე, გამოივლის და ერთ-ორ კეთილ სიტყვას მეტყვის გამომშვიდობებისას-მეთქი, მაგრამ არ გამოიარა.

– აბა, როგორ უნდა გამოევლო, აბატი ხომ შუაში გაგლეჯდა, არც მამაშენი მოინდომებდა ალბათ შეხვედრას.

იაგენკამ თავი გაიქნია და უპასუხა:

– ეჰ, მე არავის მივცემ ნებას, იმას აწყენინონ.

მაგარი გულის პატრონი იყო მაცკო, მაგრამ ამ სიტყვებმა მაინც გრძნობა აუშალა, მან მიიზიდა გოგონა და უთხრა:

– ღმერთი მოწყალეა, ჩემო შვილო! შენ დანაღვლიანებული ხარ, მაგრამ არც მე მეშლება ვარდი გულზე. ჩემზე მეტად შენ არც მამაშენს უყვარხარ და არც აბატს. ის მერჩივნა, თან გადავეტანე ამ ჭრილობას, რომელიც შენ მომირჩინე, ოღონდ კი ზბიშკოს შენ შეერთე და არა სხვა.

ამაზე იაგენკას ისეთი დარდი და ნაღველი შემოაწვა, რომ თავი ვეღარ შეიკავა და თქვა:

– ალბათ ვეღარასოდეს ვიხილავ ზბიშკოს, და თუ ვიხილავ, სხვასთან, იურანდის ქალიშვილთან, მაგრამ მირჩევნია, მანამდე ცრემლმა დამივსოს ეს თვალები.

მან წინსაფრის კალთა აიფარა აცრემლებულ თვალებზე.

– გეყოფა, ნუ სტირი! – აწყნარებდა მაცკო, – წასვლით კი წავიდა, მაგრამ ღმერთი იზამს და იურანდის ქალიშვილთან ერთად არ დაბრუნდება.

– რატომ არ დაბრუნდება? – წაილაპარაკა იაგენკამ წინსაფრის ქვეშიდან.

– იმიტომ, რომ არ სურს იურანდს ქალის მიცემა.

იაგენკამ უცებ მოიშორა წინსაფარი და ცოცხლად იკითხა:

– ეგ მეც მითხრა, მაგრამ სიმართლეა?

– სიმართლეა, ჭეშმარიტი სიმართლე.

– რატომ არ სურს?

– ვინ იცის. იქნებ აღთქმა აქვს მიცემული და აღთქმას ხომ ვერავინ გადაუდგება. მოეწონა კიდევაც ზბიშკო, გერმანელებთან შურისძიებაშიც დაგეხმარებიო, ბიჭმა აღუთქვა, მაგრამ არც ამან უშველა. მთავრის მეუღლემ, ანამაც, სულ ამაოდ გამოიდო თავი. იურანდს არც თხოვნის გაგონება უნდოდა, არც ბრძანების, არც შეგონების. არ შემიძლიაო და მორჩა. ალბათ აქვს რაღაც მიზეზი და მართლა არ შეუძლია. მაგარი კაცია, რაკი ერთხელ თქვა, სიტყვას აღარ გადავა. შენ, შვილო, სულით ნუ დაეცემი, გამხნევდი. კაცმა რომ თქვას, წაუსვლელობა მართლა არ იქნებოდა, აკი ეკლესიაში დადო აღთქმა, ფარშავანგის ჯიღებს მოვიპოვებო, გოგომაც საქორწინო რიდე დაჰხურა, ნიშნად ქმრად შერთვისა. ეს რომ არა, თავს მოჰკვეთდნენ. რაღა ბევრი ვილაპარაკო, სიცოცხლით არის დავალებული მისგან! ღმერთმაც ქნას, რომ არ გახდებოდეს ამისი ცოლი, თუმცა კანონით მას ეკუთვნის. ზიხი ბრაზობს

ალბათ, აბატიც უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავს, მეც გავუჯავრდი, მაგრამ, აბა, შენ თვითონ დაფიქრდი, რა ექნა? ვალში იყო და უეჭველად უნდა წასულიყო. სხვა არა იყოს რა, შლიახტიჩია. ერთს კი ვიტყვი: თუ სადმე გერმანელებმა არ მოკლეს, უეჭველად დაბრუნდება, და განა მარტო ჩემთან, მოხუცთან, შენთანაც. ძალიან თვალში მოუხვედი.

– აბა, რას ბრძანებთ, – თქვა დარცხვენილმა იაგენკამ, მაგრამ მაცკოს ახლოს მიუჩოჩდა, იდაყვი წაჰკრა და ჰკითხა:

– თქვენ საიდან იცით ეს? ხომ ტყუილს მეუბნებით, ჰა?

– საიდან ვიცი? – ჩაეკითხა მაცკო. – განა ვერა ვხედავდი, როგორ უჭირდა წასვლა. მერე, როცა გადავწყვიტეთ, რომ უეჭველად უნდა წასულიყო, ვკითხე: „იაგენკა განა არ გეცოდება?“ იმან კი მიპასუხა: „ღმერთმა ჯანმრთელობა და ბედნიერება ნუ მოაკლოსო“. და ისე ამოიოხრა, გეგონებოდათ, გულ-მუცელში საბერველი ჩაუდგიათო...

– ნუთუ მართალია. – უფრო ჩუმად თქვა იაგენკამ. – მაგრამ მომიყევით, მაინც მომიყევით...

– ჰაი, ჰაი, რომ მართალია... შენს მერე ძნელად თუ მოეწონება კაცს ვინმე. თვითონაც კარგად იცი. შენნაირ ჩათქვირულსა და ლამაზ გოგოს, აბა, სად იპოვის კაცი. ალბათ გული უგრძნობდა, რომ იმისთვისა ხარ გაჩენილი და იქნებ უფრო მეტადაც უყვარდი, ვიდრე შენ ის.

– ეგ კი ნამდვილად არ არის ეგრე! – შესძახა იაგენკამ.

მაგრამ მერე მიხვდა, რომ თავი გასცა და შეფაკლული პირი სახე კაბის სახელოში ჩამალა. მაცკომ ულვაშებზე ხელი გადაისვა და თქვა:

– ეჰ, კარგია ახალგაზრდობა! შენ ნუ იდარდებ. მე წინასწარ ვხვდები, როგორ მოტრიალდება საქმე: წავა მაზოვიის სასახლეში, დეზებს მიიღებს, – იქ საზღვარი ახლოსაა, ჯვაროსანს ადვილად წააწყდება კაცი... გერმანელებშიც ბევრია ღონიერი რაინდი, შეიძლება მათი მსხვერპლიც გახდეს, მაგრამ მაინც მგონია, ასე ადვილად ვერავინ დასჯაბნის, ძალზე მოხერხებული და ნაცადი მებრძოლია ეგ ეშმაკის კერძი. შენ ისა თქვი, როგორ გაუმკლავდა მარტო ჩტანსა და ვილკს, აკი ამბობენ, ყოჩაღი და დათვებივით ღონიერი ბიჭები არიანო. იმ თავის ჯიღებს კი ჩამოიტანს, მაგრამ იურანდის ქალიშვილს არ ჩამოიყვანს. მე თვითონ ველაპარაკე იურანდს და ვიცი, როგორცაა საქმე. მერე კი რა მოხდება? მერე აქ დაბრუნდება, სხვა წასასვლელი იმას არა აქვს.

– მერე ეგ როდის იქნება?

– თუ ვერ მოუცდი, შენს თავს დააბრალე. მანამდის კი გადაეცი აბატსა და ზიხს ყველაფერი, რაც მე გითხარი. იქნებ ცოტა გული მოულბეთ ზბიშკოზე.

– როგორ უნდა გადავცე? მამა არც ისე ძალიანაა გაბრაზებული, უფრო დანაღვლიანებულია, აბატთან კი ზბიშკოს ხსენებაც არ შეიძლება. გიყვარდეს მოგვხვდა მეცა და მამაჩემსაც იმ მსახურის გულისთვის, რომელიც მე გავუგზავნე ზბიშკოს.

– რომელი მსახურის?

– იცით, ჩეხი გვყავდა ერთი, მამაჩემმა ტყვედ ჩაიგდო ბოლესლავცესთან, კარგი მსახურია, ერთგული. სახელად ჰლავა ჰქვია. მამამ მე მომცა, რადგან შლიახტიჩი ყოფილიყო თავის სახლში. მე კი კარგი ჯავშანი ჩავაცვი და ზბიშკოსთან გავაგზავნე, რათა ემსახუროს და დაიცვას, როცა საჭირო იქნება. ხოლო თუ რამე შეემთხვევა, შეგვატყობინოს... ფულიც გავატანე გზისთვის, მან კი შემომფიცა, რომ სიკვდილამდე ერთგულად მოემსახურება ზბიშკოს.

– ჩემო გოგონი! დიდი მადლობა! ზიხმა არ დაგიშალა?

– რატომ უნდა დაეშალა? თავიდან არ მაძლევდა ნებას, მერე მე ფეხებში ჩავუვარდი და ჩემი გავიტანე. მამასთან სხვა სიძნელე არაფერი შემხვდა, მაგრამ როგორც კი აბატს უამბეს თავისმა ტაკიმასხარებმა, ისეთი ყვირილი ატეხა, მეორედ მოსვლა გეგონებოდათ. მამაჩემი საცეხვში გაიქცა. საღამოსღა მოულბო გული აბატს ჩემმა ცრემლებმა და მერე ყელსაბამიც კი მაჩუქა. მე მაინც ყველაფერს მოვითმენდი, ოღონდ ზბიშკოს მეტი მსახურები ჰყოლოდა.

– ეჰ, უკვე აღარ ვიცი, ის უფრო მიყვარს, თუ შენ; იმან მსახურებიც ბლომად წაიყვანა და ფულიც გავატანე, თუმცა არაფრით არ იღებდა... მაზოვია არც ისე შორსაა, კაცმა რომ თქვას...

ლაპარაკი ძაღლების ყეფამ, ყვირილმა და საყვირის ხმამ შეაწყვეტინათ.

– მამა და აბატი ნადირობიდან დაბრუნდნენ. გავიდეთ პარმაღზე, შორიდანვე რომ დაგინახონ, სჯობია, ვიდრე მოულოდნელად გადაგაწყდებოდნენ.

ამ სიტყვებით მან მაცკო გაიყვანა პარმაღზე, საიდანაც დათოვლილ ეზოში უამრავი ხალხი მოჩანდა. აქვე იყო ცხენები, ძაღლები, ოროლით განგმირული ან მშვილდ-ისრით მოკლული ცხენირმები და მგლები. აბატმა

მაცკო რომ დალანდა, სანამ ცხენიდან ჩამოხტებოდა, ოროლი მისკენ ისროლა. მართალია, მოხვედრება სულაც არ უფიქრია, მხოლოდ იმისი გამოხატვა უნდოდა, როგორი განრისხებული ვარ ბოგდანეცელებზეო. მაგრამ მაცკომ არც კი შეიმჩნია ეს, ქუდი მოიხადა და შორიდანვე მიესალმა. იაგენკას კი მართლაც არ შეუმჩნევია, რადგან ხალხში ორთავე თავისი თაყვანისმცემელი შენიშნა.

– აქ ჩტანი და ვილკი არიან! – დაიძახა მან, – ალბათ მამაჩემს ტყეში შეხვდნენ.

მაცკოს იმათ დანახვაზე ძველმა ჭრილობამ დაუწყო ტეხვა. ერთბაშად თავში გაუელვა, ერთ-ერთ მათგანს შეუძლია შეირთოს იაგენკა და მზითვად მიიღოსო მოჩიდოლი, აბატის მიწები, მისი ტყეები და ფული... სინანულისა და ბრაზისაგან მოხუცს გული შეეკუმშა, განსაკუთრებით, როცა დაინახა, როგორ მიირბინა ვილკ ბჟოზოველმა აბატთან და ცხენიდან ჩამოხდომაში უშველა, ხოლო აბატი ამ დროს მოწყალედ დაეყრდნო ახალგაზრდა შლიახტიჩის მხარს. სულ ცოტა ხნის წინ კი აბატს მამამისთან ჩხუბი ჰქონდა განზრახული.

„ადგება და მოაკვარახჭინებს საქმეს აბატი მოხუც ვილკთან, – გაიფიქრა მაცკომ, – ქალს ტყეებსაც მისცემს და მიწასაც“.

მაგრამ ეს მწარე ფიქრები იაგენკას ხმამ გააწყვეტინა:

– უკვე მოუსწრიათ ზბიშკოსაგან გატყეპილი თავების მორჩენა: ყოველ ცისმარე დღეს რომ აქ იარონ, სულ ერთია, ვერაფერს ეღირსებიან!

მაცკომ იაგენკას შეხედა, – ქალიშვილს სახე უხურდა ყინვისა და ბრაზისაგან, ცისფერი თვალები უელავდა, თუმცა კარგად იცოდა, როგორ გამოიდეს თავი მისთვის ფუნდუკში ჩტანმა და ვილკმა და სწორედ ამიტომ დაბეგვა ზბიშკომ.

მაგრამ მაცკომ ჩაილაპარაკა:

– ეჰ! ისე მოიქცევი, როგორც აბატი გიბრძანებს.

ქალმა გადაჭრით იუარა:

– აბატი მოიქცევა ისე, როგორც მე მოვისურვებ.

„ღმერთო დიდებულო! – გაიფიქრა მაცკომ, – რა სულელია ზბიშკო, როგორ იქნება ასეთი გოგოს დატოვება!“

V

„სულელი“ ზბიშკო კი მართლაც გულდამძიმებული დაშორდა ბოგდანეცს. პირველ ყოვლისა, უჩვეულო იყო, ბიძა რომ არ ახლდა. წლების განმავლობაში ბიძა სულ გვერდით ჰყავდა და ახლა თვითონაც არ იცოდა, როგორ გაძლებდა უიმისოდ ან გზაში და ან ომში. ამას გარდა, იაგენკაც ეცოდებოდა; მართალია, ცდილობდა დაერწმუნებინა თავი, დანუსია მთელი გულით მიყვარსო, მაგრამ მხოლოდ ახლა იგრძნო, რა კარგი იყო იაგენკას გვერდით ყოფნა, რა ტკბილი იყო მათი შეხვედრები და როგორი სევდა შემოაწვა უიმისოდ. თვითონაც გაოცდა, ასე როგორ მოვიწყინეო, – ეს ყველაფერი კიდევ საკვირველი არ იქნებოდა, იმას რომ იაგენკაზე ისე ედარდა, როგორც ძმას დაზე. ვინ ვინ და თვითონ კი კარგად გრძნობდა, რაც დააკლდა: სურდა კვლავ შემოეჭდო ხელები იაგენკასთვის წელზე და ცხენზე შეესვა, ან ჩამოესვა უნაგირიდან, ისევ და ისევ გადაეყვანა ატატებული მდინარეზე და გაეწურა მისი ნაწნავები, ისევ ეხეტიალათ ერთად ტყე-ტყე, ხარბად უცქირა და „ეთათბირა“ მასთან. ისე შეჩვეოდა ქალს და ისეთი ტკბილი იყო ეს ყველაფერი, რომ ერთი გაფიქრება და მაშინვე ოცნებას მიეცა, სულ გადაავიწყდა, რომ წინ გრძელი გზა ედო მაზოვიისაკენ. მან ცოცხალივით წარმოიდგინა ის წუთი, როცა ტყეში მარტოდმარტო შეება დათვს და მოულოდნელად გაჩნდა მის დასახმარებლად იაგენკა. თითქოს ყველაფერი აგერ გუშინ მოხდა, თითქოს გუშინ იყვნენ ტბაზე თახვის მოსაკლავად. მაშინ არ დაუნახავს, როგორ შეცურდა ქალი თახვის დასაჭერად, მაგრამ ახლა ეჩვენებოდა, რომ ხედავდა მას და რაღაც ტკბილმა ჟრუანტელმა დაურბინა. ორი კვირის წინაც ასე დაემართა, როცა ქარი გაეთამაშა იაგენკას კაბას. მერე ისიც გაახსენდა, როგორ გაოცდა, ასეთი უბრალო ქალიშვილი რომ მორთულ-მოკაზმული და ქშესნიას ეკლესიაში ქალბატონივით ამალის თანხლებით მიმავალი დაინახა. მღელვარება, ნეტარება და ნაღველი ერთად იგრძნო გულში, და როცა გაახსენდა, რომ შეეძლო ყველაფრის უფლება მიეცა თავის თავისთვის, რომ ქალი თვითონ ეკვროდა, თვალებში შესცქეროდა, მისკენ მიილტვოდა, ცხენზე თავი ძლივსღა დაიკავა. „შევხვედროდი მაინც და გამომშვიდობებოდი, მოვხვეოდი, იქნება გულზე მომეშვებოდა ცოტა“, – ეუბნებოდა თავის თავს; მაგრამ მაშინვე იგრძნო, რომ ეს მართალი არ იყო, არ მოეშვებოდა გულზე, რადგან ამ გამომშვიდობების მხოლოდ წარმოდგენაც ცეცხლის ალმურს უკიდებდა, თუმცა გარეთ უკვე ყინვები იდგა.

ზბიშკო ერთბაშად შეაკრთო ამ ცოდვიანმა მოგონებებმა და ისე ჩამოიბერტყა ისინი სულიდან, როგორც მშრალ თოვლს იბერტყავენ მოსასხამიდან.

„დანუსიასთან მივდივარ, ჩემს შეყვარებულთან!“ – უთხრა თავის თავს.

და იმწამსვე მიხვდა, რომ სულ სხვა სიყვარული ჰქონდა ამ ქალისადმი, გაცილებით წმინდა, რომლისგანაც სისხლი არ უდუღდა ძარღვებში. მას ფეხები თანდათან ეთოშებოდა უზანგებში, ცივი ქარი უყინავდა სისხლს და ასევე თანდათან მისი ფიქრები დანუსიასაკენ წარიმართა. ამ ქალისგან ძალზე ბევრით იყო დავალებული. დანუსია რომ არა, კარგა ხანია მისი თავი კრაკოვის მოედანზე დაგორდებოდა. მას შემდეგ, რაც დანუსიამ ყველა რაინდისა და მოქალაქის წინაშე განაცხადა: „ეს ვაჟი ჩემიაო“ – და ჯალათებს ხელიდან დააგდებინა, ზბიშკო მისი საკუთრება გახდა, როგორც მონა ქალბატონისა. ვაჟს კი არ აურჩევია, ქალმა აირჩია იგი, და რამდენი წინააღმდეგობაც არ უნდა გაუწიოს იურანდმა, სულ ერთია, ვერაფერს გახდება. მხოლოდ ქალს შეუძლია მოიშოროს ის, როგორც მსახურს იშორებს ქალბატონი, და მაშინაც კი ვერ გაეცლება თვითონ, რადგან აღთქმებითაა შებორკილი. ამ დროს ისიც გაიფიქრა, ტყუილია, ეს ქალი არასოდეს მომშორდება, უმალ მაზოვიის კარს მიატოვებს და ცხრა მთას იქით გამომყვებაო. ამისთვის გულში ქება-დიდება შეასხა დანუსიას, იაგენკას კი გამტყუნება დაუწყო, თითქოს მხოლოდ ის იყო დამნაშავე, რომ ვაჟი ცდუნებას აჰყვა და გული გაუორდა. ახლა აღარ მოჰგონებია, როგორ მოარჩინა იაგენკამ მოხუცი მაცკო, არც ის, რომ თუ არა იაგენკა, დათვი იმ ღამეს უეჭველად დატორავდა. ვაჟი განგებ ცდილობდა მხოლოდ ცუდი ეფიქრა მასზე. მაშინ უფრო ღირსქმნილი ვიქნები დანუსიასი და საკუთარ თვალშიც გავმართლდებიო.

მაგრამ სწორედ ამ დროს დაეწია იაგენკას გამოგზავნილი ჩეხი ჰლავა. ჩეხს თან მოჰყავდა მძიმედ დასაპალნებული ცხენი.

– დიდება იესო ქრისტეს! – თქვა მან და მდაბლად დაუკრა თავი ზბიშკოს.

ზბიშკოს ერთი-ორჯერ ზგოჟელიცში ჰყავდა ნანახი ეს კაცი, მაგრამ ახლა ვეღარ იცნო.

– უკუნითი უკუნისამდე! – უპასუხა მან. - ვინა ხარ?

თქვენი მსახური, მოწყალეო ბატონო!

– როგორ თუ მსახური? აი, ჩემი მსახურები, – მიუთითა მან სულიმჩიკ ზავიშას ნაჩუქარ ორ თურქსა და კიდევ ორ ზორბა ბიჭზე, რომლებიც თვი-

თონ იაბო ცხენებზე ისხდნენ და მისი ბედაურები მოჰყავდათ, – აი, ჩემი მსახურები, შენ ვიღამ გამოგგზავნა?

– ქალბატონმა იაგენკამ, ზიხის ასულმა ზგოჟელიცელმა.

– ქალბატონმა იაგენკამ?

ზბიშკო ეს-ესაა იმის ცდაში იყო, მხოლოდ ცუდი ეფიქრა ამ ქალიშვილზე და გული ჯერ ისევ სავსე ჰქონდა უსიამოვნო გრძნობით, ამიტომაც უთხრა:

– დაბრუნდი შინ და ქალბატონს მადლობა მოახსენე, შენ მე არა მჭირდები.

მაგრამ ჩეხმა თავი გააქნია.

– მე დამბრუნებელი არა ვარ, ბატონო. ჩემი თავი თქვენ გაჩუქეს და ფიცი მივეცი სიკვდილამდე გემსახუროთ.

– რაკი შენი თავი მე მაჩუქეს, მაშ ჩემი მსახური ყოფილხარ?

– თქვენი, ბატონო!

– მაშინ მე, შენი ბატონი, გიბრძანებ დაბრუნდე!

– მე ფიცი დავდე, და თუმცა მონა ვარ ბოლესლავცელი და საცოდავი მსახური, მაინც კეთილშობილი წარმოშობისა გახლავართ...

ზბიშკო გაბრაზდა:

– ახლავე მოშორდი აქედან! ეს რაღა ახალი ამბავია! არა მსურს და მაინც უნდა მემსახურო? მოშორდი, თორემ ჩემს კაცებს ვუბრძანებ მშვილდები მოზიდონ.

ჩეხმა მშვიდად მოხსნა უნაგირიდან მგლის ტყავგამოკრული მაუდის მოსასხამი, ზბიშკოს გაუწოდა და უთხრა:

– ქალბატონმა იაგენკამ ესეც გამოგიგზავნათ, დიდებულო ბატონო,

– გინდა, ახლავე ძვლები გადაგიმტვრიო? – ჰკითხა მან და მეჯინიბეს შუბი გამოართვა.

– ნაბრძანები მაქვს ეს ქისაც თქვენ გადმოგცეთ, – განაგრძობდა ჩეხი.

ზბიშკო ის იყო აპირებდა შუბის ტარის მოქნევას, მაგრამ გაახსენდა, თუმცა მსახური და ყმაა, მაგრამ წარმოშობით მაინც მემამულეა და ზიხთან ალბათ მხოლოდ იმიტომ დარჩა, რომ გამოსასყიდი ფული არ ჰქონდაო, და შუბი დაუშვა.

ჩეხი მის უზანგებთან დაიხარა და უთხრა:

– ნუ განმირისხდებით, ბატონო. თუ თქვენ სიახლოვეს არ გსურთ ვიარო, შემიძლია მოშორებით გამოგყვეთ ასიოდ ნაბიჯზე. მე ფიცი მაქვს დადებული, რომ გემსახუროთ.

– მე რომ ვუბრძანო, მოგკლან ან შეგკოჭონ?

– ბრძანეთ, მომკლან, ეგ ჩემი ცოდვა აღარ იქნება, ხოლო თუ გამკოჭავენ, ვიქნები გაკოჭილი, სანამ კეთილი ხალხი არ გამომიხსნის, ან სანამ მგლები არ შემჭამენ.

ზბიშკოს აღარაფერი უთქვამს, ცხენი დასძრა და გზას გაუდგა, მას მსახურებიც გაჰყვნენ. მხარზე მშვილდგადებული და გულმოკიდებული ჩეხიც წაჩანჩალდა. ერთბაშად სუსხიანმა ქარმა დაჰბერა. ჩეხი დომბის ტყავში იფუთნებოდა, რადგან ქარს ხორხოშელაც მოჰქონდა.

ქარბუქი წამიწამზე ძლიერდებოდა. თურქებს ქურქები ეცვათ, მაგრამ მაინც ითოშებოდნენ ყინვაში. ზბიშკოს მეჯინიბეებმა ხელების ტყაპუნი ასტეხეს, თვითონ კი, საკმაოდ ხალვათად ჩაცმულმა, რამდენჯერმე ალმაცერად გადახედა ჰლავას ჩამოტანილ მგლის ტყავგამოკრულ მოსასხამს. კიდევ ერთი წუთი და თურქს უბრძანა, მომაწოდეო.

ზბიშკო მაგრად გამოეხვა შიგ და სულ მალე იგრძნო, როგორ დაუარა სითბომ ძარღვებში. განსაკუთრებით მოხერხებული იყო კაპიუშონი, რომელიც უფარავდა თვალებსა და სახის ნაწილს. ასე რომ, ქარბუქი ახლა გულს ვეღარ უწვრილებდა ახალგაზრდა რაინდს. უნებურად გაიფიქრა, რა კეთილი ქალიშვილიაო იაგენკა, და სვლა ოდნავ შეანელა, უნდოდა ჩეხისთვის გამოეკითხა ქალისა და საერთოდ ზგოჟელიცის ამბები.

მან მსახური მოიხმო და ჰკითხა:

მოხუცმა ზიხმა თუ იცის, რომ ქალბატონმა გამოგგზავნა?

– იცის, – უპასუხა ჰლავამ.

– მერე, არ დაუშალა ქალბატონს?

– დაუშალა.

– მიამბე ყველაფერი.

– პანი წინ და უკან დადიოდა ოთახში, პანოჩკა კი თან დაჰყვებოდა. პანი ყვიროდა, პანოჩკა კი კრინტს არ ძრავდა როგორც კი მამა მისკენ მობრუნდებოდა, ბახ და ფეხებში ჩაუვარდებოდა. ასე, უხმოდ. ბოლოს პანმა უთხრა: „ხომ არ დაყრუვდი, რომ არაფერზე მპასუხობ? ერთი სიტყვა მაინც მითხარი, თორემ ნებას დაგრთავ, დაგრთავ და აბატი თავს წამაცლის!“ მა-

შინ პანა მიხვდა, რომ თავისას გაიტანდა, ტირილი აუტყდა და მადლობა გადაუხადა. მამამ პანოჩკას უსაყვედურა, ყველაფერში შენს ნებაზე მატარებო, და მერე უთხრა: „დაიფიცე, რომ უფლებას მიიღებ და მერე არ გაიპარები იმასთან გამოსამშვიდობებლად, თორემ არ მოგცემ ნებას“.

ამაზე პანოჩკამ ყურები ჩამოჰყარა, მაგრამ მაინც შეჰპირდა, პანმა კი ძლიერ გაიხარა, რადგან მას და აბატს თავზარსა სცემდათ იმის შიში, გოგოს უცებ თქვენი ნახვა არ მოპრიანებოდა... მაგრამ საქმე ამით მაინც არ დამთავრდა. პანოჩკამ წყვილი ცხენიც მოისურვა, პანს გაგონებაც არ უნდოდა, მოისურვა მგლის მოსასხამი და ქისა, პანს გაგონებაც არ უნდოდა, მაგრამ რა ფასი აქვს იმის უარს! სახლის დაწვა რომ მოენდომებინა, იმაზედაც კი დაითანხმებდა. აი, ბატონო, ახლა ერთით მეტი ცხენი გყავთ, მგლის ტყავის მოსასხამიც გაქვთ და ქისაც...

„კეთილზე კეთილი ქალიშვილია,“ – გაიფიქრა ზბიშკომ. ერთი წუთის შემდეგ კი ხმამაღლა იკითხა:

– აბატთან უსიამოვნებას გადაურჩნენ?

ჩეხს გაეღიმა, როგორც გაეღიმება მიხვედრილ ადამიანს, რომელმაც კარგად იცის, რაც ხდება მის ირგვლივ, და უპასუხა:

– ეს ყველაფერი ორთავემ აბატის უჩუმრად გააკეთეს, რა დატრიალდა, როცა მან გაიგო, აღარ ვიცი, მანამდე წამოვედი. დიდი უცნაური კაცი კია ის აბატი! ხანდახან პანოჩკასაც დაუღრიალებს, მერე კი თვალებში შეჰყურებს, ძალიან ხომ არ ვაწყენინეო. ჩემი თვალით ვუცქირე, როგორ უყვირა ერთხელ, მერე კი ზანდუკი ამოქექა და ისეთი ყელსაბამი გამოუტანა, იმაზე უკეთესს კრაკოვშიც ვერ იშოვი. „აჰა, აიღეო, – უთხრა“. აბატსაც გაუმკლავდება, მშობელ მამას არ უყვარს ისე, როგორც აბატს.

– ეგ მართალია.

– ღმერთმანი, მართალია...

ორივენი გაჩუმდნენ და ასე განაგრძეს გზა ამ ქარბუქსა და ხორხოშელა. თოვლში. უცებ ზბიშკომ ცხენი შეაყენა, მის ყურს დაბურული ტყიდან რაღაც საცოდავი ხმა მისწვდა, რომელსაც ტყის ხმაური ახშობდა.

– ქრისტიანებო, მიხსენით გაჭირვებისაგან ღვთის მსახური!

და ტყიდან გამოვარდა ნახევრად ბერისა და ნახევრად საერო ტანსაცმელში ჩაცმული კაცი, ზბიშკოს წინ გაჩერდა და აყვირდა:

– ვინც უნდა იყო, მოწყალეო ხელმწიფევ, დახმარების ხელი გაუწოდე მძიმე განსაცდელში ჩავარდნილ მოყვასს!

– რა გაჭირვება გადგას ასეთი, ან ვინა ხარ? – დაეკითხა ჭაბუკი რაინდი.

– მე ღვთის მსახური გახლავარ, თუმცა არავის ვუკურთხებივარ. უბედურება შემემთხვა: ამ დილით ცხენი გამექცა და თან გაიტაცა წმინდა ნივთებით სავსე ყუთი. დავრჩი მარტოდმარტო, უიარაღო, საცაა დაღამდება და დაუნდობელი ნადირი აყმუვლდება. არაფერი მიშველის, თუ თქვენ არ დამეხმარეთ.

– ჩემი მიზეზით რომ მოკვდე, შენი ცოდვები მე უნდა მომეკითხოს, – უთხრა ზბიშკომ, - მაგრამ საიდან ვიცი, რომ არ იტყუები და ვინმე მაწანწალა ან ყაჩაღი არა ხარ, აი, ამ გზებზე რომ ბლომად დაეხეტებიან?

– ამაში, ბატონო, ჩემი ყუთების ნახვა დაგარწმუნებთ. მე რომ შიგ საქონელი მილაგია, დუკატებით სავსე ქისას არ დაინანებდა კაცი. შენ კი ცოტაოდენს სულ უფასოდ მოგცემ, ოღონდ შემიკედლე ჩემი ყუთებიანად.

– ღვთის მსახური ვარო, მეუბნები, ის კი აღარ იცი, რომ ხალხის გადარჩენაში ზეციურ მისაგებელს უნდა ელოდეს კაცი და არა მიწიერს. ამას გარდა, საიდან გაჩნდა ეს ყუთები, თუ ცხენი გაგექცა და თან ყუთებიც გაიტაცა.

– ცხენი ტყეში, მდელობზე, მგლებისგან დაგლეჯილი ვიპოვე, ყუთები კი უვნებელი დამიხვდა. ავდექი, მოვათრიე გზის პირას და დაველოდე, სანამ კეთილი ადამიანები მოწყალებას გაიღებდნენ და მიხსნიდნენ.

უცნობმა იმის დასტურად, რომ მართალს ამბობდა, იქვე ფიჭვის ძირას ორი ლაფნის ყუთი აჩვენა. ზბიშკო უნდობლად უყურებდა, საეჭვო კაცად ეჩვენებოდა. მისი გამოთქმაც, თუმც ძალზე სწორი, მაინც აშკარას ხდიდა მგზავრის უცხოურ წარმოშობას. მაგრამ დახმარებაზე უარის თქმა უცნობი ადამიანისათვის ზბიშკოს მაინც არ შეეძლო და ნება დართო თავისი საოცრად მსუბუქი ყუთებით დამჯდარიყო თავისუფალ ცხენზე, რომელიც ჩეხს მოჰყავდა.

– ღმერთმა გიმრავლოს გამარჯვება, მამაცო რაინდო! – უთხრა უცნობმა. მერე ზბიშკოს ნორჩ სახეს რომ შეხედა, დაბალი ხმით დაუმატა: – და ნიკაპზე თმა.

ერთი წუთის მერე ის უკვე გვერდით მიჰყვებოდა ჩეხს. რამდენიმე ხანს საუბარს ვერ ახერხებდნენ. საშინელ ქარსა და ტყის შრიალში აღარაფერი ისმოდა; მაგრამ როცა ქარბუქი ჩადგა, ზბიშკომ ზურგს უკან ასეთი საუბარი გაიგონა:

– მე ვერაფერს ვიტყვი, იქნება რომში მართლაც ხარ ნამყოფი, მაგრამ მაინც საოცრად ჰგავხარ ლუდის ლოთს, – ეუბნებოდა ჩეხი.

– საუკუნო წამებისა არ გეშინია? – უთხრა უცნობმა,– შენ ესაუბრები ადამიანს, რომელიც გასულ აღდგომას რომის პაპთან ერთად მიირთმევდა მოხარშულ კვერცხებს. ამ სიცივეში კი ლუდს ნუ მიხსენებ, თუ კაცი ხარ. გამთბარი კიდევ ჰო. მაგრამ ღვინის მათარა თუ გაქვს და ორ-სამ ყლუპს გადამაკვრევინებ, ერთი თვით განსაწმენდელში ყოფნას მოგიტევებ.

– მე ხომ ჩემი ყურით გავიგონე, რომ ამბობდი, მონათლული არა ვარო. აბა, მაშ როგორღა შეგიძლია, ერთი თვით ადრე გამომიშვა განსაწმენდელიდან?

– მართალია, მოუნათლავი ვარ, მაგრამ კეფა გაპარსული მაქვს, ამისი ნება დამრთეს, ამას გარდა, მე თან ბულებსა და წმინდა ნივთებს დავატარებ.

– ამ კოლოფებით? – ჰკითხა ჩეხმა.

– ჰო, ამ კოლოფებით. თვალი რომ დაგაკვრევინათ, რაც მე აქ საოცრებები მაქვს, პირქვე დაემხობოდით განა მარტო თქვენ, სულ ყველა, რაც ამ ტყეში ფიჭვები და გარეული მხეცებია.

გულადმა და ცხოვრებანანახმა ჩეხმა მაინც იჭვნეულად გადახედა რელიკვიების ვაჭარს და ჰკითხა:

– ცხენი მგლებმა შეგიჭამეს?

– შემიჭამეს. ისინი ხომ ეშმაკის მოდგმისა არიან, მაგრამ კიდევაც გადაჰყვნენ. ჩემი თვალით ვნახე ერთი მუცელგახეთქილი. ღვინო თუ მოგეძევება, გადამაკვრევინე. ქარი ჩადგა, მაგრამ სანამ გზის პირას ვიჯექი, ძალზე გავითოშე.

ჩეხმა ღვინო მაინც არ დაალევინა და მათ უბრად განაგრძეს გზა. ბოლოს რელიკვიების ვაჭარმა ვერ მოითმინა:

– სად მიდიხართ?

– შორს, ჯერჯერობით კი სერაძში. დაგვემგზავრები?

– მეტი რა გზა მაქვს. საჯინიბოში გამოვიძინებ, ხვალ კი, თუ ღმერთმა ინება და ამ ღვთისმოსავმა რაინდმა ცხენი მაჩუქა, მეც ავდგები და ჩემს გზას დავადგები.

– საიდანა ხარ?

– პრუსიის სამფლობელოებიდან, მალბორგიდან.

ამ სიტყვების გაგონებაზე ზბიშკომ უცნობს წამუყო, მომიახლოვდიო.

– მალბორგიდან ხარ? – ჰკითხა მან, – ახლა იქიდან მოდიხარ?

– მალბორგიდან.

– მაგრამ გერმანელი არ უნდა იყო. ჩვენებურად გვარიანად ლაპარაკობ. სახელად რა გქვია?

– გერმანელი ვარ, სანდერუსი მქვია. თქვენი ენა კი იმიტომ მეადვილება, ტორუნში დავიბადე, იქ ყველამ იცის პოლონური. მალე მალბორგში გადავედი საცხოვრებლად, მაგრამ პოლონურად იქაც ლაპარაკობენ. რა დიდი ამბავია! ჯვაროსნებსაც კი ესმით პოლონური.

– დიდი ხანია, რაც მალბორგიდან წამოხვედი?

– მე, ჩემო ბატონო, წმინდა მიწაზეც ვიყავი, კონსტანტინეპოლშიაც, რომშიაც, იქიდან კი საფრანგეთის გავლით მალბორგში დავბრუნდი, მხოლოდ ამის შემდეგ მოვაშურე მაზოვიას ჩემი წმინდა რელიკვიებით, რომელთაც მორწმუნე ქრისტიანები სიამოვნებით ყიდულობენ სულის სახსენებლად.

– პლოცკში ან ვარშავაში თუ ხარ ნამყოფი?

– ერთგანაც და მეორეგანაც. ღმერთმა ჯანი მისცეს ორთავე ქალბატონს. ქალბატონი ალექსანდრა პრუსიელ რაინდებსაც კი უყვართ. ძალზე ღვთისმოსავია. მას არც ანა ჩამოუვარდება.

– ვარშავაში მთავრის კარი თუ იხილე?

– ვარშავაში არ მინახავს, ცეხანოვში ვნახე. იქ კი მთავარი და მისი მეუღლე, როგორც ღვთის მსახურს, ხელგაშლილად შემხვდნენ და გულუხვად დამასაჩუქრეს. მეც დავუტოვე რელიკვიები, რომლებმაც მათ სახლს ღვთის ლოცვა და წყალობა უნდა მოუვლინოს.

ზბიშკოს ეწადა დანუსიას ამბავი ეკითხა, მაგრამ ერთბაშად სირცხვილი და კრძალვა დაეუფლა და მიხვდა, ამ უბირსა და საეჭვო კაცთან, იქნებ ვიღაც ყალთაბანდთანაც, არ იყო სასურველი გულის გადახსნა. წამით შეყოვნდა, მერე ჰკითხა:

– ერთი მითხარი, რა წმინდა რელიკვიებს დაატარებ?

– მე ინდულგენციებსაც დავატარებ და ყოველგვარ რელიკვიასაც. მაქვს სრული ინდულგენციებიც, მაქვს ხუთასი, სამასი და ორასწლიანებიც, უფრო ნაკლებიც. მაქვს იაფფასიანი, უქონელმა ხალხმაც რომ შეძლოს ყიდვა და შეიმციროს განსაწმენდელის წამება. მაქვს უკვე ჩადენილი ცოდვების ინდულგენციებიც და ჩაუდენელისაც. მაგრამ არ იფიქროთ, მოწყალეო ბატონო, რომ ამ საქმეებში აღებულ ფულს ჩემთვის ვაგროვებდე... შავი პურის ნატეხისა და ერთი ყლუპი წყლის მეტი მე არა მჭირდება რა. რასაც ვაგროვებ,

ყველაფერი რომში მიმაქვს, ახალი ჯვაროსნული ომისათვის. ისიც ვიცი, რომ ბევრი ყალთაბანდი დაიარება ამქვეყნად და ყალბ ნივთებს ყიდის. იმათ ყველაფერი ყალბი აქვთ: ინდულგენციებიც, რელიკვიებიც, ბეჭდებიცა და სიგელებიც და წმინდა მამაც სამართლიანად სდევნის მათ თავის გამოგზავნილ ეპისტოლეებში. მაგრამ სერაძის პშეორი ძალზე მკაცრად და უსამართლოდ მომექცა, თუმცა ნამდვილი ბეჭდები მაქვს. გასინჯეთ, თუ გნებავთ, ცვილი, ბატონო, და თვითონ ნახავთ.

– მაინც რა დაგიშავა სერაძის წინამძღვარმა?

– ოჰ, ბატონო ჩემო! ღმერთმა ქნას ვცდებოდე, მაგრამ ისე მგონია, ვიკლეფის ერეტიული მოძღვრებით უნდა იყოს მოწამლული. მაგრამ თუ თქვენ, როგორც თქვენმა საჭურველმტვირთველმა თქვა, მართლა სერაძს მიემგზავრებით, ჩემთვის უმჯობესია იქ არ გამოვჩნდე, რათა წინამძღვარი იძულებული არ გავხადო ცოდვები და მკრეხელობა ჩაიდინოს ჩემი წმინდა ნაწილების მიმართ.

– მოკლედ რომ ვთქვათ, მას შენ თაღლითად და ქურდად მიაჩნიხარ?

– საქმე მარტო მე რომ მეხებოდეს, მოწყალეო ბატონო, მივუტევებდი, როგორც მოყვასს, რაც, სხვათა შორის, უკვე გავაკეთე კიდეც, მაგრამ ის მკრეხელობას სჩადიოდა ჩემი წმინდა საქონლის მიმართ და ძალიან ვშიშობ, ამის გამო საუკუნო წამებისათვის არის განწირული.

– რა წმინდა საქონელი გაქვს?

– ისეთი ჭეშმარიტი, რომ ქუდმოუხდელად იმისი ხსენება არც შეიძლება. მაგრამ ამჯერად მზა ინდულგენციები მაქვს და ნებას დაგრთავთ კაპიუშონი არ მოიხადოთ, რადგან ისევ დაუბერა ქარმა. როცა შევისვენებთ, თქვენ ჩემგან შეიძენთ ინდულგენციას და ცოდვაც მოგეტევებათ. რაღა არა მაქვს: პირამიდების მახლობლად ნაპოვნი იმ ვირის ჩლიქი, რომლითაც ეგვიპტეში გაიქცნენ. არაგონიის მეფე ამ ჩლიქში ბაჯაღლო ოქროს ორმოცდაათ დუკატს მაძლევდა. მაქვს მთავარანგელოზ გაბრიელის ფრთის ბუმბული, ხარების დღესასწაულზე რომ დაუვარდა, მაქვს უდაბნოსა შინა ისრაელთა ზედა ზეგარდმოვლინებული ორი მწყერის თავი. მაქვს ზეთი, რომელშიც წარმართებს წმინდა ივანეს შეწვა ეწადათ, იმ კიბის საფეხური, იაკობს რომ ეზმანა, მარიამ ეგვიპტელის ცრემლები და პეტრე მოციქულის გასაღების მცირეოდენი ჟანგი... რა ჩამომათვლევინებს ყველაფერს, მოწყალეო ბატონო. ო, როგორ გავითოშე, თქვენმა საჭურველმტვირთველმა კი ღვინო დაინანა ჩემთვის, ჩამოთვლას, სულ ერთია, დიდხანს მოვუნდებოდი.

– დიდებული წმინდა ნივთებია, თუ ისინი ნამდვილია! უთხრა ზბიშკომ.

– თუ ნამდვილიაო? არა, ბატონო, ახლავე გამოართვით შუბი თქვენს საჭურველმტვირთველს და გაიშვირეთ ის, რადგან ეშმაკი აგერ თქვენს გვერდით დგას და ასეთ აზრებს ჩაგაგონებთ. განდევნეთ ის შუბის სიგრძეზე და, თუ არ გინდათ თავი დააწყევლინოთ, ახლავე იყიდეთ ჩემგან ამ ცოდვის მოტევება, თორემ სამი კვირაც არ იქნება გასული, რომ სულს განუტევებს თქვენთვის ყველაზე საყვარელი ადამიანი.

ზბიშკოს უცებ დანუსია მოაგონდა და შეკრთა ამ მუქარაზე.

– მე კი არა, დომინიკანელთა წინამძღვარს არა სჯერა შენი, სერაძში რომაა.

– თქვენ, მოწყალეო ბატონო, თვითონ დაათვალიერეთ ცვილი ბეჭდებზე; რაც შეეხება წინამძღვარს, ღმერთმა უწყის, ცოცხალია თუ არა ისევ, რადგან ღვთის სასჯელი სწრაფად აღესრულების ხოლმე.

მაგრამ სერაძში ჩასვლისთანავე ზბიშკო ესტუმრა მამათა მონასტრის წინამძღვარს, რომელიც ჯერ ისევ ცოცხალი იყო, და ორი წირვა შეუკვეთა: ერთი მაცკოს გამოჯანმრთელებისა და მეორე ფარშავანგის ჯიღების მოპოვებისა, რის გამოც მან სახლი დატოვა. წინამძღვარი უცხოელი იყო. წარმოშობით ცილიელს ორმოცი წელი გაეტარებინა სერაძში, შეესწავლა პოლონური ენა და ჯვაროსნების დაუძინებელი მტერი გამხდარიყო, ამიტომაც, ზბიშკოს განზრახვა რომ გაიგო, თქვა:

– შემოქმედის მარჯვენა კიდევ უფრო მკაცრად დასჯის მათ, მაგრამ მე მაინც არ დაგიშლი განზრახულს, – შენ ფიცი მიგიცია, თუმცა პოლონელის დამსჯელი ხელი საკადრისს ვერასოდეს მიუზღავს ყველაფრისთვის, რაც მათ სერაძში ჩაიდინეს.

– რა ჩაიდინეს? – ჰკითხა ზბიშკომ. მას უნდოდა ჯვაროსნების ყველა დანაშაული სცოდნოდა.

მოხუცმა წინამძღვარმა ხელები აღაპყრო და ჯერ ხმამაღლა წაიკითხა „სამარადისო ხსენება“, მერე სამფეხა სკამზე ჩამოჯდა, ერთხანს თვალებდახუჭული იჯდა, თითქოს მეხსიერებაში აღიდგენს შორეულ მოგონებებსო, და ბოლოს წამოიწყო:

– ისინი ვინცენტი შამოტულელმა ჩამოიყვანა აქ. მაშინ მე თორმეტი წლისა ვიყავი, ის იყო ცილიიდან ჩამომიყვანა ბიძაჩემმა, არქიეპისკოპოსმა პეტზოლდმა. ჯვაროსნები ღამით დაესხნენ ქალაქს და მაშინვე ცეცხლი წა-

უკიდეს. გალავნის კედლებიდან საკუთარი თვალით ვხედავდი, როგორ ჩეხავდნენ ხმლებით მოედანზე კაცებს, ქალებს, ბავშვებს, როგორ ყრიდნენ ცეცხლში თოთოებს... მე ვნახე მოკლული ქსონძები, გამძვინვარებული ჯვაროსნები აღარავის ინდობდნენ. წარმოშობით ელბლონგელი წინამძღვარი მიკოლაი თურმე იცნობდა ჯვაროსანთა ჯარების მეთაურს კომტურ ჰერმანს. წინამძღვარი ბერ-მონაზონთა მთელი დასით ეახლა ამ ბორგნეულ რაინდს. მუხლებზე დაეცა მის წინაშე და გერმანულ ენაზე სთხოვა, დაიფიცე, რომ დაზოგავ ქრისტიანებსო. მაგრამ კომტურმა ესღა თქვა: „არაფერი მესმისო“, და ბრძანა ხოცვა-ჟლეტა გაეგრძელებინათ. სწორედ მაშინ ამოხოცეს ბერები, მათთან ერთად მოკლეს ბიძაჩემი პეტზოლდიც, მიკოლაი კი ცხენის კუდზე გამოაბეს... გათენდა დილა. ქალაქში ცოცხალი არ დარჩენილა არც ერთი ადამიანი, მხოლოდ ჯვაროსნები დასეირნობდნენ წინ და უკან და მე ვიყავი სამრეკლოში მიმალული ზარის დასაკიდებელ ძელზე. ღმერთმა უკვე მიუზღა ამის გამო მათ პლოვცესთან, მაგრამ კვლავ სწყურიათ ჩვენი ქრისტიანული სამეფოს სისხლი და არც მოიშლიან ამას, სანამ არ მოისრებიან პირისაგან მიწისა ზენაარის ხელით.

– პლოვცესთან, – თქვა ზბიშკომ, – უამრავი ჩვენი გვარის ხალხი დაგვეხოცა, მაგრამ არ ვნანობ, რადგან მეფე ლოკეტეკს დიდი გამარჯვება უბოძა ღმერთმა და ოცი ათასი გერმანელი ამოაწყვეტინა.

– შენ უფრო დიდ ომსა და დიდ გამარჯვებას მოესწრები, – უთხრა წინამძღვარმა.

– ამინ! – უპასუხა ზბიშკომ.

მათ სხვაზე გადაიტანეს საუბარი. ახალგაზრდა რაინდმა სხვათა შორის იკითხა რელიკვიების ვაჭარზე, რომელსაც გზაზე შეხვდა, და გაიგო, რომ ამ მხარეში ბევრი ასეთი თაღლითი დაეხეტება თურმე და გულუბრყვილო ხალხს ატყუებს. წინამძღვარმა ისიც უთხრა, არსებობს პაპის ბულები, რომლებიც ბრძანებენ ასეთი ვაჭრების დაკავებას, და ვისაც ყალბი ნებართვები და ბეჭდები აღმოაჩნდება, დაუყოვნებლივ გასამართლებასო. რაკი ამ მაწანწალის განმარტებები წინამძღვარს საეჭვოდ მოეჩვენა, უნდოდა მაშინვე გადაეცა საეპისკოპოსო სასამართლოსთვის. და თუ აღმოჩნდებოდა, რომ ის მართლაც ინდულგენციების გასავრცელებლად იყო გამოგზავნილი რომიდან, არავინ უბატონოდ ხმას არ გასცემდა, მაგრამ მან გაქცევა ამჯობინა. ვინ იცის, იქნებ გზაზე დაყოვნებისა შეეშინდა, ის კი იყო, რომ ამ გაქცევით ეჭვი უფრო გააძლიერა.

საუბრის დასასრულს წინამძღვარმა ზბიშკო მონასტერში მიიპატიჟა დასასვენებლად და ღამის გასათევად, მაგრამ მან უარი უთხრა მიპატიჟებაზე, რადგან ფუნდუკის წინ გასაკვრელი ჰქონდა ქაღალდი – „ცხენდაცხენ ან ქვეითად ბრძოლაში ვიწვევ ყველას, ვინც გაბედავს და უარყოფს, რომ პანა დანუტა ყველაზე ლამაზი და ყველაზე კეთილი ქალიშვილია მთელ სამეფოში“. მონასტრის წინ ამის მსგავსი გამოწვევის გამოკიდება წარმოუდგენელი იყო. წინამძღვარმა და ბერებმა ასეთი გამოწვევის დაწერაც კი არ იკისრეს და ზბიშკო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. აღარ იცოდა, რა ეღონა. მხოლოდ ფუნდუკში დაბრუნების შემდეგ მოაგონდა ინდულგენციების ვაჭარი.

– წინამძღვარმა ახლაც არ იცის დანამდვილებით, უქნარა ხარ თუ არა, – უთხრა ზბიშკომ, – ის ასე ფიქრობს: რაზე შეუშინდებოდა საეპისკოპოსო სასამართლოს, თუ ნამდვილი საბუთები ექნებოდაო?

– მე ეპისკოპოსის კი არა, – უპასუხა სანდერუსმა, – ბერებისა მეშინია, რომლებსაც ბეჭდებისა არა გაეგებათ რა. სწორედ კრაკოვში ვაპირებდი წასვლას, მაგრამ ცხენი არა მყავს და უნდა დაველოდო, სანამ ვინმე მაჩუქებდეს. მანამდის კი წერილს გავგზავნი და საკუთარ ბეჭედს დავარტყამ.

– მეც ეგრე ვიფიქრე, თუ წერა-კითხვა იცის, იფიქრებენ, უბრალო კაცი არ არის-მეთქი. წერილს როგორღა გაგზავნი?

– რომელიმე მომლოცველს ან მოხეტიალე ბერს გავატან. განა ცოტა ხალხი მიეშურება კრაკოვში დედოფლის საფლავის თაყვანისსაცემად?

– შეგიძლია გამოწვევა დამიწერო?

– ყველაფერს დაგიწერთ, მოწყალეო ბატონო, რასაც მიბრძანებთ, ლამაზად და კოხტად, თუნდაც ფიცარზე.

– რა თქმა უნდა, ფიცარზე სჯობს, – თქვა გახარებულმა ზბიშკომ, – არც დაიხევა და სხვა დროსაც გამოგვადგება.

მსახურებმა სწრაფად გამონახეს ნედლი ფიცარი და სანდერუსიც შეუდგა გამოწვევის წერას. ზბიშკოს ინჩი-ბინჩი არ ესმოდა, რას წერდა სანდერუსი, მაგრამ მაშინვე ბრძანა, დაფა ჭიშკართან მიემაგრებინათ, ქვევით კი დაეკიდათ ფარი, რომელსაც რიგრიგობით უყარაულებდნენ მისი თურქები. ვინც ფარზე ხმალს შემოარტყამდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ გამოწვევას ღებულობდა. მაგრამ, როგორც ეტყობოდა, სერაძში ასეთი საქმეებისათვის არავის სცხელოდა. არც იმ დღეს და არც მეორე შუადღემდე ფარს არ დაუწკრიალია. შუადღეზე კი გაცბუნებული ჭაბუკი რაინდი გზას გაუდგა.

გამგზავრების წინ კიდევ ერთხელ შემოირბინა მასთან სანდერუსმა და უთხრა:

– ამისთანა წარწერა პრუსიელ რაინდებთან რომ გამოგეკრათ, თქვენს საჭურველმტვირთველს მალე დასჭირდებოდა თქვენთვის აბჯარ-აბგარის მორგება.

– რაო, რას ამბობ? ჯვაროსნები ხომ ბერები არიან, ბერებს კი ეკრძალებათ გულის დედოფლის არჩევა.

– ეკრძალებათ თუ არ ეკრძალებათ, მე ეგ არ ვიცი. რომ ჰყავთ, ეს კი ვიცი. მხოლოდ ეგ არის, ორთაბრძოლაში გასვლას არ მოუწონებენ. მათ უფლება აქვთ მხოლოდ რწმენისათვის შეებრძოლონ ვინმეს. მაგრამ პრუსიაში ბერების გარდა საერო რაინდიც ბევრია, სხვადასხვა ქვეყნიდან პრუსიელთა დასახმარებლად ჩამოსულნი. იმათ თვალი სულ ბრძოლაზე უჭირავთ. განსაკუთრებით ფრანგებს.

– ეჰ! შევხვედრივარ მაგათ ვილნოსთან; ღმერთმა ქნას და მალბორგშიც შემახვედროს. მე მუზარადიდან აგლეჯილი ფარშავანგის ჯიღები მჭირდება, აღთქმა მაქვს მიცემული, გასაგებია თუ არა.

– იყიდეთ ჩემგან, მოწყალეო ბატონო, წმინდა გიორგის ოფლის ორი ან სამი წვეთი, რომელიც მან გველეშაპთან ბრძოლაში დაღვარა. არც ერთი სხვა სალოცავი ასე არ გამოადგება რაინდს. ამაში ის ცხენი მინდა მხოლოდ, ჩემი შეჯდომა რომ ბრძანეთ ზედ, მე კი დაგიმატებთ მიტევებას იმ ქრისტიანული სისხლის გამო, რომელიც ბრძოლაში უნდა დაიღვაროს.

– თუ არ მომეშვები, გავბრაზდები. აღარ ვიყიდი შენგან არაფერს, სანამ არ დავრწმუნდები, რომ ნამდვილია.

– აი, თქვენ ბრძანებთ, მაზოვიის კარზე მივდივარო, მთავარ იანუშთან. იქ იკითხეთ, თუ გნებავთ, რამდენი ნივთი იყიდეს ჩემგან თვითონ მთავრის მეუღლემ, რაინდებმაც და სხვა ქალბატონებმაც ქორწილებზე, რომელთაც მე შევსწრებივარ.

– რაო, რა ქორწილებზე? – ჩაეკითხა ზბიშკო.

– როგორც ყოველთვის, აღდგომის მარხვის წინ რაინდები ზედიზედ ქორწინდებიან, რადგან ხმები დადის, პოლონეთის მეფესა და პრუსიელ რაინდებს შორის დობჟინის მიწისთვის ომი გარდუვალიაო... ამ დროს, ცხადია, ყველა ფიქრობს, ვაითუ ომში ცოცხალი აღარ გადავრჩეო, და უნდათ ცოტა ხნით მაინც დატკბენ ოჯახური ბედნიერებით.

ზბიშკო ერთბაშად აიტაცა ომის ხმებმა. განსაკუთრებით კი ქორწილებმა დააინტერესა.

– რომელი ქალიშვილი გათხოვდა? – ჰკითხა მან.

– მთავრის მეუღლის ყველა სეფექალი. არ ვიცი, მგონი ერთიც არ დარჩენილა. ჩემი ყურით გავიგონე, რომ ამბობდა, ახლების ძებნა დამჭირდებაო.

ზბიშკო წამით დადუმდა, მერე შეცვლილი ხმით ჰკითხა:

– პანა დანუტაც გათხოვდა? იურანდის ქალიშვილი, აი, ვისი სახელიც ფიცარზე დააწერეთ?

სანდერუსი შეყოყმანდა, თვითონაც არ იცოდა ხეირიანად, ვინ გათხოვდა და ვინ არა, მაგრამ მაინც იფიქრა, თუ გულს გავუწვრილებ პასუხის მოლოდინში, ჭაბუკი დაპყრობილი მეყოლება და ჩემი მიზნებისთვის გამოვიყენებო. გულში უკვე გადაწყვიტა, მსახურებითა და ყოველგვარი სიკეთით აღსავსე რაინდი ფარად ჰყოლოდა. სანდერუსმა იცოდა ადამიანებისა და ნივთების ცნობა. ზბიშკოს სიჭაბუკე აფიქრებინებდა, რომ ეს ვაჟი გულუხვი, წინდაუხედავი და ფულების მფანტავი იქნებოდა. სანდერუსს მოესწრო და კარგად შეეთვალიერებინა ძვირფასი მილანური აღჭურვილობა და ჯიშიანი მხედრული ცხენები. უბრალო რაინდს ესენი ვერ ექნებოდა. და გულში იფიქრა, რომ ასეთი ბატონკაცი რაინდის გვერდით მისთვის უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო შლიახტიჩების მამულში გულღია მასპინძლობა, ინდულგენციების სარფიანად გასაღების უამრავი ხელსაყრელი შემთხვევა, უშიშარი მგზავრობა და, ბოლოს, რაც მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, უხვი საჭმელ-სასმელი.

ზბიშკოს შეკითხვა რომ გაიგონა, შუბლი შეჭმუხნა, თვალები ზევით აღაპყრო, თითქოს მეხსიერებას ძაბავსო, და ჩაეკითხა:

– პანა დანუტა? იურანდის ქალიშვილი? სადაურია?

– სპიხოველი.

– ნახვით კი ყველა ვნახე, მაგრამ ეგ რომელს ერქვა, რაღაც ვერ გამიხსენებია.

– სულ ქორფაა, ბარბითზე უკრავს და ქალბატონს ართობს.

– ქორფა... ბარბითზე უკრავს... ყმაწვილქალები ბევრი დათხოვდნენ. აქატივით შავი ხომ არ არის?

ზბიშკოს გულზე მოეშვა.

– არა, ეგ სხვა ყოფილა! ის თოვლივით ქათქათაა, მხოლოდ ლოყები აქვს ვარდისფერი და თმა კი ოქროსფერი.

– ერთი აქატივით შავტუხა, – შეაწყვეტინა მას სანდერუსმა, – დარჩა ქალბატონთან. დანარჩენი ყველა გათხოვდა თითქმის.

– შენ მაინც ამბობ: „თითქმის ყველაო“, ესე იგი, ვიღაც მაინც დარჩენილა. ქრისტე ღმერთს გაფიცებ, თუ კაი საჩუქარი გინდა, ხეირიანად გაიხსენე.

– სამი-ოთხი დღის შემდეგ იქნებ კიდევაც გავიხსენო. ისე ყველაზე უკეთესი იქნებოდა ცხენი გეჩუქებინათ, რომელსაც ჩემს წმინდა ნივთებს ავკიდებდი.

– თქვი სიმართლე და მიიღებ ცხენს.

ამ დროს ლაპარაკში ჩაერია ჩეხი, რომელსაც ულვაშებში ეღიმებოდა, ამ საუბარს რომ უსმენდა:

– სიმართლეს მაზოვიის კარზე გავიგებთ. სანდერუსმა ერთი გადაუბღვირა მას და თქვა:

– როგორ გგონია, მაზოვიის კარის მეშინია?

– მე არაფერი მგონია, იქნებ არც გეშინია, მაგრამ იცოდე, რომ ვერც ახლა და ვერც სამი დღის შემდეგ ცხენით ვერსად გაემგზავრები, ხოლო თუ აღმოჩნდება, რომ მოიტყუე, ვერც ფეხით წაბრძანდები, რადგან სამართლიანობა მოითხოვს გადაგიმტვრიო ეგ ფეხები.

– მაგას წინ არაფერი დაუდგება! – დაუდასტურა ზბიშკომ.

ასეთი გამაფრთხილებელი მუქარა რომ გაიგონა, სანდერუსმა იფიქრა, მირჩევნია უფრო ფრთხილად ვიყვეო, და უპასუხა:

– ტყუილის თქმა რომ მდომებოდა, მაშინვე ვიტყოდი, გათხოვდა ან არ გათხოვილა-მეთქი, მაგრამ აკი გითხარით, არ მახსოვს-მეთქი. გამგები კარგად გაიგებდა. შენ რომ გონება გქონოდა, მაშინვე მიხვდებოდი ჩემს სათნოებას.

– ჩემი გონება შენი სათნოების ძმა არ არის. შენი სათნოება ძაღლის და იყოს, თუ უნდა.

– ჩემი სათნოება შენი გონებისათვის არ ყეფს, ხოლო ვინც ცხოვრებაში ყეფს, ის სიკვდილის შემდეგ ადვილად აყმუვლდება.

– ეგ მართალია. შენი სათნოება სიკვდილის შემდეგ კი არ იყმუვლებს, კბილებს ააღრჭიალებს, ისიც თუ მანამდე არ დასცვივა ეშმაკის სამსახურში.

და მოდგნენ ერთმანეთის ლანძღვას. ჩეხი ენამახვილი კაცი იყო და გერმანელი რომ ერთ სიტყვას ეტყოდა, ის ორს უბრუნებდა. ამ დროს ზბიშკომ ბრძანა წასასვლელად მომზადებულიყვნენ და მალე დაიძრნენ კიდევაც. წინასწარ გამოჰკითხეს ლენჩიცის გზა ნავალ ხალხს. სერაძს რომ გასცდნენ, უღრანი ტყეები დაიწყო. ასეთ ტყეებს დიდი ფართობები უჭირავს მთელ იმ მხარეში. ამ ტყეებზე გადიოდა ადგილ-ადგილ თხრილებშემოვლებული, ზოგან კი მორებით ამოფენილი გზები – მეფე კაზიმეჟის მართვა-გამგებლობის სახსოვარი. კაზიმეჟის გარდაცვალების შემდეგ, ნალენჩებისა და გჟიმალითების შფოთის დროს, ეს გზები სრულიად უპატრონო და მინგრეულ-მონგრეული იყო, მაგრამ რაც იადვიგას სამეფოში მშვიდობა ჩამოვარდა, გულმოდგინე ხალხის ხელში ისევ ახმიანდა სამშენებლო იარაღი და დედოფლის გარდაცვალების დროისათვის ვაჭარს უკვე შეეძლო ერთი ციხესიმაგრიდან მეორეში ისე მიეტანა თავისი საქონელი ფორნით, რომ თხრილში არ ჩავარდნილიყო ან ჭაობში არ ჩაფლულიყო. მხოლოდ ნადირი და ყაჩაღი იყო საშიში ამ გზაზე; მაგრამ ნადირისაგან თავდასაცავად ღამით კანდელებს ანთებდნენ, დღისით კი მშვილდ-ისრით იგერიებდნენ. რაც შეეხება ყაჩაღებსა და მაწანწალებს, აქ ისინი მეზობელ მხარეებთან შედარებით ნაკლებად იყვნენ. ამას გარდა, შეიარაღებულ და ხალხმრავალ ჯგუფებს თვითონვე არ ეკარებოდნენ.

ზბიშკოს არც ყაჩაღებისა ეშინოდა და არც შეიარაღებულ ლი რაინდების, არც კი გახსენებია ისინი. მთელი მისი სული და გული უდიდეს შიშს შეეპყრო, მისი ფიქრები მაზოვიის კარისკენ იყო მიმართული. ჯერ არ იცოდა, თავისი დანუსია ისევ მთავრის მეუღლის სეფექალად დახვდებოდა თუ რომელიმე მაზოვიელი რაინდის მეუღლედ, და ამიტომ გათენებიდან გვიან ღამემდე სულს ეჭვები უწეწავდა. ხან ვერ წარმოედგინა, რომ დანუსიას მისი დავიწყების ძალა შესწევდა. მაგრამ მერე სულ სხვა ფიქრი ეწვეოდა – ხომ შეიძლებოდა იურანდი ჩამოსულიყო სპიხოვიდან და ქალი თავისი მეზობლისთვის ან მეგობრისთვის მიეთხოვებინა. აკი კრაკოვშივე უთხრა, დანუსიას ქმრობა შენ არ გიწერია, ვერ გაგატანო ქალიშვილს. ალბათ სხვისთვის ჰყავდა აღთქმული და ახლა აღასრულა ეს აღთქმა. როცა ეს ფიქრი შემოაწვებოდა, ერთბაშად იმედს ჰკარგავდა, ვეღარასოდეს ვეღირსები დანუსიას ქალიშვილად ხილვასო. მაშინ ისევ სანდერუსს დაუძახებდა და ცდილობდა რამე გაეგო მისგან, მაგრამ ის უარესად უბნევდა თავგზას. ხანდახან გერმანელი ვითომ იხსენებდა სეფექალ დანუსიას და მის ქორწილს, მაგრამ მერე ისევ თითს ტუჩებზე მიიდებდა, ჩაფიქრდებოდა და იტყოდა: „არა, ის სხვა იყოო!“ ღვინოს თითქოსდა უნდა გადაეწმინდა მისთვის გონება, მაგრამ

რამდენსაც არა სვამდა, მეხსიერებას უკეთესობა არ ეტყობოდა და წინანდებურად აწამებდა ახალგაზრდა რაინდს, რომლის სულში ერთმანეთს ენაცვლებოდა გულის გამგმირავი შიში და იმედი.

ასე მიიწევდა წინ შიშით, დარდითა და ეჭვებით გულდაჯიჯგნილი ზბიშკო. ბოგდანეცი და ზგოჟელიც აღარც აგონდებოდა, ერთი და ერთი იმას ფიქრობდა, რა ეღონა. თავდაპირველად მაზოვიის კარზე უნდა წასულიყო და სიმართლე გაეგო. ამიტომაც ჩქარობდა, მხოლოდ ფუნდუკში, ვინმეს მამულში ან ქალაქში თუ გაჩერდებოდა ღამის გასათევად, რომ ცხენები არ დაექანცა და არ დავარდნოდა. ლენჩიცაში კვლავ ბრძანა ჭიშკარზე გამოწვევა გამოეკიდათ, რადგან გადაწყვიტა, დანუსია გათხოვდა თუ არ გათხოვილა, ქალწულია თუ უკვე აღარ არის ქალწული – სულ ერთია, ჩემი ქალბატონია და ვალდებული ვარ მისთვის ვიბრძოლოო. მაგრამ ლენჩიცაში ბევრი არავინ იყო, ამ ფირფიტის წაკითხვა რომ შესძლებოდა, ხოლო ის რაინდები, ვისაც მედავითნეებმა გამოწვევა წაუკითხეს, მხრებს იჩეჩავდნენ, ამ ადათისა არა გაეგებოდათ რა და ამბობდნენ: „სულელია ვიღაცა! ვინ დაეთანხმება, და ან დავას ვინ დაუწყებს, თუკი ის ქალიშვილი თვალითაც არ გვიხილავსო არც ერთს“. ზბიშკო კი, რაც უფრო უახლოვდებოდა მიზანს, უფრო ღელავდა და ჩქარობდა. დანუსიას სიყვარული არასოდეს განელებია, ოღონდ ეგ იყო, რომ ბოგდანეცსა და ზგოჟელიცში, როცა თითქმის ყოველდღე ტკბებოდა ლამაზი იაგენკას ცქერითა და მასთან საუბრით, შედარებით იშვიათად ფიქრობდა ხოლმე დანუსიაზე. ახლა კი არც დღისით და არც ღამით ერთი წუთითაც არ შორდებოდა თვალიდან და გონებიდან. სიზმარშიც კი ხედავდა ნაწნავჩამოშლილს, ხელში კოპწია ბარბითით, წითელი მაშიებითა და გვირგვინით დამშვენებულს. ქალი ხელებს იწვდიდა მისკენ, იურანდი კი უკან ეწეოდა. დილით სიზმრები ქრებოდა, მაგრამ უარესი ნაღველი შემოაწვებოდა ხოლმე; და არასოდეს ბოგდანეცში ასე არ ყვარებია ეს ქალიშვილი, როგორც ახლა, როცა ჯერ არ იცოდა, წაართვეს თუ არა მისი თავი.

ხანდახან იმასაც ფიქრობდა, იქნებ ძალით გაათხოვესო, მაგრამ გულში არასოდეს გაუმტყუნებია, რადგან უუფლებო ბავშვად მიაჩნდა. სისხლი ემღვრეოდა, როცა იურანდსა და ქალბატონ ანას გაიხსენებდა, დანუსიას ქმრის წარმოდგენაზე კი გული ყელში ებჯინებოდა და მრისხანედ გადახედავდა ხოლმე მსახურებს, საძაგრავქვეშ რომ მოეთავსებინათ იარაღი და ისე მოჰქონდათ. ბოლოს გადაწყვიტა, მაინც ხელს არ ავიღებ მის სამსახურზე, თუნდ სხვისი ცოლიც იყოსო. სულ ერთია, მაინც მოვიპოვებ და მის ფერხთით დავაწყობო ფარშავანგის ჯიღებს. მაგრამ ვაი, რომ ამითი შვებას ვერ

პოულობდა, პირიქით, ნაღველს უფრო უღვივებდა ეს ფიქრი, რადგან თავისი მომავალი ამ ქალის გარეშე უკვე ვეღარ წარმოედგინა.

ერთადერთი, რაც ცოტაოდენ ამშვიდებდა, მოსალოდნელ ომზე ფიქრი იყო. თუმცა დანუსიას გარეშე ცხოვრება უმძიმდა, მაგრამ სიკვდილზე არც უფიქრია. გრძნობდა, ომი ისე გაიტაცებდა, რომ ყველა სხვა დარდსა და ნაღველს დაავიწყებდა. ჰაერში კი მართლაც ავდრის სუნი ტრიალებდა. მართალია, მეფესა და ორდენს შორის მშვიდობა სუფევდა, მაგრამ ვერ გაიგებდით, საიდან ირხეოდა ომზე ხმები. ზბიშკო სადაც ჩავიდა. მხოლოდ ომზეღა ლაპარაკობდნენ. ხალხს თითქოს გული უგრძნობდა, რომ ომი იფეთქებდა. ზოგიერთი გულახდილად ამბობდა: „ლიტვასთან შეერთება აბა სხვა რისთვის გვინდოდა, თუ ამ ჯვაროსან მგლებს არ შევებრძოლებოდით. ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვსპოთ ისინი, რომ ბოლო მოეღოსო ჩვენს წამებას“. სხვები გაოცებული იყვნენ: „უგუნური ბერები! პლოვცე არ იკმარეს! დღეს-ხვალ მოსპობა ელით და ახლა დობჟინის მიწები ჩაიგდეს ხელთ. საკუთარ სისხლთან ერთად ამოანთხევენ მას...“ მთელ სამეფოში ომისათვის ემზადებოდნენ, ყოველგვარი ტრაბახის გარეშე, პირქუშად, უხმო თავგამოდებით. ასე მხოლოდ სამკვდრო-სასიცოცხლო ომისათვის ემზადებიან. ძლევამოსილმა ხალხმა, რომელიც ძალიან დიდხანს ითმენდა შეურაცხყოფას, გადაწყვიტა ბოლოს და ბოლოს აღმდგარიყო მტრის წინააღმდეგ და მწარედ გასწორებოდა მას. ყველა მამულში ხვდებოდა ზბიშკო ადამიანებს, ღრმად დარწმუნებულებს, რომ მზად უნდა იყვნენ და, რა დღესაც საჭირო გახდება, ცხენებზე შესხდნენ. ეს ყოველივე ძალიან აოცებდა, რადგან, თუმცა თვითონაც ფიქრობდა ომი გარდაუვალიაო, ასე მალე მის დაწყებას მაინც არ მოელოდა. აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მსგავს შემთხვევებში ხალხის ნება წინასწარ განსაზღვრავს მოვლენის მსვლელობას. ის სხვებს უფრო უჯერებდა, ვიდრე თავის თავს, და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ომის სამზადისს რომ ხედავდა, ხარობდა. ხალხს თავდაპირველ საზრუნავად ცხენზე და იარაღზე ფიქრი გაეხადა: ყველგან გულმოდგინედ ამოწმებდნენ შუბებს, ხმლებს, ცულებს, მშვილდებს, ჩაფხუტებს. აბჯარს, ყველანაირ ღვედებს. მჭედლები დღე და ღამე რკინის ფურცლებს უკაკუნებდნენ და უხეშ, მძიმე აღჭურვილობას ჭედავდნენ, რომელთა ტარება ძალზე გაუჭირდებოდათ დასავლეთის აზიზ რაინდებს, მაგრამ თავისუფლად ზიდავდნენ პოლონეთის ყველა კუთხის კუნთმაგარი რაინდები. მოხუცები სკივრებიდან იღებდნენ უზალთუნების ობმოკიდებულ ტოპრაკებს, რომ ლაშქრად მიმავალი ვაჟიშვილები შეემოსათ. ერთი ღამე ზბიშკომ მდიდარ შლიახტიჩთან, ბარტოშა ბელიაველთან გაათია. ეს კაცი ოცდაორი ვაჟიშვილის

მამა იყო და მთელი თავისი მიწები ლოვიჩის მონასტერში დაეგირავებინა, რათა ოცდაორი ჯავშანი, ოცდაორი ჩაფხუტი და ამდენივე სხვადასხვა სამხედრო აღჭურვილობა შეეძინა. და თუმცა ზბიშკომ ბოგდანეცში ომისა არაფერი იცოდა, მაინც, რაკი პრუსიაში გადასვლას ფიქრობდა, კარგად შეიარაღდა და ახლა ღმერთს მადლობას სწირავდა ამისთვის. ზბიშკოს აღჭურვილობა ყველგან გაოცებას იწვევდა. ის ყველას ვოევოდას ვაჟი ეგონა. ხოლო როცა ჭაბუკი დაარწმუნებდა, სულ უბრალო შლიახტიჩი ვარო, ასეთ აღჭურვილობას კი ყოველთვის მოიპოვებ გერმანელებში, თუ ცულით შეძლებ მათთან გასწორებასო, მსმენელებს გული საბრძოლო ცეცხლით ენთებოდათ. ბევრი მათგანი ამ საჭურველის დანახვაზე თავს ვეღარ იკავებდა ცდუნებისაგან, ზბიშკოს დაეწეოდა და სთავაზობდა: „მოდი, ერთმანეთს შევებრძოლოთ მაგ აღჭურვილობაზეო!“ მაგრამ ზბიშკო ჩქარობდა და არ უნდოდა ბრძოლაში გასულიყო, ჩეხი კი კონდახიან მშვილდს სჭიმავდა. ზბიშკომ ფუნდუკების კარებზე დაფის გამოდგმასაც თავი ანება, მიხვდა, რომ რაც უფრო მეტად შედიოდნენ ქვეყნის სიღრმეში, ხალხი მით უფრო ნაკლებად ერკვეოდა ასეთ საქმეებში და უფრო ხშირადაც თვლიდა მას სულელად.

მაზოვიაში ხალხი შედარებით ნაკლებს ლაპარაკობდა ომზე. დაჯერებით კი ყველას სჯეროდა, რომ ომი გარდუვალი იყო, მაგრამ როდის იფეთქებდა, ეს არავინ იცოდა, ვარშავაში სიწყნარე სუფევდა. სამეფო კარი ცეხანოვში იმყოფებოდა. მთავარ იანუშს ცეხანოვის გადაკეთება, უფრო სწორად, მისი აღდგენა განეზრახა ლიტველთა დიდი ხნის წინანდელი თავდასხმის შემდეგ. მაშინ ძველი ქალაქიდან მხოლოდ ციხესიმაგრეღა დარჩა. ვარშავის ციხესიმაგრეში ზბიშკოს იაკო სოხა მასპინძლობდა – ვორსკლასთან ბრძოლაში დაცემული მთავარსარდლის აბრაჰამის ვაჟი. იასკო ზბიშკოს კრაკოვიდან იცნობდა და გულთბილად მიიღო ჭაბუკი; ზბიშკოს გული აღარ უთმენდა და სანამ სუფრას მიუსხდებოდნენ, დანუსიას ამბები გამოიკითხა. სხვა სეფექალებთან ერთად ისიც ხომ არ გათხოვდაო.

მაგრამ სოხას ამაზე არაფრის თქმა არ შეეძლო. მთავარი და მისი მეუღლე ჯერ კიდევ ადრე შემოდგომიდან გადასულიყვნენ ცეხანოვში საცხოვრებლად. ვარშავაში ერთი მუჭა მშვილდოსნები და თვითონ სოხა დარჩენილიყვნენ ციხესიმაგრის დასაცავად. სოხასაც ყური მოეკრა, რომ ცეხანოვში მხიარულად ცხოვრობდნენ და შობის დღესასწაულების დროს ჩვეულებისამებრ ქორწილები ჰქონდათ გაჩაღებული. მაგრამ რომელი ქალიშვილი გათხოვდა და რომელი არა, ამისი კითხვა მას, როგორც ცოლიან კაცს, არ ერგებოდა.

– მაინც ვფიქრობ, – უთხრა სოხამ, – რომ დანუსია არ გათხოვილა, რადგან ქორწილს იურანდის გარეშე არ გადაიხდიდნენ, იურანდის ჩამოსვლას კი უეჭველად გავიგებდი. მთავარს თურმე სტუმრადა ჰყავს ორი ϫვაროსანი რაინდი, ორთავე კომტური, ერთი ინსბორკიდან, მეორე შჩიტნოდან, მათ სხვა უცხოელებიც ახლავანო; იურანდი კი ასეთ დროს აქაურობას არ გაეკარება, რადგან თეთრი ლაბადის დანახვა და მისი გაცოფება ერთია. რაკი იურანდი არ ჩამოსულა, ესე იგი, არც ქორწილი ყოფილა! თუ მაინც გული არ გითმენს, მსახურს გავგზავნი, ყველაფერს წვრილად გავაგებინებ და უმალ დაბრუნებას ვუბრძანებ, თუმცა ვფიქრობ, რომ დანუსიას კვლავ ქალწულად იხილავ.

– ხვალ მე თვითონ გავეშურები, გულის მოფონებისათვის კი ღმერთმა გადაგიხადოს. როგორც კი ცხენები შეისვენებენ, მაშინვე გზას გავუდგები, ჩემი მოსვენება არ იქნება, სანამ ნამდვილ ამბავს არ შევიტყობ. შენი კი კვლავ დიდად მადლიერი ვარ, რადგან ახლა გულზე მომეშვა.

მაგრამ სოხა ამით მაინც არ დაკმაყოფილდა. ციხესიმაგრეში შემთხვევით სტუმრად ჩამოსულ შლიახტიჩებსა და ϫარისკაცებს ჰკითხა, იურანდის ქალიშვილის ქორწილისა ხომ არა გაგიგონიათ რაო. მაგრამ არავის არაფერი გაეგონა, თუმცა ისეთებიც აღმოჩნდნენ, ცეხანოვში რომ ყოფილიყვნენ და რამდენიმე ქორწილსაც დასწრებოდნენ. ბოლო კვირაში ან ბოლო დღეებში თუ გათხოვდებოდა. ეს კი სავსებით შესაძლებელი იყო, რადგან მაშინდელი ხალხი დიდხანს არაფერზე ფიქრობდა. და მაინც ზბიშკო იმედით ფრთაშესხმული დაწვა დასაძინებლად. უკვე ლოგინში ჩაწოლილმა ერთი პირობა იფიქრა, ავდგები და გავაგდებო ხვალ სანდერუსს, მაგრამ გადაიფიქრა, ეს უსაქმური მალბორგში გამომადგება, ლიხტენშტაინთან საბრძოლველად რომ წავალ, ამან ხომ გერმანული კარგად იცისო. ზბიშკოს მაინც. მიაჩნდა, რომ სანდერუსს ის არ მოუტყუებია, და თუმცა ძალზე ძვირი შესანახი იყო, ოთხი კაცის სამყოფს ჭამდა და სვამდა, მაინც ეს დაუზარელი კაცი რაღაცნაირად შეეთვისა თავის ახალ ბატონს. და, რაც ყველაზე მთავარია, იცოდა წერა და ამითი სϫობნიდა არა მარტო ჩეხ საჭურველმტვირთველს, არამედ თვით ზბიშკოსაც.

აი, ეს იყო მიზეზი, რომ რაინდმა ნება დართო სანდერუსს ცეხანოვში გაჰყოლოდა. ამაზე სანდერუსმა გულით გაიხარა, განა მარტო იმიტომ, რომ ჭამა-სმა მაძღრისად ექნებოდა, არა; მედ იმიტომაც, რომ ამისთანა საპატიო ხალხში ყოფნა მისდამი ნდობას აღძრავდა და მყიდველებს ადვილად იძენდა. ღამე ნასელსკში გაათიეს, დილით აუჩქარებლად განაგრძეს გზა და მეორე საღამოს ცეხანოვის ციხის გალავანიც გამოჩნდა. ზბიშკო ფუნდუკში

გაჩერდა, რომ საჭურველი აესხა და რაინდული ადათების მიხედვით ციხესიმაგრეში ჩაფხუტჩამოფარებული და შუბმომარჯვებული შესულიყო; მერე თავის ბედაურ ცხენზე ამხედრდა, ჰაერში ჯვარი გამოსახა და დაიძრა.

მაგრამ ათი ნაბიჯიც არა ჰქონდა გავლილი, რომ ჩეხი წამოეწია და უთხრა:

– თქვენო მოწყალებავ, უკან ვიღაც რაინდები მოაჭენებენ ცხენებს, ნეტა ჯვაროსნები ხომ არ არიან?

ზბიშკომ სხარტად მოაბრუნა ცხენი და სულ ოცდაათიოდე ნაბიჯზე დაინახა ბრწყინვალე მხედართა ჯგუფი. მათ წინ მოუძღოდა ცხენებზე ამხედრებული ორი რაინდი სრული აღჭურვილობით, თეთრ მოსასხამებზე შავი ჯვრები ეკეთათ, მუზარადებში კი გრძელი ფარშავანგის ჯიღები ჰქონდათ გარჭობილი.

– ვფიცავარ გამჩენს, ჯვაროსნები არიან, – თქვა ზბიშკომ.

ის უნებურად დაიხარა უნაგირზე და შუბი შემართა, ხოლო ჩეხმა ამის დანახვაზე მუჭში ჩაიფურთხა, რომ ცულის ტარი არ დასცურებოდა. ზბიშკოს ბრძოლაში ნაწრთობი და გამოცდილი მსახურებიც გაემზადნენ, მაგრამ არა საბრძოლველად, – რაინდებს შორის შერკინებაში მსახურები არასოდეს ღებულობდნენ მონაწილეობას, – არამედ იმისთვის, რომ ცხენდაცხენ შესაბმელად ადგილი შეერჩიათ, ან თოვლი მოეტკეპნათ ქვეითად ბრძოლისათვის. მხოლოდ ჩეხს შეეძლო ბრძოლაში მონაწილეობის მიღება, როგორც შლიახტიჩს, მაგრამ ისიც ელოდა, როდის გამოიწვევდა ზბიშკო მტერს, და ძალზე გაოცებული დარჩა, როცა მისმა ახალგაზრდა ბატონმა გამოწვევამდე მოუღერა მათ შუბი.

კარგი რომ ზბიშკო დროზე მოეგო გონს. გაახსენდა თავისი უგუნური საქციელი კრაკოვთან, თავქარიანობით ლიხტენშტაინს თავდასხმა რომ დაუპირა, და ყველა ის განსაცდელი, რაც ამას მოჰყვა. შუბი ჩეხს გადასცა, ხმალიც კი არ ამოუგია ქარქაშიდან, ისე დაიძრა ჯვაროსანი რაინდებისაკენ. როცა მიუახლოვდა, ფარშავანგის ჯიღიანი მესამე რაინდიც დაინახა და მაზურის მინამგვან გრძელთმიან უიარაღო მეოთხე რაინდსაც შეასწრო თვალი.

იმათ დანახვაზე ზბიშკომ გულში გაივლო:

„ჩემს ქალბატონს სამ ჯიღას კი არ შევპირებივარ, იმდენს შევპირდი, რამდენი თითიც მაქვს ორთავე ხელზე; მაგრამ სამი მაინც ახლავე შემეძლო მომეპოვებინა, თუ ესენი ელჩები არ არიან“.

თუმცა, რომ დაფიქრდა, გადაწყვიტა, მაინც ვიღაც ელჩები იქნებიანო მაზოვიის მთავართან მიმავალი, ერთი ამოიოხრა და ხმამაღლა თქვა:

– იდიდოს იესო ქრისტემ!

– უკუნითი უკუნისამდე, – გაეხმაურა უიარაღო გრძელთმიანი ცხენოსანი.

– იბედნიერეთ!

– თქვენც ასევე! – დიდება წმინდა გიორგის!

– ის არის ჩვენი მფარველი. გზა მშვიდობისა!

მოჰყვნენ თავის დაკვრას, მისალმებას. მერე ზბიშკომ მოახსენა თავისი სახელი, გერბი და ისიც აუწყა, საიდან მოეშურებოდა მაზოვიის კარისაკენ. გრძელთმიანმა რაინდმა თქვა, იენდრეკ კროპივნიცელი მქვიან, მთავრის სტუმრებს ვახლავარო: ბერ გოტფრიდს, ბერ როტვერს და ბატონ ფულკო დე ლორშს ლოტარინგიელს, რომელიც თვითონ ყოფილა ჯვაროსნების სტუმარი და მოუსურვებია თავისი თვალით ენახა მაზოვიის მთავარი და განსაკუთრებით ქალბატონი – დიდებული „კინსტუტის“ ქალიშვილი.

როცა იენდრეკ კროპივნიცელი სტუმრებს ასახელებდა, ცხენებზე ღირსეულად გაჯგიმული უცხოელი რაინდები რიგრიგობით ხრიდნენ რკინის მუზარადიან თავებს. ზბიშკოს მდიდრული აღჭურვილობის მხილველთ ალბათ ეგონათ, მთავარმა ჩვენს შესახვედრად ვიღაც დიდებული, თავისი ნათესავი ან სულაც ვაჟიშვილი გამოგზავნაო.

ამასობაში. იენდრეკ კროპივნიცელი განაგრძობდა:

– კომტურმა ანუ ჩვენებურად მნათემ იანსბორკისამ, რომელიც ახლა მთავართანაა სტუმრად, უამბო მას, რომ ამ სამ რაინდს ძლიერ სურდა ჩვენთან ჩამოსვლა, მაგრამ ვერ ბედავდნენ, განსაკუთრებით ლოტარინგიელი რაინდი შიშობდა; შორიდან ასე ეგონა, ტევტონთა საზღვარზე სარკინოზები ცხოვრობდნენ და მათთან გაუთავებელი ომი იყო. ეს რომ მთავარმა გაიგო, სტუმართმოყვარე მასპინძლის მოვალეობა შეასრულა და მაშინვე საზღვარზე გამომგზავნა, რათა ჩემგან დაცულნი ციხესიმაგრეებს მშვიდობით გამოსცდენოდნენ.

– მაშ უთქვენოდ ვერ ჩამოვიდოდნენ?

– ჩვენს ხალხს სძულს ჯვაროსნები, განა იმიტომ, რომ თავს გვესხმიან ხოლმე, – თავდასხმებს არც ჩვენ ვაკლებთ ხელს, – არამედ იმიტომ, რომ ისინი სულმდაბალნი და გამყიდველები არიან; ჯვაროსანი პირზე რომ გკოცნის, ამ დროს დანას გიმზადებს ზურგში ჩასაცემად. ეს საჯაყი თვისება

ჩვენ, მაზურებს, გვეზიზღება. მაგრამ რა სათქმელია! სახლის კარს ყველა გაუღებს და არც აწყენინებს სტუმარს, ხოლო თუ გზად შეხვდა, არ დააყოვნებს და თავს დაესხმის. ისეთებიც გვყვანან, ამას რომ შურისძიების გამო ან სულაც სახელის მოსახვეჭად სჩადიან. აგრემც ღმერთი ყველას მისცემს ამ სახელს.

– რომელია თქვენში ყველაზე სახელოვანი?

– არის ერთი ისეთი, გერმანელებს რომ სიკვდილის დანახვა ურჩევნიათ იმის დანახვას. იურანდ სპიხოველი ჰქვია.

ჭაბუკს გულმა ბაგაბუგი დაუწყო ამ სახელის გაგონებაზე და იმწამსვე გადაწყვიტა რაღაც-რაღაცეები გაეგო იენდრეკ კროპივნიცელისაგან.

– ვიცი, – უთხრა მან, – გამიგონია: მისი ქალიშვილი დანუტა არ იყო ქალბატონის სეფექალი, სანამ გათხოვდებოდა?

ზბიშკო სუნთქვაშეკრული მიაჩერდა მაზოვიელ რაინდს, მაგრამ მან გაოცებულმა შესძახა:

– ვინ მოგახსენათ ეგ ამბავი? ის ხომ ჯერ სულ ბავშვია! რა თქმა უნდა, ხდება, რომ მაგოდენებიც თხოვდებიან, მაგრამ დანუსია არ გათხოვილა. ექვსი დღეა, რაც ცეხანოვიდან წამოვედი და ქალბატონთან ერთად ვნახე. ახლა მარხვაში ხომ არ გათხოვდებოდა?

ზბიშკომ ძლივს შეიკავა თავი, რომ არ გადახვეოდა მაზურს და არ ეყვირა: „დიდი მადლობელი ვარ ამ ახალი ამბისათვისო!“ მერე თავს მოერია და თქვა:

– მე კი ისე მოვკარი ყური, თითქოს იურანდმა გაათხოვაო.

– იურანდს კი არა, ქალბატონს უნდოდა კრაკოვში ერთი რაინდისათვის მიეთხოვებინა, მაგრამ მამის ნებას წინ ვერ გადაუდგა. იმ რაინდმა აღთქმა მისცა ქალიშვილს და ქალსაც ძალიან უყვარს.

– უყვარს? – შესძახა ზბიშკომ.

იენდრეკმა ერთი კი შეათვალიერა ვაჟი და მერე სიცილით ჰკითხა:

– რა ძალიან კითხულობთ მაგ გოგოს ამბავს?

– ნაცნობების ამბავს ვკითხულობ, ვისთანაც მივდივარ. მუზარადის ქვეშ ზბიშკოს მხოლოდ თვალები, ცხვირი და ცოტაზე ლოყები მოუჩანდა, მაგრამ ცხვირიც და ლოყებიც ისე გაუწითლდა, რომ ცბიერმა მაზურმა ჰკითხა:

– სახე ალბათ ყინვამ თუ დაგიმგვანათ აღდგომის კვერცხს? ჭაბუკი კიდევ უფრო დაიბნა და წაიბურტყუნა:

– ალბათ...

ისინი ერთხანს უხმოდ მიდიოდნენ; მხოლოდ ცხენები ფრუტუნებდნენ და ნესტოებიდან ორთქლის ქულებს აფრქვევდნენ, უცხოელი რაინდებიც მასლაათობდნენ ერთმანეთში. უცებ იენდრეკ კროპივნიცელმა ჰკითხა:

– რა გქვიათ სახელი, წეღან კარგად ვერ გავიგონე? 284,

– ზბიშკო ბოგდანეცელი.

– რას მეუბნებით! იურანდის ქალს რომ აღთქმა მისცა, ვგონებ, იმასაც ზბიშკო ერქვა.

– ხომ არ გგონიათ, უარის თქმას ვაპირებ? – ამაყად ჩაუჭრა ზბიშკომ.

– რა გაქვთ საუარო! ღმერთო ჩემო, მაშ თქვენ ის ზბიშკო ხართ, იურანდის ქალიშვილმა რომ რიდე ჩამოაფარა! კრაკოვიდან რომ ბრუნდებოდნენ, მთელ ამალას მეტი სალაპარაკო არა ჰქონდა რა. ზოგზოგებს ცრემლებიც კი სდიოდათ. მაშ ეს თქვენა ხართ! როგორ გაიხარებენ მთავრის სასახლეში... ქალბატონსაც ხომ ძალზე უყვარხართ.

– ღმერთმა დალოცოს ისიც და თქვენც კეთილი ამბისათვის... თორემ ჭკუაზე აღარ ვიყავი, გათხოვდაო, რომ მითხრეს.

– რა ძნელი საქმეა მისთვის გათხოვება. ასეთი საცოლე ღმერთმა ყველას მისცეს, მზითვად მთელი სპიხოვი მოჰყვება; მთავრის კარზეც ბევრი შნოიანი ვაჟია, მაგრამ მისკენ არავის გაუხედავს მას შემდეგ, რაც თქვენ რიდე გადაგაფარათ. ქალბატონიც არ იზამდა ამას. როგორ გაიხარებს ყველა! სიმართლე რომ გითხრათ, აქა-იქ დასცინოდნენ კიდეც: „აღარ დაგიბრუნდება შენი რაინდი“. მაგრამ ის ამაზე მხოლოდ ფეხებს აბაკუნებდა: „დაბრუნდება! დაბრუნდებაო!“ ხანდახან რომ ეტყოდნენ, სხვა შეირთოო, ტიროდა ხოლმე.

ზბიშკოს გული აუჩუყა ამ სიტყვებმა, მაგრამ ხალხის ჭორიკანობაზე აფეთქდა:

– ხვალვე ბრძოლაში გამოვიწვევ, ვინც ჭორებს მიგონებდა! მაგრამ იენდრეკ კროპივნიცელმა გადაიხარხარა:

– ამას ხომ დედაკაცები ეუბნებოდნენ. დედაკაცებს გამოიწვევ ბრძოლაში? სად გაგონილა ქალებთან იარაღით ბრძოლა!

ზბიშკომ გაიხარა, რომ ღმერთმა ასეთი მხიარული და კეთილად განწყობილი მოსაუბრე მოუვლინა და უფრო დაწვრილებით გამოჰკითხა: ჯერ დანუსიას ამბები გაიგო, მერე მაზოვიის კარის ჩვეულებები, მერე ისევ დანუსია მოიკითხა, მერე მთავარი იანუში და ქალბატონი და ისევ და ისევ დანუსია; თავის აღთქმაზეც მოუყვა იენდრეკს, უამბო გზად გაგონილი ამბებიც – ხალხი საომრად ემზადება, ყოველ ცისმარე დღე მის დაწყებას ელოდებაო, და ბოლოს ისიც ჰკითხა, მაზოვიის სამთავროებში თუ არიანო ომის მოლოდინში.

კროპივნიცელი პანი სულ სხვა აზრისა იყო. ის ვარაუდობდა, რომ ომი ასე მალე არ დაიწყებოდა. ხალხში კი დადის ხმები, მაგრამ მე ერთხელ ჩემი ყურით გავიგონე, როგორ ესაუბრებოდა მთავარი მიკოლაი დლუგოლიასელს, ჯვაროსნებმა ბრჭყალები დამალეს და, თუ მეფე დაჟინებით მოითხოვს, მისი შიშით დათმობენ დობჟინის მიწას, ყოველ შემთხვევაში, ეცდებიან ომი გადასწიონ, სანამ კარგად არ მოემზადებიანო.

– თვითონ მთავარმაც, – დაუმატა მან, – ცოტა ხნის წინ მოინახულა მალბორგი. მაგისტრი წასული ყოფილიყო და მთავარი დიდ მარშალს მიეღო. მის პატივსაცემად ასპარეზობაც მოუწყვიათ, ახლა კი მთავარს ესტუმრნენ კომტურები და აგერ ახალი სტუმრებიც მოვიდნენ...

იენდრეკი წამით დაფიქრდა და დაუმატა:

– ამბობენ, ჯვაროსნები ტყუილუბრალოდ არ ესტუმრებოდნენ ჩვენს მთავარს და მთავარ ზემოვიტს პლოცკში. თუ ომი დაიწყება, ალბათ უნდათ, რომ მთავრებმა ორდენის მხარე დაიჭირონ და არა პოლონეთის მეფისა. ხოლო თუ ამაზე ვერ დაითანხმებენ, მაშინ საქმეში მაინც ნუ ჩაერევიან, მაგრამ არაფერი გამოუვათ...

– ღმერთმაც ქნას, არაფერი გამოსვლოდეთ. განა თქვენ კი გაგიძლებთ გული, შინ დაჯდეთ და არ ჩაერიოთ? თქვენი მთავრები ხომ პოლონეთის მეფეს ემორჩილებიან. ვფიქრობ, ვერ გაგიძლებთ გული.

– რა თქმა უნდა, – დაუმოწმა იენდრეკ კროპივნიცელმა.

ზბიშკომ კიდევ ერთხელ გადახედა უცხოელ რაინდებს და მათ ფარშავანგის ჯიღებს.

– ესენიც ამ საქმეზე მოდიან? ჯვაროსნები არიან და ალბათ ამაზე. რას გაუგებ?

– მესამე?

– მესამე ცნობისმოყვარეობის გამო მოდის.

– ეტყობა, დიდგვაროვანი რაინდი უნდა იყოს!

– მერე როგორი! უმდიდრესი საჭურვლით დატვირთული სამი ფორანი მოჰყვება და ცხრა მსახური. ერთი ასეთ რაინდთან შემატოლა! პირდაპირ სული მიმდის!

– თქვენთვის განა შეიძლება?

– აბა, როგორ შეიძლება! მთავარმა ამათი დაცვა მომანდო. ცეხანოვში ჩასვლამდე ერთი ღერი თმა ვერ დაუვარდებათ თავიდან.

– მე რომ გამოვიწვიო ბრძოლაში? მაგათაც რომ მოინდომონ და დამეთანხმონ?

– მაშინ ჯერ მე უნდა შემებრძოლო. არა, სანამ ცოცხალი ვარ, ამ საქმიდან არაფერი გამოვა!

ზბიშკომ სიყვარულით შეხედა ჭაბუკ რაინდს და უთხრა:

– თქვენ იცით, რასაც ნიშნავს რაინდული პატიოსნება. მე არასოდეს შეგებმებით, რადგან ჩემი მეგობარი ხართ; მაგრამ ცეხანოვში, ღვთის წყალობით, მოვძებნი რაიმე მიზეზს გერმანელებთან შესარკინებლად.

– ცეხანოვში, რაც თქვენს სულსა და გულს სურდეს, ის გააკეთეთ. იქ ისე არ ჩაივლის, ასპარეზობა რომ არ მოაწყონ, და მთავრისა და კომტურის თანხმობა თუ იქნება, საქმე შეიძლება ორთაბრძოლამდეც მივიდეს.

– მე მაქვს ფიცარი, რომელზეც წერია, რომ ბრძოლაში ვიწვევ ყველას, ვინც გაბედავს და შემედავება, პანა დანუტა, იურანდის ასული, ყველაზე კეთილი და მშვენიერი ქალწული არ არის ამქვეყნად. მაგრამ იცით... სადაც გავაკარი, ხალხი მხოლოდ მხრებს იჩეჩავდა და იცინოდა.

– გადამთიელების ჩვეულებაა, და თუ სიმართლე გინდათ, ძალიანაც სულელური, ჩვენში არავის გაეგება. შეიძლება მხოლოდ საზღვარზე იცოდნენ სადმე. ეს ლოტარინგიელი რაინდიც მთელი გზა ჩასციებოდა შლიახტიჩებს, მოითხოვდა, აქეთ და ადიდეთ ჩემი ქალბატონიო. კაციშვილმა ვერაფერი გაუგო, მე კი ფხიზლად ვიყავი, რომ ამ საქმეს ჩხუბი არ მოჰყოლოდა.

– რაო? ჩემი ქალბატონი ადიდეთო? ღმერთისა აღარ ეშინია? სულ დაუკარგავს სირცხვილ-ნამუსი!

ზბიშკო მიაჩერდა უცხოელ რაინდს, თითქოს აინტერესებს, როგორ გამოიყურება ის ადამიანი, რომელსაც სირცხვილი და ნამუსი არა აქვსო; მაგრამ თავის თავს გამოუტყდა, რომ ფულკო დე ლორში არაფრით არ ჰგავდა

ჩვეულებრივ შფოთისთავს. ჩაფხუტი აეწია და იქიდან კეთილი თვალები და ახალგაზრდული ნაღვლიანი სახე მოუჩანდა.

– სანდერუს! – გასძახა ერთბაშად ზბიშკომ.

– მზად ვარ გემსახუროთ, – უპასუხა გერმანელმა და მიუახლოვდა.

– ჰკითხე იმ რაინდს, რომელი ქალიშვილია ყველაზე კეთილი და მშვენიერი ამ ქვეყანაზე.

– ვინ არის ყველაზე კეთილი და ლამაზი ქალიშვილი ამ ქვეყანაზე? – ჰკითხა სანდერუსმა.

– ულრიკა დე ელნერი! – უპასუხა ფულკო დე ლორშმა.

მერე მან თვალები ზეცას აღაპყრო და ამოიოხრა, ზბიშკომ კი ასეთ მკრეხელობაზე თავი ძლივს შეიკავა და ცხენი ყალყზე შეაყენა მრისხანებისაგან. მაგრამ სიტყვის მობრუნება ვერ მოასწრო, რომ იენდრეკ კროპივნიცელი მათ შუა ჩადგა და შესძახა:

– ჩხუბი არც დააპიროთ! ზბიშკო კი ისევ მიუბრუნდა რელიკვიებით მოვაჭრეს:

– გადაეცი ჩემს მაგივრად, რომ მაგას ბუ შეჰყვარებია.

– კეთილშობილო რაინდო, ჩემი პატრონი მთხოვს გადმოგცეთ, რომ თქვენ ბუ შეგყვარებიათ! – ნახმევივით გაიმეორა სანდერუსმა.

ბატონმა დე ლორშმა ამ სიტყვებზე აღვირი ხელიდან გააგდო, მარჯვენა ხელით მარცხენაზე რკინის ხელთათმანი წაიძრო და ზბიშკოს წინ თოვლში დააგდო, ზბიშკომ კი ჩეხს ანიშნა შუბის წვერით აეღო ხელთათმანი.

მაგრამ ამ დროს იენდრეკი ზბიშკოს მიუბრუნდა და მრისხანედ უთხრა:

– ვიმეორებ, ერთმანეთს თითს ვერ დააკარებთ-მეთქი, სანამ მე ამ რაინდების მცველი ვარ, არც თქვენ მოგცემთ ბრძოლის ნებას და არც ამას.

– მე ხომ არ გამომიწვევია, თვითონ მიხმო ბრძოლაში.

– მართალია. მაგრამ ბუ რომ უთხარი, ამიტომ გამოგიწვია. მე ლაპარაკი დავამთავრე. თუ ვინმე გაბედავს და არ გაიგონებს... შემხედეთ... მეც ვიცი ქამრის შემობრუნება.

– მე თქვენთან ბრძოლა არა მსურს.

– და მაინც ვერ გაექცევით, რადგან ფიცი მაქვს დადებული დავიცვა ეს რაინდი.

– მაშ როგორ მოვიქცეთ? – იკითხა ჯიუტმა ზბიშკომ.

– ცეხანოვი აგერ ყურის ძირშია.

– გერმანელი რაღას იფიქრებს?

– გადასცეს თქვენმა კაცმა, რომ აქ ბრძოლის უფლება არა გაქვთ და ჯერ მთავარს უნდა გამოსთხოვოთ ნება, მაგან კი – თავის კომტურს.

– კარგი და, რომ არ დაგვეთანხმონ?

– სადმე სხვაგან შეხვდებით. კმარა ახლა ლაპარაკი!

როცა დახედა, ვერაფერს გააწყობდა და იენდრეკ კროპირნიცელი საქმეს ბრძოლამდე არ მიიყვანდა, ზბიშკომ ისევ უხმო სანდერუსს და უბრძანა, აუხსენი ლოტარინგიელ რაინდს, ადგილზე რომ მივალთ, იქ ვიბრძოლებთო. დე ლორშმა გერმანელს მოუსმინა და თავი დაუქნია, ყველაფერს მივხვდიო, მერე ზბიშკოს ხელი გაუწოდა, ერთ წუთს გააჩერა და სამჯერ მაგრად ჩამოართვა. რაინდული ადათების მიხედვით ეს ნიშნავდა, ორთაბრძოლა უნდა შედგეს როდესაც გნებავთ და სადაც გნებავთო. ამის შემდეგ ისინი, ერთი შეხედვით კეთილად შეთანხმებულნი, გაეშურნენ ცეხანოვის ციხესიმაგრისაკენ, რომლის მრგვალი ქონგურები უკვე ისახებოდა ალმოდებული ცის ფონზე.

ცეხანოვში მგზავრები ჯერ ისევ მზისით ჩავიდნენ. მაგრამ სანამ ჭიშკართან მათი ვინაობა გამოიკითხეს და ხიდი ჩამოუშვეს, კუნაპეტი ღამე ჩამოწვა. ისინი მიიღო და უმასპინძლა ზბიშკოს ნაცნობმა, ციხის დაცვის უფროსმა მიკოლაი დლუგოლიასელმა. ეს დაცვა მცირერიცხოვანი რაინდებისა და ტევრში მცხოვრები სამასიოდე მშვილდოსნისაგან შედგებოდა. ზბიშკომ შესვლისთანავე გაიგო, რომ, სამწუხაროდ, ამალა ციხესიმაგრიდან წასულიყო, შჩიტნოელი და ინსბურკელი კომტურების პატივსაცემად მთავარს ნადირობა მოეწყო და კიდევ მეტი ლაზათი რომ დასდებოდა, ამ ნადირობაზე მეუღლეც წაჰყოლოდა თავისი სეფექალებიანად. ნაცნობ ქალთაგან აქ ზბიშკოს მხოლოდ ციხის მეკუჭნავე ქშიხ იაჟომბკოველის ქვრივი ოფკა დაუხვდა. ოფკას ძალზე გაუხარდა მისი დანახვა; კრაკოვიდან დაბრუნების შემდეგ ის ყველას, ვისაც უნდოდა და არ უნდოდა, ზბიშკოსა და დანუსიას სიყვარულისა და ლიხტენშტაინთან მომხდარი შეტაკების ამბავს უყვებოდა. ამით მოხიბლა მან ჭაბუკები, რისთვისაც ძალზე ემადლიერებოდა ზბიშკოს. ახლაც ცდილობდა დაეწყნარებინა დანუსიას წასვლით დანაღვლიანებული ვაჟი.

– ვეღარც კი იცნობ, – ეუბნებოდა ოფკა, – წლები გადის და აზღუდები ნაკერებზე ერღვევათ გოგონებს, მკერდი ევსებათ. ის ერთი ციდა გოგო კი აღარ არის, უწინ რომ იყო, და შენც სულ სხვანაირად უყვარხარ. ახლა ვინ-

მემ რომ ყურში ჩასძახოს: „ზბიშკოო!“ – ისე შეხტება, გეგონებათ სადგისი გაურჭვესო. ასეთია ქალის ბედი, რას იზამ, ღმერთს ასე დაუწერია... ბიძაჩემი მომჯობინდაო, ამბობ, რატომ ისიც არ ჩამოვიდა?.. ჰო, ასეთია ჩვენი ხვედრი... მოწყენილები ვართ, მარტოკა არ შეგვიძლია... კიდევ ბედი, რომ ფეხები არ გადაიმტვრია, ყოველდღე კოშკზე ადის და იქიდან გაჰყურებს გზას... ქალის გული მეგობარს ითხოვს ყოველთვის...

– ცხენებს ვაჭმევ და მაშინვე გზას გავუდგები, ღამეც რომ იყოს, სულ ერთია, წავალ, – უპასუხა ზბიშკომ.

– წადი, ოღონდ ციხიდან გამყოლი წაიყვანე, გზა არ აგებნეს ტევრში.

ვახშამზე, რომელიც სტუმრებს მიკოლაი დლუგოლიასელმა გაუმართა, ზბიშკომ განაცხადა, ახლავე მივდივარ მთავრის კვალდაკვალ და გამყოლს ვითხოვო. მგზავრობით ქანცგაცლილი ჯვაროსნები ფიჭვის ვეება მორებით აბრიალებულ ბუხრებს მიუსხდნენ და გადაწყვიტეს კარგად დაესვენათ, გზას კი მეორე დღეს გასდგომოდნენ. მხოლოდ დე ლორშმა გამოთქვა სურვილი ზბიშკოსთან ერთად წასულიყო, ეშინოდა არ დაეგვიანა ნადირობაზე, რომლის ნახვაც ძალიან აინტერესებდა.

ის ზბიშკოსთან მივიდა, ხელი გაუწოდა და ისევ სამჯერ მოუჭირა თითები.

VI

მაგრამ ამჯერადაც ასცდნენ ისინი ბრძოლას. მიკოლაი დლუგოლიასელმა, როგორც კი იენდრეკ კროპივნიცელისგან გაიგო, რაც მომხდარიყო, ორთავეს სიტყვა ჩამოართვა, კომტურისა და მთავრის ნებართვის გარეშე თითი არ დაეკარებინათ ერთმანეთისათვის. თუ არადა, ციხის კარს ჩაუკეტავდა და არსად გაუშვებდა. ზბიშკოს ერთი სული ჰქონდა, როდის ნახავდა დანუსიას და წინააღმდეგობა ვეღარ გაბედა, დე ლორში კი საჭიროების დროს უკან არ დაიხევდა, მაგრამ სისხლისმსმელი კაცი არ იყო და მაშინვე რაინდული ფიცი დადო, დაველოდები მთავრის ნებართვას, მით უმეტეს, რომ სხვაგვარად მთავარს შეურაცხყოფასაც მივაყენებდიო. ამას გარდა, ლოტარინგიელ რაინდს უამრავი სიმღერა მოესმინა ასპარეზობებზე, უყვარდა ბრწყინვალე საზოგადოება, მდიდრული ზარ-ზეიმი და სურვილი გაუჩნდა ეს ორთაბრძოლა მთელი ამალის, დიდებულებისა და ქალბატონების თვალწინ ჩაეტარებინა; ასეთ შემთხვევაში მისი გამარჯვების ამბავი მთელ ქვეყანას მოედებოდა და ოქროს დეზებს უფრო მალე მოიპოვებდა.

მას ამ მხარისა და მის მკვიდრთა ნახვაც დიდად აინტერესებდა, მიკოლაი დლუგოლიასელმა კი, წლების განმავლობაში რომ გერმანელთა ტყვეობაში იყო და თავისუფლად ლაპარაკობდა უცხოელებთან, იმდენი საოცრება უამბო ნადირობაზე და მხოლოდ მათ მხარეში შემორჩენილ ათასნაირ ცხოველებზე, რომ ორთაბრძოლის გადადება დე ლორშს ხელს აძლევდა. შუაღამე იქნებოდა, როცა ის და ზბიშკო პშასნიშის გზას დაადგნენ. მათ ახლდათ შეიარაღებული ამალა და ჩირაღდნიანი მსახურები მგლებისაგან თავდასაცავად, ზამთრობით რომ ხროვებად დაძრწოდნენ და შიშის ზარს სცემდნენ თავით ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარ ათეულობით რაინდსაც კი. ცეხანოვს იქითა მხრიდანაც ტყეები მოჰყვებოდა და პშასნიშთან ერთბაშად კურპის ტევრში გადადიოდა, ტევრი კი აღმოსავლეთით პოდლიასიას გაუვალ ტყეებს და ლიტვის წიწვნარს ერთვოდა. დიდი ხანი არ არის, რაც ნახევრად ველური ლიტველები გვერდს უვლიდნენ მრისხანე ადგილობრივ მკვიდრთა საცხოვრებლებს და მაზოვიას მიმავალნი ამ ტყეებით მიაბიჯებდნენ. ათას სამას ოცდაჩვიდმეტ წელს მათ ცეხანოვამდეც მიაღწიეს და ქალაქი მიანგრ-მოანგრიეს. დე ლორში ხარბად უსმენდა მოხუცი გამყოლის მაცკო ტურაბოეველის საუბარს და გული აღარ უთმენდა, რაც შეიძლება მალე შეწონებოდა ღონეში ლიტველებს, რომელთაც ის ყველა დასავლელი რაინდის მსგავსად სარკინოზებად თვლიდა. ამ ქვეყანაში ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა და დარწმუნებული იყო დიდ სახელს მოიხვეჭდა და სულსაც დაიხსნიდა. გზაზე სულ იმას ფიქრობდა, მაზურებს რომ შევება, ამ ნახევრად წარმართ ხალხს, მაინც მარადიულ შვებას მოვიპოვებო. თვალს ძლივს უჯერებდა, როცა მაზოვიის ქალაქებში გუმბათზე ჯვრებგამოსახული ეკლესიები, სასულიერო პირები, საღმრთო ნიშნებით დამშვენებული რაინდთა საჭურველი იხილა. იხილა შფოთიანი, გულმხურვალე, ჩხუბისა და დავიდარაბის მოყვარული, მაგრამ მაინც ქრისტიანი ხალხი, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, გერმანელებზე მეტად მტაცებელი არ ჩანდა. ეს უკანასკნელნი კი დე ლორშმა გავლით ნახა. აღარ იცოდა, რა ეფიქრა ჯვაროსნებზე, როცა უამბეს, ას წელზე მეტია, ეს ხალხი ქრისტეს ეთაყვანებაო. ხოლო როცა გაიგო, კრაკოვის განსვენებულმა დედოფალმა ლიტვაც კი მონათლაო, მის გაოცებასა და გულისტკივილს საზღვარი არა ჰქონდა.

დე ლორშმა გამოჰკითხა გამყოლს, მაცკო ტურაბოეველს, იქნებ ტყეში ის გველეშაპები მაინც არიან, მსხვერპლად რომ ქალიშვილებს სწირავენ ხოლმე, იმათ შევებრძოლებიო. მაგრამ მაცკოს პასუხმა საბოლოოდ გადაწყვიტა იმედი.

– ჩვენს ტყეებში ბევრია მსხვილი ნადირი – მგლები, გარეული ხარები, დომბები, დათვები და ცოტა დავიდარაბა არ ტრიალებს ჩვენს თავზე მათი წყალობით, – უპასუხა მაზურმა. – ჭაობებში იქნებ უწმინდურებიც არიან აქაიქ, მაგრამ ცეცხლისმფრქვეველ გველეშაპებზე რაღაც არაფერი მსმენია, და კიდევაც რომ გვყოლოდა, ქალიშვილებს მაინც არ მივართმევდით, ყველანი ერთად დავატყდებოდით თავს და ჩვენი ტყის მოსახლეობა დიდი ხანია იმათი ტყავისაგან ნაკეთები ქამრებით იქნებოდა შემკული!

– რა ხალხია ეს ტყის მოსახლეობა, მაგათთან ბრძოლა არ შეიძლება? – ჰკითხა დე ლორშმა.

– რატომაც არ შეიძლება, ოღონდ საშიშია და რაინდს არც შეეფერება: ეგენი ხომ მდაბიოები არიან.

– შვეიცარიელებიც მდაბიოები არიან. ნუთუ ეს მოსახლეობაც ქრისტეს ეთაყვანება?

– სხვა რწმენის ხალხი მაზოვიაში არ არის. ისინი მთავარსა და ჩვენ გვეკუთვნიან. ალბათ შეამჩნევდით ციხესიმაგრეში მშვილდოსნებს. ყველანი კურპები არიან, იმათზე უკეთეს მშვილდოსნებს ვერსად იპოვით.

– ინგლისელები და შოტლანდიელები, ბურგუნდიის მეფის კარზე რომ ვნახე...

– ნანახი მყავს ეგენი მალბორგში, – გააწყვეტინა რაინდს მაზურმა, – მაგარი ბიჭები არიან, მაგრამ ღმერთმა დაუფაროთ კურპებთან ბრძოლაში გამოსვლა! შვიდი წლის კურპს შიმშილით მოკლავენ, სანამ თავის საჭმელს ფიჭვის კენწეროდან მშვილდ-ისრით არ მოიპოვებს.

– რაზე საუბრობთ? – ჰკითხა მათ ზბიშკომ, რომლის ყურამდე რამდენჯერმე მიაღწია სიტყვა „კურპმა“.

– კურპ და ინგლისელ მშვილდოსნებზე. ეს რაინდი ამტკიცებს, ინგლისელები და განსაკუთრებით შოტლანდიელები ყველაზე უკეთესი მშვილდოსნები არიანო.

– მეც მინახავს ისინი ვილნოსთან. აუჰ! იმათი ისრების ზუზუნიც გამიგონია, ყურებთან რომ გამიქროლებდნენ ხოლმე. რომელი ქვეყნის რაინდი არ იყო იქ და ყველა გვემუქრებოდა, უმარილოდ შეგახრამუნებთო, მაგრამ ერთი-ორჯერ რომ გაგვისინჯეს გემო, მადა დაეკარგათ.

მაცკომ გადაიხარხარა და ზბიშკოს ნათქვამი გაუმეორა ბატონ დე ლორშს.

– ბევრ სასახლეში მომისმენია ამაზე ლაპარაკი, – უპასუხა ლოტარინგიელმა რაინდმა, – თქვენს რაინდებს გულადობას ყველა უქებდა, მაგრამ ჯვაროსნების წინააღმდეგ წარმართებს იცავენო, ამას საყვედურობდნენ.

– ჩვენ თავდასხმებისა და დარბევისაგან ვიცავდით ხალხს, რომელსაც გაქრისტიანება სურდა. გერმანელებს უნდოდათ, რომ ამ ხალხს წარმართობაში ამოსვლოდა სული, ოღონდ კი ომის საბაბი ჰქონოდათ.

– ღმერთი განსჯის მათ, – თქვა დე ლორშმა.

– და იქნებ სულ ახლო მომავალშიც, – აუბა მხარი მაცკო ტურაბოეველმა.

როცა გაიგო, ზბიშკო ვილნოში ყოფილაო, ლოტარინგიელმა რაინდმა მას ამ ქალაქზე გამოჰკითხა. იქ ჩატარებული ორთაბრძოლებისა და რაინდთა შერკინების ამბებს მის ყურამდეც მიეღწია. განსაკუთრებით განაცვიფრა დასავლეთის რაინდები ოთხი პოლონელი და ოთხი ფრანგი რაინდის ორთაბრძოლის ამბავმა. დე ლორმა პატივისცემით დაუწყო ყურება ზბიშკოს, როცა ამ სახელოვან ბრძოლებში მისი მონაწილეობის ამბავი გაიგო, და გულში უხაროდა კიდეც, რომ ვიღაც უღიმღამო რაინდთან არ მოუწევდა შებმა.

ისინი გზას განაგრძობდნენ. ერთი შეხედვით იფიქრებდით, სრული თანხმობა სუფევსო: შესვენების დროს ყურადღებით ექცეოდნენ ერთმანეთს და ღვინითაც მასპინძლობდნენ, დე ლორშს თავის ფორნებზე ღვინის გვარიანი მარაგი ჰქონდა. მაგრამ დე ლორშისა და მაცკო ტურაბოეველის საუბრიდან გამოირკვა, რომ ულრიკა დე ელნერი ქალიშვილი კი არა, ორმოცი წლის ქმრიანი ქალია და ექვსი შვილიც ჰყავს. ამან ზბიშკო კიდევ უფრო აღაშფოთა: ეს უცნაური უცხოელი განა მხოლოდ ბედავს და თავის „დედაბერს“ დანუსიას ადარებს, იმასაც კი მოითხოვს, რომ აღიარონ, ყველაზე უკეთესიაო. ერთი პირობა ისიც იფიქრა, იქნებ ეს კაცი გონებასუსტია და აქეთ-იქით მოგზაურობა კი არა, სიბნელეში ჯდომა და გვარიანი გაშოლტვა უფრო შეჰფერისო; მაინც მოახერხა და მოზღვავებული რისხვა რაღაცნაირად დაიოკა.

– ხომ არ გეჩვენებათ, – უთხრა ზბიშკომ მაცკო ტურაბოეველს, რომ მაგ კაცს გონება ავმა სულებმა დაუბნელეს? იქნებ თავში ჭინკა უზის, როგორც მატლმა იცის კაკალში დაბუდება და მზადაა ღამით რომელიმე ჩვენგანს გადმოახტეს. ფრთხილად უნდა ვიყოთ...

მეგზურმა უარი დააპირა, მაგრამ მაინც მოუსვენრად შეათვალიერა ლოტარინგიელი რაინდი და ბოლოს თქვა:

– ხშირია, როცა ეშმაკეულს ასობით ჭინკა უზის, მერე ევიწროებათ იქ ყოფნა და ცდილობენ სხვებთან გადაინაცვლონ. არ არსებობს ქალის გამოგზავნილზე უფრო ავი ჭინკა.

ის უცებ მოუბრუნდა რაინდს:

– დიდება იესო ქრისტეს!

– მეც ვადიდებ მას, – უპასუხა გაოცებულმა დე ლორმა.

მეგზურს გული საგულეს ჩაუდგა.

– ხომ ხედავთ, – თქვა მან, – მაგას რომ უწმინდური ჰყავდეს ჩამჯდარი სხეულში, მე ისე მოულოდნელად შევძახე, მაშინვე მიწაზე დაენარცხებოდა ან პირზე დორბლი მოადგებოდა.

მათ გულდამშვიდებით განაგრძეს გზა. ცეხანოვიდან პშასნიშამდე არც ისე შორი იყო და მარდი ცხენის პატრონი მსრბოლი ზაფხულში ორ საათში გაივლიდა ქალაქებს შუა მანძილს. მაგრამ ღამით, ისიც დიდ თოვლში, მგზავრები გაცილებით უფრო ნელა მიდიოდნენ, თანაც ხშირხშირად ისვენებდნენ; შუაღამე გადასული იყო, როცა წამოვიდნენ, და მთავრის სამონადირო სახლს, პშასნიშს იქით ტყის ნაპირას რომ იდგა, მხოლოდ განთიადისას მიაღწიეს. მთავრის ვეება ხის სახლი მართლაც ზედ ტყის პირას იყო. სახლის წინ ჭის ოწინარი და ცხენების ორი საჩეხი მოჩანდა. გარშემო ფიჭვის ტოტებისაგან სახელდახელოდ მოწნული უამრავი ფაცხა და ნადირის ტყავით გადაჭიმული კარავი მიმოფანტულიყო. დილის ბინდბუნდში კარვების წინ კოცონები აეგიზგიზებინათ და გარს შემოსხდომოდნენ მელიის, მგლისა და დათვის გადაბრუნებულ ქურქებში გამოხვეული მარეკები. უმრავლესობას ცხოველთა თავებისაგან გაკეთებული ქუდები ეხურა და ბატონ დე ლორშს მოეჩვენა, რომ უკანა ფეხებზე შემდგარი ნადირები მიფიცხებოდნენ კოცონს. ზოგი მშვილდს დაყრდნობოდა, ზოგი – ოროლს, ზოგი თოკებისაგან ვეებერთელა ბადეებს წნავდა, ზოგიც ცეცხლზე ხარირმისა და დომბის ბარკლებს ატრიალებდა, ალბათ საუზმედ თუ უნდოდათ.

ცეცხლის ათინათი თოვლს ეცემოდა, შუქს ჰფენდა კოცონთა კვამლში, საკუთარ ამონასუნთქსა და შემწვარი ხორცის ოხშივარში გახვეულ ველურ ფიგურებს. მათ უკან ცეცხლი ვეება ფიჭვებს ანათებდა და ხალხის ახალ მრავალრიცხოვან ჯგუფებს აჩენდა. ლოტარინგიელი რაინდი გაოცდა. პირველად ხედავდა ასეთ ნადირობას.

– თქვენი მთავრები, – თქვა მან, ნადირობაზე ისე მიდიან, როგორც საომარ ლაშქრობაში.

– უნდა მოგახსენოთ, – უპასუხა მაცკო ტურაბოეველმა, – რომ ისინი არც სამონადირო საჭურვლის ნაკლებობა განიცდიან და არც ხალხისას. მარეკები მთავრის ხალხია; მაგრამ აქ სხვებიც არიან, ტყის ტევრიდან სავაჭროდ მოსულები.

– როგორ მოვიქცეთ? – შეაწყვეტინა მას ზბიშკომ. – შინ ჯერ კიდევ სძინავთ.

– დაველოდოთ, სანამ გაიღვიძებენ, – უპასუხა მაცკომ. – აბა, კარზე კაკუნსა და გაღვიძებას ხომ ვერ შევბედავთ ჩვენს ბატონს.

მან რაინდები კოცონთან მიიყვანა, მარეკებმა დომბისა და დათვის ტყავები დაუფინეს, მერე კი თავაზიანად გაუმასპინძლდნენ ცხელცხელი შემწვარი ხორცით. უცხო ენაზე ლაპარაკი რომ მოესმათ, კოცონთან ხალხი შემოიკრიბა გერმანელის სანახავად. ზბიშკოს მსახურები ჰყვებოდნენ, ეს რაინდი ზღვის გადაღმა ქვეყნიდან არისო, და ხალხიც ისე მჭიდროდ შემოერტყა რაინდებს, რომ მაცკო იძულებული გახდა თავისი ძალაუფლება გამოეყენებინა, რათა უცხოელი ზომას გადასული ცნობისმოყვარეობისაგან დაეცვა. დე ლორშმა ხალხში ქალებიც შეამჩნია. იმათაც ტყავები ემოსათ, ლოყები თურაშაულივით დაბრაწოდათ და არაჩვეულებრივად ლამაზები იყვნენ. დე ლორში დაინტერესდა, ეს ქალებიც მონაწილეობდნენ თუ არა ნადირობაში.

მაცკომ აუხსნა, ესენი ნადირობაში მონაწილეობას არ ღებულობენ, უბრალოდ ქალური ცნობისმოყვარეობის გამო გამოჰყვებიან ხოლმე მარეკებს ან სულაც ბაზრობაზე მოდიან ქალაქური საქონლის საყიდლად და თავისი ტყის სიმდიდრის გასასყიდადო. ეს მართლაც ასე იყო. მთავრის სახლი მის არყოფნაშიც ორი სტიქიის – ქალაქისა და სოფლის ერთგვარი შუამავალი იყო. მარეკებს დიდად არ ეპრიანებოდათ ტევრიდან გამოსვლა, უჩვეულოდ გრძნობდნენ თავს, როცა ხეები არ დაშრიალებდათ თავზე, ამიტომაც კშასნიშელებს აქ, ტყის პირზე, მოჰქონდათ თავიანთი განთქმული ლუდი, ქარის ან მდინარე ვენგერკაზე გამართულ წყლის წისქვილებზე დაფქული ფქვილი, ტყის მცხოვრებთათვის იშვიათი მარილი, რომელსაც ისინი ძალიან ეტანებოდნენ, რკინეულობა, ქამრები და სხვა ნაკეთობანი, სამაგიეროდ მიჰქონდათ ტყავები, ძვირფასი ბეწვეული, გამხმარი სოკო, კაკალი, სამკურნალო ბალახეული და ქარვა, რომელიც ადვილად იშოვებოდა კურპებში. ამიტომაც მთავრის სამონადირო სახლთან შეუწყვეტელი ყაყანი იდგა ბაზრობაზეც და ნადირობის დროსაც, როცა ცალკე მოვალეობისა და ცალკე ცნობისმოყვარეობის გამო აქ თავს იყრიდა უღრანი ტყეების მოსახლეობა.

დე ლორში უსმენდა მაცკოს ნაამბობს და ინტერესით შეჰყურებდა მარეკებს, რომლებიც ფისით ნაჟღენთ სუფთა ჰაერზე ცხოვრობდნენ, მაშინდელი გლეხებივით უმთავრესად ხორცით იკვებებოდნენ და უცხოელ მოგზაურებს თავიანთი ტანადობითა და ძალ-ღონით ანცვიფრებდნენ. ამასობაში ზბიშკომ კოცონთან მოიკალათა და თვალს არ აშორებდა სახლის კარსა და ფანჯრებს. ადგილზე ვერ ისვენებდა, სინათლე მხოლოდ ერთ ფანჯარაში ენთო, ალბათ სამზარეულოში, რადგან უხეიროდ ჩასმული ჩარჩოების ჭუჭრუტანებში კვამლი გამოდიოდა. დანარჩენი ფანჯრები ჩაბნელებული იყო და მხოლოდ აისის სხივებზე ელავდა. აისი კი წუთი წუთზე ძალას იკრებდა და ვერცხლისფრად აკიაფებდა დათოვლილ ტევრს. სახლის გვერდითა კედელში გამოჭრილ პატარა კარში ხშირად გამოჩნდებოდნენ ხოლმე მთავრის მსახურები და სამხრეზე ჩამოკიდებული ვედროებით ჭაზე წყლის ამოსაღებად მიეშურებოდნენ. როცა ეკითხებოდნენ, სახლში ყველას სძინავს თუ არაო, პასუხობდნენ, გუშინდელმა ნადირობამ ყველა მოქანცა და ჯერ ისევ სძინავთ, მაგრამ სადაც არის მზად იქნება საუზმე, ნადირობის დაწყებამდე რომ უნდა მიირთვანო.

სამზარეულოს ფანჯრიდან მართლაც გამოდიოდა ქონისა და ზაფრანის მძაფრი სუნი, რომელიც კოცონებს შორის დატრიალდა და მთელ ტყის პირს მოედო. ბოლოს, როგორც იქნა, ჭრიალით გაიღო მთავარი კარი და თვალს გადაეშალა გაჩახჩახებული წინკარი. პარმაღზე ვიღაც გამოვიდა; ზბიშკომ ერთი თვალი შეავლო მას და მაშინვე შეიცნო მოსიმღერე, კრაკოვში ქალბატონის ამალაში რომ ჰყავდა ნანახი. ზბიშკო აღარც მაცკო ტურაბოეველს დაელოდა, აღარც დე ლორშს და თავქუდმოგლეჯილი ეცა სახლს; ლოტარინგიელმა რაინდმა გაოცებით იკითხა:

– რა დაემართა ამ ჭაბუკ რაინდს?

– ისეთი არაფერი, ქალბატონის ერთი სეფექალი უყვარს და გული ვეღარ უთმენს მის უნახაობას.

– აჰ! – შესძახა დე ლორშმა და გულხელი დაიკრიფა, მერე თვალები ზეცას აღაპყრო და ისე საცოდავად ამოიოხრა, რომ მაცკომ მხრები აიჩეჩა და გულში თქვა:

„ნეტა იმ დედაბრისთვის თუ ოხრავს ასეთნაირად? მართლა არ უნდა იყოს სრულ ჭკუაზე!“

მაცკომ მაინც მიაცილა სტუმარი სახლამდე. ისინი შევიდნენ ხალვათ წინკარში, ხარების, დომბების, ხარირმებისა და ირმების ტყავებით რომ იყო მორთულ-მოლამაზებული და ბუხარში შეყრილი ხმელი მორების ანა-

რეკლით გაჩირაღდნებული. შუაში მაგიდაზე ხალიჩა გადაეფარებინათ და ზედ თასები დაეწყოთ. წინკარში ამალის რამდენიმე წევრი იდგა, რომელთაც ზბიშკო ესაუბრებოდა. მაცკო ტურაბოეველმა გააცნო მათ დე ლორში. ამ ხალხმა გერმანული არ იცოდა და მაცკო იძულებული გახდა გვერდიდან არ მოშორებოდა სტუმარს. ყოველ წუთს ახალი და ახალი ხალხი შემოდიოდა, უმეტესწილად წარმოსადეგნი, არცთუ დიდად დახვეწილნი, მაგრამ ახოვანნი, მხარბეჭიანნი, ქერათმიანები, სანადირო ტანსაცმელში გამოწყობილნი. ვინც ზბიშკოს უკვე იცნობდა და მისი კრაკოვის ამბებიც გაეგონა, ძველი მეგობრებივით ესალმებოდნენ და, ეტყობოდა, დიდ პატივსაც სცემდნენ. ზოგი გაოცებით შეჰყურებდა ამ ადამიანს, რომლის კისერზეც ჯალათის ჩუგლუგი აღიმართა. ირგვლივ ესღა ისმოდა: „როგორც იქნა! ქალბატონიც აქ არის და დანუსიაც, ამწამსვე იხილავ, შე საბრალოვ, მათ და სანადიროდაც ჩვენ გვეახლები“. ამ დროს ორი სტუმარი ჯვაროსანი შემოვიდა, ორტელსბურგის თუ შჩიტნოს კომტური, ბერი ჰუგო დანველდი, რომლის ნათესავი ერთ დროს მარშალი იყო, და ინსბურკის მმართველი, ორდენის განთქმული წარმომადგენელი ზიგფრიდ დე ლიოვე. პირველი ჯერ ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ გაბიჟვინებული იყო, ლოთი კაცის ვერაგი სახე და სქელი სველი ტუჩები ჰქონდა, მეორეს კი, მაღალ-მაღალს, მკაცრი კეთილშობილური ნაკვთები ამშვენებდა. ზბიშკოს მოეჩვენა, რომ დანველდი მთავარ ვიტოლდთან ჰყავდა ნანახი, და რომ პლოცკის ეპისკოპოსმა ჰენრიკმა ის ასპარეზობის დროს უნაგირიდან გადმოაგდო, მაგრამ ეს იმწამსვე დაივიწყა, რადგან ამ დროს წინკარში მთავარი იანუში გამოვიდა და მას მდაბალი სალამი მოახსენეს ჯვაროსნებმაც და ამალამაც. დე ლორში, კომტურები და ზბიშკო მთავარს ეახლნენ, ისიც გულღიად მიესალმა, მაგრამ შუბლზე სწორად შეკრეჭილი და მერე მხრებზე აქეთ-იქით ჩამოშლილი თმით შემორკალულ გლეხურ უულვაშო სახეზე მედიდურობა არ ჩამოიშორა. გარეთ საყვირმა ამცნო, რომ მთავარი საუზმის სუფრას მიუჯდა. საყვირებმა მეორე და მესამედ რომ დასძახეს, მარჯვნივ მაღალი კარი გაიღო და გამოჩნდა მთავრის მეუღლე ანა, მას გვერდით მხარზე ბარბითგადაკიდებული გასაოცარი სილამაზის ქალიშვილი მოჰყვებოდა.

მათ დანახვაზე ზბიშკო წინ წამოდგა და მლოცველივით გულხელგადაჯვარედინებული მუხლებზე დაეცა, მთელი თავისი არსებით მოწიწებასა და თაყვანისცემას გამოხატავდა.

დარბაზში ჩურჩულმა გადაიარა. ყველა მაზური სახტად დარჩა, ზოგიერთს კი თავმოყვარეობაც შეულახა ზბიშკოს საქციელმა. „ერთი ამას დამიხედეთ, – იყვნენ ერთ მითქმა-მოთქმაში ხანდაზმულები, – ჭეშმარიტად

ზღვისგაღმელი რაინდებისაგან უსწავლია, ან არადა სულაც სარკინოზებისაგან; გერმანელებშიც ვერ შეხვდებით ასეთ წესებს“. ახალგაზრდები კი ფიქრობდნენ: „განა რა არის ამაში გასაოცარი, კაცი სიცოცხლითაა ამ ქალისაგან დავალებული“. ქალბატონმა და დანუსიამ ერთბაშად ვერც კი შეიცნეს ზბიშკო, რადგან მუხლმოყრილს ცეცხლი უკნიდან ანათებდა და სახე მოჩრდილული ჰქონდა. თავდაპირველად ქალბატონს ეგონა, ამალის რომელიმე წევრმა რაღაც დააშავა და მთავართან გამოქომაგებას მთხოვსო. მაგრამ დანუსიას იმაზე გამჭრიახი თვალი ჰქონდა, ფეხი წინ წადგა, ქერა თავი დახარა და წვრილი ხმით გულისგამგმირავად იყვირა:

– ზბიშკო!

აინუნშიაც არ ჩაუგდია, რომ მთელი ამალა და უცხოელი სტუმრები მას შეჰყურებდნენ, შველივით შეაფრინდა კისერზე ჭაბუკ რაინდს, ხელები შემოაჭდო, ჩაეკრა და დაუკოცნა თვალები, ლოყები, ტუჩები; სიხარულით თავი აღარ ახსოვდა, ისე ჭყლოპინებდა, რომ ბოლოს და ბოლოს მაზურებს ხარხარი აუტყდათ, ქალბატონმა კი საყელოში ჩაჰკიდა ხელი და თავისკენ მოზიდა.

დანუსიამ ერთი მოავლო თვალი იქ მყოფთ, ძალუმად შეცბუნდა, ისეთივე სისწრაფით ქალბატონის ზურგს ამოეფარა და თავიან ფეხებიანად მისი კაბის ნაოჭებში ჩაიმალა.

ზბიშკომ მთავრის მეუღლის ფერხთით დაიჩოქა, მან კი ააყენა, მიესალმა და მაცკოს ამბავი გამოჰკითხა: გადაურჩა თუ არა სიკვდილს, და თუ გადაურჩა, რატომ არ ჩამოვიდაო მაზოვიაში? ზბიშკო დაბნეულად პასუხობდა კითხვებზე, აქეთ-იქით იხრებოდა, რომ თვალი შეესწრო დანუსიასათვის, რომელიც ხან გამოყოფდა თავს ქალბატონის ქვედა კაბიდან და ხან ისევ იმალებოდა ნაკეცებში. ამის დანახვაზე მაზურები სიცილით იხოცებოდნენ, მთავარიც იცინოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ცხელი საუზმე შემოიტანეს და გახარებულმა ქალბატონმა ასე მიმართა ზბიშკოს:

– აბა, გვემსახურე ახლა, ჩემო კარგო, და ღმერთსა ვთხოვ, ეგ სამსახური სამუდამო ყოფილიყოს.

– მერე დანუსიას მიუბრუნდა:

– შენ კი, აბეზარავ, ახლავე გამოძვერი მანდედან, თორემ სულ შემომახიე კაბა და ეგ არის.

დანუსია მართლაც გამოძვრა ალმურმოდებული, დარცხვენილი, დროდადრო შეავლებდა ზბიშკოს შემკრთალ, მაგრამ ამავე დროს ცნობისმოყვარეობით აღვსილ თვალებს; ისეთი მშვენიერი იყო, რომ მარტო ზბიშკოს

კი არა, სხვა მამაკაცები საც გული მოულბათ. ჯვაროსნების შჩიტნოელმა კომტურმა მსხვილ სველ ტუჩებზე მიიდო თითები, გაოგნებულმა დე ლორშმა კი ხელები აღაპყრო და წამოიძახა:

– წმინდა იაკობ კომპოსტელს გაფიცებთ, მითხარით, ვინ არის ეს ქალიშვილი?

შჩიტნოს კომტური, რომელიც მარტო ჩასქელებული კი არა, დაგვალული მამაკაციც იყო, ფეხის წვერებზე შედგა და ლოტარინგიელ რაინდს ჩასჩურჩულა:

– ეშმაკის ნაშიერია. დე ლორშმა ერთი გადახედა თვალების ფახულით, მერე კი წარბი შეჰყარა და წაიდუდღუნა:

– არა, ნამდვილი რაინდი არასოდეს შეჰყეფს სილამაზეს.

– მე ოქროს დეზები მაქვს, ამას გარდა ბერი გახლავართ, – ზვიადად შეედავა ჰუგო დანველდი.

ნაფიცი რაინდები ისეთი პატივისცემით იყვნენ მოსილნი, რომ დე ლორშმა თავი დახარა და მხოლოდ რამდენიმე წამის შემდეგ უთხრა:

– მე კი ბრაბანტის ჰერცოგების ნათესავი ვარ!

– Pax! Pax![19] – შესძახა ჯვაროსანმა. – დიდება მძლეთამძლე ჰერცოგებს და ორდენის მეგობრებს, ორდენისა, რომელიც სულ მალე ოქროს დეზებს მოგართმევთ. მე არ უარვყოფ, რომ ეს ქალიშვილი ლამაზია, მაგრამ ერთი ისიც გაიგეთ, ვისი ქალიშვილია.

თუმცა ამის მოყოლა ვეღარ მოასწრო, რადგან ამ დროს მთავარი იანუში სუფრას მიუჯდა და, რაკი ინსბურკელი კომტურისაგან წინდაწინ ჰქონდა გაგებული დე ლორშის დიდებული ჩამომავლობის ამბავი, რაინდს ნიშანი მისცა, მის გვერდით დამჯდარიყო. ქალბატონი და დანუსია მთავრის პირდაპირ დასხდნენ, ზბიშკო კი მათი სავარძლების უკან დადგა, რომ მომსახურებოდა, როგორც ადრე, კრაკოვში. დანუსია დარცხვენილი იყო და თავს დაბლა ხრიდა, მაგრამ განზე იყურებოდა, ისე, რომ ზბიშკოს მისი სახე დაენახა. ვაჟი სულშეტაცებული და აგზნებული დაჰყურებდა მის კოხტა ქერა თავს, ვარდისფერ ლოყებს, ტანზე მოყვანილ კაბაში გამოკვალთულ არაბავშვურ მხრებს და გრძნობდა, რომ სიყვარული ტალღასავით ნთქავდა მის გულს. თვალებზე, ტუჩებსა და სახეზე ჯერ ისევ შერჩენოდა მისი კოცნის სითბო. ოდესღაც ქალი დაძმურად ჰკოცნიდა და ვაჟიც ისე ღებულობდა იმ

[19] მშვიდობა! მშვიდობა(ლათ.)

კოცნას, როგორც საყვარელი ბავშვისას. ახლა კი ამის გახსენებაზე რაღაც ემართებოდა, როგორც იაგენკასთან შეხვედრის დროს: ჟრჟოლა აიტანდა, ერთბაშად მოითენთებოდა, მაგრამ თან ალმური ედებოდა მთელ სხეულში, როგორც ნაცარწაყრილ ცეცხლში ღვივის ხოლმე ნაღვერდალი. დანუსია გაზრდილიყო, დამშვენებულიყო და დაქალებულიყო. ამას გარდა, სიყვარულის ამბებსაც ბევრს ისმენდა და მზით გამთბარი ყვავილის გადაფურჩქნილი კოკორივით ჩაუდგა თვალებში სიყვარულის ახალი ნაპერწკალი, რასაც ადრე ვერ შეამჩნევდით, სილამაზე უკვე არაბავშვურ, მომაჯადოებელ, დამათრობელ სხივებს გამოსცემდა, როგორც კოცონი სითბოს ან ვარდი თავის სურნელებას.

ზბიშკო დამონებოდა მისი ჯადოს ძალას და ვეღარაფერს ხვდებოდა, სულ დაკარგა გონი. ისიც დაავიწყდა, რომ ქალებს უნდა მომსახურებოდა. ვერც იმას ამჩნევდა, ხალხი რომ შეჰყურებდა, ერთმანეთს მუჯლუგუნებს ჰკრავდნენ და იცინოდნენ. ვაჟმა ვერ დაინახა დე ლორშის განცვიფრებისაგან გახევებული სახე და შჩიტნოს კომტურის დანუსიასაკენ მიპყრობილი გადმოკარკლული თვალები, ბუხრის ალის ათინათზე მგელივით რომ უელავდა. ზბიშკო მხოლოდ ბუკის ხმაზე მოვიდა გონს, ყველას რომ ტევრში სანადიროდ მოუწოდებდა. ქალბატონმა ანა დანუტამ მას უთხრა:

– ჩვენთან წამოდი, გახალისდები. დანუსიას შენს სიყვარულზე ესაუბრები და მეც სიამოვნებით მოგისმენთ.

ქალბატონი და დანუსია ტანსაცმლის გამოსაცვლელად წავიდნენ. ზბიშკო ეზოში გავარდა, სადაც მეჯინიბეები ძლივს აკავებდნენ დათრთვილულ აფრუტუნებულ ცხენებს, მთავრისა და მისი მეუღლის, სტუმრებისა და კარისკაცებისათვის რომ გაემზადებინათ. ეზოში ხალხი შეთხელდა. მარეკები თავიანთი ბადეებიანად უკვე გზას გასდგომოდნენ და ტევრში აღარც ჩანდნენ. კოცონი ძლივსღა ბჟუტავდა, კაშკაშა ყინვიანი დღე დგებოდა, ფეხქვეშ თოვლს ჭრაჭუნი გაუდიოდა, ხეებიდან ნიავის ოდნავ გაფაჩუნებაზე ნაპერწკლებივით ცვიოდა მშრალი რთვილი. მთავარი იანუში მალე სახლიდან გამოვიდა და ცხენზე შეჯდა; მას მოჰყვებოდა მსახური. ხელში მშვილდი და იმსიგანე მძიმე ოროლი ეკავა, რომ მისი ამწევი ბევრი არ გამოჩნდებოდა. მაგრამ მთავარი არაჩვეულებრივად ღონიერი გახლდათ მაზოვიელი პიასტების მსგავსად და ადვილად იმორჩილებდა მას. პიასტების გვარში ისეთი ქალიშვილებიც ახსოვთ, რომლებიც უცხოელ მთავრებზე ქორწინების დროს ნადიმზე თოკივით სულ ადვილად გრეხდნენ განიერ რკინის ნაჯახებს. მთავარს ახლდა ორი მცველი, რომლებიც მზად იყვნენ პირველსავე საჭიროებისას დახმარება აღმოეჩინათ მისთვის; მცველები

მთავარს ვარშავისა და ცეხანოვის შლიახტიჩებისაგან ჰყავდა შერჩეული. შეხედვაც კი შეგზარავდათ მხარბეჭიანები იყვნენ, ტყეში გაზრდილი ზორბა ხეებივით შხვართები. მათ განსაკუთრებით მიიქციეს შორეული ქვეყნიდან ჩამოსული დე ლორშის ყურადღება.

ამასობაში ქალბატონიც გამოვიდა. დანუსია თან ახლდა. ორთავეს სინდიოფალას ბეწვის თეთრი ლამაზი ქუდები ეხურათ. კეისტუტის ღირსეული ასული მშვილდ-ისარს უკეთ ხმარობდა, ვიდრე ნემსსა და ძაფს, ამიტომაც ახლდა მას მსახური, რომელსაც ჩვეულებრივზე ოდნავ მსუბუქი, ლამაზი ზარნიშიანი მშვილდი ეკავა. ზბიშკომ თოვლზე მუხლი მოიყარა და ქალბატონს ხელზე დაადგმევინა ფეხი ცხენზე შეჯდომის დროს; მერე უნაგირზე დანუსიაც შესვა, როგორც ბოგდანეცში სვამდა ხოლმე იაგენკას, და მგზავრებმა ცხენები დასძრეს. პროცესია გველივით წაგრძელდა, კარ-მიდამოს მარჯვნივ შემოუხვია, ტყის პირას მუქი მაუდის ფერადი ქობასავით აელვარდა და ნელ-ნელა ტყეში მიიმალა.

უკვე ღრმად იყვნენ შესული ტყეში, როცა ქალბატონი ზბიშკოს მიუბრუნდა და უთხრა:

– რას დადუმებულხარ? უთხარი რამე!

მაგრამ ზბიშკოს რიდი მოსძალებოდა და ქალბატონის გამხნევებამაც კი ასე უცბად ვერ ამოადგმევინა ენა.

– დანუსკა! – როგორც იქნა ამოღერღა ბოლოს.

– რა, ზბიშკო?

– ისე მიყვარხარ...

ენა დაება. სიტყვებს ვეღარ მიაგნო; გაუძნელდა. უცხოელი რაინდებივით მუხლის მოყრა არ უჭირდა ქალიშვილის წინაშე, ყურადღებასაც ყველანაირად იჩენდა და ამიტომ უბრალო სიტყვების ხმარება არ უნდოდა, მაგრამ ახლა ამაოდ ცდილობდა მეტყველების სინატიფით გამორჩევას, რადგან გაშლილი ველებივით ლაღი სული ჰქონდა და მხოლოდ უბრალოდ შეეძლო ლაპარაკი.

ერთი წამით შეჩერდა და მერე უთხრა:

– მე შენ ისე მიყვარხარ, რომ სული ვერ მომითქვამს!

დანუსიამ გამოჰხედა ბეწვის ქუდს ქვემოდან ცისფერი თვალებით და ტყის ცივი ჰაერით ატკრეცილი ლოყები გამოაჩინა.

– მეც მიყვარხარ, ზბიშკო! – უთხრა მან ნაჩქარევად.

და იმწამსვე დახარა თვალები, რადგან უკვე იცოდა, რაც იყო სიყვარული.

– ჩემო საუნჯევ! ჩემო მშვენიერო! – შესძახა ზბიშკომ.

და ისევ მიჩუმდა ბედნიერი და გრძნობამორეული; მაგრამ კეთილი და ცნობისმოყვარე ქალბატონი კვლავ მოევლინა მხსნელად.

– აბა, მოჰყევი, – ჩაერია ის, – როგორ გელეოდა გული უამისოდ. თუ ბუჩქი შეგხვდა სადმე, მოეფარეთ და ტუჩებზეც ეამბორე, მე არ გაგიჯავრდები; ამითი ყველაზე უკეთ დაუმტკიცებ შენს სიყვარულს.

ვაჟი უამბობდა, როგორ ენატრებოდა ბოგდანეცში, როცა ავადმყოფ მაცკოს უვლიდა ან მეზობელთან იყო სტუმრად. ამასთან ცუღლუტმა ბიჭმა, თუმცა ვითომდა გული გადახსნილი ჰქონდა, ერთხელაც არ ახსენა იაგენკა, რადგან ამ წუთში ისე ძალუმად უყვარდა მშვენიერი დანუსია, რომ სურვილი მოსძალებოდა ცხენზე თავის წინ შემოესვა და მკერდზე მიეკრა.

რაღა თქმა უნდა, ამის ჩადენა მოეკრძალა; მაგრამ როგორც კი პირველი ბუჩქი აეფარა მასა და დანუსიას და დანარჩენების თვალს განარიდა, დაიხარა, ხელი მოჰხვია ქალიშვილს და სახე მის ბეწვის ქუდში სიყვარულით ჩამალა.

მაგრამ ზამთარი იყო, თხილის ბუჩქებს ფოთლები შემოსცლოდა და ყველამ – ჰუგო დანველდმა, ბატონმა დე ლორშმა და მთელმა ამალამ თვალი ჰკიდეს და ერთმანეთში ჭორაობას მოჰყვნენ:

– ქალბატონისაც არ მოერიდა, იმის თვალწინ აკოცა! ისიც ალბათ სასწრაფოდ ჯვარს დასწერს, ამას წინ არაფერი დაუდგება.

– მარჯვე ბიჭია, მაგრამ ქალსაც იურანდის ცხელი სისხლი უჩქეფს ძარღვებში.

– კვესი და აბედივით არიან, თუმცა გოგო ერთი შეხედვით მამა აბრამის ბატკანსა ჰგავს. დარდი ნუ გაქვთ, აბრიალდება! ვერ დაინახეთ, როგორ ტკიპასავით მიეკრა!

ასე ხუმრობა-ხუმრობით მიდიოდნენ, შჩიტნოელმა კომტურმა კი თხასავით ცანცარა, ბოროტი, ავხორცი სახე მიაბრუნა და ჰკითხა:

– ხომ არ ისურვებდით, ბატონო დე ლორშ, რომ რომელიმე მერლინს თავისი ჯადოსნური ძალის შემწეობით იმ ახალგაზრდა რაინდად ექციეთ?

– თქვენ კი არ ისურვებდით, ფონ დანველდ? – ჰკითხა დე ლორშმა.

ეტყობოდა, ჯვაროსნის სული მოსუსხა შურმა და ჟინმა, მოუთმენელი მოძრაობით ცხენი ყალყზე შეაგდო და შესძახა:

– სულსა ვფიცავ!..

თუმცა მაშინვე გონს მოეგო, თავი დახარა და წარმოთქვა:

– მე ბერი გახლავართ და უბიწოების აღთქმა მაქვს დადებული - და მსწრაფლ თვალი ჰკიდა ლოტარინგიელ რაინდს, ღიმილი ხომ არ დასთამაშებსო. რაც შეეხება უბიწოებას, ორდენს დიდად ძრახავდნენ, ყველაზე მეტად კი ჰუგო ფონ დანველდს იხსენიებდნენ. რამდენიმე წლის უკან სამბიის მმართველის თანაშემწედ მსახურობდა და იმდენი საჩივარი შემოდიოდა მასზე, თუმცა მალბორგში მსგავს ამბებს დიდად არაფრად დაგიდევდნენ, მაინც იძულებული გახდნენ, შჩიტნოს დაცვის უფროსად გადმოეყვანათ. ახლა, მთავრის კარზე საიდუმლო დავალებით ჩამობრძანებული, ერთის ნახვით ვნებით აღენთო იურანდის მშვენიერი ქალწულისადმი; დანუსიას სიყმაწვილეს დიდად არ შეუშლია ხელი, რადგან იმ ხანებში უფრო ადრე ასაკშიც თხოვდებოდნენ. მაგრამ დანველდმა იცოდა, ვისი შვილიც იყო ეს ყმაწვილი ქალი, ხოლო იურანდის სახელთან მას უსაშინლესი მოგონებები აკავშირებდა, ასე, რომ ეს ჟინი და ვნება უფრო ველური სიძულვილით გასჩენოდა.

სწორედ ამ დროს დე ლორშმა ისეთი კითხვა მისცა, რომ საშინელი მოგონებები აუშალა:

– თქვენ, ბატონო ფონ დანველდ, იმ ქალიშვილს ეშმაკის ასული უწოდეთ. რატომ მოიხსენიეთ ასე?

დანველდმა ზლოტორიის ამბები უამბო: ციხის აღდგენის დროს როგორ მოხერხებულად ჩაიგდეს ხელში მთავარი თავისი ამალიანად და როგორ დაიღუპა ამ დროს დანუსიას დედა, რისთვისაც იურანდი უმოწყალოდ იძიებდა შურს ჯვაროსან რაინდებზე. დანველდი მძულვარებით ლაპარაკობდა და საამისო მიზეზიც ჰქონდა. ორი წლის წინ ის თვითონ შეხვდა იურანდს; მაგრამ როგორც კი თვალი ჰკიდა საზარელ „სპიხოველ რაინდს“, თავის სიცოცხლეში პირველად განიცადა უდიდესი შიშის გრძნობა, მიატოვა ორი ნათესავი, მსახურები, ნადავლი და მთელი დღე შლეგიანივით მიაჭენებდა შჩიტნოსაკენ, მერე ამ გადატანილი მღელვარების გამო კარგა ხანს ლოგინს მიაჯაჭვა. როცა მოიკეთა, ორდენის დიდმა მარშალმა ის რაინდულ სასამართლოს გადასცა; დანცელდმა ჯვარზე დაიფიცა, ცხენმა გამომიტაცაო ბრძოლის ველიდან, და სასამართლომაც უდანაშაულოდ სცნო, თუმცა განაჩენის მიხედვით, მისთვის იმ დღიდან სამუდამოდ დაიხშო მა-

ღალი თანამდებობის კარი. ამ ამბებზე ჯვაროსანს ამჯერად კრინტი არ დაუძრავს, მაგრამ იურანდის ულმობლობა და მთელი პოლონელი ხალხის უტიფრობა ისე დაასურათა, რომ ლოტარინგიელი რაინდი თავის ყურებს არ უჯერებდა:

– კი მაგრამ, ჩვენ ხომ ახლა სტუმრად მაზურებთან ვართ და არა პოლონელებთან? – თქვა მან ბოლოს.

– ეს ცალკე სამთავროა, მაგრამ ხალხი მაინც ერთია, – განუმარტა კომტურმა, – ყველანი ერთნაირად გათახსირებულები არიან და ერთნაირად არ უყვართ ორდენი. ნეტა ღმერთმა შეაძლებინოს გერმანელებს და მახვილით ამოაწყვეტინოს მთელი ამათი მოდგმა.

– თქვენ მართალი ბრძანდებით, ბატონო ფონ დანველდ: თუ ეს მთავარი, ერთი შეხედვით ასეთი საპატიო კაცი რომ ჩანს, გაბედავს და თქვენსავე სამფლობელოში თქვენს წინააღმდეგ ციხესიმაგრეების აშენებას დაიწყებს, ეს ისეთი უკანონობაა, რომლის მსგავსი სარკინოზებშიც არ გაგონილა.

– ციხესიმაგრე კი ჩვენს წინააღმდეგ ააშენეს, მაგრამ ზლოტორია მისი სამფლობელოა და არა ჩვენი.

– მაშინ მადლობა იესო ქრისტეს, რომ გაგამარჯვებინათ. როგორღა დამთავრდა ეს ომი?

– არა, მაშინ ომი არ ყოფილა.

– მაშ თქვენი გამარჯვება ზლოტორიასთან?

– ღმერთმა ამაშიც ხელი მოგვიმართა – მთავარს ჯარი არ ახლდა. მარტო კარისკაცებითა და ქალებით იყო ჩამოსული.

დე ლორშმა გაოცებით შეხედა ჯვაროსანს:

– მაშ როგორ გამოდის? თქვენ მშვიდობიან დროს დაესხით თავს ქალებსა და მთავარს, რომელიც ციხესიმაგრეს აშენებდა საკუთარ მიწაზე?

– ის, რაც ორდენისა და ქრისტეს სახელისათვის კეთდება, არ შეიძლება უპატიოსნობად მოინათლოს!

– მაშინ გამოდის, ის მრისხანე რაინდი შურს იძიებს ახალგაზრდა ცოლზე, რომელიც მშვიდობიან დროს მოუკლეს?

– ვინც ჯვაროსანზე ხელს აღმართავს, ის ბნელეთის მოციქულია!

ბატონი დე ლორში დააფიქრა ამის გაგონებამ, მაგრამ არაფერი უპასუხია, რადგან ამ დროს თოვლით დაფარულ მინდორზე გავიდნენ. მთავარი ცხენიდან ჩამოხტა. ყველამ მას მიბაძა.

VII

მშვილდებით სროლა რომ უფრო გაადვილებოდათ, გამოცდილმა მეტყევეებმა ბაზიერთუხუცესის მეთაურობით მონადირეები მინდვრის კიდეზე გრძელ მწკრივად ისე გაანაწილეს, რომ თვითონ მონადირეები მოფარებული ყოფილიყვნენ, წინ კი გადაშლილი სივრცე ჰქონოდათ. მინდვრის ორ მოკლე კიდეზე ხეებსა და ბუჩქებს ასმანაკები შემოახვიეს; ამათ უკან „მეასმანაკეები“ მიიმალნენ, რომელთაც მსროლელებისაკენ უნდა გაედენათ ნადირი, ხოლო თუ ყიჟინა არ დააფრთხობდათ და ასმანაკებში გაეხვეოდნენ, თვითონვე უნდა დაეხოცათ ოროლებით. გონივრულად ჩამწკრივებულ კურპებს ტყის სიღრმეებიდან ყველა სულიერი მინდვრისკენ უნდა გამოედენათ. მსროლელების მერე ისევ ბადეები გააბეს ვინიცობაა ნადირმა მათს რიგებს თავი დააღწიოს, იმ წვრილ ბადეებში მაინც დაჰხოცონო.

მთავარი მსროლელთა გრძელი რიგის შუაგულ იდგა ღარტაფში, რომელიც მთელ მინდორს შუაზე ჭრიდა. ბაზიერთუხუცესმა მროკოტა მოცაჟეველმა ეს ადგილი საგანგებოდ აარჩია, იცოდა, რომ სწორედ აქეთკენ წამოვიდოდა მარეკებისაგან მოდენილი ყველაზე მსხვილი ნადირი. მთავარს ხელთ შუბი ეპყრა, იქვე მის გვერდით მიყუდებული იყო მძიმე ოროლი და კიდევ ცოტა განზე ორი „მცველი“ იდგა, ტევრში ლაღად გაზრდილი ხეებივით ღონივრები. მხრებზე ჩუგლუგები მოეგდოთ და ხელთ სასროლად დაჭიმული კონდახიანი მშვილდები ეპყრათ, რომ საჭიროებისთა– ნავე მიერთმიათ მთავრისათვის. ქალბატონი და დანუსია ცხენიდან არ ჩამოსულან მთავარი ასე ბრძანებდა ხოლმე, რადგან გაშმაგებულ ხარს ან დომბას ცხენით უფრო ადვილად დააღწევდა თავს ადამიანი. დე ლორშს მთავარმა ხელმარჯვნივ შესთავაზა ადგილი, მაგრამ მან სთხოვა, ცხენზე ამხედრებული დავრჩები და მანდილოსნებს დავიცავო. დე ლორში ქალბატონის შორიახლოს დადგა ლურსმანივით წაგრძელებული რაინდული შუბით, რისთვისაც მაზურები ჩუმჩუმად დასცინოდნენ. მართლაცდა, აბა, რა გამოსადეგი იყო სანადიროდ ასეთი შუბი. სამაგიეროდ, ზბიშკომ თავისი ოროლი თოვლში ჩაასო, მშვილდი ზურგზე მოიგდო და დანუსიას ცხენის მახლობლად გაჩერდა. ხან ახედავდა ქალს და ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდა,

ხან ფეხებზე ეხვეოდა და მუხლებს უკოცნიდა, ოდნავადაც არ ერიდებოდა თავისი სიყვარულისა. ის მაშინღა მიწყნარდა როცა მროკოტა მოცაჟე

სავდა, ახლა მსროლელებს მიაშურებდა ხრუტუნ-ხრუტუნით. სულ უფრო ფრთხილად, მაგრამ სულ უფრო სწრაფად ახლოვდებოდა ეს ჯაჭვი, სანამ ბოლოს და ბოლოს არ გაიჩხაკუნებს კონდახიანი მშვილდების საკეტებმა, არ აზუზუნდნენ ისრები, სანამ პირველმა სისხლმა ალისფრად არ შეღება თოვლის თეთრი საფარი.

გაისმა ჭყვირილი, ღორები გაიფანტნენ, გეგონებოდათ, მეხი დაეცათო: ზოგი თავქუდმოგლეჯილი ეცა წინ, სხვები ბადეებს მიაწყდნენ, დანარჩენები თითო-თითოდ და ჯგუფ-ჯგუფად მინდორზე დატრიალდნენ, ტევრიდან ახლახან გამოსულ სხვა ნადირში აირივნენ. მონადირეებს უკვე გარკვევით ესმოდათ ბუკის ხმა, ძაღლების ყეფა და შორეული გუგუნ-ზრიალი – ეს მთავარი ლავა წიაღიდან ახლა აქეთ მოიწევდა, მდელობზე უკვე უამრავი სხვადასხვანაირი ნადირი ირეოდა. ამის მსგავსს ვერაფერს იხილავდით არამც თუ უცხოეთში, თვით პოლონეთის სხვა ადგილებშიც კი, სადაც მაზოვიისნაირი ტევრი არ იყო. მართალია, ჯვაროსნებს ლიტვაში ენახათ, დომბები, ხანდახან ლაშქარს რომ ესხმოდნენ და მის რიგებში არევ-დარევა შეჰქონდათ, მაგრამ ისინიც გაშტერებული შეჰყურებდნენ ნადირთა ამ მოზღვავებას. განსაკუთრებით აკვირვებდა სანახაობა ბატონ დე ლორშს. ის დიდხანს იდგა წეროსავით ქალბატონისა და სხვა მანდილოსანთა გვერდით მათ დასაცავად. ხმას ვერ იღებდა, რადგან მათი ენა არ იცოდა, და მოსწყინდა კიდეც, არც სიცივე აკლებდა ხელს ფოლადის ჯავშანში და გადაწყვიტა, ნადირობამ კარგად ვერ ჩაიარაო. ამ დროს თვალი შეავლო ფეხმარდი ჯეირნების, ღია ყვითელი ირმებისა და გვირგვინით თავდამძიმებული ცხენირმების მთელ ჯოგებს. ნადირი ერთად შეჯგუფულიყო და ველზე აქეთ-იქით აწყდებოდა, ზარდაცემულებს არაფრის დანახვის უნარი აღარ ჰქონდათ და ამაოდ ეძებდნენ ხაფანგიდან დასახსნელ გზას. ქალბატონს ამის დანახვაზე თავისი მამის კეისტუტის სისხლი აუდუღდა ძარღვებში, ისარს ისარზე აგზავნიდა ამ ჭრელი ხროვისაკენ და სიხარულით შეჰყვირებდა ხოლმე, როცა დაჭრილი ირემი ან დომბა, ერთი წუთის წინ რომ კუნტრუშ-კუნტრუშით მოდიოდა უცებ ყალყზე შედგებოდა, მძიმედ დაენარცხებოდა მიწაზე და ფეხებით თოვლის თხრას დაიწყებდა. დედოფლის ამალიდან მონადირეობის აზარტით შეპყრობილი ზოგიერთი ქალი ხშირ-ხშირად იხრებოდა თავისი კონდახიანი მშვილდისაკენ. ერთადერთი ზბიშკო იყო, რომელსაც აზრად არ მოსვლია ნადირობა – იდაყვებით დანუსიას მუხლებს დაყრდნობოდა, ნიკაპი ხელებზე ჩამოედო და თვალებში შეჰყურებდა, დანუსია კი შეცბუნებული ღიმილით უხუჭავდა ხელით თვალებს, გეგონებოდათ, მის მზერას ვეღარ უძლებსო.

ამ დროს დე ლორშის ყურადღება მიიპყრო ვეება დათვმა, ქეჩო და ბეჭები რომ შეჭაღარავებოდა და მოულოდნელად გამოტყვრა ლელქაშიდან მსროლელების შორიახლოს. მთავრის კონდახიანი მშვილდიდან გატყორცნილმა ისარმა ნადირი დაჭრა. მერე მთავარი ოროლით ეძგერა, და როცა მხეცი საზარელი ღრიალით უკანა თათებზე შედგა, ისე მარჯვედ გაურჭო მთელი სასახლის კარის თვალწინ, რომ არც ერთ მცველს არ დასჭირებია ნაჯახის ხმარება. ამის შემყურე ახალგაზრდა ლოტარინგიელმა რაინდმა იფიქრა, იმ ხელმწიფეთაგან, ვისაც აქეთ მომავალი ვესტუმრე, ბევრი ვერ გაბედავს ასე თავის გართობას და ამ ხალხთან, ერთი დროც იქნება, ჯვაროსნები თავს წააგებენო. მერე დე ლორშმა დაინახა სხვა მონადირეების დახოცილი ეშვებიანი ტახები, ეს უზარმაზარი გარეული ღორები გაცილებით უფრო შმაგნი და დიდები იყვნენ იმათთან შედარებით, რომლებზეც ქვემო ლოტარინგიისა და გერმანიის ტევრებში ნადირობდნენ. დე ლორშს თავის დღეში არ ენახა არც ასეთი მარჯვე და ღონიერი მონადირეები, არც ოროლის ასეთი დარტყმები. ეს ბევრის მნახველი კაცი ამას იმით ხსნიდა, უსიერი ტყეების მცხოვრებნი ბავშვობიდანვე სწავლობენ მშვილდოსნობასა და ოროლის ხმარებას და გაცილებით, გამოცდილები არიან, ვიდრე სხვა ხალხებიო.

მინდორი დახოცილი ნადირით მოიფინა, მაგრამ ნადირობის დასასრული ჯერ სად იყო. მალე უნდა დამდგარიყო ყველაზე საინტერესო და ამასთან ყველაზე საშიში წუთი: მარეკებმა კორდზე მოდენეს თხუთმეტამდე დომბა და ხარი. ტყეში ამათ თავი შორს უჭირავთ ხოლმე სხვა ნადირისაგან, ახლა კი აირივნენ. მაგრამ შიშს ისინი არ დაუბრმავებია და უფრო განრისხებული ჩანდნენ, ვიდრე შემკრთალნი. თავიანთ საშინელ ღონეში დარწმუნებულები, არცთუ ისე სწრაფად მოდიოდნენ, თითქოს იცოდნენ, არ არსებობს ზღუდე, რომელსაც ვერ გადავლახავთო. მიწა ირყეოდა მათ მძიმე ფლოქვებქვეშ. წინ თავდახრილი წვერიანი ხარები მოუძღოდნენ და დროდადრო ჩერდებოდნენ, თითქოს ფიქრობენ, საით შევუხვიოთო. მიწისქვეშა გრგვინვის მსგავსი ღმუილი ამოდიოდა მათი შემზარავი მკერდებიდან და ორთქლი იფრქვეოდა ნესტოებიდან. ეს ვეება ხარები ფლოქვებით თოვლს ტორავდნენ და თავს ხან ერთ მხარეს აბრუნებდნენ, ხან მეორე, თითქოს თავიანთი ჩასისხლიანებული თვალებით უჩინარ მტერს ეძებენო.

ამასობაში მეასმანაკეებმა ყურისწამღები ყვირილი ატეხეს, მათ ასობით მონადირემ მისცა ხმა მინდვრის ყოველი მხრიდან; ახმაურდნენ ბუკები და სტვირები. ტყე შეირყა და სწორედ იმ წუთს მინდორზე ყურისწამღები ყეფით გამოცვივდნენ კურპთა ძაღლები, რომლებიც ფეხდაფეხ მიჰყვე-

ბოდნენ ნადირს. გაცოფებული ძაღლებისაგან რომ თავი დაეღწია, ჯოგი, რომელიც აქამდე წყნარად იძვროდა წინ, წამში მოეფინა მთელ მინდორს. ერთი ვეება, დომბაზე გაცილებით უფრო დიდი უსაშინლესი ჭროღა ხარი მძიმე ნახტომებით გაემართა მშვილდოსნებისაკენ, მინდორზე მარჯვნივ შეუხვია და რამდენიმე ათეული მეტრის მანძილზე ხეებქვეშ ცხენები რომ დაინახა, შედგა და ღრიალით დაუწყო თოვლს ტორვა. გეგონებოდათ, ნახტომისა და ბრძოლისათვის ემზადებაო.

ამ სურათის დანახვაზე მეასმანაკეებმა კიდევ უფრო უმატეს ყვირილს, მშვილდოსნებში კი გაისმა შეშინებული ხმები, „ქალბატონი! ქალბატონი! იხსენით ქალბატონი!“ ზბიშკომ ხელი სტაცა თოვლში ჩარჭობილ ოროლს და ტყის ნაპირისაკენ გაექანა; მას მიჰყვა რამდენიმე ლიტველი, ყველანი მზად იყვნენ თავი დაედოთ, ოღონდაც კეისტუტის ქალიშვილი ეხსნათ; მაგრამ ამ დროს ქალბატონის ხელში მშვილდმა გაიჩხაკუნა, გაიზუზუნა ისარმა, გადაუარა ხარის დახრილ თავს და ქეჩოში ჩაერჭო.

– მოხვდა! – შესძახა ქალბატონმა, – ვეღარსად წაგვივა...

მაგრამ მისი სიტყვები ისეთმა საზარელმა ღრიალმა დაფარა, რომ ცხენებმა უკანა ფეხებზე ჩაიჩოქეს. ხარი გრიგალივით გაიჭრა პირდაპირ ქალბატონისაკენ; მაგრამ ხეებს იქიდან არანაკლები სისწრაფით გადმოუხტა ცხენზე ამხედრებული მამაცი ბატონი დე ლორში, დაიხარა, როგორც რაინდული ასპარეზობის დროს იციან ხოლმე, წინ გაიშვირა შუბი და ნადირს ეძგერა.

ყველა იქ მყოფი ხედავდა, როგორ ელვის უსწრაფესად ჩაასო მან შუბი ბეჭში ხარს, როგორ რკალივით მოიღუნა შუბი და წვრილ ნამსხვრევებად იქცა; მერე ვეება რქიანი თავი მთლიანად შეიმალა დე ლორშის ცხენის მუცელქვეშ და ცხენი მხედრიანად შევარდა ჰაერში შურდულიდან გასროლილი ქვასავით.

ცხენი გვერდზე დაენარცხა და სასიკვდილო კრუნჩხვები დაეწყო, ფეხები მუცლიდან გადმოცვენილ საკუთარ ნაწლავებში ეხლართებოდა, ბატონი დე ლორში კი იქვე ახლოს უძრავად იწვა, თოვლზე დაგდებულ რკინის სოლს დამსგავსებოდა. ერთი წამით ხარი ყოყმანობდა, თავი დავანებო ამათ და სხვა ცხენებს ვეცე, თუ აქ დავრჩეო; ბოლოს ისევ პირველ მსხვერპლს მიუბრუნდა და გულის ჯავრი საცოდავ ცხენზე ამოიყარა, რქებით დაუწყო ჯიჯგნა მის ისედაც უკვე გაფატრულ მუცელს.

უცხოელი რაინდის საშველად ტევრიდან ხალხი მოცვივდა. ზბიშკოს ქალბატონისა და დანუსიას დარდი ჰქონდა, მან პირველმა მოირბინა და

ბასრი ოროლი ჩასცხო ბეჭში ნადირს, მაგრამ ჭაბუკმა ვერ მოზომა და ისე მძლავრად მოიქნია, რომ როცა ხარი მოულოდნელად შემობრუნდა, ოროლი ხელში შემოატყდა, თვითონ კი თოვლში პირაღმა დაეცა. „დაიღუპა! დაიღუპა!“ – ყვირილით გაქანდნენ მისკენ მისაშველებლად მაზურები. ამასობაში ხარი შუბლით დააწვა ზბიშკოს და მიწას გააკრა. მთავრის ორთავე მცველი უკვე მორბოდა ზბიშკოსაკენ. მაგრამ ყველაფერი გვიან იქნებოდა, მათთვის რომ იაგენკას გამოგზავნილ ჩეხ ჰლავას არ დაესწრო. მან ყველაზე ადრე მოირბინა, შემართა უზარმაზარი ნაჯახი და ხარს დახრილ თავში რქებს ქვემოთ ჩასცხო.

დარტყმა ისეთი მძლავრი იყო, რომ ნადირი მეხდაცემულივით დაასკდა მიწას, ქედგადამტვრეული და თითქმის თავმოკვეთილი. მაგრამ დაცემის დროს ზბიშკო ქვეშ მოიყოლა. მთავრის მცველებმა სასწრაფოდ გადაათრიეს მხეცის უზარმაზარი სხეული. ამასობაში ქალბატონი და დანუსია ცხენებიდან ჩამომხტარიყვნენ და ამ საშინელებით ენაჩავარდნილები მიცვივდნენ დაჭრილ ჭაბუკთან.

მიტკალივით გაფითრებულმა, საკუთარ და ხარის სისხლში ამოსვრილმა ვაჟმა წამოდგომა სცადა, მაგრამ წაბარბაცდა, მუხლებში ჩაიჩოქა, ხელს დაეყრდნო და მხოლოდ ერთი სიტყვა წარმოთქვა:

– დანუსენკა!..

პირიდან სისხლი წასკდა და თვალთ დაუბნელდა. დანუსია მხრებში ამოუდგა, მაგრამ ვერ დაიკავა და საშველად ხალხს უხმო. ზბიშკოს შემოეხვივნენ, თოვლით დაუწყეს სრესა, პირში ღვინო ჩაასხეს. ბაზიერთუხუცესმა მროკოტა მოცაჟეველმა ბრძანა მოსასხამზე დაეწვინათ და სისხლი ტყის რბილი აბედით შეეჩერებინათ.

– თუ ხერხემალი მთელი აქვს და მხოლოდ ნეკნებია ჩამტვრეული, იცოცხლებს. – უთხრა მან ქალბატონს.

ამასობაში ამალის რამდენიმე ქალი და მონადირეები თავს დასტრიალებდნენ დე ლორშს, აქეთ-იქით აბრუნებდნენ, ეძებდნენ, ხომ არსად არის გახვრეტილი ან დაჭეჭყილი ჯავშანი ხარის რქებით. მაგრამ ჯავშნის ფირფიტებს შორის დარჩენილი თოვლის მეტი ვერაფერი იპოვეს. ხარს ბოღმა უმთავრესად ცხენზე გადმოენთხია, რომელიც იქვე გვერდით ეგდო მკვდარი, მუცლიდან ნაწლავებგადმოყრილი. თვითონ ბატონი დე ლორში დაჭრილი არ იყო. მხოლოდ გონება წართმეოდა დაცემისას და, როგორც მერე გამოირკვა, მარჯვენა ხელიც ამოეგდო. ჩაფხუტი რომ მოხადეს და პირში

ღვინო ჩაასხეს, მაშინვე გაახილა თვალი და გრძნობაზე მოვიდა. თავს დამდგარი ორი ლამაზი ყმაწვილი ქალი რომ დაინახა, გერმანულად თქვა:

– ნუთუ უკვე სამოთხეში ვარ და ანგელოზები დამტრიალებენ?

ქალებმა მისი ნათქვამი ვერ გაიგეს, მაგრამ გახარებულებმა, რომ გრძნობაზე მოვიდა და ხმა ამოიღო, გაუცინეს, მერე კი მონადირეების დახმარებით წამოაყენეს. რაინდმა მარჯვენა მკლავში ტკივილი იგრძნო, დაიკვნესა, მარცხენა ხელით ერთ-ერთი „ანგელოზის“ მხარს დაეყრდნო და წამით ვეღარ გაინძრა, ფეხი ერეოდა და ნაბიჯის გადადგმისა ეშინოდა. მერე დაბინდული თვალები მოავლო ბრძოლის ველს და დაინახა ხარის წითური სხეული, საოცრად ვეება რომ ჩანდა, დანუსია, რომელიც ზბიშკოს თავს დასდგომოდა და სიმწრით თითებს იმტვრევდა, და მოსასხამზე მისვენებული თვით ზბიშკო.

– ეს ის რაინდია, ჩემს დასახმარებლად რომ მოვიდა? – იკითხა დე ლორშმა, – ცოცხალია თუ არა?

– ძალზე დასახიჩრებულია, – უპასუხა მთავრის ერთერთმა მსახურმა, რომელმაც გერმანული იცოდა.

– დღეიდან მე მის დასაცავად ვიბრძოლებ და არა მის წინააღმდეგ! – შესძახა ლოტარინგიელმა რაინდმა.

ამ დროს მთავარი, ზბიშკოს რომ დასცქეროდა, დე ლორშთან მივიდა და ქება-დიდება შეასხა მამაცური საქციელისათვის, რითაც განსაცდელისგან და იქნებ სიკვდილისგანაც იხსნა ქალბატონი და დანარჩენი ქალები; ამისთვის მას რაინდული დასაჩუქრების გარდა დიდებაც ელის, როგორც მის გვერდით მცხოვრები ხალხისაგან, ისე შთამომავლობისაგან, „დროება გამოიცვალა, – თქვა მთავარმა, – ბევრი ჭეშმარიტი რაინდი აღარ დადის ამ ქვეყანაზე, დარჩით აქ, მაზოვიაში, დიდხანს, ან სულაც სამუდამოდ; ჩემი კურთხევა თქვენ უკვე მოიპოვეთ, ასევე ადვილად დაიმსახურებთ ხალხის სიყვარულსაც ბრწყინვალე გამარჯვებების წყალობით!“

გული შეუჩქროლა დიდებას დახარბებულ ბატონ დე ლორშს ამ სიტყვებმა; როცა დაფიქრდა, როგორი ბრწყინვალე რაინდული საქციელი ჩაიდინა, როგორი ქება დაიმსახურა ამ შორეული პოლონეთის მიწაზე, რომელზეც ამდენი საოცრება გაეგონა დასავლეთში, სიხარულმა ამოვარდნილი ხელის ტკივილიც დაავიწყდა. მას ესმოდა, რომ რაინდს, რომელიც შეძლებს ბრაბანტის ან ბურგუნდიის კარზე მოჰყვეს, როგორ გადაარჩინა სიკვდილს ნადირობის დროს მაზოვიის მთავრის მეუღლე, ისე მოეფინება დიდების შარავანდედი, როგორც მზის სინათლე. ეს აზრები რომ მოეძალა,

დააპირა მაშინვე ხლებოდა ქალბატონს, მუხლი მოეყარა მის წინაშე და ფიცი მიეცა სამუდამო სამსახურისა. მაგრამ ქალბატონი და დანუსია ისევ ზბიშკოს დასტრიალებდნენ. ჭაბუკი მხოლოდ რამდენიმე წამს მოეგო გონს, მხოლოდ დანუსიას შეხედა, უღონოდ გაუღიმა, ხელი გადაისვა ცივი ოფლით დაცვარულ შუბლზე და ისევ წაერთვა გონება.

გამოცდილმა მონადირეებმა შეხედეს, როგორ დამუშტა მან ხელები, როგორ დარჩა პირი ოდნავ გაღებული და ერთმანეთს გადაულაპარაკეს, ვეღარ გადარჩებაო. მაგრამ უფრო გამოცდილმა კურპებმა, რომელთაც უხვად აჩნდათ დათვის ტორების, ტახის ეშვებისა და ხარის რქების ნაკვალევი, ზბიშკოს გამოჯანმრთელების იმედი გამოთქვეს. ისინი ამტკიცებდნენ, ხარის რქამ ნეკნებშუა გაუარა, იქნებ რამდენიმე კიდევაც გადაუმტვრია, მაგრამ ხერხემალი მთელი აქვს, ასე რომ არ იყოს, რაინდი ერთი წამითაც ვერ წამოდგებოდაო ფეხზე. ისინი თოვლის დიდ ნამქერსაც უჩვენებდნენ იმ ადგილას, სადაც ზბიშკო ეგდო, და ამანაც იხსნაო, ამბობდნენ. რაკი ნამქერზე გააკრა, მკერდი და ხერხემალი ვეღარ გაუჭეჭყაო ნადირმა ჭაბუკს.

სამწუხაროდ, მთავრის ექიმი, ქსონძი ვიშონეკ ძევანელი სანადიროდ არ წამოსულა. სხვა დროს ყოველთვის ახლდა ხოლმე მთავარს, მაგრამ ამჯერად შინ აბების დასამზადებლად დარჩენილიყო. ჩეხმა ეს რომ გაიგო, მაშინვე მის მოსაყვანად წავიდა, ამასობაში კი კურპებმა მოსასხამზე დასვენებული ზბიშკო მთავრის სამონადირო სახლისაკენ წაიყვანეს. დანუსიას უნდოდა ფეხით ხლებოდა თან, მაგრამ ქალბატონმა ნება არ დართო – გზა შორი იყო, ტყის ორმოებში კი უკვე საკმაოდ ღრმა თოვლი იდო, თანაც უნდა ეჩქარათ. კომტური ჰუგო ფონ დანველდი ქალიშვილს ცხენზე შეჯდომაში მოეხმარა და გვერდით გაჰყვა. ზბიშკო წინ მიჰყავდა ხალხს. დანველდმა ხმას დაუწია, ისე რომ მხოლოდ დანუსიას გაეგონა, და პოლონურად უთხრა:

– შჩიტნოში არაჩვეულებრივი მალამო მაქვს, სასწაულებრივი, – ერთმა განდეგილმა მაჩუქა ჰერცის ტყეში. სამ დღეში შემიძლია გამოგიგზავნოთ.

– ღმერთი გადაგიხდით სამაგიეროს! – უპასუხა დანუსიამ,

– ღმერთს ჩაწერილი აქვს ყველა კეთილი საქმე, მაგრამ მე მინდა იმედი ვიქონიო, რომ თქვენგან მივიღებ საზღაურს.

– მე რითი შემიძლია დაგაჯილდოვოთ?

ჯვაროსანი კიდევ უფრო მიუახლოვდა, ეტყობოდა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ შეყოყმანდა, წამით შეჩერდა და მერე უთხრა:

– ჩვენს ორდენში მარტო ბერები კი არა, მონაზვნებიც არიან... ერთი მათგანი ჩამოგიტანთ მალამოს და მაშინ გეტყვით, რითი უნდა დამასაჩუქროთ.

VIII

ქსონძმა ვიშონეკმა შეუხვია ზბიშკოს ჭრილობები და თქვა, მხოლოდ ერთი ნეკნი აქვს გატეხილი; მაგრამ პირველ დღეს მაინც უიმედოდ იყო, რადგან ჯერ არ იცოდა, „რამე ხომ არ გადაუბრუნდა მკერდქვეშ, ან ღვიძლი ხომ არ მოსწყდა“. საღამო ხანს ბატონი დე ლორშიც შეუძლოდ შეიქნა და იძულებული გახდა დაწოლილიყო; მეორე დღეს კი ისე ამტვრევდა მთელი ძვლები, ვერც ხელს ანძრევდა და ვერც ფეხს. ქალბატონი და დანუსია ამალის სხვა ქალებთან ერთად ავადმყოფებს უვლიდნენ და ქსონძი ვიშონეკის დანიშნულ წამლებსა და მალამოებს ხარშავდნენ. ზბიშკო მძიმედ იყო დასახიჩრებული და დროდადრო სისხლს იღებდა, რაც ქსონძს ძალიან აშინებდა. მაგრამ ჭაბუკი სრულ გონებაზე იყო და როცა მეორე დღეს დანუსიასაგან შეიტყო, ვისგან იყო დავალებული სიცოცხლით, თავისი ჩეხი მოიხმო, რათა მადლიერების სიტყვები ეთქვა და დაესაჩუქრებინა. ვაჟმა გაიფიქრა, ჩეხი იაგენკამ მაჩუქა და თუ არა მისი კეთილი, გული, სიკვდილს ვერაფრით გადავურჩებოდიო. ეს ფიქრი სულს უმძიმებდა ზბიშკოს. გრძნობდა, რომ ვერასოდეს გადაუხდიდა სიკეთეს სიკეთით სათნო ქალიშვილს და მისთვის დღემუდამ მხოლოდ წამებისა და გაუქარვებელი ნაღველის მიზეზი უნდა ყოფილიყო. თუმცა თავისთვის მაშინვე გაიფიქრა: „რა უნდა ვქნა, ორად ხომ ვერ გავიგლიჯებიო“ – და მაინც სადღაც გულის კუნჭულში სინდისი ქეჯნიდა. ჩეხმა კი ცეცხლზე ნავთი გადაუსხა:

– მე, – უთხრა მან, – რაინდული ფიცით შევფიცე ჩემს ქალბატონს თქვენი დაცვა და ბოლომდე ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე გავაკეთებ ამას. თქვენს გადარჩენას მე კი არა, იმას უნდა უმადლოდეთ.

ზბიშკოს აღარაფერი უთქვამს, მხოლოდ სუნთქვა დაუმძიმდა, ჩეხმა კი წამით იყუჩა და მერე დაუმატა:

– თუ მიბრძანებთ, ბოგდანეცში გეახლებით. მოხუცი პა– ნის ნახვას ხომ არ ინებებდით, თორემ უფალმა უწყის, რა მოგელით.

– ქსონძი ვიშონეკი რას ამბობს?

– ქსონძი ვიშონეკი ამბობს, ყველაფერი ახალ მთვარეზე გაირკვევაო. ახალი მთვარე კი ოთხი დღის მერე გამოჩნდება.

– მაშინ რაღა აზრი აქვს ბოგდანეცში წასვლას. სანამ ბიძაჩემი აქ ჩამოვიდოდეს, მე ან უკვე მკვდარი ვიქნები, ან გამობრუნებული.

– წერილი მაინც მიგეწერათ ბოგდანეცში. სანდერუსი ყველაფერს კოხტად ჩამოგიწიკწიკებთ. თქვენს ამბავს გაიგებენ და წირვას შეუკვეთავენ.

– მომეშვი, სანამ ასე შეუძლოდა ვარ. თუ მოვკვდი, ხომ დაბრუნდები ზგოჟელიცში და თვითონ მოუყვები ყველაფერს, წირვასაც მაშინ შეუკვეთავთ და ის იქნება. მე კი აქ დამმარხეთ ან ცეხანოვში.

– არა, მაინც ცეხანოვში ან პშასნიშში სჯობს, თორემ აქ, ამ ტევრში, მხოლოდ კურპები მარხავენ თავის მკვდრებს და საფლავებს მგლებიღა დაჰყმუიან. მსახურებში ყური მოვკარი, მთავარი თავისი ამალით ორ დღეში მიდის აქედან ცეხანოვში და მერე ვარშავაში ბრუნდებაო.

– მე უპატრონოდ არ დამაგდებენ, – უთხრა ზბიშკომ.

ზბიშკო მართალი იყო. იმავე დღეს ქალბატონმა სთხოვა მთავარს, სამონადირო სახლში დანუსიასთან, მხლებლებთან და ქსონძ ვიშონეკთან ერთად დავრჩები, რადგან ქსონძი ამბობს ზბიშკოს ადგილიდან დაძვრა და პშასნიშში გადაყვანა ჯერ არ შეიძლებაო. ბატონი დე ლორში ორ დღეში გამომჯობინდა და ლოგინიდან წამოდგომაც შეძლო. როცა გაიგო, „ქალბატონები“ რჩებიანო, თვითონაც დარჩა, რათა უკან დაბრუნებისას თან ხლებოდა და სარკინოზების თავდასხმისაგან დაეცვა. საიდან უნდა გაჩენილიყვნენ აქ სარკინოზები, ამაზე მამაცი ლოტარინგიელი რაინდი არც კი დაფიქრებულა. მართალია, შორს დასავლეთში ასე ეძახდნენ ლიტველებს, მაგრამ ამათგან აბა რა ხიფათი შეიძლებოდა შეხვედროდა კეისტუტის ქალიშვილს, ვიტოლდის ღვიძლ დასა და „კრაკოვის ძლიერი ხელმწიფის“ იაგელოს ბიძაშვილს. მაგრამ დე ლორში ძალიან დიდხანს ცხოვრობდა ჯვაროსნებში და, მიუხედავად იმისა, რომ მაზოვიაში ლიტვის გაქრისტიანების ამბებიც გაიგო და ერთი მეუფის თავზე დადგმული ორი გვირგვინისაც, მაინც ვერა და ვერ მოიშორა ის აზრი, რომ ლიტველებისაგან ადამიანი მხოლოდ ავს უნდა მოელოდეს. ასე ამტკიცებდნენ ჯვაროსნები და მას ჯერ არ დაეკარგა რწმენა მათი სიტყვებისა.

ამასობაში მოხდა ისეთი ამბავი, რაც შავი ჩრდილივით გაწვა მთავარ იანუშსა და მის სტუმარ ჯვაროსნებს შორის. მთავრის გამგზავრების წინა დღეს მას სამონადირო სახლში ეწვია ორი ბერი – გოტფრიდი და როტგერი, რომლებიც ცეხანოვში დარჩნენ, და მათთან ერთად ჯვაროსნებისათვის

უსიამოვნო ამბის ჩამომტანი ვინმე ბატონი დე ფურსი. როგორც გამოირკვა, თურმე ბატონი დე ფურსი და ბატონები დე ბერგოვი და მაინეგერი, ორთავენი ორდენის ერთგული გვარის შთამომავალნი, ლუბავის კომტურთან სტუმრობდნენ. იქ ბევრი რამ გაიგონეს იურანდ სპიხოველზე და იმის მაგივრად, რომ მორიდებოდნენ სახელგანთქმულ მეომარს, ადგნენ და გადაწყვიტეს, მინდორში გამოეტყუებინათ და თავისი თვალით ენახათ, მართლა ისეთი საშიში იყო, როგორც ჰყვებოდნენ, თუ არა. კომტური თავდაპირველად არ თანხმდებოდა და მიზეზად ორდენსა და მაზოვიის სამთავროს შორის მშვიდობას ასახელებდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მრისხანე მეზობლისაგან თავის დაღწევის იმედით არა მარტო დათანხმდა უბრალო მოწმე ყოფილიყო ამისა, არამედ თავისი შეიარაღებული კნეხტებიც მისცა დასახმარებლად. რაინდებმა გამოწვევა გაუგზავნეს იურანდს, რომელმაც მყისვე მიიღო ის, მხოლოდ ერთი პირობით, რომ ისინი თავის ხალხს უკან გაუშვებდნენ და მხოლოდ სამნი შეებრძოლებოდნენ მასა და მის ორ ამხანაგს, ზედ პრუსიისა და სპიხოვის საზღვარზე. რაინდებმა არ ისურვეს კნეხტების გაბრუნება და სპიხოვის სამფლობელოდან გასვლა; მაშინ იურანდი თავს დაესხა მათ, დაუხოცა კნეხტები, შუბით მძიმედ დაჭრა და სიცოცხლეს გამოასალმა ბატონი მაინეგერი, ბატონი დე ბერგოვი კი შეიპყრო და სპიხოვის ჯურღმულში ჩააგდო. გადარჩა მხოლოდ ბატონი დე ფურსი; მან სამი დღე იხეტიალა მაზოვიის ტყეებში, სანამ ფისის მხდელებისაგან არ გაიგო, რომ ცეხანოვში სტუმრად იყვნენ ჯვაროსნები და არ გააღწია მათთან, რათა ერთად მიერთმიათ დიდებული მთავრისათვის საჩივარი, ეთხოვათ დამნაშავის დასჯა და ბატონი დე ბერგოვის ტყვეობიდან დახსნა.

ამ ამბის გაგონება და მთავარსა და მის სტუმრებს შორის ურთიერთობის გაფუჭება ერთი იყო, მარტო ახლახან ჩამოსულმა ბერებმა კი არა, ჰუგო ფონ დანველდმა და ზიგფრიდ დე ლიოვემაც დაჟინებით მოითხოვეს მთავრისაგან ერთხელ და სამუდამოდ დაეკმაყოფილებინა ორდენის სურვილი – მოეშორებინა საზღვრიდან ეს მტაცებელი და დაესაჯა ყველა იმ დანაშაულებათა გამო, რაც ორდენის წინაშე მიუძღოდა. განსაკუთრებული დაჟინებით მოითხოვდა ამას ჰუგო ფონ დანველდი. თითქმის ემუქრებოდა მთავარს, რადგან იურანდთან ძველი ანგარიშები ჰქონდა, რომელთა გახსენებაც ტკივილებს აყენებდა და სირცხვილით სწვავდა.

– საჩივარს დიდ მაგისტრთან გავგზავნით, – ამბობდა ის, - და თუ ჩვენ, დიდებულო მთავარო, თქვენთან სამართალს ვერ ვპოვებთ, მაშინ მაგისტრი თვითონ გაუსწორდება იმ ყაჩაღს, თუნდაც მთელი მაზოვია აღდგეს მის დასაცავად.

ბუნებით კეთილი მთავარი ამაზე ერთბაშად აენთო და რისხვით უთხრა:

– ნეტა რა სამართალს თხოულობთ ჩემგან? იურანდი რომ პირველი დაგსხმოდათ, გადაეწვა თქვენი სოფლები, წაერთმია საქონელი, დაეხოცა ხალხი, მე მას სამართალში მივცემდი და დავსჯიდი. მაგრამ იმას ხომ თქვენები თვითონ დაესხნენ, თქვენმა კომტურმა ნება დართო წაეყვანათ კნეხტები – და იურანდს რაღა დარჩენოდა? მან მიიღო გამოწვევა და გთხოვათ ხალხი უკან გაგეგზავნათ. განა ამისათვის შემიძლია დავსაჯო ან სამართალში მივცე? თქვენ შეეხეთ მრისხანე ადამიანს, რომლის წინაშე ყველა ქედს იხრის, და საკუთარი სურვილით ჩაცვივდით ამ დღეში, - ახლა რაღა გნებავთ? ნუთუ ავდგე და ვუბრძანო, არ გაბედო და თავი არ დაიცვა, როცა ჯვაროსნებს შენზე თავდასხმა მოესურვებათ-მეთქი?

– თავდასხმა ორდენს კი არ მოუწყვია, უცხოელმა რაინდებმა ისურვეს, – შეედავა ჰუგო.

– ორდენი პასუხს აგებს თავის სტუმრებზე. ამას გარდა, ამ სტუმრებს ლიუბავის დაცვის კნეხტებიც ახლდნენ.

– რა უნდა ექნა კომტურს, იურანდის ხელში ჩაეგდო ხალხი დასახოცად?

– არა, ერთი ამას დამიხედეთ! – შესძახა მთავარმა და ზიგფრიდს მიუბრუნდა, – როგორ უკუღმა ტრიალდება სამართლიანობა თქვენს ბაგეებზე! ნუთუ იმასაც აღარ ფიქრობთ, რომ ეს თქვენი ფანდები მამაღმერთს შეურაცხყოფს?

მაგრამ მრისხანე ზიგფრიდი შეედავა:

– ბატონი დე ბერგოვი უნდა განთავისუფლდეს, რადგან მისი წინაპრები ორდენის მხედართმთავრები იყვნენ და დიდი სამსახური გაუწიეს მას.

– მაინეგერის სიკვდილი კი უნდა იზღოს, – დაუმატა ჰუგო ფონ დანველდმა.

ამ სიტყვებზე მთავარმა თმა ყურებზე გადაიწია, სკამიდან წამოდგა და მრისხანედ გადააბიჯა ჯვაროსნებისაკენ. მაგრამ წამში შეიკავა თავი, გაიხსენა, რომ ეს ხალხი მისი სტუმრები იყვნენ, ზიგფრიდს მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

– ყური მიგდეთ, კომტურო. თქვენ ლაბადაზე ჯვარი გიკერიათ, მაშ გთხოვთ გულახდილად მითხრათ, მართალი იყო თუ არა იურანდი?

– ბატონი დე ბერგოვი უნდა განთავისუფლდეს, – უპასუხა ზიგფრიდ დე ლიოვემ.

ერთ წამს სიჩუმე ჩამოვარდა, მერე მთავარმა შესძახა:

– ღმერთო, მომეცი მოთმინება!

ზიგფრიდი კი განაგრძობდა ისეთი უკმეხი ხმით, ხმლის ჩხაკუნს რომ მოგაგონებდათ.

– ჩვენი სტუმრების შეურაცხყოფა ჩვენი შეურაცხყოფაა და ეს ახალი მიზეზი გახლავთ ჩივილისათვის. ორდენის დაარსების დღიდან არც პალესტინაში, არც ტრანსილვანიაში, არც ლიტვაში, რომელიც დღემდე წარმართი იყო, არც ერთ ადამიანს არ მოუყენებია ჩვენთვის ამდენი ზიანი, რამდენიც ამ სპიხოველმა ყაჩაღმა მოგვაყენა. დიდებულო მთავარო! ჩვენ მოგიწოდებთ სამართლიანობისაკენ და მოვითხოვთ დასჯას არა მხოლოდ ერთი, არამედ ათასი წყენისათვის, არა ერთი, არამედ ათასობით ბრძოლისათვის, არა ერთხელ დაღვრილი სისხლისათვის, არამედ წლების განმავლობაში ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის, რომლის გამოც ღვთიურ ცეცხლს ფერფლად უნდა ექცია ეს ბოროტებისა და გულქვაობის უღმერთო ბუდე. ვისი კვნესა აღევლინება ღმერთისაკენ შურის საძიებლად? – ჩვენი! ვისი ცრემლები დის ღვარად? – ჩვენი! ამაო იყო ჩვენი ჩივილი, ამაო იყო სამართლიანობისაკენ მოწოდება. არასოდეს თქვენ ეს ყურად არ გიღიათ!

ამ სიტყვებზე მთავარმა თავი გაიქნია და თქვა:

– ეჰ, უწინ ჯვაროსნები სტუმრადაც დადიოდნენ სპიხოვში, მაშინ არ გმტრობდათ იურანდი, სანამ საყვარელი ცოლი არ გამოესალმა ამ ქვეყანას თქვენს თოკზე გამობმული. რამდენჯერ თვითონვე დაესხით თავს, როგორც ახლა, გინდოდათ მოგესპოთ მისთვის სიცოცხლე იმის გამო, რომ თქვენს რაინდებს ორთაბრძოლაში იწვევდა და ყოველთვის სჯობნიდა მათ? მკვლელები რამდენჯერ მიუგზავნეთ, ტყეში შურდულიც გისვრიათ. მართალია, ხანდახან თავს დაგესხმოდათ ხოლმე, მაგრამ ის მხოლოდ შურს იძიებდა. განა თქვენ და თქვენს სამფლობელოებში მცხოვრები რაინდები კი არ დასხმიხართ თავს მაზოვიის მშვიდობიან ხალხს, არ წაგირთმევიათ საქონელი, არ გადაგიწვავთ მათი სოფლები, არ დაგიხოციათ მამაკაცები, ქალები და ბავშვები? მაგისტრთან რომ ვიჩივლებდი, მალბორგიდან მპასუხობდა ხოლმე: „ეს ჩვეულებრივი თვითნებობაა საზღვარზე“. თავი დამანებეთ! თქვენ საჩივლელი არაფერი გაქვთ, რადგან მე თვითონ შემიპყარით მშვიდობიან დროს ჩემს საკუთარ მიწა-წყალზე უიარაღო და, კრაკოვის მეფის რისხვისა რომ არ შეგშინებოდათ, ალბათ დღესაც თქვენს ჯურ-

ღმულებში ვიკვნესებდი. ასე გადამიხადეთ სამაგიერო, თუმცა მე თქვენი მოკეთეების შთამომავლობას ვეკუთვნი. დამანებეთ თავი! ვინ ვინ და თქვენ მაინც ვერ მასწავლით სამართლიანობას!

ამ სიტყვებზე ჯვაროსნებმა ჯავრიანად გადახედეს ერთმანეთს, – შერცხვათ და არ ესიამოვნათ, რომ ბატონ დე ფურსის თანდასწრებით იხსენიებდა მთავარი ზლატორიასთან მომხდარ ამბებს; ბოლოს ჰუგო ფონ დანველდმა მოინდომა ამ საუბრის შეწყვეტა და თქვა:

– თქვენთან დაკავშირებით, დიდებულო მთავარო, შეცდომა მოხდა და ეს შეცდომა ჩვენ კრაკოვის მეფის შიშით კი არა, სამართლიანობის გამო გამოვასწორეთ; რაც შეეხება საზღვრისპირა თვითნებობას, ჩვენს მაგისტრს მაგის პასუხისმგებლობას ვერ დააკისრებთ, რადგან, ამქვეყნად რამდენიც სამეფო არსებობს, შფოთისთავები ყველგან თვითნებობენ საზღვარზე.

– ხომ ხედავ, თვითონ ამას ამბობ, და იურანდი სამართალში მივცეთო, თხოულობ. რა გინდათ? ვეღარ გამიგია.

– სამართლიანობა და სამაგიეროს გადახდა.

მთავარმა გამხდარი ხელები დამუშტა და გაიმეორა:

– ღმერთო, მომეც მოთმინება!

– დიდებულო მთავარო, თქვენ იქნებ ისიც გაგხსენებოდათ, – განაგრძობდა დანველდი, – რომ ჩვენი თავნება ხალხი მხოლოდ ერისკაცებს აწყენინებს, თანაც იმათ, ვინც გერმანელთა ტომს არ ეკუთვნის, თქვენები კი ხელს აღმართავენ გერმანელთა ორდენზე და ამით შეურაცხყოფენ თვით მაცხოვარს. მერე როგორი ტანჯვა და წამება მოელის მას, მაცხოვრის ჯვარს აუგად ვინც მოიხსენიებს?

– ყური მიგდე! – უთხრა მთავარმა, – შენ გირჩევნია ღვთის სახელით ბრძოლას თავი დაანებო, ღმერთს როგორღა მოატყუებ!

მერე ჯვაროსანს მხრებში ხელი ჩაავლო და ისე შეანჯღრია, რომ ის, ცოტა არ იყოს, დაფრთხა და შედარებით ტკბილად ალაპარაკდა:

– თუ ჩვენი სტუმრები მართლაც თვითონ დაესხნენ იურანდს, ამას მე ვერ მოვუწონებ; მაგრამ ვინ იცის, იურანდმა მართლა მიიღო თუ არა გამოწვევა?

დანველდმა ამ დროს ჩუმად თვალი ჩაუკრა ბატონ დე ფურსის, ამითი თითქოს ანიშნებდა, უარი თქვი, რომ ეს ასე იყოო. მაგრამ დე ფურსის, ჩანს, არ შეეძლო, ან არ სურდა ამისი გაკეთება და თქვა:

– მას უნდოდა კნეხტები უკან გაგვებრუნებინა და თვითონ და მის ორ ამხანაგს შევბრძოლებოდით.

– თქვენ დარწმუნებული ხართ ამაში?

– სინდისს ვფიცავარ! მე და ბერგოვი დავთანხმდით, მაინეგერი კი ვერ დავიყოლიეთ.

ამ დროს მთავარმა შეაწყვეტინა:

– შჩიტნოს კომტურო, თქვენ სხვებზე უკეთ იცით, რომ იურანდს უარი არ უთქვამს გამოწვევაზე.

მერე ის სხვებს მიუბრუნდა:

– თუ რომელიმე თქვენგანი მოისურვებს იურანდის ბრძოლაში გამოწ-ვევას, ცხენით იქნება ეს თუ ქვეითად, მე წინააღმდეგობას არ გაგიწევთ; თუ იურანდი მოკვდება ან ტყვედ ჩავარდება, მაშინ ბატონ ბერგოვს უსასყიდ-ლოდ გავათავისუფლებ. ამის მეტს ნურაფერს მთხოვთ, სულ ერთია, არა-ფერი გამოგივათ.

ამ სიტყვების მერე სიჩუმე ჩამოვარდა. გულადები იყვნენ ჰუგო ფონ დანველდი, ზიგფრიდ დე ლიოვე, ბერი როტგერი და ბერი გოტფრიდი, მაგ-რამ ყველანი შესანიშნავად იცნობდნენ მრისხანე სპიხოველ მხედართმთა-ვარს და ვერც ერთი ვერ გაბედავდა სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმას. ამის გაბედვა მხოლოდ შორი ქვეყნიდან ჩამოსულ უცხოელს შეეძლო, მაგალი-თად, დე ლორშს ან დე ფურსის, მაგრამ დე ლორში ამ საუბარს არ შესწრე-ბია, ხოლო დე ფურსის ჯერაც არ გამონელებოდა შიშის ზარი.

– ერთხელ უკვე მყავს ნანახი, – ჩაიბურტყუნა მან, – და მეტად აღარ მინ-და.

– ბერებს ორთაბრძოლა საძრახისად ეთვლებათ, – თქვა მაშინ ზიგ-ფრიდ დე ლიოვემ, – თუ მაგისტრის ან დიდი მარშლის განსაკუთრებული ნებართვა არ ექნებათ, მაგრამ ჩვენ ბრძოლის ნებართვას კი არ ვთხოუ-ლობთ, ჩვენ მოვითხოვთ დე ბერგოვის განთავისუფლებას და იურანდის სიკვდილით დასჯას.

– ჩვენი ქვეყნის კანონებს თქვენ ვერ დაადგენთ.

– დღემდე ჩვენ ვითმენდით აუტანელ მეზობლებს, მაგრამ მაგისტრი შეძლებს დამსახურებისამებრ მიუზღოს მათ.

– მაზოვიამდე ხელი ვერ მიგიწვდებათ ვერც თქვენ და ვერც თქვენს მა-გისტრს.

– მაგისტრს გერმანელები და რომის იმპერატორი ემხრობიან.

– მე კი პოლონეთის ხელმწიფე მემხრობა, მას გაცილებით მეტი მიწა აქვს და ხალხიც მეტი ჰყავს.

– განა, თქვენ, დიდებულო მთავარო, ორდენთან ომი გსურთ?

– მე რომ ომი მდომებოდა, მაშინ მაზოვიაში არ დაგელოდებოდით და პირველი დაგესხმოდით თავს; მაგრამ ნურც შენ მემუქრები, მე შენი არ მეშინია.

– რა მოვახსენოთ მაგისტრს?

– თქვენს მაგისტრს ჩემთვის არაფერი უკითხავს, რაც მოგესურვებათ, ის უთხარით.

– მაშინ ჩვენ თვითონ ვიძიებთ შურს და დავსჯით მას. მთავარმა იანუშმა ხელი გაიშვირა და ზედ ცხვირთან დაუტრიალა ჯვაროსანს თითი.

– მიფრთხილდი! – უთხრა მან ყრუდ. – მიფრთხილდი! მე ნება დაგრთე იურანდი ორთაბრძოლაში გამოგეწვია, მაგრამ თუ შენ ორდენის ჯარებით ჩემს ქვეყანაში შემოიჭრები, იცოდე, არ დაგზოგავ და მაშინ სტუმრად კი არა, ტყვედ დარჩები აქ.

ჩანს, მთავარს მოთმინების ფიალა აევსო, ქუდი მაგიდას დაანარცხა, კარი გაიჯახუნა და ოთახიდან გავიდა.

ჯვაროსნები რისხვისაგან გადაფითრდნენ. ბატონი დე ფურსი გონდაკარგული შესცქეროდა მათ.

– რა მოჰყვება ამას? – პირველმა იკითხა ბერმა როტგერმა.

ჰუგო ფონ დანველდი კინაღამ მუშტებით ეცა ბატონდე ფურსის:

– რა გალაპარაკებდა, ჩვენ პირველი დავესხითო თავს?

– განა ასე არ იყო?

– ტყუილი უნდა გეთქვა!

– მე აქ საბრძოლველად ჩამოვედი და არა ტყუილების სალაპარაკოდ.

– არაფერი გეთქმის, დიდებულად იბრძოდი!

– შენ რაღა გეთქმის ნეტავი, იურანდისაგან შჩიტნომდე უკანმოუხედავად მირბოდი.

– Pax! – თქვა ლიოვემ, – ეს რაინდი ორდენის სტუმარია, ნუ წაეკიდებით ერთმანეთს.

– ბოლოს და ბოლოს სულ ერთი არ არის, – ჩაერია ბერი გოტფრიდი. – იურანდს გასამართლების გარეშე არავინ დასჯიდა, სასამართლოზე კი ყველაფერი გამოაშკარავდებოდა.

– ახლა რა მოხდება? – თქვა ისევ ბერმა როტგერმა.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა, მერე კი ალაპარაკდა მკაცრი და შეუვალი ზიგფრიდ დე ლიოვე.

– ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოს ის სისხლისმსმელი ძაღლი! – თქვა მან. – დე ბერგოვი უნდა განთავისუფლდეს. ჩვენ თავს მოვუყრით კნეხტებს შჩიტნოდან, ლიუბავადან, ინსბურკიდან, გამოვიყვანთ ხელმელ შლიახტიჩებს და ისე დავცხებთ იურანდს... დროა, ბოლო მოეღოს მასთან ლოლიაობას!

მაგრამ ვერაგმა დანცელდმა ყველაფრის აწონ-დაწონა იცოდა, ამიტომ, სანამ გადამწყვეტ ნაბიჯს გადადგამდა, ხელები თავზე შემოიწყო, წარბი შეჰყარა, დაფიქრდა და მერე თქვა:

– მაგისტრის ნებართვის გარეშე შეუძლებელია.

– თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა, მაგისტრი მადლობის მეტს არაფერს გვეტყვის! – თქვა ბერმა გოტფრიდმა.

– თუ არ დამთავრდა? მთავარმა რომ თავისი მშვილდოსნები დაძრას და დაგვხოცოს?

– მთავარსა და ორდენს შორის მშვიდობაა: ვერ დაგვცხებს!

– ვაჰ! მშვიდობა კია, მაგრამ თუ ჩვენ პირველნი დავარღვევთ, ჩვენი კნეხტები რას გახდებიან იმდენი მაზურის წინააღმდეგ.

– მაგისტრი გამოგვექომაგება და ომს გამართავს.

დანველდი ისევ მოიღუშა და ჩაფიქრდა.

– არა! არა! – თქვა მან ერთი წუთის შემდეგ. – თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა, გულში გაუხარდება... გაგზავნის მთავართან ელჩებს, დაიწყება მოლაპარაკება და ყველაფერი დაუსჯელად ჩაგვივლის. მაგრამ თუ დავმარცხდით, ორდენი განზე გაგვიდგება, მთავარს ომს არ გამოუცხადებს... ეგ მაგისტრი მაგ საქმეზე არ წავა... მთავარს პოლონეთის მეფე უჭერს მხარს, პოლონეთის მეფეს კი მაგისტრი არ გადაიკიდებს.

– დობჟინის მიწა ხომ დავიპყარით, არც კრაკოვის შეგვეშინდება.

– მაშინ მიზეზი გვქონდა... ოპოლის მთავარი... ჩვენ ის მიწა გირაოდ მივიღეთ და ისიც...

მიიხედ-მოიხედა, ხმას დაუწია და დასძინა:

– მალბორგში ყური მოვკარი, ომს თუ დაგვიპირებენ, უკან მივცემთ, ოღონდაც ბე დაგვიბრუნონო...

– ეჰ, – წარმოთქვა ბერმა როტგერმა, – ერთი მარკვარტ ზალცბახი ან შომბერგი გვყავდეს, ვიტოლდის ლეკვები რომ მოგუდეს, აი, ისინი გაუსწორდებოდნენ იურანდს! ვიტოლდი ვინ არის? იაგელოს ნაცვალი, დიდი მთავარი, შომბერგს კი ყველაფერი აპატიეს... დახოცა ვიტოლდის შვილები და ვითომც არაფერი! რა სათქმელია, ცოტაა ჩვენს შორის ისეთი ხალხი, ყველაფერს რომ თადარიგიანად გაუძღვებოდა...

ამის თქმაზე ჰუგო ფონ დანველდი იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო, თავზე ხელები შემოიწყო და კარგა ხანს ფიქრობდა. უცებ მას თვალები აუციმციმდა, ჩვეულებისამებრ ხელის ზურგით ლორწკიანი მსხვილი ტუჩები მოიწმინდა და თქვა:

– ღმერთმა დალოცოს ის წუთი, როცა თქვენ, ღვთისმოსავო ძმაო, მამაცი შომბერგის სახელი გაიხსენეთ.

– რა მოხდა? განა რაიმე მოგაფიქრდათ? – ჰკითხა ზიგფრიდ დე ლიოვემ.

– თქვით ჩქარა! – შესძახეს როტგერმა და გოტფრიდმა.

– ყური მიგდეთ, – დაიწყო ჰუგომ. – იურანდს აქ ქალიშვილი ჰყავს, ერთადერთი პირმშო, რომელიც უსაზღვროდ უყვარს და თვალისჩინივით უფრთხილდება.

– დიახ, ვიცით. ქალბატონი ანა დანუტაც სულს ლევს იმისათვის.

– დიახ. მაშ მისმინეთ. ჩვენ რომ ეს გოგონა მოვიტაცოთ, იურანდი მის გამოსახსნელად ბერგოვს კი არა, ყველა თავის ტყვეს და საკუთარ თავსაც არ დაიშურებს, სპიხოვსაც ზედ დაამატებს!

– ვფიცავ წმინდა ბონიფაციუსის სისხლს, დოკუმში რომ დაღვარა, – შესძახა გოტფრიდმა, – ყველაფერი სწორედ მასე იქნებოდა, როგორც თქვენ ბრძანეთ!

ერთბაშად ყველა გაჩუმდა, თითქოს თვითონვე შეეშინდათ ამ ძნელად გასაბედი და ძნელად შესასრულებელი წინადადებისაო. მხოლოდ ერთი წამის შემდეგ ბერი როტგერი მოუბრუნდა ზიგფრიდ დე ლიოვეს.

– თქვენ ისეთივე გონიერი და გამოცდილი ბრძანდებით, – წარმოთქვა მან, – როგორიც მამაცი; რას იტყვით ამ საქმეზე?

– ვფიქრობ, ღირს ამაზე ჩაფიქრება.

– ყველა ყველა, – განაგრძობდა როტგერი, – მაგრამ იურანდის ქალიშვილი ქალბატონის უახლოესი სეფექალია, კიდევ მეტი, თითქმის ღვიძლი შვილივითა ჰყავს. დაფიქრდით, ღვთისმოსავო ძმებო, რა დავიდარაბა შეიძლება ატყდეს ამაზე.

ჰიუგო ფონ დანველდს გაეცინა.

– თქვენ თვითონ ბრძანებდით, შომბერგმა მოწამლა თუ მოახრჩოო ვიტოლდის ლეკვები, და მერე რა მოჰყვა ამას? აურზაურს ეგენი ყველაფერზე სტეხენ, მაგრამ თუ ჩვენ მაგისტრს ბორკილდადებულ იურანდს მივგვრით, სასჯელი კი არა, ჯილდო მოგველის.

– დიახ, – თქვა დე ლიოვემ, – ახლა ხელსაყრელი შემთხვევაა. მთავარი მიემგზავრება, ანა დანუტა კი თავისი სეფექალებით აქ რჩება. მაგრამ მშვიდობიან დროს მთავრის სახლს თავს ვერ დავესხმით. ეს ხუმრობა საქმე არ არის. მთავრის სახლი სპიხოვი არ გეგონოთ. ისევ ისე დაიწყება, ზლოტორიის დროს რომ იყო, – ორდენის ძალადობაზე იჩივლებენ ყველა მეფესთან და რომის პაპთან. ისევ შემოგვითვლის მუქარას დაწყევლილი იაგელო, მაგისტრი კი, თქვენც კარგად იცნობთ: რაც ადვილი დასაპყრობია, ყოველთვის მზადაა, მაგრამ იაგელოსთან ომზე ის არ წავა... დიახ! აურზაური ატყდება მთელ მაზოვიასა და პოლონეთში.

– ამასობაში იურანდი ჩამოჭკნება სახრჩობელაზე, – შეედავა ბერი ჰუგო. – ან ის ვიღამ გითხრათ ნეტა, ის გოგო აქ, ქალბატონის ცხვირისწინიდან მოიტაცეთო?

– აბა, ცეხანოვში სულ ვერ მოიტაცებთ, იქ შლიახტას გარდა სამასი მშვილდოსანია.

– არა, განა არ შეიძლება, იურანდი ავად გახდეს და ქალიშვილის წასაყვანად მსახურები გამოგზავნოს? ქალბატონიც ნებას დართავს წასვლისას, მერე თუ გოგო გზაში დაიკარგება, ვინ გაბედავს დაგვაბრალოს რომელიმეს, ის გოგო თქვენი მოტაცებულიაო!

– კეთილი! – მოუთმენლად შეედავა დე ლიოვე, – მაგრამ, აბა, ერთი სცადეთ იმის მოწყობა, რომ იურანდი ავად გახდეს და გოგოს წასაყვანად ხალხი გამოგზავნოს.

ამაზე ჰუგომ გამარჯვებულის ღიმილით უპასუხა:

– მე მყავს ერთი ოქრომჭედელი. მალბორგიდან ქურდობისათვის გამოაძევეს და შჩიტნოში დასახლდა: როგორიც გნებავთ, ისეთ ბეჭედს დაამ-

ზადებს. ხალხიც მოიძევება, წარმოშობით მაზურები, მაგრამ ამჟამად ჩვენი ქვეშევრდომები არიან. ნუთუ კიდევ ვერ გამიგეთ, რისი თქმა მინდა?..

– გავიგე! – თქვა აღტაცებულმა ბერმა გოტფრიდმა.

როტგერმა კი ხელები ზეცას აღაპყრო და წარმოთქვა:

– ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ღვთისმოსავო ბერო! ამაზე უკეთესს ვერც მარკვარტ ზალცბახი მოიფიქრებდა და ვერც შომბერგი.

მან თვალები მოჭუტა, თითქოს სივრცეში ბუნდოვნად რაღაცას ხედავსო.

– თვალწინ მიდგას იურანდი, – თქვა მან, – როგორ გდია მალბორგში კისერზე თოკმობმული გდანსკის კარიბჭესთან და როგორ თელავენ ფეხებით ჩვენი კნეხტები.

– მისი გოგო კი ორდენის გომბიო გახდება, – დაუმატა ჰუგომ.

ამ სიტყვებზე დე ლიოვემ დანველდს გახედა, რომელმაც ამ დროს კიდევ ერთხელ მიიტყაპუნა ხელის ზურგი ტუჩებზე და თქვა:

– ახლა კი სწრაფად, ყველა შჩიტნოსაკენ!

IX

გამგზავრების წინ ოთხი ბერი და დე ფურსი მთავარსა და მის მეუღლეს მაინც ეახლნენ გამოსამშვიდობებლად. დიდად ალერსიანად არ გამომშვიდობებია მათ მთავარი, მაგრამ ძველი პოლონური ჩვეულება არ უნდოდა დაერღვია და სტუმრები ხელცარიელი არ გაუშვა სახლიდან. თითოეულს კვერნის ქურქი და თითო გრივნა ვერცხლი აჩუქა. ჯვაროსნებს ესიამოვნათ საჩუქრები და მთავარი დაარწმუნეს, რაკი სიღარიბის აღთქმა გვაქვს მიცემული, ამ ფულს უეჭველად ღარიბ-ღატაკებს დავურიგებთ და ვთხოვთ, თქვენი ჯანმრთელობის, დიდებისა და სულის ცხონებისათვის ილოცონო; ამას რომ ისმენდნენ, მაზურებს ულვაშებში ეცინებოდათ: ვინ ვინ და იმათ კი შესანიშნავად მოეხსენებოდათ ჯვაროსნების სიხარბე და უფრო მეტად ცბიერება. მაზოვიაში ასე იცოდნენ თქმა: „თათარს ტილი არ გამოელევა, ჯვაროსანს კი ტყუილიო“. მთავარმაც მხოლოდ ხელი ჩაიქნია, როცა მათ სამადლობელ სიტყვებს ისმენდა, მერე კი, ჯვაროსნები რომ წავიდნენ, თქვა, იმათი ლოცვა-კურთხევა ცაში არ აღმავლენს, კიბორჩხალასავით თუ ვიხოხე ისიც დიდიაო.

როცა ზიგფრიდ დე ლიოვე ქალბატონს ემშვიდობებოდა და ხელზე ეამბორებოდა, ჰუგო ფონ დანველდი დანუსიას მიუახლოვდა, თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

– ქრისტე ღმერთმა გვიბრძანა, ბოროტს კეთილით მივუზღოთ და შევიყვაროთ მტერი ჩვენი. სულ მალე გამოგიგზავნით მონაზონს და უებარ ჰერცის წამალს გამოვატანთ.

– რითი გადაგიხადოთ სამაგიერო? – ჰკითხა დანუსიამ.

– იყავით ორდენისა და ჯვაროსნების მეგობარი.

ამ საუბარმა დე ფურსის ყურადღება მიიპყრო, ქალიშვილის სილამაზემაც თვალი მოსჭრა და, როცა ისინი შჩიტნოსაკენ გაემართნენ, ჰკითხა:

– ვინ არის ის ლამაზი სეფექალი, თქვენ რომ წამოსვლის წინ გესაუბრებოდათ?

– იურანდის ქალიშვილია! – უპასუხა ჯვაროსანმა.

ბატონი დე ფურსი გაოცდა.

– თქვენ რომ მოტაცებას უპირებთ?

– დიახ. მას მოვიტაცებთ და იურანდიც ჩვენს ხელთ იქნება.

– თურმე მარტო სიბოროტის საწყისი არ არის იურანდი. ასეთი ტყვის დარაჯად ყოფნა ურიგო არ უნდა იყოს.

– თქვენ გგონიათ, მასთან ბრძოლა უფრო ადვილია, ვიდრე იურანდთან?

– ჩვენ ერთნაირად ვფიქრობთ. მამა ორდენის მოსისხლე მტერია, ქალიშვილს კი დათაფლული სიტყვებით ესაუბრებოდით და მალამოსაც შეჰპირდით.

ჰუგო დანველდმა იგრძნო, რომ რაღაც უნდა ეთქვა თავის გასამართლებლად.

– მე ქალიშვილს მალამოს იმ ჭაბუკისათვის შევპირდი, ხარმა რომ დაასახიჩრა და, როგორც მოგეხსენებათ, დანუსიას დანიშნული რომაა. თუ მოტაცების მერე ხმაური ატყდება, ჩვენ ვიტყვით, რომ მისი წყენინება გულშიც არ გაგვივლია, პირიქით, ქრისტიანული გულმოწყალებით წამალიც კი გამოვუგზავნეთ-თქო.

– კეთილი და პატიოსანი, – თქვა დე ლიოვემ, – მაგრამ საიმედო კაცის გამოგზავნაა საჭირო,

– ორდენის ერთგულ ღვთისმოსავ ქალს გამოვგზავნი. ვუბრძანებ, უთვალთვალოს და ყური უგდოს. როცა ჩვენი ხალხი ჩამოვა, ვითომდა იურანდისაგან, უკვე გაშინაურებული დახვდებათ და მოეხმარება.

– არ გაგიძნელდებათ ასეთი ხალხის შოვნა?

– არა. ჩვენში ბევრი ლაპარაკობს მათებურად. ქალაქში და დაცვაშიც კნეხტებს შორის უამრავია ისეთი, ვინც მაზოვიიდან სასამართლოსა და სასჯელს გამოქცევია. მართალია, ყველა ყაჩაღი და ქურდია, მაგრამ უშიშარი ხალხია და ყველაფერზე მზად არიან ფულისათვის. დიდ ჯილდოს შევპირდები, თუ საქმემ კარგად ჩაიარა, თუ არა და, ჩამოხრჩობა არ ასცდებათ.

– ღალატისა არ გეშინიათ?

– არ მიღალატებენ. მაზოვიაში ურმის თვალზე გაკვრა ჰქონდათ მისჯილი დიდი ხნის წინ. ოღონდ ეგ არის, უკეთ უნდა გამოვაწყოთ, რომ იურანდის მსახურებს დაემსგავსონ. ყველაზე მთავარი კი ბეჭედდასმული წერილია.

– ყველაფერი წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ. თქვა ბერმა როტგერმა, – ხომ შეიძლება იურანდმა ამ ბოლო ამბების გამო მთავრის ნახვა მოიწადინოს ჩვენზე საჩივლელად და თავის გასამართლებლად. თუ ცეხანოვში ჩავიდა, ქალიშვილის უნახავად არ გაბრუნდება. ერთიც ვნახოთ და სამონადირო სახლში ჩვენი კაცები იურანდის ქალიშვილის წამოსაყვანად სწორედ მაშინ ჩავიდნენ და თვითონ იურანდს გადააწყდნენ.

– მე ყველაზე გაქნილ და თავზეხელაღებულ ხალხს შევარჩევ. იმათ ეცოდინებათ, რომ თუ იურანდს შეხვდებიან, სახრჩობელა არ ასცდებათ. დანარჩენი მათი საქმეა, როგორც უნდათ, ისე აარიდონ თავი.

– ერთიც ვნახოთ და დაიჭირეს.

– მაშინ ჩვენ იმათზეც უარს ვიტყვით და წერილზეც. რითი დაამტკიცებენ, რომ ჩვენი გამოგზავნილები არიან? თუ გოგოს მოტაცებას ვერ მოასწრებენ, ხმაურიც აღარ ატყდება, ხოლო თუ მაზურები რამდენიმე ჩამოსახრჩობს შაყას ჰკრავენ, ორდენს ბევრი არა დააკლდება რა.

მაგრამ მათ შორის ყველაზე უმცროსმა ბერმა გოტფრიდმა თქვა:

– არც თქვენი პოლიტიკისა მესმის რამე და არც თქვენი სიფრთხილისა – არიქა, ვინმემ არ გაიგოს, რომ ქალიშვილი ჩვენი ბრძანებით მოიტაცესო. აკი მაინც ჩვენს ხელთ რომ მოხვდება, უნდა შევუთვალოთ იურანდს: „შენი ქალიშვილი ჩვენთანაა. თუ გინდა გავათავისუფლოთ, გამოუშვი ბერგოვი

და თვითონაც ჩაგვბარდიო...“ როგორ ფიქრობთ, მაშინ მაინც ვერ გაიგებენ, რომ ჩვენი ბრძანებითაა მოტაცებული?

– ეს მართალია! – თქვა ბატონმა დე ფურიმ, რომელსაც დიდად არ ეფონებოდა გულზე ეს ყველაფერი. – რა აზრი აქვს იმის დამალვას, რაც ბოლოს მაინც აშკარა უნდა გახდეს?

ჰუგო ფონ დანცელდმა გაიცინა და ბერ გოტფრიდს ჰკითხა:

– დიდი ხანია, რაც თეთრი ლაბადა გასხიათ? -

– წმინდა სამების დღესასწაულის მომდევნო კვირას ექვსი წელი შესრულდება.

– მაშ კიდევ ექვსი წელი რომ გაივლის, ალბათ მაშინ უკეთ გაერკვევით ორდენის საქმეებში. თქვენზე უკეთ მგონი იურანდი გვიცნობს. აი, რას ვეტყვით მას: „შენს ქალიშვილს ბერი შომბერგი იცავს, კრინტის დაძვრას გაბედავ და გაიხსენე ვიტოლდის შვილები...“

– მერე?

– მერე ბერგოვი განთავისუფლდება, ორდენი კი იურანდისაგან მოისვენებს.

– არა! – შესძახა ბერმა როტგერმა, – ყველაფერი ისეა მოფიქრებული, რომ, საცა სამართალია, ღმერთმა უნდა დაგვილოცოს განზრახვა.

– ღმერთი დალოცავს ყველა საქმეს, რაც ორდენის საკეთილდღეოდ არის წამოწყებული, – პირქუშად ჩაიბუბუნა ზიგფრიდ დე ლიოვემ.

მათ უხმოდ განაგრძეს გზა. წინ, მშვილდის ორ-სამ გასროლაზე, მსახურები გზას უკაფავდნენ, ღამით მოსულმა თოვლმა რომ ჩაბუქა. ხეებს ფაფუკი რთვილი დასდებოდა, მოღრუბლული, მაგრამ თბილი დღე იყო. ცხენებს ოხშივარი ასდიოდათ. ტყიდან საცხოვრებელი ადგილებისაკენ ავი ჩხავილით გუნდგუნდად მიფრინავდნენ ყვავები.

ბატონი დე ფურსი ცოტა ჩამორჩა ჯვაროსნებს და ღრმად ჩაფიქრებული მიდიოდა. რამდენიმე წელია ორდენის სტუმარია, მონაწილეობა მიიღო ჟმუდზე ლაშქრობაში და დიდი მამაცობაც გამოიჩინა. ყველგან ისე ღებულობდნენ, როგორც ჯვაროსნებს შეეძლოთ შორეული ქვეყნების რაინდთა მიღება, ძალიან შეეჩვია მათ და, რაკი დიდი მამულების პატრონი არ იყო, გადაწყვიტა სამუდამოდ მათ რიგებში დარჩენილიყო. ჯერჯერობით კი მალბორგში ატარებდა დროს და გასართობად ახლომახლო კომანდორიებში დასეირნობდა. როცა ის ლიუბავაში ჩამოვიდა მდიდარ რაინდ დე ბერგოვთან ერთად და იურანდის სახელი გაიგონა, უდიდესი სურვილო გაუჩ-

ნდა, ერთი შებრძოლებოდა ვაჟკაცს, ვის წინაშეც ყველა თრთოდა. თავდასხმა დააჩქარა ყველა ორთაბრძოლაში გამარჯვებული მაინეგერის ჩამოსვლამ. ლიუბავის კომტურმა მათ ხალხი მისცა. ამას გარდა, იმდენი უჩიჩინა ამ სამ რაინდს იურანდის სიმკაცრეზე, ვერაგობასა და მუხანათობაზე, რომ, როცა იურანდმა მოითხოვა კნეხტები უკან გაებრუნებინათ, აღარ დაეთანხმნენ; შეეშინდათ, ალყას შემოგვარტყამს და დაგვხოცავს ან სპიხოვის ჯურღმულებში ჩაგვყრისო. იურანდი მიხვდა, რომ რაინდებს მარტო ბრძოლა კი არ სურდათ მასთან, გაძარცვასაც უპირებდნენ, ამიტომ პირველი დაესხა თავს და მწარედ დაამარცხა კიდეც ისინი. დე ფურსიმ თავისი თვალით იხილა ბერგოვი, ცხენიანად მიწასთან გასწორებული, იხილა მუცელში შუბისნატეხგაჩრილი მაინეგერი, იხილა კნეხტები, გულმხურვალედ რომ შეჰღაღადებდნენ მიტევებას. თვითონ ძლივს მოახერხა გამოქცევა, რამდენიმე დღე ტყე-ღრეში იხეტიალა და ალბათ შიმშილის ან ტყის ნადირის მსხვერპლი გახდებოდა, შემთხვევით ცეხანოვში რომ არ ამოეყო თავი, სადაც ბერებს გოტფრიდსა და როტგერს შეხვდა. ასე დააღწია თავი განსაცდელს დიდი დამცირებისა და სირცხვილის ფასად. ამიტომაც შურისძიებისა და სიძულვილის გრძნობით იყო ანთებული. ამას გარდა, ძალზე ადარდებდა თავისი უახლოესი მეგობრის ბერგოვის ბედიც. აი, ეს იყო მიზეზი, რომ მან მხარი დაუჭირა ორდენის რაინდთა ჩივილს, დამნაშავის დასჯასა და უბედური ამხანაგის განთავისუფლებას რომ მოითხოვდნენ, და როცა ეს საჩივარი უშედეგო აღმოჩნდა, პირველ წუთებში მზად იყო ყველაფრისთვის, ოღონდ კი იურანდზე შური ეძია. მაგრამ ახლა ეჭვებმა შეიპყრო. ბერების საუბარს, განსაკუთრებით ჰუგო დანველდის ლაპარაკს რომ ისმენდა, დე ფურსი პირდაპირ განცვიფრებული იყო. რამდენიმე წელიწადში კარგად გაიცნო ჯვაროსნები და ხედავდა, რომ სინამდვილეში არ იყვნენ ისეთები, როგორადაც გერმანიასა და დასავლეთში მიაჩნდათ. მალბორგში ის დაუახლოვდა ზოგიერთ უმწიკვლო, მკაცრ რაინდს, თვითონაც ხშირად რომ ჩიოდნენ თანამოძმეთა გახრწნაზე, მათს თავაშვებულობასა და თვითნებობაზე. დე ფურსი მათ ამართლებდა; მაგრამ თვითონაც თავაშვებული და თვითნება კაცი იყო და ამ ნაკლოვანებებს დიდ ბოროტებად არ მიიჩნევდა, მით უმეტეს, რომ ჯვაროსნები მის გულს თავიანთი სიმამაცით ინადირებდნენ. მან საკუთარი თვალით ნახა, როგორ ეძგერებოდნენ ისინი ვილნოს ციხესიმაგრის შეტევის დროს პოლონელ რაინდებს, არაადამიანური სიმამაცით რომ იცავდნენ თავიანთ სიმაგრეებს. ნახა, როგორ იხოცებოდნენ ისინი ცულებითა და მახვილებით გამართულ ორთაბრძოლებში. დაუნდობელნი და ულმობელნი იყვნენ ისინი ლიტველებთან, მაგრამ ამავე დროს ლომებივით იბრძოდნენ და ამისათვის დიდების შარავანდედი არ შორდებოდათ, ახლა კი

ბატონ დე ფურსის მოეჩვენა, რომ ჰუგო დანველდი ისეთ აზრებს გამოთქვამდა და ისეთ საშუალებებს სთავაზობდა, ყოველ რაინდს რომ შეაძრწუნებდა, ხოლო დანარჩენები აღშფოთების მაგივრად ეთანხმებოდნენ მის ყოველ სიტყვას. დე ფურსი ადგილს ვეღარ პოულობდა, ისერიგად იყო გაკვირვებული, და ბოლოს სერიოზულად ჩაფიქრდა, რამდენად შესაფერისი იქნებოდა მისთვის ასეთ საქმეში მონაწილეობის მიღება.

ლაპარაკი რომ მხოლოდ ქალიშვილის მოტაცებასა და ბერგოვში მის გაცვლაზე ყოფილიყო, იქნებ კიდეც დათანხმებულიყო, თუმცა დაატყვევა და გული აუძგერა დანუსიას სილამაზემ. ის არც ამ ქალის დარაჯობაზე იტყოდა უარს საჭიროების შემთხვევაში და ვერც იმის პირობას დასდებდა, რომ ხელუხლებელს გამოუშვებდა. მაგრამ ჯვაროსნებს სულ სხვა რამ განეზრახათ. ამ ქალით მათ მხოლოდ ბერგოვის გამოხსნა კი არ უნდოდათ, არამედ თვით იურანდის ხელში ჩაგდებაც. დაპირდებოდნენ, ჩაგვბარდი და ქალიშვილს გავათავისუფლებთო, და მერე მოკლავდნენ მას. ამას გარდა, ტყუილისა და დანაშაულის დასაფარავად ბარემ ქალიშვილსაც მოსპობდნენ. იმასაც იმუქრებოდნენ, იურანდისათვის ვიტოლდის შვილების ბედი გაეხსენებინათ, თუკი მათზე ჩივილს გაბედავდა. „ისინი ყველაფერში ტყუიან, ორთავეს გააცურებენ და დახოცავენ, – თქვა დე ფურსიმ თავისთვის, – ჯვარს კი ატარებენ და სხვაზე მეტად უნდა იცავდნენ საკუთარ პატიოსნებას“. გულ-მუცელი აემღვრა აღშფოთებისაგან, მაგრამ ჯერ შემოწმება ამჯობინა, საფუძვლიანი იყო თუ არა მისი ეჭვები; ის დანველდს მიუახლოვდა და ჰკითხა:

– იურანდი თუ ჩაგბარდათ, ქალიშვილს გაათავისუფლებთ?

– ის რომ გავათავისუფლოთ, მთელი ქვეყანა გაიგებს, რომ ორთავენი ჩვენი შეპყრობილები არიან, – უპასუხა დანველდმა.

– აბა რას უპირებთ ქალიშვილს?

დანველდი დაიხარა თავის მოსაუბრისკენ, ფართოდ გაიღრიჭა, სქელი ტუჩებიდან დამპალი კბილები გადმოყარა და ჰკითხა:

– რაზედ მეკითხებით? იმაზე, რასაც პირველად დავმართებთ, თუ მ ე რ ე?

დე ფურსი ყველაფერს მიხვდა, რაც აინტერესებდა, და გაჩუმდა; ერთხანს კიდევ ყოყმანობდა, მაგრამ მერე უზანგებზე წამოიწია და ხმამაღლა, ისე, რომ ოთხივე ბერს გაეგონა, თქვა:

– ღვთისმოსავმა ბერმა ულრიხ ფონ იუნგინგენმა, რაინდობის ამ ნიმუშმა და მშვენებამ, ერთხელ მითხრა: „მოხუცებს შორის კიდევ წააწყდები

მალბორგში ისეთ რაინდებს, ვისაც უფლება აქვს ჯვარი ატაროს, მაგრამ ვინც სასაზღვრო კომანდორიებშია ჩამსხდარი, მხოლოდ არცხვენენო ორდენს “.

– ჩვენ ყველანი ვცოდავთ, მაგრამ ყველაფერი ქრისტეს სამსახურად კეთდება, – უპასუხა ჰუგომ.

– სად არის თქვენი რაინდული პატიოსნება? განა ქრისტეს სამარცხვინო საქმეებით ემსახურებიან? თქვენ იმას არ ემსახურებით! ვინ არის თქვენი მეუფე? იცოდეთ, მე ხელს ვერ მოგიმართავთ ამ საქმეში, მეტიც, ნებას არ მოგცემთ ეს ჩაიდინოთ!..

– რის ნებას არ მოგვცემთ?

– მოტყუების, ვერაგობისა და უსინდისობის.

– მერე როგორ დაგვიშლით ამას? იურანდთან ბრძოლაში თქვენ დაკარგეთ მსახურები და აღჭურვილობა. მხოლოდ სამადლოდ შეგიძლიათ ჩვენს კარზე ცხოვრება, და რა წამს ორდენი ნატეხ პურს არ გადმოგიგდებთ, იმწამსვე შიმშილით ამოგხდებათ სული. ამის გარდა, თქვენ ერთი ხართ, ჩვენ კი ოთხნი. განა როგორ დაგვიშლით?

– როგორ დაგიშლით? – გაიმეორა დე ფურიმ, – უკან დავბრუნდები და მთავარს გავაფრთხილებ, მთელ ქვეყანას გავუმხელ თქვენს ვერაგულ განზრახვას!

ჯვაროსნებმა ერთმანეთს გადახედეს და წამში მოექცათ სახეები. ჰუგო ფონ დანცელდმა ზიგფრიდ დე ლიოვეს შეხედა. მისი მზერა ხანგრძლივი იყო, კითხვის გამომხატველი; მერე ის ბატონ დე ფურსის მიუბრუნდა:

– თქვენი წინაპრები ორდენს ემსახურებოდნენ, – უთხრა მან, – თქვენც გსურთ ორდენის წევრი გახდეთ, მაგრამ ჩვენ მოღალატეებს არ ვღებულობთ.

– მე თვითონ არ მინდა მოღალატეებთან სამსახური.

– ფრთხილად იყავით! თქვენ ვერ შეასრულებთ მუქარას. იცოდეთ, ორდენმა მარტო ბერების დასჯა არ იცის...

განრისხებულმა დე ფურსიმ მახვილი იშიშვლა, მარცხენა ხელით მისი პირი დაიკავა, მარჯვენათი კი – სახელური და თქვა:

– ვფიცავ ჩემი იარაღის სახელურს, რომელსაც ჯვრის გამოსახულება აქვს, ჩემი მფარველის – წმინდა დიონისეს თავსა და ჩემს რაინდულ პატიოსნებას, რომ გავაფრთხილებ მაზოვიის მთავარსა და მაგისტრს.

ჰუგო დანცელდმა კვლავ მიაპყრო კითხვის გამომხატველი მზერა ზიგფრიდ დე ლიოვეს; მან კი თვალები დახარა, თითქოს ამითი დასტური მისცაო.

მაშინ დანცელდმა ყრუ, გამოცვლილი ხმით წარმოთქვა:

– წმინდა დიონისეს შეეძლო იღლიის ქვეშ ამოედო თავისი მოკვეთილი თავი, მაგრამ თუ თქვენ მოგძვრათ თავი მხრებიდან...

– მემუქრებით? – შეაწყვეტინა დე ფურსი.

– არა, გკლავთ! – იყო პასუხი.

და ისეთი ძალით ჩასცა დანა ფერდში, რომ ტარამდე ჩაურჭო. დე ფურიმ საშინელი ხმით შეჰყვირა, დააპირა მარჯვენა ხელი წაევლო მახვილისათვის, რომელიც მარცხენაში ეჭირა, მაგრამ ხელიდან გაუვარდა; იმავე წამს დანარჩენმა ბერებმა უმოწყალოდ დაუშინეს დანები კისერში, ზურგში, მუცელში, სანამ ცხენიდან არ ჩამოვარდა.

ყველაფერი მიყუჩდა. დე ფურსის ჭრილობებიდან სისხლი შადრევანივით ამოსჩქეფდა, იკლაკნებოდა და მოკრუნჩხული თითებით თოვლს ფხოტნიდა. ტყვიისფერი ცის ქვეშ მხოლოდ ყვავები ყრანტალებდნენ და უკაცრიელი ტყიდან სამოსახლოებისაკენ მიეშურებოდნენ.

მკვლელები სწრაფად ალაპარაკდნენ:

– არავის არაფერი დაუნახავს? – სულს ძლივს ითქვამდა დანველდი.

– არავის, მსახურები წინ არიან, არც კი ჩანან, – თქვა დე ლიოვემ.

– მისმინეთ, ახლა ჩვენ გაგვიჩნდა ახალი საჩივლელი მიზეზი. გავავრცელოთ ხმა, რომ მაზოვიელი რაინდები თავს დაგვესხნენ და ამხანაგი მოგვიკლეს, ვითომ მთავარი სტუმრებსაც არ ინდობს და მკვლელებს უგზავნის. ისეთი ამბავი უნდა ავტეხოთ, რომ ხმა მალბორგამდე მივიდეს. მისმინეთ: უნდა ვთქვათ, რომ იანუშმა არც კი მოგვისმინა, როცა იურანდზე ვჩიოდით. და ეს კიდევ არაფერი, მან თვით მოჩივარის მოკვლა ბრძანა.

დე ფურსი კი ამ დროს უკანასკნელად დაიკრუნჩხა და პირაღმა გადმობრუნდა, და იწვა ასე პირზე ქაფმორეული, სახეზე და ფართოდ დაჭყეტილ მკვდარ თვალებში შიშის ზარი ჩასდგომოდა. ბერმა როტგერმა გადახედა მას და თქვა:

– შეხედეთ, ღვთისმოსავო ძმებო, როგორი სასჯელით სჯის მეუფე ღალატის მხოლოდ გაფიქრებაზეც კი.

– ჩვენ ყოველივე ეს ორდენის კეთილდღეობისათვის ჩავიდინეთ, – წარმოთქვა გოფტრიდმა, – დიდება მას...

მაგრამ გაჩუმდა, რადგან ამ დროს ჯვაროსნების უკან, თოვლით დაფარული გზის მოსახვევში, გამოჩნდა ცხენოსანი, რომელიც პირდაპირ მათკენ მოქროდა. ეს რომ დაინახა, ჰუგო დე დანველდმა სწრაფად შესძახა:

– ვინც უნდა იყოს, ეს კაცი უნდა მოისპოს!

დე ლიოვემ კი, რომელიც ყველაზე ხნიერი იყო, მაგრამ ყველაზე მახვილი მზერა ჰქონდა, თქვა:

– ვიცანი, ეს ის საჭურველმტვირთველია, ხარი რომ ცულით მოკლა. სწორედ ის არის!

– დამალეთ დანები, რომ არ შეეშინდეს, – თქვა დანველდმა. – ჯერ ისევ მე დავარტყამ, მერე თქვენ მომყევით.

ამასობაში ჩეხმა მათთან მოაჭენა და ათიოდ ნაბიჯზე ისე მოზიდა სადავე, რომ ცხენი ჩლიქებით თოვლში ჩაეფლო.

ჩეხმა შეამჩნია სისხლის ტბორში დაგდებული გვამი, უმხედრო ცხენი და ერთი წამით გაოცება გამოეხატა სახეზე. მაგრამ მაშინვე, თითქოს არაფერი დაენახოს, ბერებს მიმართა:

– სალამი, მამაცო რაინდებო!

– გიცანით, გიცანით, – უთხრა დანცელდმა და თან ნელა უახლოვდებოდა, – რამე საქმე გაქვს ჩვენთან?

– მე გამომგზავნა რაინდმა ზბიშკო ბოგდანეცელმა, ვის საჭურველსაც ვზიდავ; ხარმა დაასახიჩრა და თვითონ ვერ შეძლო თქვენთან მობრძანება.

– რა უნდა ჩვენთან თქვენს ბატონს?

– ჩემმა ბატონმა მიბრძანა გადმოგცეთ, რომ თქვენ უსამართლოდ ჩიოდით იურანდ სპიხოველზე, ამითი შეურაცხყავით მისი რაინდული პატიოსნება, მოიქეცით რაინდისათვის შეუფერებლად და ძაღლებივით ყეფდით; ხოლო თუ რომელიმე თქვენგანი ნაწყენი დარჩება ამ სიტყვებით, ის გიწვევთ ორთაბრძოლაში სამკვდრო-სასიცოცხლოდ. და იბრძოლებს, სადაც თქვენ ისურვებთ, მაშინვე, როგორც კი ღვთის წყალობით ცოტა მომჯობინდება.

– გადაეცი შენს ბატონს, რომ ორდენის რაინდები ღვთის ხათრით იტანენ ყველა წყენას, ბრძოლა კი მაგისტრის ან დიდი მარშლის განსაკუთრე-

ბული ნებართვის გარეშე არ შეუძლიათ, თუმცა ჩვენ მივწერთ წერილს მალ-ბორგში და მოვითხოვთ დაგვრთონ ამ ბრძოლის ნება.

ჩეხმა ისევ გადახედა ბატონ დე ფურსის გვამს, რადგან პირველ ყოვლისა, მის გამოსაწვევად იყო გამოგზავნილი. ზბიშკომ ხომ იცოდა, რომ ბერები ორთაბრძოლაში გამოწვევას არ ღებულობდნენ და, როცა გაიგო, საერო რაინდიც ახლავთო, გადაწვიტა ის გამოეწვია. ამით იურანდის გულის მოგება უნდოდა. მაგრამ ეს რაინდი აგერ ხარივით ყელგამოღადრული დაუხვდა ოთხ ჯვაროსანს შორის.

ჩეხი ვერ ხვდებოდა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო; მაგრამ საშიშროების პირისპირ ყურებას პატარაობიდანვე შეჩვეული იყო და ამიტომ ახლაც რაღაც საეჭვო იყნოსა. იმანაც გააოცა, რომ დანველდი ლაპარაკის დროს თანდათან უახლოვდებოდა, დანარჩენი რაინდები კი განზე გავიდნენ, თითქოს შეუმჩნევლად ალყის შემორტყმას უპირებენო. ამან ჩეხი აიძულა ფრთხილად ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ სიჩქარეში იარაღიც არ წამოუღია.

ამასობაში დანველდი სულ ახლოს მივიდა მასთან:

– მე შენს ბატონს სამკურნალო მალამოს შევპირდი! – განაგრძობდა ის, – ცუდად სცოდნია სამაგიეროს გადახდა. პოლონელებისათვის ეს ჩვეულებრივი ამბავია... მაგრამ ის მძიმედაა დასახიჩრებული და შესაძლოა მალე უფლის წინაშე წარსდგეს, ამიტომ გადაეცი მას...

ამ დროს მან მარცხენა ხელი დაადო ჩემს მხარზე.

– გადაეცი მას, რომ მე ასე ვპასუხობ...

და იმწამსვე ჩეხის ყელთან დანამ იელვა. მაგრამ დანველდმა ვერ მოასწრო ყელში გაერჭო დანა; ჩეხმა, რომელიც დიდი ხანია უთვალთვალებდა მის ყოველ მოძრაობას, თავისი რკინის ხელები სტაცა მარჯვენაში, გადაუღუნა და ისე ამოუბრუნა, რომ ძვლებმა სახსრებში დაიხრჭიალეს. გაისმა დანველდის ველური ყვირილი. ჩეხმა ცხენი ყალყზე შეაგდო და, სანამ რომელიმე გზის გადაღობვას მოასწრებდა, შურდულივით გაქუსლა უკან.

ბერმა როტგერმა და გოტფრიდმა გამოკიდება დააპირეს, მაგრამ დანველდის არაადამიანური ღრიალით შეშინებულები უკან დაბრუნდნენ. დე ლიოვე მხრებში შესდგომოდა დანველდს, რომელიც ფერდაკარგული და გალურჯებული ისე ყვიროდა, რომ ფორნებით წინ წასულმა მსახურებმა ცხენებს სადავეები მოსწიეს.

– რა დაგემართათ? – ეკითხებოდნენ ბერები.

მაგრამ დე ლიოვემ უბრძანა მათ ურემი მოეყვანათ, რადგან დანველდი თავს ვეღარ იკავებდა უნაგირზე. ერთი წუთის მერე ცივმა ოფლმა დაასხა და გრძნობა დაკარგა.

ურემი მოიყვანეს, დანველდი თივაზე დაასვენეს და ასე დაიძრნენ საზღვრისაკენ. დე ლიოვე აჩქარებდა მათ. კარგად ესმოდა, რომ ყოველივე იმის შემდეგ, რაც მათ ჩაიდინეს, დანველდის შესახვევადაც არ შეიძლებოდა დროს დაკარგვა. ის ფორანზე გვერდით მიუჯდა მეგობარს და დროდადრო თოვლით უსრესდა სახეს, მაგრამ გრძნობაზე ჯერ ვერ მოეყვანა.

საზღვარს რომ მიუახლოვდნენ, დანცელდმა მხოლოდ მაშინღა გაახილა თვალი და გაოცებულმა აქეთ-იქით დაიწყო ყურება.

– თავს როგორ გრძნობთ? – ჰკითხა ლიოვემ.

– ვერც ტკივილსა ვგრძნობ და ვერც ხელს, – თქვა დანველდმა.

– დაგიბუჟდათ და იმიტომაც აღარა გტკივათ. როცა გაგითბებათ, ისევ აგტკივდებათ. მანამდის კი ღმერთს მადლობა შესწირეთ, რომ ცოტა სული მოგათქმევინათ.

როტგერი და გოტფრიდი ფორანთან მივიდნენ.

– აი, უბედურება! რა მოჰყვება ამას? – თქვა როტგერმა.

– ჩვენ ვიტყვით, – უპასუხა მისუსტებული ხმით დანველდმა, – რომ დე ფურსი საჭურველმტვირთველმა მოკლა.

– ახალი დანაშაული მოხდა და დამნაშავეც ცნობილია, – დაუმატა როტგერმა.

X

ამასობაში ჩეხმა პირდაპირ სამონადირო სახლთან მიაჭენა ცხენი; მთავარი ჯერ არ წასულიყო და პირველს მას მოუყვა ყველაფერს. საბედნიეროდ, აღმოჩნდნენ მსახურები, რომლებმაც დაინახეს, რომ მსახური უიარაღოდ წავიდა. ერთმა ნახევრად ხუმრობით მიაძახა კიდეც, რკინის რამე ნატეხი მაინც წაიღე, თორემ გერმანელები ცხვირ-პირს ამოგინაყავენო. მაგრამ რადგან ჩეხს ეშინოდა, გერმანელებმა საზღვარს არ გადამასწრონო, ცხენს ზურგზე მოევლო და როგორც იყო, ტყაპუჭისამარა, ისე გაჰქუსლა მათ დასაწევად. მოწმეთა ამ საბუთმა მთავარს ყოველგვარი ეჭვი გაუფანტა, თუ ვის შეეძლო დე ფურსის მოკვლა. მაგრამ მაინც ისე აღშფოთდა, რომ უნდო-

და მდევარი გამოედევნებინა, ბორკილდადებული მიეგვარა ჯვაროსნები მაგისტრისათვის და დამნაშავეთა დასჯა მოეთხოვა, მაგრამ მიხვდა, რომ მდევარი მათ ვეღარ დაეწეოდა და თქვა:

– მე მაინც მივწერ მაგისტრს წერილს, დაე, იცოდეს, რას სჩადიან აქ მაგისი ხელქვეითები. ცუდი ამბები ტრიალებს ორდენში. უწინ საკანონოს არ გადაუხვევდნენ, ახლა ყველა კომტური თვითნებობს. თავის ნებაზე მიშვებას კი ყოველთვის სასჯელი მოსდევს.

მთავარი ჩაფიქრდა და ერთი წუთის მერე ისევ მიუბრუნდა თავის კარისკაცებს:

– ვერა და ვერ მომისაზრებია, რისთვის უნდა მოეკლათ თავისი სტუმარი, ჩეხს რომ იარაღი ჰქონოდა, ვიფიქრებდი, ამან ჩაიდინა-მეთქი.

– ჩეხს რიღასთვის უნდა მოეკლა რაინდი, რომელსაც ის თვალითაც არასოდეს უხილავს? – ჩაერია ქსონძი ვიშონეკი, – იარაღიც რომ ჰქონოდა, როგორ უნდა გაუმკლავებოდა ერთი ხუთს, თანაც იმათ შეიარაღებული მსახურები ახლდათ.

– ეგ მართალია, – თქვა მთავარმა. – ალბათ სტუმარი შეედავა რამეში, ან ტყუილის თქმა არ მოინდომა, როგორც ისინი მოითხოვდნენ. მე აქაც შევამჩნიე, როგორ უპაჭუნებდნენ თვალებს, აქაო და ისე თქვი, ვითომ იურანდი პირველი დაგვესხა თავს.

– ყოჩაღ ბიჭო, – ჩაერია მროკოტა მოცაჟეველი, – თუკი მართლა ხელი ამოუმტვრია იმ ძაღლ დანველდს.

– ასე ამბობს, ჩემი ყურით გავიგონე ძვლების ხრჭიალიო, – თქვა მთავარმა. – რატომაც არ შეიძლება მართალი იყოს. არ გახსოვთ, როგორ იმამაცა ტევრში! ეტყობა, მსახურიც და მისი ბატონიც ფიცხი ბიჭები არიან. ზბიშკო რომ არა ყოფილიყო, ხარი ცხენებს დააცხრებოდა თავს. იმან და ლოტარინგიელმა ყველაფერი იღონეს ქალბატონის გადასარჩენად.

– ზბიშკო რომ გულადი ჭაბუკია, ეს მართალია, – მხარი დაუჭირა ქსონძმა ვიშონეკმა. – აი, ახლაც თავისი თავი გასჭირვებია და მაინც იურანდს გამოექომაგა, ჯვაროსნებს გამოწვევა გაუგზავნა... იურანდს მხოლოდ ასეთი სიძე შეეფერება.

– კრაკოვში იურანდი რაღაც სხვაგვარად მღეროდა. ახლა ალბათ აღარ გაუწევს წინააღმდეგობას, – თქვა მთავარმა.

– ღვთის წყალობით, ყველაფერი მოგვარდება, – დასძინა ქალბატონმა, რომელიც ის-ის იყო შემოვიდა და ბოლო სიტყვებს მოჰკრა ყური. – ახლა

იურანდი წინააღმდეგი ვეღარ წავა, ოღონდ ღმერთმა ინებოს და ზბიშკო გამოაჯანმრთელოს. მაგრამ ჩვენ ჩვენი მხრიდანაც უნდა დავასაჩუქროთ ჭაბუკი.

– მაგისთვის ყველაზე დიდი საჩუქარი დანუსია იქნება, და მე ვფიქრობ, ერგება კიდევაც, რადგან თუ ქალებმა მოინდომეს და თავისაზე დადგნენ, იურანდი მათ ვეღარ გაუმკლავდება.

– განა მართალი არ ვიქნები, თუ დავიჩემებ? – იკითხა ქალბატონმა. – ზბიშკო რომ ერთი თავქარიანი ვინმე იყოს, მაშინ სხვა საქმეა, მაგისთანა ერთგულს მიწის ზურგზე ვერავის იპოვის კაცი. დანუსიაც ერთი წამით არ სცილდება, სახეზე ეფერება, ისიც ითმენს ტკივილებს და უღიმის. ხანდახან იმათ რომ ვუყურებ, ცრემლები გადმომცვივა ხოლმე. მართალს არ ვამბობ?.. ღირს, ასეთ სიყვარულს დაეხმარო; ღვთისმშობელიც ხომ სიხარულით შესცქერის მუდამ ადამიანთა ბედნიერებას.

– თუ ღვთის ნება იქნება, ბედნიერებაც არ დაახანებს, – შენიშნა მთავარმა, – ისიც ხომ საქმეა, რომ მაგის გულისთვის ერთხელ კინაღამ თავი წაეცალეს ბიჭს, ახლა კი ხარმა დაამტვრია.

– რატომ ამბობ, მაგის გულისთვისო, – ჩაურთო ცხარედ ქალბატონმა, – განა კრაკოვში დანუსიამ არ იხსნა იგი?

– რაც მართალია, მართალია, მაგას სად წაუხვალ, მაგრამ თუ არა ეგ ქალი, ის ხომ არც ლიხტენშტაინს დაესხმოდა იმ ჯიღის მოსაგლეჯად და არც დე ლორშის გადასარჩენად გამოიდებდა თავს. რაც შეეხება დასაჩუქრებას, მე უკვე ვთქვი, ღირსი არიან-მეთქი და ამაზე ცეხანოვში ვიფიქრებ.

– ზბიშკოს ყველაზე მეტად რაინდის ქამარი და ოქროს დეზები გაახარებდა.

– რას იზამ, – გულკეთილი ღიმილით თქვა მთავარმა,– მიუტანოს დანუსიამ ორივე, ხოლო როცა ბიჭი ფეხზე წამოდგება, ვიზრუნებთ, ყველაფერი ისე გავაკეთოთ, როგორც წესი და ჩვეულება მოითხოვს. მიტანით კი ახლავე მოუტანოს, რადგან მოულოდნელ სიხარულზე უკეთესი წამალი არ არსებობს!

ქალბატონი ამ სიტყვებზე ქმარს მოურიდებლად მოეხვია და რამდენჯერმე აკოცა ხელზე, მან კი ადრინდელი ღიმილი არ ჩამოიშორა და ისე უთხრა:

– კარგი რამე მოიფიქრე! ესე იგი, სულიწმინდას ერთი ნამცეცი ჭკუა დედაკაცისთვისაც არ დაუზოგავს! აბა, ახლა დანუსიას დაუძახე!

– დანუსკა! დანუსკა! – გასძახა ქალბატონმა.

ერთი წუთის მერე გვერდითი ოთახის კარში გამოჩნდა უძილობისაგან თვალებდაწითლებული დანუსია; ხელში ქაფქაფა ფაფით სავსე ჯამი ეკავა; ამ ფაფით, ამ წუთას რომ შემოუტანა მოხუცმა მსახურმა ქალმა, ქსონძი ვიშონეკი ზბიშკოს საფენს ადებდა დამტვრეულ ძვლებზე.

– მოდი ჩემთან, ობოლო გოგო! – უთხრა მთავარმა იანუშმა, – დადგი ჯამი და მომიახლოვდი.

დანუსია მოკრძალებით მიუახლოვდა „ხელმწიფეს“, რადგან ცოტ-ცოტა ყოველთვის ეშინოდა მისი, მთავარმა კი ალერსიანად მიიზიდა გოგონა და სახეზე მოეფერა, თან ეუბნებოდა:

– რაო, შვილო, უბედურება დაგატყდა თავს?

– დამატყდა და მერე როგორი? – უპასუხა დანუსიამ.

მას გულზე სევდა ჰქონდა შემოწოლილი და ცრემლები ყოველ წუთს შეიძლებოდა დასდენოდა თვალთაგან. აი, ახლაც ატირდა გოგო, ოღონდ სულ წყნარად, რომ მთავარი არ განერისხებინა. მთავარმა ისევ ჰკითხა:

– რატომ ტირი?

– ზბიშკო ავადაა, - უპასუხა და თვალებში მუშტები ამოისვა.

– ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, ხომ ასეა, მამაო ვიშონეკ?

– ეჰ, ღმერთიც ინებებს და კუბოს მაგივრად მალე ქორწილში ვნახავთ ბიჭს, – უპასუხა კეთილმა ქსონძმა ვიშონეკმა.

მთავარმა კი თქვა:

– მოიცადე, მე შენ ისეთ წამალს მოგცემ, რომ ერთბაშად შეუმსუბუქებს სატკივარს, ან იქნებ სულაც გამოაჯანმრთელოს.

– ჯვაროსნებმა გამოგზავნეს მალამო? – ცოცხლად იკითხა გოგონამ და თვალებიდან ხელები მოიშორა.

– ჯვაროსნები რომ მალამოს გამოგიგზავნიან, ის შეყვარებულ რაინდს კი არა, ძაღლს ახმარე. არა, მე სულ სხვა წამალს მოგცემ.

მერე კარისკაცებს მიუბრუნდა და შესძახა:

– ჩაირბინეთ რომელიმემ საწყობში და დეზები და ქამარი ამომიტანეთ, ცოცხლად!

ერთი წუთის მერე, როცა ორივე მიართვეს მთავარს, მან დანუსიას უთხრა:

– წაუღე, აი ეს ზბიშკოს და უთხარი, რომ ის დღეიდან ქამრიანი რაინდია. თუ მოკვდება, ღვთის წინაშე წარსდგება როგორც miles cinctus[20], თუ იცოცხლებს და, კურთხევის ცერემონიალს ცეხანოვში ან ვარშავაში დავასრულებთ.

დანუსკა ამის გაგონებაზე ჯერ ფეხებში ჩაუვარდა მთავარს, მერე ერთი ხელი რაინდის ნიშნებს ჩაავლო, მეორე – ჯამს და ეცა ოთახს, სადაც ზბიშკო იწვა. ქალბატონს უნდოდა ენახა, როგორ გაიხარებდნენ ბავშვები და დანუსიას გაჰყვა.

ზბიშკო მძიმე ავადმყოფი იყო, მაგრამ დანუსია რომ დაინახა, გაფითრებული სახე მისკენ მოატრიალა და ჰკითხა:

– ჩეხი ხომ არ მობრუნებულა, ჩემო სინათლევ?

– ჩეხი ნეტავ რაში გენაღვლება! – უპასუხა ქალიშვილმა, – მე უკეთესი ახალი ამბავი მოგიტანე. მთავარმა რაინდად გაკურთხა და, აი, რა გამოგიგზავნა.

ეს უთხრა და ზბიშკოს საწოლთან ქამარი და დეზები დაუწყო. სიხარულისა და გაოცებისაგან ზბიშკოს გაფითრებული ლოყები წამოენთო; ჯერ დანუსიას შეხედა, მერე მზერა რაინდულ ნიშნებზე გადაიტანა, თვალები დახუჭა და რამდენჯერმე გაიმეორა:

– ნუთუ რაინდად მაკურთხა?

ამ დროს ქალბატონი შემოვიდა. ზბიშკო მაშინვე მიხვდა, ვისაც უნდა უმადლოდეს ასეთ ბედნიერებას. იდაყვებზე წამოიწია და მადლობა გადაუხადა მოწყალეთა მოწყალე ქალბატონს, თანაც ებოდიშებოდა, ფეხებში ჩავარდნა არ შემიძლიაო. ქალბატონმა უბრძანა წყნარად წოლილიყო, მერე დანუსიას თვითონვე მოეხმარა და ზბიშკოს თავი ბალიშზე დაადებინეს. ამასობაში მთავარიც შემოვიდა. მას თან ახლდნენ ქსონძი ვიშონეკი, მროკოტა და ამალის რამდენიმე წევრი. მთავარმა იანუშმა შორიდანვე ანიშნა ზბიშკოს, არ გაინძრეო, მერე ახლოს მიუჯდა და, აი, რა უთხრა:

– როცა ჯილდოს მამაცი და თავდადებული ადამიანი მიიღებს, ნურავის გაუკვირდება, რადგან სიმამაცე თუ დაუჯილდოებელი დარჩება, მაშინ ბოროტებაც დაუსჯელად იბოგინებდა ამქვეყნად. შენ შენი სიცოცხლე და ჯანმრთელობა არ დაიშურე და მძიმე განსაცდელი აგვაცდინე, ამისათვის

[20] ქამრიანი მებრძოლი (ლათ.)

ნებას გრთავ, შემოირტყა რაინდული ქამარი და დღეიდან სულ დიდებითა და პატივით მოსილი ვიდოდე!

– დიდებულო მთავარო! – უპასუხა ზბიშკომ, – ათი სიცოცხლე რომ მქონდეს, მზადა ვარ არც ერთი არ დავზოგო...

მღელვარებისაგან სხვა ვერაფერი თქვა, ქალბატონმაც ხელი მიაფარა ბაგეებზე, რადგან იცოდა, ქსონძი ვიშონეკი ლაპარაკის ნებას არ აძლევდა. მთავარმა კი განაგრძო:

– ვფიქრობ, იცი რაინდის მოვალეობა და ღირსეულად ატარებ ამ ნიშნებს. სიმართლითა და მთელი რწმენით უნდა ემსახურო ჩვენს მხსნელს და ებრძოლო კაცთა მოდგმის მტრებს, არ უნდა უღალატო მირონცხებულ ხელმწიფეს, უნდა გაურბოდე უსამართლო ომს, დაიცვა დაჩაგრული უმანკოება. დაე, იყოს შენი მფარველი უფალი ღმერთი და ვნებანი ქრისტესი!

– ამინ! – წარმოთქვა ქსონძმა ვიშონეკმა.

მთავარი წამოდგა, პირჯვარი გადასახა ზბიშკოს და წასვლისას თქვა:

– რომ მომჯობინდები, პირდაპირ ცეხანოვში ჩამოდი, იურანდსაც იქ გამოვიძახებ.

XI

სამი დღის შემდეგ ჯვაროსნების გამოგზავნილი ქალი ჩამოვიდა და ჰერცინის მალამო ჩამოიტანა. ქალს თან ახლდა შჩიტნოს მშვილდოსანთა კაპიტანი ბერების ხელმოწერილი და დანველდის ბეჭედდასმული წერილით; წერილში ცასა და დედამიწას იხმობდნენ მოწმედ იმ წყენისა, რაც მათ მაზოვიაში მიაყენეს, „ღვთის რისხვით“ იმუქრებოდნენ, თუ სათანადოდ არ დაისჯებოდა მათი „საყვარელი მეგობრისა და სტუმრის“ მკვლელი. დანველდი საკუთრივ თავის სახელით მოითხოვდა ჩეხი მსახურის სიკვდილით დასჯას. მთავარმა კაპიტნის თვალწინ გადახია წერილი, ფეხებში მიუყარა და უთხრა:

– მაგისტრმა ეგ ტევტონელი ძაღლები ჩემთან შეწყალების სათხოვნელად გამოაგზავნა, სინამდვილეში კი მხოლოდ რისხვა დაიმსახურეს. გადაეცით მათ ჩემი სახელით, რომ თვითონ მოკლეს თავიანთი სტუმარი და ზედ საჭურველმტვირთველის მიყოლებაც უნდოდათ, რომ მე ყველაფერს, მივწერ მაგისტრს და ამასაც დავურთავ: თუ მას სურს კრაკოვთან ომის შემ-

თხვევაში იქაური მეფის მხარე არ დავიჭირო და განზე გავდგე, ელჩებად სხვები შეარჩიოს.

– დიდებულო მთავარო, – ჰკითხა კაპიტანმა, – მხოლოდ ეგ პასუხი უნდა ჩავუტანო მძლავრსა და ღვთისმოსავ ძმებს?

– თუ ეგ გეცოტავება, მაშინ დაუმატე, რომ ისინი ჩემს თვალში ჭეშმარიტი რაინდები კი არა, ძაღლიშვილები არიან.

ამაზე აუდიენცია შეწყდა. კაპიტანი წავიდა. მთავარი იმავე დღეს გაემგზავრა ცეხანოვში. დარჩა მხოლოდ მალამოს ჩამომტანი „მოწყალების და“. ქსონძმა ვიშონეკმა ზბიშკო! მალამო არ ახმარა, ვერ ენდო მას, მით უმეტეს, რომ ავადმყოფს გასულ ღამეს უკვე კარგად ეძინა და დილით, თუმცა თავს სუსტად გრძნობდა, სიცხე მაინც განელებული ჰქონდა. მთავრის გამგზავრებისთანავე „მოწყალების დამ“ ერთი თავისი მსახური სასწრაფოდ გაგზავნა, ვითომც ახალი მალამოს – ბაზილიკის კვერცხის ჩამოსატანად ირწმუნებოდა, ის მალამო მომაკვდავსაც კი გამოაბრუნებსო, თვითონ კი მიდი-მოდიოდა მთავრის სახლში; ძალზე მორჩილად იქცეოდა, ცალი ხელი წართმეული ჰქონდა, საერო ტანისამოსი ეცვა, მაგრამ მონაზვნისას ჩამოჰგავდა კრიალოსნითა და ქამარში გამობმული მლოცვარის გოგრით. პოლონურად კარგად ლაპარაკობდა და მსახურებში სულ ზბიშკოსა და დანუსიას ამბებს კითხულობდა, ერთხელ გოგონას იერექონის ვარდიც აჩუქა. მეორე დღეს, როცა ზბიშკოს ეძინა, დანუსია კი სასადილო ოთახში იჯდა, „მოწყალების და“ მიუჩოჩდა მას და უთხრა:

– ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, პატარა ქალბატონო. წუხელ ღამით მესიზმრა, თითქოს. ქარბუქში თქვენკენ ორი რაინდი მოისწრაფოდა, ერთი უფრო ადრე მოვიდა და თეთრ ლაბადაში გაგახვიათ, მეორემ კი თქვა: „მე მხოლოდ თოვლს ვხედავ, ქალს კი ვერაო“, – და უკან გაბრუნდა.

დანუსიას თვალები ელულებოდა, მაგრამ ამის გაგონებაზე გაახილა ცისფერი ცნობისმოყვარე თვალები და ჰკითხა:

– ეს რას ნიშნავს?

– ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ იმისი გახდებით, ვისაც ყველაზე მეტად უყვარხართ.

– ეს ზბიშკოა! – შესძახა ქალიშვილმა.

– არ ვიცი, სახე არ დამინახავს, მარტო თეთრი ლაბადა ვნახე, მალე მუხლების ტკივილმა გამომაღვიძა. ქრისტე ღმერთის წყალობით ყოველღამე მუხლებში მამტვრევს, ხელი კი მისი ნებით სულაც წამერთვა.

– მერე რატომ თქვენი მალამო არ გიშველით?

– ვერ მიშველის მალამო, ქალბატონო, რადგან მძიმე ცოდვის გამო ვარ დასჯილი. თუ გნებავთ იცოდეთ, რა ცოდვაა ასეთი, მოგიყვებით.

დანუსიამ თავი დაუქნია და „მოწყალების დაც“ შეუდგა თხრობას:

– ორდენში მორჩილებიც არიან და ისეთი ქალებიც, რომლებიც აღთქმას არ იძლევიან და გათხოვებაც შეუძლიათ, მაგრამ ბერებს უფლება აქვთ მათ საკანონო დაუწესონ. ვინც ასეთ პატივსა და კურთხევას დაიმსახურებს, რაინდი ბერისაგან მიიღებს უბიწო კოცნას ნიშნად იმისა, რომ დღეიდან ის ვალდებულია ემსახუროს ორდენს სიტყვითა და საქმით. ეჰ, ქალბატონო, მეც მელოდა ეს დიდებული პატივი, მაგრამ მე ცოდვილმა და დაბრმავებულმა იმის მაგივრად, ეს კოცნა მადლიერებით მიმეღო, მძიმე ცოდვა ჩავიდინე და ღვთის რისხვა დავიმსახურე.

– რა ჩაიდინეთ ასეთი?

– ბერი დანველდი მომიახლოვდა და უბიწო კოცნა მომიძღვნა, მე კი ვიფიქრე, ეს უსაქციელობაა-მეთქი, გავკადნიერდი და ხელი აღვმართე მასზე...

– ქალი მოჰყვა გულში მჯიღის ცემას და რამდენჯერმე გაიმეორა:

– ღმერთო, შემიწყალე, მე ცოდვილი!

– მერე რა მოხდა? – ჰკითხა დანუსიამ.

– წამსვე წამერთვა ეს ხელი და მას შემდეგ ხეიბრად ვიქეც, ყმაწვილი ქალი ვიყავი და უგუნური – რა მესმოდა! – მაგრამ სასჯელი მაინც მივიღე. ბერმა ცოდვის ჩადენაც რომ მოისურვოს ქალთან, მას უნდა ახსოვდეს, რომ ჯვაროსანი მხოლოდ ღვთის სამსჯავროს ემორჩილება და არ უნდა გაუძალიანდეს – ვინც ორდენს ან ჯვაროსანს აღუდგება, ღვთის რისხვა არ ასცდება...

თავზარდაცემული და ზიზღმორეული უსმენდა დანუსია ამ სიტყვებს, დედაკაცი კი განაგრძობდა ოხვრასა და წუწუნს:

– მე ახლაც არა ვარ მოხუცებული, – ამბობდა ის, – სულ რაღაც ოცდაათი წლისა გახლავართ, მაგრამ ღმერთმა ხელთან ერთად ახალგაზრდობაც და სილამაზეც წამართვა.

– აი, ეგ ხელი, თორემ სხვა არაფერი გექნებოდათ საწუწუნო...

სიჩუმე ჩამოვარდა. უცებ ქალმა, გეგონებოდათ, რაღაც გაახსენდაო, უთხრა:

– მესიზმრა, რომ ვიღაც რაინდმა თეთრ ლაბადაში გამოგახვიათ. იქნებ ჯვაროსანი იყო! იმათაც თეთრი ლაბადები აცვიათ.

– არც ჯვაროსნები მინდა და არც იმათი ლაბადები, – მოუჭრა ქალიშვილმა.

შემდგომი საუბარი ქსონძმა ვიშონეკმა შეაწყვეტინათ, ის სასადილოში შევიდა, დანუსია მიიხმო და უთხრა:

– ღმერთს მადლობა შესწირე და ზბიშკოსთან წამოდი! გაიღვიძა და საჭმელი მოითხოვა. გაცილებით უკეთ გრძნობს თავს.

მართლაც ზბიშკო შესამჩნევად გამომჯობინდა და ქსონძ, ვიშონეკს ეჭვიც აღარ ეპარებოდა, რომ ჭაბუკი მორჩებოდა; მაგრამ მოულოდნელმა ამბავმა ყველა იმედი და განზრახვა არივდარია. ქალბატონთან იურანდის გამოგზავნილი კაცები ჩამოვიდნენ და წერილი ჩამოიტანეს, რომელიც საშინელ ამბებს იუწყებოდა. სპიხოვში ხანძარი გაჩენილიყო, დაბის ნაწილი დამწვარიყო; ხანძრის ჩაქრობის დროს იურანდს ცეცხლმოდებული ბოძი დასცემოდა. მართალია, ქსონძი კალები, ვისი ხელითაც წერილი იყო დაწერილი, იტყობინებოდა, გამობრუნების იმედი არ დამიკარგავსო, მაგრამ ნაკვერჩხლებმა და ნაპერწკლებმა იურანდს თითქმის სულ ამოუწვა ერთადერთი ჯანსაღი თვალი, ძალზე ცუდად ხედავს და უეჭველად სიბრმავე ელისო.

იურანდი სთხოვდა ქალიშვილს, სასწრაფოდ წასულიყო სპიხოვში, შენი ნახვა მინდა მოვასწრო, სანამ ოდნავ მაინც შემრჩენია თვალში სინათლეო. ის იტყობინებოდა აგრეთვე, რომ შვილი ამის შემდეგ ჩემთან უნდა დარჩეს საცხოვრებლად, რადგან მოწყალების მთხოვნელ ყველა უსინათლოს ჰყავს თავისი გამყოლი, რომელიც ხელს მოჰკიდებს და გზას უჩვენებს, მე რატომღა უნდა ვიყო ამ უკანასკნელი იმედის გარეშე და უცხოთა შორის ამომხდესო სული? წერილში იურანდი უმორჩილეს მადლობას სწირავდა ქალბატონს, რადგან მან დედის მაგივრობა გაუწია ქალიშვილს, და ბოლოს ჰპირდებოდა, კიდეც რომ დავბრმავდე, ვარშავაში მაინც ჩამოვალ, ფეხებში ჩაგივარდებით და შეგღაღადებთ, კვლავაც არ მოაკლოთ დანუსიას თქვენი წყალობაო.

როცა მამაო ვიშონეკმა ქალბატონს ეს წერილი წაუკითხა, ის ერთხანს მეხდაცემულივით იდგა. მომავალ დღესასწაულებზე ხომ იურანდის ჩამოსვლას ელოდა. იურანდი წელიწადში ხუთჯერ-ექვსჯერ მაინც მოინახულებდა ხოლმე თავის შვილს. ქალბატონი იმაზეღა ფიქრობდა, როგორ გამოეყენებინათ მას და მთავარს მთელი თავიანთი გავლენა, გაეტეხათ იურანდი

და დაეყოლიებინათ ახლო მომავალში დანუსიასა და ზბიშკოს დაქორწინებაზე. ეს წერილი, გარდა იმისა, რომ ყველა განზრახვას უფუშავდა მას, ართმევდა დანუსიასაც, რომელიც ღვიძლი შვილივით უყვარდა. უცებ ისიც გაიფიქრა, ახლა იურანდი ქალიშვილს რომელიმე თავის მეზობელს მიათხოვებს, რომ დარჩენილი დღეები თავისიანებში გალიოსო. ზბიშკოს სპიხოვში წასვლაზე ჯერ ოცნებაც არ შეიძლებოდა, ნეკნი ის-ის იყო უხორცდებოდა, ესეც არ ყოფილიყო, ვინ იცის, როგორ შეხვდებოდნენ სპიხოვში. ქალბატონმა იცოდა, რომ იურანდმა ერთხელ უკვე უთხრა უარი ვაჟს, და თვითონ მასაც აუხსნა, მაქვს იდუმალი მიზეზი, რის გამოც ვერასოდეს დავთანხმდები ჩემი ქალიშვილისა და ზბიშკოს შეუღლებაზეო. დამწუხრებულმა ქალბატონმა ბრძანა, ჩამოსული მსახურებიდან უფროსი შემოეყვანათ, უნდოდა დაწვრილებით გამოეკითხა სპიხოვის უბედურების ამბავი და გაეგო იურანდის განზრახვები.

ქალბატონი ძალზე გაოცდა, როდესაც მასთან გამოცხადდა არა იურანდის საჭურველმტვირთველი მოხუცი ტოლიმა, მუდამ რომ თან ახლდა იურანდს, არამედ მისთვის სრულიად უცნობი კაცი. მაგრამ მსახურმა მოახსენა, გერმანელებთან ბოლო შეტაკების დროს ტოლიმა მძიმედ დაასახიჩრეს და ახლა სიკვდილის პირზეა, ლოგინს მიჯაჭვული იურანდი კი ქალიშვილს სთხოვს, რაც შეიძლება მალე დაბრუნდეს შინ, რადგან მხედველობა წუთი-წუთზე უფუჭდება და იქნებ რამდენიმე დღეში სულაც დაბრმავდესო. მსახური დაბეჯითებით ითხოვდა, ახლავე გაგვატანეთ ქალიშვილი, როგორც კი ცხენები დაისვენებენო; მაგრამ უკვე ბინდი ჩამოწვა და ქალბატონმა უარი სტკიცა. ასე სწრაფად რომ გაეშვა, მასაც, დანუსიასაც და ზბიშკოსაც გულები დაუსკდებოდათ.

ზბიშკოს უკვე ყველაფერი უთხრეს და მეხდაცემულივით იწვა ოთახში, როცა ქალბატონი შემოვიდა და ხელების მტვრევით კარებიდანვე შესძახა: „რას ვიზამთ, მამაა!“ – მან ნახმევივით გაიმეორა: „რას ვიზამთ“, და თვალები დახუჭა სიკვდილის პირზე მიმდგარი კაცივით.

მაგრამ სიკვდილი არ მოვიდა, გული კი იფლითებოდა დარდისა და ნაღველისაგან, გეგონებოდათ, ქარიშხალი ერეკებაო ტვინისაკენ ღრუბელივით შავ ფიქრებს. ეს ფიქრები აბნელებდნენ მზის სინათლეს და ახშობდნენ ამქვეყნად ყველა სიხარულს. ქალბატონისა არ იყოს, ზბიშკოსაც კარგად ესმოდა, რომ თუ დანუსია სპიხოვს გაემგზავრებოდა, მისთვის უკვე დაკარგული იყო. აქ მას ყველა თანაუგრძნობდა, იქ კი იურანდს, თუ არ მოესურვებოდა, შეეძლო არც მიეღო, არც მოესმინა, მით უმეტეს, თუ მას ხელფეხს უბორკავდა აღთქმა ან საეკლესიო აღთქმაზე არანაკლებ მნიშვნელო-

ვანი სხვა რამ იდუმალი მიზეზი. ესეც არ იყოს, სად შეეძლო სპიხოვში წასვლა, ლოგინში ძლივს ინძრეოდა კაცი. რამდენიმე დღის წინ, როცა მთავარმა ოქროს დეზები და რაინდის ქამარი უბოძა, ეგონა სიხარული ძალას შემატებდა, ავადმყოფობას უფრო ადვილად მოერეოდა. მთელი სულითა და გულით ლოცულობდა, მალე წამომდგარიყო სარეცლიდან და ჯვაროსნებს შებმოდა. ახლა კი კვლავ დაკარგა ყოველგვარი იმედი. გრძნობდა, თუ დანუსია გვერდით არ ეყოლებოდა, სიცოცხლის სურვილიც დაეკარგებოდა, სიკვდილთან ბრძოლის ძალ-ღონე გამოეცლებოდა. მოვა ხვალინდელი დღე, ზეგინდელი, ბოლოს დადგება ნათლიღების წინა ღამე და შობა, ისევ ადრინდულებ ეტკიება ძვლები და ადრინდულებ სუსტად იქნება, მაგრამ ვეღარ ეღირსება იმ ციალის დანახვას, რომელიც მის საწოლს დანუსიას შემოსვლაზე მოეფინება ხოლმე, ვეღარ გაიხარებენ თვალნი მისნი ქალის ხილვით. რა ტკბილი იყო, როცა დღეში რამდენჯერმე შეეკითხებოდა: „გიყვარვარ თუ არა?“ და მერე უყურებდა, როგორ დარცხვენით აიფარებდა ხელებს მოციმციმე თვალებზე ან დაიხრებოდა ახლოს და ეტყოდა: „აბა სხვა ვინ უნდა მიყვარდეს?“ ახლა მასთან რჩება მხოლოდ ავადმყოფობა, რჩება ტანჯვა და დარდი, ბედნიერება კი სტოვებს - და აღარც დაუბრუნდება.

ზბიშკოს ცრემლები აუბრწყინდა თვალებზე, მერე ლოყებზე ჩამოუგორდა; ის ანა დანუტას მიუბრუნდა და უთხრა:

– მოწყალეო ქალბატონო, გული მიგრძნობს, რომ ვერასოდეს ვიხილავ დანუსიას.

თვითონაც გულდამძიმებული ქალბატონი გამოეპასუხა:

– დარდით რომ სული გაგძვრომოდა, არც ის გამიკვირდებოდა, მაგრამ ღმერთია მოწყალე.

უნდოდა ოდნავ მაინც დაემშვიდებინა და ერთი წუთის შემდეგ დაუმატა:

– ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, მაგრამ, თუ იურანდი შენზე ადრე გარდაიცვლება, მე და მთავარი მეურვეები გავხდებით და მაშინვე გაგატანთ დანუსიას.

– ეჰ, სად ვუცადო მის სიკვდილს! – შეეკამათა ზბიშკო.

თუმცა ამ დროს ახალმა აზრმა გაუელვა, წამოიწია, ლოგინზე წამოჯდა და შეცვლილი ხმით თქვა:

– მოწყალეო ქალბატონო...

მაგრამ სიტყვა შეაწყვეტინა დანუსიამ, რომელიც ცრემლმორეული შემოვარდა ოთახში და კარებიდანვე დაიძახა:

– შენ უკვე იცი, ზბიშკო! როგორ მეცოდება მამა, მაგრამ შენც მეცოდები, საბრალოვ!

ის მიუახლოვდა ჭაბუკის საწოლს. ვაჟმა შემოჰხვია ცალი ხელი თავის სატრფოს და უთხრა:

– როგორ უნდა ვიცოცხლო უშენოდ, ჩემო სიყვარულო? განა ამისთვის მოვფრინავდი შენკენ, გადმოვლახე ტყეები და მდინარეები, განა ამისთვის შემოგფიცე სამუდამო სამსახური, რომ ახლა დამეკარგე? ეჰ, არას მიშველის არც სიბრალული და არც ცრემლები, არას მიშველის თვით სიკვდილი; საუკუნის მკვდარიც რომ ვიყო, ჩემი სული მაინც არ დაგივიწყებს არც იესო ქრისტეს დარბაზებში და არც მამაღმერთის სადგომებში... და იცი, რას გეტყვი: რაღაც უნდა მოვიფიქროთ, სხვაგვარად ჩვენი სიცოცხლე წარმოუდგენელია! ძვლები მამტვრევს და საშინელ წამებას ვუძლებ, შენ მაინც ჩაუვარდი ფეხებში ქალბატონს და წყალობა სთხოვე.

დანუსია მაშინვე დაეცა ქალბატონის ფეხებთან, ხელები შემოაჭდო და აწითლებული სახე მისი კაბის მძიმე ნაოჭებში ჩამალა, ხოლო ქალბატონმა სიბრალულით სავსე, მაგრამ გაოცებული თვალები ზბიშკოს მიაპყრო.

– რით შემიძლია დაგეხმაროთ? – ჰკითხა მან, – მამასთან ღვიძლი შვილი არ გავუშვა? ამითი ხომ ღმერთს გავარისხებ.

ზბიშკო, რომელიც ის იყო წამოიწია საწოლში, ისევ დაეშვა ბალიშზე და ერთხანს არაფერი უპასუხია, რადგან სუნთქვა შეეკრა. მერე ნება-ნება დაიწყო მკერდზე ხელები, როგორც სალოცავად ემზადებიან ხოლმე.

– იყუჩე, – უთხრა მას ქალბატონმა, – და მერე მითხარი, რა გინდა, შენ კი დანუსია, ადექი ფეხზე.

– მუხლებზე ხელი შეუშვი, მაგრამ არ ადგე და ჩემთან ერთად სთხოვე, – უთხრა ზბიშკომ.

მერე კი განაგრძო უღონოდ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად:

– მოწყალეო ქალბატონო... კრაკოვში მე იურანდმა უარი მითხრა... ახლაც უარს მეტყვის, მაგრამ ქსონძ ვიშონეკს რომ ჯვარი დაეწერა ჩვენთვის, მერე თუნდაც წავიდეს სპიხოვში, მაინც ვეღარავინ წამართმევს მის თავს...

ეს ისეთი მოულოდნელი იყო, რომ ქალბატონი ფეხზეც კი წამოხტა, მერე ისევ დაჯდა და გაოგნებულმა იკითხა:

– ქსონძმა ვიშონეკმა?

– მოწყალეო ქალბატონო! მოწყალეო ქალბატონო!.. – ემუდარებოდა ზბიშკო.

– მოწყალეო ქალბატონო! აჰყვა მას დანუსია და ისევ მოეხვია მუხლებ-ზე.

– როგორ იქნება მშობლის დაულოცავად...

– ღვთის კანონები უფრო ძლიერია! – პასუხობდა ზბიშკო.

– ღვთისა არ გეშინიათ?

– განა მთავარი მამაზე უკეთესი მამა არ არის? განა ვინ არის თქვენზე უკეთესი დედა, მოწყალეო ქალბატონო?

– მოწყალეო დედიკო!

– ეგ მართალია, რომ მე ვიყავი და ახლაც ვარ დანუსიასთვის ღვიძლი დედა, – თქვა ქალბატონმა, – იურანდსაც მე დავწერე ჯვარი. სწორია, თქვენ რომ ჯვარი დაგეწერათ, ყველაფერი გათავდებოდა. იქნებ იურანდი გაბრა-ზებულიყო კიდეც, მაგრამ ისიც მოვალეა დაემორჩილოს მთავარს, თავის ბატონს. შეიძლებოდა სულაც არაფერი გეთქვა მისთვის, სანამ სხვაზე არ დაუპირებდა დანუსიას გათხოვებას, ანდა მონასტერში გაგზავნას... აღ-თქმაც რომ ჰქონდეს მიცემული, ცოდვა მაინც მას არ მოეკითხება. აბა ღვთის ნებას წინ ვინ აღუდგება... ღმერთო, იქნებ ასეთი იყოს ნება შენი!

– სხვაგვარად წარმოუდგენელია! – შესძახა ზბიშკომ.

მაგრამ ქალბატონი ჯერ ვერ მოსულიყო გონს:

– მაცალეთ, მომაფიქრებინეთ რამე... მთავარი რომ აქ იყოს, მივიდო-დი, რჩევას ვკითხავდი, მაქვს თუ არა უფლება დანუსია გავათხოვო-მეთქი... უიმისოდ მეშინია... გული საგულეს აღარა მაქვს, დრო კი არ იცდის, – ხვალ უკვე უნდა გაემგზავროს... ღმერთო ჩემო! წავიდოდა ჯვარდაწერილი და ყველაფერი კარგად იქნებოდა. მაგრამ გონი ვერ მომიკრებია და რაღაც ში-შიც მიტანს. განა შენ არ გეშინია, დანუსკა, თქვი ჩქარა?

– თუ ეს არ მოხდება, მე მოვკვდები! – გააწყვეტინა ზბიშკომ.

დანუსია კი წამოდგა და მაგრად მოეხვია კისერზე კეთილ ქალბატონს, რომლისგანაც უარი არ ახსოვდა, ისეთი განებივრებული იყო.

– მამაო ვიშონეკის გარეშე, – თქვა ქალბატონმა, – მე მაინც ვერაფერს გადავწყვეტ. გაიქეცი, ჩქარა, და აქ მოიყვანე!

დანუსია გავარდა მამაო ვიშონეკის მოსაყვანად, ზბიშკომ კი ქალბატონისაკენ მოაბრუნა გაფითრებული სახე და უთხრა:

– რაც მიწერია, არ ამცდება, მაგრამ ამ სიხარულისათვის ღმერთმა გადაგიხადოთ, მოწყალეო ქალბატონო.

– ჯერ ნუ მლოცავ, – გააჩერა ანა დანუტამ, – ჯერ არ ვიცით, რა მოხდება. შენ კი პატიოსანი სიტყვა უნდა მომცე, რომ ჯვრისწერის მერე მაშინვე გაუშვებ დანუსიას მამასთან. ღმერთმა ნუ ქნას, რომ მამის წყევლა დაიმსახუროთ.

– პატიოსნებას გეფიცებით! – უთხრა ზბიშკომ.

– მაშ გახსოვდეს! იურანდს კი დანუსია ჯერჯერობით ნურაფერს ეტყვის. მეხს ნუ დასცემს. მერე ცეხანოვიდან კაცს გავუგზავნით, მოვიპატიჟებთ დანუსიასთან ერთად და მაშინ მე თვითონ გავუტყდები ან მთავარს ვათქმევინებ. როცა დაინახავს, მეტი გზა არა აქვს, დაგვთანხმდება. ცუდი. თვალით ხომ არ გიყურებდა?

– არა, – უპასუხა ზბიშკომ, – რას ამბობთ. გულში იქნებ კიდევაც გაუხარდეს, დანუსია რომ ჩემი ცოლი გახდება. კაცმა რომ თქვას, აღთქმაც თუ აქვს მიცემული, ცოდვა მას არ მოეკითხება.

ქსონძი ვიშონეკი და დანუსია შემოვიდნენ და ლაპარაკი შეწყდა. ქალბატონი მაშინვე მოეთათბირა ქსონძს; მან გულმხურვალედ გადასცა ზბიშკოს თხოვნა, მაგრამ პირველსავე სიტყვებზე ქსონძმა პირჯვარი გადაისახა და თქვა:

– სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმინდისა! სად გაგონილა! ახლა ხომ საშობაო მარხვაა?

– ღმერთო ჩემო! მართლა მარხვაა! – შესძახა ქალბატონმა.

სიჩუმე ჩამოვარდა; ქალბატონის, ზბიშკოსა და დანუსიას შეწუხებული სახეების შეხედვაც კმაროდა, რომ მიხვედრილიყავით, რა ზარი დასცა მათ მამაო ვიშონეკის სიტყვებმა.

– ისე მებრალებით, ნებართვა რომ მქონოდა, წინააღმდეგობას აღარ გაგიწევდით. იურანდის თანხმობასაც აღარ მოგთხოვდით, რაკი თქვენ ნებას მრთავთ და მთავრის თანხმობასაც თავდებობთ, თქვენ და მთავარი ხომ მაზოვიელთა დედა და მამა ბრძანდებით. მაგრამ ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე არ შემიძლია. ეპისკოპოსი იაკუბ კურდვანოველი რომ აქ იყოს, იქნებ უფლება მოეცა, თუმცა ძალზე პირქუშია, თავის წინამორბედს, ეპის-

კოპოს მამფიოლუსს კი არა ჰგავს, ყველაფერზე რომ „bene!“ „bene!“-ს[21] იძახდა.

– ეპისკოპოს იაკუბ კურდვანოველს ძალიან ვუყვარვართ მთავარიცა და მეც, – თქვა ქალბატონმა.

– ჰოდა, მეც იმას ვამბობ, უარს არ გვეტყოდა-მეთქი, მით უმეტეს, რომ ასეთი მიზეზი გვაქვს... საცოლე წასასვლელია საქმრო კი ავადაა. შესაძლოა მოკვდეს... ჰმ! in articulo mortis[22]... მაგრამ ნებართვის გარეშე არ იქნება...

– მერე რომ მეთხოვა ნებართვა ეპისკოპოს იაკუბისათვის, როგორი პირქუშიც არ უნდა იყოს, მე უარს არ მეტყოდა... სიტყვას გაძლევთ, უარს არ მეტყოდა.

ქსონძმა ვიშონეკმა, ამ ძალზე კეთილმა და გულჩვილმა კაცმა, ასე უპასუხა:

– მირონცხებული ქალის სიტყვა დიდებული სიტყვაა... მართალია, მეშინია ეპისკოპოსისა, მაგრამ თქვენი სიტყვა... დიდებული სიტყვაა! საქმროსაც რომ აღეთქვა პლოცკის კათედრალური ტაძრისათვის რაიმე... არ ვიცი... მაინც ნებართვის მოსვლამდე ცოდვად ჩაითვლება, და ვინმე სხვისი კი არა, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი... ჰმ! დიდია მოწყალება ღვთისა, და როცა ადამიანი საკუთარი სარგებლობისათვის კი არ სჩადის ცოდვას, არამედ კაცთა უბედურებას ამსუბუქებს, ალბათ უფრო ადვილად მიუტევებს! ცოდვა კი უეჭველად იქნება... აბა, ერთიც ვნახოთ და ეპისკოპოსი გაჯიუტდა, ვინ მომიტევებს მაშინ მე?

– არ გაჯიუტდება ეპისკოპოსი! – შესძახა ქალბატონმა.

– სანდერუსს, – თქვა ზბიშკომ, – აი, იმ კაცს, ჩემთან ერთად რომ ჩამოვიდა, ყველანაირი ცოდვის მზა მისატევებლები აქვს.

ქსონძ ვიშონეკს დიდად იქნებ არც სწამდა სანდერუსის ინდულგენციებისა, მაგრამ ხელჩასაჭიდი რომ რაღაც იპოვა, მაინც გაუხარდა, ოღონდ კი ზბიშკოსა და დანუსიას დახმარებოდა. გოგონას ხომ პატარაობიდანვე იცნობდა და ძალიანაც უყვარდა. დიდი-დიდი მისთვის რაიმე მოსანანიებელი სასჯელი დაედოთ, სხვა რა უნდა მომხდარიყო, – ეს რომ იფიქრა, ქალბატონს მიმართა:

---

[21] კეთილი კეთილი! (ლათ.)

[22] სიკვდილის შემთხვევაში (ლათ.).

– მართალია, ღმერთს ვემსახურები, მაგრამ მთავრის მსახურიცა ვარ, მიბრძანეთ, მოწყალეო ქალბატონო, როგორ მოვიქცე?

– მე არ მსურს გიბრძანოთ, ვამჯობინებ გთხოვოთ, – შეედავა ქალბატონი. – თუ სანდერუსს მართლაც აქვს მისატევებლები...

– სანდერუსს ისინი აქვს. მაგრამ აი, ეპისკოპოსია საქმე. პლოცკის ტაძარში კანონიკებთან ერთად გამოაქვს ხოლმე ჩვენთვის მკაცრი განაჩენი.

– ეპისკოპოსის დარდი ნუ გექნებათ. გამიგონია, ქსონძებს იარაღის ხმარებას და თვითნებობას უკრძალავსო, სიკეთისათვის კი არ დატუქსავს არავის. მათი ქსონძმა ვიშონეკმა თვალები და ხელები აღაპყრო.

– აღსრულდეს ნება თქვენი.

ამ სიტყვებზე ყველა გამხიარულდა. ზბიშკო ისევ წამოიწია ბალიშებზე, ქალბატონი, დანუსია და მამაო ვიშონეკი საწოლთან ახლოს მოუსხდნენ და „ბჭობა გამართეს“, როგორ მოეწყოთ ყოველივე. გადაწყვიტეს ჯერ საიდუმლო შეენახათ, რომ სახლში არც ერთ სულიერს არაფერი სცოდნოდა; არც იურანდს უნდა შეეტყო რამე, სანამ თვითონ ქალბატონი არ მოუყვებოდა ცეხანოვში. ქსონძ ვიშონეკს წერილი უნდა მიეწერა ქალბატონის სახელით და ეთხოვა, დაუყოვნებლივ წამოსულიყო ცეხანოვში, სადაც მისი ჭრილობებისათვის უკეთესი წამლებიც მოინახებოდა და მარტოობაც ისე აღარ გადაულევდა გულს. ბოლოს გადაწყვიტეს, რომ ზბიშკო და დანუსია აღსარებას იტყოდნენ, გვიან ღამით კი, როცა ყველა დაიძინებდა, მამაო ვიშონეკი მათ ჯვარს დაწერდა.

ზბიშკომ ის იყო იფიქრა, ქორწინების მოწმედ ჩეხ საჭურველმტვირთველს დავუძახებო, მაგრამ გაახსენდა, რომ იაგენკას ნაჩუქარი იყო და გადაიფიქრა. ერთი წამით ცოცხალივით წარმოუდგა თვალწინ იაგნას ალისფერი ლოყები, ნამტირალევი თვალები, ყურში ჩაესმა მისი მღაღადებელი ხმა: „ნუ სჩადი ამას, ნუ გადამიხდი სიკეთეს ბოროტებით, სიყვარულს – სიმწრითა და უბედობით!“ გული საშინელმა სიბრალულმა დაუსერა, იგრძნო, როგორ მძიმე ტკივილს უმზადებდა ქალს. ის ვეღარსად ჰპოვებს დღეის შემდეგ სულის სიმშვიდეს, ვერც ზგოჟელიცის ჭერქვეშ, ვერც უკაცრიელ ტევრში, ვერც გაშლილ ველზე, ვერც აბატის საჩუქრები დაამშვიდებს და ვერც ჩტანისა და ვილკის ტრფიალი. და, აი, როგორ შეეხმიანა გულში: „ღმერთსა ვთხოვ, შენც გაგაბედნიეროს, ჩემო გოგონი, რა ვქნა, ძალა არაფრისა შემწევს, თუმცა მოხარული ვიქნებოდი, ციდან ვარსკვლავები მეწყვიტა შენთვის“. როცა დარწმუნდა, შველა არაფრით შემიძლიაო, ამ აზრმა

მართლაც შეუმსუბუქა სევდა, კვლავ დაუბრუნა სულის სიმშვიდე და ისევ დანუსიასა და ჯვრისწერაზე ფიქრებს მიეცა.

ჩეხის დახმარება მაინც დასჭირდა; გადაწყვიტა განზრახვა დაემალა და დააძახებინა თავისი საჭურველმტვირთველი.

– დღეს მე, – უთხრა ზბიშკომ, – აღსარება უნდა ვთქვა და ზიარება მივიღო, ისე ჩამაცვი, თითქოს მეფის პალატებში მივდიოდე სტუმრად.

ჩეხი შეშინდა და გამომცდელად შეხედა ზბიშკოს. ზბიშკომ გაუგო და უთხრა:

– ნუ გეშინია, განა მარტო სიკვდილის წინ ამბობს ხალხი აღსარებას? დღესასწაულებიც აგერ კარზეა მომდგარი, მამაო ვიშონეკი და ქალბატონი წავლენ ცეხანოვში და პშასნიშის აქეთ ქსონძს ვერ მონახავ.

– განა თქვენ კი არ წახვალთ, თქვენო მოწყალებავ? – ჰკითხა საჭურველმტვირთველმა.

– როცა მოვრჩები წავალ, მაგრამ ვინ იცის, როდის ინებებს ღმერთი.

ჩეხი დამშვიდდა და მიუტანა ბრძოლაში მოპოვებული ოქრომკედით ნაკერი თეთრი ტანსაცმელი, ზბიშკო რომ დღესასწაულებზე იცვამდა ხოლმე, და ლამაზი ფარდაგი ფეხებსა და საწოლზე დასაფარებლად; მერე ორი თურქის დახმარებით წამოსვა ზბიშკო, პირი დაბანა, დავარცხნა, გრძელი თმა ალისფერი თავსაკრავით შეუკონა; თავისი ნახელავი სიამოვნებით შეათვალიერა და ბატონს წითელ ბალიშებზე მიყრდნობაში მიეშველა. ბოლოს უთხრა:

– ცეკვა და წრეში ტრიალი რომ შეგეძლოთ, სულ საქორწილოდ გამოწყობილსა ჰგავხართ, თქვენო მოწყალებავ.

– ალბათ იძულებული ვიქნებოდი ცეკვას შევლეოდი, – ღიმილით უპასუხა ზბიშკომ.

ამ დროს ქალბატონი თავის ოთახში ფიქრობდა, როგორ გამოეწყო დანუსია; ის ქალი იყო და ეს ძალზე მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნდა: აბა ჩვეულებრივი საშინაო კაბით ხო? არ დააყენებდა გვირგვინის ქვეშ თავის საყვარელ აღზრდილს. მოახლეებსაც უთხრეს, ქალიშვილმა აღსარება უნდა თქვას და აუცილებელია თეთრი კაბა ეცვასო, და მათაც მაშინვე იპოვეს ზანდუკში თეთრი კაბა; მაგრამ თავსაბურის საქმე იყო ცუდად. რაღაც გაურკვეველი ნაღველი დაეუფლა ქალბატონს ამის გაფიქრებაზე.

– სად მოგიძებნო, ჩემო ობოლო, ამ ტყეში მარიამსაკმელას გვირგვინი! – დაიწუწუნა მან, – ვერც ყვავილს იპოვი აქ, ვერც ფოთოლს, თოვლის ქვეშ მწვანე ხავსის მეტი არაფერია.

თმაგაშლილი დანუსიაც დანაღვლიანდა იმის გამო, რომ არ ჰქონდა გვირგვინი; მაგრამ ერთი წამის მერე დაანახვა ნეგოს გირლიანდები, რომლითაც ოთახის კედლები იყო მორთული, და უთხრა:

– აი, ამითი მაინც დაგვეწნა გვირგვინი, სხვას ვერაფერს ვიშოვით აქ. ზბიშკო არც ასეთი გვირგვინით იტყვის ჩემზე უარს.

ქალბატონი ჯერ ყოყმანობდა, ავის მომასწავებელი არ იყოსო ეს ყვავილი, მაგრამ ამ სახლში, სადაც მხოლოდ ნადირობის დროს ჩამოდიოდნენ, სხვა არავითარი ყვავილი არ მოიძევებოდა და იძულებული გახდნენ ნეგო ეკმარათ. ამასობაში მოვიდა ქსონძი ვიშონეკი, მას უკვე მიეღო აღსარება ზბიშკოსაგან და ახლა დანუსია წაიყვანა აღსარების სათქმელად; მერე ბნელი ღამე ჩამოწვა. ვახშმის შემდეგ ქალბატონმა მსახურებს უბრძანა დაწოლილიყვნენ. იურანდის გამოგზავნილმა ხალხმაც დაიძინა, ზოგმა სამოახლოში და ზოგმა საჯინიბოში ცხენების გვერდით. სამოახლოებში მალე ჩაქრა სინათლეები და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ძაღლები თუ შეუყეფდნენ ხანდახან მგლებს ტევრის მხარეს.

მაგრამ ქალბატონს, მამაო ვიშონეკსა და ზბიშკოს ისევ ენთოთ სინათლეები და თოვლით დაფარულ ეზოში იქიდან წითელი ანარეკლი ეცემოდა. სამთავეს რაღაც ღელვა და ამასთან დიდებული და მნიშვნელოვანი წუთის მოლოდინი დაუფლებოდა. ფხიზლობდნენ და საკუთარი გულის ცემას ყურს მიუგდებდნენ. შუაღამე რომ გადავიდა, ქალბატონმა მოჰკიდა ხელი დანუსიას და წაიყვანა ზბიშკოს ოთახში, სადაც უკვე ელოდებოდათ მამაო ვიშონეკი ზიარებით.

ბუხარში ცეცხლი გუზგუზებდა და მის ფარფატა სინათლეზე ჭაბუკმა დაინახა უძილობისაგან ფერგამკრთალი დანუსია, თავზე ნეგოს გვირგვინი ედგა, მძიმე, ქსოვილის თეთრი კაბა კოჭებამდე სცემდა, მღელვარებისაგან თვალები ნახევრად დაეხუჭა, ხელები ჩამოცვენოდა, ზბიშკოს ამის დანახვაზე ისე აშკარად გაახსენდა გამოსახულება ტაძრის კედელზე, რომ კიდევაც გაიფიქრა – ხორციელი ქალიშვილი კი არა, უსხეულო სული მომყავსო ცოლად. ეს აზრი კიდევ უფრო მოეძალა, როცა ქალი მუხლებზე დაეცა ზიარების მისაღებად, გულხელი დაიკრიფა, თავი უკან გადააგდო და თვალები სულ დახუჭა. ზბიშკოს მოეჩვენა, რომ მიცვალებული იყო და შიშისაგან გული შეეკუმშა. მაგრამ ეს სულ ერთ წამს – გაგრძელდა. ლოცვის ხმა: Ecce

Agnus Dei[23] რომ გაიგონა, ზბიშკომ გონება მოიკრიბა და მთელი მისი ფიქრები განგებისაკენ წარიმართა. ოთახში მხოლოდ მამაო ვიშონეკის საზეიმო ხმა: Domine, non sum dignus[24], შეშის ტკაცუნი და ბუხრის ჭუჭრუტანებში კუტკალიების საცოდავი განუწყვეტელი ჭრიჭინი ისმოდა. ფანჯრებთან ქარმა გაიგრიალა, თოვლიან ტყეს გადაურბინა და ისევ მიწყდა.

ზბიშკო და დანუსია ერთხანს ჩუმად იყვნენ; ქსონძმა ვიშონეკმა ამასობაში აიღო თასი და საჯალაბო სამლოცველოში წაიღო. ერთ წუთსაც არ გაევლო, რომ დაბრუნდა, მაგრამ მარტო კი არა, ბატონ დე ლორშთან ერთად; სახეზე ყველას გაოცება გამოეხატა; ეს რომ შეამჩნია, ქსონძმა ჯერ თითები ტუჩებთან მიიდო, თითქოს ეშინოდა, ვინმემ გაოცება ხმამაღლა არ გამოხატოსო, მერე კი თქვა:

– ვიფიქრე, ორი მოწმე სჯობს-მეთქი; ეს რაინდი გაგაფრთხილე, ყველაფერი ავუხსენი, მანაც რაინდული პატიოსნება და ყველა აკვისგრანელი წმინდანი დაიფიცა, რომ საიდუმლოს მანამდის შეინახავს, სანამ ეს საჭირო იქნება.

ბატონმა დე ლორშმა ჯერ ქალბატონთან მოიყარა მუხლი, მერე დანუსიასთან; შემდეგ წამოდგა და უხმოდ გაჩერდა. სადღესასწაულო აღჭურვილობა აესხა, რომელზედაც წითლად ელავდა ცეცხლის ანაშუქი. უძრავად იდგა ეს ტანმაღალი რაინდი. თეთრებში გამოწყობილი და ნეგოს გვირგვინით დამშვენებული გოგონას ხილვამ ისიც აღტაცებაში მოიყვანა, ქალი მასაც გოტიკური ტაძრის ფანჯრებიდან ჩამოსულ ანგელოზად მოეჩვენა.

მაგრამ, აი, ქსონძმა ვიშონეკმა დანუსია ზბიშკოს საწოლთან მიიყვანა, ორთავეს ხელებზე ოლარი გადააფარა და დაიწყო წეს-ჩვეულების აღსრულება. ქალბატონს კეთილ სახეზე ცრემლები ჩამოსდიოდა, მაგრამ სულიერად უკვე დამშვიდებულიყო – დარწმუნდა, რომ კეთილ საქმეს აკეთებდა, როცა ამ ორ შესანიშნავ, უმანკო ბავშვს აერთებდა. ბატონი დე ლორში კვლავ დაეშვა მუხლებზე, ორთავე ხელით დაეყრდნო მახვილის ტარს და იმ რაინდს დაემგვანა, ზმანება რომ სწვევია. ზბიშკო და დანუსია კი რიგრიგობით იმეორებდნენ ქსონძის სიტყვებს: „მე,,. გირთავ... შენ..“ – და ამ სიტყვებს, წყნარსა და ტკბილს, კუტკალიების ჭრიჭინი და ბუხარი ში ცეცხლის ტკრციალი ეხმიანებოდა, როცა ჯვრისწერის ადათ-წესი დამთავრდა, დანუსია ქალბატონის ფეხებთან დაეცა, მან კი დალოცა ახალგაზრდები, ცის მფარველ ძალებს მიანდო ისინი, და თქვა:

---

[23] უცოდველი კრავი (ლათ.)

[24] უღირს ვარ, მე, ღმერთო (ლათ.)

– იხარეთ, ახლა თქვენ უკვე ერთმანეთს ეკუთვნით.

მაშინ ზბიშკომ ჯანმრთელი ხელი გაუწოდა დანუსიას, ისიც კისერზე შემოეხვია და მხოლოდ მათი ტკბილი სიტყვებიღა ისმოდა:

– შენ ჩემი ხარ, დანუსკა!

– შენ ჩემი ხარ, ზბიშკო!

მეტისმეტი მღელვარებისაგან ზბიშკოს მალე გამოელია ძალ-ღონე, ბალიშებზე მიესვენა და სუნთქვა გაუხშირდა. მაგრამ გონი არ დაუკარგავს, წინანდებურად უღიმოდა დანუსიას, რომელიც მას ცივი ოფლით დანამულ სახეს უწმენდდა და იმეორებდა: „შენ ჩემი ხარ, დანუსია!“ დანუსია კი ამის თქმაზე თავს ხრიდა მისკენ.

ამ სურათის დანახვაზე დე ლორში სულ გრძნობად იქცა და განაცხადა, არც ერთ ქვეყანაში არ შემხვედრია ასეთი მოყვარული გულებიო. ამიტომ თავისი პატარა მახვილის ჯვრისფორმიან სახელურზე ხელდადებულმა აქვე საზეიმო ფიცი დასდო, რომ შეებმოდა ცხენდაცხენ ან ქვეითად რომელ რაინდსაც გნებავთ, გველეშაპს ან თვით ჯადოქარს, ვინც გაბედავდა და ხელყოფდა ამ ადამიანების ბედნიერებას. ქალბატონი და ქსონძი ვიშონეკი მოწმენი იყვნენ ამ ფიცისა.

ქალბატონს ვერ წარმოედგინა ქორწილი მხიარულების გარეშე და ღვინო მოიტანა. ყველამ დალია. ღამე ილეოდა. ზბიშკომ დასძლია სისუსტე, კვლავ მიიზიდა დანუსია და უთხრა:

– რაკი ღმერთმა მიბოძა შენი თავი, ახლა ვეღარავინ წამართმევს; მაგრამ გული მწყდება, რომ მიდიხარ, ჩემო მშვენიერო.

– მე და მამა ცეხანოვში ჩამოვალთ, – უპასუხა დანუსიამ.

– ოღონდ ავად არ გახდე, ან სხვა რამ არაფერი შეგემთხვეს... უფალმა დაგიფაროს ყოველგვარი გასაჭირისაგან... ვიცი, სპიხოვში ხარ წასასვლელი!... ეჰ!.. ღმერთსა და მოწყალე ქალბატონს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენ ახლა ერთმანეთს ვეკუთვნით, და რაკი უკვე ჯვარდაწერილები ვართ, ადამიანის ხელი ვეღარ დაგვაშორებს.

საიდუმლოდ, შუაღამისას დაიწერეს ჯვარი, ახლა კი მალე უნდა განშორებოდნენ ერთმანეთს, ამიტომ დროდადრო რაღაც უცნაური სევდა ეუფლებოდა განა მხოლოდ ზბიშკოს, სხვა დანარჩენებსაც. საუბარი ვერა და ვერ აეწყო, დროდადრო ბუხარში ცეცხლი იფერფლებოდა და ყველანი წყვდიადში ინთქმებოდნენ. მაშინ ქსონძი ვიშონეკი ანთებულ ნაკვერ-

ცხლებზე ახალ შეშას უმატებდა და, როცა ნედლი შეშა საცოდავად აშიშინ-დებოდა, ამბობდა:

– რას მიელტვი შენ, ტანჯულო სულო!

პასუხს კუტკალიები აძლევდნენ. მერე ცეცხლი აბრიალდებოდა და სიბნელეს გამოჰგლეჯდა უძილობისაგან დაქანცულ სახეებს, აირეკლებო-და ბატონი დე ლორშის აბჯარზე და ნათელს მოჰფენდა დანუსიას თეთრ კაბასა და მის თავზე დადგმულ ნეგოს გვირგვინს.

ისევ აყეფდნენ ეზოში ტევრის მხარეს ძაღლები, როგორც უყეფდნენ ხოლმე მგლებს.

გადიოდა საათები და სულ უფრო ხშირად წყდებოდა საუბარი. ბოლოს ქალბატონმა თქვა:

– ღმერთო ჩემო! ჯვრისწერის შემდეგ ასე ჯდომას ისა სჯობდა წავსუ-ლიყავით და დაგვეძინა; მაგრამ რაკი დილამდე უნდა ვიფხიზლოთ, გამ-გზავრების წინ ერთხელ კიდევ დაგვიკარი ბარბითზე მე და ზბიშკოს.

ძილმორეულსა და დაქანცულ დანუსიას გაუხარდა, რომ, ცოტა გამოფ-ხიზლდებოდა და მაშინვე ბარბითის მოსატანად გაიქცა. ერთ წამში დაბ-რუნდა და ზბიშკოს საწოლთან ჩამოჯდა.

– რა დაგიკრათ? - იკითხა მან.

– რა დაგვიკრა? – ჩაეკითხა ქალბატონი. – რა და, ის სიმღერა, ტინეცში რომ მღეროდი, როცა ზბიშკომ პირველად გნახა!

– მახსოვს, მახსოვს ის სიმღერა და კუბოს კარამდე არ დამავიწყდება, – თქვა ზბიშკომ. – სადაც კი ყურს მოვკრავ, ცრემლებს ვერ ვიოკებ ხოლმე.

– მაშ ვიმღერებ! – თქვა დანუსიამ.

მან თითებით ამოკენჭა სიმები, ჩვეულებისამებრ თავი უკან გადააგდო და დაიწყო:

ნეტავი ჩიტად მაქცია,
ცაში გავშლიდი ფრთებს,
გავშლიდი, სილეზიისკენ
გადავიფრენდი მთებს.
ერთ სარკმელს გამოვარჩევდი,
უცხო მხარეში, შორს,
ალერსით ჩაგჭიკჭიკებდი

გულის სწორსა და ტოლს.

უცებ დანუსიას ხმა ჩაუწყდა, ტუჩები აუცახცახდა და თვალებიდან ღაპაღუპით წამოუვიდა ცრემლები. წამით ქალიშვილმა სცადა თავი შეეკავებინა, მაგრამ ვერ შეძლო და ხმამაღლა აქვითინდა, როგორც მაშინ, კრაკოვის ციხეში, როცა ეგონა, უკანასკნელად ვუმღერი ზბიშკოს ამ სიმღერას, ხვალ კი თავს მოჰკვეთენო.

– დანუსია, რა დაგემართა, დანუსია? – ეკითხებოდა ზბიშკო.

– რა გატირებს? ეს რაღა ქორწილია? – შესძახა ქალბატონმა. – აბა, რა მოგივიდა?

– არ ვიცი, – თქვა სლუკუნით დანუსიამ, – ისეთი სევდა შემომაწვა... ისე მენანება... ზბიშკო და თქვენ...

ყველას გუნება გაუფუჭდა, ამშვიდებდნენ, ეუბნებოდნენ, ცოტა ხნით მიდიხარ, დღესასწაულებზე ყველანი იურანდთან ერთად თავს მოვიყრითო ცეხანოვში. ზბიშკო ისევ მოეხვია მას, გულზე მიიკრა და კოცნით ამოუშრო ცრემლები; მაგრამ გულზე რაღაც სიმძიმე მაინც არ მოშორდა და გათენებამდე ნაღვლიანები ისხდნენ.

უცებ ეზოში ისეთი გულისგამგმირავი ჭრიალი გაისმა, რომ ყველა შეკრთა. ქალბატონი ფეხზე წამოიჭრა და შესძახა:

– ღმერთო ჩემო! ეს ჭის ოწინარია! ცხენებს არწყულებენ! ქსონძმა ვიშონეკმა კი ფანჯარაში გაიხედა და თქვა:

– რიჟრაჟი გამოკრთის, თენდება. Ave Maria, gratia plena[25].

მერე ოთახიდან გავიდა; ცოტა ხანში დაბრუნდა და თქვა:

– თენდება, მაგრამ უჟმური დღე დგება. იურანდის კაცები ასმევენ ცხენებს. დროა, შე საცოდავო, გასამგზავრებლად გაემზადო...

ამ სიტყვებზე ქალბატონმა, დანუსიამ და ზბიშკომ ტირილი და მოთქმა დაიწყეს; ასე მოთქვამს განშორებისას უბრალო ხალხი; ეს ტირილი რაღაც წეს-ჩვეულებისმაგვარი ტირილი გეგონებოდათ და კვნესასაც ჰგავდა და სიმღერასაც, რომელიც ალალ ადამიანებს ისევე ბუნებრივად გამოსდით, როგორც ბუნებრივად იფრქვევა ცრემლები თვალთაგან.

ავაჰმე! ცრემლთა ტბორება!

წახვალ – მზე ჩაესვენება!

[25] დედაო ღვთისა, გიხაროდენ (ლათ.)

ავაჰმე, ჩვენს განშორებას

რომ ცრემლით არ ეშველება!

წასვლა-დარჩენის ზარია! ა

ვაჰმე! გული რამ მოკლა?

განშორებისგან მკვდარია!

ავაჰმე!

ცრემლით, გოდებით,

ვშორდებით!

ვემშვიდობებით!

ზბიშკომ უკანასკნელად მიიკრა გულზე დანუსია და აღარ უშვებდა, სანამ სული არ შეეხუთა და ქალბატონმა ძალით არ მოაშორა, რომ გასამგზავრებლად გაემზადებინა.

ამასობაში გათენდა კიდეც. ყველამ გაიღვიძა. სახლში ფაციფუცი ატყდა. ზბიშკოსთან შემოვიდა ჩეხი, რომ მისი ჯანმრთელობა ეკითხა და გაეგო, რას უბრძანებდა.

– საწოლი ფანჯარასთან მიმიწიე! – უბრძანა მას რაინდმა.

ჩეხმა ადვილად მისწია საწოლი ფანჯარასთან, მაგრამ როცა ზბიშკომ ფანჯრის გაღება უბრძანა, გაოცდა, თუმცა ბრძანება მაინც შეასრულა. მხოლოდ თავისი თბილი ქურქი მოახურა ბატონს, რადგან ცა მოქუფრული იყო, ციოდა და ბარდნიდა.

ზბიშკო ფანჯარაში იყურებოდა, თოვლის ფანტელებში ის ხედავდა შებმულ მარხილს, რომელსაც გარს შემოხვეოდნენ ბანჯგვლიან, ორთქლადენილ ცხენებზე შემომსხდარი იურანდის მსახურები. ყველა შეიარაღებული იყო, ზოგს ქურქის ზემოდან ჯავშანიც კი ეცვა, რომელშიც პირქუში დილის მკრთალი სინათლე ისახებოდა. ტყე სულ დაფარა თოვლის საფარმა; ღობე და ჭიშკარი ოდნავღა ჩანდა.

მელიის ქურქში გამოხვეულმა დანუსიამ ერთხელ კიდევ შემოირბინა ზბიშკოსთან, ერთხელ კიდევ მოეხვია კისერზე და განშორებისას უთხრა:

– მივემგზავრები, მაგრამ იცოდე, სამუდამოდ შენი ვარ. ზბიშკო უკოცნიდა ხელებს, ლოყებს, თვალებს, ძლივს რომ უჩანდა მელიის ბეწვის კაპიუშონში, და ეუბნებოდა:

– გფარვიდეს უფალი! კეთილი მგზავრობა მოგცეს! ახლა შენ ჩემი ხარ, ჩემი ხარ კუბოს ფიცრამდე!

როცა დანუსია ისევ მოაშორეს ზბიშკოს, ის წამოდგა, რამდენადაც შეეძლო, გაჰყო თავი ფანჯარაში და დაიწყო ყურება; თოვლის საფარს იქით ის ხედავდა, როგორ ჩაჯდა დანუსია მარხილში, როგორ დიდხანს ეხვეოდა ქალბატონი, როგორ ჰკოცნიდნენ მეგობარი ქალები, როგორ გადასახა პირჯვარი ქსონძმა ვიშონეკმა.

როცა მარხილი დაიძრა, დანუსიამ კიდევ ერთხელ მიიხედა ზბიშკოსკენ და ხელები გაიშვირა:

– მშვიდობით დარჩი, ზბიშკო!

– ღმერთმა ქნას, მალე შევხვედროდეთ ცეხანოვში!

ისეთი ხშირი ბარდნა დაიწყო, გეგონებოდათ, სურს ყველაფერი წალეკოს და დაფაროსო, ამიტომ ბოლო სიტყვები ძლივს გაიგონეს, ეგონათ, სადღაც ძალზე შორიდან ეხმიანებოდნენ ერთურთს.

XII

თოვლის ქარბუქის შემდეგ ყინვამ მოუჭირა, მზიანი, ნათელი დღეები დადგა. დღისით ტყე ელავდა მზეზე, მდინარეები და ჭაობები ყინვამ შეჰკრა. მოწმენდილი ღამეები დაიწყო, ტყიდან გაყინული ხეების ტკაცატკუცი ისმოდა; ჩიტებმა ადამიანთა საცხოვრებელს მიაშურეს; გზებზე სიარული საშიში გახდა, რადგან მგლები ხროვებად გამოდიოდნენ და თავს ესხმოდნენ არა მარტო მარტოხელა მგზავრებს, არამედ მთელ სოფლებსაც. მაგრამ თავიანთ ქოხებში ბუხრებთან მიმსხდარ ხალხს ყინვიანი ზამთარი მაინც ახარებდა, რადგან ეს მოსავლიანი წლის საწინდარი იყო. ახლა ისინი მხიარულად ელოდნენ შობის დღესასწაულს, სულ მალე რომ უნდა დამდგარიყო. მთავრის სამონადირო სახლი დაცარიელდა, ქალბატონი თავისი მოახლეებითა და ქსონძი ვიშონეკი ცეხანოვს გაემგზავრნენ. ზბიშკომ მოიკეთა, მაგრამ ისე ვერ მომაგრდა, რომ ცხენზე თვითონ შემჯდარიყო, ამიტომ სამონადირო სახლში დარჩა თავისი ხალხით – სანდერუსით, ჩეხი საჭურველმტვირთველით, მთავრის მსახურებით, რომელთაც დიასახლისის მოვალეობის შემსრულებელი ერთი შლიახტიჩი ქალი აქცევდა ყურადღებას.

მაგრამ რაინდი მთელი არსებით ახალგაზრდა ცოლისაკენ მიილტვოდა. საოცრად ტკბილი იყო იმის შეგნება, რომ დანუსია უკვე მას ეკუთვნოდა

და ვეღარავინ შეეცილებოდა, მაგრამ ამაზე რომ დაფიქრდებოდა, ნაღველი კიდევ უფრო მოეძალებოდა. მთელი დღეები ოხვრა-კვნესაში იყო, ელოდა იმ წუთს, როცა შესძლებდა სამონადირო სახლიდან წასვლას. თან ისიც ადარდებდა, რა გაეკეთებინა მერე, სად წასულიყო, როგორ მოეგო იურანდის გული. ხანდახან შიშიც შეეპარებოდა, მაგრამ მომავალი მაინც ლამაზ ფერებში ეხატებოდა. ცხოვრებაში ერთადერთი ხვედრი ჰქონდა: ჰყვარებოდა დანუსია და მუზარადებიდან ფარშავანგის ჯიღები დაეგლიჯა. დროდადრო სურვილი შეიპყრობდა ხოლმე გული გადაეშალა ჩეხისათვის, რომელიც ძალიან შეუყვარდა, მაგრამ შეამჩნია, რომ იაგენკასთვის თავდადებული ჩემი დანუსიას ხსენებას გაურბოდა, ზბიშკოც ინახავდა საიდუმლოს და აღარ შეეძლო მომხდარ ამბავზე ლაპარაკი.

მას ყოველდღიურად ემატებოდა ჯან-ღონე. შობამდე ერთი კვირით ადრე პირველად შეჯდა ცხენზე და, თუმცა მიხვდა, ჯავშანჩაცმულს ეს გაუჭირდებოდა, მაინც გამხნევდა. ახლო მომავალში ჯავშნისა და ჩაფხუტის ჩაცმა ალბათ არ დასჭირდებოდა, ცოტა ხნის შემდეგ კი ამისი ძალაც დაუბრუნდებოდა. დრო რომ უქმად არ ეტარებინა, ოთახში ხმლის აწევაში ვარჯიშობდა და კიდევაც ახერხებდა ამას, ცოტა ცული ემძიმებოდა ჯერ, მაგრამ იმედი ჰქონდა, ორივე ხელით რომ ჩასჭიდებოდა სახელურს, ზუსტ დარტყმას მაინც მოახერხებდა.

შობამდე ორიოდე დღე რომ დარჩა, ზბიშკომ ბრძანა მარხილი და ცხენები მოემზადებინათ და ჩეხს უთხრა, ცეხანოვში მივდივართო, ერთგული საჭურველმტვირთველი, ცოტა არ იყოს, შეშინდა, მით უმეტეს, რომ საშინელი ყინვები დაიჭირა, მაგრამ ზბიშკომ მტკიცედ მოუჭრა:

– იქ ნუ ჩაეჩრები, სადაც არ გეკითხებიან, გლოვაჩ! (ასე ეძახდა ის ჩეხს პოლონურ ყაიდაზე). აქ ჩვენ საქმე არაფერი გვაქვს. ცუდადაც რომ გავხდე, ცეხანოვში მომვლელი მაინც მეყოლება. წასვლითაც ცხენით კი არ წავალ, მარხილში ჩავწვები, თივაში ჩავეფლობი, ზევიდან ტყავებს დავიფარებ, მხოლოდ ცეხანოვში შესვლისას გადავჯდები ცხენზე.

ასეც მოიქცა. ჩეხმა უკვე გაიგო თავისი ახალგაზრდა ბატონის ბუნება. იცოდა, რომ სიტყვის შებრუნება არ შეიძლებოდა, ბრძანების შეუსრულებლობა, ხომ მით უმეტეს. ასე რომ, საათიც არ იყო გასული, ისინი ადგილიდან დაიძრნენ. წასვლის წინ ზბიშკომ დაინახა, რომ სანდერუსი თავისი ყუთიანად მარხილში აპირებდა ჩაჯდომას.

– რას გადამეკიდე ძველი ხურჯინივით? ჰკითხა იმან ინდულგენციების ვაჭარს. – აკი ამბობდი, პრუსიაში მინდა წასვლაო.

– თქმით კი ვამბობდი, – უპასუხა სანდერუსმა, – მაგრამ აბა სად ვიარო მარტოკამ ასეთ თოვლში? პირველი ვარსკვლავი ვერ მოასწრებს ამოსვლას, რომ მგლებს უკვე ჩახრამუნებული ვეყოლები, არადა აქაც რა უნდა ვაკეთო! უკეთესია ქალაქში ხალხს ღვთისმოსავობა ვასწავლო, წმინდა ნივთებით მოვამარაგო და ეშმაკის მახიდან ვიხსნა ისინი, როგორც რომში შევპირდი მამათა მამას ყველა ქრისტიანისას. თქვენც ძალიან შემიყვარდით, თქვენო მოწყალებავ, და რომში წასვლამდე არაფრით არ მიგატოვებთ. იქნებ გამოგადგეთ კიდეც რამეში.

– ყოველთვის მზადაა დალიოს და შეექცეს თქვენს სახელზე, – თქვა ჩეხმა, – ყველაზე მეტად თქვენთვის ამ დახმარების გაწევა შეუძლია. მაგრამ პშასნიშის ტყეში თუ მგლების ხროვა დაგვეცა, ეგ მივუგდოთ შესაჭმელად, სხვა არაფერში გამოგვადგება.

– უფრთხილდით, ცოდვილი სიტყვა ულვაშებზე არ მიგეყინოთ, – მოუჭრა სანდერუსმა. – რადგან ასეთი ლოლუები მხოლოდ განსაწმენდელის ცეცხლში დნება!

– ეჰე! – უპასუხა გლოვაჩმა და კოკობ ულვაშებზე ხელი გადაისვა, – მე შევეცდები ლუდი შევათბო შესვენების დროს და შენ არ მოგცემ.

– ჩვენ კი ასე გვასწავლიან – მწყურვალი დაარწყულეო. ეგეც შენი ერთი ცოდვა!

– თუ ასეა, ერთ ვედრო წყალს მოგცემ, მანამდის კი ის მიიღე, რაც ხელთა მაქვს.

ამ სიტყვებზე ჩეხმა თოვლი მოფხოტნა და სანდერუსს წვერებში მიაყარა; იმან თავი აარიდა და უთხრა:

– აღარავის სჭირდებით ცეხანოვში, იქ უკვე დათვის ბელებს ასწავლეს თოვლაობა.

ასე ლაზღანდარობდნენ, თუმცა ორთავეს მოსწონდა ერთმანეთი. სანდერუსი ართობდა ზბიშკოს და მიეჩვია კიდეც ძალიან, ამიტომ ჭაბუკმა რაინდმა აღარ დაუშალა ამ ახირებულ კაცს მათთან მგზავრობა. ასე და ამგვარად, ერთ მზიან დილას მათ დატოვეს სამონადირო სახლი; ისეთი ყინვა იყო, რომ იძულებული გახდნენ ცხენებისათვის საძაგრავები გადაეფარებინათ. ირგვლივ ყველაფერი თოვლში ჩაფლულიყო, ქოხების სახურავები ძლივსღა მოჩანდა და დროდადრო მოგეჩვენებოდათ, კვამლი პირდაპირ თოვლის ნამქერებიდან ამოდისო, სვეტებად მიემართება ცისკენ და, დაფიონის სხივებით ავარდისფერებული, რაინდთა ჯიღების მსგავსად იშლებაო.

ძალ-ღონე რომ შეენარჩუნებინა და ყინვისაგან თივითა და ტყავებით დაეფარა თავი, ზბიშკო მარხილით მიდიოდა. მან უბრძანა გლოვაჩს მარხილზე გადმომჯდარიყო და იმ შემთხვევაში, თუ მგლები დაესხმოდნენ, გამზადებული ჰქონოდა მშვილდი, მანამდის კი მხიარულად ესაუბრებოდა.

– პშასნისში, – თქვა ზბიშკომ, – მხოლოდ ცხენებს დავაპურებთ, გავთბებით და მაშინვე განვაგრძობთ გზას.

– ცეხანოვში?

– ჯერ ცეხანოვში, მთავარსა და ქალბატონს ვეახლები და ვილოცებ.

– მერე? – ჰკითხა გლოვაჩმა.

ზბიშკომ გაიღიმა და უპასუხა:

– რა ვიცი, იქნებ მერე ბოგდანეცში წავიდეთ.

ჩეხმა გაოცებით შეხედა თავის ბატონს. უცებ გაუელვა აზრმა, იურანდის ქალზე ხელის აღებას ხომ არ ფიქრობსო. ეს სიმართლეს ჰგავდა, რადგან დანუსია წავიდა, მთავრის სამონადირო სახლში კი ჩეხის ყურამდე ხმამ მოაღწია, თითქოს სპიხოველი ბატონი არ თანხმდებოდა, ახალგაზრდა რაინდისათვის ქალი მიეცა. გაიხარა კეთილმა საჭურველმტვირთველმა: თუმცა იაგენკა თვითონ უყვარდა, მაგრამ ეს ქალი ისეთივე მიუწვდომლად მიაჩნდა, როგორც ცაში ვარსკვლავი, და ამიტომ მზად იყო საკუთარი სიცოცხლის ფასად მოეპოვებინა მისთვის ბედნიერება. ახლა ზბიშკოც შეუყვარდა და მთელი სულითა და გულით სურდა სიკვდილამდე მათი მსახური ყოფილიყო.

– მაშ, თქვენო მოწყალებავ, საკუთარ მამულში დარჩენას აპირებთ? – გამხიარულდა ჩეხი.

– როგორ უნდა დავრჩე ჩემს სამფლობელოში, – შეედავა ზბიშკო, – როცა გამოწვევა გავუგზავნე ჯვაროსნებს და უფრო ადრე ლიხტენშტაინს? დე ლორშმა თქვა, მაგისტრს მეფის მიპატიჟება აქვს განზრახული ტორუნში, ეს თუ მართალია, შევუერთდებოდი მეფის ამალას: იქნებ ზავიშა გარბოველმა ან ბატონმა პოვალა ტაჩეველმა მომიხერხონ და მეფეს გამოსთხოვონ ამ ბერებთან შებრძოლების ნებართვა, ისინი ალბათ საჭურველმტვირთველებსაც გამოიყვანენ საბრძოლო ველად, ასე რომ, შენც მოგიწევს ჩემთან ერთად ბრძოლა.

– მაგაზე რომ უარი ვთქვა, მაშინ ბარემ ბერად შევდგები და ის არის, – თქვა ჩეხმა.

ზბიშკომ გულშეჯერებულმა შეხედა მას.

– ვაი მისი ბრალი, ვინც შენი გულის დარტყმას იგემებს, ღმერთს საშინელი ძალ-ღონე მოუცია შენთვის, მაგრამ ამაო ყოყოჩობა მაინც არ გინდა, – ჭეშმარიტ საჭურველმტვირთველს თავმდაბლობა მართებს.

ჩეხმა თავი დაუქნია იმის ნიშნად, რომ ტყუილუბრალოდ ყოყოჩობას არ დაიწყებდა თავისი ძალ-ღონით, მაგრამ არც დაიშურებდა მას გერმანელებთან ბრძოლაში, ზბიშკო კი ისევ იღიმებოდა, მაგრამ ამჯერად საკუთარ ფიქრებს უღიმოდა და არა საჭურველმტვირთველს.

– როგორ გაახარებდა მოხუც ბატონს ჩვენი დაბრუნება, – თქვა ერთი წამის შემდეგ გლოვაჩმა, – ზგოჟელიცშიც გაუხარდებათ ვიღაცეებს.

ნათლად დაუდგა ზბიშკოს თვალწინ იაგენკა, თითქოს აგერ, მის გვერდით იჯდა მარხილში, ყოველ გახსენებაზე ასე აისახებოდა ხოლმე მისი სახე ცოცხალივით.

„არა, – გაიფიქრა ზბიშკომ, – იაგენკას რა გაახარებს, ბოგდანეცში თუ დავბრუნდი, დანუსიასთან ერთად დავბრუნდები... ის კი სხვას უნდა გაჰყვეს ცოლად...“. ამ დროს ზბიშკოს თვალწინ გაიელვა ვილკ ბზოჟოველმა და ახალგაზრდა ჩტან როგოველმა და ძალზე ემწარა, რომ რომელიმე მათგანს უნდა დარჩენოდა იაგენკა. „ისევ სჯობს, ვინმე სხვას გაჰყვეს, უკეთესს, - გაიფიქრა გულისტკივილით, - ისინი ხომ ლოთები და ცანცარები არიან, იაგენკა კი კარგი გოგოა“. ისიც იფიქრა, ბიძაჩემს ძალიან ეწყინება, ყველაფერს რომ გაიგებსო, მაგრამ გული მაშინვე დაიწყნარა, რადგან მოაგონდა, რომ მაცკოსთვის მთავარი იყო გვარის გაგრძელება და სიმდიდრე, რაც სახელს განუმტკიცებდა გვარს. მართალია, იაგენკა იქვე ახლოსაა, ყურის ძირში, სამაგიეროდ, იურანდი ზიხზე მდიდარია და ადვილი მისახვედრია, ბიძა დიდხანს არ იქნება გაჯავრებული ძმისშვილზე, მით უმეტეს, იცის მისი და დანუსიას სიყვარულის ამბავი და ისიც ახსოვს, რითი არის დავალებული ამ ქალისაგან. ჯერ ალბათ აჯაჯღანდება, მერე კი გაიხარებს და დანუსიასაც საკუთარი ქალიშვილივით შეეთვისება!

უცებ გულში მოუზღვავდა ბიძისადმი სიყვარული, დარდი ამ პირქუშ ადამიანზე, რომელსაც ასე უყვარდა და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. ბრძოლებში თავზე მეტად ზბიშკოს იცავდა, მისთვის იძიებდა ნადავლს, მისთვის აგროვებდა სიმდიდრეს. სულ ორნი იყვნენ – მარტოდმარტონი ამ ქვეყანაზე! ნათესავებიც კი არა ჰყავდათ, ისეთ შორეულებს თუ არ ჩავთვლით, როგორიც აბატი იყო. განშორებას ვერ უძლებდნენ, ადგილს ვერ პოულობდნენ უერთმანეთოდ, განსაკუთრებით კი მოხუცი, რომელსაც ყველაფერი ამქვეყნად მხოლოდ ზბიშკოსათვის უნდოდა.

„როგორ გაიხარებს, როგორ გაიხარებს! – იმეორებდა თავისთვის ზბიშკო, – მხოლოდ ერთს ვისურვებდი: იურანდმაც ისე მიმიღოს, როგორც ბიძაჩემი მიმიღებს“.

მან სცადა წარმოედგინა, რას იტყოდა, ან რას მოიმოქმედებდა იურანდი, როცა გაიგებდა, რომ დანუსკამ ჯვარი დაიწერა მასზე. ამაზე ფიქრი აწუხებდა ზბიშკოს, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, არცთუ ძალიან – საქმე უკვე გაკეთებული იყო. იმას ხომ არ იკადრებდა, ორთაბრძოლაში გამოეწვია, ხოლო თუ ძალიან გაკერპდებოდა, მაშინ ზბიშკოს შეეძლო ეთქვა: „დამეთანხმეთ, სანამ პატიოსნად გთხოვთ, თქვენი უფლებები დანუსკაზე ამქვეყნიურია, ჩემი კი ღვთიური, და ახლა ის ჩემია და არა თქვენი“. ერთი საღვთო წერილის მცოდნე მედავითნისაგან გაეგონა, რომ ქალმა დედ-მამა უნდა დატოვოს და ქმარს უნდა გაყვესო, ამიტომაც გრძნობდა თავის მხარეზე დიდ ძალას. მაინც იმედი ჰქონდა, რომ ის და იურანდი საქმეს ჩხუბამდე და მტრობამდე არ მიიყვანდნენ, დანუსიას თხოვნაც ბევრს დაეხმარებოდა, უფრო მეტს კი ჩარევა მთავრისა, რომელსაც იურანდი ემორჩილებოდა, და ქალბატონისა, რომელიც უყვარდა როგორც თავისი ქალიშვილის მეურვე.

პშასნიშში მგზავრებს ურჩიეს ღამის გასათევად დარჩენილიყვნენ და გააფრთხილეს, ძლიერი ყინვების გამო მგლები დიდ–დიდ ხროვებად გაერთიანდნენ და აღალსაც კი ესხმიანო თავს. მაგრამ ზბიშკოს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მით უმეტეს, რომ ფუნდუკში ის შეხვდა რამდენიმე მაზოვიელ რაინდს, რომლებიც თავისი მსახურებით ცეხანოვში მთავართან მიდიოდნენ, და თვით ცეხანოველ შეიარაღებულ ვაჭრებს, პრუსიიდან საქონლით დატვირთული ფორნებით რომ ბრუნდებოდნენ. ამდენი ხალხისათვის მგლები საშიში აღარ იყო და ისინი ერთად გაუდგნენ ღამით გზას, თუმცა საღამო ხანს ქარი ამოვარდა, ღრუბლები მორეკა და ქარახვეტა დაიწყო. კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ისე ნელა მიიწევდნენ წინ, ზბიშკოს შიშიც კი შეეპარა, შობას ვეღარ ჩავუსწრებთო. ალაგ-ალაგ, როცა ცხენები ჩაეფლობოდათ, იძულებული ხდებოდნენ გაჩერებულიყვნენ და ნიჩბებით გაეკვალათ გზა. კარგი გვიან იყო, როცა მგზავრებმა შორიდან ცეხანოვი დაინახეს.

გორაკზე აკიაფებული სინათლეები რომ არა, სადაც ციხესიმაგრეს აგებდნენ, მგზავრებს იქნებ დიდხანს ეტრიალათ ქარბუქის ზუზუნში ზედ ქალაქთან და ადგილამდე მაინც ვერ მისულიყვნენ. ზბიშკოს თანამგზავრებიდან არც ერთმა არ იცოდა ხეირიანად, რისთვის ენთო ეს სინათლეები, საშობაო სტუმრებისათვის, თუ რაღაც სხვა ძველი ჩვეულების მიხედვით,

მაგრამ ახლა არავინ ფიქრობდა ამაზე, ერთი აზრი უტრიალებდა ყველას, როგორმე თავი შეეფარებინათ ქალაქის კედლებისათვის.

ქარბუქი კი სულ უფრო ძლიერდებოდა. გამსჭვალავი ცივი ქარი თოვლის ღრუბლებს მოაქანებდა, ხეებს ღუნავდა, ტრიალებდა, ბობოქრობდა, ადგილიდან გლეჯდა თოვლის დიდ ნამქერებს, ცაში ატრიალებდა ბუქს და მარხილებსა და ცხენებს ჩაჩუმქვრას უქადდა; წვეტიანი ქვიშასავით ურტყამდა მგზავრებს სახეში, სუნთქვას უკრავდა, ხმის ამოღების საშუალებას არ აძლევდა. აღარ ისმოდა ცხენების ზანზალაკების ჟღარუნი. ქარიშხლის ღმუილსა და სტვენაში გაისმა რაღაც საცოდავი ხმები, ვერ გაიგებდით, მგლების ყმუილი იყო, ცხენების შორეული ჭიხვინი თუ შიშით დაზაფრული ადამიანი მოუწოდებდა საშველად. განაწამები ცხენები სულ უფრო მეტად ეკვროდნენ ერთმანეთს და სულ უფრო უნელებდნენ ნაბიჯს.

– აი, მესმის ქარბუქი! – ძლივს მოითქვა სული ჩეხმა. - კიდევ ბედი, რომ ქალაქი ახლოსაა და სინათლეებიც ანთია, თორემ ცუდად იქნებოდა ჩვენი საქმე.

– ვისაც მინდვრად ავდარი მოუსწრებს, უტყუარი სიკვდილი ელის, – შენიშნა ზბიშკომ, – მე უკვე სინათლეებსაც ვეღარ ვხედავ.

– ასეთ წყვდიადში სინათლეც ვეღარ ატანს. იქნებ ქარბუქმა უკვე ჩააქრო კოცონი.

სხვა მარხილებზეც ვაჭრები და მსახურები იმაზე ბჭობდნენ, თუ ავდარმა საცხოვრებელი სახლის მოშორებით მოუსწრო კაცს, ცისკრის ზარების გაგონება ვეღარ ეღირსებაო.

ზბიშკო ერთბაშად აწრიალდა და თქვა:

– ვაითუ, იურანდიც გზაშია ახლა!

ჩეხი, რომელიც ცდილობდა ამ კუნაპეტში სინათლეების დანახვას, ზბიშკოს სიტყვების გაგონებაზე, მობრუნდა და ჰკითხა:

– განა სპიხოვის ბატონი აპირებდა ჩამოსვლას?

– დიახ.

– თავისი ქალიშვილით?

– სინათლეები სულ აღარ ჩანს, - წარმოთქვა ზბიშკომ.

სინათლეები მართლაც ჩაქრა, სამაგიეროდ, ზედ მარხილთან რამდენიმე ცხენოსანი აღიმართა.

– სად ეტენებით?! – იარაღზე ხელი იტაცა მახვილთვალიანმა ჩეხმა. – ვინა ხართ?

– მთავრის კაცები ვართ, მგზავრების დასახმარებლად გამოგვაგზავნეს.

– დიდება იესო ქრისტეს!

– უკუნითი უკუნისამდე.

– ქალაქში შეგვიყვანეთ! – უთხრა ზბიშკომ.

– ხომ არავინ ჩამოგრჩენიათ?

– არავინ.

– საიდან მოდიხართ?

– პშასნიშიდან.

– გზაში სხვა მგზავრებს ხომ არ შეხვედრიხართ?

– არ შევხვედრივართ. სხვა გზებზე არიან ალბათ.

– ყველა გზაზე გაგზავნილია ხალხი. აბა მოგვყევით. გზიდანა ხართ აცდენილები! მარჯვნივ აიღეთ გეზი!

მგზავრებმა ცხენები მოაბრუნეს. რამდენიმე ხანს მხოლოდ ქარბუქის ღმუილიღა ისმოდა.

– ბევრი სტუმარია ძველ ციხე-დარბაზში? - იკითხა ზბიშკომ ერთი წუთის შემდეგ.

ყველაზე ახლოს მყოფმა მხედარმა ვერ გაიგონა ზბიშკოს ნათქვამი და მისკენ დაიხარა:

– რა ბრძანეთ, ბატონო?

– მე გეკითხებით, ბევრი სტუმარი ჰყავს-მეთქი მთავარსა და მის მეუღლეს?

– როგორც ყოველთვის, სტუმარი ბევრია!

– სპიხოველი ბატონი ხომ არ არის?

– არა, მაგრამ ელოდებიან, ხალხი გაგზავნეს შესახვედრად.

– კანდელებით?

– ამისთანა ქარბუქში!

ქარიშხლის ღრიალმა ისე იმატა, ერთმანეთის ლაპარაკი აღარ ესმოდათ.

– ჭინკებისა და ალქაჯების დღესასწაულია ნამდვილი! – წარმოთქვა ჩეხმა.

ზბიშკომ უბრძანა გაჩუმებულიყო და ავი სულები არ ეხსენებინა.

– განა არ იცი, რომ ასეთ დღესასწაულებში ავი სულები შიშისაგან ყინულჭრილებში იმალებიან? ერთხელ შობის წინა დღეს სანდომირელ მეთევზეებს მოჰყოლიათ ბადეში ერთი ასეთი. კბილებში ქარიყლაპია ჰყოლია გაჩრილი, მაგრამ როგორც კი ზარებს დაუგუგუნიათ, ეგრევე გაშეშებულა უგრძნობლად და მეთევზეები თურმე დაღამებამდე ჯოხებს უბაგუნებდნენ. საშინელი ქარიშხალია, მაგრამ ალბათ ქრისტემ განგებ გამოგვიგზავნა, რომ ხვალინდელი დღე უფრო სასიხარულო მოგვეჩვენოს.

– ერიჰა! ჩვენ ზედ ქალაქთან ვიყავით, მაგრამ ეს ხალხი რომ არა, შუაღამემდე ვიწრიალებდით, რადგან გზას ავცდით, – თქვა გლოვაჩმა.

– გზას იმიტომ ავცდით, რომ სინათლეები ჩაქრა.

ამასობაში უკვე ქალაქში შევიდნენ. ქუჩებში ისეთი ნამქერები დაეგროვებინა ქარს, რომ ბევრ ადგილას ფანჯრებიც კი ამოექოლა. აი, თურმე რატომ იყო, ქალაქს რომ უტრიალებდნენ და სინათლეებს კი ვერ ხედავდნენ. ქალაქში შედარებით სიწყნარე დახვდათ. ქუჩები დაცარიელებულიყო, მოსახლეობა უკვე ვახშამს უჯდა. მხოლოდ აქა-იქ სახლების წინ ქარბუქის მიუხედავად ბიჭები ბაგითა და თხით დადიოდნენ ალილოზე, მოედანზეც შეხვდებოდით ტანზე მუხუდოს ჩალაშემოხვეულ ბიჭებს, რომლებიც დათვებს განასახიერებდნენ. ირგვლივ კი სიცარიელე იყო. ვაჭრები, ზბიშკოსთან ერთად რომ მგზავრობდნენ, ქალაქში დარჩნენ, რაინდებმა კი ძველ ციხესიმაგრეს მიაშურეს, სადაც მთავარი ცხოვრობდა. როცა ციხესიმაგრეს მიუახლოვდნენ, მინის ფანჯრები მხიარულად აციმციმდა მათ თვალწინ.

თხრილზე გადებული ასაწევი ხიდი ჩამოშვებული იყო, რადგან ლიტველთა თარეშის დრო უკვე წარსულს ჩაბარდა, ჯვაროსნები კი, პოლონეთის მეფესთან ომის გარდუვალობას რომ ხედავდნენ, თვითონ ცდილობდნენ მაზოვიის მთავართან დამეგობრებას. მთავრის რომელიღაც მსახურმა ბუკს ჩაჰბერა და ჭიშკარი იმწამსვე გაიღო. ჭიშკართან რამდენიმე ათეული მშვილდოსანი იდგა, მაგრამ კედლებთან და სათოფურებთან ძეხორციელი არ ჩანდა, – მთავარმა ნება დართო დაცვას მიეტოვებინათ თავიანთი საგუშაგოები. სტუმრების შესახვედრად მოხუცი მროკოტა გამოვიდა, რომელიც ციხესიმაგრეში ორი დღის წინ ჩამოსულიყო; ის მიესალმა სტუმრებს მთავრის სახელით და გაუძღვა ოთახებისაკენ, სადაც ისინი ტანსაცმელს გამოიცვლიდნენ და წესისამებრ მოემზადებოდნენ.

ზბიშკომ მაშინვე იურანდ სპიხოველის ამბები გამოიკითხა; მროკოტამ უთხრა, იურანდი ჯერ არა ჩანს, მაგრამ ელიან, შეპირებულია, რომ ჩამოვა. თუ შეუძლოდ შეიქნა და წამოსვლა ვეღარ შეძლო, უეჭველად შეგვატყობინებდაო. მის შესახვედრად თხუთმეტიოდე მხედარია გაგზავნილი, რადგან ასეთ ქარბუქს ჯერ არავინ მოსწრებიაო.

– ასე გამოდის, შეიძლება სულ მალე გამოჩნდეს.

– შეიძლება გამოჩნდეს. ქალბატონმა ბრძანა მისთვის და მისი ქალიშვილისათვის ჯამები საერთო მაგიდაზე დაეწყოთ.

ზბიშკოს ცოტათი ყოველთვის ეშინოდა იურანდის, მაგრამ ახლა გულში გაეხარდა და თავისთვის თქვა: „რაც უნდა, ისა ქნას, სულ ერთია, ჩემი ცოლი ჩამოდის, ჩემი მეუღლე, ჩემი ძვირფასი დანუსკა!“ ამ სიტყვებს რომ იმეორებდა, არა სჯეროდა თავისი ბედნიერებისა. მერე იფიქრა, იქნებ დანუსია უკვე ყველაფერში გამოუტყდა მამას, ისიც შეურიგდა ბედს და მიჰყვა მის მუდარას, ახლავე გაეტანებინა ზბიშკოსათვის. „კაცმა რომ თქვას, მეტი რა დარჩენია? ჭკვიანი კაცია და იცის, კიდევაც რომ არ მოინდომოს, მე მაინც წავიყვან, რადგან ჩემი უფლებები ამ ქალზე უფრო ძლიერია, ვიდრე მისი“.

ტანსაცმელს რომ იცვლიდა, მროკოტას მთავრისა და განსაკუთრებით ქალბატონის ჯანმრთელობის ამბავს ეკითხებოდა. ჯერ კიდევ კრაკოვში მშობელი დედასავით შეიყვარა ის და ახლა გულით გაიხარა, როცა უთხრეს, სახლში ყველა ჯანმრთელი და მხიარულია, თუმცა ქალბატონი ძალზე დარდობს თავის კუდრაჭა მგალობელზეო. ბარბითზე ახლა მისთვის იაგენკა უკრავს და ეს გოგოც ძალიან უყვარს, მაგრამ დანუსიასნაირად მაინც არაო.

– რომელი იაგენკა? – იკითხა გაოცებულმა ზბიშკომ.

– იაგენკა დლუგოლიასელი, მოხუცი დლუგოლიასელი ბატონის შვილიშვილი. ლამაზი ქალიშვილია, ლოტარინგიელ რაინდს შეუყვარდა.

– მაშ ბატონი დე ლორში აქ არის?

– აბა სად უნდა იყოს? მთავრის სამონადირო სახლიდან ჩამოვიდა და ახლა აქ ცხოვრობს უდარდელად. ჩვენს მთავარს ყოველთვის უამრავი სტუმარი ჰყავს.

– ძალიან გამახარებდა მისი ნახვა. ის უზადო რაინდია.

– მასაც ძალზე უყვარხართ. ახლა წავიდეთ, თორემ მთავარი და ქალბატონი უკვე სუფრასთან სხდებიან.

ისინი სასადილო ოთახისაკენ გაემართნენ. იქ ორი დიდი ბუხარი გუზგუზებდა და სავსე იყო სტუმრებითა და კარისკაცებით. მთავარი პირველი შემოვიდა. მას ახლდნენ ვოევოდა და რამდენიმე დაახლოებული პირი. ზბიშკომ მიწამდე დაუკრა თავი და ხელზე ეამბორა.

მთავარმა თავზე ხელი მოჰხვია, მერე განზე გაიყვანა და უთხრა:

– მე უკვე ყველაფერი ვიცი. თავიდან ვბრაზობდი, რომ ჩემი ნებართვის გარეშე ჩაიდინეთ ეს, მაგრამ, სიმართლე რომ ითქვას, სხვა გამოსავალი არ იყო, ძალიან ცოტა დრო გქონდათ – მაშინ ხომ ვარშავაში ვიყავი და შობის დღეებიც იქ მინდოდა გამეტარებინა. მაგრამ ცნობილი ამბავია, დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარი ვერ დააკავებს, სულ ერთია, ვერას გახდები. ქალბატონი თქვენზე მშობელი დედასავით ზრუნავს, ისღა დამრჩენია, რომ ვასიამოვნო, ვიდრე ტყუილა ვედავო, ასე უფრო ნაკლებ ცრემლებს დაღვრის და ნაკლებს იდარდებს, ზბიშკომ ისევ მიწამდე დაუკრა თავი.

– ღმერთმა შემაძლებინოს ამ სიკეთის გადახდა.

– მადლობა ღმერთს, უკვე გამოჯანმრთელდი. ქალბატონს უთხარი, როგორ კარგად მიგიღე, ძალიან გაუხარდება. ღმერთო დიდებულო! მისი სიხარული ხომ ჩემი სიხარულია! იურანდთანაც არ დაგაყვედრი ერთი-ორ სიტყვას, მე მგონია, თანხმობას მოგცემს – მასაც ხომ ძალიან უყვარს ქალბატონი.

– კიდევაც რომ არ მოინდომოს დათანხმება, ჩემი უფლებები უფრო ძლიერია.

– შენი უფლება მართლაც მეტია და უეჭველად თანხმობაც უნდა მიიღო, მაგრამ მას შეუძლია უარი გითხრათ მშობლის დალოცვაზე. ამას იურანდს ძალით ვერ გამოგლიჯავ. ხოლო მშობლებმა თუ არ დაგლოცეს, მაშინ არც ღმერთისგან იქნებით დალოცვილი.

ზბიშკოს არასოდეს უფიქრია ამაზე და ახლა ძალიან შეშფოთდა. მაგრამ ამ დროს შემოვიდა ქალბატონი, მას თან ახლდნენ იაგენკა დლუგოლიასელი და სხვა სეფექალები. ზბიშკო მისკენ გაეშურა მისასალმებლად; ქალბატონმა კიდევ უფრო მოწყალე სალამი მისცა, ვიდრე მთავარმა, და მაშინვე გაუბა ლაპარაკი, იურანდის ჩამოსვლას ველოდებიო. მათთვის ჯამებიც დავაწყობინე, ხალხიც გაგზავნილი მყავს შესახვედრად, რომ ამ ქარბუქში ციხესიმაგრემდე მოაცილონ, ვახშმის დაგვიანება უკვე აღარ შეიძლება, მთავარს არ უყვარს ასეთები, ვახშმის დამთავრებამდე კი ალბათ ისინიც გამოჩნდებიანო.

– რაც შეეხება იურანდს, – ეუბნებოდა ქალბატონი, – ყველაფერი ისე იქნება, როგორც ღმერთი ინებებს, ან დღესვე ვეტყვი ყველაფერს, ან ხვალ ცისკრის ლოცვის შემდეგ; მთავარიც შემპირდა, რამდენიმე სიტყვით შეგეწევიო. ჯიუტია იურანდი, მაგრამ იმათთან კი არა, ვინც უყვარს, ან ვისგანაც დავალებულია.

ქალბატონმა ზბიშკოს დაუწყო სწავლება, როგორ დაეჭირა თავი სიმამრთან, ღმერთმა ნუ ქნას გააბრაზოო, მას იმედი ჰქონდა, ყველაფერი კეთილად დამთავრდებოდა, მაგრამ ზბიშკოზე უფრო გამოცდილი და დაკვირვებული ადამიანი მაშინვე შეამჩნევდა, რომ მის სიტყვებში რაღაც შეშფოთება იგრძნობოდა. იქნებ ქალბატონს სპიხოვის ბატონის მკაცრი ხასიათი ადარდებდა, ან იქნებ ის, რომ მან ასე დაიგვიანა. ქარბუქი გარეთ სულ უფრო ბობოქრობდა და ყველანი ამბობდნენ, ვისაც ეს ავდარი მინდორში მოუსწრებს, გადარჩენას ნუღარ მოელისო; მაგრამ ქალბატონი იმასაც ფიქრობდა, ალბათ დანუსია ყველაფერში გაუტყდა მამას, ის კი შეურაცხყოფილი დარჩა და გადაწყვიტა საერთოდ არ ჩამოსულიყო ცეხანოვში. თუმცა ზბიშკოსთვის თავისი ეჭვები არ გაუმხელია, და რომ სდომოდა, ვერც მოასწრებდა: მსახურებმა ამ დროს კერძები შემოიტანეს და მაგიდაზე დაალაგეს. ზბიშკომ დრო იხელთა, მის ფეხებთან დაიხარა და ჰკითხა:

– თუ ჩამოვლენ, მაშინ როგორ იქნება, მოწყალეო პანი? მროკოტამ მითხრა, იურანდისთვის ცალკე ოთახი გვაქვსო, სადაც საჭურველმტვირთველთათვისაც მოიძევებაო თივა. მაშინ?..

ქალბატონმა გაიცინა, ხელთათმანიანი ხელი სახეზე მსუბუქად გაუტყაპუნა და უთხრა:

– კმარა! ეს კიდევ რაღა ამბავია? ერთი ამას დამიხედეთ!

და მთავარს მიუახლოვდა, რომელსაც შინაკაცებმა სავარძელი დაუდგეს. ერთმა მსახურმა ჯერ სინზე დალაგებული თხლად დაჭრილი კვერები და ობლატები მიართვა, რათა მას სტუმრებისა და კარის დიდებულებისათვის ჩამოერიგებინა. მეორე ასეთივე სინი ქალბატონისათვის ეკავა ლამაზ ყმაწვილს, სოხაჩევის კაშტელანის ვაჟს. მაგიდის მოპირდაპირე მხარეს დადგა ქსონძი ვიშონეკი, რომელსაც უნდა ეკურთხებინა სურნელოვან თივაზე დალაგებული სანოვაგე.

უეცრად კარში გამოჩნდა თოვლში ამოგანგლული კაცი და დაიძახა:

– მოწყალეო ბატონო!

– რა მოხდა? – იკითხა მთავარმა უკმაყოფილომ იმით, რომ წეს-ჩვეულება ირღვეოდა.

– რაძანოვის გზაზე ვიღაც მგზავრები ჩაუბუქავს. ხალხი უნდა გავაგზავნოთ იმათ ამოსათხრელად.

ყველა შეშინდა, მთავარიც აფორიაქდა და სოხაჩევის კაშტელანს მიუბრუნდა:

– ჩქარა, ცხენოსნები ნიჩბებით!

მერე ამბის მომტანს ჰკითხა:

– ბევრნი არიან?

– ვერ გავიგეთ. საშინელი ქარბუქია. ცხენებიც არის, საზიდრებიც, მსახურიც ბევრია.

– არ იცით, ვისია მსახურები?

– ამბობენ, სპიხოველი ბატონისააო.

XIII

ეს სამწუხარო ამბავი რომ გაიგონა, ზბიშკო მთავრის ნებართვას არც კი დალოდებია, საჯინიბოს ეცა და ცხენების შეკაზმვა ბრძანა. ჩეხი, როგორც კეთილშობილი წარმოშობის საჭურველმტვირთველი, ამ დროს სასტუმრო ოთახში იმყოფებოდა და ძლივს მოასწრო გაქცევა, რომ თავისი ბატონისათვის მელიის თბილი ქურქი გამოეტანა; ჭკვიანი კაცი იყო და არც უცდია მისი დაკავება, იცოდა, ამაო იქნებოდა, ოდნავ დაგვიანება კი უკვე სიკვდილს მოასწავებდა. ჩეხი მოახტა მეორე ცხენს, მეკარეს რამდენიმე ჩირაღდანი გამოგლიჯა და წამში გაუდგნენ გზას მთავრის მსახურებთან ერთად, რომლებიც ელვის სისწრაფით აღჭურვა მოხუცმა კაშტელანმა. ჭიშკარს რომ გასცდნენ, მაშინვე სიბნელე შემოებურათ, მაგრამ ქარბუქი ცოტა ჩამდგარიყო. როცა ქალაქიც უკან მოიტოვეს, ნამდვილად გზა აებნეოდათ, თუ არა ის კაცი, რომელმაც პირველად ამცნო უბედურება. ამ კაცის ძაღლმა გზა უკვე იცოდა და პატრონი სწრაფად და გულდაჯერებით მიჰყავდა წინ. გაშლილ მინდორზე რომ გავიდნენ, ქარმა ისევ შოლტივით დაუშინა სახეში ჭენებით მიმავალ მხედრებს. გზაზე ალაგ-ალაგ ისეთი ნამქერი დაგროვილიყო, რომ იძულებული იყვნენ სვლა შეენელებინათ, – ცხენები მკერდამდე ეფლობოდნენ თოვლში. მთავრის მსახურებმა ჩირაღდნები და ჭრაქები აანთეს და კვამლსა და ალში განაგრძეს გზა. ქარი კი ისეთი ძალით უბერავდა, თითქოს ფისიანი ნაფოტებიდან კვამლის ქულებისა და ალის მოგლეჯას და მინდვრად გატაცებას ლამობსო. შორი გზა ედოთ წინ; ცხენოსნები

ცეხანოვის მახლობელ სოფლებს და ნეძბოჟს უკვე გასცდნენ და ახლა რა-ძანოვისაკენ შეუხვიეს. ნეძბოჟის შემდეგ ქარბუქმა მართლაც იკლო. ისე ძლიერ აღარ უბერავდა და აღარც თოვლის ღრუბელი მოჰქონდა. ცაც შედა-რებით მოიწმინდა. ცოტა კიდევ და თოვლიც შეწყდა. მერე ღრუბლებში აქა-იქ ვარსკვლავებმა გამოიჭიატეს. ცხენები აჭიხვინდნენ, მხედრებმა შვებით ამოისუნთქეს. ვარსკვლავები მრავლდებოდა, ყინვამ მოუჭირა. ცოტაც და ქარბუქი სულ ჩადგა.

ბატონი დე ლორში ზბიშკოს გვერდით მიჰყვებოდა და ცდილობდა და-ემშვიდებინა ყმაწვილი; ეუბნებოდა, საშიშროების წუთებში იურანდი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში შვილის გადარჩენაზე იზრუნებდა და ყველანი რომ გაყინულები დაგვიხვდნენ, იმას მაინც ცოცხალს ან იქნებ მძინარესაც ვიპოვით თბილ ქურქებში გახვეულსო.

ზბიშკოს ბევრი არაფერი ესმოდა დე ლორშის ლაპარაკიდან და ამისი დროც აღარ იყო, რადგან წინ მიმავალმა გამცილებელმა გზიდან გადაუხ-ვია.

ახალგაზრდა რაინდი დაწინაურდა და ჰკითხა:

– რატომ ვუხვევთ?

– ისინი გზისპირზე კი არ ჩაბუქულან, აგერ იქ არიან, ხედავთ იმ თხმელნარს?

მან ახალამოყრილ ტყეზე მიუთითა, შორიახლოს რომ მოჩანდა შავად. მისი გარჩევა დათოვლილ ველზე უკვე ადვილი იყო, რადგან ღრუბლებში მთვარე გამოცურებულიყო და ღამე გაენათებინა.

– ეტყობა, გზიდან აცდენილან.

– გზიდან აცდენილან და ზედ მდინარესთან ტრიალებდნენ. ქარბუქსა და ქარიშხალში ეს ხშირად ხდება ხოლმე. ასე იტრიალეს ალბათ, სანამ ცხენები სულ არ დაუდგნენ.

– მერე თქვენ როგორ იპოვეთ?

– ძაღლმა მოგვიყვანა.

– ახლომახლო ქოხები არსად არის? არის, ოღონდ მდინარის გადაღმა, აქ ახლოს მდინარე ვკრაა.

– აბა ჩქარა! – შესძახა ზბიშკომ.

ბრძანება ადვილი იყო, შესრულება კი არც ისე ადვილი, – ყინვა უჭერ-და, მაგრამ ახლად მოსული ღრმა და ფხვიერი თოვლი ჯერ არ მოყინული-

ყო, ცხენები მუხლამდე ეფლობოდნენ და ნელა მიიწევდნენ წინ. უცებ ცხენოსნების ყურამდე ძაღლის ყეფამ მოაღწია. წინ გამოჩნდა ძეწნის მსხვილი მოხრილი ტანი და მის თავზე მთვარის შუქით განათებული ფოთოლგაცვენილი ვარჯი.

– ისინი მოშორებით არიან, – უთხრა გამყოლმა, თხმელნართან, მაგრამ აქაც არის ვიღაც.

– ძეწნის ქვეშ ნამქერია. აბა, მომინათეთ!

მთავრის რამდენიმე მსახური ცხენიდან ჩამოხტა და ჩირაღდნები მიუნათეს; მალე ერთმა მათგანმა დაიძახა:

– კაცია თოვლქვეშ! აგერ თავი მოჩანს!

– აგერ ცხენიც! – შესძახა მეორემ.

– გათხარეთ!

ნიჩბებით თოვლს აქეთ-იქით ყრიდნენ.

ერთი წუთიც და ყველამ დაინახა ხის ძირში მიმჯდარი კაცი. თავი მკერდზე ჩამოვარდნოდა, ქუდი სახეზე ჩამოეფხატა. მარჯვენა ხელში აღვირი ეჭირა, იქვე, გვერდით, თოვლში ცხვირჩარგული ცხენიც იწვა. როგორც ჩანს, ეს კაცი სხვებს გამოყოფოდა, რომ დასახლებულ ადგილამდე უფრო ადრე მისულიყო და ხალხი დასახმარებლად წამოეყვანა, მაგრამ ცხენი დავარდნოდა, მხედარი კი ძეწნის ქვეშ ჩამჯდარიყო, ქარს მოფარებოდა და იქვე გაყინულიყო.

– მომინათეთ! – იყვირა ზბიშკომ.

მსახურმა ჩირაღდანი მიანათა გაყინულს სახეზე, მაგრამ ნაკვთების გარჩევა ძნელი იყო. როცა მეორე მსახურმა აუწია დახრილი თავი, მაშინ კი ყველას აღმოხდა:

– სპიხოვის ბატონი!

ზბიშკომ ორ მსახურს უბრძანა სასწრაფოდ წაეყვანათ ის უახლოეს ქოხში, თვითონ კი წუთიც არ დაუკარგავს, დანარჩენი მსახურებითა და გამცილებლებით სხვების გადასარჩენად გაეშურა. გზაზე ფიქრობდა, დანუსკას, ჩემს მეუღლეს, ალბათ უკვე მკვდარს ვიხილავ. მკერდამდე თოვლში ჩაფლულ ცხენს მაინც მთელი ძალით მიერეკებოდა. საბედნიეროდ, უკვე ახლოს იყო – ორასიოდე ნაბიჯზე. „აქეთ!“ – მოისმა იმათი ხმა, ვინც აქ თოვლში ჩაფლულებთან დარჩენილიყო. ზბიშკო მიუახლოვდა ხალხს და ცხენიდან ჩამოხტა.

– ჩქარა, ნიჩბები!

ორი მარხილი უკვე ამოეთხარათ იმათ, ვინც აქ სადარაჯოდ დარჩა. ცხენები და ხალხი ისე გაყინულიყო, მათი გადარჩენის იმედი აღარავის ჰქონდა. ამობურთულ თოვლზე შეიმჩნეოდა დანარჩენი ფორნები. რამდენიმე ფორანი თოვლს მთლიანად არ დაეფარა. ზოგიერთთან მუცლამდე ჩანამქრული ცხენები იდგნენ. მიხვდებოდით, რომ მთელი ძალით მიიწევდნენ წინ, მაგრამ ბოლოს ღონემ უმტყუნათ. ერთი წყვილი ცხენის წინ ბოძივით გაშეშებული იდგა წელამდე თოვლში ჩაფლული და ხელში შუბჩაბღუჯული კაცი; დანარჩენი მსახურები ცხენების მახლობლად გაფიჩხებულიყვნენ, სიკვდილს მათთვის იმ დროს მოესწრო, როცა ნამქერიდან ცხენების გამოყვანას ცდილობდნენ. ბოლოში ერთი ფორანი თოვლს სულ არ დაეფარა, მეეტლე კოფოზე მოხრილი იჯდა და ყურებზე ხელები მიეფარებინა; მის უკან ორი კაცი იწვა; მკერდზე თოვლი გრძელ ზოლებად დასდებოდათ. ეს თოვლი მათ ბუმბულის საბნებივით ეხურათ და გეგონებოდათ, მიცვალებულებს მშვიდი და უშფოთველი ძილით სძინავთ. სხვები ქარიშხალს უკანასკნელ წუთებამდე ებრძოდნენ და ისე დაღუპულიყვნენ. ძალზე დაძაბული იერი ედოთ. ზოგიერთი მარხილი გადაბრუნებულიყო, ზოგს ხელნა გადატეხოდა. ზედიზედ თხრიდნენ მეტისმეტი დაძაბულობისაგან რკალივით მოხრილ ცხენის ზურგებს, თოვლში ცხვირჩარგულ თავებს, მარხილებზე მსხდომ და მათ გვერდით მომავალ ხალხს. მაგრამ გათხრილებში არც ერთი ქალი არ აღმოჩნდა. ზბიშკო ნიჩბით ხელში ხან სხვების მხარდამხარ შრომობდა და ოფლში იწურებოდა, ხან გულაძგერებული მიანათებდა ჩირაღდანს თვალებში გაყინულებს, ვაითუ საყვარელი სახე დავინახოო, მაგრამ ამაოდ, შუქი ანათებდა სპიხოველი მებრძოლების მრისხანე ულვაშებიან სახეებს. არც დანუსია და არც სხვა ვინმე ქალი არსად ჩანდა.

– რას უნდა ნიშნავდეს? – ეკითხებოდა გაოცებული ჭაბუკი რაინდი თავის თავს.

ის გასძახოდა მოშორებით მომუშავე ხალხს, ქალი ხომ არ გიპოვიათო, მაგრამ ისინიც მხოლოდ მამაკაცებს პოულობდნენ.

ბოლოს სამუშაო დასრულდა. მსახურებმა მარხილებში თავიანთი ცხენები შეაბეს, თვითონ კოფოებზე შესხდნენ და მოყინულები ნეძბოჟისაკენ წაიყვანეს, რათა ეცადათ და სითბოში რომელიმე მათგანისათვის მაინც დაებრუნებინათ სიცოცხლე. ზბიშკო დარჩა ჩეხთან და ორ მსახურთან ერთად. იფიქრა, იქნებ დანუსიას მარხილმა სხვებს გაუსწროო: მასში ხომ საუკეთესო ცხენები უნდა ყოფილიყო შებმული. იურანდს შეეძლო ებრძანებინა, წინ გასწითო, ან სულაც გზაზე რომელიმე ქოხთან დაეტოვებინა. ზბიშკომ აღარ

იცოდა, რა ეღონა; ყოველ შემთხვევაში უნდოდა გადაეჩხრიკა ახლომახლო მთელი ნამქერი და მთელი თხმელნარი. მერე კი გასულიყო გზაზე და იქ ეძებნა.

მაგრამ ნამქერებში არავინ აღმოჩნდა. თხმელნარში რამდენჯერმე მგლის თვალებს გადააწყდნენ, მაგრამ ცხენისა და კაცის კვალი ვერც იქ იპოვეს. თხმელნარსა და გზას შუა გაშლილი კორდი ახლა მთვარის შუქზე ბზინავდა და მის უსიცოცხლო საფარზე შორს აქა-იქ შავი ლაქები მოჩანდა; მაგრამ ესენიც მგლები იყვნენ, რომლებიც გაურბოდნენ ადამიანებს.

– თქვენო მოწყალებავ, – უთხრა ბოლოს ჩეხმა, – სულ ტყუილუბრალოდ ვეძებთ, – სპიხოვის ქალბატონი ამ მგზავრებში არ ყოფილა.

– აბა, გზისკენ! – ბრძანა ზბიშკომ.

– ჩვენ ვერც გზაზე ვიპოვით მას. მე ყველაფერი დავათვალიერე, არც ერთ მარხილზე ქალის ტანსაცმლიანი ყუთები არ აღმოჩნდა. ვერაფერი ვიპოვე. ქალიშვილი სპიხოვში დარჩა.

სწორი აზრი იყო და გაოგნებულმა ზბიშკომ თქვა:

– ღმერთმა ქნას, მართლა ეგრე იყოს, როგორც შენ ამბობ.

ჩეხი კი განაგრძობდა თავის ვარაუდებს:

– მოხუცი კანი არ დატოვებდა ქალიშვილს მარხილზე მარტოს; თავისთან ცხენზე შემოისვამდა და მასთან ერთად ვიპოვიდით.

– წავიდეთ იქ კიდევ ერთხელ, – ბრძანა შეშფოთებულმა ზბიშკომ.

ჭაბუკმა იფიქრა, ალბათ სწორედ ისე იყო, როგორც ჩეხი ამბობსო. იქნებ კარგად ვერ დაძებნეს. იქნებ დანუსია მართლაც შემოისვა ცხენზე იურანდმა, მაგრამ შემდეგ, როცა ცხენი დავარდა, დანუსია მამას მოშორდა, რომ საშველად მოეხმო; ალბათ სწორედ ამ დროს ჩაბუქა იქვე ახლო-მახლო, თითქოს ფიქრებს მიუხვდაო, გლოვაჩმა თქვა:

– მაშინ მარხილებზე იმის ტანსაცმელს მაინც ვიპოვიდი; სასახლეში იმ ერთი კაბისამარა ხომ არ წამოვიდოდა.

თუმცა ეს ძალიან გონივრული მოსაზრება იყო, მაინც მიაშურეს ძეწნას; მაგრამ ვერც მის ძირას და ვერც გარშემო ორმოცდაათ ნაბიჯზე ვერაფერი იპოვეს. მთავრის მსახურებს იურანდი უკვე წაეყვანათ ნეძბოჟში და ირგვლივ სრული სიცარიელე იყო.

ჩეხმა თქვა, გამცილებლის ძაღლი, რომელმაც იურანდი ნახა, უეჭველად ქალიშვილსაც იპოვიდაო. ზბიშკოსაც გულზე მოეშვა, როცა დარწმუნ-

და, რომ დანუსია შინ დარჩა. წარმოიდგინა კიდეც, როგორ უნდა მომხდარიყო ეს: ალბათ დანუსია ყველაფერში გამოუტყდა მამას, მაგრამ მისი მოდრეკა ვერ შეძლო და მამამ ის განგებ დატოვა შინ, თვითონ კი მთავრისაკენ საჩივლელად გამოეშურა და ეპისკოპოსის მხარდაჭერის იმედიც ჰქონდა. მას უცებ თავში გაურბინა, რომ იურანდის სიკვდილმა ყველა ეს წინააღმდეგობა მოსპო და თავისუფლად ამოისუნთქა, რაღაც სიხარულიც კი იგრძნო გულში. „იურანდს არ უნდოდა, მაგრამ ღმერთმა მოისურვა, – თქვა თავისთვის ყმაწვილმა რაინდმა, – ღვთის ნება კი ყოველთვის მეტია ადამიანის ნებაზე“. ახლა მას ისღა დარჩენია, სპიხოვში წავიდეს და თავისი დანუსია წამოიყვანოს, მერე კი შეუდგეს აღთქმის შესრულებას ამის გაკეთება საზღვარზე უფრო ადვილია, ვიდრე შორეულ ბოგდანეცში. „ღვთის ნებაა, ღვთის ნება!“ – იმეორებდა გულში; მაგრამ უცებ შერცხვა ამ სიხარულის, ჩეხს მიუბრუნდა და უთხრა:

– ძალიან მენანება, გულახდილად გეუბნები.

– ხალხში ამბობენ, გერმანელებს სიკვდილივით ეშინოდათო მისი. – შენიშნა საჭურველმტვირთველმა.

ერთი წუთის მერე კი ჰკითხა:

– ახლა ციხესიმაგრეში დავბრუნდეთ?

– ნეძბოჟში გავიაროთ, – უპასუხა ზბიშკომ.

ისინი შევიდნენ ნეძბოჟში და შლიახტიჩის კარ-მიდამოს მიაშურეს, სადაც ხანში შესულმა სახლის პატრონმა ჟელეხმა მიიღო. იურანდი იქ ვეღარ ნახეს, მაგრამ ჟელეხმა სასიხარულო ამბავი უთხრა:

– იმდენი სრისეს თოვლით, ლამის ძვლებამდე ჩავიდნენ, პირში ღვინოს ასხამდნენ, მერე აბანოში გაათბეს, სწორედ იქ ამოისუნთქა.

– ცოცხალია? – სიხარულით იკითხა ზბიშკომ, რომელსაც ამის გაგონებაზე თავისი სადარდელი გადაავიწყდა.

– ცოცხალი კი არის, მაგრამ ღმერთმა უწყის, იცოცხლებს თუ არა, ნახევარ გზაზე წასული სული დიდი ხალისით არ ბრუნდება ხოლმე უკან.

– რატომ წაიყვანეს?

– მთავარმა კაცები გამოგზავნა. რაც კი შინ ბუმბულის საბნები გვქონდა, სულ ზედ დავაყარეთ და ისე გავუშვით.

– ქალიშვილზე არაფერი უთქვამს?

– სუნთქვა დაიწყო, მაგრამ ენას ჯერ ვერ აბრუნებდა.

– დანარჩენები როგორ არიან?

– თქვენი ჭირი წაიღეს. ვეღარ ეღირსებიან, საცოდავები, ცისკრის ლოცვას, იმის გარდა, თვითონ ქრისტე რომ მართავს ზეცაში.

– ვერც ერთი ვერ გამოაბრუნეს?

– ვერც ერთი. რაღა წინკარში ვსაუბრობთ, შინ შემობრძანდით. თუ მათი ნახვა გნებავთ, სამოახლოში ასვენიან ცეცხლის პირას. შემობრძანდით.

ზბიშკო ჩქარობდა, შესვლაზე უარი თქვა, თუმცა დიდად ეპატიჟებოდა მოხუცი ჟელეხი, რომელსაც ძალიან უნდოდა შინ შეეყვანა ისინი და უცნობ ხალხთან „ემასლაათა“. ნეძბოჟიდან ცეხანოვამდე დიდი გზა იყო. ზბიშკოს კი გული აღარ უთმენდა, უნდოდა მალე ენახა იურანდი და რამე ამბავი მაინც გაეგო დანუსიასი.

ისინი ცხენებს მიაჭენებდნენ თოვლიან გზაზე. შუაღამე გადასული იყო, როცა ცეხანოვში ჩავიდნენ, ციხის ეკლესიაში სამარადღამეო დაემთავრებინათ. ზბიშკოს ყურამდის მოაღწია ბღავილმა და კიკინმა: ამ ხმებს გამოსცემდა მორწმუნე ხალხი იმის ნიშნად, რომ უფალი ბოსელში დაიბადა. წირვის შემდეგ ზბიშკოსთან გამოვიდა ქალბატონი, ნაღვლიანი და შეშინებული სახე ჰქონდა.

– დანუსკა სადღაა? – ჰკითხა ზბიშკოს.

– არსად არ არის, იურანდს არაფერი უთქვამს? გავიგე, გადარჩაო!

– ღმერთო დიდებულო!... შენ გვიხსენი განსაცდელისაგან! ეს რა უბედურებაა! იურანდი ხმას ვერ იღებს, გაუნძრევლად წევს.

– ნუ გეშინიათ, მოწყალეო ქალბატონო. დანუსკა სპიხოვში დარჩა.

– საიდან იცი?

– ვერც ერთ მარხილზე ტანსაცმელი ვერ იპოვეს. ქურქისამარა ხომ არ წამოვიდოდა.

– ეგ მართალია, ღმერთს ვფიცავარ, მართალია!

ქალბატონს თვალები სიხარულმა გაუნათა და მაშინვე შესძახა:

– ოი, იესო ახლად შობილო! ჩანს, წყალობა გსურს მოგვივლინო და არა რისხვა.

ქალბატონმა მაინც ვერ მოისვენა, რატომ არ უნდა წამოეყვანაო თან, და ისევ ჰკითხა ზბიშკოს:

– რატომ უნდა დაეტოვებინა შინ? ზბიშკომ თავისი ვარაუდი მოახსენა. თითქოსდა მართალს ჰგავდა და შესაშინებელიც არაფერი ჩანდა.

– ახლა იურანდი, – შენიშნა ქალმა, სიცოცხლით არის დავალებული ჩვენგან და განსაკუთრებით შენგან. შენც ხომ წასული იყავი მის მოსაძებნად. გული კი არა, ქვა უნდა ედოს საგულეში, ამის შემდეგ რომ ხელი შეგიშალოს! ეს მისთვის გაფრთხილებაც იქნება ღმერთისა, რათა შემდგომად ვეღარ გაბედოს წინ აღუდგეს საიდუმლოსა წმინდას. როგორც კი გრძნობაზე მოვა, ყველაფერს ვეტყვი.

– ჯერ გამოფხიზლდეს, ჩვენ ხომ არ ვიცით, რატომ არ წამოიყვანა დანუსკა. იქნებ სულაც ავად არის?

– სისულელეებს ნუ ლაპარაკობ! ისედაც გული მელევა უიმისოდ. ავად რომ გამხდარიყო, მარტოს როგორ დატოვებდა.

– ეგეც მართალია! – უთხრა ზბიშკომ.

ისინი იურანდთან წავიდნენ. ოთახში აბანოსავით თბილოდა, ბუხარში აგუზგუზებული ფიჭვის მორების ცეცხლი ანათებდა იქაურობას. ქსონძი ვიშონეკი ღამეს უთევდა ავადმყოფს, რომელსაც დათვის ტყავები ეხურა. სულ მთლად გადაფითრებულიყო, თმა ოფლისაგან ერთმანეთზე შეწებებოდა, თვალები დახუჭული ჰქონდა. მძიმედ სუნთქავდა, მაგრამ ისე ღრმად, რომ ტყავები ყოველ ამოსუნთქვაზე ადი-ჩადიოდა.

– როგორ არის? - იკითხა ქალბატონმა.

– პირში აზარფეშით შემთბარი ღვინო ჩავასხი, – უპასუხა ქსონძმა ვიშონეკმა, – ახლა შეოფლიანდა.

– სძინავს თუ არა?

– იქნებ არც სძინავს, ძალიან ბორგავს.

– გამოლაპარაკება ხომ არ გიცდიათ?

– ვცადე, მაგრამ ხმას არ იღებს; გათენებამდე თუ მოვიდა გონს, ისიც კარგია.

– უნდა დაველოდოთ გათენებას, – უთხრა ქალბატონმა.

ქსონძი ვიშონეკი აძალებდა, წადით დაისვენეთო, მაგრამ ქალბატონს გაგონებაც არ უნდოდა. ქრისტიანულ მოწყალებაში, მათ შორის ავადმყოფის მოვლაში, ყოველთვის ცდილობდა განსვენებულ დედოფალ იადვიგას გატოლებოდა და თავისი დამსახურებით მამის სული დაეხსნა; ამიტომ ამ ძველისძველ ქრისტიანულ ქვეყანაში შემთხვევას არ გაუშვებდა, თავისი

ღვთისმოსაობა არ ეჩვენებინა. ამითი სურდა ხალხის მეხსიერებიდან ამოეშალა, რომ დაბადებით წარმართი იყო.

ამას გარდა, მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, მალე გაეგო იურანდისაგან დანუსიას ამბავი, რომლის ბედი ლოდად აწვა გულზე. ის ავადმყოფის მახლობლად ჩამოჯდა და ლოცვა დაიწყო, მერე კი ჩათვლიმა. ზბიშკოც ჯერ მთლად კარგად ვერ გრძნობდა თავს, ღამის მგზავრობამაც ძალზე დაღალა, ამიტომ მალე მიბაძა მას, და ერთი საათიც არ გასულიყო, რომ ორთავეს ღრმად ჩაეძინა. და ალბათ დილამდე ვერც გაიღვიძებდნენ, სასახლის ეკლესიის ზარი რომ არ აგუგუნებულიყო.

მაგრამ ამ ზარმა იურანდიც გამოაღვიძა; მოხუცმა რაინდმა თვალი გაახილა, საწოლზე წამოჯდა და თვალების ფახულით აქეთ-იქით მიმოიხედა.

– მადლობა ღმერთს! თავს როგორ გრძნობთ? – ჰკითხა ქალბატონმა.

მაგრამ იურანდი ჯერ კიდევ არ გამოფხიზლებულიყო, მან ქალბატონს შეხედა და ვერ იცნო, ერთი წუთის მერე კი იყვირა:

– აქეთ! აქეთ! აქ გათხარეთ!

– ღმერთო, შენ შემიწყალე, თქვენ ხომ უკვე ცეხანოვში ხართ! – ისევ უთხრა ქალბატონმა.

იურანდმა შუბლი მოჭმუხნა, თითქოს აზრი ვერ მოეკრიბა, და ჩაეკითხა:

– ცეხანოვში?... ჩემი ქალი მელოდება... მთავარი და მისი მეუღლე.. დანუსკა! დანუსკა!..

უცებ თვალები მილულა და კვლავ მიესვენა საწოლზე. ზბიშკოსა და ქალბატონს შეეშინდათ, ხომ არ მოკვდაო, მაგრამ ერთი წამის შემდეგ მკერდი ისე აუდ-ჩაუდიოდა, როგორც ღრმა ძილში იცის ხოლმე.

მამაო ვიშონეკმა თითი ტუჩებზე მიიდო, ამით ანიშნა, ავადმყოფს ნუ გააღვიძებთო, და ჩურჩულით თქვა:

– შეიძლება მთელი დღე იძინოს.

– შეიძლება, მაგრამ რა თქვა? - იკითხა ქალბატონმა.

– რა თქვა და, დანუსკა ცეხანოვში მელოდებაო, – უპასუხა ზბიშკომ.

– ჯერ გონზე არ იყო მოსული, – აუხსნა ქსონძმა.

XIV

მამაო ვიშონეკი შიშობდა, იურანდი შეიძლება კიდევ გამოფხიზლდეს, მაგრამ ისევ დიდი ხნით დაუბნელდესო გონება. ჯერჯერობით კი ქსონძი ქალბატონსა და ზბიშკოს შეპირდა, როგორც კი მოხუცი რაინდი დაილაპარაკებს, შეგატყობინებთო, და როცა ისინი წავიდნენ, თვითონაც დასაძინებლად გაემართა. იურანდმა მხოლოდ დღესასწაულის მეორე დღეს, შუადღისას, გაიღვიძა სრულ გონებაზე. ქალბატონი და ზბიშკო იმ დროს იქ იყვნენ. იურანდი საწოლზე წამოჯდა, ქალბატონს შეხედა, მაშინვე იცნო და შესძახა:

– მოწყალეო ქალბატონო... ღმერთო დიდებულო, ნუთუ მე ცეხანოვში ვარ?

– დღესასწაულიც კი გამოგეპარათ ძილში, – უპასუხა ქალბატონმა.

– მე თოვლმა ჩამმარხა. მერე ვინ ამომიყვანა?

– აი, ამ რაინდმა, ზბიშკო ბოგდანეცელმა. გახსოვთ, კრაკოვში...

იურანდმა საღი თვალი მიაპყრო ყმაწვილს და უთხრა:

– მახსოვს... დანუსკა სადღაა?

– განა ის თქვენთან ერთად არ იყო? შეკრთა ქალბატონი.

– ჩემთან როგორ იქნებოდა, როცა მე მოვდიოდი თვითონ მასთან?

ზბიშკომ და ქალბატონმა ერთმანეთს გადახედეს, იფიქრეს, იურანდი ჯერ ისევ ბოდავსო. მერე ქალბატონმა უთხრა:

– რას ამბობთ, გონს მოდით! განა დანუსია თქვენთან ერთად არ მოდიოდა?

– დანუსია? ჩემთან ერთად? – გაიმეორა გაოცებულმა იურანდმა.

– თქვენი მსახურები დაიღუპნენ, ის კი სულ ვერ ვიპოვეთ. რატომ დატოვეთ სპიხოვში?

იურანდმა ერთხელ კიდევ ჰკითხა უკვე შიშნარევი ხმით:

– სპიხოვში? ის ხომ თქვენთან არის, მოწყალეო ქალბატონო, და არა ჩემთან!

– თქვენ ხომ გამოგზავნეთ სამონადირო სახლში მსახურები და წერილი!

– ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! – შესძახა იურანდმა, – მე არავინ გამომიგზავნია.

ქალბატონი ერთბაშად გადაფითრდა.

– რას ამბობთ? – თქვა მან, – დარწმუნებული ხართ, რომ გონებაზე ბრძანდებით?

– ღმერთო მოწყალეო, რა უყავით ჩემი შვილი? – იყვირა იურანდმა და ფეხზე წამოხტა.

ამ სიტყვების გაგონებაზე მამაო ვიშონეკი სწრაფად გავიდა ოთახიდან.

– მომისმინეთ, – განაგრძობდა ქალბატონი, ჩვენთან ტყის სახლში ჩამოვიდნენ შეიარაღებული მსახურები და თან ჩამოიტანეს თქვენი წერილი. წერილში იწერებოდით, დანუსია გამომიგზავნეთო. ხანძრის დროს ძელი დამეცა. კინაღამ სულ დავბრმავდი და ქალიშვილის ნახვა მინდაო. მსახურებმა წამოიყვანეს დანუსია და წამოვიდნენ...

– ვაი, ჩემი ბრალი! – შეჰყვირა იურანდმა, – ღმერთს გეფიცებით, არავითარი ხანძარი სპიხოვში არა ყოფილა და არავინ დანუსიას წასაყვანად არ გამომიგზავნია!

ამ დროს შემობრუნდა მამაო ვიშონეკი და წერილი შემოიტანა; იურანდს გაუწოდა და ჰკითხა:

– ეს თქვენი ქსონძის დაწერილია?

– არ ვიცი.

– ბეჭედი ვისია?

– ბეჭედი ჩემია.

– რა წერია წერილში? – მამაო ვიშონეკმა წაიკითხა წერილი.

იურანდი უსმენდა, ხელები თავზე შემოეჭდო; როცა ქსონძმა კითხვა დაასრულა, შესძახა:

– წერილი ყალბია!... ბეჭედიც ყალბია! ვაი ჩემი ბრალი! იმათ მოიტაცეს ჩემი ქალიშვილი და დაღუპავენ კიდეც!

– ვინ?

– ჯვაროსნებმა!

– ღმერთო გვიშველე! მთავარს უნდა შევატყობინოთ! ელჩები გაგზავნოს მაგისტრთან! – შესძახა ქალბატონმა. – მოწყალეო იესო! იხსენი და შეიბრალე!..

და ის. ყვირილით გავარდა ოთახიდან. იურანდი წამოხტა საწოლიდან და გამალებით დაიწყო გოლიათ სხეულზე ტანსაცმლის ჩაცმა. ზბიშკო. გაოგნებული იჯდა, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ გაცოფებულმა ააღრჭიალა კბილები.

– საიდან იცით, რომ ჯვაროსნებმა მოიტაცეს? – ჰკითხა ქსონძმა ვიშონეკმა.

– ვფიცავ ყოველივე წმინდას ამქვეყნად!

– მოიცა, მოიცა!... იქნებ ეგ მართალიც არის. ისინი სამონადირო სახლში. თქვენზე, საჩივლელად ჩამოვიდნენ... სამაგიეროს გადახდას თხოულობდნენ...

– და სწორედ იმათ მოიტაცეს! - იყვირა უეცრად ზბიშკომ.

ამ სიტყვებზე ის გარეთ გამოვარდა, საჯინიბოს ეცა და ცხენების შეკაზმვა და მარხილების გამზადება ბრძანა, თუმცა ხეირიანად თვითონაც არ იცოდა, რატომ აკეთებდა ამას. მხოლოდ ერთი ესმოდა: ახლავე უნდა წავიდეს, უნდა დაიხსნას დანუსია, უნდა წავიდეს თუნდაც პირდაპირ პრუსიაში და გამოგლიჯოს მტერს ხელიდან, ან თვითონაც დაიღუპოს.

ზბიშკო დაბრუნდა იურანდთან და უთხრა; იარაღი და ცხენები ახლავე მზად იქნებაო. დარწმუნებული იყო, რომ იურანდიც მასთან ერთად წავიდოდა. ბოღმისაგან სულ ალმური ასდიოდა, გული ლამის გასკდომოდა ტანჯვითა და სიბრალულით, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა, ფიქრობდა, რომ მრისხანე სპიხოველი რაინდის გვერდით ყველა სიძნელეს გადალახავდა, მთელ ლაშქარს დასძლევდა ჯვაროსნებისას.

ოთახში იურანდის, მამაო ვიშონეკისა და ქალბატონის გარდა მთავარი და ბატონი დე ლორშიც დაუხვდნენ, იქ იყო აგრეთვე მოხუცი დლუგოლიასელი ბატონი. როცა უბედურება ამცნეს, მთავარმა მასაც უხმო ბჭობაზე, როგორც გონიერ, ჯვაროსნების ტყვეობაში დიდხანს ნამყოფსა და მათი ადათების მცოდნე კაცს.

– ფრთხილად უნდა ვიმოქმედოთ, რათა ცხელ გულზე საქმე არ გავაფუჭოთ და გოგონა არ დავღუპოთ, – ამბობდა დლუგოლიასელი ბატონი. – სასწრაფოდ უნდა ვიჩივლოთ მაგისტრთან; დიდებულო მთავარო, თუ თქვენ წერილს დამიწერთ, მე გეახლებით.

– წერილსაც დაგიწერთ და მაგისტრთანაც წახვალთ, თქვა მთავარმა, – ვფიცავარ ღმერთს და წმინდა ჯვარს, ყველაფერს ვიღონებ, რომ ბავშვი არ დაიღუპოს! მაგისტრს პოლონეთის მეფესთან ომი აშინებს, სურს მე და ჩემი

ძმა სემკო მის მხარეზე ვიყოთ... არა, დანუსკა მისი ნებით არ არის მოტაცებული. ის უეჭველად ბრძანებს დაგვიბრუნონ ქალიშვილი.

– თუ მისი ნაბრძანებია? – იკითხა ქსონძმა ვიშონეკმა

– მართალია ჯვაროსანია, მაგრამ იმათში ყველაზე პირიანი კაცია, – შეედავა მთავარი. – მე უკვე ვთქვი, რომ ახლა ჩემი განრისხება სულაც არ აძლევს ხელს, პირიქით, ჩემი მოფერება მართებს. იაგელოს ძლიერება სახუმარო არ არის... სულს გვაძრობდნენ აქამდის, მაგრამ ახლა მიხვდნენ, რომ ჩვენ, მაზურებიც, თუ დავეხმარებით იაგელოს, კარგი დახლი არ დაუდგებათ...

– ეს მართალია, – ჩაურთო დლუგოლიასელმა ბატონმა, – ჯვაროსნები ტყუილუბრალოდ არაფერს აკეთებენ; ქალიშვილი, ვფიქრობ, იმ მიზნით მოიტაცეს, რომ იურანდს ხმალი ხელიდან გააგდებინონ, ან დიდი გამოსასყიდი მიიღონ, ან რომელიმე თავის ტყვეში გაცვალონ.

მერე ის სპიხოველ ბატონს მიუბრუნდა:

– ვინა გყავთ ახლა სპიხოვში დატყვევებული?

– დე ბერგოვი, – უპასუხა იურანდმა.

– ცნობილი დიდებულია?

– ალბათ ცნობილია.

ბერგოვის სახელი რომ გაიგონა, დე ლორში ჩაერია.

– გელდრიელი გრაფის ნათესავია, – თქვა ლოტარინგიელმა რაინდმა, – გრაფი კი ორდენის დიდი მფარველი, ცნობილი და პატივსაცემი ადამიანია.

– ეს მართალია, – შენიშნა დლუგოლიასელმა ბატონმა და იქ მყოფთ დე ლორშის სიტყვები გადაუთარგმნა. – ამ გვარის ხალხი ორდენში დიდი მხედართმთავრები იყვნენ.

– ტყუილად კი არ გამოექომაგნენ დანველდი და დე ლიოვე ასე გაშმაგებულნი, – თქვა მთავარმა. – მხოლოდ ამას გაჰყვიროდნენ, ბერგოვი უნდა განთავისუფლდესო, ვფიცავარ ღმერთს, ქალიშვილი სწორედ იმისათვის მოიტაცეს, რომ ბერგოვი გაათავისუფლონ.

– მაშინ ბერგოვს მივცემთ და დანუსკას დაგვიბრუნებენ, – ჩაერია ქსონძი.

– კარგი იქნებოდა გვცოდნოდა, სადა ჰყავთ, – თქვა დლუგოლიასელმა ბატონმა. – მაგისტრმა რომ გვკითხოს, ვის ვუბრძანო ქალის გათავისუფლებაო, რას ვეტყვით?

– სადა ჰყავთ? – ყრუდ თქვა იურანდმა, –- საზღვართან ახლომახლო ალბათ არ ეყოლებათ, შეეშინდებაო, არ წაგვართვასო, სადმე შორს წაიყვანდნენ– ვისლაზე ან ზღვის პირას.

– ვიპოვით და დავიბრუნებთ. – თქვა ზბიშკომ.

მთავარი დიდხანს იკავებდა თავს, ახლა კი უცებ აუდუღდა გული!

– ტევტონელმა ძაღლებმა ჩემი სახლიდან მოიტაცეს ის და ამით შეურაცხყოფა მომაყენეს! სანამ ცოცხალი ვარ, არ ვაპატიებ ამას! კმარა ღალატი! კმარა ძარცვა-გლეჯა! ახლა იძულებულს გავხდი მაგისტრს, დასაჯოს ის კომტურები, დაგვიბრუნოს ქალი, ჩემთან კი ელჩები გამოგზავნოს ბოდიშებით. თუ არ იზამს, ხვალვე ომის დაწყებას ვაუწყებ შლიახტას.

მან მუშტი დაჰკრა მაგიდას და დაამატა:

– მე ჩემი პლოცკელი ძმაც გამომყვება, ვიტოლდიც, იაგელოს მთელი სახელმწიფოც, კმარა, რაც დავუთმეთ და თავზე ხელი ვუსვით! ანგელოზს გამოელეოდა აქამდე მოთმინება! კმარა!

ყველა გაჩუმდა, ელოდნენ, როდის დაცხრებოდა მთავრის რისხვა. ქალბატონ დანუტას გაეხარდა, მთავარმა რომ გულთან ასე ახლოს მიიტანა დანუსიას მოტაცება; ქალმა იცოდა მისი მოთმინების ამბავი, მაგრამ ისიც იცოდა, როგორი შეუპოვარი იყო და, თუ საქმეს ხელს მოჰკიდებდა, უკან აღარ დაიხევდა, სანამ თავისებურად არ გააკეთებდა.

მერე ვიშონეკმა წამოიწყო:

– ოდესღაც ორდენში საკანონოს ვერავინ დაარღვევდა და თვითნებურად, კაპიტულისა და მაგისტრის ნებართვის გარეშე, არც ერთ კომტურს არ შეეძლო რაიმე მოემოქმედა. ამიტომ უბოძა მათ ღმერთმა ამდენი მიწები და აღამაღლა თითქმის ყველა სახელმწიფოზე. მაგრამ ახლა აღარც საკანონო გააჩნიათ და აღარც სიმართლე, არც ნამუსი და აღარც რწმენა. მხოლოდ სიხარბე და ბოროტება ამოძრავებთ, თითქოს ადამიანები კი არა, მგლები იყვნენ. მაგისტრს და კაპიტულს რაღას დაუგდებენ ყურს, როცა ღმერთისაც აღარ ეშინიათ! ჩამსხდარან უფლისწულებივით თავთავიანთ ციხესიმაგრეებში და ბოროტების ჩადენაშიღა უმართავენ ხელს ერთმანეთს. მაგისტრთან გინდაც ვიჩივლოთ, ისინი უარს იტყვიან. მაგისტრი უბრძანებს გოგონას დაბრუნებას, ისინი კი არ მოგვცემენ, ან იტყვიან: „ჩვენ-

თან არ არის, ჩვენ არ მოგვიტაციაო“. რომ მოსთხოვონ, კიდევაც დაიფიცებენ და არც შერცხვებათ. მაშინ რაღა უნდა ვქნათ?

– რა ვიღონოთ? - იკითხა დლუგოლიასელმა ბატონმა. – წავიდეს იურანდი სპიხოვში. თუ მისი შვილი მართლა გამოსასყიდის ასაღებად ან დე ბერგოვში გასაცვლელად ჰყავთ მოტაცებული, იურანდის მეტს ვინ უნდა შეატყობინონ ეს ამბავი.

– ეგ იმათი მოტაცებულია, სამონადირო სახლში რომ იყვნენ სტუმრად, – თქვა ქსონძმა.

– მაშინ მაგისტრი სამართალში გადასცემს, ან იურანდთან ორთაბრძოლას უბრძანებს.

– ისინი მე უნდა შემებრძოლონ, – წამოიძახა ზბიშკომ, – მე გავუგზავნე პირველმა გამოწვევა! იურანდმა სახიდან ხელები ჩამოიშორა და იკითხა:

– ვინ იყო სამონადირო სახლში?

– დანველდი იყო, მოხუცი ლიოვე და ორი ბერი: გოტფრიდი და როტგერი, – უპასუხა ქსონძმა. – ისინი ჩიოდნენ, თხოულობდნენ, რათა მთავარს ებრძანებინა თქვენთვის დე ბერგოვის გათავისუფლება. მაგრამ როცა მთავარმა დე ფურსისგან გაიგო, რომ ისინი პირველნი დაგეხსნენ თავს, ერთი გემოზე შეახურა და პირშიჩალაგამოვლებული გააბრუნა უკან.

– გაემგზავრეთ სპიხოვში, – თქვა მთავარმა, – ჯვაროსნები იქ მოგაკითხავენ. ასე იმიტომ შეაგვიანდათ, რომ ამ ჭაბუკის საჭურველმტვირთველმა დანველდს ხელი მოუმტვრია, როცა გამოწვევა გადასცა. ჩადით სპიხოვში და, როცა ჯვაროსნები ჩამოვლენ, სასწრაფოდ მაცნობეთ. ისინი უეჭველად დაგვიბრუნებენ ქალს დე ბერგოვში; მაგრამ მე, სულ ერთია, არ ვაპატიებ, ჩემი სახლიდან გაიტაცეს და შეურაცხყოფაც მე მომაყენეს.

მთავარი ისევ აღენთო მრისხანებით, მისი მოთმინების ფიალა მართლაც პირთამდე იყო ავსებული.

– ცეცხლთან მოინდომეს თამაში, მაგრამ დინგს დაიწვავენ იცოდეთ! – დაუმატა მან ერთი წუთის შემდეგ.

– ისინი ყველაფერს უარყოფენ! – გაიმეორა ქსონძმა ვიშონეკმა.

– თუკი იურანდს გააგებინებენ, რომ ქალიშვილი მათთანაა, მერე რაღას უარყოფენ, - შეედავა მიკოლაი დლუგოლიასელი. – მეც ასე ვფიქრობ, იურანდისა არ იყოს, რომ მოტაცებულს საზღვართან ახლოს არ გააჩერებენ, რაც შეიძლება შორს წაიყვანენ, რომელიმე ციხესიმაგრეში ან სულაც

ზღვის პირას; მაგრამ თუ დამტკიცდება, რომ ეს მათი ნახელავია, მაგისტრს ასე ადვილად ვეღარ დაუძვრებიან.

იურანდი კი იმეორებდა უცნაური და თან საზარელი სმით:

– დანველდი, ლიოვე, გოტფრიდი, როტგერი...

მიკოლაი დლუგოლიასელმა ისიც ურჩია, რამდენიმე გამოცდილი და ჭკუამახვილი კაცი პრუსიაში გაეგზავნათ. ეს ხალხი გაიგებდა, შჩიტნოში ან ინსბურკში ხომ არა ჰყავდათ დანუსია, ან თუ არა, საით წაიყვანეს; მერე მთავარმა თავისი კვერთხი აიღო და ბრძანების გასაცემად გავიდა, ქალბატონმა კი იურანდს გასამხნევებლად ჰკითხა:

– როგორ გრძნობთ თავს?

იურანდმა ერთხანს არაფერი უპასუხა, თითქოს კითხვა არც გაეგონოსო, მერე უცებ წარმოთქვა:

– გეგონებათ, დანა ჩაესოს ვიღაცას ძველ ჭრილობაში.

– გჯეროდეთ ღვთის მოწყალებისა; დაგიბრუნდებათ თქვენი დანუსია, ოღონდ დე ბერგოვი მიაქვავეთ.

– ბერგოვს კი არა, საკუთარ სისხლს არ დავინანებდი.

ქალბატონმა არ იცოდა, ახლა ეთქვა თუ არა დანუსიასა და ზბიშკოს ქორწინების ამბავი. მერე დაფიქრდა და გადაწყვიტა, რომ არ ღირდა ახალი დარდის დამატება იმ მძიმე განსაცდელზე, რაც იურანდს დაატყდა თავს. რაღაც ბუნდოვანმა შიშმაც შეიპყრო. „ის და ზბიშკო ერთად ივლიან საძებნელად, თუ შემთხვევა მიეცემა, თვითონ ზბიშკომ უთხრას, – იფიქრა მან, – თორემ ახლა სულ ჭკუიდან შეიშლება“. და ქალბატონმა გადაწყვიტა სხვა რამეზე ჩამოეგდო ლაპარაკი.

– ჩვენ ნურაფერს დაგვაბრალებთ, – უთხრა მან, – ჩამოვიდა ხალხი თქვენი მსახურებისნაირ ხიფთანებში, ჩამოიტანეს თქვენი ბეჭდით დადასტურებული წერილი; წერილში ეწერა, ავად ვარ, თვალისჩინს ვკარგავ და კიდევ ერთხელ მინდა ვიხილოო ჩემი ქალიშვილი. აბა, როგორ არ შეგვესრულებინა მამის სურვილი?

იურანდი მის მუხლებთან დაიხარა.

– მე არავის ვადანაშაულებ, მოწყალეო ქალბატონო.

– იცით რა, ღმერთი დაგიბრუნებთ თქვენს ქალიშვილს, იხსნის მას, როგორც იხსნა უკანასკნელი ნადირობის დროს, როცა მძვინვარე ხარი დაგვესხა თავს და ღვთის ნებით ზბიშკო მოგვევლინა დამცველად. ზბიშკო კინა-

ღამ თან გადაჰყვა ამ ამბავს და დიდხანს იავადმყოფა, მაგრამ დანუსია და მე გადაგვარჩინა. განა რისთვის მისცა მას მთავარმა სარტყელი და დეზები. ხომ ხედავთ, როგორ იცავს თქვენს ქალიშვილს უფლის მარჯვენა. რა თქმა უნდა, ძალიან მეცოდება! მეგონა, თქვენთან ერთად ჩამოვიდოდა, ვნახავდი ჩემს საყვარელ გოგოს, და თურმე რა ტრიალებს ჩვენს თავზე...

ქალბატონს ხმა აუკანკალდა, ცრემლები გადმოსცვივდა, იურანდი კი, რომელიც დიდხანს იკავებდა თავს, ერთი წუთით ქარიშხალივით ბობოქარმა უიმედობამ წარიტაცა. ხელებით ჩაბღუჯა თავისი გრძელი თმა. თავს კედელს ახლიდა და ხრინწიანი ხმით იმეორებდა:

– ოჰ, ღმერთო! ღმერთო! ღმერთო!

მაგრამ ზბიშკო მივარდა, მხრებში ხელი ჩაავლო, მთელი ძალით შეანჯღრია და შესძახა:

– აბა, გზას დავადგეთ! სპიხოვში!..

XV

– ესენი ვისი მსახურები არიან? – ჰკითხა მოულოდნელად იურანდმა რაძანოვს რომ გასცდნენ. აქამდე სულ თავის ფიქრებში ჩაფლული მოდიოდა და გეგონებოდათ, ახლაღა გამოფხიზლდაო.

– ჩემი, – უპასუხა ზბიშკომ.

– ჩემები ყველა დაიღუპა?

– საკუთარი თვალით ვნახე დახოცილები ნეძბოჟში.

– აღარ არიან ჩემი ძველი მეგობრები!

ზბიშკოს არაფერი უპასუხია, ისინი უხმოდ მიიჩქაროდნენ სპიხოვისკენ, იმედი ჰქონდათ, იქ ჯვაროსნების გამოგზავნილ ხალხს ნახავდნენ. საბედნიეროდ, ისევ ყინვები დაიჭირა, გზები დაიტკეპნა და მგზავრებს სწრაფად სიარულის საშუალება მიეცათ. საღამო პირას იურანდმა კვლავ ამოიღო ხმა და სამონადირო სახლში მთავართან ჩამოსული ჯვაროსნების ამბები გამოიკითხა. ზბიშკომ უამბო ყველაფერი – როგორ ჩიოდნენ ისინი მთავართან, როგორ გაემგზავრნენ, როგორ მოკლეს ბატონი დე ფურსი, როგორ ულმობლად ამოუმტვრია მისმა მსახურმა ჩეხმა ხელი დანველდს; როცა ყველაფერს მოუყვა, უცებ ერთმა გარემოებამ განაცვიფრა: მას გაახსენდა ქალი, რომელმაც დანველდისგან სამონადირო სახლში უებარი მალამო ჩა-

მოიტანა. დასვენების დროს ზბიშკომ ჩეხსა და სანდერუსს გამოჰკითხა იმისი ამბავი, მაგრამ არც ერთმა არ იცოდა ხეირიანად, სად გაქრა ის ქალი. რაღაც არ ახსოვდათ, ან დანუსიას წასაყვანად ჩამოსულ ხალხს გაჰყვა, ან იმათ მერე მალე წავიდაო. ზბიშკომ ახლა იაზრა, რომ ეს ქალი გამოგზავნილი ჰყავდათ, რათა იურანდის ჩამოსვლის შემთხვევაში გაეფრთხილებინა ისინი. მაშინ იურანდის მსახურებად აღარ გაასაღებდნენ თავს, ადგებოდნენ და ქალბატონს მეორე წერილს ჩააბარებდნენ, რომელიც ალბათ მზად ექნებოდათ. ეს ყველაფერი მზაკვრულად იყო მოფიქრებული და ჭაბუკმა რაინდმა, რომელიც აქამდე ჯვაროსნებს მხოლოდ ბრძოლებით იცნობდა, პირველად გაიფიქრა, ჯვაროსნებთან ბრძოლა საჭიროა არა მხოლოდ მუშტით, არამედ თავითაცო. ამ აზრმა უსიამოდ ღაურბინა სხეულში, რადგან მძიმე უბედურებამ თავდაპირველად ბრძოლისა და სისხლის ჟინი გაუღვიძა. დანუსიას გადარჩენაც ომის ან ორთაბრძოლების შედეგად ესახებოდა; მაგრამ ახლა მიხვდა, რომ ეს შურისძიების სურვილი უნდა მოთოკოს, დათვივით ჯაჭვით უნდა დააბას და დანუსიას ხსნის სრულიად ახალი გზები ეძებოს. ამ დროს ძალიან ინანა, რომ მაცკო არ ახლდა თან. მაცკო შორსმჭვრეტელიც იყო და მამაციც. ახლა კი ზბიშკომ თვითონვე გადაწყვიტა სანდერუსი სპიხოვიდან შჩიტნოში გაეგზავნა და დაევალებინა იმ ქალის მოძებნა და დანუსიას ასავალ-დასავალის გამოძიება. თანაც ფიქრობდა, თუ სანდერუსი მიღალატებს, ეს ბევრად არაფრად შეცვლის საქმის ვითარებას, ხოლო თუ მიერთგულებს, დიდად დამეხმარებაო. სანდერუსს ხომ ისეთი ხელობა ჰქონდა, ყველგან თავისუფლად შეეძლო სიარული.

მაგრამ ზბიშკომ ჯერ იურანდთან მოთათბირება გადაწყვიტა და ეს საქმე სპიხოვში ჩასვლამდე გადადო, მით უმეტეს, ღამეც ჩამოწვა და ჭაბუკს მოეჩვენა, რომ დაღლილსა და განაწამებ, დარდისაგან გულდამძიმებულ იურანდს თავის მაღალ რაინდულ უნაგირზე ჩაეძინა, მაგრამ იურანდს მხოლოდ თავი ჩაქინდრა, მძიმედ დასწოლოდა დარდი. ეტყობოდა, მოხუცი რაინდი მხოლოდ შვილზე ფიქრობდა და გული ათასი შიშით ევსებოდა, რადგან უცებ იკითხა:

– არ სჯობდა გავყინულიყავი ნეძბოჟში! შენ ამომიყვანე თოვლიდან?

– მარტო მე კი არა, სხვებთან ერთად.

– ნადირობის დროსაც შენ იხსენი ჩემი ქალიშვილი?

– განა სხვანაირად შემეძლო მოვქცეულიყავი?

– ახლაც დამეხმარები?

ამაზე ზბიშკოს დანუსიასადმი ისეთი სიყვარულით აუძგერდა გული, ისეთი მრისხანებით აინთო ვერაგი ჯვაროსნებისადმი, რომ უნაგირზე წამოიწია და კბილებს შუა, თითქოს ლაპარაკი უჭირსო, გამოსცრა:

– იცით, რა: ცარიელი ხელებითაც რომ დამჭირდეს პრუსიელთა ციხესიმაგრის აღება, მაინც ავიღებ და იმას ტყვეობიდან გამოვიხსნი.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, ზბიშკოს სიტყვებზე იურანდის შურისმაძიებელი და დაუდგრომელი სულიც აფორიაქდა, მოხუცმა რაინდმა სიბნელეში კბილები გაახრჭიალა და ისევ დაიწყო მათი სახელების გამეორება:

– დანველდი, ლიოვე, როტგერი, გოტფრიდი!

იურანდი ფიქრობდა, თუ ჯვაროსნები ბერგოვის დაბრუნებას სთხოვდნენ, მისცემდა, თუ ფულის დამატებას მოითხოვდნენ, ფულსაც დაამატებდა, მთელ სპიხოვს არ დაინანებდა, მაგრამ ვაი, იმის ბრალი, ვინც ხელი ახლო მის ერთადერთ პირმშოს!

არც ერთ რაინდს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. დილით კი ძლივს იცნეს ერთმანეთი, ისე გამოცვლილიყვნენ ამ ერთ ღამეში. იურანდი ხედავდა, როგორ იტანჯებოდა ზბიშკო, როგორ გააფთრებოდა გული და უთხრა:

– პირბადე რომ გადაგაფარა და სიკვდილისაგან გიხსნა – ეს ვიცი, მაგრამ გიყვარს კიდევაც ჩემი გოგო?

ზბიშკომ პირდაპირ თვალებში შეხედა მას და უშიშრად უოხრა:

– ის ჩემი ცოლია.

იურანდმა აღვირი მოზიდა, ზბიშკოს შეხედა, გაოცებისაგან თვალები აახამხამა.

– რა თქვი? – ჩაეკითხა ის.

– მე ვთქვი, რომ ის ჩემი ცოლია, მე კი მისი ქმარი.

თითქოს უეცარმა გაელვებამ დააბრმავაო, სპიხოველმა რაინდმა ხელთათმანი აიფარა თვალებზე, ხმა კი არ ამოუღია; მერე ცხენი დასძრა და უხმოდ განაგრძო გზა.

XVI

უკან მომავალმა ზბიშკომ დიდხანს ვეღარ შეძლო თავის დაოკება. და თავისთვის თქვა: „ვიდრე გულში ჩაიგუბოს ჩემდამი სიძულვილი, მირჩევ-

ნია რისხვა დამატეხოსო“, იურანდს დაეწია, მის უზანგს შეეხო და ლაპარაკი დაიწყო:

– მომისმინეთ, როგორ მოხდა. რაც დანუსკამ კრაკოვში გამიკეთა, ეს თქვენ უკვე მოგეხსენებათ, მაგრამ არ იცით, რომ ბოგდანეცში მე იაგენკაზე მიპირებდნენ დანიშვნას, ზიხ ზგოჟელიცელის ქალიშვილზე. ყველას ერთიანი სურვილი იყო, რომ მე ის შემერთო – ბიძაჩემი მაცკოსი, მამამისი ზიხის, ჩვენი მდიდარი ნათესავი აბატისაც... რაღა ბევრი გავაგრძელო! – კარგი გოგოა, ჯეირანივით ლამაზი, მზითვიც მდიდრული აქვს, მაგრამ არ შემეძლო მე იმ ქალის შერთვა. გული მწყდებოდა იაგენკაზე, დანუსკაზე დარდი კი ცალკე მკლავდა, ავდექი და წამოვედი მასთან მაზოვიაში, რადგან გულწრფელად გეტყვით, უიმისოდ სიცოცხლე ვერ წარმომედგინა. გაიხსენეთ, როგორ გიყვარდათ თქვენ თვითონ, გაიხსენეთ! – მაშინ აღარ გაგიკვირდებათ.

ზბიშკომ შეწყვიტა ლაპარაკი, ეგონა, იურანდი რამეს იტყოდა, მაგრამ ის ჩუმად იყო და ჭაბუკმა განაგრძო მოყოლა:

– ნადირობისას, ღვთის წყალობით, ქალბატონი და დანუსკა გააფთრებული ხარისგან ვიხსენი. მაშინ ქალბატონმა მითხრა: „ახლა იურანდი უარობას აღარ დაიწყებს, როგორ იქნება, რომ ასეთი მამაცობა არ დაგიფასოსო?“ მაგრამ თქვენი მშობლიური კურთხევის გარეშე მე მაშინ გულშიც არ გამივლია დანუსიაზე ჯვარის დაწერა, ან როგორ უნდა მეფიქრა, როცა მძვინვარე მხეცმა ისე დამასახიჩრა, რომ სასწაულად გადავურჩი სიკვდილს. მერე ეს ხალხი ჩამოვიდა დანუსიას წასაყვანად ვითომდა სპიხოვში, მე ჯერ ფეხზე ვერც კი ვდგებოდი, მეგონა, ვეღარასოდეს ვიხილავდი მას, წაიყვანდით სპიხოვში და იქ გაატანდით ვინმეს ცოლად. გახსოვთ, კრაკოვში თანხმობა არ მომეცით... მე იმ დროს მხოლოდ სიკვდილზე ვფიქრობდი. ღმერთო ჩემო, რა ღამე იყო ის ღამე,– მარტოოდენ დარდი და ნაღველი! წავა-მეთქი, მეგონა, და ჩემი მზეც ჩაესვენება. გეხვეწებით, გაიგეთ ჩემი სიყვარული და ჩემი წამება...

ერთი წამით ზბიშკოს ხმა აუკანკალდა, ცრემლები მოეძალა, მაგრამ მამაცი ბუნებისა იყო, თავი დაიმორჩილა და განაგრძო:

– ის ხალხი საღამო პირას ჩამოვიდა და მაშინვე უნდოდათ მისი წაყვანა; მაგრამ ქალბატონმა უბრძანა დილამდე მოეცადათ. სწორედ მაშინ ღმერთმა ჩამაგონა: დაუჩოქე ქალბატონს და სთხოვე დანუსიას თავიო. ვიფიქრე, თუ მოვკვდი, ეს ერთი მაინც წამყვება-მეთქი გულის მალამოდ. გაიხსენეთ, რომ დანუსკა უნდა წასულიყო, მე კი ავად ვიყავი და სიკვდილს ვე-

ლოდი. აღარ გვქონდა დრო, თქვენი თანხმობისათვის გვეცადა. მთავარი სამონადირო სახლიდან უკვე წასული იყო, ქალბატონმა კი აღარ იცოდა, ვისთვის რა ეკითხა და ვის მოთათბირებოდა. მაინც შემიწყალეს იმან და ქსონძმა, მამაო ვიშონეკმა მე და დანუსიას ჯვარი დაგვწერა... ღვთის ნება იყო, ღვთის უფლება...

იურანდმა ყრუდ შეაწყვეტინა:

– და ღვთის რისხვა!

– რისთვის უნდა დაგვატყდეს მისი რისხვა? – ჰკითხა ზბიშკომ. – ის მაინც იფიქრეთ, რომ ხალხი ჯვრისწერამდე გამოაგზავნეს და ქსონძი დაგვწერდა თუ არ დაგვწერდა, სულ ერთია, მაინც წაიყვანდნენ.

მაგრამ იურანდს კვლავ არაფერი უპასუხია და გზას განაგრძობდა მოქუშული, თავის თავში ჩაკეტილი, სახეგაქვავებული. ასე რომ ზბიშკო, რომელსაც თავდაპირველად რაღაც ტვირთი მოეხსნა გულიდან, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, როცა ადამიანი რაიმე დიდი ხნის დაფარულ საიდუმლოს გაამხელს, შეშინდა და გაიფიქრა, მოხუცმა რაინდმა რისხვა ჩაიგუბა გულში და დღეის შემდეგ ჩვენ ერთმანეთისათვის უცხონი და მტრები ვიქნებითო.

გულზე ლოდივით დააწვა ნაღველი. ბოგდანეციდან წამოსვლის მერე ასე არ გასჭირვებია. ახლა ეჩვენებოდა, რომ იურანდთან შერიგების არავითარი იმედი აღარ არსებობდა და დანუსიას დახსნისა ხომ მით უმეტეს, რომ ამის შემდეგ სულ უარესი და უარესი წამება და უბედურება ელოდა. მაგრამ ისეთი ბუნების კაცი იყო, დიდხანს ვერ იდარდებდა ვერაფერზე, უცებ გაბრაზდა, კამათის, შებრძოლების სურვილი გაუჩნდა. „არ სურს თანხმობის მოცემა, – გაივლო ზბიშკომ გულში, – რაკი ასეა და უეჭველად უნდა დავშორდეთ ერთმანეთს, მოხდეს, რაც მოსახდენია!“ ამ წუთში იურანდსაც კი სიამოვნებით შეებმოდა. ერთადერთმა სურვილმა შეიპყრო – ვისაც გინდა და რისთვისაც გინდა შეებრძოლებოდა, ოღონდ კი რამე ეკეთებინა და ბოღმისთვის, მწარე სინანულისთვის გამოსავალი ეპოვა, ოღონდ კი ოდნავ შემსუბუქებოდა დარდი.

ამასობაში გზაჯვარედინზე ფუნდუკს მიაღწიეს, რომელსაც „ციცინათელა“ ერქვა; სპიხოვისკენ მიმავალი იურანდი ყოველთვის ამ ფუნდუკში ჩერდებოდა, ხალხსა და ცხენებს დაასვენებდა. თავისდაუნებურად ახლაც ასე მოიქცა. წუთიც არ გასულიყო, რომ ის და ზბიშკო ცალკე ოთახში შევიდნენ. უცებ იურანდი გაჩერდა ჭაბუკი რაინდის წინ, დაჟინებით შეხედა და ჰკითხა:

– იმის გულისთვის წამომყევი ხომ?

ვაჟმა მკვახედ უპასუხა:

– ფიქრობთ, უარს ვიტყვი?

და იურანდს თვალები შეანათა, მზად იყო რისხვაზე რისხვითვე ეპასუ-ხა. მაგრამ ჭარმაგ მეომარს სახეზე მხოლოდ ღრმა მწუხარება ეწერა და არა ზიზღი.

– ჩემი ქალიშვილიც შენ გადამირჩინე? – ჰკითხა ერთი წუთის მერე, – მეც ამომიყვანე თოვლიდან?

ზბიშკომ გაოცებით შეხედა მოხუც რაინდს, შეეშინდა, გონება ხომ არ დაუბნელდაო, – იურანდი ისევ ადრე მიცემულ კითხვებს იმეორებდა.

– დაბრძანდით, – უთხრა ჭაბუკმა, – გამჩნევთ, ჯერ ძალიან სუსტად ხართ.

მაგრამ იურანდმა ორთავე ხელი დაადო მხრებზე ზბიშკოს და თავის-კენ მიიზიდა გაოცებული ჭაბუკი; ზბიშკო გონს მოვიდა, თვითონაც მოეხვია მოხუც რაინდს. ისინი დიდხანს იდგნენ ასე გადახვეულები, ერთი დარდით, ერთი უბედურებით გულდათუთქულები.

როცა ერთმანეთს ხელი შეუშვეს, ზბიშკო მუხლებზე მოეხვია მოხუცს და ტირილით დაუკოცნა ხელები.

– ხომ აღარ გაგვიწევთ წინააღმდეგობას? – ჰკითხა მან.

ამაზე იურანდმა უპასუხა:

– მე იმიტომ გიწევდით წინააღმდეგობას, რომ ღმერთს შევპირდი იმის თავს.

– თქვენ ღმერთს შეპირდით, ღმერთმა კი მე მარგუნა, ასეთია მისი ნება!

– ასეთია მისი ნება! – გაიმეორა იურანდმა, – მაგრამ ახლა უნდა ვილო-ცოთ, რომ შეგვიწყალოს იმ ღმერთმა.

– განა ვის უნდა დაეხმაროს ღმერთი, თუ არა მამას, რომელიც ეძებს თავის შვილს, თუ არა ქმარს, რომელიც ეძებს თავის ცოლს? აბა ყაჩაღებს ხომ არ დაეხმარება.

– ის ხომ მაინც მოიტაცეს, – შეედავა იურანდი.

– თქვენ დათმობთ დე ბერგოვს!

– მე დავთმობ ყველაფერს, რასაც ისინი მომთხოვენ.

ჯვაროსნების ხსენებაზე ისევ ძველმა სიძულვილმა გაიღვიძა მასში, ბოროტმა გრძნობამ ცეცხლივით იფეთქა, მთელ მის არსებას მოედო. იურანდმა კბილებში გამოსცრა:

– ზედ კი დავუმატებ იმას, რისი სურვილიც სულ არა აქვთ.

– მეც შეფიცული მაქვს, – წარმოთქვა ზბიშკომ, – მაგრამ ახლა სპიხოვისკენ უნდა ვიჩქაროთ.

მან მსახურები ააჩქარა. როცა ცხენებს აჭამეს და თვითონაც გაითბეს ძვლები, ისევ გზას გაუდგნენ, თუმცა უკვე ბნელდებოდა. ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდათ გასავლელი, ღამით კი ყინვა უჭერდა. იურანდი და ზბიშკო ჯერ კარგად არ მომაგრებულიყვნენ, ამიტომ მარხილით მიდიოდნენ. ზბიშკო მოხუც რაინდს თავისი ბიძის, მაცკოს ამბავს უყვებოდა: ძალიან მიჭირს უმისოდ ყოფნა და ვნანობ, რომ ჩვენთან ერთად არ არისო. იცოცხლე, გამოგვადგებოდა მისი გულადობა და, რაც მთავარია, მისი მოსაზრებულობა და ეშმაკობა, ასეთ მტერთან ბრძოლაში რომ სიმამაცეზე მეტადაა საჭიროო. მერე ის იურანდს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– თქვენ ეშმაკი ხართ?... მე რაღაც სულ არ მეხერხება ეშმაკობა.

– არც მე მეხერხება, - უპასუხა იურანდმა, იმათთან მზაკვრობით არასოდეს მიბრძოლია, აი, ამ მარჯვენით შევებმოდი. ღონეს კი ის წამება მაძლევდა, რაც ჩემთვის მოუყენებიათ.

– დიახ, მესმის, – თქვა ჭაბუკმა რაინდმა, – მესმის, რადგან მათ მომტაცეს ჩემი საყვარელი დანუსკა, ღმერთმა ნუ ქნას და თუ...

ვეღარ დაამთავრა, იმის გაფიქრებაზე კი, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, იგრძნო, რომ მას უცემდა მგლის გული და არა ადამიანისა. ერთხანს უხმოდ მიდიოდნენ მთვარით განათებულ თეთრ გზაზე; მაგრამ აი, იურანდმა წამოიწყო, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო:

– რამე მაინც დამეშავებინოს, რისთვისაც შურს იძიებენ ჩემზე, მაშინ ხმას არ ამოვიღებდი! ნამდვილად არაფერი! მე მათ აშკარად ვებრძოდი. როცა ჩვენი მთავრის ელჩებთან ერთად ვიტოლდთან მივდიოდი, მაგრამ შინ მათი კეთილი მეზობელი ვიყავი... ბარტოშ ნალენჩელმა ორმოცი რაინდი ჩაიგდო ხელთ, ბორკილები დაადო და კოჟმინის ჯურღმულში ჩაჰყარა, როცა ისინი მასთან მიდიოდნენ. ნახევარი ფორანი ფული დაუჯდათ ჯვაროსნებს იმათი გამოხსნა. თუ ჯვაროსნებთან მიმავალი გერმანელი გზად შემოივლიდა ჩემთან, ყოველთვის ისე მივიღებდი, როგორც რაინდი რაინდს, და უსაჩუქროდ არ ვუშვებდი. რამდენჯერ დამსხმიან თავს ჯვაროსნები ჭაობის მხრიდან. ჩემგან უბრალო წყენასაც ვერ ითმენდნენ, თვითონ

კი ისეთი ბოროტება ჩაიდინეს, ყველაზე დაუძინებელ მტერსაც არ ვუსურვებდი.

იურანდს საშინელი მოგონებები უღრღნიდნენ სულს, ხმა ჩაუწყდა.

– იმის მეტი არავინ მყავდა, – განაგრძო ერთი წუთის შემდეგ კვნესით, – უბიწო კრავი, ჩემი სული და გული, იმათ კი ძაღლივით თოკი გამოაბეს. მიტკალივით გადაფითრდა იმათ თოკზე გამობმული... ახლა კიდევ ქალიშვილი... ღმერთო დიდებულო!

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ზბიშკომ თავისი ახალგაზრდული სახე, რომელზედაც გაოცება გამოხატოდა, მთვარეს აღაპყრო, მერე იურანდს შეხედა და ჰკითხა:

– მამა! ისინი შურისძიებას იმსახურებენ, მაგრამ უკეთესი არ იქნებოდა, ხალხის სიყვარული დაემსახურებინათ? რატომ აყენებენ ამდენ უბედურებას ყველა ხალხსა და ყველა ადამიანს?

იურანდმა უიმედოდ გაშალა ხელები და ყრუდ უპასუხა:

– არ ვიცი...

რამდენიმე ხანს ზბიშკო კიდევ ფიქრობდა ამაზე, მაგრამ შემდეგ მისი აზრები ისევ იურანდს დაუბრუნდა.

– თქვენზე ამბობენ, მწარედ გადაუხადაო, – თქვა მან.

იურანდი მოერია გულის ტკივილს, თავი შეიკავა და ისევ ალაპარაკდა:

– მე დავიფიცე შური მეძია... და ღმერთს შევპირდი, თუკი ამ საქმეში დამეხმარებოდა, მისთვის ერთადერთი ქალიშვილი მიმეძღვნა. აი, რატომ ვერ მოგეცი თანხმობა. ახლა კი აღარ ვიცი, ღვთის ნება იყო, თუ ღვთის რისხვა დაიმსახურეთ თქვენი საქციელით.

– არა! – შეედავა ზბიშკო. მე ხომ გითხარით, ის ძაღლები სულ ერთია მაინც გაიტაცებდნენ, ჯვარდაწერილებიც რომ არა ვყოფილიყავით. ღმერთმა თქვენი აღთქმა მიიღო, მაგრამ დანუსკა მე მომიძღვნა, იმისი ნება რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ვერაფერს გავაწყობდით.

– ყველა ცოდვა ღვთის ნების საწინააღმდეგოა.

– ცოდვა და არა საიდუმლო. საიდუმლო თვით მისი საქმეა.

– რაც მოხდა, მოხდა, ახლა რაღას ვუშველი.

– მადლობა ღმერთს! თქვენ გულს ნუ გაიტეხთ, ჩემსავით განა ვინ დაგეხმარებათ იმ ყაჩაღებთან ბრძოლაში. აი, ნახავთ! დანუსიასთვის თავის დროზე გადავუხდით, ახლა კი თუ ერთი მაინც დარჩა ცოცხალი იმათგან,

ვინც მაშინ თქვენს მეუღლეს თითი მიაკარა, მე მომანდვეთ და ნახავთ, როგორც გავუსწორდები!

მაგრამ იურანდმა თავი გააქნია.

– არა, – თქვა მან პირქუშად, – არც ერთი მათგანი ცოცხალი აღარ არის...

ერთხანს მხოლოდ ცხენების ფრუტუნი და ფლოქვების ყრუ თქარათქური ისმოდა მოლიპულ გზაზე.

– ერთხელ ღამით, – განაგრძობდა იურანდი, – გავიგონე რაღაც ხმა, თითქოს კედლიდან გადმომძახოდა ვიღაც: „კმარა შურისძიება! “ მაგრამ მე ყური არ ვუგდე, რადგან ეს ჩემი მიცვალებული ცოლის ხმა არ იყო.

– ვისი ხმა შეიძლებოდა ყოფილიყო? – ჰკითხა შეშფოთებულმა ზბიშკომ.

– არ ვიცი. სპიხოვში ხშირად ისმის ხმები და ხანდახან კვნესაც, ეს იმიტომ, რომ ჩემთან ჯურღმულში ბევრი ბორკილდადებული ჯვაროსანი გამოსალმებია სიცოცხლეს.

– ქსონძი რას გეუბნებათ ამაზე?

– ქსონძმა აკურთხა ქალაქი და იმანაც მითხრა, კმარაო შურისძიება; მაგრამ მე არ შემეძლო დავთანხმებოდი. ძალიან ბევრი ცუდი ახსოვდათ ჩემგან ჯვაროსნებს და ახლა უკვე მათ დამიწყეს სამაგიეროს გადახდა. მახეს მიგებდნენ, ორთაბრძოლაში მიწვევდნენ. ასე იყო ამჯერადაც, მაინეგერმა და დე ბერგოვმა თვითონ გამომიწვიეს.

– გამოსასყიდი აგიღიათ როდისმე?

– არასოდეს. ვინც ტყვედ მყოლია, იმათში დე ბერგოვი პირველი გავა ცოცხალი.

ლაპარაკი შეწყდა, ფართო გზიდან სოფლის შარაზე გადაუხვიეს. ეს ვიწრო გზა ადგილ-ადგილ ნამქერით ამოვსებულ ღარტაფში ეშვებოდა და სიარულს აძნელებდა. გაზაფხულზე ან ზაფხულის წვიმიანობის დროს ეს საურმე გზა ალბათ სრულიად გაუვალი ხდებოდა.

– უკვე სპიხოვს ვუახლოვდებით? – ჰკითხა ზბიშკომ.

– კი, – უპასუხა იურანდმა. – ცოტა ხანს ტყეზე ვივლით, მერე ჭანჭრობი იწყება, სადაც გაშენებულია ჩემი პატარა ქალაქი... ჭანჭრობებს მდელოები და მშრალი მინდვრები მოჰყვება; მაგრამ ქალაქში მხოლოდ კაშხალის გავლით შეიძლება შესვლა. გერმანელებს ერთხელ და ორჯერ არ უცდიათ შე-

მოჭრილიყვნენ, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს, იმათი ძვლები ბლომად ლპება ტყის ღარტაფებში.

– თქვენთან მოხვედრა არც ისე ადვილია, – უთხრა ზბიშკომ. – ჯვაროსნებმა რომ ხალხი გამოგზავნონ წერილის მოსატანად, როგორ გამოაღწევენ?

– ბევრჯერ გამოუგზავნიათ, დარდი ნუ გაქვს, ჰყავთ გზის მცოდნე ხალხი.

– ღმერთმა ქნას და უკვე სპიხოვში დაგვიხვდნენ, – თქვა ზბიშკომ.

ეს სურვილი უფრო ადრე შეუსრულდა ჭაბუკ რაინდს, ვიდრე თვითონ მოელოდა “ჯერ ტყიდან გაშლილ ველზე არ იყვნენ გამოსულები, რომ დაინახეს წინ მიმავალი ორი მხედარი და მარხილი, რომელშიც სამი შავი ლანდი მოჩანდა.

ნათელი ღამე იყო და თოვლის თეთრ საფარზე მთელი ეს ჯგუფი მკაფიოდ ისახებოდა. იურანდსა და ზბიშკოს გულები აუძგერდათ. ვინ უნდა ყოფილიყვნენ ღამით სპიხოვისკენ მიმავალნი, თუ არა ჯვაროსნების გამოგზავნილი ხალხი?

ზბიშკომ მემარხილეს უბრძანა ცხენები აეჩქარებინა. მალე წამოეწივნენ კიდეც მგზავრებს. მხედრებმა, რომლებიც ალბათ მარხილს იცავდნენ, გაიგონეს თუ არა მათი ხმა, მობრუნდნენ, მხრებიდან მშვილდები ჩამოიხსნეს და შესძახეს:

– Wer da?[26]

– გერმანელები არიან, – ჩურჩულით უთხრა იურანდმა ზბიშკოს.

მერე ხმას აუწია და თქვა:

– ამ ადგილებში მე უნდა გეკითხებოდე და შენ მპასუხობდე. თვითონ ვინა ხართ?

– მგზავრები.

– რომელი მგზავრები?

– პილიგრიმები.

– საიდან მოდიხართ?

– შჩიტნოდან.

[26] ვინ არის აქ? (გერმ.)

– ისინი არიან! – ისევ უჩურჩულა იურანდმა.

ამასობაში მათი მარხილი გერმანელთა მარხილს გაუსწორდა. იმავე წუთში წინ გამოჩნდა ექვსი ცხენოსანი. ეს იყო სპიხოვის დაცვა, რომელიც დღედაღამ დარაჯობდა ქალაქთან მისასვლელ კაშხალს. ცხენებს გვერდით ვეებერთელა, მგლებივით საშინელი ძაღლები მოსდევდნენ.

იურანდი რომ იცნეს, მცველები დაუფარავი გაოცებით მიესალმნენ, – არ მოელოდნენ ბატონის ასე ადრე დაბრუნებას. იურანდს არ შეუმჩნევია ისინი, მთელი ყურადღება მგზავრებზე ჰქონდა მიპყრობილი.

– სად მიდიხართ? – ჰკითხა მან გერმანელებს.

– სპიხოვში.

– იქ რა გინდათ?

– ამას ჩვენ მხოლოდ სპიხოვის ბატონს ვეტყვით.

იურანდს ის იყო უნდა ეთქვა: „მე ვარო სპიხოვის ბატონი“, მაგრამ თავი შეიკავა, მიხვდა, რომ სხვისი თანდასწრებით ამ ლაპარაკის გაბმა არ შეიძლებოდა. მერე გამოგზავნილებს ჰკითხა, რამე წერილები ხომ არა გაქვთო, და როცა უპასუხეს, დაგვავალეს პირადად გადავცეთ ყველაფერიო, იურანდმა ბრძანა წინ წასულიყვნენ. ზბიშკოს სული მისდიოდა, ისე უნდოდა ჩქარა გაეგო დანუსიას ამბავი. ვეღარაფერს ხედავდა. გახელდა, როცა ისინი კიდევ ორჯერ გააჩერა სადარაჯო დაცვამ; გახელდა, სანამ დაუშვეს ხევზე გადებული ასაკეცი ხიდი, რომლის გადაღმა იყო მიწაყრილი და ზედ მაღალი ღობე. ადრე ბევრჯერ მოსდომებია თავისი თვალით ენახა ეს დაბა, უკეთური სახელი რომ გავარდნოდა, რომლის მხოლოდ ხსენებაზე გერმანელები პირჯვარს იწერდნენ, მაგრამ ახლა ვერაფერს ამჩნევდა, მთელი მისი ყურადღება ჯვაროსნების გამოგზავნილ ხალხზე იყო მიპყრობილი. მათგან უნდა გაეგო, სად არის დანუსია და როდის იქნება ის თავისუფალი. აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ერთი წუთის მერე მწარე გულისგატეხვა ელოდა.

მცველად წამოსული მხედრებისა და მემარხილეს გარდა, შჩიტნოს წარმოგზავნილთა შორის კიდევ ორი ადამიანი იყო: ის დედაკაცი, რომელმაც თავის დროზე სამონადირო სახლში უებარი მალამო ჩამოიტანა, და ახალგაზრდა პილიგრიმი. ქალის ცნობა ზბიშკოს არ შეეძლო, რადგან სამონადირო სახლში ის არ უნახავს, პილიგრიმის დანახვაზე კი მაშინვე იეჭვა – გადაცმული საჭურველმტვირთველი უნდა იყოსო, იურანდმა ორთავენი იმწამსვე შეიყვანა კუთხის ოთახში და აღიმართა მათ წინ მძლავრი და მრისხანე, აბრიალებული ბუხრის ცეცხლის ანარეკლებით განათებული.

– სად არის ბავშვი? – იკითხა მან.

ბორგნეული ვაჭკაცის წინაშე რომ აღმოჩნდნენ, გერმანელები შედრკნენ.

გარეგნულად პილიგრიმი დიდი თავხედი ჩანდა, მაგრამ შიშისაგან ისიც ვერხვის ფოთოლივით ათრთოლდა, ქალს კი მუხლები მოეკვეთა. მან იურანდისგან მზერა ზბიშკოზე გადაიტანა, მერე ქსონძი კალების ალაპლაპებულ მელოტ თავს შეავლო თვალი და ისევ იურანდს შეხედა, თითქოს ეკითხებოდა, რას აკეთებენო აქ ეს ორნი.

– ბატონო, – თქვა ქალმა ბოლოს. – მაგაზე ჩვენ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ თქვენთან ძალიან დიდ საქმეზე გამოგვგზავნეს და სასტიკად აგვიკრძალეს ვინმეს თანდასწრებით ლაპარაკი.

– მე ამათთან დასამალი არა მაქვს რა, – წარმოთქვა იურანდმა.

– ჩვენ კი გვაქვს, კეთილშობილო ბატონო, – შეედავა ქალი, - და თუ დარჩენას უბრძანებთ, მაშინ იმასღა გთხოვთ, ხვალ დილითვე გაგვისტუმროთ აქედან.

იურანდი ცახცახმა აიტანა, მიჩვეული არ იყო წინააღმდეგობას. ქერა ულვაშები ავისმომასწავებლად აებურძგნა, მაგრამ გაახსენდა, რომ საქმე დანუსიას შეეხებოდა და თავს მოერია. ზბიშკოს ერთი სული ჰქონდა, რაც შეიძლება მალე გაემართათ მოლაპარაკება. დარწმუნებული იყო, იურანდი ყველაფერს მოუყვებოდა და ამიტომ ჩაილაპარაკა:

– რაკი ასეა, დარჩით მარტო.

და ქსონძ კალებთან ერთად გარეთ გამოვიდა; მაგრამ ჯერ იმ დარბაზში არ იყო შესული, რომელიც ბრძოლებში მოპოვებული ფარებითა და მახვილებით ჰქონდა იურანდს მორთული, რომ მას მიუახლოვდა გლოვაჩი.

– მოწყალეო ბატონო, – უთხრა მან, – ეს ის ქალია.

– რომელი ქალი?

– ის, რომელმაც ჯვაროსნებისაგან ჰერცინის მალამო ჩამოიტანა. მე და სანდერუსმა მაშინვე ვიცანით. ალბათ დასაზვერად იყო გამოგზავნილი და უეჭველად ეცოდინება, სად არის პატარა ქალბატონი.

– მაგას ჩვენ როგორმე გავიგებთ, – უპასუხა ზბიშკომ, – იქნებ ამ პილიგრიმსაც იცნობთ?

– არა, – უთხრა სანდერუსმა, – მაგრამ მაგისგან ნურაფერს იყიდით, ბატონო, ეგ ნამდვილი პილიგრიმი არ არის. ცოტა რომ გვეწამებინა, გიყვარდეს, ბევრს ვათქმევინებდით.

– მოითმინეთ! – უთხრა ზბიშკომ. ამასობაში, როგორც კი ზბიშკომ და კალებმა კარი გაიხურეს, მონაზონმა სწრაფად გადადგა ნაბიჯი იურანდისკენ და ჩასჩურჩულა.

– თქვენი ქალიშვილი ყაჩაღებმა მოიტაცეს!

– მოსასხამზე რომ ჯვრები უკეთიათ?

– არა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ღვთისმოსავმა ბერებმა მოახერხეს მისი წართმევა და ახლა იმათთან არის.

– სად არის-მეთქი, გეკითხებით?

– ღვთისმოსავი ძმის, შომბერგის მფარველობაშია, უპასუხა ქალმა, ხელები მკერდზე დაიკრიფა და მოწიწებით დახარა თავი.

ვიტოლდის შვილების ჯალათის სახელი რომ გაიგონა, იურანდი სანთელივით გაფითრდა; სკამზე დაეშვა, თვალები დახუჭა და შუბლზე გამოჟონილი ცივი ოფლი მოიწმინდა.

პილიგრიმს ჯერაც ვერ დაეთრგუნა შიში, მაგრამ როცა დაინახა, რა დღეში ჩავარდა იურანდი, დოინჯი შემოიყარა, სკამზე გადაითხლაშა, ფეხები გაჩაჩხა და რაინდს. ზიზღით სავსე თავხედი მზერა ესროლა.

სიჩუმე დიდხანს არავის დაურღვევია.

– ბერი მარკვარტიც ეხმარება შომბერგს ქალიშვილის პატრონობაში, – განაგრძობდა ქალი. – მკაცრი ზედამხედველები ჰყავს, პატარა ქალბატონს. წყენინებას ვერავინ გაუბედავს.

– რა უნდა გავაკეთო, რომ ქალიშვილი დამიბრუნონ? – ჰკითხა იურანდმა.

– დაემორჩილოთ ორდენს! – თავხედურად უთხრა პილიგრიმმა.

ეს სიტყვები რომ გაიგონა, იურანდი ადგა, გერმანელთან მივიდა, დაიხარა და მოგუდული, საზარელი ხმით უთხრა:

– ხმა გაწყვიტე!...

პილიგრიმი ისევ დაფრთხა. მან იცოდა, რომ შეეძლო დამუქრებოდა იურანდს, შეეძლო ისეთი რამ ეთქვა, რაც აიძულებდა რისხვა დაეოკებინა და დაღუმებულიყო; მაგრამ შეეშინდა, სანამ სიტყვას მოვაბრუნებ, რაღაც საშინელებას ჩაიდენსო, გადმოკარკლული თვალები სპიხოვის მფლობე-

ლის პირქუშ სახეს მიაპყრო და შიშით გაიტრუნა, მხოლოდ ქვედა ყბა აუცახცახდა ცოტა მეტად. – წერილი გაქვთ? – მოუბრუნდა იურანდი მონაზონს.

– არა, ბატონო. წერილი არა გვაქვს. გვიბრძანეს ყველაფერი პირისპირ მოგახსენოთ.

– თქვით!

მან ერთხელ კიდევ გაიმეორა, რაც უკვე ნათქვამი ჰქონდა, თითქოს უნდოდა იურანდს სამუდამოდ დაემახსოვრებინა:

– ბერები შომბერგი და მარკვარტი იცავენ ქალს, ასე რომ, რისხვა დაიოკეთ... მართალია, მრავალი წელია ორდენს მტრობდით, მაგრამ თქვენს ქალს ცუდი მაინც არაფერი მოელის, რადგან ძმებს გადაწყვეტილი აქვთ ბოროტება სიკეთით გადაგიხადონ, თუ თქვენ დააკმაყოფილებთ მათს სამართლიან მოთხოვნებს.

– რას მოითხოვენ ისინი?

– ისინი მოითხოვენ გაათავისუფლოთ ბატონი დე ბერგოვი.

იურანდმა შვებით ამოისუნთქა.

– მე დავუბრუნებ მათ დე ბერგოვს, – უპასუხა მან.

– აგრეთვე სხვა ტყვეებსაც, რომლებიც აქ, სპიხოვში არიან.

– ჩემთან არიან მაინეგერისა და დე ბერგოვის ორი საჭურველმტვირთველი, ამას გარდა, მათი მსახურები.

– თქვენ უნდა გაათავისუფლოთ ისინი და გულით აუნაზღაუროთ სატუსაღოში ყოფნის შეურაცხყოფა.

– ღმერთმა დამიფაროს, ღვიძლი შვილისთვის ვაჭრობა დავიწყო.

– ღვთისმოსავი ძმებიც ასე ფიქრობენ, – უთხრა ქალმა, – მაგრამ ჯერ ყველაფერი არ მითქვამს, რაც დამაბარეს. თქვენი ქალიშვილი ვიღაც ხალხმა მოიტაცა, ალბათ ყაჩაღებმა და ალბათ იმისათვის, რომ თქვენგან დიდი გამოსასყიდი აეღოთ. ბერებს ღმერთი დაეხმარა ყაჩაღებისათვის წაერთმიათ ქალი, და ახლა მხოლოდ ერთი სურვილი აქვთ – გაათავისუფლოთ მათი მეგობარი და სტუმარი. მაგრამ ბერებმა იციან და თქვენც, ბატონო, კარგად მოგეხსენებათ, როგორ ეჯავრებათ ამ მხარეში ჯვრის რაინდები და როგორ უსამართლოდ ამტყუნებენ მათ ყველაზე კეთილშობილურ საქციელს. ისინი დარწმუნებული არიან, თუ აქ ვინმემ გაიგო, რომ თქვენი ქალიშვილი ბერებთან იმყოფება, მაშინვე დააბრალებენ, თვითონ მათ მოიტაცესო, კეთილ საქმეს მხოლოდ წყევლა-კრულვას მიაგებენ და საჩივრების გაგ-

ზავნას დაიწყებენ... დიახ! აქაურ გაბოროტებულ ხალხს ერთხელ და ორ-ჯერ არ გადაუხდია ასე მათი სიკეთისათვის. ამის გამო ღვთისმოსავ ორ-დენს, რომლის სახელსაც ბერები უნდა გაუფრთხილდნენ. ათასნაირი ლან-ძღვა-გინება აუტანია. ყოველივე ამის გამო კიდევ ერთს მოითხოვენ თქვენ-გან: მთავარსა და თქვენი ქვეყნის მთელ მრისხანე რაინდობას თვითონ უნ-და გამოუცხადოთ, რომ თქვენი ქალიშვილი მოიტაცეს ყაჩაღებმა და არა ჯვაროსნებმა, – როგორც სინამდვილეშიც არის, – და გამოსასყიდს ყაჩაღე-ბი თხოულობენ.

– ეს სწორედ ასეა, – უთხრა იურანდმა, – ჩემი ქალიშვილი ყაჩაღებმა მოიტაცეს და გამოსასყიდსაც ყაჩაღები მთხოვენ...

– თქვენ ყველას სწორედ ასე უნდა უთხრათ. ერთმა ადამიანმა, ერთმა სულიერმაც რომ გაიგოს, რომ მოლაპარაკება გქონდათ ბერებთან, ანდა თუ ერთი საჩივარი მაინც გაიგზავნება მაგისტრის ან კაპიტულის სახელზე, შე-იძლება ამას ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვეს...

იურანდს სახეზე შეშფოთება გამოესახა. პირველ წუთებში მას ბუნებ-რივად ეჩვენა, რომ კომტურები პასუხისგებასა და ავ ხმებს ერიდებოდნენ და ამიტომ საიდუმლოების შენახვას მოითხოვდნენ, მაგრამ ახლა მას ეჭვი დაებადა – აქ რაღაც სხვა მიზეზი ხომ არ იმალებაო. თუმცა კერძოდ რო-მელი – ჯერ ვერ მიმხვდარიყო. ამიტომ საშინელმა შიშმა შეიპყრო, როგო-რიც ყველაზე გულად ადამიანებს დაეუფლება ხოლმე, როცა საშიშროება ემუქრება არა მათ პირადად, არამედ ახლობელ და საყვარელ ადამიანებს.

გადაწყვიტა კიდევ რამე ეთქმევინებინა მონაზონისთვის.

– კომტურებს უნდათ ყველაფერი საიდუმლოდ შეინახონ, – თქვა მან, – მაგრამ როგორ მოვიქცე, თუკი ქალიშვილის გამო ბერგოვი და სხვა ტყვეები უნდა გავუშვა?

– თქვენ იტყვით, თითქოს გამოსასყიდი მიიღეთ ბატონ დე ბერგოვში, რათა ყაჩაღებისთვის გადაგეხადათ.

– ამას არავინ დაიჯერებს. ჩემს სიცოცხლეში ტყვეებში გამოსასყიდი არ მიმიღია, – უკმეხად უარყო იურანდმა.

– მაგრამ თქვენს სიცოცხლეში პირველად ეხება საქმე თქვენს ბავშვს, – წაისისინა ქალმა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა; პილიგრიმმა გადაწყვიტა, ახლა იურანდი უკვე მორჯულებულიაო, გამბედაობა მოიკრიბა და თქვა:

– ასეთია ბერების შომბერგისა და მარკვარტის ნება. ქალი კი განაგრძობდა:

– თქვენ იტყვით, რომ ჩემთან ერთად ჩამოსულმა პილიგრიმმა ჩამოგიტანათ გამოსასყიდი, ჩვენ კი მაშინვე წავალთ აქედან კეთილშობილ ბატონ ბერგოვთან და სხვა ტყვეებთან ერთად.

– როგორ? – წარბი შეჰყარა იურანდმა. – ნუთუ ფიქრობთ, რომ ტყვეებს მანამდე მოგცემთ, სანამ ქალიშვილს არ დამიბრუნებთ?

– თქვენ შეგიძლიათ სხვაგვარად მოიქცეთ. წაბრძანდით შჩიტნოში, ბერები იქ ჩამოიყვანენ თქვენს ქალიშვილს.

– მე? შჩიტნოში?

– აქეთ მომავალთ შეიძლება ისევ მოსტაცონ ქალი ყაჩაღებმა და მაშინ ეჭვი კვლავ ღვთისმოსავ ბერებზე უნდა მიიტანონ; ამიტომ სურთ ქალიშვილი პირადად თქვენ ჩაგაბარონ.

– მერე ვინ იქნება თავდები, რომ მგლის ხახაში ჩემის ნებით მოხვედრილი, იქიდან უვნებელი წამოვალ?

– ამის თავდებია ძმების პატიოსნება, სიმართლე და კეთილშობილება.

იურანდი ოთახში სიარულს მოჰყვა. ის უკვე მიხვდა, რომ ღალატი მზადდებოდა და ეშინოდა მისი, მაგრამ ამავე დროს გრძნობდა, უძლური იქნებოდა ჯვაროსანთა ყველაზე საშინელი მოთხოვნების წინაშე.

ამ დროს რაღაც აზრი დაებადა; მოულოდნელად გაჩერდა პილიგრიმის წინ, დაჟინებით დააცქერდა, მერე მონაზონს მიუბრუნდა და უთხრა:

– კეთილი, მე წავალ შჩიტნოში. თქვენ და, აი, ეს პილიგრიმის ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი აქ დარჩებით ჩემს დაბრუნებამდე, მერე კი წახვალთ და წაიყვანთ დე ბერგოვსა და ტყვეებს.

– თქვენ არ ენდობით ბერებს! – ჩაერია პილიგრიმი, როგორღა გენდონ ისინი, რომ დაბრუნების შემდეგ გაგვიშვებთ ჩვენ და დე ბერგოვს?

იურანდი აღშფოთებისაგან გაფითრდა; დადგა საშინელი წუთი, ეგონა, ახლავე ჩაავლებდა მკერდში ხელს პილიგრიმს და მუხლით გასრესდა. მაგრამ მაინც შეიკავა თავი, ღრმად ამოიოხრა და ნელა, გარკვევით თქვა:

– ვინც არ უნდა იყო შენ, ბოროტად ნუ გამოიყენებ ჩემს მოთმინებას, შეიძლება გამომელიოს.

პილიგრიმი კი მონაზონს მიუბრუნდა:

– უთხარით, რაცა გაქვთ ნაბრძანები.

– ბატონო, – უთხრა ქალმა, – თქვენ რომ იარაღზე დაგეფიცათ რაინდული ფიცით, როგორ გავბედავდით არ დაგვეჯერებინა, მაგრამ არ შეგფერით ჩვენისთანა უბრალო ხალხს ეფიცოთ, ეგეც არ იყოს, თქვენი ფიცისთვის არ გამოვუგზავნივართ აქ.

– აბა რისთვის გამოგზავნეს?

– ძმებმა მიბრძანეს გადმოგცეთ, რომ თქვენ არავის არ უნდა უთხრათ არც ერთი სიტყვა, ისე გამოცხადდეთ შჩიტნოში დე ბერგოვსა და სხვა ტყვეებთან ერთად.

ამ სიტყვებზე იურანდმა ხელი უკან წაიღო, თითები დაკრუნჩხა, როგორც მტაცებელმა ფრინველმა, მერე ქალის წინ დაიხარა და, თითქოს ყურში ჩასჩურჩულებსო, უთხრა:

– ის ხომ აღარ უთქვამთ, რომ მე შემიძლია ურმის თვალს გამოგაბათ თქვენ და ბერგოვი სპიხოვში?

– თქვენს ქალიშვილს ბერები შომბერგი და მარკვარტი მფარველობენ, – ხაზგასმით უპასუხა ქალმა.

– ყაჩაღები, სულთამხუთავები და ჯალათები! – ვეღარ შეიკავა თავი იურანდმა.

– რომლებიც მოახერხებენ შური იძიონ ჩვენი გულისთვის და რომლებმაც წამოსვლის წინ დაგვაბარეს: „თუ არ მოინდომებს ჩვენი მოთხოვნების შესრულებას, მაშინ მის გომბიოსაც ისეთივე ბედი ელის, როგორიც ვიტოლდის შვილებსო. “ აირჩიეთ!

– გაიგეთ ბოლოს და ბოლოს, რომ კომტურების ხელთა ხართ. – დასძინა პილიგრიმმა, - იმათ თქვენთვის ცუდი არ უნდათ და შჩიტნოს კომტური სიტყვას იძლევა, რომ დაუბრკოლებლივ გამობრუნდებით ციხიდან; მხოლოდ სურთ, ყველა თქვენი ჩადენილი საქმის გამო ემთხვიოთ ჯვაროსნების მოსასხამს და გამარჯვებულებს პატიება გამოსთხოვოთ. მათი სურვილია გაპატიონ, მაგრამ მანამდე უნდათ გასტეხონ თქვენი ამაყი ქედი. გამყიდველებსა და ფიცისგამტეხებს ეძახდით, ახლა სურთ, მიენდოთ. ისინი თავისუფლებას დაუბრუნებენ თქვენს ქალიშვილსა და თქვენ, მაგრამ უნდა სთხოვოთ ეს. მათ მუდამ ამცირებდით, ახლა კი უნდათ დაგაფიცონ, რომ თქვენი ხელი არასოდეს შეეხება თეთრ მოსასხამს.

– ამას თხოულობენ კომტურები, – დაუმატა ქალმა, – მათთან ერთად კი მარკვარტი და შომბერგი.

ერთი წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. იურანდს ეჩვენებოდა, რომ სადღაც მაღლა ყრუ ნახმევი ძრწოლით იმეორებდა: „მარკვარტი... შომბერგი“... ფანჯრიდან დარაჯად მდგომი იურანდის მშვილდოსნების გადაძახილი ისმოდა.

პილიგრიმი და ქალი ხან ერთმანეთს გადახედავდნენ, ხან იურანდს შესცქეროდნენ. ის კი გაუნძრევლად იჯდა, ზურგით კედელს მიყრდნობილი. ფანჯარასთან დაკიდული ტყავების შეკვრა ჩრდილს აფენდა მის სახეს. ტვინს უღრღნიდა ერთი მოუშორებელი აზრი: თუ ჯვაროსნების მოთხოვნებს არ შეასრულებს, მის ქალიშვილს მოახრჩობენ; თუ შეასრულებს, სულ ერთია, შეუძლიათ დაღუპონ თვითონაც და დანუსიაც. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, გამოსავალს ვერ ხედავდა. გრძნობდა მხოლოდ ულმობელ ძალას, რომელიც სრესდა მას. უკვე ხედავდა ჯვაროსნების რკინის ხელებს ზეაღმართულს დანუსიას ყელთან. კარგად იცნობდა ორდენის რაინდებს და იცოდა, რომ მოკლავენ მის ქალიშვილს, ჩაფლავენ სადღაც ციხის პატნეზქვეშ, მერე კი ყველაფერზე უარს იტყვიან, ყველაფრისგან განზე გადგებიან. ვინ დაამტკიცებს, რომ ქალი მართლა მათ მოიტაცეს.

მართალია, მას ხელში ჰყავდა წარმოგზავნილები, რომლებიც შეეძლო წაეყვანა მთავართან და წამებით ეთქმევინებინა ყველაფერი, მაგრამ ჯვაროსნების ხელთ იყო დანუსია, და იმათაც შეეძლოთ ეწამებინათ გოგონა. ეჩვენებოდა, თითქოს დანუსია შორიდან ხელს უწვდიდა, შველას სთხოვდა. რომ იცოდეს, ნამდვილად შჩიტნოშია, ამაღამვე დაიძრებოდა საზღვრისკენ და თავს დაატყდებოდა გერმანელებს, რომლებიც ამას სულ არ მოელოდნენ, დაიპყრობდა ციხეს, დახოცავდა დარაჯებს და გაათავისუფლებდა დანუსიას. მაგრამ თუ შჩიტნოში არ არის! და სავარაუდოა, რომ მართლაც არ არის. ამ დროს თავში ელვასავით გაუარა კიდევ ერთმა აზრმა: იქნებ მოეკიდა ხელი ამ ქალისა და პილიგრიმისთვის და პირდაპირ დიდ მაგისტრთან წაეთრია? – იქნებ მაგისტრმა იძულებული გახადოს გატყდნენ და უბრძანოს კომტურებს ქალიშვილის დაბრუნება? მაგრამ ამ აზრმა ელვასავით გაჰკვეთა და მაშინვე ჩაქრა... ამ ხალხს ხომ შეეძლო ეთქვა მაგისტრისათვის, ბერგოვის გამოსასყიდად ჩამოვედით და ქალიშვილისა არაფერი ვიცითო. არა! ეს გზა არ გამოდგებოდა. მაგრამ რომელი აერჩია? იფიქრა, თუ შჩიტნოში წავალ, მაშინვე ბორკილებს დამადებენ და ჯურღმულში ჩამაგდებენ, დანუსიას კი მაინც არ გამოუშვებენ, რათა არ გამოაშკარავდეს, რომ ქალი მათი მოტაცებულიაო. არადა, სიკვდილი ელის მის ერთადერთ ქალიშვილს, სიკვდილის საფრთხე დაემუქრა ერთადერთ ძვირფას ადამიანს!.. ბოლოს აზრები აერია და ტანჯვა ისეთი აუტანელი

გახდა, რომ სხეული გაუშეშდა. გაუნძრევლად იჯდა, როგორც ქვისგან გამოთლილი უსულო საგანი. ამ წუთს ადგომა რომ მოენდომებინა, ალბათ ვერც მოახერხებდა.

მოგზავნილებს მოსწყინდათ ლოდინი. მონაზონი წამოდგა და თქვა:

– მალე ინათებს. ნება მოგვეცით, ბატონო, წავიდეთ, ჩვენ დასვენება გვინდა.

– და ცოტა მომაგრებაც ამ მძიმე მგზავრობის შემდეგ, – დაუმატა პილიგრიმმა,

მათ იურანდს თავი დაუკრეს და გავიდნენ.

ის კი ისევ გაუნძრევლად იჯდა, თითქოს მკვდარი ან მძინარე ყოფილიყოს.

ერთი წამის შემდეგ კარი გაიღო და ზღურბლზე ზბიშკო გამოჩნდა, მას ქსონძი კალებიც შემოჰყვა.

– რა თქვეს მოციქულებმა? რა გვინდაო? – ჰკითხა ახალგაზრდა რაინდმა და იურანდს მიუახლოვდა.

იურანდი შეკრთა და არაფერი უპასუხა, მხოლოდ თვალები ააფახულა, როგორც ღრმა ძილიდან ახლად გამოფხიზლებულმა ადამიანმა იცის.

– ავად ხომ არ ბრძანდებით! – შესძახა ქსონძმა კალებმა, რომელიც ახლო იცნობდა იურანდს და მიხვდა, რომ კარგი დღე არ ადგა.

– არა, - უპასუხა იურანდმა.

– დანუსიას რა დაემართა? – ეკითხებოდა ზბიშკო. – სად არის? რა გითხრეს? რა ამბავი ჩამოიტანეს?

– გა-მო-სას-ყი-დი ჩამოიტანეს, – დამარცვლით უთხრა იურანდმა.

– ბერგოვის გამოსასყიდი?

– ბერგოვის...

– როგორ ბერგოვის? თქვენ რაღა დაგემართათ?

– არაფერი...

მაგრამ მის ხმაში ისეთი უცნაური ბგერები ისმოდა, თავადაც ისეთი უძლურება დაუფლებოდა, რომ ზბიშკო და ქსონძი შეშინდნენ, მით უმეტეს, რომ იურანდი ლაპარაკობდა არა დანუსიასა და ბერგოვის გაცვლაზე, არამედ გამოსყიდვაზე.

– ღმერთო მოწყალეო! – შესძახა ზბიშკომ. – სად არის დანუსია?

– არა, ჯვაროსნებთან არ არის! – მძინარე ხმით თქვა იურანდმა.

და უცებ მკვდარივით გადმოვარდა სკამიდან.

XVII

მეორე დღეს შუადღეზე მოციქულებმა კვლავ ინახულეს იურანდი, ცოტა ხნის შემდეგ კი გაემგზავრნენ და თან წაიყვანეს დე ბერგოვი, ორი საჭურველმტვირთველი და ოციოდე სხვა ტყვე.

ამის შემდეგ იურანდმა მოიხმო მამაო კალები და უკარნახა მთავართან გასაგზავნი წერილი, რომელშიც ატყობინებდა, დანუსია ჯვაროსნებს არ მოუტაციათ, მისი სამყოფელი აღმოვაჩინე და იმედი მაქვს უახლოეს დღეებში გამოვიხსნაო. იგივე უთხრა მან ზბიშკოს, რომელიც წუხანდელს აქეთ გონს ვერ მოსულიყო, რა ხდებოდა, და დარდისაგან ლამის ჭკუაზე შეშლილიყო. მოხუცი რაინდი კითხვებზე პასუხს თავს არიდებდა, უბრძანა მოთმინებით ეცადა და დანუსიას დასახსნელად არავითარი ზომები არ მიეღო, რადგან ჯერჯერობით ასე იყო საჭირო.

საღამოს იურანდი ქსონძ კალებთან ერთად ჩაიკეტა და ანდერძი უკარნახა. მერე აღსარება თქვა, ეზიარა და მოიხმო ზბიშკო და სიტყვაძვირი მოხუცი ტოლიმა, რომელიც მისი მეგობარი იყო ყველა ბრძოლასა და ლაშქრობაში, მშვიდობიან დროს კი სპიხოვის მეურნეობას განაგებდა.

– აი, ეს, – უთხრა იურანდმა ძველ მეომარს ტოლიმას ისე ხმამაღლა, თითქოს ყრუს ელაპარაკებოდა, – არის ჩემი ქალიშვილის ქმარი, მათ ჯვარი დაიწერეს მთავრის სასახლეში და ჩემი თანხმობაც მიღებული აქვთ. ჩემი სიკვდილის შემდეგ ეს იქნება აქაური ბატონი, დაბის, მიწების, ტყეების, მინდვრების, ხალხისა და სპიხოვის მთელი სიმდიდრის მფლობელი...

ტოლიმა გაოცდა, თავისი ოთხკუთხა თავი ზბიშკოსკენ მოაბრუნა, მერე იურანდს შეხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს, რადგან საერთოდ ცოტა ლაპარაკი იცოდა, მხოლოდ თავი დაუკრა ზბიშკოს და მუხლებზე ემთხვია.

იურანდი კი განაგრძობდა:

– ეს ჩემი უკანასკნელი სურვილი ქსონძმა კალებმა ქაღალდზე დაწერა, მე კი ჩემი ბეჭედი დავუსვი. შენ უნდა დაადასტურო, რომ საკუთარი ყურით გაიგონე ჩემგან ყველაფერი და რომ ვბრძანებ ყველა მსახური ისევე დაემორჩილოს მას, როგორც მე მემორჩილებოდა. აჩვენე მას მთელი ქონება

და ფული, ჩემს საგანძურში რომ ინახება, და სიკვდილამდე ერთგულად ემსახურე ომსა და მშვიდობიან ცხოვრებაში, გასაგებია?

ტოლიმამ ხელისგულები ყურებთან მიიტანა და თავი დაუკრა, შემდეგ, იურანდმა როგორც კი ანიშნა, თაყვანი სცა და გავიდა, რაინდი კი ზბიშკოს მიუბრუნდა და ხაზგასმით უთხრა:

– ჩემი საგანძური ყველაზე ხარბ ადამიანსაც დააკმაყოფილებს და მის ფასად ერთი კი არა, ასობით ტყვე შეგიძლია გამოისყიდო. დაიმახსოვრე.

მაგრამ ზბიშკომ ჰკითხა:

– რატომ მაბარებთ უკვე სპიხოვს?

– მე შენ სპიხოვზე მეტს გაბარებ, – ღვიძლ შვილს.

– არავინ იცის, ვინ როდის მოკვდება, – შენიშნა ქსონძმა ძალებმა.

– არავინ იცის, ნაღვლიანად გაიმეორა იურანდმა. – სულ ცოტა ხნის წინ თოვლმა ჩამბუქა, და თუმცა ღმერთმა გადამარჩინა, მაგრამ ადრინდელი ძალ-ღონე მაინც აღარა მაქვს...

– ღმერთო მოწყალეო! – შესძახა ზბიშკომ, – რა გემართებათ, რამ გამოგცვალათ გუშინდელს აქეთ? სიკვდილზე უფრო მეტს ლაპარაკობთ, ვიდრე დანუსიაზე! ღმერთო მოწყალეო!

– დაბრუნდება დანუსკა, დაბრუნდება, - უპასუხა იურანდმა. – ღმერთი ხელს მოუმართავს, მაგრამ თუ მართლა დაბრუნდა... გამიგონე... ბოგდანეცში წაიყვანე, სპიხოვში საქმეებს ტოლიმა წარმართავს. ერთგული კაცია, მეზობლები კი ცუდი გვყავს... იქ თოკზე არავინ გამოაბამს... უფრო უშიშრად იცხოვრებს...

– რა დაგემართათ! – შესძახა ზბიშკომ. – ისე ლაპარაკობთ, თითქოს ჩვენგან უკვე წასული იყოთ? მითხარით, რა მოხდა?

– საიქიოს ძლივს გადავურჩი, ახლა კი თავს სუსტად ვგრძნობ და ერთადერთი დარდი მაქვს ჩემი შვილი, იმის მეტი განა ვინ მაბადია! შენ კი, მე ხომ ვიცი, რომ ის გიყვარს...

მან ლაპარაკი შეწყვიტა, ქარქაშიდან მოკლე მახვილი ამოიღო და ჯვრის ფორმის ტარით ზბიშკოსკენ მიაბრუნა.

– კიდევ ერთხელ შემომფიცე ამ ჯვარზე, რომ არასოდეს აწყენინებ და მთელი გულით გეყვარება...

ზბიშკოს ცრემლი მოადგა თვალებზე; მუხლებზე დაეცა, ხელი იარაღის სახელურს დაადო და შესძახა:

– ვფიცავ ღმერთს, არასოდეს ვაწყენინო და ერთგულად მიყვარდეს მარადის!

– ამინ! – წარმოთქვა ქსონძმა კალებმა.

იურანდმა იარაღი ქარქაშში ჩააგო და ზბიშკოს გადაეხვია.

– შენც ხომ ჩემი შვილი ხარ!...

უკვე შუაღამე დგებოდა. ისინი გაშორდნენ ერთმანეთს, რადგან რამდენიმე დღე იყო, თითქმის სულ არ დაესვენათ. მეორე დილით ზბიშკო მაინც უთენია წამოდგა; იურანდის წუხანდელი ლაპარაკი დარდად ჩაჰყვა გულში, მართლა ცუდად ხომ არ არისო, და გადაწყვიტა გაეგო, როგორ გაატარა ღამე მოხუცმა რაინდმა.

იურანდის ოთახის კართან მას ტოლიმა შემოხვდა.

– როგორ არის ბატონი? ხომ კარგადაა? – ჰკითხა ზბიშკომ.

ტოლიმა მიესალმა, ხელისგული ყურთან მიიტანა და ჩაეკითხა:

– რა ბრძანეთ, თქვენო მოწყალებავ?

– ბატონი როგორ ბრძანდება-მეთქი? – ხმამაღლა გაიმეორა ზბიშკომ.

– ბატონი წავიდა.

– სად?

– არ ვიცი. მთელი აღჭურვილობით...

XVIII

განთიადმა უკვე ვერცხლისფერი დააფინა ხეებს, ბუჩქებს, აქა–იქ ველად გაფანტულ კირქვებს, როცა იურანდის დაქირავებული გამცილებელი, გვერდით რომ მიჰყვებოდა, შეჩერდა და უთხრა:

– ნება მომეცით, ცოტა შევისვენო, ბატონო რაინდო, თორემ სულს ვეღარ ვითქვამ. თოვლი დნება და ნისლიც ჩამოწვა, მაგრამ უკვე შორს აღარ არის...

– გზაზე გამიყვანე და დაბრუნდი, – უპასუხა იურანდმა.

– გზა მარჯვნივაა ტყის გადაღმა, გორაკიდან კი ციხესიმაგრეც მოჩანს.

გლეხი გათოშილიყო დილის სინესტისაგან და გასათბობად ხელებს ჯვარედინად იღლიებში იტყაპუნებდა; ამან უფრო დაღალა და ქვაზე ჩამოჯდა.

– თუ იცი, კომტური სიმაგრეშია? – ჰკითხა იურანდმა.

– აბა სად უნდა იყოს? ავად არის.

– რა დაემართა?

ხალხი ამბობს, პოლონელმა რაინდებმა ჩაუჩეჩქვეს გვერდებიო, – უპასუხა მოხუცმა გლეხმა.

მის ხმაში კმაყოფილება იგრძნობოდა. მართალია, ჯვაროსნების ქვეშევრდომი იყო, მაგრამ, ეტყობოდა, პოლონელი რაინდების უპირატესობა ახარებდა მის მაზურულ გულს.

წუთის შემდეგ დაუმატა:

– რაც მართალია, მართალია! ჩვენი ბატონები ღონივრები არიან, მაგრამ პოლონელებს მაინც ვერა სჯობიან.

ამის თქმაზე მან შიშნარევად გადახედა იურანდს და, თითქოს სურდა დარწმუნებულიყო, რომ არ გაუჯავრდებოდნენ ამ დაუფიქრებლად წამოსროლილი სიტყვებისთვის, ჰკითხა:

– თქვენ, ბატონო, ჩვენებურად ლაპარაკობთ, გერმანელი არა ხართ?

– არა, – უპასუხა იურანდმა, – აბა, გამიძეხ, წამიყვანე.

გლეხი წამოდგა და ისევ გვერდით გაჰყვა ცხენს. გზაში ის დროდადრო ხელს ჩანთაში ჰყოფდა, მუჭით ჭვავის მარცვლებს იღებდა და პირში იყრიდა. შიმშილი რომ მოიკლა, იურანდს აუხსნა, რატომ სჭამდა უმ მარცვალს, თუმცა იურანდს თავისი უბედურება ჰყოფნიდა, მწარე ფიქრებს მისცემოდა და ეს არც კი შეუმჩნევია.

– ამაზეც მადლობელი უნდა ვიყოთ, – ამბობდა გლეხი, ვაი ჩვენი ბრალი გერმანელების ხელში. შემოგვაწერეს გადასახადები, დაფქვაში იმდენს გვატყავებენ, რომ ღარიბ გლეხებს ისღა დაგვრჩენია პირუტყვებივით დაუფქველი მარცვალი ვჭამოთ. გლეხს რომ სახლში ხელის საფქვავი უნახონ, მაშინვე წაართმევენ, პატრონს ხომ სცემენ და სცემენ, არც მის ცოლსა და შვილებს დაადგებათ კარგი დღე... არც ღმერთისა ეშინიათ, არც ქსონძისა. აი, ველბორგის ქსონძმა სცადა მათი გაკიცხვა ამისათვის, მაგრამ ბორკილები დაადეს.

ოჰ, ძნელია გერმანელების უღელქვეშ ცხოვრება! თუ გლეხმა მოახერხა და ხელის საფქვავზე ცოტა ხორბალი დაფქვა, ამ ფქვილს აღდგომისთვის ვინახავთ, დანარჩენ დღეებში კი მარცვალს ვკენკავთ ჩიტებივით, მაგრამ ამაზეც მადლობელი ვართ, მალე ესეც აღარ გვექნება... თევზის დაჭერა არ შეიძლება... ნადირის დახოცვა არ შეიძლება... მაზოვიაში რა უჭირთ.

ასე წუწუნებდა ეს ჯვაროსნების ქვეშევრდომი და მთელი გზა ხან თავის თავს ელაპარაკებოდა, ხან იურანდს. ამასობაში დათოვლილი, კირქვით მოფენილი შენი გადაიარეს და დილის ბინდბუნდში ჭაღარასავით გამომზირალ ტყეში შევიდნენ. ტყიდან სიცივე და გამსჭვალავი სინესტე ეცათ. ამასობაში კარგად ინათა. რომ არ გათენებულიყო, იურანდს გაუჭირდებოდა ტყის ვიწრო ბილიკზე სიარული, მისი ზორბა ცხენი ზოგ ადგილას ხეებს შორის ძლივს ეტეოდა. მაგრამ ტყე მალე გათავდა და ცოტა ხნის შემდეგ მოხუცი რაინდი და მისი გამცილებელი თეთრი გორაკის წვერზე მოექცნენ, რომლის კალთას ფართო გზა მიუყვებოდა.

– აი, შარაგზა! – უთხრა გლეხმა. – ახლა, ბატონო, თვითონაც გაიგებთ გზას.

– გავიგნებ, – უპასუხა იურანდმა, – შეგიძლია შინ გაბრუნდე.

მან უნაგირის წინ ჩამოკიდებულ ქისაში ხელი ჩაყო, ვერცხლის ფული ამოიღო და გამცილებელს მისცა. გლეხი, რომელიც აქაური ჯვაროსნებისაგან ჯოხებს უფრო იყო შეჩვეული, ვიდრე საჩუქრებს, თვალებს არ უჯერებდა; ფულს ხელი სტაცა, თავი უზანგს მიადო და ხელები შემოჰხვია მას.

– ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! – შესძახა მან, ღმერთმა სიკეთით გადაგიხადოთ, დიდებულო ბატონო!

– ღმერთმა შენც ხელი მოგიმართოს.

– ღმერთო, გვიხსენი ორთავე. შჩიტნო თქვენს წინაა.

ამ სიტყვებზე ის კიდევ ერთხელ დაიხარა უზანგებთან და გაქრა. დარჩა იურანდი მარტო გორაკზე. ის ჩასჩერებოდა რუხსა და ტენიან განუმტევ ნისლს, მასსა და ქვეყნიერებას შორის რომ ჩამოწოლილიყო. ამ საფარს იქით იმალებოდა ავბედითი ციხე, საითაც იურანდს ეწეოდა უკუღმართი ბედი. ახლოსაა, უკვე ახლოსაა! იქ კი, რას იზამ, რაც მოსახდენია, ვერ ასცდები... ამის გაფიქრებაზე იურანდის გულში დანუსიაზე შიშისა და დარდის გარდა, იმის გარდა, რომ მამა მზად იყო გამოეგლიჯა მტრის ხელიდან შვილი, თუნდაც ეს საკუთარი სისხლის ფასად დასჯდომოდა, დაიბადა სრულიად ახალი, უზომოდ მწარე და დღემდე მისთვის უცნობი გრძნობა თავის დამცირებისა. აი, ის, იურანდი, მარტო მის ხსენებაზეც ტანში რომ აზრია-

ლებდა სასაზღვრო ზონაში ყველა კომტურს, ახლა მათივე ბრძანებით მიდის სიმაგრეში მორჩილად თავდახრილი. ის, რომელსაც ამდენი გამარჯვება უნახავს მათთან ბრძოლებში და ამდენჯერ დაუმცირებია ისინი, ახლა თვითონაა დამარცხებული და დამცირებული. არა, მათ პირისპირ ბრძოლაში არ დაუმარცხებიათ, სიმამაცითა და რაინდული ძლიერებით არ უჯობნიათ მისთვის, მაგრამ თავს ხომ მაინც დამარცხებულად გრძნობს. ეს წარმოუდგენელი რამ იყო, ეჩვენებოდა, რომ ირგვლივ ყველაფერი ინგრეოდა. ის მიდიოდა, რათა ჯვაროსნებს დამორჩილებოდა, კაცი, რომელიც, დანუსია რომ არა, ამჯობინებდა მარტოდმარტო შებმოდა ჯვაროსნების მთელ ხროვას. განა არ ყოფილა შემთხვევა, როცა რაინდს სიკვდილსა და სირცხვილს შორის არჩევანი მთელ ჯართან შებმით დაუმთავრებია? გრძნობდა, რომ მასაც შესაძლოა სირცხვილი ელოდა და ამის გაფიქრებაზე მზად იყო ტკივილისაგან ეღმუვლა, ეღმუვლა მგელივით, რომელმაც სხეულში ისარი იწვნია.

მაგრამ ამ ადამიანს მარტო სხეული კი არა, ნებისყოფაც რკინისა ჰქონდა, მას შეეძლო სხვათა სიჯიუტის დათრგუნვაც და საკუთარი თავის მორევაც.

„ადგილიდან არ გავინძრევი, – უთხრა თავის თავს, – სანამ საკუთარ ბოღმას არ მოვთოკავ, რადგან ბოღმამორეულმა შეიძლება გადარჩენის მაგივრად სულ დავღუპო საკუთარი პირმშო “.

და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება საკუთარ ამაყ გულთან, თავის სიფიცხესთან და ბრძოლის წყურვილთან. ვინმეს რომ დაენახა ის ამ გორაკზე, იარაღში ჩამჯდარი, უძრავად მდგარი, ბედაურ ცხენზე ამხედრებული, იფიქრებდა, რკინისგან ჩამოსხმული გოლიათიაო, და ვერავინ მიხვდებოდა, რომ ამ უძრავად მდგომ რაინდს ახლა გაემართა ყველაზე მძიმე ბრძოლა, რასაც კი თავის სიცოცხლეში მოსწრებია. ის მანამ ებრძოდა საკუთარ თავს, სანამ არ დასძლია და არ იგრძნო, რომ ნებისყოფა აღარ უღალატებდა.

ამასობაში ნისლი გაიცრიცა და რაღაც კონტურები გამოჩნდა. იურანდი მიხვდა, რომ ეს შჩიტნოს ციხესიმაგრის კედლები იყო. ფეხი არ მოუცვლია, მხოლოდ მხურვალედ დაიწყო ლოცვა; ეს იყო ლოცვა ადამიანისა, რომელსაც იმედად ღვთის მოწყალებაღა დარჩენია.

ბოლოს, როცა იურანდმა ცხენი დასძრა, იგრძნო, რომ გული მხნეობით ევსებოდა. ახლა მზად იყო ყველაფერი აეტანა, რაც კი ელოდა. გაიხსენა წმინდა გიორგი – კაპადოკიელი, ყველაზე ცნობილი შთამომავლობის ადა-

მიანი, რომელმაც გაუძლო ყველანაირ დამამცირებელ წამებას და არათუ უღალატა პატიოსნებას, არამედ ღვთის მარჯვნივ არის დაბრძანებული და მთელი რაინდების მფარველად ითვლება. შორეული ქვეყნებიდან ჩამოსული პილიგრიმებისაგან იურანდს ერთხელ და ორჯერ არ გაეგონა მისი მამაცობის ამბები და ახლა ისინი რომ გაიხსენა, სულით ამაღლდა.

გულში ნელ-ნელა იმედიც გაეღვიძა. თუმცა ჯვაროსნები განთქმული იყვნენ თავიანთი შურისმაძიებლობით და ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სამაგიეროს გადაუხდიდნენ ყველა დამარცხებისათვის, რომელიც მათთვის უგემებია, სირცხვილისათვის, რომელსაც ბრძოლების შემდეგ განიცდიდნენ, და, ბოლოს, იმ შიშის ზარის გამო, რომელშიც მათ ამყოფებდა წლების განმავლობაში.

მაგრამ გულს სწორედ ეს უმაგრებდა. ეჭვი არ ეპარებოდა, დანუსია მხოლოდ იმიტომ ჰყავდათ მოტაცებული, რომ თვითონ ეგდოთ ხელთ, და თუ ამას მიაღწევდნენ, მაშინ ქალი რაღაში სჭირდებოდათ? დიახ! მას უეჭველად ბორკილებში ჩასვამენ, არ ისურვებენ მაზოვიის მახლობლად იყოლიონ, სადმე შორეულ ციხეში წაიყვანენ, სადაც ალბათ სიკვდილამდე უნდა იგმინოს ჯურღმულში ჩაგდებულმა; დანუსიას კი უეჭველად გამოუშვებენ. მისი ვერაგულად მიტყუება და დატყვევება კიდევაც რომ გამომჟღავნდეს, არც დიდი მაგისტრი და არც კაპიტული არავის გაამტყუნებენ, რადგან იურანდი მართლაც რისხვა იყო ჯვაროსნებისა და ყველაზე მეტი სისხლი დაღვარა მათი. სამაგიეროდ, იმავე დიდმა მაგისტრმა შეიძლება დატუქსოს ისინი უმწეო და უდანაშაულო ქალის დატყვევებისათვის, თანაც თუ ეს ქალიშვილი მთავრის აღზრდილია. მთავრის წინაშე მაგისტრი პირმოთნეობს, გრძნობს, რომ პოლონეთის მეფესთან ომი არ ასცდება.

ამ ფიქრებმა გულს იმედი მოჰფინა. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ დანუსია უეჭველად დაბრუნდებოდა სპიხოვში და ზბიშკოს საიმედო ფრთებქვეშ იცხოვრებდა... „გოლიათია ის, – ფიქრობდა იურანდი, – არავის მისცემს ნებას დანუსიას აწყენინონ“. გულაჩვილებულმა მოხუცმა რაინდმა გაიხსენა, რაც კი იცოდა ზბიშკოზე: „ვილნოსთან გერმანელებს ებრძოდა, ორთაბრძოლაში გასულა მათთან, ფრიზიელები დაჩეხა, ბიძამისთან ერთად რომ გამოიწვია ბრძოლაში, ლიხტენშტაინს თავს დაესხა, ჩემი შვილი გაავებული ხარისაგან დაიცვა და ოთხ ჯვაროსანს გამოწვევა გაუგზავნა, და ალბათ არც აპატიებს“. იურანდმა თვალები ზეცას აღაპყრო და თქვა:

– ღმერთო, მე შენ მოგიძღვენი ჩემი ქალი, შენ კი ზბიშკოს არგუნე!

ყველაფერი რომ რიგიანად განსაჯა, გულზე მოეშვა, რაკი უფალმა ღმერთმა დანუსკა ყმაწვილს მიუძღვნა, ახლა ნებას აღარ მისცემდა გერმანელებს დაეცინათ მისთვის, უეჭველად გამოიხსნიდა მათი ხელიდან, ჯვაროსანთა მთელი ლაშქარიც რომ გადადგომოდა წინ.

მერე ისევ ზბიშკოზე ფიქრი განაგრძო: „გარდა იმისა, რომ გოლიათია, ძალზე კეთილი გული აქვს, კაცი კი არა, ოქროა ნამდვილი. თავზე გადაჰყვება ჩემს ქალს, ეყვარება, და კარგად ვხედავ, მის ხელში გოგო არც მთავრის სასახლეზე ინაღვლებს, არც მამის სიყვარულზე...“ ამის გაფიქრებაზე იურანდს თვალები აუცრემლდა და ნაღველმა გული შეუკუმშა. როგორ უნდოდა, ერთხელ კიდევ შეეხედა თავისი შვილისათვის, მათ ხელში დაელია სული და არა ჯვაროსნების პირქუშ ჯურღმულებში. მაგრამ ყველაფერი ღვთის ნებაა!.. შჩიტნო უკვე მოჩანდა. ციხის კედლები სულ უფრო მკვეთრად იხაზებოდა სიბნელეში, ახლოს იყო მსხვერპლად შეწირვის წუთი და მოხუცი რაინდი გასამხნევებლად თავის თავს ეუბნებოდა:

„დიახ, ყველაფერი ღვთის ნებაა! ჩემი სიცოცხლე მალე ჩაესვენება, ერთი წელი აქეთ იქნება თუ იქით, აბა რა ბედენაა. ეჰ, მინდოდა ცოტა ხანს მეყურებინა ორივესთვის და ისიც მეთქვა, ვიცხოვრე ამქვეყნად, ყველაფერი ვიგემე, ყველაზე შური ვიძიე, ვიზეც უნდა მეძია-მეთქი. ახლა რა? დღეს მიწის ზევითა ვარ, ხვალ მიწის ქვეშ ვიქნები, და, რაკი საჭიროა ვიტანჯო, რას ვიზამ. როგორ ბედნიერადაც არ უნდა იცხოვრონ დანუსკამ და ზბიშკომ, მე მაინც არ დამივიწყებენ. ხშირად გამიხსენებენ და იფიქრებენ: სად არის ახლა? ცოცხალია თუ უკვე იმქვეყნადაა?.. დამიწყებენ ძებნას და იქნებ კიდევაც გაიგონ ჩემი ამბავი. ჯვაროსნები შურისმაძიებელი ხალხია, მაგრამ გამოსასყიდზეც ხარბები არიან. ზბიშკო არაფერს დაზოგავს, რომ ჩემი ძვლები მაინც გამოისყიდოს მათი ხელიდან, სულის მოსახსენებელს ხომ არაერთხელ გამიკეთებენ ბავშვები. ორთავენი კარგები არიან, გულიანები, ღმერთმა და წმინდა მარიამმა დალოცოს ისინი ამისათვის!“

გზა თანდათან ფართოვდებოდა და ხალხიც მომრავლდა. ქალაქისკენ შეშითა და ჩალით დატვირთული საზიდრები მიემართებოდა; მენახირეები საქონელს მიერეკებოდნენ; ტბებიდან მარხილებით გაყინული თევზი მიჰქონდათ; ერთ ადგი– ლას ოთხ მეაფთეს ბორკილდადებული გლეხი მიჰყავდა, ალბათ სასამართლოზე, რაიმე დანაშაულისათვის. ხელები საწყალს ზურგზე ჰქონდა გაკრული, ფეხებზე ხუნდები ედო, ხუნდები თოვლს ედებოდა და სიარულს უშლიდა. პირიდან და გაბერილი ნესტოებიდან ორთქლი ამოსდიოდა გლეხს, მეაფთეები კი სიმღერით მიერეკებოდნენ წინ. იურანდი რომ დაინახეს, ცნობისმოყვარეობით მიაჩერდნენ, ალბათ გაა-

ოცათ მხედრისა და ცხენის სიდიდემ, მაგრამ ოქროს დეზები და რაინდული ქამარი რომ შენიშნეს, აფთები დაუშვეს და ამით სალამი და პატივი მიაგეს რაინდს. ხალხი მომრავლდა და ხმაურმაც იმატა, მაგრამ შეიარაღებულ რაინდს ყველა გზას უთმობდა; ქალაქის მთავარი ქუჩა რომ ჩაათავა, ციხისაკენ შეუხვია. ზედ ხრამის პირას აღმართულ ციხეს, გეგონებოდათ, ისევ სძინავსო, სიბნელით იყო მოცული.

მაგრამ. ირგვლივ ყველაფერი როდი მოეცვა ძილს. არ ეძინათ ყვავებს; ფრთების ფართხუნითა და ყრანტალით გუნდებად დასტრიალებდნენ ციხისკენ მიმავალ ფერდობს. იურანდი უფრო ახლოს მივიდა და ახლა კი მიხვდა, რატომ შეგროვილიყო აქ ყვავების გუნდი. ზედ ციხის შესასვლელთან უზარმაზარი სახრჩობელა აემართათ, სახრჩობელაზე ორდენის ქვეშევრდომი ოთხი მაზური გლეხის სხეული კონწიალობდა. ნიავიც კი არ უბერავდა და გვამები, რომლებიც, გეგონებოდათ, საკუთარ ფეხის ტერფებს დასცქერიანო, მხოლოდ მაშინ ქანაობდნენ, როცა შავი ყვავები ერთმანეთის ცილაობაში თოკებს უნისკარტებდნენ, თავსა და მხრებზე ასხდებოდნენ და მათ დახრილ თავებს კორტნიდნენ. ზოგიერთი, ეტყობოდა, უკვე დიდი ხნის დაკიდული იყო, რადგან თავის ქალები სულ მოღლეტილი ჰქონდათ, ფეხები კი ძალზე დაგრძელებული. იურანდის მიახლოებაზე ყვავების გუნდი საშინელი ყრანტალით აიშალა, მაგრამ ჰაერში ერთი წრე შემოხაზეს, უკან მობრუნდნენ და სახრჩობელის ღერძზე ჩამოსხდნენ. იურანდმა პირჯვარი გადაისახა და ისე ჩაუარა მათ, თხრილს მიუახლოვდა, იმ ადგილას გაჩერდა, სადაც ჭიშკრის თავზე ასაწევი ხიდი იყო დაკიდებული, და ბუკს ჩაჰბერა.

ერთხელ ჩაჰყვირა, მეორედ, მესამედ და დაელოდა. კედლებზე ძეხორციელი არ ჩანდა, ჭიშკრის იქითაც სიჩუმე იყო. ერთი წუთის შემდეგ ციხის კედლებში გამოჭრილმა ცხაურიანმა მძიმე სარკმელმა გაიჭრიალა, რაზამ გაიჩხაკუნა და სარკმელში გერმანელი კნეხტის წვერიანი სახე გამოჩნდა.

– Wer da? – უკმეხად იკითხა ვიღაცამ.

– იურანდ სპიხოველი! – უპასუხა რაინდმა. სარკმელი ისევ დაეშვა და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

დრო გადიოდა. ჭიშკარს იქით კი ჩამიჩუმი არ ისმოდა, მხოლოდ ყვავები დასჩხაოდნენ სახრჩობელას ავისმომასწავებლად.

იურანდი დიდხანს იდგა. მერე ასწია ბუკი და კიდევ ერთხელ ჩაჰყვირა.

მაგრამ სიჩუმის მეტი არავინ გამოეხმაურა.

იურანდი მიხვდა, რომ განგებ აცდევინებდნენ, უნდოდათ დაემცირებინათ, როგორც გლახა და მათხოვარი. ჯვაროსნების ზვიადობას საზღვარი არა აქვს, როცა თავის წინაშე დამარცხებულს დაიგულებენ. იმასაც მიხვდა, რომ ასე ალბათ საღამომდე, ან იქნებ უფრო მეტ ხანსაც ალოდინებდნენ. პირველ წუთს სისხლი აუვარდა თავში, უცებ მოეძალა სურვილი ცხენიდან ჩამომხტარიყო, თხრილის პირას ქვა აეღო და ცხაურისთვის ეთხლიშა. სხვა პირობებში ალბათ ასე მოიქცეოდა თვითონაც და რომელიც გნებავთ მაზოვიელი ან პოლონელი რაინდი, და თუ ბიჭები იყვნენ, გამოსულიყვნენ და შებრძოლებოდნენ. მაგრამ გაახსენდა, რისთვისაც იყო მოსული, და რისხვას აღვირი ამოსდო.

– განა მსხვერპლად არ ვეწირები საკუთარ შვილს? – თქვა მან თავისთვის.

ისევ დაელოდა.

მაგრამ აი, ქონგურებიან კედელზე რაღაც ჩრდილები აბორიალდა. გამოჩნდა ბეწვის ქუდები, შავი თალფაქები, რკინის ჩაფხუტებიც კი, საიდანაც რაინდს ცნობისმოყვარე თვალები მისჩერებოდნენ. ყოველ წუთს მატულობდნენ ცნობისმოყვარენი, რადგან ციხის დამცველთათვის ჭიშკართან მორჩილად მდგარი მრისხანე იურანდი იშვიათ სანახაობას წარმოადგენდა. რომელიმე მათგანს სხვა დროს რომ ეხილა ის თავის წინაშე, იგივე იყო, თუნდაც სიკვდილისთვის შეეხედა თვალებში, ახლა კი შეეძლოთ დაუსჯელად ეცქირათ. ხალხი ემატებოდა და მალე ქვის კედლის ქონგურებს შორის თავისუფალი ადგილი აღარ დარჩა, სულ კნეხტებით აივსო. იურანდმა გაიფიქრა, ალბათ რაინდებიც შემომცქერიან კოშკის ცხაურიანი ფანჯრებიდანო, და თვალი აღაპყრო, მაგრამ კოშკის კედელი ისეთი სქელი იყო და ფანჯრის ჭრილები ისეთი ღრმა, რომ იქიდან მხოლოდ შორს გახედვა შეიძლებოდა. სამაგიეროდ, ქონგურებიან კედელზე ხალხი, ჯერ რომ ჩუმად შესცქეროდა იურანდს, ნელ-ნელა ალაპარაკდა. აქა-იქ გაისმა მისი სახელი, აქა-იქ სიცილიც მიაყოლეს. ხრინწიანი ხმები სულ უფრო თავხედურად ასისიანებდნენ მას, როგორც მგელს, და რაკი ციხეში არავინ უშლიდა ხელს, ბოლოს თოვლის გუნდებიც კი დაუშინეს ჭიშკართან მდგარ რაინდს.

იურანდმა უნებურად ცხენი დასძრა; მაშინ ერთი წამით შეწყდა გუნდების სროლა, ხმები დადუმდა და რამდენიმე თავი კედელს უკანაც კი ჩაიმალა. ეტყობა, მართლაც დიდ ზარსა სცემდათ იურანდის სახელი. მაგრამ მალე ყველაზე ლაჩრებიც კი მიხვდნენ, რომ საშინელი მაზურისაგან მათ აშორებდათ ღრმა თხრილი და კედლები, და ხეპრე ჯარისკაცებმა ისევ დაუშინეს განა მარტო თოვლის გუნდები, ყინულის ნატეხებიც და ქვებიც, რომლე-

ბიც წკრიალით სხლტებოდა მის ნაჭედ აბჯარსა და ცხენის ფოლადის საძაგრავზე.

– მე მსხვერპლად შევწირე თავი ღვიძლ შვილს, – ისევ გაიმეორა თავისთვის იურანდმა.

და ისევ დაელოდა.

დადგა შუადღე, კედლები დაცარიელდა, კნეხტები სასადილოდ იხმეს; სადარაჯოდ დარჩენილმა ჯარისკაცებმა აქვე კედელზე ჭამეს და მერე გასართობად მშიერ რაინდს გამოხრული ძვლები დაუშინეს. მათ დაიწყეს კამათი და ერთმანეთის შეგულიანება, ჩასულიყვნენ რაინდთან და მუშტები ეთავაზებინათ კისერში, ან არა და შუბის ტარი ეხეთქათ. სხვები, სადილიდან რომ დაბრუნდნენ, ყვიროდნენ, თუ ცდა მოსწყინდა, ნებას ვაძლევთ თავი ჩამოიხრჩოს, სახრჩობელაზე ერთი ყულფგამობმული თავისუფალი კავი არისო. დამამცირებელ ყვირილსა და ალიაქოთში გადიოდა საათები. ზამთრის მოკლე დღე ილეოდა, ასაწევ ხიდს არავინ უშვებდა, ჭიშკარიც ისევ დაკეტილი იყო.

საღამოს პირას ქარი ამოვარდა, ნისლი და ღრუბლები გაფანტა. დაისი აკიაფდა. თოვლს ჯერ ცისფერი დაედო, მერე ლურჯი. არ ყინავდა, ნათელი ღამე დგებოდა. ხალხი ჩამოვიდა კედლებიდან, დარჩნენ მხოლოდ გუშაგები, ყვავები სახრჩობელას ჩამოსცილდნენ და ტყეში გაფრინდნენ. მერე ცაც ჩამუქდა და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

„ეტყობა, ჭიშკრის გაღებას დაღამებამდე არ აპირებენ “, – გაიფიქრა იურანდმა,

ერთ წამს გაუელვა, ქალაქში დავბრუნდებიო, მაგრამ მაშინვე მოიშორა ეს ფიქრი. „მათ სურთ, რომ აქ ვიდგე, – უთხრა თავის თავს. – თუ უკან გაბრუნება დავაპირე, შინ მაინც არ გამიშვებენ, ალყას შემომარტყამენ, დამიჭერენ და მერე მეტყვიან, არაფერს შეგპირებივართ, ხელში ძალით ჩაგიგდეთო. გაქცევაც რომ მოვახერხო, სულ ერთია, უკან უნდა დავბრუნდე...“

პოლონელ რაინდთა არაჩვეულებრივი წრთობა, რისი წყალობითაც ისინი ადვილად იტანდნენ შიმშილს, სიცივეს და მძიმე ბრძოლებს, წრთობა, რომელიც ყოველთვის აოცებდათ უცხოელ მემატიანეებს, ხშირად გაუგონარი გმირობის საწინდარი გამხდარა. ასეთი გმირობა უცხო იყო დასავლეთის განებივრებული ხალხისათვის. იურანდი კი სხვებზე მეტად იყო ნაწრთობი, და, თუმცა შიმშილი უკვე გულ-მუცელს უღრღნიდა და საღამოს სიცივეც ძვლებამდე ატანდა, გადაწყვიტა ეცადა, თუნდაც აღსასრული დადგომოდა ამ ჭიშკრის წინ.

უცებ, ჯერ კიდევ ღამის დადგომამდე, მას თოვლზე ნაბიჯების ჭრაჭუნი მოესმა.

მოიხედა: ქალაქის მხრიდან მისკენ მოემართებოდა შუბებითა და ანთებით შეჭურვილი ექვსი მეომარი. მათ შორის მოაბიჯებდა ხმალზე ხელდაყრდნობილი მეშვიდე მებრძოლი.

„იქნებ ამათ გაუღონ ჭიშკარი და მეც შევყვე, – გაიფიქრა იურანდმა, – ძალას ხომ ვერ იხმარენ, ან მოკვლას ხომ ვერ დამიპირებენ, საამისოდ ძალზე ცოტანი არიან; თუ ისინი თავს დამესხმიან, ეს იმას ნიშნავს, რომ შეპირებას არ ასრულებენ და მაშინ ვაი მაგათი ბრალი! “

მან ხელი წაავლო ფოლადის ცულს, რომელიც უნაგირთან ეკიდა. ცული ისეთი მძიმე იყო, რომ ჩვეულებრივი მეომარი ორი ხელითაც ვერ დასძრავდა. იურანდი გაემართა ხალხის შესახვედრად.

მაგრამ არავის უფიქრია იურანდზე თავდასხმა. პირიქით, კნეხტებმა მაშინვე ჩაასვეს იარაღი თოვლში; ჯერ დედამიწას მთლიანად არ დაჰფენოდა ღამის საფარი და იურანდმა შეამჩნია, როგორ უკანკალებდათ ხელში იარაღი.

მაშინ მეშვიდემ, რომელიც მეთაურსა ჰგავდა, სასწრაფოდ გამოიშვირა წინ მარცხენა ხელი, მაღლა ასწია და იკითხა:

– თქვენ ბრძანდებით რაინდი იურანდ სპიხოველი?

– მე ვარ.

– გსურთ მომისმინოთ, რა დამაბარეს თქვენთან? უძლიერესმა და კეთილმოწყალე კომტურმა ფონ დანველდმა მიბრძანა გითხრათ, რომ სანამ ცხენიდან არ ჩამოხვალთ, ჭიშკარს არ გაგიღებენ.

იურანდი ერთ წუთს შეყოვნდა, შემდეგ ჩამოხტა ცხენიდან, რომელსაც იმწამსვე მივარდა ერთი შუბოსანი.

– იარაღიც უნდა ჩაგვაბაროთ, – უთხრა ისევ ხმლიანმა კაცმა.

სპიხოველი რაინდი შეყოყმანდა. მერე რომ მისცვივდნენ უიარაღოს და ცხოველივით გამოჭრან ყელი, ან ხელი სტაცონ და ჯურღმულში ჩააგდონ? თუმცა წუთის მერე იფიქრა, მაშინ ჯვაროსნები უფრო მეტ ხალხს გამოგზავნიდნენო. კიდევაც რომ დაესხან თავს, მის აბჯარს ასე ადვილად ვერას დააკლებენ, თვითონ კი ხელიდან გამოსტაცებს შუბს პირველსავე ჯარისკაცს და ყველას ერთმანეთზე მიალაგებს, სანამ მაშველი მოუსწრებდეთ. მადლობა ღმერთს, იციან, ვისთან აქვთ საქმე.

„ხოლო თუ მათ, – თქვა თავისთვის, – ჩემი სისხლის დაღვრა სურთ, მეც ხომ ამისთვის ვარ ჩამოსული “. - ეს რომ გაიფიქრა, ჯერ ცული დააგდო ძირს, მერე – მახვილი და მოკლე ხანჯალი და დაელოდა. შუბოსნებმა სწრაფად მოკრიფეს იარაღი, შემდეგ იმ კაცმა, რომელიც ესაუბრებოდა, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, შეჩერდა და თავხედური მაღალი ხმით უთხრა:

– ყველა იმ წყენის გამო, რაც შენ ორდენისათვის წლების განმავლობაში მიგიყენებია, კომტურის ბრძანებით, უნდა ჩაიცვა ეს სამარცხვინო ტომარა, რომელსაც გიტოვებთ, ჩამოიკიდო თოკით გულზე ქარქაში და მორჩილად იცადო ციხის ჭიშკართან, სანამ კომტური ინებებს და ბრძანებს შენს შეშვებას.

ერთი წუთის შემდეგ იურანდი მარტოდმარტო დარჩა უკუნ ღამეში. თოვლზე მის წინ ეგდო სამარცხვინო ტომარა და თოკი. დიდხანს იდგა ასე, გრძნობდა, რომ მის სულში რაღაც იფლითებოდა და ინგრეოდა, რაღაც იღუპებოდა და კვდებოდა, გრძნობდა, რომ კიდევ რამდენიმე წუთი და აღარ იქნებოდა რაინდი, აღარ იქნებოდა იურანდ სპიხოველი, გახდებოდა მათხოვარი და მონა, უფლებადაკარგული, უსახელო და პატივაყრილი.

დიდხანს იდგა ასე, სანამ მოახერხებდა, მივიდოდა სამარცხვინო ტომარასთან და იტყოდა:

– მაქვს თუ არა უფლება სხვაგვარად მოვიქცე? შენ იცი, იესოვ, რომ ისინი მოგუდავენ ჩემს უდანაშაულო პირმშოს, თუ არ შევასრულებ ყველაფერს, რასაც მიბრძანებენ, და ესიც იცი, საკუთარი სიცოცხლისათვის არასოდეს ჩავიდენდი ამას! მწარეა სირცხვილი, მწარე! მაგრამ აკი სიკვდილის წინ შენც დაგცინეს. სახელითა მამისათა და ძისათა...

იურანდი დაიხარა, ჩაიცვა ტომარა, რომელსაც თავისა და ხელების გასაყოფი ჰქონდა ამოჭრილი, მერე ყელზე თოკით ქარქაში ჩამოიკიდა და ბარბაცით წავიდა ჭიშკრისაკენ.

ჭიშკარი დაკეტილი დახვდა, მაგრამ ახლა მისთვის სულ ერთი იყო, როდის გაუღებდნენ. ციხე ღამის მდუმარებამ მოიცვა, სიჩუმეს მხოლოდ კუთხის კოშკურებში გუშაგების გადაძახილი არღვევდა, ჭიშკრის ზემო კოშკურის მხოლოდ ერთ ფანჯარაში ენთო სინათლე, დანარჩენი ჩაბნელებული იყო.

ნელა მიიზლაზნებოდა ღამე; მთვარის ვიწრო რკალი მაღლა წამოიწია და ციხის პირქუში კედლები გაანათა. ისეთი სიჩუმე იყო, იურანდს საკუთარი გულისცემა ესმოდა. მაგრამ ის დამუნჯდა და გაქვავდა, თითქოს სული ამოაცალეს და აღარაფერი ესმისო. ერთი აზრიღა უტრიალებდა – ის ახლა

რაინდი აღარ არის, აღარ არის იურანდ სპიხოველი, მაგრამ რად იქცა, ჯერ არ იცოდა... დროდადრო ეჩვენებოდა, რომ ამ ღამეში დილით ნანახი ჩამოხრჩობილებისაგან თოვლზე ჩუმად მოაბიჯებდა მისკენ სიკვდილი...

უცებ შეკრთა და წამით გამოერკვა:

– ღმერთო მოწყალეო, ეს რა არის!

კოშკურის მაღალი სარკმლიდან ბარბითის სუსტი ხმა მოისმა. როცა იურანდი შჩიტნოში მოდიოდა, დარწმუნებული იყო, დანუსია ციხეში არ ეყოლებოდათ, მაგრამ შუაღამისას ამ ბარბითის ხმამ გული აუძგერა, მოეჩვენა, რომ სცნობდა ამ ხმას, რომ უკრავდა სწორედ ის, მისი გოგონა, მისი საყვარელი შვილი... მუხლებზე დაეცა, ხელები ლოცვად დაიკრიფა და ციებიანივით აცახცახებულმა ყური მიუგდო.

ნახევრად ბავშვურმა, უსაზღვრო სევდით შეპყრობილმა ხმამ წამოიწყო:

ნეტავი ჩიტად მაქცია
ცაში გავშლიდი ფრთებს,
გავშლიდი, სილეზიისკენ
გადავიფრენდი მთებს.

იურანდს უნდოდა დაეყვირა საყვარელი სახელი, მოეხმო შვილისათვის, მაგრამ სიტყვები ყელში გაეჩხირა, თითქოს რკინის სალტე შემოარტყესო. ტკივილის, ცრემლების, ნაღველისა და დარდის ნიაღვარი ერთბაშად მოასკდა გულს, ის პირქვე დაემხო თოვლში და ცად აღავლინა შფოთიანი გოდება სულისა, სამადლობელი ლოცვის მსგავსი.

– ღმერთო! ეს ხომ ჩემი პირმშოს ხმა არის? – დაიყვირა მან. ო, ღმერთო!

მთელი მისი მძლავრი სხეული ქვითინისაგან ცახცახებდა.

ზემოდან კი ნახევრად ბავშვური, ნაღვლიანი ხმა ისევ მღეროდა ღამის სიჩუმეში:

ერთ სარკმელს გამოვარჩევდი,
უცხო მხარეში, შორს,
ალერსით ჩავჭიკჭიკებდი
გულის სწორსა და ტოლს.

დილით სქელსქელმა წვერიანმა კნეხტმა ფეხი წაჰკრა ჭიშკართან დაგდებულ რაინდს.

– ადე, ძაღლო!... ჭიშკარი ღიაა. კომტურმა ბრძანა, აქ მომგვარეთო.

იურანდი თითქოს ძილისაგან გამოერკვა, ის არ სცემია კნეხტს ყელში, არც თავის რკინის ხელებში მოუფშვნეტია, მისი მშვიდი სახე თითქმის მორჩილებას გამოხატავდა; წამოდგა და უხმოდ გაჰყვა ჯარისკაცს.

როგორც კი ჭიშკარში შევიდა, ზურგს უკან მძიმე ჯაჭვმა დაიჩხარუნა, ასაწევი ხიდი ნელა აიზიდა ზევით, ჭიშკარში ჩატანებული მასიური ცხაური კი ჩამოეშვა...

მეორე ტომის დასასრული

ტომი მესამე

I

ციხესიმაგრის ეზოში რომ შევიდა, იურანდმა აღარ იცოდა, საით წასულიყო, – კნეხტმა, რომელმაც ჭიშკარში შეიყვანა, მიატოვა და საχინიბოებს მიაშურა. კედელთან χგუფχგუფად და თითო-თითოდ იდგნენ χარისკაცები; მაგრამ სახეზე ისეთი თავხედობა გამოჰხატოდათ, ისეთი დაცინვით შეჰყურებდნენ, რომ ადვილად მიხვდებოდით, ისინი გზას არ მიასწავლიდნენ, და თუ უპასუხებდნენ შეკითხვაზე, მხოლოდ უხეშად და შეურაცხყოფით.

ზოგიერთი სიცილით იშვერდა მისკენ თითს; ზოგმა გუშინდელივით თოვლის გუნდები დაუშინა. იურანდმა დიდი კარი შეამჩნია, რომლის თაღზე χვარცმა იყო ამოკვეთილი, და იქითკენ გაემართა, იფიქრა, თუ კომტური და უფროსი ძმები ციხესიმაგრის სხვა მხარეს ან სხვა ოთახებში იმყოფებიან, ვინმე მაინც მეტყვის, როგორ მივიდე იმათთანო, ბოლოს და ბოლოს ვიღაცამ ხომ უნდა აჩვენოს სწორი გზა.

მართლაც ასე მოხდა. იურანდის მიახლოებაზე კარის ორთავე ნახევარი ერთბაშად გაიღო და გამოჩნდა ქსონძივით კინკრიხოგაპარსული, ოღონდ საერო ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა.

– ბატონო, თქვენა ხართ იურანდ სპიხოველი? – ჰკითხა მან.

– მე ვარ.

– ღვთისმოსავმა კომტურმა მიბრძანა, მას მიგგვაროთ. მომყევით.

ხალვათი თაღებიანი წინკარით მან რაინდი შიდა კიბემდე მიიყვანა. კიბის წინ შეჩერდა, იურანდს თვალი შეავლო და კვლავ ჰკითხა:

– რაიმე იარაღი ხომ არა გაქვთ? მიბრძანეს გაგჩხრიკოთ.

იურანდმა ხელები ასწია, რათა გამყოლს უკეთ შესძლებოდა მისი დათვალიერება.

– გუშინ ყველაფერი ჩავაბარე.

მერე გამცილებელმა ხმას დაუწია და თითქმის ჩურჩულით უთხრა:

– რაკი ასეა, ფრთხილად იყავით, თავი შეიკავეთ, ახლა მათ ხელში ხართ.

– მაგრამ უზენაესის ხელშიც, – უპასუხა იურანდმა.

მერე დაჟინებით შეხედა გამცილებელს და, რაკი მის სახეში თანაგრძნობა და სიბრალული ამოიკითხა, წაულაპარაკა:

– თვალებზე გამჩნევ, კარგი ადამიანი უნდა იყო. მეტყვი თუ არა სიმართლეს?

– ნუღა ზოზინებთ, – დააჩქარა გამცილებელმა.

– გაუშვებენ ჩემს შვილს, მე თუ ჩავბარდები?

ჭაბუკმა გაოცებით აწურა წარბები.

– მაშ აქ რომ ჰყავთ, თქვენი ქალიშვილია?

– დიახ, ჩემი ქალიშვილია.

– ჭიშკრის კოშკში?

– დიახ. და დამპირდნენ გავათავისუფლებთო, მე თუ ჩავბარდებოდი.

გამცილებელმა რაღაც ისეთი მოძრაობა გააკეთა ხელით, აქაოდა არაფერი ვიციო, მაგრამ სახეზე გაოცება და შეშფოთება გამოესახა. იურანდმა კი ჰკითხა:

– მართალია, რომ მას შომბერგი და მარკვარტი დარაჯობენ?

– ეგ ბერები ციხეში არ არიან, მაგრამ დროზე გაიყვანეთ აქედან, სანამ დანველდი გამოჯანმრთელებულა.

ამ სიტყვებზე იურანდს ტანში გააჟრჟოლა, თუმცა ვეღარაფერი ჰკითხა, უკვე მეორე სართულის დარბაზს უახლოვდებოდნენ, სადაც რაინდი შჩიტნოს მამასახლისს უნდა წარსდგომოდა. მსახურმა კარი გაუღო, თვითონ კი კიბეზე გამოვიდა.

სპიხოველი რაინდი ხალვათ, მაგრამ ძალიან ბნელ ოთახში შევიდა; ტყვიაში ჩასმული მინის ბურთულები სინათლეს არ ატარებდა, გარეთაც ზამთრის მოღრუბლული დღე იდგა. ოთახის ბოლოს ვეება ბუხარში ცეცხლი ენთო, მაგრამ სველ შეშას სუსტი ალი ჰქონდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა თვალი სიბნელეს შეაჩვია, იურანდმა ოთახის სიღრმეში მაგიდა გაარჩია. მაგიდას რაინდები შემოსხდომოდნენ, მათ უკან კი შეიარაღებული საჭურველმტვირთველებისა და კნეხტების მთელი ლიანგი იდგა, აქვე ტრიალებდა სასახლის მასხარა და მოშინაურებულ დათვს ჯაჭვით დაატარებდა.

ოდესღაც იურანდი დანველდს ორთაბრძოლაში შეხვედროდა, მერე ორჯერ მაზოვიის მთავრის კარზე ჰყავდა ნანახი, როცა ელჩად იყო ჩასული; მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა, მაგრამ ამ სიბნელეშიც მაშინვე იცნო იგი მოხუცმა რაინდმა სახითაც და სიმსუქნითაც. თანაც მაგიდასთან შუა ადგილას იჯდა სავარძელში, ხის არტაშანდადებული ხელი სახელურზე დაეყრდნო. ხელმარჯვნივ პოლონური მოდგმის ყველა ხალხისა და განსაკუთრებით იურანდ სპიხოველის დაუძინებელი მტერი ზიგფრიდ ფონ ლიოვე ინსბურკელი ეჯდა, მარცხნივ – უმცროსი ბერები გოტფრიდი და როტგერი. დანველდს განგებ მოეპატიჟებინა ისინი, რათა თავისი თვალით ეხილათ მრისხანე მტერზე გამარჯვება და დამტკბარიყვნენ ერთად მოფიქრებული და განხორციელებული ვერაგობის შედეგებით. მათ მუქი მაუდის მსუბუქი ტანსაცმელი ეცვათ და გვერდზე პატარა მახვილები ეკიდათ. ნებივრად გადაწოლილიყვნენ სავარძლებში, მხიარული და თავდაჯერებული სახეები ჰქონდათ, ისე უტიფრად და უსაზღვრო ქირდვით შესცქეროდნენ იურანდს, როგორც საერთოდ უყურებდნენ ხოლმე სუსტებსა და დამარცხებულებს.

დიდხანს არ ამოუღიათ ხმა, ტკბებოდნენ ვაჟკაცის ცქერით, ადრე რომ თავზარსა სცემდათ, ახლა კი იდგა მათს წინაშე თავჩაქინდრული, სამარცხვინო ტომარაგადაცმული, კისერზე ქარქაშგამობმული.

უნდოდათ, რაც შეიძლება მეტ ხალხს დაენახა რაინდის დამცირება; ალბათ ამიტომაც სხვა ოთახებში გამავალი გვერდითი კარებებიდან აღარ ილეოდა ხალხის ნაკადი. მალე დარბაზის ნახევარი შეიარაღებული ხალხით გაივსო. ისინი ხმამაღლა ესაუბრებოდნენ ერთმანეთს იურანდის შესახებ და აშკარა ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ. ამოდენა ხალხის დანახვაზე იურანდს იმედი მიეცა. „დანველდს რომ თავისი დაპირების შესრულება არ სურდეს, – გაიფიქრა მან, ამდენ მოწმეს არ დაუძახებდაო“.

ამასობაში დანველდმა ხელის მოძრაობით მოუწოდა ხალხს სიწყნარე დაეცვათ, მერე კი რაღაც ანიშნა ერთ-ერთ საჭურველმტვირთველს; ის იურანდთან მივიდა, ყელზე გამობმულ ბაწარში ხელი ჩაავლო და რაინდი მაგიდასთან რამდენიმე ნაბიჯზე მიათრია.

დანველდმა გამარჯვებული მზერა მოავლო ყველას და თქვა:

– შეხედეთ, როგორ ამარცხებს ორდენის ძლიერება ბოროტებასა და ქედმაღლობას.

– ღმერთმა მარადის ინებოს ასე! – უპასუხეს იქ მყოფებმა.

ერთი წამით კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა, მერე დანველდი ტყვეს მიუბრუნდა:

– ცოფიანი ძაღლივით კბენდი დღემუდამ ორდენს, ამიტომ ღმერთმა ინება და ძაღლივით დგახარ ჩვენს წინაშე ყელზე თოკგამობმული და ჩვენს წყალობასა და შენდობას ელოდები.

– ძაღლს ნუ შემადრი, კომტურო, – უპასუხა იურანდმა, – ამით დაამცირებ იმათ სახელს, ვინც მე მებრძოდა და ჩემი ხელით ჰპოვა სიკვდილი.

შეიარაღებული გერმანელებით სავსე დარბაზს ჩურჩულმა გადაურბინა; მაგრამ ძნელად მიხვდებოდით, განარისხა ამ თამამმა პასუხმა თუ განაცვიფრა მისმა სამართლიანობამ.

კომტურს არ ეამა საუბრის ასეთი შემობრუნება.

– ამას დახედეთ! – შესძახა მან, – ეს ტრაბახა და ზვიადი ადამიანი აქაც თვალებში გვაფურთხებს!

იურანდმა კი ხელები აღაპყრო, თითქოს ცას მოუხმობსო მოწმედ, და თავის ქნევით უპასუხა:

– ღმერთი ხედავს, რომ ჩემი სიამაყე ციხის ჭიშკარს გადაღმა დარჩა. ღმერთი ხედავს და განსჯის კიდეც, თვითონ ხომ არ შეურაცხყავით საკუთარი თავი, როცა ჩემი რაინდული ღირსება დაამცირეთ, რადგან ჩვენ ღირსება ერთი გვაქვს და ის თითოეულმა ქამრიანმა რაინდმა უნდა დაიცვას.

დანველდმა წარბი შეჰყარა, მაგრამ ამ დროს ციხესიმაგრის მასხარამ დათვს გამობმული ჯაჭვი ააჩხარუნა და დაიყვირა:

– ქადაგება, ქადაგება! მაზოვიიდან მოქადაგე გამოგვეცხადა. უსმინეთ ქადაგებას!

მერე ის დანველდს მიუბრუნდა:

– ბატონო! ოდეს ზარების მრეკველმა ძალზე ადრე გააღვიძა ქადაგებისათვის გრაფი როზენჰაიმი, მან უბრძანა შეეჭამა ზარების თოკი მთლიანად, კვანძიდან კვანძამდე; ამ მქადაგებელსაც თოკი ჰკიდია კისერზე, უბრძანეთ შეჭამოს ის, სანამ ქადაგებას დაამთავრებდეს.

მასხარამ შიშით შეხედა კომტურს. არ იცოდა, გაიცინებდა ის, თუ ბრძანებდა გაეროზგათ უდროო დროს ლაპარაკში ჩარევისათვის. მაგრამ ჯვაროსნები, ზრდილნი, უწყინარნი და, ასე გასინჯეთ, თვინიერნიც კი, როცა თავის სისუსტეს გრძნობდნენ, ყოვლად დაუზოგველნი ხდებოდნენ დამარცხებულებთან. დანველდმა არა მარტო დაუქნია თავი მასხარას და ამით

ნება დართო გაეგრძელებინა გართობა, არამედ თავის თავსაც ისეთი გაუგონარი უხეშობის უფლება მისცა, რომ ზოგიერთ ჭაბუკ საჭურველმტვირთველს გაოცებაც კი გამოეხატა სახეზე.

– ნუ ჩივი, შეურაცხყოფას მაყენებთო, – უთხრა მან, საძაღლეშიც რომ გაგაგზავნო, ორდენის მეძაღლეობა გერჩივნოს თქვენთან რაინდობას.

გათამამებულმა მასხარამ კი შესძახა:

– საურველი მოიტანე და ჩემი დათვი გაასუფთავე, სამაგიეროდ, ის თათით ბუწუწებს დაგვარცხნის.

აქა-იქ სიცილი გაისმა, ვიღაცამ ხალხიდან დაიძახა:

– ზაფხულობით ლერწამს მოცელავ ტბაზე.

– და კიბორჩხალებს დაიჭერ დამპალ ლეშზე! – შესძახა მეორემ.

მესამემ დაუმატა:

– ახლა კი წადი და ყვავები გაუქშიე ჩამოხრჩობილებს! ჩვენთან უსაქმოდ არ იქნები.

ასე იგდებდნენ მასხარად იურანდ სპიხოველს, ოდესღაც შიშის ზარს რომ სცემდათ მისი სახელის გაგონება. თანდათან მთელ ბრბოს მოედო მხიარულება. ზოგი მაგიდას მოსცილდა და ტყვეს მიუახლოვდა. შესცქეროდნენ მას და ამბობდნენ: „მაშ ეს ის სპიხოველი ტახია, ჩვენმა კომტურმა რომ ეშვები მოამსხვრია? შეხედე, როგორი დუჟი მოსდგომია დინგზე. ალბათ ერთი სული აქვს, ვიღაცას უკბინოს, მაგრამ არ ძალუძს!“ დანველდი და სხვა ბერები თავდაპირველად ცდილობდნენ რაღაც სასამართლოს მსგავსი წარმოედგინათ, მაგრამ დახედეს, რომ არაფერი გამოსდიოდათ, ისინიც წამოდგნენ სკამებიდან და იურანდის ირგვლივ თავშეყრილ ხალხს შეუერთდნენ.

მოხუც ინსბრუკელს ეს არ მოეწონა, მაგრამ თვით კომტურმა უთხრა: „ნუ იღუშებით, ნახავთ, კიდევ უკეთესი გასართობი იქნება!“ და ორთავე იურანდს მიაჩერდა; მართლაც, განსაკუთრებული შემთხვევა იყო, რადგან უწინ თუ ვინმე ახლოდან ნახავდა მას, რაინდი იქნებოდა თუ კნეხტი, ჩვეულებრივ, სამუდამოდ დახუჭავდა თვალებს. ზოგიერთნი ამბობდნენ: „მხარბეჭიანია, ვერაფერს იტყვი, თუმცა ტომრის ქვეშ ტყაპუჭი აცვია; მუხუდოს ჩალა უნდა შემოახვიო და ბაზრებში დაატარო...“ სხვებმა კიდევ უფრო გამხიარულება მოინდომეს და ლუდი მოითხოვეს.

მალე აჭახუნდა მუცლიანი ტოლჩები და ჩაბნელებულ დარბაზში ლუდის ქაფის სუნი დატრიალდა. „აი, ეს მესმის!“ თქვა გამხიარულებულმა

კომტურმა. – ერთი ამას დამიხედეთ, შეურაცხყოფა მიაყენეს!“ იურანდთან ისევ იწყეს მისვლა ჯვაროსნებმა. წვერზე ტოლჩებს ატარებდნენ და თან ეუბნებოდნენ: „რაო, მაზურის დინგო, დალევა ხომ არ მოგინდა!“ ზოგიერთი კი ლუდს მუჭში ისხამდა და თვალებში აშხეფებდა. იურანდი იდგა ამ ბრბოში გაოგნებული, განადგურებული; ბოლოს იგრძნო, მეტს ვეღარ აიტანდა, მოხუცი ზიგფრიდისაკენ ნაბიჯი გადადგა და, დარბაზში ატეხილი ხმაური რომ დაეფარა, მთელი ძალით იყვირა:

– გაფიცებთ, თუ რამ წმინდა გაგაჩნიათ, დამიბრუნეთ ბავშვი, აკი შემპირდით!

მას უნდოდა ხელი ჩაევლო კომტურისათვის მარჯვენაში, მაგრამ ის სასწრაფოდ გაშორდა და უთხრა:

– შორს ჩემგან, მონავ! რა გინდა?

– მე გავათავისუფლე ბერგოვი და თვითონაც მოვედი აქ, რადგან ჩემი შვილის განთავისუფლებას შემპირდით, აქ რომ გყავთ.

– ვინ შეგპირდა? – ჰკითხა დანველდმა.

– შენ, კომტურო, თუკი გაგაჩნია სინდისი და რწმენა.

– მოწმეებს ამისას ვერ იპოვი, თუმცა რა საჭიროა მოწმე, როცა საქმე სინდისსა და პირიანობას შეეხება.

– შენი და ორდენის სინდისს! – შესძახა იურანდმა.

– რაკი ასეა, ჩვენ დაგიბრუნებთ ქალიშვილს, – უპასუხა დანველდმა.

მერე იქ მყოფთ მიუბრუნდა და უთხრა:

– რაც აქ იურანდს გადახდა, მისგან ჩადენილი ბოროტების ღირსეული საზღაური კი არ არის, უწყინარი თავშესაქცევია მხოლოდ, მაგრამ, რაკი ქალიშვილის დაბრუნება აღვუთქვით და რაკი თვითონაც გამოცხადდა და ქედი მოიხარა ჩვენს წინაშე, ყველამ იცოდეს, ჯვაროსნის სიტყვა ისევე ურყევია, ვითარცა თვით მამაღმერთისა, და იმ გომბიოს, ჩვენს მიერ ყაჩაღთა ხელიდან გამოტაცებულს, ახლა თავისუფლებას მივანიჭებთ. ხოლო მას შემდეგ, რაც ის ორდენის წინაშე ჩადენილ ცოდვებს ყველას დასანახად მოინანიებს, ამასაც დავრთავთ ნებას შინ დაბრუნდეს.

ამის გაგონებაზე ზოგი გაოცებული დარჩა; ვინც დანველდს იცნობდა და ისიც იცოდა, როგორი ბოღმა ედო გულში იურანდის მიმართ, არავინ მოელოდა ასეთ დიდსულოვნებას. მოხუცმა ზიგფრიდმა, როტგერმა და გოტფრიდმა წარბები აზიდეს და განცვიფრებულები მიაჩერდნენ დანველდს,

ის კი თითქოს სულაც ვერ ამჩნევდა მათ კითხვით აღსავსე მზერას, განაგრძობდა:

– ქალიშვილს დამცველებს გავატანთ, შენ კი აქ იქნები, სანამ ჩვენი მსახურები უვნებელი დაბრუნდებიან და სანამ გამოსასყიდს არ გადაიხდი.

იურანდი თვითონაც გაოგნებული იყო, მას უკვე დაკარგული ჰქონდა იმედი, რომ საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვით დანუსიას გადაარჩენდა. მან მადლიერებით აღსავსე მზერა მიაპყრო დანველდს და წარმოთქვა:

– აგრემც ღმერთი გადაგიხდის, კომტურო!

– ამის შემდეგ მაინც შეიგნე ქრისტეს რაინდთა ფასი! – უპასუხა დანველდმა.

– დიდ არს ღმერთი მწყალობელი, – თქვა იურანდმა, – კარგა ხანია, ჩემი პირმშო აღარ მინახავს, ნება მომეცი, ერთხელ მაინც თვალი შევავლო და დავლოცო.

– კეთილი, ოღონდ ყველას წინაშე, რათა შეეძლოთ დამიდასტურონ, რაოდენ ერთგულნი ვართ სიტყვისა და რაოდენ მოწყალენი!

ამის თქმაზე მან გვერდით მდგომ საჭურველმტვირთველს უბრძანა დანუსიას მოყვანა, თვითონ კი მივიდა დე ლიოვესთან, როტგერსა და გოტფრიდთან, რომლებიც გარს შემოერტყნენ და რაღაცას გაცხარებით ელაპარაკებოდნენ.

– მე არ გაგიძალიანდები, – ამბობდა მოხუცი ზიგფრიდი, – მაგრამ აკი სულ სხვას აპირებდი.

ფიცხმა, გულადობითა და სიმკაცრით განთქმულმა როტგერმა კი შესძახა:

– როგორ, შენ მარტო მისი გომბიოს გაშვება კი არ გინდა, ამ დემონს, ამ ძაღლსაც ათავისუფლებ, რომ ისევ დაგიწყოს კბილების ღრჭენა?

– მერე ნახეთ, როგორ დაიწყებს ღრჭენას! – მიემხრო გოტფრიდი.

– სამაგიეროდ, გამოსასყიდს მოგვცემს, – დაუდევრად შეედავა დანველდი.

– მთელი თავისი სიმდიდრე რომ აქ დაგილაგოს, ერთ წელიწადში ორმაგად ამოგანთხევინებს!

– რაც შეეხება გოგოს, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, – გაიმეორა ზიგფრიდმა. – ამ მგლის წყალობით კი ჩვენ, ბატკნები, ბევრჯერ ამოვირტყამთ ცხვირში.

– მერე ჩვენი სიტყვა? – ღიმილით იკითხა დანველდმა.

– ადრე რაღაც სხვანაირად ლაპარაკობდი...

დანველდმა მხრები აიჩეჩა.

– კარგად ვერ გაერთეთ? – ჰკითხა მან. – კიდევ გინდათ?

იურანდს ისევ შემოერტყა ხალხი. ყველას მიაჩნდა, რომ დანველდის დიდსულოვანმა საქციელმა დიდებით შემოსა ორდენი და ტრაბახს მოჰ-ყვნენ მოხუცი რაინდის წინაშე.

– რაო, ძვლების მღრღნელო, – ეუბნებოდა მეაფთეთა კაპიტანი, – მე შენ გეტყვი, თქვენი წარმართები მოექცეოდნენ ჩვენს ქრისტიან რაინდს ასე?

– ჩვენს სისხლს არ ღვრიდი?

– ჩვენ კი ქვისა წილ პური გიბოძეთ...

მაგრამ რაღას დაგიდევდათ იურანდი იმათ ამაყსა და ყოყოჩა ლაპა-რაკს, გული მომბალი ჰქონდა, თვალებზე ცრემლი მოსდგომოდა, იმასღა ფიქრობდა, რომ ერთი წუთის შემდეგ დანუსიას დაინახავდა, და ეს მოხდე-ბოდა გამარჯვებულთა წყალობით.

– მართალია, მართალია, – ამბობდა ის და სინანულით შეჰყურებდა ჯვაროსნებს, – ბევრი მიწყენინებია, მაგრამ... გაჩენის დღიდან მოღალატე არასოდეს ვყოფილვარ.

უეცრად დარბაზის მეორე კუთხეში ვიღაცამ დაიძახა: „გოგო მოჰყავთ!“ – და ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა. ჯარისკაცებმა მიიწ-მოიწიეს; არც ერთ მათგანს ჯერ ნანახი არა ჰყავდა იურანდის ქალიშვილი, უმეტესობამ ისიც არ იცოდა, რომ ის აქ იყო, ციხესიმაგრეში, რადგან დანველდი საოცარი სა-იდუმლოებით მოქმედებდა. ვისაც მოესწრო და რაღაც გაეგონა, უკვე ჩურ-ჩულებდნენ მის მშვენიერებაზე. ყველამ ცნობისმოყვარე თვალი მიაპყრო კარს, სადაც ის უნდა გამოჩენილიყო.

ჯერ საჭურველმტვირთველი შემოვიდა, მას მოჰყვა ის მონაზონი, სა-მონადირო სახლში რომ იყო, მერე კი გამოჩნდა შუბლზე ბაფთაშემოკრუ-ლი, თმაგაშლილი თეთრკაბიანი გოგო.

და ერთბაშად დარბაზში სიცილმა იქუხა. იურანდი ის იყო უნდა გაქა-ნებულიყო ქალიშვილის შესახვედრად, მაგრამ უკან დაიხია, უცებ მიტკა-ლივით გაფითრდა და გაოგნებული. მიაჩერდა უაზრო თვალებს, წოწოლა

თავს და გალურჯებულ ტუჩებს ღვთის გლახისას, რომელსაც დანუსიას მაგივრად სთავაზობდნენ.

– ეს ჩემი ქალიშვილი არ არის! – თქვა ხმაგაბზარულმა იურანდმა.

– შენი ქალიშვილი არ არის? – შესძახა დანცელდმა. - ვფიცავ წმინდა ლიბორიუშ პადებორნელს, რომ ან ყაჩაღებისათვის შენი ქალი არ წაგვირთმევია, ან ჯადომ შეცვალა, რადგან ჩვენ შჩიტნოში სხვა ქალიშვილი არა გვყავს.

დანველდის მზაკვრობით აღფრთოვანებულმა მოხუცმა ზიგფრიდმა, როტგერმა და გოტფრიდმა ერთმანეთს გადახედეს; მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოასწრო სიტყვის თქმა, რომ იურანდმა საზარელი ხმით იყვირა:

– აქ არის! აქ, შჩიტნოში! მე გავიგონე მისი სიმღერა, მე გავიგონე ჩემი შვილის ხმა!

დანველდი მოუბრუნდა დამსწრეებს და მშვიდად და გარკვევით უთხრა:

– გიხმობთ მოწმედ ყველა აქ მყოფს, განსაკუთრებით შენ, ზიგფრიდ ინსბურკელო, და თქვენ, ღვთისმოსავო ძმებო როტგერ და გოტფრიდ, რომ მე ვასრულებ მიცემულ სიტყვასა და ფიცს და ვუბრუნებ იურანდ სპიხოველს ამ გოგოს, რომელზედაც ჩვენ მიერ დამარცხებულმა ყაჩაღებმა გვითხრეს, იურანდ სპიხოველის ქალიაო. თუ ეს ასე არ არის, ჩვენ რა შუაში ვართ, ღმერთმა, ეტყობა, თვითონ ინება, იურანდი ჩვენს ხელთ ჩავარდნილიყო.

ზიგფრიდმა და ორთავე უმცროსმა ძმამ თავი დახარეს იმის ნიშნად, რომ გაიგონეს მისი ნათქვამი და საჭიროების შემთხვევაში ყველას წინაშე დაუდასტურებდნენ. მერე ისევ სწრაფად შეავლეს თვალი ერთმანეთს; ეს ყველაფერი აღემატებოდა მათ მოლოდინს: შეიპყრო იურანდი, არ დაუბრუნო ქალიშვილი, თან თითქოს სიტყვასაც არ გადახვიდე – სხვა ვინ მოახერხებდა ამას?

მაგრამ იურანდი მუხლებში ჩაუვარდა დანველდს, აფიცებდა მალბორგის ყველა რელიკვიას, მამის ძვლებს, დაებრუნებინა მისთვის ქალიშვილი, ნუ მოიქცეოდა, როგორც უკანასკნელი მატყუარა და გამყიდველი, ფიცისა და აღთქმის გამტეხი. მის ხმაში ისეთი წრფელი უნუგეშობა იყო, რომ ზოგიერთი მიხვდა კიდეც დანველდის ვერაგობას, სხვებმა ისიც იფიქრეს, ქალი მართლა რომელიმე ჯადოქარმა ხომ არ გამოცვალაო.

– ღმერთი ხომ ხედავს, როგორ ვერაგულად მექცევი! - ემუდარებოდა იურანდი. – გაფიცებ იესო ქრისტეს ჭრილობებს, შენი აღსასრულის წუთს, დამიბრუნე ჩემი ბავშვი!

ის წამოდგა და მოხრილი გაემართა დანველდისაკენ, თითქოს სურს მუხლებზე მოეხვიოსო. თვალები ცოფიანივით ანთებოდა, ხმა კი ყოველ წამს უწყდებოდა ხან ტანჯვისა და შიშისაგან, ხანაც მოსალოდნელი საშინელებისაგან.

ღალატსა და მოტყუებაზე რომ საყვედური გაიგონა, დანველდმა ერთი წაიფრუტუნა, რისხვით წამოენთო, მტრის საბოლოოდ გასრესა მოინდომა, ნაბიჯი წინ წარდგა, უბედური მამის ყურთან დაიხარა და ჩაჰსისინა:

– თუ დაგიბრუნებ, თან ჩემს ნაბუშარს გამოვატან...

იმწამსვე იურანდმა დაჭრილი ბუღასავით დაიბღავლა და დანველდი ორივე ხელით ზე აიტაცა. დარბაზი გულის გამგმირავმა ყვირილმა შესძრა: „შემიბრალე!“– და კომტურის სხეული ისეთი ძალით დაენარცხა ქვის იატაკს, რომ გაჩეხილი თავის ქალადან ტვინი ახლოს მდგარ ზიგფრიდსა და როტგერს შეეშხეფა.

იურანდი სწრაფად გადახტა გვერდითა კედლისკენ, სადაც იარაღი იყო მიყუდებული, ხელი სტაცა ვეება ორსახელურიან მახვილს და შიშისაგან გაქვავებულ გერმანელებს გრიგალივით ეცა.

იქ მყოფი ხალხი ბრძოლას, ხოცვა-ჟლეტასა და სისხლს შეჩვეული იყო, მაგრამ ისეთი თავზარი დასცემოდათ, რომ გონს მოგებულნიც კი აქეთ-იქით მიაწყდნენ, როგორც ცხვრის ფარა მგლის დანახვაზე, ერთი კბილის გაკვრით რომ ხოცავს მათ. ელდანაცემთა ბღავილი, ფეხების ბრაგაბრუგი, დამსხვრეული ჭურჭლის წკრიალი, მსახურთა მოთქმა, ჯაჭვიდან აწყვეტილი და მაღლა ფანჯარაზე შემხტარი დათვის ღრიალი, ხალხის სასოწარკვეთილი ხმები, რომლებიც იარაღს, ფარებს, მახვილებსა და მშვილდ-ისრებს მოითხოვდნენ – ყველა ეს ხმაური ერთმანეთში აირია. ბოლოს იელვა იარაღმა და რამდენიმე რკინის მახვილი იურანდს მიუშვირეს, მაგრამ ის, დაბრმავებული და ნახევრად შეშლილი, თვითონ დააცხრა მათ და ატყდა ულმობელი, გაუგონარი ბრძოლა, რომელიც უფრო ხოცვა-ჟლეტას ჰგავდა. ახალგაზრდა ფიცხმა გოტფრიდმა პირველმა გადაუღობა გზა იურანდს, მაგრამ მან ელვისებური დარტყმით წააცალა თავი და მხარიც ჩაათალა; მერე მოხუცი რაინდის ხელმა მეაფთეთა კაპიტანი, ციხის მნე ფონ ბრახტი და ინგლისელი ჰიუგი გამოასალმა სიცოცხლეს. ამ უკანასკნელს კარგად არც კი ესმოდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ, მაგრამ იურანდის ტანჯვას რომ ხედავ-

და, ეცოდებოდა კიდეც და იარაღი მხოლოდ დანველდის მოკვლის მერე იშიშვლა. რაკი დაინახეს, რა ძალის პატრონი იყო იურანდი და როგორ მძვინვარებდა ამჟამად, დანარჩენებმაც თავი მოიყარეს, რომ ერთიანი ძალით მაინც მორეოდნენ, თუმცა ამან კიდევ უფრო მეტი მსხვერპლი გამოიწვია. იურანდს თმა ყალყზე დასდგომოდა, სისხლში ამოთხვრილიყო, სახეშიც სისხლი მოსწოლოდა, თვალებს უაზროდ ატრიალებდა და გაშმაგებული ჩეხავდა და ცელავდა ირგვლივ მტერს, ხალხის გროვას მახვილის საშინელი დარტყმით ფანტავდა და სისხლით მორწყულ იატაკზე ზედიზედ აწვენდა გერმანელებს, როგორც გრიგალი აწვენს ხეებსა და ბუჩქებს. კვლავ დადგა საშინელი წუთი; აშკარა გახდა, ეს მრისხანე მაზური მარტო დახოცავდა და დაასახიჩრებდა ამოდენა ხალხს. შეიარაღებული გერმანელების მთელი ეს ხროვა აწკმუტუნებული ძაღლების ხროვას მოგაგონებდათ, რომლებიც მსროლელთა დაუხმარებლად ვერას გახდებოდნენ ამ მძვინვარე ტახთან, რომ ისინი ვერ შეედრებოდნენ იურანდს ვერც ძალაში, ვერც მრისხანებაში და მასთან ბრძოლა მხოლოდ ჟლეტასა და სიკვდილს მოუტანდა ყველას.

– გაიფანტენით! ალყა შემოარტყით! ზურგიდან დასცხეთ! – დაიყვირა მოხუცმა ზიგფრიდ დე ლიოვემ.

ხალხი ისე გაიფანტა დარბაზში, როგორც შოშიების გუნდი გაიფანტება ხოლმე, ციდან ნისკარტმოკაუჭებული ქორი რომ ჩამოუქროლებს. მაგრამ ალყის შემორტყმა მაინც ვერ შეძლეს, რადგან ბრძოლის ჟინით ატაცებული იურანდი, იმის მაგივრად თავის დასაცავი ადგილი შეერჩია, იქით გამოენთო მტერს და ვისაც წამოეწია, იქვე მოცელა მეხდაცემულივით. დამცირებას, სასოწარკვეთილებას, იმედის გაცრუებას გაეათკეცებინა მისი შმაგი ძალა. ერთი ხელით ბუმბულივით ეკავა მახვილი, რომელსაც ყველაზე ღონიერი ჯვაროსნებიც ორი ხელით ძლივს ზიდავდნენ. ის სიცოცხლისთვის არ იბრძოდა, არც გადარჩენას ფიქრობდა, არც გამარჯვების სურვილი ამოძრავებდა, მას მხოლოდ შურისძიება სწყუროდა, და როგორც ცეცხლი ან კაშხალიდან მოვარდნილი ნიაღვარი ბრმად წალეკავს, რაც კი გზაზე გადაეღობება, ასევე იურანდიც, ეს მრისხანე შემმუსვრელი, უგონოდ სხეპდა, ამსხვრევდა, ჟლეტდა და სპობდა თავის მტრებს.

უკნიდან დარტყმა ვერავინ შეძლო, რადგან ვერავინ დაეწია, უბრალო ჯარისკაცებს კი უკნიდან ახლოს მისვლისაც ეშინოდათ, რადგან იცოდნენ, თუ შემობრუნდებოდა, ვეღარა ძალა ვერ იხსნიდათ სიკვდილისაგან. სხვები გაშეშებულები იდგნენ და შიშის ზარი იპყრობდათ იმის გაფიქრებაზე, რომ მათ წინაშე იდგა მოწინააღმდეგე, რომელსაც ზებუნებრივი ძალები ეხ-

მარებოდა, რადგან ჩვეულებრივ ადამიანს არ შეეძლო ასეთი უბედურების დატრიალება.

მაგრამ, აი, მოხუცი ზიგფრიდი და მასთან ერთად ბერი როტგერი ქვის აივანზე ავიდნენ, რომელიც დარბაზს დიდი ფანჯრების ზემოთ გაუყვებოდა, და სხვებსაც იქ მიუხმეს. ხალხი ვიწრო კიბეს აჰყვა, ჩქარობდნენ, ერთმანეთს ეჯიკავებოდნენ, უნდოდათ თავი შეეფარებინათ და იქიდან ეჯობნათ დევკაცისთვის, რომელთანაც ხელჩართული ბრძოლა სრული უაზრობა იყო. ბოლოს უკანასკნელმა ჯარისკაცმა მიიხურა კარი და იურანდი ქვევით მარტო დარჩა. აივანზე სიხარულის შეძახილები გაისმა და მალე წამოვიდა ზევიდან მძიმე მუხის სკამები, ჩირაღდნების რკინის სახელურები. ერთი სახელური შუბლში მოხვდა იურანდს და სახე სისხლით მოესვარა. ამ დროს გაიღო მაღალი შემოსასვლელი კარი და ეზოდან გროვად შემოცვივდნენ დარბაზში კნეხტები, რომლებსაც აივნიდან მოუხმეს. ისინი შუბებით, აფთებით, მახვილებით, შურდულებით, კეტებით, ჩუგლუგებით, თოკებით და ათასგვარი სხვა იარაღით იყვნენ შეიარაღებული, ყველაფერი წამოეღოთ, რისთვისაც კი ხელის გავლება მოესწროთ.

გონდაკარგულმა იურანდმა მარცხენა ხელით ჩამოიწმინდა სახიდან სისხლი, უნდოდა დაენახა, რა ხდებოდა, ერთი დაიძაგრა და მთელ ამ გროვას ეკვეთა. ისევ გაისმა ყვირილი, იარაღის ჩხარუნი, კბილების ღრჭიალი და მომაკვდავთა გულისგამგმირავი კვნესა.

II

საღამოს იმავე დარბაზში მაგიდას უჯდა მოხუცი ზიგფრიდ ფონ ლიოვე, რომელიც კომტურ დანველდის სიკვდილის შემდეგ დროებით შჩიტნოს მმართველი გახდა, გვერდით კი უსხდნენ ბერი როტგერი, იურანდის ყოფილი ტყვე რაინდი დე ბერგოვი და ორი ახალბედა მორჩილი კეთილშობილი ჭაბუკი, რომელთაც მალე თეთრი ლაბადები უნდა ჩაეცვათ. გარეთ ზამთრის ქარი ღრიალებდა, ტყვიის ჩარჩოებს აზანზარებდა და რკინის შანდლებში ჩადგმულ ჩირაღდნებს აპარპალებდა; დროდადრო ქარიშხლის შემობერვაზე ბუხრიდან კვამლი ბოლქვებად გამოვარდებოდა. ბერები მოსათათბირებლად შეკრებილიყვნენ, მაგრამ ხმას არავინ იღებდა, ელოდნენ, რას იტყოდა ზიგფრიდი. ის კი იდაყვებით მაგიდას დაყრდნობოდა, ჭაღარა თავი ხელებში ჩაერგო, იჯდა მოქუფრული, ავი ჩრდილი დაჰფენოდა სახეზე, გულზე კი შავი ფიქრები შემოსწოლოდა.

– რაზე ვითათბიროთ? – ჰკითხა როტგერმა ბოლოს.

ზიგფრიდმა თავი ასწია, შეხედა მას, ფიქრებიდან გამოერკვა და თქვა:

– რბევაზე, იმაზე, რას იტყვიან მაგისტრი და კაპიტული, იმაზეც, რა ვიღონოთ, რომ ორდენს ჩრდილი არ მივაყენოთ.

ზიგფრიდი ისევ გაჩუმდა, მერე მიიხედ-მოიხედა და ჰაერი ჩაისუნთქა.

– აქ ისევ სისხლის სუნი დგას.

– არა, კომტურო, – შეედავა როტგერი. – მე ვბრძანე მოერეცხათ იატაკი და გოგირდი ეხრჩოლებინათ. ალბათ გოგირდის სუნია.

ზიგფრიდმა რაღაც უცნაურად გადახედა იქ მყოფთ და წარმოთქვა:

– უფალო, შენ შეიწყალე გარდაცვლილ ძმათა დანველდისა და გოტფრიდის სულები!

ყველა მიხვდა, რომ მოხუცი ღმერთს შეევედრა განსვენებულთა სულების შეწყალებას, რადგან გოგირდის ხსენებაზე ϫოϫოხეთი გაახსენდა; რაინდებს ჟრუანტელმა დაუარა და ერთხმად უპასუხეს:

– ამინ, ამინ, ამინ!

წამით მხოლოდ ქარის გრიალი და ფანϫრის ჩარჩოების ზანზარი ისმოდა.

– სად ასვენია კომტურისა და გოტფრიდის ცხედრები? – სამლოცველოში. მღვდლები ლიტანიას ასრულებენ.

– კუბოებში ჩაასვენეს?

– დიახ, ჩაასვენეს, ოღონდ კომტურს სახეზე აფარია, თავის ქალა და სახე დასახიჩრებული აქვს.

– დანარჩენი ცხედრები სად არის? დაჭრილები სად არიან?

– მიცვალებულები თოვლზე დაასვენეს, რომ გაიყინონ, სანამ კუბოებს შეუკრავდნენ, დაჭრილებს კი ჭრილობები შეუხვიეს და სასნეულოში წვანან.

ზიგფრიდმა ისევ თავზე შემოიჭდო ხელები.

– და ეს ყველაფერი მოიმოქმედა ერთმა ადამიანმა!... უფალო, შეიწყალე ორდენი, როცა საქმე მიდგება დიდ ომზე ამ მგლების მოდგმასთან!

როტგერმა თვალები აღაპყრო, თითქოს რაღაცის გახსენებას ცდილობსო.

– ვილნოს მახლობლად ჩემი ყურით გავიგონე, – თქვა მან, – როგორ ეუბნებოდა სამბიის მმართველი თავის მაგისტრ ძმას: „თუ დიდი ომი არ

წამოგიწყია და ამ ხალხის სახსენებელი პირწმინდად არ აღგიგვია პირისაგან მიწისა, მაშინ ვაი ჩვენი და ჩვენი ხალხის ბრალიო “.

– ღმერთო, შენ მოგვივლინე დიდი ომი, რათა შევებრძოლოთ მათ! – თქვა ერთმა კეთილშობილი ჩამომავლობის მორჩილმა.

ზიგფრიდი ხანგრძლივად მიაჩერდა მას, თითქოს სურდა ეთქვა: „დღეს შენ შეგეძლო ერთ-ერთ მათგანს შებრძოლებოდი“. – მაგრამ ჭაბუკის უსუსური აღნაგობის დანახვაზე ალბათ გაახსენდა, რომ მიუხედავად სახელგანთქმული სიმამაცისა, თვითონაც არ ისურვა აშკარა სიკვდილზე წასვლა, და აღარ დაუწყო გამტყუნება ბიჭს.

– რომელმა ნახეთ იურანდი? - იკითხა მან.

– მე, – უპასუხა დე ბერგოვმა.

– ცოცხალია?

– ცოცხალია. იმ ბადეში გახლართული წევს, რომლითაც დავიჭირეთ. გონს რომ მოეგო, კნეხტებს უნდოდათ მოეკლათ, მაგრამ კაპელანმა არ დაანება.

– მოკვლა არ შეიძლება. მაზურებში ცნობილი კაცია და ერთ ამბავს ატეხავდნენ, – შეედავა ზიგფრიდი. – ისედაც უკვე შეუძლებელია იმის დაფარვა, რაც აქ მოხდა. ძალზე ბევრი მოწმე ესწრებოდა.

– ახლა რა უნდა ვთქვათ და რა უნდა ვიღონოთ? – იკითხა როტგერმა.

ზიგფრიდი ჩაფიქრდა.

– კეთილშობილო გრაფო დე ბერგოვ, – დაიწყო მან ერთი წუთის შემდეგ, – გაემგზავრეთ მალბორგს, მაგისტრთან. თქვენ კვნესოდით იურანდის ტყვეობაში და, როგორც ორდენის სტუმარი, არა ხართ ვალდებული უეჭველად დაგვიცვათ. სწორედ ამიტომ თქვენ უფრო დაგიჯერებენ. მოუყევით ყველაფერი, რაც საკუთარი თვალით ნახეთ, როგორ გამოსტაცა საზღვრის ყაჩაღებს დანველდმა ვიღაც გოგო, რომელიც იურანდის ქალიშვილი ეგონა, და შეატყობინა მამამისს, როგორ ჩამოვიდა იურანდი შჩიტნოში და... დანარჩენი თქვენი თვალით იხილეთ...

– მაპატიეთ, ღვთისმოსავო კომტურო, – უთხრა დე ბერგოვმა. – მე სპიხოვის მძიმე ტყვეობაში ვიტანჯე და როგორც თქვენი სტუმარი სიამოვნებით დაგიმოწმებთ ყველაფერს; მაგრამ, სინდისი რომ დამშვიდებული მქონდეს, მითხარით: განა არ იყო შჩიტნოში იურანდის ნამდვილი ქალიშვილი და განა დანველდის ვერაგობამ არ გააშმაგა ასე მისი მრისხანე მამა?

ზიგფრიდ დე ლიოვემ მაშინვე არ უპასუხა. მას უსაზღვროდ სძულდა პოლონელები, სისასტიკით დანველდს სჭარბობდა და ვერაფერი დააკავებდა, როცა საქმე ორდენს შეეხებოდა. თან ქედმაღალიც იყო და არავის არაფერს დაანებებდა, მაგრამ ვერაგობას ვერ იტანდა. გულს სტკენდა და აღშფოთებდა ის ამბავი, რომ ბოლო ხანებში მოტყუება ჩვეულებრივ და დაუსჯელ ამბად იქცა ორდენის ცხოვრებაში. დე ბერგოვი მის ყველაზე მტკივნეულ ადგილს შეეხო, ამიტომ დიდხანს იყუჩა მოხუცმა და მხოლოდ ამის შემდეგ უთხრა:

– დანველდი უკვე წარსდგა ღვთის სამსჯავროს წინაშე მას თვით ღმერთი განსჯის. თუ თქვენ, გრაფო, შეგეკითხებიან, რას ფიქრობთო ყველაფერ ამაზე, შეგიძლიათ, რაც გნებავთ, ის უპასუხოთ. მაგრამ თუ გვკითხავენ, რა იხილეთო თქვენი თვალით, მაშინ ეტყვით, რომ სანამ გონსგადასულ ადამიანს ბადეში გამოვახვევდით, თქვენ დაჭრილების გარდა აქ ნახეთ ცხრა გვამი და მათ შორის დანველდის, გოტფრიდის, ფონ ბრახტის, ჰიუგის და ორი კეთილშობილი ჭაბუკისა... უფალო, შეიწყალე სულები განსვენებულთა მონათა შენთა! ამინ!

– ამინ, ამინ! – კვლავ გაიმეორეს მორჩილებმა.

– თქვით აგრეთვე, – დასძინა ზიგფრიდმა, – რომ დანველდი ყველანაირად ცდილობდა ორდენის მტრის დაშოშმინებას, მაგრამ არც ერთ ჩვენგანს იარაღი პირველს არ უხმარია.

– მე ვიტყვი მხოლოდ იმას, რაც საკუთარი თვალით ვნახე, – უპასუხა დე ბერგოვმა.

– შუაღამისას სამლოცველოში მოდით, ვილოცოთ მიცვალებულთათვის, – უთხრა ზიგფრიდმა.

დამშვიდობებისას მადლობის ნიშნად დე ბერგოვს ხელი გაუწოდა. მას მარტო დარჩენა უნდოდა როტგერთან, რომელიც უსაზღვროდ უყვარდა, ისე, როგორც მამას შეუძლია უყვარდეს თავისი ერთადერთი შვილი. ამ უზომო სიყვარულის გამო ორდენში ათასნაირ ამბებს თხზავდნენ; მაგრამ სინამდვილეში არავინ არაფერი იცოდა, მით უმეტეს, რომ რაინდი, რომელსაც როტგერი თავის მამად თვლიდა, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, გერმანიაში თავის პატარა ციხესიმაგრეში ცხოვრობდა და არასოდეს უარი არ უთქვამს საკუთარ ვაჟზე.

ბერგოვის წასვლის მერე ზიგფრიდმა ორთავე მორჩილი გაუშვა, წადით, მიხედეთ, როგორ კრავენ კუბოებს იურანდის მოკლული უბრალო

კნეხტებისთვისო. როცა მათ უკან კარი მიიხურა, ის სწრაფად მიუბრუნდა როტგერს და წარმოთქვა:

– გამიგონე, რას გეტყვი. ეს ერთადერთი საშუალებაა: ცოცხალმა ადამიანმა არ უნდა იცოდეს, რომ იურანდის ნამდვილი ქალიშვილი ჩვენთან იყო.

– ეგ ძნელი საქმე არ არის, – უთხრა როტგერმა, მხოლოდ დანველდმა, გოტფრიდმა, ჩვენ ორმა და იმ მორჩილმა ქალმა იცის, რომელიც მას ემსახურება. ისინი, ვინც მთავრის სახლიდან იურანდის ქალიშვილი ჩამოიყვანა, დანველდის ბრძანებით დაათვრეს და ჩამოახრჩვეს. დაცვაში ისეთებიც იყვნენ, რაღაცას რომ ხვდებოდნენ, მაგრამ ეს მახინჯი რომ გამოვიდა, სულ თავგზა აებნათ და ახლა თვითონ არ იციან, მართლა ჩვენ შეგვეშალა, თუ ვიღაც ჯადოქარმა გამოსცვალა იურანდის ქალიშვილი.

– ეს კარგია, – თქვა ზიგფრიდმა.

– იცით, რა მომივიდა აზრად, კეთილშობილო კომტურო: დანველდი უკვე მკვდარია, ხომ არ გადაგვებრალებინა ყველაფერი მისთვის?...

– და ამითი მთელი ქვეყნის წინაშე გვეღიარებინა, რომ მშვიდობიან დროს, როცა მოლაპარაკებას ვაწარმოებდით მაზოვიის მთავართან, მისი საკუთარი სახლიდან მოვიტაცეთ მთავრის მეუღლის გაზრდილი და მისი უსაყვარლესი სეფექალი? ეს სრული უგუნურებაა. სასახლეში ჩვენ დანველდთან ერთად გვხედავდნენ და დიდმა სასნეულოების უფროსმა, მისმა ნათესავმა იცის, რომ ყოველთვის შეთანხმებით ვმოქმედებდით. დანველდს რომ გადავაბრალოთ, ის ადგება და შურისძიებას მოგვინდომებს მისი ხსოვნის შეურაცხყოფისათვის.

– მაშინ უნდა მოვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ, – თქვა როტგერმა.

– უნდა მოვიფიქროთ და რაღაც გონივრული გამოსავალი მოვნახოთ, თორემ ვაი ჩვენი ბრალი! იურანდის ქალიშვილი რომ დავაბრუნოთ, თვითონვე იტყვის, ყაჩაღებს კი არ წაართვეს ჩემი თავი, თვითონ მომიტაცეს და პირდაპირ შჩიტნოში მომიყვანესო.

– ეგ მართალია.

– საქმე მარტო პასუხისმგებლობა კი არ არის. მთავარი იჩივლებს პოლონეთის მეფესთან და მეფის ელჩები მაშინვე ატეხავენ ყვირილს ყველა ქვეყანაში იმ ძალადობაზე, რასაც ჩვენ ჩავდივართ, ჩვენს ვერაგობაზე, ჩვენს ბოროტმოქმედებაზე. აბა, წარმოიდგინე, რამდენი ზიანი მიადგება

ამის გამო ორდენს! თვითონ მაგისტრმაც რომ იცოდეს სიმართლე, ალბათ გვიბრძანებდა სულ გადაგვემალა ეს გოგო.

– უგზოუკვლოდ რომ დაიკარგოს, სულ ერთია, ჩვენ დაგვაბრალებენ, ასე არ არის? – ჰკითხა როტგერმა.

– არა! დანველდი მზაკვარი კაცი იყო. მახსოვს, რა პირობა დაუდო იურანდს, – ის განა უბრალოდ უნდა გამოცხადებულიყო შჩიტნოში, მანამდე ყველა თავისიანისთვის უნდა ეთქვა და მთავრისთვისაც მიეწერა, რომ მიდიოდა ქალიშვილის გამოსასყიდად ყაჩაღებთან და იცოდა, რომ ის ჯვაროსნებთან არ იყო.

– ეგ მართალია, მაგრამ მაშინ შჩიტნოში მომხდარ ამბავს როგორღა გავამართლებთ?

– ჩვენ ვიტყვით, ვიცოდით, რომ იურანდი ქალიშვილს ეძებდა, და როცა ყაჩაღებს ვიღაც ქალიშვილი წავართვით, რომელმაც ვერ მოახერხა ეთქვა, ვინ იყო, იურანდს შევატყობინეთ, ვიფიქრეთ, იქნებ იმისი ქალიშვილიაო. მან კი, როგორც ჩამოვიდა და დაინახა ის გოგო, გონს გადასულმა და ბოროტი სულით შთაგონებულმა იმდენი უდანაშაულო სისხლი დაღვარა, ბრძოლებშიც რომ არ იღვრება ხოლმე.

– თქვენი ბაგეებით ჭეშმარიტად გონიერება და ცხოვრების გამოცდილება ღაღადებს, – წარმოთქვა როტგერმა. – ყველა ცუდი საქმე რომ დანველდისთვის დაგვებრალებინა, სულ ერთია, მაინც ორდენს მიაწერდნენ, იქნებ ჩვენ ყველას, კაპიტულსაც და მაგისტრსაც, ასე კი ჩვენი უბრალოება დამტკიცდება და ყველაფერში იურანდი და პოლონელები აღმოჩნდებიან დამნაშავენი, რომელთაც ჩვენ ვეზიზღებით და ბოროტ სულებთან მეგობრობენ.

– მაშინ ვისაც უნდა მოგვდგეს და გვასამართლოს: თუნდა პაპმა და თუნდა რომის იმპერატორმა!

– ჰო.

ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ბერმა როტგერმა ჰკითხა:

– იურანდის ქალიშვილს რაღა უნდა ვუყოთ?

– მოდი, მოვიფიქროთ.

– დამითმეთ ქალი მე.

ზიგფრიდმა შეხედა და უთხრა:

– არა! ყური მიგდე, ჭაბუკო ბერო! როცა საქმე ორდენის სახელს ეხება, არ შეიძლება ავყვეთ არც მამაკაცის სისუსტეს და არა ქალისას, მაგრამ მით უმეტეს არ უნდა წავაქეზოთ საკუთარი სისუსტე. დანველდი განგების მარჯვენამ დასაჯა, რადგან ორდენის შეურაცხყოფის გამო შურისძიების გარდა, თავისი ჟინის დაკმაყოფილებაც უნდოდა.

– თქვენ ცუდს ფიქრობთ ჩემზე! – შეედავა როტგერი.

– არ უნდა აჰყვე საკუთარ სისუსტეს, – გააწყვეტინა ზიგფრიდმა, – რამეთუ სული და ხორცი თქვენი უძლური შეიქმნება და ეს ულმობელი მოდგმა დროთა განმავლობაში ისე დაგაჭერთ მკერდზე მუხლს, რომ ვეღარასოდეს წამოდგებით.

და მესამედ შემოიჭდო თავზე ხელები, აშკარად ეტყობოდა, მოხუცი საკუთარ სინდისთან საუბრობდა და მხოლოდ თავის თავს გულისხმობდა, რადგან ერთი წუთის შემდეგ თქვა:

– ჩემს სინდისსაც ბევრი ადამიანის სისხლი და ცრემლი აწევს... ხშირად, როცა საქმე ორდენს ეხებოდა და ვხედავდი ძალით ვერაფერს გავხდებოდი, უყოყმანოდ ვეძებდი სხვა გზებს; მაგრამ როცა ღვთის სამსჯავროს წინაშე წარვსდგები, ღვთისა, რომელიც მიყვარს და პატივს ვცემ, მაშინ აი, რას ვეტყვი:

„ორდენის კეთილდღეობისათვის ვქმენ ესე, ჩემთვის კი მხოლოდ სულგრძელობა ავირჩიე“.

მერე ხელები საფეთქლებზე მიიდო, თვალები ზეცას აღაპყრო და შესძახა:

– უარი თქვით ხორციელ სიამოვნებასა და გარყვნილებაზე, გაიკაჟეთ სული და ხორცი, რადგან ჰაერში უკვე ვხედავ თეთრი არწივის ფრთებსა და ბრჭყალებს, წითლად შეღებილს ჯვაროსანთა სისხლით...

მისი სიტყვები ქარიშხლის ისეთმა საშინელმა გრიალმა ჩაახშო, რომ ზემოთ ტალანში ხმაურით გაიღო ფანჯარა და დარბაზში თოვლის ფანტელებთან ერთად ქარბუქის ღრიალი და სტვენაც შემოიჭრა.

– სახელითა სინათლის სულისათა! როგორი ბოროტი ღამეა! – თქვა მოხუცმა ჯვაროსანმა.

– ავი სულების ღამეა, – ჩაურთო როტგერმა. – მაგრამ რატომ ამბობთ „სახელითა სინათლის სულისათა“, იმის მაგივრად რომ თქვათ „სახელითა ღვთისათა“?

– სინათლის სული იგივე ღმერთია, – უპასუხა მოხუცმა, მაგრამ მერე, თითქოს საუბრის შეცვლა სურსო, ჰკითხა: – დანველდის კუბოსთან მღვდლები თუ არიან?

– არიან.

– ღმერთო, შენ შეუნდე მას, ცოდვილს.

ორთავენი გაჩუმდნენ, მერე როტგერმა მსახურთ უხმო, უბრძანა ფანჯარა დაეხურათ და ჩირაღდნებისთვის ნამწვავი მოეშორებინათ. როცა ისინი გავიდნენ, კვლავ იკითხა:

– რას უპირებთ იურანდის ქალიშვილს? აქედან ინსბურკში წაიყვანთ?

– წავიყვან ინსბურკში და იმას დავმართებ, რაც ორდენის საკეთილდღეოდ იქნება საჭირო.

– მე რაღას მიბრძანებთ?

– გერჩის თუ არა გული?

– განა ისეთი რა მოვიმოქმედე, რაც ნებას მოგცემდათ, ეჭვი შეგეტანათ ამაში?

– არა, მე შენში ეჭვი არ მეპარება, გიცნობ და სიმამაცისთვის მიყვარხარ კიდეც ყველაზე მეტად ამ ქვეყანაზე. მაშ გაემგზავრე მაზოვიის მთავრის კარს და მოუყევი ყველაფერს, რაც აქ მოხდა, ისე, როგორც მე და შენ გადავწყვიტეთ.

– კი, მაგრამ, იქ ხომ სიკვდილი მელის?

– თუ შენი სიკვდილი ქრისტესა და ორდენის დიდებისათვის იქნება საჭირო, კიდევაც უნდა გასწირო თავი. მაგრამ არა! შენ არ მოგკლავენ! ისინი სტუმრებს არაფერს ერჩიან, თუ ბრძოლაში არ გამოგიწვია ვინმემ, იმ ახალგაზრდა რაინდისა არ იყოს, ყველას ერთად რომ გამოგვიგზავნა გამოწვევა... ის იქნება, თუ რომელიმე სხვა, შენთვის, მე მგონია, არც ერთი არ უნდა იყოს საშიში...

– ღმერთმა ინებოს! მაგრამ მაინც შეუძლიათ შემიპყრონ და ჯურღმულში ჩამაგდონ.

– ისინი ამას არ იზამენ. აკი თვითონ იურანდმა გაუგზავნა წერილი მთავარს, შენ კი სწორედ იურანდზე საჩივლელად მიდიხარ. ყველაფერს მართლად მოუყვები, რაც მან შჩიტნოში ჩაიდინა, და ისინი ვალდებული არიან, დაგიჯერონ... ჩვენ თვითონ შევატყობინეთ, რომ ვიღაც გოგო გვყავდა, თვითონ გამოვიძახეთ ჩამოსულიყო და ენახა, ის კი ჩამოვიდა, გაშმაგდა, მოკ-

ლა კომტური, დაგვიხოცა ხალხი. ასე მოუყვები ყველაფერს და აბა, რა უნდა გიპასუხონ? დანველდის სიკვდილის ამბავი უკვე მთელ მაზოვიას ეცოდინება, ამის გამო ისინი არ იჩივლებენ. იურანდის ქალიშვილს, რა თქმა უნდა, ძებნას დაუწყებენ, მაგრამ რადგან თვითონ იურანდმა მისწერა, გოგონა ჯვაროსნებთან არ არისო, ეჭვსაც არავინ შეიტანს, რომ მის მოტაცებაში რაიმე წილი გვიდევს. მთავარია სითამამე, რომ ენა ჩავაგდებინოთ. ხომ იფიქრებენ, ესენი რომ დამნაშავეები იყვნენ, აქ ჩამოსვლას ვერ გაბედავდნენო.

– ეგ მართალია. დანველდს დავასაფლავებთ თუ არა, მაშინვე გავუდგები გზას.

– ღმერთმა ხელი მოგიმართოს, შვილო ჩემო! თუ ყველაფერს ჭკუით მოვიმოქმედებთ, დაგაკავებენ კი არა, იძულებული გახდებიან იურანდსაც ზურგი აქციონ, რომ არ გვათქმევინონ: აი, რა დღეში ვყავართო!

– ასე უნდა ვიჩივლოთ ყველა კარზე.

– დიდი სასნეულოთა უფროსი თვალყურს მიადევნებს ამ ამბავს ორდენის კეთილდღეობისთვისაც და დანველდის ნათესაობითაც.

– კეთილი! მაგრამ ეს სპიხოველი ქაჯი რომ გამოკეთდეს და აქედან გაღწევა შეძლოს...

ზიგფრიდმა პირქუშად გაიხედა წინ, მერე ნელა და დამარცვლით უპასუხა:

– კიდევაც რომ შეძლოს აქედან გაღწევა, ერთ სიტყვასაც ვერასოდეს დასძრავს ორდენის საწინააღმდეგოდ.

მერე მან როტგერს ასწავლა, რა ელაპარაკა და რა მოთხოვნები წაეყენებინა მაზოვიის მთავრისათვის.

III

შჩიტნოს ამბებმა ვარშავაში როტგერის ჩასვლამდე ბევრად ადრე ჩააღწია და დიდი გაოცება და შეშფოთება გამოიწვია. ვერავის ვერაფერი გაეგო, ვერც მთავარსა და ვერც მის კარისკაცებს. მიკოლაი დლუგოლიასელი თითქმის მზად იყო მალბორგში საჩივრის წერილის წასაღებად. წერილში მთავარი მწარედ ჩიოდა საზღვრისპირა კომტურების თვითნებობაზე, რომლებმაც დანუსია მოიტაცეს, მუქარასაც კი უთვლიდა და მოითხოვდა დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ ქალი. და აი, უცებ იურანდ სპიხოვე-

ლისგან მოვიდა წერილი, რომელშიც იტყობინებოდა, ჩემი ქალიშვილი ჯვაროსნებს კი არა ჰყავთ მოტაცებული, არამედ ჩვეულებრივ საზღვრისპირა ყაჩაღებს და სულ მალე გამოვისყიდიო. ამიტომაც მალბორგს ელჩი აღარ გააგზავნეს; აბა ვინ იფიქრებდა, რომ იურანდს შვილის მოკვლით დაემუქრნენ და ეს წერილი ისე დააწერინეს. კაცმა რომ თქვას, ძნელი წარმოსადგენი იყო, როგორ უნდა მოეტაცნათ ყაჩაღებს ქალიშვილი. საზღვარზე ყაჩაღები, მთავრის მხრიდან იქნებოდნენ ისინი თუ ჯვაროსნების მხრიდან, თავდასხმებს ზაფხულში აწყობდნენ და არა ზამთარში, როცა თოვლზე დარჩენილ კვალს შეეძლო გაეცა ისინი. ამას გარდა, თავს ესხმოდნენ ვაჭრებს, ძარცვავდნენ სოფლებს, იტაცებდნენ ხალხსა და საქონელს. სრულიად წარმოუდგენელია, რომ მათ გაებედნათ მთავრის სახლზე თავდასხმა და მისი გაზრდილის მოტაცება. თანაც ის ხომ უგულადესი რაინდის ქალიშვილი იყო, ვის წინაშეც შიშით ძრწოდა ქვეყანა. მაგრამ იურანდის წერილმა გაფანტა ეს ეჭვები, რადგან მისი საკუთარი ბეჭდით იყო დადასტურებული და ამჯერად ისეთმა კაცმა ჩამოიტანა, რომელსაც პირადად იცნობდნენ. თითქოს საყოყმანო არაფერი რჩებოდა. მხოლოდ ეგ იყო, მთავარი ისე განრისხდა, კარგა ხანია ასეთი განრისხებული არავის ენახა, და ბრძანა, კუდით ქვა ასროლინეთო ყაჩაღებს მთელ საზღვარზე. პლოცკის მთავარსაც კი მოუწოდა არ დაენდოთ მოძალადეები.

სწორედ ამ დროს მოვიდა ამბები შჩიტნოდან.

ნაამბობი ხალხს მოედო, გაიბერა, გაზვიადდა. რაღას არა ჰყვებოდნენ – ვითომ იურანდი ციხეში ღია კარით შეიჭრა ხუთი ცხენოსნის თანხლებით და ისეთი ხოცვა-ჟლეტა მოაწყო, ცოცხალი თითქმის აღარავინ გადარჩენილაო. მოსაშველებლად მეზობელი ციხეებიდან მოიხმეს რაინდები და შეიარაღებული ქვეითი რაზმები, რომლებმაც მხოლოდ ორი დღის ალყის შემდეგ შეძლეს ციხის აღება, იურანდი და მისი ამხანაგები კი დახოცესო. იმასაც ამბობდნენ, მთელი ეს ჯარები ახლა სამთავროს საზღვრებში შემოიჭრებიან და დიდი ომი გარდაუვალი იქნებაო. მთავარი ყურს არ უგდებდა ამ ხმებს. მან იცოდა, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაგისტრისათვის, რომ ომის შემთხვევაში პოლონეთის სამეფოს მხარში არ ამოსდგომოდა მაზოვიის ორთავე სამთავრო. მთავრისთვის არც ის იყო დაფარული, თუ ჯვაროსნები მას ან პლოცკის მთავარს ზემოვიტს დაესხმოდნენ, სამეფოს ვერავინ გადაუდგებოდა მათ დასაცავად გამოსვლაში და რომ დიდ მაგისტრს ამ ომისა ძალიან ეშინოდა. ომი გარდაუვალი იყო – ამას მაგისტრი კარგად გრძნობდა, მაგრამ ცდილობდა, რაც შეიძლება შორს გადაეწია; ის ბუნებითაც მშვიდობისმოყვარე კაცი იყო და თანაც მძლავრ იაგელოს რომ შებმო-

და, ჯარი ისე უნდა მოემზადებინა, ჯერ რომ არა ჰყოლია ორდენს, ამასთან გერმანიის ხელმწიფეთა და რაინდთა გარდა მთელი დასავლეთის მხარდაჭერაც უნდა მოეპოვებინა.

მთავარს ომისა სულაც არ ეშინოდა, მხოლოდ ის სურდა სცოდნოდა, რა მოხდა ბოლოს და ბოლოს, რა უნდა ეფიქრა შჩიტნოს ამბებზე, დანუსიას გაქრობაზე და იმ ხმებზე, რომლებიც საზღვრიდან აღწევდა. ამიტომ ერთხელ, როცა საღამოს მეაფთეთა კაპიტანმა მოახსენა – ორდენის რაინდი გეახლათ და აუდიენციას გთხოვთო, ჯვაროსნებისადმი მთელი თავისი სიძულვილის მიუხედავად, ძალიან გაიხარა.

მთავარმა ჯვაროსანი ქედმაღლურად მიიღო; მაშინვე იცნო ერთ-ერთი იმ ბერთაგანი, მასთან სამონადირო სახლში რომ იყვნენ, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერ სცნობდა, და ჰკითხა, ვინ იყო, საიდან და რისთვის ჩამოვიდა ვარშავაში.

– მე ვარ ბერი როტგერი, – უპასუხა ჯვაროსანმა, – და სულ ცოტა ხნის წინ პატივი მქონდა გხლებოდით, დიდებულო მთავარო.

– თუ ორდენის ბერი ხართ, რატომ არა გაქვთ ორდენის ნიშნები?

რაინდმა აუხსნა მთავარს, ჯვრიანი თეთრი ლაბადა იმიტომ არ ჩავიცვი, რომ მაშინვე მაზოვიელი რაინდები დამიჭერდნენ და მომკლავდნენო; მთელ დედამიწის ზურგზე ყველა სახელმწიფოსა და სამთავროში ლაბადაზე გამოსახული ჯვარი იცავს და უშიშარ სტუმრობას ჰპირდება კაცს, მხოლოდ მაზოვიის სამთავროში უქადის ჯვარი მის მატარებელს უცილობელ სიკვდილსო. განრისხებულმა მთავარმა შეაწყვეტინა.

– ჯვარი კი არა, – უთხრა მან, – ჯვარს ჩვენც ვემთხვევით, არამედ თქვენი უსინდისობა... და თუ სადმე სხვაგან უკეთესად გღებულობენ, მხოლოდ იმიტომ, რომ კარგად არ გიცნობენ. რაინდი დაიბნა, მთავარმა ეს შეამჩნია და ჰკითხა:

– შენ შჩიტნოში იყავი, ხომ არ იცი, რა მოხდა იქ?

– მე ვიყავი შჩიტნოში და ვიცი კიდეც, რა მოხდა იქ, – უპასუხა როტგერმა. – აქ ელჩად კი არ ჩამოვსულვარ, იმიტომ გეახელით, რომ ცხოვრების გამოცდილებით დაბრძენებულმა ღვთისმოსავმა ინსბურკელმა კომტურმა ასე მითხრა: „ჩვენს მაგისტრს უყვარს ღვთისმოსავი მთავარი და სჯერა მისი სამართლიანობისა. მე სასწრაფოდ მალბორგს მივაშურებ, შენ კი მაზოვიაში წადი, ეახელი მთავარს და მოუყევი, რა დღე დაგვაწია იურანდმა, როგორი უბედურება დაგვატეხა თავს და როგორ უსინდისოდ მოგვექცა. სამართლის მოყვარული მთავარი არ მოუწონებს საქციელს მშვიდობის დამ-

რღვევსა და ულმობელ ადამიანს, რომელმაც იმდენი ქრისტიანის სისხლი დაღვარა, თითქოს ეშმაკის მსახური იყოს და არა ქრისტესი“.

და ჯვაროსანი მოჰყვა, რა მოხდა შჩიტნოში, როგორ წაართვეს ყაჩაღებს ქალიშვილი, როგორ გამოიძახეს იურანდი შენი შვილი ხომ არ არისო, ის კი მადლობის მაგივრად განრისხდა და მოკლა დანველდი, ბერი გოტფრიდი, ინგლისელი ჰიუგი, ფონ ბრახტი და ორი კეთილშობილი საჭურველმტვირთველი, კნეხტები რომ აღარ ჩავთვალოთ; როგორ არ დაივიწყეს ჯვაროსნებმა ქრისტეს მცნება, არ ისურვეს დამნაშავის მოკვლა და იძულებული გახდნენ, ამ აბობოქრებული კაცისთვის ბადე გადაეცვათ; როგორ აღმართა მან იარაღი საკუთარ თავზე და მძიმედ დაიჭრა; ამ რბევის შემდეგ როგორ ისმოდა ზამთრის ქარბუქში ციხესა და მთელ ქალაქში საშინელი ხარხარი და ცად აღვლენილი ხმები: „ჩვენი იურანდი! ჯვრის შემგინებელი! უმანკო სულთა დამღუპველი! ჩვენი იურანდი!“

ამ ნაამბობმა და განსაკუთრებით ჯვაროსნის ბოლო სიტყვებმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე. ყველა შიშით ფიქრობდა, იქნებ იურანდმა მართლაც, მოუხმო დასახმარებლად ეშმაკსო. სამარისებური სიჩუმე გამეფდა. მაგრამ ამ დარბაზობას ესწრებოდა მთავრის მეუღლეც, რომელიც ჯერაც ძალიან დარდობდა თავის ძვირფას დანუსიაზე; მან როტგერს მოულოდნელი კითხვით მიმართა:

– თქვენ ბრძანებთ, რაინდო, რომ ის ლენჩი გოგო იურანდის ქალიშვილი გეგონათ და ამიტომ გამოიძახეთ ის შჩიტნოში?

– დიახ, დიდებულო ქალბატონო, – უპასუხა როტგერმა.

– როგორ შეგეძლოთ ეგ გეფიქრათ, როცა ჩვენთან სამონადირო სახლში თქვენ ნანახი გყავდათ ჩემთან ერთად იურანდის ქალიშვილი?

როტგერი დაიბნა. არ იყო მზად ასეთი კითხვისთვის. მთავარი წამოდგა და მრისხანედ დააცქერდა ჯვაროსანს. მიკოლაი დლუგოლიასელი, მროკოტა მოცაჟეველი, იასკო იაგელნიცელი და სხვა მაზოვიელი რაინდები გარს შემოერტყნენ ბერს და მკაცრად ჰკითხეს:

– როგორ შეგეძლოთ ეგ გეფიქრათ? თქვი, გერმანელო, ეგ როგორ მოხდა?

მაგრამ როტგერი თავს მოერია და უთხრა:

– ჩვენ, ბერები, ქალებს არ ვუყურებთ. ტყის სახლში დიდებულ ქალბატონს ბევრი სეფექალი დასტრიალებდა, მაგრამ რომელი იყო იმათში იურანდის ასული, ეს ჩვენგან არავინ იცოდა. .

– დანცელდმა იცოდა, – შეედავა მიკოლაი დლუგოლიასელი, – ის ესაუბრა კიდეც დანუსიას ნადირობისას.

– დანველდი წარსდგა ღვთის წინაშე, – უპასუხა როტგერმა, – და იმაზე მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია: სიკვდილის მეორე დღეს მის კუბოზე გაშლილი ვარდები იპოვეს, ამ შუა ზამთარში ადამიანის ხელს არ შეეძლო ამის გაკეთება.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

– საიდან გაიგეთ იურანდის ქალიშვილის მოტაცების ამბავი? – ჰკითხა მთავარმა.

– ეს საქციელი ისეთი თავხედური და მკრეხელური იყო, რომ იმწამს მოედო მთელ ქვეყანას. მოტაცების ამბავი რომ გავიგეთ, მაშინვე წირვა შევუკვეთეთ, შემოქმედს მადლობა შევწირეთ, რომ ტყის სახლიდან თქვენი ვაჟი ან ქალიშვილი კი არ მოიტაცეს, არამედ უბრალო სეფექალი.

– და მაინც მაოცებს, როგორ მიიჩნიეთ ვიღაც ლენჩი გოგო იურანდის ქალიშვილად? როტგერმა უპასუხა:

– დანველდმა ასე გვითხრა: „სატანა ხშირად მზაკვრობს თავის მსახურებთან. იქნებ მან შეცვალა იურანდის ქალიშვილიო“.

– ყაჩაღები უბრალო ხალხია. ისინი ვერ შეძლებდნენ ქსონძი კალების ხელწერისა და იურანდის ყალბი ბეჭდის გაკეთებას. ვინ მოიმოქმედა ეს?

– ბოროტმა სულმა.

და კვლავ ვერავინ შეეპასუხა.

როტგერმა დაჟინებით მიაპყრო მზერა მთავარს და უთხრა:

– თქვენი შეკითხვები დანასავით მისერავენ გულს, რადგან მათში უნდობლობა და ეჭვი გამოსჭვივის. მაგრამ მე მჯერა ღვთის მართლმსაჯულებისა და სიმართლის ძალისა და გეკითხები შენ, დიდებულო მთავარო: განა თვითონ იურანდი ბრალს გვდებდა ჩვენ ამ ბოროტმოქმედებაში? ხოლო თუ ეჭვობდა, მაშინ რაღად ეძებდა მთელ საზღვარზე ყაჩაღებს ქალიშვილის გამოსასყიდად, სანამ ჩვენ შჩიტნოში გამოვიძახებდით?

– ეგ... მართალია! – წარმოთქვა მთავარმა. – ადამიანებს კიდევ შეიძლება დაუმალო ზოგი რამ, მაგრამ ღმერთს ვერ დაუმალავ. პირველ ხანებში თქვენზე ჰქონდა ეჭვი, მერე კი... მერე სხვაგვარად ფიქრობდა.

– ასე თრგუნავს სიბნელეს ჭეშმარიტების ნათელი, – თქვა როტგერმა.

და გამარჯვებული მზერა მოავლო ირგვლივ, თან ფიქრობდა, ჯვაროსნებს პოლონელები როგორ აჯობებენ ეშმაკობასა და მოხერხებულობაშიო. პოლონელთა ტომი ყოველთვის მსხვერპლი და ლუკმა იქნება ორდენისა, როგორც ბუზია ობობას მსხვერპლი და ლუკმა.

მერე როტგერმა ადრინდელი შემპარავი კილო ჩამოიშორა და მთავარს ხმამაღლა და დაჟინებით დაუწყო ლაპარაკი:

– უნდა აგვინაზღაურო, მბრძანებელო, ჩვენი დანაკარგი, ჩვენი ცრემლები და ჩვენი სისხლი! შენი ქვეშევრდომი იყო იურანდი, ეს ჯოჯოხეთის მოციქული, აგვინაზღაურე ჩვენი შეურაცხყოფისა და სისხლისათვის სახელითა ღვთისათა, რომელიც უფლებამოსილებას აძლევს ხელმწიფეებს მართლმსაჯულებისა და ჯვრის სახელით!

მთავარმა გაოცებით შეხედა.

– ღმერთო, დიდებულო! – თქვა მან. – ვერ გამიგია, რა გინდა? გონდაკარგულმა იურანდმა თქვენი სისხლი დაღვარა და მე უნდა ვაგო პასუხი მის უგუნურებაზე?

– ის შენი ქვეშევრდომი იყო, ხელმწიფევ, – შეედავა ჯვაროსანი. – მისი მიწები, სოფლები და დაბა, სადაც ტყვეობაში იტანჯებოდნენ ორდენის მსახურები, შენს სამთავროს ეკუთვნის; ეს სიმდიდრე, ეს მიწები და ურჯულოს ციხესიმაგრე მაინც გადმოეცეს დღეიდან ორდენს. ჭეშმარიტად, ვერ იქნება ღირსეული საზღაური დაღვრილი კეთილშობილი სისხლისათვის! ვერც მკვდრებს წამოაყენებს, მაგრამ იქნებ ღვთის რისხვა შეანელოს და ის სირცხვილიც ჩამორეცხოს, მთელ შენს სამთავროს რომ ეცხება. ჰოი, ხელმწიფეო! ორდენს ყველგან აქვს მიწები და ციხესიმაგრეები, ბოძებული მოწყალე და ღვთისმოსავი ქრისტიანული სახელმწიფოებისაგან, მხოლოდ თქვენს სამთავროში არც ერთი მტკაველი მიწა. დაე, ეს ჩვენი გულის ტკენა, ღმერთს შურისძიებას რომ შეჰღაღადებს, ისე მაინც აგვინაზღაურდეს, რომ შეგვეძლოს ვთქვათ, ხალხს აქაც ჰქონიაო ღვთის ცოტაოდენი შიში.

მთავარი კარგა ხანს გონს ვერ მოეგო გაოცებისაგან, მერე კი წამოიძახა:

– ღმერთო დიდებულო!... განა ჩემი მამა-პაპათა წყალობით არა ფლობს ორდენი აქაურ მიწებს? ნუთუ გეცოტავებათ ის მხარეები, მიწები და ქალაქები, ოდესღაც ჩვენს ხალხს რომ ეკუთვნოდა, ახლა კი თქვენს ხელთაა? იურანდის ქალიშვილი ცოცხალია, ჯერ არავის მოუტანია მისი სიკვდილის ამბავი, თქვენ კი უკვე ცდილობთ მიიტაცოთ ობლის ლუკმა და ამით აინაზღაუროთ წყენა?

– ხელმწიფეო, შენ აღიარე, რომ ჩვენ შეურაცხგვყვეს, – თქვა როტერმა, – მაშ აგვინაზღაურე ის ისე, როგორც შენმა მთავრულმა სინდისმა და სამართლიანმა გულმა განსაჯოს.

და გუნებაში კვლავ ზეიმობდა, ფიქრობდა: „ახლა ჩვენ დაგვადანაშაულებენ კი არა, ისღა დარჩენიათ სადარდელი, ხელები როგორ დაიბანონ და სუფთად როგორ გამოვიდნენ ამ საქმიდან. ჩვენ საყვედურს ვეღარავინ გვკადრებს და ორდენის ღირსებაც მისი თეთრი ლაბადასავით ჩირქმოუცხები დარჩება“.

მაგრამ მოულოდნელად გაისმა მოხუცი მიკოლაი დლუგოლიასელის ხმა:

– თქვენ ყველა გიცნობთ, როგორც გაუმაძღარ ხალხს და ღმერთმა განსაჯოს, მართალია თუ არა ეს, მაგრამ ახლა ამ საქმეშიც ხომ ორდენის ღირსებაზე მეტად გამორჩენა გაინტერესებთ?

– სრული ჭეშმარიტებაა! – ერთხმად დაუჭირეს მხარი მაზოვიელმა რაინდებმა.

ჯვაროსანმა ნაბიჯი წინ წარდგა, ზვიადად აიღერა თავი, ქედმაღლურად გადახედა ყველას და თქვა:

– მე აქ ელჩად არ მოვსულვარ, ჩამოვედი როგორც მოწმე და ორდენის რაინდი და მზად ვარ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დავიცვა მისი ღირსება... და თუ ვინმე, იურანდის სიტყვების მიუხედავად, მაინც გაბედავს ბრალი დაგვდოს, რომ მისი ქალიშვილის მოტაცებაში რაიმე წილი მიგვიძღვის, დაე აიღოს რაინდის ეს ხელთათმანი და წარსდგეს ღვთის სამსჯავროს წინაშე.

ამ სიტყვებით მან რაინდებს ფეხებთან მიუგდო ხელთათმანი; მაგრამ ისინი ენაჩავარდნილები იდგნენ. არც ერთი მათგანი არ იტყოდა უარს ჯვაროსნის კისერზე ეცადა თავისი მახვილი, მაგრამ ღვთის სამსჯავროსი ყველას შეეშინდა. კარგად იცოდნენ იურანდის წერილში ნათქვამი, ჩემი შვილი ორდენის რაინდებს არ მოუტაცნიათო, ამიტომ გულში როტგერი მართალი ეგონათ და ფიქრობდნენ გაიმარჯვებდა კიდეც ორთაბრძოლაში.

მან კი დოინჯი შემოიყარა და კიდევ უფრო თავაგდებულად იკითხა:

– გაბედავს თუ არა ვინმე ამ ხელთათმანის აღებას? უეცრად დარბაზის შუაგულში გამოვიდა რაინდი. მისი გამოჩენა არავის შეუმჩნევია, ის კი თურმე კარებში იდგა და კარგა ხანია უსმენდა ჯვაროსნის ლაპარაკს.

– მე გავბედავ, – თქვა და ხელთათმანი აიღო. მერე თავისი ხელთათმანი როტგერს პირდაპირ სახეში ესროლა და მისი ხმა ცის ქუხილივით გაისმა ამ გაყუჩებულ დარბაზში:

– მე ვიხმობ მოწმედ ღმერთს, დიდებულ მთავარს და ყველა რაინდს ამ მიწისას და მოგახსენებ შენ, ჯვაროსანო, რომ ყეფავ როგორც ძაღლი, წინააღმდეგ ჭეშმარიტებისა და სიმართლისა, და გიწვევ ორთაბრძოლაში ქვეითად, თუნდაც ცხენდაცხენ, შუბით, ცულით, მოკლე ან გრძელი მახვილით, რითიც გენებოს, და არა უბრალოდ გამარჯვებისთვის! მხოლოდ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, სამკვდრო-სასიცოცხლოდ!

ბუზის გაფრენას გაიგონებდით. ყველა როტგერსა და მის გამომწვევ რაინდს მისჩერებოდა; რაინდი ვერც ერთმა ვერ იცნო, რადგან თავზე მუზარადი ეხურა, ჩაფხუტის ზარადი ყურებამდე ჰქონდა ჩამოწეული და ნახევარ სახეს უფარავდა, ქვედა ნახევარზე კი ჩრდილს ჰფენდა. ჯვაროსანი სხვებზე ნაკლებად არ იყო გაოცებული. როგორც ელვა გაიკლაკნება ღამეულ ცაზე, ისე გაიელვა მის გაფითრებულ სახეზე დაბნეულობამ და რისხვამ. მან ხელი დასტაცა ირმის ტყავის ხელთათმანს, რომელიც სახეში მოხვდა და საბეჭურს გამოედო, და იკითხა:

– ვინა ხარ შენ, ღვთის სამსჯავროზე რომ მიწვევ?

რაინდმა ნიკაპთან ბალთა შეიხსნა, ჩაფხუტი მოიხადა, თავისი ახალგაზრდული სხივფენილი სახე გამოაჩინა და თქვა:

– მე ვარ ზბიშკო ბოგდანეცელი, იურანდის ქალიშვილის ქმარი.

ყველა სახტად დარჩა, მათ შორის როტგერიც, რადგან მთავრისა და მისი მეუღლის, მამაო ვიშონეკისა და დე ლორშის გარდა არავინ იცოდა მათი ქორწინების ამბავი. ჯვაროსნები დარწმუნებული იყვნენ, რომ მამის მეტი დანუსიას ახლობელი არავინ გააჩნდა, ვინც მის დაცვას შეძლებდა. მაგრამ ამ დროს წინ წამოდგა ბატონი დე ლორში და თქვა:

– ვფიცავ რაინდულ სინდისს, რომ ეს რაინდი სიმართლეს ამბობს, და თუ ვინმე გაბედავს არ დაიჯეროს, აი, ჩემი ხელთათმანი.

უშიშარი როტგერი იქნებ განრისხებულ გულზე მეორე ხელთათმანსაც სწვდომოდა, მაგრამ გაახსენდა, რომ მისი პატრონი ცნობილი რაინდი იყო, თანაც გელდრიელი გრაფის ნათესავი და თავი შეიკავა. ამ დროს მთავარიც წამოდგა და წარბშეკრულმა თქვა:

– ვბრძანებ, არავინ აიღოს ეს ხელთათმანი, რადგან ვადასტურებ, რომ ამ რაინდმა სიმართლე მოგახსენათ.

ეს სიტყვები რომ გაიგონა, როტგერმა თავი დაუკრა ზბიშკოს და უთხრა: – თუ თანახმა იქნებით, ქვეითად ვიასპარეზოთ, ცულებით.

– მე შენ ადრეც მყავდი ბრძოლაში გამოწვეული, უპასუხა ზბიშკომ.

– ღმერთო, მართალს გაამარჯვებინე! – შესძახეს მაზოვიის რაინდებმა.

IV

მთელი სასახლე – რაინდებიცა და მანდილოსნებიც შეწუხებული იყვნენ, რადგან ზბიშკო ყველას უყვარდა. თანაც იურანდის წერილის ამბავი იცოდნენ და ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ სიმართლე ჯვაროსნის მხარეზე იყო. ამას გარდა, ისიც ცნობილი გახლდათ, რომ როტგერი ორდენის ერთერთი სახელოვანი რაინდი იყო, მისი საჭურველმტვირთველი ვან ქრისტი იქნებ განზრახაც უამბობდა მაზოვიელ შლიახტას, რომ მისი ბატონი, სანამ შეიარაღებული ბერი გახდებოდა, დიდკაცურად იჯდა ერთხელ ჯვაროსნების საპატიო სუფრასთან, რის ნებასაც მხოლოდ ყველაზე ცნობილ რაინდებს რთავდნენ, ისეთებს, ვინც წმინდა ქვეყანაში იმოგზაურა, საოცარი გველეშაპები ან ყოვლისშემძლე ჯადოქრები დაამარცხა. ვან ქრისტის ნაამბობსა და ტრაბახს რომ ისმენდნენ, თითქოს მისი ბატონი ხშირად იბრძოდა ერთი წუთის წინააღმდეგ, ცალ ხელში ხანჯალი ეჭირა, მეორეში კი მახვილი ან ცული, მაზურები კიდევ უფრო ღელავდნენ ზბიშკოს გამო. „ეჰ! – ამბობდა ზოგიერთი, – იურანდი ყოფილიყო აქ, გიყვარდეს, ასეთს ორს გაუმკლავდებოდა, მაგის ხელს ხომ არც ერთი გერმანელი არ გადარჩენია. ამ ბიჭს კი რა ეშველება – გერმანელი ბევრად ღონიერი ჩანს, თან უფროსიცაა და გამოცდილიც!“ ზოგი იმას ნანობდა, რატომ ჩვენ არ ავიღეთო ხელთათმანი. იურანდის წერილი რომ არა, უეჭველად გააკეთებდნენ ამას, მაგრამ ღვთის სამსჯავროსი შეეშინდათ. თავი რომ დაემშვიდებინათ, იგონებდნენ შემთხვევებს, როცა მაზოვიელი და პოლონელი რაინდები სასახლის ასპარეზობაზეც და ორთაბრძოლაშიც იმარჯვებდნენ დასავლეთევროპელ რაინდებზე; პირველ რიგში ასახელებდნენ ზავიშა გარბოველს, რომელსაც ძალით ვერ გაუტოლდებოდა ვერც ერთი რაინდი მთელ ქრისტიანულ სამყაროში. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვისაც დიდი იმედი ჰქონდა ზბიშკოსი. „ეგ ვინმე ხელწამოსაკრავი არ გეგონოთ, – ამბობდნენ ისინი ახალგაზრდა რაინდზე, – გაგვიგონია, როგორ წააცალა ერთხელ თავები გერმანელებს დატკეპნილ მიწაზე“. მაგრამ განსაკუთრებით გაიხარა ყველამ, როცა ორთაბრძოლის წინა დღით ზბიშკოს საჭურველმტვირთველმა, ფიცხმა მოყმემ

ჩეხმა ჰლავამ უსმინა, უსმინა ვან ქრისტის მონაჩმახს როტგერის გაუგონარ გამარჯვებებზე, მერე კი ადგა, ჩაავლო ხელი წვერებში, თავი აუწია და ეუბნება: „თუ ტყუილებით ხალხის გაბერვისა არა გრცხვენია, ზეცას მაინც ახედე, ღმერთიც ხომ გისმენს!“ ასე გააჩერა ვან ქრისტი, მერე გაუშვა.

ვან ქრისტმა იკითხა, ვინ არისო წარმოშობით, და როცა გაიგო მისი კეთილშობილი ჩამომავლობა, ცულებით ორთაბრძოლაში გამოიწვია.

მაზურებმა ძალიან გაიხარეს. „დარდი ნუ გაქვთ, ამბობდნენ ისინი, – ასეთები არ შედრკებიან ბრძოლის ველზე, და თუ სიმართლე და ღმერთიც მათ მხარეს იქნება, ტევტონელი ძაღლები ცოცხლები ვერ გადაურჩებიან“. მაგრამ როტგერმა ისე დააბნია ყველა, რომ ბევრი წუხდა, ნეტავ საით არის სიმართლეო. თვითონ მთავარიც იზიარებდა ამ წუხილს.

ორთაბრძოლის წინა საღამოს მან დაუძახა ზბიშკოს და მხოლოდ ქალბატონის თანდასწრებით ჰკითხა:

– დარწმუნებული ხარ, ღმერთი შენკენ იქნება? საიდან იცი, რომ დანუსია მაგათ მოიტაცეს? განა იურანდმა გითხრა რამე? აგერ იმისი წერილი, ქსონძი კალების ხელითაა დაწერილი, აი, იურანდის ბეჭედიც. იწერება, ვიცი, რომ დანუსია ჯვაროსნებს არ მოუტაცნიათო. შენ რაღა გითხრა?

– მეც ეგრე მითხრა, ჯვაროსნებს არ მოუტაცნიათო.

– მერე როგორ სწირავ თავს და ღვთის სამსჯავროზე. გამოდიხარ?

ზბიშკო ხმას არ იღებდა, მხოლოდ ტუჩები უცახცახებდა და თვალებზეც ცრემლები მოსდგომოდა.

– არაფერი ვიცი, დიდებულო მთავარო, – უთხრა მან. – აქედან იურანდთან ერთად გავემგზავრეთ, გზაზე გამოვუტყდი, რომ მე და დანუსიამ ჯვარი დავიწერეთ. მაშინ ერთი ამბავი ატეხა, ეს შეიძლება ცოდვა იყოსო; მაგრამ როცა. ვუთხარი, თვით ღმერთმა ინება-მეთქი, დაწყნარდა – გვაპატია ყველაფერი. მთელი გზა იმას ლაპარაკობდა, დანუსიას ჯვაროსნების მეტი არავინ მოიტაცებდაო, მერე კი თვითონაც აღარ ვიცი, რა დაემართა!.. სპიხოვში ის დედაკაცი ჩამოვიდა, ჩემთვის რომ ტყის სახლში რაღაც შინაურული წამალი ჩამოიტანა, თან კიდევ ერთი კაცი ახლდა. ისინი ჩაიკეტნენ იურანდთან და ისე ელაპარაკნენ. რაზე ლაპარაკობდნენ, არ ვიცი, მხოლოდ ის იყო, რომ ამის შემდეგ იურანდი ჯვარცმულს ჰგავდა, საკუთარმა მსახურებმაც ვეღარ იცნეს. ჩვენ გვითხრა, დანუსია ჯვაროსნებს არ მოუტაცნიათო, თვითონ კი, ღმერთმა იცის, რისთვის გამოუშვა ჯურღმულიდან ბერგოვი და სხვა ტყვეები. მერე გაემგზავრა მარტოდმარტო, საჭურველმტვირთველიც არ გაიყოლა, არც მსახურები... დაგვიბარა, ყაჩაღებისგან დანუსიას

გამოსასყიდად მივდივარო, მე კი მიბრძანა დავლოდებოდი. რა უნდა მექნა! მეც ველოდი. ამასობაში ჩამოვიდა შჩიტნოდან ამბავი, იურანდმა გერმანელები ამოხოცა და თვითონაც თავი დასდოვო. ჰოი, დიდებულო მთავარო! სპიხოვში მიწა იწვოდა ჩემს ფეხქვეშ, კინაღამ ჭკუიდან შევიშალე. შევსხი ჩემი ხალხი ცხენებზე, რათა გზას გავდგომოდი და იურანდის სიკვდილისთვის შური მეძია, ქსონძი კალები კი მეუბნება: „ციხესიმაგრის ამღები შენ არა ხარ, ომსაც ნუ წამოიწყებ, გასწი მთავართან, იქნებ იქ იცოდნენო რამე დანუსიაზე“. მეც ჩამოვედი სწორედ იმ წუთს, როცა ის ძაღლი ტყუილებს როშავდა, ჯვაროსნებს გვაწყენინესო, და იურანდი გონს გადავიდაო... მე იმიტომ ავიღე მისი ხელთათმანი, დიდებულო მთავარო, რომ ადრეც მყავდა ბრძოლაში გამოწვეული, და თუმცა არაფერი ვიცი, ერთი რამ მჯერა, ეგენი ყველანი აშკარა მატყუარები არიან, არც სინდისი გააჩნიათ, არც ნამუსი! თქვენ თვითონ დაფიქრდით, დიდებულო მთავარო და დიდებულო ქალბატონო! ეგენი არ იყვნენ დე ფურსი რომ მოკლეს და ჩემს საჭურველმტვირთველს მოუნდომეს გადაბრალება? ხარივით გამოღადრეს ყელი, მერე კი მოვიდნენ და შურისძიებასა და დასჯას მოითხოვდნენ. ვინ არის თავდები, რომ იურანდიც არ მოატყუეს და ახლა არ გატყუებენ შენ, დიდებულო მთავარო?.. არა, მე არ ვიცი, სად არის დანუსია! მაგრამ მე ის გამოვიწვიე ბრძოლაში და თავიც რომ დავდო, მირჩევნია მოვკვდე, ვიდრე ჩემი ძვირფასი, ჩემი საყვარელი დანუსია გვერდით არ მყავდეს. იმაზე ძვირფასი მე ამქვეყნად არავინ გამაჩნია!

ამას რომ ამბობდა, აღელვებულმა თავიდან ბადურა ჩამოიგლიჯა, თმა გადმოეშალა მხრებზე და მწარედ აქვითინდა. დანუსიას დაკარგვით თვითონაც გულდათუთქულ ანა დანუტას შეებრალა დამწუხრებული ყმაწვილი, თავზე ხელი დაადო და უთხრა:

– ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ნუგეში გცეს და გლოცვიდეს!

V

მთავარმა აღარ შეუშალა ხელი ზბიშკოსა და როტგერს, თუმცა, მაშინდელი წეს-ჩვეულებების მიხედვით, არც შეეძლო ბრძოლა აეკრძალა მათთვის. მხოლოდ მოითხოვა როტგერს წერილი მიეწერა მაგისტრისა და ზიგფრიდ დე ლიოვესთვის და შეეტყობინებინა, რომ თვითონ გამოიწვია მაზოვიის რაინდები ღვთის სამსჯავროზე, ამის გამო აპირებს შებრძოლებას იურანდის ქალიშვილის ქმართან, რომელსაც ადრეც ჰყავდა ის ბრძოლაში გა-

მოწვეული. ჯვაროსანი თავს იმართლებდა დიდი მაგისტრის წინაშე, უხსნიდა, ორთაბრძოლაში უნებართვოდ მხოლოდ იმის გამო გავდივარ, რომ საქმე შეეხება ორდენის ღირსებას და მინდა გავფანტო ბინძური ეჭვები, რომელთაც შეუძლიათ მას სახელი გაუტეხონო. ამიტომაც მზადა ვარ საკუთარი სისხლით ჩამოვრეცხო ორდენს სამარცხვინო ლაქა. წერილი მაშინვე გააგზავნეს რაინდის ერთ-ერთი მსახურის ხელით საზღვრამდე, საიდანაც მალბორგში ფოსტა წაიღებდა. ჯვაროსნებმა ხომ ფოსტა სხვებზე, ბევრად ადრე გამოიგონეს და შემოიღეს თავის ქვეყანაში.

ამასობაში სასახლის ეზოში თოვლი დატკეპნეს და ნაცარი მოაყარეს, რათა მოწინააღმდეგეებს თოვლში ფეხები არ ჩაფლობოდათ და არ დაცურებოდათ სრიალა ზედაპირზე. მთელი სასახლე არაჩვეულებრივად აფუსფუსებული იყო. სასახლის რაინდები და სეფექალები ისე ღელავდნენ, ბრძოლის წინა ღამეს არც ერთს არ სძინებია. საუბრობდნენ იმაზე, რომ ცხენდაცხენ შუბებით ან თუნდაც მახვილებით შერკინების დროს ხშირად მხოლოდ დაიჭრებიან ხოლმე, ქვეითად ბრძოლა კი, მით უმეტეს საშინელი ცულებით, ყოველთვის სასიკვდილოა. ყველა ზბიშკოს მხარეზე იყო, ყველას უყვარდა ის და დანუსია, ამიტომ შიშით იხსენებდნენ ნაამბობს ჯვაროსნის სახელსა და მოხერხებულობაზე. ბევრმა ქალმა ღამე სამლოცველოში გაატარა, ქსონძი ვიშონეკთან აღსარების შემდეგ ზბიშკომაც აქ ილოცა. მის ახალგაზრდულ სახეს რომ უყურებდნენ, ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „ჯერ მთლად ბავშვია... როგორია, თქვენი ჭირიმეთ, გერმანელის ცულის ქვეშ ისეთი ახალგაზრდა თავის შეშვერა?“ და მით უფრო გულმოდგინედ ლოცულობდნენ ქალები და ღმერთს დახმარებას ევედრებოდნენ. მაგრამ როცა განთიადზე მუხლმოყრილი ზბიშკო წამოდგა და სამლოცველოს გასასვლელისკენ გაემართა, რათა ციხესიმაგრის ერთ-ერთ ოთახში საჭურველი აესხა, ქალები გამხნევდნენ; თავი და სახე ზბიშკოს მართლაც ჭაბუკური ჰქონდა, მაგრამ ისეთი მხარბეჭიანი და ზორბა იყო, მოეჩვენათ, ეს ჭაბუკი ყველაზე მძლავრ გოლიათსაც დაამარცხებსო.

ორთაბრძოლა ტალანით შემოვლებული ციხესიმაგრის ეზოში უნდა გამართულიყო.

როგორც კი გათენდა, ტალანის სვეტებს შუა დასხდნენ მთავარი და მისი მეუღლე თავიანთი შვილებით. აქედან კარგად ჩანდა მთელი ეზო. მათ გარშემო ადგილები დაიკავეს ყველაზე ცნობილმა დიდებულებმა, კეთილშობილმა ქალბატონებმა და რაინდებმა. ტალანის ყველა კუნჭული ხალხით გაივსო; მსახურები ნამქერს უკან, აივნებსა და სახურავებზეც კი მოკა-

ლათდნენ. „ღმერთმა ჩვენსას გაამარჯვებინოს გერმანელებზე!“ – ამბობდა უბრალო ხალხი.

ცივი, ნესტიანი, მაგრამ მოწმენდილი დღე იყო; სახურავქვეშ და კოშკებში დაბუდებული ჭილყვავები გუნდ-გუნდად წამოიშალნენ და ამ არაჩვეულებრივი ფაციფუცით შეშინებულნი ფრთების ტყლაშუნით დასტრიალებდნენ ციხესიმაგრეს. ციოდა, მაგრამ ხალხი ღელვისაგან ოფლში იწურებოდა, ხოლო როცა პირველი საყვირის ხმა გაისმა, რაინდებს საბრძოლველად გამოსვლას რომ აუწყებდა, ყველას გულმა ბაგაბუგი დაუწყო.

მოწინააღმდეგეები ასპარეზზე მოპირდაპირე მხარეებიდან გამოვიდნენ და მოედნის კიდესთან შეჩერდნენ, ხალხმა სული განაბა. ყველა იმაზე ფიქრობდა, სულ მალე ორი სული ეახლება უფლის ტახტს და ორი გვამი დარჩებაო თოვლზე, – და ამის გაფიქრებაზე ქალებს ტუჩები და ლოყები გადაუფითრდათ, თითქმის ლურჯი ფერი დაედოთ, მამაკაცები კი დაჟინებით დააცქერდნენ მოწინააღმდეგეებს, ცდილობდნენ გარეგნული შესახედაობით ან აღჭურვილობით მიმხვდარიყვნენ, ვის მხარეზე იქნებოდა გამარჯვება.

ჯვაროსანს ცისფრად მომინანქრებული ჯავშანი ეცვა, ასეთივე ორთუქი და ჩაჩქანი აწეული ზარადით, რომელზეც ფარშავანგის ლამაზი ჯიღა დაემაგრებინა. ზბიშკოს მკერდსა და ზურგს თავის დროზე ფრიზ რაინდთან ბრძოლაში მოპოვებული ბრწყინვალე მილანური ჯავშანი ფარავდა. თავზე ჩაფხუტი ეხურა. ოღონდ უჯიღოდ.. ფეხებზე ხარის ტყავის ჩექმები ეცვა. ორთავე რაინდს მარცხენა ხელში საგვარეულო გერბიანი ფარები ეკავა; ჯვაროსნის გერბის ზედა ნაწილზე ჭადრაკის დაფა იყო გამოსახული, ქვემოთ კი – უკანა ფეხებზე შემდგარი სამი ლომი. ზბიშკოს გერბზე ბრტყელი ნალი მოჩანდა. მარჯვენა ხელით ორთავეს საშინელი ფართოპირიანი, კაი ზორბა კაცის მკლავზე უფრო გრძელ ჩაშავებულ მუხის ტარებზე წამოცმული ცულები ეკავათ. რაინდებს თან ახლდნენ საჭურველმტვირთველნი: ჰლავა, რომელსაც ზბიშკო გლოვაჩს ეძახდა, და ვან ქრისტი. ორთავეს რკინის მუქი ფერის ჯავშანი ეცვა, ხელში ცულები და ფარები ეკავათ, ვან ქრისტის გერბი კურდღლისცოცხას ბუჩქი იყო, ჩეხისა კი – ხარის თავი, ოღონდ ცულის ნაცვლად მოკლე მახვილი ჰქონდა გარჭობილი.

ბუკმა მეორედ დასძახა; მესამე დაყვირებაზე შეთანხმებისამებრ მოწინააღმდეგეები ერთმანეთს უნდა შებმოდნენ. ახლა მათ მცირე მანძილითღა ჰყოფდათ ლეგა ნაცარმოყრილი მინდორი, რომელსაც ბოროტად დასტრიალებდა სიკვდილის აჩრდილი. მაგრამ სანამ ბუკი მესამე ნიშანს მისცემდა, როტგერი მიუახლოვდა იმ სვეტებს, სადაც მთავარი და მისი მეუღ-

ლე ისხდნენ, ზევით ასწია ფოლადში ჩაჭედილი თავი და ხმამაღლა, ისე რომ ყველას გაეგონა, წარმოთქვა:

– ვიხმობ მოწმედ ღმერთს, შენ, ღირსეულო მთავარო და ამ ქვეყნის ყველა რაინდს, რომ მე ბრალი არ მიდევს იმ სისხლში, რომელიც ახლა დაიღვრება.

ამ სიტყვებზე ისევ შეეკუმშა გული ხალხს, გაოცდნენ, ჯვაროსანი ასე დარწმუნებული რომ იყო თავის თავსა და თავის გამარჯვებაში. მაგრამ გულმართალი ზბიშკო ჩეხს მიუბრუნდა და უთხრა:

– გულს მირევს ამ ჯვაროსნის ყოყოჩობა, სჯობდა მერე ჩაედინა ეს, ჩემი სიკვდილის შემდეგ და არა ახლა, სანამ ცოცხალი ვარ. ამ ბაქიას მუზარადზე ფარშავანგის ჯიღა მიუბამს, მე კი ჯერ სამი აღვუთქვი ასეთი, მერე კი იმდენი, რამდენი თითიც მაქვს ორთავე ხელზე. აი, ღმერთმა გამომიგზავნა კიდეც.

– რა მოხდება, ბატონო, – ჰკითხა ჰლავამ, თან დაიხარა და თოვლნარევი ნაცარი მოხვეტა მუჭით, რომ ცულის ტარს ხელში არ ესრიალა, – თუ ღმერთმა ინება და მალე მოვრჩი საქმეს ამ პრუსიელ ჩანჩურასთან, იქნებ დაგერთოთ ნება, ჯვაროსანს, დარტყმით თუ არ დავარტყამ, ცულის ტარი მაინც შევჩარო მუხლებს შუა, რომ დავარდეს?

– ღმერთმა დაიფაროს! – გზნებით შესძახა ზბიშკომ. – ამით თვითონაც თავს მოიჭრიდი და მეც შემარცხვენდი.

– ამ დროს მესამედ ჩაჰბერეს ბუკს. ამ ხმაზე საჭურველმტვირთველები სწრაფად მიუხდნენ ერთმანეთს, რაინდები კი დინჯად და მედიდურად მიუახლოვდნენ, როგორც მათს ღირსებასა და წოდებას შეეფერებოდა.

– საჭურველმტვირთველთა დარდი ბევრს არავის აწუხებდა, მაგრამ რაინდთა და მსახურთა გამოცდილმა თვალმა მაშინვე შენიშნა, რომ უპირატესობა აშკარად ჰლავას მხარეზე იყო. გერმანელი ცულს მძიმედ ატრიალებდა და ფარსაც უფრო ნელა ამოძრავებდა. ფარის ქვეშ გამოჩრილი გრძელი ფეხებიც გაცილებით სუსტი ჩანდა ჩეხის შარვალშემოტმასნილ მოქნილ და ღონიერ ფეხებთან. ჰლავამ ისე ფიცხელ შეუტია მას, რომ ვან ქრისტი კინაღამ პირველსავე დარტყმაზე დანებდა. ყველასთვის აშკარა გახდა, რომ ერთ-ერთი მოწინააღმდეგე გრიგალივით ეძგერა მეორეს, შეავიწროვა და ელვის უსწრაფესად ურტყამდა, ის კი, სიკვდილმოახლოებული, მხოლოდ თავსღა იცავდა, რათა საშინელი წუთი ცოტა უფრო შორს გადაეწია. ეს მართლაც ასე გახლდათ. ბაქია ვან ქრისტი ბრძოლებში მხოლოდ მაშინ გადიოდა, როცა თავის დაძვრენა უკვე აღარ შეეძლო ხოლმე; ის

მიხვდა, რომ თავისმა თავხედურმა და დაუფიქრებელმა მონაჩმახმა ამ მრისხანე გოლიათთან ბრძოლას გადაჰყარა, როცა პირიქით, ცეცხლივით უნდა მორიდებოდა მას. ახლა კი, რომ დახედა, ამ დევკაცს ერთი დარტყმით არის დაგდება შეეძლო, გული მუცელში ჩაუვარდა, სულ დაავიწყდა, რომ მარტო მოგერიება არა კმაროდა და უნდა შეეტია კიდეც. ის აპრიალებული ცულის ტრიალსღა ხედავდა და ყოველი დარტყმა ბოლო დარტყმა ეგონა. ფარს რომ ასწევდა, უნებურად შიშით თვალებს ხუჭავდა და იმედი აღარ ჰქონდა, ოდესმე კიდევ გაახელდა. ათასში ერთხელ თუ ახერხებდა ცულის მოქნევას, ისიც სრულიად უიმედოდ, და იმასღა ფიქრობდა, ფარი რაც შეიძლება მაღლა აეწია, რომ ნაჯახი თავში არ მოხვედროდა.

გერმანელს უკვე დაღლა დაეტყო, ჩეხი კი უფრო მძლავრად ურტყამდა. როგორც მეტყევის ცულის დარტყმებისაგან ცვივა ხოლმე მაღალი ფიჭვის ნაფოტები აქეთ-იქით, ისე იმსხვრეოდა და სხლტებოდა ჩეხის ცულის ქვეშ გერმანელი საჭურველმტვირთველის ჯავშანი. ფარის ზედა ნაპირი ჩაიჭყლიტა და გასკდა, მარჯვენა სამხრეული გაგლეჯილ და სისხლში ამოსვრილ თასმასთან ერთად ძირს გაგორდა. ვან ქრისტს თმა აბურძგლა, საშინელმა შიშმა შეიპყრო. ერთიორჯერ კიდევ დაჰკრა მთელი ძალით ჩეხის ფარს, და რაკი დარწმუნდა, ამ საშინელი მოწინააღმდეგისაგან ხსნა არ იყო და მისი გადარჩენა სასწაულის მეტს არაფერს შეეძლო, თავის მძიმე ჯავშნიანად ჰლავას ფეხქვეშ ჩაუვარდა.

ორთავე გაგორდა და თოვლში ყირას გადადიოდნენ ბრძოლით. მაგრამ ჩეხმა მალე მოიგდო ქვეშ მოწინააღმდეგე. ერთ წამს კიდევ იგერიებდა მის განწირულ შემოტევას, მერე მუხლი დააჭირა რკინის ბადეს, მუცელს რომ უფარავდა, და ქამრიდან მოკლე სამწახნაგა ხანჯალი ამოიძრო.

– შემიბრალე! – მუდარით აღსავსე მზერა მიაპყრო ვან ქრისტმა.

მაგრამ ჩეხი პასუხის მაგივრად ტანზე გადააწვა, რათა ყელს უფრო ადვილად მისწვდომოდა, ნიკაპთან ღვედი გადაუჭრა და ორჯერ ჩაარჭო ყელში უბედურს ხანჯალი წვერით პირდაპირ გულისკენ.

ვან ქრისტმა თვალები გადაატრიალა, ხელები და ფეხები ააფართხალა, თითქოს უნდა ნაცარი გადასწმინდოსო თოვლს, წამიც და გაიჭიმა, მერე სხეული გაუშეშდა, მხოლოდ სისხლიანი ქაფმოდებული ტუჩებიღა ებერებოდა და სისხლს აშხეფებდა ირგვლივ.

ჩეხი კი წამოდგა, თავისი ხანჯალი გერმანელის ტანსაცმელს შეაწმინდა, მერე ცული აიღო, ზედ დაეყრდნო და თავისი რაინდისა და როტგერის მძიმესა და გააფთრებულ ბრძოლას შეაცქერდა.

დასავლეთის სამეფოთა რაინდები უკვე საკმაოდ მიჩვეულები იყვნენ ფუფუნებასა და ნებიერ ცხოვრებას, მალოპოლსკასა და ველკოპოლსკას, აგრეთვე მაზოვიის შლიახტიჩები კი მკაცრსა და უბრალო ცხოვრებას ეწეოდნენ, ამიტომ არაკეთილმოსურნე უცხოელებსაც აოცებდათ ხოლმე მათი ჯანი, გამძლეობა და წრთობა. ახლაც უკვე აშკარა გახდა, რომ მკლავ და მუხლმაგარი ზბიშკოც ისევე სჯაბნიდა ჯვაროსანს, როგორც იმის საჭურველმტვირთველი – ვან ქრისტს; თუმცა ისიც აშკარად ჩანდა, რომ ზბიშკო უფრო ახალგაზრდა და ბრძოლებში ნაკლებად ნაცადი იყო.

საბედნიეროდ, როტერმა ცულებით ბრძოლა ირჩია, ამ იარაღით კი ფარიკაობა არ შეიძლებოდა. ზბიშკო რომ როტგერს მოკლე ან გრძელი მახვილით შებრძოლებოდა, როცა ჩეხვა, ჩხვლეტა და ასხლეტაა საჭირო, გერმანელს მასზე დიდი უპირატესობა ექნებოდა. და მაინც როტგერის მოძრაობაზე, ფარის ოსტატურად ხმარებაზე თვითონ ზბიშკოცა და მაყურებლებიც მიხვდნენ, რომ საქმე ჰქონდათ ნაცადსა და საშიშ მოწინააღმდეგესთან, ვინც ერთხელ და ორჯერ არ იყო გასული ასეთ ორთაბრძოლაში. ზბიშკოს ცულის ყოველ დარტყმაზე როტგერი ელვისებური სისწრაფით უხვედრებდა ფარს და იმწამს, როგორც კი ცული მოხვდებოდა, ოდნავ უკან გადახრიდა ხოლმე, ამის გამო ყველაზე უფრო გოლიათური მოქნევაც ძალას ჰკარგავდა და ზბიშკოს აღარც ფარის გახვრეტა შეეძლო და არც მისი გაპრიალებული ზედაპირის დაზიანება. როტგერი ხან უკან იხევდა, ხან უტევდა ჭაბუკს, ყველაფერს ძალზე მშვიდად, მაგრამ ისე ელვისებურად აკეთებდა, რომ თვალსაც ვერ შეასწრებდით მის მოძრაობას. მთავარს გულში შიში შეეპარა, რაინდებსაც ჩამოექუშათ სახეები, რადგან მოეჩვენათ, გერმანელი განგებ ამასხრებდა მოწინააღმდეგეს. ხანდახან ფარს სულ არ იფარებდა, მაგრამ დარტყმის მომენტში ნახევრად გვერდზე შებრუნდებოდა და ცული ჰაერსღა გაჰკვეთავდა ხოლმე. ეს ყველაზე საშიში იყო, რადგან შეიძლებოდა ზბიშკოს წონასწორობა დაეკარგა და დაცემულიყო, მაშინ კი სიკვდილი გარდაუვალი იქნებოდა. ამას ყელგამოჭრილი ვან ქრისტის გვამთან მდგარი ჩეხიც ხედავდა; მას აღელვებდა თავისი ბატონის ბედი და გულში ამბობდა: „ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩემი ბატონი დავარდეს, თორემ ცულის ყუას მხრებში ვჭექავ გერმანელს და ბარემ იქვე მოვუთავებო ხელს“.

მაგრამ ზბიშკო არ ვარდებოდა. გაჯგიმავდა ხოლმე მძლავრ ფეხებს და ყველაზე ძლიერ მოქნევაზეც კი ახერხებდა ცალ ფეხზე შეეკავებინა ტანის სიმძიმე.

როტგერმა მაშინვე შენიშნა ეს და მაყურებელს სულ ტყუილა ეჩვენებოდა, რომ ის მოწინააღმდეგეს არაფრად აგდებდა. პირველსავე დარტყმებ-

ზე, რომლებსაც როტგერი ძალზე მოხერხებულად იცდენდა, მარჯვენა ხელი დაუბუჟდა და მიხვდა, რომ ამ ჭაბუკთან ბრძოლა ასე ადვილი არ იქნებოდა. ერთი ფიცხელი დარტყმით თუ არ მოცელავდა მას, ბრძოლა გაჭიანურდებოდა და საშიში გახდებოდა. ჯერ ფიქრობდა, ჰაერში მოქნეული ცულით ზბიშკო თოვლზე დაეცემოდა, მაგრამ ეს რომ არ მოხდა, ჯვაროსანი ცოტა შეშფოთდა. ფოლადის ზარადს ქვემოდან ის ხედავდა მოწინააღმდეგგის მოკუმულ ტუჩებს და დაბერილ ნესტოებს, ხანდახან კი აელვარებულ თვალებსაც და გულში იმედი ესახებოდა, ეს ბიჭი სიფიცხემ უნდა დაღუპოსო, დარტყმები გაიტაცებს და თავის დაცვაზე აღარ იფიქრებსო, მაგრამ ამაშიც მოტყუვდა. ზბიშკომ ნახევარბრუნით დარტყმების აცდენა არ იცოდა.. მაგრამ ფარი სულაც არ დავიწყებია და ცულის დარტყმისას იმაზე მეტად არ მოუცილებია, ვიდრე საჭირო იყო. როცა დახედა, რა გაწაფული მოწინააღმდეგე ჰყავდა, ყურადღება გაიორკეცა, კი არ დაიბნა, პირიქით, გულისყური მოიკრიბა, სიფრთხილეს უმატა და მის უფრო მძლავრ დარტყმებშიც მეტი ანგარიში იგრძნობოდა. შუაგულ ბრძოლაში ასე მოქცევა მხოლოდ გულდინჯსა და შეუპოვარ ადამიანს შეეძლო და არა ფიცხ ჭაბუკს.

როტგერს მრავალ ომსა და ორთაბრძოლაში მიეღო მონაწილეობა და გამოცდილებით იცოდა, რომ ზოგიერთი ადამიანი, მტაცებელი ფრინველისა არ იყოს, ბრძოლისთვის არის დაბადებული. ისინი, ბუნების ნიჭით უხვად დაჯილდოებულნი, გეშით გრძნობენ, რასაც სხვები მრავალი წლის ვარჯიშის მერე ძლივს გაიგებენ. ის მაშინვე მიხვდა, რომ სწორედ ასეთ ადამიანთან ჰქონდა საქმე. პირველივე დარტყმებზე. შეამჩნია, რომ ეს ჭაბუკი რაღაცით ქორსა ჰგავდა, მოწინააღმდეგეში მხოლოდ ნადავლს რომ ხედავს და იმასღა ფიქრობს, როგორ ჩაასოს კლანჭები. ძალა და ღონე არც მას აკლდა, მაგრამ შენიშნა, რომ ვერც ამაში შეედრებოდა ზბიშკოს. ამიტომ, თუ დაიღლებოდა, ვიდრე საბოლოო დარტყმას აგემებდა, მაშინ ამ საშინელ, თუმცა ნაკლებ ნაცად ბიჭთან ბრძოლა უეჭველად დაღუპვას უქადდა. ჰოდა, გადაწყვიტა ძალები დაეზოგა, ფარი ახლოს მიიკრა, მოწინააღმდეგესაც აღარ აწუხებდა თავდასხმებით, არც ძალიან იხევდა უკან, მოძრაობა შეზღუდა და მთელ ძალებს გადამწყვეტი დარტყმისთვის იკრებდა, მხოლოდ შესაფერ დროსღა ელოდა.

საშინელი ბრძოლა გაჭიანურდა. გალავანში სამარისებური სიჩუმე იდგა. მხოლოდ ფარზე ცულის ხან ჟღრიალა, ხან კი ყრუ დარტყმის ხმაღა ისმოდა. მთავრისა და მისი მეუღლისთვის, რაინდებისა და სეფექალებისათვის უჩვეულო არ გახლდათ ასეთი სანახაობა, მაგრამ გულები მაინც ეკუმშებოდათ, თითქოს მარწუხებს უჭერენო. ყველა მიხვდა ერთს: ამ ბრძოლაში

რაინდებს სულაც არ უნდოდათ თავიანთი ძალის, ოსტატობისა და გულადობის ჩვენება, ისინი უსაზღვროდ იყვნენ შეპყრობილი სიშმაგით, თავგანწირვით, მრისხანებით და შურისძიების დაუმცხრალი წყურვილით, ღვთის სამსჯავროზე ორთაბრძოლაში გამოსულიყო ერთი მხრით სასტიკი შეურაცხყოფა, სიყვარული და უნუგეშო მწუხარება, ხოლო მეორე მხრით – ორდენის სახელი და დაუოკებელი სიძულვილი.

ამასობაში ზამთრის გაცრეცილი დილა თანდათან დაიწმინდა. ნისლის რუხი ფარდა ნელა აიკრიფა და მზის სხივმა ჯვაროსნის ცისფერ ჯავშანსა და ზბიშკოს ვერცხლისფერ კოხტა მილანურ აღჭურვილობას მიანათა. წირვის ზარებს ჩამოჰკრეს. პირველსავე შემოკვრაზე გუმბათიდან გულისწამღები ჩხავილითა და ფრთების ტყლაშუნით აფრინდა ჭილყვავთა გუნდები, თითქოს ახარებდათ სისხლსა და თოვლში უძრავად დაგდებული ნეშტის დანახვა. როტგერმა ბრძოლის დროს ერთი-ორჯერ გახედა საჭურველმტვირთველს და თავი საშინლად ეულად იგრძნო. მისკენ მიპყრობილი ყველა თვალი მტრის თვალი იყო: ყველა ქალი ზბიშკოსთვის ლოცულობდა, აღთქმებს სდებდა და მუდარას აღავლენდა ზეცისკენ. ამას გარდა, თუმცა როტგერს ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ ზბიშკოს საჭურველმტვირთველი ზურგიდან მუხანათურად თავს არ დაესხმოდა, მაგრამ ამ მრისხანე ფიგურის სიახლოვე მაინც უნებურად ძაბავდა მას. ასე ემართება ხოლმე ადამიანს მგლის, დათვის ან კამეჩის დანახვაზე, თუ მათ ცხაური არა ჰყოფთ. ვერაფრით დათრგუნა ეს გრძნობა, მით უმეტეს, რომ ჩეხი ბრძოლის ყურებაში ადგილზე ვერ ჩერდებოდა: ხან გვერდიდან მოუვლიდა, ხან უკან იხევდა, ხან წინ გამოჩნდებოდა, თავს ხრიდა და ავისმომასწავებლად შეჰყურებდა როტგერს ზარადის ნახვრეტებს შუა, ხან კი თითქოს თავისდაუნებურად სწევდა ზევით სისხლიან ცულს.

ბოლოს ჯვაროსანს დაღლილობამ სძლია. ზედიზედ აგემა მტერს ორი მოკლე, მაგრამ გაშმაგებული დარტყმა. პირდაპირ მარჯვენა მხარს უმიზნებდა; რაინდმა კი ისეთი ძალით მოიგერია ფარით ეს დარტყმები, რომ როტგერს ცული კინაღამ ხელიდან გაუვარდა და იძულებული გახდა უკან დაეხია, რათა თავი შეემაგრებინა. ამ წუთიდან მხოლოდ თავს იცავდა, მას ელეოდა არა მარტო ღონე, არამედ სიმშვიდე და მოთმინებაც. რომ დაინახეს, ჯვაროსანმა დაიხიაო, ხალხს აღტაცების შეძახილი აღმოხდა, ამან გააბრაზა და დააბნია როტგერი. ცულების ქნევა გახშირდა. ორთავე ოფლში იყო გაღვარული, ხრინწიანი ქშენა ისმოდა. მაყურებელმა სიმშვიდე დაკარგა, ყოველ წუთს გაისმოდა ხან მამაკაცთა და ხან ქალთა ხმები: „დასცხე! დაჰკა მაგას!.. ღვთის სამსჯავროა! ღმერთმა უნდა განსაჯოს! ღმერთმა ხე-

ლი მოგიმართოს!..“ მთავარმა ხელით ანიშნა ხალხს, დამშვიდებულიყვნენ, მაგრამ ვერ დააშოშმინა. მათ ყვირილს უმატეს, გაისმა ბავშვების ტირილი და ბოლოს იქვე, ქალბატონის გვერდით, ახალგაზრდა ქალმა ცრემლნარევი ხმით შეჰყვირა:

– დანუსკასთვის, ზბიშკო, დანუსკასთვის!

ზბიშკომ ისედაც კარგად იცოდა, რომ დანუსიასთვის იბრძოდა. დარწმუნებული იყო, ამ ჯვაროსნის ხელიც ერით მის მოტაცებაში და შურს იძიებდა დანუსიას შეურაცხყოფისათვის. მაგრამ მაინც ძალზე ახალგაზრდა იყო, ბრძოლა სწყუროდა და ამ წუთში მხოლოდ ბრძოლაზე ფიქრობდა. უეცარმა შეძახილმა კი თითქოს გაახსენაო დანაკარგი, თავისი უიღბლო ხვედრი. სისხლი კვლავ აუდუღდა ძარღვებში სიყვარულით, სიბრალულით და შურისძიების წყურვილით. გული დაემდუღრა ჭაბუკს, თავისი წამება რომ დაუდგა თვალწინ, და რისხვამ ერთიანად დაიპყრო. ქარიშხლის შემოტევასავით გაშმაგებული მისი დარტყმების მოგერიებას ჯვაროსანი უკვე ვეღარ ასწრებდა და ვეღარც ახერხებდა. ზბიშკომ ერთი ისეთი არაადამიანური ძალით დასცხო ფარი მის ფარს, რომ გერმანელს უეცრად ხელი წაერთვა და უღონოდ დაეკიდა. როტგერი თავზარდაცემული წაბარბაცდა უკან, სწორედ ამ წუთს იელვა მის თვალებთან ნაჯახმა და მთელი ძალით დაეშვა მის მარჯვენა მხარზე.

მაყურებლამდე გულისგამგმირავმა ყვირილმა მიაღწია: „Jesus!..“[27] როტგერმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა უკან და პირაღმა დაენარცხა თოვლში.

ტალანში იმწამსვე მზეზე გამთბარი ფუტკრებივით აზუზუნდა და აფორიაქდა ხალხი. რაინდები ჯგუფად მიაწყდნენ კიბეებს, მსახურები პირდაპირ ნამქერზე ხტებოდნენ, რათა გვამებისთვის შეეხედათ. ყველგან გაისმოდა შეძახილები: „ესეც შენი ღვთის სამსჯავრო!.. იურანდს მემკვიდრე დარჩა. პატივი და დიდება მას! აი, მესმის ცულით ჩეხვის ოსტატი!“ სხვები ყვიროდნენ: „აბა ერთი შეხედეთ, თუ არ გაოცდებით! თვითონ იურანდიც ვერ შესძლებდა ასე ჩამოჩეხვას!“ როტგერის გვამს უამრავი ცნობისმოყვარე შემოეხვია. ის ზურგზე ესვენა, სახე თოვლივით გათეთრებოდა, პირი ფართოდ გაეღო, გასისხლიანებული მხარი კი ისე ჰქონდა გაჩეხილი კისრიდან იღლიამდე, რომ ტყავზეღა ეკიდა. „აგერ ცოცხალი იყო, – ამბობდა ხალხი, – და ისე ამაყად დადიოდა, ახლა თითის განძრევაც აღარ შეუძლია!“ ზოგს მისი ზორბა ტანი აოცებდა – მიწაზე გართხმული ის კიდევ უფ-

[27] იესო (ლათ.)

რო დიდი ჩანდა, ზოგს – ფარშავანგის ჯიღა, ლამაზ ფერებად რომ ელავდა თოვლზე, სხვებს – საჭურველი, რომელიც ერთი სოფლის ფასად ღირდა. მაგრამ ამ დროს ორი მსახურის თანხლებით მოვიდა ჩეხი ჰლავა, რათა მოკლულისთვის საჭურველი მოეხსნა. ცნობისმოყვარენი ახლა ზბიშკოს შემოეხვივნენ, სიმამაცეს უქებდნენ და ცაში აჰყავდათ, რადგან სამართლიანად ფიქრობდნენ, რომ მან დიდებით შემოსა თავისი სახელი და ამ დიდების ნათელი მოეფინება დღეიდან მთელი მაზოვიისა და პოლონეთის რაინდობას. ამასობაში ზბიშკოს ფარი და ცული ჩამოართვეს, სიმძიმე ჩამოაშორეს, მერე მოკოტა მოცაჟეველმა ჭაბუკ რაინდს გაოფლილი თავიდან ჩაფხუტი მოხსნა და ალისფერი მაუდის ქუდი დაახურა. ზბიშკო მძიმედ სუნთქავდა, გაშეშებულივით იდგა, მღელვარებისა და დაძაბულობისაგან ფერი წასვლოდა, ანთებულ თვალებში ჯერაც არ გაჰქრობოდა ნაპერწკალი და სულ ერთიანად ცახცახებდა. მას ხელი გამოსდეს და წაიყვანეს მთავარსა და ქალბატონთან, რომლებიც გამარჯვებულს გამთბარ ოთახში ბუხართან ელოდნენ. ზბიშკო მუხლებზე დაეცა მათ წინ. მამაო ვიშონეკმა პირჯვარი გადასახა ჭაბუკს და მიცვალებულთათვის ილოცა, მერე მთავარი გადაეხვია ახალგაზრდა რაინდს და უთხრა:

– ზენაარმა განგსაჯათ თქვენ, ის წარმართავდა შენს ხელს, იდიდოს სახელი მისი, ამინ!

მერე დე ლორშსა და სხვა რაინდებს მიუბრუნდა და დასძინა:

– გიხმობთ მოწმედ შენ, უცხოელო რაინდო, და ყველას დანარჩენს, და მეც გემოწმებით, რომ ისინი იბრძოდნენ წესისა და რიგის დაცვით და ღვთის მსჯავრი აღსრულდა რაინდულად და განგების ძალით, ისე როგორც ყველგან აღესრულვის ის.

მაზოვიის რაინდებმა ერთხმად დაადასტურეს მთავრის სიტყვები, როცა დე ლორშს გადაუთარგმნეს, ის წამოდგა და განაცხადა: არა მხოლოდ მოწმედ დავდგები, რომ ყველაფერი რაინდული ჩვეულებებისა და ღვთის კანონების დაცვით მოხდა, არამედ მალბორგში ან რომელიმე სხვა მეფის კარზე თუ ვინმემ გაბედა ამაში დაეჭვება, იმწამსვე ორთაბრძოლაში გამოვიწვევ ქვეითად ან ცხენდაცხენ, ჩვეულებრივი რაინდი კი არა, გოლიათი ან ჯადოქარიც რომ იყოს და თვით მერლინსაც სჯობნიდესო თავისი ჯადოსნობით.

ამ დროს ქალბატონი დახრილიყო ჯერ ისევ მუხლმოყრილ ზბიშკოსთან და ეუბნებოდა:

– რატომ არ გიხარია? გაიხარე და მადლობა შესწირე უფალს, რომ თავისი გულმოწყალებით გიხსნა განსაცდელისაგან. არც ამის შემდეგ მიგატოვებს და ბედნიერებას მოგანიჭებს.

– რა მაქვს გასახარელი, მოწყალეო ქალბატონო? უპასუხა ზბიშკომ, – ღმერთმა ჯვაროსანზე, მართალია, გამამარჯვებინა, მაგრამ დანუსია ადრინდულებ შორსაა ჩემგან.

– აღარ არიან ჩვენი დაუძინებელი მტრები დანველდი. გოტფრიდი და როტგერი, – შეედავა ქალბატონი. – ზიგფრიდზე კი ასე ამბობენ, მკაცრია, მაგრამ იმათზე სამართლიანიო. ამისთვისაც მადლობა შესწირე შემოქმედს. ბატონმა დე ლორშმა თქვა, თუ ჯვაროსანი ბრძოლაში დაეცემა, მე წავასვენებ, მერე კი მაშინვე მალბორგს გავემგზავრები და თვით დიდ მაგისტრს მოვთხოვ დანუსიას განთავისუფლებასო. დიდ მაგისტრს ხომ ვერ გაუბედავენ ურჩობას.

– ღმერთმა კარგად გვიმყოფოს ბატონი დე ლორში, – თქვა ზბიშკომ, – მეც თან მივყვები მალბორგს.

ამის გაგონებაზე ქალბატონი ისე შეძრწუნდა, თითქოს ზბიშკოს ეთქვას, უიარაღოდ მივდივარ ზამთარში მაზოვიის ტყეებში გამოსული მგლების ხროვის პირისპირო.

– რატომ? – შესძახა მან. – ეს ხომ უეჭველი სიკვდილია? ამ ბრძოლის შემდეგ უმალ ვერც დე ლორში გიშველის, ვერც წერილები, როტერმა რომ დაწერა ორთაბრძოლის წინ. შენ ვერავის გადაარჩენ და თავსაც დაიღუპავ. მაგრამ ზბიშკო წამოდგა, გულხელი დაიკრიფა და თქვა:

– ვფიცავ ყოველივე წმინდას, არამცთუ მალბორგს, ცხრა მთას გადავლახავ. ღმერთმა იცის, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უნდა ვეძებო იგი. განა ჩემთვის გერმანელებთან ბრძოლა და ჭიდილი უფრო ადვილი არ არის, ვიდრე ობოლი გოგოს ჯურღმულში ჯდომა. რა თქმა უნდა, უფრო ადვილია! ზბიშკო დანუსიას გახსენებაზე ყოველთვის ღელავდა.

ახლაც ხმა უწყდებოდა, გეგონებოდათ, ყელში ბურთი გაეჩხირაო. ქალბატონი მიხვდა, რომ მისი ყველა თხოვნა ამაო იქნებოდა. ბორკილებს თუ დაადებდი და ჯურღმულში ჩააგდებდი, თორემ სხვა ვერაფერი დააკავებდა.

მაგრამ ზბიშკო იმწამსვე მაინც ვერ წავიდა. მაშინდელ რაინდს დაბრკოლება არ შეაკრთობდა, მაგრამ რაინდულ ადათს ვერ დაარღვევდა. გამარჯვებულს მთელი დღე შუაღამემდე ორთაბრძოლის ადგილზე უნდა გაეტარებინა, რათა დაემტკიცებინა, ბრძოლის ველი ჩემს ხელთაა და მზადა

ვარ ახალი ბრძოლისათვის, თუ მოკლულის რომელიმე ნათესავი ან მეგობარი მოისურვებს ჩემს გამოწვევასო. ამ წესს ჯარებიც კი იცავდნენ, რის გამოც ხშირად ჰკარგავდნენ იმ უპირატესობას, რომელსაც გამარჯვების შემდეგ სწრაფი წინსვლის შემთხვევაში მოიპოვებდნენ. ზბიშკოს აზრადაც არ მოსვლია ამ ულმობელი კანონის დარღვევა: ცოტა სული მოითქვა, აღჭურვილობა ჩაიცვა და შუაღამემდე იდგა ციხის ეზოში ზამთრის მოქუფრული ცის ქვეშ მტრის მოლოდინში, რომლის გამოჩენა სულაც არ იყო მოსალოდნელი.

შუაღამისას მაცნეებმა ბუკს დაჰკრეს და ამცნეს ყველას მისი საბოლოო გამარჯვება. მიკოლაი დლუგოლიასელმა ვახშმად და სათათბიროდ ზბიშკო მთავართან წაიყვანა.

VI

თათბირზე პირველი სიტყვა მთავარმა აიღო და თქვა:

– მთელი უბედურება ის არის, რომ არც წერილი და არც სხვა რამ საბუთი არა გვაქვს კომტურების წინააღმდეგ. თითქოს ჩვენი ეჭვები სამართლიანია, თვითონაც ასე ვფიქრობ, რომ იურანდის ასული მათი მოტაცებულია, მაგრამ რა? ისინი უარს გვტკიცავენ. მერე დიდმა მაგისტრმა საბუთები რომ მოგვთხოვოს, რას ვეტყვით? იურანდის წერილიც კი მათ სასარგებლოდ ლაპარაკობს.

– შენ ამბობ, – მოუბრუნდა მთავარი ზბიშკოს, – დაემუქრნენ და ეს წერილი ისე დააწერინესო. იქნებ ასეც არის. ასე რომ არ იყოს, მაშინ სიმართლე იმათ მხარეზე იქნებოდა და ღმერთი როტგერთან ბრძოლაში ვეღარ დაგეხმარებოდა, მაგრამ რაკი ერთი წერილი დააწერინეს, მეორეს წინ რაღა დაუდგებოდა, იქნებ თვითონაც აქვთ იურანდის მოწმობა – საცოდავი გოგოს მოტაცებაში ბრალი არ მიგიძღვითო. აჩვენებენ იმ წერილს მაგისტრს და მერე?

– დიდებულო მთავარო, განა თვითონ არა თქვეს, დანუსკა ყაჩაღებს წავართვით და ახლა ჩვენთან არისო.

– ვიცი, მაგრამ ახლა ამბობენ, შეგვეშალა და სხვა ქალი გამოდგაო. ყველაზე დიდი საბუთი კი ის არის, რომ თვითონ იურანდმა უარყო ის გოგო.

– იმიტომ უარყო, რომ სხვა აჩვენეს; სწორედ მაგაზე გაშმაგდა.

– ალბათ ასე იყო, მაგრამ ისინი იტყვიან, ამას თქვენ ფიქრობთო.

– მაგათი ტყუილი, – თქვა მიკოლაი დლუგოლიასელმა, – უღრან ტყესა ჰგავს. ნაპირზე კიდევ რაღაცას გაარჩევ, ცოტა მოშორებით კი ისეთი გაუვალი ტევრია, კაცი უეჭველად დაიბნევა და თავგზას დაკარგავს.

მერე თავისი სიტყვები ბატონ დე ლორშს უთარგმნა გერმანულად.

– თვითონ დიდი მაგისტრი, – შენიშნა დე ლორშმა, – მაგათ ათასჯერ სჯობია, იმისი ძმაც უხეშია, მაგრამ რაინდულ წესებს ყოველთვის იცავს.

– ეგ მართალია, – მიემხრო მიკოლაი, – მაგისტრი ურიგო კაცი არ არის, მაგრამ კარგად ვერ უჭირავს აღვირით კაპიტული და კომტურები და ვერაფერი გაუწყვია, თუმცა დიდად გულზე არ ახატია, ორდენი რომ ადამიანთა შეურაცხყოფას არაფრად მიიჩნევს. გაემგზავრეთ, გაემგზავრეთ, რაინდო დე ლორშ, და უამბეთ მას ყველაფერი, რაც ჩვენთან მოხდა. უცხოელების რიდი უფრო აქვთ, ვიდრე ჩვენი, ეშინიათ, სხვა მეფეთა კარზეც არ მივიდეს მაგათი ბოროტებისა და ვერაგობის ამბები. ხოლო როცა მაგისტრი საბუთს მოგთხოვთ, აი, რა უთხარით! „სიმართლეს მხოლოდ ღმერთი ხედავს, კაცმა კი უნდა ეძიოს ის. რაკი საბუთი გჭირდება, ეძებე კიდეც: უბრძანე, მოიარონ ყველა ციხესიმაგრე, დაკითხონ ხალხი, ნება მოგვეცი ჩვენც ვეძებოთ. მაგათი მონაჩმახი – ყაჩაღებმა მოიტაცეს ობოლიო, სისულელე და ზღაპარია, მეტი არაფერი“.

– მართალია, სისულელეებსა და ზღაპრებს ჰყვებიან, – გაიმეორა დე ლორშმა.

– ყაჩაღები ვერ გაბედავდნენ ვერც მთავრის სახლზე და ვერც იურანდის ქალიშვილზე თავდასხმას, და კიდეც რომ მოეტაცნათ, მხოლოდ და მხოლოდ გამოსასყიდისთვის, თანაც თვითონვე შეატყობინებდნენ – ჩვენ გვყავსო.

– მე ყველაფერს ამას მოვუყვები, – თქვა ლოტარინგიელმა რაინდმა, – და დე ბერგოვსაც მოვძებნი. ერთი ქვეყნის შვილები ვართ და, თუმცა არ ვიცნობ, ამბობენ, გრაფ გელდერნელის ნათესავიაო. ის იყო შჩიტნოში და მოუყვეს მაგისტრს, რაც თავისი თვალით ნახა.

ზბიშკომ ზოგი რამ გაიგო მისი სიტყვებიდან, ხოლო როცა მიკოლაიმ დანარჩენიც გადაუთარგმნა, მივარდა ბატონ დე ლორშს, მოეხვია და ისე ჩაიკრა გულში, კინაღამ გასრისა.

– შენ უეჭველად აპირებ წასვლას? – ჰკითხა მთავარმა ზბიშკოს.

– უეჭველად, დიდებულო მთავარო. აბა სხვა რა დამრჩენია? შჩიტნოს დაპყრობა მინდოდა, თუნდაც ცარიელი ხელებით ავიღებდი ციხეს, მაგრამ თვითნებურად ომს ხომ ვერ დავიწყებდი?

– ვინც ომს თვითნებურად დაიწყებდა, იმას თავის მოკვეთა არ ასცდებოდა, – უპასუხა მთავარმა.

– კანონი კანონია, – თქვა ზბიშკომ. – მერე სათითაოდ მინდოდა ყველა შჩიტნოელის გამოწვევა ორთაბრძოლაში, მაგრამ, ამბობენ, იურანდმა ხარებივით დასჭრა ყველას ყელი, და ახლა აღარც ვიცი, ვინ დარჩა ცოცხალი... მაგრამ ვფიცავ წმინდა ჯვარს, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ ვუღალატებ იურანდს!

– აი, ღირსეული სიტყვა რაინდისა! – შესძახა მიკოლაი დლუგოლიასელმა, – შენ მე ძალიან მომწონხარ და მაგ მხრებზე გონიერი თავიც გაბია, რადგან შჩიტნოში არ გაქცეულხარ; სულელიც კი მიხვდებოდა, რომ იქ არც იურანდს გააჩერებდნენ და არც მის ქალიშვილს და სხვა ციხესიმაგრეებში გადაიყვანდნენ. რაკი აქეთ წამოხველ, აი, ღმერთმა კიდეც გადაგიხადა და როტგერზე გამარჯვებით დაგაჯილდოვა.

– დიახ! – გაიხსენა მთავარმა. – ეს ხომ როტგერმაც გვითხრა: იმ ოთხთაგან ახლა მხოლოდ მოხუცი ზიგფრიდია ცოცხალი; დანარჩენები ღმერთმა უკვე დასაჯა ზოგი შენი ხელითა და ზოგიც იურანდის. ზიგფრიდი იმათსავით არამზადა არ არის, მაგრამ მათზე უფრო ულმობელია. კარგი დღე არ მოელით მის ხელში იურანდსა და დანუსიას, სასწრაფოდ უნდა მივეშველოთ. შენც რომ არაფერს გადაეყარო, მაგისტრთან წერილს გაგატან. გაიგონე და დაიმახსოვრე, რომ მასთან ელჩად კი არ მიდიხარ, არამედ როგორც ჩემი მაცნე, მაგისტრს კი, აი, რასა ვწერ. თუკი შესაძლებელი იყო თავს დამსხმოდნენ მე, მათ კეთილისმყოფელთა შთამომავალს, რატომ არ მოიტაცებდნენ დანუსიას, მით უმეტეს, რომ იურანდის ისეთი ჯავრი ჰქონდათ. მე ვთხოვ მაგისტრს, ბრძანოს დანუსიას მოძებნა და მაშინვე გადმოგცეს, თუკი ჩვენთან მშვიდობით ცხოვრება განუზრახავს.

ზბიშკო მუხლებზე ემთხვია მთავარს და შესძახა:

– იურანდი, დიდებულო მთავარო, იურანდი? იმასაც გამოექომაგე! თუ მისი ჭრილობები სასიკვდილოა, მშობლიურ მხარეში მაინც დალიოს სული თავისი ბავშვების ხელში.

– იურანდზეც მივწერე, – თქვა მოწყალედ მთავარმა, – მაგისტრმაც და მეც ორ-ორი მოსამართლე უნდა გავაგზავნოთ, რათა მათ განსაჯონ კონტურებისა და იურანდის საქმე რაინდული წესების მიხედვით. მოსამართლე-

ებმა კი თვითონ აირჩიონ მოთავე, და როგორც ისინი გადაწყვეტენ, ისე იქნება.

ამაზე თათბირი დამთავრდა და ზბიშკო, რომელიც სულ მალე გზას უნდა გასდგომოდა, მთავარს დაემშვიდობა; წასვლის წინ ცხოვრებაში გამოჯეკილმა და ჯვაროსნების ნირის კარგმა მცოდნე მიკოლაი დლუგოლიასელმა ბიჭი გვერდზე გაიყვანა და ჰკითხა:

– შენი ჩეხი საჭურველმტვირთველი თან მიგყავს გერმანელებში?

– ალბათ. სულ ერთია, არ მიმატოვებს. რატომ მეკითხებით?

– მეცოდება ვაჟკაცი. ყოჩაღი ბიჭია, მაგრამ დაფიქრდი, რასაც გეტყვი: შენ მალბორგიდან უვნებელი დაბრუნდები, თუ უფრო ძლიერ მოწინააღმდეგესთან არ მოგიხდა შებრძოლება, მაგას კი სიკვდილი არ ასცდება.

– რატომ?

– რატომ და ის ძაღლები მაგას დე ფურსის მკვლელობაში სდებენ ბრალს. ისინი ხომ აპირებდნენ მაგისტრთან დე ფურსის მოკვლაზე ჩივილს, ალბათ კიდეც იჩივლეს, ჩეხმა დაღვარა მისი სისხლი. მალბორგში არავინ აპატიებს ამას, სასჯელი და გასამართლება არ ასცდება. როგორ გინდა დაარწმუნო მაგისტრი, რომ უდანაშაულოა. დანველდსაც ხელი ამოუბრუნა. ის კი დიდი ჰოსპიტალერის ნათესავია. ძალიან მეცოდება და კიდევ ერთხელ გეუბნები: თუ ეგ შენ წამოგყვა, უეჭველად სიკვდილს მოიმკის.

– მე მაგას დასაღუპავად არსად წავიყვან: სპიხოვში დავტოვებ.

მაგრამ ყველაფერი სხვანაირად დატრიალდა და ჩენს აღარ დასჭირდა სპიხოვში დარჩენა.

მეორე დღეს ზბიშკო და დე ლორში თავიანთი მსახურებით გზას დაადგნენ. ქსონძმა ვიშონეკმა დე ლორში გაათავისუფლა ულრიკა დ’ელნერი-სადმი მიცემული აღთქმებისაგან და მიდიოდა ბედნიერი, მთელი მისი გონება ლამაზ იაგენკა დლუგოლიასელზე ფიქრს დაეპყრო და ხმას არ იღებდა; ზბიშკოს არ შეეძლო მასთან დანუსიაზე ლაპარაკი, რადგან ერთმანეთისა ცუდად ესმოდათ, და საუბარი გაუბა ჰლავას, რომელმაც ჯვაროსნებში წასვლაზე ჯერ არაფერი იცოდა.

– მე მალბორგში მივდივარ, – უთხრა მას ზბიშკომ, – და როდის დავბრუნდები, ერთმა ღმერთმა იცის... იქნებ სულ მალე, იქნებ გაზაფხულზე, ან ერთი წლის შემდეგ, ან სულაც არასოდეს, გასაგებია?

– გასაგებია. თქვენ, თქვენო მოწყალებავ, ალბათ იმიტომაც მიემგზავრებით, იქაურ რაინდებს გინდათ შეებრძოლოთ? ჰოდა, აი, მადლობა ღმერთს, რომ ყველა რაინდს ჰყავს თავისი საჭურველმტვირთველი.

– არა, იუარა ზბიშკომ, - მე იმათთან საბრძოლველად არ მივდივარ, ისე, ჩემდაუნებურად თუ გამოჩნდა ვინმე, არ ვიცი, შენ კი ჩემთან ერთად არ წამოხვალ, სპიხოვში დარჩები.

ეს რომ გაიგონა, ჩეხი ძლიერ დანაღვლიანდა და ჭმუნვას მიეცა. მერე შეეხვეწა თავის ახალგაზრდა ბატონს, არ დამტოვოო.

– მე ფიცი მაქვს დადებული, არ მიგატოვოთ არასოდეს, ჩემი სინდისი დავიფიცე ამისთვის ხატზე; თქვენ რომ იქ რამე მოგეწიოთ, მერე როგორღა უნდა გამოვჩნდე ზგოჟელიცში, ჩემს ქალბატონს როგორ უნდა დავენახვო? იმას შევფიცე. შემიბრალეთ, ნუ შემარცხვენინებთ პირს მის წინაშე.

– განა ის აღარ შეჰფიცე, რომ ყველაფერში დამემორჩილებოდი? – ჰკითხა ზბიშკომ.

– როგორ არა, შევფიცე. ყველაფერში მორჩილება შევფიცე გარდა ერთისა, რომ არ მიგატოვოთ. თუ მაინც არ გინდათ ჩემთან სიარული, შორიახლოს ვიქნები თქვენგან, რომ საჭირო შემთხვევაში მაშინვე მოგეშველოთ.

– მე შენ არ გიშორებ და არც არასოდეს მოგიშორებ, – უპასუხა ზბიშკომ, – მაგრამ ასეთი რა ტყვეობა მაქვს მოსჯილი, რომ ვერსად გამიგზავნიხარ, თუნდაც შორეულ გზაზე, და არც ერთი დღე არ შემიძლია უშენოდ დარჩენა? სულ მუდამ ჯალათივით თავზე ხომ არ უნდა მადგე? ბრძოლა რომ მომიხდეს, აბა, რითი უნდა დამეხმარო? მე ომზე არ ვამბობ, ომში ყველა იბრძვის, ორთაბრძოლაში კი ჩემს მაგივრად ხომ არ გახვალ. როტგერი რომ ჩემზე ღონიერი ყოფილიყო, იმისი საჭურველი კი არ გველაგებოდა ახლა აქ ფორანზე, იმას ელაგებოდა ჩემი. ისიც უნდა გითხრა, რომ შენთან მე იქ უფრო გამიჭირდება, შენი გულისთვის შეიძლება ცუდი რამ შემემთხვეს.

– ეს როგორ, თქვენო მოწყალებავ?

მაშინ კი ადგა ზბიშკო და მოუყვა ყველაფერს, რაც მიკოლაი დლუგოლიასელისგან გაიგო, რომ კომტურები თავის თავზე ვერ აიღებდნენ დე ფურსის სიკვდილის დანაშაულს, ამიტომ გადააბრალეს მას და დაუწყებენ ძებნასა და შურისძიებას.

– ხოლო თუ შეგიპყრეს, – დაასრულა მან, – მარტოს ხომ ვერ მიგატოვებ იმ ძაღლების ხელში, ჰოდა, შეიძლება შეგეწირო.

ჩამოექუფრა ჩემს სახე, ეს რომ გაიგონა; კარგად ესმოდა, ბატონი მართალი იყო, მაგრამ კიდევ სცადა თავისი გაეტანა.

– ვინც მე მნახა, ისინი ხომ ცოცხლები აღარ არიან: ზოგი სპიხოველმა ბატონმა ამოწყვიტა, როტგერი თქვენ მოჰკალით, თქვენო მოწყალებავ.

– შენ მსახურებმა დაგინახეს, ისინი მიჰყვებოდნენ შორიახლოს. ამას გარდა, ბებერი ჯვაროსანიც ცოცხალია და ახლა უკვე მალბორგშია, თუ არ არის და, მალე იქ გაჩნდება; ღმერთმაც ქნას, მაგისტრმა თვითონ გამოიძახოს.

ამაზე ჩეხს აღარაფერი ეთქმოდა და მათ უხმოდ განაგრძეს გზა სპიხოვამდე. იქ ყველა საბრძოლო მზადყოფნაში დაუხვდათ; ბებერი ტოლიმა ფიქრობდა, ან თვითონ ჯვაროსნები დაესხმიან დაბას, ან ზბიშკო დაბრუნდება და ის წაგვიყვანსო მოხუცი ბატონის გამოსახსნელად. ყველგან, ჭაობზე გადასასვლელებსა და თვით დაბაშიც, დარაჯები ჩაეყენებინათ, გლეხებიც შეიარაღებულები იყვნენ, იმათთვის ომი უცხო ხილი არ იყო და მდიდარ ნადავლზე ოცნებაში სიხარულითაც კი ელოდნენ გერმანელებს. ციხესიმაგრეში ზბიშკოსა და დე ლორშს ქსონძმა კალებმა უმასპინძლა და ვახშმის შემდეგ აჩვენა იურანდის ბეჭედდასმული პერგამენტი, რომელზედაც ქსონძს საკუთარი ხელით დაეწერა სპიხოველი რაინდის კარნახით მისი უკანასკნელი ნება-სურვილი.

– მე მისი ანდერძი, – თქვა ქსონძმა, – იმ ღამეს ჩავიწერე, შჩიტნოში რომ მიდიოდა. – აღარ ჰქონდა იმედი, რომ შინ მობრუნდებოდა.

– რატომ არაფერი მითხარით?

– არ შემეძლო. აღსარების დროს გამოტყდა, რის გაკეთებასაც აპირებდა. ხსოვნა იყოს მისი საუკუნო, ღმერთო განუსვენე სულსა მისსა...

– ნუ ლოცულობთ მისი სულის სახსენებლად. ის ჯერ ცოცხალია. ეს თქვა ჯვაროსანმა როტგერმა, რომელსაც მთავრის კარზე შევებრძოლე. ჩვენს შორის ღვთის სამსჯავრო იყო და მე ის მოვკალი.

– თუ ასეა, მაშინ მით უფრო არ დაბრუნდება იურანდი... ერთი ღმერთი თუ შეძლებს მის გადარჩენას...

– მე და ეს რაინდი მივდივართ იურანდის დასახსნელად იმათი ხელიდან.

– ჯერ არ გცოდნია კარგად, რას ნიშნავს ჯვაროსანთა ხელები; მე კი ვიცი, თხუთმეტი წელი ვიმსახურე იმათ მხარეში, სანამ იურანდმა არ მიმი-

კედლა აქ სპიხოვში. ღვთის მეტი იურანდს ვერავინ იხსნის. – ის ჩვენც დაგვეხმარება.

– ამინ!

მერე ქსონძმა გაშალა ანდერძი და დაიწყო კითხვა. მთელ თავის მიწებსა და ქონებას იურანდი დანუსიას და მის შვილებს უტოვებდა, ხოლო თუ ის უძეოდ გადაეგებოდა, მაშინ მის ქმარს ზბიშკო ბოგდანეცელს დარჩებოდა ყველაფერი. ანდერძის ბოლოს იგი მთავარს სთხოვდა ამ უკანასკნელი სურვილის შესრულებას: „თუ რაიმე კანონის მიხედვით ვერ არის, თვით მთავარმა განსაჯოსო“. ეს მინაწერი იმისათვის გაეკეთებინათ, რომ ქსონძმა კალებმა მხოლოდ საეკლესიო სამართალი იცოდა, დღემუდამ ომში გართულ იურანდს კი რაინდული წესების მეტი არა ესმოდა რა. ქსონძმა ანდერძი ზბიშკოს რომ წაუკითხა, სპიხოვის დაცვის უფროსებსაც გააცნო, მათ მაშინვე აღიარეს ახალგაზრდა რაინდი თავის ბატონად და ფიცი მისცეს ყველაფერში დამორჩილებოდნენ.

უფროსები ფიქრობდნენ, ზბიშკო ახლავე წაგვიძღვება მოხუცი ბატონის გამოსახსნელადო, რადგან მათ მკერდებში შმაგი გულები ძგერდა, ომი სწყუროდათ და იურანდსაც მეტად შეთვისებოდნენ. ძალიან დაღონდნენ, როცა გაიგეს, რომ შინ დარჩენა მოელოდათ და მხოლოდ ახალგაზრდა ბატონი და რამდენიმე მსახური წავიდოდა მალბორგში. ისიც არა საბრძოლველად, არამედ იმისათვის, რომ მოწიწებით ეთხოვათ კომტურების დასჯა. მათ უკმაყოფილებას ჩეხი გლოვაჩიც იზიარებდა, თუმცა მოხარული იყო, რომ ზბიშკოს ამდენი სიმდიდრე შეემატა.

– ეჰ! – თქვა მან, – ვის ვის და ყველაზე მეტად ეს ამბავი მოხუც ბოგდანეცელ ბატონს გაუხარდებოდა. გიყვარდეს დაამყარებდა აქ წესრიგს! ბოგდანეცი რა არის ამოდენა მამულთან შედარებით!

ზბიშკოს კი ერთბაშად მძიმე ნაღველი შემოაწვა ბიძამისის გახსენებაზე, ხშირად რომ დამართნია ცხოვრების მძიმე წუთებში. საჭურველმტვირთველს მიუბრუნდა და არც დაფიქრებულა, ისე უთხრა:

– აქ უქმად ჯდომას, გასწი ბოგდანეცს, წერილი მაინც წაიღე.

– რაკი თქვენს მოწყალებასთან წამოსვლა არ შეიძლება, სჯობს ისევ იქეთ გავეშურო, – გაიხარა საჭურველმტვირთველმა.

– იხმე ქსონძი კალები და სთხოვე დაწეროს აქაური ამბები დაწვრილებით, იქ კი ბიძაჩემს წერილს ქშესნიის ქსონძი წაუკითხავს, ან აბატი, თუ ახლა ზგოჟელიცშია.

ამ სიტყვებზე მან ხელი ჩამოისვა ახლად ამოღერილ ულვაშებზე და თითქოს თავისთვის თქვა:

– დიახ, აბატი!

და იმწამს თვალწინ დაუდგა იაგენკა, ლურჯთვალა, გრუზათმიანი, შველივით მოხდენილი, თვალცრემლიანი! რაღაც უხერხულად იგრძნო თავი, შუბლი მოიწმინდა და ჩაილაპარაკა:

„კი იდარდებ, გოგონი, თუმცა ჩემი დარდი შენსაზე ნაკლები არ არის“.

მოვიდა ქსონძი კალები და წერილის წერას შეუდგა. ზბიშკომ ყველაფერი დაწვრილებით აღწერა იმ წუთიდან მოყოლებული, რაც ტყის სახლში ჩამოვიდა. არაფერი დაუმალავს, რადგან იცოდა, ბებერი მაცკო კარგად გაუგებდა და კმაყოფილიც დარჩებოდა. აბა სად შეედრებოდა ბოგდანეცი სპიხოვის მდიდარსა და ხალვათ მამულს, მაცკო კი ყოველთვის წუწკი იყო სიმდიდრეზე.

დიდი ჯაფა დასჭირდათ, სანამ წერილი დაიწერებოდა და ბეჭდით დადასტურდებოდა. ზბიშკომ საჭურველმტვირთველი იხმო, წერილი ჩააბარა და უთხრა:

– თუ შენ და ბიძაჩემი აქ ჩამოხვალთ, ძალიან გამეხარდება.

მაგრამ ჩეხი დადარდიანებული ჩანდა, ერთ ადგილზე იტკეპნებოდა და არ მიდიოდა.

– რა მოგივიდა? – ჰკითხა ბოლოს ახალგაზრდა რაინდმა. – თუ კიდევ რამე გაქვს სათქმელი, თქვი.

– მე მინდა, თქვენო ბრწყინვალებავ... მინდა გკითხოთ, რა ვუამბო იქ ხალხს?

– რომელ ხალხს?

– აი, ბოგდანეცში კი არა, მეზობლად. ისინიც ხომ მოინდომებენ ამბების გაგებას.

ზბიშკოს გადაწყვეტილი ჰქონდა, ჩეხისთვის აღარაფერი დაემალა, ერთი თვალი შეავლო მას და უთხრა:

– შენ ხალხის დარდი კი არა გაქვს, იაგენკა ზგოჟელიცელზე მელაპარაკები.

ჩეხი უცებ წამოჭარხლდა, მერე გაფითრდა და უპასუხა: – დიახ იმაზე მოგახსენებთ, მოწყალეო ბატონო.

– მერე შენ საიდან იცი, იქნებ ის უკვე ჩტან როგოველის ან ვილკ ბჟოზოველის ცოლი გახდა.

– არავისი ცოლიც არ გამხდარა, – დიდგულად შეედავა საჭურველმტვირთველი.

– აბატი უბრძანებდა.

– აბატი ემორჩილება მას, და არა ის აბატს.

– მაშ რაღა გინდა? ადექი და იმასაც უამბე ყველაფერი მართალი.

ჩეხმა თავი დაუკრა და ცოტა გაბრაზებული გამოვიდა.

„ღმერთმა ქნას, – ფიქრობდა ის, – რომ დაგივიწყოს, ღმერთმა ქნას, შენზე უკეთესი იპოვოს, ხოლო თუ არ დავიწყნიხარ, მოვუყვები, რომ ცოლი კი შეირთე, მაგრამ არა გყავს ის ცოლი, და თუ ღმერთი ინებებს, უფრო ადრე დაქვრივდები, ვიდრე იმ ცოლთან ერთად სამთიობოში შეაბიჯებდე “.

საჭურველმტვირთველი ძალზე მიეჩვია ზბიშკოს, დანუსიაც ეცოდებოდა, მაგრამ იაგენკაზე მეტად ამქვეყნად არავინ უყვარდა და, როცა ცეხანოვში ორთაბრძოლის წინ გაიგო, ზბიშკოს ჯვარი დაუწერიაო, მას აქეთ გული დათუთქული ჰქონდა.

– ღმერთმა დაგაქვრივოს! – გაიმეორა კიდევ ერთხელ.

მაგრამ მალე, ეტყობა, უფრო ტკბილი ფიქრები ეწვია, რადგან ცხენებისკენ რომ მიდიოდა, ამბობდა:

– მადლობა ღმერთს, მის მუხლებთან მაინც დავეცემი.

ამასობაში ზბიშკო ციებიანივით აეტანა წასვლის ცახცახს; სხვა საფიქრალი არაფერი ჰქონდა – დანუსიასა და იურანდზე დარდს გაეწამებინა. არადა, ერთი ღამე მაინც უნდა დარჩენილიყვნენ სპიხოვში, რათა ბატონ დე ლორშს დაესვენა და დიდი გზისთვის მომზადებულიყო. თვითონ ზბიშკოც უზომოდ დაექანცა ორთაბრძოლას, ასპარეზზე მთელი დღის დგომას, გზას, უძილობასა და დარდს. შუაღამისას ის იურანდის ხმელ საწოლზე მიეგდო, იქნებ ცოტა ხნით მაინც მოვხუჭო თვალი, მაგრამ დაძინება ვერ მოასწრო, რომ სანდერუსმა მოუკაკუნა:

– თქვენ მე სიკვდილს გადამარჩინეთ, – უთხრა მან და თაყვანი სცა, – აქ ისე კარგად ვგრძნობდი თავს, როგორც ჯერ არავისთან მიგრძვნია. ახლა ღმერთმა დიდი მამულები გარგუნათ და გაგამდიდრათ, არც სპიხოვის სალაროებია ცარიელი. მიბოძეთ ერთი ქისა ფული, პრუსიას მივაშურებ, ცი-

ხესიმაგრიდან ციხესიმაგრეში ვივლი და, თუმცა ეს არც ისე უშიშარია ჩემთვის, იქნებ მაინც რამეში გამოგადგეთ.

ზბიშკოს ჯერ უნდოდა კინწისკვრით გაეგდო იგი, მერე ჩაფიქრდა; ერთი წუთის შემდეგ საწოლთან დადგმული სამგზავრო ჩანთიდან მოზრდილი ქისა ამოიღო, სანდერუსს გადაუგდო და უთხრა:

– დაიჭი და გასწი! თუ გაიძვერა ხარ, მომატყუებ, თუ წესიერი კაცი ხარ, გამომადგები.

– მე გაიძვერა ვარ, ბატონო, – უპასუხა სანდერუსმა, – და კიდევაც ვიტყუები, ოღონდ თქვენ არ მოგატყუებთ. თქვენ პატიოსნად მოგემსახურებით.

VII

ზიგფრიდ დე ლიოვე უკვე მალბორგში წასასვლელად იყო გამზადებული, როცა საფოსტო მოხელემ მოულოდნელად მოუტანა როტგერის წერილი მაზოვიიდან.

მოხუცი ჯვაროსანი ერთიანად ააფორიაქა ამ ამბებმა. უპირველეს ყოვლისა, წერილიდან ჩანდა, რომ როტგერს ოსტატურად გადაეცა მთავარ იანუშისთვის იურანდის ამბები და საქმე ბრწყინვალედ წაეყვანა. ზიგფრიდს კიდევაც გაეღიმა, როცა ის ადგილი წაიკითხა, როტგერს რომ მთავრისთვის შეურაცხყოფის ასანაზღაურებლად სპიხოვის მამულების ორდენისთვის გადაცემა მოეთხოვა. სამაგიეროდ, წერილის მეორე ნაწილში მაინცდამაინც სასიამოვნო ამბები ვერ იყო. როტგერი იტყობინებოდა, უფრო უკეთ რომ დამემტკიცებინა, ორდენს იურანდის ქალიშვილის მოტაცებაში ბრალი არ მიუძღვოდა, მაზოვიელ რაინდებს ხელთათმანი ვესროლე და ღვთის სამსჯავროზე გამოვითხოვე ყველა, ვინც ამაში დაეჭვდებოდაო... „ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაბედა ხელთათმანის აღება, – იწერებოდა როტგერი, – რადგან იცოდნენ, ჩვენ თვით იურანდის წერილი გვემოწმებოდა. ყველას ეშინოდა ღვთის სამართლისა; მაგრამ უცებ გამოჩნდა ღლაპი, რომელიც ჩვენ ტყის სახლში ვნახეთ, და მიიღო ჩემი გამოწვევა. ნუ გაგიკვირდებათ, ღვთისმოსავო და ბრძენო მამაო, თუ ორი-სამი დღით გვიან დავბრუნდე, რადგან გამოწვევა მე თვითონ ვიკისრე და ახლა უნდა ვიბრძოლო კიდეც. ეს ყველაფერი ორდენის სადიდებლად მოვიმოქმედე და იმედი მაქვს, არც დიდი მაგისტრი და არც თქვენ, ღვთისმოსავო მამაო, ვისაც მე პატივს ვცემ და მიყვარს, როგორც ღვიძლი მამა, ამას დანაშაულად არ ჩამითვლით. ჩემი მოწინააღმდეგე ბიჭუკელაა; მე კი, როგორც იცით, გამოცდილი ვარ. ასე რომ, ორდენის სადიდებლად სიამოვნებით დავღვრი მის სისხლს, მით უფრო, რომ იესო ქრისტეც დამეხმარება, ვისთვისაც ალბათ მისი ჯვრის მატა-

რებელი ხალხი უფრო ძვირფასია, ვიდრე ვიღაც იურანდი ან მაზურთა ტომის უბადრუკი გოგოს შეურაცხყოფა“.

ზიგფრიდი პირველ ყოვლისა იმან გააოცა, რომ იურანდის ქალიშვილი ქმრიანი აღმოჩნდა. იმ აზრმა, რომ სპიხოვში შეიძლებოდა ახალი საშინელი შურისმაძიებელი მტერი ჩასახლებულიყო, მოხუცი კომტურიც კი შეაძრწუნა. „სრულიად გასაგებია, – ფიქრობდა ის, – რომ ჩვენზე შურისძიებას არ ჩამოეხსნება, მით უმეტეს, თუ ცოლს იპოვის და ის მოუყვება, ვინც მოიტაცა ტყის სახლიდან! მაშინ აშკარა გახდება, რომ იურანდი აქ მხოლოდ დასაღუპავად გამოვიძახეთ და აზრადაც არავის მოსვლია მისთვის ქალიშვილის დაბრუნება“. ზიგფრიდმა ახლა ისიც იფიქრა, დიდი მაგისტრი მთავრის წერილების გამო შჩიტნოში ჩხრეკას მოაწყობს, მის წინაშე თავის გასამართლებლად მაინცაო. მაგისტრისა და კაპიტულისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მძლეთამძლე პოლონეთის მეფესთან ომის დროს მაზოვიელ მთავრებს მასში მონაწილეობა არ მიეღოთ. თანაც ამ მთავრების ჯარები მაზოვიელ შლიახტიჩთა სიმამაცისა და სიმრავლის გამო დიდი ძალა იყო და ამას ვერსად გაექცეოდნენ. მაზოვიის სამთავროებთან მშვიდობიანი დამოკიდებულებით ორდენი თავის საზღვრებზე უშიშროებას ინარჩუნებდა და საშუალება ჰქონდა ძალები მშვიდად მოეკრიბა. მალბორგში თვითონ ზიგფრიდსაც ხშირად გაუგონია ეს და იმედიც გამოუთქვამთ, ხელმწიფის დამარცხების შემდეგ საბაბი გვექნება მაზოვიაშიც შევიჭრათ და მაშინ კი ვეღარავინ გამოგლიჯავსო ჯვაროსნებს ხელიდან ამ მხარეს. ეს იყო დიდი და უტყუარი ანგარიში, ამიტომ იმაშიც დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ მაგისტრი ახლა ყველაფერს იღონებდა, ოღონდ მთავარი იანუში არ გაერისხებინა. მით უმეტეს, რომ მთავარს ცოლად ჰყავდა კეისტუტის ქალიშვილი და მისი გადაბირება უფრო ძნელი იყო, ვიდრე პლოცკელი ზემოვიტისა, რომლის მეუღლე რაღაც გაუგებარი მიზეზების გამო მთელი სულითა და გულით ორდენის მხარეზე იდგა.

ამაზე რომ ფიქრობდა, მოხუცი ზიგფრიდი, რომელიც მზად იყო ყოველგვარი დანაშაული, ვერაგობა და სიმკაცრე ჩაედინა ორდენის სახელისთვის, თავის სინდისს დაეკითხა: „ხომ არა სჯობს გავათავისუფლო იურანდი და მისი ქალიშვილი? მართალია, მაშინ აშკარა გახდება ჩვენი უპირობა და ამ ბოროტმოქმედების მთელი სისაძაგლე, მაგრამ ბრალი დანველდს დაედება, ის კი ცოცხალი აღარ არის. თუნდაც მაგისტრმა მკაცრად დაგვსაჯოს მე და როტგერი დანველდთან დამქაშობისთვის, ნეტავ მაინც ეს ხომ არ აჯობებს ორდენის სახელისთვის?“ მაგრამ ამ დროს იურანდი გაახსენდა და ბოროტმა სიძულვილმა იფეთქა მის შურისმაძიებელ ულმობელ გულში.

გაუშვას ჯვაროსნების დამთრგუნველი და ჯალათი, ამდენ შეტაკებებში გამარჯვებული, ამდენი მარცხისა და სირცხვილის მიზეზი, ეს ამწიოკებელი, დანველდის მკვლელი, დე ბერგოვის მაწამებელი და მაინეგერის მკვლელი, მკვლელი გოტფრიდისა და ჰიუგისა, კაცი, რომელმაც მხოლოდ შჩიტნოში დაღვარა გერმანელების იმაზე მეტი სისხლი, ვიდრე მთელ ბრძოლებში იღვრება ომის დროს! „არ შემიძლია! არ შემიძლია!“ – იმეორებდა ზიგფრიდი გულში და მხოლოდ ამის გაფიქრებაზეც მისი მტაცებლური თითები მუშტად იკრუნჩხებოდა, ბებერი გამომშრალი გულმკერდი კი ძლივს ისუნთქავდა ჰაერს. „მაგრამ თუ ეს ორდენს სარგებლობას მოუტანს და მის დიდებას მოემსახურება? თუ ცოცხლად დარჩენილ დამნაშავეთა დასჯით ორდენი თავის მხარეზე გადმოიყვანს მთავარ იანუშს, თავის მტერს, შეძლებს მასთან ხელშეკრულების დადებას, ან კავშირის შეკვრას?.. ძალიან ფიცხები კი არიან, მაგრამ ცოტას რომ მოეფერები, – ფიქრობდა მოხუცი კომტური, – ხელად ივიწყებენ ყველაფერს. თვითონ მთავარი ჩავიგდეთ ტყვედ საკუთარ მიწაზე, მაგრამ იმას სამაგიეროს გადახდა არ დაუწყია...“ ეჭვებით გაწამებული მოხუცი კომტური დარბაზში ბოლთის ცემას მოჰყვა, მაგრამ უცებ ზემოდან რაღაც ხმა ჩაესმა: „შეისმინე! დაელოდე როტგერს“. დიახ! როტგერს უნდა დაელოდოს. ის უეჭველად მოკლავს იმ ბიჭუკელას, მერე კი ან უნდა გადამალონ იურანდი და მისი ქალიშვილი, ან დააბრუნონ. პირველ შემთხვევაში მთავარს ისინი არ დაავიწყდება, მაგრამ რაკი დანამდვილებით არ ეცოდინება, ვინ მოიტაცა ქალიშვილი, დაუწყებს ძებნას, წერილებს გაგზავნის მაგისტრთან, ეცდება რაღაცას მიაკვლიოს, – საქმე გაჭიანურდება. მეორე შემთხვევაში ყველანი ისე გაიხარებენ, როცა იურანდის ქალიშვილი დაბრუნდება, რომ მისი მოტაცების გამო შურისძიებაც გადაავიწყდებათ. „ჩვენ კი ყოველთვის შეგვიძლია ვთქვათ, იმის შემდეგ ვიპოვეთ, იურანდი რომ თავს დაგვესხაო!“ ამ აზრმა სრულიად დაამშვიდა ზიგფრიდი. რაც შეეხებოდა თვითონ იურანდს, მან და როტგერმა კარგა ხანია მოიფიქრეს ისეთი საშუალება, კიდევაც რომ გაათავისუფლონ, აღარც შურისძიება შეეძლება და აღარც ბრალის დადება. ზიგფრიდის ულმობელი სული ზეიმობდა ამის გაფიქრებაზე.

ისიც ახარებდა, რომ ცეხანოვში ღვთის სამსჯავრო უნდა აღსრულებულიყო. მოხუცს ეჭვიც არ ეპარებოდა ამ სისხლისმღვრელი ბრძოლის შედეგში. გაიხსენა ასპარეზობა კრულევეცში, როცა როტგერმა აჯობა ორ სახელოვან რაინდს, რომლებიც თავის მშობლიურ ანდეგავენის ქვეყანაში უძლეველებად ითვლებოდნენ. მოიგონა ვილოსთან სპიტეკ მელშტინელის ამალის პოლონელ რაინდთან შერკინებაც, რომელიც აგრეთვე მოკლა როტ-

გერმა. სახეზე ნათელი მოეფინა, გული სიამაყით აევსო, რადგან თვითონ დაჰყავდა უკვე სახელოვანი რაინდი როტგერი ლიტვაში სალაშქროდ და ამ ტომთან ომის ხელოვნებაში აწრთობდა. ახლა კი მისი საყვარელი ვაჟი კიდევ ერთხელ დაღვრიდა საძულველ პოლონურ სისხლს და დიდებამოსილი დაბრუნდებოდა. ხოლო რაკი ეს ღვთის სამსჯავროცაა, ორდენს ყოველგვარი ლაქა მოსცილდებოდა... „ღვთის სამსჯავრო!..“ ერთი წამით მოხუც ჯვაროსანს გული შეეკუმშა, შიშმა გაუელვა. როტგერი სასიკვდილო ბრძოლაში გადის, რათა ჯვაროსნების უდანაშაულობა დაამტკიცოს; მაგრამ ისინი ხომ დამნაშავენი არიან, ესე იგი, ის ტყუილის დასაცავად იბრძვის... ვაითუ, უბედურება დაატყდეს! მაგრამ ერთი წამის შემდეგ ეს ზიგფრიდს სრულ უაზრობად ეჩვენა. როტგერს ვერ დაამარცხებენ.

მოხუცმა ჯვაროსანმა ცოტა გული რომ იპოვა, ახლა იმაზე დაფიქრდა, კარგი ხომ არ იქნება ჯერჯერობით დანუსია რომელიმე შორეულ ციხესიმაგრეში გადავმალო, სადაც მაზურებს ხელი არ მიუწვდებათო. მაგრამ მალე ესეც გადაიფიქრა. თავდასხმას ციხეზე დანუსიას ქმრის მეტი ვერავინ იკისრებდა, ის კი როტგერის ხელით უნდა დაღუპულიყო... ამის შემდეგ დაიწყებდნენ ქალბატონი და მისი მეუღლე გამოძიებას, გამორკვევას, საჩივრების წერას, ეს კი საქმეს უარესად აწეწავდა და ყველას თავგზას აუბნევდა, იმას რომ თავი დავანებოთ, რომ უსაშველოდ გაჭიანურდებოდა ყველაფერი. „სანამ ისინი ამ საქმის ასავალ-დასავალს გაიგებენ, – თქვა თავისთვის ზიგფრიდმა, – მე აღარ ვიქნები და იქნებ იურანდის ქალიშვილიც ჯვაროსანთა ტყვეობაში დაბერდეს“. რაკი ეროტგეროდ მაინც გაუჭირდა რაიმეს გადაწყვეტა, მოხუცმა ჯვაროსანმა ბრძანა, ციხის დასაცავად თადარიგი დაეჭირათ, თვითონ კი წასასვლელად გაემზადებინათ. მერე დაელოდა.

ამასობაში როტგერის დათქმულ ვადას ორი დღე გადაცდა, მერე მესამე და მეოთხე დღეც გავიდა, შჩიტნოს ალაყაფთან კი ჯერ არავინ ჩანდა. მხოლოდ მეხუთე დღეს, საღამოს პირს, მეკარის კოშკთან ბუკს დაჰკრეს. ზიგფრიდს ის იყო დაემთავრებინა მწუხრის ლოცვა და მაშინვე მსახური ბიჭი გაგზავნა, გამიგე, ვინ ჩამოვიდაო.

ბიჭი ცოტა ხნის შემდეგ დაბნეული დაბრუნდა, მაგრამ ზიგფრიდს არაფერი შეუმჩნევია, რადგან ცეცხლი ღუმელის სიღრმეში ენთო და თითქმის ვერ გაეფანტა სიბნელე.

– ჩამოვიდნენ? – ჰკითხა მოხუცმა რაინდმა.

– დიახ! – იყო პასუხი.

მაგრამ ხმა ისე აჟღერდა, რომ ჯვაროსანს ეუცნაურა და ჰკითხა:

– ბერი როტგერი?

– ბერი როტგერი ჩამოასვენეს.

ზიგფრიდი წამოდგა სავარძლიდან. ხელი დიდხანს ვერ გაუშვა სახელურს, თითქოს დაცემის ეშინიაო, და ყრუდ წაილაპარაკა:

– მომაწოდე მოსასხამი! ბიჭმა მხრებზე ლაბადა მოასხა; მოხუცმა რაინდმა, ეტყობა, შეძლო თავის დაოკება, კაპიუშონი თვითონვე წამოიხურა და ოთახიდან გავიდა.

ცოტა ხანში ის წყვდიადით მოცული ციხესიმაგრის ეზოში იყო. ხრაშუნა თოვლში ნელი ნაბიჯით გაემართა მარხილისაკენ, რომელიც ის იყო ჭიშკარში შემოვიდა და შორიახლოს გაჩერდა. იქ უკვე ხალხი ირეოდა და ციხის დაცვას რამდენიმე ჩირაღდნის მოტანაც მოესწრო. მოხუცი რაინდი რომ დაინახეს, კნეხტებმა გზა დაუთმეს. ჩირაღდნის ალის ციმციმზე მოჩანდა შეშფოთებული სახეები და ისმოდა ხალხის ჩურჩული:

– ბერი როტგერი...

– ბერი როტგერი მოკლეს...

ზიგფრიდი მივიდა მარხილთან, სადაც თივაზე მოსასხამგადაფარებული ნეშტი ესვენა, და ლაბადის კალთა ახადა.

– მომინათეთ, - ბრძანა მან და კაპიუშონი გადაიწია.

ერთმა კნეხტმა ჩირაღდანი დახარა და მოხუცმა ჯვაროსანმა დაინახა როტგერის თავი, თოვლივით თეთრი გაშეშებული პირისახე. ნიკაპი შავი ხელსახოცით აეკრათ, რომ ქვედა ყბა არ ჩამოვარდნოდა. ამის გამო სახე რაღაცნაირად შეჭყლეტოდა და ისე შეცვლილიყო, ვეღარც იცნობდით. თვალები დახუჭული ჰქონდა, მის გარშემო და საფეთქლებზე ლურჯი ლაქები გასჩენოდა. ლოყები დათრთვილვოდა.

გამეფებულ სიჩუმეში კომტური დიდხანს დასცქეროდა ცხედარს, ხალხი კი კომტურს შეჰყურებდა; ყველამ იცოდა, რომ განსვენებული მას შვილივით უყვარდა. მაგრამ მოხუცს ერთი ცრემლიც არ ჩამოვარდნია, მხოლოდ სახე უარესად ჩაექუფრა და გამყინავი სიმშვიდის იერი გადაეკრა.

– აი, როგორი გამომიგზავნეს უკან! – წარმოთქვა ბოლოს მან.

და მაშინვე ციხის მნეს მიუბრუნდა:

– შუაღამემდე კუბო მზად იყოს და ცხედარი სამლოცველოში დაასვენეთ.

– ერთი კუბო დაგვრჩა, იურანდის დახოცილ ხალხს რომ გავუკეთეთ, იქიდან, – უთხრა მნემ. – მხოლოდ მაუდს ამოვაკვრევინებ.

– ცხედარს მოსასხამი გადააფარეთ, – ბრძანა ზიგფრიდმა და როტგერს სახე დაუფარა, – ოღონდ ასეთი კი არა, ორდენის მოსასხამი.

ერთი წუთის მერე დაუმატა:

– კუბოს სახურავი არ დაახუროთ. მარხილს ხალხი მიუახლოვდა. ზიგფრიდმა კვლავ წამოიფარა კაპიუშონი, მაგრამ სანამ წავიდოდა, რაღაცა გაახსენდა და იკითხა:

– ვან ქრისტი სადღაა?

– ისიც მოკლეს, – უპასუხა ერთმა მსახურმა, – მაგრამ იძულებული გავხდით ცეხანოვში დაგვემარხა, რადგან ცხედარმა გახრწნა დაიწყო.

– გასაგებია.

ზიგფრიდი ნელი ნაბიჯით გაემართა და შინ მიბრუნებული ისევ იმ სავარძელში ჩაჯდა, რომელშიც ეს ამბავი შეიტყო; სახე გაქვავებოდა, დიდხანს იჯდა გაუნძრევლად, მსახურ ბიჭს კიდევაც შეეშინდა, კარიდან ჭვრეტა დაუწყო.

გადიოდა საათები, ციხეში ნელ-ნელა მიწყდა ჩვეულებრივი ხმაური, მხოლოდ სამლოცველოს მხრიდან მოისმოდა ჩაქუჩის ყრუ კაკუნი. მერე მდუმარებას აღარაფერი არღვევდა, ქონგურებზე გუშაგთა გადაძახილის მეტი.

შუაღამე იყო, როცა მოხუცი რაინდი ბოლოს და ბოლოს თითქოს ძილიდან გამოფხიზლდა და მსახური იხმო.

– სად არის ბერი როტგერი? – ჰკითხა მან.

მაგრამ ბიჭი ისე დაეფრთხო ყველაფერს, რაც მოხდა, სიჩუმესა და უძილობას, ეტყობა, კითხვას ვერ მიუხვდა, შეშინებულმა შეხედა და ხმის კანკალით უპასუხა:

– მე არ ვიცი, ბატონო!

მოხუცს კი გაეღიმა საშინელი ღიმილით და ტკბილად ჰკითხა:

– მე გეკითხები, შვილო ჩემო: ის უკვე სამლოცველოშია თუ არა?

– დიახ.

– კეთილი. უთხარი დიდერიხს, გასაღებები და ფარანი მოიტანოს და აქ დამელოდოს. თან ქვაბი და ნახშირი წამოიღოს. სამლოცველოში სინათლე არის?

– კუბოსთან სანთლები ანთია.

ზიგფრიდმა მოსასხამი მოიხურა და გავიდა.

სამლოცველოში რომ შევიდა, მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ არისო, მერე კარი ჩაკეტა, კუბოსთან მივიდა, ექვსიდან ორი სანთელი დატოვა ანთებული დიდრონ სპილენძის შანდლებში და დაიჩოქა.

ტუჩები გაშეშებოდა. არ ლოცულობდა. რამდენიმე წამს დაჰყურებდა როტგერის გაქვავებულ, მაგრამ ჯერ ისევ ლამაზ სახეს, თითქოს სურდა სიცოცხლის ნიშანწყალი შეემჩნია.

მერე ამ სიჩუმეში ყრუდ ჩასძახა:

– ჩემო შვილო. შვილო ჩემო!

და გაჩუმდა. გეგონებოდათ, პასუხს ელისო.

მერე კლანჭებივით გამხმარი თითები ცხედარზე გადაფარებული მოსასხამის ქვეშ შეაცურა და მკერდი გაუსინჯა. მხართან ღრმა ჭრილობას წააწყდა, რომელიც მარჯვენა ბეჭიდან იწყებოდა და იღლიისაკენ მიდიოდა; ჭრილობაში თითები ჩაჰყო, მთელ სიგრძეზე ჩაჰყვა და ცახცახით რაღაც ჩივილის მსგავსი წარმოთქვა:

– ოჰ!... როგორი ულმობელი დარტყმაა!.. შენ კი მწერდი, ჩემი მოწინააღმდეგე ნამდვილი ბიჭუკელააო... მთელი ხელი! მთელი ხელი! რამდენჯერ აღგიმართავს იგი ურჯულოების წინააღმდეგ ორდენის დასაცავად, ახლა კი პოლონურმა ნაჯახმა მოგჩეხა... აი, შენი ბოლო! აი, შენი აღსასრული! არ დაგიცვა ღმერთმა, ჩანს, გული დიდად არ შესტკივა ჩვენს ორდენზე. მეც მიმატოვა, თუმცა წლების მანძილზე ვემსახურებოდი.

სათქმელი პირზე მიეყინა, ტუჩები აუცახცახდა და სამლოცველოში კვლავ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

– შვილო ჩემო! შვილო ჩემო!

ზიგფრიდის ხმაში ახლა მუდარა ისმოდა, მაგრამ როტგერს უფრო წყნარად უხმობდა, თითქოს სურს მნიშვნელოვანი და საშინელი საიდუმლო ათქმევინოსო.

– შენ თუ კვლავ აქა ხარ, შენ თუ ჩემი გესმის, მანიშნე; გაანძრიე ხელი ან ერთი წამით გაახილე თვალი; გული მიკვნესის, ჩემი ბებერი გული... მანიშნე რამე, მე ხომ ასე ძალიან მიყვარდი, მანიშნე!...

ის ხელებით დაეყრდნო კუბოს ნაპირს, ძერის თვალებით როტგერის დახუჭულ თვალებს დააცქერდა და დაელოდა.

– ო! როგორ მეტყვი რამეს, – თქვა მან ბოლოს, – თუკი შენგან სამარის სიცივე და სიკვდილის სუნი მოდის. მაგრამ რაკი შენ დუმხარ, მე გეტყვი რაღაცას. დაე აქ, ანთებულ სანთლებთან, მოფრინდეს სული შენი და მოისმინოს.

ზიგფრიდი დაიხარა მიცვალებულის სახესთან.

– გახსოვს, კაპელანმა ნება არ მოგვცა მოგვეკლა იურანდი და ჩვენ მას შევფიცეთ? კეთილი, მე შევასრულებ იმ ფიცს, მაგრამ შენ სულ ერთია გაგახარებ, სადაც არ უნდა იყო ახლა.

ამ სიტყვებზე ის კუბოს მოსცილდა, შანდლები თავის ადგილზე დადგა, ცხედარს ლაბადა გადააფარა, სახეც დაუფარა და სამლოცველოდან გამოვიდა.

მისი ოთახის კართან ღრმად ჩასძინებოდა მსახურ ბიჭს, ოთახში კი ბრძანებისამებრ დიდერიხი ელოდებოდა.

ეს იყო დაბალი ტანის ჯმუხი კაცი, მოგრეხილი ფეხები და ოთხკუთხა მხეცური სახე ჰქონდა. მხრებამდე ჩამოშვებული მუქი ფერის კბილანა თალფაქი ნახევრად უფარავდა სახეს. ტანზე კამეჩის დაუმუშავებელი ტყავის ხიფთანი ემოსა. ასეთივე ქამარი ერტყა, ზედ გასაღებების შეკვრა ეკიდა და მოკლე დანა გაერჭო. მარჯვენა ხელში ბუშტგაკრული რკინის ფარანი ეკავა, მარცხენაში – სპილენძის ქვაბი და ჩირაღდანი.

– მზადა ხარ? – ჰკითხა ზიგფრიდმა.

დიდერიხმა უხმოდ დაუქნია თავი.

– გიბრძანე, ქვაბი ნახშირით გქონდეს-მეთქი სავსე.

ჩასკვნილმა კაცმა კვლავ არაფერი უპასუხა, მხოლოდ ღუმელში აგიზგიზებულ უზარმაზარ მორებზე მიუთითა, იქვე ბუხართან მიყუდებული რკინის ნიჩაბი აიღო, მორებქვეშ ნახშირი მოჩხრიკა და ქვაბში ჩაყარა. მერე ფარანიც აანთო და დაელოდა.

– ახლა კი მისმინე, ძაღლო, – უთხრა ზიგფრიდმა. – ერთხელ შენ წამოგცდა, რა გაგაკეთებინა დანცელდმა, და ამის გულისთვის კომტურმა

ბრძანა ამოეგლიჯათ შენთვის ენა. მაგრამ კაპელანს თითებითაც შეგიძლია გააგებინო, რაც გინდა; მაშ დაიხსომე: თუ გაბედავ და შეეცდები აჩვენო მას, რასაც ახლა ჩემი ბრძანებით გააკეთებ, მაშინვე ჩამოვახრჩობინებ შენს თავს.

დიდერიხმა ისევ უხმოდ დაუკრა თავი. მაგრამ საშინელმა მოგონებამ უცებ სახე მოუქცია, რადგან ენის ამოგლეჯის მიზეზი სულ სხვა იყო და არა ის, რაც ზიგფრიდმა თქვა.

– ახლა გასწი და გამიძეხ იურანდის ჯურღმულში.

ჯალათმა თავისი ვეება ხელი დასტაცა ქვაბის სახელურს, აიღო ფარანი და გასწიეს. კართან მძინარე ბიჭს ჩაუარეს, კიბე ჩაათავეს და გასასვლელისკენ კი არ წასულან, კიბის ქვეშ შეძვრნენ, რომლის იქით მთელი შენობის სიგანეზე მიემართებოდა ვიწრო დერეფანი და ნიშში ჩამალული მძიმე ერთსაგდულიანი კარით მთავრდებოდა. დიდერიხმა კარი გააღო და ორთავე ლია ცის ქვეშ აღმოჩნდა, პატარა ეზოში, რომელიც ოთხი მხრიდან ქვის ამბრებით იყო ჩახერგილი. აქ ინახავდნენ ხორბლის მარაგს იმ შემთხვევისათვის, თუ მტერი ციხესიმაგრეს ალყა შემოარტყამდა. მარჯვნივ ერთი ასეთი ამბრის ქვეშ მოთავსებული იყო პატიმრების ჯურღმული. აქ არავითარი დაცვა არ ეყენათ, რადგან პატიმარი ჯურღმულიდან კიდევაც რომ გამოქცეულიყო, აღმოჩნდებოდა ეზოში, რომლის ერთადერთი გასასვლელი მას შენობაში შეიყვანდა.

– მოიცა! – უთხრა ზიგფრიდმა.

ის ხელით კედელს მიეყრდნო და შეჩერდა, კარგად ვერ იყო, ჰაერი არა ჰყოფნიდა, თითქოს მკერდი ვიწრო ფოლადის ჯავშანში ჩაეჭიდათ. მის ბებრულ ძალ-ღონეს აღემატებოდა გადატანილი უბედურება. იგრძნო, რომ კაპიუშონის შიგნით შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა და გადაწყვიტა ცოტა დაესვენა.

მოღრუბლული დღის შემდეგ უჩვეულოდ მოწმენდილი ღამე დადგა, მთელი პატარა ეზო განათებული იყო და თოვლიც მთვარის შუქზე მწვანედ ელავდა. ზიგფრიდი ხარბად ისუნთქავდა სუფთა ყინულოვან ჰაერს. გაახსენდა, რომ როტგერი სწორედ ასეთი ნათელი ღამით გაემგზავრა ცეხანოვში, საიდანაც ცოცხალი ვეღარ დაბრუნდა.

– ახლა კი შენ სამლოცველოში წევხარ, – ჩუმად ჩაიდუდუნა ზიგფრიდმა. დიდერიხს ეგონა, მე მეუბნებიანო რაღაცას, ფარანი ასწია და მოხუცის მკვდარივით გაფითრებულ სახეს მიაჩერდა. ეს თავი მას ბებერ ფასკუნჯს ახსენებდა.

– გამიძეხ! – უთხრა ზიგფრიდმა.

ფარნის ყვითელი სინათლე ისევ აბორიალდა თოვლზე და მათ გზა განაგრძეს. ამბრის სქელ კედელში ღრმული იყო და რამდენიმე საფეხურს თუ ჩაივლიდით, რკინის დაბალ კარს მიადგებოდით. დიდერიხმა ეს კარიც გააღო და ხახადაღებული სიბნელისაკენ დაეშვნენ, თან ფარანს მაღლა სწევდა, რომ კომტურისათვის გზა გაენათებინა. კიბის ბოლოში დერეფანი იწყებოდა, დერეფანში კი მარჯვნივ და მარცხნივ ჯურღმულის პატარა კარები მოჩანდა.

– იურანდთან! – ბრძანა ზიგფრიდმა.

წუთიც და კარი აჭრიალდა. ისინი შევიდნენ. საკანში განუმტევი სიბნელე იყო. ზიგფრიდი ფარნის ჭიატა სინათლეზე ვერაფერს არჩევდა და ჩირაღდნის ანთება ბრძანა; ჩირაღდნის მძლავრ შუქზე მან თივაზე მწოლარე იურანდი დაინახა. ტყვეს ფეხებზე ბორკილები ედო. ხელებზე შედარებით გრძელი ჯაჭვი ჩაებათ, რათა პირთან საჭმლის მიტანა შესძლებოდა. ტანზე ისევ ის სამარცხვინო ტომარა ეცვა, რომელშიც მოხუცი რაინდი კონტურებს წარუდგა, ოღონდ ახლა სისხლის მუქ ლაქებს დაეფარა: იმ დღეს, როცა ტკივილისა და რისხვისაგან გონდაკარგულ იურანდს კნეხტებმა ბადე გადააცვეს, რათა ბრძოლა შეწყვეტილიყო, აფთებით მოუნდომეს ბოლოს მოღება და ჭრილობებით დასერეს. შჩიტნოს კაპელანმა არ დართო მოხუცის მოკვლის ნება, ჭრილობები კი სასიკვდილო არ აღმოჩნდა; მაგრამ იურანდმა იმდენი სისხლი დაკარგა, რომ საკანში ცოცხალმკვდარი ჩაიყვანეს. ციხესიმაგრეში ყველა ელოდა, მოხუც რაინდს მალე სული ამოსძვრებაო, მაგრამ ისეთი გოლიათი იყო, სიკვდილს აჯობა და ცოცხალი დარჩა, თუმცა მისი ჭრილობების შეხვევაზე არავის უფიქრია და საშინელ ჯურღმულში ჩააგდეს, სადაც თოვლის დნობის დროს თაღებიდან წყალი წვეთავდა, ხოლო ყინვაში კედლები ყინულით იფარებოდა.

ის თივაზე იწვა ბორკილებდადებული, დასუსტებული, მაგრამ ისეთი ვეება, გეგონებოდათ, კლდის ნატეხისთვის ადამიანის ფორმა მიუციათო. ზიგფრიდმა ბრძანა ფარანი მიენათებინათ და დიდხანს უხმოდ ათვალიერებდა იურანდის სახეს. მერე დიდერიხს მიუბრუნდა:

– ხედავ, მას მხოლოდ ერთი თვალი აქვს. ამოსწვი ეს თვალი.

ზიგფრიდის ხმაში რაღაც უძლურება და ბებრული სისუსტე იგრძნობოდა. ამიტომ ეს საშინელი ბრძანება კიდევ უფრო საზარლად ჟღერდა. ჯალათს ხელში ჩირაღდანი აუცახცახდა, მაგრამ მაინც დაიხარა და იურანდს

თვალზე ცხელი ფისის წვეთები დაედინა. მალე თვალის მთელი ორმო დაიფარა – წარბიდან ყვრიმალამდე.

იურანდს კრუნჩხვამ დაუმახინჯა სახე, ქერა ულვაშები აებურძგლა, ტუჩები გაეხსნა და კბილზე დაჭერილი კბილი გამოაჩინა, მაგრამ მოხუც რაინდს კრინტიც არ დაუძრავს. უკიდურესი სისუსტის ბრალი იყო თუ მისი საშინელი ბუნებისათვის დამახასიათებელი სიმტკიცის, ერთხელაც არ დაუკვნესია.

ზიგფრიდმა კი თქვა:

– ჩვენ თავისუფლებას შეგპირდით და შევასრულებთ კიდეც, მაგრამ ორდენზე ცუდს ვერაფერს იტყვი, რადგან ამოგგლეჯენ ენას, რომლითაც ლანძღვას ანთხევდი მასზე.

და ისევ ანიშნა დიდერიხს; მაგრამ მან რაღაც უცნაურად წაიღმუვლა და დაანახვა მოხუცს – ორთავე ხელი მჭირდება და მომინათეო.

ზიგფრიდმა გამოართვა ჩირაღდანი და აცახცახებული ხელით მიუნათა. როცა დიდერიხი მუხლებით შედგა მკერდზე იურანდს, მოხუცმა თავი მიაბრუნა და ჯურღმულის შეყინულ კედელს მიაჩერდა.

ბორკილებმა გაიჩხარუნეს, მერე მძიმე სუნთქვა შემოესმათ, ყრუ, ხანგრძლივ კვნესას რომ წააგავდა, და ყველაფერი მიჩუმდა.

ისევ გაისმა ზიგფრიდის ხმა:

– იურანდ! ეს სასჯელი ისედაც მოსახდელი გქონდა; მაგრამ მე შევპირდი როტგერს, რომელიც შენი ქალიშვილის ქმარმა მოკლა, კუბოში ჩავატანო შენი მარჯვენა ხელი.

დიდერიხი ის იყო წამოდგომას აპირებდა, და ეს სიტყვები რომ გაიგონა, ისევ დაიხარა იურანდისკენ.

ცოტა ხნის მერე მოხუცი კომტური და დიდერიხი მთვარით გაჩახჩახებულ ეზოში გამოვიდნენ. დერეფანი რომ გაიარეს, ზიგფრიდმა ჯალათს ფარანი და ნაჭერში გახვეული რაღაც ნივთი გამოართვა და თავის თავს ხმამაღლა უთხრა:

– ახლა ისევ სამლოცველოში, მერე კი კოშკში.

დიდერიხმა წამით გადახედა მას, მაგრამ კომტურმა უბრძანა დასაძინებლად წასულიყო, თვითონ კი ფარნის ქნევით სამლოცველოს განათებულ ფანჯრებს მიაშურა. გზაზე დაფიქდა ყველაფერზე, რაც მოხდა. რაღაც საოცარი რწმენა დაეუფლა, რომ დასასრული უახლოვდებოდა, რომ ეს მისი

უკანასკნელი ნამოქმედარი იყო ამ ქვეყანაზე; და თუმცა სული იმდენად ცბიერი არა ჰქონდა, რამდენადაც ულმობელი, მკაცრი აუცილებლობის გამო მაინც ისე იყო შეჩვეული ხრიკებს, თაღლითობას და ორდენის სისხლიან ბოროტმოქმედებათა დაფარვას, რომ ახლაც უნებურად ფიქრობდა, როგორ აეცდინა თავის თავისა და ორდენისთვის სამარცხვინო ლაქა და პასუხისმგებლობა იურანდის წამების გამო. დიდერიხი მუნჯი იყო, ვერაფერში გამოტყდებოდა და, თუმცა კაპელანს ნიშნებით ახვედრებდა ხოლმე რაღაცეებს, უბრალოდ შიშით ვერ ეტყოდა ვერაფერს. მაშ ვის შეეძლება დაამტკიცოს, რომ ყველა ჭრილობა იურანდმა ხელჩართული ბრძოლის დროს არ მიიღო? ენა შეიძლებოდა შუბის დარტყმით წაეჭრათ, მარჯვენა ხელი მახვილით ან ცულით მოეკვეთათ, თვალი კი ერთადერთი ჰქონდა და რა არის საკვირველი იმაში, რომ ფიცხელ ბრძოლაში ამოეგდოთ, როცა მარტოდმარტო დაესხა თავს შჩიტნოს მთელ დაცვას. ოჰ, იურანდ! ბებერ ჯვაროსანს გული აუძგერა უკანასკნელმა სიხარულმა, რომელიც ახლა უნდა განეცადა. დიახ, თუ ცოცხალი გადარჩა იურანდი, გაათავისუფლებენ! ახსოვს, როგორ ელაპარაკა ამაზე როტვერს და იმან სიცილით როგორ უთხრა: „მერე წავიდეს იქით, საითაც თ ვ ა ლ ე ბ ი წ ა ი ყ ვ ა ნ ე ნ, და თუ სპიხოვისკენ გზას ვერ გაიგნებს, ხალხს დ ა ე კ ი თ ხ ო ს, საით წავიდეს“. რაც ახლა მოხდა, ნაწილობრივ მათ ადრევე გადაწყვიტეს იურანდს. მაგრამ როცა ზიგფრიდი კვლავ შევიდა სამლოცველოში, კუბოსთან ჩაიჩოქა და იურანდის გასისხლიანებული ხელი ფეხებთან დაუდო როტგერს, ის სიხარული, ერთი წუთის წინ გული რომ აუჩქროლა, ახლა სახეზეც გამოეხატა,

– შეხედე, შვილო, – უთხრა მან, – მე იმაზე მეტი მოვიმოქმედე, რაც გადაწყვეტილი გვქონდა, რადგან მეფე იოანე ლუქსემბურგელი, – ბრმა გამოვიდა საბრძოლველად და მამაცურად დაიღუპა, იურანდი კი ვეღარასოდეს შესძლებს ბრძოლას და ძაღლივით ჩაკვდება სადმე ღობის ძირში.

ზიგფრიდს ისევ შეეხუთა სული, სწორედ ისე, როგორც წეღან, იურანდთან რომ მიდიოდა, თავი საშინლად დაუმძიმდა, თითქოს რკინის ჩაფხუტი დაახურესო; მაგრამ ეს სულ ერთ წამს გაგრძელდა. მერე ღრმად ამოისუნთქა და თქვა:

– ეტყობა, ჩემი აღსასრულიც დადგა. შენს მეტი არავინ მყავდა და შენც დაგკარგე. მაგრამ თუ სიცოცხლე მიწერია, გეფიცები, შვილო ჩემო, შენს საფლავზე კიდევ ერთ ხელს დავდებ, ხელს შენი მკვლელისას, ან მე თვითონ შევეწირები. შენი მკვლელი ხომ ისევ ცოცხალია...

ამ სიტყვებზე ბებერ ჯვაროსანს კრიჭა შეეკრა და ისე დაემანჭა სახე, რომ სიტყვები პირზე შეეყინა. მხოლოდ კარგა ხნის მერე ალაპარაკდა ისევ ნაწყვეტ-ნაწყვეტ:

– დიახ... შენი მკვლელი ისევ ცოცხალია, მაგრამ სადაც არ უნდა იყოს, სულ ერთია, ვიპოვი და ისე ვაწამებ, სიკვდილი სანატრელი გაუხდეს.

და დადუმდა.

ერთი წუთის შემდეგ ის წამოდგა, კუბოს მიუახლოვდა და მშვიდად უთხრა:

– ახლა კი გემშვიდობები... უკანასკნელად დაგხედავ სახეზე, იქნებ მივხვდე, გაგახარა თუ არა ჩემმა ფიცმა. უკანასკნელად!

– მან გადახადა როტგერს და მოულოდნელად უკან მიაწყდა.

– შენ იცინი... - თქვა მან. – როგორ საშინლად იცინი...

ლაბადაგადაფარებული ცხედარი, ალბათ სანთლების სითბოზე, საოცრად სწრაფად იხრწნებოდა, სახე კი ახალგაზრდა კომტურს რაღაც საზარელი გახდომოდა. ყურები გასიებოდა და ჩაშავებოდა, ლურჯი გამობუშტული ტუჩები კი რაღაცნაირად მოღრეცოდა, გეგონებოდათ იცინისო.

ზიგფრიდმა სასწრაფოდ გადააფარა ლაბადა ადამიანის ამ საშინელ ნიღაბს. მერე ფარანი აიღო და გამოვიდა. გზად მესამედ შეეხუთა სული; შინ რომ მიბრუნდა, თავის მაგარ მონაზვნურ საწოლზე მიეგდო და რამდენიმე ხანს უმოძრაოდ იწვა. ეგონა, ჩამეძინებაო, მაგრამ უცებ საოცარმა გრძნობამ შეიპყრო: მოეჩვენა, რომ ვეღარასოდეს დაიძინებდა, და თუ ამ ოთახში დარჩებოდა, ახლავე სული გასძვრებოდა.

ზიგფრიდს სიკვდილისა არ ეშინოდა. ის დაიქანცა, დაძინების იმედი დაკარგა და სიკვდილში მხოლოდ უსასრულო მოსვენებას ხედავდა, მაგრამ ამაღამ მაინც არ უნდოდა სიკვდილი, ამიტომ საწოლზე ჩამოჯდა და თქვა:

– ხვალამდე მაცალე.

ამ დროს სრულიად აშკარად გაიგონა ხმა, ზედ ყურთან რომ წასჩურჩულა:

– წადი. დილით უკვე გვიან იქნება, და ვეღარ მოასწრებ იმის გაკეთებას, რაც დაიფიცე. წადი.

კომტური ძლივს წამოდგა და გარეთ გავიდა. გუშაგები სადარაჯოებზე ერთმანეთს ეხმაურებოდნენ. სამლოცველოს ფანჯრებიდან თოვლზე სინათლე ეცემოდა. შუა ეზოში, ქვის ჭასთან, ორი შავი ძაღლი თამაშობდა, რა-

ღაც ძონძზე ძიძგილაობდნენ. ირგვლივ სხვა ძეხორციელი არ ჭაჭანებდა, სიჩუმე იყო.

– მაშ უეჭველად ამაღამ? – წაილაპარაკა ზიგფრიდმა,– საშინლად დავიქანცე, მაგრამ მივდივარ. ყველას სძინავს, ალბათ ნაწამებ იურანდსაც სძინავს. მარტო მე არ მეკარება ძილი. იმიტომ მივდივარ, რომ შინ სიკვდილი მემუქრება, შენთვის კი ფიცი მაქვს მოცემული... მერე თუნდაც მოვიდეს სიკვდილი, თუკი ძილი არ მოვა. შენ მანდ ხარხარებ, მე კი ძალა გამომელია. შენ იცინი, ალბათ კმაყოფილი ხარ. მაგრამ თითები გამიშეშდა, მკლავებში არაქათი გამომეცალა, მე ვეღარ შევძლებ ამის გაკეთებას. ამას ის მორჩილი ქალი ჩაიდენს, რომელსაც მასთან ერთად სძინავს...

ასე ესაუბრებოდა თავის თავს და მძიმე ნაბიჯით ჭიშკრისაკენ მიდიოდა. ქვის ჭასთან თამაშით გართული ძაღლები მიცუხცუხდნენ მოხუცთან და მიელაქუცნენ. ერთი მათგანი, ვეება მონადირე ძაღლი, დიდერიხის განუყრელი მეგობარი იყო, ციხეში იმასაც ამბობდნენ, ღამით ბალიშის მაგივრობას უწევსო.

ძაღლი მიეფერა, წაიწკმუტუნა, მერე თითქოს ადამიანს განზრახვას მიუხვდაო, ჭიშკრისაკენ წავიდა.

წამიც და ზიგფრიდი კოშკის ვიწრო კართან გაჩნდა, რომელიც ღამღამობით გარედან ურდულით იკეტებოდა. ურდული გადასწია და კიბის სახელური მოძებნა, იქვე კართან რომ იწყებოდა, და ზევით აჰყვა კიბეს. დაბნეულობაში ფარანი დავიწყებოდა და ხელის ცეცებით მიდიოდა.

რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, უცებ შეჩერდა, თითქოს ზემოდან რაღაც მძიმე ქშენა მოესმა. ვიღაც იდგა, ან მხეცი ან ადამიანი.

– ვინ არის აქ?

არავინ გამოეპასუხა, მაგრამ ქშენა გახშირდა.

ზიგფრიდი გულადი ადამიანი იყო, სიკვდილისა არ ეშინოდა, მაგრამ ამ საშინელ ღამეს მისი სიმამაცე და თავდაჭერილობა უკვე ამოიწურა. უეცრად გაუელვა, ალბათ როტგერმა გადამიღობაო გზა, და თმა ყალყზე დაუდგა, შუბლზე კი ცივმა ოფლმა გამოჟონა.

ის უკან მიაწყდა გასასვლელს.

– ვინ არის მანდ? - იკითხა განწირული ხმით.

მაგრამ ამ დროს ისეთი ძალით ეტაკა ვიღაც მკერდში, რომ მოხუცი უგრძნობლად დაეცა პირაღმა გაღებულ კარში, კრინტი არ დაუძრავს.

სიჩუმე ჩამოვარდა. მერე კოშკიდან ვიღაცის მუქი ფიგურა გამოძვრა და მოხრილი გაიქცა საχინიბოსაკენ, რომელიც ეზოს მარცხენა მხარეს იყო მოთავსებული. დიდერიხის ვეება ძაღლი უხმოდ გაჰყვა მას. მეორე ძაღლიც აედევნა სიბნელეში, მაგრამ მალე უკან დაბრუნდა, თავი დახარა, თითქოს კვალს ეძებსო, მერე უძრავად დაგდებულ ზიგფრიდთან მივიდა, დასუნა, თავთან ჩაუცუცქდა, დრუნჩი მაღლა ასწია და აყმუვლდა.“

დიდხანს ისმოდა ძაღლის ყმუილი და ამ ისედაც საზარელ ღამეს კიდევ უფრო საზარელს ხდიდა. ბოლოს ციხის ვეება ჭიშკრის პატარა კარმა გაიჭრიალა და მეკარე გამოვიდა. რომელსაც ხელში აფთი ეჭირა:

– ხმა გაწყვიტე, სამგლევ! – შეუძახა მან. – მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა ყმუილი ღამღამობით!

მეკარემ აფთი მოიმარχვა და ის იყო უნდა ეტაკებინა ძაღლისთვის, რომ უცებ თვალი მოჰკრა, კოშკის ღია კართან ვიღაც ეგდო.

– Herr Jesus![28] ამას რას ვხედავ?...

დაიხარა, მწოლარეს სახეზე დააკვირდა და დაიღრიალა:

– აქეთ, აქეთ, მომეშველეთ!

მერე ჭიშკარს ეცა, თოკი მოსწია და მთელი ძალით ჩამოჰკრა ზარს.

VIII

გლოვაჩს ზგოჟელიციისკენ მიეჩქარებოდა, მაგრამ გზა სულ გადარეცხილიყო და სწრაფი სიარული ჭირდა. მკაცრი ზამთრის ჭახჭახა ყინვებისა და ქარბუქების შემდეგ, როცა ხანდახან მთელი სოფელი თოვლში აღმოჩნდებოდა ხოლმე ჩანამქრული, მძლავრი ყინულდნობა დაიწყო. თებერვალი თავისი სახელწოდების მიუხედავად, სულაც არ აღმოჩნდა მძვინვარე და ულმობელი[29]. χერ განუმტევი ნისლები ჩამოწვა, მერე კოკისპირული წვიმები მოაყოლა, წვიმებმა თვალდათვალ დაადნო თოვლის ნამქერები, წვიმებს შუა კი ჩვეულებრივი მარტის ქარი ქროდა; დროდადრო მძლავრად წამოუბერავდა, ცაზე ხან მორეკავდა და ხან გაფანტავდა მძიმე საავდრო

[28] ღმერთო იესო! (გერმ.)

[29] პოლონურად თებერვალს ჰქვია Lutu ანუ რუსული Лютый, რაც ნიშნავს მძვინვარეს, საშინელს, უწყალოს (სხვათა შორის, ძველად ამ თვეს რუსებიც Лютый -ს ეძახდნენ)

ღრუბლებს. ქვემოთ დედამიწაზე კი ტევრებში ჩაიღმუვლებდა, ტყეებში აღრიალდებოდა, თოვლს შთანთქავდა, რომლის ქვეშ სულ ახლახანს ზამთრის წყნარი ძილით თვლემდნენ ხეთა კორძები და ტოტები. ტყეები ერთბაშად ჩაშავდა. ქარი აჭავლებდა მინდვრებზე დატბორილ წყალს; მდინარეები და ნაკადულები ადიდდა. ეს აბობოქრებული წყლის სტიქია მხოლოდ მეთევზეებს ახარებდათ, დანარჩენი ხალხი გულგადალეული ჩაკეტილიყო სახლებსა და ქოხებში. ბევრ ადგილას ერთი სოფლიდან მეორემდე მხოლოდ ნავით თუ მოახერხებდით მისვლას. მართალია, გზებზე ჯებირები აეგოთ, ჭაობებზე და ტყეებში კი ყველგან წნელბოგირები იყო გადებული, მაგრამ ახლა ეს ბოგირები წყალს დაელბო და ჭაობში ჩაფლულიყო. ამიტომ სიარული საშიში და თითქმის შეუძლებელიც კი გახდა. ჩეხს განსაკუთრებით ჭაობიან „ველკოპოლსკაში“ გაუჭირდა სიარული, სადაც ყოველ გაზაფხულს წყალდიდობა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სხვა ადგილებში. ცხენოსნისთვის ეს განსაკუთრებულ სიძნელეს ქმნიდა.

გლოვაჩი იძულებული ხდებოდა ხშირად შეესვენა და ხანდახან მთელი კვირეებიც კი ეცადა დაბებში ან სოფლებში შლიახტიჩებთან, რომლებიც ადათის და მიხედვით გულღიად ღებულობდნენ სტუმარს თავის ხალხიანად, ხარბად უსმენდნენ ჯვაროსნების ამბებს და ამ ახალი ამბების საზღაურად პურ-მარილით უმასპინძლდებოდნენ. გაზაფხული ძალას იკრებდა. თითქმის მარტის ნახევარი გავიდა, სანამ გლოვაჩმა ზგოჟელიცსა და ბოგდანეცს მიაღწია.

როცა მოაგონდებოდა, რომ თავისი ქალბატონი უნდა ენახა, გული გადაუქანდებოდა ხოლმე; იცოდა, იაგენკა მისთვის ისეთივე მიუწვდომელი იყო, როგორც ცაში ვარსკვლავი, მაგრამ მაინც სულს ლევდა მისთვის და მთელი არსებით უყვარდა. გლოვაჩმა თავდაპირველად მაცკოსთან შევლა ამჯობინა, – ჯერ ერთი, ზბიშკომ მოხუცთან გამოაგზავნა, მეორეც, წამოყვანილი ხალხი ბოგდანეცში უნდა დაეტოვებინა. როტგერის სიკვდილის შემდეგ ზბიშკომ მოკლულის ხალხი წამოიყვანა. წესის მიხედვით, ყოველ რაინდს ათი ცხენ-კაცი უნდა ჰყოლოდა. როტერის ორმა მსახურმა ცხედარი წაასვენა შჩიტნოში, დანარჩენები კი ზბიშკომ საჩუქრად გაუგზავნა ბიძამისს, იცოდა, როგორი სულიმწარით ეძებდა მოხუცი მუშახელს.

ბოგდანეცში ჩასულ ჩეხს მაცკო შინ არ დაუხვდა; მშვილდ-ისარი აიღო მოხუცმა, ძაღლები წაიყვანა და ტყეში წავიდაო, უთხრეს. მაგრამ მაცკო დაღამებამდე დაბრუნდა და, როცა გაიგო, ვიღაც ხალხი ჩამოგივიდაო, ფეხს აუჩქარა, რომ ენახა და გამასპინძლებოდა მათ. თავიდან ვერც კი იცნო

გლოვაჩი. როცა ის მდაბლად მიესალმა და სახელი უთხრა, მოხუცი ერთი პირობა შეშინდა, მშვილდი და გუდა ძირს დაანარცხა და იყვირა:

– ღმერთო, შენ მიშველე! მოკლეს! თქვი ჩქარა, რა დაემართა!

– არ მოუკლავთ, – უპასუხა ჩეხმა. – თავს შესანიშნავად გრძნობს.

მაცკოს შერცხვა, ეს სიტყვები რომ გაიგონა, ღრმად ამოიოხრა და წაილაპარაკა:

– მადლობა ღმერთს, სად არის ახლა?

– მალბორგს გაემგზავრა, მე კი ახალი ამბების შესატყობინებლად აქ გამომგზავნა.

– მალბორგს რა უნდოდა?

– ცოლის საძებნელად წავიდა.

– ღმერთისა მაინც არ გეშინია, ყმაწვილო რომელი ცოლის?

– იურანდის ქალიშვილის. მთელი ღამე დასჭირდება, ის ამბები რომ გითხრათ; ახლა ცოტა დამასვენეთ, მოწყალეო ბატონო, ისე დამღალა ამ გზებმა, შუაღამის მერე მუხლი არ ჩამიხრია,

მაცკოს აღარაფერი უკითხავს, რადგან განცვიფრებისაგან ენა ჩაუვარდა. მერე გონს მოეგო, მსახურს გასძახა, ღუმელში შეშა შეუმატე და ჩეხს საჭმელი მოუტანეო, თვითონ კი ხელების ქნევით წინ და უკან სიარულს მოჰყვა.

– ყურებსაც ვერ ვუჯერებ... – ეუბნებოდა თავის თავს. – იურანდის ქალიშვილი... ზბიშკო ცოლიანია.

– ცოლიანიც არის და უცოლოც, – შენიშნა ჩეხმა.

და მხოლოდ ახლა უამბო დადინჯებით ყველაფერი. მოხუცი ხარბად უსმენდა და ხანდახან აწყვეტინებდა ლაპარაკს კითხვებით, რადგან ჩეხის ნაამბობში ყველაფერი როდი ესმოდა. გლოვაჩმა, მაგალითად, ხეირიანად არც კი იცოდა, როდის დაქორწინდა ზბიშკო, რადგან ქორწილი არ ჰქონია; და მაინც არწმუნებდა, ზბიშკომ ჯვარი დაიწერაო დანუსიაზე, ამაში თვითონ ქალბატონი ანა დანუტა უწყობდა ხელს. გაგებით კი ეს ამბავი მარტო ჯვაროსანი როტგერის ჩამოსვლის შემდეგ გამოაშკარავდაო. ამ ჯვაროსანს ზბიშკო ღვთის სამსჯავროზე შეებრძოლა მაზოვიის კარის წინაშეო.

– მაშ შეებრძოლა! – შესძახა მაცკომ და საშინელი ცნობისმოყვარეობით დაჰკვესა თვალები. – მერე?

– შუაზე გაჩეხა გერმანელი, და მეც, ღვთის წყალობით, იმისი საჭურველმტვირთველი დავამარცხე. მაცკო ისევ აქოშინდა, ამჯერად უკვე კმაყოფილებით.

– აბა, – თქვა მან, – იმას ხუმრობა არ უყვარს, ნაბოლარაა „გრადების“ მოდგმაში, მაგრამ, მადლობა ღმერთს, საქმით ნაბოლარა არ არის. ფრიზებს როგორღა შეებრძოლა, სულ ბავშვი იყო...

მოხუცმა დაჟინებით შეხედა ჩეხს.

– შენც თვალში მომდიხარ, – განაგრძობდა ის, – და, გეტყობა, ტყუილსაც არ უნდა ამბობდე, მატყუარებს ერთს შევხედავ და მაშინვე ვამჩნევ. საჭურველმტვირთველი რომ დაამარცხე, ეგ უბრალო საქმეა, თვითონაც ამბობ, ადვილად გავუსწორდიო, მაგრამ, აი, ტევტონელ ქოფაკს რომ ხელი ამოუგდე და ხარიც მოჰკალი, ამისთვის მადლობა გეკუთვნის. მერე უცებ ჰკითხა:

– ნადავლი როგორიღაა? ბევრია?

– საჭურველი წამოვიღეთ, ათი მსახურიდან რვა თავისი ცხენებიანად თქვენ გამოგიგზავნათ ახალგაზრდა ბატონმა.

– დანარჩენ ორს რაღა უყო?

– ცხედარს გააყოლა.

– განა მთავარს არ შეეძლო თავისი მსახურების გაგზავნა? ახლა იმათ ხომ ვეღარ დაიბრუნებ.

ჩეხს გაეღიმა, მაცკოს სიხარბემ გააცინა, ასე ხშირად რომ ამჟღავნებდა ხოლმე.

– ახალგაზრდა ბატონს ახლა ეგ არაფრად უღირს, – თქვა მან, – სპიხოვი დიდი მამულია.

– დიდი კი არის, მაგრამ რა ხეირია იქიდან? ჯერ ხომ მისი არ არის?

– აბა ვისია?

მაცკო კიდევაც წამოიწია.

– მოყევი! იურანდი განა სად არის!

– იურანდი ჯვაროსნებსა ჰყავთ ჯურღმულში და სიკვდილი ადგას თავზე. არავინ იცის, გადარჩება თუ არა, თუნდაც გადარჩეს, დაბრუნდება თუ არა? და თუნდაც გადარჩეს და კიდეც დაბრუნდეს, ქსონძმა კალებმა მისი უკანასკნელი სურვილი უკვე წაუკითხა ყველას. ნაბრძანები აქვს, რომ მემკვიდრედ ახალგაზრდა ბატონს ტოვებს.

ჩანს, ამ ამბებმა მაცკოზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს; ერთსა და იმავე დროს სასიხარულოც იყო და საწყენიც, მოხუცი იბნეოდა, აღარ იცოდა, რა ეფიქრა, ვერ გარკვეულიყო გრძნობებში, რომლებიც მასში ერთმანეთს ებრძოდა. ზბიშკოს ცოლის შერთვის ამბავი პირველ წუთს ეწყინა, რადგან იაგენკა ღვიძლი შვილივით უყვარდა და ყოველმხრივ ცდილობდა იმათ დაქორწინებას. მეორე მხრივ, მოხუცი უკვე რაღაცნაირად შეეჩვია იმ აზრს, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა, იაგენკა მათ მოდგმას ვერ შესძენდა იმას, რასაც დანუსია: მთავრის მოწყალებას და გაცილებით მეტ მზითევს, რადგან მამისერთა ქალიშვილი იყო. მაცკომ უკვე წარმოიდგინა ზბიშკო მთავრის კომესად, ბოგდანეცისა და სპიხოვის მფლობელად, მომავალში კი კაშტელანად. ეს ყველაფერი სულაც არ იყო ფუჭი ოცნება იმ დროს, როცა სრულიად უბრალო შლიახტიჩებზეც კი იცოდნენ ხოლმე თქმა: „თორმეტი ვაჟი ჰყავდა, ექვსი ომში დაეღუპა, ექვსი კაშტელანი გახდაო“. მთელი პოლონელი ხალხი და შლიახტა განდიდების გზაზე იდგა. სიმდიდრე კი მხოლოდ ხელს შეუწყობდა ზბიშკოს აღზევებაში. ასე რომ, მაცკოს სიხარბეც დაკმაყოფილებული იქნებოდა და საგვარეულო სიამაყეც. მაგრამ მოხუცს მღელვარების საბაბიც ჰქონდა. ოდესღაც ზბიშკოს გადასარჩენად თვითონაც წავიდა ჯვაროსნებში და ამ მოგზაურობიდან ფერდქვეშ რკინაგარჭობილი დაბრუნდა, ახლა კი ზბიშკო წასულა მალბორგში, პირდაპირ მგლის ხახაში. განა რას იპოვის იქ? ცოლსა თუ სიკვდილს? „ალმაცერად დაუწყებენ ცქერას, – გაიფიქრა მაცკომ. – სულ ცოტა ხნის წინ ცნობილი რაინდი გამოასალმა სიცოცხლეს, იმის წინ ლიხტენშტაინს დაესხა თავს, ისინი ხომ, ის ძაღლისშვილები, შურისმაძიებელი ხალხია“. დანაღვლიანდა ამაზე საბრალო მოხუცი, მერე ისიც იფიქრა, „თავზეხელაღებული ყმაწვილი“ უეჭველად რომელიმე გერმანელს შეებრძოლებაო. თუმცა ეს მაინცდამაინც არ ადარდებდა. მაცკო ყველაზე მეტად იმაზე წუხდა, ჯვაროსნებს ზბიშკო არ დაეტყვევებინათ. „აკი არ შეეშინდათ მოხუცი იურანდის და მისი ქალიშვილის დატყვევებისა, არც თვით მთავრის მოტაცებისა შეეშინდათ ზლოტორიაში, ზბიშკოს ვითომ რაღად დაინდობენ?“

ამ დროს სხვა ფიქრი მიეძალა – ერთიც ვნახოთ, ბიჭმა გამოაღწიოს ჯვაროსნების კლანჭებიდან და ცოლი კი ვერ იპოვოს? ჯერ იმითი დაიმშვიდა გული, რომ ცოლის შემდეგ სპიხოვი ზბიშკოს დარჩებოდა, მაგრამ ამ სიმშვიდემ დიდხანს არ გასტანა. მოხუცისთვის სიმდიდრეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მოდგმა – ზბიშკოს შთამომავლობა. „თუ დანუსია დაიკარგა და არავის ეცოდინა, ცოცხალია თუ მკვდარი, ზბიშკო სხვაზე ჯვარს ვერ დაიწერს და ბოგდანეცელი „გრადებიც“

ამოწყდებიან. ეჰ! იაგენკასთან ეგრე არ იქნებოდა... არც მოჩიდოლია ისეთი მამული, თაგვმა რომ კუდი ვერ მოიქნიოს, გოგო კი ისეთია, წელს არ გააცდენს, ბავშვი არ შესძინოს, როგორც ვაშლის ხე ბაღში. ამიტომ იმ ახალ მამულებს მაცკო არცთუ ისე შეჰხაროდა, უფრო მეტად დარდობდა, რომ ყველაფერი ასე მოეწყო; აფორიაქებულმა ისევ და ისევ დაუწყო გამოწვლილვით გამოკითხვა, სად და როგორ დაიწერა ზბიშკომ ჯვარი.

– აკი უკვე მოგახსენეთ, მოწყალეო ბატონო, – უპასუხა ჩეხმა, – როდის იყო, არ ვიცი-მეთქი. მიხვედრით კი ვხვდები, მაგრამ დაფიცებით ვერ დავიფიცებ.

– მაინც რას ხვდები?

– ბატონს ავადმყოფობის დროს გვერდიდან არ მოვცილებივარ, მის ოთახში მეძინა. ერთ საღამოს მიბრძანეს გამოვსულიყავ. მერე ბატონს თვით უდიდებულესი ქალბატონი ეახლა, თან დანუსია, დე ლორში და ქსონძი ვიშონეკი მოიყვანა. დანუსიას თავზე გვირგვინი ედგა, მე კიდევაც გამიკვირდა. მერე ვიფიქრე, ალბათ ქსონძმა უნდა აზიაროს მეთქი... იქნებ, აი, მაშინ მოხდა... მახსოვს, ბატონმა მიბრძანა, ისე გამომაწყვე, როგორც საქორწინოდ რთავენო; მაგრამ მე მაინც ვიფიქრე, ზიარებისთვის უნდა-მეთქი.

– მერე, მერე რაღა მოხდა? ისინი მარტო დარჩნენ?..

– როგორ თუ დარჩნენ! არ დარჩენილან! კიდეც რომ დარჩენილიყვნენ, მაშინ ბატონს თავისი ხელით ჭამაც არ შეეძლო, ისე იყო დასუსტებული. პატარა ქალბატონს კი ვითომდა იურანდის გამოგზავნილი კაცები ელოდნენ და განთიადისას წაიყვანეს კიდეც...

– მერე, იმის მერე ზბიშკოს ის აღარ უნახავს?

– ზბიშკოს კი არა, აღარავის უნახავს.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

– შენ როგორ ფიქრობ? – ისევე წამოიწყო მაცკომ, – დააბრუნებენ ჯვაროსნები ქალს?

ჩეხმა თავი გააქნია.

– მე ვფიქრობ, – დინჯად თქვა მან, – რომ იმისი საქმე გათავებულია.

– რატომ ფიქრობ ასე? – ჰკითხა შეშინებულმა მაცკომ.

– ისინი რომ გატეხილიყვნენ, ქალი ჩვენთან არისო, მაშინ დაბრუნების იმედიც იქნებოდა. ჩივილს დავიწყებდით, ან გამოსასყიდს გადავიხდი-

დით, ან ძალით წავართმევდით, მაგრამ აბა რას გატყდებიან. „ვიღაც გოგო გვყავდაო, ამბობენ, ყაჩაღებს წავართვით და იურანდს შევატყობინეთ, იმან კი, რომ დახედა თავისი შვილი არ იყო, ჩვენი სიკეთე არად ჩააგდო და იმდენი ხალხი ამოგვიხოცა, ომში არ დაგვიკარგიაო ამდენი“.

– მაშ იურანდს ვიღაც გოგო აჩვენეს?

– ამბობენ, აჩვენესო. ეშმაკმა იცის იმათი თავი. იქნებ ტყუიან, ან იქნებ სხვა აჩვენეს. ეს კია, უამრავი ხალხი დაუხოცია და ისინიც მზად არიან დაიფიცონ, რომ იურანდის ასული არასოდეს მოუტაცნიათ. ძნელზე ძნელი საქმეა. მაგისტრმაც რომ უბრძანოს, დაუბრუნეთო, ეტყვიან, ჩვენ არა გვყავსო. მიდი და უმტკიცე, რომ იმათთან არის. აქეთ კიდევ ცეხანოვში ხალხი ამბობდა, იურანდმა წერილი გამოგზავნა, ჩემი ქალი ჯვაროსნებთან არ არისო.

– იქნებ მართლა არა ჰყავთ ჯვაროსნებს?

– აბა, რასა ბრძანებთ, თქვენო მოწყალებავ!... ის რომ ყაჩაღებს მოეტაცნათ, გამოსასყიდის მეტი არაფერი ენდომებოდათ. ამას გარდა, იმათ სად შეეძლოთ სპიხოვის ბატონის ბეჭდის გაკეთება და ამდენი მსახურების გამოგზავნა.

– ეგეც მართალია, მაგრამ რაში სჭირდებათ ის ქალი ჯვაროსნებს?

– შური რომ იძიონ, რაც ბოღმა ჰქონდათ დაგროვილი, იმათთვის შურისძიება თაფლსა და ღვინოზე უფრო ტკბილია, საამისოდ კი მიზეზების მეტი რა ჰქონდათ. შიშის ზარს სცემდათ სპიხოვის ბატონი, ბოლო ამბების შემდეგ ხომ სულ გაცეცხლდნენ... როგორც გავიგე, ჩემს ბატონსაც ხელი აღუმართავს ლიხტენშტაინზე, მერე როტგერი მოკლა... აქეთ მე, ღვთის შეწევნით, ტევტონელ ძაღლს ამოვუმტვრიე ხელი. ეჰ... ოთხნი იყვნენ, მაპატიეთ და იმათი დედის სულიც, ახლა კი ერთი გადამღრძვალი ბებერი დარჩა. არც ჩვენ ვართ ჯაბანნი, როცა დაგვჭირდება.

ცოტა ხანს იყუჩეს.

– კაი, მარჯვე საჭურველმტვირთველი ხარ, – თქვა ბოლოს მაცკომ. – მაინც რას ფიქრობ? დაუშავებენ ქალს რასმე?

– მთავარი ვიტოლდი მძლეთამძლე მთავარი იყო, ამბობენ, თვით გერმანელების იმპერატორი წელში მოხრილი ესალმებოდაო, მაგრამ ხომ იცით, რაც დამართეს იმის შვილებს? განა ცოტა ციხე აქვთ? ჯურღმულები აკლიათ? ჭები არ მოეპოვებათ? თუ თოკებსა და ყულფებს ვერ იშოვნიან?

– ღმერთო უშველე და შეიწყალე! – შესძახა მაცკომ.

– ღმერთმა ქნას, ახალგაზრდა ბატონი არ დაატყვევონ, თუმცა მთავრის წერილი წაიღო და ბატონი დე ლორშიც თან ახლავს – ცნობილი რაინდი და ჰერცოგების ნათესავი. ეჰ, აქეთ სულაც არ მინდოდა წამოსვლა, იქ ვიღაცას მაინც შევებრძოლებოდი, მაგრამ ბატონმა მიბრძანა. მახსოვს, ერთხელ მოხუც სპიხოველ რაინდს ეუბნებოდა: „თქვენ მოხერხებული ხართ? მე სულ არ შემიძლია ეშმაკობა, იმათთან კი დიდი მოხერხებაა საჭირო! აი, ბიძაჩემი მაცკო გიყვარდეს გამოგვადგებოდაო!“ სწორედ ამისთვის გამომგზავნა. მაგრამ იურანდის ქალიშვილს, სულ ერთია, ვეღარც თქვენ იპოვით, ის ალბათ უკვე იმქვეყნად არის, სიკვდილის წინაშე კი ყოველგვარი ეშმაკობა უძლურია...

მაცკო ჩაფიქრდა.

– დიახ, ამ საქმეს მართლაც ვერაფერი უშველის, - თქვა კარგა ხნის შემდეგ. – სიკვდილის წინაშე ეშმაკობა უძლურია. ერთი წამიყვანა და გამაგებინა, მართლა მოკლეს თუ არა, მაშინ სპიხოვიც ზბიშკოს დარჩება, აქ ჩამოვა და სხვაზე დაიწერს ჯვარს...

ამაზე მაცკომ ამოიოხრა, გეგონებოდათ, გულიდან ლოდი ჩამოეხსნაო, გლოვაჩმა კი მოკრძალებული, წყნარი ხმით ჰკითხა:

– ზგოჟელიცელ ქალბატონზე?...

– დიახ, იმაზე, – უპასუხა მაცკომ, – ის ახლა ობოლია და ჩტან როგოველი და ვილკ ბჟოზოველი ისე გადაეკიდნენ, სიცოცხლე გაუმწარეს.

ჩეხი ზეზე წამოხტა:

– ქალბატონი ობოლია? რაინდი ზიხი?..

– მაშ შენ არაფერი გაგიგია?

– ღმერთო, რა დაემართა?

– მართლაც საიდან უნდა იცოდე, თუ პირდაპირ აქ ჩამოხვედი და მე და შენ კი ზბიშკოს გარდა არაფერზე გვილაპარაკია. ობლად დარჩა ქალი! ზგოჟელიცელ ზიხს, მართალი რომ ითქვას, გული შინ არ უდგებოდა, სტუმრები როცა ჰყავდა, მაშინ თუ გაჩერდებოდა სახლში. ისე სულ ადვილად მოიწყენდა ხოლმე. ერთხელ აბატმა მისწერა, ოსვენციმის მთავართან ფშემეკთან სტუმრად მივდივარ და შენც წამოდიო. ზიხს გაუხარდა კიდეც, იცნობდა მთავარს, ბევრჯერ უტარებიათ დრო ერთად. ჩამოვიდა ზიხი ჩემთან და მითხრა: „ოსვენციმში მივდივარ, იქიდან გლევიცეში უნდა გამოვიარო, ზგოჟელიცზე თვალი გეჭიროთ, სანამ ჩამოვიდოდეო“. რაღაც გულმა ცუდი მიგრძნო და ვუთხარი: „ნუ წახვალთ! სახლსა და იაგენკას მიხედეთ,

ჩტანსა და ვილკს გულში ბოროტება უდევთ-მეთქი“ ისიც მინდა იცოდე, რომ ზბიშკოზე გაგულისებულმა აბატმა გადაწყვიტა რომელიმე მათგანზე გაეთხოვებინა იაგენკა, მაგრამ ახლოს რომ გაიცნო, კვერთხი ამოარტყა და ისე დაიფრინა ორთავე ზგოჟელიციდან. ეს ყველაფერი კეთილი, მაგრამ მეტისმეტად გაგულისდნენ. ახლა მიწყნარდნენ ცოტა, დაასახიჩრეს ერთმანეთი და ლოგინად არიან, თორემ ერთი წუთით მოსვენება არ იყო. ყველაფერი ჩემს ზურგზე გადადიოდა: მოვლაც ჩემზე იყო, დაცვაც. ახლა აგერ ზბიშკოს მოუსურვებია, ჩემთან წამოვიდესო. აღარ ვიცი, იაგენკას რა ვუყო... მოიცა, ჯერ ზიხის ამბავს დავასრულებ. არ გამიგონა და წავიდა. ქეიფობდნენ იქ, მხიარულობდნენ. გლევიცედან ფშემკოს მამასთან წავიდნენ, მოხუც ნოსაკთან, ცეშინის მთავარია. ამ დროს რაციბორსკელმა მთავარმა იასკომ, რომელსაც ფშემკო თვალის დასანახავად ეზიზღებოდა, ყაჩაღები მიუგზავნა ჩეხი ხშანის მეთაურობით. მთავარი ფშემკოც დაიღუპა, ზგოჟელიცელი ზიხიც, ისარი მოხვედრია ყელში. აბატს რკინის კვერი ჩაარტყეს და ისე დაარეტიანეს, რომ ჯერაც გონზე ვერ მოსულა და თავს აცანცარებს, ამ ქვეყნისა არაფერი ესმის და, წარმოიდგინე, ენაც წაერთვა, ალბათ აღარც დაუბრუნდება არასოდეს. მაგრამ მოხუცმა ნოსაკმა იყიდა ხშანი მისი პატრონის ზამპახისაგან და ისე აწამა, რომ ყველაზე დროული მოხუცების ყურს ისეთი წამება არა სმენია. თუმცა ამან ვერც შვილის დარდი გაუქარვა და ვეღარც ზიხი გააცოცხლა, იაგენკასაც ვერ შეუშრო ცრემლი. აი, როგორი დრო გაატარეს... ექვსი კვირაა, რაც ზიხი ჩამოასვენეს და დაასაფლავეს.

– როგორი გოლიათი იყო!... – თქვა სინანულით ჩეხმა. ბოლესლავცესთან რომ დამატყვევა, არც მე ვიყავი ჯაბანი, მაგრამ წუთიც არ დასჭირვებია. თუმცა არც ერთ თავისუფლებაზე არ გავცვლი იმასთან ტყვეობაში სიცოცხლეს... კეთილი, კარგი ბატონი იყო! საუკუნო ხსენება იყოს მისი! ძალიან მეცოდება, ძალიან, ყველაზე მეტად კი საწყალი ქალბატონი მებრალება.

– მართლაც რომ საწყალია. ზოგს დედაც არ ეყვარება ისე, როგორც იმას მამა უყვარდა. ზგოჟელიცში ცხოვრებაც საშიში გახდა. მამის დასაფლავება ვერც კი მოასწრო, ჯერ თოვლსაც არ დაედო ზიხის საფლავზე, რომ ვილკმა და ჩტანმა თავდასხმა მოაწყვეს ზგოჟელიცზე. საბედნიეროდ, ჩემმა ხალხმა ყური მოჰკრა, რასაც აპირებდნენ, და მე მსახურებით მივაშურე იაგენკას დასახმარებლად; ღვთის წყალობით, კარგა გვარიანად მივბეგვეთ მაშინ ისინი. ბრძოლის მერე კი იაგენკა ფეხებში ჩამივარდა და მთხოვა: „თუ ზბიშკოსთან ყოფნა არ მიწერია, სხვისი არავისი ვიქნებიო არასოდეს. გეხვეწებით, მიხსენით ამ გადაგვარებულებისაგან, მაგათ ცოლობას სიკვდილი მირჩევნიაო...“ ზგოჟელიც ახლა ვეღარც იცნობ, იქ ნამდვილი ციხე-

სიმაგრე მოვაწყვე. კიდევ ორჯერ დაესხნენ იმის შემდეგ ვილკი და ჩტანი, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ახლა რაღაც მიყუჩებულები არიან, ისე დაასახიჩრეს ერთმანეთი, რომ ხელ-ფეხი ვეღარ გაუნძრევიათ.

გლოვაჩი ხმას არ იღებდა, ისე ახრჭიალებდა კბილებს, ამას რომ ისმენდა, გეგონებოდათ, ჭრიალა კარს აღებენ და ხურავენო, მერე ღონიერი ხელები ბარძაყებზე დაისვა, ეტყობა, იგრძნო, რომ ექავებოდა. მხოლოდ ერთი სიტყვა წამოსცდა ჩემს:

– დაწყევლილები!...

მაგრამ ამ დროს წინკარში ვიღაცის ხმები გაისმა, კარი მოულოდნელად გაიღო და ოთახში შემოიჭრნენ იაგენკა და მისი უფროსი ძმა, თოთხმეტი წლის იასკო, რომელიც ტყუპისცალივით ჰგავდა დას.

ზგოჟელიცელმა გლეხებმა გზაზე ცხენოსნები დაინახეს – ვიღაც ხალხს ჰლავა ბოგდანეცისაკენ მოუძღოდა. ეს რომ იაგენკამ გაიგო, მაცკოსი არ იყოს, ჯერ ძალიან შეეშინდა, მერე, როცა ისიც უთხრეს, ზბიშკო მათ არ ახლდაო, გადაწყვიტა, უბედურებაა რაღაც მის თავსო, და სინამდვილის გასაგებად სულმოუთქმელად გამოქანდა ბოგდანეცისაკენ.

– ღმერთო, რა მოხდა, რა უბედურებაა?... – შესძახა ქალიშვილმა კარშივე.

– რა უნდა მომხდარიყო? - ჰკითხა მაცკომ. ზბიშკო ცოცხალია და ჯანმრთელი.

ჩეხი გაექანა თავისი ქალბატონისკენ, მუხლი მოიყარა და კაბის კალთაზე ემთხვია, მაგრამ ის ვერაფერს ამჩნევდა; მოხუცი რაინდის პასუხი რომ გაიგონა, თავი სიბნელისკენ მიაბრუნა და მხოლოდ ერთი წუთის მერე გაახსენდა, რომ მისალმება იყო საჭირო:

– დიდება იესო ქრისტეს!

– უკუნითი უკუნისამდე! – უპასუხა მაცკომ.

იაგენკამ ახლაღა შენიშნა მის მუხლებთან დაჩოქილი ჩეხი და დაიხარა:

– გულით მიხარია შენი დანახვა, ჰლავა, მაგრამ რატომ მიატოვე შენი ბატონი?

– თვითონ გამომგზავნა, მოწყალეო ქალბატონო.

– რა დაგაბარა?

– მიბრძანა, ბოგდანეცში ჩამოვსულიყავ.

– ბოგდანეცში?... კიდევ?

– გამომგზავნა რჩევისათვის... მოკითხვა და სალამი შემოთვალა.

– მხოლოდ ბოგდანეცში? გასაგებია. თვითონ სად არის?

– ჯვაროსნებთან წავიდა მალბორგში.

იაგენკას ისევ მოუსვენრობა დაეტყო სახეზე.

– რაო, სიცოცხლე მობეზრდა? რისთვის წავიდა იქ?

– იმის საძებნელად, მოწყალეო ქალბატონო, რასაც ვეღარასოდეს იპოვის.

– მართლაც რომ ვერ იპოვის, – ჩაერია მაცკო. – როგორც ლურსმანს ვერ ჩაამაგრებ უჩაქუჩოდ, ისე ადამიანთა სურვილს არ უწერია აღსრულება განგების დაუხმარებლად.

– რაზედ ბრძანებთ? – იკითხა იაგენკამ.

მაგრამ მაცკომ კითხვაზე კითხვით უპასუხა:

– ზბიშკოს შენთვის ნათქვამი აქვს რამე იურანდის ქალიშვილზე? რაღაც ისე მახსოვს, გეუბნებოდა.

იაგენკას მაშინვე არ უპასუხია.

– ნათქვამი აქვს! რატომ არ უნდა ეთქვა? – იკითხა მან და სული გაკმინდა.

– ჰოდა, ძალიან კარგი. ახლა უფრო გამიადვილდება მოყოლა, – უპასუხა მოხუცმა.

და ყველაფერი უამბო, რაც ჩეხისგან გაიგო, თუმცა თვითონვე გაოცებული იყო, რატომ უჭირდა ასე ლაპარაკი და რატომ ჰყვებოდა ასე აბნეულად. მაგრამ ის მართლაც ეშმაკი კაცი იყო და მაინცდამაინც არ უნდოდა იაგენკას „დაფრთხობა“, ამიტომ განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმას, რაც თვითონაც ნამდვილად სჯეროდა, – რომ ზბიშკო სინამდვილეში დანუსიას ქმარი არ ყოფილა და რომ დანუსია საუკუნოდ დაკარგულია.

ჩეხი უდასტურებდა მოხუცს, ხან თავს უქნევდა, ხან იმეორებდა: „ნამდვილია! ნამდვილი!“ ან: „ნამდვილად ეგრე იყო“. ქალიშვილი კი უსმენდა თვალებდახრილი, არაფერს ეკითხებოდა და ისე მიყუჩდა, რომ ამ სიჩუმემ მაცკო ააფორიაქა.

– აბა, რას იტყვი? – ჰკითხა მან ბოლოს.

ქალს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ ორი ცრემლი მოსწყდა მის დახრილ თვალებს და ლოყებზე ჩამოუგორდა.

ერთი წუთის მერე ქალიშვილი მაცკოს მიუახლოვდა, ხელზე ეამბორა და კვლავ უთხრა:

– დიდება იესო ქრისტეს!

– უკუნითი უკუნისამდე! – უპასუხა მოხუცმა, – რატომ ჩქარობ, დარჩი ჩვენთან.

მაგრამ მან დარჩენა არ ისურვა, შინ ვახშმად არაფერი დამიტოვებიაო, მოიმიზეზა. მაცკომ იცოდა, რომ ზგოჟელიცში იყო მოხუცი შლიახტიჩის ქალი სეცეხოვა, ვისაც შეეძლო იაგნას მაგივრობა გაეწია, მაგრამ მაინცდამაინც აღარ დაუძალებია დარჩენა. კარგად ესმოდა, ნაღველმა ცრემლი იცის, ადამიანს კი არ უყვარს, როცა ცრემლდადენილს ვინმე იხილავს; რომ ადამიანი თევზსა ჰგავს, რომელიც ბარჯის წვერს იგრძნობს თუ არა, რაც შეიძლება ღრმად მიდის ფსკერისკენ.

მაცკომ თავზე ხელი გადაუსვა ქალიშვილს და ჩეხთან ერთად ჩააცილა ეზოში. ჩეხმა საჯინიბოდან ცხენი გამოიყვანა, შემოახტა და ქალბატონს უკან გაჰყვა.

მაცკომ კი, შინ რომ შემობრუნდა, ხვნეშით გაიქნია თავი და წაიღრინა:

– ოჰ, რა სულელი მყავხარ, ზბიშკო!... ამ ქალიშვილის ნამყოფ ოთახშიც კი ტკბილი სუნი ტრიალებს.

მოხუცი უარესად დანაღვლიანდა. აი, ფიქრობდა, შეერთო ცოლად ეს ქალი მაშინვე, შინ რომ მობრუნდა, ვიცხოვრებდით სიხარულსა და სიმშვიდეში! აბა, ახლა რა არის? ახსენებ თუ არა, ქალს მაშინვე თვალზე ცრემლი სდის, ბიჭი კი, ვინ იცის, სად დაბორიალობს, შუბლით უნდა გახვრიტოს მალბორგის კედელი, სანამ ის შუბლი თვითონ არ გაუტყდება. აქ კი გამოცარიელებულია ყველაფერი, საჭურველსღა დაუკრეჭი კბილები კედლებიდან. რა თავში ვიხლი ამ მეურნეობას, რისთვისაა საჭირო მთელი ეს ჯაფა, რად გინდა სპინოვი და ბოგდანეცი, თუ დასატოვებელიც არავინ გვეყოლება?

მაცკოს თანდათან მოერია ბრაზი.

– დამაცადე, მაწანწალავ! – თქვა მან ხმამაღლა. – მეც ავდგები და აღარ წამოვალ შენთან, არა. რაც გინდა, ისა ჰქენი.

მაგრამ სწორედ ამ დროს საშინლად მოენატრა ზბიშკო. „როგორ არ უნდა წავიდე, – იფიქრა მოხუცმა, – განა რა დამაყენებს? ვერ გავჩერდები! ეს

რა სასჯელია ზეციური!.. ერთხელ მაინც როგორ არ უნდა ვნახო ის ყურუმ-საღი? ეს წარმოუდგენელია! ისევ დაჩეხა ტევტონელი ძაღლი და დავლაც მოიპოვა... ზოგიერთი გაჭაღარავდება და რაინდის ქამარს ვერ ეღირსება ხოლმე, მას კი უკვე მთავარმა უბოძა პირადად... და მართალიც იყო. შლი-ახტას ბევრი მამაცი ჰყავს, მაგრამ ასეთს მეორეს ვერ იპოვი“.

გული მთლად აუჩვილდა, ჯერ საჭურვლით მოფენილი კედელი შეათ-ვალიერა, საიდანაც ხმლები და ცულები კვამლში შავად იმზირებოდნენ, გე-გონებოდათ, მოხუცი ფიქრობს, თან რა წავიღო და შინ რა დავტოვოო, მერე სულაც გარეთ გამოვიდა, ვეღარ შეძლო შინ ჯდომა, ისიც უნდა ებრძანებინა – მეჯინიბეებს ფორნები გაეპოხათ და ცხენებისთვის ორმაგი ულუფა ქერი მიეცათ.

ეზოში უკვე ბინდბუნდი წვებოდა; მოხუცს ისევ იაგენკა გაახსენდა, ერ-თი წუთის წინ რომ ჯდებოდა აქ ცხენზე, და ისევ აუფორიაქდა გული.

– წასვლით კი წავალ, – თქვა თავისთვის, – მაგრამ აქ მას ჩტანისა და ვილკისაგან ვინ დაიცავს? მეხი კი დაეცეთ იმათ!..

ამასობაში იაგენკა პატარა იასკოსთან ერთად ტყე-ტყე ზგოჟელიცის-კენ მიდიოდა, ჩეხი კი ხმაჩაწყვეტილი მიჩანჩალებდა უკან, გული სიყვარუ-ლითა და სიბრალულით ავსებოდა... ხედავდა ქალიშვილის ცრემლს და ტყის ბინდბუნდში მკრთალად გამოკვეთილ მის სხეულს რომ უყურებდა, გრძნობდა, რა ნაღველსაც დაეპყრო იგი. ეჩვენებოდა, ბნელი ტევრიდან ეს-ეს არის გამოიშვერს ხელებს ვილკი ან ჩტანიო, და მარტო ამის გაფიქრება-ზეც ბრძოლის ველური ჟინი იპყრობდა. დროდადრო ეს ჟინი ისეთი დაუ-ოკებელი ხდებო და, ვაჟკაცი მზად იყო მახვილისთვის ან გულისთვის ხელი ეტაცნა და ფიჭვები მაინც დაეჩეხა გზადაგზა. გრძნობდა, რაღაცით რომ დაღლილიყო, ცოტა გულზე მოეშვებოდა. ერთი პირობა იფიქრა, ცხენს მა-ინც გავაჭენებო, მაგრამ წინ ძალიან ნელა მიიწევდნენ და უმთავრესად დუმდნენ, რადგან პატარა ტლიკინა იასკომ შეამჩნია, დას ლაპარაკი არ სურდა და თვითონაც ხმა გაკმინდა.

ზგოჟელიცს რომ მიუახლოვდნენ, ჩეხს ჩტანსა და ვილკზე ბრაზმა გა-დაუარა. ახლა გულს მხოლოდ სიბრალულიღა შემორჩენოდა: „მე შენთვის სიცოცხლეს არ დავზოგავდი,– ამბობდა თავისთვის, – ოღონდ შემეძლოს რამით განუგეშო, მაგრამ რა ვიღონო, მე უბედურმა, რა გითხრა ისეთი? გით-ხრა, რომ სალამი შემოგითვალა, იქნებ ღმერთმა ინებოს, ცოტათი მაინც დამშვიდდე“.

ეს რომ გაიფიქრა, იაგენკას მიუახლოვდა.

– მოწყალეო ქალბატონო...

– შენც ჩვენთან ერთად მოდიხარ? – ჰკითხა ქალიშვილმა, თითქოს ახლა გამოერკვაო ბურანიდან. – რა გინდა?

– დამავიწყდა მეთქვა, პანმა მიბრძანა თქვენთვის რაღაც გადმომეცა. სპიხოვიდან რომ მოვემგზავრებოდი, მიხმო და მითხრა: „დაიჩოქე ზგოჟელიცელი ქალბატონის წინ და მოახსენე, რა ბედიც უნდა მერგოს ცხოვრებაში, არასოდეს დავივიწყებ იმისათვის, რაც ბიძაჩემს და მე გაგვიკეთა, ღმერთმა გადაუხადოს და დიდხანს აცოცხლოს ბედნიერადო“.

– დიდი მადლობა კეთილი სიტყვისთვის იმას, – უპასუხა იაგენკამ.

მერე კი ისეთი უცნაური ხმით დაუმატა, რომ ჩეხს სულ დაეღვენთა გული:

– და შენც ჰლავა.

ლაპარაკი შეწყდა; მაგრამ საჭურველმტვირთველი კმაყოფილი იყო თავისი თავისა და უხაროდა, რომ ქალბატონს ასეთი სიტყვები უთხრა. „იმას მაინც არ იტყვის, სიკეთე უმადურობით გადამიხადაო“, – გაივლო გულში. მერე კეთილი ვაჟი ისევ დაფიქრდა, კიდევ რა ვუთხრაო ისეთი, და ერთი წუთის მერე კიდევ ალაპარაკდა:

– ქალბატონო...

– რა გინდა?

– მინდოდა თქვენთვისაც იგივე მეთქვა, რაც მოხუც ბოგდანეცელ პანს მოვახსენე; საუკუნოდ დაკარგულია ის გალი მისთვის, ახალგაზრდა პანი მას ვერასოდეს იპოვის, თვითონ მაგისტრიც რომ დაეხმაროს.

– ის ქალი მისი ცოლია, – შეედავა იაგენკა.

– აბა, რას ბრძანებთ, როგორი ცოლია... იაგენკას აღარაფერი უთქვამს, მხოლოდ შინ მისვლის შემდეგ, როცა იასკო და უმცროსი ძმები დასაძინებლად გაისტუმრა, ბრძანა აზარფეშით თაფლუჭი მიეტანათ და ჩეხს უთხრა:

– შენთან ლაპარაკი მინდა, ხომ არ გეძინება?

ჩეხი მგზავრობას ძალიანაც დაექანცა, მაგრამ მზად იყო დილამდე ესაუბრა მასთან. იგი თავიდან დაწვრილებით მოუყვა ყველაფერს, რაც თავს გადახდათ ამ ხნის განმავლობაში ზბიშკოს, იურანდს, დანუსიას და პირადად მას.

IX

მაცკო სამგზავროდ ემზადებოდა, იაგენკა კი მეორე დღე ილეოდა არ გამოჩენილა ბოგდანეცში, სულ ჩეხს ეთათბირებოდა. მოხუცმა რაინდმა ის მხოლოდ მესამე დღეს, კვირას, ნახა გზაზე ეკლესიისკენ მიმავალი. ქშესნიაში იაგენკა თავის ძმასთან იასკოსთან ერთად მიდიოდა და თან შეიარაღებული მსახურების მთელი რაზმი ახლდა. ეშინოდა, ვაითუ ჩტანი და ვილკი მოკეთდნენ და გზაზე თავს დამესხნენო.

– წირვის შემდეგ ვაპირებდი თქვენთან ბოგდანეცში შემოვლას, – უთხრა ქალიშვილმა, როცა მაცკოს მიესალმა, – სასწრაფო საქმე მაქვს, თუმცა ახლაც შეგვეძლო გვესაუბრა.

ქალი დაწინაურდა, ალბათ არ უნდოდა მსახურებს მათი მუსაიფი გაეგონათ, და როცა მაცკოც გაუსწორდა, ჰკითხა:

– მაშ გადაწყვიტეთ წასვლა?

– ხვალინდელ დღეს არ გადავაშორებ, თუ ღმერთმაც ინება.

– მალბორგში?

– ან მალბორგში ან არადა, სადაც დამჭირდება.

– მაშ მომისმინეთ, რა გითხრათ. დიდხანს ვიფიქრე, როგორ მოვქცეულიყავი, ახლა კი თქვენ მინდა გკითხოთ რჩევა. ადრე, როცა მამილო ცოცხალი იყო და აბატიც ჯანიანად გრძნობდა თავს, ყველაფერი სხვაგვარად მიდიოდა, ჩტანი და ვილკი ფიქრობდნენ, რომელიმე მათგანს ამოვირჩევდი და ერთმანეთს ამშვიდებდნენ. ახლა სრულიად მიუსაფრად ვრჩები და ან ზგოჟელიცის ციხესიმაგრეში უნდა გამოვიკეტო პატიმარივით, ან არადა შეურაცხყოფა არ ამცდება. თვითონ ბრძანეთ, განა ასე არ არის?

– რა მეთქმის! – უთხრა მაცკომ. – თვითონაც ბევრი ვიფიქრე ამაზე.

– მერე რა მოიფიქრეთ?

– მოფიქრებით ვერაფერი მოვიფიქრე, მაგრამ ერთს კი გეტყვი, ჩვენთან პოლონეთში ქალიშვილის შეურაცხყოფისათვის კანონი მკაცრად სჯის.

– ეგ ეგრეა, მაგრამ საზღვრის გადალახვაც არ არის ძნელი. სილეზიაც პოლონეთის კუთხეა, მაგრამ იქაური მთავრები გაუთავებლად მტრობენ და თავს ესხმიან ერთმანეთს. ასე რომ არ იყოს, ახლა ჩემი ძვირფასი მამიკო ცოცხალი მეყოლებოდა. უამრავი გერმანელი მიაწყდა იქ, ყველაფერს ურე-

ვენ, ერთმანეთს შეურაცხყოფენ და, თუ ვინმეს თავის შეფარება სჭირდება, შეიფარებენ კიდეც. არც მე ჩავუვარდები ვაგლახად ხელში ჩტანსა და ვილკს, მაგრამ ჩემი დარა არა მაქვს, ძმებზე ვზრუნავ. თუ ზგოჟელიცში არ ვიქნები, მაშინ იქ სიმშვიდე დაისადგურებს, ხოლო თუ დავრჩი, ერთმა ღმერთმა იცის, რა მოხდება. დაიწყება ისევ თავდასხმები და შეტაკებები, იასკო კი უკვე თოთხმეტი წლისაა და მე კი არა, ვერავინ დააოკებს. ბოლო შეტაკებისას, თქვენ რომ მოხვედით და დაგვეხმარეთ, უკვე ძლივს ვაკავებდით. მახსოვს, ჩტანმა კვერთხი რომ მოიქნია, კინაღამ შიგ თავში მოხვდა. რაღა ბევრი გავაგრძელო! იასკოს მსახურებში ულაპარაკნია, ორთაბრძოლაში გამოვიწვევო ჩტანსა და ვილკს. აი, მითქვამს, არც დღითა და არც ღამით მოსვენება არ იქნება და შეიძლება უმცროს ძმებსაც დაუშავდეთ რამე.

– აბა რას ამბობ! ჩტანი და ვილკი ძაღლიშვილები არიან, მაგრამ ბავშვებს ხელს არ ახლებენ. ფუ! ეგეთ რამეს მარტო ჯვაროსანი თუ ჩაიდენს.

– ბავშვებს კი ხელს არ ახლებენ, მაგრამ ალიაქოთში, ანდა, ღმერთმა ნუ ქნას და, ხანძრის დროს ყველაფერი შეიძლება მოხდეს. რაღა ბევრი გავაგრძელო! მოხუც სეცეხოვას საკუთარი შვილებივით უყვარს ბიჭები. მიხედავს კიდეც და მოუვლის კიდეც. უჩემოდ უფრო მშვიდობიანად იქნებიან, ვიდრე ჩემთან.

– შეიძლება, – უპასუხა მაცკომ.

მერე ერთბაშად შეავლო თვალი ქალიშვილს:

– მაინც რა გადაგიწყვეტია?

ქალიშვილმა ხმას დაუწია;

– მეც თან წამიყვანეთ.

ადვილად მიხვდებოდა კაცი, რომ ლაპარაკი ამითი უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მაცკო მაინც გაოგნებული დარჩა. მან ცხენი შეაყენა და შესძახა:

– ღმერთისა აღარ გეშინია, იაგენკა?

ქალმა თვალები დახარა და მორჩილად და გულდაწყვეტით უთხრა:

– ჩემო ძვირფასო! თქვენთან დასამალი რაღა მაქვს, ყველაფერში უნდა გამოგიტყდეთ. ჰლავამაც და თქვენც აკი მითხარით, დანუსიას პოვნის იმედი გადაწყვეტილიაო, ჩეხი უარესსაც მოელის. ღმერთია მოწამე, არაფერს ცუდს მე იმას არ ვუსურვებ. უფალმა დაიფაროს ის უბედური ყველაფერი ავისაგან. აბა, რას გავაწყობ, თუ ის უფრო ძვირფასია ზბიშკოსთვის!

ეს არის ჩემი ბედი. მაგრამ იცით რა, სანამ ზბიშკო იმას იპოვიდეს, ან თუ მართლა ვერასოდეს იპოვის, თქვენ როგორც ამბობთ, მაშინ... მაშინ...

– მაშინ რა? – ჩაეკითხა მაცკო, რაკი დაინახა ქალი სულ მთლად დაიბნა და დაირცხვინა.

– მაშინ არ მინდა არც ჩტანის, არც ვილკის, არც არავის ცოლობა.

მაცკომ შვებით ამოისუნთქა.

– მე კი მეგონა, უკვე დაივიწყე, – უთხრა მან.

ქალმა ნაღვლიანად ამოიოხრა:

– ე-ეჰ!...

– მაშ რა გინდა? როგორ უნდა წაგიყვანო ჯვაროსნებში?

– უეჭველად ჯვაროსნებში ხომ არ არის აუცილებელი? ახლა ჯერ აბატთან წავიდოდი, სერაძში წევს ავადმყოფი და ახლობელი გვერდით არავინა ჰყავს. იმისი ტაკიმასხარები ალბათ აზარფეშებს უფრო ელოლიავებიან, ვიდრე მას. ის ჩემი ნათლიაა და კეთილისმყოფელი. კარგად რომ იყოს, მაშინ ხომ მოვთხოვდი დაცვასა და პატრონობას, ხალხს ერიდება მისი.

– მე არ დაგიშლი, – უთხრა მაცკომ, რომელსაც გულში უხაროდა კიდეც, იაგენკას რომ ასეთი გადაწყვეტილება მიეღო. ვინ ვინ და ის კარგად იცნობდა ჯვაროსნებს და იცოდა, დანუსია იმათ ხელიდან ცოცხალი ვეღარ დააღწევდა თავს. – მაგრამ ერთს მაინც გეტყვი: ქალიშვილთან მოგზაურობა ძნელია.

– იქნებ სხვასთან მართლა ასეა, ჩემთან კი არა. ორთაბრძოლა ჯერ არავისთან გამიმართავს, მაგრამ მშვილდ-ისრის ხმარება და ნადირობა კარგად ვიცი. ყველაფერს მოვითმენ, თქვენ ამაზე ნუ იდარდებთ. იასკოს ტანსაცმელს ჩავიცვამ, ნაწნავებს ბადეში შევიმალავ, ქამართან პატარა მახვილს დავიკიდებ და წამოვალ. იასკო ჩემზე უმცროსია, მაგრამ ტანით თითქმის ჩემხელაა, სახეზე კი ისე მგავს, ხანდახან ყველიერში ტანსაცმელს რომ გავცვლიდით ხოლმე, განსვენებული მამაჩემი ვეღარც კი გვარჩევდა ერთმანეთისაგან... აი, ნახავთ, თვითონ აბატიც ვერ მიცნობს, სხვა ხომ ვერა და ვერა.

– ვერც ზბიშკო?

– მეღირსებოდეს ერთი იმისი ნახვა...

მაცკო ერთი წამით დაფიქრდა, მერე კი უცებ ღიმილით უთხრა:

– ვილკ ბჟოზოველი და ჩტან როგოველი სულ შეიშლებიან!

– შეიშალონ. იმათთვის უარესი, თუ ჩვენ გამოგვყვნენ.

– მაგისი კი მართლა არ მეშინია. მოხუცი ვარ, მაგრამ ურჩევნიათ ხელში არ ჩამივარდნენ. არც სხვა „გრადს“ რომელიმეს!.. ერთხელ უკვე იგემეს ზბიშკოს მუშტები.

საუბარში ვერც შეამჩნიეს, როგორ მივიდნენ ქშესნიამდე. ეკლესიაში ვილკის მამაც იყო; დაბღვერილი გადახედავდა ხოლმე მაცკოს, მაგრამ მას ყურადღება არ მიუქცევია. წირვის შემდეგ მაცკო კარგ გუნებაზე გამობრუნდა შინისკენ იაგენკასთან ერთად, მაგრამ გზის გასაყარზე რომ ერთმანეთს გაშორდნენ და ბოგდანეცში მარტო დარჩა, მაინც უსიამო ფიქრები შემოეპარა. იცოდა, იაგენკას წასვლით ზგოჟელიციც და შინაურებიც მართლა მშვიდობით იცხოვრებდნენ. „ქალიშვილს შეიძლებოდა მიხტომოდნენ, – ესაუბრებოდა ის თავის თავს, – ეს სულ სხვა საქმეა, მაგრამ ობლებსა და ქონებას იქ არავინ ერჩის, ამითი ხომ ისე მოიჭრიდნენ თავს, მთელი მოსახლეობა აღუდგებოდა როგორც ნამდვილ მგლებს. მაგრამ აი, ბოგდანეცი ღვთის ანაბარა უნდა დარჩეს. მიჯნებს გადახნავენ, საქონელს გარეკავენ, გლეხებს გადაიბირებენ... ღმერთმა თუ მშვიდობა ინება, გიყვარდეს ყველაფერს დავიბრუნებ, ორთაბრძოლაში გამოვიწვევ, სასამართლოში ვუჩივლებ, ჩვენთან მარტო მუშტი კი არა, კანონიც მართავს ქვეყანას... მაგრამ მიწერია კი მობრუნება? და თუ მიწერია, როდის?.. მეტისმეტად ჩამასვეს კბილი ამ გოგოს გულისთვის, ახლა კი თან რომ წავიყვანო, უარესად გადამეკიდებიან“.

ძალიან დაენანა მოხუცს ბოგდანეცი, სადაც უკვე დიდი მეურნეობა ჰქონდა მოწყობილი; თვალნათლივ დაუდგა წინ, როგორი გაპარტახებული დახვდებოდა ყველაფერი შინ მობრუნებულს.

„რამე უნდა მოვიფიქრო! სხვა გზა არა მაქვს!“ გადაწყვიტა მოხუცმა.

ნასადილევს ცხენის შეკაზმვა ბრძანა და პირდაპირ ბჟოზოვიაში წავიდა.

შებინდებისას მიაღწია. დარბაზში მოხუცი კათხით თაფლუჭს შეექცეოდა, ჩტანის მიბეგვილი მისი ვაჟი კი იქვე ტყავებდაფენილ ტახტზე იწვა და ისიც მამასთან ერთად თაფლუჭს მიირთმევდა. მაცკო მოულოდნელად გამოჩნდა ზღურბლზე პირმოქუფრული, მაღალი, გამხდარი, უჯავშნოდ, მაგრამ გვერდზე დაკიდული გრძელი მახვილით. მოხუცს სახე ცეცხლის ალმა გაუნათა და მამა-შვილმა მაშინვე შეიცნო ის. ორივენი ელვის უმალ წამოცვივდნენ და რომელი იარაღიც მოხვდათ ხელში, კედლებიდან ჩამოხსნეს.

მაგრამ გამოცდილი მოხუცი, რომელიც კარგად იცნობდა ხალხს და მათ ადათ-წესებს, არ დაბნეულა, იარაღისკენ ხელიც არ წაუღია, დოინჯი შემოიყარა და წყნარი, ოდნავ მქირდავი ხმით უთხრა:

– რაო? ასე ღებულობს სტუმრებს ბჟოზოვიას შლიახტა?

მასპინძლებმა ხელები დაუშვეს, მოხუცს წკრიალით გაუვარდა ხელიდან ხმალი, ჭაბუკს – შუბი, ორივენი კისერწაყინწულები გაშეშდნენ ადგილზე და მათ მტრულსა, მაგრამ უკვე დარცხვენილ სახეზე გაოცება გამოიხატა. მაცკომ გაიღიმა და თქვა:

– დიდება იესო ქრისტეს!

– უკუნითი უკუნისამდე!

– და წმინდა გიორგის.

– ვართ მსახურნი მისნი.

– მე მეზობლურად მოვედი, კეთილი განზრახვებით.

– თუ კეთილი განზრახვებით, შემობრძანდით, სტუმარი ღვთისაა.

მოხუცი ვილკი მაცკოს მივარდა, მას ახალგაზრდაც მიჰყვა, ხელი ჩამოართვეს და სუფრასთან საპატიო ადგილას დასვეს. წამში ღუმელს შეშა შეუმატეს, მაგიდას სუფრა გადააფარეს, საჭმელ-სასმელით გაავსეს, ლუდი და თაფლუჭიც ბლომად მოიტანეს და ქეიფი გააჩაღეს. უმცროსი ვილკი დროდადრო გამომცდელ თვალს შეავლებდა ხოლმე მაცკოს, ეტყობოდა, მოხუცი სტუმრის პატივისცემა და სიძულვილი ერთმანეთს ებრძოდა მის გულში; და მაინც ეს დაჭრილი ყმაწვილი ისე გულმოდგინედ ემსახურებოდა მაცკოს, რომ დაღლილობით სულ გადაფითრდა, რადგან ჭრილობებისაგან დაკარგული ღონე ჯერ ვერ აღედგინა. იმასაც და მამამისსაც ერთი სული ჰქონდათ გაეგოთ, რისთვის იყო ჩამოსული მაცკო; მაგრამ სიტყვაც არ დასცდენიათ, დაელოდნენ, სანამ მოხუცი თვითონ დაიწყებდა ლაპარაკს.

წეს-ჩვეულებათა მცოდნე მაცკო კი აქებდა და ადიდებდა საჭმელ-სასმელს, სტუმართმოყვარე მასპინძლებს; მხოლოდ მას მერე, რაც კარგად გამოძღა, მედიდურად გადახედა მამა-შვილს და თქვა:

– კაცი კაცს შეიძლება კიდეც წაეჩხუბოს, წაეკინკლაოს, მაგრამ მეზობლებში სიამტკბილობას არაფერი სჯობს!

– ნამდვილად არაფერი სჯობს, – ასევე მედიდურად დაეთანხმა უფროსი ვილკი.

– ხანდახან, – განაგრძობდა მაცკო, – ადამიანი შორ გზას ადგას და გული წყდება ისე წავიდეს, რომ დამდურებულ მეზობელს არ დაემშვიდობოს.

– მადლობას მოგახსენებთ კეთილი სიტყვისთვის.

– მარტო სიტყვა როდია. აკი ჩამოვედი კიდეც.

– სულითა და გულით მიხარია თქვენი ნახვა. ჩამობრძანდით, თუნდაც ყოველდღე.

– მეც სიამოვნებით მიგიპატიჟებდით ბოგდანეცში და ისე მიგიღებდით, როგორც რაინდული ღირსების მცოდნე ხალხს შეეფერება, მაგრამ გზას ვადგავარ.

– ომში მიბრძანდებით თუ სალოცავში?

– ნეტა მართლა ომში ან სალოცავში მივდიოდე. არა, ცუდ ადგილას მივდივარ – ჯვაროსნებში.

– ჯვაროსნებში? – ერთხმად შესძახა მამა-შვილმა.

– დიახ! – დაუდასტურა მაცკომ. – ვინც იმათთან სამეგობროდ არ მიდის, იმას ურჩევნია შეურიგდეს ღმერთსაც და ხალხსაც, თორემ სიცოცხლის გარდა სულის ცხონებასაც დაემშვიდობება სამუდამოდ.

– საოცარია! – შესძახა მოხუცმა ვილკმა, – ჯერ ადამიანი არ შემხვედრია, რომ იმათ არ შეტაკებოდეს, რომ იმათგან წყენა და შევიწროება არ ენახოს.

– ასეა მთელი ჩვენი სამეფო! – დაუმატა მაცკომ. – არც ლიტვას, მონათვლამდე, და არც თათრებს იმდენი შეურაცხყოფა ჩვენი სამეფოსათვის არ მოუყენებიათ, რამდენიც იმ ალქაჯმა ბერებმა მოგვაყენეს.

– სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ იცით, უკვე საკმარისია, რაც ვითმინეთ. მგონი, დროა ბოლო მოვუღოთ მათ, აი, ასე! მოხუცმა მუჭში ჩაიფურთხა, შვილმა კი დასძინა:

– სხვა გზა არ არის.

– ეგრე იყოს, მაგრამ როდის? ეგ მეფეს უკეთ მოეხსნება და ჩვენი ჭკუის საქმე არაა. იქნებ მალე მოხდეს და იქნებ გვიან... ერთმა ღმერთმა იცის ეგ ამბავი. ახლა კი მე ვარ იმათთან წასასვლელი...

– ზბიშკოს გამოსასყიდად ხომ არ მიბრძანდებით?

როცა მოხუცმა ვილკმა ზბიშკოს სახელი ახსენა, შვილი სიძულვილისგან გადაფითრდა და სახეზე მტრობა გამოეხატა.

მაგრამ მაცკომ მშვიდად უპასუხა:

– იქნებ გამოსყიდვაც დამჭირდეს, მაგრამ ზბიშკოსი არა.

ბჟოზოვიის ორთავე მასპინძლის ცნობისმოყვარეობა კიდევ უფრო აღეგზნო.

– თქვენი ნებაა, იტყვით თუ არ იტყვით იქ გამგზავრების მიზეზს, – ვერ მოითმინა მოხუცმა.

– გეტყვით, რატომაც არა! – დაუქნია მაცკომ თავი. – მაგრამ ჯერ სხვა რამეზე მსურს მოგეთათბიროთ. ბოგდანეცი ბედის ანაბარა მრჩება... უწინ, მე და ზბიშკო როცა ვიტოლდის ლაშქარში ვიბრძოდით, იქაურობას აბატი პატრონობდა და ზიხ ზგოჟელიცელსაც თვალი ეჭირა. ახლა ასე აღარ იქნება. ძნელია, როცა იცი, რომ შენი ნაშრომი და ნაამაგევი უნდა განიავდეს... თქვენც მოგეხსენებათ, როგორ ხდება ხოლმე: ხალხს გადაიბირებენ, მიჯნებს გადახნავენ, რამდენსაც მოახერხებენ, საქონელს მოიპარავენ და, თუ ღმერთმა ინება და მშვიდობით დაგვაბრუნა, ისევ დანგრეულ ბუდეში უნდა დავბინავდე. საშველი ერთია: კეთილი მეზობელი. მეც ამის სათხოვნელად ჩამოვედი, მეზობლურად მიმიხედოთ ბოგდანეცს, არ მისცეთ უფლება გააპარტახონ იქაურობა.

ამ სიტყვებზე მოხუცმა და ახალგაზრდა ვილკმა ერთმანეთს გაოცებით გადახედეს და სიტყვა ვერ ეპოვათ, რა ეპასუხათ. წამით სიჩუმე ჩამოვარდა, მაცკომ თასით თაფლუჭი მიიტანა პირთან, გამოსცალა და ისე მშვიდად და მინდობილად განაგრძო, გეგონებოდათ, გულითად მეგობრებს ესაუბრებაო:

– არ დაგიმალავთ და გეტყვით, ვისიც მეშინია ყველაზე მეტად. მხოლოდ ჩტან როგოველის. თქვენი, კიდევაც რომ არ შევრიგებულიყავით, მაინც არ მეშინოდა, კეთილშობილი ხალხი ხართ, მტერს პირში ეტყვით, რაც სათქმელია, და ზურგიდან არ გასცემთ მახვილს. თქვენ სხვანი ხართ!.. რაინდი მაინც რაინდია, რაც არ უნდა იყოს! ჩტანი კი უბრალო წოდების ადამიანია, იმისგან არაფერი არ უნდა გაგიკვირდეს. ამას გარდა, თვალით არ დავენახვები, იაგენკას რომ ახლოს არ ვაკარებ.

– ძმისშვილისთვის გინდათ ეგ გოგო და იმიტომ უფრთხილდებით! – აფეთქდა ახალგაზრდა ვილკი.

მაცკო ერთ წამს ცივად შესცქეროდა მას, მერე მამამისს მიუბრუნდა და მშვიდად უთხრა:

– ძმისშვილმა, რომ იცოდეთ, ერთი მაზურის მდიდარი ქალიშვილი შეირთო და ცოლს კარგი მზითევიც მოჰყვა.

ისევ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა; მამა-შვილი პირდაფჩენილი შეაცქერდა მაცკოს.

ბოლოს მოხუცმა იყვირა:

– აბა, რას ბრძანებთ? აკი ამბობდნენ, თითქოს... არა, თქვით, ეს როგორ მოხდა?..

მაცკომ ვითომდა არაფრად ჩააგდო მათი გაოცება, ისე განაგრძო:

– სწორედ ამ საქმეზე ვარ წასასვლელი და ამიტომ გთხოვთ, როგორც ღირსეულსა და პატივსაცემ მეზობლებს, მიაკითხეთ ხოლმე დროდადრო ბოგდანეცს, ნუ მისცემთ ნურავის იქ თარეშის ნებას, განსაკუთრებით კი ჩტანის თავდასხმისაგან დაიცავით იგი!...

ამასობაში გაქნილმა უმცროსმა ვილკმა მოისაზრა, რაკი ზბიშკოს ცოლი შეურთავს, იაგენკა კი მაცკოს ყველაფერში ენდობა და უჯერებს, მოხუცთან მეგობრული ურთიერთობა ყველაფერს აჯობებსო. ჭაბუკ შფოთისთავს ახალი აზრები გაუჩნდა. „მაცკოსთან შერიგება კიდევ ცოტაა, სულაც ჩემს მხარეზე უნდა გადმოვიბიროო!“ – გაივლო გულში და, თუმცა უკვე შეზარხოშებული იყო, მაგიდის ქვეშ მამამისს მუხლზე ხელი მოუჭირა, მოხუცმა ზედმეტი არაფერი წამოროშოსო. მერე თქვა:

– თქვენ ჩტანის დარდი ნუ გაქვთ! მეტი არა მინდა - რა, ერთი გაბედოს და მიეკაროს იქაურობას. მართალია, ცოტა მიმბეგვა, მაგრამ მეც ისეთი დავურთე ბანჯგვლიან სახეში, რომ საკუთარი დედა ვეღარ იცნობდა. ნურაფრისა გეშინიათ. წადით გულდამშვიდებული. ბეწვი არ დაიკარგება ბოგდანეციდან!

– ვხედავ, ღირსეული ხალხი ყოფილხართ. მპირდებით?

– გპირდებით! – შესძახეს ერთხმად.

– რაინდულ ფიცს დებთ?

– ვდებთ.

– გერბსაც იფიცებთ?

– ვიფიცებთ! ეგეც ცოტაა, ჯვარზეც ვიფიცებთ!

მაცკომ კმაყოფილებით გაიღიმა.

– თქვენი იმედი ყოველთვის მქონდა, რაკი ასეა, კიდევ გეტყვით რაღაცას... როგორც იცით, ზიხმა თავისი შვილები ჩემს ანაბარა დატოვა. ამიტომ

იყო, ყმაწვილო, რომ არც შენა და არც ჩტანს ზგოჟელიცში შესვლის ნება არ მოგეცით. ახლა კი, მე რომ მალბორგში ვიქნები, ან ღმერთმა უწყის, კიდევ სად, რაღა თვალყურს დავიჭერ... ობოლს ღმერთიც პატრონობსო, ნათქვამია, და ამას გარდა. იმათ ვინც აწყენინებს, თავს წააცლიან მხრებიდან, მაგრამ მაინც მიჭირს წასვლა. ძალიან მიჭირს. მომეცით პირობა, რომ ზიხის ობლებს არც თქვენ აწყენინებთ და არც სხვას მისცემთ ამის ნებას.

– პირობას გაძლევთ!

– რაინდული ღირსება და გერბი დაიფიცეთ!

– ვფიცავ რაინდულ ღირსებასა და გერბს!

– ჯვარზეც იფიცებთ?

– ჯვარზეც ვიფიცებთ!

– ღმერთია ყველაფრის მოწმე, ამინ! – დაასრულა მაცკომ და გულზე მოეშვა. იცოდა, ასეთ ფიცს ისინი აღარ გადაუდგებოდნენ, სიცოცხლის ფასადაც რომ დასჯდომოდათ, საკუთარი ხორციც რომ დაეჭამათ რისხვითა და ბოღმით.

მოხუცი წამოდგა და გამომშვიდობებას შეუდგა, მაგრამ ვილკებმა ძალით დატოვეს. მაცკომ კარგა ლაზათიანად მოილხინა, მოხუც ვილკთანაც დაძმაკაცდა. ვაჟიშვილი კი, ადრე რომ შეთვრებოდა და ყველაზე იღრინებოდა, ამჯერად მარტო ჩტანს ემუქრებოდა და მაცკოს ისე ემსახურებოდა, თითქოს მოხუცს ხვალ საკუთარ ხელში უნდა ჩაებარებინა მისთვის იაგენკა. შუაღამემდე ახალგაზრდა ვილკი ისე დაიქანცა, გრძნობა დაკარგა და, როცა მოასულიერეს, მკვდარივით ჩაეძინა. მოხუციც მალე მიჰყვა შვილის კვალს, ასე რომ, მაცკომ ისინი მაგიდასთან დატოვა ძილად მივარდნილები.

თვითონ მაცკო მთვრალი არ იყო, მხოლოდ შექეიფიანებული გახლდათ და შინ მიმავალი გზად სიხარულით ფიქრობდა, რა კარგად მოვაკვარახჭინე საქმეებიო.

– მაშ ასე! – ამბობდა თავისთვის. – არც ბოგდანეცს ემუქრება რამე და არც ზგოჟელიცს. ჭკუაზე შეიშლებიან, როცა გაიგებენ, იაგენკა წავიდაო. მაგრამ ფიცს მაინც ვეღარ გადავლენ და ჩემს ქონებასაც მოუვლიან და იმისასაც. ღმერთს ჩემთვის კარგი თავი მოუცია. სადაც მუშტით ვერაფერს გახდები, იქ ჭკუა უნდა იხმარო... როცა დავბრუნდები, ალბათ არ ამცდება მოხუცთან შებმა, მაგრამ ეს არაფერია. აი, ჯვაროსნებიც რომ ასე გამაბმევინა ბადეში... ეს ცოტა ძნელი საქმეა. ჩვენთანაც ბევრ ოხერს გადაეყრები. მაგრამ თუ რაინდული პატიოსნება და გერბი დაიფიცა, მერე იმ ფიცს აღარ გადავა,

იმათ კი გინდა ფიცი დაუდვიათ და გინდა წყალში გადაუფურთხებიათ. იქნებ წყალობის თვალით გადმომხედოს ღვთისმშობელმა და გამოვადგე რამეში ზბიშკოს, როგორც ახლა გამოვადექი ზიხის შვილებსა და ბოგდანეცს...

მოხუცმა ისიც გაივლო, იქნება აღარც ღირს იაგენკას წაყვანა. სულ ერთია, მამა-შვილი თავს გადადებს და მას. საკუთარი თვალისჩინივით გაუფრთხილდებიან, მაგრამ მალე ისევ გადაიფიქრა: „ვილკები რომ მფარველობას დაუწყებენ, ჩტანი უარესად მიეტანება. მერე ღმერთმა იცის, ვინ ვის აჯობებს, მაგრამ ის კია, რომ თავდასხმისა და შეტაკებების გარეშე საქმე ვერ მოგვარდება. ამან კი შეიძლება ზიანი მიაყენოს ზგოჟელიცელებს, ზიხის ობლებს, და თვითონ გოგონას. მარტო ბოგდანეცის დაცვა და პატრონობა ვილკებს არ გაუჭირდებათ, ქალიშვილი კი სჯობს მოშორდეს ორთავე ჩხუბისთავს და ახლოს იყოს მდიდარ აბატთან“. მაცკოს ვერ დააჯერებდით, რომ დანუსია ცოცხალი დააღწევდა თავს ჯვაროსანთა კლანჭებს, იმედს არა ჰკარგავდა – ზბიშკო როდესმე ქვრივი დაბრუნდებოდა და მაშინ მაინც გაუწევდა გული იაგენკასაკენ.

– ეჰ, ღმერთო დიდებულო! – ამბობდა თავისთვის. სპიხოვს რომ იაგენკას მოჩიდოლი დაემატოს და ზედ კიდევ ის, რასაც მას აბატი დაუტოვებს, – აი, საქმე ეს იქნებოდა, მაშინ ერთ კვერ ცვილს არ დავზოგავდი სანთლების ჩამოსასხმელად.

ფიქრებში გართულმა ვერც კი შეამჩნია, როგორ მივიდა ბოგდანეცში. გვიანი ღამე იყო და ფანჯრებში რომ გაკაშკაშებული სინათლე დაინახა, ძალიან გაუკვირდა. არც მსახურებს ეძინათ, ეზოში შესვლაც ვერ მოასწრო, რომ მეჯინიბე გამოეგება.

– სტუმრები გვყავს? – იკითხა მაცკომ და ცხენიდან ჩამოხდა.

– ჭაბუკი გვესტუმრა ზგოჟელიციდან და ჩეხიც თან ახლავს, – მიუგო მეჯინიბემ.

მაცკო კიდევ უფრო გაოცდა. იაგენკა ხვალ უთენია შეპირდა ჩამოსვლას და მაშინვე უნდა გამგზავრებულიყვნენ კიდევაც. ახლა იასკო რამ გააჩინა ამ შუაღამისას? ცუდი ამბავი ხომ არაფერია? და გულდამძიმებული შევიდა შინ.

მაგრამ დარბაზის შუაგულ ვეება თიხის ღუმელში, ჩვეულებრივი კერიის ნაცვლად რომ დაედგათ, მხიარულად ბრიალებდა ფისიანი შეშა. მაგიდაზე კი რკინის შანდლებში ორი ჩირაღდანი ენთო. მათ შუქზე მაცკომ დაინახა იასკო, ჩეხი ჰლავა და ვაშლივით ლოყადაბრაწული ყმაწვილი საჭურველმტვირთველი.

– როგორ გიკითხო, იაკო? იაგენკა როგორ არის? ჰკითხა მოხუცმა შლიახტიჩმა.

– იაგენკამ დამაბარა, – უპასუხა ყმაწვილმა და ხელზე ეამბორა მოხუცს, – გადავიფიქრე და შინ დარჩენა გადავწყვიტეო.

– აბა, რას ამბობ! როგორ იქნება! ეს რამ აფიქრებინა? ყმაწვილმა კი თავისი ცისფერი თვალები მიანათა და გადაიკისკისა.

– რა გახარხარებს?

მაგრამ ამ დროს ჩეხსა და ყმაწვილ საჭურველმტვირთველსაც სიცილი წასკდათ.

– აი, ხომ ხედავთ! - შესძახა ვითომდა ყმაწვილმა, სხვა ვინღა მიცნობს, თუკი თქვენც ვერ მიცანით. ახლაღა დააკვირდა მაცკო მის კოხტა ტანს და წამოიძახა:

– ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! პირდაპირ საბერიკაოდ ხარ გამოწყობილი! აქ რისთვის გამომეცხადე, შე ცუღლუტო, შენა?

– როგორ თუ რისთვის? წამსვლელი კაცი უკვე დროა გზას დაადგეს!

– ხვალ არ აპირებდი განთიადისას ჩამოსვლას?

– განთიადზე რა მინდოდა, რომ ყველას დავენახე! ხვალ ზგოჟელიცში იფიქრებენ, თქვენთან ვარ სტუმრად და მხოლოდ ზეგ ატყდება აყალმაყალი. სეცეხოვამ და იასკომ ყველაფერი იციან; მაგრამ იასკომ რაინდული ფიცით დაიფიცა, რომ ამას მხოლოდ მაშინ გაამხელს, როცა შინ ალიაქოთი ატყდება. მაშ, ვერ მიცანით ხომ?

ამაზე მაცკოსაც გაეცინა.

– მოდი ერთი კარგად დაგათვალიერო... კაი ბიჭი ხარ, ღმერთმანი! თანაც სრულიად განსაკუთრებული, ამიტომ შეიძლება შვილებიც კი გააჩინო... ხომ მართალს ვამბობ! ეჰ, ცოტა ახალგაზრდა ვიყო, მე ვიცი! ისე, ყოველი შემთხვევისათვის, მაინც ფრთხილად იყავი, ქალო, თვალებში ხშირად ნუ გამეჩხირები! ფრთხილად იყავი!..

და სიცილითა და თითის ქნევით დაემუქრა, თან აღტაცებული შეჰყურებდა, რადგან ასეთი ყმაწვილი ჯერ არსად ენახა. თმა აბრეშუმის წითელ ბადურაში ჩაემალა, მწვანე მაუდის მოკლე ხიფთანი ეცვა და ფერებში განივრად შეკერილი შარვალი, რომელიც ქვემოთკენ ძალზე ვიწროვდებოდა. შარვლის ერთი ტოტი თმის ბადურის ფერი იყო, მეორე ზოლიანი. გვერდზე მდიდრულად მოჭედილი მოკლე მახვილი ეკიდა. დაფიონივით ნათელი სა-

ხე უღიმოდა და საერთოდ ისეთი მიმზიდველი იყო, თვალს ვერ მოსწყვეტდი. მაცკო ახლა მეორე ყმაწვილს მიუბრუნდა:

– ეს ვიღაა?... ესეც გადაცმულია?

– ეს ხომ სეცეხოვას ქალიშვილია, – უპასუხა იაგენკამ. – უხერხული იყო ჩემთვის მარტო კაცებში ყოფნა, მეც ავდექი და ანულკა წამოვიყვანე. ორნი რომ ვიქნებით, ისე აღარ მოგვწყინდება, კიდევაც დამეხმარება, თანაც მომემსახურება. მაგასაც ვერავინ არჩევს ბიჭში.

– ესეც შენი ხათაბალა! ერთი არ მეყოფოდა, ახლა ორი გამიხდა მოსავლელი.

– ნუ გვაბრაზებთ.

– მე არ გაბრაზებთ, მაგრამ დღისით ყველა ადვილად გიცნობთ იმასაც და შენც.

– ვითომ რატომაო?

– მუხლები ისე მიგიტყუპებიათ შენც და ამასაც.

– გაჩერდით ერთი.

– მე კი გავჩერდები, გადაყრუებული ბებერი ვარ, მაგრამ აი, ჩტანი და ვილკი გაჩერდებიან თუ არა, ღმერთმა უწყის. შენ იცი თუ არა, ჭრიჭინობელავ, საიდან მოვდივარ? ბჟოზოვიდან.

– ღმერთო ჩემო! აბა, რასა ბრძანებთ?

– მართალს გეუბნები! და ვილკები რომ დაიცავენ ჩტანისაგან ბოგდანეცსაც და ზგოჟელიცსაც – ესეც მართალია. აბა! მტრის გამოწვევა და ბრძოლა ადვილია, მაგრამ იგივე მტერი რომ შენი ქონების დარაჯად დააყენო – ამას ყველა ვერ შეძლებს.

მაცკო მოჰყვა, როგორ მოინახულა ვილკები, როგორ გადმოიბირა ისინი და გამოსდო კავი, იაგენკა თვალებდაჭეტილი უსმენდა, და როცა დაასრულა, უთხრა:

– ღმერთს თქვენთვის მოხერხება არ დაუშურებია; მე მგონია, ყველაფერი ისე იქნება ყოველთვის, როგორც თქვენ მოისურვებთ.

მაგრამ მაცკომ ნაღვლიანად გაიქნია თავი.

– ეჰ, ჩემო კარგო, ყველაფერი რომ ჩემ ჭკუაზე წასულიყო, შენ დიდი ხანია ბოგდანეცის დიასახლისი უნდა ყოფილიყავი.

იაგენკამ ისევ მიაპყრო ცისფერი თვალები მოხუცს, მერე მიუახლოვდა და ხელზე ეამბორა:

– რას მლოშნი? – ჰკითხა მოხუცმა.

– არაფერია, არაფერი!... ღამე ნებისა, უკვე გვიანია, დილით უთენია ასადგომები ვართ.

იაგენკამ ანულკა თან წაიყვანა და წავიდა, მაცკო და ჩეხი კი გვერდით ოთახში დომბის ტყავებზე მიწვნენ და ჯანსაღი ღრმა ძილით დაიძინეს.

X

მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებმა 1331 წელს ცეცხლითა და მახვილით აღგავეს პირისაგან მიწისა სერაძი, კაზიმეჟ დიდმა თავიდან ააშენა ქალაქი, თუმცა მას ძველი დიდებისა ბევრი აღარაფერი ეცხო და სამეფოს სხვა ქალაქებსაც ვეღარ შეედრებოდა. მაგრამ იაგენკა, რომელიც ზგოჟელიცსა და ქშესნიას არ გასცილებოდა, მაინც გაოცებული იყო, როცა თვალწინ გადაეშალა გალავანი, კოშკები, რატუშა და განსაკუთრებით ეკლესიები, რომელთა წარმოდგენაც არ შეეძლო მხოლოდ და მხოლოდ ქშესნიის ხის ეკლესიის მნახველს. მთელი სითამამე ერთბაშად გაუქრა, პირველ წუთებში ხმამაღლა ლაპარაკსაც ვერა ბედავდა, ჩურჩულით ეკითხებოდა მაცკოს იმ საოცრებათა ამბებს, მას რომ თვალი მოსჭრეს; ხოლო როცა მოხუცი რაინდი მოჰყვა მის დარწმუნებას, სერაძი ისე შეედრება კრაკოვს, როგორც ჩვეულებრივი მუგუზალი მზესაო, ქალი თავის ყურებს არ უჯერებდა, ვერ წარმოედგინა, თუ სადმე ამქვეყნად სხვა ასეთი ბრწყინვალე ქალაქი კიდევ არსებობდა.

მონასტერში მათ უმასპინძლა ისევ იმ მიხრწნილმა წინამძღვარმა, რომელსაც კარგად ახსოვდა, რა ხოცვა-ჟლეტა გამართეს აქ ჯვაროსნებმა ჯერ კიდევ მის ბავშვობაში. სულ ცოტა ხნის წინ მასვე ემასპინძლა ზბიშკოსთვის. აბატის ამბებმა ძალზე დააფიქრა ისინი. დიდხანს იყო თურმე აქ მამათა მონასტერში; ორი კვირის წინ კი თავის მეგობართან, პლოცკის ეპისკოპოსთან წასულა. თავს ჯერ ვერ გრძნობდაო კარგად. დღისით კიდევ არა უჭირდა რა, საღამოობით გუნება ემღვრეოდა, ლოგინიდან წამოვარდებოდა, ჯავშნის ჩაცმას ბრძანებდა და ბრძოლაში იწვევდაო მთავარ იან რაციბოჟელს. მედავითნეები ძალით აკავებდნენ თურმე ლოგინში. ეს არც ისე ადვილი იყო, ხანდახან კი სახიფათოც. სულ ორიოდე კვირის წინ მოეგო

მთლად გონს და, თუმცა უარესად მისუსტდა, ბრძანა სასწრაფოდ წაეყვანათ პლოცკში.

ამბობდა, ისე არავის ვენდობი, როგორც პლოცკელ ეპისკოპოსსო, – დაასრულა თავისი მონაყოლი წინამძღვარმა. – იმისი ხელით სურს ეზიაროს და ანდერძიც იმას დაუტოვოს. ძალიან სუსტად იყო და ყველანაირად ვეცადეთ, არ წასულიყო, გვეშინოდა, ერთ მილსაც ვერ გაივლიდა, რომ სულს დალევდა. გვინდოდა გადაგვეთქმევინებინა, მაგრამ ვერ გავტეხეთ! მედავითნეებმა ფორანში თივა ჩაუგეს და წაიყვანეს – ღმერთმა მშვიდობის გზა მისცეს!

– სადმე სერაძის მახლობლად რომ გარდაცვლილიყო, ალბათ გაიგებდით, – ჩაურთო მაცკომ.

– რა თქმა უნდა, გავიგებდით, – უპასუხა მხცოვანმა წინამძღვარმა, – ამიტომაც ვფიქრობთ, რომ არ გარდაცვლილა, ყოველ შემთხვევაში, ლენჩიცამდე ღმერთისთვის სული არ მიუბარებია; იმის მერე რაღა დაემართა, არ ვიცით. თუ მის კვალს მიჰყვებით, ალბათ გზაში გაიგებთ ყველაფერს.

ამ ამბებით შეფიქრიანებულმა მაცკომ სათათბიროდ იაგენკას მიაშურა; ჩეხს იმისთვის უკვე ეთქვა აბატის წასვლის ამბავი.

– ახლა რა ვქნათ? – ჰკითხა მოხუცმა. – შენ რას აპირებ?

– თქვენ წახვალთ პლოცკში და მეც თან წამოგყვებით, – მოკლედ მოუჭრა ქალიშვილმა.

– პლოცკში! – წვრილი ხმით გაიმეორა ანულკამაც.

– არა, ერთი ამათ დამიხედეთ! ისე ადვილად ბრძანებენ, პლოცკშიო, გეგონებათ, აგერ იყოს ყურისძირში!

– აბა როგორ დავბრუნდე მარტო ანულკასთან ერთად? თუ ამის იქით აღარ შეიძლება თქვენთან ერთად წამოსვლა, ისა სჯობდა, სულაც დავრჩენილიყავი. იმაზე აღარა ფიქრობთ, იქ რომ ხალხი ახლა უარესად არის ჩემზე გაბრაზებული და აღრენილი?

– ვილკები ჩტანისგან დაგიცავენ.

– მე არც იმათი დაცვა მინდა და არც ჩტანის მეშინია, იმასაც ვხედავ, რომ ტყუილუბრალოდ ჯიუტობთ.

მაცკო მართლაც თავს იკატუნებდა. ერჩივნა იაგენკა მასთან ერთად წასულიყო, ვიდრე დაბრუნებულიყო, ამიტომაც გაეცინა მის სიტყვებზე და უთხრა:

– კაბა გაიხადა და ხელად ჭკუაც მოემატა!

– ჭკუა თავშია და არა სხვაგან სადმე.

– მერე, პლოცკი რომ ჩემს გზაზე არ არის?

– ჩეხმა მითხრა, სწორედ გზაზეაო, და თუ მალბორგში მიდიხართ, პლოცკის გავლით უფრო ახლოაო.

– თქვენ უკვე ჩეხთანაც მოგითათბირებიათ ყველაფერი.

– აბა, როგორ! იცით, კიდევ რა გვითხრა: თუ ყმაწვილ ბატონს მალბორგში რამე უსიამოვნება შეემთხვა, პლოცკის ქალბატონს ალექსანდრას ძალიან დიდი დახმარება შეუძლიაო, ჯერ ერთი, მეფის ღვიძლი და არის, მეორე კიდევ, ჯვაროსნებთანაც მეგობრობს, დიდ პატივს სცემენო.

– თქვენ მართალს ამბობთ, მართალს! – შესძახა მაცკომ. - ეგ ამბავი ყველამ იცის და საკმარისია ერთი წერილის მიწერა ინებოს მაგისტრთან, ორდენის მთელ სამეფოს უვნებლად მოვივლიდით. ჯვაროსნებსა და ქალბატონს უყვართ ერთმანეთი... ეს ძალიან კარგი რჩევაა და ეგ შენი ჩეხი საკმაოდ ჭკვიანი ყმაწვილია!

– მერე როგორი! – ალმურმოდებულმა ანულკამ ჩეხს თავისი ლაჟვარდისფერი თვალები შეანათა. მაცკო ერთბაშად მიუბრუნდა მას:

– შენ ვითომ რაღაო?

ქალიშვილი დაიბნა, გრძელი წამწამები დახარა და ვარდივით გაწითლდა.

მაცკომ დახედა, რომ სხვა გზა არ ჰქონდა და ორთავე ქალიშვილი თან უნდა წაეყვანა; გულში კიდევაც უხაროდა ეს. ასე რომ, მეორე დილით ისინი მხცოვან წინამძღვარს გამოემშვიდობნენ და ისევ გზას გაუდგნენ. ახლა უფრო გაძნელდა სიარული, თოვლი დნებოდა, მდინარეებიც ნაპირზე გადმოდიოდა. გზაზე ყველგან აბატის ამბავს კითხულობდნენ; ბევრი შლიახტიჩის მამულში შეიარეს, ქსონძებსაც ესტუმრნენ, უბრალო სამიკიტნოებშიც გაჩერდნენ, სადაც აბატსაც გაეთია ღამე. მისი კვალის მიყოლა ადვილი იყო. მოხუცი უხვად არიგებდა თურმე მოწყალებას, უკვეთავდა წირვას, შეწირულებას ტოვებდა, ეხმარებოდა გაღარიბებულ ეკლესიებს, ასე რომ ბევრი მათხოვარი, ეკლესიის მსახური და ქსონძი იგონებდა მას მადლიერების გრძნობით. ყველგან ამბობდნენ, „ანგელოზივით ჩამოიარაო“, და ყველგან მის ჯანმრთელობას შესთხოვდნენ ღმერთს, თუმცა იმასაც დასძენდნენ, ის ზეცასთან გაცილებით ახლოს იყო და საამქვეყნო პირი აღარ ჰქონდა. როცა

სისუსტე მიეძალებოდა, აბატი ზოგან თურმე ორი-სამი დღეც კი ჩერდებოდა დასასვენებლად. მაცკომ იფიქრა, იქნებ კიდევაც დავეწიოთო მოხუცს.

მაგრამ მოტყუვდა ანგარიშში. მდინარეებმა ნერმა და ბზურამ შეაყოვნა ისინი. სანამ ლენჩიცაში ჩავიდოდნენ, მგზავრებმა მთელი ოთხი დღე გაატარეს უპატრონოდ მიტოვებულ ცარიელ სამიკიტნოში – პატრონს, ეტყობა, წყალდიდობისა შეშინებოდა. სამიკიტნოდან ქალაქამდე გზაზე სულ მორები იყო დაწყობილი, მაგრამ წყალს ისინიც დაეფარა და მთელი გზა ჭაობს დამგვანებოდა. მაცკოს მსახური ვიტი აქაური იყო და გაგონილი ჰქონდა, ტყე-ტყე ჭაობების გავლით ქალაქამდე მისვლა შეიძლებაო, მაგრამ მეგზურობა არ იკისრა, რადგან ყური მოეკრა, ლენჩიცას ჭაობებში უწმინდურები ბუდობენ, შიგ მძლეთამძლე ბორუტა ცხოვრობს, რომელიც ხალხს იტყუებს უძირო ჭანჭრობში, მერე კი დაიხსნის მათ, თუ სულს მიჰყიდიანო. თვითონ ამ სამიკიტნოსაც სახელი ჰქონდა გატეხილი. და თუმცა იმ დროს მოგზაურები ყველაფრის მარაგს თან ატარებდნენ და შიმშილისა არ ეშინოდათ, ასეთ ადგილას ყოფნა თვით მაცკოსაც კი აფრთხობდა.

ღამღამობით მგზავრებს რაღაც ხმაური ესმოდათ სამიკიტნოს სახურავიდან, ხანდახან კი ვიღაც კარზე აკაკუნებდა. იაგენკასა და ანულკას კუთხის ოთახში ეძინათ, დიდი დარბაზის გვერდით, და სიბნელეში ჭერსა და კედლებზეც პატარა ფეხების პარტყა-ჰურტყი ესმოდათ. ეს მაინცდამაინც არ აშინებდა მათ. ზგოჟელიცში ისინი შეჩვეული იყვნენ ყოველგვარ ავსულებს, რომელთაც მოხუცი ზიხის ბრძანებით საჭმელსაც კი აჭმევდნენ. მაშინდელი რწმენით, ავი სული არაფერს ერჩოდა იმას, ვინც მათთვის ნამცეცებს არ დაინანებდა. მაგრამ ერთხელ ღამით სამიკიტნოს მახლობლად ტყის ტევრში ყრუ და მრისხანე ღრიალი გაისმა, მეორე დილით კი ჭაობზე საოცარი ჩლიქების კვალი ნახეს. ეს ან დომბა უნდა ყოფილიყო, ან ხარი, მაგრამ ვიტი ირწმუნებოდა, ეს ბორუტა იყოო. ბორუტა ადამიანის სახეს ღებულობდა, ხანდახან შლიახტიჩსაც ემგვანებოდა, მაგრამ ტერფების ნაცვლად ჩლიქები ჰქონდა, ხოლო იმ ჩექმებს, რომლებსაც ადამიანებთან გამოჩენისას იცვამდა, უფრთხილდებოდა და ჭაობებში იხდიდა ხოლმე. როცა მაცკომ გაიგო, ბორუტა თუ შეათვრე, ადვილად დაიყოლიებო, მთელი დღე ფიქრობდა, ცოდვა ხომ არ იქნება უწმინდურს დახმარება გამოვთხოვოთო, და იაგენკასაც კი ელაპარაკა ამის თაობაზე

– ღამით ღობეზე ღვინით ან თაფლუჭით სავსე ბუშტს დავკიდებ, – უთხრა მას მოხუცმა, – თუ დილით ვნახავთ, ვიღაცას დაულევია, გვეცოდინება მაინც, რომ ავსული აქ დაბორიალობს.

– ღვთიურ ძალებს არ ვაწყენინოთ, – უპასუხა ქალიშვილმა, – ჩვენ იმათი დალოცვა გვჭირდება, რომ ზბიშკოს დახსნა შევძლოთ.

– ჰოდა, აი, მეც მაგისი მეშინია, მაგრამ თუ დავფიქრდებით, თაფლუჭი ხომ სული არ არის. სულს მე მას არ მივყიდი, ერთი ბუშტი თაფლუჭი კი რა დიდი დანაკლისი უნდა იყოს ღვთიური ძალებისათვის!

მოხუცმა ხმას დაუწია და დასძინა:

– ეს სრულიად ჩვეულებრივი ამბავია, შლიახტიჩი შლიახტიჩს ყოველთვის უმასპინძლდება, თუნდაც ის უკანასკნელი თავზეხელაღებული იყოს, ხალხში კი ხმა დადის ის სწორედ შლიახტიჩიაო.

– ვინა? – ჰკითხა იაგენკამ.

– არ მინდა უწმინდურის სახელი ვახსენო.

იმ საღამოს მაცკომ მაინც თავისი ხელით დაჰკიდა ტყრუშულ ღობეზე ვეებერთელა ხარის ბუშტი, რომლითაც ჩვეულებრივ მგზავრობაში სასმელს დაატარებდნენ ხოლმე. მეორე დილით კი ბუშტი გამოცლილი დახვდათ.

ამაზე რომ ლაპარაკობდნენ, ჩეხს რაღაც ეშმაკურად ეღიმებოდა, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. მაცკოს კი გულში უხაროდა, ახლა ჭაობებზე გადასვლისას არავითარი მოულოდნელი სიძნელე აღარ შეგვხვდებაო.

– ერთიც ვნახოთ ტყუიან და არავითარი პატიოსნება არ გააჩნია, – ამბობდა მოხუცი თავისთვის.

ასეა თუ ისე, პირველ რიგში უნდა ესინჯათ, ტყით ხომ არ მოხერხდებოდა გასვლა. ეს ჭკუასთან ახლოს იყო, რადგან იქ, სადაც ნიადაგში ხისა და ბუჩქების ფესვებია ჩახლართული, წვიმები ადვილად ვერ გადარეცხავენ მიწას. გზის პოვნა ყველაზე მეტად აქაურ მკვიდრს ვიტს გაუადვილდებოდა, მაგრამ მაცკომ თქმაც ვერ მოასწრო, რომ ვიტმა იყვირა: „გინდაც მომკლათ, პან, ვერ წავალ!“ სულ ამაოდ არწმუნებდნენ, დღისით ავი სული თავის ძალას ჰკარგავსო. მაცკომ გადაწყვიტა თვითონ წასულიყო; მაგრამ ყველაფერი იმით დასრულდა, რომ გულადმა ჭაბუკმა ჰლავამ, რომელსაც ხალხში და განსაკუთრებით ქალებში თავის მოწონებაც უყვარდა, ქამარში ცული გაირჭო, ხელკეტი მოიმარჯვა და წავიდა.

დილაუთენია გავიდა ჰლავა და შუადღისთვის უკვე ელოდებოდნენ, მაგრამ არ გამოჩენილა, ცოტა არ იყოს, შეშინდნენ. ამაოდ აყურადებდნენ მსახურები შუადღის მერე ტყეში მისი ნაბიჯების ხმას. ვიტი მხოლოდ ხელს

იქნევდა და ამბობდა: „არ უწერია დაბრუნება, და თუნდაც დაბრუნდეს, ჩვენთვის უარესი, რადგან, ღმერთმა იცის, მგლად აქცევს თუ სხვა რამედ მას უწმინდური ძალა!“ იმის ლაპარაკზე ყველას გული უტრიალდებოდა, მაცკოც კი აიტანა შიშმა, იაგენკა ყოველ წუთს აბრუნებდა თავს ტყისკენ და ჯვარს სახავდა იქაურობას. ანულკა ამაოდ იფათურებდა ხელს თავის შარვალშემოტმასნილ მუხლებზე წინსაფრის ძებნაში, რომ ცრემლები მოეწმინდა. მერე ცარიელი ხელები მიჰქონდა თვალებთან და თითებს მაშინვე უსველებდა ღვარღვარა ცრემლები.

მაგრამ საღამო ხანს, მზის ჩასვლისას, ჩეხი დაბრუნდა, თან თოკგამობმული ვიღაც კაციც გამოეგდო წინ. ყველა სიხარულის ყიჟინით შეეგება მას; მაგრამ მგლის ტყავში გამოხვეული, დაბალი, ფეხებმოჩართული, შემურული და ბანჯგვლიანი უცნობის დანახვაზე ყველას ხმა ჩაუწყდა.

– მითხარი, ღვთის გულისათვის, ეს რა ურჩხული მოათრიე? – გონს მოეგო მაცკო.

– განა რა მნიშვნელობა აქვს! – უპასუხა საჭურველმტვირთველმა.– ამბობს, ადამიანი ვარო, ფისისმხდელიო. მართალია თუ არა, არ ვიცი. .

– არა, ეგ ადამიანი არ არის, არ არის! – შესძახა ვიტმა. მაგრამ მაცკომ უბრძანა ხმა გაეწყვიტა, დაჟინებით ჩააცქერდა ტყვეს და უეცრად უთხრა:

– აბა, პირჯვარი დაიწერე! ახლავე დაიწერე!..

– დიდება იესო ქრისტეს! – შესძახა ტყვემ, სასწრაფოდ გადაიწერა პირჯვარი, თავისუფლად ამოისუნთქა, თითქოს გულიდან ლოდი ჩამოეხსნაო, და ნდობით გადახედა ყველას მერე ისევ გაიმეორა:

– დიდება იესო ქრისტეს! მეც ასე ვფიქრობდი, ან ქრისტიანების ხელში მოვხვდი-მეთქი, ან ეშმაკის. ო, ღმერთო ჩემო!..

– ნუ გეშინია, ქრისტიანებში ხარ, რომლებიც თავგამოდებით ლოცულობენ ეკლესიაში. შენ ვიღა ხარ?

– ფისისმხდელი, მოწყალეო ბატონო. შვიდნი ვართ ქოხებში ცოლ-შვილიანად.

– აქედან შორსა ხართ?

– ასე, ნახევარ ვერსზე.

– ქალაქში როგორ დადიხართ?

– ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს, ეშმაკის ხევზე.

– ეშმაკის? აბა, კიდევ გადაიწერე პირჯვარი.

– სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ!

– კეთილი, ფორანი გაივლის იმ გზაზე?

– ახლა ყველგან ტალახია, მაგრამ იქ ნაკლებია, ვიდრე დიდ გზაზე. ხევში ქარი უბერავს და აშრობს ჭაობს. აი, ქოხებამდე ცოტა ძნელი, მაგრამ ვინც ტყეს იცნობს, ის ნელ-ნელა ქოხებამდეც მიგიყვანთ.

– ერთ სკოეცად წაგვიყვან? კარგი, ორი იყოს! მორიგდნენ, ოღონდ ფისისმხდელმა დამატებით ნახევარი პური სთხოვა, რადგან ტყეში თუმცა შიმშილით არ იხოცებოდნენ, მაგრამ პური დიდი ხანია თვალით არ ენახათ. გადაწყვიტეს, მეორე დილით ადრიანად გასულიყვნენ. საღამოს მაინც მოერიდნენ „უწმინდურს“. ფისისმხდელი ჰყვებოდა, ბორუტა ხანდახან ძალიან „ბობოქრობს“ ხოლმეო; მაგრამ უბრალო ხალხს არას ერჩის, თავის ლენჩიცას სამთავროს სხვა უწმინდურებისაგან იცავს და ტყეში მიერეკებაო მათ. მხოლოდ უნდა ეცადო ღამით არ გადაეყარო, მით უმეტეს, თუ კაცი ცოტა შემთვრალია, დღისით კი, თანაც ფხიზელს, იმისი შიში არავის აქვსო.

– შენ მაინც თუ გეშინოდა? – ჰკითხა მაცკომ.

– ამ რაინდმა ისე მოულოდნელად და ისე მაგრად გამკოჭა, არ მეგონა, თუ ადამიანი იყო.

იაგენკას სიცილი აუტყდა, როგორ მიიჩნიეს მათ „უწმინდურად“ ფისისმხდელი, იმან კი – ესენი. ანულიაც იცინოდა, თანაც ისე გულიანად, რომ მაცკომ უთხრა:

– ჯერ ცრემლები არ შეშრობია, ჰლავას რომ დასტიროდი, ახლა კი უკვე იკრიჭები.

ჩეხმა შეხედა იმის შეფაკლულ სახეს, სველ წამწამებს და ჰკითხა:

– თქვენ ჩემი გულისთვის ტიროდით? არა,

– უპასუხა ქალიშვილმა, – მე მხოლოდ მეშინოდა.

– თქვენ ხომ შლიახტის ჩამომავალი ხართ, თქვენთვის სირცხვილია შიში, ქალბატონი ასეთი მშიშარა რომ არა გყავთ. განა რა უნდა დაგმართოდათ ცუდი დღისით-მზისით, ამოდენა ხალხში. მით

– მე არაფერი, მაგრამ აი, თქვენ.

– აკი მითხარით, თქვენი გულისთვის არა ვტიროდიო?

– თქვენი გულისთვის არა.

– აბა, რაზე ტიროდით?

– შიშით ვტიროდი.

– ახლა აღარ გეშინიათ?

– არა.

– რატომ?

– ხომ დაბრუნდით.

ჩეხმა მადლიერებით სავსე მზერა მიაპყრო და ღიმილით უთხრა:

– ასე დილამდე გაგვიგრძელდება ლაპარაკი. თქვენ ძალიან ეშმაკი ხართ.

მაგრამ ქალისთვის შეგეძლო ყველაფერი დაგებრალებინა, გარდა ეშმაკობისა, და თვითონ ეშმაკმა ჰლავამაც კარგად იცოდა ეს. მას ისიც ესმოდა, რომ დღითი დღე სულ უფრო მეტად ილტვოდა მისკენ ეს ქალი. თვითონ იაგენკა უყვარდა, მაგრამ ისე, როგორც ქვეშევრდომს უყვარს ხოლმე მეფის ასული, მორჩილად და თაყვანისცემით, სრულიად უიმედოდ. ამასობაში კი უფრო და უფრო უახლოვდებოდა ანულკას.

მოხუცი მაცკო ჩვეულებრივ იაგენკასთან ერთად წინ მიდიოდა, მათ უკან მიჰყვებოდნენ ჩეხი და ანუკა. ჰლავა ხარივით ძლიერი ვაჟკაცი იყო, ძარღვებში სისხლი უდუღდა და როცა გზადაგზა ანუკას ნათელ თვალებს ჩახედავდა, ბადიდან ჩამოშლილ ღია ფერის კულულებს შეავლებდა მზერას, მის შოლტივით ტანს და განსაკუთრებით კოხტად გამოკვართულ ფეხებს დაინახავდა, ქურანა ცხენს რომ შემოტმასნოდნენ, ტანში ჟრუანტელი უვლიდა. ამ სრულქმნილებას თვალს ვეღარ აშორებდა და უნებურად ფიქრობდა, ეშმაკი რომ ასეთ ბიჭად გადაქცეულიყო, სულ ადვილად მაცდუნებდაო. მით უმეტეს, რომ ეს გულწამტაცი „ბიჭი“ თაფლივით ტკბილი იყო, ისეთი გამგონი, რომ სულ თვალებში შეჰყურებდა და განზრახვას წინასწარ უხვდებოდა, თან სახურავზე შემომჯდარი ბეღურასავით მხიარულიც იყო. ხანდახან ჩეხს საოცარი აზრები მოსდიოდა თავში. და, აი, ერთხელ, როცა ისა და ანულკა ცოტათი ჩამორჩნენ და საპალნიან ცხენებს გაუსწორდნენ, უეცრად მიუბრუნდა ქალიშვილს და უთხრა:

– იცით, ისე მოგყვებით გვერდით, როგორც მგელი ბატკანს.

ქალმა მხოლოდ თეთრი კბილები გააკვესა გულიანი ღიმილით.

– ჩემი შეჭმა გინდათ? – ჰკითხა მან.

– მერე როგორ! ძვლებიანად!

ვაჟმა ისეთი თვალით შეხედა ანულკას, რომ ქალი უნებურად აილეწა. მერე ორთავე გაყუჩდა, მხოლოდ გულებს გაჰქონდათ ბაგაბუგი – ვაჟს ვნებისგან, ქალს კი რაღაც ტკბილი დამათრობელი შიშისაგან.

თავდაპირველად ჩეხის გულში ვნება სძლევდა ნაზ გრძნობას, და მართალს ეუბნებოდა, ისე გიყურებ, როგორც მგელი კრავსაო. მხოლოდ იმ საღამოს გაულღვა გული, როცა ცრემლებით დასველებული ლოყები და წამწამები დაუნახა. კეთილი, ახლობელი და მშობლიური გახდა მისთვის ეს ქალი; თვითონაც ბუნებით პატიოსანი, კეთილშობილი რაინდი იყო, ამიტომ კი არ გაყოყოჩდა ამ ტკბილი ცრემლების დანახვაზე, პირიქით, უარესად დაიმორცხვა, უფრო მეტ ყურადღებას ამჟღავნებდა გოგონასადმი. ლაპარაკის დროს იმდენ თავისუფლებას აღარ აძლევდა თავს, და თუმცა ვახშმისას დროდადრო დასცინოდა ქალიშვილის სიმხდალეს, მაგრამ უკვე სხვაგვარად. ამას გარდა, ისე ემსახურებოდა მას, როგორც რაინდის საჭურველმტვირთველი უნდა მოემსახუროს შლიახტიჩ ქალიშვილს. მოხუცი მაცკოს უმთავრესი საზრუნავი ხვალინდელი ძნელი გზა და მომავალი მოგზაურობა იყო, მაგრამ ეს მაინც შეამჩნია და ჩეხი შეაქო კარგი ზნე-ჩვეულებებისათვის, რაც მას, მოხუცის თქმით, ალბათ ზბიშკოსგან შეესწავლა მაზოვიის კარზე.

ამ დროს ის იაგენკას მიუბრუნდა და უთხრა:

– ეჰ, ზბიშკო!... მეფის წინაშეც არ დაიკარგება!

ვახშმის შემდეგ, როცა ყველამ თავის საწოლს მიაშურა, ჩეხი ხელზე ეამბორა იაგენკას, მერე ტუჩებთან მიიტანა ანუკას ხელიც და უთხრა:

– ჩემი დარდი ნუ გექნებათ, როცა ჩემთან ხართ, შიშსაც ნუ გაიტარებთ გულში. არავის მივცემ თქვენი წყენინების უფლებას.

ნავახშმევს მამაკაცები დარბაზში დარჩნენ დასაძინებლად, იაგენკა და ანუკა კი კუთხის ოთახში ფართო რბილ ლოგინზე დაწვნენ. ქალიშვილებს რაღაც ძილი გაუკრთათ. განსაკუთრებით ანულკა წრიალებდა ტილოს ზეწარზე. ცოტახნის შემდეგ იაგენკა მიუჩოჩდა და ჩასჩურჩულა:

– ანულია?

– რა გნებავთ?

– რაღაც ისე მეჩვენება... ძალიან გულში ჩაგივარდა ჩეხი... ხომ მართალია?

პასუხი არ იყო. იაგენკამ ისევ ჩასჩურჩულა:

– მე ეგ კარგად მესმის... მითხარი, ნუ გერიდება...

ანულკამ არც ახლა უპასუხა რამე, მხოლოდ ტუჩებით მოუძებნა ლოყა თავის ქალბატონს და დაუკოცნა.

საწყალ იაგენკას ქალწულებრივი მკერდი აუდ-ჩაუდიოდა ოხვრა-კვნესისაგან.

– ეჰ, მესმის შენი, მესმის! – ჩასჩურჩულა მან ისე ჩუმად, რომ ანულიამ ძლივს გაიგონა მისი სიტყვები.

XI

ნისლიანი თბილი ღამის მერე ძალზე არეული დღე დადგა. ხან გამოიდარებდა, ხან, როცა ქარი ღრუბლებს მორეკავდა, ისევ მოიღრუბლებოდა. მაცკომ ბრძანა, განთიადზევე გასდგომოდნენ გზას. ფისისმხდელმა ითავა მათი მეგზურობა ქოხებამდე და უთხრა, ცხენები ყველგან ივლიან, მაგრამ ფორნები ზოგან უნდა დავშალოთ და ხელით გადავიტანოთო, ტანსაცმლითა და სანოვაგით სავსე ლაფნის ყუთებიც ხელით უნდა გადავზიდოთო. ეს არც ისე ადვილი იყო; მაგრამ ასეთ საქმეებში გამოწრთობილმა და ჯაფას შეჩვეულმა ხალხმა სამიკიტნოში უქმად ჯდომას ეს მძიმე საქმე არჩია და ამიტომ სიამოვნებით გაუდგნენ გზას. ლაჩარმა ვიტმაც კი გადაიგდო გულიდან შიში, ფისისმხდელმა გაამხნევა.

როგორც კი სამიკიტნოს გასცდნენ, მგზავრები იმწამსვე ტანაყრილ სუფთა ტყეში აღმოჩნდნენ, სადაც მოხერხებული მეგზური მარტო ცხენებს კი არა, ფორნებსაც კარგად გაატარებდა დაუშლელად. ქარი ხან ჩადგებოდა, ხან მთელი ძალით დაუბერავდა, თითქოს უზარმაზარ ფრთებს უტყლაშუნებდა მაღალ ფიჭვებს; მიწამდე ზნიქავდა, ფესვიანად თხრიდა, ქარის წისქვილის ფრთებივით ატრიალებდა მათ კენწეროებს; ტყე იდრიკებოდა ქარიშხლის მძაფრი ქროლვისაგან და იმ წუთებშიც არ წყვეტდა ხმაურს, როცა ქარი ჩადგებოდა, გეგონებოდათ, გრიგალის ასეთმა მომძლავრებამ გააგულისაო. ხანდახან ცა ისე მოიქუფრებოდა, რომ ტყეში ღამესავით ჩამობნელდებოდა, თოვლნარევი წვიმა წამოუშენდა. ასეთ დროს ვიტი კვლავ კარგავდა თავშეკავების უნარს და ყვიროდა: „ეშმაკი გაგვირისხდა და ხელს გვიშლის სიარულშიო“. მაგრამ იმას აბა ყურს ვინ ათხოვებდა; მფრთხალი ანულიაც კი გულს არ იკარებდა მის სიტყვებს: ჩეხი ისე ახლოს ჰყავდა, თუ მოუნდებოდა, მის უზანგს უზანგით შეეხებოდა, ის კი გულადად გასცქეროდა გზას, გეგონებოდათ, თვით ეშმაკის გამოწვევა სურსო ორთაბრძოლაში.

ტანაყრილი ტყე წვრილიანმა შეცვალა, მერე კი ისეთი ტევრი დაიწყო, კაცი ვერ გააღწევდა. სწრაფად და მოხერხებულად დაშალეს ფორნები. ჯანიანმა მსახურებმა მხრებით გადაზიდეს ბორბლები, ხელნები, წინარები, მერე კი ბოხჩები და სანოვაგე. ასეთი უგზოობა სულ მეოთხედი ვერსი აღმოჩნდა, და მაინც ბუდებს საღამოს ძლივს მიაღწიეს. ფისისმხდელებმა ისინი გულთბილად მიიღეს და დაარწმუნეს, ეშმაკის ხევით, უფრო სწორად, მის გასწვრივ, ქალაქამდე თავისუფლად ჩააღწევთო. ტყის მცხოვრებნი პურსა და ფქვილს იშვიათად ხედავდნენ, მაგრამ შიმშილით არასოდეს შიოდათ. მათ ბლომად ჰქონდათ შებოლილი ხორცი, განსაკუთრებით კი შებოლილი ციმორი, რომელიც ირგვლივ ჭაობში უამრავი ირეოდა. ფისისმხდელები გულუხვად გაუმასპინძლდნენ ჩამოსულებს, თვითონ კი ხარბად მიეტანენ ლავაშებს. აქ ფისის კვამლით შემურული ქალები და ბავშვებიც იყვნენ; ერთი მოხუცი გლეხიც ერია, რომელსაც ას წელს გადაებიჯებინა და 1331 წლის ხოცვა-ჟლეტაც კი ახსოვდა ლენჩიცაში, როცა ჯვაროსნებმა ძირფესვიანად გაანადგურეს ქალაქი. მაცკოს, ჩეხსა და ქალიშვილებს ეს ამბები სერაძის წინამძღვარმაც უამბო, მაგრამ მაინც გულისყურით უსმენდნენ ამ ჩაჩანაკ მოხუცს, ცეცხლს რომ მისჯდომოდა და ნაკვერჩხალს ქექავდა, თითქოს საკუთარი ახალგაზრდობის მოგონებებს ჩხრეკსო. დიახ! ლენჩიცასა და სერაძში ეკლესიები და მისი მსახურებიც არ დაინდეს, მოხუცთა, ქალთა და ბავშვთა სისხლი წვეთავდა მომხდურთა ხმლებიდან. ჯვაროსნები ყოველთვის ჯვაროსნები არიან! მაცკოსა და იაგენკას მთელი ფიქრები ახლა დასტრიალებდა ზბიშკოს, რომელიც მგლის ხახაში მოხვედრილიყო, მტრულ ტომში, სტუმართმოყვრულ წესებს რომ არაფრად დაგიდევს არც შებრალება იცის. ანულიას შიშით გული მუცელში უვარდებოდა, როცა გაიფიქრებდა, აბატის დევნაში შეიძლება ამ ულმობელ ხალხთანაც კი მოვხვდეთო...

მოხუცმა მერე პლოვცეს ბრძოლა გაიხსენა, რომელმაც ზღვარი დაუდო ჯვაროსანთა თარეშს; ისიც მონაწილეობდა თურმე ამ ბრძოლაში რკინის კვერით ხელში. ქვეითთა რაზმი გლეხების თემს შეექმნა. სწორედ ამ ბრძოლაში ამოწყდა „გრადთა“ მთელი მოდგმა, ასე რომ, მაცკომ ეს ამბები დაწვრილებით იცოდა, მაგრამ გეგონებოდათ პირველად ისმენსო გერმანელთა საშინელი განადგურების ამბებს, როცა ისინი ქარისაგან მონაბერი ყანასავით წააწვინეს პოლონელ რაინდთა მახვილებმა მძლეთამძლე მეფის ლოკეტეკის მეთაურობით...

– დიახ! მე ყველაფერი მახსოვს, – თქვა ჩაჩანაკმა, თავს დაგვესხნენ, ქალაქი და ციხეები გადაგვიწვეს, აკვნის ბავშვებიც არ დაინდეს; მაგრამ იმა-

თაც დაუდგათ განკითხვის დღე. ეჰ! აი, ბრძოლა ის იყო! საკმარისია თვალი დავხუჭო, რომ ბრძოლის ველი მიდგება წინ..

მან თვალი მილულა და დიდი ხნით მიყუჩდა, მხოლოდ დინჯად ქექავდა ცეცხლში ნაკვერჩხალს, სანამ ბოლოს იაგენკას მოთმინება არ გამოელია და არ ჰკითხა:

– მერე როგორ დასრულდა ეს ყველაფერი?

– როგორ დასრულდა? – ჩაეკითხა მოხუცი, - მახსოვს ველი, თითქოს ახლაც ვხედავდე; ბუჩქნარით იყო მოფენილი, მარჯვნივ ჭაობი ეკვროდა და მცირე ნაწვერალი, მაგრამ ბრძოლის შემდეგ ბუჩქნარიც გაქრა, ნაწვერალიცა და ჭაობიც – დარჩა მხოლოდ რკინა, ხმლები, ცულები, შუბები და ზედახორად დაყრილიყო რჩეული საჭურველი. გეგონებოდათ, ვიღაცამ საგანგებოდ გადააფარა ამ წმინდა მიწას ეს ყველაფერი... გაჩენის დღიდან არ მენახა ამდენი მოკლული ერთად და ადამიანის სისხლის ამხელა მდინარე...

ამ მოგონებებზე მაცკოს სიმხნევე შეემატა და შესძახა:

– მართალია! დიდი არს ღმერთი წყალობითა თვისითა! მაშინ მათ ჩვენი სამეფო აქციეს ფერფლად, შავი ჭირივით გადაიარეს ჩვენს მიწა-წყალზე, მარტო სერაძი და ლენჩიცა კი არ დაანგრიეს, ბევრი სხვა ქალაქიც. მერე რა მოხდა? ჩვენი ხალხი სიცოცხლისუნარიანია, დაუშრეტელი ძალა გააჩნია. შენ, ტევტონელო ძაღლო, იქნებ ყელშიც სწვდე მას, მაგრამ მოგუდვით მაინც ვერ მოგუდავ, კბილებს ამოგამტვრევს... ერთი შეხედეთ, როგორ გააშენა კაზიმეჟმა სერაძი და ლენჩიცა: კიდევ უფრო დამშვენდნენ, ყრილობებიც ტარდება ისევ ძველებურად, ჯვაროსნები კი, როგორც მოსრეს პლოვცესთან, ისევ იქა ყრიან და ლპებიან. ღმერთმა ასეთი ბოლო არ მოუშალოს მათ!

მოხუცმა გლეხმა ჯერ თანხმობით დაუქნია თავი, მაგრამ მერე უთხრა:

– არა, ისინი იქ არა ყრიან და არა ლპებიან. ბრძოლის შემდეგ მეფემ ქვეით მეომრებს ორმოების გათხრა უბრძანა, ახლომახლო მცხოვრები გლეხებიც დაგვეხმარენ, დიდხანს გაუდიოდა ჩვენს ნიჩბებს რაჩხარუჩხი. მერე გერმანელები ორმოებში ჩავასვენეთ და მიწა დავაყარეთ. ასეთია წესი, რომ ახლომახლო ჭირი არ გაჩნდეს. მაგრამ ისინი არც იქ დარჩენილან.

– როგორ თუ არ დარჩენილან? აბა რა დაემართათ?

– მე თვითონ არაფერი მინახავს. ხალხის ნათქვამს გეტყვით მხოლოდ. ბრძოლის შემდეგ საშინელი ქარბუქი ამოვარდნილა, თორმეტი კვირა არ ჩადგა თურმე და თანაც მხოლოდ ღამ-ღამობით ქროდა. დღისით მზე კაშ-

კაშებდა, ღამით კი იქაურობა ილეწებოდა. ჭინკების მთელი გუნდი ტრიალებდა თურმე იმ ქარბუქში, ხელში ორთითები ეკავათ; დაფრინდებოდა ჭინკა მიწაზე, ამოსდებდა ჯვაროსანს ორთითას და გააქროლებდა ჯოჯოხეთში. პლოვცეს მცხოვრებლებს, რაღაც ძაღლების ყმუილის მსგავსი ხმაური ესმოდათ, მაგრამ ის კი ვერ გაერჩიათ, შეშინებული და ბოღმამოწოლილი გერმანელები ყმუოდნენ, თუ სიხარულით ატაცებული ჭინკები. ასე გაგრძელდა, სანამ ქსონძებმა თხრილები არ აკურთხეს და სანამ საახალწლოდ მიწა ისე არ გაჰყინა, რომ ორთითი ვეღარ ამოეყრებოდა.

მოხუცი დადუმდა, წუთის შემდეგ კი დასძინა:

– ღმერთმა გისმინოთ, ბატონო რაინდო, და ისეთი ბოლო მისცეს მათ, როგორიც თქვენ უსურვეთ. მე კი ვეღარ მოვესწრები, მაგრამ ეს ორი ყმაწვილი მაინც არ იხილავს იმას, რაც ჩემმა თვალებმა იხილეს.

მერე მოეფერა იაგენკასა და ანუკას, როგორი ლამაზები არიანო.

– პურის ყანაში ამოსულ ყაყაჩოებსა ჰგვანან, – თქვა მან თავის ქნევით, – ჯერ ჩემს თვალს არ უნახავს ამისთანა არაფერი.

საუბარში შუაღამემ მოაწია. მერე დაწვნენ და დაიძინეს ქოხებში, რბილ ხავსზე დაფენილ ღუღუნა ნადირის ტყავებზე. ჯანსაღი ძილით მომაგრებულებმა, კარგად რომ გათენდა, ისევ განაგრძეს გზა. ხევ-ხევ სიარული იოლი არ იყო, მაგრამ არც ძალიან ჭირდა. ამიტომაც მზის ჩასვლას ჯერ ბევრი უკლდა, რომ ლენჩიცის ციხეც დაინახეს. ქალაქი ფერფლიდან აღედგინათ, სახლების ნაწილი წითელი აგურით იყო ნაგები, ნაწილი კი ქვით. კოშკებით დაცული მაღალი გალავანი ერტყა, ეკლესიები კიდევ უფრო ბრწყინვალე იყო, ვიდრე სერაძში. მოგზაურებმა დომინიკელებთან სულ იოლად გაიგეს აბატის ამბები. ლენჩიცაში ყოფილა, უთქვამს, თავს უკეთ ვგრძნობ და იმედი მაქვს, მალე მოვიკეთებო, და რამდენიმე დღის წინ გაუგრძელებია გზა. ახლა აუცილებელი აღარ იყო აბატს დასწეოდნენ, სულ ერთია, მაცკო გოგოების პლოცკში წაყვანას აპირებდა, ასევე მოიქცეოდა აბატიც; მაგრამ მოხუც რაინდს ზბიშკოსთან მიეჩქარებოდა და ძალიან შეწუხდა, როცა გაიგო – აბატის წასვლის შემდეგ წყალმა მდინარეებში ისე იმატა, მგზავრობა შეუძლებელიაო. დომინიკელებმა ეს რაინდი, რომელსაც საპატიო ამალა ახლდა და მთავარ ზემოვიტთან მიემგზავრებოდა, გულთბილად მიიღეს. გზად ზეთისხილის ფიცარიც კი გაატანეს, რომელზედაც ლათინურად იყო ამოკვეთილი ლოცვა მგზავრობის მფარველი მთავარანგელოზის რაფაელისადმი.

ორი კვირა ჩვენმა მგზავრებმა ლენჩიცადან ფეხი ვერ მოიცვალეს. ციხის ზედამხედველის ერთმა საჭურველმტვირთველმა ამასობაში გაიგო, რომ რაინდის საჭურველმტვირთველები ქალიშვილები იყვნენ და მაშინვე უგონოდ შეუყვარდა იაგენკა. ჩეხს უნდოდა ორთაბრძოლაში გამოეწვია ის, მაგრამ, რაკი წასვლის წინა დღე იყო, მაცკომ გადაათქმევინა.

როცა დაიძრნენ და პლოცკის გზას დაადგნენ, ქარს უკვე გაეშრო მიწა. მართალია, ხშირად წვიმდა, მაგრამ გაზაფხულის კვალობაზე ისევ მალე გადაიღებდა ხოლმე. თბილი, შხაპუნა, ნამდვილი გაზაფხულის წვიმები იყო. მინდვრებზე ხნულების გასწვრივ ზოლ-ზოლად ლივლივებდა წყალი, ქარის ყოველ შემობერვაზე აშმორებული სუნი ტრიალებდა. ტყეში ენძელებს ამოეყოთ თავი, ტოტებში მეჟოლიები ჟივჟივებდნენ. მგზავრები მხნედ და იმედიანად გრძნობდნენ თავს, შეუფერხებლად იარეს და მეთექვსმეტე დღეს პლოცკის კარიბჭესთან გაჩერდნენ.

უკვე ბნელოდა და ქალაქის ჭიშკარი ჩაეკეტათ. მგზავრებმა ის ღამე ქალაქგარეთ ერთი ფეიქრის სახლში გაათენეს. ქალიშვილებმა გვიანობამდე იფხიზლეს და ხანგრძლივი და დამქანცველი მგზავრობის შემდეგ მაგრად ჩაეძინათ. დილით, როგორც კი ჭიშკარი გააღეს, დაუღალავმა მაცკომ ისინი აღარც გააღვიძა, ისე წავიდა ქალაქს; ადვილად მიაგნო კათედრალურ ტაძარს და ეპისკოპოსის სახლს, სადაც უთხრეს, აბატი ერთი კვირის წინ გარდაიცვალაო.

ერთი კვირის წინ კი გარდაიცვალა, მაგრამ მაშინდელ წეს-ჩვეულებათა მიხედვით, ექვსი დღის განმავლობაში პანაშვიდები უნდა გადაეხადათ. ასე რომ, დასაფლავება სწორედ იმ დღეს იყო, ხოლო დაკრძალვის შემდეგ აღაპი უნდა მოეწყოთ.

გულდაწყვეტილი მაცკო უკან გამობრუნდა ფეიქრის სახლისკენ. მას ქალაქის დათვალიერების თავიც აღარ ჰქონდა, თუმცაღა ამ ქალაქს ცოტათი მაშინ გაეცნო, ქალბატონ ალექსანდრას წერილი რომ მიჰქონდა მაგისტრთან.

„მაშ, ასე, გარდაიცვალა, ღმერთმა აცხონოს! – მოჰყვა გზაში განსჯას. – ამას აღარაფერი ეშველება; მაგრამ რა ვუყო ახლა ამ გოგოებს?“

აწონ-დაწონა, ქალბატონ ალექსანდრასთან დაეტოვებინა ისინი თუ ქალბატონ ანა დანუტასთან, იქნებ ისევ სპიხოვში სჯობდა წაყვანა. თანაც ერთი აზრი არ შორდებოდა – თუ დანუსია ცოცხალი აღარ არის, იაგენკა რაც უფრო ახლოს იქნება ზბიშკოსთან, ის აჯობებსო. დარწმუნებული იყო, ზბიშკო დიდხანს იდარდებდა საყვარელ ქალზე, დიდხანსაც იტირებდა,

მაგრამ იაგენკასნაირი გოგო რომ გვერდით ეყოლებოდა ჭაბუკს, მოსახდენი მაინც მოხდებოდა. კარგად ახსოვდა, როგორ მოისწრაფოდა ზბიშკოს სული მაზოვიისკენ, მაგრამ იაგენკას დანახვაზე მაინც ტკბილად ითენთებოდა. ამიტომ, რაკი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ დანუსია უკვე დაიღუპა, ხშირად უფიქრია, იაგენკას გაგზავნა არსადაც არა ღირსო. მაგრამ ამქვეყნიურ სიკეთეს დახარბებულ მოხუცს აბატის დატოვებული მემკვიდრეობაც არ ავიწყდებოდა. მართალია, აბატი მათზე გაბრაზებული იყო და დაემუქრა კიდეც, არაფერს დაგიტოვებთო, მაგრამ იქნებ სიკვდილის წინ მოულბა გული? იაგენკას რომ რამეს დაუტოვებდა, ეჭვი არ იყო, ზგოჟელიცში რამდენჯერ უთქვამს ეს თავისი პირით, იაგენკას ქონება კი სულ ადვილად შეიძლებოდა გადასულიყო ზბიშკოს ხელში. მაცკოს ერთი სული ჰქონდა, პლოცკში დარჩენილიყო, ყველაფერი. მოესინჯა, მოეწესრიგებინა; მაგრამ ეს სურვილი მაშინვე ჩაიხშო. „მე აქ მამულების საქმეს გადავყვები, – იფიქრა, ჩემი ბიჭი კი იქნებ ხელებგამოწვდილი მელოდება ტევტონთა ჯურღმულში, შველას თხოულობს ჩემგან“. თუმცა იყო ერთი გამოსავალი: იაგენკა ქალბატონისა და ეპისკოპოსისთვის დაეტოვებინა, ეთხოვა – ყური უგდეთ, თუ აბატმა რამე დაუტოვა, ნურავის დააჩაგვრინებთო. მაგრამ ეს აზრი მაინცდამაინც ჭკუაში არ დაუჯდა მაცკოს: „გოგოს უამისოდაც მდიდარი მზითვი აქვს, – იფიქრა მან, – ახლა აბატის მემკვიდრეობაც რომ დაემატოს, ვინ გააჩერებს, ვიღაც მაზური სტაცებს ხელს და ქალიც დიდხანს ვერ გაუძალიანდება, განსვენებული ზიხი აკი ამბობდა, ქალი კი არა ცეცხლიაო“. შეშინდა მოხუცი რაინდი, დანუსიაც ხელიდან გამოეცლება ზბიშკოს და იაგენკაცო. აბა, ამას ცოცხალი თავით როგორ დაუშვებდა.

„რომელიც ღმერთმა დაუწერა, ის ერგება, მაგრამ ერთერთი კი უეჭველად უნდა ერგოს“.

ბოლოს გადაწყვიტა თავდაპირველად ზბიშკო ეხსნა, იაგენკა კი, თუ აუცილებელი იქნებოდა მასთან განშორება, ან სპიხოვში დაეტოვებინა, ან ქალბატონ დანუტასთან, ოღონდ პლოცკში არა. აქ გაცილებით მდიდრული კარი იყო და ბევრი ლამაზი რაინდი ირეოდა.

ამ ფიქრებში გართული მაცკო ვაჟკაცური ნაბიჯით მიდიოდა ფეიქრის სახლისაკენ, რომ იაგენკასთვის აბატის სიკვდილი შეეტყობინებინა, თან გულში თავის თავს სიტყვას აძლევდა, ერთბაშად არ ვეტყვი, მოულოდნელი და თანაც საწყენი ამბის გაგებაზე ერთბაშად სული არ შეეხუთოს, რის გამოც შეიძლება შვილიერება დაკარგოსო. შინ რომ მოვიდა, ორთავე გოგო ჩაცმული და კოხტად გამოწყობილი დაუხვდა. ჩიტებივით მხიარულად

ჟღურტულებდნენ. მაცკო სკამზე ჩამოჯდა, ფეიქრის შეგირდებს შემთბარი ლუდი მოატანინა, ისედაც პირქუში სახე უარესად მოღუშა და თქვა:

– გესმის, ქალაქში როგორ რეკავენ? აბა, გამოიცანი, რატომ რეკავენ, დღეს ხომ კვირა დღე არ არის, დილის წირვის დროს კი გულის ძილში იყავი. აბატის ნახვა გინდა?

– მინდა, აბა რა, – უპასუხა იაგენკამ.

– როგორც შენ ყურებს ვერ ნახავ, ისე იმას.

– ნუთუ აქედანაც გაგვასწრო?

– სად გაგვასწრო! განა არ გესმის ზარის რეკვა? მოკვდა?

– შესძახა იაგენკამ.

– ილოცე მისი სულისათვის.

იაგენკა და ანუკა მუხლებზე დაეცნენ და ზარივით წკრიალა ხმით წაიკითხეს სულის მოსახსენებელი ლოცვა. იაგენკა გულამოსკვნით ტიროდა, ძალიან უყვარდა აბატი, ეს გულფიცხი, მაგრამ უზომოდ კეთილი კაცი, რომელსაც, თავის მხრივ, ღვიძლი შვილივით უყვარდა ნათლული. მაცკოს გაახსენდა, რომ აბატი მისი და ზბიშკოს ნათესავიც იყო, გული აუჩუყდა, წაუტირა და როცა ამისგან გულზე მოეშვა, ჩეხისა და ორი ქალიშვილის თანხლებით გასვენებაზე დასასწრებად ეკლესიას მიაშურა.

აბატი დიდი ამბით დაასაფლავეს. სამგლოვიარო მსვლელობა თვით ეპისკოპოსმა იაკუბ კურდვანოველმა გახსნა. პლოცკის მონასტრების ყველა ბერი და მღვდელი იქ იყო, ყველა ზარი ერთად გუგუნებდა, წარმოთქვამდნენ მხოლოდ სასულიერო პირებისთვის გასაგებ გამოსამშვიდობებელ სიტყვებს, რადგან ლათინურად ლაპარაკობდნენ, მერე კი სამღვდელოება და ერისკაცები ერთად გაემართნენ ეპისკოპოსთან მდიდრულ აღაპზე.

აღაპზე მაცკოც წავიდა თავისი ორი საჭურველმტვირთველით, მას ამისი სრული უფლება ჰქონდა, როგორც მიცვალებულის ნათესავსა და ეპისკოპოსის ნაცნობს. ეპისკოპოსმა, სწორედაც ნათესავივით, დიდი პატივითა და გულთბილობით მიიღო მაცკო და მისალმების შემდეგ იქვე უთხრა:

– თქვენ, ბოგდანეცელ გრადებს, ტყეები გიანდერძათ, ყველაფერი დანარჩენი კი, რაც მონასტრებისათვის და საბატოსათვის არ არის გადაცემული, თავის ნათლულს, ვინმე იაგენკა ზგოჟელიცელს დაუტოვა.

მაცკოს ბევრის იმედი არც ჰქონდა და ტყეებისთვისაც დიდი მადლიერი დარჩა. ეპისკოპოსს არ შეუმჩნევია, როცა იაგენკა ზგოჟელიცელი ახსენა,

ერთმა საჭურველმტვირთველმა როგორ აღაპყრო ცისკენ თავისი ღიღილოსავით თვალები და ცრემლმორეულმა წაილაპარაკა:

– ღმერთმა გადაუხადოს სიკეთისათვის, მაგრამ მე მაინც მერჩივნა თვითონ ეცოცხლა.

მაცკო მოუბრუნდა საჭურველმტვირთველს და გაბრაზებულმა უთხრა:

– გაჩუმდი, თორემ თავი მოგეჭრება...

და უცებ ხმა გაკმინდა, თვალებში გაოცება გამოეხატა სახე ჩაუშავდა და ნამდვილი მგლის იერი დაედო: იქვე, სულ ახლოს, იმ კართან, რომელშიც ახლა ქალბატონი ალექსანდრა შედიოდა, მაცკომ დაინახა კუნო ლიხტენშტაინი, სალმის ნიშნად მას მოწიწებით თავი დაეხარა. ეს ის ლიხტენშტაინი იყო, რომლის გამო კინაღამ დაიღუპა ზბიშკო.

იაგენკას თავის სიცოცხლეში მაცკო ასეთი გახელებული არ ენახა: მოხუცს სახე მოექცა, ულვაშებქვეშ ცოფიანი ძაღლივით დაკრეჭილმა კბილებმა იელვეს, წამში ქამარი წინ შემოიბრუნა და საძულველ ჯვაროსანს მიაშურა.

მაგრამ შუა გზაზე რაინდი შეჩერდა და ფართო ხელისგული თავზე გადაისვა. დროზე მოისაზრა, რომ პლოცკის სასახლეში ლიხტენშტაინი მხოლოდ და მხოლოდ სტუმრად შეიძლება იყოს, ან უფრო სავარაუდებელია, ელჩად, და თუ ის, ამის მიუხედავად, მაინც შეეცდება თავს დაესხას ჯვაროსანს, ზუსტად ისევე მოიქცევა, როგორც ზბიშკო ტინეციდან მიმავალ გზაზე.

მოხუცი რაინდი უფრო გონიერი და გამოცდილი იყო, ვიდრე ზბიშკო, ამიტომ რისხვა დაიოკა და ქამარი გაისწორა. სახეზე მაშინვე სიამტკბილობა გამოისახა, დაელოდა, სანამ მთავრის მეუღლე ლიხტენშტაინს სალამზე უპასუხებდა, მერე ეპისკოპოს იაკუბ კურდვანოველს გამოესაუბრებოდა დაბოლოს, მდაბალი სალმით ეახლა ქალბატონს, თავი მოაგონა და მოახსენა, ჩემს მხსნელად და მფარველად გსახავთ იმ წერილისათვის, ოდესღაც რომ გამატანეთო.

ქალბატონს მისი სახე ბუნდოვნად ახსოვდა, მაგრამ წერილი და მთელი ის ამბავი არ დავიწყებოდა. მეზობელი მაზოვიის კარზე მომხდარი უბედურებაც იცოდა, იურანდზეც გაეგონა, მისი ქალიშვილის მოტაცებაზეც, ზბიშკოს ქორწინებაზეც და როტგერთან მის საბედისწერო ორთაბრძოლაზეც. ყველაფერი ეს ძალზე აინტერესებდა, როგორც რაინდული რომანი ან ერთი იმ სიმღერათაგანი, რომლებსაც გერმანიაში მენესტრელები მღეროდნენ, მაზოვიაში კი მებარბითეები. ჯვაროსნები, უნდა ითქვას, მას ისე არ სძულდა, როგორც იანუშის მეუღლეს ანა დანუტას, რადგან თავის მხა-

რეზე მის გადაბირებას რომ ცდილობდნენ, საჩუქრებითა და პატივით აღავსეს. თუმცა ამ შემთხვევაში მისი გული მაინც შეყვარებულების მხარეს იჭერდა. მზად იყო დახმარებოდა მათ და გაიხარა, როცა ნახა ადამიანი, ვისაც შეეძლო დაწვრილებით ეამბნა ყველაფერი.

მაცკომ წინასწარ განიზრახა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ქალბატონის მფარველობა და მხარდაჭერა მოეპოვებინა. და რაკი შეამჩნია, ასეთი ყურადღებით უსმენდა, გულმოდგინედ მოუყვა ზბიშკოსა და დანუსიას მწარე ხვედრზე, თითქმის ატირა ქალი, მით უმეტეს, რომ თვითონაც გული ეტანჯებოდა თავისი ძმისშვილის ბედზე და ძალიანაც ებრალებოდა ის.

– ჩემს სიცოცხლეში ასეთი გულისამაჩუყებელი არაფერი მომისმენია, – ჩაილაპარაკა ბოლოს ქალბატონმა. სამწუხაროა, რომ უკვე ჯვარი დაუწერია ამ ქალზე, მას ეკუთვნის, სიამე კი მასთან არ განუცდია. თქვენ ხომ დარწმუნებული ხართ, რომ ეს ასეა?

– ღმერთო ძლიერო! – შესძახა მაცკომ. – როგორ უნდა იყოს სხვაგვარად, როცა ჯვრის წერის დროს ლოგინად იწვა მძიმე ავადმყოფი, განთიადზე კი ქალი მოიტაცეს!

– თქვენ ფიქრობთ, რომ ჯვაროსნების ნახელავია? აქ ყაჩაღებზე ჰყვებოდნენ, ჯვაროსნები მოატყუეს და ვიღაც სხვა ქალიშვილი შეაჩეჩესო. იურანდის წერილზეც ლაპარაკობდნენ...

– ეგ საქმე ღვთის სამსჯავრომ გადაწყვიტა და არა ხალხისამ. ამბობენ, როტგერი დიდი რაინდი იყო და ყველაზე მძლავრ გოლიათებსაც ამარცხებდაო, და აგერ ყმაწვილი კაცის ხელიდან კი დაიღუპა:

– კაი ყმაწვილია, მე და ჩემმა მზემ, – უთხრა ღიმილით ქალბატონმა, – აბა, გაბედე და გზაზე გადაუდექი; ყველაფერი ეს სამწუხაროა და თქვენი ჩივილიც სამართლიანად მიმაჩნია, მაგრამ იმ ოთხი აღარ არის ცოცხალი, მოხუცი კი, როგორც გავიგე, სასწაულით გადარჩენილა.

– მაშ დანუსკა?! იურანდი? – შეეკითხა მაცკო. – სად არიან ისინი? ღმერთმა უწყის, იქნებ ზბიშკოსაც უკვე რაღაც მოეწია, ის ხომ მალბორგში წავიდა.

– ვიცი, მაგრამ ჯვაროსნები არც ისეთი ქოფაკები არიან, როგორც თქვენ გგონიათ. მალბორგში მაგისტრისა და მისი ძმის – კეთილშობილი ულრიკის გვერდით იმას ცუდი არაფერი ემუქრება, მით უმეტეს, რომ მთავარი იანუშის წერილებიც ექნებოდა თან. ერთადერთი ის არის საშიში, ორთაბრძოლაში არავინ ჰყავდეს გამოწვეული და იმის ხელით არ დაიღუპოს. მალ-

ბორგში ხომ ყოველთვის უამრავი სახელგანთქმული რაინდი იყრის თავს ქვეყნის ოთხივ კუთხიდან.

– მაგისი არ მეშინია, – უთხრა მოხუცმა რაინდმა. ოღონდ ჯურღმულში არ ჩააგდონ და ვერაგულად არ მოკლან, თორემ ხელში თუ რამე იარაღი მაინც შერჩა, სულაც აღარა მაქვს იმისი დარდი. მე ერთადერთი რაინდი ვიცი ზბიშკოზე ღონიერი, ზბიშკო რომ მიწაზე დააგდო, – მაზოვიის მთავარი ჰენრიკი. აი, სწორედ ის, აქაური ეპისკოპოსი, მშვენიერი რინგალა რომ შეიყვარა. მაგრამ ზბიშკო მაშინ მართლაც ბავშვი იყო. რაც შეეხება გამოწვევას, არის ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ის ორთაბრძოლაში გამოიწვევდა, მე თვითონაც შეფიცული მაქვს იმას შევებრძოლო, მაგრამ ის კაცი აქ არის.

ამ სიტყვებზე მაცკომ დაანახვა ლიხტენშტაინი, რომელიც პლოცკის ვოევოდას ესაუბრებოდა.

მაგრამ ქალბატონმა შუბლი შეიკრა და მკაცრად და ცივად, როგორც ყოველთვის იცოდა ხოლმე განრისხებისას, უთხრა:

– მე თქვენი ფიცისა არაფერი ვიცი, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ის ჩვენი სტუმარია, და თუ თქვენც ჩვენი სტუმრობა გსურთ, კეთილი ინებეთ და ჩვენი წეს-ჩვეულებები დაიცავით.

– ვიცი, მოწყალეო პანი, – უპასუხა მაცკომ, – მე უკვე ქამარი მოვიბრუნე და წავიწიე კიდევაც მისკენ, მაგრამ ვიფიქრე, ალბათ ელჩად არის-მეთქი ჩამოსული და ჩემს ბრაზს აღვირი ამოვდე.

– დიახ, ელჩია. ჯვაროსნები ჯეროვან პატივს სცემენ, თვით დიდი მაგისტრი იღებს ხოლმე ყურად მაგის რჩევებს და უარს თითქმის არაფერზე ეუბნება. კიდევ კარგი, სანამ თქვენი ძმისშვილი მალბორგშია, ეს არ არის. მართალია, ცნობილი წარმოშობისაა, მაგრამ გულღვარძლიანია და შურისმაძიებელი, ხომ არ გიცნოთ?

– არა მგონია. ტინეცის გზაზე ჩაფხუტები გვეხურა, მერე კი სულ ერთხელ ვარ ნამყოფი ზბიშკოს საქმეზე, ისიც საღამოს, ერთხელ კიდევ სასამართლოში ვნახეთ ერთმანეთი. მე ძალიან გამოვიცვალე. წვერი გამიჭაღარავდა. ახლა შევნიშნე, რაღაც სხვანაირად მათვალიერებდა, მაგრამ ალბათ იმიტომ, რომ ასე დიდხანს გესაუბრებით, დიდებულო ქალბატონო, რადგან მერე მშვიდად გაიხედა სხვა მხარეს. ზბიშკო რომ ენახა, უეჭველად იცნობდა, მე კი არ ვახსოვარ და ალბათ არც ჩემი აღთქმისა მოეხსენება რამე. მაგას ჩემზე უფრო ანგარიშგასაწევი ხალხი ჰყავს საფიქრალი.

– ვიზე ამბობთ?

– მაგასთან ბრძოლაზე აღთქმა აქვთ დადებული ზავიშა გარბოველს, პოვალა ტაჩეველს, მარცინ ვროციმოვიცელს, პაშკო ზლოძეის, ლის ტარგოვისკელს. თითოეული მათგანი ათასს გაუსწორდებოდა ამისთანას, მოწყალეო პანი. მაგას ერჩივნა, სულ არ გაჩენილიყო ამ ქვეყანაზე, ვიდრე თუნდაც ერთი ასეთი მახვილი შემართულიყო მის თავზე, მე კი ჩემი აღთქმის გამჟღავნებას სულ არ ვაპირებ. პირიქით, ვეცდები დავუმეგობრდე.

– ეს რიღასთვის გჭირდებათ?

მაცკოს სახეზე ცბიერმა იერმა გადაჰკრა, ბებერ მელას დაემგვანა.

– იმისთვის, რომ წერილი გამატანოს, რომლის ძალითაც უშიშრად ვივლიდი ჯვაროსანთა სამფლობელოში და საჭიროების შემთხვევაში ზბიშკოს დავეხმარებოდი.

– მერე ეგ ღირსეული რაინდული საქციელია? – ღიმილით ჰკითხა ქალბატონმა.

– ღირსეულია, – მტკიცედ უთხრა მაცკომ. – აი, მე რომ, მაგალითად, ბრძოლაში უკნიდან მივპარვოდი, არ დამეძახა, მოიხედე-მეთქი, მაშინ მართლა შევირცხვენდი თავს, მაგრამ მშვიდობიან დროს მტერი ეშმაკობით ბადეში გააბა– ამისი არც ერთ ნამდვილ რაინდს არ შერცხვება.

– მაშ გაგაცნობთ ერთმანეთს, – უთხრა ქალბატონმა.

მან ლიხტენშტაინი მოიხმო და მაცკო წარუდგინა, – იფიქრა, გინდაც იცნოს, დიდი უბედურება არ მოხდებაო.

მაგრამ ლიხტენშტაინმა მაცკო ვერ იცნო. ტინეცის გზაზე მართლაც ჰყავდა ნანახი მოხუცი ჩაფხუტჩამოფარებული, მერე ერთხელ ესაუბრა, ისიც საღამოს, როცა მაცკო ზბიშკოსთვის პატიების სათხოვნელად მივიდა მასთან.

ჯვაროსანი მაინც საკმაოდ მედიდურად მიესალმა. მერე რაინდის უკან ორი ლამაზი და მდიდრულად ჩაცმული საჭურველმტვირთველი რომ დაინახა, იფიქრა, ეს არც ისეთი უბრალო ვინმე ყოფილაო, და ცოტა მოლბა. თუმცა ტუჩებს მაინც ზვიადად პრუწავდა, როგორც ყოველთვის, როცა შედარებით დაბალი ფენის წარმომადგენელს ელაპარაკებოდა ხოლმე. ქალბატონმა კი მაცკოზე მიუთითა და უთხრა:

– ეს რაინდი მალბორგს მიემგზავრება და მე თვითონ მიმინდვია მაგისტრის კეთილგანწყობილებისთვის მაგისი თავი; მაგრამ იცის, რა პატივისცემით სარგებლობთ ორდენში და ძალიან სურს თქვენი წერილიც ჰქონდეს.

ეს რომ თქვა, ქალბატონი ეპისკოპოსთან მივიდა, ლიხტენშტაინმა კი ფოლადივით ცივი თვალები დაარჭო მაცკოს და ჰკითხა:

– რა საქმე გაქვთ ჩვენ კეთილმოწყალე და მოკრძალებულ დედაქალაქში?

– ღვთისნიერი და კეთილი განზრახვები მაქვს, – თქვა მოხუცმა და თვალები ცისკენ აღაპყრო, – ასე რომ არ იყოს, მოწყალე ქალბატონი არ გამიწევდა დახმარებას. შეპირებისამებრ, მინდოდა წავსულიყავი და მენახა თქვენი მაგისტრი, ყველა რაინდზე უფრო კეთილი რაინდი, რომელიც იღვწის მშვიდობიანობისთვის ამქვეყნად.

– ჩვენ ერთი საცოდავი, მაგრამ სტუმართმოყვარე ბერები ვართ და ის, ვისაც ჩვენი მოწყალე ქალბატონის, ჩვენი მფარველისა და კეთილისმყოფელის ნდობა მოუპოვებია, ალბათ ჩვენი უკმაყოფილოც არაფრით იქნება. რაც შეეხება მაგისტრს, მისი ნახვა მგონი გაგიჭირდებათ; ერთი თვე იქნება გდანსკშია, იქიდან კრულევეცს აპირებს წასვლას, მერე კი საზღვარზე; მართალია, მშვიდობის მომხრეა, მაგრამ იძულებულია ორდენის სამფლობელოები დაიცვას ვიტოლდის „ვერაგული თავდასხმებისაგან.

– ამის გაგონებაზე მაცკო ისე დაიბოღმა, რომ ლიხტენშტაინის მახვილ თვალს ეს არ გამოპარვია და უთხრა:

– ვხედავ, ძალზე გინდათ მაგისტრის ნახვა და თქვენი აღთქმის შესრულება.

– დიახ, ძალიან მინდოდა, ძალიან! – იჩქარა პასუხი მაცკომ. მაშ, ჟმუდისთვის ვიტოლდთან ბრძოლა გარდუვალია?

– ვიტოლდმა თვითონ მისცა დასაბამი ამ ბრძოლას, როცა პირობა დაარღვია და მეამბოხეებს დაუჭირა მხარი.

წამით ორთავე გაჩუმდა.

– რა მეთქმის! ღმერთმა ისე მოუმართოს ხელი ორდენს, როგორც დაიმსახურა! – თქვა ბოლოს მაცკომ, – თუ მაგისტრს ვერ ვნახავ, ჩემს აღთქმას მაინც შევასრულებ.

ეს კი თქვა, მაგრამ, დაბნეულმა, აღარ იცოდა, რა გზას დადგომოდა და ერთსღა ფიქრობდა:

„სად ვეძებო ახლა ზბიშკო, სად ვიპოვო ახლა ის?“.

რაღა დიდი მიხვედრა უნდოდა, თუ მაგისტრი მალბორგიდან ომში წასულა, მაშინ არც ზბიშკო დარჩებოდა მალბორგში; ყოველ შემთხვევაში,

დაწვრილებით მაინც უნდა გაეგო იმისი ასავალ-დასავალი. ძალიან დანაღვლიანდა მოხუცი მაცკო, მაგრამ წინდახედული კაცი იყო, მიხვდა, დროს დაკარგვა არ იქნებოდა და გადაწყვიტა დილიდანვე გზას დადგომოდა. ქალბატონ ალექსანდრას წყალობით სულ ადვილად ჩაიგდო ხელში ლიხტენშტაინის წერილები, ჯვაროსანი ხომ უსაზღვრო ნდობას ამჟღავნებდა ქალბატონისადმი. ეს იყო ბროდნიცის კომტურისა და მალბორგის დიდი ჰოსპიტალერის სახელზე დაწერილი სარეკომენდაციო წერილები. მაცკომ ამ წერილებისთვის ლიხტენშტაინს ვროცლაველი ოსტატების ხელით ფაქიზად ნაჭედი მოზრდილი ვერცხლის თასი აჩუქა. რაინდები ასეთი თასებით ღამღამობით საწოლთან ღვინოს იდგამდნენ ხოლმე, რომ უძილობაში წამალიც გვერდით ჰქონოდათ და ნუგეშიც. მაცკოს გულუხვობამ, ცოტა არ იყოს, გააოცა ჩეხი. იცოდა, მოხუცი რაინდი არც ისე სიხარულით არიგებდა საჩუქრებს და, მით უმეტეს, გერმანელებში, მაგრამ მაცკომ აუხსნა:

– ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ აღთქმა მაქვს მიცემული, მაგასთან ორთაბრძოლა არ ამცდება, ხოლო ისეთ ადამიანზე ხელის აღმართვა, რომელმაც რაიმე დახმარება გაგიწია, არ არის კარგი. ჩვენი ადათ-წესები არ გვაძლევს ამის უფლებას...

– მერე არ გენანებათ კარგი თასი? – არ ეთანხმებოდა ჩეხი.

– მაგისი დარდი ნუ გაქვს, – უთხრა მაცკომ, – დაუფიქრებლად მე არაფერს გავაკეთებ! თუ ღმერთმა ინება და გერმანელს ვაჯობე, მაგ თასსაც დავიბრუნებ და სხვასაც ბევრს დავამატებ ზედ.

მერე იაგენკასთან ერთად მოილაპარაკეს, როგორ მოქცეულიყვნენ. მაცკოს სულ თავში უტრიალებდა, იაგენკა და ანუკა პლოცკში ხომ არ დაეტოვებინა ქალბატონ ალექსანდრას კარზე, რაკი აბატის ანდერძიც ეპისკოპოსთან იყო. მაგრამ იაგენკამ ამაზე მტკიცე უარი განაცხადა და ჩვეული სიჯიუტით თავისაზე იდგა. რა თქმა უნდა, უჩვენოდ მგზავრობა უფრო გაგიადვილდებათ, ღამით ცალკე ოთახებზე და რიგიან ქცევაზე ფიქრი აღარ დაგჭირდებათ, არც რაიმე საშიშროება და სხვა გარემოებანი შეგაწუხებთ, მაგრამ ზგოჟელიციდან იმიტომ ხომ არ წამოვსულვართ, რომ პლოცკში ჩავსხდეთ. იყოს ის ანდერძი ეპისკოპოსთან, არ დაიკარგება, და თუ სადმე ჩვენი დატოვება აუცილებელია, მაშინ ქალბატონ ალექსანდრას ქალბატონი ანა სჯობია, იმის კარზე მაინცდამაინც არ უწევთ ჯვაროსნებისკენ გული, სამაგიეროდ, იქ ზბიშკო ყველას უყვარსო. ამაზე მაცკომ უპასუხა, „მსჯელობა“ დედაკაცის ჭკუის საქმე არ არისო, მაგრამ გოგოს ეს სულაც არა სწყენია, მოხუცი კი საბოლოოდ მაინც ყველაფერზე დაჰყვა, როცა იაგენკამ ის განზე გაიყვანა და ცრემლმორეულმა უთხრა:

– თქვენ იცით და ღმერთიც ხედავს, ყოველ დილა-საღამოს ვლოცულობ დანუსიასა და ზბიშკოს ბედნიერებისთვის. ღმერთი ზეცაში ამას ყველაზე კარგად ხედავს! მაგრამ თქვენცა და ჰლავაც მეუბნებით, ის უკვე დაღუპულია, ჯვაროსნებს, სულ ერთია, ცოცხალი ვერ დააღწევსო თავს. თუკი მართლა ასეა, მაშინ მე...

ენა დაება, თვალებზე ცრემლები მოადგა და ნელა ჩამოუგორდა ლოყებზე. ბოლოს ჩურჩულით დაამთავრა:

– მაშინ მე მინდა ზბიშკოსთან ახლოს ვიყო...

მაცკოს გული ატკინა ამ ცრემლებმა და ამ სიტყვებმა, მაგრამ მაინც უთხრა:

– ის თუ დაიღუპა, გულდათუთქული ზბიშკო შენ ზედაც არ შემოგხედავს.

– არც მინდა, ნუ შემომხედავს, მხოლოდ მის გვერდით ვიყო.

– შენ იცი, რომ მეც სწორედ ეგ მინდა, მაგრამ მეშინია, გაგულისებულმა ლანძღვა არ დაგიწყოს...

– დამიწყოს, – ნაღვლიანად გაიღიმა ქალმა. – თუმცა ამას არ ჩაიდენს, რადგან ვერც მიხვდება, რომ მის გვერდითა ვარ.

– გიცნობს.

– ვერ მიცნობს. გახსოვთ, თქვენც ვერ მიცანით. უთხარით, იასკო არისთქო, იასკო ხომ ძალზე მგავს მე. გაიზარდა ბიჭიო, ეტყვით, მორჩა და გათავდა. ზბიშკოს აზრადაც არ მოუვა, რომ ეს მე ვარ.

მოხუცი ისევ აბურტყუნდა ერთმანეთზე მიტყუპული მუხლების თაობაზე, მაგრამ ასეთი მუხლები ხანდახან ყმაწვილებსაც ჰქონდათ ხოლმე, ასე რომ, ეს ხელს ვერაფერს შეუშლიდა, მით უმეტეს, იასკო მართლაც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა იაგენკას, ბოლო შეკრეჭის შემდეგ თმაც ისე წამოეზარდა ყმაწვილს, რომ უკვე ბადურით იმაგრებდა, როგორც კეთილშობილი წარმოშობის სხვა ყმაწვილები და თვითონ რაინდებიც. სწორედ ამიტომ დაუჯერა მაცკომ და ახლა მგზავრობაზე ალაპარაკდნენ. გასვლას მეორე დღეს აპირებდნენ. მაცკოს გადაწყვეტილი ჰქონდა ჯვაროსნების მიწაწყალზე გადასულიყო, ბროდნიცამდე მიეღწია, იქ ყველგან გაეკითხ-გამოეკითხა, და თუ მაგისტრი, ლიხტენშტაინის რწმუნების მიუხედავად, მაინც მალბორგში აღმოჩნდებოდა, მალბორგს წასულიყო, თუ არადა საზღვრის გასწვრივ სპიხოვის მხარეს გაეწია და გზადაგზა ყველასთვის გამოეკითხა ახალგაზრდა პოლონელი რაინდისა და მისი მსახურების ამბავი. მოხუც რაინდს იმისი იმე-

დიც ჰქონდა, რომ სპიხოვში ან ვარშავის მთავრის იანუშის კარზე უფრო მეტს გაიგებდა ზბიშკოზე, ვიდრე სადმე სხვაგან.

მეორე დღეს გზას გაუდგნენ. გაზაფხული ყველგან იგრძნობდა. მდინარეები, განსაკუთრებით კი სკრვა და დრვენცა ძალზე ადიდებულიყვნენ და მგზავრობას აფერხებდნენ, ამიტომ მაცკომ და მისმა თანამგზავრებმა მხოლოდ პლოცკიდან გასვლის მეათე დღეს გადალახეს საზღვარი და ბროდნიცაში ჩავიდნენ. ბროდნიცა სუფთა და კოპწია ქალაქი იყო, მაგრამ ამთავითვე იგრძნობოდა გერმანელთა ულმობელი გამგებლობის კვალი – ქალაქგარეთ, გორჩენიცის გზაზე აღმართულ ვეება ქვის სახრჩობელაზე გვამები კონწიალებდა, მათ შორის ერთი ქალიც იყო. სადარაჯო კოშკსა და ციხესიმაგრეზე დროშა ფრიალებდა, რომლის თეთრ ფონზე სისხლში ამოსვრილი წითელი ხელი იყო გამოსახული. თვით კომტური ქალაქში არ იმყოფებოდა. იგი მცველთა ნაწილით და ახლომახლო მცხოვრებ შლიახტიჩთა თანხლებით მალბორგს წასულიყო. ეს ამბები მაცკოს ორთავე თვალით ბრმა მოხუცმა ჯვაროსანმა უამბო. ის ერთ დროს ბროდნიცას კომტური ყოფილიყო, ამ ადგილებს შესჩვეოდა და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს აქ ატარებდა. როცა ადგილობრივმა კაპელანმა მოხუც ჯვაროსანს ლიხტენშტაინის წერილი წაუკითხა, მან გულთბილად მიიღო მაცკო; ჯვაროსანი პოლონელებში ცხოვრობდა და პოლონურად შესანიშნავად ლაპარაკობდა, ამიტომ ადვილი იყო მასთან საუბარი. თურმე ექვსი კვირის წინ ის თვითონ ყოფილიყო მალბორგში, სადაც, როგორც გამოცდილი რაინდი, სამხედრო საბჭოს სხდომაზე გამოეძახებინათ. ამის გამო კარგად იცოდა დედაქალაქის ამბები. როცა მაცკომ ჰკითხა, ხომ არაფერი გაგიგონია ახალგაზრდა პოლონელ რაინდზეო, მოხუცმა უპასუხა, გამიგონია, სახელი კი დამავიწყდა, მაგრამ მახსოვს, ამ რაინდმა ჯერ ყველა გააოცა, ასეთი ახალგაზრდა რომ უკვე რაინდულ ქამარს ატარებს, ამას გარდა, წარმატებით მონაწილეობდა ასპარეზობაში, რომელიც, ჩვეულებისამებრ, დიდმა მაგისტრმა მოაწყოო საზღვარგარეთელი სტუმრებისთვის ლაშქრად წასვლის წინ. მოხუცს ისიც ახსოვდა, რომ ამ ახალგაზრდა რაინდს განსაკუთრებულად მფარველობდა მაგისტრის მამაცი და კეთილშობილი ძმა ულრიხ ფონ იუნგინგენი, მისცა მას დაცვის სიგელები და ყმაწვილი, მგონი, აღმოსავლეთისკენ წავიდა. მაცკო გაახარა ამ ამბებმა, ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ ეს ჭაბუკი რაინდი ზბიშკო იყო. მალბორგში წასვლას აზრი აღარ ჰქონდა. თუნდაც დიდ ჰოსპიტალერს ან მალბორგში დარჩენილ უფროს ძმებსა და რაინდებს ამაზე დაწვრილებით სცოდნოდათ ამბები, ისინი, სულ ერთია, ვერ შეიტყობდნენ, სად იმყოფებოდა ზბიშკო. თვითონ მაცკომ კი კარგად იცოდა, სად შეიძლებოდა

ძმისშვილის ნახვა: ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ახლა ის სადღაც შჩიტ-ნოს მახლობლად ტრიალებდა, ან, თუ დანუსია იქ ვერ იპოვა, აღმოსავლე-თის უფრო შორეულ ციხესიმაგრეებსა და საკომტუროებში ეძებდა.

მგზავრებს დრო აღარ დაუკარგავთ, გერმანელთა სამფლობელოებს გაუყვნენ და აღმოსავლეთისაკენ, შჩიტნოს მიმართულებით წავიდნენ. სწრაფად მიიწევდნენ წინ, რადგან ამ მჭიდროდ დასახლებულ მხარეში ქა-ლაქები და დაბები მოხერხებული გზებით იყო შეერთებული. ეს გზები ჯვა-როსნებს, უფრო სწორად კი ქალაქელ ვაჭრებს მოეწესრიგებინათ და არაფ-რით ჩამოუვარდებოდა საქმიანი და ყაირათიანი მეფე კაზიმეჟის დროს პო-ლონეთში გაყვანილ გზებს. ამინდიც მშვენიერი დაუდგათ. ვარსკვლავიანი ღამეები, მოწმენდილი დღეები, შუადღეზე კი მშრალი თბილი სიო წამოუ-ბერავდა და მგზავრებს ღონესა და სიმხნევეს მატებდა. მინდვრებზე უკვე თავი წამოეყო ჯეჯილს; კორდები ყვავილთა ხალიჩით მოფენილიყო, ფიჭ-ვის ტყეები კი ფისის სურნელს აფრქვევდნენ. მთელი გზა ლიმბარკამდე, იქიდან კი ძიალდოვამდე და მერე ნეძბოჟამდე მგზავრებს ცაზე ღრუბლის ნაგლეჯიც არ დაუნახავთ. მხოლოდ ნეძბოჟში ატყდა ღამით ავდარი და ამ გაზაფხულზე პირველად გაიგონეს ჭექა-ქუხილი; მაგრამ ჭექა-ქუხილმა მა-ლე გადაიარა და ისეთი მოკრიალებული დილა გათენდა, ისეთი ალისფე-რი, ოქროსავით მოციმციმე, რომ ირგვლივ თვალსაწიერზე ყველაფერი ბრწყინავდა, თითქოს ალმასი და მარგალიტი მოუბნევიათო, გეგონებო-დათ, მთელი დედამიწა შეჰხაროდა ცასა და სიცოცხლეს,

სწორედ ამ მშვენიერ დილით გაუხვიეს მათ ნეძბოჟიდან შჩიტნოსკენ. მაზოვიის საზღვარი არც ისე შორს იყო და სპიხოვისკენაც ადვილად შეეძ-ლოთ გადახვევა. მაცკომ დააპირა კიდევაც იქით წასვლა, მაგრამ მდგომა-რეობა რომ აწონ-დაწონა, ისევ გერმანელთა საშინელი ბუდისკენ ამჯობინა წასვლა, სადაც ასე მწარედ გადაწყდა ზბიშკოს ბედი. გამყოლი გლეხი აიყ-ვანეს, რომელსაც მაცკომ შჩიტნოსკენ გაძღოლა უბრძანა; კაცმა რომ თქვას, ეს გამყოლი დიდად არც სჭირდებოდათ, რადგან ნეძბოჟიდან პირდაპირი გზა მიდიოდა და ორთავე მხარეს თეთრი ქვებით იყო მონიშნული გერმანუ-ლი მილები.

გამყოლი წინ მიდიოდა, მას რამდენიმე ათეულ ნაბიჯზე მაცკო და ია-გენკა მიჰყვებოდნენ, მერე, საკმაოდ დიდ მანძილზე, – ჩეხი და ლამაზი ანულკა, ბოლოს კი დატვირთული ურმები, რომელთაც შეიარაღებული მსა-ხურები იცავდნენ.

ადრიანი დილა იყო. აღმოსავლეთი ჯერ ისევ ვარდისფრად მოჩანდა, თუმცა მზე უკვე საკმაოდ კაშკაშებდა და ხეთა ფოთლებსა და ბალახზე ნამის წვეთებს ოპალის თვლებივით აელვარებდა.

– არ გეშინია შჩიტნოში ჩასვლისა? – ჰკითხა მაცკომ.

– არა, არ მეშინია, – უპასუხა იაგენკამ, – მე ობოლი ვარ და ღმერთი მიცავს.

– იქ არავისი ნდობა არ შეიძლება. მართალია, ყველაზე ავი ძაღლი დანველდი იყო, ის და გოტფრიდი იურანდმა მოკლა... ჩეხმა ჩამოიტანა ამბავი. დანველდის მერე ყველაზე უარესს, როტგერს, ზბიშკოს ცულმა მოუსწრაფა სიცოცხლე; თუმცა მოხუციც ღვთისგან შეჩვენებულია. მან სული ეშმაკს მიჰყიდა... ხალხმა ხეირიანად არაფერი იცის, მაგრამ, ვფიქრობ, თუ დანუსია ცოცხალი აღარ არის, მხოლოდ მისი ნახელავია. ყური მოვკარი, რაღაც ამბები გადახდენია, მაგრამ ქალბატონმა მითხრა პლოცკში, ადვილად გადარჩაო. სწორედ იმასთან გვექნება საქმე შჩიტნოში... კარგია, რომ ლიხტენშტაინმა წერილი მოგვცა. ისე, ეტყობა, ამ ძაღლებს მაგისი უფრო ეშინიათ, ვიდრე თვითონ მაგისტრისა... ამბობენ, პატივსაცემი კაცია და დიდადაც ერიდებიანო; შურისმაძიებელიც ყოფილა. უბრალო წყენას არ შეგარჩენს თურმე. ეს წერილი რომ არა მქონოდა, ასე გულდამშვიდებული ვერ წავიდოდი შჩიტნოსაკენ.

– რა ჰქვია იმ ბერიკაცს?

– ზიგფრიდ დე ლიოვე.

– ღმერთმა ქნას, როგორმე გავუმკლავდეთ.

– ღმერთმა ქნას!

მაცკომ გაიცინა და ერთი წუთის მერე განაგრძო:

– პლოცკში ქალბატონი მეუბნება: „თქვენ სულ ჩივით, როგორც ცხვრები მგლებზე, მაგრამ იმ მგლებიდან სამი უკვე ცოცხალი აღარ არის, საცოდავმა ცხვრებმა მოუღესო ბოლო“. კაცმა რომ თქვას, მართალია...

– მაშ დანუსკა, მამამისი?

– მეც ეგ ვუთხარი ქალბატონს. გულში კი მიხარია, გამოდის ჩვენი წყენინებაც საშიშია. ჩვენც ვიცით ცულის ხელში დაჭერა და ღირსეულად მოქნევა. დანუსკასა და იურანდის ამბავი კი რაღა სათქმელია. მე და ჩეხი ვფიქრობთ, რომ ისინი ცოცხლები არ უნდა იყვნენ, მხოლოდ დანამდვილებით არავინ იცის... მებრალება იურანდი, სიცოცხლეში რამდენი ეწამა თავისი

შვილისთვის, და თუ დაიღუპა, ალბათ არც სიკვდილი არგუნა ადვილი ბედმა.

– როგორც კი ჩემთან იურანდს ახსენებენ, მაშინვე მამა მაგონდება, ისიც ხომ აღარ არის ამქვეყნად, – უპასუხა იაგენკამ.

ამ სიტყვებით მან ცას აღაპყრო ცრემლმორეული მშვენიერი თვალები.

მაცკომ თავის ქნევით თქვა:

– ის ალბათ სამოთხეშია ახლა და ნეტარებს. მთელ ჩვენს სამეფოში იმაზე უკეთესი ადამიანი არ მოიპოვებოდა.

– მართლაც, რომ არ მოიპოვებოდა! – ამოიოხრა იაგენკამ.

ლაპარაკი შეაწყვეტინათ გამყოლმა, რომელმაც ერთბაშად შეაყენა ცხენი, მერე მოაბრუნა, მაცკოსთან მიაჭენა და უცნაური, შეშინებული ხმით შესძახა:

– ღმერთო დიდებულო, ერთი შეხედეთ, ბატონო რაინდო, ვინ არის, ბექობიდან რომ ეშვება ჩვენკენ.

– ვინ, სად? – შესძახა მაცკომ.

– აგერ იქ! ვიღაც გოლიათია...

მაცკომ და იაგენკამ შეაყენეს თავიანთი იორღა ცხენები, მითითებულ მხარეს გაიხედეს და მართლაც ასიოდ ნაბიჯზე გორაკზე არაჩვეულებრივად მაღალი კაცი დაინახეს.

– ჰო მართალია, ეს ნამდვილი გოლიათია, – წაიბურტყუნა მაცკომ. მერე თვალები მოჭუტა, გვერდზე გადააფურთხა და თქვა:

– ფუი, ეშმაკს!

– რას უფრთხით? – ჰკითხა იაგენკამ.

– მომაგონდა, ერთხელ, სწორედ ასეთ დილით, მე და ზბიშკო ტინეციდან კრაკოვში მოვდიოდით და სწორედ ასეთი გოლიათი დავინახეთ. მაშინ ამბობდნენ, ეს ვალგეჟ მშვენიერიაო. მაგრამ ტაჩეველი პანი აღმოჩნდა, თუმცა არც ამას მოჰყოლია კარგი არაფერი. განვედ ჩემგან, ეშმაკო!

– ეს რაინდი არ არის, ფეხით მოდის, – თქვა იაგენკამ, როცა კარგად დაკვირდა, – არც იარაღი აქვს, მარცხენა ხელში ჯოხი უჭირავს მხოლოდ...

– გზასაც ისე სინჯავს, თითქოს ღამე იყოს, – დაამატა მაცკომ.

– და ფეხს ძლივს ადგამს. ბრმა ხომ არ არის?

– ბრმა არის, ნამდვილად ბრმა!

მათ ცხენები დასძრეს და სულ მალე უბედური მოხუცის წინ შეჩერდნენ, რომელიც ნელ-ნელა, ჯოხის ფათურით ეშვებოდა ბექობიდან.

მოხუცი მართლაც ძალზე მაღალი ტანისა იყო, ოღონდ ახლოდან გოლიათი აღარ ჩანდა. იმაშიც დარწმუნდნენ, რომ სრულიად ბრმა იყო. თვალების მაგივრად ორი წითელი ორმო მოუჩანდა. არც მარჯვენა ხელის მტევანი ჰქონდა, იმის მაგივრად ჭუჭყიანი ჩვარი ეკიდა. თეთრი თმა მხრებზე სცემდა, წვერი კი ქამრამდე სწვდებოდა.

– საწყალს არც გამყოლი ჰყავს, არც ძაღლი, თვითონ ალღოთი მოიკვლევს გზას, წაილაპარაკა იაგენკამ. ღმერთო ჩემო, ასე უპატრონოდ ხომ არ დავტოვებთ. არ ვიცი, გაიგებს თუ არა რამეს, მაგრამ მაინც ვეცდები ჩვენებურად დაველაპარაკო.

ამ სიტყვებით ის ცხენიდან ჩამოხტა, მოხუცს მიუახლოვდა, თან ქამარზე ჩამოკიდებულ ტყავის ქისაში ფული მოძებნა.

მოხუცმა ცხენის თქარათქური და ხალხის ლაპარაკი რომ გაიგონა, ჯოხი გაიშვირა და თავი მაღლა ასწია, როგორც ბრმებსა სჩვევიათ.

– დიდება იესო ქრისტეს! – უთხრა იაგენკამ. – ბაბუა, თქვენ გესმით ქრისტიანული ლაპარაკი?

იაგენკას წკრიალა ტკბილი ხმა რომ გაიგონა, მოხუცი შეკრთა, აღელდა, გრძნობამორეულ მის სახეს რაღაც ნათელი მოეფინა, ცარიელი ორმოები. ქუთუთოებით დაფარა, კეტი გადააგდო, იაგენკას წინ მუხლებზე დაეცა და ხელები ცისკენ აღაპყრო.

– აბრძანდით, მე ისედაც შეგეწევით. რა გემართებათ? – ჰკითხა გაოცებულმა იაგენკამ.

მაგრამ მოხუცმა არაფერი უპასუხა, ორი ცრემლი ჩამოუგორდა ლოყებზე და რაღაც კვნესის მსგავსი ხმა აღმოხდა:

– ა-ა! ა!

– ღმერთო დიდებულო, თქვენ მუნჯიცა ხართ?

– ა-ა! ა!

მან მარცხენა ხელი ასწია, ჰაერში ჯვარი მოხაზა, მერე ტუჩებთან მიიტანა და აქეთ-იქით გაისვა.

გაოგნებულმა იაგენკამ მაცკოს გადახედა.

– მე. მგონია, განიშნებს, ენა მომჭრესო, – უთხრა მაცკომ.

– თქვენ ენა მოგჭრეს? – ჰკითხა ქალიშვილმა.

– ა-ა! ა! ა! – რამდენჯერმე გაიმეორა მოხუცმა თავის ქნევით.

ჯერ ხელით თვალებზე ანიშნა, მერე კი მტევანმოჭრილი მარჯვენა გამოიშვირა და მარცხენათი ანიშნა, მომკვეთესო.

ახლა მას იაგენკაც მიუხვდა და მაცკოც.

– ვინ დაგმართათ ეს? – ჰკითხა იაგენკამ.

მოხუცმა ისევ მოხაზა რამდენჯერმე ჰაერში ჯვარი.

– ჯვაროსნებმა! – შესძახა მაცკომ.

მოხუცმა დასტურის ნიშნად თავი დახარა.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. მაცკომ და იაგენკამ ზარდაცემულებმა გადახედეს ერთმანეთს, მათ თვალწინ იყო ტყვეთა მიმართ გერმანელთა მძვინვარებისა და უადამიანობის ცოცხალი ნიმუში.

– ულმობელი ხელისუფლები! – თქვა ბოლოს მაცკომ. – როგორ მკაცრად დაუსჯიათ და, ვინ იცის, იქნებ უდანაშაულოდაც. აფსუს, რომ არაფრის მოყოლა არ შეუძლია. ის მაინც გავიგოთ, სად წავიყვანოთ, – ალბათ აქაურია, რაკი ჩვენი ლაპარაკი ესმის: უბრალო ხალხი ამ მხარესაც ისეთია, როგორიც მაზოვიაში.

– გესმით ჩვენი ლაპარაკი, ბაბუა? – ჰკითხა იაგენკამ.

მოხუცმა თავი დაუქნია.

– აქაური ბრძანდებით?

– არა, – ხელით ანიშნა მოხუცმა.

– მაშ მაზოვიიდან?

– ჰო, იანუშის სამთავროდან?

– ჰო.

– რა გინდოდათ ჯვაროსნებთან?

მოხუცს აღარ შეეძლო პასუხი; მაგრამ სახეზე წამიერად ისეთი უნუგეშო ტანჯვა გამოეხატა, რომ იაგენკას კეთილი გული სიბრალულით შეეკუმშა. მაცკომ კი, რომელიც დიდი გულჩვილობით არ გამოირჩეოდა, თქვა:

– ალბათ იმ ძაღლებმა აწყენინეს, იქნებ სულაც უმიზეზოდ.

იაგენკამ უმწეო მოხუცს რამდენიმე წვრილი ფული ჩაუდო ხელში.

– მისმინეთ, – უთხრა მან, – ჩვენ არ მიგატოვებთ. ჩვენთან ერთად წამობრძანდებით მაზოვიაში და ყოველ სოფელში დაგეკითხებით, ეს არის

თუ არა თქვენი სამშობლო. იქნებ როგორმე მივაგნოთ. ახლა კი წამოდექით, ჩვენ ხომ წმინდანები არა ვართ.

მაგრამ მოხუცი არ ადგა, პირიქით, კიდევ უფრო დაიხარა, იაგენკას ფეხებზე მოეხვია, თითქოს შველას სთხოვს და მადლობასაც სწირავსო; მაგრამ სახეზე უეცრად გაოცება და გულისგატეხა გამოეხატა. ხმაზე ალბათ ფიქრობდა, ქალიშვილი მელაპარაკებაო, ხელით კი ძროხის ტყავის ჩექმებს შეეხო, რაინდები ან საჭურველმტვირთველები რომ იცვამდნენ მგზავრობაში.

იაგენკამ კი თქვა:

– ასე ვქნათ, მალე ჩვენი ფორნებიც მოვლენ, მოგასვენებთ და დაგანაყრებთ, მაგრამ მაზოვიაში ახლავე ვერ წახვალთ, ჯერ შჩიტნოში უნდა შევიაროთ.

ამ სიტყვებზე მოხუცი წამოხტა. სახეზე შიში და გაოცება გამოეხატა. ხელები გაშალა. თითქოს სურს გზა გადაუჭრასო, და რაღაც ველური სასოწარკვეთილი ღმუილი აღმოხდა.

– რა გემართებათ? – შესძახა შეშინებულმა იაგენკამ.

ამ დროს ჩეხ ჰლავას, რომელიც ანულკასთან ერთად მოსულიყო და მოხუცს დაჟინებით აკვირდებოდა, უცებ სახე შეეცვალა, მაცკოს მიუბრუნდა და უცნაური ხმით წარმოთქვა:

– ღმერთო! ნება მომეცით დაველაპარაკო ამ კაცს, თქვენ ვერც კი წარმოგიდგენიათ, ვინ შეიძლება იყოს!

ის ნებართვასაც არ დაელოდა, მოხუცთან მიირბინა, მხარზე ხელი დაადო და ჰკითხა:

– შჩიტნოდან მოდიხართ? ამ ხმამ თითქოს მონუსხაო, მოხუცი წამში დამშვიდდა და თავი დაუქნია.

– თქვენ იქ ბავშვს ხომ არ ეძებდით?

მხოლოდ ყრუ გმინვა იყო ამ კითხვის პასუხი.

ჰლავა გაფითრდა, ერთი წამი კიდევ დააცქერდა მოხუცს ფოცხვერისებური თვალებით, მერე კი ნელა და მტკიცედ წარმოთქვა:

– მაშ, თქვენ იურანდ სპიხოველი ხართ!

– იურანდ! – შესძახა მაცკომ.

მაგრამ იურანდი ამ დროს წაბარბაცდა და გრძნობა დაკარგა. ამდენმა წამებამ, შიმშილმა, დაღლილობამ ერთბაშად მოცელა ის. მეათე დღე იყო,

მოხეტიალობდა ხელის ცეცებით, მშიერი, არაქათგამოცლილი, ჯოხით მოიკვლევდა გზას, თვითონაც არ იცოდა, სწორ კვალს ადგა, თუ არა. იმის საშუალებაც არ ჰქონდა, ვინმესთვის რამე ეკითხა. დღისით მზის სხივების სითბოს მიჰყვებოდა, ღამეს კი გზისპირა თხრილებში ათევდა. როცა სოფელში ან ვინმეს კარ-მიდამოზე გაივლიდა და ხალხს ხვდებოდა, ხელგაშვერილი ღმუილით თხოულობდა მოწყალებას. მაგრამ იშვიათად იმეტებდნენ რამეს, მართლმსაჯულებისგან დასჯილ დამნაშავედ მიიჩნევდა ყველა. ბოლო ორი დღე მხოლოდ ფოთლებითა და ხის ქერქით იკვებებოდა, უკვე იმედი დაკარგა, რომ როდისმე მაზოვიას მიაღწევდა – და სწორედ ამ დროს მოხვდა თავისიანებში, გაიგონა მშობლიური ხმები, ერთი მაინც როგორ ჰგავდა მისი ქალიშვილის ალერსიან ხმას. ხოლო როცა რომელიღაცამ მისი სახელიც წარმოთქვა, ამდენ მღელვარებას ვეღარ გაუძლო, გული შეეკუმშა, თავში ქარაშოტივით დატრიალდა აზრები და ალბათ პირქვე დაეცემოდა მტვერში, ჩეხის მძლავრ ხელებს რომ არ შეეკავებინა.

მაცკო ცხენიდან ჩამოხტა, მან და ჩეხმა ხელში აიყვანეს მოხუცი და ფორანზე გაფენილ თივაზე დააწვინეს. იაგენკამ და ანულკამ გრძნობაზე მოიყვანეს, დაანაყრეს, ღვინო დაალევინეს. იაგენკა ხედავდა, როგორ უჭირდა თასის დაჭერა და თავისი ხელით ასმევდა ღვინოს. მერე იურანდს ღრმად ჩაეძინა და მხოლოდ მეორე დღეს გაეღვიძა.

ამასობაში მოგზაურებმა სახელდახელო თათბირი გამართეს.

– მოკლედ ვიტყვი, – დაიწყო იაგენკამ, – ახლა შჩიტნოში კი არა, სპიხოვში უნდა წავიდეთ, იურანდი უხიფათო ადგილას უნდა დავტოვოთ, თავისიანებში, სადაც მასზე იზრუნებენ.

– დახე ერთი, რა სწრაფად გასცა ბრძანება! – შეედავა მაცკო. – სრულიად გასაგებია, რომ ეგ სპიხოვში უნდა გავამგზავროთ, მაგრამ ყველას იქ წასვლა აუცილებელი არ არის, ერთი ფორანი გავატანოთ და კმარა.

– მე ბრძანებას კი არ ვიძლევი, უბრალოდ ვფიქრობ, რომ მისგან ბევრი რამის გაგება შეგვეძლო ზბიშკოზეც და დანუსიაზეც.

– როგორ აპირებ მასთან ლაპარაკს, როცა კაცს ენა არა აქვს?

– განა თვითონ არ გვაჩვენა, ენა არა მაქვსო? ხომ ხედავთ, უსიტყვოდაც გავიგეთ ყველაფერი, რაც გვჭირდებოდა. მაგის ნიშნებს რომ შევეჩვევით, მერე გაგვიადვილდება! აი, ვკითხავთ, მაგალითად, მალბორგიდან შჩიტნოში ჩამოვიდა თუ არა ზბიშკო, ეგ კი ან დაგვიქნევს თავს, ან არაო, გვანიშნებს. ასე ვისაუბრებთ თანდათან ყველაფერზე.

– სწორია! – თქვა ჩეხმა.

– მაგაზე არც მე ვდავობ, – თქვა მაცკომ, – ეგ მეც მომივიდა აზრად, ოღონდ მე ჯერ დაფიქრება მიყვარს, მერე ლაპარაკი.

და ბრძანა ფორნები მაზოვიის საზღვრისაკენ მოებრუნებინათ. გზაში იაგენკა ბევრჯერ მივიდა ფორანთან და დახედა იურანდს, ეშინოდა, ძილში არ გაპარულიყო მოხუცი.

– ერთბაშად ვერც კი ვიცანი, – ამბობდა მაცკო, არცაა გასაკვირი. გოლიათი იყო, ხარივით ღონიერი! მაზურები ამბობდნენ, ზავიშას მაგის მეტი ვერავინ მოერევაო, ახლა ჩონჩხს დამსგავსებია.

– ყური მქონდა მოკრული, – თქვა ჩეხმა, – ჯვაროსნებმა მეტისმეტად აწამესო; მაგრამ არ მინდოდა დამეჯერებინა, რომ ქრისტიანებს შეეძლოთ ასე მოქცეოდნენ ქამრიან რაინდს, ვინც თავის მფარველად მათსავით წმინდა გიორგის სახავს.

– კიდევ კარგი, ღმერთი დაეხმარა ზბიშკოს, ნაწილობრივ მაინც ეშია შური. ხედავთ, რანაირი განსხვავებაა ჩვენსა და ჯვაროსნებს შორის. მართალია, ოთხიდან სამი ტევტონელი ძაღლი უკვე მკვდარია, მაგრამ ისინი ბრძოლაში დაიხოცნენ, ტყვეობაში ჩავარდნილთათვის არ ამოგვიგლეჯია ენა და არ დაგვითხრია თვალები.

– ღმერთმა მიუზღოთ! – თქვა იაგენკამ.

– მაცკო ჩეხს მიუბრუნდა:

– შენ როგორღა იცანი?

– თავდაპირველად ვერც მე ვიცანი, თუმცა თქვენს შემდეგ მყავდა ნანახი. მაგრამ მის სახეში რაღაც ნაცნობი მესახებოდა, რაც უფრო ვაკვირდებოდი, მით უფრო მეცნობოდა... მაშინ არც წვერი ჰქონდა, არც ჭაღარა, ძლიერი და ღონიერი რაინდი იყო, რას ვიფიქრებდი, რომ ეს ჩაჩანაკი იურანდი გამოდგებოდა! მაგრამ როცა პანა იაგენკამ შჩიტნო ახსენა, ამაზე ისე ამოიგმინა, რომ მაშინვე ამეხილა თვალები. მაცკო დაფიქრდა.

– კარგი იქნებოდა სპიხოვიდან მთავართან წაგვეყვანა, აბა, როგორ აპატიებს მთავარი ჯვაროსნებს ცნობილ რაინდთან ასეთ მოპყრობას.

– მოწყალეო ბატონო, ისინი მოახერხებენ თავის დაძვრენას: აკი მოიტაცეს ვერაგულად მისი ქალიშვილი და მერე გადაგიცეს, პან სპიხოველზეც ვითომ რატომ ვეღარ იტყვიან, ენა, თვალები და ხელი ბრძოლაში დაკარგაო?!

– ეგ მართალია, – დაეთანხმა მაცკო. – ოდესღაც თვითონ მთავარიც მოიტაცეს. ახლა იმათთან ომს ეს ვერ შეძლებს, ვერ აჯობებს, ერთადერთი

ჩვენი მეფე თუ დაეხმარება. აღარ გათავდა ლაპარაკი დიდ ომზე და რა ვიცი, ჯერ პატარაც არა ჩანს.

– მთავარ ვიტოლდს არ ებრძვიან განა?

– მადლობა ღმერთს, ის მაინც არაფრად აგდებს მაგათ...

აი, მთავარი მაგასა ჰქვია! ვერც ეშმაკობით აჯობებენ, მარტო მოუვა მთელს ჯვაროსნებს ეშმაკობაში. ხანდახან ისე მოსდგებოდნენ, რომ იფიქრებდი, აი, გათავდა ყველაფერი, დაღუპვა არ ასცდებაო, ის კი ანკარასავით გამოუცურდებოდა და იქვე დაგესლავდა... გეშინოდეს იმისი ბრძოლაში, მაგრამ კიდევ უფრო გეშინოდეს, როცა გეფერება.

– ის ყველასთან ასეთია?

– არა, მარტო ჯვაროსნებთან. სხვებისთვის კეთილი და გულუხვი მთავარია.

მაცკო ისევ დაფიქრდა, თითქოს ცდილობდა უფრო კარგად წარმოედგინა ვიტოლდი.

– არაფრით არა ჰგავს აქაურ მთავრებს, – თქვა მან ბოლოს, – აი, ვისთან უნდა წასულიყო ზბიშკო, ჯვაროსნების გულის ჯავრის ამოყრა მის გვერდით უფრო კარგად შეიძლება.

მერე გაჩუმდა და დასძინა:

– ერთი იმასთან მოგვახვედრა ორთავენი, აი, მაშინ კი ამოვიყრიდით იმ ძაღლების ჯავრს.

მერე ყველა ისევ იურანდზე ალაპარაკდა, მის უბედობაზე, გაუგონარ შეურაცხყოფაზე, ჯვაროსნებმა რომ მიაყენეს, როცა უმიზეზოდ საყვარელი ცოლი მოუკლეს, მერე შურისგებაზე შურისგებითვე უპასუხეს და ქალიშვილი მოსტაცეს, თვითონ კი ისე უღმერთოდ აწამეს, თათრებსაც ვერ მოაფიქრდებოდათ უფრო საშინელი წამება. მაცკო და ჩეხი კბილებს აკრაჭუნებდნენ, იურანდის განთავისუფლებაც ახალი, წინასწარ გააზრებული ულმობლობა არისო. მოხუცი რაინდი გულში ფიცსა სდებდა, კარგად გაეგოთ ყველაფრის ასავალ-დასავალი და ერთიათად მიეზღოთ ჯვაროსნებისთვის.

ასეთ ფიქრებსა და საუბარში ილეოდა სპიხოვის გზა. ნათელი დღის მერე ვარსკვლავებით მოჭედილი მყუდრო ღამე ჩამოდგა, ღამის გასათევად მგზავრები არსად გაჩერებულან. ცხენებს სამჯერ მაძღრისად აჭამეს, ღამითვე გადალახეს საზღვარი და განთიადისას დაქირავებული გამცილებლის თანხლებით სპიხოვის მიწაზე შედგეს ფეხი. მოხუცი ტოლიმა, ეტყო-

ბოდა, მკაცრად იცავდა იქაურ წესებს. ის იყო სპიხოვის ტყეში გამოჩნდნენ, წინ ორი შეიარაღებული ცხენოსანი გადაეღობათ; როცა დაინახეს, ჯარი კი არა, მშვიდობიანი ფორნები მოდიოდა, მგზავრები დაუკითხავად გაატარეს და კიდევაც გააცილეს ჭაობიან ადგილებში, სადაც აქაურობას შეუჩვეველი ადამიანი ვერ გავიდოდა.

ქალაქში სტუმრები ტოლიმამ და ქსონძმა კალებმა მიიღეს. ვიღაც კეთილმა ხალხმა ჩვენი ბატონი ჩამოიყვანაო, ეს ამბავი ელვასავით მოედო მთელს დაცვას. მაგრამ როცა ხალხმა დაინახა, როგორი დაბრუნდა იურანდი ჯვაროსნების ხელთაგან, ისეთი ამბავი ატყდა, ისე განრისხდა ყველა, სპიხოვის ჯურღმულში რომ ერთი ჯვაროსანი მაინც ყოფილიყო დარჩენილი, ალბათ ვერაფერი იხსნიდა საშინელი სიკვდილისგან.

ცხენოსნებს უნდოდათ მაშინვე ამხედრებულიყვნენ, საზღვრისკენ წასულიყვნენ, ხელთ ეგდოთ, რამდენსაც მოახერხებდნენ, იმდენი გერმანელი, და მათი თავები ბატონის ფერხთით დაეწყოთ; მაგრამ მაცკომ დააწყნარა ხალხი. აუხსნა, გერმანელები ქალაქებსა და ციხესიმაგრეებში არიან შემალული, სოფლებში კი ჩვენნაირი პოლონელები ცხოვრობენ, ოღონდ უცხოელთა უღელქვეშო.

იურანდი არც ხმაურმა გააღვიძა, არც ყვირილმა, არც ჭის ჯაჭვის ჭრიალმა. დათვის ტყავით გადაიტანეს ფორნიდან თავის ლოგინზე. იურანდის ყრმობის მეგობარი, მისი მოყვარული ქსონძი კალები გვერდიდან არ მოსცილებია. ათასნაირ ლოცვებს უკითხავდა, უზენაესს სთხოვდა, დაებრუნებინა იურანდისთვის მხედველობა, ენა და ხელი.

ნასაუზმევს დაღლილი მგზავრები დასასვენებლად წავიდნენ. შუადღე კარგად გადასული იყო, მაცკოს რომ გამოეღვიძა და მსახურს ტოლიმას მოყვანა უბრძანა.

მაცკომ ჩეხისგან იცოდა, რომ წასვლის წინ იურანდმა ყველას უბრძანა ზბიშკოს დამორჩილებოდნენ, ამას გარდა, ქსონძის თქმით, სპიხოვიც მას უანდერძა, ამიტომ ბრძანების კილოთი მიმართა მოხუცს:

– მე თქვენი ახალგაზრდა ბატონის ბიძა გახლავართ და, სანამ ის დაბრუნდებოდეს, მე უნდა დამემორჩილოთ.

ტოლიმამ ჭაღარა თავი დახარა, რაღაცით მგლის თავს რომ მოგაგონებდათ, ხელი ყურთან მიიტანა და ჰკითხა:

– მაშ თქვენ კეთილშობილი ბოგდანეცელი რაინდი ბრძანდებით?

– დიახ, – უთხრა მაცკომ. – თქვენ საიდან მიცნობთ?

– ახალგაზრდა ბატონი ზბიშკო აქ გახლდათ და თქვენ გკითხულობ-დათ.

ამ სიტყვების გაგონებაზე მაცკო ფეხზე წამოიჭრა, მთელი თავისი მე-დიდურობა დაივიწყა და შესძახა:

– ზბიშკო სპიხოვშია?

– იყო, მოწყალეო ბატონო, ორი დღის წინ წავიდა.

– ღმერთო ჩემო, საიდან ჩამოვიდა და საით წავიდა?

– მალბორგიდან ჩამოვიდა, გზად შჩიტნოშიც შეევლო, ხოლო საით წა-ვიდა – ეს აღარ უთქვამს.

– არ უთქვამს?

– იქნებ ქსონძ კალებს უთხრა.

– ღმერთო ჩემო! მაშ ავცდით ერთმანეთს! – თქვა მაცკომ და ხელები ბარძაყებზე შემოირტყა.

ტოლიმამ ახლა მეორე ყურზე მიიდო ხელი.

– რა ბრძანეთ, მოწყალეო ბატონო?

– სად არის ქსონძი კალები?

– მოხუც პანთან, მის საწოლთან.

– სთხოვეთ ქსონძს აქ მოვიდეს!... ანდა არა... მე თვითონ წავალ მას-თან.

– მე დავუძახებ! – თქვა მოხუცმა.

ის გავიდა. სანამ ქსონძი ქალები მოვიდოდა, ოთახში იაგენკამ შემოი-ხედა.

– მოდი აქ! იცი, რა მოხდა? ორი დღის წინ ზბიშკო აქ ყოფილა.

იაგენკას სახე შეეცვალა და ზოლიანი შარვლით შემოტმასნილი ფეხე-ბი აებლანდა.

– იყო და წავიდა? – გულის კანკალით ჰკითხა მან. - სად?

– ორი დღის წინ ყოფილა, ხოლო სად წავიდა, იქნებ ქსონძმა იცოდეს.

– სასწრაფოდ უნდა გამოვუდგეთ! – მტკიცედ განაცხადა გოგონამ.

ამ დროს შემოვიდა ქსონძი კალები. მას ეგონა, იურანდის ამბის მოსა-კითხად მიხმესო, კითხვას აღარ დაელოდა და უთხრა:

– ჯერ ისევ სძინავს.

– გავიგე, აქ ზბიშკო ყოფილა! – უთხრა მაცკომ.

– იყო და ორი დღეა, რაც წავიდა.

– სად?

– თვითონაც არ იცოდა... საძებნელად... ჟმუდის საზღვრებს მიაშურა, სადაც ახლა ომია.

– თუ ღმერთი გწამთ, მამაო, გვიამბეთ ყველაფერი, რაც მასზე იცით!

– რაც თვითონ მიამბო, მეც მხოლოდ ის ვიცი. ყოფილა მალბორგში, იქ მაგისტრის ძმა, ჯვაროსნების პირველი რაინდი ყოვლისშემძლე მფარველობას შეპირებია. იმისი ბრძანებით ზბიშკოს უფლება აქვს ყველა ციხესიმაგრე გაჩხრიკოს...

– იურანდის და დანუსკას საძებნელად?

– დიახ. მაგრამ იურანდი ზბიშკოს არც უძებნია, უთხრეს, უკვე მოკვდაო.

– ყველაფერი თავიდან გვიამბეთ.

– ახლავე, მხოლოდ საშუალება მომეცით გონს მოვიდე, მე ახლა სხვა სამყაროდან ვბრუნდები.

– როგორ თუ სხვა სამყაროდან?

– მე იმ ქვეყნიდან ვბრუნდები, სადაც ცხენით ვერასოდეს მიაღწევთ, მარტო ლოცვით შეიძლება იხილოთ... იურანდისთვის წყალობას შევთხოვდი იესო ქრისტეს!

– თქვენ სასწაულს სთხოვდით? განა გაქვთ ამისი ძალა? – ცნობისმოყვარეობით ჰკითხა მაცკომ.

– მაგის ძალა მე არა მაქვს, ეს მაცხოვრის ნებაა! თუ ის მოისურვებს, იურანდს დაუბრუნებს თვალებს, ენასა და ხელს...

– თუ მოისურვებს, მაშინ, რაღა თქმა უნდა, დაუბრუნებს, – უპასუხა მაცკომ, – თუმცა არცთუ ისე უბრალო სათხოვარია.

ქსონძმა კალებმა არაფერი უპასუხა, იქნებ ვერც გაიგონა, თვალები ჯერ კიდევ დაბინდული ჰქონდა, ეტყობა, მართლაც მთელი არსებითა და თავდავიწყებით ლოცულობდა.

მან სახეზე ხელები აიფარა და ერთხანს უხმოდ იჯდა. მერე, თითქოს გამოფხიზლდაო, თვალები ამოიფშვნიტა და თქვა:

– როგორ დაიმსახურა ზბიშკომ სამბიის მმართველის კეთილგანწყობილება?

– ის სამბიის მმართველი აღარაა.

– მაგას მნიშვნელობა არა აქვს... თქვენ მოგეხსენებათ, რაც მაინტერესებს, და მომიყევით ყველაფერი, რაც იცით.

– ულრიკს ის ასპარეზობაზე მოსწონებია. მალბორგში ბევრი რაინდი ყოფილა ჩასული სტუმრად და მაგისტრს ტურნირი მოუწყვია. ულრიკს უყვარს ხოლმე ასპარეზობაზე გამოსვლა, ზბიშკოსთანაც მოუხდა თურმე შებრძოლება. ამ დროს ულრიკს ცხენის მოსართავი გასწყვეტია და ზბიშკოს ადვილად შეეძლო მისი ცხენიდან ჩამოგდება. მაგრამ როცა შეუმჩნევია, მოსართავი გაუწყდაო, შუბი ხელიდან დაუგდია და იქით მიშველებია, თორემ ცხენიდან ვარდებოდა თურმე.

– აი, როგორი ბიჭი მყავს! – შესძახა მაცკომ და იაგენკას მოუბრუნდა. – ამისთვის შეიყვარა ულრიკმა?

– დიახ, ამისთვის შეიყვარა. მასთან ბრძოლა არც ერთი იარაღით აღარ ისურვა და შეიყვარა. ხოლო როცა ზბიშკომ თავისი სადარდელი გაუზიარა, რაინდული ღირსების დამცველი ულრიკი აღშფოთდა და ზბიშკო თავის ძმასთან საჩივლელად მიიყვანა. ღმერთმა უშველოს ამისათვის; ჯვაროსნებში ცოტაა ასეთი სამართლიანი ხალხი. ზბიშკომ მიამბო, რაინდი დე ლორშიც ბევრს დამეხმარაო, იქ დიდ პატივში ჰყოლიათ თავისი დიდგვაროვანი წარმოშობისა და სიმდიდრის გამო. თურმე ყველაფერზე ემოწმებოდა ზბიშკოს.

– დიდ მაგისტრს რაღა უთქვამს?

– დიდ მაგისტრს მკაცრად უბრძანებია შჩიტნოს კომტურისათვის სასწრაფოდ გაეგზავნათ მალბორგს ყველა ტყვე და ტუსაღი, მათ შორის თვით იურანდიც. იურანდზე კომტურს მოუწერია, ჭრილობებისაგან გარდაიცვალა და შჩიტნოს ეკლესიასთან არისო დასაფლავებული. დანარჩენი ტყვეები კი, მათ შორის ის ჭკუათხელი ქალიშვილიც, გაუგზავნია მალბორგში, მაგრამ მათ შორის ჩვენი დანუსია არ აღმოჩენილა.

– საჭურველმტვირთველ ჰლავასგან ვიცი, – უთხრა მაცკომ, – რომ როტგერსაც ულაპარაკნია მთავარ იანუშთან ვიღაც სულელ გოგოზე. ეს გოგო დანუსია გვეგონაო, უთქვამს. როცა ქალბატონს გაუხსენებია, თქვენ ნანახი გყავთ იურანდის ქალი და იცით, რომ ის სულელი არ არისო, იმას უპასუხია: „მართალია, მაგრამ ჩვენ გვეგონა ეშმაკმა შეცვალაო“.

– კომტურსაც ასე მიუწერია მაგისტრისთვის, ეს გოგო ყაჩაღებს წავართვით და ტყვედ კი არა გვყავდა, მხოლოდ ვყარაულობდით, რადგან ყაჩაღები იფიცებოდნენ, ეშმაკისგან მოქცეული იურანდის ქალიშვილიაო.

– მერე მაგისტრმა დაუჯერა?

– თვითონაც აღარ იცოდა, დაეჯერებინა თუ არა; მაგრამ ულრიკი უარესად გაცეცხლებულა და ძმისთვის მოუთხოვია ორდენის ერთ-ერთი მმართველი გაეყოლებინა ზბიშკოსთვის შჩიტნოში, თუმცა ზბიშკო და მმართველი შჩიტნოში რომ ჩასულან, მოხუცი კომტური იქ აღარ დახვედრიათ: ვიტოლდთან საბრძოლველად წავიდაო აღმოსავლეთის საზღვრებისკენ. კომტურის თანაშემწე უნახავთ, მმართველს ყველა სარდაფისა და ჯურღმულის გაღება უბრძანებია. უძებნიათ, უძებნიათ და მაინც ვერაფერი უპოვნიათ. ხალხიც დაუკითხავთ. ერთს უთქვამს ზბიშკოსთვის, კაპელანისგან ყველაზე მეტს გაიგებთ, რადგან იმას ჯალათის მუნჯური ლაპარაკი ესმისო. მაგრამ მოხუც კომტურს ჯალათი თან წაუყვანია, კაპელანი კი კრულევეცში რაღაც საეკლესიო კონგრესზე გაუგზავნია. სასულიერო პირები ხშირად იკრიბებიან და რომის პაპს ორდენზე საჩივრებს უგზავნიან, რადგან ჯვაროსნების ხელში არც საცოდავ მღვდლებს ეცხოვრებათ...

– საოცარია, იურანდი რატომ ვერ იპოვეს, – შენიშნა მაცკომ.

– ალბათ მოხუცმა კომტურმა ის მანამდის გამოუშვა. ასეთი განთავისუფლება გაცილებით დიდი ვერაგობაა, ვიდრე სიკვდილით დასჯა. მათ სურდათ სიკვდილის წინ უფრო მეტად ეწამებინათ ის, ვიდრე რაინდს შეუძლია აიტანოს... ბრმა, უენო, უხელო – ღმერთო, შენ დაიფარე ყველა! ვერც სახლს მიაღწევ, ვერც გზას იკითხავ, ვერც პურის ნატეხს მოითხოვ... ალბათ ეგონათ, სადმე ღობის ძირას შიმშილით ამოხდებოდა სული ან ღელეში ჩაიხრჩობოდა... რა შეარჩინეს კაცს? არაფერი, გარდა მოგონებისა, რა იყო მანამდის, და იმისი შეგნებისა, რაოდენ უსუსურია ახლა. ამაზე უარესი წამების წარმოდგენაც შეუძლებელია. იქნებ რომელიმე ეკლესიის კედელთანაც იყო მიმჯდარი ან გზის პირას, ზბიშკომ კი გვერდით ჩაუარა და ვერ იცნო. იქნებ თვითონაც გაიგონა ზბიშკოს ხმა, მაგრამ დაძახება არ შეეძლო... ეჰ! ძნელია ცრემლების შეკავება!.. ღმერთმა სასწაულად შეგახვედრათ და ამიტომ ვფიქრობ, იქნებ უფრო მეტი სასწაულიც მოიმოქმედოს-მეთქი, თუმც ამასვე შესთხოვს მას უღირსნი და ცოდვილნი ბაგენი ჩემნი.

– კიდევ რა გითხრათ ზბიშკომ? საით წავიდა? – ჰკითხა მაცკომ.

– მან თქვა: „მე ვიცი, რომ დანუსია შჩიტნოში იყო, მაგრამ მათ იქიდან გაიტაცეს, ან მოკლეს, ან სადღაც წაიყვანეს. ეს მოხუცმა დე ლიოვემ ჩაიდინა და, ვფიცავ, ვერ მოვისვენებ, სანამ მას არ ჩავიგდებ ხელშიო“.

– ზბიშკომ თქვა ეგრე? მაშ ის აღმოსავლეთის საკომტუროებისკენ წასულა; მაგრამ იქ ხომ ახლა ომია.

– იცოდა, რომ იქ ომია და ამიტომაც ეახლა მთავარ ვიტოლდს. ასე თქვა, ვიტოლდთან უფრო ადვილად გავუსწორდები χვაროსნებს, ვიდრე თვით მეფის წყალობითო.

– მთავარ ვიტოლდთან! – წამოხტა მაცკო.

და მაშინვე იაგენკას მიუბრუნდა:

– ხედავ, რას ნიშნავს ჭკვიანი კაცი! მეც მაგას არ ვამბობდი? ხომ მიგრძნო გულმა, ჩვენც ვიტოლდთან დაგვჭირდება-მეთქი წასვლა...

– ზბიშკოს იმედი ჰქონდა, – ჩაერია ქსონძი კალები, ვიტოლდი პრუსიაში შეიჭრება და იქაურ ციხესიმაგრეებს დაიკავებსო.

– ადროვეთ და მაგასაც იზამს, – უპასუხა მაცკომ. მადლობა ღმერთს, ახლა ის მაინც ვიცით, სად უნდა ვეძებოთ ზბიშკო.

– ახლავე უნდა გავუდგეთ გზას! – თქვა იაგენკამ.

– გაჩუმდი! დატუქსა ის მაცკომ, – რა საჭურველმტვირთველის საქმეა თავისი რჩევებით საქმეში ჩარევა.

და იაგენკას მრავალმნიშვნელოვნად გადახედა, თითქოს სურდა გაეხსენებინა ქალიშვილისთვის, საჭურველმტვირთველი ხარო; ისიც მიხვდა და გაჩუმდა. მაცკო ერთი წუთით დაფიქრდა და მერე თქვა:

– ახლა კი ნამდვილად ვიპოვით ზბიშკოს, ნამდვილად მთავარ ვიტოლდთან იქნება, მაგრამ არც იმისი გაგება გვაწყენდა, ჰყავს თუ არა კიდევ საძებნელი ვინმე ამქვეყნად, იმ გერმანელების მეტი, რომელთა თავების წაცლაც აღთქმული აქვს.

– მაგას როგორ გაიგებთ? – ჰკითხა ქსონძმა კალებმა.

– რომ ვიცოდე შჩიტნოს კაპელანი სინოდიდან დაბრუნებულია, ვინახულებდი, – უპასუხა მაცკომ. – მე ლიხტენშტაინის წერილები მაქვს და სრულიად უშიშრად შემიძლია შჩიტნოში წასვლა.

– ეს სინოდი კი არა, უბრალო კონგრესი იყო და კაპელანი დიდი ხნის დაბრუნებული იქნება, - უთხრა ქსონძმა.

– ეს კარგია. დანარჩენი ჩემზე იყოს. ყოველი შემთხვევისთვის ჰლავას თან წავიყვან, და კიდევ ორ მსახურს საომარი ცხენებით.

– მერე ზბიშკოსთან წავალთ? – ჰკითხა იაგენკამ.

– დიახ, მერე ზბიშკოსთან წავალთ. შენ კი დარჩი აქ და მელოდე, სანამ შჩიტნოდან დავბრუნდები. სამ-ოთხ დღეზე მეტს არ დამაგვიანდება. ძვლები მაგარი მაქვს, საქმე არ დამღლის. ოღონდ ერთი მინდა გთხოვოთ, მამაო

კალებ, წერილი გამატანეთ შჩიტნოს კაპელანთან. თქვენს წერილს რომ ვაჩვენებ, უფრო ადვილად დამიჯერებს... თქვენ, მღვდლები, ყოველთვის უფრო ენდობით ერთმანეთს.

– ხალხი კარგად იხსენიებს იქაურ კაპელანს, – თქვა მამაო ძალებმა. - და თუ იქ ვინმემ რამე იცის, ისევ იმან უნდა იცოდეს ყველაზე მეტი.

ქსონძმა ძალებმა საღამოსთვის წერილი მოამზადა, მეორე დღეს კი დილაუთენია მოხუცი მაცკო სპიხოვიდან გავიდა.

XII

იურანდს რომ ღრმა ძილიდან გამოეღვიძა, ქსონძი კალები გვერდით ეჯდა; ძილში თავისი ამბები დავიწყებოდა და ვეღარ მიხვდა, სად იმყოფებოდა. ამიტომ ხელის ცეცებით მოსინჯა საწოლი და კედელი, რომელთანაც საწოლი იდგა. მაგრამ ქსონძი კალები გადაეხვია და სიბრალულით ცრემლმორეულმა შესძახა:

– მე ვარ, მე! ეს სპიხოვია! ძმაო იურანდ! ღმერთმა დიდი წამება მოგივლინა... მაგრამ ახლა შენიანებში ხარ... კეთილმა ადამიანებმა ჩამოგიყვანეს... ძმაო, იურანდ! ძმაო!

მამაო კალებმა გულში ჩაიკრა იურანდი, დაუკოცნა შუბლი, თვალების ცარიელი ფოსოები, ისევ ჩაიკრა გულში და ისევ დაკოცნა. გაოგნებულ იურანდს ჯერ, ეტყობა, არაფერი ესმოდა, ბოლოს მარცხენა ხელი თავზე მოისვა, თითქოს ამ საზარელი სიზმრის მოშორება სურსო.

– გესმის ჩემი ლაპარაკი, გაიგე, რა გითხარი? – ჰკითხა ქსონძმა.

იურანდმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია. მერე ხელი გაიშვირა, კედლიდან ვერცხლის ჯვარცმა ჩამოხსნა, ოდესღაც მდიდარ გერმანელ რაინდთან ბრძოლაში რომ მოეპოვებინა, ტუჩებთან მიიტანა და მკერდზე დაიდო, მერე ქსონძ კალებს გადასცა.

– მე ყველაფერი გავიგე, ძმაო! – უთხრა ქსონძმა. – ეს შენთანაა და როგორც ტყვეობიდან გამოხსნაში დაგეხმარა, ასევე დაგეხმარება დაკარგულის დაბრუნებაში.

იურანდმა თითით ცაზე აჩვენა იმის ნიშნად, რომ მხოლოდ იქ დამიბრუნდებაო ყველაფერი, და ამომწვარი თვალები ისევ დაეცრემლა, განაწამებ სახეზე უსაზღვრო ტანჯვა გამოესახა.

მამაო კალებმა ეს მოძრაობა და მისი ნაღვლიანი სახე რომ დაინახა, ისე გაიგო, ალბათ დანუსია ცოცხალი აღარ არისო, საწოლთან მუხლი მოიყარა და წამოიწყო:

– უფალო, შეიწყალე სული მისი, სადაცა მართლმორწმუნენი განისვენებენ. დაე, ბრწყინავდეს მის თავზე სიმართლე მარადიული! ამინ!

მაგრამ უსინათლომ ეს სიტყვები რომ გაიგონა, საწოლზე სწრაფად წამოჯდა, თავისა და ხელის ქნევა დაიწყო, თითქოს სურდა შეეჩერებინა ქსონძი კალები, მიეხვედრებინა, რომ ცდებოდა. მაგრამ მაინც გაუგებარი დარჩათ ერთმანეთის გულისნადები, რადგან სწორედ ამ წუთას ოთახში შემოვიდა ბებერი ტოლიმა, მას შემოჰყვა ქალაქის მთელი დაცვა, მმართველი, სპიხოვის ყველაზე საპატიო მოხუცები, მეტყევეები და მეთევზეები. ბატონის დაბრუნების ამბავი მთელ სპიხოვს მოსდებოდა. ხალხი მუხლებზე ეხვეოდა იურანდს, უკოცნიდნენ ხელებს და მწარედ ტიროდნენ, როცა ხეიბარსა და უძლურს ხედავდნენ ადრინდელ მძლავრ იურანდს, ჯვაროსნების რისხვასა და ყველა ბრძოლაში გამარჯვებულ ბატონს. გაგულისებული თანამებრძოლები რისხვისგან გაფითრდნენ და სახეზე უმკაცრესი იერი დაედოთ. ისინი ჯგუფებად დაიყვნენ, ერთმანეთს იდაყვებს ჰკრავდნენ და ჩურჩულებდნენ; ბოლოს ხალხს ერთი გუშაგი გამოეყო – სპიხოველი მჭედელი, სახელად სუხაჟი, იურანდთან მივიდა, მუხლებში ჩაუვარდა და უთხრა:

– როგორც კი ჩამობრძანდით, იმწამსვე გვინდოდა შჩიტნოსკენ გალაშქრება, მაგრამ იმ რაინდმა არ დაგვრთო ნება, რომელმაც ჩამოგიყვანათ. ახლა კი გთხოვთ, უფლება მოგვცეთ, ვილაშქროთ შჩიტნოზე, რადგან ასეთი შეურაცხყოფის ატანა ყოვლად შეუძლებელია. რატომ უნდა შეცვალოთ ადრინდელი წესები. ჩვენი პატივის შელახვა არასოდეს დარჩენილა დაუსჯელი და ნურც ახლა დარჩება. თქვენთან ერთად ხომ ყოველთვის ვებრძოდით მათ, ახლაც წავალთ, ტოლიმა გაგვიძღვეს, თუ გნებავთ, სულაც უიმისოდ ვილაშქრებთ. უეჭველად უნდა ავიღოთ შჩიტნო და იმ ძაღლების სისხლი დავღვაროთ, ღვთის შეწევნით!

– ღვთის შეწევნით! – მოეხმაურა ათეულობით ადამიანი.

– შჩიტნოზე!

– სისხლი სისხლისა წილ!

მხურვალე მაზურების გულებში რისხვის ცეცხლი აგიზგიზდა; სახეები მოეღუშათ, თვალები აუელვარდათ, კბილთა ხრჭიალი გაისმა. მაგრამ ხმებიცა და კბილთა ხრჭიალიც მალე მიწყდა, ყველამ იურანდს მიაპყრო თვალი.

იურანდს ჯერ ლოყები წამოენთო, თითქოს რაინდში ძველმა რისხვამ და ბრძოლის ჟინმა გაიღვიძაო. ის წამოდგა და კვლავ კედელზე მოაფათურა ხელი. ხალხს მოეჩვენა, რომ ხმალს ეძებდა; მაგრამ მისი თითები წააწყდა ჯვარს, რომელიც ქსონძ კალებს ძველ ადგილზე დაეკიდა.

იურანდმა კვლავ ჩამოხსნა კედლიდან ჯვარი, სახე გაუფითრდა, ხალხს მიუბრუნდა, ჯვარცმა წინ გაიშვირა და თვალების ცარიელი ფოსოები ცას აღაპყრო.

სიჩუმე ჩამოვარდა. გარეთ ბინდბუნდი წვებოდა. ღია ფანჯრებში ჩიტების ჟღურტული ისმოდა, საღამოობით სახურავი ქვეშ და ეზოში ცაცხვებზე რომ იბუდებდნენ. ჩამავალი მზის მეწამული სხივები ოთახში იჭრებოდა და იურანდის მაღლა აწეულ ჯვარსა და მის თეთრ თმას ანათებდა.

მჭედელმა სუხაჟმა ერთი კი შეხედა იურანდს, ამხანაგებსაც გადახედა, პირჯვარი გადაიწერა და თითისწვერებზე გამოვიდა გარეთ. მას უხმოდ გამოჰყვნენ დანარჩენები, ეზოში შეიყარნენ და ისევ მოჰყვნენ ჩურჩულს:

– აბა, როგორ მოვიქცეთ?

– არ წავიდეთ განა?

– არ დაგვრთო ნება!

– შურისძიება ღმერთს მიანდო. ეტყობა, სულიერადაც შეიცვალა.

ეს მართალი იყო.

იურანდის ოთახში დარჩნენ მხოლოდ ქსონძი კალები, მოხუცი ტოლიმა, იაგენკა და ანულკა, რომლებიც, ეზოში რომ შეიარაღებული ხალხი დაინახეს, ამბის გასაგებად მოსულიყვნენ.

იაგენკა უფრო ყოჩაღი და გაბედული გოგო იყო, ვიდრე ანულკა, და პირველი მივიდა იურანდთან.

– ღმერთი იყოს თქვენი შემწე, რაინდო იურანდ! – უთხრა მან, – ჩვენ ისინი ვართ, პრუსიიდან რომ ჩამოგიყვანეთ.

იაგენკას წკრიალა ხმის გაგონებაზე იურანდს სახე გაუნათდა. ეტყობა, ახლა უფრო კარგად გაახსენდა ყველაფერი, რაც შჩიტნოს გზაზე მოხდა. ის მადლობას უხდიდა ქალიშვილს, თავს იქნევდა, ხელს გულზე იდებდა. იაგენკამ კი უამბო, როგორ შეხვდნენ მას, როგორ იცნო ზბიშკოს საჭურველმტვირთველმა ჰლავამ და ბოლოს, როგორ ჩამოიყვანეს სპიხოვში. ისიც უთხრა, მე და ჩემი მეგობარი ზბიშკოს ბიძის, მაცკო ბოგდანეცელის საჭურველმტვირთველები ვართო. მაცკო ბოგდანეციდან თავისი ძმისშვილის სა-

ძებნელად წამოვიდა, ახლა შჩიტნოში გაემგზავრა, საიდანაც სამ-ოთხ დღეში სპიხოვს უნდა დაბრუნდესო.

შჩიტნოს ხსენებაზე იურანდი ისე აღარ ღელავდა, როგორც პირველად, გზაზე, თუმცა სახეზე მაინც მოუსვენრობა დაეტყო. მაგრამ იაგენკამ დაარწმუნა, მაცკო მამაცია, თან მოხერხებულიც და ასე ადვილად არავის ანკესზე არ წამოეგებაო. ამას გარდა, მას ლიხტენშტაინის წერილები აქვს და თავისუფლად შეუძლია ყველგან იაროსო. ამ სიტყვებმა იურანდი დაამშვიდა; ეტყობოდა, ბევრი რამის კითხვა უნდოდა, და ამას რომ ვერ ახერხებდა, ძალზე იტანჯებოდა. მიხვედრილმა ქალიშვილმა ეს შეამჩნია და უთხრა:

– ახლა ჩვენ ხშირად ვისაუბრებთ ხოლმე და ყველაფერზე მოვილაპარაკებთ.

პასუხად იურანდმა ისევ გაიღიმა, ქალიშვილს თავზე ნელი დაადო და გაირინდა, თითქოს ლოცავსო. ის მართლაც დიდად იყო დავალებული ამ ქალისგან. ამას გარდა, ემჩნეოდა, რომ მოეწონა მისი სინორჩეც, ლაპარაკიც, ჩიტის ჭიკჭიკს რომ აგონებდა.

ამ დღიდან, როცა იურანდი არ ლოცულობდა, – ლოცულობდა კი დილიდან საღამომდე, – ან არ ეძინა, თავის გვერდით ყოველთვის ეძებდა საჭურველმტვირთველს. თუ ვერ ნახავდა, მისი ხმის გაგონება ენატრებოდა და ყველანაირად ცდილობდა ქსონძი კალები და ტოლია მიეხვედრებინა, როგორ ძალიან სურდა მის გვერდით ყოფილიყო ეს მშვენიერი საჭურველმტვირთველი.

ქალს მთელი თავისი კეთილი გულით ებრალებოდა მოხუცი და მასთან საუბარში კლავდა დროს, თან მაცკოს ელოდებოდა, რომელიც რატომღაც შეფერხდა შჩიტნოში.

სამ დღეში ელოდნენ უკან, მაგრამ აგერ მეოთხე დღეც გავიდა და მეხუთეც. მეექვსე დღეს კი საღამოს, როცა შეშფოთებულმა ქალიშვილმა დააპირა, ტოლიმას ვთხოვ დაზვერვაზე ხალხი გაგზავნოსო, სადარაჯო მუხიდან აცნობეს, სპიხოვს ვიღაც მხედრები უახლოვდებიანო.

ცოტა ხნის შემდეგ ასაწევ ხიდზე მართლაც გაისმა ცხენების თქარათქური და ეზოში შემოვიდა საჭურველმტვირთველი ჰლავა მსახურის თანხლებით. იაგენკა სირბილით ჩამოვიდა ზევიდან და უკვე ეზოში ელოდებოდა ჩეხს; ცხენიდან არ იყო ჯერ ჩამომხდარი, რომ მივარდა და აკანკალებულმა ჰკითხა:

– მაცკო სად არის?

– მთავარ ვიტოლდთან გაემგზავრა, თქვენ კი აქ დარჩენა გიბრძანათ, – უპასუხა ჩეხმა.

XIII

როცა უთხრეს, მაცკომ სპიხოვში დარჩენა გიბრძანაო, გაოცებულმა და გულნატკენმა იაგენკამ თავდაპირველად სიბრაზისგან ენა ვეღარ მოაბრუნა, მხოლოდ ჩეხს მიაჩერდა ფართოდ გახელილი თვალებით. ჰლავას შესანიშნავად ესმოდა, როგორ ატკინა გული ამ ამბით ქალიშვილს და უთხრა:

– შჩიტნოში გაგონილი ბევრი ახალი ამბავი მაქვს მოსაყოლი, თანაც საკმაოდ მნიშვნელოვანი.

– ზბიშკოზეც?

– არა, მხოლოდ შჩიტნოს ამბებია. გასაგებია?..

– გასაგებია! მსახურმა ცხენებს მოუაროს, თქვენ კი მე გამომყევით.

მან მსახურს თადარიგის დაჭერა უბრძანა და ჩეხი ზემოთ წაიყვანა.

– რატომ მიგვატოვა მაცკომ? რა გვინდა სპიხოვში? თქვენ რატომ დაბრუნდით? – დააყარა კითხვები ჩეხს.

– დავბრუნდი მაცკოს ბრძანებით, – უპასუხა ჰლავამ. – მეც მინდოდა ომში წასვლა, მაგრამ ბრძანება ბრძანებაა. რაინდმა მაცკომ ასე მითხრა: „დაბრუნდები, ზგოჟელიცელ პანას გვერდიდან არ მოსცილდები და ჩემს ცნობას დაელოდები, იქნებ ზგოჟელიცშიც დაგჭირდეს იმისი წაყვანა, მარტო ხომ არ ივლისო“.

– ღმერთო დიდებულო, განა რა მოხდა? მე მეგონა მაცკო ზბიშკოსთან დასარჩენად წავიდა და არა მის წამოსაყვანად! ნუთუ იურანდის ქალიშვილი იპოვეს? შენი თვალით ნახე? ელაპარაკე მას? რატომ არ ჩამოიყვანე, ან სად არის ახლა?

სეტყვასავით წამოსული კითხვების პასუხად ჩეხმა ქალიშვილის მუხლებთან დაიჩოქა და უთხრა:

– ნუ მიწყენთ, თქვენო მოწყალებავ, ყველაფერზე ერთად ვერ გიპასუხებთ. თუ ნებას დამრთავთ, რიგრიგობით მოგახსენებთ.

– კეთილი. იპოვეს თუ არა ქალი?

– არა, მაგრამ ახლა ზუსტად ვიცით, რომ შჩიტნოში ჰყავდათ და აღმოსავლეთის ციხესიმაგრეებისკენ წაიყვანეს.

– რატომ უნდა ვისხდეთ ჩვენ სპიხოვში?

– გავიხედოთ და ქალი იპოვეს?... მაშინ, თქვენო მოწყალებავ... მაშინ რა საჭიროა..

იაგენკა გაჩუმდა, მაგრამ ლოყებზე ალმური ავარდა. ჩეხმა განაგრძო:

– მე ვფიქრობდი და ახლაც ასე ვფიქრობ, რომ ჩვენ ვერ მოვახერხებთ ამ ძაღლების კლანჭებიდან იმის ცოცხლად გამოხსნას, მაგრამ ყველაფერი ღვთის ნებაა. რიგზე მოგიყვებით. ჩავედით შჩიტნოში, კეთილი და პატიოსანი. მაცკომ კომტურის თანაშემწეს ლიხტენშტაინის წერილი აჩვენა, ის კაცი თურმე ახალგაზრდობაში კუნოს საჭურველმტვირთველი იყო. ჩვენი თვალის წინ აკოცა ბეჭედს და ჩვენც ძალზე გულთბილად მიგვიღო, არაფერში ეჭვი არ შეჰპარვია ერთი მუჭა ხალხიც რომ გვყოლოდა, ციხე ჩვენს ხელთ იქნებოდა, ისე გვენდობოდა ყველაფერში. არც ქსონძის ნახვას გვიშლიდა ვინმე; ორი ღამე ვისაუბრეთ და საოცარი რაღაცეები გვიამბო, ჯალათისგან ჰქონდა გაგონილი.

– ჯალათი მუნჯია.

– მუნჯია, მაგრამ თითებით აჩვენებს ხოლმე, და ქსონძსაც ისე ესმის, გეგონება, ელაპარაკებაო. საოცარი საქმეებია, მაგრამ ღვთის ხელი მაინც ურევია. ჯალათმა იურანდს ხელი მოჰკვეთა, ენა ამოგლიჯა და თვალი ამოსწვა. თუ მამაკაცის წამება უბრძანე, არაფერს შეუშინდება. კბილით დაგლიჯეო, რომ უთხრა, დაგლეჯს. მაგრამ რანაირადაც გინდა დაემუქრო, ქალიშვილს ხელს არ ახლებს. ეს იმიტომ, რომ იმასაც ჰყოლია ოდესღაც ერთადერთი ქალიშვილი, უგონოდ უყვარდა თურმე, ჯვაროსნებმა კი...

ჰლავა შეყოყმანდა, არ იცოდა, როგორ გაეგრძელებინა იაგენკამ ეს რომ შეამჩნია, უთხრა:

– ჯალათის ქალიშვილის ამბავი რაში მაინტერესებს!

– ეს საქმეს შეეხება, – უპასუხა ჩეხმა. – როცა ჩვენმა ახალგაზრდა პანმა როტგერი აჩეხა, ბებერი კომტური ზიგფრიდი კინაღამ ჭკუაზე შეიშალა. შჩიტნოში ხმები დადიოდა, როტგერი მისი შვილიაო. ქსონძმაც გვითხრა, ღვიძლი შვილი არ ეყვარება კაცს ისე, როგორც ზიგფრიდს როტგერი უყვარდაო. მისთვის შურის საძიებლად სული ეშმაკს მიჰყიდაო. ჯალათმა თავისი თვალით ნახა თურმე, ზიგფრიდი ისე ესაუბრებოდა მოკლულს, როგორც მე თქვენ, ის კი კუბოში ხან იცინოდა, ხან კბილებს ახრჭიალებდა, ხან გაშავე-

ბულ ენას სიხარულით აწკლაპუნებდა, როცა ბებერი კომტური ბატონ ზბიშკოს თავს შეჰპირდაო. მაგრამ ბატონ ზბიშკოს მაშინ ვერ მისწვდებოდა და, სამაგიეროდ, იურანდის წამება ბრძანა, მერე კი მისი ენა და ხელი კუბოში ჩაატანა როტგერს, იმან კი მაშინვე შესანსლა თურმე უმი ხორცი...

– მარტო გაგონებაც კი მზარავს, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა... ამინ! – თქვა იაგენკამ.

მერე წამოდგა და ღუმელს შეშა შეუმატა, რადგან უკვე სულ მთლად ჩამობნელებულიყო.

– დიახ! – განაგრძობდა ჰლავა. – არ ვიცი, ღმერთი როგორ განსჯის განკითხვის ჟამს. საცა სამართალია, იურანდს ყველაფერი უნდა დაუბრუნდეს, რაც წაართვეს. მაგრამ არ ძალუძს გონს ადამის ძისას მისწვდეს ამა საიდუმლოს. ჯალათს ყველაფერი უნახავს. და, აი, როცა ვამპირი ადამიანის ხორცით დააპურა, ბებერი კონტური ახლა იურანდის ქალიშვილისკენ გაემართა; ალბათ მკვდარმა წასჩურჩულა, ხორცს უმანკო სისხლი მინდა დავაყოლოო... მაგრამ ჯალათი, ვიზედაც მოგახსენეთ, ყველაფერს იკისრებს, ოღონდ ქალიშვილის შეურაცხყოფას ვერ იტანს-მეთქი, წინასწარ დაიმალა თურმე კიბეზე... ქსონძმა თქვა, ცოტა შერეკილია და ნამდვილი პირუტყვია, მაგრამ ეს კი კარგად ესმის და, როცა საჭიროა, ეშმაკობაშიც ვერავინ აჯობებსო. ჩაჯდა ასე კიბეზე და ელოდა თურმე. ამასობაში კომტურიც მივიდა. ვიღაცის სუნთქვა რომ მოესმა და სიბნელეში მოელვარე თვალებიც დაინახა, შეშინდა, იფიქრა, ეს თვით ეშმაკი ჩასაფრებიაო, ჯალათმა კი ამ დროს თავში ჩასცხო! ფიქრობდა, ქედს გადავუმტვრევ, ისე რომ, ნაკვალევიც აღარ დარჩესო, მაგრამ ვერ მოკლა. კომტურმა გრძნობა დაკარგა და შიშით დიდხანს იყო ავად, მაგრამ როცა გამოჯანმრთელდა, იურანდის ქალიშვილის ხელის ხლებას ვეღარ ბედავდა.

– თუმცა მაინც თან წაიყვანა.

– წაიყვანა და ჯალათიც გაიყოლია. ის არ იცოდა, რომ ჯალათმა დაიფარა ქალი. ფიქრობდა, რაღაც უჩინარი ძალა იყოო, ან ბოროტი და ან კეთილი. მაინც არჩია შჩიტნოში არ დაეტოვებინა ჯალათი. ალბათ ეშინოდა, არ გამცესო... მართალია, მუნჯია, მაგრამ საქმე რომ სასამართლომდე მივიდეს, ქსონძის საშუალებით შეუძლია გაიმეოროს, რაც უკვე თქვა... ბოლოს ქსონძმა აი, რა უთხრა რაინდ მაცკოს: „ბებერი ზიგფრიდი თვითონ ვერ მოკლავს იურანდის ქალიშვილს, ხოლო თუ ვინმეს სხვას უბრძანებს, სანამ დიდერიხი ცოცხალია, ის არავის დააჩაგვრინებს, მით უმეტეს, რომ ერთხელ უკვე გადაარჩინა სიკვდილსო.

– ქსონძმა თუ იცის, სად წაიყვანეს ქალიშვილი?

– ხეირიანად არ იცის, მაგრამ ისე მოუკრავს ყური, რაღაც რაგნეტას ახსენებდნენ თურმე, – ეს ციხე ლიტვისა და ჟმუდის საზღვართანაა.

– მაცკომ რაღა თქვა?

– რაინდმა მაცკომ ქსონძს მოუსმინა და მეორე დღეს მითხრა: „რაკი ასეა, იქნებ კიდევაც ვიპოვოთ ქალი; მე კი ერთი წამის დაკარგვა არ შემიძლია, ზბიშკოს უნდა მივაშურო, თორემ ჯვაროსნები იურანდივით შეიტყუებენ. საკმარისია უთხრან, შენ თვითონ თუ ჩამოხვალ, დანუსკას მოგცემთო, ადგება და წავა, ბებერი ზიგფრიდი კი ისე ულმობლად იძიებს შურს როტგერისათვის, რომ ჯერ ადამიანის ყურს არ გაეგონოს“.

– რაც მართალია, მართალია! – წამოიძახა შეშფოთებულმა იაგენკამ. – კარგად უქნია მაცკოს, თუ ამის გამო აჩქარდა!, ცოტა ხნის მერე ისევ ჰლავას მიუბრუნდა:

– ერთი შეცდომა მოსვლია – აქ არ უნდა გამოეშვით. სპიხოვში ჩვენ რა დაცვა გვჭირდება?! ბებერი ტოლიმაც კარგად გვიპატრონებს, თქვენ კი, ეგეთი ღონიერი და მოხერხებული, ზბიშკოს უფრო გამოადგებოდით.

– საჭირო რომ გახდეს, ზგოჟელიცში ვინ წაგიყვანთ?

– თუ საჭირო გახდებოდა, თქვენ დაწინაურდებოდით. წერილის გამოგზავნა ხომ დასჭირდებოდათ. მაშინ ადგებოდნენ და თქვენ გამოგატანდნენ. აი, სწორედ მაშინ წაგვიყვანდით ზგოჟელიცში. ჩეხი ხელზე ეამბორა ქალიშვილს და აღელვებით ჰკითხა:

– მანამდე აქ დარჩებით?

– ღმერთი იფარავს ობოლს! აქ დავრჩები.

– მერე, არ მოიწყენთ? განა აქ რა უნდა აკეთოთ?

– ღმერთს შევევედრები, რომ ზბიშკოს ბედნიერება დაუბრუნოს და თქვენ ყველანი კარგად გამყოფოთ.

ამ სიტყვებზე ის მწარედ ატირდა.

საჭურველმტვირთველმა კვლავ მის მუხლებთან დაიჩოქა.

– თქვენ, – უთხრა მან, – ცით მოვლენილი ანგელოზი ხართ.

XIV

იაგენკამ თვალები ამოიწმინდა, ჩეხი თან გაიყოლა და იურანდთან წავიდა, რომ ახალი ამბები ეამბნათ. იურანდი დიდ ოთახში იჯდა ქსონძ კალებთან ერთად, ანულკა და ბებერი ტოლიმაც იქვე იყვნენ; ფეხებთან მოშინაურებული მგელი ეწვა. ადგილობრივი ეკლესიის მსახური, ამავე დროს მგალობელი, ბარბითს უკრავდა და „უწმინდურ ჯვაროსნებთან“ იურანდის უწინდელ ბრძოლებზე მღეროდა. დანარჩენებს კი ხელები თავზე შემოეწყოთ და ნაღვლიანად ჩაფიქრებულნი უსმენდნენ. კაშკაშა მთვარე ოთახს სინათლეს ჰფენდა. პაპანაქება სიცხის მერე წყნარი, თბილი საღამო ჩამომდგარიყო. ფანჯრები გაეღოთ და მთვარის შუქზე ჩანდა, როგორ ირეოდნენ მაისის ხოჭოები ცაცხვის ხეებში. ღუმელში მაინც ბჟუტავდა ჯირკები და მსახური სურნელოვან ბალახსა და მაცოცხლებელ ღვინოში ნაზავ თაფლს აცხელებდა.

მგალობელმა, უფრო სწორად, ქსონძი კალების მსახურმა, ახალი სიმღერა წამოიწყო „ფეხბედნიერ ბრძოლაზე“.

მოირხევა იურანდი, ქურანს მოათამაშებს.

როცა ოთახში იაგენკა შევიდა და ყველას მიესალმა:

– დიდება იესო ქრისტეს!

– უკუნითი უკუნისამდე, – უპასუხა ქსონძმა კალებმა.

მთლად გაჭაღარავებული იურანდი, რომელიც სკამის სახელურებს დაყრდნობოდა, იაგენკას ხმის გაგონებაზე მაშინვე მისკენ მიტრიალდა და გახარებულმა თავი დაუკრა.

– შჩიტნოდან ზბიშკოს საჭურველმტვირთველი დაბრუნდა, – თქვა ქალიშვილმა, – და ქსონძისგან ახალი ამბები ჩამოიტანა. მაცკო აქ აღარ ჩამოვა, მთავარ ვიტოლდთან წასულა.

– როგორ, არ დაბრუნდება? – ჰკითხა მამაო კალებმა.

იაგენკა მოჰყვა ყველაფერს, რაც ჩეხისგან გაიგო: როგორ იძიებდა ზიგფრიდი შურს როტგერის, როგორ სურდა ბებერ კომტურს დანუსკაც მიერთმია როტგერისთვის, რომ ის გამძღარიყო უდანაშაულო სისხლით, და როგორ მოულოდნელად გადაარჩინა გოგონა ჯალათმა. არც ის დაუმალავს, რომ მაცკოს ახლა იმედი გაუჩნდა, ზბიშკოსა და დანუსიას ერთად იპოვიდა,

დაიხსნიდა ქალს და სპიხოვში ჩამოიყვანდა, ამიტომაც გაემართა პირდაპირ ზბიშკოსთან, მათ კი აქ დარჩენა უბრძანა.

ბოლოს ხმა აუკანკალდა, ალბათ დარდისა და ნაღველისაგან, ხოლო როცა ლაპარაკი დაამთავრა, ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ცაცხვებზე შემომსხდარი ბულბულების სტვენა ისმოდა გამოღებულ ფანჯრებში. ყველა იურანდს მიაჩერდა. ის თვალდახუჭული იჯდა, თავი უკან გადაეგდო და სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

– გესმით? – ჰკითხა ბოლოს ქსონძმა კალებმა.

მან კიდევ უფრო უკან გადააგდო თავი, მარცხენა ხელი ასწია და ზეცისკენ მიუთითა.

მთვარის სინათლე სახეზე ეცემოდა, ჭაღარასა და ამომწვარ თვალებს უნათებდა, და ამ სახეზე იმდენი ტანჯვა და ბედისადმი მორჩილება იხატებოდა, რომ ყველას მოეჩვენა, თითქოს მხოლოდ სულს შეჰყურებდნენ, სხეულისგან განთავისუფლებულ სულს, მიწიერ ცხოვრებას საუკუნოდ ჩამოშორებულს, რომელიც ამ ცხოვრებისგან აღარაფერს მოელის და არაფრის იმედი აღარა აქვს.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა, კვლავ მხოლოდ ბულბულები სტვენდნენ გაბმით და ამ გალობით ავსებდნენ ეზოსა და ოთახს.

იაგენკას უეცრად გული სიბრალულითა და სიყვარულით აღევსო ამ უბედური მოხუცისადმი, გრძნობებს აყოლილი, იურანდს მივარდა და ხელი დაუკოცნა, თან ცრემლებ, აფრქვევდა.

– მეც ობოლი ვარ! – აღმოხდა გულის სიღრმიდან. და საჭურველმტვირთველი კი არა, იაგენკა ზგოჟელიცელი ვარ. მაცკომ ბოროტ ხალხს გამომარიდა და ახლა გვერდიდან არ მოგცილდებით, სანამ ღმერთი დანუსიას არ დაგიბრუნებთ.

იურანდს სულ არ გაჰკვირვებია, თითქოს ადრევე იცოდა, რომ ქალი იყო; მან იაგენკა გულში ჩაიკრა, ის კი ისევ უკოცნიდა ხელს და თან აცრემლებული ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა:

– მე თქვენთან დავრჩები, მერე კი დანუსია დაბრუნდება... და ზგოჟელიცში წავალ... ღმერთი იფარავს ობლებს! მამაჩემიც გერმანელებმა მოკლეს, მაგრამ თქვენი ლამაზი ქალიშვილი ცოცხალია და დაბრუნდება... შენ გადმოგვხედე, მოწყალეო ღმერთო, და შენც, ღვთისმშობელო, ყველა ჩაგრულთა ნუგეშო...

ქსონძი კალები უცებ მუხლებზე დაეცა და დიდი ამბით წამოიწყო:

– Kyrie elejson![30]

– Chrysle elejson![31] – ერთხმად უპასუხეს ჩეხმა და ტოლიმამ.

ყველამ მუხლი მოიყარა, მიხვდნენ, რომ ეს იყო ლიტანია, რომელსაც მხოლოდ სიკვდილის დროს კი არ ასრულებენ, არამედ ახლობელი და საყვარელი ადამიანების სიკვდილისგან გადასარჩენადაც. მუხლი მოიყარა იაგენკამ, სკამიდან ჩამოხოხდა და მუხლებზე დაეცა იურანდიც და ყველამ ერთხმად შესძახა:

– Kyrie elejson! Chryste elejson...

– ზეციერო მამავ, შეგვიწყალე!...

– ძეო ღვთისავ, მაცხოვარო, შეგვიწყალე!...

ადამიანთა ხმები და ვედრება „შეგვიწყალე!..“ ბულბულთა გალობას ერთვოდა.

იურანდის სკამთან გაფენილ დათვის ტყავზე მიწოლილი მოშინაურებული მგელი წამოდგა, გაღებულ ფანჯარასთან მივიდა, თათები რაფაზე შემოაწყო, სამკუთხა დრუნჩი მთვარეს მიაპყრო და წყნარად და საცოდავად შეჰყმუვლა.

ჩეხი იაგენკას თაყვანს სცემდა, გული კი თანდათან მშვენიერი ანულიასკენ ეწეოდა; მაგრამ ჰლავა ახალგაზრდა იყო, მამაცი და მეტწილად მაინც ომისკენ მიილტვოდა. მართალია, როგორც საჭურველმტვირთველი, უდრტვინველად დაემორჩილა მაცკოს ბრძანებას და სპიხოვში დაბრუნდა, გულს იმითაც იმშვიდებდა, ამ ორი ქალიშვილის მცველი და დარაჯი ვიქნებიო, მაგრამ როცა იაგენკამ თვითონ უთხრა, სპიხოვში ჩვენ უშიშრად ვართ, – ეს კი მართლაც ასე იყო, – და შენი ვალია ზბიშკოს გვერდში ედგეო, ჩეხი სიამოვნებით დათანხმდა. მაცკო არ იყო მისი უშუალო ბატონი და თავისუფლად შეეძლო თავის მართლება მოხუცი რაინდის წინაშე, ეტყოდა, სპიხოვიდან ჩემი ქალბატონის განკარგულებით წამოვედი, მან მიბრძანა ზბიშკოსთან ყოფნაო.

იაგენკა ასე იმიტომ მოიქცა, რომ იცოდა, ღონიერი და მოხერხებული საჭურველმტვირთველი ყველა გასაჭირში გამოადგებოდა ზბიშკოს. ჰლავამ ეს უკვე დაამტკიცა ნადირობის დროს, როცა ზბიშკო ხართან ბრძოლაში დაღუპვისგან იხსნა. ომში ჩეხი კიდევ უფრო მეტად ივარგებდა, მით უმეტეს ისეთ ომში, როგორიც ამჟამად ჟმუდის საზღვართან მძვინვარებდა. გლო-

[30] უფალო, შეგვიწყალე! (ბერძნ.)
[31] ქრისტევ, შეგვიწყალე! (ბერძნ.)

ვაჩს ისე ეჩქარებოდა ლაშქრად წასვლა, რომ იურანდისგან დაბრუნდნენ თუ არა, იაგენკას მაშინვე მუხლებში ჩაუვარდა და უთხრა:

– მირჩევნია, თქვენო მოწყალებავ, ახლავე გთხოვოთ, რომ გზა დამილოცოთ...

– როგორ? – ჰკითხა იაგენკამ. – დღესვე გინდა წასვლა?

– ხვალ გათენებისას. ამაღამ ცხენებმა დაისვენონ. აქედან ჟმუდამდე კაი შორი გზაა!

– კეთილი, წადი, იქნებ რაინდ მაცკოსაც დაეწიო.

– მისი დაწევა გამიჭირდება. მოხუცი პანი ბრძოლებში ნაწრთობია და რამდენიმე დღით უკვე გამისწრო. ამას გარდა, ის მოკლე გზით ივლის პირდაპირ პრუსიაზე, მე კი მოვლით უნდა ვიარო, უღრანი ტყეებით. იმას ლიხტენშტაინის წერილები აქვს, რომლებიც ყველგან გზას გაუხსნის, მე კი გზა, აი, რამ უნდა გამიკვალოს.

ჩეხმა ამ სიტყვებით მახვილის ტარზე დაიდო ხელი.

– ფრთხილად იყავი! – შესძახა იაგენკამ. – რაკი მიდიხარ, უეჭველად უნდა ჩახვიდე, ჯვაროსნების ჯურღმულში კი არ უნდა ამოჰყო თავი. მაგრამ უღრან ტყეშიც სიფრთხილე გმართებს, იქ ახლა ათასნაირი ავი კერპები ცხოვრობენ, იქაური ხალხი რომ თაყვანს სცემდა, სანამ ქრისტიანობას მიიღებდნენ. მახსოვს, რაინდი მაცკო და ზბიშკო რომ გვიყვებოდნენ ზგოჟელიცში.

– მეც მახსოვს, მაგრამ რაღაც არ მეშინია იმათი – რა კერპები ისინი არიან, რაღაც უღონო წვრილფეხობაა. მე იმათაც გავუსწორდები და გერმანელებსაც, თუკი შემხვდებიან, ერთი ომი იქნებოდეს მალე.

– განა ომი დაწყებული არ არის? მომიყევი ერთი, რა გაიგე გერმანელებში ომის თაობაზე?

გონიერმა საჭურველმტვირთველმა წარბი შეიკრა, ჩაფიქრდა და უთხრა:

– დაწყებულიც არის და არც არის დაწყებული. ჩვენ ვეცადეთ ყველაფერი გაგვეგო. განსაკუთრებით რაინდი მაცკო ცდილობდა. ხომ იცით, ისეთი მოხერხებულია, რომელ გერმანელსაც გინდა გააცურებს. ვითომ სულ სხვა რამეზე დაიწყებდა გამოკითხვას, თავს მოიკატუნებდა, თითქოს იმის მხარეზე იყო, არაფრით არ გასცემდა თავს და ყველაფერს გამოსცინცლავდა. რაკი ჩემი მოსმენა გსურთ, ყველაფერს მოგიყვებით. რამდენიმე წლის წინ მთავარმა ვიტოლდმა თათრებზე გალაშქრება გადაწყვიტა და გერმანე-

ლებს, ხელი რომ არ შეეშალათ, ჟმუდი აჩუქა. სრული თანხმობა და მეგობრობა დამყარდა მათ შორის. გერმანელებს უფლება მისცა ციხესიმაგრეები აეშენებინათ და თვითონაც ეხმარებოდა ამაში. ის და მაგისტრი ერთ კუნძულზე შეხვდნენ ერთმანეთს, სვამდნენ, ჭამდნენ და ურთიერთს სიყვარულს ეფიცებოდნენ. იქაურ ტევრში ნადირობასაც კი არ უშლიდა ჯვაროსნებს. როცა საბრალო ჟმუდელები ჯვაროსნების წინააღმდეგ ამხედრდებოდნენ, მთავარი ვიტოლდი გერმანელების მხარეს იჭერდა, იმათ ეხმარებოდა და ჯარსაც უგზავნიდა, ისე რომ, მთელი ლიტვა ალაპარაკდა, მშობლიურ სისხლს უღალატაო. ესენი შჩიტნოს კომტურის თანაშემწემ გვიამბო. ჯვაროსნებს ქებათა ქებას ასხამდა თურმე იმისათვის, მღვდლებს რომ წარავლენდნენ ჟმუდელების მოსანათლავად და შიმშილობის დროს პურსაც უგზავნიდნენ. გაგზავნით კი უგზავნიდნენ, რადგან დიდი მაგისტრისგან ჰქონდათ ნაბრძანები, ის ხომ სხვებთან შედარებით ღვთისმოშიში ადამიანია, მაგრამ, სამაგიეროდ, ჟმუდელთა შვილები პრუსიაში მიჰყავდათ, ქალებს ქმრებისა და ძმების წინაშე პატივს ხდიდნენ, ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა, ჩამოხრჩობა არ ასცდებოდა. აი, ამიტომ დაიწყო ომი, ჩემო ქალბატონო.

– მთავარი ვიტოლდი რაღას შვრებოდა?

– მთავარი დიდხანს ხუჭავდა თვალებს იმ შეურაცხყოფაზე, ჯვაროსნები რომ ჟმუდელებს აყენებდნენ, და მეგობრობდა კიდეც მათთან. ამ ცოტა ხნის წინ მისი მეუღლე სტუმრად იყო პრუსიაში, მალბორგში. პოლონეთის დედოფალს რომ ეკადრებოდა, ისე შეხვდნენ. ახლახან, სულ ახლახან, ჯვაროსნებმა საჩუქრებით აავსეს. ახლა რამდენი ასპარეზობა, ნადიმი და სხვა ათასნაირი საოცრება გამართეს ყველა ქალაქში – კაცი ვერ მოთვლის! ხალხი ფიქრობდა, ამის შემდეგ ჯვაროსნებსა და მთავარს შორის საუკუნო მეგობრობა დამყარდებაო, მაგრამ უცებ მთავარს გული შეეცვალა მათზე...

– განსვენებული მამაჩემი და მაცკო ხშირად მეუბნებოდნენ, ძალიან ცვალებადი ხასიათი აქვსო.

– ცვალებადი ჯვაროსნებთან არის და არა პატიოსან ხალხთან. იმიტომ რომ თვითონ ისინი ყოველთვის სიტყვის გამტეხნი არიან. ამასწინათ გაქცეულების დაბრუნება მოსთხოვეს, იმან კი უპასუხა, ყმებს დაგიბრუნებთ, თავისუფალ ხალხზე კი არც იფიქროთ, რადგან თავისუფალ ხალხს იქ შეუძლია იცხოვროს, სადაც თვითონ მოესურვებაო. ალმაცერად დაუწყეს ერთმანეთს ყურება ამის შემდეგ, ატყდა საჩივრები და მუქარა. ჟმუდელებმა ეს რომ გაიგეს, სასწრაფოდ აღუდგნენ გერმანელებს. ქალაქის მცველები ბევრგან დახოცეს, სიმაგრეები დაუნგრიეს, ახლა კი პრუსიასაც ესხმიან

თავს. მთავარი ვიტოლდი კი, იმის მაგივრად, რომ შეაკავოს ისინი, გულში დასცინის კიდეც გერმანელების გაჭირვებას და ჩუმჩუმად ჟმუდელებს დახმარებასაც უგზავნის.

– გასაგებია, – თქვა იაგენკამ, – მაგრამ რაკი ჩუმჩუმად ეხმარება, ესე იგი, ომი არ ყოფილა.

– ჟმუდელებთან ომი უკვე დაწყებულია, მთავარ ვიტოლდთანაც. გერმანელები საზღვრის ახლომახლო ციხესიმაგრეების დაცვაზე გადავიდნენ. ისინი მზად არიან დიდი ლაშქრობა მოაწყონ ჟმუდზეც, მაგრამ ზამთარს ელოდებიან; ჭაობიანი მხარეა და რაინდებს ახლა იქ ბრძოლა გაუჭირდებათ. სადაც ჟმუდელი თავისუფლად გაივლის, იქ გერმანელი ჩაეფლობა. ზამთარი კი გერმანელის შემწეა. ყინვა როგორც მოუჭერს, ჯვაროსანთა ძალები წინ წაიწევენ, დიდი მთავარი ვიტოლდი კი, პოლონეთის მეფის - ნებართვით, რომელიც მისი და მთელი ლიტვის მეუფეა, ჟმუდელების მხარეზე იბრძოლებს.

– მაშინ ისე გამოდის, ომი მეფესთანაც შეიძლება გაიმართოს?

– ჩვენთანაც და გერმანელებშიც ხალხი ამბობს, უნდა გაიმართოსო. ჯვაროსნები ყველა მეფის კარზე დახმარებას თხოულობენ, – ამას ჰქვია ქურდს ქუდი ეწვისო! სამეფო ძლიერება ხუმრობა საქმე როდია, პოლონელი რაინდები კი ჯვაროსნების სახელის გაგონებაზე მუშტებს იღერებენ.

– ბიჭები უფრო მხიარულად ცხოვრობენ ამქვეყნად, ვიდრე ქალიშვილები, – ამოიოხრა იაგენკამ, – აი, შენ, ადგები და ომში წახვალ, როგორც ზბიშკო და მაცკო წავიდნენ, ჩვენ კი აქ, სპიხოვში უნდა დავრჩეთ.

– აბა სხვანაირად როგორ იქნება, ქალბატონო? თქვენ დარჩებით, მაგრამ შიში არაფრისა გექნებათ. იურანდის სახელის გაგონება გერმანელებს დღესაც შიშის ზარსა სცემს, ჩემი თვალით ვნახე შჩიტნოში; როგორც კი გაიგეს, სპიხოვშიაო, ერთი ფუთფუთი შეუდგათ.

– ჩვენ ვიცით, რომ ისინი აქ არ მოვლენ, ჭაობებიც გვიცავს და მოხუცი ტოლიმაც; მაგრამ თქვენი ამბავი რომ არ გვეცოდინება, ძალიან გაგვიჭირდება.

– თუ რამე ისეთი მოხდა, უეჭველად შეგატყობინებთ. ვიდრე შჩიტნოში გავემგზავრებოდით, აქედან ორი ვაჟკაცი აპირებდა ომში წასვლას მოხალისედ. ტოლიმა იმათ ვერ დაუშლის, ლენკავიცელი შლიახტიჩები არიან. ახლა ჩემთან ერთად წამოვლენ და, თუ საჭირო იქნება, ერთ მათგანს უეჭველად გამოვგზავნი.

– ღმერთმა გადაგიხადოს. ყოველთვის ვიცოდი, რომ არსად დაიბნეოდი, მაგრამ სიკეთისა და თანაგრძნობისათვის კუბოს კარამდე შენი მადლობელი ვიქნები.

ჩეხმა მუხლი მოიყარა და უთხრა:

– მე თქვენგან სიკეთის მეტი არაფერი მახსოვს. რაინდმა ზიხმა რომ ბოლესლავცესთან ტყვედ ჩამიგდო, მთლად ბიჭი ვიყავი, მერე უსასყიდლოდ გამათავისუფლა; მაგრამ თავისუფლებას თქვენი სამსახური ვარჩიე. ღმერთმა ქნას, რომ თქვენთვის თავი გამეწიროს, ჩემო ქალბატონო!

– ღმერთი იყოს შენი შემწე! – უპასუხა იაგენკამ და ხელი გაუწოდა.

მაგრამ ვაჟმა კიდევ უფრო მეტი პატივისცემის გამოსახატავად დაიჩოქა და მუხლებზე ეამბორა. მერე ასე დაჩოქილმა თავი მაღლა ასწია და მორჩილად და მორცხვად წაილაპარაკა:

– მე თავმდაბალი ყმაწვილი ვარ, მაგრამ შლიახტიჩის სისხლი მიჩქეფს და თქვენი ერთგული მსახური გახლავართ... მიბოძეთ რამე სახსოვრად გამგზავრების წინ. უარს ნუ მეტყვით ამაზე! უკვე იწყება სისხლისმღვრელი ბრძოლები და წმინდა გიორგი იყოს მოწმე, კუდში არასოდეს ვიჩანჩალო და ყოველთვის მოწინავე ვიყო.

– რა გისახსოვრო? – ჰკითხა გაოცებულმა იაგენკამ.

– ქამარი შემომარტყით სამგზავროდ და, თუ სიკვდილი მიწერია, თქვენი აშურმით უფრო გამიადვილდება.

ის კვლავ დაიხარა ქალიშვილის ფეხებთან, მერე კი მუდარის თვალები მიაპყრო; მაგრამ ღრმა სევდა გამოხატოდა იაგენკას სახეზე, ის ოდნავ შეყოვნდა, მერე კი უნებური ნაღველით უპასუხა:

– ოჰ, ჩემო კარგო! ნუ მთხოვ მაგას, რაში გჭირდება ჩემი აშურმა. დაე, ეს იმან გააკეთოს, ვინც თვითონ ბედნიერია, ბედნიერებას სწორედ ასეთი მოგიტანს. მე კი რა? დარდის მეტი არაფერი ვიცი! მომავალში რაღა მომელის? მხოლოდ ჭმუნვა და ნაღველი! არა, მე ბედნიერებას ვერ მოგანიჭებ ვერც შენ და ვერც სხვას ვერავის. რაც თვითონ არ გამაჩნია, აბა სხვას როგორ ვუბოძო. ჩემთვის ისე ძნელია ახლა სიცოცხლე, ჰლავა, ისე ძნელი, ისე, რომ...

და ერთბაშად შეჩერდა, რადგან იგრძნო, კიდევ ერთი სიტყვა რომ ეთქვა, ტირილი წასკდებოდა, ცრემლებმა უკვე დაუბინდეს თვალები. ჩეხს გული აუჩუყდა, მიხვდა, როგორ უჭირდა იაგენკას ზგოჟელიცში დაბრუნება და ყაჩაღი ჩტანისა და ვილკის გვერდით ცხოვრება, მაგრამ არც სპიხოვში დარჩენა იყო ადვილი. აქ ხომ, ადრე თუ გვიან, შეიძლებოდა ზბიშკო ჩამოსული-

ყო და დანუსია ჩამოეყვანა. ჰლავას შესანიშნავად ესმოდა, რა ხდებოდა ქალიშვილის გულში და არ იცოდა, როგორ ენუგეშებინა. მერე მუხლებზე მოეხვია, თან ბუტბუტებდა:

– ეჰ, სიცოცხლეს გავწირავდი თქვენი გულისთვის! სიცოცხლეს გავწირავდი!

– ადექი, – უთხრა ქალმა, – ომში წასასვლელად კი ქამარს ანულია შემოგარტყამს ან სახსოვრად მოგცემს რამეს. კარგა ხანია, თვალში მოხვედი.

იაგენკამ გასძახა ანულკას და ისიც იმწამსვე შემოვიდა გვერდითი ოთახიდან; იქვე კართან იყო მოდარაჯებული, მაგრამ შემოსვლას ვერ ბედავდა, თუმცა გული აღარ უთმენდა, ისე უნდოდა ლამაზ საჭურველმტვირთველს დამშვიდობებოდა. ის შემოვიდა შემკრთალი, შეშინებული, გულაძგერებული, თვალებზე ცრემლებმომდგარი, თავჩაქინდრული გაჩერდა მათ წინ, ვაშლის ყვავილივით მშვენიერი, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა.

ჰლავა განა მხოლოდ შეეჩვია იაგენკას, ეთაყვანებოდა მას, აღმერთებდა, თუმცა მასზე ოცნებასაც ვერ ბედავდა. სამაგიეროდ, ხშირად ოცნებობდა ანულკაზე. ძარღვებში ცხელი სისხლი უდუღდა და ქალის ჯადოს ვერსად გაქცეოდა. ახლა კიდევ უფრო მეტად დაატყვევა მისმა სილამაზემ, განსაკუთრებით კი მოკრძალებამ და ცრემლებმა, რომელშიც ისე ჩანდა სიყვარული, როგორც წყაროს , ანკარა წყალში მოჩანს ხოლმე ოქროს ფსკერი.

– მე ომში მივდივარ, – მიუბრუნდა მას ჰლავა, – იქნებ ცოცხალიც ვეღარ დავბრუნდე. არ გეცოდებით?

– ძალიან მეცოდებით! – წვრილი ხმით უპასუხა ქალიშვილმა და ცრემლები გადმოჰყარა, ყოველთვის მზად რომ ჰქონდა ხოლმე. ჩეხი ეცა და ხელებზე ეამბორა, უფრო ვნებიანი კოცნა კი მოეკრძალა იაგენკას რიდით.

– აბა, ქამარი გაუკეთე ან რამე აჩუქე სახსოვრად, რათა შენი ნიშნით იბრძოლოს, – უთხრა იაგენკამ.

მაგრამ ანულკასთვის ადვილი როდი იყო ამისი გაკეთება, მას ხომ ჭაბუკი საჭურველმტვირთველის ტანსაცმელი ეცვა, ქალიშვილი აქეთ ეცა, იქით ეცა. ვერც ბაფთი იპოვა ვერსად, ვერც რამე სხვა შემოსაკრავი. ქალის ყველა ნივთი, რაც გზას დაადგნენ, იმ დღიდან ყუთებში ელაგათ ხელუხლებლად. ასე რომ, ანულკა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მაგრამ იაგენკა აქაც მხსნელად მოევლინა, ურჩია ბადურა ეჩუქებინა, თავზე რომ ჰქონდა წაკრული.

– მადლობა ღმერთს! იყოს ბადე! – გაიხარა ჰლავამ. – მივიბნევ ჩაფხუტზე და ვაი იმ გერმანელის ბრალი, რომელიც ამ ბადურისკენ ხელის გამოწვდენას გაბედავს!

ანუკამ ხელები ასწია, ბადურა მოიხსნა და ქერა კულულები მხრებზე დაეფინა. ჩამოშლილი თმით ანულკა ისეთი მშვენიერი იყო, ჰლავას სახე შეეცვალა, ჯერ წამოწითლდა, მერე გადაფითრდა, ბადურა აიღო, ეამბორა, უბეში ჩაიდო, კიდევ ერთხელ ემთხვია მუხლებზე იაგენკას, მერე ანულკას მუხლებს უფრო მძლავრად მოჰხვია ხელები, ვიდრე წესი და რიგი მოითხოვდა, და უთხრა: „დაე იყოს ასე!“ და ოთახიდან გავიდა.

მგზავრობით დაღლილ ჩეხს მაინც არ დაუძინია, მთელი ღამე სვამდა ორ ლენკავიცელ შლიახტიჩთან, ჟმუდს რომ მასთან ერთად აპირებდნენ წასვლას. მაგრამ არც კი შემთვრალა და, ოდნავ რომ ინათა, უკვე ეზოში გამოვიდა, სადაც შეკაზმული ცხენები ელოდა.

ფარდულს ზემოთ მაშინვე გაიღო ბუშტგაკრული ფანჯარა და ჭუჭრუტანაში ცისფერმა თვალებმა გამოაშუქეს. ეს რომ შენიშნა, ჩეხს უნდოდა ახლოს მისულიყო, ანულკასთვის მუზარადზე მიმაგრებული ბადურა ეჩვენებინა, კიდევ ერთხელ დამშვიდობებოდა, მაგრამ ამ დროს ქსონძი კალები და მოხუცი ტოლიმა გამოვიდნენ და ხელი შეუშალეს. იმათ რამდენიმე რჩევა მისცეს მგზავრებს.

– წადი იანუშის სასახლეში, – უთხრა ქსონძმა კალებმა, – იქნებ რაინდი მაცკო იქ დაგიხვდეს, ყოველ შემთხვევაში. იქ ბევრ რამეს გაიგებ, ნაცნობები ბლომად გყავს. იქიდან ლიტვაში მიმავალი გზაც კარგად იცი, გამცილებლის შოვნაც ადვილია, ვისაც ტევრში ბილიკები ეცოდინება. თუ მართლაც პან ზბიშკოს ნახვა გინდა, პირდაპირ ჟმუდში ნუ წახვალ, იქ პრუსიელთა სადარაჯოა. ლიტვაზე გავლით გირჩევნია. არ დაგავიწყდეს, რომ ჟმუდელებსაც შეუძლიათ შენი მოკვლა, სანამ გააგონებდე, ვინა ხარ; სულ სხვა საქმეა, როცა შენ მათთან ვიტოლდის სამფლობელოებიდან ჩახვალ. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ შენცა და ამ ორ რაინდსაც, ცოცხლები დაბრუნებულიყავით და დანუსიაც თან ჩამოგეყვანოთ, მე კი ყოველდღე საღამოს წირვის შემდეგ თქვენთვის ვილოცებ. ცისკრის ვარსკვლავის ამოსვლამდე ჯვარივით ვიქნები გართხმული.

– მადლობთ, მამაო, დალოცვისთვის, – უპასუხა ჰლავამ. – ჯვაროსანი ქაჯების ხელთაგან ეგრე ადვილი არ არის მსხვერპლის ცოცხლად წართმევა, მაგრამ ყველაფერი ღვთის ნებაა, სასო არ უნდა წარვიკვეთოთ.

– მართალია, სჯობს იმედი ვიქონიოთ, ამიტომაც არ ვკარგავ რწმენას. დიახ... იმედი ცოცხლობს, თუმცა გულში სულ უფრო იზრდება შიშიც... ყველაზე ცუდი ის არის, რომ თვითონ იურანდი, როგორც კი ქალის სახელს ვახსენებთ, მაშინვე ცისკენ აღაპყრობს ხოლმე ხელს, თითქოს ის უკვე ცაში ეგულებოდეს.

– როგორ შეუძლია მისი დანახვა, თუკი თვალები აღარა აქვს?

– ხდება ხოლმე, – ეს კალებმა ჩემს უთხრა თუ თავის თავს, ვერ გაიგებდით, – რომ ხორციელი თვალები ჩაუქრებათ, მაგრამ ადამიანი ხედავს იმას, რასაც სხვა ვერ ხედავს. ხდება ხოლმე! მაგრამ ყოვლად შეუძლებელია, ღმერთმა გასწიროს ასეთი უმანკო კრავი. რა დაუშავებია იმას ჯვაროსნებისთვის? არაფერი! ზეციური შროშანივით უმანკო იყო, ხალხის მაამებელი, ჩიტივით გალობდა! ღმერთს უყვარს ბავშვები, ადამიანების ტანჯვას ძალიან განიცდის... და თუ კიდეც მოკლეს დანუსკა, იქნებ მკვდრეთით აღადგინოს ის... პეტროვინისა არ იყოს, კუბოდან რომ წამოდგა და იმის შემდეგ რამდენიმე წელიწადი მეურნეობდა კიდევ... წადი, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ და დაგიფაროთ შენცა და დანუსიაც!

ეს რომ თქვა, ქსონძი სამლოცველოში შებრუნდა დილის წირვის ჩასატარებლად, ჩეხი კი ცხენზე შეჯდა, ერთხელ კიდევ დაუკრა თავი მოხურულ ბუშტაკრულ ფანჯარას და გზას ეწია, რადგან უკვე კარგად გათენებულიყო.

XV

მთავარ იანუშსა და მის მეუღლეს ამალის ნაწილი წაეყვანათ და ჩერსკში წასულიყვნენ საგაზაფხულო თევზის ჭერაზე; მათ ძალზე უყვარდათ ეს სანახაობა და ერთ-ერთ საუკეთესო გასართობად თვლიდნენ თევზაობას. ჩეხმა მაინც ბევრი მნიშვნელოვანი ახალი ამბავი გაიგო მიკოლაი დლუგოლიასელისაგან პირად საქმეებზეც და ომზეც. ყველაზე მთავარი მაინც ის იყო, რომ მაცკოს, როგორც ჩანს, გადაეფიქრა ჟმუდში „პრუსიელთა სადარაჯოს“ გავლით წასვლა. რადგან რამდენიმე დღის წინ ვარშავაში ყოფილიყო და მთავრისა და ქალბატონის ნახვაც მოესწრო. ომზე მოხუცმა მიკოლაიმ იგივე გაიმეორა, რაც ჰლავას ადრეც ჰქონდა გაგონილი შჩიტნოში. მთელი ჟმუდი, როგორც ერთი კაცი, გერმანელების წინააღმდეგ აღმდგარიყო, მთავარი ვიტოლდი კი არამცთუ აღარ ეხმარებოდა ორდენს ბედუკუღმართი ჟმუდელების წინააღმდეგ, პირიქით, ომს ჯერ არ უცხადებდა, ვითომ რაღაც მოლაპარაკებას აწარმოებდა და დროს აჭიანურებდა, რათა მათი

სიფხიზლე მოედუნებინა, ამასობაში კი ჟმუდელებს ყველანაირად – ფულით, ხალხით, ცხენებითა და პურით ამარაგებდა. ამავე დროს ისიცა და ჯვაროსნებიც ელჩებს აგზავნიდნენ პაპთან, რომის იმპერატორთან და სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოებში, ერთმანეთს ვერაგობას, გამცემლობასა და ღალატს აბრალებდნენ. დიდი მთავრისგან წერილები წაიღო ბრძენმა მიკოლაი რჟენეველმა, რომელსაც ეხერხებოდა ჯვაროსნების დახლართული ინტრიგების გახსნა და დამაჯერებლად იცოდა დასურათხატება, რაოდენ დიდ ზიანს აყენებდნენ ისინი ლიტვასა და ჟმუდს.

ხოლო მას შემდეგ, რაც ვილნოს სეიმზე კიდევ უფრო განმტკიცდა ლიტვისა და პოლონელთა კავშირი, ჯვაროსნები შეძრწუნდნენ: ძნელი არ იყო მიხვედრა, რომ, თუ ომი დაიწყებოდა, იაგელო, როგორც ვიტოლდის სამთავროს ყველა მიწის ბატონ-პატრონი, უეჭველად მის მხარეზე დადგებოდა. გრუძიონძის კომტური, გრაფი იან საინი და გდანსკის კომტური გრაფი შვარცბურგი, მაგისტრის ბრძანებით, მეფესთან გაემართნენ, რათა გაერკვიათ, რას აპირებდა. მეფემ მათ არაფერი უპასუხა, თუმცა საჩუქრებიც კი მიართვეს – ფრთამალი სონღულები და მდიდრული ჭურჭელი. მაშინ ისინი ყასიდად დაემუქრნენ მეფეს, ომს გამოგიცხადებთო, თუმცა შესანიშნავად იცოდნენ, რომ მაგისტრსაც და კაპიტულსაც ეშინოდათ იაგელოს საშინელი ძლევამოსილებისა და ერთი სული ჰქონდათ, როგორმე შორს გადაეწიათ რისხვისა და დამარცხების დღე.

ობობას ქსელივით დაწყდა ყველა ხელშეკრულება, განსაკუთრებით ვიტოლდთან. ჰლავას ჩამოსვლის საღამოს ვარშავის ციხეში ახალი ამბები მოიტანეს. მთავარ იანუშის კარისკაცი ბრონიშ ციასნოცელი დაბრუნდა ლიტვიდან, სადაც ცოტა ხნის წინ გაეგზავნათ ამბების ჩამოსატანად. მას ჩამოჰყვა ორი ცნობილი ლიტველი მთავარი. მათ ვიტოლდისა და ჟმუდელების წერილები ჩამოიტანეს. შემაშფოთებელ ამბებს იტყობინებოდნენ. ორდენი ომისთვის ემზადებოდა. ყველგან ამაგრებდნენ ციხესიმაგრეებს, ამზადებდნენ დენთს, თლიდნენ ქვის ყუმბარებს, საზღვართან თავს უყრიდნენ კნეხტებსა და რაინდებს. რაგნეტის, გოტესვერდერის და სხვა სასაზღვრო ციხეებიდან მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსნების და ქვეითთა რაზმები უკვე თავს დაესხნენ ლიტვასა და ჟმუდს. ჟმუდის დაბურულ ტყეებში, მინდვრებსა და სოფლებში უკვე გაისმოდა საბრძოლო შეძახილები. საღამოობით კი უსიერ ტყეებში ხანძრები გიზგიზებდა. მთავარმა ვიტოლდმა ბოლოს და ბოლოს აშკარად იკისრა ჟმუდის მფარველობა. იქ თავისი მმართველები გააგზავნა, შეიარაღებული ხალხის მხედართმთავრად კი მამაცობით განთქმული სკირვოილო დანიშნა. სკირვოილოს ხშირად ულაშ-

ქრია პრუსიაში, გადაუწვავს, მოუსპია და აუოხრებია სოფლები და ქალაქები. თვითონ მთავარი თავისი ჯარებით ჟმუდს მიუახლოვდა, ზოგი ციხე გაამაგრა, ზოგი კი, მაგალითად, კოვნო, სულ დაანგრია, რათა შიგ ჯვაროსნები არ გამაგრებულიყვნენ. არავისთვის საიდუმლო აღარ იყო, რომ ზამთრის დადგომისთანავე, როცა ყინული შეჰკრავდა ჭაობებსა და გაუვალ ჭანჭრობებს, ან იქნებ უფრო ადრეც, თუ მშრალ ზაფხულს დაიჭერდა, დიდი ომი დაიწყებოდა, ომი მოედებოდა მთელს ლიტვას, ჟმუდსა და პრუსიას. ხოლო თუ პოლონეთის მეფე დაეხმარებოდა მთავარ ვიტოლდს, მაშინ დადგებოდა დღე, როცა გერმანული ტალღა ან წალეკავდა მსოფლიოს მეორე ნახევარსაც, ან უკუქცეული დიდი ხნით ჩადგებოდა თავის ძველ კალაპოტში.

მაგრამ ეს ყველაფერი მომავლის საქმე იყო. ჯერჯერობით კი ქვეყანაზე მხოლოდ კვნესა და სამართლიანობის ღაღადისი ისმოდა. კრაკოვსა და პრაღაში, პაპის კარზე და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებში კითხულობდნენ ამ ბედუკუღმართი ხალხის უსტარებს. მთავარ იანუშს ეს გზავნილები ბრონიშ ციასნოცელთან ერთად ჩამოსულმა ბოიარებმა ჩამოუტანეს. ერთმა და ორმა მაზურმა როდი გაივლო ხელი ხანჯალზე, საკუთარი სურვილით ვიტოლდის დროშის ქვეშ საბრძოლველად ხომ არ წავიდეთო. ყველამ იცოდა, რომ დიდი მთავარი სიხარულით შეხვდებოდა ამ გამობრძმედილ საგვარეულო შლიახტას, ისეთსავე დაუძლეველს ბრძოლებში, როგორიც თვით ლიტველი და ჟმუდელი ბოიარები იყვნენ, ოღონდ მათზე უფრო ნასწავლსა და უკეთესად შეიარაღებულებს. ზოგს ამისკენ უბიძგებდა შლიახტის ძველი მტრების სიძულვილი, ზოგს – სიბრალული. „ისმინეთ, ისმინეთ! მოუხმობდნენ ჟმუდელები მეფეებს, მთავრებსა და ყველა ხალხს. – ჩვენ ოდესღაც თავისუფალი და კეთილშობილი ხალხი ვიყავით, ორდენმა კი მოინდომა ყმებად ვექციეთ! იმას ჩვენი სულები კი არ აინტერესებს, ჩვენი მიწები და ქონება უნდა... ისეთ დღეში ვართ, უკვე ან მათხოვრებად უნდა ვიქცეთ, ან ძარცვა დავიწყოთ! რა უფლება აქვთ ჩვენ ნაკურთხი წყალი გადაგვავლონ, როცა თვითონ ხელები სისხლში აქვთ მოსვრილი! ჩვენ გვსურს მონათვლა, მაგრამ არა სისხლითა და მახვილით, ჩვენ გვსურს რწმენა, მაგრამ ის, რომელსაც ღირსეული მონარქები იაგელო და ვიტოლდი ქადაგებენ. გვისმინეთ და გამოგვიწოდეთ დახმარების ხელი, თორემ ვიღუპებით! ორდენს ჩვენი მონათვლა მხოლოდ იმიტომ უნდა, რომ უფრო ადვილად დაგვიმონოს. მღვდლების მაგიერ ჯალათებს გვიგზავნის. მათ უკვე წაგვართვეს სკები, საქონელი, ჩვენი მიწის მთელი დოვლათი, თევზის ჭერას აღარ გვანებებენ საკუთარ მდინარეში, ნადირის ხოცვას საკუთარ

ტყეში! ისმინეთ ჩვენი მუდარა. ჩვენ, ძველთაგანვე თავისუფალ ხალხს, იძულებულს გვხდიან ქედი მოვიხაროთ, მათი ციხესიმაგრეები ვაშენოთ ღამღამობით. მათ მძევლებად წაიყვანეს ჩვენი შვილები, ქმრებისა და მამების თვალწინ ნამუსს ხდიან ცოლებსა და ქალიშვილებს. ლაპარაკი კი არა, გმინვა გვმართებს. მათ გადაგვიწვეს სახლები, პრუსიაში გარეკეს ჩვენი პატრონები, დაგვიხოცეს დიდი ადამიანები – კორკუცი, ვასიგინი, სვოლეკი, სონგაილო და მგლებივით სლაპავენ ჩვენს სისხლს. ო, გვისმინეთ! ჩვენ ხომ ადამიანები ვართ და არა მხეცები, წმინდა მამისკენ აღვავლენთ მუდარის ხმას, რადგან მან უბრძანა პოლონელ ეპისკოპოსებს ჩვენი მონათვლა, მთელი სულითა და გულით გვწყურია მონათვლა, მაგრამ არა განადგურების ცხელი სისხლით, არამედ ნაკურთხი წყლით“.

ასე მოთქვამდნენ ჟმუდელები და, როცა ეს ღაღადისი მაზოვიის კარზეც გაიგონეს, რამდენიმე რაინდმა და კარისკაცმა მაშინვე მოინდომა მათ დასახმარებლად წასვლა, დარწმუნებული იყვნენ, რომ მთავარ იანუშისგან ნებართვის აღება არ იყო საჭირო, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ქალბატონი ვიტოლდის ღვიძლი და იყო. ხალხის რისხვას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ბრონიში და ბოიარები მოჰყვნენ, პრუსიაში მძევლად წაყვანილმა ბევრმა კეთილშობილმა ჟმუდელმა ჭაბუკმა ვერ გაუძლო დამცირებას და ტანჯვა-წამებას ჯვაროსნებთან და თავი მოიკლაო.

ჩეხს ახარებდა მაზოვიელი რაინდების ეს აღტყინება. რაც უფრო მეტი ხალხი წავა პოლონეთიდან მთავარ ვიტოლდთან, მით უფრო გაღვივდება ჯვაროსნებთან ომის ცეცხლი და ნამდვილად შემეძლება საკუთარი სიმამაცის გამოჩენაო. ჩეხს ისიც გულს უხარებდა, რომ ნახავდა საყვარელ ზბიშკოს, მოხუც რაინდ მაცკოს, რომელიც, მისი ფიქრით, ყოველთვის გამოადგებოდა საბრძოლო საქმის შესწავლაში, თვალს შეავლებდა ახალ ველურ ადგილებს, უცნობ ქალაქებს, რაინდებსა და ლაშქარს, ნახავდა აგრეთვე თვითონ მთავარ ვიტოლდს, რომლის დიდება კიდით კიდემდე ქუხდა.

ამიტომაც გადაწყვიტა სასწრაფოდ გასდგომოდა გზას და მხოლოდ და მხოლოდ ცხენების დასასვენებლად გაჩერებულიყო. ბრონიშთან ერთად ჩამოსულმა ბოიარებმა და ქალბატონის კარზე შეკრებილმა სხვა ლიტველებმა ყველა გზა და გადასასვლელი იცოდნენ, სწორედ მათ უნდა გაეცილებინათ ჰლავა და მაზოვიის რაინდები სოფლიდან სოფლამდე, ქალაქის დან ქალაქამდე, უსიერ და უღრან ტყეებში, რომლითაც დაფარული იყო იმ დროს მაზოვიის, ლიტვისა და ჟმუდის დიდი ნაწილი.

XVI

თვით ვიტოლდის მიერ განადგურებული კოვნოდან ერთი მილის დაშორებით ტყეში განლაგებული იყო სკირვოლოს მთავარი ნაწილები. როცა აუცილებელი ხდებოდა, სკირვოილოს ისინი ერთი ადგილიდან მეორეზე ელვისებური სისწრაფით გადაჰყავდა, თავს ესხმოდა პრუსიელთა მამულებს, ციხესიმაგრეებსა და დაბებს, ჯერ ისევ ჯვაროსანთა ხელთ რომ იყო და მთელს იმ მხარეში ომის ხანძარს აღვივებდა. სწორედ აქ მიაგნო ერთგულმა საჭურველმტვირთველმა ზბიშკოსა და მაცკოს. მაცკო სულ ორი დღის ჩამოსული იყო. ერთი კი მიესალმა ჩეხი ზბიშკოს და მთელი ღამე მკვდარივით ძილად მიეგდო, მხოლოდ მეორე საღამოს მივიდა ის მოხუც რაინდთან მისასალმებლად. დაქანცული და გაავებული მაცკო კიდევ უფრო მეტად განრისხდა, რატომ არ დამემორჩილე და სპიხოვში რატომ არ დარჩიო. ბრაზი მხოლოდ მაშინ გაუნელდა, როცა ჩეხმა მარტო მოიხელთა კარავში და აუხსნა, როგორი ბრძანება მიიღო იაგენკასგან.

ჰლავამ ისიც დასძინა, მხოლოდ იაგენკას ბრძანებით ან ბრძოლის ჟინით არ ჩამოვსულვარ: თუ საჭირო გახდება, სასწრაფოდ უნდა გავგზავნო სპიხოვში მალემსრბოლი და ამბავი შევატყობინოო. „ქალბატონი, – ამბობდა ის, – ნამდვილი ანგელოზია. ის იურანდის ქალიშვილის გადარჩენაზე ლოცულობს, თუმცა იცის, ეს მას ხეირს არ დააყრის. მაგრამ დასასრული ყველაფერსა აქვს. თუ დანუსკა ცოცხალი აღარ არის, ღმერთმა აცხონოს, უმანკო იყო როგორც კრავია ხოლო, თუ ვიპოვით, სასწრაფოდ უნდა შევატყობინოთ ქალბატონს, რათა იქ ჩაყვანას არ დაელოდოს და სასწრაფოდ, გაეცალოს სპიხოვს, თორემ მისი მერე გამგზავრება სამარცხვინო გაგდებას დაემგვანება“.

მაცკო უგულოდ უსმენდა ჩეხს და დროდადრო წაილაპარაკებდა ხოლმე, ეგ შენი ჭკუის საქმე არ არისო. მაგრამ. ჰლავას გადაწყვეტილი ჰქონდა, გულახდილად ეთქვა ყველაფერი და ოდნავადაც არ დაბნეულა. ბოლოს მან უთხრა:

– სჯობდა, პანა ზგოჟელიცში დაგეტოვებინათ, რა საჭირო იყო მისი წამოყვანა. ჩვენ ყველანი ვარწმუნებდით საწყალს, იურანდის ქალიშვილი ცოცხალი აღარ არისო, ახლა კი შესაძლებელია სულ სხვანაირად შეტრიალდეს საქმე.

– განა შენ თვითონ არ ეუბნებოდი ამას? – უთხრა გაგულისებულმა მაცკომ, – ენისთვის კბილი უნდა დაგეჭირა. წამოყვანით კი იმიტომ წამოვიყვანე, რომ ჩტანისა და ვილკის ეშინოდა.

– ეგ მხოლოდ მოიმიზეზეთ, იმას თავისუფლად შეეძლო ზგოჟელიცში დარჩენა, ვილკი და ჩტანი მხოლოდ ხელს უშლიან ერთმანეთს. თქვენ კი, პან, გეშინოდათ, დანუსიას დაღუპვის შემთხვევაში, იაგენკაც ხელიდან არ წასვლოდა ზბიშკოს. აი, ამიტომაც წამოიყვანეთ.

– რაღაც მეტისმეტად გაუტიე! იქნებ მსახური აღარა ხარ და ქამრიანი რაინდი გახდი უკვე?

– მე მსახური ვარ, ოღონდ მხოლოდ ქალბატონისა, და ამიტომაც ვზრუნავ, მის სახელს ჩრდილი არ მიადგეს.

მაცკო მოიღუშა და ჩაფიქრდა. თვითონაც არ იყო კმაყოფილი. უკვე მერამდენედ უსაყვედურა თავის თავს, რატომ წამოვიყვანე იაგენკა ზგოჟელიციდანო; მოხუცს კარგად ესმოდა, რომ როცა ზბიშკოს ასე აჩრიდა იაგენკას, ამითი მის ღირსებას ლახავდა, ხოლო თუ დანუსკას ცოცხალს იპოვიდნენ, ამაზე უარესიც გამოვიდოდა. იმასაც გრძნობდა, რომ კადნიერი ჩეხი მართალი იყო: რაკი იაგენკა აბატთან წამოიყვანა, მისი სიკვდილი რომ გაიგო, პლოცკში მაინც უნდა დაეტოვებინა. არა ჰქნა ასე და სპიხოვში გაიყოლა მხოლოდ იმიტომ, რომ ზბიშკოსთან ახლოს ყოფილიყო.

– აზრადაც არ მქონია ეგეთი რამე, – თქვა მან. ეცადა თავისი თავიც მოეტყუებინა და ჩეხიც. – თვითონ ამეკიდა.

– მაშ ასე! აგეკიდათ! განა ჩვენ თვითონ არ დავარწმუნეთ ქალი, იურანდის ქალიშვილი ცოცხალი აღარ არისო და უმცროსი ძმებიც უფრო მშვიდად იცხოვრებენო უშენოდ, ადგა ისიც და წამოვიდა.

– მაგას შენ ეუბნებოდი! – იყვირა მაცკომ.

– მართალია, მეცა ვარ მაგაში დამნაშავე, მაგრამ ახლა ყველაფერი გამომჟღავნდება. თუ რამე არ ვიღონეთ, სიკვდილი მიჯობს.

– აბა რა უნდა ვიღონოთ, – თქვა მოუთმენლად მაცკომ, – ამ ჯარითა და ასეთ ომში?... საქმის გამოკეთებას მხოლოდ ივლისში უნდა ველოდეთ, რადგან გერმანელებს საომრად ორი დრო აქვთ: ზამთარი და შუა ზაფხული, ახლა კი არ გიზგიზებს, მხოლოდ მიფერფლილია ყველაფერი. ამბობენ, მთავარი ვიტოლდი კრაკოვში წავიდაო მეფესთან მოსალაპარაკებლად, რათა მისგან თანხმობა და დახმარების პირობა მიიღოსო.

– აქ ახლომახლო ხომ არის ჯვაროსნების ციხესიმაგრეები. ერთი-ორი ციხე მაინც ავიღოთ, ან ვიპოვიდით იურანდის ქალიშვილს და ან მისი სიკვდილის ამბავს გავიგებდით.

– ვერც ერთი რომ ვერ მოხერხდეს?

– ზიგფრიდს ის აქა ჰყავს წამოყვანილი. ამაზე შჩიტნოში ყველა ლაპარაკობდა, ჩვენც ხომ ასე ვფიქრობდით.

– შენ გინახავს ეს ჯარი? ერთი გაიხედე კარვიდან და ნახე. ზოგს მარტო კომბალი უჭირავს ხელში, ზოგს კი ადამისდროინდელი სპილენძის მახვილი.

– მართალია, მაგრამ გამიგონია, ჟმუდელები კარგი მეომრები არიანო.

– მერე ციხის აღება ცარიელი ხელებით მაინც არ შეიძლება; მით უმეტეს, ჯვაროსნებისა.

საუბარი ზბიშკოსა და ჟმუდელთა მხედართმთავრის სკირვოილოს გამოჩენამ შეაწყვეტინათ. ეს იყო დაბალი ტანის, მაგრამ მხარბეჭიანი, ჩასხმული მამაკაცი, მკერდი ბურთივით ამობურცვოდა, გეგონებოდათ, კუზი აზისო, ხელები კი მუხლებს ქვემოთ დასთრევდა. ის ცნობილ რაინდს ზინდრამ მაშკოვიცელს ჩამოჰგავდა: იმასავით ვეება თავი და ისეთივე მოგრეხილი ფეხები ჰქონდა. ამბობდნენ, ომის საქმე კარგად ესმისო. მთელი ცხოვრება თათრებთან და ჭირის დღესავით საძულველ გერმანელებთან ბრძოლაში გაელია. თათრებს მრავალი წელი ებრძოდა რუსეთში და იქ შესჩვეოდა რუსულ ლაპარაკს, მერე კი ვიტოლდის კარზე ცოტა პოლონურიც ესწავლა, იცოდა გერმანულიც. ყოველ შემთხვევაში, სამ სიტყვას იმეორებდა: ცეცხლი, სისხლი და სიკვდილი. მის ვეება თავში უამრავი ცბიერი სამხედრო გეგმა ტრიალებდა, რომელთაც გერმანელები ვერც ხვდებოდნენ და ვერც აიცდენდნენ, ამიტომაც სასაზღვრო საკომტუროებში მისი ძალიან ეშინოდათ.

– ჩვენ თავდასხმებზე ვსაუბრობდით, – უთხრა არაჩვეულებრივად გამოცოცხლებულმა ზბიშკომ მაცკოს, – და მოვედით, რომ თქვენც გვირჩიოთ რამე, გამოცდილი კაცი ბრძანდებით.

მაცკომ სკირვოილო ფიჭვის კუნძზე გადაფარებულ დათვის ტყავზე დასვა, მერე მსახურებს უბრძანა თასით თაფლუჭი მოეტანათ და რაინდები სმას შეუდგნენ. მაცკომ ჰკითხა:

– მაშ თავდასხმა გადაგიწყვეტიათ?

– გერმანელთა ციხესიმაგრეები უნდა შევფერთხოთ.

– რომლები?

– რაგნეტა ან ახალი კოვნო.

– რაგნეტა, – თქვა ზბიშკომ. – ოთხი დღის უკან ჩვენ ახალ კოვნოსთან ვიყავით, მაგრამ გერმანელებმა გამოგვრეკეს.

– სწორედ რომ ეგრეა, – დაუდასტურა სკირვოილომ.

– ეს როგორ?

– როგორ და კარგად გვარიანად დაგვცხეს.

– მოითმინეთ. – უთხრა მაცკომ, – მე აქაურობას არ ვიცნობ. სად არის რაგნეტა ან სად არის ახალი კოვნო?

– აქედან ძველ კოვნომდე ერთი მილი იქნება, – უპასუხა ზბიშკომ, – ძველიდან ახლამდე კიდევ ერთი მილი. ციხესიმაგრე კუნძულზეა. ოთხი დღის წინ გადაცურვა ვცადეთ, მაგრამ გერმანელებმა ზედ გადასასვლელთან დაგვცხეს. ნახევარი დღე მოგვდევდნენ, სანამ ტყეს არ შევაფარეთ თავი, ჯარი კი სულ გაგვეფანტა. ზოგიერთი მხოლოდ ამ დილით დაბრუნდა ადგილზე.

– რაგნეტა შორსაა?

სკივოილომ თავისი ხის ტოტივით წაგრძელებული ხელი ჩრდილოეთისკენ გაიშვირა და წარმოთქვა:

– შორსაა! შორს...

– რაგნეტას სწორედ იმიტომ უნდა დავცხოთ, რომ შორს არის! – უპასუხა ზბიშკომ. – იქ ირგვლივ სიწყნარეა, ვისაც ხელში იარაღის დაჭერა შეეძლო, ყველა ჩვენთან მოვიდა. იქ გერმანელები ჩვენს თავდასხმას არ მოელიან და ანაზდეულად წავადგებით თავზე.

– ეგ მართალია. – თქვა სკირვოილომ.

– თქვენ როგორ ფიქრობთ, – ჰკითხა მაცკომ, – ციხის აღებაც შეიძლება?

– სკირვოილომ უარის ნიშნად თავი გაიქნია, ზბიშკომ კი თქვა:

– ციხე მტკიცეა. არა მგონია ავიღოთ, თუ რამე შემთხვევამ არ გვიშველა. მაგრამ ჩვენ მოვსრავთ იმ მხარეს, ამოვბუგავთ სოფლებსა და ქალაქებს, გავანადგურებთ სურსათის მარაგს და, რაც მთავარია, წამოვიყვანთ ტყვეებს, მათ შორის კი შეიძლება ცნობილი ხალხიც მოხვდეს. ჯვაროსნები ასეთ ტყვეებში სიამოვნებით იძლევიან გამოსასყიდს ან ცვლიან მათ ჩვენს ტყვეებში... მერე სკირვოილოს მოუბრუნდა:

– თქვენ თვითონ არა ბრძანეთ, მთავარო, მართალი ხარო, ახლა იმაზეც იფიქრეთ, რომ ახალი კოვნო კუნძულზეა. იქ ვერც სოფლებს გადავწვავთ, ვერც საქონელს გამოვრეკავთ, ვერც ტყვედ ჩავიგდებთ ვინმეს. ამას გარდა, სულ ცოტა ხნის წინ დამარცხებაც გვაგემეს. ეჰ! სჯობს იქით გავწიოთ, სადაც ახლა არავინ გველის.

– გამარჯვებული ყველაზე ნაკლებად ელის თავდასხმას, – წაიბურტყუნა სკივოილომ.

მაგრამ ამ დროს მაცკომ წამოიწყო ლაპარაკი და ზბიშკოს მიემხრო. კარგად ესმოდა, რომ ბიჭს იმედი ჰქონდა, რაგნეტაში თავისი ცოლის ამბავს უფრო გაიგებდა, ამას გარდა, იქ ვინმე დიდკაცს ჩაიგდებდა ტყვედ და მერე შეიძლებოდა გაეცვალათ. თვითონაც ასე მიაჩნდა, რომ სჯობდა შორს წასულიყვნენ და მოულოდნელად დასხმოდნენ იმ ადგილს, რომელსაც გერმანელები ცუდად იცავდნენ, ვიდრე მძლავრი ციხესიმაგრითა და გამარჯვებული გარნიზონით ნაგუშაგევ ბუნებრივად გამაგრებულ კუნძულზე ელაშქრათ.

როგორც სამხედრო საქმეში გამობრძმედილი კაცი, ის დამაჯერებლად ლაპარაკობდა და ისეთ უტყუარ მოსაზრეზებს გამოთქვამდა, რომ, გეგონებოდათ, თავის სიმართლეში ყველას დაარწმუნებსო. მას ყურადღებით უსმენდნენ. სკირვოილო დროდადრო წარბებს აწკიპავდა ხოლმე, თითქოს ეთანხმებაო, ხანდახან კი წაიბურტყუნებდა: „მართალს ამბობს!“ მერე თავისი უზარმაზარი თავი მხრებში ჩარგო, ისე რომ ყველას ნამდვილი კუზიანი ეგონა, და ღრმად ჩაფიქრდა.

ცოტა ხნის შემდეგ წამოდგა და უჩუმრად დაემშვიდობა ყველას.

– როგორ იქნება, მთავარო? – ჰკითხა მაცკომ. – საით წავალთ?

სკირვოილომ მოკლედ უპასუხა:

– ახალ კოვნოზე.

და კარვიდან გავიდა.

მაცკო და ჩემი ერთი წუთი გაოცებულები შეჰყურებდნენ, მერე მაცკომ ხელები ბარძაყებზე შემოირტყა და შესძახა:

– ფუ! ჯირკია რაღა ნამდვილი!.. გგონია გისმენს, გაიხედავ და მაინც თავისას აკეთებს! მაგასთან ლაპარაკით არც უნდა შეიწუხო თავი!..

– გაგონილი მქონდა, ასეთიაო, – უპასუხა ზბიშკომ. კაცმა რომ თქვას, მთელი აქაური ხალხი ეგეთი ჯიუტია; გგონია გისმენენ, სინამდვილეში კი ერთ ყურში შეუშვებენ და მეორიდან გამოუშვებენ.

– აბა, მაშინ რაღას გვეკითხება?

– იმიტომ, რომ ჩვენ ნაფიცი რაინდები ვართ, და კიდევ იმისთვის, რომ საქმე ყოველმხრივ განსაჯოს. არა, ის სულაც არ გახლავთ სულელი.

– ახლა კოვნოშიც არ გველოდებიან ალბათ, – შენიშნა ჩეხმა, - იქ სულ ახლახანს დაგვამარცხეს. ამაში ის მართალია.

– წამოდი, ჩემს ხელქვეითებს გაჩვენებ, – უთხრა ჩეხს ზბიშკომ, რომელსაც კარავში სული ეხუთებოდა, – უნდა გავაფრთხილო, მზად იყვნენ.

გავიდნენ. გარეთ პირქუში ბნელი ღამე ჩამოწოლილიყო. წყვდიადს ჟმუდელების დანთებული კოცონების ცეცხლი სერავდა მხოლოდ.

XVII

ვიტოლდთან სამსახურის დროს მაცკომ და ზბიშკომ კარგად გაიცნეს ლიტველი და ჟმუდელი მეომრები და ბანაკში მათთვის ახალი არაფერი იყო; მაგრამ ჩეხი დიდი გულისყურით ათვალიერებდა ყველაფერს, თან იმაზე ფიქრობდა, ნეტა ბრძოლაში როგორები იქნებიანო, და მათ პოლონელ და გერმანელ რაინდებს ადარებდა. ბანაკი ტყითა და ჭაობებით გარშემორტყმულ ყრუ ღარტაფში იყო დაცემული. ეს საიმედოდ იცავდა მას თავდასხმებისაგან: აბა რომელი ლაშქარი გადმოივლიდა ამ მუხანათურ საფლობებს. თვითონ ველიც, რომელზედაც კარვები დაედგათ, ჭაობიანი იყო, მაგრამ ჟმუდელებს იმდენი ნაძვისა და ფიჭვის ტოტები დაეჩეხათ და ისე სქლად დაეფინათ, რომ მშრალ მიწაზეც ვერ მოკალათდებოდნენ ასე კარგად. მთავარ სკირვოილოს მიწითა და გაუთლელი მორებით სახელდახელოდ აუშენეს რაღაც ლიტვური „ნუმის“ მაგვარი ქოხი. დანარჩენი მხედართმთავრებისთვისაც ტოტებისგან მოწნეს ორმოცდაათამდე კარავი, ჯარისკაცები კი კოცონების ირგვლივ შემომსხდარიყვნენ ღია ცის ქვეშ და მათი ერთადერთი საფარველი შიშველ ტანზე წამოხურული ტყავები და ტყაპუჭები იყო. ბანაკში ჯერ არავის ეძინა; ამასწინანდელი დამარცხების შემდეგ საქმე არაფერი ჰქონდათ და დღისით გამოეძინათ. ზოგი მიჯდომოდა აგუზგუზებულ კოცონს და ღვიის ფიჩხს უკეთებდა, ზოგიც უკვე ჩამქრალ, ჩაფერფლილ ცეცხლში იქექებოდა, საიდანაც შემწვარი თალგამისა და ხორცის სუნი მოდიოდა. შემწვარი თალგამი ხომ ლიტველების ყველაზე საყვარელი საჭმელია. კოცონებს შორის ზვინებად იდგა იარაღი. ეს იარაღი ისე დაელაგებინათ, რომ განგაშის დროს მეომარს ადვილად შესძლებოდა თავისი ოროლის, შუბის ან ცულის აღება. ჰლავა ცნობისმოყვარეობით ა-

თვალიერებდა ნაწრთობი რკინისგან ნაჭედ შუბებს წვრილი გრძელი შუბისწვერებით, ნორჩი მუხისაგან გამოკვეთილ, კაჟის ქვებით ან ლურსმნებით მოჭედილ კისტანებს, პოლონურის მსგავს მოკლეტარიან ცულებს, რომლებითაც ცხენოსნები შეიარაღებულიყვნენ, და გრძელტარიან ცულებს, რითაც ქვეითი მეომრები იბრძოდნენ. ზოგან სპილენძის ცულებსაც მოჰკრავდით თვალს. ეს იმდროინდელი ნაშთი იყო, როცა ამ ყრუ ადგილებში რკინა ნაკლებად იხმარებოდა, სპილენძის მახვილებსაც ნახავდით, მაგრამ უმეტესობა მაინც ნოვგოროდიდან ჩამოტანილი გამძლე ფოლადისა იყო. ჩეხი ხელით სინჯავდა შუბებს, მახვილებს, ცულებს, ცეცხლზე გამომწვარ ფისწასმულ მშვილდებს და კოცონების სინათლეზე ხარისხს უმოწმებდა. კოცონების მახლობლად ცხენები ცოტა ჰყავდათ. რემა მოშორებით, ტყეებსა და კორდებზე იყო საბალახოდ შეფენილი და თვალმარჯვე მეჯინიბეები დარაჯობდნენ. ცნობილმა ბოიარებმა მაინც ისურვეს თავიანთი ბედაურები ახლო ჰყოლოდათ და ბანაკში რამდენიმე ათეულ ცხენს წააწყდებოდით, ბოიართა ყმები მათ ბაგებში უყრიდნენ საკვებს. ჰლავა გააოცა ამ ძალზე ტანმორჩილმა ბანჯგვლიანმა ცხენებმა. ისეთი ღონიერი კისრები ჰქონდათ და ისეთი უცნაურები იყვნენ ერთი შეხედვით, რომ დასავლეთელ რაინდებს რაღაც განსაკუთრებული ტყის ნადირი ეგონათ, რომლებიც მარტორქებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ნამდვილ ბედაურებს.

აქ დიდტანიანი საბრძოლო ცხენები არას არგებთ, - ამბობდა გამოცდილი მაცკო და იმ ძველ დროს იგონებდა, როცა ვიტოლდთან იყო სამსახურში; – დიდი ცხენი მაშინვე ჭაობში ჩაეფლობა, ესენი კი ყველგან ადამიანებივით გავლენ.

– მაგრამ გაშლილ მინდორზე, – შენიშნა ჩეხმა, – გერმანელების კანჭმაღალ ტაიჭებს ვერ აჯობებენ.

– ეგ მართალია, ვერ აჯობებენ, სამაგიეროდ, გერმანელიც ვერ გაექცევა ჟმუდელს და ვერც დაეწევა მას. ჟმუდელთა ცხენები თათრების ცხენებზე უფრო სწრაფები არიან.

– მაინც მაოცებს ეგ ამბავი, მინახავს ტყვე თათრები – რაინდმა ზიხ ზგოჟელიცელმა ჩამოიყვანა, ყველანი ტანმორჩილები არიან, იმათ რომელი ჯაგლაგი ცხენიც გინდა ზიდავს, მაგრამ ჟმუდელები ზორბა ხალხია.

მართლაც ზორბა ხალხი იყო. კოცონების სინათლეზე ჯუბებსა და ნადირთა ტყავებში გახვეულებს მხარბეჭი და ფართო გულმკერდი მოუჩანდათ. თითქოს საგანგებოდ შეერჩიათ ეს ვაჟკაცები – დაძარღვულნი, ხმელხმელნი და მაღლები; საერთოდ, ლიტვის სხვა კუთხეების მცხოვრებლებ-

თან შედარებით, ახოვნები იყვნენ, რადგან უფრო ნოყიერ მიწებზე ცხოვრობდნენ და შიმშილი – ლიტვის ხშირი სტუმარი – აქ იშვიათად ეწვეოდათ ხოლმე. სამაგიეროდ, ისინი უფრო ველურები იყვნენ, ვიდრე ლიტველები. ვილნოში იყო ბრწყინვალე სასახლე, სადაც თავს იყრიდნენ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბერები, ელჩები, უცხოელი ვაჭრები, ამიტომაც ვილნოსა და მისი ახლომახლო მცხოვრებლები ასე თუ ისე შეეჩვივნენ უცხოურ ზნე-ჩვეულებებს. აქ უცხოელი თუ მოევლინებოდათ, ან ჯვაროსანი უნდა ყოფილიყო, ან არადა – სპათარი. ყოველ ასეთ გამოჩენას ჟმუდელთა ყრუ სოფლებისთვის ცეცხლი, მონობა და სისხლით მონათვლა მოჰქონდა. ამიტომაც ჟმუდში ყველაფერი უფრო უხეში და პირქუში იყო, უფრო ახლობელი ძველ დროსთან და უფრო მტრული ყოველივე ახალთან. მათ ზნე-ჩვეულებებიც ძველებური ჰქონდათ, ბრძოლის წესებიც, წარმართული რწმენაც ძვალ-რბილში გასჯდომოდათ, რადგან ჯვრის თაყვანისცემას ჟმუდელს ასწავლიდა არა მოციქულის სიყვარულით გამსჭვალული თვინიერი ქადაგი, არამედ სულით ჯალათი, შეიარაღებული გერმანელი ბერი.

სკირვოილომ და სხვა ცნობილმა ბოიარებმა იაგელოსა და ვიტოლდის მაგალითს მიბაძეს და უკვე გაქრისტიანდნენ. დანარჩენები, სულ უბრალო ველური მეომრებიც კი, რაღაც ბუნდოვნად გრძნობდნენ, რომ მათ ძველ ცხოვრებას, რწმე ნას ბოლო ეღებოდა. ისინი მზად იყვნენ თაყვანი ეცათ ჯვრისათვის, ოღონდ ეს ჯვარი ხელთ არ ჰქონოდათ საძულველ გერმანელებს. „ჩვენ გთხოვთ მოგვნათლოთ, – შესთხოვდნენ ისინი ყველა მთავარსა და ხალხებს, – მაგრამ გახსოვდეთ, რომ ჩვენ ადამიანები ვართ და არა მხეცები, რომლებიც შეიძლება გააჩუქო, იყიდო, ან გაყიდო“. ჯერჯერობით კი იფერფლებოდა ადრინდელი რწმენა, როგორც იფერფლება ხოლმე კოცონი, რომელსაც შეშას აღარავინ უკეთებს, ახალი რწმენისკენ კი გული არ უწევდათ, რადგან გერმანელები აიძულებდნენ მის მიღებას. ჟმუდელის სული თანდათან ცარიელდებოდა, მატულობდა შიში, წარსულის სინანული და რაღაც უსაზღვრო ნაღველი. ჩეხი ბავშვობიდან მიჩვეული იყო სალდათების მხიარულ საუბარს, მათ სიმღერებს, ხალისიან მუსიკას და გაოცებული შეჰყურებდა ამ ნაღვლიან დადუმებულ ბანაკს. მხოლოდ აქა-იქ, სკირვოილოს ქოხის მახლობლად დანთებულ კოცონებთან, მოისმოდა სალამურისა და სტვირის ხმები ან წყნარი სიმღერა, რომელსაც რომელიღაც სახალხო მთქმელი მღეროდა. მებრძოლები უსმენდნენ სიმღერას, თავები ჩაექინდრათ, ცეცხლს ჩაშტერებოდნენ. ზოგიერთი ცეცხლთან ჩაცუცქულიყო, იდაყვებით მუხლებს დაყრდნობოდა, ხელები სახეზე აეფარებინა და, ტყავებში გახვეული, ტყის მტაცებელ ნადირს დამგვანებოდა. მაგრამ როცა ისი-

ნი თავს მოაბრუნებდნენ და გამვლელ რაინდებს შემოხედავდნენ, ცეცხლი ანათებდა მათ თვინიერ სახეებსა და ცისფერ თვალებს. ეს თვალები სულაც არ იყო მკაცრი და მტაცებლური და რაინდებსაც მებრძოლები ნაღვლიანი, გაბუტული ბავშვებივით შეჰყურებდნენ. ბანაკის განაპირას, ხავსზე დაჭრილები ეწვინათ, ვისი გამოყვანაც მოახერხეს ბოლო ბრძოლიდან. ექიმბაშები ლოცვებს ბურტყუნებდნენ, ანდა ჭრილობებს ათვალიერებდნენ და სამკურნალო ბალახებს ადებდნენ, დაჭრილები კი წყნარად იწვნენ, მოთმინებით იტანდნენ ტკივილსა და წამებას. ტევრიდან, მინდვრებიდან და კორდებიდან მეჯინიბეთა სტვენა ისმოდა; ხანდახან ქარი წამოუბერავდა, კვამლს დააყენებდა და ჩაბნელებულ ტყეს ააშრიალებდა. შუაღამე დიდი ხნის გადასული იყო, კოცონები იფერფლებოდა და ქრებოდა, გარემო გაირინდა და ამან უფრო მეტი ნაღველი მოჰფინა იქაურობას.

ზბიშკომ უბრძანა თავის მსახურებს მზად ყოფილიყვნენ, – ყმაწვილი ადვილად აგებინებდა მათ, რადგან რამდენიმე პოლოცკელიც ერიათ, – მერე კი თავის საჭურველმტვირთველს მიუბრუნდა:

– ვერ იჯერე გული დათვალიერებით? ახლა დროა კარავში შევიდეთ.

– ვიჯერე, – უპასუხა საჭურველმტვირთველმა, – მაგრამ მაინცდამაინც გულს ვარდი არ მომფენია. ეგრევე ემჩნევა, რომ მტრისგან მარცხი განიცადეს.

– ორჯერ დამარცხდნენ: ოთხი დღის წინ ციხის კედლებთან და გუშინწინ გადასასვლელთან. ახლა კი სკირვოილომ მესამედ მოინდომა წასვლა, რომ მესამედ დამარცხდეს.

– როგორ არ ესმის, რომ ამ ჯარით გერმანელებს ვერ გაუმკლავდება? რაინდმა მაცკომ უკვე მითხრა ეს, ახლა კი საკუთარი თვალით ვნახე, რომ ამ ხალხისგან დიდი ვერაფერი მებრძოლები დადგებიან.

– ცდები, ამაზე გულადი ხალხი მთელს ქვეყანაზე არსად არის, მაგრამ უბედურება ისაა, ჯგროდ მიდიან ბრძოლაში, გერმანელები კი მწკრივებად იბრძვიან. ოღონდ მათი რიგები ერთი თუ გატეხეს, მაშინ გერმანელი ჟმუდელს ვეღარ დასცემს, პირიქით, ჟმუდელი მოერევა, მაგრამ გერმანელებმა ეს იციან და მტკიცედ მიჯრილი მოდიან ხოლმე.

– მე მგონია, ასეთი ჯარით ციხესიმაგრეების აღებაზე ოცნებაც ზედმეტია, – შენიშნა ჩეხმა.

– არავითარი იარაღი არ გაგვაჩნია ამისათვის, ზბიშკომ, – იარაღი მთავარ ვიტოლდს აქვს და, სანამ ის არ ჩამოვა, ჩვენ არც ერთი ციხის ამღები

არა ვართ. თუ ბედმა არ გაგვიღიმა ან ციხე შიგნიდან არ გატყდა, არაფერი გვიშველის.

ამ საუბარში შეუმჩნევლად მიუახლოვდნენ კარავს, რომლის წინ მსახურებს დიდი კოცონი გაეჩაღებინათ. ცეცხლზე ხორცი იბოლებოდა. კარავში ციოდა, სინესტე იყო, ამიტომ ორთავე რაინდი და მათთან ერთად ჰლავაც ტყავებში გაეხვივნენ და კოცონს მიუსხდნენ.

ნავახშმევს შეეცადნენ დაეძინათ, მაგრამ ამაოდ. მაცკო ვერ ისვენებდა, მალიმალ იცვლიდა გვერდს. როცა კოცონთან მიმჯდარი, მუხლებზე ხელებშემოჭდობილი ზბიშკო დაინახა, ჰკითხა:

– მითხარი ერთი, რატომ ურჩევდი შორს ლაშქრობას, რაგნეტაზე, და არა ახლოს, გოტესვერდერთან. რაშია საქმე?

– რაღაც გული ისე მიგრძნობს, დანუსია რაგნეტაში უნდა იყოს. ამას გარდა, იმ ციხეს ნაკლებად იცავენ, ვიდრე ახლომახლო ციხეებს.

– ვეღარ მოვიცალეთ სალაპარაკოდ, მე დაღლილი ვიყავი, შენ კი დამარცხების შემდეგ ტყეში ხალხს აგროვებდი. მოდი, ახლა პირდაპირ მითხარი: ნუთუ მთელი სიცოცხლე უნდა ეძებო ის გოგო?

– ის გოგო კი არა, ჩემი ცოლია, – უპასუხა ზბიშკომ. სიჩუმე ჩამოვარდა. მაცკოს შესანიშნავად ესმოდა, რომ საწინააღმდეგოს ვერაფერს იტყოდა. დანუსია რომ ამდენი ხანი გაუთხოვარი ყოფილიყო, მოხუცი რაინდი უეჭველად ურჩევდა ძმისშვილს შეეწყვიტა ძებნა; მაგრამ ახლა ჯვრისწერის სიწმინდე ავალდებულებდა, და მაცკო არც კი მისცემ და ასეთ კითხვას, ის რომ ჯვრისწერას ან ქორწილს დასწრებოდა და ძალაუნებურად დანუსია ქალიშვილად არა ჰყოლოდა წარმოდგენილი.

– ჰო, – უთხრა მან ერთი წუთის მერე, – მაგრამ რამდენიც არა გკითხე, ამ ორ დღეში სულ მეუბნებოდი, არაფერი ვიციო.

– მე მართლაც არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ ღვთის რისხვა არ ამცდა.

ჰლავა სწრაფად წამოიწია დათვის ტყავზე, წამოჯდა და გაფაციცებით მიუგდო ყური.

– სანამ ძილს არ წაუღიხარ, – უთხრა მაცკომ, – მიამბე, რა ნახე, რას აკეთებდი, გახდი რამეს მალბორგში?

ზბიშკომ თავი გადააქნია, დიდი ხანია შუბლზე თმა აღარ შეეჭრა და თვალებში ეფხატებოდა, ერთი წამით იყუჩა, მერე კი წამოიწყო:

– ღმერთმა ქნას, იმდენი რამე გავიგო დანუსიაზე, რამდენიც მალბორგზე ვიცი. მეკითხებით, იქ რა ნახეო? ვიხილე ძლიერება ორდენის, რომელსაც მხარს უჭერს ყველა მეფე და ყველა ხალხი, და არც ვიცი, ვინ შეეტოლება მათს ძალებს მსოფლიოში. ვნახე ციხესიმაგრე, რომელიც რომის იმპერატორსაც შეშურდება. ვიხილე უთვალავი სიმდიდრე, საჭურველი, ვნახე უამრავი შეიარაღებული ბერი, თავადები და კნეხტები, ვნახე რელიკვიები, როგორიც რომში წმინდა მამასთან, და გული შემიკრთა. გავიფიქრე, სად შევძლებთ-მეთქი ამათთან ბრძოლას? ვინ დასძლევს მათ? ვინ გაუმკლავდება? ვის არ აჯობებენ ეგენი?

– ვისა და ჩვენ, ეშმაკმა წაიღოს მაგათი თავი! – ვეღარ შეიკავა ჰლავამ.

მაცკო გაოგნებული იყო ზბიშკოს ნაამბობით და, თუმცა ერთი სული ჰქონდა, გაეგო ყველაფერი, რაც ძმისშვილს გადახდენოდა, მაინც შეაწყვეტინა;

– შენ რა, ვილნო ხომ არ დაგავიწყდა? განა ცოტაჯერ შევხვედრივართ პირისპირ, ხმალდახმალ! დაგავიწყდა, როგორ უხალისოდ გვეომებოდნენ, როგორ ჩიოდნენ ჩვენს თავდადებაზე. პოლონელს ცხენს თუ წაართმევ და შუბს გადაუტეხავ, ცოტაა, მას ან თვითონ უნდა მოჰკვეთო თავი, ან საკუთარი თავი უნდა დასდო. იქ ხომ სტუმრებიც იყვნენ, ჩვენ რომ ბრძოლაში გვიწვევდნენ და ყოველთვის სამარცხვინოდ ტოვებდნენ ასპარეზს. ასე რამ გაგალაჩრა?

– არა, მე არ გავლაჩრებულვარ, მალბორგშიც ვიბრძოლე წვერმახვილი შუბებით. მაგრამ თქვენ წარმოდგენა არა გაქვთ მათს ძლიერებაზე.

– შენ კი გაქვს წარმოდგენა პოლონელთა ძლიერებაზე? – გაბრაზდა მოხუცი. – გინახავს ყველა პოლონური საღროშო? არ გინახავს! იმათი ძლიერება ძალადობასა და ვერაგობაზეა დამყარებული, იმათ ერთი გოჯი საკუთარი მიწისა არ გააჩნიათ, ჩვენმა მთავრებმა ისე მიიღეს ისინი, როგორც ღებულობენ შინ ღატაკ ადამიანს, და საჩუქრებით გაავსეს. მერე კი მომაგრდნენ და მათ მწყალობელ ხელს კბენა და ღრენა დაუწყეს, როგორც ბინძურმა ცოფიანმა ძაღლებმა. მათ მიითვისეს მიწები, ღალატით ჩაიგდეს ხელში ქალაქები, – აი, სულ ეგ არის მაგათი ძლიერება! მთელი მსოფლიოს მბრძანებლებიც რომ დაეხმარონ, მაინც დადგება განსჯისა და შურისძიების დღე.

– თქვენ გსურდათ ის მეამბნა, რაც ვნახე, ახლა კი ბრაზობთ, ავდგები და სულაც გავიწყვეტ ხმას, - თქვა ზბიშკომ.

რამდენიმე ხანს მაცკო გულმოსული ქშინავდა, მაგრამ მალე დამშვიდდა და თქვა:

– განა ასე კი არ ხდება? აი, დგას ტყეში ფიჭვი, თითქოს აუღებელი ციხე-კოშკია, გეგონება საუკუნეებს გაუძლებსო, მაგრამ ერთი კარგად რომ მოარტყა ცულის ყუა, იგრძნობ, რომ ფუტუროა და ბრელო სცვივა. ასეა ჯვაროსნის ძლიერებაც, მაგრამ მე შენ ისა გკითხე, რა აკეთე და რას მიაღწიე-მეთქი. შუბებით ვიბრძოლეო, ამბობდი?

– ვიბრძოლე. ჯვაროსნებმა ჯერ ქედმაღლურად და უგულოდ მიმიღეს, იმათ უკვე იცოდნენ, რომ როტგერი მე მოვკალი. შეიძლება ყველაფერი ცუდად შეტრიალებულიყო, მთავრის წერილი რომ არა მქონოდა. ამას გარდა, იმათ ჯიბრზე მე რაინდი დე ლორში მმფარველობდა, ამ რაინდს კი ისინი პატივს სცემენ. მერე დაიწყო ნადიმები და ასპარეზობანი, და აი, სწორედ მაშინ გამიმართლა. ალბათ ყურს მოჰკრავდით, როგორ შემიყვარა მაგისტრის ძმამ ულრიკმა და თვით მაგისტრის წერილობითი ნებართვა მიბოძა, რომლის ძალითაც ჩემთვის დანუსია უნდა დაებრუნებინათ.

– ხალხმა გვითხრა, – უპასუხა მაცკომ, – თითქოს ულრიკს ცხენის მოსართავი გაუწყდა, შენ კი დაინახე და იმ დროს აღარ დაესხი თავს.

– დიახ, მე მაღლა ავწიე შუბი და იმ წუთიდან შემიყვარა. ღმერთო დიდებულო! მომცა სიგელი, სადაც უმკაცრესად იყო მითითებული, რომ ნება უნდა დაერთოთ ყველა ციხესიმაგრე გაგვეჩხრიკა. მე უკვე ვფიქრობდი, ჩემს უბედურებას და ტანჯვას ბოლო მოეღო-მეთქი, ახლა კი, აი, ვზივარ, აქ, ამ ველურ მხარეში, გულდათუთქული და დანაღვლიანებული და არ ვიცი, რა ვქნა, დღითი დღე სულ უფრო მიმწარდება სიცოცხლე,

ზბიშკო ერთი წამით მიყუჩდა, მერე კი ისეთი ძალით მოიქნია ნაფოტები ცეცხლში, რომ აბრიალებული მორებიდან ნაპერწკლები გადმოცვივდა.

– თუ ის საცოდავი რომელიმე ციხეში იტანჯება, – თქვა მან, – და ფიქრობს, რომ დავივიწყე, მირჩევნია აქვე, ადგილზევე, გავთავდე!

ეტყობოდა უზომო ტანჯვა დაგუბებოდა გულში, თითქოს უეცარმა აუტანელმა ტკივილმა შესძრაო, ისევ ნაფოტებს დასწვდა და ცეცხლს მიაყარა. მაცკო და ჰლავა გაოცებული იყვნენ, ვერასდროს იფიქრებდნენ, რომ ზბიშკოს ასე უყვარდა დანუსია.

– დაწყნარდი! – შეუძახა მაცკომ. – შენ გირჩევნია იმ სიგელის ამბავს მოჰყვე. ნუთუ კომტურები ბედავდნენ, არ დამორჩილებოდნენ მაგისტრს?

– დამშვიდდით, მოწყალეო პან, - უთხრა ჩეხმა, – ღმერთია შემწე, იქნებ სულ მალე გადმოგვხედოს.

ზბიშკოს თვალებზე ცრემლებმა იელვეს, მაგრამ მალე მოერია თავს.

– ეს მოღალატეები, – უთხრა ყმაწვილმა, ყველა ციხისა და სატუსაღოს კარს მიღებდნენ. ყველაფერი მოვიარე, ყველგან ვეძებე! მაგრამ ამ დროს ომი ატყდა და გერდავის მმართველმა ფონ ჰაიდეკმა მითხრა, მშვიდობიან დროს გაცემული სიგელები ომის დროს ძალას ჰკარგავსო. მე იმწამსვე ბრძოლაში გამოვიწვიე ის, მაგრამ მან გამოწვევა არ მიიღო და ციხესიმაგრიდან ჩემი გამოძევება ბრძანა.

– სხვა სიმაგრეებში? – ჰკითხა მაცკომ.

– ყველგან ერთი იყო. კრულვეცში კომტურმა, რომელსაც გერდავის მმართველი ემორჩილება, არც კი ისურვა მაგისტრის წერილის წაკითხვა. „ომი ომია“, – მითხრა მან და მირჩია, სანამ ფეხები არ მოუმტვრევიათ, აქედან გაეცალეო. სადაც არ მივედი, ყველგან ერთი და იგივე ამბავი დამიხვდა.

– ახლა ყველაფერი გასაგებია, – თქვა მოხუცმა რაინდმა. – როცა დახედე, არაფერი გამოგდიოდა, ამჯობინე აქ ჩამოსულიყავი, სადაც შეიძლება შური მაინც იძიო.

– ასეა, – უპასუხა ზბიშკომ. – მე იმასაც ვფიქრობდი, ტყვეებს ჩავიგდებდით, რამდენიმე ციხესიმაგრეს ავიღებდით, მაგრამ ჟმუდელებს არაფრის აღების შნო არა აქვთ.

– აი, ჩამოვა მთავარი ვიტოლდი და ყველაფერი სხვაგვარად შეტრიალდება.

– ღმერთმაც ქნას.

– უეჭველად ჩამოვა. მაზოვიის კარზე იმასაც კი მოვკარი ყური, შეიძლება მეფეც უკან მოჰყვეს მთელი პოლონეთის ჯარით.

ლაპარაკი შეაწყვეტინათ სკირვოილომ, რომელიც მოულოდნელად წამოიმართა ბნელში და განაცხადა:

– სალაშქროდ გავდივართ.

ამ სიტყვებზე რაინდები ფეხზე წამოხტნენ, სკირვოილო კი უფრო მიუახლოვდა მათ და ყრუდ უთხრა:

– ახალი ამბები მოვიდა: ახალი კოვნოსკენ დახმარება მოეშურება. ორი რაინდი მოუძღვის კნეხტებს, საქონელსა და სურსათს. იმათ უნდა გადავუჭრათ გზა.

– მაშ ნემანზე უნდა გადავიდეთ? – ჰკითხა ზბიშკომ.

– კი, მე ვიცი ფონი.

– ციხეში თუ გაიგეს, რომ დახმარება მოსდით?

– გაიგეს და შესახვედრადაც გამოვლენ. თქვენ იმათ უნდა დასცხოთ.

და მან აუხსნა, სად უნდა ჩასაფრებულიყვნენ, რათა მოულოდნელად დაერტყათ მათ შესახვედრად ციხესიმაგრიდან გამოსული გერმანელებისთვის. სკირვოლოს უნდოდა ერთბაშად ორი ბრძოლა გაემართა და შური ეძია ბოლო დამარცხებების გამო; ეს, მით უმეტეს, ადვილი იქნებოდა, რადგან მტერი ბოლო გამარჯვების შემდეგ თავს სრულიად უშიშრად გრძნობდა. სკირვოილომ პოლონელ რაინდებს მიუთითა ადგილი, სადაც უნდა მისულიყვნენ, დაუნიშნა მისვლის დრო, დანარჩენი კი მათ სიმამაცესა და მოხერხებულობაზე მიაგდო. გახარებული რაინდები მიხვდნენ, რომ გამოცდილი და გონიერი მხედართმთავარი ჰყავდათ. მერე სკირვოილომ ისინი თავის ქოხში წაიყვანა, სადაც მთავრები და ბოიარი ასისთავები ელოდებოდნენ. მან იქაც გაიმეორა თავისი ბრძანება და ახალი განკარგულებებიც გასცა. მერე კი ტუჩებთან მგლის ძვლის სასტვენი მიიდო და მთელ ბანაკში გულისგამგმირავი სტვენა გაისმა.

ამ ხმაზე მიმქრალ კოცონებთან მჯდარი ხალხი აფუსფუსდა, აქა-იქ აინთო და თანდათან აბრიალდა ცეცხლი, მათ სინათლეზე კარგად გამოჩნდა მებრძოლთა ველური ფიგურები, ისინი ზვინად დადგმულ იარაღს ეცნენ. მთელი ჭალა გამოცოცხლდა, აგუგუნდა. მალე ტყის სიღრმიდან მეჯინიბეთა შეძახილები გაისმა, ისინი ცხენთა რემას ბანაკისკენ მოერეკებოდნენ.

XVIII

გათენებისას ისინი ნევიაჟას მიუახლოვდნენ და მეორე ნაპირზე გადავიდნენ, ზოგი ცხენდაცხენ მიდიოდა, ზოგს ცხენის კუდზე მოევლო ხელი, ზოგი კი ძეწნის კონაზე იჯდა. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ მაცკო, ზბიშკო, ჰლავა და მოხალისე მაზურები გაოცებული იყვნენ მებრძოლთა მოხერხებულობით და მხოლოდ ახლა მიხვდნენ, რატომ ვერ აბრკოლებდა

ლიტველთა თავდასხმებს ვერც ტყეები, ვერც ჭაობები და ვერც მდინარეები. წყლიდან რომ ამოვიდნენ, არც ერთს არ გაუხდია ტანსაცმელი, არ მოუხსნია ტყაპუჭი ან მგლის ტყავი, მზეზე ზურგმიფიცხებულნი შრებოდნენ, ორთქლი ისე ასდიოდათ, გეგონებოდათ, ფისის სახდელიდან კვამლი ამოდისო; ცოტახანს ასე შეისვენეს, მერე კი ჩრდილოეთისკენ დაადგნენ გზას. გვიან საღამოს მიაღწიეს ნემანს. ამ გაზაფხულზე მდინარე ადიდებულიყო და გადასვლა აქაც ძალზე ჭირდა. სკირვოილომ რომ ფონი იცოდა, ალაგ-ალაგ ისეთი ღრმა გამხდარიყო, ცხენები ცურვას იწყებდნენ. ორი მებრძოლი ზბიშკოსა და ჩეხის თვალის წინ წაიღო დინებამ. ამაოდ შეეცადნენ ეშველათ. ისეთი ბნელი ღამე იყო და მდინარეც ისე ბობოქრობდა, რომ ზბიშკომ და ჩეხმა თვალი ვეღარ მიადევნეს. მათ კი საშველად მოხმობა ვერ გაბედეს, რადგან ახსოვდათ მხედართმთავრის ბრძანება – გადასვლის დროს ხმა არ ამოეღოთ. სხვებმა მშვიდობით მიაღწიეს მეორე ნაპირს, სადაც ისე გაათენეს, ცეცხლი არც კი დაუნთიათ.

ოდნავ ინათა თუ არა, მთელი ჯარი ორ რაზმად გაიყო. ერთს სკირვოილომ უწინამძღვრა და იმ რაინდთა შესახვედრად გაეშურა, რომელთაც გოტესვერდერში დახმარება მოჰყავდათ, მეორე რაზმი ზბიშკომ უკან წაიყვანა კუნძულისკენ, რათა ხელთ ეგდო რაინდთა შესახვედრად გასული ციხესიმაგრის მცველები. ამინდს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ ტყეში, ჭაობიან ლელიანზე და ბუჩქნარში ჯერ არ აკრეფილიყო ხშირი თეთრი ნისლი. ზბიშკოსა და მის ხალხს ეს ხელს აძლევდათ, რადგან ციხიდან აქეთ წამოსული გერმანელები მათ შორიდან ვერ დაინახავდნენ და ბრძოლას ვერ გაექცეოდნენ. ჭაბუკ რაინდს ეს ძალიან ახარებდა.

– ამისთანა ნისლში, – ეუბნებოდა ის გვერდით მიმავალ მაცკოს, – მტერს ვერც კი დავინახავთ, ისე გადავაწყდებით. ღმერთმაც ქნას, რომ შუადღემდე ნისლი არ გაიფანტოს.

ამ სიტყვებით მან ცხენი გააჭენა, რათა ასისთავებისთვის ბრძანება მიეცა, მაგრამ მაშინვე დაბრუნდა და თქვა:

– მალე კუნძულზე გადასასვლელიდან ქვეყნის სიღრმისკენ მიმავალ შარაგზაზე გავალთ, იქ ბუჩქებში ჩავსხდებით და დაველოდებით.

– შენ საიდან იცი, რომ აქ გზა არის? ჰკითხა მაცკომ.

– აქაური გლეხებისგან. ოცამდე მაინც მყვანან რაზმში ყველგან გაგვიყვანენ...

– ციხიდან და კუნძულიდან შორს მოგვიხდება ჩასაფრება?

– ერთ მილზე.

– ეგ კარგია: უფრო ახლოს რომ ვყოფილიყავით, ციხიდან კნეხტების გამოგზავნა შეეძლოთ, ასე კი გამოგზავნას ვინ ჩივის, ძახილსაც ვერ გაიგონებენ.

– მე ეგ უკვე გავითვალისწინე.

– რაკი ერთი გაითვალისწინე, მაშინ მეორეზეც იფიქრე: თუ ეგ გლეხები სანდო ხალხია, ორი-სამი კაცი წინ გაუშვი და რომელიც პირველი დაინახავს გერმანელს, მაშინვე შეგვატყობინოს.

– ეგ უკვე გაკეთებულია!

– მაშინ, აი, კიდევ რას გეტყვი: ერთ-ორ ასეულს უბრძანე, როცა ჩვენ გერმანელებს შევებმებით, ბრძოლას თავი აარიდონ, გარს შემოიარონ და კუნძულიდან გადაუჭრან გზა.

– ეს მთავარია! – უპასუხა ზბიშკომ. – მაგრამ ეგეთი ბრძანებაც უკვე გაცემულია. გერმანელები ხაფანგში მოექცევიან.

ამის თქმაზე მაცკომ ძმისშვილს მადლიერი თვალით გადახედა. კმაყოფილი იყო, რომ ახალგაზრდა ზბიშკო ასე შესანიშნავად ფლობდა სამხედრო საქმეს.

– ჩვენი ჯილაგისაა! – წაიბურტყუნა მან ღიმილით.

საჭურველმტვირთველ ჰლავას მაცკოზე მეტად უხაროდა გულში: ბრძოლაზე დიდი სიამოვნება მისთვის არ არსებობდა.

– მე არ ვიცი, – თქვა მან, – როგორ იომებს ეგ ჩვენი ხალხი, მაგრამ სიარულით კი უხმაუროდ მოდიან, წესრიგიანად, ეტყობათ, გულით სწყურიათ ბრძოლა. თუკი სკირვოილოს ყველაფერი კარგად აქვს მოფიქრებული, ერთი გერმანელიც ვერ წაგვივა ხელიდან.

– ღმერთმაც ქნას, ცოტანი დაგვიძვრნენ, – უპასუხა ზბიშკომ, – მაგრამ მე ბრძანება მაქვს გაცემული, რაც შეიძლება მეტი ტყვე წამოიყვანონ, და თუკი რაინდი ან ბერ, გამოერევა, არაფრით არ მოკლან.

– რატომ, მოწყალეო ბატონო? – ჰკითხა ჩეხმა.

– თქვენც მიხედეთ, – უთხრა ზბიშკომ, – რაც შეიძლება მეტი ტყვე წამოიყვანეთ. თუ რომელიმე სტუმარი რაინდი შეგხვდებათ, ათასი ქალაქი ექნება მოვლილი, ათასი ციხე, მილიონი ხალხი ნანახი, ყოველგვარი ახალი ამბავი გაგონილი, ხოლო თუ ბერი შეგხვდებათ, კიდევ უფრო უკეთესი. გულზე ხელი რომ დავიდო, სწორედ მაგისთვის ვარ ჩამოსული, ვინმე წარ-

ჩინებული კაცი ჩავიგდო ხელთ და დანუსიაში გავცვალო. სხვა გზა მე არ დამრჩენია... თუ ეს გზა კი დამრჩენია.

ზბიშკომ ცხენს დეზი ჰკრა და წინ წავიდა, რაზმის სათავეში, რათა უკანასკნელი ბრძანებები გაეცა და თანაც მძიმე ფიქრებს გაქცეოდა, დროც ცოტა რჩებოდა; რაზმი უკვე ჩასასაფრებელ ადგილს უახლოვდებოდა.

– რამ დაარწმუნა ეს ახალგაზრდა პანი, რომ მისი ცოლი ჯერ ისევ ცოცხალია და მაინცდამაინც ამ ადგილებშია? იკითხა ჩეხმა.

– თუკი ზიგფრიდმა ცხელ გულზე არ მოკლა ის შჩიტნოში, – უპასუხა მაცკომ, – მაშინ მართლა შეიძლება კაცს იმედი ჰქონდეს, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია. ხოლო თუ მოკლეს, მაშინ შჩიტნოს ქსონძი აღარ დაგვიწყებდა იმის მოყოლას, რაც ზბიშკომაც გაიგონა. ყველაზე გააფთრებულ ადამიანსაც კი არ მიუვა ხელი უსუსურ ქალზე, მით უმეტეს, უდანაშაულო ბავშვზე.

– უდავოა, ძნელია, მაგრამ ჯვაროსნებისთვის არა. აბა გაიხსენეთ ვიტოლდის ბავშვები?

– ეგ ჭეშმარიტებაა, ჯვაროსნებს მგლის გული უდევთ, მაგრამ ისიც ნაღდია, რომ ზიგფრიდს ის შჩიტნოში არ მოუკლავს, აქეთ წამოვიდა და, შესაძლოა, რომელიმე ციხესიმაგრეში მალავს.

– ოჰ, ნეტავ ეს კუნძული და ციხე აგვაღებინა!

– შენ ერთი ამ ხალხს დახედე, – უთხრა მაცკომ.

– მართალია, მართალი! მაგრამ მე მაინც ერთი რაღაც აზრი მიტრიალებს თავში და ახალგაზრდა ბატონს უეჭველად უნდა ვუთხრა.

– ათიც რომ გიტრიალებდეს, სულ ერთია, ციხის კედლებს შუბებით ვერ მოანგრევ.

ამ სიტყვებზე მაცკომ ხელი გაიშვირა შუბების ტყისკენ. ამ შუბებით იყო შეიარაღებული მებრძოლთა ძალიან დიდი ნაწილი.

– გინახავს სადმე ასეთი ლაშქარი? – ჰკითხა მან.

ჩეხს, რა თქმა უნდა, ამის მსგავსი თავის სიცოცხლეში არაფერი ენახა. მის თვალწინ ტყის ტევრში, სადაც წყობის დაცვა ჭირდა, მიაბიჯებდა მებრძოლთა ჯგრო. ამ ჯგროში მხედრები და ქვეითები ერთმანეთში არეულიყვნენ და ცხენოსნებს რომ არ ჩამორჩენოდნენ, უნაგირებზე, კუდზე ან ფაფარზე ჩაევლოთ მათთვის ხელი. მეომრებს მხრებზე მგლის, ფოცხვერისა და დათვის ტყავები ჰქონდათ მოხურული. თავზე ზოგს ღორის ეშვები ედგა, ზოგს ირმის რქები, ზოგს ბანჯგვლიანი ყურები, და თუ არა შუბების ტყე, გა-

ფისული მშვილდები და ზურგზე მოკიდებული ისრებით სავსე კაპარჭები, განსაკუთრებით ამ ნისლში, ნადირთა ხროვა გეგონებოდათ, შიმშილს ან სისხლის წყურვილს რომ ტყიდან გამოერეკა. იყო ამაში რაღაც შემაშფოთი და ამავ დროს უჩვეულო, თითქოს მზერას უეცრად რაღაც თავზარდამცემი სანახაობა გადაშლოდეს, როცა ცრურწმენის შედეგად ადგილს სწყდება და ტყიდან უგზო-უკვლოდ მოდის არა მხოლოდ ნადირი, არამედ ბუჩქები და ქვებიც.

ამის დანახვაზე ჩეხთან ერთად ჩამოსული ერთი ლენკავიცელი შლიახტიჩი მივიდა მასთან, პირჯვარი გადაიწერა და უთხრა:

– თუ ღმერთი გწამს, მითხარი, ჩვენ ადამიანებთან ერთად მივდივართ, თუ ნამდვილი მგლების ხროვასთან?

ჰლავა თვითონაც რეტდასხმული იყო, მაგრამ გამოცდილი კაცივით, ვეღარაფრით რომ ვერ გააოცებ, უპასუხა:

– მგლები მარტო ზამთრობით დადიან ხროვად, ჯვაროსნების სისხლით კი გაზაფხულზეც შეიძლება დატკბობა.

მართლაც უკვე გაზაფხული იყო – მაისის თვე! ტყეში თხილნარი ხასხასა მწვანე ფოთლებით შემოსილიყო. ღუნღულა ხავსში ამოწვერილ თეთრსა და ცისფერ ყვავილებს, კენკრის ლორთქო ყლორტებსა და გვიმრის დაკბილულ ფოთლებს უმოწყალოდ ქელავდნენ ჯარისკაცები. წვიმებისაგან უხვად მორწყულ ხეებს სველი მერქნის სუნი ასდიოდა, დედამიწას კი ფიჭვის წიწვებისა და გაზაფხულის შმორის სურნელი დაჰკრავდა. მზე ცისარტყელას ფერებით კიაფობდა ფოთლებზე დაკიდულ ნამის წვეთებში და ჩიტები მხიარულად ჟღურტულებდნენ მაღლა ტოტებზე.

ზბიშკო აჩქარებდა ხალხს და რაზმიც სულ უფრო სწრაფად მიიწევდა წინ. მალე ჭაბუკი ისევ დაბრუნდა რაზმის ბოლოში, სადაც მაცკო, ჩეხი და მოხალისე მაზურები მოდიოდნენ. გამარჯვების იმედით ფრთაშესხმული, გამოცოცხლდა, ჩვეულებრივი მწუხარე გამომეტყველება გაუქრა და თვალები ძველებურად აენთო.

– აბა! – შესძახა მან. – ახლა ჩვენ კუდში კი არ უნდა მივჩანჩალებდეთ, წინ უნდა წავუძღვეთ.

და ისინი რაზმის მეწინავე რიგებს წამოეწიენ.

– მომისმინეთ, – განაგრძობდა ზბიშკო, – იქნებ გერმანელებს მოულოდნელად დავესხათ, მაგრამ თუ გონს მოეგნენ და მწყობრის შეკვრა მო-

ასწრეს, მაშინ შეტევა უეჭველად ჩვენ უნდა წამოვიწყოთ, ჩვენი ჯავშანიც უფრო გამძლეა და მახვილებიც უკეთესი, ვიდრე ჟმუდელებისა!

– ეგრე ვქნათ! – თქვა მაცკომ.

ზოგი მხედარი უნაგირზე გასწორდა, თითქოს ახლავე უნდა გაჭრილიყო ბრძოლაში, ზოგმა ჰაერი ღრმად შეისუნთქა და მოსინჯა, კარგად მოძრაობდა თუ არა მახვილი ქარქაშში.

ზბიშკომ კიდევ ერთხელ გაიმეორა, თუ ქვეით კნეხტებში აღმოჩნდებიან რაინდები ან ბერები, ჯავშნებს ზემოდან რომ თეთრი ლაბადები აქვთ მოხურული, არავითარ შემთხვევაში არ დახოცოთ და ტყვედ წამოიყვანეთო. მერე ისევ გამცილებლებს მიუბრუნდა და წუთის შემდეგ რაზმი შეაჩერა.

ისინი გზაზე გამოვიდნენ. ეს გზა კუნძულის პირდაპირ იწყებოდა და ქვეყნის შუაგულში მიდიოდა. ეს არ იყო ნამდვილი დიდი გზა, უფრო შარაგზას მოგაგონებდათ, ცოტა ხნის წინ გაეყვანათ ტყეში და იმდენად დაეტკეპნათ, რომ მასზე, თუმცა ძნელისძნელად, მაინც მოახერხებდა გავლას ჯარი და ფორნები. ორთავ მხრივ ტყე აშოლტილიყო და გზის გაყვანის დროს გადაჭრილი ვეება ფიჭვები ეყარა, ხშირი თხილნარი კი აქა-იქ სულ ფარავდა ტყის წიაღს. ზბიშკომ ისეთი ადგილი შეარჩია, სადაც გზა ნახევარწრედ უხვევდა. ასე რომ, მომავალი მტერი, სანამ სულ ახლოს არ მოვიდოდა, ვერ დაინახავდა მათ და ვეღარც უკან დახევას მოასწრებდა, ვერც საბრძოლო მწყობრის შეკვრას. მან ხალხი გზის ორთავე მხარეს ჩაასაფრა და უბრძანა, მტერს დალოდებოდნენ.

ტყეში ბრძოლას შეჩვეული ჟმუდელები ისე მოხერხებულად ჩაიმალნენ ბუჩქებში, წაქცეული ხეებისა და ამოყრილი ფესვების უკან, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო ამოდენა ხალხი. არც ადამიანის ხმა ისმოდა, არც ცხენის ფრუტუნი. ხანდახან მიყუჟულ ხალხს ტყის წვრილი ან მსხვილი ნადირი თუ ჩაურბენდა და, ზედ რომ გადააწყდებოდა, მაშინღა დაიფრუტუნებდა შეშინებული და გვერდზე გახტებოდა. დროდადრო ნიავი წამოუბერავდა, ტყეს დიდებულ შრიალს მოჰფენდა და მერე ისევ მიჩუმდებოდა; და მაშინ ირგვლივ მხოლოდ გუგულის გუ-გუ და კოდალას კაკუნიღა ისმოდა.

ამ ხმას ჟმუდელები ხარბად უსმენდნენ, განსაკუთრებით კი კოდალების კაკუნი ახარებდათ, რადგან ამას ბედნიერების მაუწყებლად მიიჩნევდნენ. კოდალები კი იმ ტყეში ბევრი იყო და მათი კაკუნი ყოველი მხრიდან ისმოდა, გულმოდგინე, სწრაფი, ადამიანურ შრომას რომ გაგახსენებდათ. გეგონებოდათ, ხეს კი არ ხვრეტენ, გრდემლს ურტყამენ, აქ თითოეულს თა-

ვისი სამჭედლო აქვს და ადრე დილით გულდადებით შესკდომიდან მუშაობასო. მაცკოსა და მაზურების წარმოსახვით კი თითქოს ხუროები აჭედებდნენ ნივნივებს ახალ სახლზე, – და ამაზე თავიანთი მშობლიური მხარე ახსენდებოდათ.

მაგრამ დრო მიიზლაზნებოდა და ჩვეულებრივი ტყის ხმაურისა და ჩიტების გნიასის გარდა არაფერი ისმოდა. ნისლი ნელ-ნელა აიკრიფა, მზემ შესამჩნევად მაღლა აიწია და დააცხუნა, მებრძოლები კი ისევ ისე გაწოლილიყვნენ. ბოლოს ჰლავა, რომელსაც მოსწყინდა ლოდინი და სიჩუმე, დაიხარა და ზბიშკოს ყურში წასჩურჩულა:

– მოწყალეო ბატონო... თუ ღვთის შეწევნით ვერც ერთი ძაღლისშვილი ცოცხალი ვერ წაგვივიდა ხელიდან, იქნებ მაშინ ღამით კუნძულს მივეპაროთ, იქით ნაპირზე გადავიდეთ, გერმანელებს მოულოდნელად დავესხათ და ციხესიმაგრე ავიღოთ?

– შენა გგონია, ნავებს არ იცავენ და პაროლი არა აქვთ?

– ნავებსაც იცავენ და პაროლიც აქვთ, – ისევ აჩურჩულდა ჩეხი, – მაგრამ დანის მუქარით ყველა ტყვე გვეტყვის პაროლს, ანდა სულაც თვითონვე გასძახებენ თავიანთებს გერმანულად. ოღონდ კი კუნძულამდე მივიდოდეთ და მერე ციხე...

მაგრამ აღარ დაუმთავრებია. ზბიშკომ ხელისგული ააფარა პირზე, რადგან გზიდან ყვავის ჩხავილი მოესმა.

– ჩუმად! – უთხრა მან, – ეს დათქმული ნიშანია! რამდენიმე წუთის შემდეგ გზაზე გამოჩნდა გაბანჯგვლულ დაბალ ცხენზე შემომჯდარი ჟმუდელი. ცხენს ფლოქვებზე ცხვრის ტყავი ჰქონდა ამოკრული, რომ ხმა დახშულიყო და ტალახზე კვალი არ დაეტოვებინა.

ჟმუდელმა მიიხედ-მოიხედა, საპასუხო ნიშანს დაელოდა, მერე ჩაეშვა ლელიანში და წამში ზბიშკოსთან გაჩნდა.

– მოდიან!... – თქვა მან.

XIX

ზბიშკომ ფიცხლად გამოჰკითხა, როგორ მოდიოდნენ გერმანელები, რამდენი ცხენოსანი და ქვეითი კნეხტი ჰყავდათ და, რაც მთავარია, რა მანძილზე იყვნენ აქედან. ჟმუდელისაგან მან გაიგო, რომ რაზმში ას ორმოცდა-

ათიოდე ადამიანი იყო, აქედან ორმოცდაათი ცხენოსანი, რომელთაც მოუძღოდათ არა ჯვაროსანი, არამედ საერო რაინდი, რომ ისინი მწყობრად მოდიოდნენ, უკან სათადარიგო ბორბლებით დატვირთული ფორნები მოჰყვებოდათ, რაზმს წინ მოუძღოდა ისრის ორი გასროლის მანძილით დაშორებული რვა კაცისაგან შემდგარი „ბადრაგი“, რომლებიც ხშირად უხვევდნენ გზიდან ბარდებში და ტყეს ათვალიერებდნენ, დაბოლოს, მთელი რაზმი უკვე სულ ახლოს იყო, დაახლოებით ორ ვერსზე.

ზბიშკოს ეწყინა, როცა გაიგო, გერმანელები მწყობრად მოდიოდნენ. გამოცდილებით იცოდა, როგორი ძნელი იყო ასეთ შემთხვევაში მათი შემჭიდროებული რიგების დარღვევა. როგორ მოხერხებულად იცავდა თავს ასეთი რაზმი უკან დახევის დროს, ისე უსხლტებოდა მტერს, როგორც ძაღლებით შემოხვეული მარტოდ დარჩენილი ტახი. სამაგიეროდ, ძალიან გაუხარდა, როცა გაიგო, გერმანელები სულ ორ ვერსზე არიანო. აქედან ის დაასკვნა, რომ მისი გაგზავნილი ხალხი, რომელთაც ზურგიდან უნდა შემოევლოთ მტრისთვის, უკვე თავის ადგილას იყო და თვითონ გინდაც დამარცხებულიყო, არც ერთ სულიერს ცოცხალს არ გაუშვებდა. ბადრაგი ზბიშკოს სულ არ ადარდებდა: მან უკვე უბრძანა ჟმუდელებს შეუფერხებლად გაეტარებინათ ისინი, ხოლო თუ კნეხტები ტყეში გადმოხვევას მოინდომებდნენ, ყველა დაეჭირათ, უკანასკნელ კაცამდე.

ბოლო ბრძანება ზედმეტი აღმოჩნდა. ბადრაგი მალე თავის რაზმთან მივიდა. გზის პირას ფესვებს ამოფარებულმა ჟმუდელებმა აშკარად დაინახეს, როგორ შეჩერდნენ კნეხტები მოსახვევში და რაღაცაზე დაიწყეს ლაპარაკი. მათმა უფროსმა, ჟღალწვერიანმა ჩასხმულმა გერმანელმა, ანიშნა გაჩერებულიყვნენ და ყური მიუგდო. ერთ წამს ყოყმანობდა, გზიდან ტყეში ხომ არ გადავუხვიოვო, მაგრამ კოდალების კაკუნი რომ გაიგონა, იფიქრა, ტყეში რომ ხალხი იყოს, ჩიტები ასე უდარდელად არ იშრომებენო, და ხელით ანიშნა რაზმს, გზა განეგრძოთ.

ზბიშკო დაელოდა, სანამ გერმანელები მეორე მოსახვევს მიეფარებოდნენ, მერე კი თავით ფეხამდე შეიარაღებული რაინდებით ზედ გზის პირს მიადგა. სხვებთან ერთად აქ იყვნენ მაცკო, ჩეხი, ორი ლენკავიცელი შლიახტიჩი, სამი ახალგაზრდა ცეხანოველი რაინდი და სხვებზე უკეთ შეიარაღებული ოციოდე ჟმუდელი ბოიარი. ახლა დამალვას მაინცდამაინც მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ამიტომ ზბიშკომ გადაწყვიტა, როგორც კი გერმანელები გამოჩნდებოდნენ, მაშინვე გადაეღობა მათთვის გზა, მტერს სცემოდა და გაერღვია მისი რიგები. ეს რომ მოეხერხებინა და საერთო ბრძო-

ლის ნაცვლად ცალკეული შეტაკებები გაემართათ, დარწმუნებული იყო, ჟმუდელები გერმანელებს აჯობებდნენ.

ერთი წამით ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, რომელსაც ჩვეულებრივი ტყის ხმაურის გარდა არაფერი არღვევდა, მაგრამ მალე გზის აღმოსავლეთით ადამიანთა ხმები მოისმა, ჯერ შორეული და გაურკვეველი, მერე კი თანდათან მოახლოვდა, მკაფიო გახდა.

იმავ წამს ზბიშკომ თავისი რაზმი შუა გზაზე გამოიყვანა და სოლისებურად დააწყო, თვითონ რაზმს სათავეში ჩაუდგა, მაცკო და ჩეხი კი მის უკან იყვნენ. მესამე რიგში სამი კაცი. იდგა, შემდეგში – ოთხი. ყველა კარგად იყო შეიარაღებული; მართალია, გრძელი რაინდული შუბები აკლდათ, მაგრამ ტყეში ეს შუბები მხოლოდ ხელს შეუშლიდათ. სამაგიეროდ, პირველი შეტევისათვის რაინდებს ხელთ ჰქონდათ რაინდულზე ცოტა მოკლე და უფრო მსუბუქი ჟმუდური შუბები, ფიცხელი ხელჩართული ბრძოლისთვის კი უნაგირებთან მახვილები და ცულები ეკიდათ.

ჰლავამ ყური მიუგდო და მაცკოს წასჩურჩულა:

– მღერიან, ეშმაკმა წაიღოს მაგათი თავი!

– მიკვირს, ტყე წინ რატომ ხშირდება, ისინიც რაღაც არა ჩანან, – შენიშნა მაცკომ.

– ზბიშკომ გადაწყვიტა, რომ სიფრთხილე უკვე საჭირო აღარ იყო, ამიტომ მოუბრუნდა და ხმამაღლა უპასუხა:

– ეს იმიტომ, რომ გზა მდინარეს მიჰყვება და ხშირი მოსახვევები აქვს. ჩვენ მათ მოულოდნელად შევხვდებით და მით უკეთესი.

– მხიარულ სიმღერას კი მღერიან! – შენიშნა ჩეხმა.

გერმანელები რომ სასულიერო სიმღერას არ მღეროდნენ, ეს აშკარა იყო მისამღერის მიხედვით. ყური რომ კარგად მიგეგდოთ, მიხვდებოდით, რომ სულ ოციოდე კაცი მღეროდა, დანარჩენები კი მხოლოდ მისამღერს ამბობდნენ, რომელიც გრგვინვასავით ისმოდა ტყეში.

ასეთი მხიარული და სიცოცხლის ხალისით აღსავსენი მიდიოდნენ გერმანელები სიკვდილის შესახვედრად.

– ახლა ისინი გამოჩნდებიან, – თქვა მაცკომ.

მას სახე ჩაუშავდა და მგლური გამომეტყველება მიიღო ის ულმობელი და შემართული იყო, დღემდე არ გადაეხადა იმ ისრის სამაგიერო, ფერდში

რომ გაურჭვეს გერმანელებმა, როცა ვიტოლდის დის წერილით მაგისტრთან მიდიოდა ზბიშკოს დასახსნელად.

ახლა ის შურისძიების გრძნობას მოეცვა ერთიანად.

„ვაი იმისი ბრალი, ვინც ამას პირველი გადააწყდება“, – გაიფიქრა ჰლავამ, როცა თვალი შეავლო მოხუც რაინდს.

ამ დროს ქარმა მისამღერის სიტყვები მოიტანა, გერმანელები რომ გუნდად იმეორებდნენ: „ტანტანტარადაი! ტანტარადაი!“ – მერე კი ჩეხმა გაიგონა ცნობილი სიმღერა:

Bi den rôsen, er wol mac, ,

Tantaradei!

Merken va mir‘z houbet lac...

და უცებ გერმანელებმა შეწყვიტეს სიმღერა. გზის ორთა ვე მხრიდან ისეთი ხმამაღალი და ყურისწამღები ყრანტალი გაისმა, გეგონებოდათ, ტყეში ამ ადგილას ყვავების სეიმი შეიკრიბაო. ჯვაროსნებს გაუკვირდათ, საიდან გაჩნდა აქ ამდენი ყვავი და მათი ჩხავილი რატომ მოისმის ქვემოდან და არა ზემოდანო. სწორედ ამ დროს კნეხტთა პირველი რიგი გამოჩნდა მოსახვევში. წინ რომ უცნობი მხედრები დაინახეს, მეხდაცემულებივით შეჩერდნენ.

ამავე წამში ზბიშკო ცხენზე გაწვა, დეზი ჰკრა:

– წინ, მტერზე!

დანარჩენებიც მას მიჰყვნენ. ტყის ორთავე მხარეს ჟმუდელთა გამაყრუებელი ხმები მოედო. გერმანელთა პირველ რიგს ზბიშკოს სულ ორასიოდე ნაბიჯი აშორებდა. მათ თვალის დახამხამებაზე მოიმარჯვეს შუბები, დანარჩენმა რიგებმა კი პირი იბრუნეს – ზოგმა მარჯვნივ, ზოგმა მარცხნივ, რათა ფლანგებიდან მოეგერიებინათ თავდასხმები. პოლონელ რაინდებს ალბათ გააოცებდათ ჯვაროსნების წრთობა, მაგრამ სად იყო ამისი დრო, ცხენები შურდულებივით მიქროდნენ პირდაპირ მათზე მომართული მოელვარე შუბებისკენ.

ზბიშკოს საბედნიეროდ, გერმანელი ცხენოსნები რაზმის ბოლოში იყვნენ, ფორნებთან. მართალია, ისინი იმწამსვე გამოეშურნენ ქვეითების დასახმარებლად, მაგრამ ვერც კნეხტების რიგები გამოჰკვეთეს და ვერც გვერდი აუარეს მათ, რომ პირველი დაწოლისაგან მაინც ეხსნათ. ამას გარდა, თვითონ შემოერტყათ ჟმუდელთა მთელი ურდო, რომლებიც ბუჩქებიდან გაავებული ბზიკებივით გამოცვივდნენ. ასე იციან ხოლმე ბზიკებმა, როცა

მათ ბუდეს ფეხს დაადგამს გაუფრთხილებელი მგზავრი. ამასობაში ზბიშკო თავისი მეომრებით ქვეითებს ეძგერა.

მაგრამ ეს დარტყმა წარმატებით ვერ დასრულდა. გერმანელებმა ისე ჩაარჭვეს თავიანთი მძიმე შუბები და ბერდიშები წვეტიანი ტარებით მიწაში, ისეთ სწორ და მყარ კედლად აღმართეს, რომ ჟმუდელთა მსუბუქ ცხენებს არ შეეძლოთ ამ კედლის გარღვევა. მაცკოს. ცხენი გალოში დაიჭრა, ჯერ ყალყზე შედგა, მერე კი დრუნჩი მიწას ატაკა. წამიც და მოხუც რაინდს სიკვდილი არ ასცდებოდა, მაგრამ გამობრძმედილმა მეომარმა უზანგებიდან ფეხების ამოღება მოასწრო, ხელი სტაცა გერმანელის შუბის წვერს, რომელმაც იმის მაგივრად რომ გულში ჩასობოდა, საყრდენის მაგივრობა გაუწია, მერე ჩამოხტა, ცხენებს შორის გასრიალდა, მახვილი გაიძრო და ისე შეუტია გერმანელთა შუბებსა და ბერდიშებს, როგორც სონღულმა, როცა ის გამძვინვარებული კორტნის გრძელცხვირა წეროთა გუნდს.

ზბიშკოს ცხენი ზედ გერმანელთა კედელთან ერთბაშად შეჩერდა და უკანა ფეხებზე ჩაიკეცა; ახალგაზრდა რაინდი შუბს დაეყრდნო, მაგრამ შუბი გადაუტყდა; მაშინ მახვილი იძრო. ჩეხმა, რომელსაც ცული ყველა იარაღს ერჩია, სწორედ ის სტყორცნა გერმანელებს და მცირე ხნით უიარაღოდ დარჩა. ერთი ლენკავიცელი შლიახტიჩი დაიღუპა, მეორე კი ამის გამო ისეთმა მრისხანებამ შეიპყრო, რომ მგელივით დაიყმუვლა, სისხლში ამოსვრილი ცხენი ყალყზე შეაგდო და გააფთრებული შუაგულ გერმანელებს შეერია. ჟმუდელი ბოიარები მახვილებით ამსხვრევდნენ გერმანელთა შუბების წვერებსა და ხის ტარებს, რომელთა იქით კნეხტების გაოცებული, შეუპოვრობითა და რისხვით დამანჭული სახეები მოჩანდა. გერმანელთა რიგების გარღვევა რაინდებმა ამჯერად ვერ მოახერხეს. ჟმუდელებმა ფლანგებიდან მოინდომეს დარტყმა, მაგრამ მაშინვე უკან მიაწყდნენ, თითქოს ზღარბმა დასუსხაო. მართალია, მერე ისევ მიუბრუნდნენ გერმანელებს და უფრო მეტი გააფთრებით შეუტიეს, მაგრამ ამჯერადაც ვერაფერს გახდნენ.

ზოგიერთი ჟმუდელი ელვის სისწრაფით აძვრა გზისპირა ფიჭვებზე და იქიდან დაუშინეს კნეხტებს ისრები; გერმანელთა მეთაურმა შეამჩნია ეს და ბრძანა უკან დაეხიათ თავიანთი ცხენოსნებისაკენ. ახლა გერმანელმა მშვილდოსნებმაც მოიმარჯვეს თავიანთი მშვილდები და ფიჭვის ტოტებში შემალული ბევრი ჟმუდელი ჩამოვარდა მწიფე გირჩივით, სულთმაბრძოლნი ხელებით ფხოჭნიდნენ ხავსს ან ფართხალებდნენ ნაპირზე გადმოგდებული თევზივით. ყოველი მხრიდან გარშემორტყმული გერმანელები გამარჯვებაზე აღარც ოცნებობდნენ, მაგრამ წარმატებით იცავდნენ თავს და

იმედი ჰქონდათ, რომ ამ ალყას მცირე ნაწილი მაინც გადაურჩებოდა და უკან, მდინარემდე გააღწევდა.

არც ერთ გერმანელს აზრად არ მოსვლია ტყვედ ჩაბარებოდა მტერს. თვითონ დაუნდობლად ექცეოდნენ ტყვეებს და აღარ ჰქონდათ შეწყალების იმედი იმ ხალხისაგან, რომელიც სასოწარკვეთამდე მისული იარაღით ხელში აღმდგარიყო თავისი მტრის წინააღმდეგ. ისინი უხმოდ, შემჭიდროებული რიგებით, ერთმანეთის მხარდამხარ იხევდნენ უკან. შუბებითა და ბერდიშებით საერთო არეულობაში მტერს ჩეხავდნენ და ასე უახლოვდებოდნენ თავიანთ ცხენოსან ჯარს, რომელიც ამ დროს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყო ჩაბმული ჟმუდელთა სხვა რაზმთან.

უცებ სრულიად მოულოდნელმა ამბავმა გადაწყვიტა ფიცხელი ბრძოლის ბედი. ლენკავიცელი შლიახტიჩი, რომელიც ძმის სიკვდილმა გააშმაგა, დაიხარა, ისე, რომ ცხენიდანაც არ ჩამომხტარა, და მოკლულის გვამი ხელში აიღო, ეტყობოდა, არ უნდოდა ცხენებს ფლოქვებით გადაეთელათ, სადმე მოფარებულ ადგილას აპირებდა ალბათ გადამალვას, რომ ბრძოლის შემდეგ ადვილად ეპოვა. მაგრამ ამ დროს კიდევ უფრო მძლავრად შეიპყრო რისხვამ, გონი მთლად დაებინდა, იმის მაგივრად, რომ გზიდან გადაეხვია, კნეხტებს ეცა და ძმის გვამი გერმანელთა შუბების წვერებზე ისროლა, შუბები გვამს მკერდში, მუცელსა და ფერდებში შეესო და სიმძიმისაგან მოიხარა. კნეხტებმა გონს მოსვლა და შუბების გამოძრობა ვერ მოასწრეს, რომ შეშლილმა ერთმანეთზე მიალაგა ისინი და გრიგალივით გაარღვია მათი მწყობრი.

მეყსეულად ათობით ხელი წარიმართა მისკენ, ათობით შუბმა გასერა მისი ცხენის გვერდები; მაგრამ ამ დროს რიგები ერთმანეთში აირია და, სანამ მწყობრს ისევ აღადგენდნენ, ერთი ჟმუდელი ბოიარი, რომელიც უფრო ახლო იდგა მათთან, ეკვეთა გერმანელებს, მას მიჰყვნენ ზბიშკო და ჩეხი. საშინელი არევ-დარევა სულ უფრო მატულობდა, დანარჩენმა ბოიარებმაც დაავლეს ხელი მოკლულთა გვამებს და შუბის წვერებზე ისროლეს ისინი, ფლანგებიდან კი ისევ შემოუტიეს ჟმუდელებმა. მტკიცე რიგები შეირყა, შეკრთა, როგორც კედლებდახეთქილი სახლი, გაიყო, როგორც სოლჩარჭობილი ხის მორი, და საბოლოოდ გაიფანტა.

ბრძოლა თვალის დახამხამებაში საყოველთაო ხოცვაჟლეტად იქცა, ამ ორომტრიალში გერმანელთა შუბები და გრძელტარიანი ნაჯახები სრულიად უსარგებლო გახდა, სამაგიეროდ, ჟმუდელ ცხენოსანთა ხმლები შეუსვენებლად ჩეხდნენ გერმანელთა თავებს. ცხენები ავიწროებდნენ ხალხს, თე-

ლავდნენ უბედურ კნეხტებს. ცხენოსნებისთვის ადვილი იყო ზემოდან ჩეხვა და ისინიც შეუსვენებლად ხოცავდნენ.

გზის ორსავე მხრიდან ემატებოდათ და ემატებოდათ მგლის ტყავში გახვეული და მგლებივით სისხლმოწყურებული ველური მეომრები. მათი ყიჟინა ახშობდა პატიების მუდარას და მომაკვდავთა კვნესას. დამარცხებულები იარაღს ყრიდნენ; ზოგი ტყეში ცდილობდა მიმალვას, ზოგი თავს იმკვდარუნებდა და ძირს ეცემოდა, სხვებს თვალები დაეხუჭათ და ადგილზევე მიყინულიყვნენ მიტკალივით გაფითრებულნი, ზოგი ლოცულობდა; ერთი კნეხტი კი, ეტყობა, ჭკუაზე გადაცდენილიყო, ხელში სალამური ეკავა, უკრავდა, იღიმებოდა და ცას შეჰყურებდა, სანამ ერთმა ჟმუდელმა მეომარმა კომბალით არ გაუჩეხა თავი. ტყე მიყუჩდა. გეგონებოდათ, ამდენმა სიკვდილმა შეაძრწუნაო.

როგორც იქნა, კოშტად შეკრული ჯვაროსნები დაშალეს, მხოლოდ დროდადრო მოისმოდა ბუჩქებიდან ხანმოკლე შებრძოლების ხმაური ან გულისგამგმირავი, სასოწარკვეთილი ყვირილი. ზბიშკო, მაცკო და მათთან ერთად ყველა მხედარი ახლა გერმანელთა ცხენოსნებს დაერივნენ.

გერმანელებმა წრე შეჰკრეს და თავს ისე იცავდნენ. ყოველთვის ასე იცოდნენ ხოლმე, როცა მტრის ჭარბი ძალები შემოერტყმოდათ. ჯვაროსნებს კარგი ცხენოსნები ჰყავდათ, საჭურველიც უკეთესი ჰქონდათ, ვიდრე ქვეითებს, უფრო მამაცურად იბრძოდნენ, გასაოცარი სიჯიუტით. მათში არც ერთი თეთრლაბადიანი რაინდი არ ერია; რაზმი უმეტესწილად საშუალო და წვრილი პრუსიელი თავადაზნაურებისგან შედგებოდა, რომლებიც ორდენის გაწვევით ვალდებული იყვნენ ომში წასულიყვნენ. ცხენები უმთავრესად შეჯავშნულები ჰყავდათ, ფოლადის საშუბლეებიც ეკეთათ. ცხენოსნებს მეთაურობდა მაღალ-მაღალი კოხტა რაინდი, მუქი ცის ფერი ჯავშანი ეცვა და ასეთივე ფერის ზარადჩამოშვებული ჩაჩქანი ეხურა.

ტყიდან გერმანელებს ისრებს სეტყვასავით აყრიდნენ, ისრები სხლტებოდა მათს საშუბლეებზე, ჯავშნებსა და სამუხლეებზე. ქვეითი და ცხენოსანი ჟმუდელები მჭიდროდ შემოერტყნენ გერმანელთა რაზმს. მაგრამ გერმანელები ისე გაშმაგებით იცავდნენ თავს, ისე ჩეხდნენ და ჩხვლეტდნენ მათ თავიანთი გრძელი მახვილებით, რომ ცხენთა ფლოქვებს ქვეშ გვამებს მთლიანად დაეფარა იქაურობა. თავდამსხმელთა პირველი რიგები შეეცადნენ უკან დაეხიათ, მაგრამ უკნიდან ახალი და ახალი ძალები აწვებოდათ და დახევის საშუალება უკვე აღარ ჰქონდათ. ბრძოლის ქაოსში ყველაფერი აირია. თვალს მოგჭრიდა შუბების, მახვილების ლაპლაპი. ცხენები ჭიხვინებდნენ, იკბინებოდნენ და წიხლებს ყრიდნენ. მაგრამ ამ დროს მო-

უსწრეს ჟმუდელმა ბოიარებმა, მოუსწრეს ზბიშკომ, ჩეხმა და მაზურებმა. მათი მძლავრი დარტყმებისგან ცხენოსნები შედრკნენ და შეირხნენ, როგორც ტყე ქარის წამობერვაზე. ისინი კი ტყისმჭრელების მსგავსად ნელ-ნელა, მთელი ძალების დაძაბვით, მძიმე ბრძოლებით მიიწევდნენ წინ.

მაცკომ ბრძანა ბრძოლის ველზე დაყრილი გრძელი გერმანული ბერდიშები მოეგროვებინათ, იმითი ოცდაათამდე ველური მეომარი შეაიარაღა და გერმანელთა მჭიდრო რიგებში შეიჭრა: „დასცხეთ ცხენებს ფეხებში!“ – დასჭყივლა მან და მხედრებისკენ წაიწია. ამ ამბავმა გადაწყვიტა კიდევაც ბრძოლის ბედი. გერმანელი რაინდები მახვილებით ვერ სწვდებოდნენ ჟმუდელებს, ამასობაში კი ბერდიშებით უმოწყალოდ ურტყამდნენ ფეხებში მათს ცხენებს. მაშინ ცისფერი რაინდი მიხვდა, რომ ხსნა აღარსად იყო, ისღა დარჩენოდა ბრბო გაეკვეთა, უკნიდან რომ გზას უჭრიდა, ან არადა დაღუპულიყო.

მან პირველი გზა ირჩია და მისი ბრძანებით რაინდთა რიგები სწრაფად შებრუნდნენ. ჟმუდელები მაშინვე დააწვნენ უკნიდან; მაგრამ გერმანელებმა ფარები ზურგზე მოიგდეს, ჩეხვით გაარღვიეს მტრის რკალი და გრიგალივით გაიჭრნენ აღმოსავლეთისაკენ. მათ გზა გადაუჭრა ბრძოლაში ახლახან ჩაბმულმა რაზმმა; მაგრამ უკეთ შეიარაღებულმა და მაღალ ცხენებზე ამხედრებულმა მტერმა წამში გადათელა ისინი, ისე წააწვინა, როგორც ქარისაგან მონაბერი ჯეჯილი. გზა ციხესიმაგრისაკენ განთავისუფლდა, მაგრამ გადარჩენაზე ფიქრი მაინც არ შეიძლებოდა, რადგან ჟმუდელთა ცხენები გერმანელთა ცხენებზე უფრო სწრაფები იყვნენ. ცისფერი რაინდი შესანიშნავად მიხვდა ამას.

„საშველი არ არის! – თქვა მან თავისთვის. – ვერც ერთი ჩვენგანი ვერ გადარჩება. მხოლოდ ჩემი საკუთარი სისხლის ფასად შემიძლია მათი ხსნა“.

მან ყველაზე ახლოს მდგომ ჯვაროსნებს გასძახა, შეჩერდითო, თვითონ კი ცხენი შემოაბრუნა და არც შეუხედია, შეისმინა თუ არა მისი ბრძანება ვინმემ, მოწინააღმდეგისაკენ დაიძრა.

მდევნელებს წინ ზბიშკო მიუძღოდა. გერმანელმა დასცხო მას მუზარადში, მაგრამ ვერც მუზარადი დაუზიანა და ვერც სახე. მაშინ ზბიშკომ იმის ნაცვლად, რომ დარტყმაზე დარტყმითვე ეპასუხნა, რაინდს ხელი სტაცა და უნაგირიდან ჩამოგდება მოუნდომა, რადგან ძალიან უნდოდა ცოცხლად ჩაეგდო ხელთ. დაძაბულობისაგან მას უზანგი გაუწყდა და ორთავე რაინდი მიწაზე დავარდა. ცოტა ხანს იგორეს და ერთიმეორეს ფეხებსა და

ხელებს ურტყამდნენ, მაგრამ სულ მალე არაჩვეულებრივად ღონიერმა ზბიშკომ დასძლია მოწინააღმდეგე, მუცელზე მუხლი დააჭირა და მიწას მიაჯაჭვა. ასე მოიგდებს ხოლმე მგელი ძაღლს, როცა ის გაბედავს და ტყეში თავს დაესხმის.

თუმცა ეს საჭიროც აღარ იყო, რადგან გერმანელმა გრძნობა დაკარგა. ამასობაში მაცკომ და ჩეხმა მოირბინეს, ზბიშკომ კი, ისინი რომ დაინახა, შესძახა:

– აქეთ! შეჰკარით ჩქარა! ეს ვიღაც ცნობილი რაინდია, თანაც ქამარიც არტყია!

ჩეხი ცხენიდან ჩამოხდა, მაგრამ გერმანელი აღარ გაუთოკავს, რადგან ისედაც უგრძნობლად იყო, მხოლოდ იარაღი აჰყარა, სამხრეები შეუხსნა, მოკლემახვილიანი ქამარი მოხსნა, გადაუჭრა ღვედები, მუზარადს რომ უმაგრებდა, და ზარადი გადასწია.

მაგრამ რაინდს სახეზე დახედა თუ არა, წამში ფეხზე წამოხტა და შესძახა:

– ბატონო, ბატონო, შეხედეთ ერთი!

– დე ლორში! - იყვირა ზბიშკომ.

დე ლორში კი მიცვალებულივით გაუნძრევლად იწვა, გადაფითრებული, თვალებდახუჭული, სახე ოფლით დაცვაროდა.

XX

ზბიშკომ ბრძანა ის ერთ-ერთ ნადავლ ფორანზე დაეწვინათ, ახალი ბორბლებითა და ღერძებით დატვირთული ციხესიმაგრისაკენ დასახმარებლად რომ მიდიოდა. თვითონ ცხენი გამოიცვალა და მაცკოსთან ერთად გაქცეულ გერმანელებს დაედევნა. მათი დაწევა ძნელი არ იყო: გერმანელთა ცხენები დიდი სისწრაფით არ გამოირჩეოდნენ და გაზაფხულის წვიმებით გაბიჟვინებულ მიწაზე კიდევ უფრო უჭირდათ ჭენება. მოკლული ლენკავიცელი შლიახტიჩის მორჩილ და ფეხმარდ ცხენზე ამხედრებულმა მაცკომ ნახევარი ვერსი რომ გაიარა, ყველა ჟმუდელი უკან მოიტოვა და პირველ რეიტარს წამოეწია. რაინდული ადათისდა მიხედვით შესთავაზა დანებებოდა ან ორთაბრძოლაში შესჭიდებოდა, მაგრამ იმან თავი მოიყრუა, ფარიც კი დააგდო, რათა ცხენი შეემსუბუქებინა, მშვილდზე დაიხარა და ცხენს

დეზები ფერდებში ამოჰკრა; მაშინ მოხუცმა რაინდმა ფართო ცული საშინლად ჩასცხო ბეჭებს შუა და ცხენიდან ძირს დასცა.

ასე იძიებდა მაცკო შურს გაქცეულ მტერზე ოდესღაც ვერაგულად ნასროლი ისრის გამო, ისინი კი ირმის ჯოგივით იფანტებოდნენ სიკვდილის შიშით შეპყრობილნი, არც ბრძოლა უნდოდათ, არც თავის დაცვა, ოღონდ როგორმე გასცლოდნენ ამ საშინელ რაინდს. ათიოდე გერმანელმა ტყისკენ გადაუხვია; ერთი ნაკადულთან ჩაეფლო და ჟმუდელებმა ის თოკით გაკოჭეს, დანარჩენებს კი ტყის ტევრში ჯგროდ დაედევნენ და მალე ისეთი ველური ნადირობა გაიმართა, მთელ ტყეს ადამიანთა ყვირილი, კვნესა და გოდება მოედო. კიდევ დიდხანს გაისმოდა ეს ხმები, სანამ ყველა გერმანელი სათითაოდ არ დაიჭირეს. ამის შემდეგ მოხუცი ბოგდანეცელი რაინდი ზბიშკოსთან და ჩემთან ერთად პირველი შეტაკების ადგილზე დაბრუნდა, სადაც კნეხტთა გვამები ეყარა. ეს გვამები თავიდან ფეხებამდე გაეშიშვლებინათ, ზოგიერთი კი შურისძიებით აღვსილ ჟმუდელებს საშინლად დაემახინჯებინათ. მტრის რაზმი მთლიანად განადგურებული იყო და ხალხი ზეიმობდა. გოტესვერდერთან სკირვოილოს უკანასკნელი დამარცხების შემდეგ ხალხს გულში ეჭვი შეეპარა, მით უმეტეს, რომ ვიტოლდის შეპირებული დახმარება ჯერ არსად ჩანდა. ახლა კი იმედი გაუღვივდათ და ისე აენთოთ გულები, როგორც ცეცხლი აბრიალდება ხოლმე შეშის შეკეთებაზე.

დახოცილები, ჟმუდელებიც და გერმანელებიც, იმდენი იყვნენ, რომ მათი დამარხვა არავის შეეძლო, ამიტომ ზბიშკომ ბრძანა მხოლოდ ორი ლენკავიცელი შლიახტიჩისთვის, მათი გამარჯვების სულისჩამდგმელთათვის, გაეთხარათ შუბებით საფლავი ფიჭვების ძირას, ამ ფიჭვებზე მან მახვილით ჯვრები გამოსახა. მერე ჩეხს უბრძანა, ყური ეგდო ბატონი დე ლორშისათვის, რომელიც ჯერაც ვერ მოეყვანათ გრძნობაზე, თვითონ კი სასწრაფოდ წაიყვანა ხალხი სკირვოილოსთან, რათა საჭიროების შემთხვევაში დახმარებოდა მას.

კარგა ხნის სიარულის შემდეგ ისინი დაცარიელებულ ბრძოლის ველზე გავიდნენ. ეს ველიც მოფენილი იყო ჟმუდელებისა და გერმანელების გვამებით. ზბიშკო მაშინვე მიხვდა, რომ მრისხანე სკირვოილოსაც საგულისხმო გამარჯვება მოეპოვებინა; ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ისინი გერმანელებს გზაში შეხვდებოდნენ. მაგრამ, ეტყობოდა, იაფად არ დასჯდომოდა სკირვოილოს ეს გამარჯვება: ბრძოლის ველის საზღვრებს გარეთაც მიწა გვამებით იყო მოფენილი. გამობრძმედილმა მაცკომ აქედან დაასკვნა, რომ გერმანელთა ნაწილს გაქცევით ეშველა თავისთვის.

ძნელი სათქმელი იყო, გამოედევნა თუ არა მათ სკირვოილო. გადათელილი კვალი ცუდად ჩანდა. მაცკომ მაინც ივარაუდა, რომ ბრძოლა დიდი ხნის წინ მომხდარიყო, იქნებ უფრო ადრეც, ვიდრე ზბიშკოს რაზმისა, რადგან გვამები უკვე ჩაშავებული და დასიებული იყო, ზოგიერთი კი მგლებსაც დაეგლიჯათ, შეიარაღებული ხალხის მოახლოებაზე ტყის ტევრს რომ ეფარებოდნენ.

ზბიშკომ გადაწყვიტა აღარ დალოდებოდა სკირვოილოს და ძველ საიმედო ბანაკში დაბრუნებულიყო. ბანაკში გვიან ღამით მივიდა და ჟმუდელთა მხედართმთავარიც იქ ნახა, ცოტა ხნის წინ მოსულიყო. მისი პირქუში სახე ახლა ბოროტ სიხარულს გაენათებინა. მაშინვე ბრძოლის ამბები გამოჰკითხა და, გამარჯვება რომ ახარეს, ყრანტალა ხმით უთხრა:

– მე კმაყოფილი ვარ შენით, ჩემი თავითაც კმაყოფილი ვარ. დახმარება მალე არ მოვა, მაგრამ თუ დიდი მთავარი ჩამოვიდა, ძალიან გაიხარებს, რადგან ციხესიმაგრე უკვე ჩვენი იქნება.

– ტყვედ ვინ ჩაიგდე? – ჰკითხა ზბიშკომ.

– მხოლოდ ნაფოტები, არც ერთი ქარიყლაპია. ერთი იყო, არა, ერთი კი არა, ორი და ორთავე გაგვექცა. ბასრკბილება ქარიყლაპიები! ხალხი დაგვიხოცეს და წავიდნენ!

– მე კი ღმერთმა ერთი ტყვე მარგუნა. მდიდარი და დიდებული რაინდია, თუმცა საერო კაცია, ჯვაროსნების სტუმარი!

საზარელმა ჟმუდელმა ხელები წელზე შემოიჭდო, ყულფის მსგავსად, მერე მარჯვენა ხელი ზევით ასწია, თითქოს თოკს უჩვენებდა.

– აი, რა ერგება მას! – წაილაპარაკა სკივოილომ, და სხვებსაც... დიახ.

მაგრამ ზბიშკომ წარბი შეიკრა.

– არაფერი მაგისი მსგავსი მას არ მოუვა. ის ჩემი ტყვეა და მეგობარი. მთავარმა იანუშმა ერთად შემოგვარტყა ორთავეს ქამრები და მე მას თითს არ დავაკარებ.

– არ დააკარებ?

– არა.

ორთავემ წარბი შეჰყარა და ერთმანეთს გამგმირავი მზერა ესროლეს. გეგონებოდათ, აი, ახლა ამ წუთში ორთავე აფეთქდებაო, მაგრამ ზბიშკოს მოხუც მხედართმთავართან უსიამოვნება არ სურდა. ის აფასებდა და პატივს სცემდა მას. ამას გარდა, ახალგაზრდა რაინდი გახარებული იყო დღე-

ვანდელი გამარჯვებით; ამიტომ კისერზე მოეხვია სკირვოილოს და მკერდზე მიიკრა.

– ნუთუ, – შესძახა მან, – შენ გსურს წამართვა იგი და მასთან ერთად უკანასკნელი იმედი? რატომ გინდა მაწყენინო?

სკირვოილოს ზბიშკოს მკლავების მოშორება არც უცდია, მხოლოდ თავი ასწია, წარბებქვეშ შეხედა და აქოშინდა.

– მაშ ასე, – თქვა მან ერთი წუთის მერე, – ხვალ მე ვბრძანებ ჩამოახრჩონ ჩემი ტყვეები, მაგრამ თუ რომელიმე მათგანი გჭირდება, შემიძლია გაჩუქო.

მერე ისევ გადაეხვივნენ ერთმანეთს და მშვიდობიანად გაშორდნენ. ამან მაცკო ძალზე გაახარა.

– ჩხუბით ამ ჟმუდელთან, ეტყობა, ვერაფერს გახდები, – უთხრა მოხუცმა რაინდმა, – მოფერებით კი ხელზე დაიხვევ.

– ასეთია ეს ხალხი, – უპასუხა ზბიშკომ, – ოღონდ ეგ არის, გერმანელებმა არ იციან მათი ეს თვისება.

მან ბრძანა კოცონთან მოეყვანათ დე ლორში, რომელიც მოწნულ ქოხში ისვენებდა. მალე ჩეხმა მოიყვანა უიარაღო და უჩაფხუტო დე ლორში, მხოლოდ ტყავის ხიფთანი ეცვა, რომელსაც ჯავშნის ნაკვალევი ეტყობოდა. მას თავზე რბილი წითელი ქუდი ეხურა. დე ლორშს საჭურველმტვირთველისგან უკვე გაეგო, ვისთანაც ჩავარდნილიყო ტყვედ, და ამიტომ გულცივად და მედიდურად გამოცხადდა. ცეცხლის შუქზე მის სახეზე სიჯიუტესა და ზიზღს თუ ამოიკითხავდით.

– მადლობა შესწირე ღმერთს, – უთხრა მას ზბიშკომ, – რომ ჩემს ხელთ მოხვდი, ჩემთან შენ არაფერი გაგიჭირდება.

და მან მეგობრულად გაუწოდა ხელი, მაგრამ დე ლორში არც კი შერხეულა.

– მე ხელს არ ვართმევ იმ რაინდებს, წარმართებთან ერთად ქრისტიანების წინააღმდეგ რომ იბრძვიან.

ერთ-ერთმა დამსწრე მაზურმა გადაუთარგმნა მას ეს სიტყვები, რომელთა აზრი ისედაც ნათელი იყო ზბიშკოსათვის. ერთი პირობა ახალგაზრდა რაინდი აფეთქდა.

– უგუნურო! – შესძახა მან და ანგარიშმიუცემლად იტაცა ხელი მახვილის ტარზე. დე ლორშმა თავი ასწია.

– მომკალი, – უთხრა მან, – მე ვიცი, რომ თქვენ ტყვეებს არ ინდობთ.

– თქვენ კი ინდობთ? – ვერ მოითმინა მაზურმა, – განა თქვენ არ იყავით, კუნძულის განაპირას რომ ჩამოახრჩვეთ ყველა, ვინც ამასწინათ ჩაიგდეთ ტყვედ? აი, სწორედ მაგიტომ ახრჩობს სკირვოილო თქვენებსაც.

– მართალია, ჩამოვახრჩვეთ, – უპასუხა დე ლორშმა, მაგრამ ისინი წარმართები იყვნენ.

მის პასუხში იგრძნობოდა შეცბუნება და ძნელი არ იყო მიხვედრა, რომ გულში მასაც არ მოსწონდა ასეთი საქციელი.

ამასობაში ზბიშკოს პირველმა აღელვებამ გაუარა და პირქუში სიმშვიდით უთხრა:

– დე ლორშ! ერთმა და იმავე ხელმა შემოგვარტყა ჩვენ ქამრები და გვიბოძა დეზები, შენ მე მიცნობ და არ მჭირდება იმის თქმა, რომ რაინდული ღირსება ჩემთვის ცხოვრებაზე და ბედნიერებაზე უფრო ძვირფასია. მაშ მისმინე, რა მინდა გითხრა და თან წმინდა გიორგი დაგიფიცო: ძალიან ბევრი ამ ხალხთაგან დიდი ხანია მონათლულია, ხოლო ვინც ჯერ არ არის ქრისტიანი, მაინც ჯვრისკენა აქვს მიპყრობილი ხელები, როგორც მარადიული მხსნელისაკენ. ვინ აყოვნებს მათს მონათვლას?

მაზურმა მაშინვე გადაუთარგმნა ზბიშკოს სიტყვები და დე ლორშმა მას კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო.

– გერმანელები! – თქვა ზბიშკომ.

– ყოვლად შეუძლებელია! – შესძახა გელდრიელმა რაინდმა.

– წმინდა გიორგის შუბსა და დეზებს გეფიცები, გერმანელები! აქ რომ ქრისტეს რწმენა იყოს გამარჯვებული, მაშინ მათ არ ექნებოდათ თავდასხმებისა და ამ უბედური ხალხის დაპყრობისა და დამონების მიზეზი. შენ ხომ კარგად გაიცანი გერმანელები, დე ლორშ, და სხვებზე უკეთ იცი, სამართლიანად იქცევიან თუ არა ისინი.

– კი, მაგრამ მე მგონია, როცა წარმართებს ეომებოდნენ და მათ წმინდა ჯვრისკენ მოუწოდებდნენ, ამითი თავიანთი ცოდვების გამოსყიდვა სურდათ.

– ისინი მათ ხმლითა და სისხლით ნათლავენ და არა ნაკურთხი წყლით. წაიკითხე ეს მოწოდება და მაშინვე მიხვდები, ვის ემსახურები შენ. სწორედ ამ მწამებლებსა და მტაცებლებს, ამ ჯოჯოხეთის მოციქულებს, ქრისტიანული რწმენისა და სიყვარულის წინააღმდეგ.

ამ სიტყვებზე მან გაუწოდა დე ლორშს ჟმუდელთა მიმართვა, გაგზავნილი მეფესთან და მთავრებთან, რომელიც მერე მთელს სამეფოში გავრცელდა; დე ლორშმა გამოართვა და კოცონის სინათლეზე სწრაფად ჩაიკითხა ტექსტი.

სწრაფად იმიტომ წაიკითხა მიმართვა, რომ კითხვის ძნელ ხელოვნებას კარგად იყო დაუფლებული.

– ნუთუ მართალია ყოველივე ეს? – იკითხა გაკვირვებულმა.

– ვფიცავ იმ ღმერთს, რომელიც ხედავს, რომ მე არ ვემსახურები არა მხოლოდ საკუთარ საქმეს, არამედ სიმართლესაც.

დე ლორში წამით დადუმდა, მერე კი თქვა:

– მე შენი ტყვე ვარ.

– მომეცი ხელი, – წარმოთქვა ზბიშკომ. – შენ ჩემი ტყვე კი არა, ძმა ხარ.

მათ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ვახშმად დასხდნენ, რომელიც ჩეხს მსახურებისთვის მოემზადებინებინა. ვახშამზე დე ლორში კიდევ უფრო გააოცა იმ ამბავმა, რომ მაგისტრის წერილების მიუხედავად, ზბიშკოს დანუსია ვერ ეპოვნა და რომ კომტურებმა ატეხილი ომი მოიმიზეზეს და ძალადაკარგულად სცნეს მისი დაცვის სიგელები.

– ახლა კი გასაგებია, რატომაც ხარ აქ, – უთხრა ზბიშკოს დე ლორშმა, – და ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ შენს ხელში ჩამაგდო: ჩემს სანაცვლოდ ორდენის რაინდები ვისაც ისურვებ, იმას მოგცემენ, თორემ დასავლეთში დიდი ხმაური ატყდება, მე ხომ დიდგვაროვანი კაცი ვარ...

უეცრად მან ქუდზე ხელი შემოირტყა და თქვა:

– ვფიცავარ აქვისგრანის ყველა რელიკვიას, გოტესვერდერში მომავალ დამხმარე ძალებს სათავეში უდგანან არნოლდ ფონ ბადენი და მოხუცი ზიგფრიდ დე ლიოვე! ჩვენ ეს ციხეში მოსული წერილებიდან ვიცით, ნუთუ ისინი ხელთ არ ჩაგიგდიათ?

– არა! – წამოხტა ზბიშკო ზეზე. – ჩვენ ტყვედ არ ჩაგვიგდია არც ერთი ცნობილი რაინდი. მაგრამ, ღმერთო ჩემო, როგორ მნიშვნელოვან ახალ ამბავს მატყობინებ! სხვა ტყვეები ხომ გვყავს, იმათგან შემიძლია გავიგო, სანამ ჩამოახრჩობდნენ, ახლდა თუ არა ზიგფრიდს ვინმე ქალი.

მან მსახურებს მოუხმო, უბრძანა ჩირაღდანი წამოეღოთ და მათთან ერთად სკირვოილოს დატყვევებულ ხალხს მიაშურა. დე ლორში, მაცკო და ჩეხი თან გაჰყვნენ.

– ყური მიგდე! – ეუბნებოდა მას გზაში გელდრიელი.– შენ ჩემს რაინდულ სიტყვას ენდე და გამიშვი, მთელ პრუსიას მოვივლი, და როცა დანუსიას ვიპოვი, შენთან დავბრუნდები, რომ იმაში გამცვალო.

– ნეტავ კი ცოცხალი იყოს, ნეტავ კი ცოცხალი იყოს! “ უპასუხა ზბიშკომ.

მათ სირბილით მიაშურეს სკირვოილოს ტყვეებს. ზოგი პირქვე დაეწვინათ, დანარჩენები ხეებზე მიებაწრათ შებრუნებულები. ჩირაღდანმა გაანათა ზბიშკოს სახე და ყველანი მას მიაჩერდნენ.

უცებ სიბნელიდან გაისმა ვიღაცის შეძრწუნებული ხმამაღალი შეძახილი:

– ბატონო ჩემო, ჩემო მხსნელო, მიშველე რამე!

ზბიშკომ ხელიდან გამოსტაცა მსახურს რამდენიმე ანთებული კვარი და იმ ხისკენ გაიქცა, საიდანაც ხმა მოდიოდა, ცეცხლი მიანათა და შესძახა:

– სანდერუს!

– სანდერუს! – გაიმეორა გაოცებულმა ჩეხმა. მას კი შეკოჭილი ხელებისა და ფეხების განძრევის საშუალება არ ჰქონდა, მხოლოდ კისერი წამოიგრძელა და ისევ იყვირა:

– შემიბრალე!... მე ვიცი, სად არის იურანდის ქალი შვილი!.. მიხსენით!

XXI

მსახურებმა სასწრაფოდ გამოხსნეს სანდერუსი, მაგრამ ხელ-ფეხი დაბუჟებოდა და იქვე დაეცა; რამდენჯერაც სცადეს მისი წამოყენება, იმდენი გონი დაჰკარგა, რადგან უმოწყალოდ იყო ნაცემი. ზბიშკომ ბრძანა კოცონთან მიეყვანათ, საჭმელ-სასმელი მიეცათ, ქონით დაეზილათ და ტყავებში ჩაეთბუნებინათ, მაგრამ სანდერუსი გონს მაინც ვერ მოეგო, მერე ისე ღრმად ჩაეძინა, რომ ჩეხმა მეორე დღეს, ნასადილევს ძლივს გააღვიძა.

ზბიშკოს მოთმინება აღარ ჰყოფნიდა და მაშინვე სანდერუსთან მივიდა, მაგრამ ახალგაზრდა რაინდი ვერაფერს გახდა. გადატანილი შიშისგან იყო, თუ, როგორც სულმოკლე ადამიანებს სჩვევიათ ხოლმე, შვება იგრძნო, სიკვდილს რომ გადაურჩა, სანდერუსს ერთბაშად გული აუჩუყდა, ტირილი აუვარდა და სიტყვის თქმა ვეღარ მოახერხა. გულამომჯდარი ქვითინებდა, თვალთაგან ნიაღვრად მოედინებოდა ცრემლები, თითქოს ამ ცრემლებს სიცოცხლეც თან უნდა გააყოლოსო.

ბოლოს, როგორც იქნა, თავი დაიოკა და კუმისით მომაგრდა, რომლის გემო ჟმუდელებმა თათრებისგან ისწავლეს. მერე სანდერუსი წუწუნს მოჰყვა, ისე მცემეს შუბებით, რომ ერთი მთელი ადგილი არ დამიტოვესო, ცხენიც წამართვეს, რომლითაც ჩემს ფასდაუდებელ სასწაულმოქმედ წმინდა ნაწილებს ვეზიდებოდი, მერე მიმაბეს ხეზე და ჭიანჭველებმა ისე დამკბინეს, დღეს თუ არა, ხვალ აღსასრული დამიდგებაო.

მაგრამ ზბიშკოს მოთმინება დაეკარგა, წამოხტა და თქვა:

– მიპასუხე, მაწანწალავ, რასაც მე გეკითხები, თორემ უარესი მოგივა!

– აქ მახლობლად წითელი ჭიანჭველების ბუდეა, – ჩაერია ჩეხი. – უბრძანეთ, ბატონო, იქ ჩააწვინონ და მაშინ ალაპარაკდება.

ჰლავამ ეს ხუმრობით თქვა, კიდევაც ეღიმებოდა ამას რომ ამბობდა, რადგან გულში კეთილად იყო განწყობილი სანდერუსისადმი, მაგრამ ის საზარლად აბღავლდა:

– შემიბრალეთ! შემიბრალეთ! მომეცით კიდევ მაგ ურჯულოების სასმელი რაღაცაა და ყველაფერს გიამბობთ, რაც მინახავს და არ მინახავს!

– გაბედავ, არ იტყვი სიმართლეს და სოლით კბილებს ჩაგილეწავ, დაემუქრა მას ჩეხი.

ჩეხმა მაინც მიუტანა სანდერუსს პირთან კუმისით სავსე ტიკჭორა; ის ეცა, ხარბად მოეჭიდა ტუჩებით, როგორც თოთო ბავშვი დედის ძუძუს, და თვალების ფახულით სწოვდა. ასე გამოწოვა ორ კვარტზე მეტი სითხე, ცოტა მოღონიერდა, ტიკი მუხლებზე დაუშვა და, თითქოს ბედს შეურიგდაო, თქვა:

– საძაგლობაა!... და მაშინვე ზბიშკოს მიუბრუნდა:

– ახლა დამეკითხე, რაც გინდა, ჩემო მხსნელო!

– იყო თუ არა ჩემი ცოლი იმ რაზმში, რომელსაც შენ მოჰყვებოდი?

სანდერუსს სახეზე გაოცება გამოეხატა. მართალია, ყური მოეკრა, დანუსია ზბიშკოს ცოლიაო, მაგრამ რადგან ჯვარი მალულად ჰქონდათ დაწერილი და ქალიც მაშინვე მოიტაცეს, სანდერუსს ის მხოლოდ იურანდის ქალიშვილად წარმოედგინა. მიუხედავად ამისა, მაინც აჩქარებით უპასუხა:

– დიახ, მხედართმთავარო, იყო! მაგრამ ზიგფრიდ დე ლიოვემ და არნოლდ ფონ ბადენმა თავი დააღწიეს მტრის რაზმებს.

– შენი თვალით ნახე? – გულის ფანცქალით ჰკითხა ჭაბუკმა.

– სახეზე არ მინახავს, ბატონო, მაგრამ ვნახე დახურული, ლერწმისაგან დაწნული საკაცე, ორ ცხენს შუა იყო უნაგირებზე მიბმული. ამ საკაცით ვიღაც მოჰყავდათ. მცველად ისევ ის გველი, ის მონაზონი ედგა, რომელიც დანველდმა გამოგზავნა სამონადირო სახლში. ბევრჯერ გამიგონია იმ საკაციდან სევდიანი სიმღერა...

ზბიშკოს მკვდრის ფერი დაედო, ჯირკზე ჩამოჯდა და ერთ წამს აღარ იცოდა, რა ეკითხა. ამ ამბის გაგონებაზე მაცკო და ჩეხიც საშინლად აღელდნენ. ჩეხს იქნებ თავისი ძვირფასი ქალბატონი გაახსენდა, სპიხოვს რომ დარჩა, მისთვის ხომ ეს ამბავი ბედის განაჩენი იყო.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

ბოლოს გაქნილმა მაცკომ, რომელიც სანდერუსს პირადად არ იცნობდა და მხოლოდ გაეგონა მისი ამბები, ეჭვით შეხედა და ჰკითხა:

– ვინა ხარ და რას აკეთებდი ჯვაროსნებთან?

– მე ვინა ვარ, დიდებულო რაინდო, – უპასუხა მაწანწალამ, – ეს ამ მამაცმა თავადმა მოგახსენოთ, – და ზბიშკოზე მიუთითა, – და ამ გულადმა ჩეხმა გრაფმა, რომლებიც მე დიდი ხანია მიცნობენ.

ეტყობოდა, კუმისს უკვე თავისი ექნა. სანდერუსი გამოცოცხლდა, ზბიშკოს მიუბრუნდა და რიხიანად განაგრძო ლაპარაკი. მის ხმაში წინანდელი სისუსტის ნიშანწყალიც აღარ დარჩენილიყო;

– ბატონო, თქვენ მე ორჯერ მიხსენით სიკვდილისგან. თუ არა თქვენ, მგლები შემახრამუნებდნენ, ან დამსჯიდნენ, ან ჩემი მტრები ეპისკოპოსებს შეაცდენდნენ (ო, რა მდაბალია ეს ქვეყანა!) და უბრძანებდნენ ვეწვალებინეთ წმინდა ნაწილების გაყიდვისათვის, რომელთა უტყუარობაში მათ ეჭვი ეპარებოდათ. მაგრამ შენ შემიკედლე, ბატონო, დი შენი წყალობით არც მგლებმა შემახრამუნეს, არც დამსჯელი ხელი მომწვდა, რადგან შენს მსახურად მთვლიდნენ. შენთან მე არაფერი მაკლდა – არც საჭმელი, არც აი, ამ კუმისზე უკეთესი სასმელი. მეზიზღება, მაგრამ მაინც დავლევ, უნდა დაგიმტკიცოთ, რომ ღატაკსა და კეთილმოწყალე პილიგრიმს ვერ შეაშინებს ვერავითარი დევნა.

– თქვი მალე, მასხარავ, რაც იცი, და ბოდიალს თავი ანებე! – შეუძახა მაცკომ.

მაგრამ სანდერუსმა კვლავ პირზე მიიდო ტიკჭორა, ძირამდე გამოსცალა და ისევ ზბიშკოს მიუბრუნდა ისეთი სახით, თითქოს მაცკოს სიტყვები სულაც არ გაეგონოს.

– აი, ამისთვის შემიყვარდი, ჩემო ბატონო. წმინდანები საათში ცხრაჯერ სცოდავდნენო, სახარებაში წერია, ასე რომ, ხანდახან სანდერუსიც შესცოდავს, მაგრამ სანდერუსი არასოდეს ყოფილა და არც იქნება უმადური. და როცა შენ უბედურება შეგემთხვა, ხომ გახსოვს, ბატონო, გითხარი: წავალ, ციხე-ციხე ვივლი, თან გზადაგზა ხალხს გავანათლებ და თან იმის ძებნაში ვიქნები-მეთქი, ვინც შენ დაკარგე. ვიღას არ ვეკითხებოდი! სად აღარ ვიყავი! დიდი ხანი დამჭირდება ამის მოსაყოლად. ერთს კი გეტყვი: მე ის ვიპოვე და იმ წუთიდან ბირკასავით ავეკარი ბებერ ზიგფრიდს. მისი მსახური შევიქენ და გვერდიდან არ ვცილდებოდი, ყველგან თან დავყვებოდი ციხიდან ციხეში, საკომტუროდან საკომტუროში, ქალაქიდან ქალაქში – და ასე იყო ამ უკანასკნელ ბრძოლამდე.

ამასობაში ზბიშკო თავს მოერია.

– დიდი მადლობელი ვარ. ჩემგან საჩუქარს მიიღებ. მაგრამ ახლა ეს მიპასუხე: შეგიძლია თუ არა დაიფიცო, რომ ის ცოცხალია?

– სული ნუ წამიწყდება! – სერიოზულად წარმოთქვა სანდერუსმა.

– რატომ წამოვიდა ზიგფრიდი შჩიტნოდან?

– არ ვიცი, ბატონო, მხოლოდ ვხვდები ის შჩიტნოს კომტური არასოდეს ყოფილა და წამოვიდა, რადგან ეშინოდა მაგისტრისა, რომელსაც, ამბობენ, წერილი მიუწერია, ტყვე ქალი მაზოვიის ქალბატონს დაუბრუნეო. იქნებ ამ წერილს გამოექცა, მას ხომ სული აღუგზნო როტგერის გამო შურისძიების ულმობელმა გრძნობამ. ამბობენ, შვილი იყოო მისი. არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ ერთი კი აშკარაა, ბოღმისგან ზიგფრიდი ჭკუაზეა გადასული და, სანამ ცოცხალია, იურანდის ქალს ხელიდან არ გაუშვებს. მაპატიეთ, მინდოდა მეთქვა: ახალგაზრდა ქალბატონს-მეთქი.

– საოცარია ყველაფერი ეს, – შეაწყვეტინა მას უეცრად მაცკომ. – თუ ის ბებერი ძაღლი ასე გაავებული იყო იურანდზე და მის მოდგმაზე, მაშინ ხომ მოკლავდა დანუსიას.

– უნდოდა მაგისი გაკეთება, უპასუხა სანდერუსმა, მაგრამ რაღაცამ შეუშალა ხელი, ამის გამო მძიმედ იავადმყოფა, კინაღამ უფალს მიაბარა სული. მისი ხალხი სულ ამაზე ჩურჩულებდა. ზოგი ამბობდა, ღამით კოშკისკენ გაეშურა ახალგაზრდა ქალბატონის დასახრჩობად და ავ სულს გადაეყარაო, ზოგი კი – ანგელოზსაო. ასე იყო თუ ისე, კოშკის მახლობლად თოვლში უგრძნობლად დაგდებული იპოვეს. ახლაც თმა ყალყზე უდგება, როცა გაახსენდება, ამიტომაც ვეღარ ახლებს ხელს და ვერც სხვისთვის უბრძანე-

ბია მისი მოკვლა. თან დაჰყავს მუნჯი შჩიტნოელი ჯალათიც, არავინ იცის, რატომ. იმასაც ხომ სხვებივით ეშინია.

ამ სიტყვებმა დამსწრეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ზბიშკო, მაცკო და ჩეხი მიუახლოვდნენ სანდერუსს, იმან კი პირჯვარი გადაისახა და განაგრძო:

– არავის ვუსურვებდი იმათთან საქმის დაჭერას. ერთხელ და ორჯერ არ მინახავს და გამიგონია ისეთი რაღაცეები, რომ ზურგზე ჭიანჭველები დამირბენდნენ ხოლმე. უკვე მოგახსენეთ, მოხუცი კომტური ჭკუიდან გადავიდა-მეთქი. აბა, როგორ არ გადავიდოდა, თუკი სულები იმ ქვეყნიდან გამოეცხადნენ? როგორც კი მარტო დარჩება, ვიღაც მის მახლობლად მძიმედ იწყებს სუნთქვას, თითქოს სული ეხუთებაო. ეს დანველდია, რომელიც სპიხოვის მრისხანე რაინდმა მოკლა. მაშინ ზიგფრიდი ეუბნება მას: „რა გინდა ჩემგან. წირვა შენ არა გჭირდება, რისთვის მოდიხარო?“ ის კი კბილებს აკრაჭუნებს და ისევ სული ეხუთება. უფრო ხშირად მაინც როტგერი გამოეცხადება ხოლმე, მის შემდეგ ოთახშიც გოგირდის სუნი დგება; მასთან კომტური კიდევ უფრო დიდხანს საუბრობს: „არ შემიძლია, – ეუბნება, – არ შემიძლია! აი, მე თვითონ როცა მოვალ, ახლა კი არ შემიძლია!“ ისიც გამიგონია, როგორ ეკითხებოდა: „ნუთუ ამითი რამე შეგიმსუბუქდება, შვილო ჩემო?“ და ასეა დღემუდამ. ხანდახან სამი-ოთხი დღე ისე გაივლის, სიტყვა არ ამოუვა პირიდან, სახეზე საშინელი ტანჯვა ეხატება. ისიც და მონაზონიც ფხიზლად დარაჯობენ იმ საკაცეს, ასე რომ, ახალგაზრდა ქალბატონს თვალს ვერავინ მოჰკრავს. ‘– ხომ არ აწამებენ? – ყრუდ ჩაეკითხა ზბიშკო.

– გულზე რომ ხელი დავიდო, გეტყვით, თქვენო მოწყალებავ, რომ არც ცემის ხმა და არც ყვირილი არ გამიგონია, მაგრამ საცოდავი სიმღერა კი მომისმენია, ხანდახან გეგონებათ, ჩიტი კვნესისო...

– ვაი ჩემი ბრალი! - კბილი კბილს დააჭირა ზბიშკომ. მაგრამ მაცკომ შეაწყვეტინა შემდგომი გამოკითხვა.

– კმარა ამაზე ლაპარაკი, – თქვა მან. – ახლა ბრძოლის ამბავი გვითხარი. დაინახე თუ არა, როგორ გაიქცნენ და საით წავიდნენ?

– დავინახე, – უპასუხა სანდერუსმა, – და ყველაფერს ისე გიამბობთ, როგორც იყო. თავიდან გულმოდგინედ იბრძოდნენ, მაგრამ იაზრეს თუ არა, ყოველი მხრიდან ალყას გვარტყამენო, თავის დახსნაზე დაიწყეს ფიქრი... რაინდმა არნოლდმა კი, – ის ხომ ნამდვილი გოლიათია, – პირველმა გაარღვია ალყა და ისე გაწმინდა გზა, რომ მას მოხუცი კომტურიც გაჰყვა რამდე-

ნიმე მსახურითა და საკაცით, რომელიც ორ ცხენს შუა არის უნაგირებზე გამობმული.

– განა არავინ დაედევნა? როგორ მოხდა, რომ ვერ დაეწიენ?

– დაედევნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ: როგორც კი მიუახლოვდებოდნენ, რაინდი არნოლდი მობრუნდებოდა და იწყებდა ჩეხვას. ღმერთმა ნუ ქნას იმასთან ბრძოლა, ეს ისეთი უსაშველო ღონის ადამიანია, რომ ას კაცს ერთად შეებრძოლება და მაინც არაფრად უღირს. სამჯერ მობრუნდა ასე და სამჯერ შეაჩერა მდევარი. ხალხი სულ დაეხოცა. ვგონებ თვითონაც დაჭრეს, ცხენიც დაუკოდეს, მაგრამ მაინც დააღწია თავი და მოხუცი კომტურიც ბრძოლის ცეცხლს გაარიდა.

ამას რომ ისმენდა, მაცკომ იფიქრა, სანდერუსი მართალს ამბობსო, განსაკუთრებით როცა გაიხსენა, რომ იმ ადგილიდან დაწყებული, სადაც სკირვოილო გერმანელებს ეომებოდა, გზა დიდ მანძილზე ისეთი დასახიჩრებული გვამებით იყო მოფენილი, გეგონებოდათ, ჟმუდელები გოლიათის ხელს დაუჩეხიაო.

– შენ როგორ დაინახე ეს ყველაფერი? – ჰკითხა მაცკომ სანდერუსს.

– აი, როგორ, – უპასუხა მაწანწალამ, – ტახტრევანი რომ ჰქონდა მიბმული, ერთ-ერთი იმ ცხენის კუდს ჩავაფრინდი და მათთან ერთად მივრბოდი, სანამ ცხენმა მუცელში წიხლები არ მომაყარა, მერე კი უგონოდ დავეცი და იმიტომ მოვხვდი თქვენს ხელში.

– სიმართლესა ჰგავს, – უთხრა ჰლავამ, – მაგრამ თუ სტყუი, იცოდე, არ შეგარჩენ.

– კვალი ჯერაც არ გამქრალა, უპასუხა სანდერუსმა, – ვისაც სურს, შეუძლია ნახოს, მაგრამ სჯობს სიტყვაზე დამიჯეროთ, რათა უნდობლობისთვის არ დაგსაჯოთ ღმერთმა.

– ხანდახან იქნებ კიდეც წამოგცდება ხოლმე სიმართლე, მაგრამ წმინდა ნაწილებით ვაჭრობისთვის, სულ ერთია, ჯოჯოხეთი არ აგცდება.

და ძველი ჩვეულებისამებ ჩეხი და სანდერუსი კინკლაობას მოჰყვნენ, მაგრამ ზბიშკომ შეაწყვეტინა.

– შენ იმ ადგილებში იყავი და ალბათ იცი, რომელი ციხესიმაგრეებია ახლომახლო. შენი აზრით, სად შეიძლებოდა შეეფარებინათ თავი ზიგფრიდსა და არნოლდს?

– იმ ადგილებში ციხესიმაგრე ერთიც არ არის, ირგვლივ მხოლოდ ტევრია, სადაც სულ ცოტა ხანია გზა გაიყვანეს. არც სოფლებია, არც სახლები,

რაც იყო, ისიც თვითონ გერმანელებმა გადაბუგეს, რადგან ომის დაწყებისთანავე იქაური მაცხოვრებლები – იქ იგივე ტომი ცხოვრობს, რომელიც აქ, – ჯვაროსნების მბრძანებლობას აუმხედრდნენ. მე ვფიქრობ, ჩემო ბატონო, რომ ზიგფრიდი და არნოლდი ახლა ტყეში დახეტიალობენ და ეცდებიან უკან დაბრუნდნენ, ან უჩუმრად გააღწიონ იმ ციხესიმაგრეში, საითკენაც ამ უიღბლო ბრძოლის წინ მივდიოდით.

– ეგ მართლა ეგრე უნდა იყოს! თქვა ზბიშკომ.

და ღრმად ჩაფიქრდა. მოღუშულ სახეზე ემჩნეოდა, როგორ დაძაბული სჯიდა გონებაში რაღაცას, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. წუთიც არ გასულიყო, რომ თავი ასწია და ბრძანა:

– ჰლავა, მოამზადე ცხენები და მსახურები, ჩვენ ამწამსვე დავადგებით გზას.

საჭურველმტვირთველი ჩვეულებრივ არ კითხულობდა ხოლმე, რატომ იძლეოდნენ ამა თუ იმ ბრძანებას, ის უსიტყვოდ წამოდგა და ცხენებისკენ გაიქცა, სამაგიეროდ, მაცკომ გადმოუკარკლა თვალები ძმიშვილს და გაოცებულმა ჰკითხა:

– საით აპირებ, ზბიშკო, ჰა?... ეს როგორ იქნება?.. მაგრამ ზბიშკომ კითხვას კითხვითვე უპასუხა:

– თქვენ როგორ ფიქრობთ? განა ეს ჩემი მოვალეობა არ არის?

მოხუცი რაინდი გაჩუმდა. მის სახეს თანდათან ადრინდელი გამომეტყველება დაუბრუნდა. თავი გადააქნია, ღრმად ამოიხვნეშა და, თითქოს საკუთარ თავს პასუხობსო, თქვა:

– რა თქმა უნდა... სხვა გზა არ არის!

და ისიც ცხენებისკენ წავიდა. ზბიშკო კი ბატონ დე ლორშს მიუბრუნდა და გერმანულის მცოდნე მაზურის დახმარებით უთხრა:

– მე შენ ვერ მოგთხოვ დამეხმარო იმ ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვისი დროშის ქვეშაც იბრძოდი. თავისუფალი ხარ და სადაც გინდა, იქ წადი.

– არ ივარგებს, რომ რაინდულ წესს გადავუდგე და ახლა იარაღით დაგეხმარო, – უპასუხა დე ლორშმა, – მაგრამ ვერც თავისუფლებას მივიღებ შენგან. მე ვრჩები შენს ტყვედ სიტყვით და, როგორც კი დაგჭირდება, იქ გავჩნდები, სადაც მომიხმობ. თუ რამე მოხდეს, იცოდე, ორდენი რომელსაც გნებავს იმ ტყვეს დაგიბრუნებს ჩემს ნაცვლად, რადგან ჩემი გვარი მხოლოდ ცნობილი კი არ არის, ჯვაროსნების წინაშე დამსახურებაც მიუძღვის.

ისინი ერთმანეთს დაემშვიდობნენ, წესისამებრ ერთმანეთს მხარზე დაადეს ხელი და ლოყაზე აკოცეს.

– მე ან მალბორგში წავალ, ან მაზოვიის მთავართან, – დასძინა დე ლორშმა, – ასე რომ, თუ მალბორგში ვერ მიპოვი, მაშინ მთავარ იანუშთან ვიქნები. შენმა გამოგზავნილმა კაცმა მითხრას ორი სიტყვა: ლოტარინგია – გელდრია!

– კეთილი, – უპასუხა ზბიშკომ. – მე სკირვოილოსთან შევალ, რომ ჟმუდელებში სასიარულო რაიმე პირობითი ნიშანი მოგვცეს, რომელსაც ჟმუდელები პატივს სცემენ.

ის სკირვოილოსთან წავიდა. მოხუცმა მხედართმთავარმა მისცა ნიშანი და ხელი აღარ შეუშალა დე ლორშის გამგზავრებას. მან ყველაფერი იცოდა, ზბიშკო უყვარდა, მისი მადლიერიც იყო ბოლო ბრძოლისათვის და, ამას გარდა, უფლება არ ჰქონდა დაეკავებინა თავისი ნებით სხვა მიწებიდან მოსული რაინდი. სკივოილომ მადლობა გადაუხადა ზბიშკოს დახმარებისთვის, მოამარაგა სანოვაგით, რომელიც გამოადგებოდა ამ გამოცარიელებულ ქვეყანაში, და იმედი გამოთქვა, ჯვაროსნებთან გადამწყვეტი ბრძოლის ჟამს კიდევ შევხვდებით ერთმანეთს.

ზბიშკო ჩქარობდა, ციებ-ცხელებიანს ჰგავდა. როცა დაბრუნდა, ყველა მზად დაუხვდა, აბჯარასხმული მაცკო კი უკვე ცხენზე იჯდა.

– თქვენც მოდიხართ? – ჰკითხა მან და ბიძასთან მივიდა.

– აბა სხვა რაღა დამრჩენია? – წაიბურტყუნა მაცკომ. ზბიშკოს აღარაფერი უთქვამს, მხოლოდ მიუახლოვდა და ჯავშანში ჩაჭედილი მარჯვენა დაუკოცნა, მერე კი ცხენს მოახტა და ყველანი გზას გაუდგნენ.

სანდერუსიც მათ მიჰყვებოდა. ბრძოლის ველამდე გზა ყველამ კარგად იცოდა, მერე კი მეგზურად ის უნდა გამოსდგომოდათ. ამას გარდა, ზბიშკოს იმედი ჰქონდა, თუ ადგილობრივი გლეხები შეხვდებოდნენ, თავიანთი დამპყრობი ჯვაროსნების ზიზღით მოეხმარებოდნენ მოხუცი კომტურისა და არნოლდ ფონ ბადენის მოძებნაში, რომლის ზეადამიანურ ძალ-ღონეზე ამდენს ჰყვებოდა სანდერუსი.

XXII

ბრძოლის ველამდე, სადაც სკივოილომ მტერი ამოწყვიტა, გზა ნაცნობი იყო და ამიტომ არც ეძნელათ. იქამდე მალე მივიდნენ და მინდორიც აჩ-

ქარებით გადაიარეს, რადგან დაუმარხავი გვამები აუტანლად ყარდა. შეშინებული მგლები, ყვავებისა და ჭკების გუნდები გზაზე აქეთ-იქით გაიფანტნენ. მგზავრები ძირს იყურებოდნენ და კვალს ეძებდნენ. სულ ცოტა ხნის წინ აქ მთელ რაზმს გაევლო, მაგრამ გამოცდილი მაცკო ადვილად პოულობდა დატკეპნილ მიწაზე ვეება ჩლიქების კვალს, რომელიც საწინააღმდეგო მიმართულებით მიდიოდა.

– კიდევ კარგი, ბრძოლის შემდეგ წვიმა არ წამოსულა, – აუხსნა მაცკომ სამხედრო საქმეში შედარებით გამოუცდელ ახალგაზრდებს. – აი, შეხედეთ: არნოლდის ცხენს გოლიათი რაინდი მიჰყავდა და თვითონაც მოსული უნდა ყოფილიყო. როცა ის მდევარს გაურბოდა, ცხადია, ცხენიც უფრო მაგრად ურტყამდა ფლოქვებს მიწაზე, ვიდრე ჩორთით მიმავალი. სწორედ ამიტომ არის უფრო ღრმა კვალი. კარგად ჩააკვირდით, შეხედეთ, ნესტიან ადგილებში ნალებს როგორი კვალი დაუტოვებიათ! ღმერთმა ქნას, მივაგნოთ იმ ძაღლებს, ერთი იმდენი, რომელიმე ციხეში არ შეგვასწრონ.

– სანდერუსი ამბობდა, – თქვა ზბიშკომ, აქ ახლომახლო არც ერთი ციხესიმაგრე არ არისო. ეს მართალი უნდა იყოს, ჯვაროსნებმა ხომ დიდი ხანი არ არის, რაც ეს მხარე დაიპყრეს, ჯერ ციხესიმაგრეების აშენება ვერ მოუსწრიათ. აბა, სად უნდა დაიმალონ? აქ მაცხოვრებელი გლეხები, ახლა რომ სკირსვოილოსა ჰყავს ბანაკში, ჟმუდელთა ტომისანი არიან, სოფლები, როგორც სანდერუსმა თქვა, თვითონ გერმანელებმა გადასწვეს, ქალებმა და ბავშვებმა კი ტყეს შეაფარეს თავი. თუ ცხენებს ცოტა დაუზოგავად მოვექცევით, მაშინ იქნება დავეწიოთ კიდეც.

– ცხენები უნდა დავზოგოთ: თუ ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა, მერე ჩვენი ხსნა მხოლოდ ცხენებზე იქნება დამოკიდებული, – თქვა მაცკომ.

– რაინდ არნოლდს, ჩაერია სანდერუსი, ვიღაცამ ზურგში ხელკეტი ჩასცხო. მან არ მიხედა ამას და ისევ ძველებურად ცელავდა ჟმუდელებს; მაგრამ მერე მაინც გაუჭირდებოდა, ყოველთვის ასე იცის ხოლმე: ჯერ ვითომ არაფერი და მერე აგტკივდება. ამიტომ ჩქარა სიარულს ვერ შეძლებენ, უეჭველად გაჩერდებიან დასასვენებლად.

– აკი თქვი, ხალხი არა ჰყავთო? – ჰკითხა მაცკომ.

– ორს უნაგირებზე მიბმული საკაცე მიაქვს, მათ გარდა არნოლდია და ბებერი კონტური. სხვებიც ჰყავდათ ბევრი, მაგრამ ჟმუდელები დაეწიენ და დახოცეს.

– აი, რა უნდა ვქნათ, – თქვა ზბიშკომ, – საკაცის წამღებთ ჩვენი მსახურები შეკოჭავენ, თქვენ, ბიძია, მოხუც ზიგფრიდს შეებმებით, მე კი არნოლდს.

– ზიგფრიდს როგორმე გავუმკლავდები, – უპასუხა მაცკომ, – მადლობა ღმერთს, მაგისი ძალ-ღონე კიდევ შემწევს, მაგრამ შენ მაინცდამაინც ნუ ენდობი საკუთარ თავს: არნოლდი ნამდვილი გოლიათია.

– რა დიდი ამბავია მერე? ვნახოთ! – თქვა ზბიშკომ.

– ღონიერი კი ხარ, მაგაზე არ გედავები, მაგრამ შენზე ღონივრებიც არიან. ხომ არ დაგვიწყებია ჩვენი კრაკოველი რაინდები? აბა, პოვალა ტაჩეველთან შენ რას გააწყობ? პან პაშკო ბისკუპიცელთან? ზავიშაზე ხომ აღარაფერს ვამბობ. ცხვირს ნუ აიბზეკ, იტრაბახე, მაგრამ უკანაც მოიხედე.

– როტგერიც ღონიერი იყო, წაიბურტყუნა ზბიშკომ.

– ჩემთვის თუ გამოჩნდება რამე სამუშაო? – ჰკითხა ჩეხმა.

არავინ უპასუხა, მაცკო სულ სხვაზე ფიქრობდა.

– თუ ღმერთმა ხელი მოგვიმართა და მერე როგორმე მაზოვიის ტყეებამდე მიგვაღწევინა, იქ უშიშრად ვიქნებით და ერთხელ და სამუდამოდ მოეღება ბოლო ყველაფერს, თქვა მან.

მაგრამ მერე ამოიოხრა, რადგან გაიფიქრა, რომ ყველაფერს ბოლო მაინც არ მოეღებოდა. საბრალო იაგენკასთვის ხომ რაღაც უნდა მოეხერხებინათ.

– ეჰ! – წაიბურტყუნა მან, – ხშირად ვფიქრობ ხოლმე, რატომ არ გაღირსა ღმერთმა მშვიდი ქორწინება, მე კი მშვიდი ცხოვრება თქვენთან ერთად... ეს ხომ არც ისე იშვიათია. ჩვენი სამეფოს შლიახტიჩებიდან მხოლოდ ჩვენ დავეხეტებით მთელს დუნიაზე, იმის მაგივრად, რომ შინ ვისხდეთ და საკუთარ მამულს ვუვლიდეთ, როგორც ღმერთმა ბრძანა.

– ეგ მართალია, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია ნება ღვთისა! – უპასუხა ზბიშკომ.

ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ, მერე მოხუცი რაინდი ისევ გამოელაპარაკა ძმისშვილს:

– შენ გχერა ამ მაწანწალისა? ვინ არის იგი?

– თავქარიანი და იქნებ საძაგელი კაცუნაა, მაგრამ მე ძალიან ვუყვარვარ და არ მეშინია, არასოდეს გამცემს.

– თუკი ასეა, მაშინ წინ გაუშვი, დაეწიოს ჯვაროსნებს. მაგის დანახვაზე ისინი არ შეშინდებიან. ეტყვის, ტყვეობიდან გამოვიქეციო, და სულ ადვილად დაუჯერებენ. ასე აჯობებს, თორემ შორიდან რომ დაგვინახონ, ან დამალვას მოასწრებენ, ან თავის დასაცავად მოემზადებიან.

– ძალზე მხდალია და ღამით მარტო არ წავა, უპასუხა ზბიშკომ, – მაგრამ დღისით ალბათ არ შეეშინდება, ასე მართლაც უკეთესი იქნება. მე მას ვუბრძანებ დღეში სამჯერ შეჩერდეს და დაგველოდოს, ხოლო თუ დათქმულ ადგილზე ვერ ვნახავთ, გვეცოდინება, რომ უკვე იმათთანაა, მაშინ მის კვალს გავყვებით და მოულოდნელად დავესხმით თავს.

– ხომ არ გააფრთხილებს მათ?

– არა. მე მისთვის უფრო მეტი ვარ, ვიდრე ისინი. ამას გარდა, სანდერუსს უნდა ვუთხრათ, რომ თავდასხმისას იმასაც შევკოჭავთ გერმანელების დასანახად, რათა მერე სამაგიერო არ გადაუხადონ. თავი ისე აჩვენოს, ვითომ სულაც არ გვიცნობს...

– მაშ ფიქრობ, ცოცხლად ჩაიგდო ისინი?

– აბა რა ვქნა? – თქვა ზბიშკომ ნაღვლიანად. – მაზოვიაში ან სადმე ჩვენიანებში რომ ვიყოთ, ორთაბრძოლაში გამოვიწვევდით, როგორც როტგერი გამოვიწვიე, და სამკვდრო-სასიცოცხლოდ შევებმებოდით; მაგრამ აქ, მათ მიწაწყალზე, ეს წარმოუდგენელია. ჩვენ დანუსია გვყავს გადასარჩენი და დაყოვნება აღარ შეიძლება. ელვისებურად უნდა გავუსწორდეთ და თანაც უხმაუროდ, რათა რაიმე უსიამოვნებას არ გადავეყაროთ, მერე კი, თქვენი თქმისა არ იყოს, გავქუსლოთ მაზოვიის ტყეებისკენ. თუ ჩვენ მათ მოულოდნელად დავესხმით, შეიძლება უჯავშნოდაც იყვნენ, ან სულაც უხმლოდ! აბა, როგორ წამივა ხელი მოსაკლავად. თავს ხომ არ შევირცხვენთ! ჩვენ ორთავენი ქამრიანი რაინდები ვართ და ისინიც...

– ეგ მართალია! – თქვა მაცკომ. – მაგრამ ბრძოლა იქნებ მაინც დაგვჭირდეს.

ზბიშკო მოიღუშა და სახეზე მრისხანე სიჯიუტე გამოესახა, რომელიც ყველა ბოგდანეცელს ახასიათებდა. ამ წუთში ისე ძალიან ჰგავდა მაცკოს, განსაკუთრებით თვალების გამომეტყველებით, რომ მისი ღვიძლი შვილი გეგონებოდათ.

– ყველაზე მეტად იმ სისხლისმსმელი ზიგფრიდის დატყვევება მინდა, რომ იურანდს ფერხთით მივუგდო, – თქვა მან ყრუდ, – ღმერთმა ქნას!

– ღმერთმაც ქნას, ღმერთმა ქნას! – იმწამსვე გაიმეორა მაცკომ.

ასე იარეს დიდხანს, საუბარ-საუბარში; ღამე ჩამოწვა უმთვარო, მაგრამ ნათელი. უნდა შეესვენათ, ცხენებს სული მოებრუნებინათ, თვითონაც მომაგრებულიყვნენ და გამოეძინათ. დაძინებამდე ზბიშკომ სანდერუსი გააფრთხილა, ხვალ მარტო მოგიხდებაო წინ წასვლა. ის სიამოვნებით დაეთანხმა, მხოლოდ ნება გამოსთხოვა, თუ ნადირი ან ადგილობრივი მოსახლეები თავს დამესხნენ, რაზმისაკენ გამოვბრუნდებიო. ამას გარდა, შეეხვეწა, სამჯერ კი არა, ოთხჯერ გავჩერდებიო, რადგან მარტოობა ქრისტიანულ ქვეყნებშიც ყოველთვის აშინებდა, აქ კი, ამ უსიერ და საზარელ ტყეებში რაღა დაემართებოდა.

ღამის სათევად მოეწყვნენ, დანაყრდნენ და მერე ის ამოყრილ ფესვებთან დანთებულ პატარა კოცონის პირას ყველანი ტყავებზე მიწვნენ, გზიდან ასე ორმოცდაათი ნაბიჯის მოშორებით. ცხენებმა ჭამეს, მერე ბალახი მიწიწკნ-მოწიწკნეს და ახლა ერთმანეთის ფაფარზე თავმიდებულები თვლემდნენ. მსახურები რიგრიგობით დარაჯობდნენ მათ. გამთენიას ზბიშკო წამოხტა და დანარჩენებიც გააღვიძა. ისევ დაადგნენ გზას. არნოლდის ცხენის უზარმაზარი ჩლიქების კვალი ისევ ადვილად აღმოაჩინეს. დაბლობი ადგილი იყო, ჭაობიანი, მაგრამ გვალვა იდგა და კვალი კარგად გამოკვეთილიყო გამშრალ ნიადაგში. სანდერუსი დაწინაურდა და მალე ტყეში გაუჩინარდა. მზე ნახევარ შუბისტარზე რომ ავიდა, ის პირველ სადგომთან დაუხვდათ. არავის შევხვედრივარ ვეება ხარის გარდა, რომელმაც თვითონ დამითმო გზა და ამიტომ არ გავქცეულვარო. სამაგიეროდ, შუადღეს, როცა ყველანი დასანაყრებლად დასხდნენ, სანდერუსმა თქვა, მეფუტკრე ვნახე, მაგრამ არ დავაკავე, ვიფიქრე, ამ უღრან ტყეში ვაითუ სხვა გლეხებიც იყვნენ-მეთქი. ვეცადე. მეფუტკრისთვის ამბები გამომეკითხა, მაგრამ ერთმანეთს ვერაფერი გავუგეთო.

რაზმმა ისევ განაგრძო გზა, თუმცა ზბიშკოს უკვე მოუსვენრობა შეეპარა: ერთიც ვნახოთ და მაღალსა და მშრალ ადგილზე გავიდნენ, მაშინ ხომ გზაზე გაქრება კვალი, რომელსაც ახლა მიჰყვებიან? ანდა ხანგრძლივ რომ დასჭირდეს ჯვაროსნების დევნა და რაზმი შედარებით დასახლებულ ადგილას მოხვდეს, სადაც მცხოვრებლები დიდი ხანია შეეჩვივნენ ორდენის მორჩილებას? მაშინ გერმანელებზე თავდასხმა და დანუსიას განთავისუფლება უბრალოდ უაზრობა გახდება, ზიგფრიდი და არნოლდი რომელიმე ციხესიმაგრესაც რომ არ შეეფარონ, ადგილობრივი მცხოვრებლები, უეჭველია, შეიკედლებენ მათ.

საბედნიეროდ, ეს შიში უსაფუძვლო გამოდგა: შემდეგ სადგომზე რაზმმა დათქმულ დროს ვეღარ იპოვა სანდერუსი, სამაგიეროდ, გზისპირა ფიჭ-

ვზე აღმოაჩინეს ახლად ამოჭრილი ვეებერთელა ჯვარი. ყველამ ერთმანეთს გადახედა მებრძოლები მოიქუშნენ, მათ გულებს ბაგაბუგი გაუდიოდა, მაცკო და ზბიშკო მყისვე ცხენიდან ჩამოხტნენ, რომ მიწაზე კვალი შეემოწმებინათ, დიდხანს არ დასჭირვებიათ ძებნა, მაშინვე წააწყდნენ მას.

ეტყობოდა, სანდერუსს ტევრისკენ გადაეხვია, ვეება ჩლიქების ნაკვალევს გაჰყოლოდა. აქ ნიადაგი ტორფიანი იყო და მძიმე ცხენი ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ტკეპნიდა წიწვებს მიწაში თავისი ნალებით, ამის გამო პატარა შავარშიიანი ორმოები გაჩენილიყო.

ზბიშკოს მახვილ თვალს არც სხვა კვლები გამოეპარა; ისევ შეჯდა ცხენზე, მაცკომაც მას მიბაძა და ორთავემ ჩეხთან თათბირი გამართა. დაბალ ხმაზე ლაპარაკობდნენ, თითქოს მტერი აქვე გვერდით იყო.

ჩეხი ურჩევდა ფეხით გაეგრძელებინათ გზა, მაგრამ რაინდები, რაკი არ იცოდნენ, რა მანძილის გავლა დასჭირდებოდათ, არ დაეთანხმნენ. ფეხით მხოლოდ მსახურები ივლიდნენ და, თუ მტერს აღმოაჩენდნენ, მაშინვე შეატყობინებდნენ თავისიანებს.

რაზმმა მალე ტყეში გადაუხვია. როცა ნაჭდევს მეორე ფიჭვზეც წააწყდნენ, ყველანი დარწმუნდნენ, რომ სანდერუსის კვალი არ დაკარგულიყო. ცოტა ხნის მერე რაზმი გზაზე გამოვიდა, უფრო სწორად, ხალხის გაკვალულ ტყის ბილიკზე. ახლა ყველა დარწმუნდა, რომ მალე გავიდოდნენ ტყის რომელიმე დასახლებასთან და ჯვაროსნებს იქ ნახავდნენ.

მზე უკვე დასავლეთისკენ იხრებოდა და ხეებს შუა ოქროსფერი გამონაშუქი ელავდა. მოწმენდილ თბილ საღამოს ეპირებოდა. ტყეში სიჩუმე იდგა, ფრინველები და ცხოველები მოსასვენებლად ემზადებოდნენ. მხოლოდ აქა-იქ, მზის ოქროთი დაფერილ ტოტებში გაიელვებდნენ დაისივით ცეცხლისფერი კვერნები. ზბიშკო, მაცკო, ჩეხი და მათი თანამგზავრები დაწალიკებით მიდიოდნენ. იცოდნენ, რომ ფეხით წასული მსახურები კარგად იყვნენ დაწინაურებულები და დროზე მოასწრებდნენ მათ გაფრთხილებას, ამიტომ მოხუცი რაინდი თითქმის ხმამაღლა ელაპარაკებოდა ძმისშვილს.

– მზის მიხედვით განვსაჯოთ, – უთხრა მან. – ბოლო გაჩერებიდან იმ ადგილამდე, სადაც ნაჭდევი იყო, აგერ უკვე რამდენი გამოვიარეთ, კრაკოვის საათზე ალბათ უკვე სამი იქნება... გამოდის, რომ სანდერუსი დიდი ხანია დაეწია ჯვაროსნებს და მოასწრო კიდეც თავისი თავგადასავლის მოყოლა. ოღონდ კი არ გაგვცეს.

– არ გაგვცემს, – უპასუხა ზბიშკომ.

– ნეტა დაუჯერებდნენ, დაასრულა მაცკომ, დაუჯერეს, კარგი დღე არ დაადგება მაშინ ყმაწვილს.

– ვითომ რატომ არ უნდა დაუჯერონ? ჩვენი არსებობა მათ არ იციან! იმას კი, რაც უნდა იყოს, იცნობენ, ტუსაღები ხშირად გარბიან ტყვეობიდან.

– მე, იცი, რისი მეშინია: ის რომ ეტყვის, ტყვეობიდან გამოვიქეციო, მდევრით შეშინებულებმა სასწრაფოდ არ გაუტიონ.

– არა. სანდერუსი მოახერხებს მათ გაცურებას. ისინიც დარწმუნდებიან, რომ ამ სიშორეზე მათი მდევნელი არავინ არის.

ერთხანს უხმოდ მიდიოდნენ; უცებ მაცკოს მოეჩვენა, რომ ზბიშკო რაღაცას ეჩურჩულებოდა, მიბრუნდა და ჰკითხა:

– რას ამბობ?

მაგრამ ზბიშკოს თვალები ცისკენ აღეპყრო და ბიძას კი არ ელაპარაკებოდა, ღმერთს ავედრებდა დანუსიას და თავის გაბედულ საქმეზე ლოცულობდა.

მაცკოსაც უნდოდა პირჯვარი გადაეწერა, მაგრამ ჯვრის გამოსახვაც ვერ მოასწრო, რომ თხილნარიდან წინ გაგზავნილმა ერთ-ერთმა მსახურმა გამოყო თავი.

– აქ ფისსახდელია! – თქვა მან. – ისინი აქ არიან.

– სდექ! – ჩურჩულით თქვა ზბიშკომ და წამში ჩამოხდა ცხენიდან.

– მას მიბაძეს მაცკომ, ჩეხმა და მსახურებმა. სამ მათგანს უბრძანეს ცხენებთან დარჩენილიყვნენ და მზად ჰყოლოდათ ისინი, თან გააფრთხილეს, ღმერთმა ნუ ქნას, რომელიმე ცხენმა დაიჭიხვინოსო. დანარჩენ ხუთ მსახურს მაცკომ უთხრა:

– იქ ორი მეჯინიბე და სანდერუსი იქნებიან, თქვენ ერთ წამში უნდა გაკოჭოთ ისინი, თუ რომელიმეს იარაღი აღმოაჩნდა და წინააღმდეგობა გაბედა, არ დაზოგოთ!

და იმწამსვე დაიძრნენ წინ. გზად ზბიშკომ კიდევ ერთხელ უჩურჩულა ბიძას:

– თქვენ ზიგფრიდს შეებით, მე კი არნოლდს.

– იცოდე, ფრთხილად იყავი! – იყო პასუხი.

მოხუცმა ჩეხს თვალი ჩაუკრა და ამით ანიშნა, მზად იყავი და, რა წამსაც საჭირო იქნება, ახალგაზრდა ბატონს მიეშველეო.

ჩეხმა თავი დაუქნია, ღრმად ჩაისუნთქა და მახვილს შეავლო ხელი, ქარქაშში თავისუფლად თუ მოძრაობსო.

ზბიშკომ ეს შენიშნა და უთხრა:

– არა! შენ მე გიბრძანებ, მაშინვე ტახტრევანთან მიიჭრა და ბრძოლის დროს ერთი წამით არ მოსცილდე მას.

ისინი სწრაფად და უხმაუროდ მიიწევდნენ თხილნარში, მაგრამ ბევრი სიარული არ დასჭირებიათ, ასიოდე ნაბიჯის შემდეგ თხილნარი უცებ გამეჩხერდა და წინ პატარა მდელო გამოჩნდა. მდელოზე ორი ჩამქრალი ფისსახდელი და ორიც ქოხი დაინახეს. ალბათ შიგ ფისის მხდელები თუ ცხოვრობდნენ, სანამ ომმა არ გამოაძევა იქიდან. ჩამავალი მზე კარგად ანათებდა ველს, ფისსახდელებსა და ქოხებს, რომლებიც ერთმანეთის მოშორებით იდგა. ერთი მიწურის წინ გადაჭრილ ხეზე ორი რაინდი ჩამომჯდარიყო, მეორის წინ მხარბეჭიანი ქერა მსახური და სანდერუსი ჩვრებით აპრიალებდნენ ჯავშნებს; სანდერუსის ფეხებთან ორი მახვილი იდო, ეტყობა, იმათ გაწმენდასაც აპირებდა.

– შეხედე! – წასჩურჩულა მაცკომ და ძმისშვილს ხელი მხარზე მაგრად მოუჭირა, რომ ერთი წამით კიდევ შეეყოვნებინა. განგებ გამოურთმევია ჯავშნები და მახვილები, კარგია! ეს ჭაღარათმიანია ალბათ...

– წინ! – შესძახა უცებ ზბიშკომ.

და ისინი ქარაშოტივით შეიჭრნენ მინდორზე. გერმანელებიც წამოხტნენ, მაგრამ სანდერუსამდე მისვლა ვერ მოასწრეს; მრისხანე მაცკომ მკერდში ჩაბღუჯა ზიგფრიდი, უკან გადაზნიქა და წამში ქვეშ მოიქცია. ზმიშკო და არნოლდი ძერებივით შეებნენ, ერთმანეთს ხელი ჩაავლეს და გამძაფრებით იბრძოდნენ. სანდერუსის გვერდით ჩამჯდარმა მხარბეჭიანმა გერმანელმა იარაღის აღება დააპირა, მაგრამ მოქნევაც ვერ მოასწრო, რომ მაცკოს მსახურმა ვიტმა ცულის ყუა ჩასცხო წითურა თავში და იქვე მიაწვინა. მოხუცი რაინდის ბრძანებით, მსახურებმა გაკოჭეს სანდერუსი, რომელმაც იცოდა, რომ ამას მოსაჩვენებლად აკეთებდნენ, მაგრამ შიშით მაინც აღრიალდა დასაკლავი ხბოსავით.

ზბიშკო ისეთ დონეზე იყო, ხეს წვენს გამოადენდა, მაგრამ იგრძნო, რომ რაღაც არაადამიანურად ძლიერი, დათვის ტორებივით ხელები შემოეჭდო. უცებ იფიქრა, ჯავშანი რომ არა, იმ შემთხვევისთვის რომ ჩაიცვა, თუ შუბებით ბრძოლა დასჭირდებოდათ, ეს გოლიათი მხოლოდ ნეკნებს კი არ აკმარებდა, ხერხემალსაც გადაუმტვრევდა. ზბიშკომ მაინც მოახერხა არნოლდის ხელში აყვანა, თუმცა იმან კიდევ უფრო მაღლა აზიდა, მთელი ძა-

ლა მოიკრიბა და უნდოდა მიწაზე ისე დაენარცხებინა, რომ ზეზე ვეღარ წამომდგარიყო.

მაგრამ ზბიშკომ ისეთი ძალით შემოაჭდო ხელები გერმანელს, რომ იმას თვალებში სისხლი მოაწვა, მერე სარმა გამოსდო და რაინდი მიწაზე დასცა.

უფრო სწორედ, დაეცნენ ორთავენი, თანაც ზბიშკო არნოლდის ქვეშ აღმოჩნდა; იმწამსვე მაცკომ, რომელიც ყოველთვის ყველაფერს ხედავდა, ნახევრად მოგუდული ზიგფრიდი მსახურებს მიუგდო, ზბიშკოსთან მიირბინა და თვალის დახამხამებაზე შეუკრა ფეხები ქამრით არნოლდს, შემოაჯდა, როგორც დაკლულ ღორს, და კისერზე პატარა ხანჯალი მიაჭირა. გერმანელმა გულისგამგმირავად შეჰყვირა, ხელები უღონოდ ჩამოუცურდა ზბიშკოს ფერდებზე, დაიგმინა, მაგრამ ჩხვლეტამ კი არა, აუტანელი ტკივილის უეცარმა შეტევამ შესძრა. მას ხომ ჯერ კიდევ სკირვოლიოსთან ბრძოლაში ხელკეტი ჩასცხეს ზურგში.

მაცკომ ორთავე ხელი წაავლო ქეჩოში გერმანელს და ზბიშკოს მოაშორა; ზბიშკო წამოჯდა, მაგრამ ადგომა ვერ შეძლო; რამდენიმე წუთს არ განძრეულა. სახე გაუფითრდა და ოფლმა დაასხა, თვალები ჩაუსისხლიანდა, ტუჩები დაულურჯდა და ნახევრად გონდაკარგულმა სივრცეს მიაშტერა თვალი.

– რა დაგემართა? – ჰკითხა შეშფოთებულმა მაცკომ.

– არაფერი, ოღონდ ძალზე დავიღალე. მომეხმარეთ წამოვდგე.

მაცკომ იღლიებში ხელი მოჰკიდა და ფეხზე წამოაყენა.

– შეგიძლია დადგე?

– შემიძლია.

– გტკივა რამე?

– არა, ოღონდ სუნთქვა მიჭირს.

ამ დროს ჩეხმა ჰლავამ დაინახა, რომ ბრძოლა დამთავრებულიყო, მიწურიდან გამოხტა და კისერში ხელჩავლებული გამოათრია ორდენის მონაზონი. ამის დანახვაზე ზბიშკო დაღლილობა გადაავიწყდა, ძალ-ღონე უცებ დაუბრუნდა და ისე ეცა მიწურს, თითქოს ერთი წუთის წინ მრისხანე არნოლდს არ ებრძოდა.

– დანუსკა! დანუსკა!

არავინ უპასუხა.

– დანუსკა! დანუსკა! – გაიმეორა ზბიშკომ.

და გაყუჩდა. მიწურში ბნელოდა და თავდაპირველად ქაბუკი ვერაფერს არჩევდა. მაგრამ უცებ ქვის ღუმელი იქით ხშირი სუნთქვა შემოესმა, თითქოს იქ შეშინებული მხეცი მიმალულიყო.

– დანუსკა! ღმერთო ჩემო! ეს მე ვარ, ზბიშკო!

უცებ მან სიბნელეში გაარჩია ფართოდ გახელილი შიშჩამდგარი უაზრო თვალები. ზბიშკომ მიირბინა მასთან და გულში ჩაიკრა, მაგრამ ქალმა ვერ იცნო ქმარი და ხელიდან გაუსხლტა, თან სუნთქვაშეკრული ჩურჩულებდა:

– მეშინია, მეშინია, მეშინია!...

XXIII

ვერაფერმა უშველა დანუსიას – ვერც სასიყვარულო სიტყვებმა, ვერც ალერსმა, ვერც ხვეწნა-მუდარამ, ვერავის სცნობდა და გონს ვერ მოდიოდა. ერთადერთ გრძნობას მოეცვა მისი არსება – ეს იყო შიში, შიში მფრთხალი ჩიტისა, რომელიც გალიაში დაუტყვევებიათ. როცა საჭმელი მოუტანეს, ხალხის წინ ხელი არ დააკარა, თუმცა ისე ხარბად გადახედა, ეტყობოდა, დიდი ხნის დამშეული იყო. მარტო რომ დარჩა, მშიერი მხეცივით ეცა საჭმელს, მაგრამ როგორც კი ზბიშკო შევიდა მიწურში, სწრაფად გადახტა კუთხეში და სვიის კონებს ამოეფარა. ამაოდ აპირებდა გულში ჩაკვრას, ამაოდ უწვდიდა ხელებს, ამაოდ ემუდარებოდა ცრემლმორეული ზბიშკო. როცა ნახევრად ჩაბნელებულ მიწურში ცეცხლი დაანთეს და ქალს ადვილად შეეძლო ზბიშკოს სახის დანახვა, თავის კუთხეს მაშინაც არ მოშორებია. ეტყობოდა, გონებასთან ერთად მეხსიერებაც მთლად დაჰკარგოდა.

ზბიშკო შესცქეროდა მის ფერგამკრთალ, გამხდარ სახეს, შიში რომ შეჰყინვოდა, ჩაცვივნულ თვალებს, შემოფლეთილ ძონძებს და შეძრწუნებული და გულმოკლული ფიქრობდა, ვის ხელში მოხვედრილიყო და რა დღეში ჩაეგდოთ. ბოლოს ისეთმა ველურმა მრისხანებამ შეიპყრო, რომ მახვილს ხელი დასტაცა, ზიგფრიდს მიაშურა და ალბათ ადგილზე მოსპობდა, მაცკოს ხელი რომ არ ჩაევლო.

ისინი მტრებივით შეებნენ ერთმანეთს, მაგრამ არნოლდთან ბრძოლას ისე გამოეცალა ძალ-ღონე, რომ მაცკომ უცებ დასძლია, ხელი გადაუგრიხა და შესძახა:

– ჭკუაზე ხომ არ შეიშალე!

– გამიშვით! – კბილების ხრჭიალით უპასუხა ზბიშკომ – გული გაგლეჯაზე მაქვს.

– გაგეგლიჯოს! არ მიგიშვებ! ხეს თავი ახალე და გაიხეთქე, ოღონდ საკუთარ თავსა და ჩვენს მოდგმას ნუ შეარცხვენ.

მან მარწუხივით მოიგდო ზბიშკოს ხელი და მრისხანედ უთხრა:

– გონს მოდი! შურისძიებას ყოველთვის მოასწრებ, შენ ხომ ქამრიანი რაინდი ხარ. ეს რასა ჰგავს! გაკოჭილი ტყვის მოკვლა განიზრახე? დანუსკას შენ ამითი ვერაფერს უშველი, თვითონ კი აბა რა გაგიკეთდება? მხოლოდ სირცხვილს მოიმკი. იქნება მითხრა, მეფაებსა და მთავრებსაც ხშირად დაუხოციათ თავიანთი ტყვეებიო? მართალია, მაგრამ ჩვენში ეგ არ მომხდარა! და რასაც იმათ ჰპატიობენ, შენ არავინ გაპატიებს. იმათ სახელმწიფოები აქვთ, ქალაქები, ციხესიმაგრეები, შენ კი რა გაგაჩნია? რაინდული სინდისი. იმათ რომ სასაყვედუროს არაფერს ჰკადრებს, იგივე ადამიანი შენ თვალებში მოგაფურთხებს. გონს მოდი, თუ ღმერთი გწამს!

– შემეშვით! – უთხრა პირქუშად ზბიშკომ, – ხელს არ ვაკლებ.

– წამოდი კოცონთან, მოვითათბიროთ.

მან ხელი მოჰკიდა ზბიშკოს და კოცონისკენ წაიყვანა, მსახურებს რომ ფისისსახდელების გვერდით გაეჩაღებინათ. დასხდნენ, ერთ წუთს იყუჩეს, მერე მაცკომ თქვა:

– რატომ გავიწყდება, რომ ამ ბებერ ძაღლს შენ იურანდს შეჰპირდი. აი, ის კი გადაუხდის თავისი თავისთვისაც და დანუსიას წამებისთვისაც! ის მიუზღავს სამაგიეროს, მაგის დარდი ნუ გაქვს! ხომ უნდა მოუფონო გული იურანდს. მას აქვს ამისი უფლება. ის, რაც შენ არ შეგიძლია ჩაიდინო, იურანდს შეუძლია. ტყვე შენი ნაჩუქარი იქნება, იმას ზურგზე ტყავსაც ააძრობს, თუ მოუნდება, და არავინ დასძრახავს ამისათვის, გასაგებია?

– გასაგებია, – უპასუხა ზბიშკომ. – ამას სწორს მეუბნებით.

– კეთილი, ვხედავ, გონს მოხვედი. თუ ეშმაკი კიდევ შემოგიჩნდება, დაიმახსოვრე, რომ შეპირებული ხარ, შური იძიო ლიხტენშტაინზე და სხვა ჯვაროსნებზე. ეს უმწეო ტყვე რომ მოკლა, მსახურები მთელ ქვეყანას მოსდებენ, არც ერთი რაინდი შენთან ბრძოლას აღარ იკადრებს და მართალიც იქნება. ღმერთმა დაგიფაროს ასეთებისგან! უმაგისოდაც არ გვაკლია სადარდელი, სირცხვილს მაინც ნუ ვჭამთ. ისა სჯობია, მოვილაპარაკოთ, ახლა რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ.

– თქვენ რას გვირჩევდით? ჰკითხა ახალგაზრდა რა– ინდმა.

– აი, რას გირჩევდი! ეს გველი, დანუსიას რომ ედგა, უნდა მოისპოს, მაგრამ რაინდს არ შეჰფერის დედაკაცის სისხლის დაღვრა; მთავარ იანუშს გადავცეთ. ეგ მაშინაც მზაკვრობდა, სამონადირო სახლში, მთავრისა და მისი მეუღლის თვალწინ. დაე, მაზოვიის სასამართლომ დასდოს მსჯავრი და, თუ ურმის თვალს არ გააკრავენ, ღმერთის წინაშე შესცოდავენ. ჯერჯერობით, სანამ სხვა ქალი არა გვყავს, დანუსიას მომვლელად დაგვჭირდება, მერე კი ცხენის კუდს გამოვაბათ. ახლა დროა მაზოვიის ტყეებისკენ ვიჩქაროთ.

– ახლა უკვე ღამეა. იქნება ღმერთმა ქნას და ხვალისთვის დანუსიაც გონს მოვიდეს.

– მართალია. ბარემ ცხენებიც ქარს ამოიღებენ. გამთენიას გავუდგეთ გზას.

მათ ლაპარაკი არნოლდ ფონ ბადენმა შეაწყვეტინა, რომელიც იქვე მახლობლად გულაღმა იწვა საკუთარ მახვილზე კუნძივით გამობმული. მან ყვირილი მორთო გერმანულად. მოხუცი მაცკო წამოდგა და მიუახლოვდა, მაგრამ ვერაფერი გაუგო და თვალებით ჩეხს დაუწყო ძებნა.

მაგრამ ჰლავა სხვა საქმით იყო დაკავებული და მოსვლა არ შეეძლო. სანამ მაცკო და ზბიშკო კოცონთან საუბრობდნენ, ის მონაზონთან მივიდა, ქეჩოში ჩაავლო ხელი, პანტასავით შეანჯღრია და უთხრა:

– ყური მიგდე, ძუკნავ! შედი მიწურში და ქალბატონს ტყავები გაუშალე. მანამდის შენი კაბა ჩააცვი, თვითონ კი ის ძონძები ჩაიცვი, რომელშიც მისთვის გიბრძანებიათ სიარული... ეშმაკმა კი წაგიღოთ ყველა!

და ბოღმამორეულმა კვლავ ისე შეანჯღრია მონაზონი, თვალები გადმოაკარკვლინა. გიყვარდეს, მოუქცევდა კისერს, მაგრამ იცოდა, ჯერ კიდევ დასჭირდებოდათ, ამიტომ ხელი შეუშვა და უთხრა:

– მერე კი შესაფერის კუნძს გამოგინახავთ ტყეში.

თავზარდაცემული მონაზონი მუხლებზე შემოეხვია მას, ხოლო როცა ჩეხმა წიხლი ჩააზილა, მიწურში გაიქცა, დანუსიას ფეხებთან დაეცა და ბაყაყივით აყიყინდა.

– მიშველე! გადამარჩინე!

მაგრამ დანუსიამ მხოლოდ ხელები აიფარა სახეზე და ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოსწყდა მის ბაგეს ჩურჩული:

– მეშინია, მეშინია, მეშინია!

მერე კი გაქვავდა, ასე ემართებოდა ყოველთვის, როცა მონაზონი მიუახლოვდებოდა. დანუსია დაჰყვა, ძონძები გაახდევინა და ახალი კაბა ჩაიცვა. მერე ქალმა ლოგინი გაუშალა და დააწვინა, გეგონებოდათ, სანთლის ან ხის თოჯინააო. თვითონ კი ცეცხლს მიუჯდა, ქოხიდან გამოსვლას ვერა ბედავდა.

მაგრამ ჩეხი ერთი წუთის შემდეგ თვითონ შევიდა მასთან. ის ჯერ დანუსიას მიუბრუნდა და უთხრა:

– ახლა თქვენ მეგობრებში ბრძანდებით, პანი, მშვიდად იძინეთ, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!

მან დანუსიას პირჯვარი გადასახა, მერე კი დაბალ ხმაზე, დანუსიას რომ არ შეშინებოდა, მონაზონს უთხრა:

– ახლა მე შენ გაგკოჭავ და შესასვლელთან დაგაგდებ. თუ ყვირილს გაბედავ და პანის შემიშინებ, მაშინვე კისერს მოგიგრეხ. ადექ, წავიდეთ!

მან მიწურიდან გამოიყვანა მონაზონი, შეპირებისამებრ მაგრად გაბაწრა და თვითონ ზბიშკოს მიაშურა.

– მე ვუბრძანე იმ გველს ქალბატონისთვის თავისი კაბა ჩაეცმია, – უთხრა მან. – ლოგინიც გაშლილია და ქალბატონს სძინავს. სჯობს აღარ შეხვიდეთ, უფრო არ შეაშინოთ, ღმერთმაც ქნას, დაისვენოს და ხვალ გონზე მოვიდეს. ახლა კი თქვენც უნდა დანაყრდეთ და დაისვენოთ.

– მე ქოხის კართან დავწვები, – ჩაილაპარაკა ზბიშკომ.

– მაშინ იმ ძუკნას ცოტა იქით გადავათრევ, წითურის გვამის გვერდით, ახლა კი დანაყრდით, წინ ძნელი გზა გვიდევს.

ამ სიტყვებით ჩეხი წავიდა შებოლოლი ხორცისა და თალგამის მოსატანად, ჟმუდელებთან რომ მოიმარაგეს წამოსვლისას, მაგრამ ვერ მოასწრო ზბიშკოსთვის სუფრა გაეშალა, რომ მაცკომ არნოლდთან დაუძახა.

– კარგად დაუგდე ყური, რა უნდა ამ აყლაყუდას, – უთხრა მან. – ცოტა კი მესმის მაგათი ენა, მაგრამ მაინც ვერაფერი გავუგე.

– მე იმას, ბატონო, კოცონთან მოვათრევ, თქვენ კი როგორმე მოელაპარაკეთ. – თქვა ჩეხმა.

ჰლავამ ქამარი მოიხსნა, არნოლდს იღლიებში ამოუყარა და გერმანელი ზურგზე მოიგდო. ჩეხი წელში მოხარა გოლიათის სიმძიმემ, მაგრამ ღო-

ნიერი ჭაბუკი იყო და კოცონამდე მიათრია, იქ კი ლობიოს ტომარასავით დააგდო მიწაზე ზბიშკოს მახლობლად.

– შემხსენით თოკები! – სთხოვა გერმანელმა.

– ეგ შეიძლება, – უპასუხა ჩეხის პირით მოხუცმა მაცკომ, – თუ რაინდული ფიცით დაიფიცებ, რომ თავი ჩვენს ტყვედ მიგაჩნია. თუმცა მე ისედაც ვბრძანებ მახვილი მუხლებიდან გამოგაცალონ და ხელები შეგიხსნან, რათა ჩვენს გვერდით დაჯდე, ფეხებს კი შეკრულს დაგიტოვებ, სანამ მე და შენ მოვილაპარაკებდეთ.

მაცკომ ჩეხს ანიშნა და იმან ხელებზე თოკები გადაუჭრა გერმანელს, მერე დაჯდომაშიც მოეხმარა. არნოლდმა მედიდურად გადახედა მაცკოსა და ზბიშკოს და ჰკითხა:

– ვინა ხართ თქვენ?

– როგორ ბედავ ამის კითხვას? შენი რა საქმეა, ჩვენ ვინა ვართ? ჯერ თვითონ მოგვახსენე, ვინა ხარ.

– რა ჩემი საქმეა? მე ხომ რაინდული სიტყვის მიცემა მხოლოდ რაინდისთვის შემიძლია.

– მაშინ შეხედე!

და მაცკომ ლაბადა გადაიხსნა და ფერდებზე რაინდული ქამარი დაანახვა.

ჯვაროსანი განცვიფრდა.

– ეს როგორ? – ჰკითხა მან ცოტა ხნის შემდეგ. – თქვენ ტყე-ტყე ყაჩაღობთ ნადავლის საშოვნელად? წარმართებს ეხმარებით ქრისტიანების წინააღმდეგ ბრძოლაში?

– სცრუობ! – შესძახა მაცკომ. ასე გაიმართა მათ შორის მტრული და ქედმაღლური ლაპარაკი. ყოველ წუთს მზად იყვნენ ჩხუბზე გადასულიყვნენ, მაგრამ როცა გაფიცხებულმა მაცკომ იყვირა – სწორედ ჯვაროსნები არ აძლევენ ლიტვას გაქრისტიანების საშუალებასო და დამადასტურებელი საბუთებიც მოუყვანა, დამარცხებული არნოლდი ჩაჩუმდა. სიმართლე იმდენად აშკარა იყო, ვერც თვალს დახუჭავდი ამაზე და ვერც იდავებდი. გერმანელს თავზარი დაეცა, როცა მაცკომ ჯვარი გამოისახა და თქვა: „არავინ იცის, ვის ემსახურებით სინამდვილეში, თუ ყველა არა, ზოგიერთები მაინც!“ – თავზარი კი იმიტომ დაეცა ჯვაროსანს, რომ ორდენშიც ზოგიერთ კომტურზე ეჭვობდნენ ეშმაკს მიჰყიდაო სული. აშკარად მათ ბრალს არ სდებდნენ და არც სასამართლოს გადასცემდნენ, რათა მთელი ორდენი არ

შეერცხვინათ, მაგრამ არნოლდმა კარგად იცოდა, რომ ბერები ამაზე ერთმანეთში ჩურჩულებდნენ და ასეთი ხმები დადიოდა ორდენზე. მაცკოს სანდერუსისგან გაეგონა ზიგფრიდის საოცარ საქციელზე და ახლა მთლად აუფორიაქა სული გულკეთილ გოლიათს.

– განა ზიგფრიდი, უთხრა მან, – რომელთან ერთადაც შენ ომობ, ღმერთსა და ქრისტეს ემსახურება? განა შენ არასოდეს გაგიგონია, როგორ ესაუბრება ხოლმე ის ავსულებს, როგორ ეჩურჩულება მათ, იცინის და ახრჭიალებს კბილებს?

– ეგ მართალია! – წაიბურტყუნა არნოლდმა.

მაგრამ ზბიშკომ, რომელსაც ბოღმისა და რისხვის ახალი ტალღა ყელში მოებჯინა, უცებ იყვირა:

– და შენ აქ ბედავ რაინდულ სინდისზე ლაპარაკს? სირცხვილი შენ, რადგან შეჩვენებულსა და ჯოჯოხეთის მოციქულს ეხმარებოდი. სირცხვილი შენ, რადგან მშვიდად შეჰყურებდი უმწეო ქალის ტანჯვას, რაინდის ქალიშვილისას, ან იქნებ თვითონაც აწამებდი მას! სირცხვილი შენ!

არნოლდმა თვალები გადმოკარკლა, პირჯვარი გადაისახა და გაოცებულმა თქვა:

– სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა... როგორ... ეს ჭკუაზე გადასული გოგო, რომელსაც ოცდაშვიდი ეშმაკი ერთბაშად ჩასახლებია?... მე?..

– ვაი, მე უბედური! – ხრინწიანი ხმით გააწყვეტინა ზბიშკომ.

მერე ისევ მოკლე მახვილს დაავლო ხელი და ზიგფრიდს ველური მზერა მიაპყრო, შორიახლოს სიბნელეში რომ იწვა.

მაცკომ მშვიდად დაადო ხელი მხარზე ძმისშვილს და მთელი ძალით მოუჭირა, რათა გონს მოეყვანა. თვითონ კი არნოლდს მიმართა:

– ეს ქალი იურანდ სპიხოველის ქალიშვილი და ამ ჭაბუკი რაინდის ცოლია. ახლა ალბათ გესმის, რატომ მოგყვებოდით კვალდაკვალ და რატომ ჩავარდი ჩვენთან ტყვედ?

– ვფიცავარ ღმერთს! – წაილაპარაკა არნოლდმა. საიდან? როგორ? ეგ ხომ ჭკუაზე შეშლილია...

– ჯვაროსნებმა უმანკო ბატკანი მოიტაცეს და მანამდის აწამეს, სანამ ამ დღეში არ ჩააგდეს.

„უმანკო ბატკნის“ ხსენებაზე ზბიშკომ ხელი ტუჩებთან მიიტანა და ცერზე იკბინა, თვალთაგან ღაპაღუპით წამოუვიდა უნუგეშო დარდისა და ნაღველის ცრემლები. არნოლდი ჩაფიქრებული იჯდა. ჩეხი მოკლედ მოუყვა მას დანველდის ვერაგობის, დანუსიას მოტაცების, იურანდის წამების, როტგერთან ორთაბრძოლის ამბებს. ჩამოვარდა სიჩუმე, რომელსაც მხოლოდ ტყის შრიალი და ცეცხლის ტკაცატკუცი არღვევდა.

ასე ისხდნენ ერთხანს, მერე არნოლდმა თავი ასწია და თქვა:

– ვფიცავარ არა მხოლოდ რაინდულ სინდისს, არამედ მაცხოვრის ჯვარსაც, რომ მე თითქმის არ მინახავს ეს ქალი, არც ვიცოდი, ვინ იყო, და სრულიად უდანაშაულო ვარ მის წინაშე.

– მაშინ ისიც დაიფიცე, რომ შენი ნებით გამოგვყვები უკან, გაქცევას არ ეცდები, და ვუბრძანებ ფეხებიც გაგიხსნან. – თქვა მაცკომ.

– ეგრე იყოს, ვფიცავ! სად მიპირებთ წაყვანას?

– მაზოვიაში, იურანდ სპიხოველთან.

ამის თქმაზე მაცკომ თვითონ გადაუჭრა თოკები ფეხებზე არნოლდს და ხორცსა და თალგამზე ანიშნა. მალე ზბიშკო მოშორდა კოცონს და მიწურისკენ წავიდა, რომ კარის წინ დაწოლილიყო; მონაზონი მას იქ აღარ დაუხვდა, მსახურებს ცხენებთან წაეთრიათ. ახალგაზრდა რაინდი ჰლავას მოტანილ ტყავზე წამოწვა და გადაწყვიტა მთელი ღამე ეფხიზლა იმის მოლოდინში, რომ განთიადი ბედნიერ ცვლილებას მოუტანდა დანუსიას.

ჩეხი კოცონთან დაბრუნდა; მას უნდოდა მოხუც ბოგდანეცელ რაინდს იმაზე მოლაპარაკებოდა, რაც მის სულს ახლა აწამებდა. მაცკო ჩაფიქრებული იჯდა. მოხუცს თითქოს არც ესმოდა, როგორ ხვრინავდა არნოლდი, რომელმაც ვახშამზე უზომოდ ბევრი ხორცი და თალგამი მიირთვა და დაღლილს მკვდარივით ჩაეძინა.

– თქვენ არ ინებებთ დასვენებას? – ჰკითხა საჭურველმტვირთველმა.

– თვალზე რული არ მეპარება, – უპასუხა მაცკომ, – ღმერთმა ბედნიერი დღე გაგვითენოს.

და თვალები ვარსკვლავებს აღაპყრო.

– აგერ ცაზე ეტლიც გამოჩნდა, მე კი სულ იმაზე ვფიქრობ, რა იქნება შემდეგ.

– მეც ვერ ვიძინებ, სულ ზგოჟელიცელ ქალიშვილზე ვფიქრობ.

– ეგ მართლაც ახალი სადარდელი გაგვიჩნდა. ის ხომ სპიხოვშია.

– საქმეც ის არის, რომ სპიხოვშია. ნეტა სულ არ წამოგვეყვანა ზგოჟელიციდან.

– თვითონ მოინდომა აბატთან წამოსვლა, ხოლო როცა აბატი გარდაიცვალა, რა უნდა მექნა? – მოუთმენლად შეედავა მაცკო. მას არ სიამოვნებდა ამაზე ლაპარაკი, გულში თავის დანაშაულს გრძნობდა.

– კი, მაგრამ, ახლა რა ვქნათ?

– წავიყვან შინ და მერე ღვთის ნებაა, რაც იქნება!...

ცოტა ხნის შემდეგ კი დაუმატა:

– ღვთის ნებაა, მაგრამ დანუსკა მაინც იყოს ჯანმრთელად, ის მაინც ჰგავდეს ადამიანს, მაშინ კაცს ეცოდინებოდა, როგორ მოქცეულიყო! გავიხედოთ და აღარ გამოჯანმრთელდა... და არც სული განუტევა. ღმერთმა ერთი რომელიმე მაინც გამოგზავნოს!

მაგრამ ჩეხი ამ დროს მხოლოდ იაგენკაზე ფიქრობდა.

– იცით რა, თქვენო მოწყალებავ, – უთხრა მან, – სპიხოვიდან წამოსვლისას ქალბატონს რომ ვემშვიდობებოდი, ასე მითხრა: „თუ რამე მოხდეს, ზბიშკოსა და მაცკოზე ადრე ჩამოდითო, მაინც ხომ დასჭირდებათ მალემსრბოლის გამოგზავნა, ჰოდა, ბარემ თქვენ გამოგიგზავნონ, ადგებით და წამიყვანთო ზგოჟელიცში “.

– ეჰ! – შესძახა მაცკომ. – რაღა ბევრი ლაპარაკი უნდა, არ ივარგებს მისი სპიხოვში დარჩენა, როცა იქ დანუსია ჩავა. რა თქმა უნდა, ზგოჟელიცში უნდა წავიდეს. ძალიან მეცოდება ობოლი გოგო, გულით მეცოდება, მაგრამ, რაკი ღმერთმა არ ინება, რას იზამ! საქმე ის არის, როგორ მოვაგვაროთ ეს ამბავი? მოიცა, შენ ამბობ, ასე მითხრა, სხვებზე ადრე დაბრუნდი და ზგოჟელიცში წამიყვანეო?

– მე ყველაფერი მოგახსენეთ, რაც მან დამაბარა.

– მაშინ იქნებ მართლაც წასულიყავი ჩვენზე ადრე. მოხუც იურანდსაც ხომ უნდა შევატყობინოთ, რომ მისი ქალი ვიპოვეთ, თორემ მერე სიხარულის ელდამ გული არ გაუხეთქოს. გეფიცები, ამაზე უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებ. დაბრუნდი! უთხარი, რომ დანუსია დავიხსენით და სულ მალე ჩავიყვანთ, მერე კი მოჰკიდე ხელი იმ საცოდავს და შინ წაიყვანე.

მოხუცმა რაინდმა ისე ამოიოხრა, გული ამოაყოლა, ენანებოდა იაგენკა და ყველა ის ოცნება, რასაც გულით ატარებდა. შემდეგ ისევ ჰკითხა:

– ვიცი, რომ მარჯვეცა ხარ და ღონიერიც, მაგრამ მოახერხებ თუ არა მოუარო გზაში და ააცდინო ყოველგვარი ხიფათი? მგზავრობაში ყველაფერი მოსალოდნელია.

– შევძლებ, თავიც რომ გამიხდეს შესაწირი! თან გავიყოლებ კეთილ მსახურებს, სპიხოვის ბატონი არ დაინანებს მათ ჩემთვის, და ჩემს ქალბატონს თუნდაც ქვეყნის კიდემდე უხიფათოდ გავიყვან.

– მაინცდამაინც ნუ იტრაბახებ. ისიც დაიმახსოვრე, რომ თვით ზგოჟელიცში უნდა მოერიდოთ ბჟოზოველ ვილკებსა და როგოველ ჩტანს... თუმცა, აბა რას ვამბობ! იმათ მაშინ უნდა მოვრიდებოდით, როცა სხვა მიზნები გვქონდა გულში. ახლა კი ყველაფერი დამთავრებულია, რაც იქნება, იქნება.

– მე ქალბატონს იმ რაინდებისგანაც დავიცავ, დანუსია აკი სულს ღაფავს, საცოდავი... ერთიც ვნახოთ და გარდაიცვალა!

– სრულ ჭეშმარიტებას ამბობ: ნამდვილად სულს ღაფავს, საცოდავი, ერთიც ვნახოთ და გარდაიცვალა...

– ყველანი ღვთის შვილები ვართ, ახლა კი მოდით ზგოჟელიცელ ქალბატონზე ვიფიქროთ...

– გულახდილად რომ გითხრა, წესითა და რიგით მე თვითონ უნდა წამეყვანა ის თავის სახლში, – თქვა მაცკომ. მაგრამ რა ვქნა, ახლა ძნელია, ზბიშკოს დატოვება არ შემიძლია, ხომ ხედავ, რა დღეშია, როგორი კბილების ხრჭიალით გაექანა მოხუცი კომტურისკენ, უნდოდა ყელი გამოეჭრა ღორივით. აი, შენ ამბობ, ვაითუ დანუსიას გზაში ამოუვიდესო სული; არც კი ვიცი, მარტო მოვახერხებ თუ არა მის დაოკებას. მე თუ გვერდით არ ვიქენი, ტყუილია, მაგას ვერავინ დააკავებს. სამუდამო ლაქა მოეცხებოდა მთელს ჩვენს შთამომავლობას, ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი უბედურებისგან, ამინ!

– არსებობს სულ უბრალო საშუალება, – უპასუხა ჩეხმა. – მომეცით ეგ მხეცი და მე ვიცი, როგორც მოვუვლი, ტომრიდან მხოლოდ სპიხოვში გამოვბერტყავ ზედ იურანდის ფეხებთან.

– ღმერთმა ჯანი მოგცეს! აი, ყოჩაღ! – სიხარულით წამოიძახა მაცკომ. – უბრალო ამბავია! უბრალო ამბავია! წაიყვანე და ერთი იმდენი, ცოცხალი ჩაიყვანო სპიხოვამდე, სხვა რაც გინდა, ის უქენი.

მაშინ ის შჩიტნოელი ძუკნაც მომეცით! თუ იყუჩებს გზაში და ხელს არ შემიშლის, ჩავიყვან, თუ არადა ერთი კუნძი და იმისი ჯანი!

– იქნებ დანუსიასაც უფრო მალე გაუაროს შიშმა, იმათ რომ არ დაინახავს, და მალე მოვიდეს გონზე. მაგრამ ქალის დაუხმარებლად როგორ მოვუვლით, მონაზონს თუ წაიყვან?

– ტყეში ვინმეს შეხვდებით ადგილობრივი მცხოვრებლებიდან ან გაქცეულ გლეხებს თავიანთი ქალებით. აიყვანეთ პირველივე შემხვედრი, ამას მაინც ყველა აჯობებს. სანამ ვინმეს იშოვიდეთ, პან ზბიშკო მიხედავს.

– დღეს საოცრად ჭკვიანურად ლაპარაკობ. ესეც მართალი თქვი. დანუსკა რომ ზბიშკოს მის გვერდით იხილავს, იქნებ უფრო მალე მოვიდეს გონზე, დედასაც შეუცვლის და მამასაც. კეთილი და პატიოსანი. როდის წახვალ?

– გათენებას არ დაველოდები; მხოლოდ ცოტა ხანს მივწვები. ჯერ შუაღამეც არ არის.

– მადლობა ღმერთს, გადავწყვიტეთ რაღაც, თორემ საოცრად მქონდა დამძიმებული სული.

ჩეხი მიწვა მიფერფლილ კოცონთან, ბანჯგვლიანი ტყავი წაიხურა და მყის ჩაეძინა, მაგრამ ჯერ ისევ უკუნი ღამე იყო, განთიადი ცას ოდნავაც არ შეჰპარვოდა, როცა გაეღვიძა, ტყავებიდან გამოძვრა, ვარსკვლავებს ახედა, გაიზმორა და მაცკოც გააღვიძა.

– დროა, დავიძრა! – უთხრა მან.

– სად მიდიხარ? ჰკითხა მაცკომ და ნამძინარევზე თვალები მოიფშვნიტა.

– სპიხოვში.

– ჰო-ო! ვინ არის აქ, ასე რომ ხვრინავს? მკვდარსაც გააღვიძებს.

– რაინდი არნოლდია. ცეცხლს ფიჩხს წავაყრი და მსახურებთან წავალ.

ჩეხი წავიდა, მაგრამ ერთ წუთსაც არ გაევლო, რომ სწრაფი ნაბიჯით დაბრუნდა და შორიდანვე ხმადაბლა უთხრა:

ცუდი ამბებია, ბატონო! რა მოხდა? – მიაძახა მაცკომ და წამოხტა.

– მონაზონი გაიქცა. მსახურებს ცხენებთან მიუთრევიათ და ფეხები გაუხსნიათ, იმათ არ გაიხარონ, იმათ როგორც ჩასძინებიათ, გველივით გამძვრალა და გაქცეულა. წამოდით, ნახეთ.

შეშფოთებული მაცკო და ჰლავა ცხენებისკენ გაეშურნენ; იქ მხოლოდ ერთი მსახური დაუხვდათ. დანარჩენები გაქცეულის საძებნელად გასულიყვნენ. ამაო იყო მისი ძებნა ამ უკუნ ღამეში და მალე თავჩაქინდრულები დაბ-

რუნდნენ. მაცკოს არაფერი უთქვამს, მხოლოდ მუშტები უთავაზა მათ და კოცონთან დაბრუნდა, აბა რაღა უნდა ექნა.

რამდენიმე წუთში ზბიშკოც მოვიდა; მას არ ეძინა, მიწურს დარაჯობდა და, ნაბიჯების ხმა რომ მოესმა, იფიქრა, გავიგებ, რა მოხდაო. მაცკო მოუყვა, რა გადაწყვიტეს მან და ჩეხმა, მერე კი მონაზონის გაქცევის ამბავიც უთხრა.

– დიდი უბედურება არ არის, – თქვა მოხუცმა რაინდმა, – ამ ტყეში შიმშილით ამოხდება სული, ან გლეხები იპოვიან და ჩააძაღლებენ, თუ უფრო ადრე მგლებმა არ შესანსლეს. დასანანი ის არის, რომ სპიხოვში ანგარიშის სწორებას გადარჩა.

ზბიშკოსაც დაენანა, რომ ეს ქალი დასჯას გადაურჩა, მაგრამ ამ ამბავს მაინც გულგრილად შეხვდა. არც ჩეხისა და ზიგფრიდის გამგზავრებას გაუწია წინააღმდეგობა; ყველაფერს, რაც დანუსიას არ ეხებოდა, უგულისყუროდ ეკიდებოდა,

– ხვალვე, – ჩამოაგდო ზბიშკომ ლაპარაკი დანუსიაზე, – ცხენზე შემოვისვამ და ჩვენც გავემგზავრებით.

– რას შვრება? სძინავს? – ჰკითხა მაცკომ.

– დროდადრო ამოიკვნესებს ხოლმე, არ ვიცი, ძილში თუ ღვიძილში, შესვლა კი არ მინდა, არ შევაშინო-მეთქი.

ლაპარაკი ჩეხმა შეაწყვეტინათ, რომელმაც ზბიშკოს დანახვაზე შესძახა:

– ო, თქვენი მოწყალებავ, ფეხზე ხართ? დროა, გზას გავუდგე ცხენები მზადაა, ბებერი ეშმაკიც მითოკილია უნაგირზე. მალე ინათებს. ახლა მოკლე ღამეებია. ღმერთმა მშვიდობით გამყოფოთ, ბატონო მაცკო და ბატონო ზბიშკო

– მშვიდობით კარგად მენახო!

მაგრამ ჰლავამ მაცკო გვერდზე გაიყვანა და უთხრა:

– ძალიან გთხოვთ, თუ რამე მოხდეს... აი, უბედურება, მაგალითად... დაუყოვნებლივ გამოაგზავნეთ კაცი სპიხოვში. ჩვენ თუ წასულები დავუხვდით, მაშინ ეცადოს დაგვეწიოს!

– კეთილი, – უთხრა მაცკომ. – მეც დამავიწყდა მეთქვა, იაგენკა პლოცკში წაიყვანე, გასაგებია? ეპისკოპოსთან მიდი და უთხარი, ეს აბატის ნათ-

ლულია-თქო, ანდერძი თქვენთან არის-თქო, და სთხოვე იაგენკა თავისი მფარველობის ქვეშ იყოლიოს. ესეც ნათქვამია ანდერძში.

– ეპისკოპოსმა რომ პლოცკში დარჩენა გვიბრძანოს?

– ყველაფერი გაუგონე და ისე მოიქეცი, როგორც ის გირჩევს.

– მესმის, თქვენო მოწყალებავ. ნახვამდის

– ნახვამდის!

მესამე ტომის დასასრული.

ტომი მეოთხე

I

მეორე დღეს არნოლდმა რომ მონაზვნის გაქცევა გაიგო, ულვაშებში ჩაეცინა, მაგრამ მაცკოსავით იმანაც თქვა, ან მგლები შეჭამენ და ან ლიტველები მოჰკლავენო. ეს ჭკუასთან ახლოს იყო, რადგან ადგილობრივ მცხოვრებთ, წარმოშობით ლიტველებს, თვალის დასანახავად ეზიზღებოდათ ორდენი და ყველაფერი, რაც ორდენთან იყო დაკავშირებული. გლეხების ნაწილი სკირვოილოსთან წავიდა, დანარჩენები აჯანყდნენ, გერმანელები დახოცეს და თავიანთი ოჯახებითა და ბარგიბარხანით მიუვალ ტევრებში მიიმალნენ. მონაზონი მეორე დღესაც ეძებეს, თუმცა არც ისე გულიანად. სხვა საქმეებით დადარდიანებულმა მაცკომ და ზბიშკომ მთელი ტყის გაჩხრეკა აღარ ბრძანეს, ამიტომაც ძებნა უშედეგო იყო. ორთავე რაინდს მაზოვიაში მიეჩქარებოდა; ვარაუდობდნენ, მეორე დილით მზის ამოსვლისას გზას გასდგომოდნენ; წასვლა მაინც არ მოუხერხდათ, რადგან დანუსიას სწორედ გათენებისას ჩაეძინა ღრმა ძილით და ზბიშკომ უფლება აღარ მისცა გაეღვიძებინათ. მას ესმოდა როგორ კვნესოდა ღამით დანუსია და მიხვდა, რომ არ ეძინა, ამიტომ ახლა დიდ იმედებს ამყარებდა ამ ძილზე. ორჯერ მიიპარა მიწურთან და ჭუჭრუტანებიდან შესულ სინათლეზე დაინახა მისი დახუჭული თვალები, ნახევრად გახსნილი ბაგეები, შეფაკლული ლოყები, ღრმა ძილში მყოფ პატარა ბავშვს რომ მიუგავდა. გული უწვრილდებოდა საცოდაობისგან და ჩურჩულებდა: „ღმერთმა მოგასვენოს და გამოგამჯობინოს, ჩემო საყვარელო ყვავილო“. და კიდევ ეუბნებოდა: „ბოლო მოეღო შენს ტანჯვას, ცრემლებს, ღმერთმაც ქნას, შენი ცხოვრება ახლა მაინც წყალუხვი მდინარესავით ბედნიერად წარიმართოს!“ ეს გულღია და კეთილი ადამიანი ფიქრებს ღმერთისკენ აღავლენდა და თავის თავს ეკითხებოდა, როგორ გადაეხადა მადლობა, რომელი ეკლესიისთვის რა შეეწირა, – მარცვლეული, საქონელი, ცვილი, თუ ღმერთისთვის სასურველი სხვა რაიმე. ის ახლავე აღუთქვამდა და დაწვრილებით გადათვლიდა, რისი შეწირვაც უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა, – ჯერ არ იცოდა, როგორ მდგომარეობაში გაიღვიძებდა დანუსია, დაუბრუნდებოდა თუ არა მეხსიერება, ჯერ კიდევ

არ იყო დარწმუნებული, სამადლობლად ექნებოდა თუ არა ღმერთთან საქმე.

მაცკოს ესმოდა, რომ სრული უშიშროება მათ მხოლოდ მთავარ იანუშის სამფლობელოში ეღირსებოდათ, მაგრამ იმასაც ენანებოდა დანუსიას გაღვიძება, ეს ძილი იქნებ მისი მხსნელი გამხდარიყო. მას გამზადებული ჰყავდა მსახურები, საპალნიანი ცხენები და ელოდა.

შუადღე გადავიდა, დანუსია კი ჯერ არ იღვიძებდა: ბიძა-ძმისშვილი შეწუხდნენ. ზბიშკო ყოველ წუთს იხედებოდა მიწურის ჭუჭრუტანებში, შუადღის მერე კი მესამედ შევიდა დანუსიასთან და ჩამოჯდა კუნძზე, რომელიც მონაზონმა წინა საღამოს მიათრია ლოგინთან, რათა დანუსიასთვის ტანსაცმელი გამოეცვალა. “

ჩამოჯდა და ჩააცქერდა დანუსიას, მაგრამ მას თვალი არ გაუხელია, რამდენიმე ხნის შემდეგ ტუჩები აუთრთოლდა მხოლოდ და თითქოს დახუჭული თვალებით ხედავსო, წაიჩურჩულა:

– ზბიშკო...

წამში მუხლებზე დაეცა ზბიშკო მის წინ, აღტაცებით უკოცნიდა გამხდარ მკლავებს და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა:

– მადლობა ღმერთს! დანუსკა! მიცანი!

ზბიშკოს ხმამ ის სულ გამოაფხიზლა, თვალები გაახილა, ლოგინზე წამოჯდა და გაიმეორა:

– ზბიშკო...

და თვალები აახამხამა, გაოცებით იყურებოდა ირგვლივ.

– შენ უკვე თავისუფალი ხარ! – ეუბნებოდა ზბიშკო. – მე გამოვტაცე შენი თავი იმათ, ახლა კი სპიხოვში წავალთ!

დანუსიამ ხელები გაითავისუფლა თქვა:

– ეს ყველაფერი იმიტომ დაგვემართა, რომ მამიკოს არ დავულოცნივართ. სად არის ქალბატონი?

– გაიღვიძე, ჩემო პატარავ! ქალბატონი აქედან შორსაა. ჩვენ კი გერმანელებს გამოვტაცეთ შენი თავი.

თითქოს მისი ლაპარაკი არც ესმის და რაღაცას თავისთვის იხსენებსო, დანუსიამ წაილაპარაკა:

– ბარბითი წამართვეს, კედელს მიახალეს და გამიტეხეს.

– ღმერთო დიდებულო! – წამოიძახა ზბიშკომ.

ზბიშკომ ახლაღა შენიშნა, რომ თვალები რაღაც ცუდად უელვარებდა და ლოყებზე ალმური ასდიოდა. მიხვდა, რომ ქალი მძიმედ იყო ავად და მისი სახელი მხოლოდ აბოდებდა.

შეაჟრჟოლა ელდისაგან, შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა.

– დანუსკა! – დაუძახა მან. – შენ მე მხედავ, შენ მე მხედავ, გესმის რას ვლაპარაკობ?

დანუსიამ კი მორჩილად სთხოვა:

– მწყურია!... წყალი!

– ღმერთო დიდებულო!

ზბიშკო მიწურიდან გამოვარდა და კარებში მოხუც მაცკოს შეეფეთა, იმასაც გადაეწყვიტა ენახა დანუსია. ზბიშკომ ერთი სიტყვაღა მიუგდო „წყალიო!“ და იქვე მახლობლად ნაკადულს მიაშურა, ტყის ტევრსა და ხავსებში რომ მოწანწკარებდა.

წუთიც არ გასულა, რომ ტოლჩით დაბრუნდა და დანუსიას მიაწოდა. ის ხარბად დაეწაფა წყალს. მაცკოც უკვე იქ იყო და გულჩათუთქული შესცქეროდა ავადმყოფს.

– ციებ-ცხელება აქვს? – ჰკითხა მან.

– კი! – დაიკვნესა ზბიშკომ.

– გონზეა?

– არა.

მოხუცმა რაინდმა წარბი შეჰკრა და კეფა მოიქექა.

– რა ვქნათ?

– არ ვიცი.

– ერთიღა დაგვრჩენია... – წამოიწყო მაცკომ.

მაგრამ დანუსიამ შეაწყვეტინა. წყალი რომ გამოცალა, მოხუცს მიაჩერდა გაფართოებული, სიცხიანი თვალებით და უთხრა:

– მე თქვენთვის არაფერი დამიშავებია. შემიბრალეთ!

– მებრალები და სიკეთის მეტი შენთვის არაფერი მინდა, მღელვარებით მიუგო მოხუცმა რაინდმა.

მერე ის ზბიშკოს მიუბრუნდა:

– მისმინე! ამის აქ გაჩერება უაზრობაა. იქნებ ჰაერზე რომ გავა, მზე რომ გაათბობს, მოიკეთოს. ნუ დაიბნევი, შვილო, დავაწვინოთ ისევ იმ საკაცეზე, რომლითაც მოჰყავდათ, ან, თუ გინდა, უნაგირზე შემოისვი და გზას გავუდგეთ! გასაგებია?

მაცკომ ესა თქვა და მიწურიდან გამოვიდა, რათა მსახურებისთვის უკანასკნელი მითითებები მიეცა, მაგრამ თავი რომ ასწია, მეხდაცემულივით გაშეშდა.

საბრძოლო ბერდიშებითა და შუბებით შეიარაღებული კნეხტების მძლავრი ქვეითი რაზმი ოთხივ მხრივ შემორტყმოდა მიწურს, ფისსახდელებსა და მინდორს.

„გერმანელები!“ – გაიფიქრა მაცკომ.

თავზარი დაეცა, მაგრამ წამსვე სტაცა ხელი მახვილის ტარს, კბილი კბილს დააჭირა და გაირინდა ველური ცხოველივით, როცა ის მოულოდნელად ძაღლებით გარშემორტყმული დასაცავად გაემზადება ხოლმე.

ამ დროს ფისსახდელიდან მისკენ გოლიათი არნოლდი და ვიღაც სხვა რაინდი წამოვიდნენ.

– სწრაფად ტრიალებს ბედის ჩარხი! – უთხრა არნოლდმა და მიუახლოვდა. – ერთი წუთის წინ მე ვიყავი თქვენი ტყვე, ახლა თქვენა ხართ ჩემი ტყვეები.

და მან ისე ქედმაღლურად გადმოხედა მოხუც რაინდს, როგორც რაღაც მდაბალ არსებას. არნოლდი ბოროტი და ულმობელი ადამიანი არ იყო, მაგრამ მასაც ყველა ჯვაროსნისთვის დამახასიათებელი ნაკლი ჰქონდა: როცა ჯვაროსნები განსაცდელში არიან, მორჩილები და გამგონენი ხდებიან, მაგრამ როგორც კი ძალას იგრძნობენ, ვეღარ ფარავენ ვერც სიძულვილს დამარცხებულისადმი და ვერც თავიანთ უსაზღვრო მედიდურობას.

– თქვენ ტყვეები ხართ! – ზვიადად გაიმეორა მან.

მოხუცმა რაინდმა პირქუშად მოავლო თვალი ტყეს. ბუნებით მხდალი არ იყო, მამაცი და გულადი მეომარი გახლდათ. ჯავშანი რომ სცმოდა, ცხენზე ამხედრებული დახვედროდა, გვერდით კი თავისი ზბიშკო ჰყოლოდა და ხელშიც მახვილები და ცულები სჭეროდათ, ან ის საშინელი შუბები, რომლებსაც ასე კარგად ფლობდა მაშინდელი პოლონური შლიახტა, იქნებ ეცდებოდა კიდეც გაერღვია ამ ბერდიშთა და შუბების ტყე, მაგრამ ის იდგა არნოლდის წინაშე უცხენოდ, უჯავშნოდ და მარტოდმარტო. დაინახა, რომ მის ხალხს იარაღი დაეყარა, ისიც გაახსენდა, ზბიშკო მიწურში დანუსიასთან

სრულიად უიარაღოდ რომ იχდა, და ბრძოლებსა და სამხედრო საქმეში გამობრძმედილი მაცკო მიხვდა, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა ჰქონდა.

მან დინχად ამოიღო ხმალი ქარქაშიდან და ფეხებთან მიუგდო არნოლდის გვერდით მდგარ რაინდს. უცნობმა რაინდმა არნოლდივით მედიდურად, მაგრამ მაინც თავაზიანად უთხრა დახვეწილი პოლონურით:

– რა გქვიათ, ბატონო? მე თქვენ სიტყვას ვენდობი და ვბრძანებ არ გაგთოკო, რადგან ქამრიანი რაინდი ხართ და, ამას გარდა, ადამიანურად მოჰქცევიხართ ჩემს ძმას.

– გაძლევთ სიტყვას! – უპასუხა მაცკომ.

მერე თავისი ვინაობა თქვა და სთხოვა მიწურში შესვლის ნება მიეცათ, რათა ძმისშვილი გაეფრთხილებინა, „რაიმე უგუნური საქციელი არ ჩაედინა“ და, როცა ნება დართეს, კარში გაუჩინარდა.

– ჩემს ძმისშვილს მახვილიც კი არ ჰქონდა თან, - თქვა მაცკომ, როცა მცირე ხნის შემდეგ დანით ხელში დაბრუნდა. “ მან გთხოვათ, დართოთ ნება და თავის ცოლთან დატოვოთ, სანამ გზას არ გაუდგებით.

– დარჩეს, – უთხრა არნოლდის ძმამ, – მე საჭმელ-სას მელსაც შევუგზავნი. გზას არც ისე მალე გავუდგებით, ხალი ხი დაღლილია და ჩვენც გვინდა ცოტა მოსულიერება და დასვენება. გთხოვთ, თქვენც მობრძანდეთ, ბატონო, სუფრაზე.

და ორთავე გერმანელი სწორედ იმ კოცონისკენ გაეშურა, რომელთანაც მაცკომ ღამე გაატარა, მაგრამ ამპარტავნობისა თუ χვაროსნებისათვის ჩვეული მერყევი ხასიათის გამო ისინი წინ წავიდნენ და მაცკო უკან მოიტოვეს. ცხოვრებაში გამოცდილმა მოხუცმა რაინდმა ძირისძირობამდე იცოდა, ვინ სად როგორ უნდა მოქცეულიყო და ამიტომ ჰკითხა:

– როგორ მეპატიჟებით, როგორც სტუმარს თუ როგორც ტყვეს?

არნოლდის ძმა შეცბა, გზა დაუთმო და უთხრა:

– მიბრძანდით, ბატონო.

მოხუცი რაინდი წინ კი წავიდა, მაგრამ არ უნდოდა იმ ადამიანის თავმოყვარეობა შეელახა, ვიზედაც ბევრი რამ იყო დამოკიდებული, და ამიტომ წაილაპარაკა:

– თქვენ, გეტყობათ, იმის გარდა, რომ მრავალი ენა იცით, დიდად თავაზიანიც ბრძანდებით.

არნოლდს თითო-ოროლა სიტყვა თუ გაეგებოდა და ჰკითხა:

– რა მოხდა, ვოლფგანგ, რას ამბობს, რა მინდაო?

– რასაც ამბობს, სწორს ამბობს! – უპასუხა აშკარად ნაამებმა ვოლფგანგმა.

ისინი კოცონთან დასხდნენ. მსახურებმა საჭმელ-სასმელი მოიტანეს. მაცკოს შენიშვნა გაკვეთილად გამოადგათ, ვოლფგანგი ყველა კერძს პირველად მას სთავაზობდა. მათი საუბრიდან მოხუცმა რაინდმა გაიგო, როგორ მოხვდნენ ხაფანგში. ვოლფგანგს, არნოლდის უმცროს ძმას, ჩლუხოველი ქვეითები გოტესვერდერში მიჰყავდა აჯანყებული ჟმუდელების დასაშოშმინებლად. გერმანელები შორეული საკომტუროდან მოდიოდნენ და თავიანთ ცხენოსან ჯარს ვერაფრით ვერ დაეწიენ. არნოლდმა იცოდა, რომ გზად უეჭველად შეხვდებოდა ლიტვის საზღვართან ახლოს განლაგებული ქალაქებისა და ციხესიმაგრეების ქვეითი რაზმები და ამიტომ უმცროს ძმას აღარ დაელოდა. ვოლფგანგი რამდენიმე დღის სავალზე ჩამორჩა მას და გზაზე, ფისსახდელის მახლობლად, ღამით გაპარული მონაზვნისგან შეიტყო თავისი უფროსი ძმის ამბავი, როცა არნოლდს ეს გაუმეორეს გერმანულად, კმაყოფილი ღიმილით შენიშნა, მე ამას მოველოდიო.

ეშმაკმა მაცკომ ყოველგვარ გარემოებაში იცოდა თავის გატანა და ახლაც გადაწყვიტა, კარგი იქნება, გერმანელები ჩვენდა სასიკეთოდ განვაწყოო.

– ტყვეობა ყოველთვის მძიმეა, – თქვა მან, – მაგრამ, ღვთის წყალობით, თქვენს ხელში მოვხვდი. თქვენ კი ნამდვილი რაინდები ხართ და რაინდულ პატიოსნებას არ შელახავთ.

ვოლფგანგმა თვალები დახარა და თავი დააქნია, საკმაოდ ცივად, მაგრამ მაინც კმაყოფილებით.

მოხუცი რაინდი კი განაგრძობდა:

– მერე როგორ შესანიშნავად იცით ჩვენი ენა! ეტყობა, ღმერთს თქვენთვის ნიჭიერებაც უხვად მოუმადლებია!

– თქვენი ენა იმიტომ ვიცი, რომ ჩლუხოვში ხალხი პოლონურად ლაპარაკობს, მე და ჩემი ძმა კი უკვე შვიდი წელია იქაურ კომტურს ვემსახურებით!

– მოვა დრო და მის ადგილს თქვენ დაიკავებთ! ამ ამბავს წყალი არ გაუვა... აი, თქვენი ძმა კი

არ ლაპარაკობს პოლონურად.

– არნოლდს ცოტაოდენი ესმის, ლაპარაკით კი ვერ ლაპარაკობს. ეს ჩემზე ღონიერია, თუმცა ღონე არც მე მაკლია, მაგრამ ჩემსავით გონიერი არ არის.

– რასა ბრძანებთ, მე სულაც არ მეჩვენება სულელად!... უთხრა მაცკომ.

– ვოლფგანგ, რას ამბობს ეგ კაცი? – ისევ ჰკითხა არნოლდმა.

– შენ გაქებს, – უპასუხა ვოლფგანგმა.

– დიახ, ვაქებ, – დასძინა მაცკომ, – ნამდვილი რაინდია, ეს კი ყველაზე მთავარია! პირდაპირ გეტყვით. დღეს მაგის განთავისუფლებას ვაპირებდი პატიოსან სიტყვაზე, წავიდეს, ვიფიქრე, სადაც მოესურვება, ოღონდ მერე მოვიდეს-მეთქი, თუნდაც ერთი წლის შემდეგ. ქამრიან რაინდებს ხომ ეგრე შეეფერებათ...“

მან გამომცდელი მზერა მიაპყრო ვოლფგანგს.

– იქნებ მეც გამეშვით პატიოსან სიტყვაზე, – უთხრა შუბლშეჭმუხნილმა ვოლფგანგმა, – ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში წარმართ ძაღლებს რომ არ ეხმარებოდეთ.

– ეგ მართალი არ არის, – შეედავა მაცკო.

და მათ შორის ისეთივე ცხარე დავა გაიმართა, როგორც წინა დღეს მაცკოსა და არნოლდს შორის. მოხუც რაინდს ამჯერად ძალზე გაუჭირდა დარწმუნება: ვოლფგანგი მართლაც სჯობნიდა ჭკუით თავის უფროს ძმას. მაგრამ დავა მაინც სასარგებლო გამოდგა, რადგან უმცროსმა ძმამაც გაიგო შჩიტნოში მომხდარი ბოროტმოქმედების, ფიცის გატეხვისა და ვერაგობის ამბავი და უბედური დანუსიას ბედ-იღბალმაც დააფიქრა. ვოლფგანგს არაფერი ჰქონდა საპასუხო მთელ იმ ბრალდებებზე, რომლებსაც მაცკო ზედიზედ აყრიდა სახეში ის იძულებული გახდა. ეღიარებინა, რომ შურისძიება სამართლიანი იყო და პოლონელ რაინდებს უფლება ჰქონდათ სწორედ ასე მოქცეულიყვნენ.

– ვფიცავ ლიბორიუსის ძვლებს, რომ არ დამენანება დანველდი, – თქვა მან. – ამბობდნენ, კუდიანიაო; მაგრამ ღვთის სამსჯავრო მაინც უფრო ძლიერია ჯადოქრობაზე. მე არ ვიცი, ემსახურებოდა თუ არა ზიგფრიდიც ეშმაკს, მაგრამ იმის გამოსახსნელად არავის გავეკიდები; არც ცხენოსნები მყავს საამისო, ისემც ქნილა, ჯოჯოხეთში დაბუგულა, თუ, თქვენი თქმისა არ იყოს, ეს ქალიშვილი ასე გააწამა!

ვოლფგანგმა პირჯვარი გადაისახა და დაუმატა:

– ღმერთო, შენ მიშველე აღსასრულის ჟამს!

– ამ საბრალო წამებულს რაღა მოელის? – ჰკითხა მაცკომ. – ნუთუ ნებას არ დართავთ შინ წაიყვანონ? ნუთუ უეჭველად თქვენს საკანში უნდა მოხდეს სული? გაიხსენეთ ღვთის სამსჯავრო!..

– ქალი მე არაფერში მჭირდება, – მკვახედ უთხრა ვოლფგანგმა. – ერთ-ერთმა თქვენგანმა წაუყვანოს მამამისს და მერე მობრუნდეს, ორთავეს კი არ გაგიშვებთ.

– თუ რაინდულ პატიოსნებასა და წმინდა გიორგის შუბს დავიფიცებ?

ვოლფგანგი შეყოყმანდა, რადგან ეს ყველაზე წმინდა ფიცი იყო, მაგრამ ამ დროს არნოლდმა მესამედ იკითხა:

– რას ამბობს?

როცა უთხრეს საქმის ვითარება, ძალზე გაანჩხლდა და უხეშად გაუწია წინააღმდეგობა ორთავე რაინდის გაშვებას. იმის თაობაზე მას თავისი მოსაზრებები ჰქონდა: ის დამარცხდა სკირვოილოსთან ბრძოლაშიც და ამ პოლონელ რაინდებთანაც. როგორც ჯარისკაცმა, იცოდა, რომ ძმას თავისი ქვეითი მეომრებით მალბორგში დასჭირდებოდა დაბრუნება, რადგან გოტესვერდერში ლაშქრობა მეწინავე რაზმების განადგურების შემდეგ ხალხის სასიკვდილოდ წაყვანას ნიშნავდა. იცოდა, რომ მაგისტრის ან მარშლის წინაშე წარდგომა არ ასცდებოდა და კარგად ესმოდა, ნაკლებ სირცხვილს ჭამდა, თუ ერთ ცნობილ ტყვეს მაინც ჩაიყვანდა. ერთი ცოცხალი რაინდი გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ორი რაინდის ტყვედ ჩაგდების ამბის მოყოლა.

არნოლდის ხრინწიან შეძახილებსა და ლანძღვაზე მაცკო მაშინვე მიხვდა, რომ მეტს მათ ვეღარაფერს გამორჩებოდა და იმას უნდა დათანხმებულიყო, რასაც სთავაზობდნენ.

– ერთი სათხოვარიც მაქვს, – მიმართა მან ვოლფგანგს, – დარწმუნებული ვარ, ჩემი ძმისშვილი თვითონვე მიხვდება, რომ ცოლს ის უნდა გაჰყვეს და მე კი თქვენთან დავრჩე. მაგრამ მაინც მომეცით ნება ვუთხრა, რომ ამაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან ასეთია თქვენი სურვილი.

– კეთილი. ჩემთვის სულ ერთია, – უპასუხა ვოლფგანგმა. – ოღონდ საფასურზე მოვილაპარაკოთ, რომელიც თქვენმა ძმისშვილმა უნდა მოიტანოს თქვენი და თავისი თავის გამოსასყიდად. ამაზეა დამოკიდებული ყველაფერი.

– გამოსასყიდზე? – ჩაეკითხა მაცკო, რომელსაც ერჩივნა ამაზე საუბარი მომავლისათვის გადაედო. განა წინ ცოტა დრო გვაქვს? როცა საქმე ქამრიან

რაინდთან გიჭირავს, მისი სიტყვა იგივე ფულია და ფასიც შეგიძლია სინდისზე მიაგდო. აი, ჩვენ გოტესვერდერთან ერთი თქვენი ცნობილი რაინდი, ბატონი დე ლორში ჩავიგდეთ ტყვედ და ჩემმა ძმისშვილმა, – იმან დაატყვევა, უბრალოდ პატიოსან სიტყვაზე გაუშვა, ფულზე სულაც არ მოლაპარაკებია.

– თქვენ დე ლორში ჩაიგდეთ ტყვედ? – ცოცხლად ჰკითხა ვოლფგანგმა, – მე მას ვიცნობ. სახელოვანი რაინდია. კი მაგრამ, რატომ არ შევხვდით გზაზე?

– ეტყობა, ის აქეთ კი არ წამოვიდა, გოტესვერდერს ან რაგნეტისკენ თუ გაემართა, – უპასუხა მაცკომ.

– ეს მდიდარი და დიდგვაროვანი რაინდია, – გაიმეორა ვოლფგანგმა, – თქვენ დიდ ფულს მოგცემენ იმის გამოსასყიდად! კიდევ კარგი გაგახსენდათ, ახლა აღარც მე გაგიშვებთ იაფად.

მაცკომ ენა მოიკვნიტა, მაგრამ თავი ამაყად აიღერა!

– ჩვენ უიმისოდაც ვიცით ჩვენი ფასი.

– მით უკეთესი, – უთხრა უმცროსმა ფონ ბადენმა.

მაგრამ მაშინვე გაასწორა:

– მით უკეთესი, მაგრამ არა ჩვენთვის, რადგან ჩვენ მორჩილი ბერები ვართ და სიღარიბის აღთქმა მიგვიცია, არამედ ორდენისთვის, რომელიც თქვენს ფულს ღვთის სამსახურში მოიხმარს.

მაცკოს არაფერი უპასუხია, მხოლოდ ისე შეხედა ვოლფგანგს, თითქოს ეუბნებოდა: „ეგ ზღაპრები სხვას მოუყევიო!“ და რამდენიმე წუთის შემდეგ მორიგება გამართეს. მძიმე და უხერხული საქმე იყო ეს რაინდისათვის: ერთი მხრით, მას ძალზე არ სიამოვნებდა ზარალი, მეორე მხრით, შესანიშნავად იცოდა, რომ არ შეეფერებოდა საკუთარი თავისა და ზბიშკოს იაფად დაფასება. აღარ იცოდა, როგორ დაეძვრინა თავი, რადგან ერთი შეხედვით თითქოს რბილი და თავაზიანი ვოლფგანგი საქმეში უსაზღვროდ ძუნწი და ქვასავით მტკიცე აღმოჩნდა. მაცკო გულს იმითღა იმშვიდებდა, ყველაფერს დე ლორში გადაიხდისო, და მაინც შეურვებული იყო, რომ გამორჩენის იმედი გადაუწყდა, მით უმეტეს, ზიგფრიდში გამოსასყიდს აღარ მოელოდა. ის დარწმუნებული იყო, რომ არც იურანდი და არც ზბიშკო არაფრის ფასად არ გაუშვებდნენ მას ცოცხალს.

დიდი ხნის საუბრის შემდეგ შეთანხმდნენ, რა თანხას მიიტანდა ზბიშკო დათქმულ დროს და ზუსტად განსაზღვრეს, რამდენ კაცსა და ცხენს წა-

იყვანდა თან. მაცკო წავიდა, რომ ყოველივე ძმისშვილისათვის ეცნობებინა; მოხუცმა ურჩია, ახლავე გაუდექი გზას, სანამ გერმანელებს სხვა არაფერი მოპრიანებიათო.

– ასეთია რაინდის ცხოვრება, – ამოიოხრა მან, – გუშინ შენ გყავდა მტერი ხელჩავლებული კინკრიხოში, დღეს იმასა ჰყავხარ! რას იზამ! ღმერთი მოწყალეა, ადრე თუ გვიან ისევ ჩვენი ჯერი დადგება! ახლა კი დროს ტყუილუბრალოდ ნუ დაჰკარგავ, თუ აჩქარდები, იქნებ ჰლავასაც დაეწიო, ერთად უფრო უშიშრად ივლით, ტყეს რომ გასცდებით და ჩვენიანებში მოხვდებით, მაზოვიაში, ყველა შლიახტიჩთან, ყოველ მამულში იპოვით თავშესაფარს, ყველა დაგეხმარებათ და იზრუნებს თქვენზე. ჩვენში უცხოს არ ეტყვიან ამაზე უარს, თორემ თავისიანებზე რაღა სათქმელია. საწყალი დანუსიასთვისაც ხსნა იქნება ეს.

ამას რომ ამბობდა, თან დანუსიას შეჰყურებდა: ძილ-ღვიძილში იყო, მძიმედ და ხშირად სუნთქავდა, დათვის მუქ ტყავზე დაწყობილი გამჭვირვალე ხელები აგზნებულად უთახთახებდა.

მაცკომ პირჯვარი გადასახა და თქვა:

– ეჰ, ჩქარა მოჰკიდე ხელი და გაემგზავრე! ყველაფერი ღვთის ნებაა, მაგრამ რაღაც ვშიშობ, დიდი დღე არ უნდა ჰქონდეს! სულთმობრძავია!

– ამას ნუ იტყვით – შეჰყვირა სასოწარკვეთილმა ზბიშკომ.

– ყველაფერი ღვთის ნებაა! მე ვუბრძანებ ცხენი მოგგვარონ და იჩქარე! ღმერთი იყოს შენი შემწე!

მოხუცი ქოხიდან გამოვიდა და ბრძანა ყველაფერი მოემზადებინათ გასამგზავრებლად. ზავიშას ნაჩუქარმა თურქებმა მოაბაგაბმული ცხენები მოიყვანეს. შიგ ხავსი და ტყავები ჩაეგოთ, მსახურმა ვიტმა კი ზბიშკოს მოჰგვარა ცხენი; ცოტა ხანში ზბიშკომ ქოხიდან გამოიყვანა ხელში ატატებული დანუსია. ისეთი გულისამაჩუყებელი სურათი იყო, რომ ორთავე ძმა ფონ ბადენები ცნობისმოყვარეობით მიუახლოვდნენ მიწურს. და როცა დანუსიას ბავშვურ ტანს შეავლეს თვალი, დაინახეს მისი სახე, ხატზე გამოსახულ წმინდანის სახეს რომ მოგაგონებდათ, შეამჩნიეს, როგორ უღონოდ ჰქონდა ჩამოქინდრული თავი ახალგაზრდა რაინდის მხარზე, ერთმანეთს გაოგნებულებმა გადახედეს და რისხვით აენთნენ ყველას მიმართ, ვისაც ბრალი ჰქონდა მის უბედურებაში. „ზიგფრიდს საგულეში რაინდის კი არა, ჯალათის გული უდევს.–ჩასჩურჩულა ვოლფგანგმა ძმას, – იმ გველის წიწილს კი, თუმცა განთავისუფლებაში დაგეხმარა, ვბრძანებ და გავაროზგვინებ“. მათ იმაზეც აუჩუყდათ გული, რომ ზბიშკოს დანუსია ხელში ჰყავდა აყვანილი,

როგორც დედას ღვიძლი შვილი, მიხვდნენ, რა ძალით ჰყვარებოდა ვაჟს ქალი, რადგან ძარღვებში ჯერ კიდევ ჭაბუკური სისხლი უჩქეფდათ.

ზბიშკო შეყოყმანდა, უნაგირზე დაესვა ავადმყოფი და მთელი გზა გულში ჩაკრული ჰყოლოდა, თუ საკაცეზე დაეწვინა. ბოლოს მაინც დააწვინა, იფიქრა, ასე უფრო გაუადვილდებაო. მერე ვაჟი ბიძამისთან მივიდა და დაიხარა, რომ გამომშვიდობებისას ხელზე ეკოცნა. მაცკოს მართლაც მხურვალედ უყვარდა ძმისშვილი, არ უნდოდა გერმანელების თვალწინ სისუსტე გამოეჩინა, მაგრამ თავი ვეღარ შეიკავა, მაგრად მოეხვია მას და ოქროსფერი ხშირი თმა დაუკოცნა.

– ღმერთი იყოს შენი შემწე! – უთხრა მან. – მოხუცს კი ნუ დაივიწყებ, ტყვეობა მძიმე ხვედრია.

– არ დაგივიწყებთ, – უპასუხა ზბიშკომ.

– ღმერთმა გაბედნიეროს!

– თქვენ კი ღმერთმა გადაგიხადოთ ყველაფრისათვის... ყველაფრისათვის.

ზბიშკო ცხენზე ამხედრდა, მაგრამ მაცკოს უცებ რაღაც გაახსენდა, მასთან მიირბინა, ხელი მუხლზე დაადო და უთხრა:

– მისმინე! ჰლავას თუ დაეწიე, იცოდე, ზიგფრიდთან თავი არ შეირცხვინო და არც ჩემი ჭაღარა შეარცხვინო. იურანდი სხვა საქმეა, მაგრამ შენ ეს არ გაბედო! იარაღზე დაიფიცე, რომ არ იზამ ამას.

– სანამ თქვენ არ დაბრუნდებით, მე იურანდსაც შევაკავებ, რომ ზიგფრიდის გულისთვის არ დაგიწყონ შურისძიება, – უპასუხა ზბიშკომ.

– ასე გიყვარვარ?

ახალგაზრდა რაინდმა ნაღვლიანად ჩაიცინა:

– თვითონ მოგეხსენებათ.

– მაშ გასწი! კარგად იყავი!

ცხენები მალე მიიმალნენ ამწვანებულ თხილნარში. მაცკომ უცებ თავი ეულად იგრძნო, ძალიან მოიწყინა, გული თან წაჰყვა ძვირფას ბიჭუკელას, ეს ბიჭი იყო მთელი იმათი გვარის იმედი. მაგრამ მოხუცმა მაშინვე გადაიყარა გულიდან ნაღველი, უდრეკი ადამიანი იყო და იცოდა თავის დაჭერა.

„მადლობა ღმერთს, – თქვა თავისთვის, – რომ ტყვეობაში მე დავრჩი და არა ის...“

მერე გერმანელებს მიუბრუნდა:

– თქვენ როდის აპირებთ წასვლას და საით?

– როცა მოგვესურვება, – უპასუხა ვოლფგანგმა, – წასვლით კი მალბორგში წავალთ, სადაც, პირველ ყოვლისა, მაგისტრთან წარგადგენთ.

„ეჰ, ღმერთი არ გაუწყრეთ და თავი არ წამაცალონ ჟმუდელების დახმარებისთვის!“ – გაიფიქრა მაცკომ.

მაგრამ ბატონი დე ლორშის გახსენება ამშვიდებდა და დარწმუნებული იყო, გამოსასყიდის ხათრით თვითონ ძმები ფონ ბადენებიც გაუფრთხილდებოდნენ.

„თუმცა, – თქვა თავისთვის, – მაშინ ზბიშკოს აღარც ამათთან მოსვლა დასჭირდება და აღარც ქონების განიავება“.

ამის გაფიქრებაზე ცოტა დამშვიდდა.

II

ზბიშკო ვერ დაეწია თავის საჭურველმტვირთველს; ჩეხი დღისითაც მიდიოდა და ღამითაც, ისვენებდა მხოლოდ იმისთვის, რომ ცხენები არ დავარდნოდა, ქერი არა ჰქონდათ, ცარიელი ბალახის ჭამით მისუსტებულ ცხენებს კი შეუსვენებლად დიდი მანძილის გავლა არ შეეძლოთ. თავის თავს ჰლავა არ ზოგავდა, არც ზიგფრიდის ხნოვანებას და უღონობას დაგიდევდათ. მოხუცი ჯვაროსანი ძალზე იტანჯებოდა, მით უმეტეს, რომ ღონიერმა მაცკომ ის კარგად მოჩეჩქვა. მაგრამ ყველაზე მეტად ზიგფრიდს მაინც კოღოებმა გაუწვრილეს გული, ამ ნესტიან უღრანში რომ ირეოდნენ. თავს ვერაფრით იცავდა, რადგან ხელები შეკრული ჰქონდა, ფეხები კი ცხენის მუცელზე მიეთოკათ. საჭურველმტვირთველს მისთვის არაფერი განსაკუთრებული წამება არ მიუყენებია, მაგრამ შეცოდებით მაინც არ შესცოდებია. მხოლოდ ჭამის დროს უხსნიდა მარჯვენა ხელს. „ჭამე, მგლის სიფათო, რომ ცოცხალი ჩაგათრიო სპიხოვის ბატონთან!“ აი, ასეთი გამოთქმებით იწვევდა ის საჭმელად ჯვაროსანს. გზას რომ დაადგნენ, ზიგფრიდმა გადაწყვიტა, შიმშილით მოვუღებო თავს ბოლოს, მაგრამ როცა უთხრეს, კრიჭას დანით გაგიხსნით და ძალით ჩაგტენითო საჭმელს, დამორჩილდა, არ უნდოდა შეურაცხყოფა მიეყენებინათ ბერის წოდებისა და რაინდული ღირსებისათვის.

თავისი საყვარელი ქალბატონი რომ სირცხვილისგან დაეხსნა, ჩეხს უეჭველად უნდოდა სპიხოვში ზბიშკოსა და დანუსიაზე ადრე ჩასულიყო. უბ-

რალო, მაგრამ გონიერი და კეთილშობილი შლიახტიჩი იყო და შესანიშნავად ესმოდა, რა დიდი დამცირება იქნებოდა იაგენკასთვის, თუ დანუსიას სპიხოვში დახვდებოდა. „პლოცკში, – ფიქრობდა ის, ეპისკოპოსს ვეტყვი, მოხუც ბოგდანეცელ ბატონს მისი წამოყვანა იმისათვის დასჭირდა, რომ მისი მეურვეა; ისე კი ხმას დავყრი, ქალს ეპისკოპოსი იცავს და, ზგოჟელიცის გარდა, მას ეკუთვნის აბატის მამულები, ასე რომ, მხედართმთავრის ვაჟიც დიდი არაფერი სახარბიელო იქნება-მეთქი მისთვის“. ამაზე ფიქრი უადვილებდა ძნელად სავალ გზას და მხოლოდ იმასღა დარდობდა, ბედნიერი ამბავი, რომელიც სპიხოვში უნდა ვახარო, ჩემი ქალბატონისთვის ბედის განაჩენი იქნებაო.

ხშირად ვაშლივით დაბრაწული ანულიაც ახსენდებოდა, მაშინ დეზებს ფერდებში ამოჰკრავდა ხოლმე ცხენს და რამდენადაც გზა ამის საშუალებას აძლევდა, მიერეკებოდა.

ისინი ალღოთი მიდიოდნენ, უგზო-უკვლოდ, პირდაპირ ტყეზე. ჩეხმა იცოდა, რომ სამხრეთისაკენ უნდა ევლო, ოდნავ დასავლეთით, და უეჭველად მაზოვიაში ჩავიდოდა, იქ კი აღარაფერი გაუჭირდებოდა. დღე მზით მიიკვლევდა გზას და ღამე ვარსკვლავებით. გეგონებოდათ, ამ ტევრს ბოლო აღარა აქვსო. დღე და ღამე ჩამობნელებული იყო. რამდენჯერ გაიფიქრა ჰლავამ, ახალგაზრდა რაინდი როგორ ჩაიყვანსო თავის ცოლს ცოცხალს ამ საშინელი, უკაცრიელი ტევრით, სადაც ვერც დამხმარეს იპოვი და ვერც საჭმელს იშოვი, სადაც ღამით უნდა უდარაჯო, რომ ცხენები მგლებმა და დათვებმა არ დაგლიჯონ, დღისით კი დომბებისა და ხარების ჯოგებს უნდა დაუთმო გზა, სადაც საშინელი ტახები მოგრეხილ ეშვებს ფიჭვის ფესვებზე ილესავენ, სადაც ხშირად მთელი დღე შეიძლება მშიერი დარჩე, თუ ვერ მოახერხე და ისრით ვერ განგმირე დაწინწკლული ირემი ან ქორფა ტახი.

„როგორ უნდა იმგზავროს აქ, – ფიქრობდა ჰლავა, – ნახევრად მკვდარი ქალით, რომელსაც სული ძლივს უდგას!“

ხშირად წინ ეღობებოდათ ვეებერთელა ჭაობები ან ღრმა თხრილები, რომელთა ფსკერზე გაზაფხულის წვიმებით ადიდებული ნაკადულები მოჩქრიალებდა. ტევრში ბევრი ტბა იყო; მზის ჩასვლის დროს მგზავრები ხედავდნენ, როგორ ბანაობდა ალისფერ გამჭვირვალე წყალში ფურებისა და ხარირმების მთელი ჯოგი, დროდადრო კვამლსაც შენიშნავდნენ ხოლმე, ადამიანის სიახლოვის მაუწყებელს. ჰლავამ რამდენჯერმე ჩაუარა ტყის სოფლებს, მაგრამ მის შესახვედრად მხოლოდ ნადირთა ტყავებში გამოხვეული ველურები გამოცვივდნენ; ისინი ხელკეტებითა და შუბებით იყვნენ შეიარაღებული და ისე მტრულად იყურებოდნენ ჩამოწეწილი, გაკვირვე-

ბისგან მოთელილი სქელი თმის ქვემოდან, რომ ჩეხი სარგებლობდა დაბნეულობით, რაინდების დანახვა რომ იწვევდა მათში, და სწრაფად ეცლებოდა იქაურობას.

ორჯერ ისრებიც დაადევნეს და მოსძახოდნენ „ვოკილები!“ („გერმანელები!“) მაგრამ ის სწრაფად იმალებოდა და ახსნა-განმარტებას თავს არიდებდა. გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და ბოლოს და ბოლოს მოეჩვენა, რომ საზღვარი გადაიარეს; მაგრამ ვისთვის უნდა ეკითხა. მხოლოდ პოლონურის მცოდნე გადასახლებულთაგან გაიგო ბოლოს, რომ უკვე მაზოვიაში იყვნენ.

მთელ აღმოსავლეთ მაზოვიაში ისევ გაუვალ ტყეებზე იარეს, თუმცა აქ სიარული შედარებით გაადვილდა. ეს ადგილებიც უკაცრიელი იყო, მაგრამ აქა-იქ ქოხებს თუ წააწყდებოდნენ, მათი პატრონები ისეთი ზიზღით აღარ იყვნენ გამსჭვალულები, იქნებ იმიტომაც, რომ მათ არასოდეს სძულებიათ მძაფრი სიძულვილით თავიანთი მტანჯველები, ან იქნებ იმის გამოც, რომ ჩეხი მათთვის გასაგებ ენაზე ლაპარაკობდა. ჰლავას მხოლოდ ის აფიქრებდა, რომ ტყის ბინადარნი მეტისმეტი ცნობისმოყვარეობით ეხვეოდნენ გარს ცხენოსნებს, კითხვას კითხვაზე აყრიდნენ და როცა გაიგებდნენ, ამათ ტყვე ჯვაროსანი მოჰყავთო, ეხვეწებოდნენ:

– გვაჩუქეთ ტყვე, ბატონო, ჩვენ თვითონვე გავუსწორდებით, როგორც ეკადრებაო!

თანაც ისე დაჟინებით სთხოვდნენ, რომ ჩეხი ხანდახან კიდევაც ბრაზობდა და უხსნიდა, ეს ტყვე მთავარს ეკუთვნისო. მაშინ ისინიც თავს ანებებდნენ. როცა იმ ადგილებს მიაღწიეს, სადაც ბინადარი ხალხი ცხოვრობდა, შლიახტასთან ურთიერთობა გაძნელდა. ხალხს გულში ჯვაროსნების სიძულვილი ჩაჰგუბებოდა, ყველას კარგად ახსოვდა ის წყენა და ვერაგობა, რომელიც მათ მთავარს მიაყენეს, მშვიდობიან დროს ზლოტორიასთან რომ მოიტაცეს და ტყვედ ჰყავდათ. მართალია, აქ ზიგფრიდთან „გასწორებას“ აღარავინ აპირებდა, მაგრამ რომელიმე უჯიათი შლიახტიჩი წამოდგებოდა და იტყოდა: „შეუხსენით ხელ-ფეხი, მივცემ იარაღს და სამანს იქით გამოვიწვევ მას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში“. ყველა ასეთი შლიახტიჩისათვის ჩეხს უნდა აეხსნა და ჩაეგონებინა, რომ შურისძიების ნება პირველ რიგში აქვს სპიხოვის უბედურ მფლობელს, რომ ეს მისი ხელშეუხებელი უფლებაა.

დასახლებულ ადგილებში მოგზაურობა გაადვილდა. აქ ზოგან გზებიც იყო, ცხენებსაც ქერითა და შვრიით კვებავდნენ. ჩეხი სწრაფად მიდიოდა,

ცდილობდა არსად შეჩერებულიყო და წმინდა ზიარების დღესასწაულამდე ჩასულიყო სპიხოვში.

ის საღამოს ჩავიდა, როგორც მაშინ, როცა მაცკომ გამოგზავნა შჩიტნოდან, ჟმუდში წასვლა რომ შეეტყობინებინა, და სწორედ ისევე, როგორც მაშინ, სირბილით შემოეგება იაგენკა, მას ფანჯრიდან დაენახა საჭურველმტვირთველი. ჰლავა ქალის ფეხებთან დაეცა, მაგრამ ენა ვერ მოაბრუნა. იაგენკამ წამოაყენა ის და მაშინვე ზემოთ აიყვანა, არ უნდოდა ხალხის წინ გამოეკითხა ამბავი.

– რას იტყვი ახალს? – მოუთმენლობისგან იაგენკა ცახცახებდა და სულს ძლივს ითქვამდა. – ცოცხლები ხართ?

– ცოცხლები ვართ!

– ქალი იპოვეთ?

– ვიპოვეთ, გერმანელებს წავართვით.

– მადლობა ღმერთს მაგრამ სახეზე მკვდრის ფერი დაედო: ამ წუთს ქალიშვილის ყველა იმედი ჩაიფერფლა. თუმცა არც დაბნეულა და არც გრძნობა დაუკარგავს; სწრაფად მოერია თავს და ჰკითხა:

– როდის ჩამოვლენ?

– რამდენიმე დღეში! ძალზე ძნელი გზა უდევთ, მით უმეტეს, ავადმყოფისთვის.

– ავად არის?

– ძალიან გაუწამებიათ. გადატანილი ტანჯვისაგან გონი დაკარგული აქვს.

– ღმერთო დიდებულო!

ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ იაგენკას ფერგამქრალი ტუჩები მოძრაობდნენ, თითქოს ლოცვას წარმოთქვამენო.

– ზბიშკოს დანახვაზეც არ მოვიდა გონს? – შეეკითხა ისევ.

– იქნებ მოვიდა კიდეც, არ ვიცი, მე მაშინვე წამოვედი, რომ თქვენთვის, ჩემო ქალბატონო, წინასწარ შემეტყობინებინა მათი ჩამოსვლის ამბავი.

– ღმერთი გადაგიხდის ამისათვის. ყველაფერი დალაგებით მიამბე.

ჩეხმა მოკლედ უამბო, როგორ გამოიხსნეს დანუსია, როგორ დაატყვევეს გოლიათი არნოლდი და ზიგფრიდი. ისიც უთხრა, ზიგფრიდი თან ჩამო-

ვიყვანეო, ახალგაზრდა რაინდმა იურანდს გამოუგზავნაო შურის საძიებლად.

– მე იურანდთან უნდა წავიდე! – უთხრა იაგენკამ, როცა ჩეხმა სათქმელი მოათავა.

ქალი წავიდა; ჰლავა დიდხანს არ დარჩენილა მარტოკა, გვერდითა ოთახიდან მასთან შემოირბინა ანულიამ; ჩეხს ძნელი გზა გამოევლო და ჯერ არ იყო გონს მოსული დაღლილობისგან, თუ იმის გამო, რომ ძალზე მონატრებოდა ქალიშვილი, ის კია, დაინახა თუ არა, ყველაფერი გადაავიწყდა, ხელები მოჰხვია, გულში ჩაიკრა და დაუკოცნა თვალები, ლოყები, ტუჩები, გეგონებოდათ, უკვე დიდი ხანია უთხრაო ყველაფერი, რისი თქმაც საჭიროა, სანამ ქალს აკოცებდე.

იქნებ, გულში მართლაც ყველაფერი უთხრა, სანამ მოდიოდა, რადგან კოცნიდა და კოცნიდა უსასრულოდ ბევრს და მკერდშიც ისეთი ძალით იხუტებდა, რომ ქალიშვილს სულიც კი შეეხუთა. ის წინააღმდეგობას არ უწევდა – ჯერ მოულოდნელობისგან, მერე კი ისეთი სასიამოვნო მოთენთილობა იგრძნო, რომ ალბათ წაიქცეოდა კიდეც, ასეთ მძლავრ ხელებს რომ არა სჭეროდათ. საბედნიეროდ, ეს ყველაფერი ცოტა ხანს გაგრძელდა, კიბეზე ფეხის ხმა გაისმა და ერთი წუთის შემდეგ ოთახში სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა მამაო კალები.

აქეთ-იქით გადახტნენ, ქსონძმა კალებმა კი ზედიზედ დააყარა კითხვები ჰლავას, რომელსაც სულის მოთქმა ვერ მოესწრო და ძლივს პასუხობდა. ქსონძმა იფიქრა, დაღლილიაო. როცა ჩეხმა დაადასტურა, რომ დანუსია იპოვეს და გამოიხსნეს, ხოლო მისი ჯალათი სპიხოვში ჩამოიყვანეს, ის მუხლებზე დაეცა და მადლობის ლოცვა აღავლინა ზეცაში. ამასობაში ჰლავას ადუღებული სისხლი ცოტა გაუნელდა ძარღვებში და, ქსონძი რომ წამოდგა, უკვე შეეძლო დამშვიდებით ეამბნა, როგორ იპოვეს და გაათავისუფლეს დანუსია.

– განა ღმერთმა იმიტომ იხსნა, – თქვა ქსონძმა, როცა ჩეხის ნაამბობი ბოლომდე მოისმინა, – რომ გონება დახშული დაუტოვოს და მისი სული კი ბოროტ ძალებს დაუმორჩილოს! იურანდი შეახებს თავის წმინდა ხელებს და ერთი დალოცვითაც დაუბრუნებს გონსა და ჯანმრთელობას.

– რაინდი იურანდი? – ჰკითხა გაოცებულმა ჩეხმა. – განა მას ამისი ძალა შესწევს? სიცოცხლეშივე წმინდანი გახდა?

– ღვთის წინაშე ის სიცოცხლეშივე წმინდანია, ხოლო როცა გარდაიცვლება, ხალხს ზეცაში მისთვის წამებული კიდევ ერთი მფარველი ეყოლება.

– თქვენ ასე ბრძანეთ, ღირსო მამაო, იურანდი შეახებსო თავის წმინდა ხელებს, ნუთუ მას მარჯვენა ხელი გამოება, მახსოვს იესო ღმერთს შესთხოვდით ამას.

– მე ვთქვი ხელებს-მეთქი, რაკი ჩვეულებრივ ასე ამბობენ, – უპასუხა ქსონძმა, – მაგრამ თუ ღვთის ნება იქნება, ერთი ხელიც იკმარებს.

– რა თქმა უნდა, – დაეთანხმა ჰლავა.

თუმცა მის ხმაში რაღაც გულის გატეხა იგრძნობოდა, ალბათ იმედი ჰქონდა, ნამდვილ სასწაულს ვიხილავო.

ლაპარაკი იაგენკამ შეაწყვეტინათ.

– ფრთხილად მოვუყევი ყველაფერს, – თქვა მან, – რომ უეცარი სიხარულით ელდა არ დასცემოდა, ის კი მაშინვე დაემხო და ლოცვას მოჰყვა.

– ისედაც მთელი ღამეები დამხობილია და ლოცულობს, დღეს ალბათ დილამდე აღარ წამოდგება, – შენიშნა ქსონძმა კალებმა.

ასეც მოხდა. რამდენჯერაც შეიხედეს მათ იურანდთან, იმდენი დამხობილი ნახეს; მაგრამ მოხუც რაინდს არ ეძინა, ის ისე მხურვალედ ლოცულობდა, რომ თავიც კი დავიწყებოდა.

მხოლოდ მეორე დღეს, როცა ცისკრის ლოცვა დამთავრდა და იაგენკამ კვლავ შეიხედა იურანდთან, მან ანიშნა, ჰლავა და ტყვე მომგვარეთო. ზიგფრიდი ჯურღმულიდან გულზე ხელებგადაჯვარედინებული, გაბაწრული ამოიყვანეს და ყველამ ტოლიმასთან ერთად მიაშურა მოხუც რაინდს.

პირველ წუთებში ჰლავამ ვერც კი გაარჩია იურანდი: ბუშტგაკრული ფანჯრები მცირე სინათლეს უშვებდა, დღეც მოღუშული იყო, ზეცა ღრუბლებს დაეფარა და დიდ ავდარს ეპირებოდა. როცა ჩეხის მახვილი თვალები სიბნელეს შეეჩვია, ძლივს იცნო იურანდი, ისე გამხდარიყო და მოკუზულიყო. ეს ვეება კაცი ვეება ჩონჩხად ქცეულიყო. გაფითრებულ სახეს ვერცხლისფერი ჭაღარისაგან ვეღარ გაარჩევდით. როცა ის სავარძლის სახელურს დაეყრდნო და ქუთუთოები დახარა, ჰლავას ნამდვილი მიცვალებული ეგონა.

სავარძლის წინ მაგიდა იდგა, ზედ ჯვარცმა, წყლიანი ტოლჩა და შავი პური იდო. პურში მოკლე ბასრი დანა იყო ჩარჭობილი. ამ საშინელი დანებით იმდროინდელი რაინდები დაჭრილებს სიცოცხლეს უსწრაფებდნენ.

კარგა ხანია იურანდს პურისა და წყლის მეტი პირში არაფერი ჩაეკარებინა, შიშველ ტანზე უხეში ძაძა ეცვა, წელზე ჩალისგან დაწნული ქამარი ჰქონდა შემორტყმული. ასე ცხოვრობდა სპიხოვის მდიდარი და მრისხანე მეპატრონე შჩიტნოს ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ.

ნაბიჯების ხმა რომ გაიგონა, იურანდმა ფეხი წაჰკრა ძუ მგელს, რომელიც მას შიშველ ფეხებს უთბობდა, და უკან გადაიხარა. სწორედ ეს წუთი იყო, როცა ჩეხს ის მიცვალებული ეგონა. მოლოდინში ყველა გაინაბა. დარწმუნებული იყვნენ, ნიშანს მისცემდა, რათა რომელიმეს წამოეწყო ლაპარაკი, მაგრამ გაუნძრევლად იჯდა, გაფითრებული, მშვიდი, ნახევრად გახსნილი ბაგეებით, თითქოს მართლაც საუკუნო ძილი დაუფლებიაო.

– ჰლავა აქ არის, – უთხრა ბოლოს ნაზი ხმით იაგენკამ. – ხომ არ გინდათ მოუსმინოთ?

იურანდმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ჩეხი მესამედ მოჰყვა ამბავს. მან მოკლედ უამბო გერმანელებთან ბრძოლაზე გოსტევერდერთან, არნოლდ ფონ ბადენთან შეტაკებაზე, დანუსიას განთავისუფლებაზე, ოღონდ ისედაც გაწამებული მოხუცისთვის რომ სიხარული არ ჩაემწარებინა და ახალი დარდი არ დაემატებინა, აღარაფერი უთქვამს იმაზე, რომ დიდი ხნის მძიმე ტყვეობის გამო დანუსიას გონი ჰქონდა წართმეული.

მაგრამ ჩემს ეზიზღებოდა ჯვაროსნები, უნდოდა ზიგფრიდი მკაცრად დაესაჯათ და სრულიად შეგნებულად არ დამალა, რომ დანუსია ძლიერ შეშინებული იყო, ქანცგაცლილი და ავადმყოფი. ეტყობა, მხეცურად ულმობლად ეპყრობოდნენ და თუ კვლავ დარჩება გერმანელებთან, ისევე დაჭკნება და დაიღუპება, როგორც ფეხით გათელილი ყვავილები ჭკნებიან და იღუპებიანო. ამ საშინელ ნაამბობს ავდრისმაუწყებელი საშინელი ჭექა-ქუხილი ეხმიანებოდა. მოშავო-მოწითალოდ დაფერილი ღრუბლები სულ უფრო იკრიბებოდნენ სპიხოვის თავზე.

იურანდი არ შერხეულა, ერთი კუნთიც არ შემკრთალა მის სახეზე. იქ შეკრებილთ შეიძლებოდა ჰგონებოდათ, სძინავსო. მაგრამ მან ყველაფერი მოისმინა და გაიგო. როცა ჰლავა დანუსიას ტანჯვაზე ლაპარაკობდა, მოხუც რაინდს ორი მსხვილი ცრემლი ჩამოუგორდა ლოყებზე. მიწიერი გრძნობებიდან მას მხოლოდ ერთადერთი – შვილისადმი სიყვარული შერჩენოდა.

მერე მისმა გალურჯებულმა ტუჩებმა ჩურჩულით წარმოთქვეს ლოცვა. გარეთ პირველმა შორეულმა ქუხილმა გადაიგრგვინა, ფანჯრებში ელვამ დაჰკვესა. იურანდი დიდხანს ლოცულობდა და კვლავ ეღვრებოდა ცრემლე-

ბი თეთრ წვერზე. ბოლოს ლოცვა დაამთავრა, ყველასთვის აუტანელი ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა. არავინ იცოდა, რა ეღონათ.

მაშინ მოხუცმა ტოლიმამ, იურანდის მარჯვენა ხელმა, მისი ბძოლების მეგობარმა და სპიხოვის მთავარმა მცველმა, თქვა:

– თქვენს წინაშე, ჩემო ბატონო, დგას ის დაწყევლილი, ის სისხლისმსმელი ჯვაროსანი, რომელმაც თქვენ და თქვენი ქალიშვილი გაწამათ. გვანიშნეთ, როგორ მოვექცეთ მას, როგორ დავსაჯოთ!

რაღაც უცნაურმა სინათლემ გადაურბინა სახეზე იურანდს ამ სიტყვებზე, ანიშნა, ტყვე ახლოს მიეყვანათ.

ორი მსახური წამსვე მხრებში სწვდა ჯვაროსანს და მოხუცთან მიათრიეს; იურანდმა ხელი გაიშვირა და ჯერ სახეზე მოუსვა ზიგფრიდს, თითქოს სურდა გაეხსენებინა ან სამუდამოდ დაემახსოვრებინა მისი ნაკვთები, მერე ჯვაროსნის მკერდზე გადაჯვარედინებულ ხელებს მოუთათუნა, შეეხო თოკსაც და ისევ გადააგდო თავი თვალებდახუჭულმა.

ყველას ეგონა, მოხუცი ფიქრებს მიეცაო. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთი წუთის შემდეგ იურანდი გამოფხიზლდა და ხელი გაიშვირა პურისკენ, რომელშიც ის ავბედითი დანა იყო ჩარჭობილი.

ეს რომ დაინახეს, იაგენკამ, ჩეხმა და მოხუცმა ტოლიმამაც თავისი მსახურებიანად სული განაბეს. გერმანელმა ასგზის დაიმსახურა სიკვდილი, შურისძიება, მაგრამ იმის წარმოდგენა, რომ ეს ნახევრად მკვდარი მოხუცი ხელების ფათურით აკუწავდა გაკოჭილ ტყვეს, თავზარსა სცემდათ.

მან დანას შუაში მოჰკიდა ხელი, თითით მოსინჯა გალესილი მხარე და ჯვაროსანს ხელზე შემოჭერილი თოკი გადაუჭრა.

ყველა გაოგნებული მიაჩერდა, როცა მიხვდნენ, რასაც აპირებდა. არავინ უჯერებდა თავის თვალებს. ეს უკვე მეტისმეტი იყო. პირველმა ჰლავამ გამოთქვა უკმაყოფილება, მერე ტოლიმამაც და მსახურებმაც აღიმაღლეს ხმა. მხოლოდ ქსონძ, კალებს ღონე აღარ ეყო ქვითინი შეეკავებინა და ნაწყვეტნაწყვეტად ჰკითხა:

– ძმაო იურანდ, რას აპირებთ? ნუთუ ტყვეს თავისუფლებას უბრუნებთ?

– ჰო! – თავი დაიქნია იურანდმა.

– სრულიად დაუსჯელად გინდათ გაუშვათ?

– ჰო!

კიდევ უფრო აბობოქრდნენ; მაგრამ ქსონძმა კალებმა, რომელსაც არ უნდოდა ამაოდ ჩაევლო გულკეთილობის ამ უეცარ მოზღვავებას, უკმაყოფილოდ მიმართა მათ:

– ვინ ბედავს წინ აღუდგეს წმინდანის სურვილს? ახლავე დაიჩოქეთ!

და თვითონაც მუხლმოყრილმა დაიწყო ლოცვა:

– მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყავნ სახელი შენი...

ლოცვა ბოლომდე ჩაიკითხა და როცა მივიდა ამ ადგილამდე: „უკუეთუ მიუტევნეთ თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევეს თქუენცა მამამან თქუენმან ზეცათამან“, იურანდს შეხედა. მას სახეზე რაღაც არაამქვეყნიური ნათელი დასდგომოდა.

ამ სანახაობამ ყველა იქ მყოფს გული მოულბო, მოხუცი ტოლიმა კი, მუდმივ ბრძოლებში გამობრძმედილი ადამიანი, იურანდს მუხლებზე ემთხვია და ჰკითხა:

– თუ თქვენი სურვილი ასეთია, მაშინ მე ის საზღვრამდე უნდა მივაცილო.

– ჰო! – დაიქნია თავი იურანდმა. ფანჯრებში ელვამ მოუხშირა, ქარიშხალი ახლოვდებოდა.

III

ქარსა და კოკისპირულ წვიმაში ორი მხედარი – ზიგფრიდი და ტოლიმა – სპიხოვის საზღვარს უახლოვდებოდნენ. ტოლმა მიაცილებდა გერმანელს, რომ გზაში სადარაჯოზე მდგარ გლეხებს ან სპიხოველ მსახურებს არ მოეკლათ. მათ ხომ საშინელი სიძულვილით სძულდათ ის და ერთი სული ჰქონდათ, როდის იძიებდნენ შურს. ზიგფრიდი უიარაღოდ იყო, მაგრამ აღარც ბორკილები ედო. ქარმა ღრუბლები მორეკა და ზედ მხედრების თავზე ჩამოქუფრა. დროდადრო, როცა მოულოდნელად დაიქუხებდა, ცხენები უკანა ფეხებზე ჩაიკეცებოდნენ. მხედრები უხმოდ მიჰყვებოდნენ უფსკრულის პირს. გზა ისე ვიწრო იყო, რომ ხანდახან ერთის უზანგი მეორისას ეხებოდა. ტოლიმა წლების მანძილზე შესჩვეოდა ტყვეების დარაჯობას და ახლაც დროდადრო ყურადღებით გადახედავდა ზიგფრიდს, თითქოს შიშობს, მოულოდნელად არ გაიქცესო. ამ დროს მას ჟრუანტელი უვლიდა ტანში. ეჩვენებოდა, რომ ჯვაროსანს ისე უელავდა თვალები სიბნელეში, როგორც ეშმას ან ავსულს. ტოლიმამ ისიც იფიქრა, პირჯვარი ხომ არ გადავ-

სახოო, მაგრამ, რომ წარმოიდგინა, როგორი არაადამიანური ხმით დაიღრიალებდა პირχვრის გადასახვაზე, როგორ გადაიქცეოდა რომელიმე ურჩხულად და მოჰყვებოდა კბილების ღრჭიალს, კიდევ უფრო მეტად დაეუფლა შიში. მოხუც მეომარს მარტოდმარტო შეეძლო თავს დასხმოდა გერმანელთა მთელ ხროვას, როგორც ქორი დააცხრება ხოლმე გნოლების გუნდს, მაგრამ უწმინდური სულებისა ძალზე ეშინოდა და არ უნდოდა მათთან რაიმე საერთო ჰქონოდა. მას მხოლოდ გზა უნდა ეჩვენებინა გერმანელისთვის და უკანვე გამობრუნებულიყო, მაგრამ თავისი თავისა შერცხვა და საზღვრამდე მიაცილა ზიგფრიდი.

სპიხოვის ტყე რომ უკან მოიტოვეს, წვიმამ გადაიღო და ღრუბლებს რაღაც საოცარი ყვითელი ფერი დაედო. ირგვლივ ყველაფერი განათდა და ზიგფრიდის თვალებმაც დაკარგეს ავისმომასწავებელი ელვარება. მაგრამ ახლა ტოლიმას სხვა ცთუნება დაეუფლა. „მე მიბრძანეს, – ამბობდა თავისთვის,“ ეს ცოფიანი ძაღლი საზღვრამდე მთელი და უვნებელი მომეყვანა და მოვიყვანე კიდეც, მაგრამ ნუთუ ასე უნდა წავიდეს დაუსχელად, შურისძიების გარეშე, ჩემი ბატონისა და მისი ქალიშვილის χალათი? იქნებ ღმერთს უფრო ესიამოვნოს და სასურველიც იყოს, თუ მოვკლავ მას? რა იქნება, რომ ავდგე და ორთაბრძოლაში გამოვიწვიო? მართალია, იარაღი არა აქვს, მაგრამ აქვე ერთ მილზე პანი ვარციმის მამულია, მახვილს ან ცულს მივაცემინებ და მეც შემეძლება შევებრძოლო. თუ ღმერთი ინებებს, დავცემ მას და ჩავკლავ კიდეც, როგორც მიღებულია, მის თავს კი ნეხვში ჩავფლავ!“ – ასე ესაუბრებოდა თავის თავს ტოლიმა და ხარბად შეჰყურებდა გერმანელს, ნესტოები ებერებოდა, გეგონებოდათ, ახლად დაღვრილი სისხლის სუნი ეცაო. ადვილი არ იყო მისთვის ამ სურვილის დაოკება, ადვილი არ იყო ბრძოლა საკუთარ თავთან; მაგრამ როცა დაფიქრდა, რომ იურანდმა ტყვეს სიცოცხლე და თავისუფლება იმისთვის არ აჩუქა, მხოლოდ საზღვრამდე მიეყვანა, და თუ ზიგფრიდს მოკლავდა, მისი ბატონის ნამოქმედარი კეთილი საქმე ამაოდ ჩაივლიდა და ღვთის ნაბოძვარი გაცილებით ნაკლები იქნებოდა, მან თავი დაიოკა, ცხენი შეაყენა და უთხრა:

– აი, ჩვენი საზღვარი, აქედან თქვენიც შორს აღარ არის. – წადი, თავისუფალი ხარ, და თუ სინდისი არ დაგღრღნის ან მეხი არ დაგეცემა, ხალხი ხელს აღარ გახლებს.

ამ სიტყვებით მან ცხენი შეაბრუნა, სახეგაქვავებულმა χვაროსანმა კი გზა განაგრძო. სიტყვაც არ უთქვამს, თითქოს არც კი გაუგონია, რომ მას ელაპარაკებოდნენ.

ის უკვე შარაგზას დასდგომოდა. ისე მიდიოდა, გეგონებოდათ, ჩასძინებიაო.

ცოტა ხნით ჩადგა ავდარი, ცოტა ხნით გამოიდარა. ისევ ჩაშავდა ზეცა, ისევ ჩამობნელდა, მძიმე ღრუბლები ჩამოაწვა ტყეს. ცაში ავისმომასწავებელი გრგვინვა ისმოდა, თითქოს ქარიშხლის ანგელოზი ჯერ კიდევ ახერხებს და აკავებს ჭექაქუხილის დაუდგრომელ გუგუნს და გრიალსო. ელვა იკლაკნებოდა და წამდაუწუმ თვალისმომჭრელად ანათებდა მრისხანე ცას, აზანზარებულ დედამიწას, ტყის ორ შავ კედელს შორის გაკაფულ ფართო გზას და ზედ მარტოდმარტო მიმავალ მხედარს. ზიგფრიდი თითქმის უგონოდ მიდიოდა, ციებ-ცხელება გულს უღრღნიდა. როტგერის სიკვდილით გამოწვეულ წამებას, შურის საძიებლად ჩადენილ ბოროტებას, სინდისის ქენჯნას, საშინელ მოლანდებებსა და სულიერ ტანჯვას მოხუცი თითქმის სიგიჟემდე მიეყვანა, კარგა ხანია არეული ჰქონდა გონება, და რომ არა უძლიერესი ნებისყოფა, დიდი ხანია დაიღუპებოდა, ხანდახან მაინც ჰკარგავდა გონს. ჩეხის მკაცრი მეთვალყურეობით გავლილმა უძნელესმა გზამ, სპიხოვის ჯურღმულში გატარებულმა ღამემ, გაურკვევლობისადმი შიშმა და ამ გაუგონარმა, გონებისთვის სრულიად მიუწვდომელმა აქტმა შეწყალებისა სრულიად შესძრა ის, – საბოლოოდ მოსპო ზიგფრიდი. წამიერად ცნობიერებას ჰკარგავდა, მოხუცს აღარ ესმოდა, რა ხდებოდა მის თავს; მაგრამ მაღალი სიცხე აიძულებდა გამოფხიზლებულიყო, ისევ ეუფლებოდა სასოწარკვეთა, გულისგატეხვა, დაღუპვის შეგრძნება, რომ ყველაფერი გათავდა, ჩაქრა, დგება მისი ბოლო წუთები, რომ ირგვლივ უკუნი ღამეა, სიცარიელე და საზარელი უფსკრული, რომლისკენაც ის მაინც უნდა ჩაქანდეს.

– წადი, წადი! – თითქოს ვიღაცამ წასჩურჩულა ამ დროს ყურში.

ის მობრუნდა და დაინახა სიკვდილი – ადამიანის თეთრი ჩონჩხი შემომჯდარიყო ცხენის ჩონჩხზე, ძვლებს აჩხარუნებდა და გვერდით მიჰყვებოდა.

– შენა ხარ? – ჰკითხა ჯვაროსანმა.

– ჰო, წადი, წადი!

მაგრამ ამ დროს შეამჩნია, რომ მეორე მხრიდან სხვა მგზავრი მოჰყვებოდა: მას ფეხდაფეხ მოსდევდა ნადირისსახიანი ადამიანი: აწოწილი, გამხდარი, პანტურა ყურებიანი, შავი ბალნით შებანჯგვლული.

– ვინა ხარ? – შეჰკივლა ზიგფრიდმა.

პასუხის ნაცვლად საოცრებამ კბილები დაკრიჭა და ყრუდ დაიღმუვლა.

ზიგფრიდმა თვალები დახუჭა და მაშინვე მოესმა ძვლების ხრჭიალი და ზედ ყურთან ჩასწვდა ხმა:

– დროა! დროა! იჩქარე! წადი!

და მან უპასუხა:

– მივდივარ!...

საკუთარი ხმა ვეღარ იცნო ზიგფრიდმა.

მაშინვე, თითქოს რაღაც დაუძლეველმა უხილავმა ძალამ გარედან უბიძგაო, ის ცხენიდან ჩამოხტა, მაღალი რაინდული უნაგირი და აღვირი ჩამოხსნა. ჩამოქვეითდა მისი ორთავე თანამგზავრიც. ისინი ერთი წამით არ სცილდებოდნენ, შუა გზიდან ტყის პირზე გაიყვანეს. აქ შავმა ავსულმა დაბლა დახარა ტოტი და ჯვაროსანს აღვირის ღვედის გამობმაში მიეხმარა.

– იჩქარე! – ჩასჩურჩულა სიკვდილმა.

– იჩქარე! – ახმაურდნენ ხეთა კენწეროები.

ზიგფრიდმა მძინარესავით გაუყარა ბალთაში თასმის ბოლო და ყულფი გააკეთა, მერე ხის ქვეშ დადგმულ მაღალ უნაგირზე შედგა და თავი ყულფში გაჰყო.

– გაჰკარ ფეხი უნაგირს!... ასეა-ა!

ფეხით გადაგდებული უნაგირი რამდენიმე ნაბიჯზე გაგორდა და უბედური ჯვაროსნის სხეული მძიმედ ჩამოეკიდა ტოტზე.

ერთი წამით მას მოეჩვენა, რომ მოესმა ჩახრინწული, ჩაგუდული ღრიალი, რომ საშინელი ჭინკა ეცა, გააქანა მისი სხეული და კბილებით გაუფლითა მკერდი, რათა შიგ გულში ჩაჰფრენოდა. მერე მისმა ჩამქრალმა მზერამ დალანდა, როგორ შეერია სიკვდილი მოთეთრო ღრუბელს; ღრუბელი ნელა წამოეხურა თავზე, აიტაცა, მოეხვია, გარს შემოერტყა და ბოლოს ყველაფერი დაჰფარა საზარელი განუმტევი საფარით.

ამ წუთს კიდევ უფრო გააფთრდა ავდარი, ელვამ გზა გაანათა და მეხის მძლავრმა დაცემამ თითქოს შუაზე გააპო მიწა იმ ადგილას. ტყე შეარყია ქარიშხალმა. ხმაური, სტვენა, ღრიალი, ხეების ჭრიალი, მოტეხილი ტოტების ტკაცუნი მოსდებოდა მთელ ტყეს. კოკისპირულმა წვიმამ დაფარა ირგვლივ ყველაფერი და მხოლოდ წამიერ გაელვებაზე თუ მოჰკრავდით თვალს ტყის პირას საზარლად მოქანავე ზიგფრიდის სხეულს.

მეორე დღეს მოზრდილმა რაზმმა ჩაიარა იმავე გზით. წინ იაგენკა მიდიოდა ანულიასთან და ჩეხთან ერთად, მათ უკან მოჰყვებოდათ ფორნები

მშვილდ-ისრებითა და მახვილებით შეიარაღებული ოთხი მსახურის თანხლებით. ყველა მეფორნეს მომარაგებული ჰქონდა შურდული და ცული, თუ აღარ ჩავთვლით დაჭედილ ორთითებსა და სხვა იარაღს, რაც შეიძლებოდა გზაში გამოსდგომოდათ. ეს ყველაფერი აუცილებელი იყო თავის დასაცავად გარეული მხეცებისა და ყაჩაღებისაგან, რომლებიც ორდენის საზღვრებზე ბოროტებას სჩადიოდნენ. ამაზე წერილობითაც და რაციონჭეკის ყრილობებზე პირადი შეხვედრების დროსაც ყოველთვის ცხარედ ჩიოდა მაგისტრთან იაგელო.

მაგრამ გამოცდილი და კარგად შეიარაღებული მსახურების გვერდით ყაჩაღების შიში არ უნდა ჰქონოდათ და რაზმი მტკიცედ და გულდამშვიდებით განაგრძობდა გზას. გუშინდელი ავდრის მერე მშვენიერი დღე დადგა – სისხამი, წყნარი და ისეთი კამკამა, რომ იქ, სადაც ჩრდილი არ იყო, მგზავრები მზის ელვარებისგან თვალებს ჭუტავდნენ. ხეებზე ფოთოლი არ ირხეოდა და ყოველ მათგანზე წვიმის მსხვილი წვეთები ბრწყინავდნენ ცისარტყელას ფერებით. ფიჭვების წიწვებზე გეგონებოდათ მსხვილი ალმასები ჰკიდიაო. ნაწვიმარზე მხიარული რაკრაკით მორბოდნენ ნაკადულები და ღარტაფებში პატარა ტბებს ქმნიდნენ. ირგვლივ ყველაფერი დანამული იყო, ყველაფერი სველი, მაგრამ ყველაფერი იღიმებოდა დილის სხივების ბრწყინვალებაში. ასეთ დილას ადამიანის გულს სიხარული ეუფლება, ამიტომ მეფორნეები და მსახურები ღიღინებდნენ და გაოცებული იყვნენ წინ მიმავალი ცხენოსნების სიჩუმით.

ისინი კი დუმდნენ, რადგან იაგენკას დიდი უბედურება დაატყდა. მის ცხოვრებაში რაღაც შეიცვალა, რაღაც დაიმსხვრა. და თუმცა ქალიშვილს ფიქრი დიდად არ უყვარდა და ანგარიშიც ვერ მიეცა თავისთვის, რა დასტყდომოდა თავს, მაგრამ კი გრძნობდა, რომ ყველაფერი, რითაც დღემდე ცოცხლობდა, გაუცრუვდა, ჩაეფერფლა, რომ ყველა იმედი ნისლივით გაიფანტა, ახლა ყველაფერს უნდა გარიდებოდა, ყველაფერზე უარი ეთქვა, ყველაფერი დაევიწყებინა, თითქოს ახალი ცხოვრება უნდა დაეწყო. ის ფიქრობდა, რომ თუნდაც ღვთის შეწევნით ეს ახალი ცხოვრება არც ისე ცუდი ყოფილიყო, ის ხალისი მაინც არ ექნებოდა, როგორიც აწ გარდასულ ცხოვრებას გააჩნდა.

მას გულს უკუმშავდა წარსულზე უსაზღვრო ნაღველი, წარსულზე, რომელსაც აღარაფერი დააბრუნებდა. ცოტაც და ცრემლები ღვარად გადმოსკდებოდა, მაგრამ არ უნდოდა ეტირა; მის სულს მძიმე ტვირთად დასწოლოდა რაღაც, თუმცა სირცხვილი უფრო მეტად სწვავდა. ნეტავ არასოდეს წამოსულიყო ზგოჟელიციდან, ვიდრე, აი, ასე დაბრუნებულიყო ახლა სპიხო-

ვიდან. არა, თავის თავსაც ვერ დაუფიცავდა, თითქოს აქ მხოლოდ იმისათვის ჩამოვიდა, რომ აბატის სიკვდილის შემდეგ აღარ იცოდა, სად წასულიყო, არც მხოლოდ იმიტომ, რათა ჩტანისა და ვილკისთვის ზგოჟელიცზე თავდასხმის მიზეზი მოესპო! ეს მაცკომაც კარგად იცოდა, მას ხომ ამ მიზეზით არ წამოუყვანია; ცხადია, ამას გაიგებს ზბიშკოც. ამის გაფიქრებაზე ქალიშვილს ლოყები აელეწა, ემწარა. „ალბათ საკმაო სიამაყე ვერ გამოვიჩინე, – ფიქრობდა ის, – აი, ახლა კი ვზღავ ამას“. ღელვას, ხვალინდელი დღის გაურკვევლობას, გულისშემმუსვრელ დარდს და წარსულის ენით გამოუთქმელ სინანულს დამცირების გრძნობაც ზედ ერთვოდა.

მაგრამ მძიმე ფიქრები ვიღაც უცნობის გამოჩენამ შეაწყვეტინა, სწრაფად რომ მოაბიჯებდა მათკენ. ფრთხილმა ჰლავამ ცხენი დასძრა მის შესახვედრად და კონდახიან მშვილდზე, მაჩვის ჩანთასა და ჩხიკვის ბუმბულით გაწყობილ ქუდზე მეტყევე შეიცნო.

– ეი, რომელი ხარ, შესდექ! – შეუძახა მან სიფრთხილისათვის.

მეტყევემ მიირბინა მათთან. სახეზე აღელვება ემჩნეოდა, როგორც ყოველთვის ხდება, როცა ადამიანს რაიმე არაჩვეულებრივის შეტყობინება უნდა.

– გზის პირას დამხრჩვალი ჰკიდია! – შესძახა მან.

ჩეხი შეშფოთდა, ყაჩაღების ნახელავი ხომ არ არისო, და ფიცხლად გამოჰკითხა:

– აქედან შორსაა?

– ისრის გასროლაზე. ზედ გზის პირას.

– ვინმე ახლავს?

– არავინ. მგელი უტრიალებდა და დავაფრთხე.

მგლის ხსენებაზე ჰლავა დამშვიდდა. ეს იმას მოასწავებდა, რომ ახლომახლო არც ხალხი იყო და არც ხაფანგი.

– ნახე, რა ამბავია, – უბრძანა იაგენკამ.

ჰლავა წინ წავიდა, ერთი წუთის შემდეგ კი ჭენებით დაბრუნდა.

– ზიგფრიდი ჰკიდია! – დაიძახა მან და იაგენკას წინ ცხენი შეაყენა.

– სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა! ზიგფრიდი? ჯვაროსანი?

– ჯვაროსანი! ღვედზე ჩამოუხრჩვია თავი!

– თვითონ?

– ეტყობა, თვითონ, უნაგირი გდია იქვე მახლობლად. ეს რომ ყაჩაღებს ჩაედინათ, უბრალოდ მოკლავდნენ და უნაგირსაც წაიღებდნენ – ძვირფასია.

– როგორღა წავიდეთ?

– იქით ნუ წავალთ, ნუ! – იყვირა მშიშარა ანულიამ. – უწმინდური არ აგვყვეს!

იაგენკაც შეშინდა, მას სჯეროდა, რომ თვითმკვლელის ცხედართან უამრავი ავსული იყრის თავს; მაგრამ მამაცმა ჰლავამ, რომელსაც არაფრის ეშინოდა, თქვა:

– იცით, რა! მე ახლოს მივედი, ოროლითაც შევეხე, მაგრამ რაღაც ვერ შევამჩნიე, რომ კისერზე ეშმაკი ჯდომოდეს.

– ღმერთს ნუ ჰგმობ! – შესძახა იაგენკამ.

– მე არ ვგმობ ღმერთს. – შეედავა ჩეხი, – მხოლოდ მისი ყოვლისშემძლეობისა მჯერა. ხოლო თუ თქვენ გეშინიათ, შეიძლება ტყით შემოვუაროთ;

ანულია სთხოვდა, შემოვუაროთო, მაგრამ იაგენკა ერთხანს ჩაფიქრდა და მერე უთხრა:

– არა, მიცვალებულის დაუმარხავად დატოვება არ შეიძლება! ქრისტიანული ვალია, ზიგფრიდი კი, რაც უნდა იყოს, მაინც ადამიანია.

– კი, მაგრამ ჯვაროსანია, ჩამოხრჩობილი და ჯალათი! ყვავები და მგლებიც კარგად უპატრონებენ.

– სისულელეს ნუ ამბობ! ცოდვებისთვის ღმერთი განსჯის, ჩვენ კი ჩვენი საქმე უნდა გავაკეთოთ. თუ ღვთის მცნებას შევასრულებთ, არავითარი უწმინდურება არ მოგვეკარება.

– იყოს ნება თქვენი! – უპასუხა ჩეხმა.

და სათანადო ბრძანება მისცა მსახურებს, რომლებიც მაინცადამაინც დიდი ხალისით არ დამორჩილებიან, ზიზღი მორეოდათ. მაინც ეშინოდათ ჰლავასი და, რაკი ნიჩბები არა ჰქონდათ, ორთითები და ცულები წაიღეს და საფლავის გასათხრელად გაეშურნენ. ჩეხმა მაგალითი უჩვენა, ისიც მათთან ერთად წავიდა და საკუთარი ხელით გადასჭრა ღვედი, რომელზედაც გვამი ეკიდა.

ზიგფრიდს სახე გალურჯებოდა, საშინელი შესახედავი იყო, ღია თვალებში შიში ჩარჩენოდა, დაფჩენილი პირით, გეგონებოდათ, უკანასკნელ ჰაერს ისუნთქავსო. სამარე იქვე, გვერდით გათხარეს, ორთითების ტარებით გვამი თავდაყირა ჩააგდეს შიგ, მიწა მიაყარეს და ქვების საძებნელად წავიდნენ, რათა ძველი ადათისამებრ თვითმკვლელისათვის ზევიდან დაეყარათ. თუ ასე არ მოიქცეოდნენ, მათი რწმენით, ღამღამობით ის წამოდგებოდა და მგზავრებს შეაშინებდა.

ქვები გზაზედაც ეყარა, ტყის ხავსშიც, ასე რომ ჯვაროსნის გულზე მალე მაღალი საფლავი აღიმართა; ჰლავამ ნაჯახით ფიჭვის ძირზე ჯვარი ამოჭრა, ზიგფრიდისთვის კი არა, იმისათვის, რომ ბოროტ სულებს არ მოეყარათ ხოლმე თავი ამ ადგილზე, და ისევ თავის ხალხთან დაბრუნდა.

– მისი სული ჯოჯოხეთშია, სხეული კი მიწაში, – უთხრა მან იაგენკას. ახლა შეგვიძლია გზა განვაგრძოთ.

ისინი დაიძრნენ. საფლავს ჩაუარეს. იაგენკამ ფიჭვის ტოტი მოტეხა და ქვებზე დააგდო; მას მიბაძა ყველამ, ასეთი იყო ადათი.

დიდხანს უხმოდ მიდიოდნენ. ულმობელ რაინდსა და მის უსახელო დასასრულზე ფიქრობდნენ.

– ღვთის სამსჯავრომ შებრალება არ იცის, – თქვა ბოლოს იაგენკამ. – ზიგფრიდისთვის სულის მოსახსენებელ ლოცვასაც ვერ იტყვი, მისთვის პატიება არ არსებობს.

– თქვენ ისედაც მოწყალე გული გაქვთ, რაკი მისი დამარხვა ბრძანეთ, – უპასუხა ჩეხმა. და მერე ყოყმანით დაუმატა:

– ხალხი ამბობს, ან იქნებ ხალხი კი არა, ჯადოქრები, რომ ჩამოხრჩობილის თოკს ან თასმას ბედნიერების მოტანა შეუძლიაო; ზიგფრიდის თასმა მე არ წამომიღია, მაგრამ ჯადოსნური ძალებით კი არა, ღვთის შეწევნით გისურვებთ ბედნიერებას.

იაგენკამ კარგა ხანს არაფერი უპასუხა, მერე ერთი ამოიოხრა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა;

– ეჰ, ჩემი ბედნიერება უკვე წარსულს ჩაბარდა.

IV

კარგი ცხრა დღის წასული იყო იაგენკა, როცა ზბიშკომ სპიხოვის საზღვარს მიაღწია. მაგრამ დანუსიას საამქვეყნო პირი აღარ უჩანდა და ძალზე საეჭვო იყო, ცოცხალი ჩაეყვანა იგი მამასთან. როცა ზბიშკომ დანუსიას უაზრო ტიკტიკი გაიგონა, მეორე დღეს ისიც შეამჩნია, რომ მას მხოლოდ გონი კი არ ჰქონდა დაკარგული, რაღაც სატკივარიც შეჰყროდა, რომელსაც ტყვეობის, დილეგის, წამებისა და მუდმივი შიშისაგან არაქათგამოცლილი გოგონა უკვე ვეღარ მოერეოდა. მას შემდეგ, რაც იგი ზბიშკომ მიწურში იპოვა, ციებ-ცხელება ერთი წუთითაც არ განელებია. ნაწილობრივ ეს არც ისე ცუდი იყო, რადგან გაუვალი ტყეებისა და ენით გამოუთქმელი სიძნელეების გადალახვისას მიცვალებულივით მოჰყავდა გონდაკარგული და არაფერი მას არ ესმოდა. როცა ტყე მიილია და „საქრისტიანოში“ შემოდგეს ფეხი, აქ სოფლებსა და შლიახტიჩების მამულებში მათ წვალებას და უგზოობას ბოლო მოეღო. როცა გაიგეს, ზბიშკოს ჯვაროსნებისაგან გამოხსნილი ქალიშვილი მოჰყავსო, თანაც ასული სახელგანთქმული იურანდისა, რომლის გმირობაზე იმ მხარეში სიმღერებს თხზავდნენ, ხალხი ერთმანეთს აღარ აცლიდა მომსახურებას. მოჰქონდათ სანოვაგე, მოჰყავდათ ცხენები. ყველა ციხესიმაგრის კარი ღია იყო მათთვის. ახლა დანუსიაც ორ უნაგირს შუა გამობმული აღარ მოჰყავდათ, მკლავმაგარ ჭაბუკებს ხელით მოჰქონდათ მისი მოაბა, მზრუნველობითა და ფრთხილად, როგორც სათაყვანო არსებას შეეფერება. ქალები სათუთად დასტრიალებდნენ თავს. კაცები კი, მისი წამების ამბავს რომ იგებდნენ, კბილებს ახრჭიალებდნენ, ზოგიერთი საჭურველსაც ისხამდა, ხელთ მახვილს, ცულსა და შუბს იღებდა და ზბიშკოს მიჰყვებოდა, რათა ასმაგად მიეზღოთ, ვინც ტანჯვა მიაყენა. იმ თაობის ხალხი ომებს ისე გაეახლებინა, რომ უბრალო შურისძიება აღარ აკმაყოფილებდათ.

მაგრამ ზბიშკო ამ წუთებში შურისძიებაზე კი არა, დანუსიაზე ფიქრობდა. ხან იმედი უღვივოდა გულში, როცა ავადმყოფი წამიერად მოიხედავდა, ხან კი სასოწარკვეთას ეძლეოდა, როცა მდგომარეობა აშკარად უარესდებოდა. თავს ვეღარ მოიტყუებდა, სიკვდილი სულ ახლოს უტრიალებდა.

მგზავრობის დასაწყისში ასეთი ცრუ რწმენა აეკვიატა, იქნებ უღრან ტყეში ფეხდაფეხ მოგვდევსო სიკვდილი და ხელსაყრელ წუთს ეძებს, რათა დანუსიას დარჩენილი სიცოცხლეც გამოსწოვოსო. ეს მოჩვენება, უფრო სწორად, ეს შეგრძნება განსაკუთრებით ბნელ ღამეებში ისეთი ხელშესახები იყო, რომ რამდენჯერმე სურვილი გაუჩნდა მობრუნებულიყო და სიკვდი-

ლის ჩონჩხს შებმოდა, როგორც რაინდს იწვევენ ხოლმე ბრძოლაში და სულის ამოსვლამდე ებრძვიან. გზის დასასრულს კიდევ უფრო ძნელი გახდა, როცა მან იგრძნო, რომ სიკვდილი უკან კი არ მოსდევთ, აგერ სადღაც მათ შორის ტრიალებს უჩინრად, მაგრამ ისე ახლოს, რომ სამარის სიცივეც კი სცემს. მან კარგად იცოდა, რომ ამ მტერთან ვერც მამაცობითა და ვერც იარაღით ვერაფერს გახდებოდა და უბრძოლველად უნდა ჩაებარებინა მისთვის ყველაზე ძვირფასი სიცოცხლე.

ეს საშინელი გრძნობა იყო, რადგან მას თან ერთვოდა ქარიშხალივით ძლიერი და ზღვასავით უძირო მწუხარება. როგორ არ ეკვნესა ზბიშკოს, როგორ არ ეწამა, როცა შეყვარებულს დასცქეროდა და უნებური საყვედურით ეუბნებოდა: „ნუთუ იმისათვის მიყვარდი, იმიტომ გიპოვე და გამოგიხსენი, რომ სულ მალე მიწა მომეყარა და სამუდამოდ დამკარგვოდი?“ ის შეჰყურებდა ქალის სიცხიან, ალეწილ ლოყებს, მის დაბინდულ უაზრო თვალებს და კვლავ ეკითხებოდა: „ნუთუ დამტოვებ? არ გენანები? წასვლა გინდა, აღარ გსურს ჩემთან დარჩენა?“ ეგონა, თვითონაც დაჰკარგავდა გრძნობას, გულს უფლეთავდა მწარე კვნესა. მაგრამ რისხვითა და ზიზღით შეპყრობილი იმ ბრმა და ულმობელი ძალების მიმართ, უდანაშაულო ბავშვს რომ ბოლო მოუღო, მარტო ცრემლით რას გახდებოდა. ის დაწყევლილი ჯვაროსანი რომ ამ წუთს აქ ყოფილიყო, ალბათ ველური ნადირივით ნაწილ-ნაწილ აკუწავდა.

მთავრის სამონადირო სახლს რომ მიაღწიეს, ზბიშკოს უნდოდა გაჩერებულიყო, მაგრამ გაზაფხულობით სახლში არავინ ცხოვრობდა. იქაური დარაჯებისგან ახალგაზრდა რაინდმა გაიგო, რომ მთავარი და მისი მეუღლე პლოცკს გამგზავრებულიყვნენ მთავრის ძმასთან – ზემოვიტთან, ამიტომ მან უარი თქვა ვარშავაში წასვლაზე, სადაც კარის ექიმს შეეძლო გადაერჩინა ავადმყოფი. ისევ სპიხოვისკენ აიღო გეზი, თუმცა ძალზე უმძიმდა! ეჩვენებოდა, რომ დასასრული სულ ახლოს იყო და იურანდს მხოლოდ ქალიშვილის ცხედარს ჩაუტანდა.

სულ რამდენიმე საათის გზაღა რჩებოდათ სპიხოვამდე, როცა ზბიშკოს გულში იმედის ნაპერწკალი გაუჩნდა. დანუსიას ლოყებზე ციებ-ცხელების ალმური გაუკრთა, თვალები დაეწმინდა, სუნთქვა დაუმშვიდდა. ზბიშკომ იმწამსვე შენიშნა ეს და ბრძანა დასასვენებლად შეჩერებულიყვნენ. ისინი სპიხოვიდან სულ რაღაც ერთ მილზე იყვნენ, ადამიანთა საცხოვრებელს მოშორებულნი, დახნულ მინდორსა და კორდს შორის გამავალ ვიწრო გზაზე. იქვე მახლობლად პანტის ჩრდილქვეშ შეჩერდნენ. ხალხი ჩამოქვეითდა, ცხენებს სადავეები შეუხსნეს და საძოვრად მიუშვეს. დანუსიას მოსავ-

ლელად დაქირავებული ორი ქალი და ის ჭაბუკები, რომლებსაც დანუსია მოჰყავდათ, დაქანცულები ჩრდილში მიწვნენ და მიიძინეს. მხოლოდ ზბიშკო ფხიზლობდა, მოაბასთან პანტის ფესვზე ჩამომჯდარიყო და თვალს არ აშორებდა ავადმყოფს.

დანუსია მშვიდად იწვა ნაშუადღევის სიწყნარეში, თვალდახუჭული. მაგრამ ზბიშკოს ეჩვენებოდა, რომ არ ეძინა. და მართლაც, როცა ფართო მინდვრის მეორე ბოლოში მთიბავმა თიბვა შეწყვიტა და ცელის ლესვას მოჰყვა, დანუსია შეკრთა, წამით თვალები გაახილა და ისევ დახუჭა; ღრმად შეისუნთქა ჰაერი, მკერდი აებურცა და ძლივს გასაგონი ჩურჩული მოსწყდა მის ბაგეს:

– ყვავილების სუნი დგას...

მთელი მგზავრობის განმავლობაში ეს იყო პირველი სიტყვები, რომელიც სიცხიანის ბოდვას არ ჰგავდა. მართლაც, მზით გამთბარი მინდვრიდან მოთიბული ბალახის, თაფლისა და სურნელოვანი ყვავილების სუნი მოდიოდა. ავადმყოფს აზრი უბრუნდებოდა, ზბიშკოს გული აუძგერდა. სიხარულით ატაცებულს უნდოდა დანუსიას ფეხებში ჩავარდნოდა, მაგრამ იფიქრა, არ შევაშინოო, თავი დაიმორჩილა, მხოლოდ მოაბის წინ დაიჩოქა, დაიხარა და ჩუმად უთხრა:

– დანუსია, დანუსია!

გოგონამ კვლავ გაახილა თვალები და ერთხანს შეჰყურებდა მას, მერე სახე ღიმილმა გაუნათა და ისევე, როგორც ფისის მხდელთა ქოხში, მაგრამ ახლა უფრო შეგნებულად. წარმოთქვა მისი სახელი:

– ზბიშკო!..

უნდოდა ხელები გაეშვირა მისკენ, მაგრამ ისეთი დასუტებული იყო, ვერ შეძლო. ბედნიერმა და ესოდენ დიდი წყალობით მადლიერმა ზბიშკომ გულში ჩაიკრა დანუსია.

– გაიღვიძე! – უთხრა მან. — მადლობა ღმერთს... მადლობა ღმერთს...

მას ხმა ჩაუწყდა და რამდენიმე ხანს უხმოდ შეჰყურბდნენ ერთმანეთს. ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმოდა, მხოლოდ სუსტი ნიავი აშრიალებდა პანტის ფოთლებს; ბალახებში გაბმით ჭრიჭინებდნენ კალიები და შორეული მინდვრიდან მთიბავის წყნარი სიმღერა ისმოდა.

დანუსიას გამოხედვა სულ უფრო და უფრო გონივრული გაუხდა; ღიმილი არ შორდებოდა სახიდან, გეგონებოდათ ბავშვია, რომელიც სიზმარში ანგელოზს ხედავსო. მერე თვალებში გაოცება გამოეხატა.

– სადა ვარ?.. — ჰკითხა მან.

ზბიშკომ პასუხები სეტყვად დააყარა, მოზღვავებული სიხარულით ხმა უწყდებოდა:

– ჩემთან ხარ! სპიხოვის მახლობლად! მამასთან მივდივართ. ბოლო მოეღო შენს ტანჯვას! ო, ჩემო დანუსკა, ჩემო დანუსკა! მე შენ გეძებდი და გამოგიხსენი. ახლა ჩემთან ხარ. ნუღარაფრის გეშინია! მალე სპიხოვში ვიქნებით. ავად იყავი, მაგრამ ღმერთმა შეგიწყალა. რამდენი მწუხარება გადავიტანე! რამდენი ცრემლი დავღვარე! დანუსკა!.. ახლა ყველაფერი კარგად იქნება!.. წინ მხოლოდ ბედნიერება გველის. რომ იცოდე, როგორ გეძებე!... მთელი ქვეყანა შემოვიარე!.. ღმერთო ჩემო, დიდებულო!

და მან ღრმად ამოიოხრა, თითქოს მხრებიდან ტანჯვის მთელი სიმძიმე ჩამოეხსნაო.

დანუსია მშვიდად იწვა, გეგონებოდათ, რაღაცას იგონებდა, რაღაცაზე ფიქრობდა.

– მაშ არ დაგვიწყებივარ? — ჰკითხა მან ბოლოს. თვალებზე ორი ცრემლი გაენასკვა და ლოყებზე ჩამოუგორდა.

– როგორ შემეძლო შენი დავიწყება! – წამოიძახა ზბიშკომ.

ამ ყრუ წამოძახილში უფრო მეტი ძალა იგრძნობოდა, ვიდრე საზეიმოდ წარმოთქმულ ფიცში. მას ხომ მთელი სულითა და გულით უყვარდა ის ყოველთვის, მას მერე კი, რაც იპოვა, მისთვის ყველაზე ძვირფასა არსებად იქცა მთელს ქვეყანაზე.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა; მთიბავმა სიმღერა შეწყვიტა და ისევ ცელის ლესვას მოჰყვა.

დანუსიამ ტუჩები კვლავ აამოძრავა, მაგრამ მისი ჩურჩულიდან ზბიშკომ ვერაფერი გაიგო. ამიტომ დაიხარა და ჰკითხა:

– რას ამბობ, ჩემო სიცოცხლევ?

– ყვავილების სუნი დგას. — გაიმეორა მან.

– მე და შენ ველზე ვართ, — უპასუხა ჭაბუკმა, — მალე გზას განვაგრძობთ... მამისკენ. ახლა ისიც თავისუფალია, შენ ჩემი იქნები კუბოს კარამდე. გესმის, რას გეუბნები? გაიგე?

ზბიშკო უცებ აწრიალდა: დაინახა, რომ დანუსიას ფერი მისდიოდა და შუბლზე ოფლის მსხვილი წვეთები დაასხდა.

– რა დაგემართა? — ჰკითხა თავზარდაცემულმა. მან იგრძნო, რომ ტანში ჟრუანტელმა დაუარა, თმა ყალყზე დაუდგა.

– მითხარი, რა დაგემართა? — გაუმეორა მან.

– დაბნელდა! — წაიჩურჩულა დანუსკამ.

– დაბნელდა? მზე ასე ანათებს, შენ კი ამბობ, დაბნელდაო? — ჰკითხა სულშეხუთულმა. — ამ წუთში ხომ გონზე იყავი! გემუდარები, ერთი სიტყვა მაინც მითხარი!..

დანუსიამ ტუჩები ააცმაცუნა, მაგრამ სიტყვის წარმოთქმა ვეღარ შეძლო. ზბიშკო ტუჩების მოძრაობაზე მიხვდა, რომ მის სახელს ამბობდა, მას უხმობდა. მერე გოგონას გაძვალტყავებული ხელები შეკრთნენ და საბანი ცახცახით მობღუჯეს. ეს ერთ წუთს გაგრძელდა... აშკარა იყო, კვდებოდა.

ზარდაცემული და სასოწარკვეთილი ემუდარებოდა ზბიშკო, თითქოს მუდარას შეეძლო ხსნა მოეტანა:

– დანუსია! ღმერთო მოწყალეო!.. სპიხოვამდე მაინც მოიცადე! მოიცადე! მოიცადე! ო, ღმერთო! ღმერთო! ღმერთო!

მის ხმაზე ქალებმა და მსახურებმა მოირბინეს, იქვე კორდზე ცხენებს რომ სდარაჯობდნენ. შეხედეს თუ არა, მიხვდნენ, რაც ხდებოდა, მუხლებზე დაეცნენ და ხმამაღლა დაიწყეს ლიტანიის კითხვა.

ნიავი ჩადგა, პანტის ფოთლები აღარ ირხეოდნენ, მხოლოდ ლოცვის სიტყვებიღა მოისმოდა გარინდებულ მინდორში.

ვიდრე ლიტანიას დაამთავრებდნენ. დანუსიამ კიდევ ერთხელ გაახილა თვალები, თითქოს უნდოდა უკანასკნელად შეეხედა ზბიშკოსა და მზით გაჩახჩახებული ქვეყნისთვის, და სამუდამოდ მიიძინა.

ქალებმა მას თვალები დაუხუჭეს და მინდვრად ყვავილების დასაკრეფად გავიდნენ. მსახურებიც ქალებს გაჰყვნენ. მზის გულზე დადიოდნენ, აბიბინებულ ბალახებში, გეგონებოდათ, ველთა სულები არიანო, და ჰკრეფდნენ ყვავილებს, თან ტიროდნენ, მათი გულები სიბრალულს და თანაგრძნობას მოეცვა. ზბიშკო ჩაკეცილიყო მოაბის წინ, თავი დანუსიას მუხლებთან დაედო, უხმოდ, გაუნძრევლად, მიცვალებულივით, დანარჩენები კი მინდვრად დახეტიალობდნენ, ხან მოახლოვდებოდნენ, ხან ისევ მოშორდებოდნენ და კრეფდნენ ოქროსფერ ბაბუაწვერებს, მინდვრის შროშანებს, მაჩიტებს და თეთრ სურნელოვან ორფერებს. მათ ყვავილების დიდი თაიგულები შეკრეს, მერე საკაცეს შემოეხვივნენ და მორთვას შეუდგნენ. მიცვალებული მთლად დაფარეს ყვავილებითა და მწვანით, მხოლოდ

მშვიდი სახე მოუჩანდა თეთრად მაჩიტებსა და შროშანებს შორის, საუკუნოდ მიძინებული და ანგელოზივით ნათელი.

სპიხოვამდე ერთი მილიც აღარ იყო. როცა ტირილით გული მოიოხეს, ჭაბუკებმა მოაბა ასწიეს და ყველამ ტყეს მიაშურა, საიდანაც უკვე იურანდის მიწები იწყებოდა.

მსახურები უკან მისდევდნენ და ცხენები მიჰყავდათ. თვითონ ზბიშკომაც მოჰკიდა მოაბას ხელი თავთან. საკაცეს ქალები მიუძღოდნენ ყვავილების თაიგულებით ხელში და გალობდნენ; ნელა მიჰყვებოდა სამგლოვიარო პროცესია გზას მწვანე კორდსა და ნაცრისფერ მოხნულ მინდორს შორის.

თავს მოწმენდილი მტრედისფერი ცა დასცქეროდათ, მთელი ქვეყანა შუადღის მცხუნვარე მზეს გაებრწყინებინა.

V

ბოლოს ისინი დანუსიას ცხედრით სპიხოვის ტყეს მიუახლოვდნენ. ამ ტყის პირას დღე და ღამე იდგნენ იურანდის შეიარაღებული მცველები. ერთმა მათგანმა მაშინვე ცხენი გააჭენა, რათა მოხუცი ტოლიმასა და ქსონძი კალებისათვის ჩამოსულების ამბავი შეეტყობინებინა, დანარჩენები პროცესიას გაუძღვნენ ჯერ დაბლობის მიხვეულ-მოხვეული გზით, მერე ტყის ფართო ბილიკით იმ ადგილამდე, სადაც ტყე თავდებოდა და ვეება კოლბოხებიანი ველები და ჭაობის ფრინველებით სავსე საფლობი იწყებოდა. ამის იქით, მშრალ გორაკზე იყო გაშენებული დაბა სპიხოვი. როგორც კი პროცესია დაჩრდილული ტყიდან მზით გაბდღვრიალებულ მინდორზე გავიდა, შორიდან სამგლოვიარო ზარების რეკვა შემოესმათ. სამწუხარო ამბავს უკვე სპიხოვში ჩაეღწია. მალე პროცესიის შესახვედრად მამაკაცთა და ქალთა ვეება ჯგუფი გამოვიდა. როცა ხალხი ისრის ორ-სამ გასროლაზე მოახლოვდა, უკვე შეიძლებოდა სახეების გარჩევა. ყველაზე წინ კვერთხით ხელში იურანდი მოდიოდა, მხარში ტოლიმა ამოსდგომოდა. მას შორიდანვე ადვილად იცნობდით არაჩვეულებრივი მაღალი ტანით, თვალის წითელი ფოსოებით და მხრებზე ჩამოშლილი ჭაღარა თმით. ქსონძი კალები გვერდით მოჰყვებოდა, ხელში ჯვარი ეჭირა და თეთრი სამოსი ეცვა, უკან მოჰქონდათ იურანდის გერბიანი დროშა, რომელსაც მოუძღოდნენ შეიარაღებული ჯარისკაცები, მერე მოდიოდნენ თავდახურული გათხოვილი ქალები და უთავსაფრო ქალიშვილები. მსვლელო. ბას ასრულებდა ბალდახინი, რომელზედაც მიცვალებული უნდა დაესვენებინათ.

იურანდი რომ დაინახა, ზბიშკომ ბრძანა საკაცე ძირს დაეშვათ, თვითონ კი იურანდს მიუახლოვდა და შეუძახა განწირული ხმით, რომელშიც უსაზღვრო დარდი და სასოწარკვეთა ისმოდა:

– ვეძებე, სანამ არ ვიპოვე. გამოვიხსენი, მაგრამ სპიხოვს ზეცა არჩია!

დარდს სულ გაეტეხა ის, იურანდს მკერდზე მიესვენა, კისერზე მოეხვია და ამოიგმინა:

– ღმერთო! ღმერთო! ღმერთო! ამის შემხედვარე სპიხოველმა მეომრებმა აღარ იცოდნენ, როგორ გამოეხატათ თავიანთი თანაგრძნობა, დარდი, შურისძიების წყურვილი და შუბები ფარებს შემოარტყეს, ქალებს წინსაფრები თვალებთან მიჰქონდათ ან მთლიანად იფარავდნენ თავებს, თან ხმამაღლა მოთქვამდნენ:

„ვაი, ბედო, ბოროტო ბედო! შენ რა გიჭირს, ცაში ხარ, ვაი ჩვენი ბრალი: მსახვრალმა სიკვდილმა არ დაგინდო შენ, ვაი, ბედო, უკუღმართო!“

ზოგიერთს თავი უკან გადაეგდო, თვალები დაეხუჭა და ისე მოთქვამდა:

„ნუთუ არ გინდოდა ჩვენთან ყოფნა, ნუთუ არ გინდოდა? როგორ მიატოვე გამწარებული მამაშენი და თვითონ კი ღვთის სასახლეებში დააბიჯებ. ვაი, ვაი“.

ზოგი მიცვალებულს იმის გამო საყვედურობდა, რომ არ დაინდო მამა და მეუღლე, დატოვა ისინი გამწარებული და დაობლებული. ამ საცოდავ მოთქმას ბოლოში მიუმღერებდნენ ხოლმე: იმ ხანებში ხალხმა სხვანაირად არ იცოდა თავისი გლოვის გამოხატვა.

იურანდმა ზბიშკოს მკლავებს თავი დააღწია და წინ გაიშვირა კვერთხი, ამით ანიშნა, დანუსიასთან მისვლა მსურსო. ტოლიმა და ზბიშკო აქეთ-იქიდან ამოუდგნენ და მოაბასთან მიიყვანეს; იურანდმა დაიჩოქა ცხედრის წინ, ხელი მოუსვა სახეზე, გულზე დაკრეფილ ხელებზე და თავი დაიქნია, თითქოს ამითი თქვა, ეს მართლაც ჩემი დანუსკა არისო, ვცნობო ჩემს ქალიშვილს. მერე ცალი ხელი ტანზე შემოჰხვია, მეორე კი, რომელზეც მტევანი აღარ ჰქონდა, ცისაკენ აღაპყრო. ეს უსიტყვო მწუხარება ღვთისადმი აღვლენილ ყოველგვარ სიტყვებზე უფრო მძიმე იყო. სასოწარკვეთილების ხანმოკლე გაელვების შემდეგ ზბიშკოს სახე ისევ გაეყინა. საკაცის მეორე მხარეს უსიტყვოდ ჩაჩოქილ ქვის ქანდაკებას დამსგავსებოდა. ირგვლივ ისეთი სიწყნარე ჩამოწვა, ბუზის გაფრენას და კუტკალიის ჭრიჭინსაც გაიგონებდით. ბოლოს ქსონძმა კალებმა ნაკურთხი წყალი მოასხურა დანუსიას,

ზბიშკოს, იურანდს და წამოიწყო „Requiem aeternam“[32]. გალობა რომ დაასრულა, დიდხანს ლოცულობდა ხმამაღლა, და ხალხს ისე ეგონა, წინასწარმეტყველის ხმა გვესმისო. განსაკუთრებით მაშინ დაებადათ ეს გრძნობა, როცა ქსონძი ღმერთს შესთხოვდა, უდანაშაულო ბავშვის წამება იმ წვეთად ექცია, რომელიც აავსებდა უსამართლობის ფიალას, ლოცულობდა, რომ დამდგარიყო განკითხვისა და შურისძიების, ღვთის რისხვისა და განსჯის დღე.

მერე ყველა სპიხოვისკენ დაიძრა; მაგრამ დანუსია ბალდახინზე აღარ დაუსვენებიათ, პროცესიის წინ ყვავილებით მორთული მოაბით მიჰყავდათ. ზარები გამუდმებით გუგუნებდნენ, გეგონებოდათ, ყველას თავისკენ მოუხმობენო. გალობით მიჰყვებოდნენ დაისის ოქროთი აელვარებულ ფართო ველს, თითქოს მიცვალებული მართლაც მიუძღვოდა მათ სამარადისო ბრწყინვალებისა და სინათლისაკენ. სპიხოვში რომ შევიდნენ, უკვე მოსაღამოვებულიყო და საქონელი საძოვრებიდან ბრუნდებოდა. ეკვდერი, რომელშიც ცხედარი დაასვენეს, ჩირაღდნებითა და სანთლებით კაშკაშებდა. ქსონძი კალების ბრძანებით, შვიდი ქალიშვილი მთელი ღამე რიგრიგობით უკითხავდა ლიტანიას მიცვალებულს. მთელი ღამე არ მოშორებია დანუსიას ზბიშკოც, ცისკრის წირვის დროს კი საკუთარი ხელით ჩაასვენა კუბოში, რომელიც იმ ღამეს სპიხოველმა ხელმარჯვე ოსტატებმა მთლიანი მუხისაგან გამოკვეთეს და სახურავზე, თავთან, გამჭვირვალე ოქროსფერი ქარვის სარკმელი ჩაუდგეს.

იურანდი ამ ამბებს არ ესწრებოდა, მას რაღაც დაემართა. შინ მიბრუნდა თუ არა, ფეხები წაერთვა და, ლოგინში რომ ჩააწვინეს, არ განძრეულა, გრძნობაც დაკარგა და აღარ ესმოდა, სად იყო და რა ემართებოდა. ამაოდ ეკითხებოდა ქსონძი კალები, რა დაგემართათო: იურანდს არაფერი ესმოდა. იწვა გულაღმა, უაზრო ღიმილით უღიმოდა ხალხს, დროდადრო ტუჩებს აცმაცუნებდა, თითქოს ვინმეს ესაუბრებაო. ქსონძი და ტოლიმა კარგად ხვდებოდნენ, რომ ის თავის ქალიშვილს უღიმოდა და ესაუბრებოდა სამოთხეში. ისიც კარგად იცოდნენ, რომ აღსასრულის დღე დადგომოდა და მისი სული საკუთარ სამარადისო განცხრომას ჭვრეტდა, მაგრამ შეცდნენ: გრძნობაწართმეული იურანდი, კიდევ მრავალი კვირა იღიმებოდა ასე და, როცა ბოლოს ზბიშკო მაცკოს გამოსახსნელად გაეშურა, იურანდი ჯერ ისევ ცოცხალი იყო.

[32] სამარადისო განსასვენებელი (ლათ.)

VI

დანუსიას დასაფლავების შემდეგ ზბიშკო ლოგინად არ ჩავარდნილა, მაგრამ გაოგნებული იყო. პირველ დღეებში თითქოს შედარებით უკეთ გრძნობდა თავს: დადიოდა, განსვენებულ მეუღლეზე ლაპარაკობდა, იურანდს ნახულობდა, დიდი ხნობით იჯდა მის გვერდით, ქსონძს მაცკოს დატყვევების ამბავიც კი უამბო და მათ გადაწყვიტეს პრუსიასა და მალბორგში ტოლიმა გაეგზავნათ, რათა დაეზვერა, სად იყო მაცკო, თან ზბიშკოს გამოსასყიდიც გადაეხადა იმდენი, რამდენზედაც მოურიგდა მაცკო არნოლდ ფონ ბადენსა და მის ძმას. სპიხოვის სარდაფებში ბევრი ვერცხლი იყო: იურანდს დაეგროვებინა ის, როცა სპიხოვს ბატონ-პატრონობდა და ნადავლს ეზიდებოდა; ამიტომაც ქსონძი ფიქრობდა, რომ ჯვაროსნები, ფულს ჩაიბარებდნენ თუ არა, მოხუც რაინდსაც გამოუშვებდნენ და ახალგაზრდის იქ მისვლას აღარ მოითხოვდნენ.

– წადი პლოცკში, — არიგებდა ქსონძი ტოლიმას, აიღე იქაური მთავრისაგან დაცვის სიგელი, თორემ პირველივე შემხვედრი კომტური გაგძარცვავს და ჯურღმულში ჩაგაგდებს.

– ვიცნობ როგორმე მაგათ ბუნებას, — უპასუხა მოხუცმა ტოლიმამ. — ისინი დაცვის სიგელებსაც არ დაგიდევენ, მაინც ყველას ძარცვავენ.

და მოხუცი გაემგზავრა. მაგრამ მალე ქსონძმა კალებმა ინანა, რატომ თვითონ ზბიშკო არ გავგზავნეო. მართალია, შიში ჰქონდა, ასეთი მძიმე დანაკარგის მერე პირველსავე დღეებში ახალგაზრდა რაინდს წასვლა გაუჭირდებოდა, ამას გარდა, ჯვაროსნებთან შეხვედრისას შეიძლებოდა თავიც ვეღარ შეეკავებინა და საშიშროება აღარად ჩაეგდო; ქსონძს ისიც კარგად ესმოდა, რომ ზბიშკოს ჭრილობა ჯერ ღია იყო, მძიმე იქნებოდა ახლა ამ დაობლებული ჭაბუკისთვის უძნელესი გრძელი გზის შემდეგ გოტესვერდერიდან სპიხოვამდე ჯერ ისევ შეუმშრალი სამარის მიტოვება, მაგრამ ქსონძმა ბოლოს მაინც ინანა, რომ ყველაფერი ეს მხედველობაში მიიღო, რადგან ზბიშკო დღითი დღე უარესად გრძნობდა თავს. დანუსიას სიკვდილამდე მას ძალები უკიდურესად დაეძაბა: სად არ ეძიებდა ცოლს, მის გამოსახსნელად იბრძოდა, მასთან ერთად გზას იკვლევდა უღრან ტყეებში — და უცებ ყველაფერი დაიმსხვრა, თითქოს პირწმინდად გამოიკვეთა, დარჩა მხოლოდ იმისი შეგნება, რომ რაღაც ჩაიფერფლა, რომ ამაოდ ჩაიარა მისმა მცდელობამ და, თუმცა დასრულდა ყოველივე, მას თან გაჰყვა სიცოცხლის ნაწილი, გაქრა იმედი, დაიღუპა სიყვარული, მოისრა ყოველივე. ადამიანი

ხვალინდელი დღით ცხოვრობს, რაღაც ოცნებას ელოლიავება, მომავლის გეგმებს აწყობს, ზბიშკოსთვის კი ხვალინდელმა დღემ აზრი დაკარგა და მომავალზე ფიქრისას ზუსტად ისეთივე გრძნობა ეუფლებოდა, როგორც იაგენკას, როცა სპიხოვიდან წასვლისას თქვა: „ჩემი ბედნიერება უკვე დამთავრებულიაო“. მაგრამ ზბიშკოს სულში დაბნეულობის, სიცარიელისა და საკუთარი მძიმე ხვედრის შეგნება თანდათან მატულობდა. ამ დარდმა ერთიანად მოიცვა და დაიმორჩილა, ისე შებოჭა მისი გული, რომ არც ერთი სხვა გრძნობისთვის იქ ადგილი აღარ დაუტოვა. ის მხოლოდ თავის დარდზე ფიქრობდა, მხოლოდ მას მისცემოდა, მხოლოდ მისით ცოცხლობდა; სხვა აღარაფერი აინტერესებდა. ბურანში გაეხვია, გულჩათხრობილი გახდა და ირგვლივ ვეღარაფერს ამჩნევდა. მთელი მისი სულიერი და ფიზიკური ძალები, მისი სულის ადრინდელი მხურვალება მინავლულიყო. გამოხედვა და მოძრაობა მოუდუნდა, მოხუცს დაემგვანა. დღე და ღამე ან აკლდამაში იყო დანუსიას კუბოსთან, ან მიწაყრილზე მიეგდებოდა ხოლმე მზეზე შუადღისას. დროდადრო ბურანში წავიდოდა და კითხვებზე არ პასუხობდა. ქსონძ კალებს უყვარდა ზბიშკო და ამიტომ ეშინოდა, დარდმა ისე არ გამოღრღნას, როგორც ჟანგი ღრღნისო რკინას, სულ მთლად არ გამოიფიტოსო ჭაბუკი, და დანაღვლიანებული ფიქრობდა, იქნებ სჯობდა გამოსასყიდი ჯვაროსნებთან სწორედ მაგას წაეღოო. „აუცილებელია, — ეუბნებოდა ის თავის მსახურს, რადგან მოსაუბრე გვერდით აღარავინ შემორჩა, — რომ რაიმე ამბავმა შესძრას ის, როგორც ქარიშხალი არყევს ხეს, თორემ ნამდვილად დაიღუპება“. მსახური უმოწმებდა, მართალიაო, და შედარებისთვის პასუხობდა, რომ ადამიანს, რომელიც ძვლით იხრჩობა, კარგა მაგრად უნდა ჩასცხოო ზურგში.

მაგრამ იმ პერიოდში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, რამდენიმე კვირის შემდეგ კი მოულოდნელად ჩამოვიდა ბატონი დე ლორში. ზბიშკო გააოცა ლოტარინგიელი რაინდის დანახვამ, მას მაშინვე გაახსენდა ჟმუდზე ლაშქრობა, დანუსიას განთავისუფლება. თვითონ დე ლორში არ ერიდებოდა ამ სამწუხარო ამბების გახსენებას. იმწამსვე წავიდა ზბიშკოსთან ერთად დანუსიას საფლავზე სალოცავად, მერე კი, რახან ნაწილობრივ მენესტრელი იყო, სიმღერაც შეთხზა და ღამით ბარბითზე გულსაკლავად დაამღერა აკლდამის ზღუდესთან. ზბიშკოს სიტყვები არ ესმოდა, მაგრამ გული ამოუჯდა და გათენებამდე ტიროდა.

მერე დარდმა და ცრემლებმა ისე დაქანცეს, რომ ხანგრძლივ ძილს მიეცა, ხოლო როცა გაეღვიძა, ცოტა გულს მოშვებოდა, უფრო მხნედ გრძნობდა თავს, გამოხედვაც გამოუცოცხლდა. მას ძალზე უხაროდა დე ლორშის

ჩამოსვლა, მადლობა გადაუხადა ამისთვის და გამოჰკითხა, საიდან გაიგე ჩემი უბედურებაო.

ქსონძმა კალებმა დე ლორშის პასუხი გადაუთარგმნა, დანუსიას სიკვდილის ამბავი ლიუბავაში გავიგეო მოხუცი ტოლიმასგან, რომელიც ბორკილებში ჰყავს ჩაჭედილი იქაურ კომტურს, მაგრამ სპიხოვში იმიტომ ჩამოვედი, რომ ჩაგბარდეო.

ტოლიმას დატყვევების ამბავმა ზბიშკოს და ქსონძს თავზარი დასცა, მიხვდნენ, რომ გამოსასყიდი დაიკარგა, არაფერი იყო უფრო ძნელი ამ ქვეყანაზე, ვიდრე ჯვაროსნებისთვის ნაძარცვის უკან წართმევა. ასე რომ, საჭირო გახდა მათთან სხვა გამოსასყიდით წასვლა.

– ვაი, ჩემო თავო! — შესძახა ზბიშკომ. — საცოდავი ბიძაჩემი იქ მელოდება და ალბათ ფიქრობს, დავავიწყდიო! უნდა ვიჩქარო მისკენ.

მერე ის ბატონ დე ლორშს მიუბრუნდა:

– იცი, როგორ მოხდა ეს ყველაფერი? იცი, რომ ის ჯვაროსნების ხელშია?

– ვიცი, — უპასუხა დე ლორშმა, — მალბორგში ვნახე და სწორედ მაგიტომ ჩამოვედი.

ქსონძი კალები ამაზე ურვას მიეცა.

– ცუდად მოვიქეცით, — ამბობდა ის, — მაგრამ იმ ხანებში ხომ ყველამ დაკარგა გონება... ტოლიმაც უფრო გონიერი მეგონა. რატომ პლოცკში არ წავიდა, იმ ყაჩაღებთან რა უნდოდა, დაცვის სიგელი თუ არა ჰქონდა?

ბატონმა დე ლორშმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

– დაცვის სიგელი რა არის მათთვის! არც თვითონ პლოცკის მთავარს ადგია მათგან კარგი დღე! ახლა თქვენსას არ იკითხავთ? საზღვარზე გაუთავებელი ბრძოლები და თავდასხმებია, რადგან არც თქვენები რჩებიან ვალში. ყველა კომტური, და კომტური რაღა სათქმელია, ყველა მმართველი, იმას აკეთებს, რაც თვითონ სურს, ერთმანეთს სიხარბეში ეჯიბრებიან.

– მით უმეტეს მართებდა ტოლიმას პლოცკში წასვლა.

– ასედაც აპირებდა, მაგრამ გზაზე, საზღვრის მახლობლად, მძინარე შეიპყრეს გერმანელებმა. ალბათ კიდევაც მოკლავდნენ, მაშინვე რომ არ ეთქვა, ლიუბავის კომტურთან ფული მიმაქვსო. ამან იხსნა, მაგრამ ახლა კომტურს შეუძლია მოწმეები მოიყვანოს, ტოლიმამ თვითონ გვითხრაო ეს ამბავი.

– ბიძია მაცკო როგორღა არის? ჯანმრთელადაა? ცუდი ხომ არაფერი მოელის? — ჰკითხა ზბიშკომ.

– ჯანმრთელადაა, — უპასუხა დე ლორშმა. — ჯვაროსნები ძალიან გულმოსულები არიან „მეფე“ ვიტოლდსა და ყველა იმათზე, ვინც ჟმუდელებს ეხმარება. ალბათ თავსაც წააცლიდნენ მოხუც რაინდს, გამოსასყიდი რომ არ ენანებოდეთ. ძმები ფონ ბადენები ამავე მიზეზით იცავენ მას. დაბოლოს, კაპიტულს ჩემი თავიც ენანება, მე თუ გამწირავენ, მათ წინააღმდეგ აღდგება ფლანდრიის ყველა რაინდი გელდრიაშიც და ბურგუნდიაშიც, თქვენ ხომ იცით, რომ მე გელდრიელი გრაფის ნათესავი ვარ.

– შენ აქ რაღა შუაში ხარ? გააწყვეტინა გაოცებულმა ზბიშკომ.

– მე ხომ შენი ტყვე ვარ. აი, რა ვთქვი მალბორგში: „თუ თქვენ თავს მოკვეთავთ მოხუც ბოგდანეცელ რაინდს, ახალგაზრდა თავს მომკვეთავს მე...

– ღმერთს გეფიცები, არ ჩავიდენ მაგას!

– მე კი ვიცი, რომ არ ჩაიდენ, მაგრამ იმათ ხომ მაინც ეშინიათ. ამიტომ მაცკოსაც არაფერს დაუშავებენ. იმათ მითხრეს, ზბიშკოც ჩვენი ტყვე არისო, ფონ ბადენებმა რაინდულ სიტყვაზე გაუშვეს და ამიტომ ვალდებული აღარა ხარ იმასთან გამოცხადდეო. მაგრამ მე ვუპასუხე, როცა ტყვედ ჩამიგდო, მაშინ თავისუფალი იყო-მეთქი. ჰოდა, ავდექი და წამოვედი! სანამ შენს ხელთა ვარ, არც ერთ თქვენგანს ისინი არაფერს დაგიშავებენ. შენ ფონ ბადენებს გამოსასყიდი მიუტანე, ხოლო ჩემში ორჯერ ან სამჯერ მეტი მოითხოვე. მეტი რა გზა ექნებათ, უნდა გადაგიხადონ. ამას იმიტომ კი არ გეუბნები, ვითომ თქვენზე მეტი ვღირდე, არა! მხოლოდ მინდა დაისაჯონ სიხარბისათვის, რაც მე ასე მძულს. იყო დრო, სულ სხვანაირად ვფიქრობდი მაგათზე, ახლა კი შემძაგდნენ თვითონაც და მათი სტუმართმოყვარეობაც. მე წმინდა მიწას მივაშურებ რაინდული ფათერაკების საძებნელად, იმათთან სამსახური კი აღარ მინდა.

– ან არადა ჩვენთან დარჩით, ბატონო, — უთხრა ქსონძმა კალებმა. — ვფიქრობ, ასეც უნდა მოიქცეთ; ეჭვი მეპარება, რომ იმათ თქვენი გამოსასყიდი გადაიხადონ.

– თუ ისინი არ გადაიხდიან, მე თვითონ გადავიხდი, — უპასუხა დე ლორშმა, — უამრავი მსახური მახლავს და ყველანაირი სიმდიდრით გატენილი ფორნებიც მაქვს, როგორმე მეყოფა...

ქსონძმა კალებმა ზბიშკოს გადაუთარგმნა ეს სიტყვები, რომელთა მიმართაც მაცკო ალბათ გულგრილი არ დარჩებოდა, მაგრამ ზბიშკო ახალ-

გაზრდა იყო და სიმდიდრეზე ნაკლებად ეჭირა თვალი, ამიტომ დე ლორს უპასუხა:

– პატიოსნებას გეფიცები, რომ ეს არ მოხდება. შენ ჩემთვის ძმა და მეგობარი იყავი და არავითარ გამოსასყიდს მე შენგან არ მივიღებ.

ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ, იგრძნეს, რომ დღეიდან სულ სხვა ძაფებით შეიკრნენ. ღე ლორშმა ღიმილით უთხრა:

– კეთილი, ოღონდ ეს გერმანელებს ნუ ეცოდინებათ, თორემ მაცკოსთან კერპობას დაიწყებენ. მათ მაინც უნდა გადაიხადონ ჩემი გამოსასყიდი, ალბათ შეეშინდებათ, მეფეთა კარზე და რაინდებში ხმა არ დავუყარო, რომ სტუმრად ხალისით პატიჟებენ და ღებულობენ რაინდებს, მაგრამ თუ ღმერთი გაწყრა და სტუმარი ტყვედ ჩავარდა, მაშინვე ივიწყებენ-მეთქი. ახლა კი ორდენს სტუმრები ძალიან სჭირდება, ვიტოლდისა დიდი შიში აქვთ, უფრო მეტად კი პოლონელები და მათი მეფე უხეთქავთ გულს.

– როგორც შენ გენებოს, — უთხრა ზბიშკომ, — დარჩი აქ ან სადმე სხვაგან მაზოვიაში, სადაც შენ მოგესურვება, მე კი წავალ მალბორგში ბიძაჩემთან და თავს ისე მოვაჩვენებ, თითქოს ძალიანა ვარ შენზე განრისხებული.

– ეგრე ჰქენი, გაფიცებ წმინდა გიორგის! — შესძახა დე ლორშმა. — მაგრამ ჯერ მე მომისმინე, რას გეტყვი: მალბორგში ყური მოვკარი, თითქოს პოლონეთის მეფე პლოცკში უნდა ჩამოვიდეს და მაგისტრს შეხვდეს, არ ვიცი, შიგ პლოცკში თუ სადმე საზღვარზე. ჯვაროსნები ამ შეხვედრის დიდი მოსურნენი არიან. უნდათ გაიგონ მეფისგან, დაეხმარება თუ არა ვიტოლდს, როცა ის აშკარა ომს გამოუცხადებს მათ ჟმუდისათვის. ო, ისინი გველებივით ცბიერები არიან, მაგრამ ვიტოლდი იმათზე უფრო ეშმაკია. ორდენს მისი შიშით აციებს, არასოდეს არავინ იცის, რას აპირებს და რას ფიქრობს. „მართალია, ჟმუდი მოგვცა, — ამბობენ კაპიტულაში, — მაგრამ მისი გულისთვის მუდამ ხმალი გვემუქრება. საკმარისია მისი ერთი სიტყვა, — ამბობენ ისინი, — და აჯანყებაც მზად არის!“ ეს მართლაც ასეა. მე როგორმე უნდა მოვინახულო იმისი სასახლე. იქნება შემთხვევა მომეცეს და ასპარეზობაში მივიღო მონაწილეობა, მით უმეტეს, რომ ყური მოვკარი, ანგელოზებივით ლამაზი ქალები ჰყავთო.

– ბატონო, თქვენ ბრძანებდით, პოლონეთის მეფე პლოცკში უნდა ჩამოვიდესო? — გააწყვეტინა დე ლორშს ქსონძმა კალებმა.

– დიახ. ზბიშკოც შეუერთდეს მეფის კარს. მაგისტრს სურს მეფე თავის მხარეზე გადაიბიროს და არაფერზე უარს არ ეტყვის. თქვენ კარგად იცით, თუკი სჭირდებათ, ჯვაროსნებზე მორჩილი არავინაა. შეუერთდეს ზბიშკო

მეფის ამალას და თავისი მოითხოვოს. დაე, ყველაზე ხმამაღლა იყვიროს ორდენის უკანონობაზე. მეფესთან და კრაკოვის განთქმულ რაინდებში, რომელთა გადაწყვეტილებებს მთელი რაინდობა იცნობს, მაგას სულ სხვაგვარად მოუსმენენ.

– საქმიანი რჩევაა, გეფიცებით, ძალიან საქმიანი! — შესძახა ქსონძმა.

– დიახ! — დაუდასტურა დე ლორშმა. — მიზეზიც მოიძებნება. მალბორგში ყური მოვკარი, დიდი ნადიმები და ასპარეზობა იქნებაო, რადგან უცხოელ სტუმრებს სურთო მეფის რაინდებთან შეჯიბრება. ღმერთო ჩემო, თვით ხუან არაგონელი აპირებსო ჩამოსვლას — მთელს ქრისტიანულ სამყაროში ყველაზე სახელგანთქმული რაინდი. თქვენ არ იცით ეს ამბავი? ამბობენ, თქვენი ზავიშასთვის არაგონიიდან ხელთათმანი გამოუგზავნია, რათა მეფის კარზე აღარავინ გაბედოს თქმა, თითქოს მისი ბადალი რაინდი ამქვეყნად კიდევ მოიპოვებოდეს.

დე ლორშის ჩამოსვლამ, მისმა ნახვამ, მისმა საუბარმა ზბიშკო გამოიყვანა იმ საშინელი ჯადონუსხისაგან, რომელშიც აქამდე იმყოფებოდა. ჭაბუკი რაინდი ცნობისმოყვარეობით უსმენდა ახალ ამბავს. მას გაგონილი ჰქონდა არაგონიის რაინდის ხუანის სახელი. იმ დროს ყველა რაინდი ვალდებული იყო ხსომებოდა განთქმულ მეომართა სახელები. არაგონიის მემამულეთა დიდება, განსაკუთრებით კი ხუანისა, მთელ მსოფლიოს მოსდებოდა, ჯერ ვერც ერთი რაინდი ვერ გამკლავებოდა შეჯიბრების დროს ხუანს, მავრები მხოლოდ მისი საჭურვლის შეხედვაზეც თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ და ყველა რაცხდა მას პირველ რაინდად მთელ ქრისტიანულ სამყაროში.

როცა დე ლორშმა ხუანი ახსენა, ზბიშკოში მებრძოლმა რაინდულმა სულმა გაიღვიძა, ის გამოცოცხლდა და დაეკითხა:

– მან შავი ზავიშა გამოიწვია ბრძოლაში?

– თითქმის ერთი წელია მას შემდეგ, რაც ზავიშამ მისი ხელთათმანი მიიღო და თავისიც გაუგზავნა.

– მაშ არაგონიელი ხუანი უეჭველად უნდა ჩამოვიდეს?

– ვინ იცის, ნამდვილად ჩამოვა თუ არა. მაგრამ ხმა კი დადის, ჩამოვაო. ჯვაროსნებმა კარგა ხანია მოწვევა გაუგზავნეს.

ღმერთმა ქნას და ასეთი ბრძოლის მხილველი გამხადოს.

– ღმერთმა ქნას! — გაიმეორა დე ლორშმა. — თუნდაც ხუანმა სძლიოს ზავიშას, ეს კი სულ ადვილი შესაძლებელია, სულ ერთია, პოლონელი რა-

ინდისთვის და მთელი თქვენი ხალხისთვისაც მაინც დიდი პატივი იქნება, რომ ის ორთაბრძოლაში გამოიწვია თვით არაგონიელმა ხუანმა.

– ვნახავთ! — თქვა ზბიშკომ. — მე მარტო ის მინდა, რომ ვუყურო!

– მეც ასევე.

მაგრამ ამჯერად მათ სურვილს ასრულება არ ეწერა, რადგან ძველ ქრონიკებში მოხსენიებულია, რომ ორთაბრძოლა ზავიშასა და სახელგანთქმულ ხუან არაგონიელს შორის შედგა დაახლოებით თხუთმეტი წლის შემდეგ პერპინიანოში იმპერატორ სიგიზმუნდის, პაპი ბენედიქტე XIII-ის, არაგონიის მეფისა და მრავალი მთავრისა და კარდინალების თვალწინ. ზავიშა შავმა გარბოველმა შუბის პირველივე დარტყმით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ჯერჯერობით კი ზბიშკოსა და დე ლორშს ის უხაროდათ, რომ თუნდაც ხუან არაგონიელი დანიშნულ დროს ვერ ჩამოსულიყო, უიმისოდაც შეძლებდნენ ენახათ დიდებული რაინდული ბრძოლები, რადგან პოლონეთს ისეთი რაინდები ბლომად ჰყავდა, ზავიშას ბევრად რომ არ ჩამოუვარდებოდნენ. ორდენის სტუმრებს შორის კი ყოველთვის შეხვდებოდით პირველხარისხოვან ფრანგ, ინგლისელ, ბურგუნდიელ და იტალიელ მოფარიკავეებს, რომლებიც მუდამ მზად იყვნენ თავი დაედოთ პირველობისთვის.

– მისმინე, — უთხრა ზბიშკომ ბატონ დე ლორშს. ძალიან მომეწყინა უბიძაჩემოდ, ჩქარა უნდა გამოვისყიდო, ამიტომ ხვალ გათენებისას გავდივარ პლოცკისკენ. შენ რაღას დაუდგები აქ? აკი ვითომ ჩემი ტყვე ხარ, ადექი და წამოდი ჩემთან ერთად, მეფესა და მის კარს მაინც ნახავ.

– სწორედ მეც ეგ მინდოდა მეთხოვა, — უპასუხა დე ლორშმა, — რა ხანია თქვენი რაინდების ნახვა მინდა. ისიც გამიგონია, რომ თქვენი ამალის ქალები ანგელოზებს უფრო ჰგვანან, ვიდრე მიწიერ არსებებს.

– შენ ვიტოლდის კარზეც იგივე თქვი სულ ცოტა ხნის წინ, — შენიშნა ზბიშკომ.

VII

ზბიშკო გულში ლანძღავდა თავის თავს, რომ, მწუხარებას თავმიცემულმა, ბიძამისი დაივიწყა და, რაკი ჩვეული იყო სიტყვა და საქმე ყოველთვის ერთი ჰქონოდა. მეორე დღესვე დილაადრიან ბატონ დე ლორშთან ერთად პლოცკის გზას დაადგა. საზღვრისპირა გზებზე სიარული მშვიდო-

ბიან დროსაც არ იყო უშიშარი ყაჩაღთა ურიცხვი ბანდების გამო. ჯვაროსნები მფარველობდნენ ამ ბანდებს და ხელსაც უმართავდნენ, რაზედაც მათ დიდად საყვედურობდა მეფე იაგელო. საჩივრები, რომლებიც ხანდახან რომამდისაც კი აღწევდა, არაფერს შველოდა, არც მუქარასა და მკაცრ ზომებს დაგიდევდნენ და მეზობელი კომტურები ხშირად ნებას რთავდნენ თავიანთ დაქირავებულ კნეხტებს ყაჩაღთა ბანდებში ჩაწერილიყვნენ; მართალია, ისინი მაშინვე ზურგს აქცევდნენ ხოლმე იმ უბედურებს, ვინც პოლონელთა ხელში ხვდებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, თარეშიდან ნადავლითა და ტყვეებით დაბრუნებულებს სოფლებსა და საკუთარ სიმაგრეებშიც კი იფარებდნენ.

ხშირად ყაჩაღებს ხელში უცვიოდნენ არა მარტო მგზავრები, არამედ საზღვრის ახლომახლო მცხოვრებნიც. ყაჩაღთა ბანდები გამოსასყიდის მოლოდინში განსაკუთრებით ხშირად იტაცებდნენ მდიდარი ხალხის შვილებს. მაგრამ ორ ახალგაზრდა რაინდს, რომელთაც მეურმეების გარდა, ოცამდე შეიარაღებული ქვეითი და ცხენოსანი მსახურიც ახლდა, თავდასხმისა სულაც არ ეშინოდა. რაინდებმა უფათერაკოდ მიაღწიეს პლოცკს, სადაც მათ სასიამოვნო ახალი ამბავი ელოდათ.

ფუნდუკში ისინი ტოლიმას შეხვდნენ, რომელიც პლოცკში წინადღეს ჩამოსულიყო. თურმე ლიუბავის მმართველს გაუგია, რომ ბროდნიცას მახლობლად თავდასხმის დროს ტოლიმას ფულის ერთი ნაწილის გადამალვა მოუხერხებია. ამიტომ ამდგარა და მოხუცი ბროდნიცას ციხესიმაგრეში გამოუგზავნია, ადგილობრივი კომტურისთვის კი დაუვალებია, ტყვე გამოეტეხა, სად ჰქონდა დამალული ფული. ტოლიმას შემთხვევით უსარგებლია და გამოქცეულა. როცა გაოცებულებმა რაინდებმა ჰკითხეს, ეს როგორ მოახერხეო, მოხუცმა აუხსნა:

– ყველაფერი თავიანთ გაუმაძღრობას დააბრალონ. ბროდნიცას კომტურს არ უნდოდა ამ ფულის ამბავი გახმაურებულიყო და დარაჯად ცოტა ხალხი დამიყენა. იქნებ ლიუბავის კომტურთან მოლაპარაკებულიც იყო ფული შუაზე გაეყოთ და ორთავეს ეშინოდა საიდუმლო არ გამომჟღავნებულიყო, თორემ მაშინ უდიდესი ნაწილი მალბორგში უნდა გაეგზავნათ, ან იქნებ სულაც მთელი ფული ფონ ბადენებისთვის უნდა მიეცათ. ამიტომ იყო, რომ კომტურმა სულ ორი კაცი დამიყენა: თავისი ერთგული კნეხტი, ჩემთან ერთად რომ უნდა მოესვა ნიჩაბი, როცა დრვენცაზე გადმოვიდოდით, და ვიღაც მწერალი... კომტურს არ უნდოდა, ვინმეს დავენახეთ, ამიტომ შეღამებულზე გამოგვისტუმრა, საზღვარი კი, ალბათ იცით, იქ ახლოსაა. მომცეს ხელში მუხის ნიჩაბი... ჰოდა, ღვთის წყალობით... ახლა აგერ, პლოცკში ვარ.

– ვხედავ, ისინი არ დაბრუნებულან? — შესძახა ზბიშკომ. ტოლიმას მოღუშულ სახეზე ღიმილი გადაეფინა.

– დრვენცა ხომ ვისლას ერთვის, — უთხრა მან. — როგორ უნდა დაბრუნებულიყვნენ დინების საწინააღმდეგოდ? ჯვაროსნები იმათ მხოლოდ ტორუნში იპოვიან.

ერთი წამის მერე მოხუცი ზბიშკოს მოუბრუნდა და დასძინა;

– ცოტაოდენი ფული ლიუბავის კომტურმა წამგლიჯა, დამალული ფული კი, გერმანელები რომ დამესხნენ, თქვენს საჭურველმტვირთველს მივეცი შესანახად; ის მთავრის ციხესიმაგრეში ცხოვრობს, იქ უფრო უშიშრადაა, ვიდრე აქ, ფუნდუკში.

– ჩემი საჭურველმტვირთველი პლოცკშია? რას აკეთებს აქ? — ჰკითხა გაოცებულმა ზბიშკომ.

– იმან ხომ ზიგფრიდი ჩამოიყვანა სპიხოვში, თვითონ კი იმ პანასთან ერთად წამოვიდა, იქ რომ იყო; ახლა ის აქაური მთავრის მეუღლის სეფექალია. ასე მიამბო გუშინ.

სპიხოვში ყოფნისას, დანუსიას სიკვდილის შემდეგ, ზბიშკო ისე მოიდნო ნაღველმა, რომ არაფერი უკითხავს და ეს ამბები არ იცოდა. ახლაღა გაახსენდა, რომ იმან და მაცკოს ჩეხს ზიგფრიდი გაატანეს და ადრე გამოისტუმრეს; ჯვაროსნის გახსენებაზე ტკივილმა გული შეუკუმშა და შურისძიების გრძნობამ აიტანა.

– მართალია! — უთხრა მან. — ის ჯალათი სადღა არის? რა დაემართა?

– ქსონძ კალებს განა არაფერი უთქვამს? ზიგფრიდმა თავი ჩამოიხრჩო და თქვენ, ბატონო, ალბათ გვერდზეც ჩაუარეთ მის საფლავს.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

– საჭურველმტვირთველმა მითხრა, — წამოიწყო ბოლო ტოლიმამ,— რომ თქვენთან წამოსვლას აპირებს; აქამდეც წამოვიდოდა, მაგრამ ქალბატონი ჰყავდა მისახედი; სპიხოვიდან რომ ჩამოვიდა, აქ ავად გამხდარა.

ზბიშკომ სიზმარივით ჩამოიფერთხა ნაღვლიანი მოგონებები და ისევ ჰკითხა:

– რომელი ქალბატონი?

– აი, თქვენი და რომ არის, თუ ნათესავია, — უპასუხა მოხუცმა, — საჭურველმტვირთველად გადაცმული რომ ჩამოვიდა რაინდ მაცკოსთან ერთად სპიხოვში, რომელმაც ჩემი ბატონი იპოვა, როცა ჯოხის ცეცებით მო-

დიოდა გზაზე. ის რომ არ ყოფილიყო, ვერც რაინდი მაცკო და ვერც თქვენი საჭურველმტვირთველი იმას ვერ იცნობდნენ. ჩვენმა ბატონმა ძალიან შეიყვარა მერე ის ქალი, ქალიც ღვიძლი შვილივით უვლიდა. მარტო იმას და ქსონძ კალებს ესმოდათ მისი ნიშნები. ახალგაზრდა რაინდმა გაოცებით დააჭყიტა თვალები.

– არავითარ პანაზე ქსონძ ქალებს ჩემთვის არაფერი უთქვამს, არც არავითარი ნათესავი ქალი მე არა მყავს.

– ალბათ იმიტომ არ გითხრათ, რომ თქვენ მწუხარებისგან გონს აღარ იყავით, არაფერი იცოდით, ვერაფერს ხედავდით.

– რა ერქვა იმ ქალს?

– იაგენკა.

ზბიშკოს მოეჩვენა, სიზმარში ვარო. იაგენკას თუ შორეული ზგოჟელიციდან სპიხოვში ჩამოსვლა შეეძლო, უბრალოდ ამას ვერც კი წარმოიდგენდა, როგორ? რატომ? მართალია, მისთვის საიდუმლო არ იყო, რომ ქალიშვილს გულში ჩავარდნოდა, რომ იაგენკა ზგოჟელიცში ყოველნაირად მიილტვოდა მისკენ, მაგრამ აკი გამოუტყდა, ცოლიანი ვარო. ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ მოხუც მაცკოს შეეძლო თან წაეყვანა ის სპიხოვში, რათა ცოლად შეერთო მისთვის. მართლაც არც მაცკოსა და არც ჩეხს კრინტიც კი არ დაუძრავთ იაგენკას შესახებ. ზბიშკოს ეს ყველაფერი უცნაურად და სრულიად გაუგებრად ეჩვენა: საკუთარ ყურებს არ უჯერებდა და სურდა კიდევ ერთხელ მოესმინა ეს დაუჯერებელი ახალი ამბავი, ამიტომ ტოლიმას კვლავ კითხვები დააყარა.

მაგრამ ტოლიმამ თავის ნაამბობს ახალი ვეღარაფერი დაუმატა; ზბიშკომ უმალ ციხესიმაგრეს მიაშურა საჭურველმტვირთველის საძებნელად და ჯერ მზეც არ იყო ჩასული, რომ მასთან ერთად დაბრუნდა. ჩეხმა უკვე იცოდა სპიხოვის ამბები. ის ხალისით და თან სევდიანად მიესალმა ახალგაზრდა ბატონს. ზბიშკოს ჰლავა ერთგულ მეგობრად მიაჩნდა, ამიტომ სულითა და გულით გაიხარა მისი ნახვით. უბედურებაში ყველაზე მეტად სჭირდება ადამიანს მეგობარი. ზბიშკოს გული აუჩუყდა და გრძნობამორეულმა უამბო ჩემს დანუსიას სიკვდილის ამბავი, ჰლავამაც ძმურად გაიზიარა მისი დარდი და ნაღველი, იტირა კიდეც თავის ბატონთან ერთად. ამან საკმაოდ ბევრი დრო წაიღო, მით უმეტეს, რომ, ზბიშკოს თხოვნით, ბატონი დე ლორში გამოღებულ ფანჯარასთან დადგა, ვარსკვლავებს მიაპყრო მზერა და ციტრის ჰანგებზე კიდევ ერთხელ იმღერა განსვენებულისადმი მიძღვნილი ნაღვლიანი სიმღერა.

ბოლოს, როცა ყველა დაშოშმინდა, პლოცკის საქმეებზე გააბეს საუბარი.

– მე აქ გზად შემოვიარე, მალბორგში მივდივარ, — თქვა ზბიშკომ, — ბიძია მაცკო ტყვედაა და გამოსასყიდი მიმაქვს მის გასათავისუფლებლად.

– ვიცი, — უპასუხა ჩეხმა, — თქვენ კარგად მოიქეცით, ბატონო. მე თვითონ მინდოდა სპიხოვში ჩამოსვლა, რათა თქვენთვის პლოცკის გამოვლით მერჩია მგზავრობა, მეფე რაციონჟეკში აპირებს დიდ მაგისტრთან მოლაპარაკებას, მეფესთან კი ყოველთვის ადვილია საქმის მოგვარება; მისი უდიდებულესობის წინაშე ჯვაროსნები ისე ვეღარ იბღინძებიან და ცდილობენ ქველმოქმედი ქრისტიანების სახელი დაიმსახურონ.

– ტოლიმამ მითხრა, თქვენთან წამოსვლას აპირებდა, მაგრამ იაგენკას ავადმყოფობამ შეაფერხაო, ისიც გავიგე, რომ ის აქ ბიძია მაცკოს ჩამოუყვანია და სპიხოვშიც ჰყოლია. ძალიან გამიკვირდა! აბა ერთი მიამბე, რატომ წამოიყვანა ბიძია მაცკომ ის ზგოჟელიციდან?

– მიზეზი ბევრი იყო. რაინდ მაცკოს შეეშინდა მისი იქ უპატრონოდ დატოვება, ვილკი და ჩტანი დაიწყებდნენ ზგოჟელიცზე თავდასხმებს, ამით კი შესაძლებელია უმცროსი და-ძმები დაშავებულიყვნენ. თუ ქალბატონი იქ არ იქნებოდა, ისინი უფრო მშვიდად იცხოვრებდნენ; თქვენ ხომ იცით, პოლონელი შლიახტიჩი, როცა სხვაგვარად არაფერი გამოუვა, ქალს ძალით იტაცებს, მცირეწლოვან ობლებს კი ხელს არავინ ახლებს. ეს რომ ჩაიდინოს, ჯალათის ნაჯახი თუ ასცდა, სახალხოდ თავის შერცხვენა ხომ არა და არ ასცდება, რაც ბევრად უარესია! მაგრამ იყო სხვა მიზეზიც: აბატი გარდაიცვალა და ქალბატონს მთელი თავისი მამულები უანდერძა, აქაური ეპისკოპოსი კი მეურვედ დაუნიშნა. რაინდმა მაცკომაც გადაწყვიტა წამოეყვანა ის პლოცკში.

– სპიხოვში რაღად წაიყვანა?

– სანამ ეპისკოპოსი და მთავარი თავისი მეუღლით აქ არ იყვნენ, აბა, ვისთვის დაეტოვებინა. კიდევ ბედი, რომ წაიყვანა. ქალბატონი რომ არა ყოფილიყო, მე და მოხუცი რაინდი იურანდს ისე ჩავუვლიდით, როგორც ვინმე უცნობ მათხოვარს. იაგენკას რომ შეეცოდა და გაჩერდა, მერე მივხვდით, რა მათხოვარიც იყო. ღმერთმა მოაწყო ყველაფერი ასე, კეთილი გული გამოაყოლა მას.

და ჩეხი მოჰყვა, როგორ შეეჩვია მერე იურანდი იაგენკას, როგორ შეიყვარა და ლოცავდა მას, ზბიშკო კი, თუმცა ტოლიმასგან უკვე იცოდა ეს ამბე-

ბი, უდიდესი მღელვარებით უსმენდა და გული იაგენკასადმი მადლიერების გრძნობით ევსებოდა.

– ღმერთმა კარგად ამყოფოს! — თქვა მან ბოლოს. – მხოლოდ ის მაოცებს, მე რომ არაფერი მითხარით. ჩეხი დაიბნა და სიტყვა სხვაზე გადაიტანა:

– სადა ბატონო?

– სკირვოილოსთან, ჟმუდში.

– განა არაფერი გვითქვამს? ნამდვილად? მე მგონია, გითხარით, მაგრამ ყურადღება არ მიგიქცევიათ.

– თქვენ მითხარით, რომ იურანდი დაბრუნდა, იაგენკაზე ხმა არ ამოგიღიათ.

– ხომ არ დაგავიწყდათ? თუმცა, ეშმაკმა იცის! იქნებ რაინდმა მაცკომ იფიქრა, მე გეტყოდით, მე კი მისი იმედი მქონდა. ისე, კაცმა რომ თქვას, თქვენთვის მაშინ რამის მოყოლას რა აზრი ჰქონდა. არცაა გასაკვირი! ახლა კი სხვას გეტყვით: ბედნიერებაა, რომ ქალიშვილი აქ არის ახლა მას შეუძლია დაეხმაროს რაინდ მაცკოს.

– განა რისი გაკეთება შეუძლია?

– ერთი სიტყვა შეაწიოს ქალბატონთან, რომელსაც ის ძალზე უყვარს! ჯვაროსნები კი ქალბატონს უარს არაფერზე ეუბნებიან. ის ხომ მეფის ღვიძლი და არის და, ამას გარდა, ორდენის დიდი მეგობარია. თქვენ იქნებ გაგიგონიათ მთავარი სკირგელო, ისიც მეფის ღვიძლი ძმაა, ახლა მთავარ ვიტოლდის წინააღმდეგ აჯანყდა და ჯვაროსნებთან გაიქცა, რომელთაც დახმარება და ვიტოლდის მაგივრად მისი დასმა სურთ. მეფეს ძალზე უყვარს ქალბატონი და, ამბობენ, დიდ ანგარიშს უწევს მის რჩევასო, ჯვაროსნებს კი უნდათ, რომ მან ის სკირგელოს მხარეზე გადაიბიროს და ვიტოლდის წინააღმდეგ აჯანყოს. მათ ესმით, ეშმაკსაც კი წაუღია მაგათი თავი, რომ საკმარისია ვიტოლდს დააღწიონ თავი და ორდენს აღარაფერი დაემუქრება! ჰოდა, ორდენის ელჩები დილიდან საღამომდე იმასღა ცდილობენ, რომ ქალბატონს თაყვანი სცენ და ყველა მისი სურვილი გამოიცნონ.

– იაგენკას ძალიან უყვარს ბიძია მაცკო და ალბათ გამოქომაგებასაც არ დაიზარებს, - თქვა ზბიშკომ.

– მაგას რაღა ლაპარაკი უნდა! მიბრძანდით, ბატონო, ციხესიმაგრეში და მოუყევით, რა და როგორ უნდა თქვას.

– მე და რაინდი დე ლორში ისედაც ვაპირებდით ციხესიმაგრეში წასვლას, უპასუხა ზბიშკომ, — სწორედ მაგისთვის ვართ ჩამოსული. თმას დავიხვევთ, ჩავიცვამთ და მზადა ვართ. ერთი წუთის მერე დაუმატა:

– მწუხარებაში თმა მინდოდა შემეჭრა და დამავიწყდა.

– ეგ უკეთესიცაა! — შენიშნა ჩეხმა. და მსახურების დასაძახებლად გავიდა. როცა მათთან ერთად უკან დაბრუნდა, ორთავე ახალგაზრდა რაინდი მორთვას შეუდგა ციხესიმაგრეში საღამოს ნადიმზე წასასვლელად, თვითონ კი მეფისა და მთავართა სასახლის კარის ამბების მოყოლა განაგრძო.

– ჯვაროსნები, – ამბობდა ის, – ზედიზედ აწყობენ ხრიკებს მთავარ ვიტოლდის წინააღმდეგ. იციან, რომ, სანამ ის ცოცხალია და მეფის წყალობით ვეებერთელა ქვეყანას მართავს, მათი მოსვენება არ იქნება! ამქვეყნად ვიტოლდზე მეტად არავისი ეშინიათ! მაგრამ როგორ ცდილობენ ძირი გამოუთხარონ, ოჰ, როგორ ცდილობენ! თხუნელებივით! აქაური მთავარი და მისი მეუღლე უკვე ვიტოლდის წინააღმდეგ განაწყვეს, იმათი წყალობით, მთავარი იანუშიც ალმაცერად უყურებს ვიტოლდს ვიზნის გამო...

– მაშ მთავარი იანუში და ქალბატონი ანაც აქ არიან? ჰკითხა ზბიშკომ. — ცხადია, აქ უამრავი ნაცნობი გამოჩნდება, პირველად ხომ არა ვარ პლოცკში.

– აბა როგორ! — უპასუხა საჭურველმტვირთველმა. ორთავენი აქ არიან. უამრავი საქმე აქვთ ჯვაროსნებთან, მეფის თანდასწრებით აპირებენ მაგისტრისათვის საჩივრების წარდგენას.

– მეფე რაღასა იქმს? ვისი მხარე უჭირავს? ნუთუ განრისხებული არ არის ჯვაროსნებზე, ნუთუ არ ემუქრება?

– მეფეს არ უყვარს ჯვაროსნები და, ამბობენ, დიდი ხანია ომით ემუქრებაო... რაც შეეხება მთავარ ვიტოლდს, მეფეს ის უფრო მეტად უყვარს, ვიდრე შლეგი და ლოთი ღვიძლი ძმა სკირგელო... ამიტომაც არის, რაინდები და წარჩინებულნი რომ ამბობენ, ვიტოლდის წინააღმდეგ მეფე არასოდეს წავა და ჯვაროსნებსაც ვერ შეპირდება, ვიტოლდს არ დავეხმარებიო. ეს კი ნამდვილად ასე უნდა იყოს, რადგან აქაური ქალბატონი ალექსანდრა ამ ბოლო დღეებში რაღაც ძალზე დასტრიალებს მეფეს და გუნებაზეც ვერ არის.

– შავი ზავიშა აქ არის?

– არა, არ არის, მაგრამ ვინც უკვე ჩამოვიდა, იმათი ცქერით ვერ დატკბებით, და თუ საქმე ბრძოლამდე მივა, გერმანელებისაგან ბურდღაც აღარ დარჩება!

– ისინი ჩემგან შესაბრალები არ არიან.

მალე მორთულ-მოკაზმული რაინდები ციხესიმაგრისკენ გაემართნენ. ამ საღამოს წვეულება მთავართან არ იყო. ნადიმს მართავდა ქალაქის მოურავი ანჟეი იასენცელი თავის თვალშეუდგამ მამულში, ციხე-ქალაქის შუაგულში დიდ კოშკთან რომ იყო გადაშლილი. მშვენიერი, უჩვეულო თბილი ღამე იყო. მოურავმა იფიქრა, სტუმრებს ოთახებში არ დასცხეთო, და სუფრის გაშლა ეზოში ბრძანა. ეზოში ქვის ფილებს შუა უამრავი ცირცელი და ურთხელი ხარობდა. ფისით სავსე კასრები კაშკაშა ყვითელი შუქით ანათებდნენ მათ, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ანათებდა მთვარე; რაინდის ვერცხლის ფარივით ლაპლაპებდა ის მოწმენდილ, ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე. გვირგვინოსანი სტუმრები ჯერ არ მობრძანებულიყვნენ, მაგრამ ეზო სავსე იყო ადგილობრივი რაინდებით, სასულიერო პირებით, მეფისა და მთავრების კარისკაცებით. ზბიშკო ბევრ მათგანს იცნობდა, განსაკუთრებით მთავარ იანუშის კარისკაცებს. აქ ნახა მან უამრავი კრაკოველი ნაცნობი — ქშონ კოზიხგლუველი, ლის ტარგოვისკელი, მარცინ ვროციმოვიცელი და ბოლოს პოვალა ტაჩეველი, რომელთან შეხვედრამ განსაკუთრებით გაახარა. გაახსენდა, როგორ გულთბილად მოექცა თავის დროზე კრაკოვში მას ეს განთქმული რაინდი.

მაგრამ ვერც ერთ კრაკოველ რაინდს ვერ მიეკარა ახლოს; ადგილობრივი მაზოვიელი რაინდები ყოველ მათგანს მჭიდრო წრედ შემორტყმოდნენ და კრაკოვის ამბებს ეკითხებოდნენ, აინტერესებდათ მეფის კარზე ჩატარებული გასართობები და საბრძოლო წარმატებები; ისინი ათვალიერებდნენ რაინდთა მდიდრულ ტანსაცმელს, ლამაზ კულულებს, გასამაგრებლად კვერცხის ცილა რომ გადაესვათ, და ყველაფერი ეს მაზურებს კარგი ტონისა და თავაზიანობის ნიმუშად მიაჩნდათ.

ამ დროს პოვალა ტაჩეველმა მაინც მოჰკრა თვალი ზბიშკოს, მაშინვე გასწი-გამოსწია მაზურები და მიუახლოვდა.

– გიცანი, ჭაბუკო, – ხელის ჩამორთმევისას უთხრა პოვალამ, — როგორ ცხოვრობ, აქ საიდან გაჩნდი? ღმერთო ჩემო, ვხედავ, უკვე რაინდული ქამარი და დეზები მოგიპოვებია! ზოგი გაჭაღარავდება და მაინც ვერ ეღირსება ამას, შენ კი, გეტყობა, მამაცურად ემსახურები წმინდა გიორგის.

– ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, კეთილშობილო რაინდო, — უპასუხა ზბიშკომ. — ყველაზე მამაცი გერმანელი რომ ცხენიდან ჩამომეგდო, ასე არ გამეხარდებოდა, როგორც ახლა, თქვენ რომ ჯანმრთელი და კარგად მყოფი დაგინახეთ.

– მეც მიხარია. მამაშენი სადღაა?

– მამა კი არა, ბიძა, ჯვაროსნებსა ჰყავთ ტყვეობაში, იქ მივდივარ, გამოსასყიდი მიმაქვს.

– ის გოგონა სადღაა, საქორწინო რიდე რომ გადაგაფარა?

ზბიშკოს არაფერი უპასუხია, მხოლოდ ცრემლით სავსე თვალები მიაპყრო ზეცას. ტაჩეველმა ბატონმა ეს ცრემლები რომ შენიშნა, თქვა:

– საწუთრო აღსავსეა გლოვით! წამოდი! წამოდი, ცირცელის ქვეშ სკამზე ჩამოვსხდეთ, გამიზიარე შენი ჭირ-ვარამი.

და მან ახალგაზრდა რაინდი ეზოს ყურისკენ წაიყვანა. იქ ისინი გვერდიგვერდ დასხდნენ და ზბიშკომ უამბო იურანდის მწარე ხვედრზე, დანუსიას მოტაცებაზე, მის ძებნასა და გარდაცვალებაზე მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებს გამოსტაცა. პოვალა ყურადღებით უსმენდა და სახეზე ხან გაოცება ესახებოდა, ხან რისხვა და ხანაც სიბრალული. როცა ზბიშკომ თხრობა დაასრულა, უთხრა:

– მე მოვუყვები ამ ამბავს მეფეს — ჩვენს ხელმწიფეს! ის ისედაც აპირებს მაგისტრს პატარა იასკო კრეტკოველის გამოშვება სთხოვოს და მომტაცებლები მკაცრად დასაჯოს. ეს ბიჭი ჯვაროსნებმა იმიტომ მოიტაცეს, რომ მდიდარია და გამოსასყიდის მიღება სურთ. იმათ ბავშვზე ხელის აღმართვაც არაფრად უღირთ.

მერე ჩაფიქრდა და, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, განაგრძო:

– გაუმაძღარი ტომია, თათრებსა და თურქებზე ბევრად უარესი. გულში მეფისაც ეშინიათ და ჩვენიც, მაგრამ ძარცვისა და მკვლელობისგან თავის შეკავება მაინც არ შეუძლიათ. თავს ესხმიან სოფლებს, ხოცავენ გლეხებს, წყალში ახრჩობენ მეთევზეებს, მგლებივით იტაცებენ ბავშვებს. აბა წარმოიდგინეთ, მაშინ რაღას ჩაიდენდნენ, რომ არ ეშინოდეთ!.. მაგისტრი უცხო ქვეყნების კარზე მეფეს უჩივის, პირში კი ელაქუცება, რადგან იცის ჩვენი ძლიერების ამბავი. მაგრამ მოთმინებასაც საზღვარი აქვს!

და ისევ დადუმდა.

– მე მოვუყვები მეფეს, — გაიმეორა მან და ზბიშკოს მხარზე ხელი დაადო. — კარგა ხანია გული უდუღს და დარწმუნებული იყავი, დამნაშავეებს, ვისაც შენს უბედურებაში ნელი ურევია, მკაცრი სასჯელი არ ასცდებათ.

– არც ერთი მათგანი ცოცხალი აღარ არის, — უთხრა ზბიშკომ. პოვალამ სიკეთით სავსე თვალები შეანათა მას.

– აი, თურმე როგორი ყოფილხარ! გეტყობა, არავის არაფერს აპატიებ. ერთი ლიხტენშტაინისთვის არ მიგიზღავს სამაგიერო; თუმცა ვიცი, არ შეგეძლო ამის გაკეთება. კრაკოვში ჩვენც დავდეთ აღთქმა შევბრძოლებოდით მას, მაგრამ ალბათ ომს უნდა დაველოდოთ, თუ ღმერთმა ინება და გვაღირსა! ლიხტენშტაინს მაგისტრის ნებართვის გარეშე ორთაბრძოლაში გამოსვლა არ შეუძლია. მაგისტრი კი, მის გონიერებას დანდობილი, ზედიზედ აგზავნის სხვადასხვა მეფეთა კარზე და ვეჭვობ, ორთაბრძოლაში გასვლის უფლება მისცეს.

– პირველ რიგში ბიძაჩემი მყავს გამოსასყიდი.

– ჰო... სხვათა შორის, მე მაინც ვიკითხე ლიხტენშტაინის ამბავი. აქ არ არის, არც რაციონჟეკში იქნება, მაგისტრს ინგლისის მეფესთან გაუგზავნია მეაფთეების სათხოვნელად. ბიძაშენისა კი ნუ გედარდება. საკმარისია მეფის ან აქაური მთავრის მეუღლის ერთი სიტყვა, რომ მაგისტრმა გამოსასყიდთან დაკავშირებით არავითარი თაღლითობის ნება არ დართოს.

– მით უმეტეს, რომ ტყვედა მყავს რაინდი დე ლორში; ის მდიდარი და ცნობილი კაცია და იმათთან დიდად პატივცემულიც. დე ლორში ღირსებად ჩათვლის თქვენ გეახლოთ და გაგიცნოთ; არავინ ისე თაყვანს არ სცემს ნამდვილ რაინდს, როგორც ის.

ამ სიტყვებზე მან ანიშნა იქვე ახლო მდგომ ბატონ დე ლორშს. იმას უკვე გაეგო, ვის ელაპარაკებოდა ზბიშკო და სწრაფად წამოვიდა მათკენ, მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, გაეცნო ისეთი განთქმული რაინდი, როგორიც პოვალა იყო.

როცა ზბიშკომ ის პოვალას წარუდგინა, დახვეწილმა გელდრიელმა რაინდმა მოხდენილი სალამი მისცა და თქვა:

– თქვენთვის ხელის ჩამორთმევა უდიდესი პატივია, მაგრამ კიდევ უფრო მეტი პატივია თქვენთან შერკინება ასპარეზობაზე ან ბრძოლაში.

მძლავრმა ტაჩეველმა რაინდმა, რომელიც ჩია დე ლორშის გვერდით მთასავით ჩანდა, ღიმილით უპასუხა:

– მე კი ის მიხარია, რომ ჩვენ მხოლოდ სავსე თასებთან შევხვდებით ერთმანეთს, და ღმერთმაც ქნას, სხვანაირად არასოდეს შევხვედროდეთ. დე ლორში წამით შეყოყმანდა, მერე კი მორიდებით თქვა:

– მაგრამ მაინც, კეთილშობილო რაინდო, თუ თქვენ ინებებდით დაგემტკიცებინათ, რომ ქალბატონი აგნეშკა დლუგოლიასელი არ არის ყველაზე მშვენიერი და ყველაზე კეთილი ქალიშვილი ამ ქვეყანაზე, მაშინ მე დიდ პატივად ჩავთვლიდი, არ დაგთანხმებოდით ამაზე და...

მან შეწყვიტა ლაპარაკი და პოვალას მიაპყრო მოკრძალებული, თითქმის აღტაცებული, მაგრამ ამავე დროს დაჟინებული და ფრთხილი მზერა.

მაგრამ იმის გამო, რომ პოვალას შეეძლო ის კაკალივით მოეფშვნა ორი თითით, თუ იმიტომ, რომ არაჩვეულებრივად კეთილი და მხიარული ადამიანი იყო, ხმამაღლა გაიცინა და თქვა:

– დიახ, ერთ დროს მე ჩემი გულის ტრფიალად ბურგუნდიის ჰერცოგის ასული ავირჩიე, რომელიც მაშინ ჩემზე ათიოდ წლით უფროსი იყო, და თუ თქვენ, რაინდო, ისურვებთ დაამტკიცოთ, რომ ჩემი ჰერცოგინია თქვენს ქალბატონ აგნეშკაზე უფროსი არ არის, რას იზამ, ჩვენ ახლავე უნდა შევსხდეთ ცხენებზე...

დე ლორშმა ეს სიტყვები რომ გაიგონა, გაოცებით შეხედა ტაჩეველ ბატონს, მერე ხარხარი აუტყდა.

პოვალა კი დაიხარა, ხელი მოჰხვია დე ლორშს, ასწია და ჰაერში ისე მსუბუქად გააქან-გამოაქანა, თითქოს თოთო ბავშვი ყოფილიყოს.

– „Pax! Pax!“ — როგორც ეპისკოპოსი კროპილდო იტყოდა... თქვენ მე თვალში მომიხვედით, რაინდო, და, თუ ღმერთი გწამთ, ნუ შევებრძოლებით ერთმანეთს ვიღაც ქალებისათვის.

მერე მან დე ლორში მიწაზე დასვა, რადგანაც ამ დროს ჭიშკართან საყვირების ხმა გაისმა — მობრძანდა პლოცკის მთავარი ზემოვიტი თავისი მეუღლით.

– მთავარი და მისი მეუღლე მეფესა და მთავარ იანუშზე ადრე მობრძანდნენ, — უთხრა პოვალამ ზბიშკოს. — მართალია, ნადიმს მოურავი მართავს, მაგრამ პლოცკში მაინც ისინი არიან მასპინძლები. წამოდი ქალბატონთან, შენ ჯერ კიდევ კრაკოვიდან იცნობ მას, მაშინ ის იყო, თავდებად რომ დაგიდგა მეფის წინაშე.

პოვალამ ზბიშკოს ხელი მოჰკიდა და ეზო გადაატარა. მთავარსა და მის მეუღლეს თავისი ამალა მოჰყვებოდა; სუყველა ისე იყო მორთულ-მოკაზმუ-

ლი მეფის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, რომ გეგონებოდათ, მთელი ეზო ყვავილებს დაუფარავსო. პოვალასთან ერთად მომავალი ზბიშკო ათვალიერებდა ამ ხალხს, იქნებ ვინმე ნაცნობი დავინახოო, და უცებ ადგილზე გაიყინა გაოცებული.

ქალბატონის უკან მართლაც დაინახა ნაცნობი და ახლობელი, მაგრამ ისეთი სერიოზული, ისეთი მშვენიერი და ისეთი კეთილშობილი სახე, რომ ახალგაზრდა რაინდმა თავდაპირველად იფიქრა, თვალი ხომ არ მატყუებსო.

„ნეტა ეს იაგენკაა, თუ პლოცკის მთავრის ქალიშვილი?“

მაგრამ ეს იყო იაგენკა ზიზის ასული ზგოჟელიცელი, როცა მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა, ქალმა მეგობრულად და თანაგრძნობით გაუღიმა და გაფითრებულმა თავი დახარა; იდგა ასე, შავ თმაზე ოქროს სარტყელშემოვლებული, თვალს მოგჭრიდათ მისი სილამაზე. მაღალი, სევდიანი და მშვენიერი მთავრის ასული ან თვით დედოფალი გეგონებოდათ.

VIII

ზბიშკომ მუხლი მოიყარა პლოცკის მთავრის მეუღლის წინაშე და ერთგული სამსახური შესთავაზა; მაგრამ ქალბატონს დიდი ხნის უნახავი ჰყავდა და თავდაპირველად ვერ იცნო ახალგაზრდა რაინდი. როცა ზბიშკომ მოახსენა, ვინც იყო, ქალბატონმა უთხრა:

– აჰ, ერთი დახედეთ! მე კი მეფის ამალიდან მეგონეთ ვიღაც. ზბიშკო ბოგდანეცელი! როგორ არა, როგორ არა! ჩვენთან ბიძათქვენი იყო სტუმრად. მოხუცი ბოგდანეცელი რაინდი; მახსოვს, მე და ჩემი სეფექალები ღვარად ვაფრქვევდით ცრემლებს, როცა თქვენ ამბებს გვიყვებოდა. იპოვეთ თუ არა ცოლი? სად არის ახლა?

– გარდაიცვალა, მოწყალეო ქალბატონო...

– ღმერთო დიდებულო! არ მითხრათ, არა, არა, მე თავს ვერ შევიკავებ და ავტირდები. ნუგეში ერთია, ალბათ ზეცაში მოხვდა, თქვენ კი ასეთი ახალგაზრდა ხართ. ღმერთო ძლიერო, ქალი ისეთი სუსტი არსებაა. მაგრამ ზეცაში ჯილდო გველოდება ყველაფრის საზღაურად. თქვენ მას იქ შეხვდებით. მოხუცი ბოგდანეცელი რაინდი ხომ თან გახლავთ?

– არა, ჯვაროსნებსა ჰყავთ ტყვედ და მე მის გამოსასყიდად მივდივარ.

– იმისთვისაც უმუხთლია ბედს. მე მოხერხებული და გამოცდილი კაცი მეჩვენა. როცა გამოისყიდით, ჩვენთან გამოიარეთ, სიხარულით მიგიღებთ: სიმართლე მოგახსენოთ, ის ჭკუით იგებს ადამიანის გულს, თქვენ კი თქვენი გარეგნობით.

– სწორედ ასე ვიქმთ, მოწყალეო ქალბატონო, მით უმეტეს, რომ მე საგანგებოდ ჩამოვედი თქვენთან, რათა მასზე სიტყვის შეწევნა გთხოვოთ.

– კეთილი, ხვალ შემოიარეთ, ნადირობის წინ, — მე თავისუფალი დრო მექნება...

მაგრამ ქალს ლაპარაკი საყვირისა და ლიტავრების ხმამ შეაწყვეტინა, რომელიც მთავარ იანუშ მაზოვიელის მობრძანებას აუწყებდა თავისი მეუღლითურთ. ზბიშკო და პლოცკის ქალბატონი ზედ შესასვლელთან იდგნენ, ასე რომ, ანა დანუტამ მაშინვე შეამჩნია ახალგაზრდა რაინდი, მაშინვე მივიდა მასთან, ყურადღება არც კი მიუქცევია მასპინძლის მოურავის მისალმებისთვის.

როცა ზბიშკომ ანა დანუტა დაინახა, გულმა კვლავ ორად გაგლეჯა დაუპირა, მან მუხლი მოიყარა ქალბატონის წინაშე, ფეხებზე მოეხვია და უხმოდ გაიყინა, ქალი კი დაიხარა, საფეთქლებზე ხელები მიადო და მის ქერა თმებს ცრემლები დაადგინა, როგორც ვაჟიშვილის უბედურებაზე მოტირალმა დედამ.

ამალის წევრებისა და სტუმრების გასაოცრად, ის დიდხანს ტიროდა და იმეორებდა: „ღმერთო დიდებულო, ღმერთო მწყალობელო!“ მერე უბრძანა ზბიშკოს წამომდგარიყო და უთხრა:

– მე იმასაც დავტირი, ჩემს დანუსკას, და შენს უბედურებასაც. მაგრამ ღმერთმა ასე ინება, ყველა შენი ცდა ფუჭი გამოდგა, ისევე, როგორც ფუჭია ახლა ჩემი ცრემლები. მომიყევი ყველაფერს, მომიყევი, როგორ გარდაიცვალა. შუაღამემდე შემიძლია გისმინო, თქვენი ამბების გაგონება არასოდეს მომბეზრდება.

ქალბატონმა ის განზე გაიყვანა, როგორც ადრე ტაჩეველმა ბატონმა. სტუმრებმა, ვინც არ იცნობდა ზბიშკოს, მისი ამბები გამოიკითხეს და ამგვარად ერთხანს ყველა მასზე, დანუსიასა და იურანდზე ლაპარაკობდა. ზბიშკოს ამბავს კითხულობდნენ ჯვაროსანთა ელჩებიც — მეფესთან შესახვედრად გამოგზავნილი ტორუნის კომტური ფრიდრიხ ფონ ვენდენი და ოსტეროდას კომტური იან ფონ შენფელდი. ეს უკანასკნელი, მართალია, გერმანელი იყო, მაგრამ სილეზიაში დაბადებულს პოლონური კარგად ესმოდა.

ამიტომ ადვილად მიხვდა საქმის ვითარებას და მთავარ იანუშის კარის მხლებლის იასკო ზაბეჟელის ნაამბობიც რომ მოისმინა, თქვა:

– თვით კომტურსაც ეჭვი აქვს, რომ დანველდი და დე ლიოვე ჯადოქრები იყვნენ.

მაგრამ იმწამსვე მიხვდა, რომ ასეთი ლაპარაკით შეიძლებოდა ორდენს ჩირქი მოსცხებოდა, ისევე, როგორც ოდესღაც დაემართათ ტამპლიერებს, და სასწრაფოდ დასძინა:

– ასეთ ჭორებს მოლაყბეები ავრცელებდნენ; მაგრამ, რა თქმა უნდა, მართალი არ არის, ჩვენს შორის ჯადოქრებს რა ესაქმებათ.

ამაზე შორიახლოს მდგომი ტაჩეველი ბატონი შეედავა:

– ვისაც ლიტვის მონათვლა ხელს არ აძლევდა, იქნებ არც ჯვარი ეპრიანებოდეს.

– ჩვენ ჯვრებს ლაბადებით ვატარებთ, — ამაყად უპასუხა შენფელდმა.

– უკეთესი იქნებოდა, გულით გეტარებინათ, — მოუჭრა პოვალამ.

ამ დროს კიდევ უფრო ახმაურდნენ საყვირები, მობრძანდა მეფე გნეზნენის არქიეპისკოპოსის, კრაკოვისა და პლოცკის ეპისკოპოსთა, კრაკოვის კაშტელანის და სხვა უამრავი წარჩინებულისა და კარისკაცის თანხლებით, რომელთა შორის იყვნენ ზინდრამ მაშკოვიცელი და მეფის ახლობელი ახალგაზრდა მთავარი იამონტი. მეფე სულ არ გამოცვლილიყო მას შემდეგ, რაც ზბიშკომ ის უკანასკნელად ნახა. ლოყებზე კვლავ ვარდისფერი დაჰკრავდა, გრძელ თმას უწინდებურად ყოველ წამს იწევდა ყურებზე და კვლავ ძველებურად მოუსვენრად უთამაშებდა თვალები. ზბიშკოს მოეჩვენა, რომ მეფე უფრო მედიდური და დიადი გამხდარიყო, თითქოს ტახტზე უფრო მტკიცედ ეგრძნო თავი, ტახტზე, რომელზედაც დედოფლის სიკვდილის შემდეგ საერთოდ უარის თქმას აპირებდა, რადგან იმედი არ ჰქონდა, რომ შეინარჩუნებდა მას. ახლა კი თითქოს შეეგნო თავისი უძლეველი ძალა. მაზოვიის ორთავე მთავარი მეფეს აქეთ-იქიდან ამოუდგა, წინ მდაბლად უკრავდნენ თავს გერმანელი ელჩები, ირგვლივ კი დიდკაცობა და სამეფო კარის წარჩინებულნი განლაგებულიყვნენ. კედლებს აზანზარებდა შეძახილები, საყვირის ხმა და ლიტავრების გრიალი.

ბოლოს, როგორც იქნა, სიჩუმე ჩამოვარდა, ორდენის ელჩმა ფონ ვენდენმა ორდენის საქმეებზე ჩამოაგდო ლაპარაკი; მაგრამ მეფე პირველივე სიტყვებზე მიხვდა, საით უმიზნებდა, ხელი მოუთმენლად ჩაიქნია და დაბალი ომახიანი ხმით თქვა:

– გაჩუმდი ერთი! ჩვენ აქ გასართობად ჩამოვედით და შენი პერგამენტების ნახვა კი არ გვაინტერესებს, საჭმელ-სასმელი გვინდა.

ამის თქმაზე მეფემ გულკეთილად გაიცინა, აქაოდა, ჯვაროსანმა არ იფიქროს, რამეზე გავუბრაზდიო, და დასძინა:

– საქმეზე რაციონჟეკში მაგისტრთანაც მოვასწრებთ ლაპარაკს. მერე ის მთავარ ზემოვიტს მიუბრუნდა:

– ხვალინდელი ნადირობის საქმე როგორ არის? ეს კითხვა იმას მოასწავებდა, რომ ამ საღამოს მეფე ნადირობის გარდა არაფერზე ისურვებდა ლაპარაკს; ის თავგადაკლული მონადირე იყო და სიამოვნებით ჩამოდიოდა მაზოვიაში სანადიროდ, რადგან მალო და ველკოპოლსკაში ტყე ნაკლებად შეგხვდებოდათ, ხოლო ზოგიერთი მხარე ისე მჭიდროდ იყო დასახლებული, ტყისათვის საერთოდ აღარ რჩებოდა ადგილი.

იქ მყოფთ სახეებზე გამოცოცხლება დაეტყოთ. ყველამ იცოდა, რომ ნადირობაზე საუბრისას მეფე ძალზე მხიარული და მოწყალე იყო ხოლმე. მთავარმა ზემოვიტმა მოახსენა, საით წავიდოდნენ და რომელ მხეცზე ინადირებდნენ. მთავარმა იანუშმა ერთ-ერთ კარისკაცს უბრძანა ქალაქიდან მოეყვანათ მისი ორი „დამცველი“, რომელთაც ტყის ტევრიდან დომბები რქებით გამოუყვანიათ და დათვებისთვის ფერდები ჩაუმტვრევიათ; მთავარმა მოინდომა თავისი გოლიათები მეფისათვის ეჩვენებინა.

ზბიშკოს ძალიან უნდოდა ხლებოდა ხელმწიფეს და მისალმებოდა, მაგრამ ვერ მიუდგა. მხოლოდ მთავარმა იამონტმა, რომელსაც, ეტყობა, დაავიწყდა, როგორ უხეშად მოექცა თავის დროზე ჭაბუკი რაინდი კრაკოვში, მეგობრულად დაუქნია თავი და ანიშნა, როგორც კი მოახერხებ, მომიახლოვდიო. მაგრამ სწორედ ამ წუთას ვიღაცის ხელი შეეხო მხარზე ახალგაზრდა რაინდს და გაიგონა ნაზი, სევდიანი ხმა:

– ზბიშკო...

ახალგაზრდა რაინდი მობრუნდა და დაინახა იაგენკა. ზბიშკო სულ დაკავებული იყო, ხან ქალბატონ ალექსანდრას ესალმებოდა, ხან ქალბატონ ანა დანუტას ესაუბრებოდა და ქალიშვილისთვის ვეღარ მოიცალა; იაგენკამ ისარგებლა მეფის მოსვლით გამოწვეული დაბნეულობით და თვითონ მივიდა ჭაბუკთან.

– ზბიშკო, — გაიმეორა მან, — ღმერთსა და ყოვლად წმინდა ღვთის მშობელს ვთხოვ შენს ნუგეშისცემას.

– ღმერთმა გადაგიხადოთ ამ სიტყვებისთვის, — უპასუხა რაინდმა.

და მადლიერებით ჩახედა მას ცისფერ თვალებში, ამ წუთს რომ დანამული ეჩვენა. ისინი უხმოდ იდგნენ ერთმანეთის პირისპირ; ის დასავით მოვიდა მასთან, კეთილი, ნაღვლიანი, მაგრამ ისეთი დედოფლური იერი ჰქონდა და ისეთი მდიდრული ტანსაცმელი ეცვა, ზბიშკოს სულ სხვაგვარი ეჩვენა, სულ არ ჰგავდა წინანდელ იაგენკას. თავდაპირველად „შენობით“ ვერც კი გაუბედა მიმართვა, როგორც ოდესღაც ზგოჟელიცსა და ბოგდანეცში, ქალმა კი საერთოდ ვერ მოიფიქრა, რაზე შეიძლებოდა მასთან ლაპარაკი.

სახეზე ორთავეს დაბნეულობა დაეტყო. ამ დროს ეზოში ხმაური ატყდა; მეფე ვახშმად ჯდებოდა. ქალბატონი ანა კვლავ მიუახლოვდა ზბიშკოს და უთხრა:

– სევდიანი იქნება ეს ნადიმი ჩვენთვის ორთავესთვის, მაგრამ გთხოვ ისევე მემსახურო, როგორც ადრე გიმსახურია.

ახალგაზრდა რაინდი იძულებული გახდა იაგენკა მიეტოვებინა და, როცა სტუმრები თავთავიანთ ადგილებზე დასხდნენ, ქალბატონის სკამის უკან დადგა, რათა მისთვის კერძები მიერთმია, წყალი და ღვინო დაესხა. ამასობაში ზბიშკო უნებურად იყურებოდა იაგენკას კენ, რომელიც, როგორც პლოცკის ქალბატონის სეფექალი, მას გვერდით ეჯდა, და ასევე უნებურად ტკბებოდა მისი მშვენებით. ამ რამდენიმე წელიწადში იაგენკა ძალზე გაზრდილიყო; მაგრამ ცვლილების მიზეზი ეს არ გახლდათ. რაღაც დიდებული იერი მისცემოდა, რასაც წინათ სრულიად ვერ შენიშნავდით. ადრე, როცა ტყავის ტყაპუჭში გამოწყობილი, თმებში ფოთლებგაჩრილი ტყეებსა და ტევრებში დაჭენაობდა, ერთი სანდომიანი სოფლელი გოგო იყო, ახლა კი სახის მშვიდი იერით ხელად ამოიცნობდით დიდებული შთამომავლობისა და კეთილშობილი სისხლის ქალიშვილს. ზბიშკომ ისიც შენიშნა, რომ მას სადღაც გაჰქრობოდა ადრინდელი სიხალისე, მაგრამ ამას დიდად არ გაუკვირვებია, რაკი ზიხის სიკვდილის ამბავი იცოდა. ვაჟი ყველაზე მეტად გააოცა იაგენკას ღირსეულმა თავდაჭერამ. ჯერ ეგონა კარგმა ჩაცმულობამ მიანიჭა ასეთი ღირსების გრძნობაო. თვალს ვერ აშორებდა მის ოქროს სარტყელს, თეთრყირმიზ შუბლსა და მხარზე გადმოფენილ მუქ ნაწნავებს რომ შემოჭდობოდა, ხან ტანზე მოყვანილ წითელქობიან ცისფერ კაბას შეავლებდა მზერას, ასე კოხტად რომ შემოტმასნოდა მის ქალწულებრივ მკერდს, და ფიქრობდა: „ნამდვილი მთავრის ასულია, ნამდვილი!“ მაგრამ მერე მიხვდა, რომ ამისი მიზეზი მარტო ჩაცმულობა არ იყო. ახლა იმ უბრალო ტყაპუჭშიც რომ ენახა, ისე თავისუფლად და თამამად მაინც ვეღარ მოექცეოდა, როგორც ადრე.

მერე ისიც შენიშნა, რომ მრავალი რაინდი, ახალგაზრდებიც და მათზე უფროსებიც თვალებით ჭამდნენ იაგენკას, ხოლო როცა ქალბატონს ლარნაკს უცვლიდა, ბატონი დე ლორშის აღტაცებული მზერაც დაიჭირა და გული აემღვრა.

ანა დანუტას არ გამოპარვია ეს მზერა, ერთბაშად იცნო გელდრიელი რაინდი და თქვა:

– ერთი დე ლორშს შეხედე! ეტყობა, ისევ ვიღაც შეუყვარდა, ვიღაცამ დაუბრმავა თვალები.

მერე ოდნავ დაიხარა მაგიდაზე, იაგენკას მხარეს გაიხედა და დასძინა:

– არაფერია გასაოცარი, რომ ამ ჩირაღდნის შუქმა ყველა სანთელი დაბინდა.

ზბიშკოს რაღაც ეწეოდა იაგენკასკენ. მას ის სულით ახლობელ, საყვარელ და მოყვარულ დად ესახებოდა; გრძნობდა, რომ ვერავის გულში უფრო მეტ თანაგრძნობას ვერ იპოვიდა და იაგენკაზე მეტად ვერავინ გაიზიარებდა მის დარდს. მაგრამ იმ საღამოს მასთან აღარ უსაუბრია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქალბატონს ემსახურებოდა, და იმის გამოც, რომ ნადიმზე ისე გაუჩერებლად მღეროდნენ მომღერლები და ყურისწამღებად გრიალებდნენ საყვირები, რომ გვერდიგვერდ მსხდომნიც კი ძლივს აგებინებდნენ ერთმანეთს. ორთავე მთავრის მეუღლე თავიანთი სეფექალებიანად სუფრიდან მეფეზე, მთავრებსა და რაინდებზე ადრე წამოიშალნენ, აღარ დაელოდნენ მამაკაცებს, რომლებიც ჩვეულებრივ გვიან ღამემდე აღარ მოეშვებოდნენ ხოლმე თასებს. იაგენკა ქალბატონს უკან მიჰყვებოდა და მისი სკამბალიში მიჰქონდა, ამიტომ ეუხერხულა გაჩერება და ისიც წავიდა, ზბიშკოს მხოლოდ გაუღიმა და დამშვიდობების ნიშნად თავი დაუქნია.

განთიადისას ახალგაზრდა რაინდი და ბატონი დე ლორში თავიანთი საჭურველმტვირთველებით ფუნდუკში ბრუნდებოდნენ. ერთხანს უხმოდ მიდიოდნენ, თავ-თავის საფიქრალს მისცემოდნენ, მხოლოდ სახლთან მიახლოებისას უთხრა რაღაც დე ლორშმა თავის ზღვისპირელ საჭურველმტვირთველს, რომელმაც პოლონური კარგად იცოდა. ის კი ზბიშკოს მიუბრუნდა:

– ჩემს ბატონს რაღაცის კითხვა უნდა, თქვენო მოწყალებავ.

– ბრძანეთ! – უპასუხა ზბიშკომ.

მერე ცოტა ხანს ისევ ერთმანეთში ილაპარაკეს, ბოლოს ზღვისპირელმა ღიმილით ჰკითხა:

– ჩემი ბატონი კითხულობს: ჩვეულებრივი მოკვდავია ის პანა, თქვენ რომ ნადიმის წინ ესაუბრებოდით, თუ ანგელოზია, ან იქნებ წმინდანი?

– უთხარი შენს ბატონს, – აჩქარდა ზბიშკო, – რომ ადრე ერთხელ უკვე მომცა ასეთი შეკითხვა და ახლა ძალზე მეუცნაურა გამეორება. სპიხოვში მეუბნებოდა, ვიტოლდის კარზე ლიტველი ქალების სილამაზე მეწევაო, მერე იმავე მიზეზით პლოცკში მოისურვა წასვლა, დღეს პლოცკში კინაღამ ორთაბრძოლაში გამოიწვია ტაჩეველი რაინდი აგნეშკა დლუგოლიასელის გამო, ახლა კი უკვე სხვას უპრაწავს თვალებს. სად არის მისი სიმტკიცე და რაინდული ერთგულება?

დე ლორშმა მოისმინა ეს პასუხი, ღრმად ამოიოხრა, წამით ახედა გაცრეცილ ღამეულ ზეცას და ზბიშკოს საყვედურებს აი, რა შეაგება:

– შენ მართალი ხარ. არავითარი სიმტკიცე, არავითარი ერთგულება! მე ცოდვილი ღირსი არა ვარ რაინდის დეზები ვატარო. ხოლო რაც შეეხება აგნეშკა დლუგოლიასელს, მე მართლაც შევფიცე მას სამსახური და, ღმერთიც იზამს, შემასრულებინებს ჩემს ფიცს, მაგრამ შენ თვითონ აღშფოთდები, რომ გიამბო, როგორ ულმობლად მომექცა ის ჩერსკის ციხეში.

მან კვლავ ამოიოხრა, ისევ ახედა ზეცას, რომელიც აღმოსავლეთით ალისფერ ზოლს დაემშვენებინა, დაელოდა, სანამ მსახური მის ნათქვამს გადათარგმნიდა, და განაგრძო:

– ერთი ჯადოქარი გადამეკიდაო მტრად, მითხრა ქალმა, კოშკში უდევს ბინა შუაგულ ტყეში და გაზაფხულობით ურჩხულს მიგზავნის, ჩერსკის კედლებიდან მითვალთვალებს, რომ მოსატაცებლად ხელსაყრელი დრო იშოვოსო. ეს რომ გავიგონე, მაშინვე ვუთხარი, შევებრძოლები-მეთქი იმ ურჩხულს. ყური მიგდე, რა მოხდა მერე! მივედი დანიშნულ ადგილზე და რას ვხედავ – მძვინვარე ურჩხული სულგანაბული მელოდება. სიხარულმა ამიტანა, როგორც კი გავიფიქრე, ან თავს შევაკლავ, ან გადავარჩენ ქალიშვილს ბილწი ურჩხულის ხახისაგან და ჩემს სახელს უკვდავყოფ-მეთქი. როგორ ფიქრობ, რა დავინახე, როცა ურჩხულს შუბი ვაძგერე? ხის ფეხებზე შეყენებული თივის ვეება ტომარა და თივისგანვე დაწნული კუდი! სახელი და დიდების მოპოვება კი რა, ყბადასაღები გავხდი. ისე, რომ ბოლოს იძულებული შევიქენ ორი მაზოვიელი რაინდი ორთაბრძოლაში გამომეწვია. აი, ასე მომექცა ქალი, რომელსაც ვაღმერთებდი და მხოლოდ მისი სიყვარული მწყუროდა...

ამას რომ უთარგმნიდა მსახური, თავს რის ვაი-ვაგლახით იკავებდა, რომ სიცილი არ წასკდომოდა. სხვა დროს ალბათ ზბიშკოსაც ხარხარი აუტ-

ყდებოდა, მაგრამ დარდისა და ნაღველისაგან სრულიად გადაჩვეოდა სიცილს და სერიოზულად უთხრა:

– იქნებ ეს ბოროტებით კი არა, თავქარიანობით დაემართა.

– მე მას ყველაფერი მივუტევე, უპასუხა დე ლორშმა,

– მეტი დამამტკიცებელი რაღა გინდა, იმის სილამაზის დაცვაში ტაჩეველ რაინდთანაც კი დავაპირე შებმა.

– არ გინდა იმასთან ბრძოლა, – კიდევ უფრო სერიოზულად უთხრა ზბიშკომ.

– მეც ვიცი, რომ ეგ უეჭველი სიკვდილია, მაგრამ სიკვდილი განა ათასჯერ არა სჯობს დღემუდამ დარდსა და ნაღველში ცხოვრებას...

– პან პოვალას ეგ ახლა აღარაფერში სჭირია. ისა სჯობს, ხვალ იმასთან გადავიდეთ და დამეგობრდეთ.

– სწორედ ეგრე ვიზამ, აკი თვითონაც გულში ჩამიკრა; მაგრამ ხვალ მგონი მეფეს სანადიროდ მიჰყვება.

– ჩვენც ადრიანად მივიდეთ. მეფეს გატაცებით უყვარს ნადირობა, მაგრამ არც დასვენება უყვარს ნაკლებად, დღეს დიდხანს ნადირობდა.

ასეც მოიქცნენ, მაგრამ პოვალა შინ მაინც ვერ შეისწრეს; ჩეხმა დილაადრიან გასწია ციხესიმაგრისკენ, იაგენკას ნახვა უნდოდა და ამბავი მოიტანა, პოვალა ღამე შინ არ მისულა, მეფის დარბაზებში ათიაო. აქ კი ჩაეფუშათ ზბიშკოსა და დე ლორშს საქმე, მაგრამ, სამაგიეროდ, მთავარი იანუში ინახულეს, რომელმაც შესთავაზა, ჩემს ამალას შემოუერთდითო. ასე მოხვდნენ ისინი მთავართან ერთად სანადიროდ. ტევრისკენ რომ მიეშურებოდნენ, ზბიშკომ დრო იხელთა, მთავარ იამონტს ესაუბრა და კარგი ამბებიც გაიგო.

– ძილის წინ მეფეს ტანსაცმელს რომ ვხდიდი, – უთხრა იამონტმა, – შენი კრაკოვის ამბები გავახსენე. რაინდი პოვალაც იქ იყო ამ დროს, უთხრა, ჯვაროსნებმა ბიძამისი ჩაიგდეს ტყვედ და იქნებ სთხოვოთ ორდენს მისი განთავისუფლებაო. მეფე საშინლად იყო გაბრაზებული ჯვაროსნებზე პატარა კრეტკოველი იასკოს მოტაცებისა და სხვა ბოროტი საქმეების გამო, ამ ამბავმა ხომ სულ გააცეცხლა. „მაგათთან კეთილი სიტყვით კი არ უნდა საქმის დაჭერა, – იყვირა მან, – მხოლოდ შუბით! შუბით! შუბით!“ პოვალამ კიდევ უფრო შეუკეთა. დილით მეფეს ორდენის ელჩებისთვის ზედაც არ შეუხედნია, ისინი კი ჭიშკართან ელოდნენ და მიწამდე დაუკრეს თავი. გათავდა, ახლა ვეღარავინ გამოსტყუებს მეფეს პირობას, მთავარ ვიტოლდს ნუ

დაეხმარებიო. გიყვარდეს, იმათ აებნევათ თავგზა. შენ კი დარდი ნუ გაქვს. ბიძაშენის გულისთვის თვით მაგისტრს მიაყენებს კედელზე.

ასე დაამშვიდა იამონტმა ზბიშკო, მაგრამ კიდევ მეტად მოუფონა გული იაგენკამ; ტევრისკენ რომ მოდიოდნენ, ის ქალბატონ ალექსანდრას ახლდა, უკან გამობრუნებისას კი ეცადა ზბიშკოს გვერდით ევლო. ნადირობის დროს ყველა თავისუფლებით სარგებლობდა და უკან დაბრუნებულნი წყვილ-წყვილად მოდიოდნენ, ხოლო რაკი ყველა წყვილს განცალკევებით სიარული უნდოდა, ამიტომ თავისუფლად შეიძლებოდა საუბარი. მაცკოს ტყვეობის ამბავი იაგენკას ადრევე ჰქონდა გაგებული ჰლავასაგან და დროს უქმად არ აცდენდა. ჯერ იყო და მისი თხოვნით ქალბატონმა წერილი გაუგზავნა მაგისტრს, ესეც არ იკმარა და მაცკოს ამბავი ტორუნელ კომტურ ფონ ვენდენს მოახსენებინა წერილში, რომლითაც მაგისტრს პლოცკში მომხდარ ამბებს ატყობინებდა. კომტური თავს იწონებდა ქალბატონთან, წერილს ასეთი წარწერა გავუკეთეო: „თუ გინდა მეფის მრისხანება შევანელოთ, ამ საქმეში წინააღმდეგობის გაწევას არ გირჩევთ“. მაგისტრს კი ამ პერიოდში აუცილებლად უნდა შეენელებინა ყოვლისშემძლე ხელმწიფის მრისხანება, რომ მისი მხრიდან შიში არა ჰქონოდა და მთელი ძალები მიემართა ვიტოლდისკენ, რომელსაც ორდენი ჯერ ვერა და ვერ გასწორებოდა.

– ასე რომ, რაზეც ხელი მიმიწვდებოდა, ყველაფერი გავაკეთე, ოღონდ რაიმე შეფერხება არ იყოს, – დაასრულა იაგენკამ. – სერიოზულ საქმეებში მეფე თავის დას არასოდეს დაუთმობს, ასეთ პატარაში კი ალბათ ეცდება ასიამოვნოს, იმედი მაქვს ყველაფერი კეთილად დასრულდება.

– გერმანელები რომ ასეთი მოღალატეები არ იყვნენ, უპასუხა ზბიშკომ, მე უბრალოდ გამოსასყიდს წავიღებდი და ყველაფერს ამით მოვათავებდი; მაგრამ იმათთან რომ საქმეს დაიჭერ, რა იმედი გაქვს, ტოლიმას ამბავი არ გამეორდეს, ფულსაც ჩაიჯიბავენ და არც შენ დაგინდობენ, თუ ვინმე ძლიერი არ გამოგექომაგა.

– მესმის, – უპასუხა იაგენკამ.

– თქვენ ახლა ყველაფერი გესმით, – შენიშნა ზბიშკომ, და მე სიკვდილის კარამდე არ დაგივიწყებთ ამას.

ქალმა ზბიშკოს ნაღვლიანი კეთილი თვალები მიაპყრო და ჰკითხა:

– რატომ „შენობით“ არ მელაპარაკები, ჩვენ ხომ ბავშვობიდანვე ვიცნობთ ერთმანეთს.

– არ ვიცი, – გულწრფელად გაუტყდა ზბიშკო, რაღაც ვერ ვახერხებ... თქვენ ახლა წინანდელი გოგონა აღარა ხართ... არ ვიცი, როგორ ვთქვა... რაღაც სრულიად...

საჭირო სიტყვა ვეღარ იპოვა, მაგრამ იაგენკა თვითონ მიეშველა:

– წლები მომემატა... თანაც გერმანელებმა სილეზიაში მამიკო მომიკლეს.

– ჰო, მართალია! – უპასუხა ზბიშკომ. – ღმერთმა აცხონოს! - ერთხანს ჩაფიქრებულები მიჰყვებოდნენ ერთმანეთს, თითქოს საღამოს პირზე აშრიალებულ ფიჭვებს უგდებენო ყურს.

– მაცკოს რომ გამოისყიდით, ისევ ამ მხარეში დარჩებით? – დაარღვია სიჩუმე იაგენკამ.

ზბიშკომ გაოცებით შეხედა: ისე შთაენთქა დარდს, რომ მომავალზე ფიქრი აზრადაც არ მოსდიოდა. მან ქალს თვალი მიაპყრო, ჩაფიქრდა და ერთი წამის მერე უთხრა:

– არაფერი ვიცი! ღმერთო დიდებულო! აბა საიდან უნდა ვიცოდე? ჩემთვის მარტო ერთია ნათელი: სადაც უნდა წავიდე, ჩემი მწარე ხვედრი მუდამ თან წამყვება. ოჰ, რა მწარეა, რა მწარეა ჩემი ბედი... ბიძას რომ გამოვისყიდი, ალბათ ვიტოლდთან წავალ, ჯვაროსნების წინააღმდეგ საბრძოლველად, აღთქმების ასასრულებლად, – იქნებ კიდევაც დავიღუპო.

ქალიშვილს თვალები დაენისლა, ოდნავ გადაიხარა ჭაბუკისკენ და ჩასჩურჩულა:

– არ დაიღუპო! არ დაიღუპო!

ისევ გაჩუმდნენ. უკვე ქალაქის კედლებთან იყვნენ, როცა ზბიშკომ თავი დააღწია ნაღვლიან ფიქრებს და თქვა:

– თქვენ... შენ რაღას იზამ, აქ დარჩები კარზე?

– არა, უპასუხა ქალმა. – მოწყენილი ვარ, ძმები და ზგოჟელიც მენატრება, ჩტანი და ვილკი ალბათ უკვე დაქორწინდნენ, ასეც არ იყოს, ახლა მე იმათი აღარ მეშინია.

– ღმერთმა ქნას, ბიძია მაცკომ წაგიყვანოს ზგოჟელიცში. ის ისეთი მეგობარი გყავს, ყოველთვის იმედიანად შეგიძლია იყო, ოღონდ შენც ნუ დაივიწყებ...

– ღმერთს გეფიცები, საკუთარი ქალიშვილის მაგივრობას გავუწევ.

ამ სიტყვებზე იაგენკა აქვითინდა, საშინელმა დარდმა შეუკუმშა გული.

მეორე დღეს ზბიშკოს ფუნდუკს პოვალა ტაჩეველი მიუახლოვდა:

– მინდა ზიარების დღესასწაულის შემდეგ, – უთხრა მან, – მეფე მაშინვე რაციონჟეკში მიდის დიდ მაგისტრთან შესახვედრად; შენ ჩარიცხული ხარ მეფის რაინდებში და თან გაჰყვები მას.

ეს სიტყვები რომ გაიგონა, ზბიშკო სიხარულით წამოენთო: მეფის რაინდებში ჩარიცხვა განა მხოლოდ ჯვაროსნების მზაკვრობასა და ხრიკებს ააცდენდა, სხვა მხრივაც დიდი პატივი იყო, მეფის რაინდები იყვნენ ზავიშა შავი და მისი ძმები– ფარურეი და კრუჩეკი, თვითონ პოვალაც, ქშონ კოზიგლუველი, სტან ხარბიმოვიცელი, პაშკო ბისკუპიცელი, ლის ტარგოვისკელი და სხვა მრავალი მრისხანე და სახელგანთქმული რაინდი, რომელთა სახელები ქუხდა პოლონეთშიც და საზღვარგარეთაც. მეფე იაგელოს ყველა არ წამოეყვანა, ზოგი შინ დაეტოვებინა, ზოგი ფათერაკებს შორეულ ზღვისგაღმა ქვეყნებში დაეძებდა; მაგრამ მეფემ იცოდა, რომ მხოლოდ ამ რაინდთა თანხლებითაც შეიძლებოდა მალბორგს უშიშრად წასვლა. გერმანელთა ვერაგობის მიუხედავად: თუ საჭირო გახდებოდა, ისინი კედელს გაანგრევდნენ თავიანთი ღონიერი ხელებით და ხმლებით გაუკაფავდნენ გზას გერმანელთა რიგებში. მარტო იმის გაფიქრებაზე, რომ ასეთი მეგობრები ეყოლებოდა, ახალგაზრდა რაინდს გული სიამაყით აევსო.

ერთი წამით თავისი დარდიც კი გადაავიწყდა, პოვალას ხელი ჩამოართვა და სიხარულით შესძახა:

– თქვენ, მხოლოდ თქვენ უნდა გიმადლოდეთ ამას, ბატონო პოვალა!

– მეც, – უპასუხა პოვალამ, – და აქაურ ქალბატონსაც, მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენი მოწყალე ხელმწიფის მადლობელი უნდა იყო. ახლავე ეახელი და მუხლი მოუყარე, რომ უმადურ კაცად არ ჩაგთვალოს.

– ღმერთსა ვფიცავ, მზადა ვარ მოვკვდე მისთვის! შესძახა ზბიშკომ.

IX

ვისლის ერთ-ერთ კუნძულზე გაშენებულ რაციონჟეკში, სადაც მეფე წმინდა ზიარების დღესასწაულებში ჩავიდა, ყრილობა ავისმომასწავებელი ნიშნით ჩატარდა და ისეთი გადაწყვეტილება არ მიუღიათ, როგორსაც ორი წლის მერე მიაღწიეს, როდესაც მეფემ იმავე რაციონჟეკში დაიბრუნა დობჟინის მიწა, დობჟინსა და ბობროვნიკთან ერთად. ეს ადგილები ოპოლის მთავარმა ვერაგულად მიაგირავა ჯვაროსნებს. იაგელო ჩავიდა რაციონჟეკ-

ში. ის განრისხებული იყო დასავლეთის კარზე და თვით რომში ჯვაროსანთა მიერ გავრცელებული ბრალდებების გამო. ამავე დროს ორდენის უსინდისობას აღშფოთებინა. მაგისტრი სრულიად შეგნებულად გაურბოდა მოლაპარაკებას დობჟინის შესახებ. თვითონ და ორდენის დანარჩენი დიდებულები ყოველდღე ჩასჩიჩინებდნენ პოლონელებს: „ჩვენ არც თქვენთან გვსურს ომი და არც ლიტვასთან; მაგრამ ჟმუდი ჩვენია, თვით ვიტოლდმა გვიბოძა ის. თუ შეგვპირდებით, რომ ვიტოლდს არ დაეხმარებით, იმათთან ომს მალე მოვრჩებით. აი, მაშინ კი დადგება დობჟინზე ლაპარაკის დრო და ჩვენ ძალიან ბევრს დავთმობთ“.

მაგრამ მეფის გამჭრიახი და გამოცდილი მრჩევლები, რომელთაც ჯვაროსნების ცბიერების ამბავი კარგად მოეხსენებოდათ, არ ტყუვდებოდნენ. „ძალები რომ შეგემატებათ, უფრო გათავხედდებით, – პასუხობდნენ ისინი მაგისტრს, – ახლა ასე ლაპარაკობთ, ლიტვასთან არაფერი გვესაქმებაო, მაგრამ სინამდვილეში ვილნოში სკირგაილოს დასმა გინდათ ტახტზე. იწამეთ ღმერთი, ეს ხომ მემკვიდრეობით იაგელოს ტახტია, მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც ისურვებს, ის დასვას ლიტვის მთავრად. გონზე მოდით, სანამ არ დაუსჯიხართ ჩვენს დიდ ხელმწიფეს!“ ამაზე მაგისტრი პასუხობდა, თუ მეფე ლიტვის ნამდვილი მფლობელია, მაშინ უბრძანოს ვიტოლდს, ომი შეწყვიტოს და ჟმუდი დააბრუნოს, თუ არა და იძულებული გავხდებით ვიტოლდს იქ დავარტყათ, სადაც უფრო ადვილი იქნება მისი დამარცხება. ასე დილიდან საღამომდე გაუთავებლად დაობდნენ და რაღაც ჯადოსნურად იკვრებოდა წრე. მეფეს არ უნდოდა რაიმე ევალდებულა ორდენის წინაშე და სულ უფრო ჰკარგავდა მოთმინებას; ის მაგისტრს ეუბნებოდა, ჟმუდი რომ ჯვაროსნების ხელში ბედნიერი იყოს, ვიტოლდი თითსაც არავის დააკარებდა, რადგან საამისო არც მიზეზი ექნებოდა და არც საბაბი. მაგისტრი მშვიდობიანი ადამიანი იყო და სხვა ბერ-რაინდებზე უკეთ გაეგებოდა მეფე იაგელოს ძლიერება. ის ცდილობდა დაეცხრო მეფის რისხვა, ყურადღებას არ აქცევდა ზოგიერთ ქედმაღალ და ყოყოჩა კომტურს, არ ზოგავდა მლიქვნელურ სიტყვებს და ხანდახან ძალზე მორჩილად აჩვენებდა თავს. მაგრამ ამ მორჩილებაშიც იგრძნობოდა დროდადრო ფარული მუქარა და მაგისტრის ყველა ცდა ამაო ხდებოდა. ამ სერიოზულ საქმეებზე მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა და მომდევნო დღეს ყრილობა უკვე მეორეხარისხოვან საქმეებზე გადავიდა. მეფემ რისხვა დაატეხა ორდენს ყაჩაღთა ბანდების ხელის შეწყობისათვის, თავდასხმებისა და ძარცვისათვის, რაც საზღვარზე ხდებოდა, იურანდის ქალიშვილისა და პატარა იასკო კრეტკოველის მოტაცებისათვის, გლეხებისა და მეთევზეების დახოცვისათვის. მა-

გისტრი უარობდა, თავის დაძვრენას ცდილობდა, იფიცებოდა, არაფერი ვიცოდიო, და თავის მხრივ საყვედურს გამოთგვამდა, მხოლოდ ვიტოლდი კი არა, პოლონელი რაინდებიც ეხმარებოდნენ წარმართ ჟმუდელებს ჯვაროსანთა წინააღმდეგ, და ამის დასტურად მაცკო ბოგდანეცელი გაიხსენა. საბედნიეროდ, მეფემ პოვალასაგან უკვე იცოდა, ვის ეძებდნენ ბოგდანეცელი რაინდები ჟმუდში და შეძლო მაგისტრისთვის ეპასუხა, მით უმეტეს, რომ მის ამალაში იყო ზბიშკო, ხოლო მაგისტრის ამალაში – ორთავე ფონ ბადენი, რომლებიც აქ იმ იმედით ჩამოსულიყვნენ, პოლონელ რაინდებთან შეჯიბრებებში მონაწილეობას მივიღებთო.

მაგრამ შეჯიბრება არ დასჭირდათ. თუ ჯვაროსნებს საქმე სარფიანად წაუვიდოდათ, მაშინ დიდი მეფის მიპატიჟებას აპირებდნენ ტორუნში, სადაც მის პატივსაცემად ნადიმსა და მრავალდღიან ასპარეზობას მოაწყობდნენ. მაგრამ უშედეგო მოლაპარაკებამ ორივე მხრივ უკმაყოფილება და კიდევ მეტი გაბოროტება გამოიწვია, ამიტომ გართობის თავი აღარავის ჰქონდა. მხოლოდ ეგ იყო, რომ დილით რაინდები თავს იწონებდნენ ძალითა და მოხერხებით და ამაშიც, მხიარული მთავრის იამონტის თქმით, პოლონელებმა ყოფა უტირეს გერმანელებს. პოვალა ტაჩეველმა არნოლდ ფონ ბადენს აჯობა, დობეკ ოლესნიცელმა შუბებით ბრძოლაში დაამარცხა ყველა, ლის ტარგოვისკელი კი ცხენებზე გადახტომაში მჯობნზე მჯობნი იყო. ზბიშკომ შემთხვევით ისარგებლა და არნოლდ ფონ ბადენს გამოსასყიდზე ჩამოუგდო ლაპარაკი. გრაფი და ცნობილი რაინდი დე ლორში ქედმაღლურად უყურებდა არნოლდს, ის გამოსყიდვის წინააღმდეგი იყო და ამბობდა, ყველაფერს საკუთარ თავზე ვიღებო. მაგრამ ზბიშკო მაინც ფიქრობდა, რომ რაინდული ღირსება ავალდებულებდა გადაეხადა იმდენი, რამდენზედაც მოილაპარაკეს და, თუმცა თვითონ არნოლდი სთავაზობდა ფასის დაკლებას, არ ინება ეს შეღავათი და არც ბატონი დე ლორშის შუაკაცობა ისურვა.

არნოლდ ფონ ბადენი ჭკუამოკლე და უბრალო ადამიანი იყო. მისი თითქმის ერთადერთი ღირსება უზომო ფიზიკური ძალა გახლდათ. ფულზე ხარბად ეჭირა თვალი, მაგრამ პატიოსნება არ აკლდა. სხვა ჯვაროსნებივით ცბიერება არ შეეძლო და ამიტომ ზბიშკოსთან არც მალავდა, რატომ იყო მზად დათმობაზე. „მეფე და მაგისტრი ხელშეკრულებას არ დადებენ, ამტკიცებდა ის, – ტყვეებს კი გაცვლიან. მაშინ ბიძაშენს სულაც უფასოდ წაიყვან. არარაობას რაღაც მაინც სჯობია, ჩემი ქისა მუდამ ცარიელია. ხანდახან სამი ტოლჩა ლუდის ფული ძლივს მიგროვდება, ჩემთვის კი ხუთი-ექვსია აუცილებელი“. მაგრამ ზბიშკოს აბრაზებდა ასეთი ლაპარაკი. „მე რა-

ინდული სიტყვა მოგეცი და ფულსაც იმისთვის ვიხდი, ფასის დაკლება არა მსურს, იცოდე, რომ ჩვენ ამდენი ვღირვართ“. არნოლდი გადაეხვია ახალგაზრდა რაინდს, პოლონელმა რაინდებმა და ჯვაროსნებმა კი ქება-დიდება შეასხეს ზბიშკოს: „მართებულად დაუმსახურებია ასე ახალგაზრდას რაინდული ქამარი და დეზები, თავის ღირსებასა და პატიოსნებას არ ივიწყებს“.

ამასობაში მეფემ და მაგისტრმა მართლაც მოილაპარაკეს ტყვეების გაცვლაზე; ამასთან დაკავშირებით საოცარი ამბები გამოირკვა, რომელთა შესახებ შემდგომში ეპისკოპოსებმა და დიდებულებმა პაპსა და უცხო ხელმწიფეებს მისწერეს: პოლონელებს მართლაც ბევრი ტყვე ჰყავდათ, მაგრამ ყველა შუახნის, ჯან-ღონით სავსე მამაკაცი იყო, შეიარაღებულ ბრძოლაში ან სასაზღვრო შეტაკებების დროს დატყვევებული. ჯვაროსანთა ჯურღმულებში კი უფრო მეტი ქალები და ბავშვები აღმოჩნდნენ, ღამის თავდასხმებში დიდი გამოსასყიდის იმედით ტყვედ წაყვანილი. თვით რომის პაპმა მიაქცია ამას ყურადღება და ჯვაროსანთა პროკურატორის იან ფონ ფელდეს დიდი ცდის მიუხედავად, სრულიად აშკარად გამოთქვამდა ამის გამო რისხვასა და უკმაყოფილებას.

მაცკოს დაბრკოლებები შეხვდა. მაგისტრი საგანგებოდ იგონებდა მათ, რომ მერე ყოველი თავისი დათმობისთვის ფასი დაედო. ის ამტკიცებდა, ქრისტიანი რაინდი, რომელსაც ჟმუდელების მხარე უჭირავს და ორდენს ებრძვის, საცა სამართალია, სიკვდილით უნდა დაისაჯოსო. ამაოდ იმეორებდნენ მეფის მრჩევლები ერთსა და იმავეს იურანდისა და დანუსიას შესახებ, ამ მამა-შვილისა და ბოგდანეცელი რაინდებისთვის მიყენებული აღმაშფოთებელი შეურაცხყოფის ამბებს ორდენის მსახურების მხრივ. საოცარი დამთხვევა მოხდა – მაგისტრმა თავის პასუხში თითქმის იგივე სიტყვები გაიმეორა, როგორიც თავის დროზე ქალბატონმა ალექსანდრამ უთხრა მოხუც ბოგდანეცელ რაინდს:

– თქვენ თავი ბატკნები გგონიათ, ჩვენი ხალხი კი მგლები. ამ დროს იმ ოთხი მგლიდან, იურანდის ქალიშვილის მოტაცებაში რომ ღებულობდნენ მონაწილეობას, არც ერთი ცოცხალი აღარ დარჩა, ხოლო კრავები თავისუფლად დასეირნობენ.

ეს მართალი იყო. მაგრამ თათბირზე ტაჩეველმა ბატონმა ამ სიმართლეს ასეთი კითხვით უპასუხა:

– მართალია, მაგრამ განა რომელიმე მათგანი ვერაგულად არის მოკლული? განა ყველა იარაღით ხელში არ დაეცა?

მაგისტრს არაფერი დარჩენოდა ამაზე საპასუხო და, რომ დაინახა, მეფე მოიღრუბლა და თვალებში ნაპერწკლები დაკვესა, მაშინვე დათმობაზე გადავიდა. არ უნდოდა უძლეველი მფლობელი უკიდურესობამდე მიეყვანა. მერე მოილაპარაკეს, რომ ორთავე მხარე გამოგზავნიდა წარმომადგენლებს ტყვეების მისაღებად. პოლონელთა მხრიდან დანიშნეს ზინდრამ მაშკოვიცელი, რომელსაც დიდი სურვილი ჰქონდა ახლოდან შეევლო თვალი ორდენის ძლიერებისთვის, და რაინდი პოვალა, მასთან ერთად კი ზბიშკო ბოგდანეცელიც.

ეს სამსახური ზბიშკოს მთავარმა იამონტმა გაუწია, მან უშუამდგომლა მეფესთან. ფიქრობდა, თუ ჭაბუკი რაინდი მეფის ელჩად გაემგზავრება, ბიძასაც უფრო ადრე ნახავს და შინაც ადრე წაიყვანსო მთელსა და უვნებელს. მეფემ უარი არ უთხრა ამ თხოვნაზე ახალგაზრდა მთავარს, რომელიც ისეთი მხიარული იყო, ისეთი კეთილი და მოხდენილი, რომ მეფისა და ყველა დიდებულის სიყვარული დაიმსახურა. ამას გარდა, ის არასოდეს არაფერს თხოულობდა თავისთვის. ზბიშკო დიდად მადლიერი იყო იამონტისა, ახლა ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ბიძას ჯვაროსნების ხელიდან დაიხსნიდა.

– ბევრს შეშურდება, – უთხრა ზბიშკომ მთავარს, – შენ რომ მეფის კარზე რჩები, მაგრამ ეს სამართლიანია, რადგან მეფესთან სიახლოვეს მხოლოდ ხალხის საკეთილდღეოდ იყენებ და თითქმის არავის აქვს შენნაირი კეთილი გული.

– ხელმწიფესთან ყოფნა კარგია, – უპასუხა მან, – მაგ რამ მერჩივნა ჯვაროსნებთან საბრძოლველად წავსულიყავი, და მშურს შენი, რაკი უკვე გიბრძოლია მათთან.

მთავარი ერთ წამს შეყოვნდა, მერე კი დასძინა:

– გუშინ ტორუნის კონტური ფონ ვენდენი ჩამოვიდა, დღეს კი თქვენ მას ეახლებით მაგისტრთან და მის ამალასთან ერთად.

– მერე იქიდან მალბორგში წავალთ?

– მერე იქიდან მალბორგში წახვალთ.

აქ მთავარ იამონტს სიცილი აუტყდა:

– ხანმოკლე და უხალისო იქნება ეს მგზავრობა, მეფესთან გერმანელებმა ვერაფერი გააწყვეს, არც ვიტოლდისგან ელით სიხარული. ამბობენ, მთელი ლიტვა შეკრიბა და ჟმუდელებს მიაშურაო.

– თუ მეფეც მოეხმარა, დიდი ომი გარდუვალია.

– ყველა ჩვენი რაინდი მაგას შესთხოვს ღმერთს. თუნდაც მეფე ქრისტიანთა სისხლისღვრას გაუფრთხილდეს და ომში არ ჩაებას, ვიტოლდს ფულითა და პურით დაეხმარება, ხოლო პოლონელი რაინდებიდან ზოგიერთი თავისი სურვილითაც ეახლება ვიტოლდს.

– მაგას წინ არაფერი დაუდგება. – დაუმოწმა ზბიშკომ. – მაგრამ ამის გამო თვითონ ორდენს შეუძლია ომი გამოუცხადოს მეფეს.

– არა! – შეედავა მთავარი. – სანამ ახლანდელი მაგისტრი ცოცხალია, ეგ არ მოხდება.

ის მართალი გამოდგა. ზბიშკო დიდი ხანია იცნობდა მაგისტრს, მაგრამ ახლა, მალბორგს მიმავალი, ზინდრამ მაშკოვიცელსა და პოვალასთან ერთად, თითქმის გამუდმებით მის გვერდით იყო და უფრო კარგად შეეძლო დაკვირვებოდა და გაეცნო იგი. ამ მგზავრობამ მას განუმტკიცა რწმენა, რომ დიდი მაგისტრი კონრად ფონ იუნგინგენი ბოროტი და უზნეო ადამიანი არ იყო. ის ხშირად იძულებული ხდებოდა უკანონოდ ემოქმედა, რადგან მთელი ორდენი უკანონობაზე იყო აგებული. მას ძალმომრეობა უნდა ეხმარა, რადგან მთელი ორდენის ქცევის საფუძველს ხალხზე ძალმომრეობა წარმოადგენდა. იძულებული იყო ეცრუა, რადგან ტყუილი შთამომავლობით მიიღო თავისი ღირსების ნიშნებთან ერთად და მიეჩვია პატივი ეცა მისთვის მხოლოდ პოლიტიკური გაიძვერობის გამო. მაგრამ ის თვითონ არ იყო მტარვალი, ღვთის სამსჯავროს შიში ჰქონდა და, რამდენადაც შეეძლო, აკავებდა იმ თავხედ და დიდგულა ბატონკაცებს, რომლებიც სრულიად შეგნებულად უბიძგებდნენ ორდენს მძლავრ იაგელოსთან ბრძოლისაკენ. მაგრამ ის მაინც სუსტი პიროვნება იყო. უხსოვარი დროიდან ორდენს ჩვევად ჰქონდა სხვისი ქონების ხელყოფა, ძარცვა, სიცრუითა და ძალმომრეობით მეზობელი მიწების მიტაცება. ამიტომ კონრადმა არათუ ვერ შეძლო ჯვაროსანთა სიხარბისა და სისხლის წყურვილის დაოკება, თვითონაც უნებურად აჰყვა ცდუნებას და მტაცებელი და ხარბი გახდა. ვინრიხ ფონ კნიპროდეს დრო, დრო რკინის დისციპლინისა, მთელი მსოფლიო რომ განცვიფრებაში მოჰყავდა, დიდი ხანია გავიდა. ჯერ კიდევ მაგისტრ იუნგინგენის წინაპრის, კონრად ვალენროდის დროს ისე იყო ორდენი გაყოყოჩებული თავისი მზარდი ძლიერებით, რომელსაც ვერაფერს აკლებდა ცალკეული დამარცხებები, ისე გაებრუებინა საკუთარ დიდებას, წარმატებებს და ხალხის სისხლს, რომ თვით იმ საფუძველმა დაიწყო რყევა, რომელზედაც მისი სიმძლავრე და ერთიანობა ემყარებოდა. მაგისტრი შეძლებისდაგვარად იცავდა კანონიერებასა და მართლმსაჯულებას, შეძლებისდაგვარად უმსუბუქება ხვედრს ორდენის რკინის ქუსლის ქვეშ მგმინავ გლეხებს, მოქალაქეებს,

სასულიერო პირებსა და თავადობას – ორდენის მიწები ფეოდებად რომ ჰქონდათ მიცემული. მალბორგის მახლობლად მცხოვრებ არა მარტო მოქალაქეებს, გლეხებსაც კი შეეძლოთ დაეკვეხნათ მდიდრული ცხოვრებით. მაგრამ უფრო დაშორებულ ადგილებში თავნება, ულმობელი და აღვირაშვებული კომტურები არღვევდნენ კანონს, ჩაგრავდნენ და ავიწროებდნენ ხალხს, ართმევდნენ უკანასკნელ გროშებს, თვითნებურად აწესებდნენ გადასახადებს ან სულაც აშკარად ძარცვავდნენ ხალხს, ღვრიდნენ სისხლს. ასე რომ, უზარმაზარ ტერიტორიაზე მხოლოდ სიღატაკე მძვინვარებდა, მხოლოდ ცრემლების ზღვა იდგა, მხოლოდ კვნესა და დრტვინვა ისმოდა. თვით ორდენის საკეთილდღეოდ თუ უფრო ლმობიერი მოქცევა იყო საჭირო, მაგალითად, დროდადრო ჟმუდში, კომტურების უსამართლობისა და სიმკაცრის გამო მაგისტრის ასეთი მითითებები მაინც არ სრულდებოდა. კონრად ფონ იუნგინგენს თავი იმ მეეტლედ წარმოედგინა, რომელიც ცხენებმა გაიტაცეს, თვითონ კი აღვირი ხელიდან გაუშვია და ეტლი ბედის ანაბარად მიუგდია. მის სულს ხშირად აწამებდა ავი წინათგრძნობა და ხშირად აგონდებოდა წინასწარმეტყველის სიტყვები: „მე დავაყენე ისინი, ვითარცა მშრომელი ფუტკრები, და დავამკვიდრე ისინი ქრისტიანული მიწის საზღვარზე, მაგრამ ისინი აღსდგნენ ჩემს წინააღმდეგ. ვინაიდან არა ზრუნავენ ისინი სულზე და არა ინდობენ იმ ხალხის სხეულს, რომელმაც მიიღო კათოლიკური სარწმუნოება. იმათ მონებად აქციეს ხალხი, არ ასწავლიან მას მცნებას ღვთისას, არ აღებინებენ წმინდა ზიარებას, სწირავენ მას სამუდამო ტანჯვისათვის, რომელიც უფრო მწარეა, ვიდრე რასაც იწვნევდნენ, წარმართობაში რომ ამოხდომოდათ სული. ხოლო იბრძვიან ისინი, რათა დაიკმაყოფილონ სიხარბე თვისი“. ამიტომ „დადგება დრონი და ამოემტვრევათ კბილები და მოეკვეთებათ მარჯვენა და მკელობელ შეიქმნებიან ისინი მარჯვენის ფეხითა, რათა შეიგნონ შეცოდებანი თვისნი“.

მაგისტრმა იცოდა, რომ იდუმალი ხმა წმინდა ბრიგიდას გამოცხადებისას სრულიად სამართლიანად სდებდა ბრალს ჯვაროსნებს. მას კარგად ესმოდა, რომ სხვის მიწაზე, სხვის ძარცვაზე, სიცრუეზე, ულმობლობასა და წამებაზე აგებული შენობა დიდხანს ვერ იბოგინებდა. შიშობდა, რომ ეს შენობა, რომელსაც წლების განმავლობაში ძირს უთხრიდა სისხლისა და ცრემლის ღვარები, პოლონელთა ღონიერი ხელის ერთი დარტყმით ჩაიფუშებოდა; გული უგრძნობდა, რომ ეტლი, რომელიც ცხენებს ჰყავდათ გატაცებული, უეჭველად უფსკრულში გადაიჩეხებოდა, და იმასღა ცდილობდა, განკითხვის, რისხვის, მარცხისა და გატიალების წამი ცოტა მაინც გადაეწია. სწორედ ამის გამო, თავისი სისუსტის მიუხედავად, ერთ რამეში მაინც მტკი-

ცე წინააღმდეგობას უწევდა თავის ზვიად და უკმეხ მრჩევლებს: პოლონეთთან შეტაკებას ყოველნაირად ირიდებდა. ამაოდ აყვედრიდნენ, ლაჩარი და უმწეო ხარო, ამაოდ მიიწევდნენ საომრად სასაზღვრო კონტურები. როცა ომის ცეცხლი ესაა უნდა აბრიალებულიყო, მაგისტრი ბოლო წამებში უკან იხევდა, მერე კი მალბორგს ჩასული ღმერთს მადლობას სწირავდა, კიდევ ერთხელ რომ შეძლო ორდენის თავზე აღმართული მახვილის უკან ჩაგება.

მაინც იცოდა, რომ დასასრული ახლოს იყო, შეგნებული ჰქონდა, რომ ორდენი ღვთის კანონს კი არა, უკანონობასა და ცბიერებას ემყარებოდა და სულ მალე უნდა დაღუპულიყო. ამის გამო ყველაზე უბედურ ადამიანად რაცხდა თავს მთელს ქვეყანაზე. ის საკუთარ სისხლს, სიცოცხლესაც არ დაზოგავდა, ოღონდ კი შესძლებოდა ყველაფერი შეეცვალა, ოღონდ კი შესძლებოდა და ორდენი ჭეშმარიტების გზაზე გამოეყვანა. მაგრამ თვითონაც იცოდა, რომ უკვე გვიან იყო ჭეშმარიტების გზაზე გამოყვანა ნიშნავდა კანონიერი მფლობელებისათვის ოდესღაც მიტაცებული მდიდარი და ნაყოფიერი მიწების დაბრუნებას, დაბრუნებას ისეთი მდიდარი ქალაქებისას, როგორიც იყო გდანსკი. ესეც არ იკმარებდა! ეს ნიშნავდა ჟმუდზე უარის თქმას, ლიტვაზე თავდასხმის უარყოფას, ხმლის ქარქაშში ჩაგებას, ბოლოს კი ამ მიდამოებიდან სრულიად გაცლას, სადაც აღარავინ იყო გასაქრისტიანებელი, და ისევ პალესტინაში ან რომელიმე ბერძნულ კუნძულზე დამკვიდრებას, რათა იქ ქრისტეს ჯვარი ჭეშმარიტი სარკინოზებისგან დაეცვათ. მაგრამ ეს სრული უაზრობა იყო. ეს ნიშნავდა ორდენის განადგურებას. ვინ დაეთანხმებოდა ამაზე? ან რომელი მაგისტრი გაბედავდა ამის მოთხოვნას?

სული მოჰქუფროდა კონრად ფონ იუნგინგენს, უსიხარულო იყო მისი სიცოცხლე; მაგრამ ასეთი რჩევით თვითონ მას რომ ხლებოდა ვინმე, ალბათ მაშინვე ბნელ სენაკში გამოამწყვდევინებდა, როგორც ჭკუასთან მწყრალს. მაინც სულ წინ და წინ უნდა ევლო იმ დღემდე, როცა ღმერთის ნებით დასასრული იყო ნაბრძანები. და ის მიდიოდა წინ, მაგრამ მიდიოდა დარდით შებურვილი, სულში შფოთვაშეპარული. წვერი და საფეთქლები თანდათან შეევერცხლა, დამძიმებული ქუთუთოები ჩამოსწოლოდა ერთ დროს გამჭრიახ თვალებს. ზბიშკოს ერთხელაც არ შეუმჩნევია მის სახეზე ღიმილი. სახე არც მრისხანე ჰქონდა, არც ნაღვლიანი, რაღაც იდუმალ ტანჯვას მოექანცა მხოლოდ. აბჯარასხმული, მკერდზე ჯვარდაკიდებული, რომლის შუა კვადრატში შავი არწივი იყო ამოკვეთილი, ასევე ჯვრით დამშვენებულ განიერ თეთრ ლაბადაში გამოხვეული პირქუშობის, დიდებულებისა და კაეშნის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ოდესღაც კონრადი მხიარული

ადამიანი იყო და გართობაც უყვარდა; ახლაც არ ამბობდა უარს მდიდრულ ნადიმებზე, ასპარეზობებსა და სანახაობებზე და თვითონაც აწყობდა მათ; მაგრამ არც ბრწყინვალე რაინდთა წრეში, მალბორგს რომ სტუმრად ჩამოდიოდნენ, არც მხიარულ ხმაურში, როცა საყვირების გრიალი და იარაღის ჟღარუნი გაისმოდა ირგვლივ, არც მალვაზიით პირსავსე თასთან, არასოდეს არ იყო მხიარული. როცა ყველაფერი მის ირგვლივ ძლიერებით, სიდიადითა და ულევი სიმდიდრით სუნთქავდა, როცა რომის იმპერატორისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოთა გამოგზავნილი ელჩები აღტაცებით შესძახოდნენ, ორდენს შეუძლია წინ აღუდგეს ყველა სამეფოს და მთელი მსოფლიოს ძლიერებასო, – მხოლოდ ის ერთადერთი არ ცდებოდა და ყოველთვის ახსოვდა წმინდა ბრიგიდას სიტყვები: „დადგება დრონი და ამოემტვრევათ კბილები და მოეკვეთებათ მარჯვენა, და მკელობელ შეიქმნებიან ისინი მარჯვენის ფეხითა, რათა შეიგნონ შეცოდებანი თვისნი“.

X

დიდი მაგისტრი თავის ამალასა და პოლონელ რაინდებთან ერთად მიდიოდა ხელმჟიდან გრუძიონძამდე, სადაც ერთი დღეღამით შეჩერდა, რომ თევზჭერის საკითხი განეხილა. ეს საქმე აღძრულიყო ჯვაროსან ციხის პატრონსა და ადგილობრივ შლიახტას შორის, რომლის მიწები ვისლის ნაპირებს ემიჯნებოდა. აქედან ყველანი ჯვაროსნების კანჯოებზე დასხდნენ და მდინარით მალბორგისკენ გასწიეს. ზინდრამ მაშკოვიცელი, პოვალა ტაჩეველი და ზბიშკო გვერდიდან არ შორდებოდნენ მაგისტრს, რომელსაც ძალზე აინტერესებდა, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა პოლონელ რაინდებზე, განსაკუთრებით კი ზინდრამ მაშკოვიცელზე, ორდენის ძლიერება. მაგისტრისთვის ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ზინდრამ მაშკოვიცელი მხოლოდ ორთაბრძოლებში მოსარიდებელი მძლავრი რაინდი კი არა, გამოცდილი მეომარიც იყო. მთელს სამეფოში მას მხედართმთავარი არ სჯობდა, არავის შეეძლო მასზე უკეთ ჯარების საბრძოლოდ მოწყობა, არავინ იცოდა ციხეთა შენებისა და ნგრევის ხერხები, ფართო მდინარეებზე ხიდების გადება, მასზე უკეთესად ვერავინ არჩევდა ერთმანეთისგან სხვადასხვა ხალხების „საბრძოლო საჭურველს“ ანუ შეიარაღებას და მასზე უკეთ ვერავინ ერკვეოდა სხვადასხვაგვარ სამხედრო ხრიკებში. მაგისტრმა იცოდა, რომ მეფის საბჭოში ამ ადამიანზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული, ამიტომ ვარაუდობდა, თუკი მოახერხებდნენ და ზინდრამს ორდენის სიმდიდრითა და ჯართა სიმრავლით გააოცებდნენ, მაშინ ომი კიდევ დიდი

ხნით გადაიდებოდა. უპირველეს ყოვლისა, თვითონ მალბორგს შეეძლო ყოველი პოლონელის გულში შიში ჩაენერგა, რადგან მსოფლიოს ვერც ერთი ციხესიმაგრე ახლოს ვერ მივიდოდა ამ ციხესთან თავის წინა, შიდა და დედაციხით. ნოგატზე რომ მიცურავდნენ, რაინდებმა შორიდანვე დაინახეს ცაში აზიდული მძლავრი კოშკები. მოწმენდილი დღე იყო და კოშკები კარგად მოჩანდა; როცა კანჯოები ციხეს მიუახლოვდნენ, კიდევ უფრო მეტად ალაპლაპდა დედაციხის ტაძრის შპილები და ჩამწკრივებული, ცადასული კედლები. მცირე ნაწილი აგურის ფერი იყო, დანარჩენი კი დაეფარათ იმ ცნობილი რიანაცრისფერი ბათქაშით, რომლის დამზადება მხოლოდ ჯვაროსანმა კალატოზებმა იცოდნენ. ეს ვეება კედლები ყველაფერს სჯაბნიდა, რაც კი თავის სიცოცხლეში ენახათ პოლონელ რაინდებს. ასე გეგონებოდათ, სახლი სახლზე იზრდებაო და ბუნებით დაბლობ ადგილზე ვეება მთა აღუმართავთო, რომლის მწვერვალი იყო დედაციხე, ხოლო ფერდები შიდაციხე და წინაციხის მიმოფანტული სიმაგრეები. იარაღასხმული ბერების ეს უზარმაზარი ბუდე ისეთი ძალით სუნთქავდა, რომ მაგისტრს ჩამოგრძელებული და ჩვეულებრივ მოღუშული სახეც კი გადაეწმინდა ამის დანახვაზე.

– Ex luto Marienburg – თიხით ნაგები მარიენბურგი, – თქვა მან და ზინდრამს მიუბრუნდა, – მაგრამ არ არსებობს ადამიანის ძალა, რომელიც ამ თიხას დაანგრევს.

ზინდრამმა არაფერი უთხრა; ის უხმოდ ათვალიერებდა კოშკებს და გამოკვეთილ, საოცარი ესკარპებით გამაგრებულ კედლებს.

კონრად ფონ იუნგინგენმა კი წამით იყუჩა და დასძინა:

– თქვენ კარგად გესმით ციხესიმაგრეების ფასი; რას გვეტყოდით ამ ციხეზე?

– ციხე მიუვალად მეხატება, – ფიქრიანად უპასუხა პოლონელმა რაინდმა, – მაგრამ...

– მაგრამ რა? რისი თქმა შეგიძლიათ მის საწინააღმდეგოდ?

– მაგრამ ყველა ციხეს შეუძლია გამოიცვალოს პატრონი.

მაგისტრმა წარბი შეჰყარა:

– რისი თქმა გინდათ ამით?

– რომ ღვთის განზრახვანი და მიზნები დაფარულნი არიან ადამიანთა თვალთაგან.

და მან ისევ დაფიქრებით განაგრძო კედლების თვალიერება, ხოლო ზბიშკო, რომელსაც პოვალამ ზუსტად გადაუთარგმნა ზინდრამის პასუხი, გაოცებითა და მადლობის გრძნობით შეჰყურებდა მას. ამ წუთში ის შესძრა მსგავსებამ ზინდრამსა და ჟმუდელთა ბელადს სკირვოილოს შორის. ორთავეს ერთნაირად დიდრონი თავები თითქოს მხრებში ჩასძვრომოდათ, ორთავეს მძლავრი მკერდი და ერთნაირი მოგრეხილი ფეხები ჰქონდათ.

მაგრამ მაგისტრს მაინც არ სურდა, რომ ბოლო სიტყვა პოლონელი რაინდისა ყოფილიყო.

– ამბობენ, თქვა მან, – რომ ჩვენი მარიენბურგი ექვსჯერ მეტია, ვიდრე ვაველიო.

– იქ კლდეზე გაცილებით ნაკლები ფართობია, ვიდრე აქ, გაშლილ ადგილას, – შეედავა მაშკოვიცელი ბატონი, – მაგრამ გული ვაველში უფრო დიდი გვაქვს.

კონრადმა გაოცებით აწკიპა წარბები:

– არ მესმის.

– განა რა არის ყოველგვარი ციხესიმაგრის გული თუ არა ტაძარი? ხოლო ჩვენი კათედრალური ტაძარი თქვენსაზე სამჯერ მეტია.

ამ სიტყვებით მან მიუთითა ციხის პატარა ეკლესიაზე, რომლის გუმბათის ოქროსფერ ფონზე წმინდა მარიამის მოზაიკური გამოსახულება ბრწყინავდა.

ლაპარაკი რომ ამგვარად შემობრუნდა, მაგისტრს არც ეს ესიამოვნა.

– ყველაფრის პასუხი გამზადებული გაქვთ, მაგრამ ძალიან მაოცებს თქვენი ნათქვამი, – ჩაილაპარაკა მაგისტრმა.

ამასობაში მდინარეს მიადგნენ. ორდენის რჩეულ პოლიციას უკვე შეეტყობინებინა ქალაქსა და ციხესიმაგრეში დიდი მაგისტრის ჩამოსვლა და მდინარის პირას რამდენიმე ბერის გარდა კონრადს ქალაქის მებუკენიც ელოდნენ, რომლებიც მდინარეზე მაგისტრის გადასვლის დროს გაბმით აგუგუნებდნენ საყვირებს. გაღმა მათ შეკაზმული ცხენები ელოდათ. მაგისტრმა ამალიანად ცხენდაცხენ გაიარა მთელი ქალაქი და „მეჩექმის ჭიშკრისა“ და „ბეღურის კოშკის“ გავლით წინა ციხეს მიაღწია. ჭიშკართან მაგისტრს მიესალმნენ: დიდი კომტური ვილჰელმ ფონ ჰელფენშტაინი, აგერ რამდენიმე თვე იყო მხოლოდ ტიტულსღა რომ ატარებდა, – მის მოვალეობას კუნო ლიხტენშტაინი ასრულებდა, რომელიც ამ დროს ინგლისში იყო; ამის მერე მიესალმა კუნოს ნათესავი, დიდი ჰოსპიტალერი კონრად ლიხ-

ტენშტაინი, დიდი მეჭურჭლეთუხუცესი რუმპენჰაიმი, დიდი ხაზინადარი ბურგჰარდ ფონ ვობეკე და ბოლოს პატარა კომტური, ყველა სახელოსნოს მმართველი და ციხის გამგებელი. ამ დიდებულების გარდა მაგისტრს შეხვდა ოცამდე ბერი, რომლებიც პრუსიაში საეკლესიო საქმეებს ხელმძღვანელობდნენ და ყველანაირად ავიწროებდნენ სხვა მონასტრებსა და მაღალ სამღვდელოებას, ამ უკანასკნელთ გზის გაყვანასა და ყინულის მსხვრევასაც კი აიძულებდნენ. მათ გარდა აქ იყო უამრავი დიდებული ბერი ანუ რაინდი, რომლებიც საეკლესიო საქმეებს არ აღასრულებდნენ. ყველანი ზორბატანიანები, ბეჭებგანიერნი, ხუჭუჭაწვერიანი და ღონივრები იყვნენ (სუსტებს ჯვაროსნები არ ღებულობდნენ), მძვინვარე გამოხედვა ჰქონდათ. ბერებს კი არა, სისხლისმსმელ გერმანელ ყაჩაღ რაინდებს უფრო ჰგავდნენ. მათ თვალებში გულადობა, სიყოყოჩე და უსაზღვრო ქედმაღლობა გამოსჭვიოდა. მათ არ უყვარდათ კონრადი, მძლავრ იაგელოსთან ომისა რატომ ეშინიაო, და კაპიტულის საბჭოებზე აშკარად ბრალსა სდებდნენ ლაჩრობაში, კედლებზე ხატავდნენ მას და სასახლის მსახურებს აგულიანებდნენ დასაცინად. მაგრამ როცა დაინახეს, მაინც თვალთმაქცი მორჩილებით დახარეს თავები, მით უმეტეს, რომ მაგისტრი უცხოელ რაინდთა თანხლებით შემობრძანდა ქალაქში, და ჯგროდ მიესიენ, რათა მისი ცხენის უზანგებისა და აღვირისთვის ხელი შეეშველებინათ.

მაგისტრი სასწრაფოდ მიუბრუნდა ჰელფენშტაინს და ჰკითხა:

– ვერნერ ფონ ტეტინგენისგან ახალი ხომ არა ისმის რა? დიდი მარშალი ანუ ჯვაროსანთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ვერნერ ფონ ტეტინგენი ჟმუდელთა და ვიტოლდის წინააღმდეგ სალაშქროდ იყო წასული.

– მნიშვნელოვანი არაფერია, – უპასუხა ჰელფენშტაინმა, - მაგრამ არის ზარალი, ველურებს რაგნეტასთან სოფლები დაუწვიათ და სხვა მცირე ციხეებისთვისაც წაუკიდებიათ ცეცხლი.

– ღმერთის იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ერთი დიდი ბრძოლა გატეხავს მათ სიბოროტესა და სიჯიუტეს, – უპასუხა მაგისტრმა.

ამ სიტყვებით მან თვალები ზეცას აღაპყრო, ტუჩები კი ლოცვას ბუტბუტებდნენ, რათა ზენაარს ორდენის ჯარებისთვის გამარჯვება მიენიჭებინა.

მერე მან ხელი პოლონელი რაინდებისკენ გაიშვირა:

– ესენი პოლონეთის მეფის წარმოგზავნილნი არიან: მაშკოვიცელი, ტაჩეველი და ბოგდანეცელი რაინდი, ჩამოვიდნენ ჩვენთან ერთად ტყვეების

გასაცვლელად. ციხის კომტურს გადაეცით, სტუმართა პალატებში წაუძღვეს, მიიღოს და გაუმასპინძლდეს მათ, როგორც ეკადრებათ.

ბერი რაინდები ამ სიტყვების გაგონებაზე ცნობისმოყვარეობით მიაჩერდნენ ელჩებს, განსაკუთრებით კი განთქმულ რაინდს პოვალა ტაჩველს, რომლის სახელი ზოგიერთი მათგანისთვის ცნობილი გახლდათ. ვისაც არ გაეგონა მისი წარმატებები ბურგუნდიის, ჩეხეთისა და კრაკოვის მეფეთა კარზე, განცვიფრებული იყო მისი ვეება ტანით და ზორბა საომარი ცხენით, რომელიც ძველ მეომრებს, ჭაბუკობის წლებში რომ ეგვიპტე და წმინდა მიწა მოენახულებინათ, უნებურად აქლემსა და სპილოს აგონებდა.

ზოგიერთმა ზბიშკო იცნო, თავის დროზე მალბორგის ასპარეზობებზე რომ გამოდიოდა, და საკმაო პატივისცემით მიესალმენ მას. კარგად ახსოვდათ, როგორ გულწრფელ, კეთილ განწყობილებას ამჟღავნებდა მის მიმართ მაგისტრის ძლიერი და გავლენიანი ძმა ულრიხ ფონ იუნგინგენი. რაინდთა ჯგუფი ყველაზე ნაკლებად გააოცა და ყველაზე ნაკლები ყურადღება მიიქცია იმან, ვისაც ბედად ეწერა ორდენისთვის გამანადგურებელი დარტყმა ეგემებინა სულ ახლო მომავალში – ზინდრამ მაშკოვიცელმა; ცხენიდან რომ ჩამოხდა, ის კუზიანი ეგონათ, ისეთი ჩასკვნილი ტანი და ისეთი აწურული მხრები ჰქონდა. მის უზომოდ გრძელ ხელებსა და მოღრეცილ ფეხებს რომ შესცქეროდნენ, ჭაბუკი ბერები დაცინვით იღიმებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი, გამოჩენილი ხუმარა, ახლოსაც კი მივიდა ზინდრამთან, უნდოდა რაღაც მწარე გაეგონებინა, მაგრამ მაშკოვიცელ რაინდს თვალებში რომ შეხედა, ხუმრობის გუნება წაუხდა და უხმოდ გადგა განზე.

ამასობაში ციხის კომტურმა სტუმრები წაიყვანა. ისინი ჯერ მცირე ეზოში შევიდნენ, სადაც, ძველებური სკოლისა და უნაგირების სახელოსნოს გარდა, წმინდა ნიკოლოზის ეკვდერიც იყო, მერე ნიკოლოზის ხიდზე გადავიდნენ და წინაციხის სიმაგრისკენ გაემართნენ. რამდენიმე ხანი კომტურს ისინი მძლავრი კედლების გასწვრივ მიჰყავდა, რომლებიც ადგილ-ადგილ სხვადასხვა სიმაღლის კოშკებით იყო გამაგრებული. ზინდრამ მაშკოვიცელი ყურადღებით ათვალიერებდა სიმაგრეს, გამცილებელი კი არავითარ შეკითხვას არ მოელოდა და დიდი სიამოვნებით აჩვენებდა სხვადასხვა შენობებს, გეგონებოდათ, დაგეგმილი აქვს, სტუმრებს რაც შეიძლება კარგად დაათვალიერებინოსო აქაურობა.

– ვეება შენობა, რომელსაც თქვენ მარცხნივ ხედავთ, ეუბნებოდა ის, – ჩვენი საჯინიბოებია. მართალია, ღატაკი ბერები ვართ, მაგრამ ხალხი ამბობს, ზოგან რაინდები ვერ ცხოვრობენ ისე, როგორც თქვენთან ცხენებიო.

– ხალხი თქვენ ღატაკებად არ გთვლით, – შეედავა პოვალა, – აქ კი მარტო საჯინიბოები არ უნდა გქონდეთ, რაღაც ძალზე მაღალი შენობებია. ცხენები კიბეებზე ხომ არ დაგიდით.

– საჯინიბო ქვევითაა, შიგ ოთხასი ცხენია, ზემოთ კი პურის ბეღელია. – უპასუხა ციხის კომტურმა. – ათი წელი გვეყოფა, იმდენი პური გვაქვს. საალყო აქამდე არავის მოუშვებენ, მაგრამ ვინიცობაა შემოგვერტყან, შიმშილის გამო ვერავინ დაგვიმორჩილებს.

ამ სიტყვებზე მან მარჯვნივ შეუხვია, მერე ისევ ხიდზე გადაიარეს, წმინდა ლავრენტისა და ჯავშნის კოშკებს შუა, და სტუმრები მეორე, უფრო მოზრდილ ეზოში გაიყვანა. ეს ეზო ციხესიმაგრის მისადგომის შუაგულში მდებარეობდა.

– ყურადღება მიაქციეთ, ძვირფასო სტუმრებო, – უთხრა გერმანელმა, – ყველაფერი, რასაც თქვენ ახლა ჩრდილოეთის მხარეს ხედავთ, ღვთის წყალობით, მიუდგომელია. მაგრამ ეს მხოლოდ „Forburg“[33]-ია; ეს სიმაგრეები ვერც კი შეედრება შიდაციხეს, საითაც ახლა მივდივართ, და მით უმეტეს დედაციხეს.

საგანგებო თხრილი და საგანგებო ასაწევი ხიდი ჰყოფდა შიდაციხეს ფორბურგისაგან; ამ სიმაგრის ჭიშკართან, რომელიც უფრო მაღლა მდებარეობდა, კონტურის რჩევით რაინდებმა უკან მოიხედეს და კიდევ ერთხელ მოავლეს თვალი ვეება კვადრატს, ციხესიმაგრის წინა ტერიტორიას რომ ქმნიდა. შენობები იქ ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ მიჯრილნი, ასე რომ ზინდრამის თვალს თითქოს მთელი ქალაქი გადაეშალა. აქ იყო სახლების სიმაღლეზე დათაკრული შეშის უთვალავი მარაგი, ქვის ყუმბარების პირამიდები, სასაფლაოები, ლაზარეთები, საწყობები. ცოტა მოშორებით, გუბურასთან, შუაზე რომ ჰყოფდა სიმაგრეს, წითლად მოჩანდა ვეება შენობის მაგარი კედლები, ამ შენობაში იყო დაქირავებული ჯარისკაცებისა და მსახურთა სასადილო. ჩრდილოეთით სხვა საჯინიბოები მოჩანდა, აქ რაინდთა და მაგისტრის რჩეული ცხენები ეყენათ. წისქვილის საგუბარს მიღმა წამომდგარიყო საჭურველმტვირთველთა და დაქირავებული ჯარის ყაზარმები, ხოლო სწორკუთხედის საწინააღმდეგო მხარეს იყო შენობები ორდენის გამგებელთა და სხვადასხვა მოხელეთათვის, იმას იქით – ისევ საწყობები, ბეღლები, სახაბაზოები, ცოიხჰაუზი, სამსხმელო სახელოსნოები, უზარმაზარი არსენალი, ციხეები, ძველი საზარბაზნე. თითოეული შენობა იმდენად კარგად ნაგები და საგანგებოდ გამაგრებული იყო, რომ თავისუფ-

[33] ციხის წინა სიმაგრე (გერმ.)

ლად შეიძლებოდა თავის შეფარება, როგორც ციხესიმაგრეში; ყველაფერს მრისხანე ბურჯებდატანებული სქელი გალავანი ერტყა. ზღუდეს გარს ღრმა თხრილები ჰქონდა შემოვლებული, თხრილს – გიგანტური მესერი და მხოლოდ მესერს იქით დასავლეთით მიაქანებდა ყვითელ ზვირთებს მდინარე ნოგატი, ჩრდილო-აღმოსავლეთით ლაპლაპებდა უზარმაზარი გუბურის ზედაპირი; სამხრეთით კი აღმართულიყო კიდევ უფრო კარგად გამაგრებული შიდა და დედაციხეები.

ეს იყო საზარელი ბუდე, დაუნდობელი ძლიერებით რომ სუნთქავდა და მაშინდელი სამყაროს ორი უდიდესი ძალა – ძალა ჯვრისა და ძალა მახვილისა გაეერთიანებინა. ვინც ერთს აღუდგებოდა, იმას მეორე დაამარცხებდა. ვინც მათ წინააღმდეგ ხელს აღმართავდა, იმას ყველა ქრისტიანული ქვეყანა გადაუდგებოდა ჯვრის დაგმობის გამო.

და ყველა ქვეყნის რაინდობა სასწრაფოდ აღსდგებოდა ორდენის დასაცავად. ამიტომაც ამ ბუდეში გამუდმებით ფუტკრებივით დაფუსფუსებდნენ ათასნაირი ხელოსნები და ჯარისკაცები. შენობების წინ, გასასვლელებში, ჭიშკრებში, სახელოსნოებში – ყველგან ხალხი ზიზინებდა, როგორც ბაზარში. შორს გამოსცემდა ნახმევს ჩაქუჩები და ურიები, რომლებითაც მთლელები ქვის ყუმბარებს თლიდნენ, წისქვილთა ხმაური, ცხენების ჭიხვინი, იარაღის ჟღარუნი, საყვირებისა და სტვირების ხმა, გადაძახილი და ბრძანებები. ეზოებში მსოფლიოს ყველა ენაზე გაიგონებდით ლაპარაკს და ყველა ტომის ჯარისკაცს შეხვდებოდით: სხარტად მსროლელ ინგლისელ მეაფთეებს, ას ნაბიჯზე ისარზე რომ წამოაცვამდნენ ბოძზე მიბმულ მტრედს, ხოლო ჯავშანს მაუდივით ხვრეტდნენ; ნახავდით ორსახელურიანი მახვილებით მებრძოლ ქვეით შვეიცარიელებს; მამაც, მაგრამ ჭამასა და სმაში სულწასულ დანიელებს, ხუმრობისა და აყალმაყალის ერთნაირად მოყვარულ ფრანგებს; ამაყ, სიტყვაძუნწ ესპანელ დიდებულებს და შესანიშნავად მოფარიკავე, აბრეშუმსა და ხავერდში გამოწყობილ ბრწყინვალე იტალიელ რაინდებს, ომის დროს ვენეციაში, მილანსა და ფლორენციაში დამზადებულ ჯავშანში რომ ჩასხდებოდნენ ხოლმე; ნახავდით ბურგუნდიელ რაინდებს, ფრიზებს, ყველა გერმანული ქვეყნიდან ჩამოსულ გერმანელებს. მათ შორის ფრიალებდა მმართველებისა და მხედართუფროსების თეთრი ლაბადები. „ოქროთი სავსე კოშკი“ ანუ დედაციხის ეზოში მაგისტრის პალატებზე მიშენებული ერთი ოთახი, გამოტენილი ფულითა და ოქროს ზოდებით, ორდენს შესაძლებლობას აძლევდა ღირსეულად მიეღო „სტუმრები“, ჯამაგირი დაენიშნა დაქირავებული ჯარისკაცებისათვის, აქედან რომ ამწესებდნენ ლაშქრობებსა და ციხესიმაგრეებში კომტურთა გამ-

გებლობის ქვეშ. ჯვრისა და მახვილის ძალა აქ ერწყმოდა უთვალავ სიმდიდრეს და რკინის წესრიგს, რომელსაც იმ ეპოქაში ზვიადი და თავისი ძლიერებით დამთვრალი ჯვაროსნები უკვე არღვევდნენ პროვინციებში, მაგრამ ძველი ტრადიციისამებრ ჯერ კიდევ იცავდნენ მალბორგში. მონარქები აქ მარტო წარმართებთან საბრძოლო ველად ან ფულის სასესხებლად როდი ჩამოდიოდნენ, ჩამოდიოდნენ აგრეთვე მართვის ხელოვნების შესასწავლად, რაინდები კი – სამხედრო ხელოვნების დასაუფლებლად, რადგან მთელს მსოფლიოში ისე არავინ იცოდა მართვა და ბრძოლა, როგორც ჯვაროსნებმა. როცა ორდენი პირველად გამოჩნდა ამ ადგილებში, მას ერთი მტკაველი მიწაც არ გააჩნდა, გარდა იმ ნაგლეჯისა და რამდენიმე ციხესიმაგრისა, რომლებიც მათ წინდაუხედავმა პოლონელმა მთავარმა აჩუქა. ახლა კი ის ფლობდა უზარმაზარ ქვეყანას, უამრავ ნაყოფიერ მიწებს, უფრო მეტს, ვიდრე ზოგიერთი სახელმწიფო, გააჩნდა მრავალი მსხვილი ქალაქი და მიუვალი ციხესიმაგრე. ის ფლობდა ამ ქვეყანას და ფხიზლად უთვალთვალებდა მას, როგორც ობობა თავის ქსელს, რომლის ყველა ბოლო მაგრად ჩაუბღუჯავს. აქედან, ამ მაღალი ციხესიმაგრიდან საფოსტო შიკრიკები მთელს ქვეყანაში მიაქროლებდნენ მაგისტრისა და მის თეთრლაბადიანთა ბრძანებებს საფეოდო მამულებში, ქალაქების საბჭოებში, ბურგომისტრებთან, მმართველებთან და მათ მოადგილეებთან, დაქირავებული ჯარების კაპიტნებთან. ყველაფერი, რაც აქ ჭკუისა და ნებისყოფის წყალობით იბადებოდა, მაშინვე ცხოვრებაში ხორციელდებოდა ათასობით რკინის ხელის წყალობით. აქეთ მოედინებოდა მთელი ქვეყნიდან ფული, პური, ყველანაირი სურსათის უღელქვეშ მგმინავი თეთრი სამღვდელოების ხარკი. ხარკი მოჰქონდათ სხვა მონასტრებსაც, რომელთაც ალმაცერად უყურებდა ორდენი, დაბოლოს აქედან ორდენის მტაცებელი კლანჭები სულ უფრო და უფრო შორს მიიწევდა მეზობელი ხალხისა და მეზობელი მიწებისაკენ.

ლიტვურ ენაზე მოლაპარაკე მრავალი პრუსიული ტომი უკვე აღგვილი იყო პირისაგან მიწისა. სულ ცოტა ხნის წინ ლიტვა გმინავდა ორდენის რკინის ქუსლის ქვეშ, რომელიც ისე აჭერდა მკერდზე, რომ ყოველ ამოსუნთქვაზე გულიდან სისხლის ნაკადად ეღვრებოდა. პოლონეთმა, მართალია, გაიმარჯვა პლოცკის ცხარე ბრძოლაში, მაგრამ ლოკეტეკის მეფობის დროს დაკარგა თავისი სამფლობელოები ვისლის მარცხენა ნაპირზე, დაკარგა გდანსკი, ტაჩევი, გნევი, სვეცე. ლივონის რაინდთა ორდენი თავს ესხმოდა რუსულ მიწებს და ორთავე ეს ორდენი გერმანული ზღვის პირველი ზვირთივით მიიწევდა სლავთა მიწებისკენ, სულ უფრო და უფრო ფართოდ მილეკავდა სლავურ აღმოსავლეთს.

და უცებ ღრუბელმა დაჩრდილა გამარჯვებულ ჯვაროსან გერმანელთა ელვარება. ლიტვამ ქრისტიანობა პოლონელებისაგან მიიღო, ხოლო კრაკოვის ტახტი მშვენიერი დედოფლის ხელთან ერთად იაგელოს შეხვდა. მართალია, ორდენს ამის გამო არც თავისი მიწები დაუკარგავს და არც ციხესიმაგრეები, მაგრამ იგრძნო, რომ ახლა ძალას ძალა დაუპირისპირდა, მან დაკარგა მიზანი, რისთვისაც ის პრუსიაში არსებობდა. ლიტვის გაქრისტიანების შემდეგ ჯვაროსნებს ისღა დარჩენოდათ, პალესტინაში დაბრუნებულიყვნენ და წმინდა ადგილებში წასული თავიანთი მლოცველებისთვის ედარაჯნათ. მაგრამ იქ დაბრუნება ნიშნავდა ქონებაზე, ხელისუფლებაზე, ძალაუფლებაზე, ბატონობაზე უარის თქმას, უარის თქმას ქალაქებზე, მიწებსა და მთელს სამეფოზე. და აი, ორდენი აფორიაქდა შიშისა და რისხვისაგან, როგორც ზღაპრული გველეშაპი როცა მას გვერდში შუბს ჩასცემენ. მაგისტრ კონრადს ეშინოდა რისკზე წასვლისა და დიდ მეფესთან ომის გაფიქრებაზეც კი ტანში აჟრჟოლებდა. მეფესთან, რომელიც ფლობდა პოლონეთსა და ლიტვას და ვრცელ რუსულ სამფლობელოებს, რომელიც ოლგერდს თათრებისთვის წაერთმია. მაგრამ ჯვაროსანთა უმრავლესობა მაინც მიილტვოდა ომისაკენ, კარგად ესმოდათ, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინების დრო დამდგარიყო, სანამ ძალა კიდევ შესწევდათ, სანამ მათი დიდება არ დაბინდულიყო და მთელი მსოფლიო მათ დასახმარებლად მოიწევდა, სანამ რომის პაპს რისხვა არ დაეტეხა მათი ბუდეებისათვის, რომლის სამკვდრო-სასიცოცხლო მიზანი გახდა არა ქრისტიანობის გავრცელება, არამედ წარმართობის შენარჩუნება.

ამასობაში ხალხებისა და სახელმწიფოთა წინაშე ისინი ბრალს სდებდნენ იაგელოსა და ლიტვას, – მათი მონათვლა ყალბი და თვალთმაქცური იყოო. ამტკიცებდნენ, თითქოს ერთ წელიწადში ყოვლად შეუძლებელია იმისი განხორციელება, რაც ჯვაროსანთა მახვილმა საუკუნის მანძილზე ვერ შესძლოო. ისინი აქეზებდნენ მეფეებსა და რაინდებს პოლონეთისა და მისი ხელმწიფის წინააღმდეგ, წარმართთა დამცველები არიანო, და მათი ხმა, რომელსაც ერთადერთი რომი არ ენდობოდა, მთელს ქვეყანას სწვდებოდა, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან მალბორგისკენ იზიდავდა მთავრებს, გრაფებსა და რაინდებს. ორდენს თანდათან რწმენა უმტკიცდებოდა საკუთარი ძალებისადმი. მარიენბურგი თავისი მრისხანე ციხეებითა და გამაგრებული მისადგომებით ახლა ყველაზე მეტად უბრმავებდა ხალხს თვალებს სიძლიერით, სიმდიდრით, მოჩვენებითი წესრიგით და მთლიანად ორდენი ახლა უფრო უფლებამოსილი და უძლეველი ეჩვენებოდათ. და ვერც ერთი მთავარი, ვერც ერთი რაინდი – ორდენის სტუმართაგან, თვით

ვერც ერთი ჯვაროსანი, მაგისტრის გარდა, ვერ ხვდებოდა, რომ ლიტვის გაქრისტიანების დღიდან მოხდა რაღაც ისეთი, რაც მდინარე ნოგატის ტალღებივით, თითქოს რომ იცავდა საშინელ სიმაგრეს, სინამდვილეში ნელ-ნელა ძირს უთხრიდა მის კედლებს. არავის ესმოდა, რომ გოლიათის სხეულს ძალა კი შერჩენოდა, მაგრამ სული მისგან გაფრენილიყო. ამ ზეაღმართული „ex luto Marienburg“-ის ხილვაზე, ამ კედლების, კოშკების, ჭიშკრებზე, სახლებსა და ტანსაცმელზე გამოხატული შავი ჯვრების დანახვაზე ყველა ახალჩამოსულს, უპირველეს ყოვლისა, ებადებოდა აზრი, რომ თვით ჯოჯოხეთის მალები ვერ დაძლევდნენ ქრისტეს ჯვრის ამ ჩრდილოეთის სიმაგრეს.

ასეთივე აზრები უტრიალებდა ახლა თავში არა მარტო პოვალა ტაჩეველს, არამედ ზბიშკოსაც, რომელიც აქ უკვე ნამყოფი იყო, და მათზე გაცილებით უფრო გამჭრიახ ზინდრამ მაშკოვიცელსაც. როცა ის ამ ჭიანჭველებივით აფუსფუსებული შეიარაღებული ჯარისკაცების ბუდეს უყურებდა, გარშემო კოშკები და მაღალი გალავანი რომ ერტყა, სახე მოეღუშა და რატომღაც ჯვაროსნების თავხედური ნათქვამი გაახსენდა, მეფე კაზიმეჟს რომ დაემუქრნენ:

„ჩვენ შენზე ძლიერები ვართ. თუ არ დაგვნებდები, თვით კრაკოვამდე მიგყვებით მახვილებით ხელში“.

მაგრამ ამ დროს ციხის კომტურმა სტუმრები შიდაციხისკენ წაიყვანა, სადაც აღმოსავლეთ ფრთაზე სტუმართა პალატები იყო მოთავსებული.

XI

მაცკო და ზბიშკო დიდხანს ეხვეოდნენ ერთმანეთს; მათ ყოველთვის დიდი სიყვარული აკავშირებდათ, ახლა კი ყველა იმ უბედურების შემდეგ, რაც თავს გადახდათ, სიყვარული კიდევ უფრო გაუღრმავდათ. მოხუცმა რაინდმა თვალი შეავლო თუ არა ძმისწულს, მაშინვე მიხვდა, რომ დანუსია აღარ იყო ამქვეყნად, ამიტომ აღარაფერი უკითხავს, მხოლოდ მაგრად იკრავდა გულში ჭაბუკს. ამით უნდოდა ეგრძნობინებინა, მთლად ობოლი არა ხარ ქვეყანაზე, შენს გვერდით არის ცოცხალი ადამიანი, რომელიც მზადაა გაინაწილოს შენი მძიმე ხვედრიო.

როცა ცრემლებმა ცოტა გულს მოუფონეს, დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ მაცკომ ჰკითხა:

– ისევ წაგართვეს თუ შენს ხელში მოკვდა?

– ჩემს ხელში დალია სული, ზედ სპიხოვის მისასვლელთან, – უპასუხა რაინდმა.

მერე ყველაფერი დაწვრილებით უამბო, ხშირად სიტყვას აწყვეტინებდა ცრემლი და ოხვრა, მაცკო კი მთელი გულისყურით უსმენდა და ისიც ოხრავდა.

როცა ზბიშკომ თხრობა დაასრულა, ჰკითხა:

– იურანდი ისევ ცოცხალია?

– მე კი ცოცხალი დავტოვე, მაგრამ ამ ქვეყნისა აღარ იყო და ალბათ ვეღარც ვნახავ ვერასოდეს.

– იქნებ სჯობდა არ წამოსულიყავი.

– როგორ შემეძლო თქვენი მიტოვება?

– ერთი-ორი კვირით ადრე თუ გვიან, რა მნიშვნელობა აქვს!

ზბიშკომ დაჟინებით შეხედა და უთხრა:

– თქვენ, გეტყობათ, უქეიფოდ უნდა იყოთ? მკვდრები უარესად არ გამოიყურებიან.

– მზე კი ათბობს დედამიწას, მაგრამ ჯურღმულში ყოველთვის ცივა და ნესტიცაა, ციხეს ხომ გარშემო წყალი ჩამოუდის. მეგონა, ვეღარ გავუძლებდი. ჰაერიც არ მყოფნიდა, ჭრილობამაც გამიხსენა, აი... იმან, რკინის ნატეხი რომ გამოვიდა ბოგდანეცში თახვის ქონით, ხომ გახსოვს.

– მახსოვს, როგორ არ მახსოვს, – უთხრა ზბიშკომ, – მე და იაგენკა ხომ თახვზე ვიყავით მაშინ სანადიროდ. მაშ ამ ძაღლებმა ჯურღმულში ჩაგაგდეს?

მაცკომ თავი დაუქნია.

– სიმართლე რომ გითხრა, – განაგრძო მან, – ალმაცერად მიყურებდნენ, მეგონა, კარგად არ დასრულდებოდა ეს საქმე. მეტისმეტად არიან გაგულისებული ვიტოლდსა და ჟმუდელებზე, უფრო მეტად კი ჩვენზე, ვინც მათ ვეხმარებოდით. ამაოდ ვუხსნიდი, რატომ დაგვჭირდა ჟმუდელებთან წასვლა. აქამდე თავს მომკვეთავდნენ, მაგრამ გამოსასყიდი დაენანათ; ფული მაგათთვის შურისძიებაზე უტკბილესია,– დამადასტურებელი საბუთიც არაფერი ჰქონდათ ხელთ, რომ პოლონელთა მეფე წარმართებს ეხმარება. ჩვენ კი ვიყავით იქ და ვიცით, როგორ იხვეწება ჟმუდელთა უმრავლესობა, მოგვნათლეთო, მაგრამ ჯვაროსნებისგან გაქრისტიანება არ სურთ. ესენი

თავს იკატუნებენ, ვითომც არაფერი ვიცითო, დაბეზღებას კი არ აკლებენ არც ერთ სახელმწიფოში და მათთან ერთად ჩვენს მეფესაც ზედ მიაყოლებენ.

ამ დროს მაცკოს სუნთქვა შეეკრა და იძულებული გახდა ცოტა ხანს გაჩუმებულიყო, სული რომ მოითქვა, ისევ განაგრძო:

– იმ ჯურღმულში ამომძვრებოდა სული. მართალია, არნოლდ ფონ ბადენი გამომექომაგებოდა ხოლმე, თუმცა იმასაც მარტო გამოსასყიდი აინტერესებდა. მაგრამ დიდად პატივს არ სცემენ, დათვს ეძახიან. საბედნიეროდ, არნოლდის საშუალებით მომაგნო დე ლორშმა და ერთი ამბავი ატეხა. არ ვიცი, მოგიყვა თუ არა ამ ამბავს, მალავს ხოლმე თავის კეთილ საქმეებს... დიდ პატივში ჰყავთ, რომელიღაც მაგისი წინაპარი ორდენში ცნობილი დიდებული ყოფილა, ესეც სახელოვანი და მდიდარი კაცია. დე ლორშმა ჯვაროსნებს უთხრა, მე თვითონ ვარ მაგათი ტყვეო და, თუ მე თავს მომკვეთავდნენ ან სინესტეში შიმშილით ჩავკვდებოდი, ვითომ არც მაგას დაადგებოდა კარგი დღე. კაპიტულს დაემუქრა, დასავლეთის ხელმწიფეთა კარზე ყველას მოვუყვები, როგორ ექცევით ჯვაროსნები ქამრიან რაინდებსო. გერმანელები შეშინდნენ და ლაზარეთში გადამიყვანეს, იქ ჰაერიც სუფთაა და საკვებიც უკეთესი.

– დე ლორშისგან ერთ კაპიკს არ ავიღებ, ღმერთსა ვფიცავ!

– მტრისგან ფულის აღება მადლია, მეგობარს კი უნდა აპატიო, – უთხრა მაცკომ, – ხოლო რაკი ყური მოვკარი, რომ გერმანელები და ჩვენი ხელმწიფე ტყვეების გაცვლაზე მორიგებულან, შენც აღარ დაგჭირდება ფულის გადახდა.

– მერე ჩვენი რაინდული სიტყვა? – შესძახა ზბიშკომ. მორიგება მორიგებაა, მაგრამ არნოლდს ხომ უფლება ექნება უპირობაზე გვისაყვედუროს.

მაცკოს ეწყინა ამ სიტყვების გაგონება. ერთხანს იფიქრა, მერე კი თქვა.

– შეიძლებოდა შევვაჭრებოდით.

– ფასი ხომ ჩვენ თვითონ დავადეთ ჩვენს თავს. ახლა ნუთუ ნაკლები ვღირვართ?

მაცკო კიდევ უფრო მოიღუშა, მაგრამ მის კეთილ გამოხედვაში ზბიშკოსადმი მეტი სიყვარული გამოკრთა.

– კარგად იცი საკუთარი ღირსების დაცვა... დაბადებითა ხარ ასეთი, – ცხვირში ჩაიდუდღუნა მან.

და ამოიხვნეშა. ზბიშკოს ეგონა, ფონ ბადენისთვის მისაცემი ფული ადარდებსო და უთხრა:

– ეჰ! ფული არ გვაკლია, ღვთის წყალობით. ეგ არის, ბედი გვერგო მწარე...

– ყველაფერი გამოკეთდება! – მღელვარებით თქვა მოხუცმა რაინდმა, – მე დიდი ხნის სიცოცხლე აღარ მიწერია.

– ნუ ამბობთ მაგას! როგორც ჰაერზე გამოხვალთ და ქარი დაგკრავთ, მაშინვე მომჯობინდებით.

– ქარი? ქარი ახალგაზრდა ხეს ღუნავს, ბებერს კი ამტვრევს.

– არა! თქვენ ჯერ ძვლები არა გტკივათ და სიბერემდისაც ბევრი გიკლიათ! გულს ნუ გაიტეხთ.

– შენ რომ კარგ გუნებაზე იყო, მეც აღარ ვიდარდებდი. მაგრამ დასაღონებელი მიზეზი მაინც მაქვს, და თუ სიმართლე გინდა, მარტო მე კი არა, ჩვენ ყველას.

– რა მიზეზია ამისთანა? – ჰკითხა ზბიშკომ.

– გახსოვს, ერთხელ სკირვოილოს ბანაკში როგორ გამოგლანძღე, ჯვაროსნების სიძლიერეს რომ აქებდი? ჩვენი ხალხი ბრძოლაში მართლაც რომ შეუდარებელია, მაგრამ აქაურ ძაღლებს ახლა უფრო ახლოს დავაკვირდი.

ამაზე მაცკომ ხმას დაუწია, თითქოს შეეშინდა, ვინმე არ მისმენდესო.

– მე ახლა ვხედავ, რომ შენ მართალი იყავი. ღმერთო, გვიხსენი და შეგვიწყალე! ეს რა ძალაა, ეს რა ძლიერებაა! ჩვენს რაინდებს ხელები ექავებათ, ბრძოლისაკენ მიისწრაფიან, იმას კი აღარ კითხულობენ, რომ ჯვაროსნებს ყველა ხალხი და ყველა მეფე დახმარების ხელს უწვდის, რომ ფულიც ჩვენზე მეტი აქვთ, ჩვენზე უკეთესად არიან გაწვრთნილებიც, ციხეებიც ჩვენზე მაგარი აქვთ და იმათ იარაღთანაც ახლოს ვერ მივა ჩვენი. ღმერთო, გვიხსენი და შეგვიწყალე!.. ჩვენთანაც და აქაც ხალხი დიდ ომს წინასწარმეტყველებს, ალბათ მართლაც იქნება ომი, და თუ დაიწყო, ღმერთო, შენ შეეწიე მაშინ ჩვენს სამეფოსა და ჩვენს ხალხს!

მაცკომ შეჭაღარავებულ თავზე შემოიჭდო ორთავე ხელი, იდაყვები მუხლებზე დააყრდნო და მიყუჩდა.

– აი, ხომ ხედავთ! – უთხრა მას ზბიშკომ. – ცალ-ცალკე ბევრი ჩვენგანი სჯობია ბევრ მათგანს, მაგრამ დიდი ომი თუ დაიწყო, თქვენ თვითონ კარგად გესმით...

– ოჰ, მესმის, მესმის! ღმერთმა ქნას, რომ მეფის ელჩებიც მიხვდებოდნენ ამას, განსაკუთრებით მაშკოვიცელი რაინდი.

– ვუყურებდი, როგორ ჩამოუშავდა სახე. გამოცდილი მებრძოლია, ამბობენ, იმაზე უკეთესად სამხედრო საქმე კაცს არ ესმისო ამ ქვეყანაზე.

– რაკი ეგრეა, მაშინ ომიც აღარ იქნება.

– თუ ჯვაროსნებმა დახედეს, რომ ჩვენზე ძლიერები არიან, მაშინ ომი არ აგვცდება. ისე, კაცმა სიმართლე რომ თქვას, ასეთ ცხოვრებას უკეთესია ბოლო მოგვეღოს...

თავისი მწარე ხვედრითა და ხალხის უბედურებით გულდამძიმებულმა ზბიშკომ თავი ჩაქინდრა.

– მენანება ჩვენი დიდი სამეფო, – თქვა მაცკომ, – და მეშინია ღმერთმა არ დაგვსაჯოს მეტისმეტი სითამამისათვის. გახსოვს ვაველში, შენთვის თავის მოკვეთა რომ უნდოდათ და არ მოგკვეთეს, ჩვენმა რაინდებმა წირვის წინ კათედრალური ტაძრის კარიბჭესთან რომ დაიტრაბახეს, თვით კოჭლ თემურს შევებრძოლებითო. თემურს – ორმოცი სამეფოს პატრონს, რომელმაც ადამიანთა თავებისაგან მთები დადგა... ჯვაროსნები ეცოტავათ! ყველასთან ერთბაშად მოუნდათ შერკინება და იქნებ სწორედ ეს არის ცოდვა.

ზბიშკოს რომ მოაგონდა, როგორ უპირებდნენ თავის მოკვეთას, ხელი იტაცა ქერა თმაზე და უსაზღვროდ მწუხარემ წამოიძახა:

– მერე ვინ გადამარჩინა ჯალათის ხელიდან? იმან! იმან! ოი, ღმერთო! ჩემო დანუსკა!.. ოი, ღმერთო!..

და მან დაიწყო თმების გლეჯა და ხელების კბენა, ცრემლები რომ შეეკავებინა, – ისე ატკინა გული ამ უეცრად წამოშლილმა ნაღველმა.

– ზბიშკო, ღმერთისა აღარ გეშინია!... გაჩერდი! – შესძახა მაცკომ. – ხომ იცი, რომ ვერაფერს უშველი? შეიკავე თავი, გაჩერდი!..

მაგრამ ზბიშკო დიდხანს ვერ დაწყნარდა, გონს მხოლოდ მაშინღა მოეგო, როდესაც ავადმყოფობით დასუსტებული მაცკო წაბარბაცდა და უგონოდ დაეცა სკამზე. ახალგაზრდა რაინდმა ის საწოლში ჩააწვინა, ციხის კომტურის გამოგზავნილი ღვინო მიაწოდა და გვერდიდან არ მოშორებია, სანამ მოხუცმა რაინდმა არ ჩაიძინა.

მეორე დღეს გვიან გაიღვიძეს, დასვენებულები იყვნენ და ცოცხლად გამოიყურებოდნენ.

– აბა, თქვა მაცკომ, – ეტყობა, ჯერ არ დამდგარა ჩემი აღსასრულის დღე, გარეთ რომ გავალ და ველის სიო დამბერავს, ალბათ ცხენზეც შევძლებ შეჯდომას.

– ელჩები აქ კიდევ რამდენიმე დღე დარჩებიან, – უპასუხა ზბიშკომ, – ხალხი გაუთავებლად დადის მათთან და ტყვეების განთავისუფლებას სთხოვს, მაზოვიაში ან ველკოპოლსკაში მათი ყაჩაღობის დროს რომ ჩაიგდეს ხელში ჩვენებმა. ჩვენ კი, როცა მოისურვებთ და შესძლებთ, მაშინ შეგვიძლია წასვლა.

ამ დროს ჰლავა შემოვიდა.

– ხომ არ იცი, რას აკეთებენ ელჩები? – ჰკითხა მოხუცმა რაინდმა.

– დედაციხესა და ტაძარს ათვალიერებენ, – უპასუხა ჩეხმა, – ციხის კომტური დაჰყვებათ, მერე კი სადილად წავლენ დიდ დარბაზში; მაგისტრი თქვენს დაძახებასაც აპირებს ამ სადილზე.

– დილას აქეთია შენ რაღას აკეთებდი?

– გერმანელების დაქირავებულ ჯარისკაცებს ვუყურებდი, რომლებსაც კაპიტნები წვრთნიდნენ, და ჩვენსას, ჩეხებისას ვადარებდი.

– ჩეხი ქვეითები გახსოვს განა?

– პატარა ბიჭი ვიყავი, რაინდმა ზიხ ზგოჟელიცელმა რომ ტყვედ წამომიყვანა, მაგრამ მაინც კარგად მახსოვს: ბავშვობიდან მიტაცებდა ეს საქმე.

– მერე რას ფიქრობ?

– არაფერს! ჯვაროსნებს ძლიერი და კარგი გაწვრთნილი ქვეითი ჯარი ჰყავთ; მაგრამ ესენი მაინც ხარები არიან, ჩეხები კი – მგლები. ომი რომ ატყდეს, ხომ იცით, ხარები მგლებს არა სჭამენ, მგლებს კი ძალიან უყვართ საქონლის ხორცი.

– ეგ მართალია, – თქვა მაცკომ, რომელმაც, ეტყობოდა, რაღაც-რაღაცეები იცოდა ამ საქმისა, – თქვენი გადამკიდე მაშინვე უკან გადახტება, თითქოს ზღარბს გადაჰყროდეს.

– ბრძოლაში ცხენოსანი რაინდი ათ ქვეითს უდრის, თქვა ზბიშკომ.

– მაგრამ მარიენბურგის აღება მხოლოდ ქვეით ჯარს შეუძლია, – შეეკამათა საჭურველმტვირთველი.

ამით ქვეით ჯარზე ლაპარაკი შეწყდა, რადგან მაცკო თავის აზრთა მდინარებას მიჰყვა და თქვა:

– ყური მიგდე, ჰლავა. დღეს ალბათ მაძღრისად შევჭამ და როგორც კი ვიგრძნობ, რომ ძალა მოვიკრიბე, მაშინვე წავიდეთ.

– სად წავალთ? – იკითხა ჩეხმა.

– ცხადია მაზოვიაში, სპიხოვში, უპასუხა ზბიშკომ.

– მერე იქ დავრჩებით?..

მაცკომ გაკვირვებით შეხედა ზბიშკოს; აქამდე არ ულაპარაკიათ, რა უნდა ეკეთებინათ ამის შემდეგ. იქნებ ახალგაზრდა რაინდს უკვე გადაწყვეტილიც ჰქონდა, მაგრამ ბიძის განაწყენება არ უნდოდა და პირდაპირ პასუხს თავი აარიდა:

– ჯერ თქვენ უნდა მოკეთდეთ.

– მერე?

– მერე? თქვენ ბოგდანეცში დაბრუნდებით. მე ხომ ვიცი, როგორ გიყვართ ბოგდანეცი.

– შენ?

– მეც მიყვარს.

– მე არ გეტყვი, იურანდთან არ წახვიდე-მეთქი, – დინჯად ჩაილაპარაკა მაცკომ. – თუ გარდაიცვალა, ღირსეული დასაფლავება ეკუთვნის, ოღონდ მისმინე, რა უნდა გითხრა: შენ ჯერ ჭაბუკი ხარ და ჭკუით მაინც ვერ გამისწორდები. უბედური ადგილია ეგ სპიხოვი. თუ როდესმე რამეში წარმატება გქონია, განა ეს სპიხოვში ყოფილა! იქ შენ მძიმე დარდისა და ტანჯვის მეტი არაფერი გინახავს.

– ეგ ეგრეა, – თქვა ზბიშკომ, – მაგრამ იქ ხომ ჩემი დანუსიაა დასაფლავებული...

– გაჩუმდი! – შესძახა მაცკომ, შეეშინდა, ისევ გუშინდელივით არ მიეცესო მწუხარებას.

მაგრამ ახალგაზრდა რაინდს სახეზე მხოლოდ გულს მოწოლილი კაეშანი ეწერა.

– ჩვენ კიდევ გვექნება დრო სალაპარაკოდ, – თქვა ზბიშკომ წუთის შემდეგ. – პლოცკში, სულ ერთია, უნდა შეისვენოთ.

– იქ, თქვენო მოწყალებავ, კარგად იზრუნებენ თქვენზე, – ჩაერია ჰლავა.

– მართალია! – შესძახა ზბიშკომ, – იცით, რომ იაგენკა იქ არის? ქალბატონ ალექსანდრას სეფექალია, თუმცა ეგ როგორ არ იცით, თქვენ თვითონ არ ჩაიყვანეთ? თურმე სპიხოვშიც ყოფილა. მარტო ის მიკვირს, რომ არაფერი მითხარით ამაზე სკირვოილოსთან ყოფნისას.

– ის არაფერი, რომ სპიხოვში იყო. უიმისოდ იურანდი დღესაც ხელის ფათურით იხეტიალებდა შარაგზებზე, ან არადა სადღაც ღობის ძირში ჩაკვდებოდა. მე ის პლოცკში აბატის მემკვიდრეობის მისაღებად ჩავიყვანე, შენ კი არაფერი გითხარი, რადგან მაშინ აზრი არა ჰქონდა ლაპარაკს, იმ ხანებში, შე უბედურო, არაფერი გესმოდა.

– იაგენკას თქვენ ძალიან უყვარხართ, – უთხრა ზბიშკომ, კიდევ კარგი, რომ არავითარი წერილი არ დაგვჭირდა: მან ხომ გამოართვა წერილი თქვენთვის ქალბატონს და ქალბატონის მეშვეობით ორდენის ელჩებსაც.

– ღმერთმა დალოცოს, იმაზე უკეთესი ქალიშვილი დედამიწის ზურგზე არ დადის! – თქვა მაცკომ.

ლაპარაკი შეაწყვეტინათ ზინდრამ მაშკოვიცელისა და პოვალა ტაჩეველის შემოსვლამ. გაეგოთ, მაცკო წუხელ შეუძლოდ იყოო და მოსანახულებლად მოსულიყვნენ.

– დიდება უფალს! – გადმოაბიჯა ზღურბლზე ზინდრამმა. – ახლა როგორ ბრძანდებით?

– მადლობთ, ახლა არა მიჭირს რა! აი, ზბიშკო მეუბნება, როგორც კი ჰაერზე დაიწყებ სიარულს, უკეთ გახდებიო.

– რა თქმა უნდა... კარგად იქნებით, – ჩაერია პოვალა.

– კარგა გემოზეც მეძინა! – განაგრძობდა მაცკო. თქვენსავით ალიონზე კი არ ავმდგარვარ.

– მართალია. ჯერ აქაური ხალხი მოვიდა, ტყვეები გაგვიცვალეთო, – თქვა ზინდრამმა, – მერე ორდენის მეურნეობა ვნახეთ, სიმაგრეც დავათვალიერეთ და ორთავე ციხესა და ფორბურგს ვეწვიეთ.

– მძლავრი მეურნეობა აქვთ და მაგარი ციხეები! ჩაილაპარაკა მოღუშულმა მაცკომ.

– დიახ, მაგარი. ტაძარში არაბული სამკაულები აქვთ, – ჯვაროსნები იძახიან, ასეთი ძერწვა სიცილიაში ვისწავლეთო სარკინოზებისაგან. ციხე-

ებში კი თაღებიანი ოთახებია, ზოგი ერთ სვეტზეა დაყრდნობილი, ზოგი რამდენიმეზე. თქვენ თვითონ ნახავთ დიდ სანადიმო დარბაზს. ირგვლივ როგორღაა გამაგრებული ყველაფერი, მაგის მსგავსს სხვაგან ვერაფერს იხილავთ. ყველაზე დიდი ქვის ყუმბარაც ვერას დააკლებს ასეთ კედლებს. თვალს სიამოვნებს, რომ უყურებ...

ზინდრამი ისეთი ხალისით ლაპარაკობდა, ზბიშკო გაოცებული მიაჩერდა.

– სიმდიდრე თუ გინახავთ ამათი, – ჰკითხა მოხუცმა რაინდმა, – როგორი წესები აქვთ, რამდენი ჯარი ჰყავთ და რამდენი სტუმარი?

– ყველაფერი გვაჩვენეს ვითომდა სტუმართმოყვარეობის გამო, სინამდვილეში კი ჩვენი გულის გასახეთქად.

– მერე?

– მერე, თუ ღმერთი ინებებს და ომი მაინც ატყდება, ისევ იქით გადავრეკავთ, საიდანაც მოსულან.

მაცკო გაოცდა და ადგილიდანაც კი წამოხტა, ავადმყოფობა აღარ გახსენებია.

– ნუთუ მართლა? – შესძახა მან. – თქვენზე ამბობენ, ჭკვიანი კაციაო... თორემ გონს გადავედი, როცა მათი ძლიერება დავინახე... ღმერთო დიდებულო! თქვენ რატომ ფიქრობთ ასე?

მაცკო ძმისშვილს მიუბრუნდა:

– უბრძანე, ზბიშკო, ღვინო შემოიტანონ, წუხელ რომ მოგვართვეს. დაბრძანდით, ძვირფასო სტუმრებო, და მოჰყევით! ამაზე უკეთეს წამალს ჩემი ავადმყოფობისთვის ვერც ერთი მკურნალი ვერ მოიფიქრებდა.

ზბიშკოც შეეპყრო ცნობისმოყვარეობას. საკუთარი ხელით დადგა აზარფეშა და თასები, ყველანი მაგიდას მიუსხდნენ და მაშკოვიცელმა ბატონმა დაიწყო:

– სიმაგრეები ფუჭი საქმეა: რაც კაცის ხელს აუგია, მასვე შეუძლია დაანგრიოს. იცით თუ არა, რითი ადუღაბებენ აგურს? – კირით. ადამიანებს რაღა ადუღაბებს? – სიყვარული.

– ღმერთო დიდებულო! – შესძახა მაცკომ. გინდა თქვენთან გილაპარაკია და გინდა თაფლით ჩაგიტკბარუნებია პირი!

ზინდრამს გულში ესიამოვნა ქება და განაგრძო:

– აქაურთაგან ზოგს ძმა ჰყავს ჩვენთან ბორკილებში ჩაჭედილი, ზოგს – შვილი, ზოგსაც – სიძე ან მეგობარი. სასაზღვრო რაიონების კომტურები ჩვენთან დასარბევად ძალით აგზავნიან მათ, ამის გამო ერთი და ორი არ წააგებს თავს და არ ჩაგვივარდება ხელში. მაგრამ ხალხმა უკვე გაიგო მეფისა და მაგისტრის მოლაპარაკების ამბავი და დილიდან მათი ნაკადი არ შეწყვეტილა. გვთხოვენ, რომ ჩვენმა მწერალმა ჩაიწეროს მათი დატყვევებული ნათესავების გვარები. პირველი მოვიდა აქაური მეკარე, მდიდარი მოქალაქე, გერმანელი, საკუთარი სახლი აქვს მალბორგში. აი, წასვლისას რა მითხრა: „რომ შემეძლოს რამით ვემსახურო თქვენს მეფესა და სამეფოს, სიმდიდრეს კი არა, საკუთარ თავს არ დავიშურებდიო!“ გავისტუმრე – იუდა მეგონა. მაგრამ მერე ძმის გამოსახსნელად ოლივიელი ქსონძი მოვიდა. და, აი, რა მითხრა: „მართალია, ბატონო რაინდო, რომ ამბობენ, ომს აპირებენო ჩვენს პრუსიელ მეფეებთან? პირდაპირ გეტყვით: როცა ჩვენი ხალხი იმეორებს ლოცვის სიტყვებს: „და მოვიდენ სუფევა შენი!“ მაშინ თქვენს მეფეს გულისხმობსო“. მერე შვილების გამოხსნა მთხოვა ორმა დიდებულმა, შტუმის მახლობლად ფეოდები უჭირავთ, მოვიდნენ ვაჭრები გდანსკიდან, ხელოსნები, ზარების ჩამომსხმელი ოსტატი კვიძინიდან, უზომოდ ბევრი ხალხი მოგროვდა და ყველა ერთსა და იმავეს იმეორებდა.

მაშკოვიცელი ბატონი გაჩუმდა, წამოდგა, მიიხედ-მოიხედა, ვინმე ხომ არ გვაყურადებს კარებს იქიდან, მერე ისევ დაბრუნდა, ხმას დაუწია და დაასრულა:

– მე დიდხანს ვსაუბრობდი, ყველაფერი გამოვიკითხე. მთელს პრუსიაში თვალის დასანახავად ეჯავრებათ ჯვაროსნები მღვდლებსა თუ თავადებს, ქალაქელებსა თუ გლეხებს. განა მხოლოდ იმ ხალხს ეჯავრება, ვინც ჩვენებურად ან პრუსიულად ლაპარაკობს: თვითონ გერმანელებსაც. ვინც ვალდებულია ემსახუროს, ემსახურება, მაგრამ შავი ჭირივით სძულთ ჯვაროსნები. აი, ასე არის საქმეები...

– კი მაგრამ, რა შუაშია აქ ორდენის ძლიერება? – იკითხა შეშფოთებულმა მაცკომ.

ზინდრამმა ხელი გადაისვა ჭკვიან შუბლზე, დაფიქრდა, თითქოს შესადარებლად ეძებსო რაღაცას, მერე კი ღიმილით ჰკითხა:

– ორთაბრძოლაში შებმიხართ ვინმეს?

– რა თქმა უნდა! არა ერთხელ და ორჯერ! – უპასუხა მაცკომ.

– როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა რაინდი, თუნდაც ყველაზე ძლიერი, პირველი დარტყმისთანავე გადმოვარდეს ცხენიდან, თუ მას მოსართავი და უზანგები გადაჭრილი აქვს?

– რასაკვირველია.

– აი, ხომ ხედავთ! ორდენი სწორედ ეგეთი რაინდია.

– ჭეშმარიტებაა! – შესძახა ზბიშკომ. – ამაზე უკეთესს წიგნშიც ვერაფერს წაიკითხავ.

აღელვებულმა მაცკომ კი აცახცახებული ხმით წაილაპარაკა:

– მადლობელი ვარ კეთილი სიტყვისთვის. მეჯავშნეს ალბათ თქვენი თავისთვის განსაკუთრებული მუზარადის გაკეთება დასჭირდება, გამზადებულს ვერ მოირგებთ.

XII

მაცკო და ზბიშკო მაშინვე აპირებდნენ მალბორგიდან გამგზავრებას, მაგრამ იმ დღეს, როცა ზინდრამ მაშკოვიცელმა ასე გაამხნევა, წასვლა ვერ მოახერხეს, დედაციხეში სადილი და შემდეგ ვახშამი იყო გამართული ელჩებისა და სტუმრების პატივსაცემად. ზბიშკოც მიიპატიჟეს, როგორც მეფის რაინდი, და მასთან ერთად მაცკოც მიიწვიეს. სადილს ვიწრო წრე ესწრებოდა. ბრწყინვალე ათფანჯრიანი ხალვათი სატრაპეზოს თითებიანი თაღი, ხუროთმოძღვრებაში იშვიათად გამოყენებული წესის მიხედვით, ერთი სვეტით იყო დამაგრებული. მეფის რაინდების გარდა უცხოელთაგან სუფრასთან მოპატიჟებული იყო მხოლოდ ორი გრაფი – შვაბიისა და ბურგუნდიისა. ეს უკანასკნელი თუმცა მდიდარი მბრძანებლების ქვეშევრდომი გახლდათ, მაგრამ იმათი სახელით ჯვაროსნებთან ფულის სასესხებლად ჩამოვიდა. ადგილობრივ დიდებულთაგან მაგისტრის გვერდით დაბრძანდა ორდენის ეგრეთ წოდებული ოთხი ბურჯი: დიდი კომტური, მოწყალების გამცემი ბერი, სამოსის მცველი და ხაზინადარი. მეხუთე ბურჯი ანუ მარშალი ვიტოლდთან საბრძოლველად იყო წასული.

მართალია, ჯვაროსნებს სიღარიბის აღთქმა ჰქონდათ მიცემული, მაგრამ სულ ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლით მიირთმევდნენ მალვაზიას, რადგან მაგისტრს გადაწყვეტილი ჰქონდა სიმდიდრით თვალები დაებრმავებინა პოლონელი ელჩებისთვის. საჭმელ-სასმელი უხვად მოჰქონდათ და მასპინძლები გულმოდგინედ სთავაზობდნენ სტუმრებს, მაგრამ სტუმრები

გუნებაზე ვერ იყვნენ, საუბარი არ გამოსდიოდათ, ყველას სიდინჯე მართებდა. სამაგიეროდ, ვეება საერთო სატრაპეზოში (Convents Remter) ვახშამზე გაცილებით მეტი მხიარულება იყო; აქ ყველა ბერ-რაინდსა და სტუმარს მოეყარა თავი, ვისაც ვერ მოესწრო მარშალს გაჰყოლოდა ვიტოლდის წინააღმდეგ სალაშქროდ. არც დავა ყოფილა, არც ჩხუბი, მხიარულება არაფერს დაუჩრდილავს. მართალია, უცხოელმა რაინდებმა იცოდნენ, რომ პოლონელებთან ბრძოლა არ ასცდებოდათ და ალმაცერად უყურებდნენ მათ, მაგრამ ჯვაროსნებმა ისინი წინასწარ გააფრთხილეს, თავდაჭერილად მოიქეცით, რათა ელჩების შეურაცხყოფით მეფე და მთელი სამეფო არ შეურაცხყოთო. თუმცა იმასაც ეუბნებოდნენ, პოლონელები გულფიცხი ხალხიაო, და ამითი თავიანთ არაკეთილმოსურნეობას ამჟღავნებდნენ. „ცოტას რომ შეთვრებიან, ერთი მოუზომელი სიტყვა და მაშინვე წვერში გწვდებიან, ან დანას გაგიყრიანო“. ამიტომაც გააოცა სტუმრები პოვალა ტაჩეველისა და ზინდრამ მაშკოვიცელის გულთბილობამ, უფრო ჭკვიანები კი მიხვდნენ, რომ ცუდ თვისებებს პოლონელები კი არ ამჟღავნებდნენ, პირიქით, ჯვაროსნებს ჰქონდათ შხამიანი და ბოროტი ენები.

ზოგიერთ სტუმარს, ვინც დახვეწილ გართობას იყო ჩვეული დასავლეთის ბრწყინვალე მეფეთა კარზე, თვითონ ჯვაროსნების ცხოვრების ნირზე საკმაოდ არასასურველი წარმოდგენა შეექმნა, რადგან ვახშამზე მუსიკოსები საკმაოდ ხმამაღლა უკრავდნენ, სიმღერებიც უღირსი იყო, მასხარები უხეშად ხუმრობდნენ, დათვები და ფეხშიშველი ქალები კი ერთად ცეკვავდნენ. როცა ვიღაცამ გაოცება გამოთქვა, აქ ქალებს რა ესაქმებაო, აღმოჩნდა, რომ ორდენს უკვე დიდი ხანია დავიწყებოდა აღკვეთის წესები და თვითონ დიდი ვინრიხ კნიპროდე ცეკვავდა აქ თავის დროზე ლამაზ მარია ფონ ალფლებენთან ერთად. ბერებმა განმარტეს, რომ ქალებს ციხესიმაგრეში ცხოვრება ეკრძალებათ, მაგრამ ნადიმებზე დასწრების უფლება აქვთ, და რომ შარშან ვიტოლდის მეუღლე, რომელიც მეფური ფუფუნებით მოწყობილ ძველ საზარბაზნეში ცხოვრობდა, ყოველდღე მოდიოდა აქ ოქროს შაშის სათამაშოდ და ამ შაშს საღამოს საჩუქრად უძღვნიდნენ მას.

იმ საღამოს მარტო შაშითა და ჭადრაკით კი არ ერთობოდნენ, თამაშობდნენ კოჭსაც; თამაშში ბევრი ჩაება, რადგან ლაპარაკს სიმღერები და ხმამაღალი ორკესტრი ახშობდა. მაგრამ ამ საერთო ხმაურში ხანდახან წუთით სიჩუმეც ჩამოვარდებოდა ხოლმე. ზინდრამ მაშკოვიცელმაც ერთი ასეთი წუთით ისარგებლა, თავი მოიკატუნა, ვითომდა არაფერი ვიციო, და მაგისტრს ჰკითხა, ძალიან უყვართ თუ არა ორდენი მის ქვეშევრდომ ქვეყნებსო.

– ვისაც ჯვრის სიყვარული აქვს, – უპასუხა მას კონრად ფონ იუნგინგენ-მა, იმას ორდენიც უნდა უყვარდეს.

პასუხი ჯვაროსნებსაც მოეწონათ, სტუმრებსაც და მაგისტრს ამის გამო ქება შეასხეს, ხოლო თვითონ ქებით ნასიამოვნებმა განაგრძო:

– ვინც ჩვენი მეგობარია, ჩვენს ხელქვეითად თავს კარგად გრძნობს, მტრების წინააღმდეგ კი ორგვარი საშუალება გვაქვს.

– რა საშუალებები? – ჰკითხა პოლონელმა რაინდმა.

– თქვენ, ბატონო, იქნებ არც მოგეხსენებათ, რომ ჩემი ოთახებიდან აქ კედელში ჩადგმული პატარა კიბით ვეშვები, ამ კიბის გვერდით კი თაღიანი ოთახია; იმ ოთახში რომ შემეყვანეთ, ბატონო, უეჭველად მიხვდებოდით, რა არის პირველი საშუალება.

– ჭეშმარიტად რომ ასეა! – შესძახეს ბერებმა.

მაშკოვიცელი ბატონი მიხვდა, რომ მაგისტრი ლაპარაკობდა ოქროთი სავსე „კოშკზე“, რომლითაც ასე ტრაბახობდნენ ჯვაროსნები; ის წუთით ჩა-ფიქრდა, მერე კი თქვა:

– ძალიან დიდი ხნის წინათ ერთმა გერმანელმა ხელისუფალმა ჩვენს ელჩს, სახელად სკარბეკს, ასეთივე საწყობი უჩვენა და უთხრა: „ხომ ხედავ, რომ ძალა შემწევს შენი ბატონის დამარცხებისაო“. სკარბეკი კი აღგა, თავი-სი ძვირფასი ბეჭედიც იქ დააგდო და თქვა: „ოქრო ოქროსთან მიდის, ჩვენ, პოლონელებს, რკინა უფრო გვიყვარსო...“ და იცით, ჩემო ბატონო, რა მოხ-და შემდეგ? მერე იყო ჰუნდსფელდი...

– რაო, რა ჰუნდსფელდი? – გაისმა აქეთ-იქიდან რაინდთა ხმები.

– ეს, – მშვიდად უპასუხა ზინდრამმა, – ის მინდორია, რომელზედაც და-ხოცილ გერმანელთა აკრეფას ვეღარ ასწრებდნენ და ბოლოს და ბოლოს ძაღლებმა აკრიფეს ისინი.

ასეთი პასუხის გაგონებაზე რაინდები და ბერები დაიბნენ და აღარ იცოდნენ, რა ეთქვათ, ზინდრამ მაშკოვიცელმა კი, თითქოს დასკვნა გააკე-თაო, დაუმატა:

– რკინასთან ოქროთი ვერაფერს გააწყობ.

– ჰოდა! ჩვენი მეორე საშუალება სწორედ რკინაა. თქვენ ნახეთ თუ არა, ბატონო, ციხისწინა სიმაგრეში ჩვენი საჯავშნო სახელოსნოები. იქ დღედა-ღამ ურტყამენ ჩაქუჩს და მსოფლიოში ვერსად იხილავთ ასეთ ნაჭედ ჯავ-შანსა და ასეთ მახვილებს.

ამის საპასუხოდ პოვალა ტაჩეველმა ხელი გაიწოდა, მაგიდაზე დადებული მკლავის სიგრძე და ნახევარი მტკაველის სიგანე ხორცის საჩეხი ცული აიღო და სულ ადვილად პერგამენტივით დაახვია, ზევით ასწია ისე, რომ ყველას დაენახა, და მერე მაგისტრს მიართვა.

– თუ თქვენი მახვილებიც ასეთი რკინისგან არის ნაჭედი, – თქვა მან, მაშინ ბევრს ვერაფერს გახდებით. მერე თავისი თავით კმაყოფილმა გაიღიმა, სასულიერო და საერო რაინდები კი წამოდგნენ თავიანთი ადგილებიდან და ჯგროდ მიირბინეს დიდ მაგისტრთან. დახვეული ცული ხელიდან ხელში გადადიოდა; ყველა გატრუნული იყო, ასეთი ძალის ხილვამ შეაკრთო მათი გულები.

– ვფიცავ წმინდა ლიბორიუშის თავს! – წამოიძახა ბოლოს მაგისტრმა. – თქვენ რკინის ხელები გაქვთ. ბურგუნდიელმა გრაფმა კი დასძინა:

– ისე დაახვია ცული, გეგონებათ, სანთლისგან არისო ნაკეთები.

– არც კი გაწითლებულა, ძარღვებიც არ დაბერვია! – წამოიძახა ერთმა ბერმა.

– ეს იმიტომ, – უპასუხა პოვალამ, რომ ჩვენი ხალხი უბრალო ხალხია, მაგრამ ნაწრთობია, ისეთ სიმდიდრესა და ფუფუნებას არაა ჩვეული, როგორსაც აქ ვხედავ.

ამ დროს პოვლასთან მივიდნენ იტალიელი და ფრანგი რაინდები და თავიანთ ლამაზ ენაზე გაუბეს საუბარი. მაცკო ამბობდა, მაგათი ლაპარაკი კალის თასების წკრიალს მიაგავსო. ისინი აღტაცებული იყვნენ პოვალას ღონით, თვითონ კი ყველას სათითაოდ უჭახუნებდა ჭიქას და პასუხობდა:

– ჩვენთან ნადიმებზე ხშირად ახვევენ ცულებს. ხოლო როცა ცული პატარაა, ზოგჯერ ქალიშვილიც კი დაახვევს ხოლმე.

მაგრამ გერმანელებს, რომელთაც უცხოელების წინაშე თავიანთი ტანადობითა და ძალ-ღონით ტრაბახი უყვარდათ, რცხვენოდათ და ბრაზობდნენ. მოხუცმა ჰელფენშტაინმა ყველას გასაგონად გასძახა:

– ეს ჩვენთვის თავის მოჭრაა! არნოლდ ფონ ბადენო, უჩვენე მაგათ, რომ არც ჩვენ გვაქვს ძვლები საეკლესიო სანთლისგან ჩამოქნილი! მიეცით ამასაც ცული!

მსახურებმა იმწამსვე მოიტანეს ცული და არნოლდს წინ დაუდეს; მაგრამ ამდენი მოწმეების წინაშე შეკრთა, თუ მართლაც არა ჰქონდა ისეთი ღონე, როგორც პოვალას, მან ცული მხოლოდ მოღუნა, დახვევა კი ვერ შეძლო.

ბევრი უცხოელი სტუმარი, რომელთაც ჯვაროსნები ჩასჩურჩულებდნენ, ამ ზამთარს მეფე იაგელოსთან ომი დაიწყებაო, ახლა მწარედ ჩაფიქრდა. გაახსენდათ, რომ ამ მხარეში მკაცრი ზამთარი იცის და, სანამ გვიან არ არის, სჯობს ალერსიანი ცის ქვეშ თავიანთ მშობლიურ ციხესიმაგრეებს დაუბრუნდნენ.

და რაც ყველაზე გასაოცარი იყო, ასეთი ფიქრები მათ მოუვიდათ ივლისის თვეში, პაპანაქება სიცხეში, საუკეთესო ამინდში.

XIII

ზბიშკომ და მაცკომ პლოცკში მთავრის ამალას ვეღარ ჩაუსწრეს; მთავარსა და მის მეუღლეს თავიანთი რვა შვილი წაეყვანათ და ქალბატონ ანა დანუტას მიპატიჟებით ჩერსკში წასულიყვნენ. ეპისკოპოსისგან რაინდებმა შეიტყვეს, რომ იაგენკას გადაეწყვიტა სპიხოვში დარჩენილიყო და მომაკვდავი იურანდის სარეცელი უპატრონოდ არ დაეტოვებინა. ეს მათ ხელს აძლევდათ. თვითონაც აპირებდნენ სპიხოვს გამგზავრებას. მაცკოს ცამდე აჰყავდა იაგენკა სიკეთისათვის, იმისათვის, რომ არად ჩააგდო ჩერსკის გართობანი, ცეკვები, მხიარულება და ისეთ მომაკვდავთან წასვლა არჩია, ნათესავადაც რომ არ ერგებოდა მას.

იქნებ იმიტომაც მოიქცა ასე, რომ ჩვენ არ აგვცდენოდა, – ამბობდა მოხუცი რაინდი. – დიდი ხანია აღარ მინახავს და ძალიან მენატრება. ვიცი, იმასაც გაუხარდება ჩვენი ნახვა. ალბათ გაიზარდა გოგო, კიდევ უფრო დამშვენდა.

– ძალიან გამოცვლილია, – თქვა ზბიშკომ, ლამაზი ყოველთვის იყო, მაგრამ უბრალო გოგონად მახსოვს, კი... მეფის სასახლეს დაამშვენებდა.

– მაშ გამოცვლილია? ზგოჟელიცელი იასტჟემბცები ხომ ძველისძველი გვარია, იმათი სამხედრო მოწოდებაა: „ნადიმზე!“

წამით სიჩუმე ჩამოვარდა, მერე მოხუცმა რაინდმა ისევ განაგრძო:

– ალბათ ისე იქნება, როგორც გეუბნებოდი. ისევ გაუწევს გული ზგოჟელიცისკენ.

– მე ისიც გამიკვირდა, საერთოდ რომ წამოვიდა იქიდან.

– ავადმყოფი აბატის მოვლას აპირებდა. იმას ხომ მიმხედავი არავინ ჰყავდა. ჩტანისა და ვილკისაც ეშინოდა, მაშინ მე თვითონ ვეუბნებოდი, შენს ძმებს უშენოდ უფრო მშვიდი ცხოვრება ექნებათ-მეთქი.

– არა მგონია, ობლებს თავს დასხმოდნენ. მაცკო დაფიქრდა.

– ნეტა შური ხომ არ იძიეს ჩემზე იმისი წამოყვანისათვის, ვინ იცის, ბოგდანეცში ქვა ქვაზე აღარ დატოვეს! ესეც არ იყოს, მოვერევი თუ არა, როცა დავბრუნდები, ახალგაზრდები არიან, ღონივრები, მე კი მოხუცი ვარ.

– ეგ თქვენ, თუ გინდათ, ვინმეს სხვას უამბეთ, – უპასუხა ზბიშკომ.

მაცკო, კაცმა რომ თქვას, მართლაც არ იყო გულწრფელი, თავში სულ სხვა აზრი უტრიალებდა და ამიტომ მხოლოდ ხელი ჩაიქნია.

– აი, მალბორგში რომ ავად არ გავმხდარიყავი, მაშინ სხვა საქმე იყო! – შეედავა ის. – მაგრამ ამაზე, მოდი, სპიხოვში ვილაპარაკოთ.

ღამე პლოცკში გაათიეს და მეორე დღეს სპიხოვისაკენ გაემართნენ.

მოწმენდილი ამინდი იდგა, გზა მშრალი და იოლი იყო, ამას გარდა, უშიშარიც; ბოლო მოლაპარაკებების შემდეგ ჯვაროსნებმა შეწყვიტეს საზღვრებზე ძარცვა-გლეჯა. ესეც რომ არ ყოფილიყო, ორთავე რაინდი ისეთ მგზავრებს მიეკუთვნებოდა, ყაჩაღებსაც რომ ურჩევნიათ ხელი არ ახლონ და შორიდან დაუკრან თავი. ყოველივე ამის გამო წინ სწრაფად მიიწევდნენ და პლოცკიდან გამოსვლის მეხუთე დღეს დილით მშვიდობით ჩავიდნენ სპიხოვში.

იაგენკა, ვისთვისაც მაცკო ყველაზე ერთგული მეგობარი იყო დედამიწის ზურგზე, საკუთარი ქალიშვილივით შეხვდა მას. მართალია, თვითონ მაცკო დიდად მგრძნობიარე კაცი არ იყო, მაგრამ სულის სიღრმემდე შესძრა საყვარელი იაგენკას გულთბილობამ. ზბიშკომ იურანდის ამბავი იკითხა და მისკენ გაემართა, მერე კი დანუსიას კუბო უნდა ენახა. ამ დროს მოხუცმა რაინდმა მწარედ ამოიოხრა და თქვა:

– რას იზამ! ვისი წაყვანაც უფალს სურდა, წაიყვანა კიდეც, ხოლო ვისი დარჩენაც სურდა, დატოვა; მე მგონია, დასრულდა ჩვენი ტანჯვა-წამება და ხეტიალი.

მერე კი დაუმატა:

– ეჰ, სადღა არ ვიყავით ამ ბოლო წლებში!

– ღმერთი იყო თქვენი შემწე და მფარველი, – უთხრა მას იაგენკამ.

– ღმერთი მართლაც გვმფარველობდა, ოღონდ რაც მართალია, მართალია, დროა შინ მივბრუნდეთ.

– სანამ იურანდი ცოცხალია, აქ უნდა დავრჩეთ, – განაცხადა ქალიშვილმა.

– როგორ არის იურანდი?

– ცას შეჰყურებს და ეღიმება, ეტყობა, უკვე სამოთხეს ხედავს, სამოთხეში კი დანუსიას.

– შენ უვლი?

– ვუვლი, მაგრამ ქსონძი კალები ამბობს, ანგელოზებიც თავს დასტრიალებენო. გუშინ აქაურმა მეკუჭნავემ თავის თვალით ნახა ორი.

ამაზე მაცკომ უთხრა:

– ამბობენ, – ყველაფერს ისა სჯობია, შლიახტიჩი ბრძოლის ველზე მოკვდესო, მაგრამ ისე სიკვდილი, როგორც იურანდი კვდება, სარეცელზეც შეიძლება.

– არც ჭამს, არც სვამს, მხოლოდ იღიმება, – უთხრა იაგენკამ.

– წავიდეთ იმასთან. ზბიშკო ალბათ უკვე იქ არის.

მაგრამ ზბიშკომ ცოტა ხანს დაჰყო იურანდთან, რომელიც ვერავის სცნობდა, და მერე აკლდამაში წავიდა დანუსიას კუბოს სანახავად. იქ მანამდე დარჩა, სანამ მოხუცი ტოლიმა არ მივიდა და არ წამოიყვანა, ცოტა დაისვენეთო. წამოსვლისას ზბიშკომ ჩირაღდნის შუქზე შეამჩნია, რომ კუბო მთლიანად ღიღილოებისა და ნარგიზების პატარა გვირგვინებს დაეფარა, სუფთად დაგვილი თიხის იატაკი კი მოფენილი იყო კოთხუჯისა და ცაცხვის ყვავილებით. რომლებიც თაფლის სურნელს აფრქვევდნენ. ჭაბუკ რაინდს გულში სითბო ჩაეღვარა და იკითხა:

– ვინ რთავს კუბოს აგრერიგად?

– ზგოჟელიცელი ქალბატონი, – უპასუხა ტოლიმამ.

ზბიშკოს არაფერი უთქვამს, მაგრამ, როცა იაგენკას შეხვდა, მის წინ დაიჩოქა, ფეხებზე ემთხვია და შესძახა:

– ღმერთმა გადაგიხადოს სიკეთისა და დანუსიასთან მიტანილი ყვავილებისათვის!

და მწარედ ატირდა, ქალმა კი, როგორც ღვიძლ ძმას, თავზე ხელი მოჰხვია და უთხრა:

– ო, ჩემო ზბიშკო, მე ბევრად მერჩივნა, ჩემი დასამშვიდებელი არ ყოფილიყავი.

და ცრემლები ღვარად წარმოსდინდა თვალთაგან.

XIV

იურანდი რამდენიმე დღის შემდეგ მიიცვალა. ქსონძი კალები მთელი ერთი კვირა უხდიდა პანაშვიდს. ცხედარი არ იხრწნებოდა და ამაში ყველა ღვთის სასწაულს ხედავდა. მთელი ერთი კვირა სპიხოვი სავსე იყო სტუმრებით. მერე სიჩუმემ დაისადგურა. ასეა ხოლმე ყოველთვის დასაფლავების შემდეგ. ზბიშკო ჩადიოდა აკლდამაში, ხანდახან კი ოროლს აიღებდა და ტყეს მიაშურებდა, მაგრამ ნადირს არ ხოცავდა, მხოლოდ გულჩათხრობილი დახეტიალებდა. ერთ საღამოს ის შევიდა ოთახში, სადაც ქალიშვილები მაცკოსთან და ჰლავასთან ერთად ისხდნენ, და მოულოდნელად მიმართა მათ:

– ყური მიგდეთ, რას გეტყვით! მეტისმეტი დარდი არ არგია ადამიანს. აქ ჯდომასა და ვიშვიშს გირჩევნიათ ბოგდანეცსა და ზგოჟელიცში დაბრუნდეთ!

სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა მიხვდა, რომ საუბარი სერიოზული იქნებოდა. მხოლოდ მაცკომ იყუჩა ერთხანს და მერე უთხრა:

– ეგ არც ჩვენ გვაწყენდა და არც შენ.

მაგრამ ზბიშკომ მხოლოდ უკან გადაიყარა ღია ფერის თმა.

– არა! – თქვა მან, – ღმერთი ისურვებს და მე ისევ დავბრუნდები ბოგდანეცში, მაგრამ ახლა გზა იქით არ მიდევს.

– ეს რაღა ამბავია! – შესძახა მაცკომ. – მეგონა, დასრულდა-მეთქი ყველაფერი, მაგრამ გამოდის, ასე არ არის. ღვთისა აღარ გეშინია, ზბიშკო!

– თქვენ ხომ იცით, რომ აღთქმა მაქვს მიცემული.

– აი, თურმე რა ყოფილა მიზეზი? დანუსკა აღარ არის, ესე იგი, აღარც აღთქმა არსებობს. მისმა სიკვდილმა შენ ფიცისაგან გაგათავისუფლა.

– ჩემს სიკვდილს შეეძლო გავეთავისუფლებინე, იმისას არა. მე რაინდის სინდისი და პატიოსნება დავიფიცე! გასაგებია? რაინდის პატიოსნება!

რაინდულ პატიოსნებას რომ ახსენებდნენ, მაცკოზე ეს ყოველთვის ჯადოსნურ ზემოქმედებას ახდენდა. ბევრით არაფრით ხელმძღვანელობდა

ის ცხოვრებაში ღვთისა და ეკლესიის კანონების გარდა. მაგრამ ეს ცოტა ყოველთვის მტკიცე და ურყევი იყო.

– მე არც მითქვამს, ფიცი გატეხე-მეთქი, – უთხრა მან.

– აბა მაშ რა მითხარით?

– გითხარი, რომ შენ ახალგაზრდა ხარ, წინ კიდევ ბევრი დრო გაქვს. ახლა ჩვენთან ერთად წამოდი, დაისვენებ, ცოტა დარდსა და ნაღველს გაიქარვებ, მერე კი სადაც გინდა, იქ წადი.

– მაშინ მე თქვენ ყველაფერს აღსარებასავით გულახდილად გეტყვით. – წაილაპარაკა ზბიშკომ. – ხედავთ, რომ ყველგან დავდივარ, სადაც საჭიროა, გელაპარაკებით, ვჭამ, ვსვამ, როგორც ყველა, მაგრამ ვერ დაგიმალავთ, რაღაც მემართება, თავს ვერ ვერევი, გულზე დარდი და ნაღველი მაქვს შემოწოლილი, მდუღარე ცრემლების მეტი აღარაფერი შემრჩა, თავისთავად რომ მოედინებიან თვალთაგან!

– სხვებთან უფრო გაგიჭირდება.

– არა! – თქვა ზბიშკომ, – ღმერთი ხედავს, სულ დავიშრიტები ბოგდანეცში. რაკი ვთქვი, არ შემიძლია-მეთქი, ესე იგი, არ შემიძლია. ომში უნდა წავიდე, ბრძოლის ველზე უფრო ადვილია თავდავიწყება. გული მიგრძნობს, როგორც კი ჩემს ვალს მოვიხდი და შევძლებ ვუთხრა იმ ცხონებულ სულს: „ყველაფერი გავაკეთე, რასაც შეგპირდი-მეთქი“, ხელად გულზე მომეშვება. ისე კი ვერა, ვერ მოვისვენებ, თოკითაც ვერ დამაბამთ ბოგდანეცში.

ამ სიტყვების მერე ოთახში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ბუზის გაფრენას გაიგონებდით.

– ბოგდანეცში დაჭლექებას სჯობს წავიდეს, – ჩაილაპარაკა ბოლოს იაგენკამ.

მაცკომ ხელები თავზე შემოიწყო, როგორც იცოდა ხოლმე ყოველთვის მძიმე წუთებში, და ოხვრით თქვა:

– ეჰ, ღმერთო მოწყალეო!

– შენ კი, ზბიშკო, – განაგრძო იაგენკამ, – დაიფიცე, რომ, თუ ღმერთმა ქნა და მშვიდობით გადარჩი, აქ არ დარჩები და ჩვენთან დაბრუნდები.

– რატომ არ უნდა დავბრუნდე. რა თქმა უნდა, სპიხოვშიც შემოვივლი, მაგრამ აქ არ დავრჩები.

– ხოლო თუ დანუსკაზე ფიქრობ, – ხმას დაუწია და ისე განაგრძო ქალიშვილმა, – ჩვენ იმის კუბოს ქშესნიაში გადავასვენებთ...

– იაგუსია! – შესძახა გულაჩუყებულმა ზბიშკომ.

და მადლიერების გრძნობით აღვსილი დაეცა მის ფერხთით.

XV

მოხუცმა რაინდმა მტკიცედ გადაწყვიტა ზბიშკოსთან ერთად ვიტოლდის ლაშქარში წასვლა, მაგრამ ბიჭს ამისი გაგონებაც არ უნდოდა. დაიჩემა, მარტო წავალო, არც ხალხს წავიყვან, არც ფორნებს, მხოლოდ და მხოლოდ სამ ცხენოსან მსახურს გავიყოლებ, რომელთაგან ერთი სურსათს წაიღებს, მეორე – იარაღსა და ტანსაცმელს, მესამე კი – დათვის ტყავებს დასაწოლადო. ამაოდ ემუდარებოდნენ იაგენკა და მაცკო, ჰლავა მაინც წაიყვანეო, – ეს ერთგული და ღონიერი საჭურველმტვირთველი. ზბიშკო გაჯიუტდა, დარდი უნდა გავიქარვო, რომელიც ასე მიღრღნის გულს, საჭურველმტვირთველი კი ყოველთვის გამახსენებს სწორედ იმას, რაც იყო და რაც აღარ არისო.

წასვლის წინ ითათბირეს, რა ექნათ სპიხოვისთვის. მაცკო ურჩევდა გაეყიდა მამული. უბედური ადგილია, ტანჯვა-წამების მეტი არავისთვის არაფერი მოუტანიაო. ბევრი სიმდიდრე იყო სპიხოვში: ფული, საჭურველი, ცხენები, ტანსაცმელი, ტყავები, ძვირფასი ბეწვეული, ძვირფასი სამკაულები და საქონლის ჯოგები. ამიტომაც მაცკო გულში ოცნებობდა ამ სიმდიდრით ბოგდანეცი მომძლავრებინა, ყველა სამფლობელოზე მეტად რომ უყვარდა. დიდხანს ითათბირეს, მაგრამ ზბიშკო ვერ დაიყოლიეს გაყიდვაზე.

– როგორ უნდა გავყიდო იურანდის ძვლები? – ამბობდა ის. – ნუთუ ასე უნდა გადავუხადო ყველა იმ სიკეთისათვის, რაც მან მომანიჭა?

– დანუსიას გადასვენებას ხომ შეგპირდით, – უთხრა მაცკომ, – ასევე შეიძლება იურანდის გადასვენებაც.

– შეიძლება, მაგრამ ის აქ მამა-პაპათა შორის არის, ქშესნიაში კი მარტოს მოეწყინება. დანუსიას წაიყვანთ, მამა უქალიშვილოდ დარჩება, მამასაც წაიყვანთ და მამა-პაპა დარჩება მიტოვებული.

– განა არ იცი, რომ იურანდი ზეცაში ყოველდღე ხედავს თავისიანებს, მამაო კალები კი ამბობს, სამოთხეში წავიდაო, – შეედავა მოხუცი რაინდი. მაგრამ ქსონძი კალები მაინც ზბიშკოს ემხრობოდა.

– სული კი არის სამოთხეში, – ჩაერია ის ლაპარაკში, – მაგრამ სხეული მიწაზეა, ვიდრე საშინელი სამსჯავრო შედგებოდეს.

მაცკო ჩაფიქრდა, მერე კი, აზრთა მდინარებას რომ მიჰყვა, დაუმატა:

– ვინც სამუდამო ცხონებას ვერ ეღირსა, იმას იურანდი ვერ ხედავს, მაგრამ ამ საქმეს არაფერი ეშველება.

– რა საჭიროა იმაზე მსჯელობა, ვის რა დაუწესა ღმერთმა! – შენიშნა ზბიშკომ. – ოღონდ ღმერთმა ნუ ქნას, რომ აქ, სადაც მათი წმინდა ნეშტი ასვენია, სხვა დასახლებულიყოს. მირჩევნია ყველანი აქ დავტოვო, სპიხოვს კი არ გავყიდი, შიგ მთელი სამთავროც რომ შემომთავაზონ.

მაცკო დარწმუნდა, რომ კამათი უშედეგო იქნებოდა: კარგად იცოდა თავისი ძმისშვილის უჯიათობა და გულში კიდევაც ახარებდა ეს, როგორც სხვა მისი თვისებები. ის წამით დადუმდა, მერე კი თქვა:

– დიდად არაფრად მსიამოვნებს ასეთი ლაპარაკი, მაგრამ ბიჭი მაინც მართალია.

დანაღვლიანდა მოხუცი, აღარ იცოდა, რა ექნა.

მაგრამ იაგენკამ, რომელიც ამ წუთამდე ჩუმად იყო, ახალი რჩევა მისცა:

– აი, ვინმე პატიოსანი ადამიანი რომ გვეპოვა და აქ მმართველად დაგვეტოვებინა, ან იჯარით მიგვეცა სპიხოვი, შესანიშნავი იქნებოდა. იჯარით მიცემა მაინც ყველაფერს აჯობებს, არავითარი ზრუნვა, მიდი და წამოიღე ფულები. ტოლიმას ხომ არ ჩავაბაროთ? არა, ის უკვე მოხუცია და მეურნეობისაც არაფერი ესმის, სამხედრო საქმეში უფრო ერკვევა. თუ იმას არა, მაშინ ქსონძ კალებს?..

– ძვირფასო ქალბატონო! – უპასუხა ამაზე ქსონძმა კალებმა, – მე და ტოლიმას ცივი მიწა გველოდება, ის კი არა, რომელზედაც დავაბიჯებთ, არამედ ის, რომელიც ზემოდან დაგვეყრება.

და ტოლიმას მიუბრუნდა:

– ასე არ არის, მოხუცო?

ტოლიმამ ხელისგული გრძელ ყურთან მიიდო და იკითხა:

– რაზე ლაპარაკობთ?

როცა კითხვა ხმამაღლა გაუმეორეს, თქვა:

– სრული ჭეშმარიტებაა, მე მეურნეობისთვის არა ვარ გაჩენილი. ნაჯახს უკეთ ვხმარობ, ვიდრე სახნისს... აი, შურისძიება რომ გეთქვათ ბატონისა და მისი ქალიშვილისთვის, ამაზე სიხარულით...

მან გამხდარი, დაძარღვული, მტაცებელი ფრინველი ბრჭყალებივით მოგრეხილთითებიანი ხელები გაიშვირა, მაცკოსა და ზბიშკოსაკენ ჭაღარა, მგლის მსგავსი თავი მოაბრუნა და დასძინა: - – თუ გერმანელებთან საბრძოლველად წამიყვანთ, ეს ჩემთვის ზედგამოჭრილი იქნება!

ტოლიმა მართალი იყო. ამ მოხუცს ბევრი სიმდიდრე შეემატებინა სპიხოვისთვის, მაგრამ მეურნეობით კი არა, ბრძოლებში იხვეჭდა მას.

ამ დროს ისევ ჩაერია იაგენკა. ვიდრე სხვები საუბრობდნენ, ის ფიქრობდა, კიდევ რა შეეძლო შეეთავაზებინა.

– აქ ახალგაზრდა და უშიშარი კაცია საჭირო, – აქვე გვერდით ხომ ჯვაროსნების საზღვარი გადის, – ისეთი კაცი უნდა იყოს, გერმანელებს კი არ ემალებოდეს, თვითონ ეძებდეს. მე მგონია, ჰლავა ძალზე შესაფერისია...

– აბა ერთი ამას დამიხედეთ, როგორ მსჯელობს! – შესძახა მაცკომ. ქალიშვილი ძალზე უყვარდა, მაგრამ ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ ასეთ საკითხებზე შეიძლებოდა ხმა ამოეღო ქალს და ისიც გასათხოვარს.

მაგრამ ჩეხი წამოდგა მერხიდან და თქვა:

– ღმერთია მოწამე, სიხარულით წავყვებოდი ბატონ ზბიშკოს ომში, ცოტა გერმანელი როდი გაგვისტუმრებია მე და მაგას იმქვეყნად და იქნებ ახლაც ენება ღმერთს... მაგრამ, რაკი აქ დარჩენაა საჭირო, დავრჩები... ტოლიმა ჩემი მეგობარია და კარგად მიცნობს... ჯვაროსნების საზღვარი რომ ახლოსაა, ეს არაფერია! უფრო უკეთესი! ჯერ კიდევ ვნახავთ, ვინ ვის დააყვედრებს ამ მეზობლობას! მე რატომ უნდა მეშინოდეს იმათი. არა სჯობია, იმათ ეშინოდეთ ჩემი. ღმერთმა დამიფაროს, რომ მეურნეობაში ზარალი განახოთ და რამე ჩემკენ მივიხვეჭო. ამაზე ქალბატონი დაიფიცებს. მირჩევნია, მიწა გამისკდეს მაშინ. თვალებში როგორღა შევხედავ მას... მეურნეობისა ბევრი არაფერი მესმის, მაგრამ ზგოჟელიცში რაღაც-რაღაცეები ვისწავლე. მე მაინც რატომღაც ვფიქრობ, რომ აქ სახნისზე მეტად ნაჯახითა და ხმლით დამჭირდება მუშაობა. მომწონს ეს ყველაფერი და თითქოს შეიძლებოდა დავრჩენილიყავი... მაგრამ...

– მაშ, რა გაკავებს? – ჰკითხა ზბიშკომ, – რაღას აჭიანურებ?

ჰლავა სულ აიბნა და ენის ბორძიკით განაგრძო:

– ქალბატონი რომ წავა, მასთან ერთად წავა ყველა. ბრძოლაც კარგია, მეურნეობის გაძღოლაც, მაგრამ მარტოხელად... დაუხმარებლად... ძალიან მომეწყინება უქალბატონოდ და უ... როგორა ვთქვა... ქალბატონი ხომ მარ-

ტო არ დადიოდა ამ ქვეყანაზე... ჰოდა, თუ მე აქ ვინმე არ დამეხმარება... მართლაც არ ვიცი!

– რაზე ლაპარაკობს ეს ბიჭი? – ჰკითხა მაცკომ.

– გონიერი ადამიანი ბრძანდებით და ვერც კი მიმხვდარხართ, – უპასუხა იაგენკამ.

– რაო, რა უნდა?

მაგრამ იაგენკამ არ უპასუხა.

– აი, ანულია რომ დარჩენილიყო შენთან, – მიმართა მან საჭურველმტვირთველს, – მაშინ გაძლებდი?

ამ სიტყვებზე ჩეხი მის მუხლებთან დაეცა ისეთი ძალით, რომ მტვერი სვეტად ავარდა.

– იმასთან ერთად ჯოჯოხეთშიც გავძლებდი! – შესძახა და იაგენკას მუხლებზე მოეხვია.

ეს შეძახილი რომ გაიგონა, ზბიშკომ გაოცებით შეხედა საჭურველმტვირთველს; მან არაფერი იცოდა და ვერც ვერაფერს ხვდებოდა. გულში მაცკოც გაოცებული იყო, თან იმაზე ფიქრობდა, რამდენს ნიშნავს ქალი ამქვეყნიურ საქმეებში, ყველაფერი შეიძლება მოგვარდეს მასთან ერთად და ასევე ყველაფერი ჩაიფუშოსო.

– მადლობა ღმერთს, – ჩაილაპარაკა მოხუცმა, რომ მე ქალებთან აღარაფერი მესაქმება.

იაგენკა ისევ ჰლავას მიუბრუნდა:

– ახლა საინტერესოა ვიცოდეთ, თვითონ ანულია თუ გაძლებს შენთან.

ანულკას დაუძახეს. ეტყობოდა, ქალმა იცოდა ან ხვდებოდა ყველაფერს, რადგან თავდახრილი შემოვიდა და სახეზეც სახელო აეფარებინა, ისე, რომ მხოლოდ ღია ფერის თმაღა მოუჩანდა. მზის სხივები ამ თმას კიდევ უფრო ამკრთალებდა. ანულია ჯერ ზღურბლზე გაჩერდა, მერე იაგენკას ფეხებთან დაეცა და სახე მისი ქვედატანის ნაოჭებში ჩამალა.

ჩეხმაც მის გვერდით მოიყარა მუხლი და იაგენკას უთხრა:

– დაგვლოცეთ, ქალბატონო.

XVI

მეორე დღეს ზბიშკო მიემგზავრებოდა. თავის ზორბა საომარ ცხენზე ამხედრებულიყო ახლობლებით გარშემორტყმული. იაგენკა უზანგთან იდგა და ახალგაზრდა რაინდს ნაღვლიან ცისფერ თვალებს არ აშორებდა, თითქოს განშორების წინ მისი ცქერით უნდა გული იჯეროსო. მაცკო და ქსონძი კალები მეორე უზანგთან იდგნენ, მათ გვერდით კი – საჭურველმტვირთველი თავის ანულკასთან ერთად. ზბიშკო ხან აქეთ ატრიალებდა თავს, ხან იქით და ახლობლებს თითო-ოროლა სიტყვით ეპასუხებოდა, როგორც საერთოდ იციან ხოლმე დიდი ხნით განშორების წინ: „ჯანმრთელად მენახეთ!“ - „ღმერთი იყოს შენი შემწე!“ – „აბა, უკვე დროა!“ – „მართალია, დროა, დროა!“ ის ადრევე დაემშვიდობა ყველას და იაგენკასაც, რომელსაც ფეხებში ჩაუვარდა თანაგრძნობისათვის მადლიერებით აღვსილი. ახლა კი, როცა ქალიშვილს მაღალი რაინდული უნაგირიდან დაჰყურებდა, უნდოდა კიდევ ერთხელ ეთქვა კეთილი სიტყვა; მისი შემოხედვაც, მთელი მისი სახეც ისე აშკარად ეუბნებოდა: „ დაბრუნდი!“ – რომ ვაჟს გული უდიდესი მადლიერებით აევსო.

გეგონებოდათ, მის უხმო ღაღადისს გამოეხმაურაო, ქალს უთხრა:

– იაგუსია, მე შენ, როგორც ღვიძლი და... გესმის... მეტს არაფერს გეტყვი!

– ვიცი. ღმერთმა გადაგიხადოს.

– ბიძაჩემსაც ნუ დაივიწყებ!

– შენც ნუ დაივიწყებ.

– თუ არ დავიღუპე, დავბრუნდები.

– ნუ დაიღუპები.

პლოცკში ქალმა ერთხელ უკვე უთხრა ეს სიტყვები: „ნუ დაიღუპებიო“, როცა ვაჟმა ლაშქრობის ამბავი ახსენა. მაგრამ ახლა ისინი პირდაპირ სულის სიღრმიდან ამოსკდა და იქნებ ცრემლების ჩასახშობად თავი ისე დახარა, რომ ერთი წამით შუბლი ზბიშკოს მუხლს შეახო.

ამასობაში სამგზავროდ გამზადებულმა მსახურებმა, რომელთაც ჭიშკართან საპალნის ცხენები ეკავათ, სიმღერა წამოიწყეს:

ნიშნობის ბეჭედი არ დაიკარგება,

ყორანი ნატრობს:

წამაძროს ხელიდან და ბრძოლის ველიდან

მიართვას სატრფოს.

– აბა, გავუდგეთ გზას! – შესძახა ზბიშკომ.

– გავუდგეთ!

– გფარავდეს ღმერთი და ღვთის მშობელი...

ფლოქვების თქარათქური გაისმა ასაწევ ხის ხიდზე. ერთმა ცხენმა დაიჭიხვინა, სხვებმა ხმამაღლა დაიფრუტუნეს და კორტეჟი გზას გაუდგა.

იაგენკა, მაცკო, ქსონძი, ტოლიმა, ჩეხი თავისი საცოლით და სპიხოვში დარჩენილი მსახურები ხიდზე დადგნენ და თვალებით აცილებდნენ მიმავალთ. ქსონძი კალები დიდხანს სახავდა პირჯვარს მათ, ხოლო როცა მაღალი თხმელების უკან მიიმალნენ, თქვა:

– ამ დალოცვის მერე მათ ცუდი აღარაფერი შეემთხვევათ გზაში!

მაცკომ კი დაამატა:

– ოღონდაც, მაგრამ ისიც კარგი ნიშანია, ცხენები რომ ასე ჭიხვინებდნენ.

მაცკო და იაგენკა დიდხანს აღარ დარჩენილან სპიხოვში. ორ კვირაში მოხუცმა რაინდმა აქ მეიჯარედ დარჩენილ ჩეხთან ყველა საქმე მოაგვარა, შეიარაღებული მსახურების თანხლებით მიმავალ აღალს წინ გაუძღვა და იაგენკასთან ერთად ბოგდანეცს მიაშურა. ქსონძი კალები და მოხუცი ტოლიმა მოღუშულები გაჰყურებდნენ ფორნებს, რადგან მაცკომ, გულახდილად რომ ითქვას, თითქმის გაფცქვნა სპიხოვი. ზბიშკომ გამგებლობის სადავე მას გადასცა და ამიტომ მოხუც რაინდთან შედავება ვეღარავინ გაბედა. ის ალბათ უფრო , მეტს წაგლეჯდა, იაგენკას რომ არ შეეკავებინა. მოხუცი თუმცა ედავებოდა ქალიშვილს, დასცინოდა მის „ქალურ ჭკუას“, მაგრამ მაინც თითქმის ყველაფერს უჯერებდა.

დანუსიას კუბო თან აღარ წაუღიათ, – რაკი სპიხოვი არ გაყიდეს, ზბიშკომ გადაწყვიტა, დანუსია მამა-პაპათა გვერდით დაეტოვებინა.

სამაგიეროდ, მათ მიჰქონდათ უამრავი ფული და უამრავი ქონება, რომელიც იურანდს უმთავრესად გერმანელებთან ბრძოლებში მოეპოვებინა. ახლა ტილოგადაფარებულ გატენილ ფორნებს რომ გადახედავდა, მაცკოს სიამე ეფინებოდა გულზე, იმის ფიქრში იყო, როგორ წამოსწევდა და მოაწყობდა ბოგდანეცს. ამ სიხარულს ერთი შიში ჩრდილავდა, ზბიშკო არ დაღუპულიყო, თუმცა იცოდა, რომ ძმისშვილი ბრძოლებში ნაცადი მეომარი

იყო და ამიტომ იმედს არა ჰკარგავდა, მშვიდობით დაბრუნდებაო, და წინასწარ ტკბებოდა შეხვედრის სიხარულით.

„იქნება ღმერთმა ასე ინება, – ამბობდა გულში, – რომ ზბიშკოს ჯერ სპიხოვი რგებოდა და მერე მოჩიდოლი და ყველაფერი, რაც აბატმა დატოვა. ერთი მშვიდობით დაბრუნდებოდეს. გიყვარდეს მე მას ბოგდანეცში ციხეკოშკს დავახვედრებ, მერე კი ვნახოთ, რა იქნება...“

ამ დროს გაახსენდა, რომ ჩტან როგოველი და ვილკ ბჟოზოველი დიდი სიყვარულით არ შეხვდებოდნენ და ალბათ მათთან ბრძოლაც მოუწევდა, მაგრამ მოხუც რაინდს ამისი დარდი სულაც არა ჰქონდა, როგორც ბებერ საომარ ცხენს არ აწუხებს ხოლმე ბრძოლაში გასვლა. ახლა მაცკო კარგად იყო, ჯერ კიდევ გრძნობდა ძალას მკლავში და იცოდა, რომ ამ შფოთისთავებთან ანგარიშის გასწორება არ გაუჭირდებოდა, საშიშნი კი იყვნენ, მაგრამ არავითარი რაინდული წვრთნა არ გაევლოთ. მართალია, ცოტა ხნის წინ სულ სხვას ეუბნებოდა ზბიშკოს, მაგრამ ამას მხოლოდ იმისათვის სჩადიოდა, რომ ძმისშვილი ბოგდანეცში დაბრუნებაზე დაეყოლიებინა.

„ჰო, მე მელა ვარ, ეგენი კი კურდღლები, – ფიქრობდა ის, – ურჩევნიათ ნურსად გადამიდგებიან!“

სამაგიეროდ, მას სხვა რაღაც აწუხებდა: ერთმა ღმერთმა იცოდა, ზბიშკო როდის დაბრუნდებოდა. იაგენკასაც ის მხოლოდ დასავით უყურებდა. ერთიც ვნახოთ და ქალმაც მხოლოდ ძმად ჩათვალოს და აღარ დაელოდოს მის დაბრუნებას?

– ყური მიგდე, იაგნა, – მიმართა მან ქალს, – მე ჩტანსა და ვილკზე არაფერს გეუბნები, სად ის მუტრუკები და სად შენ! შენ ახლა სეფექალი ხარ!.. მაგრამ წლები ხომ მიდის... ჯერ კიდევ განსვენებული ზიხი ამბობდა, უკვე გათხოვების დრო დაუდგაო, მას შემდეგ კი აგერ უკვე რამდენი წელი გავიდა... როცა ქალს გათხოვების დრო დაუდგება, თვითონ მოძებნის თავის ტოლს. მე ვიცი, რომ არც ჩტანი იქნება ეს და არც ვილკი... მაგრამ მაინც რას ფიქრობ?

– რაზედ მეკითხებით?

– გათხოვებას არ აპირებ?

– მე?.. მე მონაზვნად აღვიკვეცები.

– აბა ეს რა სისულელეა! ზბიშკო თუ დაბრუნდა?

ქალმა თავი გააქნია:

– მე მაინც მონაზვნად აღვიკვეცები.

– თუ შეგიყვარა? თუ თვალცრემლიანი შეგევედრა?

ამ დროს ქალმა ალმოდებული სახე მინდვრისკენ მიაბრუნა, მაგრამ ქარი მინდვრის მხრიდან უბერავდა და მან მიუტანა მაცკოს ჩუმი პასუხი:

– მაშინ აღარ აღვიკვეცები მონაზვნად.

XVII

მაცკო და იაგენკა ცოტა ხნით პლოცკში შეჩერდნენ, იქ აბატის მემკვიდრეობისა და ანდერძის საქმეები უნდა მოეგვარებინათ. საჭირო საბუთები მოიმარაგეს და კვლავ გზა განაგრძეს; დროდადრო მცირე ხნით თუ შეისვენებდნენ, რადგან ახლა სიარული ადვილი და უშიშარი იყო: ჭაობები სიცხეს ამოეშრო, მდინარეები გაემეჩეჩებინა და გზა მშვიდობიან ქვეყანაზე გადიოდა, სადაც მათი მიწა-წყლის სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობდა. მაგრამ სერაძში რომ მივიდნენ, ფრთხილმა მაცკომ ზგოჟელიცში მსახური გაგზავნა, მოვდივართო. იაგენკას ძმა იასკო მათ შუა გზაზე შემოხვდა ორი ათეული შეიარაღებული მსახურით და სახლამდე ისე მიაცილა.

ზგოჟელიცში მათ მხიარული შეძახილებითა და მოკითხვებით მიეგებნენ. იასკოს, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა იაგენკას, სიმაღლეში უკვე გაესწრო დისთვის. ისეთი ბიჭი დამდგარიყო, ცქერით ვერ გაძღებოდით; მამაცი, მხიარული, ნაკვერცხალივით ბრიალა – სულ განსვენებული ზიხი იყო, მისგან სიმღერის სიყვარულიც გადმოსდებოდა. იასკო ფიქრობდა, უკვე დიდი ვარო, ღონიერი, თავს ნამდვილ მამაკაცად თვლიდა, მსახურებს ისე მბრძანებლობდა, როგორც ჭეშმარიტი ბატონი, და ისინიც თვალის დახამხამებაში ასრულებდნენ ყველა მის სურვილს. ეტყობოდა, დაეშინებინა ჭაბუკს თავისი ბატონკაცური ზნით.

მაცკო და იაგენკა გაოცებულები შესცქეროდნენ მას, თვითონ იასკო კი თავისი ლამაზი დის ყურებით ვეღარ დამტკბარიყო, დიდი ხანია არ ენახა და აოცებდა მისი დახვეწილობა. იასკომ უამბო, უკვე შენთან წამოსვლას ვაპირებდი, ცოტაც რომ დაგეგვიანათ, ალბათ სახლშიც ვეღარ მომისწრებდითო; მეც ხომ მინდა ამ ქვეყნების დათვალიერება, ხალხის ნახვა, რაინდული საქმის შესწავლა და მოხეტიალე რაინდებთან ფათერაკების ძებნაო.

– ქვეყნისა და ხალხის გაცნობა კარგი საქმეა, – უპასუხა მაცკომ. – ისწავლი, სად როგორ მოიქცე, სად რა თქვა, გონებასაც გალესავ, რაც შეეხება

ბრძოლას, ჯერ ამისათვის ახალგაზრდა ხარ და სჯობს მე გითხრა ეს, ვიდრე სხვა რაინდმა, რომელიც ამას გარდა სასაცილოდაც აგიგდებს.

– ვშიშობ, სიცილი ტირილად არ ექცეს, – უპასუხა იასკომ, – ან თუ თვითონ არა, მაშინ ცოლი და შვილები არ აუტირდნენ.

და ისეთი უტეხი სითამამით მიმოიხედა, თითქოს მთელი ქვეყნის მოხეტიალე რაინდებისთვის უნდოდა ეთქვა: „სიკვდილისათვის მოემზადეთო!“ მაგრამ მოხუცმა ბოგდანეცელმა რაინდმა ჰკითხა:

– ჩტანმა და ვილკმა დაგანებეს თავი, აღარ გაწუხებენ? გახსოვს, იაგენკაზე ეჭირათ თვალი.

ვილკი ხომ მოკლეს სილეზიაში. გერმანელების ერთი ციხესიმაგრის აღება უნდოდა და აიღო კიდეც, მაგრამ ციხის კედლიდან გადმოგდებული მორი დაეცა. ორი დღეც არ გასულა და სული უფალს მიაბარა.

– საწყალი ბიჭი. მამამისიც დადიოდა სილეზიაში გერმანელებთან საბრძოლველად, რომლებიც იქ ჩვენს ხალხს ავიწროებენ, მაგრამ ყოველთვის დიდი ნადავლით ბრუნდებოდა... ციხეების იერიში ყველაზე ძნელია, ვერც ჯავშანი გიშველის და ვერც რაინდული ხელოვნება. ღმერთმაც ქნას, მთავარმა ვიტოლდმა ციხესიმაგრეებს ალყა არ შემოარტყას და მარტო ველზე გაუმართოს ბრძოლა ჯვაროსნებს... ჩტანი? იმისი თუ ისმის რამე?

იასკომ გაიცინა:

– ჩტანმა ცოლი შეირთო. გლეხის ქალი მოიყვანა „ვისოკო ბჟეგიდან“, კალმით ნახატი მშვენებაა. მაგრამ მარტო ლამაზი კი არა, ყოჩაღიც არის, თავს არავის დააჩაგვრინებს. ჩტანს ბევრი ვეღარავინ გადაეღობება წინ, ქალი კი გემოზე ურტყამს ბანჯგვლიან სიფათში და ჯაჭვშებმული დათვივით დაატარებს თავის ჭკუაზე.

ეს რომ გაიგონა, მოხუცი რაინდი გამხიარულდა:

– დახე, რა ქალი ყოფილა! ქალები ყველანი ერთნაირები არიან! იაგენკა, შენც ასეთი იქნები! მადლობა ღმერთს, ამ ორ შფოთისთავს უდავიდარაბოდ ავცდით; გულწრფელად გითხრათ, კიდევაც მიკვირს, რომ თავიანთი ბოღმა ბოგდანეცზე არ გადმოანთხიეს.

– ჩტანი აპირებდა, მაგრამ ვილკმა არ დაანება, ის უფრო ჭკვიანი იყო. ჩამოვიდა აქ ზგოჟელიცში და გვეკითხება, იაგენკა სად არისო. მე ვეუბნები, წავიდა-მეთქი აბატის მემკვიდრეობის მისაღებად. ის მეუბნება: „რატომ მაცკომ არაფერი მითხრაო, ამის თაობაზე?“ „რაო, იაგენკა შენია თუ, ვკითხე მე, რომ ანგარიშები შენთვის ჩაებარებინათ? “ ერთხანს ჩაფიქრდა და

მითხრა: „მართალია, ჩემი არ არისო“. მიხვედრილი ბიჭი იყო, ეტყობა, უცებ იაზრა, რომ თქვენც და ჩვენც იმითი გვასიამოვნებდა, თუ ჩტანისგან ბოგდანეცს დაიცავდა. კიდევაც შეებრძოლენ ლავიცაში, პიასკთან და მიჟეჟ-მოჟეჟეს ერთმანეთი, მერე კი ილოთეს, სანამ კინწი არ მოსწყდათ, როგორც საერთოდ იცოდნენ ხოლმე.

– ღმერთო, შენ განუსვენე ვილკის სულს! – თქვა მაცკომ.

მას გულზე მოეშვა, გახარებული იყო, რომ ბოგდანეცში არავითარ ზარალს არ ნახავდა, იმის გარდა, რაც დიდიხნით წასვლას შეეძლო გამოეწვია.

მართლაც ყველაფერი უკლებლივ დახვდა; პირიქით, ნახირს მომატებოდა, სულ პატარა ცხენების რემადან ბლომად კვიცები მომრავლებულიყვნენ, ორ-ორ წლიანები. ზოგიერთი ფრიზიელთა საბრძოლო ცხენების ჯიშისა იყო, წვივმაღალი და უზომოდ ღონიერი. მაცკოს მხოლოდ ხალხი დაკლებოდათ ტყვეები გაქცეულიყვნენ, ისიც სულ რამდენიმე კაცი, იმიტომ რომ გაქცევა მათ შეეძლოთ მხოლოდ სილეზიაში, იქაური გერმანელები ან გაგერმანელებული ყაჩაღი რაინდები კი ტყვეებს გაცილებით უარესად ექცეოდნენ, ვიდრე პოლონელი შლიახტა. ძველთაძველი ხალვათი სახლი კიდევ უფრო დაძველებულიყო. თიხის იატაკი დახეთქოდა, კედლები და ჭერი - დაღრეცილიყო, ორასიოდე წლის წინ გამოთლილ ხის კოჭებს ლპობა შეჰპარვოდა. ყველა ოთახში, სადაც ოდესღაც ბოგდანეცელი „გრადების“ ხალხმრავალი გვარი ცხოვრობდა, ზაფხულის უხვი წვიმებისაგან კედლებზე ნაჟონი გაჩენილიყო, დახვრეტილ სახურავს მწვანე და ყვითელი ხავსიც ბღუჯაბღუჯად მოსდებოდა. მთელი შენობა დაწეულიყო და ვეება ფუტურო სოკოს დამსგავსებოდა.

– კაცმა რომ მიხედოს, კიდევ გაძლებდა ერთხანს, სულ ცოტა ხანია, რაც დაძველება დაიწყო, – ეუბნებოდა მაცკო მოხუც მოურავს კონდრატს, რომელიც მის არყოფნაში მართავდა ბოგდანეცს.

მერე კი დასძინა:

– მე, როგორც იქნება, ჩავაძაღლებ ჩემს სიცოცხლეს, აი, ზბიშკოს კი უეჭველად ციხე-კოშკი სჭირდება.

– ღმერთო დიდებულო! ციხე-კოშკი?

– ჰო, რაო, რა გიკვირს?

ზბიშკოსა და მისი შთამომავლობისათვის ციხე-კოშკის აგება მოხუცის სანუკვარი ოცნება იყო. მან იცოდა, რომ თუ შლიახტიჩი უბრალო მამულში

კი არა, თხრილისა და ციხის გადაღმა ცხოვრობს, ხოლო საგუშაგო კოშკიდან გუშაგები დარაჯობენ არემარეს, მაშინ იმას მეზობლებიც „პატივს სცემენ“ და თანამდებობასაც ადვილად მიიღებს. თვითონ მაცკოს უკვე ბევრი აღარაფერი სჭირდებოდა, მაგრამ ზბიშკოსა და მისი შვილებისათვის ცოტათი ვერ დაკმაყოფილდებოდა, განსაკუთრებით კი ახლა, როცა მათი მამულები ასე გაიზარდა.

„ეჰ, შეერთო ნეტა იაგენკა, – ფიქრობდა მაცკო, – მიეღო მოჩიდოლი და აბატის სამემკვიდრეო, მაშინ მართლა ვერავინ შეგვედრებოდა ამ არემარეში. აი, ღმერთს რომ ასე ენება!“

მაგრამ ყველაფერი ზბიშკოს დაბრუნებაზე იყო დამოკიდებული, ამ საქმეში კი მხოლოდ ღვთის იმედი უნდა ჰქონოდა. მაცკო გულში ფიქრობდა, ახლა ყოველმხრივ უნდა ვასიამოვნო ღმერთს და არ განვარისხოო, ამიტომაც ქშესნიის ეკლესიის შესაწირად არც სანთელს ზოგავდა, არც პურს და არც ნანადირევს, ერთხელ კი საღამოს ზგოჟელიცში ჩავიდა და იაგენკას უთხრა:

– ხვალ კრაკოვში მივდივარ, რომ ჩვენი წმინდა დედოფლის იადვიგას საფლავზე მუხლი მოვიყარო.

ქალი შიშით მერხიდან წამოხტა.

– რამე ცუდი ამბავია?

– არავითარი ამბავი არ მოსულა და ჯერ ვერც მოვიდოდა. მაგრამ გახსოვს, ფერდში გარჭობილი რკინის ნატეხი რომ მაწამებდა, შენ და ზბიშკო თახვზე სანადიროდ რომ წახვედით, – აი, მაშინ მივეცი აღთქმა, თუ ღმერთი ჯანმრთელობას დამიბრუნებდა, დედოფლის კუბოს ვემთხვეოდი. მახსოვს, ყველას მოგწონდათ ჩემი განზრახვა და ასეც უნდა ყოფილიყო! უფალ ღმერთს წმინდანები საძებნელი არა ჰყავს, მაგრამ ჩვენს დედოფალთან ზოგი წმინდანი ახლოსაც ვერ მივა, მისი წყენინება კი იმიტომაც არ მინდა, რომ საქმე ზბიშკოს შეეხება.

– სწორია! ჭეშმარიტებაა! – შესძახა იაგენკამ, – მაგრამ სულ ახლახანს არ ჩამობრძანდით ასეთი ძნელი მოგზაურობიდან?

– მერე რა უჭირს. სჯობს კაცმა ერთბაშად მოითავოს ყველაფერი, შემდეგ კი მშვიდად დაჯდეს შინ და ზბიშკოს დაელოდოს. თუ მას ღვთის წინაშე დედოფალი ეყოლება მფარველად და ქომაგად, მაშინ ათი კარგად შეჭურვილი გერმანელიც ვერას დააკლებს... მე კი გულდაიმედებული მოვკიდებ ხელს ციხე-კოშკის შენებას.

– თქვენი მოსვენება არ იქნება!

– არაფერია. ჯერ ჯანი მომდგამს. და აი, კიდევ რას გეტყვი. იასკოს ერთი სული აქვს, როდის გაიჭრება სახლიდან. წამოვიდეს ჩემთან ერთად, ნაცადი კაცი ვარ, მაგისი დაოკება არ გამიჭირდება, ხოლო თუ რამე მოხდა – ბიჭს ხელები ექავება, – მაშინ შენ იცი, რომ ჩემთვის ორთაბრძოლა უცხო ხილი არ არის არც ქვეითად და არც ცხენდაცხენ, არც მახვილითა და არც ნაჯახით...

– ვიცი! თქვენზე უკეთესად ვერავინ გაუფრთხილდება.

– მაგრამ, მე ვფიქრობ, საბრძოლველი მაინც არაფერი გვექნება; სანამ დედოფალი ცოცხალი იყო, კრაკოვში ფეხს ვერ აუქცევდი უცხოელ რაინდებს, მოდიოდნენ, რომ მისი სილამაზით დამტკბარიყვნენ. ახლა კი მალბორგი უფრო იზიდავთ, იქ უფრო დიდმუცელა კასრებია სავსე ტკბილი ღვინით.

– მერე ჩვენ ხომ ახალი დედოფალი გვყავს?

მაცკო მოიჭმუხნა და ხელი ჩაიქნია:

– ვნახე მე ის და ლაპარაკიც კი არ მინდა, გასაგებია?

მერე გაჩუმდა და დაამატა:

– სამ-ოთხ კვირაში შინ ვიქნებით.

ასეც მოხდა. მოხუცმა რაინდმა იასკოს რაინდული პატიოსნება და წმინდა გიორგის თავი დააფიცა, რომ იქიდან არსად წასვლას არ მოსთხოვდა და გზას გაუდგნენ.

კრაკოვამდე უხიფათოდ იარეს: ქვეყანაში სიმშვიდე სუფევდა, საზღვარზე მცხოვრები გაგერმანელებული წვრილი თავადობა და გერმანელი ყაჩაღი რაინდები სამეფოს ძლიერებასა და მისი მცხოვრებლების სიმამაცეს შეუშინდნენ და თავდასხმები შეწყვიტეს. მაცკომ დედოფლის საფლავი მოინახულა, მერე ის და იასკო პოვალა ტაჩეველისა და მთავრის ძის იამონტის მეოხებით მეფის სასახლეში მოხვდნენ. მაცკოს ეგონა, რომ მეფის კარზეც და მმართველებშიც ყველა ეცემოდა და ჯვაროსნების ამბავს გამოჰკითხავდა, რადგან მან კარგად იცოდა ჯვაროსნების ასავალ-დასავალი. მაგრამ კანცლერთან და კრაკოვის მეხრმლესთან ლაპარაკის შემდეგ მან, თავისდა გასაოცრად, შენიშნა, რომ ჯვაროსნებზე იმათ ბევრად მეტი იცოდნენ. დაწვრილებით ჰქონდათ გაგებული, რა ხდებოდა თვით მალბორგში და სხვა ყველაზე მიყრუებულ ციხესიმაგრეებშიც. მათ იცოდნენ, სად ვინ მეთაურობდა, სად რამდენი ჯარისკაცი და ზარბაზანი იყო, რამდე-

ნი ხანი დასჭირდებოდა მათ შეკრებას და რის გაკეთებას აპირებდნენ ჯვაროსნები იმ შემთხვევაში, თუ ომი დაიწყებოდა. ისინი ამა თუ იმ კომტურის ხასიათსაც კი იცნობდნენ, – რომელი როგორია, ფიცხი თუ გონებადამჯდარი – და ყველაფერს ისე გულდაგულ იწერდნენ, თითქოს აგერ ხვალ ომი უნდა გაჩაღდესო.

მოხუც რაინდს ეს ძალზე მოეწონა, მიხვდა, რომ კრაკოვში ომისთვის უფრო გონივრულად ემზადებოდნენ, ვიდრე მალბორგში. „სიმამაცე ღმერთს იმდენივე ან იქნებ ცოტა მეტიც მოუცია ჩვენთვის, მაგრამ შორსმჭვრეტელობა ნამდვილად მათზე მეტი გვარგუნა“ – ამბობდა მაცკო გულში. იმ დროს ეს მართლაც ასე იყო. მაცკომ მალე გაიგო, საიდან მოსდიოდათ მათ ყოველგვარი ცნობები: თურმე თვითონ პრუსიის მცხოვრებლებს მოჰქონდათ, სხვადასხვა ფენის ხალხს, პოლონელებსაც და გერმანელებსაც. ორდენმა ისეთი ზიზღი დაიმსახურა, რომ პრუსიაში ყველა ხსნასავით ელოდა იაგელოს ჯარების მისვლას.

მაცკოს ამაზე მოაგონდა ერთხელ მალბორგში ზინდრამ მაშკოვიცელის ნათქვამი.

„აი, მესმის თავი! რა მეთქმის, მართლაც რომ ჭკუის კოლოფია!“ – ამბობდა მოხუცი გულში.

მან სიტყვასიტყვით გაიხსენა, რას ამბობდა მაშინ ზინდრამი, და როცა ყმაწვილი იასკო შეეკითხა ჯვაროსნების ამბავს, გამოიყენა კიდევაც ცნობილი რაინდის ბრძნული სიტყვები.

– ეგენი ძლიერი ძაღლები არიან, თქვა მაცკომ, – მაგრამ, როგორ ფიქრობ, გადმოვარდება თუ არა უნაგირიდან ყველაზე მძლავრი რაინდი, თუ მას უზანგებსა და მოსართავებს გადაუჭრიან?

– გადმოვარდება! რაღა თქმა უნდა, გადმოვარდება! უპასუხა ჭაბუკმა.

– აი, ხომ ხედავ! – მეხივით დაიგუგუნა მაცკომ. – მე მინდოდა შენ თვითონ მიხვედრილიყავი.

– რატომ?

– რატომ და სწორედ ასეთი რაინდია ორდენი.

და ერთი წამის მერე დასძინა:

– ყველა ვერ გეტყვის ასეთ ჭკვიანურს.

ჭაბუკი რაინდი ვერ მიმხვდარიყო, საით უმიზნებდა მოხუცი,

ის კი მოდგა ახსნა-განმარტებას. ამასობაში დაავიწყდა ეთქვა, რომ ეს შედარება მას კი არ მოფიქრებია, სიტყვასიტყვით დაიბადა ზინდრამ მაშკოვიცელის ნათელ გონებაში.

XVIII

კრაკოვში მაცკო და იასკო დიდხანს აღარ გაჩერებულან, თვითონ მაცკო უფრო ადრეც გამობრუნდებოდა, მაგრამ იასკო იხვეწებოდა, დავრჩეთო, – გულით უნდოდა ქალაქისა და ხალხის დათვალიერება, აქ მას ყველაფერი ჯადოსნური სიზმარი ეგონა. მაგრამ მოხუცი რაინდი ძალზე მიიჩქაროდა თავისი მშობლიური კერისკენ, ალოობაც მოახლოვდა და იასკოს თხოვნამ დიდად აღარ გასჭრა, მიძინების დღესასწაულისთვის ისინი უკვე შინ იყვნენ – ერთი ბოგდანეცში, მეორე კი ზგოჟელიცში თავის დასთან.

მას შემდეგ დაიწყო ერთფეროვანი ცხოვრება, აღსავსე ჩვეულებრივი სამეურნეო და ყოველდღიური სოფლური საქმეებით. დაბლობ ზგოჟელიცსა და განსაკუთრებით იაგენკას მოჩიდოლში უხვი მოსავალი აიღეს, მაგრამ ბოგდანეცში გვალვიანი ზაფხულის გამო პურის ყანა გაფუჭდა, ასე რომ, ცოტა შრომა დასჭირდათ მის ასაღებად. საერთოდ, სახნავი მიწა ბოგდანეცში ცოტა იყო. ჯერ ტყე არ გაეკაფათ და, სანამ პატრონი გარე-გარე დადიოდა, ის ნაკვეთებიც გაველურდა, რომლებიც აბატმა გააკაფვინა და სახნავად გაამზადა, რადგან ბოგდანეცში მუშახელი აკლდათ. მიუხედავად იმისა, რომ მოხუცი რაინდი ყოველგვარ დანაკარგს მტკივნეულად განიცდიდა, ეს გულთან ახლოს არ მიუტანია, იცოდა, თუ ფული ექნებოდა, ყველაფერში სასწრაფოდ დაამყარებდა წესრიგს. მთავარი ის იყო, ვისთვის იშრომებდა და იჯახირებდა. აი, სწორედ ამას ეჭვობდა, სწორედ ეს უწამლავდა სიცოცხლეს და აზრს უკარგავდა მის შრომას. მუხლს ერთი წუთით არ ჩახრიდა, დილაუთენია დგებოდა, წავიდოდა საძოვრებზე, მერე მინდვრებსა და ტყეს ჩამოუვლიდა, ციხე–კოშკის ასაშენებელი ადგილიც კი აარჩია და ხის მასალის მომზადება დაიწყო. მაგრამ პაპანაქება დღის მერე, მზე რომ გადაიხრებოდა და მეწამულსა და ოქროს ფერებში იწვოდა, მას ხშირად ეუფლებოდა გულის მღრღნელი დარდები და ამ დარდთან ერთად რაღაც შიშიც. თავის სიცოცხლეში ასეთი არაფერი დამართნია. „მე აქ ვჯახირობ, ვშრომობ, ოფლსა ვღვრი, – ფიქრობდა ის, – ჩემი ბიჭი კი, ვინ იცის, სადღაც მინდორში გდია შუბით განგმირული და მგლები კბილების ღრჭიალით დასტრიალებენ თავს მიცვალებულს“. ამას რომ გაიფიქრებდა, გული ეკუმშებოდა უდი-

დესი სიყვარულითა და უდიდესი მწუხარებით. დაძაბული მიუგდებდა ყურს, იაგენკას ცხენის ფლოქვების ხმა ხომ არ ისმისო. ქალიშვილი ყოველდღე ნახულობდა მოხუც რაინდს და ესეც თავს ისე აჩვენებდა, ვითომ იმედიანად იყო, სინამდვილეში კი ცდილობდა თვითონ დაეიმედებინა თავი და ტანჯული სული დაემშვიდებინა.

იაგენკა კი, ჩვეულებრივ, საღამოს პირას ჩამოდიოდა. უნაგირთან მშვილდ-ისარი და შურდული ჰქონდა მიმაგრებული, უკან გაბრუნებისას გზაზე რომ ხიფათს არ გადაჰყროდა. შეუძლებელი იყო, რომ უეცრად მას აქ ზბიშკო დახვედროდა, თვითონ მაცკოც მას წელიწად-წელიწადნახევარზე ადრე არ ელოდა, მაგრამ, ეტყობოდა, გოგოს გულში იმედი მაინც უღვივოდა და ისე კი აღარ მოდიოდა ჩაცმული, როგორც ადრე. დაუვარცხნელი, თასმაშემოჭერილი ხალათით და ბეწვგადმობრუნებული ჯუბით, – ახლა თმა ფაქიზად ჰქონდა დაწნული და ტანზეც სერაძული მაუდის ფერადი, მოყვანილი კაბა ეცვა. მაცკო იაგენკას შესახვედრად გამოდიოდა და ქალის პირველი კითხვა ყოველთვის ერთი და იგივე იყო: „აბა, რა არის ახალი?“ – მაცკო კი პასუხობდა: „არაფერი!“ მერე შეჰყავდა გოგონა ოთახში და ცეცხლის პირას მიმსხდარნი საუბრობდნენ ზბიშკოზე, ლიტვაზე, ჯვაროსნებზე, ომზე, ყოველთვის ერთი და იმავეთი იწყებდნენ და ყოველთვის ერთი და იმავეზე მუსაიფობდნენ, მაგრამ ეს საუბარი არასოდეს ბეზრდებოდათ, პირიქით, ლაპარაკით ვერც კი ძღებოდნენ.

ასე გადიოდა თვეები. ხანდახან მაცკოც წავიდოდა ზგოჟელიცში, მაგრამ უფრო ხშირად იაგენკა მოაშურებდა ხოლმე ბოგდანეცს. როცა ირგვლივ მოუსვენრობა იყო, ანდა ბებერი დათვები დასდევდნენ ძუ დათვებს და მაშინ ადამიანსაც ადვილად ერჩოდნენ, მაცკო ქალიშვილს შინ მიაცილებდა. ის კარგად იყო შეიარაღებული და არავითარი მხეცისა არ ეშინოდა. იცოდა, რომ თვითონ უფრო საშიში იყო მათთვის, ვიდრე ისინი მისთვის. მოხუცი რაინდი მაშინ ფეხი ფეხში მიჰყვებოდა ხოლმე ქალიშვილს. ტყე მრისხანედ ხმაურობდა; მაგრამ მათ ყველაფერი გადავიწყებოდათ და მხოლოდ ზბიშკოზე ლაპარაკობდნენ: სად არის ახლა? რას აკეთებს? თუ მოკლა, ან როდის მოკლავს იმდენ ჯვაროსანს, რამდენიც დანუსიას და მის დედას აღუთქვა, როდის დაბრუნდება? იაგენკა უკვე მესამედ აძლევდა ერთსა და იმავე კითხვებს, ხოლო მაცკო ისე დინჯად და მოფიქრებულად პასუხობდა, თითქოს პირველად ესმოდა ეს კითხვები.

– მაშ თქვენ ბრძანებთ, რომ გაშლილ ველზე ბრძოლა რაინდისათვის ისეთი საშინელი არ არის, როგორც ციხის ალყა?

– გაიხსენე, რა დაემართა ვილკს. ზემოდან გადმოგდებული მორი დაეცა თავზე, არავითარი ჯავშანი მაგას არ შველის, ველზე კი, თუ რაინდი გაწაფულია, ათი კაციც ვერაფერს დააკლებს.

– ზბიშკოს თუ აქვს კარგი ჯავშანი?

– ზბიშკოს რამდენიმე კარგი ჯავშანი აქვს, მაგრამ ყველაზე უკეთესი ის არის, ფრიზთან ბრძოლაში რომ მოიპოვა, მილანშია გამოჭედილი. ერთი წლის წინ ცოტა დიდი ჰქონდა, ახლა კი ზედგამოჭრილია.

– ვითომ ასეთი ჯავშნის დაძლევა არავითარ იარაღს არ შეუძლია?

– რაც ადამიანის ხელს შეუქმნია, ადამიანისავე ხელი დასძლევს. მილანის ჯავშნისთვის მილანის მახვილი არსებობს, ან არადა ინგლისური ისრები.

– ინგლისური ისრები? – კითხულობდა შეშფოთებული იაგენკა.

– რა, განა არ მითქვამს? ინგლისელები ყველაზე უფრო ზუსტი მშვილდოსნები არიან მთელს მსოფლიოში... ერთადერთი ტევრში მცხოვრები მაზურები თუ აჯობებენ, მაგრამ იმათ ხეირიანი მშვილდები და ისრები არა აქვთ. ინგლისური ოროლი ას ნაბიჯზე გახვრიტავს ყველაზე უკეთეს ჯავშანს. ჩემი თვალით მიყურებია ვილნოსთან. ინგლისელი არასოდეს ააცდენს, ისეთებიც არიან, რომ გაფრენილ შევარდენს ჩამოაგდებენ.

– უჰ, ურჯულოები! მერე როგორ გადაურჩებოდით ხოლმე?

– ერთადერთი საშუალებაა: ერთბაშად დაატყდე თავს! შენ რომ იცოდე, ის ძაღლიშვილები ბერდიშებსაც კარგად ფლობენ. აი, ხელჩართულ ბრძოლაში კი ჩვენები სჯობნიან.

– ღვთის მარჯვენა გიცავდათ. დაე, ახლა მან ზბიშკო დაიფაროს.

– მეც ხშირად ვამბობ ხოლმე ასე: „ღმერთო დიდებულო, რაკი ინებე და შეგვქმენი და ბოგდანეცში დაგვასახლე, ახლა ყურიც გვიგდე, და ნუ ამოგვწყვიტავ!“ ეს ნამდვილად ღვთის ნებაა. სიმართლე თუ გინდა, მთელი ქვეყნიერების ყურისგდება და ყველაფრის დამახსოვრება ხუმრობა საქმე არ არის, მაგრამ ადამიანი თვითონ ახსენებს ხოლმე თავის თავს, რითაც შეუძლია, წმინდა ეკლესიისთვის არაფერი ენანება. გონებაც ღმერთს ჩვეულებრივი ცოდვილი მოკვდავების გონებას არ მიუგავს.

ასე ერთხელ და ორჯერ არ უსაუბრიათ, გაუმხნევებიათ და იმედი აღუძრავთ ერთმანეთისათვის. ამასობაში კი გადიოდა დღეები, კვირეები და თვეები. შემოდგომაზე მაცკო მოხუც ვილკ ბჟოზოველს შეეტაკა. ვილკსა და აბატს შორის დიდი ხანია ბრძოლა იყო გამართული ყამირისათვის. როცა

აბატს ბოგდანეცი გირაოდ ჰქონდა აღებული, მან ტყესაკაფი ამოძირკვა და განაკაფს დაეუფლა. თავის დროზე ამ განაკაფის გამო მან ორთავე ვილკი გამოიწვია შუბებით ან გრძელი მახვილებით საბრძოლველად, მაგრამ მათ სასულიერო პირთან შებრძოლება არ ისურვეს, სასამართლოში კი ვერაფერს გახდნენ. ახლა მოხუცმა ვილკმა თავისი მიწა მოითხოვა, მაგრამ მაცკო ჯერ ისედაც არ იყო გულგრილი მიწების მიმართ, ხოლო როცა ისიც გაახსენდა, რომ ქერი არსად ისე კარგად არ მოდის, როგორც განაკაფზე, ისეთმა სიხარბემ შეიპყრო, გაგონებაც აღარ უნდოდა, რომ ვილკისთვის ეს ახო დაეთმო. საქმე უეჭველად შლიახტიჩების სასამართლომდე მივიდოდა, შემთხვევით რომ არ შეხვედროდნენ ქშესნიის წინამძღვართან. აყალმაყალის დასასრულს მოხუცმა ვილკმა უცებ უთხრა: „სანამ ხალხი განგვსჯიდეს, მე ღმერთს შევჩივლებ, რომელიც სამაგიეროს მიუზღავს თქვენს მოდგმას ჩემი წყენინებისათვის“. – ამაზე ჯიუტი მაცკო ერთბაშად მოლბა, გაფითრდა, წამით დადუმდა, მერე კი, აი, რა უთხრა თავის ჭირვეულ მეზობელს:

– ყური მიგდეთ, ეგ ამბავი ჩემი კი არა, აბატის დაწყებულია. ღმერთმა უწყის, ვინ არის მართალი ამ საქმეში, მაგრამ თუ თქვენ რაიმე ავი გინდათ უწინასწარმეტყველოთ ზბიშკოს, მაშინ სჯობს ისევ წაიღოთ ყამირი, დამითმია ის თქვენთვის სუფთა გულით, ხოლო ზბიშკოს ღმერთმა ჯანმრთელობა და ბედნიერება მიაგოს სამაგიეროდ.

მან ვილკს ხელი გაუწოდა, ის კი კარგად იცნობდა თავის მეზობელს და გაოცებული შეჰყურებდა. აზრადაც ვერასოდეს გაივლებდა, რომ მაცკოს პირქუშ გულში ძმისშვილის ასეთი სიყვარული ღვიოდა და ასე შეიძლებოდა ყოფილიყო შეშფოთებული მისი ბედ-იღბლით. ვილკმა დიდხანს ენა ვერ მოატრიალა, ხოლო როცა საქმის ასეთი შემობრუნებით გახარებულმა ქშესნიის წინამძღვარმა ორთავენი დალოცა, მაშინღა დაუბრუნდა მოხუცს მეტყველების უნარი:

– აი, ეს სხვა ლაპარაკია! საქმე გამორჩენაში კი არ არის, – მე მოხუცი ვარ, მემკვიდრეც არავინა მრჩება, – არამედ სამართლიანობაში. ვინც მე კარგად მომექცევა, იმისთვის საკუთარსაც არაფერს დავზოგავ. თქვენი ძმისშვილი კი დამილოცნია, ღმერთმა ნუ აგატიროთ იმაზე ამ სიბერის ჟამს, როგორც მე დავტირი ჩემს ერთადერთ ვაჟს...

ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ, მერე კი დიდხანს დაობდნენ, ვის წაეღო ყამირი. ბოლოს მაცკო, როგორც იქნა, დაჰყვა მის ნებას, ვილკი ხომ მართლაც მარტოდმარტო იყო და თავისი ქონების მომხმარებელიც არავინ ჰყავდა.

გახარებულმა მაცკომ მოხუცი ბოგდანეცში მიიწვია და მშვენივრად გა-უმასპინძლდა. დაიმედებული იყო, ყამირზე კარგი ქერი მოვიდოდა და თა-ნაც ის ახარებდა, რომ ზბიშკოს ღვთის რისხვა ააცდინა.

„ოღონდ კი დაბრუნდებოდეს, თორემ მიწა და ქონება საკმარისი აქვს!“ – ფიქრობდა გულში.

იაგენკასაც ძალზე უხაროდა იმათი შერიგება.

– თუკი ახლა მოწყალე ღმერთი ინებებს დაგვანახვოს, რომ მას მშვი-დობა ურჩევნია ომს, მაშინ ზბიშკო მთელი და უვნებელი უნდა დააბრუნოს, – თქვა ქალმა, როცა გაიგო საქმის ვითარება.

მაცკოს ამ სიტყვებზე ნათელი მოეფინა, გეგონებოდათ, მზის სხივი და-ეცაო.

– მეც ეგრე ვფიქრობ! – წამოიძახა მან. – რაღა ბევრი ლაპარაკი უნდა, ღმერთი ყოვლისშემძლეა, მაგრამ ციური ძალების მორევაც შეიძლება, თუ-კი გონებას მოიხმობ...

– ეშმაკობასა და მოხერხებულობას სხვას არ დაესესხებით, – უპასუხა ქალიშვილმა და თვალებში შეხედა.

მერე კი, თითქოს დაფიქრდაო, დასძინა:

– ოი, როგორ გიყვართ თქვენი ზბიშკო! როგორ გიყვართ!

– ის ვის აღარ უყვარს! – შეეკამათა მოხუცი რაინდი. შენ, შენ კი გეჯავ-რება განა?

იაგენკას აღარაფერი უპასუხია, მხოლოდ უფრო ახლოს მიიწია მაცკოს-თან მერხზე და ოდნავ გაჰკრა იდაყვი მოხუცს.

– თავი დამანებეთ! რა დამიშავებია თქვენთვის!

XIX

ჯვაროსნების ომმა ვიტოლდთან ჟმუდის დასაპყრობად ყველას ყუ-რადღება მიიქცია სამეფოში. დაძაბული ადევნებდნენ თვალს მის მსვლე-ლობას. ზოგიერთი დარწმუნებული იყო, რომ იაგელო დაეხმარებოდა ბი-ძაშვილს და მალე დაიწყებოდა დიდი ლაშქრობა ორდენის წინააღმდეგ. რაინდობა ომისკენ მიილტვოდა და შლიახტიჩთა ყველა მამულში იმაზეღა იყო ლაპარაკი, რომ მეფის საბჭოში შემავალი ბევრი კრაკოველი დიდებუ-ლი ომის დაწყების მომხრეა, რომ საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ მო-

ეღოს ბოლო მტერს, რომელიც ვერაფრით ძღება და სხვათა სიმდიდრის მიტაცებაზე ოცნებობს მაშინაც კი, როცა ძრწის მძლავრი მეზობლის ხსენებაზე. მაგრამ მაცკო აზრიანი, გამოცდილი და ბევრისმნახველი კაცი იყო და არა სჯეროდა, რომ ომი მალე დაიწყებოდა. ჭაბუკი იასკო ზგოჟელიცელისთვისაც ერთხელ და ორჯერ არ უთქვამს ეს. ამასვე ეუბნებოდა სხვა მეზობლებს, რომელთაც ქშესნიაში ხვდებოდა.

– სანამ მაგისტრი კონრადი ცოცხალია, არაფერი მოხდება. ის სხვებზე ჭკვიანია და იცის, რომ ეს უბრალო ომი არ იქნება, ეს იქნება სისხლისღვრა, ასე ვთქვათ: „ან შენ და ან მეო!“ მან იცის, როგორი ძლიერია ჩვენი მეფე და ამიტომ ომამდე არ მიიყვანს საქმეს.

– ერთიც ვნახოთ და მეფემ თვითონ გამოაცხადა ომი? ეკითხებოდნენ მეზობლები. მაგრამ მაცკო თავს აქანებდა:

– იცით რა... მე ბევრი რამ ვნახე საკუთარი თვალით და ბევრიც გავიგე. ეს მეფე რომ ჩვენი ძველი სამეფო გვარეულობის ჩამომავალი იყოს, იქნება კიდეც დაერტყა გერმანელებისთვის თვითონ. მაგრამ ჩვენი ვლადისლავ იაგელო (მე სულაც არ მინდა დავაკნინო მისი ღირსებები, ძალზე კეთილშობილი ხელმწიფეა, ღმერთმა ჯანმრთელობა არ მოაკლოს!), სანამ ჩვენ მეფედ ავირჩევდით, ლიტვის დიდი მთავარი და წარმართი იყო. ქრისტიანობა ცოტა ხნის წინ მიიღო და გერმანელები ყველგან ყბედობენ, თითქოს სული ჯერ ისევ წარმართისა ჰქონდეს. მას პირველს არ ეკუთვნის ომის გამოცხადება და ქრისტიანების სისხლის დაღვრა. აი, ეს არის მიზეზი, რის გამოც ის ვიტოლდის დასახმარებლად არ გამოდის, თუმცა კი ხელები ეფხანება; მე კარგად ვიცი, რომ ჯვაროსნები შავი ჭირივით ეზარება.

ასეთი საუბრებით მაცკომ ყველაფრის მცოდნე და გამგები, შორსმჭვრეტელი ადამიანის სახელი დაიგდო. კვირაობით ქშენიაში წირვის შემდეგ მას მუდამ ხალხი ეხვია, მერე და მერე მეზობლები ახალი ამბებით ბოგდანეცს მიაშურებდნენ ხოლმე მოხუც რაინდთან, რომელიც მაშინვე განუმარტავდა ყველაფერს, რასაც უბრალო შლიახტიჩები ვერ ხსნიდნენ. მაცკო გულღიად ღებულობდა ყველას და სიამოვნებით ესაუბრებოდა თითოეულს, ხოლო როცა სტუმარი ლაპარაკით გულს იჯერებდა და წასვლას დააპირებდა, უეჭველად შემდეგი სიტყვებით გაისტუმრებდა:

– თქვენ ჩემი ჭკუა გიკვირთ, აი, ღმერთმა ქნას და ზბიშკო დაბრუნდებოდეს, მაშინ ნახეთ თქვენი გაოცება! სამეფო საბჭოში უნდა თათბირობდეს, იმისთანა ჭკვიანი და მოსაზრებულია.

ამ აზრს სტუმრებს რომ ჩააგონებდა, ნელ-ნელა თავისი თავიც დააჯერა ამაში და იაგენკაც. ორთავეს ზბიშკო ზღაპრულ მეფისწულად ეხატებოდა. გაზაფხული რომ დადგა, გული შინ აღარ დაუდგათ. მოფრინდნენ მერცხლები, მოფრინდა ყარყატი, მწვანეში ტალღების სტვენა გაისმა, მწყერი აქვითქვითდა, მათზე ადრე მოფრინდნენ წეროები და იხვინჯები. მარტო ზბიშკო არ ჩანდა. ჩიტები სამხრეთიდან მოიწევდნენ, ჩრდილოეთიდან კი ფრთამალ ქარს ომის ხმები მოჰქონდა. უამრავი ბრძოლებისა და შეტაკებების ამბებს ჰყვებოდნენ, რომლებშიაც მოხერხებული ვიტოლდი ხან იმარჯვებდა ჯვაროსნებზე და ხან მარცხდებოდა; ჰყვებოდნენ გერმანელთა დიდ დანაკლისზე, ზამთრის ყინვებისა და ავადმყოფობების გამო რომ განიცადეს. ბოლოს მთელს ქვეყანაში გადაიგრიალა სასიხარულო ამბავმა, კეისტუტის მამაცმა შვილმა ახალი კოვნო ანუ გოტევერდერი აიღო და ძირფესვიანად დაანგრია ის, ქვა ქვაზე აღარ დატოვაო. როცა ამ ამბავმა მაცკოს ყურამდის მიაღწია, ცხენს მოახტა და სულმოუთქმელად მოაშურა ზგოჟელიცს.

„ჰო, – ამბობდა ის. – მე ვიცნობ მაგ ადგილებს, მე და ზბიშკო მანდ სკირვოილოსთან ერთად კარგად მოვსდექით ჯვაროსნებს. იქ ჩავიგდეთ ტყვედ ღირსეული რაინდი დე ლორში. მადლობა ღმერთს, რომ გერმანელებს ხელი მოეცარათ, ადვილი საქმე არ იყო ისეთი ციხესიმაგრის აღება“.

მაგრამ იაგენკას მაცკოს ჩასვლამდე გაეგო ახალი კოვნოს დანგრევის ამბავი, ამას გარდა, კიდევ მეტიც მოესმინა: ვიტოლდს ზავზე დაეწყო მოლაპარაკება. ამ ამბავმა პირველზე მეტად შეაშფოთა: თუ ზავი შეიკრა და ზბიშკო ცოცხალია, მაშინ ხომ უეჭველად შინ უნდა დაბრუნდეს.

და მოხუც რაინდს გამოჰკითხა, შეიძლება თუ არა ეს მოხდესო. მაცკო კი დაფიქრდა და შემდეგ უპასუხა:

– ვიტოლდისგან ყველაფერი მოსალოდნელია. ის სხვებს არა ჰგავს და ქრისტიან მეფეთაგან ყველაზე ეშმაკია. როცა მას თავისი უფლებების გაფართოება რუსეთის მხარეს სჭირდება, მაშინ გერმანელებთან დებს ზავს, ხოლო როცა მიზანს მიაღწევს, მოუბრუნდება და ისევ გერმანელებს დასცხებს. ვერა და ვერ გაუმკლავდნენ ისინი ვერც ვიტოლდს და ვერც იმ ავბედით ჟმუდს. ხან წაართმევს, ხან უკან უბრუნებს, და განა მარტო უბრუნებს, თვითონაც ეხმარება ჟმუდელთა დაჯაბნაში. ჩვენშიც და ლიტვაშიც ამტყუნებენ ვიტოლდს იმის გამო, რომ ის უბედური მოდგმა მის ხელში უბრალო სათამაშოდ გადაიქცა. სიმართლე თუ გინდა, ვიტოლდი რომ არ იყოს, მეც სირცხვილად ჩავთვლიდი ასეთ საქციელს. მაგრამ არა-არა და ვიფიქრებ ხოლმე: „იქნებ ის ჩემზე ჭკვიანია და თვითონ უკეთ იცის, რასაც აკეთებს?“

მე თვითონ სკირვოილოსგან გამიგონია, ვიტოლდმა ჟმუდი ჩირქიან წყლულად აქცია ორდენის სხეულზე, რათა არასოდეს ჯანი არ გაუმრთელდესო... ჟმუდელი დედები კვლავაც შობენ შვილებს, სისხლი კი დასანანი არ არის, როცა ის ტყუილუბრალოდ არ იღვრება.

– მე მხოლოდ ერთი მინდა ვიცოდე – დაბრუნდება თუ არა ზბიშკო.

– ყველაფერი ღვთის ნებაა, მაგრამ ღმერთმა კეთილად გისმინოს, გოგონი!

განვლო კიდევ რამდენიმე თვემ. მოვიდა ამბავი, ზავი ნამდვილად დაიდოო; ოქროსფრად შეიღება დამძიმებული თავთავები, მინდვრებში ჩაშავდა წიწიბურა, ზბიშკოსაგან კი კვლავ არაფერი ისმოდა.

დაიწყო მკაც; მაცკომ ვეღარ მოისვენა და განაცხადა, სპიხოვში მივდივარო, – იქიდან ლიტვაც ახლოს არის, ახალ ამბებს გავიგებ და თანაც თვალს დავკრავ, როგორ მეურნეობსო ჩეხი.

იაგენკამაც მოინდომა წასვლა, მაგრამ მოხუცი ვერ დაითანხმა. ერთი კვირა იდავეს ამაზე. ერთხელ საღამოს ზგოჟელიცში, როცა მათ კვლავ განაახლეს დავა, ეზოში გრიგალივით შემოვარდა ბოგდანეცელი ბიჭი: ფეხშიშველი, უქუდო, უბელო ცხენი პირდაპირ მიაგდო კიბესთან, სადაც მაცკო და იაგენკა ისხდნენ, და შესძახა:

– ახალგაზრდა ბატონი დაბრუნდა!

ზბიშკო მართლაც დაბრუნებულიყო, მაგრამ რაღაც უცნაური ეჩვენათ: განა მხოლოდ გამხდარი, ქარისგან გაშავებული და მხრებში მოხრილი იყო, გაოგნებულიც ჩანდა, ხმას არ იღებდა. ჩეხი, რომელსაც თავის მეუღლესთან ერთად გამოეცილებინა ის სპიხოვიდან, ორთავეს მაგივრად ლაპარაკობდა. ის ჰყვებოდა, რომ ლაშქრობა, ჩანს, შედეგიანი იყო, რადგან სპიხოვში რაინდმა დანუსიასა და დედამისის საფლავზე ფარშავანგისა და სირაქლემას ჯიღების მთელი გროვა დაალაგაო. მდიდარი ნადავლი ჩამოიტანა, ცხენები, საჭურველი, ორ ჯავშანს ფასსაც ვერ დაადებდით, თუმცა ბრძოლაში ძალზე იყო დასერილი მახვილითა და ცულით. მაცკოს ცნობისმოყვარეობა სტანჯავდა, უნდოდა ძმისშვილისგან დაწვრილებით გაეგონა ყველაფერი, მაგრამ ის მხოლოდ ხელს ჩაიქნევდა ხოლმე, ორიოდ სიტყვით იშორებდა თავიდან. მესამე დღეს კი ავად გახდა და სულაც ჩაწვა. თურმე მარცხენა გვერდი ჰქონოდა დაჩეჩქვილი და ორი ნეკნი ჩამტვრეული, რომლებიც გადაადგილებულიყვნენ და სიარულსა და სუნთქვას უშლიდნენ. ხარის მიყენებულმა ძველმა ჭრილობებმაც გაუხსენა, სპიხოვიდან სახლამდე გზამ კი სულ ბოლო მოუღო ზბიშკოს, მაგრამ ეს ყველაფერი შიშს არ იწვევ-

და – ის ახალგაზრდა და მუხასავით მაგარი იყო. ერთი ეგაა რომ ერთბაშად საოცარი დაღლილობა დაეუფლა, გეგონებოდათ, გადატანილმა ყველა უბედურებამ ახლაღა იჩინა თავი. ჯერ მაცკოს ეგონა, ბიჭი ორი-სამი დღე გამოშუშდება და წამოდგებაო. მაგრამ არც მალამოებმა უშველეს, არც ბალახის შეხრჩოლებამ, რაც იქაურმა მეცხვარემ ურჩია, არც ნახარშებმა, რომლებსაც იაგენკა და ქშესნიის ქსონძი უგზავნიდნენ: ზბიშკო სულ უფრო სუსტდებოდა, არაქათი ეცლებოდა და ნაღველიც ემატებოდა.

– რა დაგემართა? რამე ხომ არ გინდა? ცდილობდა გამოეცნო მოხუც რაინდს.

– არაფერი მინდა, ჩემთვის ყველაფერი სულ ერთია, პასუხობდა ზბიშკო.

ასე გადიოდა დღეები. იაგენკამ იფიქრა, ზბიშკოს უბრალო ავადმყოფობა კი არა, რაღაც უარესი აწუხებსო, იქნებ ჭაბუკს იდუმალი რამ უღრღნის გულსო და შეეხვეწა მაცკოს, კიდევ ერთხელ კარგად გამოჰკითხეთ, რა დაემართაო.

მაცკო უყოყმანოდ დაეთანხმა, მაგრამ მერე ჩაფიქრდა და თქვა:

– იქნებ შენ უფრო გადაგიშალოს გული. რომ მოსწონხარ, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრამ მე სხვაც შევნიშნე, როცა ოთახში მიდი-მოდიხარ, თვალს არ გაცილებს.

– თქვენ შენიშნეთ? - იკითხა იაგენკამ.

– რაკი გეუბნები, არ გაშორებს-მეთქი, ესე იგი, არ გაშორებს. ხოლო როცა დიდხანს არ გამოჩნდები, თვალი კარისკენ უჭირავს. შენ ჰკითხე, ნამდვილად აჯობებს.

ასეც გადაწყვიტეს. მაგრამ თურმე იაგენკამ არ იცოდა, როგორ მიდგომოდა ზბიშკოს, რცხვენოდა. ცოტა რომ დაფიქრდა, მიხვდა, დანუსიაზე უნდა ჩამოეგდო სიტყვა, განსვენებულისადმი მის სიყვარულზე, მაგრამ ამაზე ლაპარაკის ძალა მას არ შესწევდა.

– თქვენ ჩემზე უფრო ეშმაკი ხართ, – უთხრა მან მაცკოს, – გონებაც უკეთესი გაქვთ და გამოცდილებაც მეტი, ჰოდა ადექით და ესაუბრეთ კიდეც. მე კი არ შემიძლია.

მაცკო იძულებული გახდა, საქმეს შესდგომოდა. ერთ დილას, როცა ზბიშკო შედარებით მხნედ ეჩვენა, მოხუცმა ასეთი ლაპარაკი წამოიწყო:

– ჰლავამ მითხრა, რომ სპიხოვში საფლავებზე ფარშავანგის ჯიღების მთელი გროვა დაგიწყვია.

ზბიშკო ზურგზე იწვა და ჭერს შეჰყურებდა; თავი არც მოუბრუნებია, ისე დაუქნია თანხმობის ნიშნად.

– ეს რა უსურვებია ღმერთს. რაინდს ომშიც იშვიათად შეხვდები, ჯარისკაცთან შეყრა უფრო ადვილია. კნეხტებს რამდენსაც გნებავთ, იმდენს დახოცავ, რაინდი კი საძებარია... ნუთუ თვითონ მოიწევდნენ შენთან საბრძოლველად?

– ბევრი რაინდი დატკეპნილ მიწაზე გამოვიწვიე ხმალდახმალ, ერთხელ კი ბრძოლაში ალყა შემომარტყეს, – ზანტად უპასუხა ზბიშკომ.

– ნადავლიც მდიდრული ჩამოგიტანია...

– მთავარი ვიტოლდის საჩუქრებია მაგათში ბევრი.

– ისევ ისეთი ხელგაშლილია?

ზბიშკომ კვლავ თავი დაუქნია, ეტყობოდა, ლაპარაკი არ სურდა.

მაგრამ მაცკომ თავი დამარცხებულად არ ჩათვალა გადაწყვიტა საქმეს შესდგომოდა.

– მითხარი გულახდილად, – დაიწყო მან, – როცა დანუსიას კუბოსთან ჯიღების გროვა დაალაგე, ხომ მოგეშვა გულზე?.. აღთქმის შესრულება ყოველთვის დიდად სასიხარულოა. შენც გიხაროდა არა?

ზბიშკომ ჭერს ნაღვლიანი თვალები მოსწყვიტა, მაცკოს შეხედა და თითქოს გაოცებით უთხრა:

– არა.

– არა? – ღვთისა მაინც შეგეშინდეს! მე კი მეგონა, როცა დანუსიასა და დედამისს გაახარებს ზეცაში, ყველაფერი დამთავრდება-მეთქი.

ჭაბუკმა წამით თვალი მოჭუტა ფიქრიანად და მერე უთხრა:

– ეტყობა, ცხონებულ სულებს აღარაფერში სჭირდებათ ადამიანთა სისხლი.

წამით კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

– მაშ რატომ იყავი ომში? – ჰკითხა მას მაცკომ.

– რატომ? კითხვითვე შეუბრუნა ოდნავ გამოცოცხლებულმა ზბიშკომ. – მე თვითონაც მეგონა, რომ გულზე მომეშვებოდა, მეგონა, დანუსიასაც დავაწყნარებდი და ჩემს თავსაც... მერე კი გავოცდი კიდეც... გამოვდივარ აკლდამიდან და გული ისევ ისეთი დამძიმებული მაქვს, როგორც უწინ. ჩანს, აღარაფერში არგიათ ცხონებულ სულებს ადამიანთა სისხლი.

– ეს შენ ალბათ ვიღაცამ გითხრა, შენ თვითონ ვერ მიხვდებოდი.

– არა, მე თვითონ მივხვდი, რადგან გულზე არ მომეშვა. ქსონძმა კალებმა კი მხოლოდ დამიდასტურა, ეს მართალიაო.

– ომში მტრის მოკვლა ცოდვა არ არის, პირიქით, სასახელოა. ჯვაროსნები კი ჩვენი მტრები არიან.

– მერე მე მაგას ცოდვად არცა ვთვლი და არც ჯვაროსნები მებრალებიან.

– ისევ დანუსიაზე დარდობ?

– როგორც კი გამახსენდება, მაშინვე ნაღველი შემომაწვება ხოლმე, მაგრამ ყველაფერი ღვთის ნებაა! მე უკვე შევეჩვიე.

– მაშ რატომ არ გადაიყრი გულიდან დარდს. რა გინდა?

– საიდან ვიცი?..

– ახლა კარგად ისვენებ, სნებაც მალე გაგივლის, წადი აბანოში, ორთქლის აბაზანა მიიღე, ერთი თასი თაფლუჭი დალიე, რომ ოფლი მოგივიდეს, – და ჰოპლა!

– მერე რა მოხდება?

– მაშინვე გუნება გამოგიკეთდება.

– რაზე უნდა ვიმხიარულო, ჩემს გულს სიხარული არ ეკარება, გახსნით ხომ ვერავის გავუხსნი.

– შენ რაღაცას მიმალავ?

ზბიშკომ მხრები აიწურა:

– დარდიანი ვარ. დასამალი კი არა მაქვს რა.

ეს ბიჭმა ისეთი გულახდილობით თქვა, რომ მაცკოს მაშინვე გაეფანტა ყოველგვარი ეჭვი, როგორც ყოველთვის იცოდა ხოლმე ღრმად ჩაფიქრების წამს, ფართო ხელისგული ჭაღარა ქოჩორზე გადაისვა და ბოლოს თქვა:

– მაშინ მე გეტყვი, რაც გიღრღნის გულს: ერთი დასრულდა, მეორე კი ჯერ არ დაწყებულა; გაიგე?

– მთლად ვერა, მაგრამ იქნებ გავიგე კიდეც! – უპასუხა ახალგაზრდა რაინდმა.

და ისე გაიზმორა, გეგონებოდათ, ძილი მოერიაო.

მაცკო დარწმუნებული იყო, რომ მისი ნაღველის ჭეშმარიტ მიზეზს მიხვდა, ძალიან გაიხარა და აღარაფერზე დარდობდა. მოხუცმა რაინდმა კი-

დევ უფრო ირწმუნა თავისი გონიერება; გულში ამბობდა: „მართლაც რა არის გასაკვირი, რომ ხალხი ჩემთან რჩევის საკითხავად მოდისო?“

როცა ამ ლაპარაკის შემდეგ იმავე საღამოს იაგენკა მოვიდა, მოხუცმა ცხენიდან ჩამოსვლაც არ აცალა, ისე ახარა, ვიცი, ზბიშკოს რაც ადარდებსო.

ქალიშვილი თვალის დახამხამებაში ჩამოცურდა უნაგირიდან და ჰკითხა:

– რა, რა, ჩქარა მითხარით!

– შენა გაქვს იმისი წამალი.

– მე? რა წამალი? მან წელზე ხელი მოჰხვია გოგონას და ყურში რაღაც წასჩურჩულა, მან კი ალმოდებული სახე ახალსა და მაღალ უნაგირს შორის ჩამალა და შესძახა:

– მომცილდით! აუტანელი ხართ!

– გეფიცები, მართალს ვამბობ! – უთხრა მაცკომ სიცილით.

XX

მიხვედრით კი მიხვდა მაცკო, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. ძველი ცხოვრება ზბიშკოსთვის მართლაც სრულიად დამთავრებულიყო. დანუსკა ეცოდებოდა, როცა გაახსენდებოდა, მაგრამ აკი თვითონვე თქვა, ალბათ ზეცაში ურჩევნიაო ყოფნა. შეეგუა აზრს, რომ ის ამქვეყნად აღარ იყო, შეეჩვია ამას და უკვე ფიქრობდა, სხვაგვარად ალბათ არც შეიძლებოდა მომხდარიყოო, თავის დროზე ის აღტაცებაში მოჰყავდა კრაკოვის ტაძართა ფანჯრებზე წმინდა ქალწულების ფერად გამოსახულებებს, მინისაგან გამოჭრილები და ტყვიაში ჩასმულები მზეზე რომ ბრჭყვინავდნენ, ახლა მას დანუსიაც ასეთად ესახებოდა. არამიწიერი უსხეულო გოგონა თითქოს გვერდით ამოსდგომოდა, პატარა ხელები გულზე დაეკრიფა და თვალები ზეცისათვის მიეპყრო, ან თავის პატარა ბარბითზე უკრავდა ყველა სხვა ცხონებული მუსიკოსის გვერდით, რომლებიც ზეცაში თავის პატარა ვიოლინოებზე უკრავენ და ღვთისმშობელსა და ძეს მისას ართობენ. დანუსიას მიწიერი აღარაფერი გააჩნდა და ვაჟისთვის ისეთ წმინდა და უსხეულო სულად იქცა, რომ ხანდახან, როცა გაიხსენებდა, როგორ ემსახურებოდა ქალბატონს სამონადირე სახლში, იცინოდა, ლაპარაკობდა, სხვებთან ერთად სუფრასთან ჯდებოდა, ზბიშკოს ეჭვიც კი ეპარებოდა, ცხადი იყო ის ყველაფერი თუ სიზმარიო. მერე ვიტოლდის დროშით ლაშქრობაში, როცა მთელი მისი ყურად-

ღება საბრძოლო საქმეებს დაეპყრო. გაუნელდა ნაღველი მიცვალებულზე, როგორც ქმარს ცოლზე, და ისე ფიქრობდა მასზე, ვითარცა კაცი ღვთისმოსავი თავის მფარველზე. ასე დაკარგა ნელ-ნელა მისმა სიყვარულმა მიწიერი ნიშნები, იქცა ლაჟვარდისფერ ზეციურ მოგონებად, უბრალოდ თაყვანისცემის საგნად.

ის რომ ფიზიკურად სუსტი ყოფილიყო და დიდად გონიერი, მაშინ ბერად შედგებოდა და მონასტრის მყუდრო ცხოვრებაში წმინდა ხატებასავით შემოინახავდა ამ ზეციურ მოგონებას, სანამ სხეულის ბორკილებისგან განთავისუფლებული მისი სული უსაზღვრო სივრცეებში არ გაფრინდებოდა, როგორც ჩიტი მიფრინავს ხოლმე გალიიდან. მაგრამ ზბიშკომ ის იყო ოც წელს გადააბიჯა, ჯერ კიდევ შეეძლო ხელის მოჭერით გამოედინა წვენი ნედლი ტოტიდან და ფეხების შემოჭდობით მოეგუდა ცხენი. ის ჰგავდა მაშინდელ შლიახტიჩებსა და მემამულეებს, რომლებიც ბავშვობაში თუ არ დაიხოცებოდნენ, ან თუ ბერად არ შედგებოდნენ, მაშინ არავითარი ზღვარი და არავითარი ზომა არ გააჩნდათ ხორციელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, ან ხოცვა-ჟლეტაზე გადადიოდნენ, ან გარყვნილებასა და ლოთობას მიეცემოდნენ, ანდა სულ ახალგაზრდანი ირთავდნენ ცოლებს, და როგორც კი მეფე ლაშქრის შეკრებას ბრძანებდა, ომში მიდიოდნენ თავიანთი ოცდაოთხი, ან უფრო მეტი, ტახებივით ღონიერი ვაჟებით.

ზბიშკომ არ იცოდა, რომ თვითონაც ასეთი იყო, მით უმეტეს, რომ პირველ ხანებში ავადმყოფობდა კიდეც. მაგრამ მისი ჩამსხვრეული ნეკნები თანდათან შეხორცდა, პატარა ამობურცული ნაჭრილობევიღა დარჩა გვერდში, რომელიც სულ არ უშლიდა და არათუ ჯავშნის ქვეშ, ჩვეულებრივ ტანსაცმელშიც არ ემჩნეოდა. თანდათან მომაგრდა. დანუსიაზე გლოვის ნიშნად შეკრეჭილი სქელი ქერა თმა ისევ ჩამოეზარდა და მხრებზე დაეფინა. უბრუნდებოდა ენით აუწერელი სილამაზეც. რამდენიმე წლის წინ, როცა ჯალათის ხელით სიკვდილის მისაღებად მიეშურებოდა, ცნობილი გვარეულობის ვაჟიშვილს ჰგავდა, ახლა კიდევ უფრო დამშვენდა, ნამდვილი უფლისწული იყო, მხრები, მკერდი, ფეხები და ხელები გოლიათს მიუგავდა, სახე კი ლამაზ ქალს. ძალ-ღონე და სიცოცხლე ჩქეფდა, დიდი ხნის დასვენებისა და უბიწოებისაგან ცეცხლი უვლიდა ძარღვებში. ვერ გაეგო, რა ემართებოდა. ჯერ ფიქრობდა, ისევ ავად ვარო, და ლოგინიდან ადგომას არ ჩქარობდა, კმაყოფილი იმითი, რომ მაცკო და იაგენკა ყურს უგდებდნენ, კარგად უვლიდნენ და ყველა სურვილს უსრულებდნენ. დროდადრო თავს ისე კარგად გრძნობდა, ეგონა ცაში ვარო, ზოგჯერ კი, განსაკუთრებით მაშინ, როცა იაგენკა ახლოს არ იყო, ცუდად ხდებოდა და დარდი მოერეოდა ხოლ-

მე. მაშინ ის ამთქნარებდა, გული ელეოდა, ფორიაქობდა და მაცკოს უცხადებდა, რომ მოვრჩები, ისევ გზას გავუდგები თუნდაც ცხრა მთას იქით – გერმანელებთან, თათრებთან ან სხვა ველურებთან საბრძოლველად, ოღონდ სადმე სიკვდილი ვიპოვო, რადგან ცხოვრება ძალიან მიმძიმსო. მაცკო არ ედავებოდა, მხოლოდ თავს უქნევდა და ეთანხმებოდა. ამასობაში კი იაგენკასთან კაცს აგზავნიდა, იმის მოსვლის მერე კი ზბიშკოს ფიქრები ახალ საომარ ლაშქრობებზე ისევე ქრებოდა, როგორც მზით გამთბარი ძველი თოვლი.

იაგენკა დაძახებაზეც დიდი სიამოვნებით მოდიოდა და თავისი ნებითაც, რადგან ზბიშკო მთელი სულითა და გულით შეჰყვარებოდა. პლოცკში ეპისკოპოსისა და მთავრის კარზე ბევრი ასეთი ლამაზი და სიმამაცითა და ძალ-ღონით სახელმოხვეჭილი რაინდი უხილავს, მათგან მრავალი მუხლმოყრილი ეფიცებოდა კუბოს კარამდე ერთგულებას,. მაგრამ ეს იყო მისი პირველი სიყვარული ცხოვრების გარიჟრაჟზე. იმ უბედურებათა გამო, რაც ვაჟს გადახდა, ქალს სიყვარული მხოლოდ გაღრმავებოდა, ასჯერ უფრო სასურველი და ძვირფასი გამხდარიყო, ვიდრე მთელი ქვეყნის რაინდები და მთავრები. ახლა, როცა ვაჟი ჯანზე მოდიოდა და ყოველდღე უფრო მშვენდებოდა, ეს სიყვარული ვნებად გადაიქცა, რომელმაც მთელ ქვეყანას ბინდი გადააფარა.

მაგრამ ქალი თავის თავსაც არ უტყდებოდა ამაში და სიყვარულს ზბიშკოს უმალავდა, ეშინოდა, ვაითუ ისევ უარი მტკიცოსო. ახლა მაცკოსთანაც ფრთხილობდა, ადრე კი ყველა თავისი საიდუმლო გაუმჟღავნა. ერთადერთი იმ მზრუნველობას შეეძლო გაეცა, ზბიშკოს მოვლისას რომ იჩენდა, მაგრამ ცდილობდა ამ ზრუნვისთვისაც სხვა ახსნა მიეცა. ამ მიზნით, აი, ერთხელ რა უთხრა ვაჟს ეშმაკურად:

– იცოდე, ცოტას თუ გივლი, მაცკოს ხათრით გივლი, შენ კი, ვინ იცის, რა იფიქრე? მითხარი აბა?

და ვითომდა თმას ისწორებსო, სახეზე ხელი აიფარა და თითებს შუა დაჟინებით დააცქერდა ზბიშკოს; ის კი შეაკრთო მოულოდნელმა კითხვამ, ქალიშვილივით გაწითლდა და მაშინვე ვერც კი უპასუხა:

– მე არაფერიც არ მიფიქრია. შენ ახლა სხვა ხარ.

წამით ისევ გაჩუმდნენ.

– სხვა? – ჩაეკითხა, როგორც იქნა, ქალიშვილი მშვიდი, რბილი ხმით, – ჰო, კაცმა რომ თქვას, მართლაც სხვა ვარ. მაგრამ განა, ღმერთმა დამიფაროს და, სულ აღარ მიყვარხარ?

– მაგისთვისაც მადლობა მომიხსენებია,-უპასუხა ზბიშკომ.

ამ დღიდან მოყოლებული ერთად ყოფნა სიამოვნებდათ, მაგრამ რაღაც უჩვეულოს გრძნობდნენ. ხანდახან გეგონებოდათ, რომ ერთზე ფიქრობდნენ და მეორეზე ლაპარაკობდნენ. ხშირად დიდიხნობით დუმდნენ. სანამ ზბიშკო ლოგინში იწვა, მაცკოს თქმისა არ იყოს, თვალს ადევნებდა ქალიშვილს, საითაც არ უნდა წასულიყო ის; ხანდახან ისეთი ლამაზი ეჩვენებოდა, რომ ცქერით ვერ ძღებოდა. როცა შემთხვევით მათი მზერა ერთმანეთს შეხვდებოდა, წითლდებოდნენ და ქალიშვილს მაღალი მკერდი უღელავდა, გული კი თითქოს მოლოდინით უცემდა, აი, ახლა გავიგონებ რაღაცას ისეთს, რის გამოც სული დადნება და გადმოიღვრებაო. მაგრამ ზბიშკო ჩუმად იყო, მთელი ადრინდელი სიმამაცე გაჰქრობოდა, ეშინოდა, გოგო მოუზომელი სიტყვით არ დავაფრთხოო. მართალია, თავისი თვალით ხედავდა ყველაფერს, მაგრამ თავს არწმუნებდა, ჩემდამი დაძმურ სიყვარულს მაცკოსთან მეგობრობის გამო იჩენსო.

ერთხელ ზბიშკომ სიტყვა ჩამოუგდო ამაზე მაცკოს. ბიჭი ცდილობდა მშვიდად ელაპარაკა, ვითომდა ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვსო, მაგრამ თვითონაც ვერ შენიშნა, როგორ იქცა მისი ლაპარაკი მწარე, ნაღვლიან ჩივილად. მაცკომ მას მოთმინებით მოუსმინა, ბოლოს კი მხოლოდ ერთი სიტყვა უთხრა:

– სულელი ხარ!

და ოთახიდან გავიდა.

მაგრამ ეზოში უზომო სიხარულით ხელების სრესასა და გვერდებზე ტყაპუნს მოჰყვა.

„აჰა, – ეუბნებოდა თავის თავს, – როცა ადვილად გივარდებოდა ხელში, მაშინ შეხედვაც არ გინდოდა, ახლა იკანკალე შიშით, თუ კი ასეთი სულელი ხარ. მე ციხე-კოშკს აგიშენებ, შენ კი ნერწყვები ყლაპე. არაფერს გეტყვი და თვალსაც არ აგიხელ, ბოგდანეცის ყველა ულაყზე უფრო ხმამაღლაც რომ იჭიხვინო. რაკი ნაფოტი ნაკვერჩხალზე ალაგია, ადრე თუ გვიან ცეცხლიც აბრიალდება, მე კი გაღვივებას არ ვეცდები, ვფიქრობ, ეს საჭირო არ არის“.

და ის არამცთუ არ აღვივებდა ცეცხლს, პირიქით, კიდევაც აბრაზებდა ზბიშკოს და აღიზიანებდა, როგორც ეშმაკ ბებრებს უყვართ გამოუცდელი ჭაბუკების დაცინვა. და, აი, ერთხელ, როცა ზბიშკომ კვლავ გაიმეორა, მალე ალბათ რომელიმე შორეულ ლაშქრობაში წავალ, რადგან ცხოვრება მომბეზრდაო, მაცკომ უთხრა:

– როცა პირტიტველა ღლაპი იყავი, მე რჩევას გაძლევდი, ახლა კი ნება შენია! რაკი მარტო შენი ჭკუით გინდა ცხოვრება, რას ვიზამ, წადი.

გაოცებული ზბიშკო წამოხტა კიდეც და საწოლზე ჩამოჯდა.

– რა? მაშ თქვენ ამასაც აღარ მიშლით?

– რატომ უნდა დაგიშალო? მე მარტო ჩვენი გვარი მენანება, შენთან ერთად რომ შეიძლება მოისპოს, მაგრამ ალბათ ამისი საშველიც გამოინახება.

– რა გამოინახება? – ჰკითხა შეშფოთებულმა ზბიშკომ.

– რა? თქმა აღარ უნდა, ახალგაზრდა არა ვარ, მაგრამ ჯერ ჯანი მომდევს. იაგენკას უფრო ახალგაზრდა შეეფერებოდა, მაგრამ მე მამამისის მეგობარი ვიყავი და იქნებ..

– თქვენ მამამისის მეგობარი იყავით, მაგრამ ჩემთვის სიკეთე არასოდეს გდომებიათ, არასოდეს.

ზბიშკოს ნიკაპი აუკანკალდა და გაჩუმდა, მაცკომ კი თქვა:

– რაკი შენ უეჭველად გადაგიწყვეტია სასიკვდილოდ , მეტი რა დამრჩენია?

– კეთილი! რაც გნებავთ, ისა ჰქენით, მე კი დღესვე წავალ საითაც მომხვდება!

– სულელი ხარ! – გაიმეორა მაცკომ.

და გამოვიდა, რადგან ბოგდანეცელი და იაგენკასგან ზგოჟელიცსა და მოჩიდოლიდან გამოგზავნილი ხალხი მისახედი ჰყავდა. ისინი მომავალი ციხე-კოშკის გარშემო თხრილის შემოვლებაში ეხმარებოდნენ.

XXI

ზბიშკოს, რა თქმა უნდა, არ შეუსრულებია მუქარა და არსად წასულა, ერთ კვირაში კი ისე გამოკეთდა, რომ ლოგინში წოლა აღარ შეეძლო. მაცკომ უთხრა, ახლა ზგოჟელიცში წასვლა გვმართებს, იაგენკას მზრუნველობისთვის მადლობა უნდა გადავუხადოთო. ერთხელაც ზბიშკო აბანოში კარგად გაბიჟვინდა და გადაწყვიტა, აღარ დაეხანებინა და ზგოჟელიცში წასულიყო. ბრძანა კიდობნიდან საგარეო ტანსაცმელი ამოეღოთ, ხოლო შემდეგ თმის დახვევას შეუდგა. ეს ადვილი და სახუმარო საქმე არ იყო. ზბიშკოს ძალზე სქელი თმა ჰქონდა და უკან ცხენის ფაფარივით მხრებამდე სწვდებოდა, ყოველდღიურ ცხოვრებაში რაინდები თმას ბადურით იკრავდნენ, ეს

ლაშქრობის დროსაც მოსახერხებელი იყო, რადგან ჩაფხუტი ისე აღარ უჭერდათ თავზე; მაგრამ სხვადასხვა დღესასწაულებზე – ქორწილებში ან სტუმრად ისეთ ოჯახებში, სადაც ქალიშვილი ჰყავდათ, რაინდები კულულებად იხვევდნენ თმას და გასამაგრებლად და ასაპრიალებლად კვერცხის ცილას ისვამდნენ. სწორედ ასე უნდოდა ზბიშკოს თმის დავარცხნა, მაგრამ ორი მსახური ქალი, რომლებიც დასახმარებლად მოუყვანეს, შეუჩვევლები იყვნენ ამ საქმეს და იმის ფაფართან ვერაფერი გააწყვეს. ბანაობის შემდეგ გამშრალი და აწეწილი თმა კულულებად ვერ იხვეოდა და ისე გაფშეკოდა თავზე, როგორც ცუდად დალაგებული თივის გროვა ქოხის სახურავზე. არც ფრიზებისთვის წართმეულმა კოხტად გათლილმა კამეჩის რქის სავარცხელმა უშველა, არც სამურველმა, საჯინიბოდან რომ საგანგებოდ მოიტანა ქალმა. ზბიშკომ მოთმინება დაკარგა და ბრაზი მოერია. ამ დროს ოთახში უეცრად შემოვიდნენ მაცკო და იაგენკა, რომელიც მოულოდნელად თვითონ ჩამოსულიყო მათთან.

– დიდება იესო ქრისტეს! – მიესალმა ქალიშვილი.

– უკუნითი უკუნისამდე! – გაიბადრა ზბიშკო. – აი, ეს მესმის. ჩვენ ზგოჟელიცში მოვდიოდით და აგერ შენ თვითონ გაჩნდი აქ!

და თვალები გაუბრწყინდა სიხარულით. ამ ქალის დანახვაზე ზბიშკოს ისეთი სიამე ეფინებოდა ხოლმე გულს, გეგონებოდათ, ამომავალი მზე დაინახაო.

იაგენკამ შეხედა დაბნეულ მსახურებს, ხელში სავარცხლები რომ ეჭირათ, ზბიშკოს გვერდით სკამზე დადებულ სამურველს, მის გაბურძგნილ თავს და გადაიკისკისა.

– აი, მესმის ქოჩორი, აი, ქოჩორი! – შესძახა მან და მისი ძოწის ტუჩებიდან ლამაზმა თეთრმა კბილებმა გამოანათა, – შენ კანაფის ნათესში ან ალუბლის ბაღში უნდა დაგაყენონ საფრთხობელად!

ზბიშკო მოიღუშა და თქვა:

– ჩვენ ზგოჟელიცში ვაპირებდით წამოსვლას, იქ ალბათ ეგრე ადვილად ვერ გაანაწყენებდი სტუმარს, აქ კი შეგიძლია დამცინო, რამდენიც მოგესურვება, რაც, სხვათა შორის, არასოდეს გეზარება.

– არ მეზარება! – შესძახა ქალიშვილმა, – ღმერთო დიდებულო! მე ხომ თქვენს დასაპატიჟებლად ჩამოვედი და შენ კი არა, აი, ამ ქალებს დავცინე. მე რომ ვყოფილიყავი, უცებ მოგიგვარებდი მაგ საქმეს!

– ვერც შენ მოაგვარებდი!

– განა იასკოს ვინ ვარცხნის ხოლმე?

– იასკო შენი ძმა არის, – უპასუხა ზბიშკომ.

– ეგ მართალია...

მაგრამ ამ დროს მოხუცმა გამოცდილმა მაცკომ გადაწყვიტა დახმარებოდა მათ.

– შლიახტიჩების სახლებში, – თქვა მან, – შვიდი წლის ბიჭს შეკრიჭავენ ხოლმე თმას, მერე რომ გაეზრდება, დამ უნდა დაუხვიოს, უფრო დავაჭკაცებულს ამას ცოლი უკეთებს, მაგრამ თუ რაინდს არც და ჰყავს და არც ცოლი, მაშინ რომელიმე სრულიად უცნობი შლიახტიჩის ქალიშვილი ასრულებს ამ საქმეს.

– ნუთუ მართლა არის ასეთი წესი? – იკითხა იაგენკამ და თვალები დახარა.

– მარტო შლიახტიჩთა სახლებში კი არა, მთავრის ციხეკოშკებშიც და თვით მეფეთა კარზეც კი, უპასუხა მაცკომ. მერე ის ქალებს მიუბრუნდა:

– არაფრის მაქნისები თქვენ არა ხართ, წადით ახლავე საფარეშოში!

– ცხელი წყალი მომიტანონ, – დაადევნა ქალიშვილმა. .

მაცკო ქალებს გაჰყვა, ვითომდა დავაჩქარებ მსახურებსო, და მალე ცხელი წყალი შეუგზავნა. შემდეგ ახალგაზრდები მარტონი დარჩნენ. იაგენკამ ტილო დაასველა და ზბიშკოს თმა უხვად დაულბო წყლით. როცა ქოჩორი ცოტა მოტყდა და სველი თმაც მხრებზე დაეფინა, ხელში სავარცხელი აიღო და ახალგაზრდა რაინდს გვერდით მიუჯდა, რომ საქმე გაეგრძელებინა.

ასე ისხდნენ ისინი გვერდიგვერდ და გული ელეოდათ სიყვარულით. ორთავენი მშვენივრები იყვნენ, მაგრამ დარცხვენილნი და ხმაგაკმენდილნი. ბოლოს იაგენკა ოქროსფერი თმის ვარცხნას შეუდგა, ვაჟს კი თრთოლა მოჰგვარა მისი ხელების სიახლოვემ და თავი ძლივს შეიკავა, რომ არ მოჰხვეოდა და გულში არ ჩაეკრა.

სიჩუმეში მხოლოდ მათი მხურვალე სუნთქვა ისმოდა.

– ავად ხომ არა ხარ? – ჰკითხა უცებ ქალიშვილმა. - რა დაგემართა?

– არაფერი! – უპასუხა ახალგაზრდა რაინდმა.

– რაღაც ისე სუნთქავ.

– შენც...

და ისევ გაჩუმდნენ. იაგენკას ლოყები ვარდებივით გაეფურჩქნა, გრძნობდა, რომ ზბიშკო ერთი წუთით თვალს არ აშორებდა და უხერხულობის დასაფარავად კვლავ ჰკითხა:

– რატომ მიყურებ ასე?

– არ გსიამოვნებს?

– არა, ისე გეკითხები.

– იაგენკა!

– რა გინდა?..

ზბიშკომ ღრმად ამოისუნთქა, ტუჩები აამოძრავა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებსო, მაგრამ, ეტყობა, გამბედაობა არ ეყო და კვლავ გაიმეორა:

– იაგენკა?

– რა გინდა?

– მეშინია თქმის...

– ნუ გეშინია. მე ჩვეულებრივი ქალი ვარ და არა urჩხული.

– ვხედავ, რომ urჩხული არა ხარ! აი, ბიძია მაცკო ამბობს, ვითომ შენი წაყვანა უნდა...

– უნდა, მაგრამ თავისთვის კი არა.

და უცებ გაჩუმდა, თითქოს საკუთარი სიტყვების შეეშინდაო.

– ღმერთო ჩემო! იაგუსია, ჩემო კარგო... მერე შენ რას ფიქრობ, იაგუსია? – შესძახა ზბიშკომ.

ქალს მოულოდნელად თვალები ცრემლით აევსო, ლამაზი ტუჩები შეუკრთა, ხმა კი ისე ჩაუწყდა, რომ ზბიშკომ ძლივსღა გაიგონა:

– მამას და აბატს უნდოდათ... მე კი – შენ... შენ იცი!..

ამ სიტყვებზე სიხარული ალივით მოედო ვაჟს, მან ხელში აიყვანა ქალიშვილი, მაღლა ასწია, როგორც ბუმბული, და ნეტარებით შესძახა:

– იაგუსია! იაგუსია! ჩემო ოქრო! ჩემო მზეო!..

ის ისე ყვიროდა, მოხუცმა მაცკომ იფიქრა, ხომ არაფერი შეემთხვაო, და ოთახში შევარდა. იაგენკა რომ ზბიშკოს ხელში დაინახა, გაოცდა, ყველაფერი ასე მოულოდნელად და სწრაფად როგორ მოხდაო, და შესძახა:

– სახელითა მამისათა და ძისათა! გონს მოდი, ჭაბუკო!

ზბიშკომ კი მასთან მიირბინა, იაგენკა ძირს დასვა და ორთავეს უნდოდა ფეხებში ჩავარდნოდნენ მოხუცს, მაგრამ ვერ მოასწრეს, მაცკო მოეხვია თავისი ძარღვიანი ხელებით და გულში ჩაიკრა ისინი.

– მადლობა ღმერთს, – თქვა მან, – ვიცოდი, რომ ასე დამთავრდებოდა, მაგრამ მაინც ძალიან მიხარია! დამილოცნიხართ! ახლა დამშვიდებული მოვკვდები... ქალი კი არა, ნამდვილი ოქროა... ღმერთისთვისაც და ხალხისთვისაც! ხომ მართალს ვამბობ. ახლა, რაკი ამ სიხარულს მოვესწარ, რაც მოხდება, მოხდეს! ღმერთმა მოგივლინათ, განსაცდელი და ღმერთმავე განუგეშათ. ზგოჟელიცში უნდა წავიდეთ, იასკოს ვუთხრათ... ეჰ, მოხუცი ზიხი რომ ცოცხალი ყოფილიყო... და აბატიც... მაგრამ მე ორთავეს მაგივრობას გაგიწევთ, კაცმა რომ სიმართლე თქვას, ისე მიყვარხართ, თქმისაც კი მრცხვენია.

და თუმცა ნაწრთობი გული ჰქონდა, ისე აუჩვილდა, ყელში ბურთი მოაწვა; კიდევ ერთხელ აკოცა ზბიშკოს, მერე ორთავე ლოყები დაუკოცნა იაგენკას და ცრემლმორეულმა წაიბურტყუნა: „გოგო კი არა, თაფლია!“ – და საჯინიბოს მიაშურა, რათა ცხენების შეკაზმვა ებრძანებინა.

ეზოში რომ გამოვიდა, სიხარულით სახლის წინ გაფურჩქნილ ყვავილებზე გადაიარა და მთვრალივით დააცქერდა ყვითელი ფურცლებით შემოჯარულ მათ მუქ გვირგვინებს.

– აი, თქვენ აქ მთელი გროვა ხართ, – უთხრა მან, მაგრამ ბოგდანეცელი გრადები, ღმერთმა ქნას, უფრო მეტი ყოფილიყვნენ.

და საჯინიბოსკენ მიმავალმა გადათვალა: ბოგდანეცი, სააბატო, სპიხოვი, მოჩიდოლი... ღმერთმა უკეთ იცის, რასაც აკეთებს, ხოლო როცა მოხუც ვილკს დღე დაელევა, მაშინ ბჟოზოვის ყიდვაც შეიძლება... მშვენიერი საძოვრები აქვს!..

ამასობაში იაგენკა და ზბიშკოც გამოვიდნენ ეზოში, მხიარულნი, ბედნიერნი, მზესავით გაბრწყინებულნი.

– ბიძია! – დაუძახა შორიდან ზბიშკომ.

მაცკო მათკენ მობრუნდა, ხელები გაშალა და, გეგონებოდათ, ტყეშიაო, ყვირილი მორთო:

– ეი! ეი! აქეთ, აქეთ!..

XXII

ისინი მოჩიდოლში ცხოვრობდნენ, მოხუცი მაცკო კი ციხე-კოშკს უშენებდა ბოგდანეცში. გულმოდგინედ შრომობდა, რადგან საფუძველი ქვითკირისა უნდოდა გაეკეთებინა, სადარაჯო კოშკი კი აგურისა, რაც იმ არემარეში ასე ადვილად არ იშოვებოდა. პირველ წელიწადს ორმოები ამოთხარა. ეს არც ისე ძნელი საქმე იყო: გორაკი, რომელზედაც ციხე-კოშკი უნდა აეგოთ, ოდესღაც, ალბათ წარმართობის დროს, თხრილებით იყო გარშემოვლებული, ასე რომ მხოლოდ მათი გასუფთავება დასჭირდათ. ხეები და ასკილიც ამოძირკვეს, რომლებსაც ამ თხრილებში გაედგა ფესვები. მერე ეს ორმოები გააღრმავეს და გაამაგრეს. გაღრმავების დროს წყაროსაც გადააწყდნენ, რომელმაც ისეთი ძალით ამოხეთქა, რომ სულ მოკლე ხანში ყველა თხრილი წყლით გაივსო და მაცკო იმაზეღა ფიქრობდა, როგორ გადაეგდო სხვა ადგილას ეს წყალი. მერე მოხუცმა რაინდმა მიწაყრილზე სიმაგრე აააგო და ციხე-კოშკისთვის ხე-ტყის დამზადებას შეუდგა: სამი ხელის შემოვლება მუხისა და ფოთლოვანი ხეების ისეთი კოჭები დაამზადა, ვერც თიხით შელესვა და ვერც ბუსნოს ბელტებით დაფარვა რომ ვერაფერს დააკლებდა. მიუხედავად იმისა, რომ ზგოჭელიცელი და მოჩიდოლელი გლეხები გამუდმებით ეხმარებოდნენ, კედლების ამოყვანა მაცკომ მხოლოდ ერთი წლის მერე დაიწყო. მაგრამ განსაკუთრებული გულმოდგინებით მუშაობდა, რადგან იაგენკა სულ ცოტა ხნის წინ მორჩა და ტყუპები შეეძინა. თვალში სინათლე ჩაუდგა მოხუც რაინდს, ახლა უკვე ღირდა შრომა და წვალება, ახლა უკვე იცოდა, რომ არ გაქრებოდა გრადების მოდგმა, „ჩლუნგი ნალი“ კიდევ ბევრჯერ შეიღებებოდა მტრის სისხლით.

ტყუპებს მაცკო და იასკო დაარქვეს.

– ბიჭებია... ცქერით ვერ გაძღები, – ამბობდა მოხუცი, – მთელ სამეფოში ამათი ბადალი არ მოიძებნება. მაგრამ ჯერ სადა ხარ!

მას იმწამსვე თავდავიწყებით შეუყვარდა ბიჭები, იაგენკასთვის კი სულს არ დაიშურებდა. ვინც იაგენკას შეუქებდა, რასაც უნდოდა, იმას გააკეთებინებდა. ზბიშკოს ყველა აშკარად შენატროდა და იაგენკასაც ქებათა ქებას ასხამდნენ, ანგარებით კი არა, იმიტომ, რომ ის მართლაც ისე ელავდა მთელ იმ არემარეში, როგორც ველის ყველაზე ლამაზი ყვავილი. ქმარს მან დიდი მზითევი მიუტანა და კიდევ უფრო დიდი სიყვარული. სილამაზით ხომ ხალხს თვალს სჭრიდა, მისი გულადობა, დარბაისლური მანერები და საქმიანი ბუნება ბევრ რაინდსაც კი შეშურდებოდა. არაფრად უღირდა მო-

ლოგინების რამდენიმე დღის მერე წამომდგარიყო და საქმისთვის მიეხედა, ქმართან ერთად სანადიროდ წასულიყო, ან დილით ადრე მოჩიდოლიდან ბოგდანეცში გაეჭენებინა ცხენი, სადილობისას კი შინ თავის ბიჭებთან დაბრუნებულიყო. ქმარს უყვარდა და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, უყვარდა მოხუც მაცკოს, უყვარდათ მსახურებს, რომელთაც ადამიანურად ექცეოდა, ხოლო კვირაობით ქშესნიის ეკლესიაში რომ შევიდოდა, აღტაცებისა და გაოცების ჩურჩული ეგებებოდა მისი ადრინდელი თაყვანისმცემელი მრისხანე ჩტან როგოველი, რომელსაც გლეხის ქალი შეერთო, წირვის მერე ფუნდუკში გამოთვრებოდა ხოლმე მოხუც ვილკ ბჟოზოველთან ერთად და თან ეუბნებოდა:

– მე და თქვენი შვილი ამ ქალის გულისთვის ხშირად წავკიდებივართ ერთმანეთს, ცოლად გვინდოდა შეგვერთო; მაგრამ გინდა ეს გიფიქრია და გინდა ციდან მთვარის ჩამოხსნა.

ზოგიერთი ხმამაღლა აცხადებდა, ასეთს მხოლოდ კრაკოვში თუ შეხვდები, ისიც მეფის კარზეო. სიმდიდრის, სილამაზისა და სიკოხტავის გარდა, მას ჯანმრთელობისა და ძალღონისათვის სცემდნენ პატივს. ამაზე ორი აზრი არავის ჰქონდა. „აი, მესმის ქალი! – ამბობდა ხალხი, – ტყეში მშვილდ-ისრით დათვს დასცემს, კბილით კაკლის გატეხვაც არ დასჭირდება: დაალაგებს მერხზე, მერე დაჯდება და ისე დაიფშვნებიან, როგორც წისქვილის დოლაბის ქვეშ“. ასე აქებდნენ მას ქშესნიის სამრევლოში, მეზობელ სოფლებშიც, სავოევოდო ცენტრშიც – სერაძში. ზბიშკოს შენატროდენ, მაინცდამაინც არავის უკვირდა, რომ ასეთი ცოლი შეხვდა, თვითონაც დიდების შარავანდედით იყო მოსილი, მთელ იმ მხარეში მსგავსი რომ ჯერ არავის რგებოდა.

ახალგაზრდა შლიახტიჩები ერთმანეთს ლეგენდებს უყვებოდნენ ვიტოლდის მეთაურობით მოწყობილ ლაშქრობებსა და ორთაბრძოლებში ზბიშკოს დახოცილ გერმანელებზე. ჰყვებოდნენ, მის ხელს არც ერთი ჯვაროსანი არ წაუვაო, მალბორგში თორმეტი რაინდი ჩამოაგდოო ცხენიდან, მათ შორის მაგისტრის ძმა ულრიხი, შეუძლია კრაკოველ რაინდებთანაც კი გავიდესო შეჯიბრში და თვით უძლეველი შავი ზავიშა მისი გულითადი მეგობარიაო.

ზოგიერთს არ უნდოდა დაეჯერებინა ეს არაჩვეულებრივი ლეგენდები, მაგრამ როცა სიტყვა ჩამოვარდებოდა, ვის ავირჩევდით ჩვენი მხრიდან პოლონელ რაინდებს სხვა რაინდებთან შებმა რომ დასჭირდეთო, ამბობდნენ: „ზბიშკოს აბა სხვას ვისა?!“ და მხოლოდ მას შემდეგ მიაყოლებდნენ ბანჯგვლიან ჩტან როგოველს და სხვა ადგილობრივ მძლეოსნებს, რომლე-

ბიც რაინდული წვრთნით სიახლოვეს ვერ მივიდოდნენ ბოგდანეცის ჭაბუკ მფლობელთან.

მდიდარმა და კეთილმა ზბიშკომ საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა. იაგენკას სამზითვო მოჩიდოლი და აბატის სამფლობელოები ანგარიშში არ შედიოდა, ზბიშკო მანამდე ფლობდა უმდიდრეს სპიხოვს. იმ სიმდიდრეს ხომ მთელი სიცოცხლე აგროვებდა იურანდი; ხალხში ხმა დადიოდა, ბოგდანეცელი რაინდების მოპოვებული მარტო სამხედრო დავლა-საჭურველი, ცხენები, ტანსაცმელი და ძვირფასეულობა სამ-ოთხ დიდ სოფლად ღირსო.

ამაში ხალხი ხედავდა ღვთის დიდ წყალობას „ჩლუნგი ნალის“ გერბის მფლობელი „გრადების“ მოდგმის მიმართ, რომელიც ცოტა ხნის წინ ისე გაღატაკებული იყო, ცარიელტარიელი ბოგდანეცის გარდა აღარაფერი შერჩენოდა, ახლა კი ყველა სხვა გვარს აჯობა იმ არემარეში. „ბოგდანეცში ხანძრის მერე გადაღრეცილი სახლის მეტი არაფერი დარჩენილა, – ჰყვებოდნენ მოხუცები, – მუშა ხელი არა ჰყავდათ და ამის გამო მთელი სოფელი დააგირავეს, ახლა კი შეხედეთ, ციხე-კოშკს აგებენ. ყველა გაოცებული იყო, მაგრამ გრძნობდნენ, ხალხიც ასევე მსწრაფლ მიიწევდა გამდიდრების გზაზე და რომ ღვთის ნებით ასეც უნდა მომხდარიყო. რომ, ამ გაოცებაში არავითარი ბოროტი შური არ ერია. პირიქით, მთელი ის მხარე ამაყობდა და თავი მოჰქონდათ ბოგდანეცელი რაინდებით. ისინი თითქოს ცოცხალი მაგალითები იყვნენ იმისა, რას შეიძლება მიაღწიოს შლიახტიჩმა, თუ მას ღონიერი მკლავი აქვს, გულადია და რაინდული ფათერაკებისაკენ ისწრაფვის. ბოგდანეცელი რაინდების შემყურე ბევრ შლიახტიჩს ევიწროებოდა თავისი სახლი, ეზო-მიდამო, გრძნობდნენ, რომ საზღვარგარეთ მტრების ხელში უთვალავი სიმდიდრე იყო, უკიდეგანო მიწები, რომელთა ხელში ჩაგდება თვითონაც დიდ სარგებლობას მოუტანდა და სამეფოსაც. და შლიახტიჩთა გვარეულობების ამ მოჭარბებული ძალების გამო მთელი საზოგადოება დუღდა, გეგონებოდათ, ეს ეს არის ამოხეთქავსო მდუღარე ნაკადი. ბრძენ კრაკოველ მრჩევლებსა და მშვიდობისმოყვარე მეფეს გარკვეულ დრომდე შეეძლოთ შეეჩერებინათ ეს ძალები და წლობით გადაედოთ ომი მარადიულ მტრებთან; მაგრამ არავის მსოფლიოში არ შესწევდა ღონე არც მის მთლიანად დასათრგუნავად, არც ხალხის სწრაფვის დასაოკებლად დიდებისაკენ მიმავალ გზაზე.

XXIII

მაცკო ბედნიერ დღეებს მოესწრო. ერთხელ და ორჯერ არ უთქვამს მეზობლებში, იმაზე მეტი მივიღე ცხოვრებაში, ვიდრე მოველოდიო. სიბერემ თმა კი შეუთეთრა, მაგრამ ძალ-ღონე და ჯანმრთელობა არ წაურთმევია. გული ისეთი სიხარულით ჰქონდა სავსე, როგორიც აქამდე არასოდეს განეცადა. ოდესღაც პირქუშ სახეს კეთილი იერი დასდებოდა და მისი თვალები ხალხს ალერსიანად უღიმოდა. გულში ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ყველა უბედურებას ბოლო მოეღო, არავითარი საზრუნავი და სადარდელი აღარ გაუმწარებდა სიცოცხლეს, ანკარა წყაროსავით მშვიდად რომ მოედინებოდა. სიბერის დადგომამდე ბრძოლა, სიბერეში კი მეურნეობის გაძღოლა და შვილიშვილებისთვის ქონების გამრავლება – ეს იყო მისი იდუმალი ოცნება მთელი სიცოცხლე და, აი, შეუსრულდა კიდეც. მეურნეობაში ყველაფერი კარგად მიდიოდა. ტყე გაკაფა და გაასუფთავა, გატეხილ ყამირზე ყოველ გაზაფხულს ნაირნაირი მარცვლეული მოჰყავდა; სიუხვე მატულობდა; საძოვრებზე ორმოცი ცხენი ბალახობდა თავიანთი კვიცებით, რომლებსაც მოხუცი რაინდი ყოველ ცისმარე დღეს ნახულობდა; ცხვრები და ძროხები ჭალაში სძოვდნენ; ბოგდანეცი სულ შეიცვალა: ერთ დროს უპატრონოდ მიგდებული მამული ხალხმრავალი და მდიდარი სოფელი გახდა; მგზავრის თვალს შორიდანვე იტაცებდა სადარაჯო კოშკი და ციხესიმაგრის კედლები, რომელსაც ჯერ ვერ მოესწრო გაშავება და მზეზე ოქროსფრად ელავდა, საღამოს დაისზე კი მეწამულისფრად ირეკლებოდა.

მოხუცი მაცკო გულში ხარობდა ამ სიუხვით, კარგი მეურნეობით, ბედნიერი ხვედრით და არა დაობდა, როცა ხალხი ეუბნებოდა, ხელხვავიანი ხარო. ტყუპების მერე წლის თავზე გაჩნდა ბიჭი, რომელსაც იაგენკამ მამის პატივსაცემად და მის გასახსენებლად ზიხი დაარქვა. მაცკომ ბიჭის გაჩენით გაიხარა და სულაც არ შეწუხებულა იმაზე ფიქრით, რომ თუ ასე გაგრძელდებოდა, მაშინ ასეთი შრომითა და ტანჯვა-წვალებით შეძენილ სიმდიდრეს დაქუცმაცება მოელოდა.

– რა გაგვაჩნდა ჩვენ? – უთხრა ერთხელ ზბიშკოს ამის თაობაზე. – არაფერი! ღმერთმა კი ყველაფერი მოგვივლინა. მოხუც პაკო სულისლავიცელს ერთი სოფელი აქვს ოცდაორ ვაჟზე და შიმშილით მაინც არ იხოცებიან. განა სამეფოში და ლიტვაში ცოტა მიწებია? იმ ძაღლიშვილ ჯვაროსნებს განა აკლიათ სოფელი და ციხესიმაგრე?! ეჰ! ვინ იცის, რას ინებებს ღმერთი! ცუდი საცხოვრებელი არ იქნებოდა იქაური ციხესიმაგრეები, ერთიანად წითელი

აგურით არის ნაგები, და მოწყალე ხელმწიფე იმათ სულ საკაშტელანოებად გადააკეთებდა.

აღსანიშნავია, რომ ორდენი თავისი დიდების მწვერვალზე იყო. სიმდიდრით, ძლიერებით, გაწვრთნილი ჯარის რაოდენობით მან აჯობა ყველა მაშინდელ დასავლეთის სახელმწიფოს, მოხუცი რაინდი კი ამ დროს ჯვაროსანთა ციხესიმაგრეებზე ოცნებობდა, ჩემს შვილიშვილებს მომავალში საცხოვრებლად გამოადგებათო. მართლაც ბევრი ფიქრობდა იაგელოს სამეფოში ასე. განა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ძველი პოლონური მიწები ორდენმა მიიტაცა, არამედ იმიტომაც, რომ ხალხს თავისი ძალისა სწამდა, ძალისა, რომელიც დუღდა მის მკერდში და გამოსავალს ეძებდა.

ციხესიმაგრე მხოლოდ ზბიშკოს ჯვრისწერის მეოთხე წლის თავზე დაასრულეს. ისიც განა მხოლოდ ადგილობრივი, ზგოჟელიცელი და მოჩიდოლელი გლეხების დახმარებით, არამედ მეზობლების დახმარებითაც, განსაკუთრებით კი მოხუც ვილკ ბზოჟოველს უმადლოდნენ, რომელიც ვაჟიშვილის სიკვდილის შემდეგ მარტოდმარტო დარჩენილიყო და ძალზე დაუმეგობრდა მაცკოს, მერე კი ზბიშკო და იაგენკაც გულით შეიყვარა. ციხესიმაგრის ოთახები მაცკომ იმ სიმდიდრით მორთო, რაც მასა და ზბიშკოს ომებში მოეპოვებინათ, ან მემკვიდრეობით იურანდ სპიხოველისგან მიეღოთ. ამას ემატებოდა აბატის დატოვებული ქონება, რომელიც იაგენკამ შინიდან მოიტანა; სერაძიდან მოხუცმა საფანჯრე მინა ჩამოიტანა და სახლი შესანიშნავი გამოვიდა. მაგრამ ზბიშკო ამ ციხესიმაგრეში თავისი ცოლშვილით მხოლოდ მეხუთე წელს გადავიდა, როცა სხვა შენობებიც დაასრულეს – საჯინიბოები, ბოსლები, სამზარეულოები და აბანოები, ხოლო მათთან ერთად სარდაფები, რომელთაც მოხუცი ქვითკირით აშენებდა, რომ საუკუნეებისათვის გაეძლო. მაგრამ თვითონ მაცკო ციხესიმაგრეში არ გადასახლებულა, ძველ სახლში დარჩა და ზბიშკოსა და იაგენკას ყველა თხოვნას უარით პასუხობდა.

– სადაც დავიბადე, იქ უნდა მოვკვდე, – ეუბნებოდა მათ მოხუცი, – ნალენჩებისა და გჟიმალითების ომის დროს ბოგდანეცი ნაცარტუტად აქციეს, – ყველა ნაგებობა დაიწვა, ყველა ქოხი, თვით ღობეებიც კი, ერთადერთი ეს ხუხულა გადარჩა. ხალხში ხმა დადიოდა, იმიტომ არ დაიწვა, სახურავზე ხავსი იყო მოდებულიო, მაგრამ ვფიქრობ, ამაში ზენაარის სურვილიც იყო გარეული, მას უნდოდა, რომ დავბრუნებულიყავით და ჩვენი გვარეულობა ისევ აღმდგარიყო. სანამ ვიბრძოდით, ხშირად მიდარდია, სად უნდა დავბრუნდეთ, ჭერიც არა გვაქვს-მეთქი. თუმცა სულ მართალი არც მე ვიყავი, მეურნეობა ჭეშმარიტად მოშლილი იყო და საჭმელიც არ გაგვაჩნდა, მაგრამ

ჭერი მაინც გვქონდა; თქვენ ახალგაზრდები ხართ და თქვენი საქმე სხვაა; მე კი ასე ვფიქრობ, რაკი ამ ძველმა სახლმა შეგვიფარა, მეც არ მერგება მისი უპატრონოდ მიტოვება.

და ის მართლაც დარჩა იქ, მაგრამ უყვარდა ციხესიმაგრეში მისვლა, ტკბებოდა მისი სილამაზითა და სიხალვათით, თანაც ზბიშკოს, იაგენკასა და შვილიშვილების ნახვა ახარებდა. ყველაფერი უმთავრესად მისი ხელით იყო შექმნილი და მაინც სიამაყე და გაოცება იპყრობდა. ხანდახან მასთან მოხუცი ვილკი ჩამოდიოდა, რათა ცეცხლთან მიმსხდრებს ეჭუკჭუკათ, ხან კი მაცკო წავიდოდა სტუმრად ბზოჟოვიაში იმავე მიზნით: ჰოდა ერთხელ მოხუცმა რაინდმა თავისი შეხედულებები გაუზიარა ვილკს „ახალი წესების“ შესახებ.

– იცით რა, მე ხანდახან კიდევაც მიკვირს. ყველასთვის ცნობილია, რომ ზბიშკო კრაკოვში მეფის სასახლეშია ნამყოფი, – მაშინ კინაღამ თავი მოკვეთეს! – იციან, რომ მაზოვიაშიც იყო, მალბორგშიც, მთავარ იანუშთანაც. იაგენკაც ფუფუნებაშია გაზრდილი, მაგრამ საკუთარი სასახლე მათ მაინც არა ჰქონიათ... ახლა კი ისე შეიფერეს, ვითომც სხვაგვარად არც ეცხოვროთ... მისეირნობენ და მოსეირნობენ დარბაზებში, ყველაფერს მსახურებს უბრძანებენ, დაიღლებიან და დასხდებიან, დაისვენებენ. გეგონება, კაშტელანი და მისი მეუღლე იყვნენ! სასადილო ოთახში, სადაც ისინი მამასახლისებთან, მოურავებთან და მოსამსახურეებთან ერთად სადილობენ, იმათი სკამები უფრო მაღალია, ვიდრე სხვების.. ყველა ზის და უცდის, როდის გადაიღებს საჭმელს მათი ბრწყინვალება. ასეთია სასახლის კარის ჩვეულება, მე კი ხანდახან შეხსენებაც მჭირდება, რომ ესენი ვიღაც დიდი ბატონები კი არ არიან, ჩემი ძმისშვილი და მისი ცოლია, რომლებიც მე, მოხუცს, ხელზე მკოცნიან, ყველაზე საპატიო ადგილას მსვამენ და თავის კეთილისმყოფელს მეძახიან.

– ამიტომაც ზეგარდმო მოუვლინა მაღალმა ღმერთმა თავისი წყალობა, – შენიშნა მოხუცმა ვილკმა.

მერე თავი მწუხარედ გადააქნია, თაფლუჭი მოსვა, ღუმელში მუგუზლებს რკინის საჩხრეკელა შეუჩიჩხინა და თქვა:

– ჩემი ბიჭი კი დაიღუპა!

– ღვთის ნებაა.

– ეგ მართალია! უფროსი ვაჟები – ხუთი ვაჟი მყავდა ადრევე დამეღუპნენ. თქვენ თვითონ იცით. რა მეთქმის, ყველაფერი ღვთის ნებაა. მაგრამ ეს

ყველაზე ღონიერი იყო, ნამდვილი ვილკი[34], და რომ არ დაღუპულიყო, იქნება დღეს იმასაც თავის სიმაგრეში ეცხოვრა.

– სჯობდა ჩტანი დაღუპულიყო,

– ეჰ, ჩტანი რა სახსენებელია. მართალია, ზურგზე წისქვილის ქვებსაც თავისუფლად მოიგდებს, მაგრამ ჩემ ბიჭს რამდენჯერ მიუბეგვია! იმას რაინდული წვრთნა ჰქონდა, ჩტანს კი თავისი ცოლი ახლაც სახეში ურტყამს; ღონიერია, მაგრამ ბრიყვია.

– მართალია, ყოვლად უმაქნისია! – დაუდასტურა მაცკომ.

მერე შემთხვევით ისარგებლა და ცაში აიყვანა არა მარტო ზბიშკოს რაინდული წვრთნა, არამედ მისი გონიერებაც: ის მალბორგში საუკეთესო რაინდებს შესჯიბრებიაო, „მთავრებთან კი ისე თავისუფლად საუბრობს, ვითომც თხილი უკნატუნებიაო“. მოხუცი აქებდა ზბიშკოს ჭკუას, ოჯახისკაცობას, ურომლისოდაც ციხესიმაგრე სულ მალე ჩაყლაპავდა მთელ მათს ქონებას, მაგრამ არ უნდოდა მოხუც ვილკს ეფიქრა, რომ მათ სიმდიდრეს რაიმე ემუქრებოდა და ხმას დაუწია:

– ისე, ღვთის წყალობით, სკივრები სავსე გვაქვს სიმდიდრით, იმაზე მეტია, ვიდრე ხალხსა ჰგონია, მაგრამ თქვენ ნურავის ეტყვით.

ხალხი კი თვითონაც ხვდებოდა, იცოდნენ კიდეც და ერთმანეთსაც უყვებოდნენ, ყველაფერს ბერავდნენ, განსაკუთრებით იმ სიმდიდრეს აზვიადებდნენ, რაც ბოგდანეცელმა რაინდებმა სპიხოვიდან მოზიდეს. იმასაც ამბობდნენ, მაზოვიიდან ფული კასრებით ჩამოიტანესო.

ერთხელ მაცკომ კონეცპოლის ცნობილი მფლობელები გაჭირვებისგან იხსნა, ცოტაოდენი ფული ასესხა და ამან ყველა საბოლოოდ დაარწმუნა, რომ მისი „განძი“ აურაცხელი იყო. ამის გამო ბოგდანეცელ რაინდებს უფრო მეტი ფასი დაედო ხალხის თვალში, უფრო დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ და მათი ციხესიმაგრე მუდამ სავსე იყო სტუმრებით. მართალია, მაცკო მომჭირნე კაცი იყო, მაგრამ სტუმრიანობას ალმაცერად არასოდეს უყურებდა. იცოდა, რომ ეს ამბავი მათი გვარეულობის განდიდებას ემსახურებოდა.

ნათლობებს მაინც განსაკუთრებით მდიდრულს იხდიდნენ, ხოლო წელიწადში ერთხელ, მიძინების დღესასწაული რომ გაივლიდა, ზბიშკო მეზობლებისთვის დიდ ნადიმს აწყობდა, რომელზედაც შლიახტიჩების ქალიშვილებიც ჩამოდიოდნენ რაინდული ასპარეზობის საყურებლად, სიმ-

[34] ვილკი – რუს. волк, ქართ. მგელი

ღერების მოსასმენად და ფიჭვის ჩირაღდნების სინათლეზე ჭაბუკ რაინდებთან დილამდის საცეკვაოდ. აი, ამ დროს კი ტკბებოდა მოხუცი მაცკო ნატიფი და კეთილშობილი ზბიშკოსა და იაგენკას ცქერით. ზბიშკო კიდევ უფრო დავაჟკაცდა, მხრებში წავიდა, და თუმც მაღალი და ღონიერი იყო, სახე ისევ ყმაწვილური შერჩა. როცა თმას წითელი ბადურით შეიკრავდა და ვერცხლისა და ოქროს ძაფებით მოსირმულ მდიდრულ ტანსაცმელს ჩაიცვამდა, მაშინ მარტო მაცკო კი არა, ბევრი სხვა შლიახტიჩიც გულში ამბობდა: „ღმერთო დიდებულო, ნამდვილი მთავარია საკუთარ სასახლეში“. იაგენკას წინაშე კი, რომელიც სინორჩით, ჯანმრთელობით, ძალითა და სილამაზით ბრწყინავდა, დასავლეთის ჩვეულებებს გაცნობილი რაინდები ხშირად იყრიდნენ მუხლს და სთხოვდნენ გამხდარიყო მათი გულის დედოფალი. თვით კონეცპოლის ძველი მფლობელი, სერაძის მხედართმთავარი, აღტაცებაში მოჰყავდა ამ ქალს და ადარებდა მას განთიადს, „მზეს“, „რომელიც სინათლეს ჰფენს დედამიწას და მოხუცსაც კი აუდუღებს სისხლს ძარღვებში“.

XXIV

მაგრამ, აი, მეხუთე წელს, როცა ყველა სოფელში საგანგებო წესრიგი დაამყარეს, როცა საგუშაგო კოშკის აშენებაც დასრულდა და უკვე რამდენიმე თვე იყო ზედ „ჩლუნგი ნალის“ ბაირაღი ფრიალებდა, ხოლო იაგენკამ მშვიდობით დაბადა მეოთხე ვაჟი, რომელსაც იურანდი დაარქვეს, მოხუცმა მაცკომ ერთხელ ზბიშკოს ასე უთხრა:

– ქვეყნად ყველაფერი ხდება, აი, კიდევ ერთ საქმეში რომ გამოეგზავნა ღმერთს თვისი წყალობა, მაშინ მშვიდად მოვკვდებოდი.

ზბიშკომ მას გამომცდელად შეხედა, წამით იყუჩა და მერე ჰკითხა:

– ჯვაროსნებთან ომზე ხომ არა ბრძანებთ, თქვენ სანატრელი ვგონებ მეტი არაფერი უნდა გქონდეთ?

– მე იმასვე გეტყვი, რასაც ადრეც გეუბნებოდი, – უპასუხა მაცკომ, – სანამ მაგისტრი კონრადი ცოცხალია, ომი არ იქნება.

– ცას ხომ არ შეაბერდება?

– ცას არც მე შევაბერდები, ამიტომაც ახლა სულ სხვაზე ვფიქრობ.

– აბა, რაზე?

– ეჰ, სჯობს წინასწარ ნურაფერს ჩავუთქვამთ. მანამდის კი სპიხოვს გავემგზავრები და, თუ ღმერთმა ინება, იქნებ პლოცკსა და ჩერსკშიც ვეახლო მთავრებს.

ზბიშკოს მაინცადამაინც არ გაჰკვირვებია – ბოლო წლებში მაცკო სპიხოვში ხშირად დადიოდა, – ოღონდ ერთი ჰკითხა:

– დიდხანს აპირებთ დარჩენას?

– ამჯერად უფრო დიდხანს, ალბათ პლოცკში შევყოვნდები.

ერთი კვირის მერე მაცკო მართლაც გაუდგა გზას, თან რამდენიმე ფორანი გაიყოლა და კარგი საჭურველი წაიღო, „იქნებ შემთხვევით ვისმეს წავეკიდოო“. დამშვიდობებისას კიდევ ერთხელ გააფრთხილა ზბიშკო, შეიძლება დიდხანს შევრჩეო, და მართლაც შერჩა: მთელი ნახევარი წელი მისგან ბაიბური არ ისმოდა. ზბიშკო შეფიქრიანდა და ბოლოს სპიხოვს კაცი გაუშვა, მაგრამ ის მაცკოს სერაძთან შეხვედროდა და ორივენი ერთად დაბრუნდნენ.

მოხუცი რაინდი რაღაც ვერ ჩანდა გუნებაზე, მაგრამ ზბიშკოს ამბები რომ გამოჰკითხა და გაიგო, ყველაფერი წესრიგში იყო და მის არყოფნაში არაფერი გაფუჭებულა, გამხიარულდა და თვითონვე წამოიწყო მგზავრობის ამბები.

– იცი, რომ მალბორგში ვიყავი? – უთხრა მან.

– მალბორგში?

– აბა, სად ვიქნებოდი?

ზბიშკომ გაოცებული მზერა მიაპყრო, მერე ხელები ბარძაყებზე შემოირტყა და თქვა:

– ღმერთო დიდებულო! მე კი სულ დამავიწყდა!

– შენ შეგეძლო დაგვიწყებოდა, რადგან შენი აღთქმა შეასრულე, – უპასუხა მაცკომ, - მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, რომ მე დამვიწყებოდა აღთქმა და ჩემი ღირსება შემებღალა. ეს წესად არა აქვს ჩვენს გვარს და წმინდა ჯვარს ვფიცავ, სანამ ცოცხალი ვარ, ამ წესს არ დავარღვევ.

ამის თქმაზე მაცკომ წარბი შეჰყარა და სახე ისეთი საშინელი და მრისხანე გაუხდა, როგორიც ზბიშკოს მხოლოდ შორეულ წლებში ენახა ვიტოლდისა და სკირვოილოს ლაშქარში ჯვაროსნებთან ბრძოლის დაწყების წინ.

– მერე რა ჰქენით, ვერ აჯობეთ? – ჰკითხა ზბიშკომ.

– როგორ უნდა მეჯობნა, თუკი მან ჩემი გამოწვევა არ მიიღო.

– რატომ?

– დიდი კომტური გამხდარა.

– კუნო ლიხტენშტაინი დიდი კომტური გახდა?

– ჰო. მალე იქნებ დიდ მაგისტრადაც აირჩიონ. ვინ იცის! მაგრამ ის ახლაც მთავრების ტოლად თვლის თავს. ამბობენ, ორდენში ყველა საქმეს ის განაგებს, ყველაფერი მის მხრებზე გადადის, მაგისტრი უიმისოდ ნაბიჯს არ ადგამსო. განა იკადრებს და ორთაბრძოლაში გამოვა? ხალხი სიცილს დამაყრიდა მხოლოდ.

– ნუთუ თქვენ დაგცინათ ვინმემ? – ბრაზით დაჰკვესა ზბიშკომ თვალები.

– დამცინა პლოცკში მთავრის მეუღლე ალექსანდრამ: „წადი, წადიო, მითხრა და რომის იმპერატორი გამოიწვიეო! მე ვიცი, რომ იმას (ლიხტენშტაინს) გამოწვევა გაუგზავნეს ზავიშა შავმა, პოვალამ და პაშკო ბისკუპიცელმა, მაგრამ ასეთ ვაჟკაცებსაც კი პასუხი არ აღირსაო, – არ შეუძლია. იმიტომ კი არა, რომ ლაჩარია, არა, ის ბერია და, ამას გარდა, ისეთი საპატიო პოსტი უკავია, რომ ასეთებისთვის სულ არა სცალია და მისი ღირსება გამოწვევის მიღებით გაცილებით უფრო შეიბღალებოდაო“. ასე მითხრა ალექსანდრამ.

– მერე თქვენ რა უპასუხეთ ამაზე?

– მე საშინლად გავბრაზდი და ვუთხარი, სულ ერთია, მალბორგს წასვლა არ ამცდება, მე უნდა შემეძლოს ხალხსა და ღმერთს ვუთხრა: „ყველაფერი გავაკეთე, რისი ღონეც შემწევდა-მეთქი“. ქალბატონს ვთხოვე, რამე დავალება მოეფიქრებინა, მალბორგში წერილი გაეტანებინა, ვიცოდი, უამისოდ იმ მგლის ბუნაგიდან ცოცხალს არავინ გამომიშვებდა. გულში კი ვფიქრობდი: „რას იზამ, შეიძლება არც ზავიშას გამოწვევა მიიღე, არც პოვალასი და არც პაშკოსი, მაგრამ მე ზედ მაგისტრის, კომტურებისა და სტუმრების ცხვირწინ წვერებში რომ ჩაგეჭიდები და ულვაშებთან ერთად დაგაგლეჯ მას, გიყვარდეს, ვეღარ გაექცევი ბრძოლას“.

– ოჰ, თქვენი ჭირიმე! შესძახა აღტაცებულმა ზბიშკომ.

– აბა რა? – თქვა მოხუცმა რაინდმა. – ყველაფერს მოენახება წამალი, ოღონდ კაცს თავი ებას მხრებზე. მაგრამ ამჯერადაც არ გამიმართლდა, ლიხტენშტაინი მალბორგში არ დამიხვდა. ვიტოლდთან ელჩად წავიდაო, მითხრეს. აღარ ვიცოდი, რა მექნა: დავლოდებოდი თუ უკან დავდევნებოდი. იმისიც შემეშინდა, არ ავცდენოდი. მაგრამ მაგისტრისა და მისი დიდი

სამოსის მცველის ძველი ნაცნობი ვიყავი და გადავწყვიტე გულახდილად მეთქვა, რისთვის ჩავედი. იმათ კი შემომძახეს: ეგ არ მოხდებისო!

– რატომ?

– იმ მიზეზის გამო, რაზედაც პლოცკის ქალბატონი მეუბნებოდა. მაგისტრმა კი, აი, რა მითხრა: „რას იფიქრებდი ჩემზე, მე რომ მაზოვიისა და პოლონეთის ყველა რაინდის გამოწვევა მიმეღოო?“ რაღა სათქმელია, მართალი იყო კაცი, აქამდე დიდი ხანია ცოცხალი აღარ იქნებოდა. ის და სამოსის მცველი დიდხანს ჰკვირობდნენ, მერე კი ავდექი და ვახშამზე ყველაფერს მოვუყევი. რომ გენახათ, რა ამბავი ატყდა. განსაკუთრებით სტუმრები ახმაურდნენ: „თუ კუნოს არა აქვს უფლება, ჩვენ ხომ შეგვიძლიაო!“ ამოვარჩიე სამი, რიგრიგობით მინდოდა შევბმოდი, დიდხანს ვეხვეწებოდი მაგისტრს, მაგრამ იმან მხოლოდ ერთთან ბრძოლის ნება მომცა, ისიც ლიხტენშტაინი იყო, კუნოს ნათესავი.

– მერე? შესძახა ზბიშკომ.

– აი, ჩამოვიტანე იმისი ϰავშანი, მაგრამ ისეა აჩეხილი, ორ შაურს არავინ მოგცემს შიგ.

– ღმერთს ნუ სცოდავთ. თქვენ ხომ აღთქმა შეგისრულებიათ!

– თავიდან გავიხარე და ვიფიქრე, შევასრულე-მეთქი, მაგრამ მერე გადავწყვიტე: „არა, ეს ის არ არის!“ ახლა კი სულ მთლად დავკარგე სიმშვიდე: იქნებ მართლაც ის სხვა არის! ზბიშკომ დაამშვიდა:

– თქვენ ხომ იცით, რომ ასეთ საქმეებში მე არც საკუთარ თავს მივცემ შეღავათს და არც სხვას, მაგრამ თქვენს ადგილას მე უეჭველად ვიტყოდი, აღთქმა შესრულებულია-მეთქი. იცით რა: კრაკოვის ყველაზე გამოჩენილი რაინდები დაადასტურებენ ჩემს ნათქვამს, თვითონ ზავიშაც კი – ხომ ყველაზე უკეთესად ერკვევა რაინდული ღირსების საქმეში – ალბათ ამასვე იტყოდა.

– შენ ასე გგონია? – ჰკითხა მაცკომ.

– თვითონ იფიქრეთ! ის ხომ საქვეყნოდ განთქმულმა რაინდებმა გამოიწვიეს, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მიაღწია იმას, რაც თქვენ შესძელით. აღთქმული გქონდათ ლიხტენშტაინის სიკვდილი და აჩეხეთ კიდეც ლიხტენშტაინი.

– იქნებ ასეცაა, – ჩაილაპარაკა მოხუცმა რაინდმა.

ზბიშკომ კი, რომელსაც ძალიან აინტერესებდა ხოლმე რაინდული ამბები, დაუწყო გამოკითხვა:

– აბა მომიყევით: ახალგაზრდა იყო თუ ხნიერი? როგორ იბრძოდით? ცხენდაცხენ თუ ქვეითად?

– ოცდათხუთმეტიოდე წლის იქნებოდა, წვერი წელამდე სცემდა, ცხენდაცხენ ვიბრძოდით. ღვთის წყალობით, ჯერ შუბი მოვსინჯე, მერე კი საქმე მახვილამდე მივიდა. პირიდან ისე ამოსჩქეფდა სისხლი, რომ მთელი წვერი მოეთელა, ლოლუას დაემსგავსა.

– თქვენ კიდევ ამბობდით, დავბერდიო!

– ცხენზე რომ დავჯდები ან ფეხებს მიწაზე გავბარჯღავ, თავი მაგრად მიჭირავს, მაგრამ, აი, საჭურველჩაცმული ცხენზე ვეღარ ვხტები.

– ვერც კუნო წაგივიდოდათ ხელიდან ცოცხალი.

მოხუცმა უგულოდ ჩაიქნია ხელი, ამითი გააგებინა, რომ კუნოსთან ბრძოლა გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდაო; მერე ისინი ნადავლი ჯავშნის დასათვალიერებლად წავიდნენ, მაცკოს მხოლოდ და მხოლოდ თავისი გამარჯვების დასტურად რომ წამოეღო; სულ აჩეხილი იყო და კაპიკის ფასი აღარ ჰქონდა. მხოლოდ საუკეთესო ოსტატთა ნახელავი სათეძოეები და საწვივეები დარჩენილიყო მთელი.

– მაინც სჯობდა ესენი კუნოსი ყოფილიყო, – თქვა გულდაწყვეტილმა მაცკომ.

– უფალმა ღმერთმა უკეთ იცის, რა სჯობია, შეედავა ზბიშკო. – კუნო რომ მაგისტრი გახდეს, თქვენ მას ვეღარასოდეს შეხვდებით, თუ შემთხვევით რომელიმე დიდ ბრძოლაში არ გადააწყდით.

– მე იქ ხალხის ნათქვამს მოვკარი ყური. – შენიშნა მაცკომ, – ამბობენ, კონრადის მერე კუნო იქნებაო, ზოგი კი კონრადის ძმაზე ულრიკზე ლაპარაკობს.

– მე რომ მკითხო, ულრიკი აჯობებს, თქვა ზბიშკომ.

– მეც ეგრე ვფიქრობ, იცი, რატომ? კუნო უფრო ჭკვიანი და ცბიერია, ულრიკი კი ფიცხი. ის ნამდვილი რაინდია. ყოველთვის იცავს რაინდულ წესებს, მაგრამ ჩვენთან ბრძოლა სწყურია. ამბობენ, ის თუ მაგისტრი გახდა, ერთბაშად ისეთი ომი ატყდება, ჯერ რომ არავის სმენიაო. კონრადი კი სუსტია. ერთხელ ჩემი თვალის წინ გახდა ცუდად. რა ვიცი, იქნებ კიდევ ვეღირსოთ ომს!

– ღმერთმა ქნას! რაო, რაღაც ახალი უთანხმოება აქვთ სამეფოსთან?

– ძველიც და ახალიც, ჯვაროსანი ყოველთვის ჯვაროსანია. იცის, რომ იმაზე ძლიერი ხარ, რომ შენი ხელის ხლება საშიშია, მაგრამ მაინც აქეთ გერქინება, სხვანაირად არ შეუძლია.

– ჯვაროსნები ფიქრობენ, რომ ორდენი ყველა სახელმწიფოზე ძლიერია.

– ყველა არა, მაგრამ ბევრი მათგანი ასე ფიქრობს, მათ შორის ულრიკიც. ისინი მართლაც ძალიან ძლიერები არიან.

– გახსოვთ, რას ამბობდა ზინდრამ მაშკოვიცელი?

– როგორ არ მახსოვს, წლითიწლობით ჯვაროსნების საქმეები უკანუკან მიდისო. ძმა ძმას არ მიიღებს, როგორც მე იქ მხვდებოდნენ, როცა გერმანელები ვერ ხედავდნენ. სული ამოხადეს ხალხს ჯვაროსნებმა.

– გამოდის, ბევრი ცდა აღარ მოგვიწევს! იქნებ ბევრი, ან იქნებ ცოტაც, – წაილაპარაკა მაცკომ.

მერე დაფიქრდა და დასძინა:

– სანამ რამე გადაწყდებოდეს, უნდა გულმოდგინედ ვიშრომოთ, სიმდიდრე ვამრავლოთ, რათა ომში ღირსეულად წავიდეთ.

XXV

მაგისტრი კონრადი მხოლოდ ერთი წლის მერე გარდაიცვალა. იმისი სიკვდილის და ულრიკ ფონ იუნგინგენის არჩევის ამბავი სერაძში ყველაზე ადრე იაგენკას ძმამ იასკო ზგოჟელიცელმა გაიგო და ბოგდანეცშიც იმან ჩამოიტანა. ამ ამბავმა შესძრა არა მარტო ბოგდანეცელი, არამედ სხვა შლიახტიჩთა გულებიც. „არნახული დროება დადგება“, – დიდის ამბით ბრძანა მოხუცმა მაცკომ, იაგენკამ კი მაშინვე მიუყვანა ზბიშკოს ყველა შვილი და თვითონაც ქმართან დამშვიდობებას შეუდგა, თითქოს ის ხვალვე ბრძოლაში უნდა წასულიყო. მაცკომ და ზბიშკომ, რა თქმა უნდა, იცოდნენ, რომ ომი ერთბაშად არ გაღვივდებოდა, როგორც ბუხარში ცეცხლი, მაგრამ მაინც სჯეროდათ, რომ უეჭველად დაიწყებოდა და ამიტომ სამზადისს შეუდგნენ. ისინი არჩევდნენ ცხენებსა და საჭურველს, ავარჯიშებდნენ საჭურველმტვირთველებს, მსახურებს, სოფლის მამასახლისებს, რომლებიც გერმანული კანონით ვალდებული იყვნენ სალაშქროდ ცხენებით გასულიყვნენ, და აგრეთვე ადგილობრივ წვრილ შლიახტას, რომელიც სახელის მოხვეჭას ისწრაფოდა. ასე იყო სხვა შლიახტიჩთა მამულებშიც: ყველა სამჭედლოში

ჩაქუჩების ტაკატუკი ისმოდა, ყველგან ხალხი ძველ ფარებს წმენდდა, პოხავდნენ მშვილდებსა და სარტყელებს, ჭედავდნენ ფორნებს, იმზადებდნენ მარაგს – ბურღულსა და შებოლილ ხორცს. კვირაობით და უქმე დღეებში ხალხი ეკლესიების წინ იყრიდა თავს და ახალ ამბებს კითხულობდა. ძალიან სწყინდათ, როცა სამშვიდობო ამბები მოდიოდა: გულში ყველა ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოღებოდა ბოლო პოლონელი ხალხის საშინელ მტერს, რომ მძლავრი პოლონეთის სამეფო მანამდე ვერ აყვავდებოდა და პოლონელი ხალხი მანამდის ვერ იწამებდა მშვიდობას, სანამ, წმინდა ბრიგიტას თქმისა არ იყოს, „ჯვაროსნებს კბილებს არ ჩაუმტვრევდნენ და მარჯვენას არ მოჰკვეთავდნენ“.

ქშესნიაში ზბიშკოსა და მაცკოს გამუდმებით გარს ეხვია ხალხი, რადგან ისინი ორდენსაც იცნობდნენ და გერმანელებთან ბრძოლებშიც გაწაფულები იყვნენ. ბოგდანეცელი რაინდებისგან განა მარტო ახალი ამბები აინტერესებდათ, იმასაც ეკითხებოდნენ, როგორ ვეომოთ გერმანელებსო: როგორ დავარტყათ, როგორ იბრძვიან, რითი სჯობიან პოლონელებს და რითი ჩამორჩებიან, რითი უფრო ადვილია მათი ჯავშნის დამსხვრევა, როცა შუბი გადაუტყდებათ, – ნაჯახით თუ მახვილით.

მაცკოსა და ზბიშკოს ეს ამბები მართლა კარგად ესმოდათ, ამიტომ ყველა ყურადღებით უსმენდა, მით უმეტეს, რომ ხალხი დარწმუნებული იყო, ომი იოლი არ იქნებოდა, რადგან ბრძოლა მოუწევდათ ყველა ქვეყნის სახელგანთქმულ რაინდებთან. აქა-იქ წაკიდებით მათთან საქმე ვერ გათავდებოდა, ისინი ან ბოლომდე პატიოსნად უნდა მოესპოთ, ან თვითონ უნდა შეეწირათ თავი. ასე ლაპარაკობდნენ ერთმანეთში შლიახტიჩები და მემამულეები: „რას იზამ, თუკი ასეა საჭირო, იყოს ასე – ან ჩვენ უნდა დავიხოცოთ, ან ისინი“. ამ თაობას ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი მომავალი დიდება, ამიტომ სულმოკლეობას არ იჩენდა, – პირიქით, ყოველ დღე და ყოველ საათს უფრო და უფრო გულს იმხნევებდა. ისინი საქმეს ხელს ჰკიდებდნენ გულმოდგინედ, ჯიქურ, სასიკვდილოდ უყოყმანოდ გამზადებულნი.

– ან ჩვენ გვიწერია სიკვდილი, ან იმათ.

ამასობაში დრო გადიოდა, ომს კი პირი არ უჩანდა. მართალია, ხმა დაირხა, მეფე ვლადისლავსა და ორდენს შორის დობჟინის მიწის თაობაზე უკმაყოფილება�ო, მაგრამ ეს მიწა უკვე დიდი ხნის გამოსყიდული იყო. იმასაც ამბობდნენ, საზღვარზე დავა აქვს ორივე მხარეს რაღაც დრეზდენკოსათვის, რომლის სახელიც ბევრს სულაც პირველად ესმოდა, მაგრამ ომი მაინც არ იწყებოდა. ზოგიერთს ეჭვიც დაებადა, საერთოდ დაიწყებოდა თუ არა. დავა სხვა დროსაც ყოფილა, მაგრამ ჩვეულებრივ იმითი მთავრდებოდა,

რომ მოიწვევდნენ ყრილობას, დასდებდნენ ხელშეკრულებას და შექმნიდნენ საელჩოებს. ამჯერადაც გავრცელდა ხმა, რომ კრაკოვს მოევლინენ ორდენის ელჩები, ხოლო პოლონელები მალბორგს გაემგზავრნენო. დაიწყეს მითქმა-მოთქმა, ვითომც ჩეხეთისა და უნგრეთის მეფეები და თვით პაპიც შუამავლობას კისრულობენო. კრაკოვიდან მოშორებული იყვნენ და ხეირიანად არავინ არაფერი იცოდა, მაგრამ ხალხში ყოველგვარი ხმა დადიოდა – ხანდახან ძალზე უგუნური და დაუჯერებელიც.

ბოლოს და ბოლოს მაცკოც კი დაიბნა, ეს ნაცადი კაცი, რომლის მეხსიერებას კარგად შემორჩენოდა, რამდენჯერ დამუქრებია სამეფოს ომის აჩრდილი, რამდენჯერ დაუდვია მას ხელშეკრულებები. მაცკომ აღარ იცოდა, რა ეფიქრა, ბოლოს ადგა და კრაკოვს მიაშურა, ყველაფერს რიგიანად გავიგებო. იქ დიდხანს არ დარჩენილა; მეექვსე კვირას მოხუცი რაინდი შინ სახეგაბრწყინებული დაბრუნდა. და როცა ქშესნიაში ჩვეულებისამებრ ახალ ამბებს მოწყურებული შლიახტა შემოეხვია, მათს მრავალრიცხოვან კითხვებს მხოლოდ ერთი კითხვით უპასუხა:

– შუბები და ცულები დალესილები გაქვთ?

– განა რა მოხდა, თქვით, თუ ამბობთ! ღმერთო ჩემო! რა არის ახალი? ვინა ნახეთ? – შესძახოდნენ ყოველი მხრიდან.

– ვინა ვნახე? ზინდრამ მაშკოვიცელი! რა ამბებია? რა და ისა, რომ ალბათ სულ მალე უნდა შევკაზმოთ ცხენები.

– ღმერთო დიდებულო! ნუთუ მართლა? გვიამბეთ ყველაფერი!

– დრეზდენკო თუ გაგიგონიათ?

– გაგვიგონია, მერე? ეს ხომ სულ მცირე სიმაგრეა, მაგისთანების მეტი რა არის? თქვენი ბოგდანეცის მიწაზე მეტი არ იქნება იმათი მიწა.

– უბადრუკი მიზეზია ომის დასაწყებად, ხომ მართალია?

– ცხადია, უბადრუკია; ამაზე მნიშვნელოვანი მიზეზიც იყო ხოლმე, მაგრამ ომამდე საქმე არ მისულა.

– მერე იცით, რა არაკი მიამბო დრეზდენკოზე ზინდრამ მაშკოვიცელმა?

– ბრძანეთ ჩქარა, თორემ სული წაგვივიდა.

– აი, რა მიამბო მან: „გზაზე უსინათლო მიდიოდა. ქვას ფეხი წამოჰკრა და წაიქცა. იმიტომ წაიქცა, რომ ბრმა იყო, მაგრამ მიზეზი მაინც ქვა გახლდათ“. დრეზდენკოც ასეთი ქვაა.

– როგორ? როგორ? ორდენი ხომ ჯერ მაგრად დგას.

– ვერ გაიგეთ? მაშინ სხვანაირად გეტყვით: როცა თასი პირთამდე სავსეა, ერთი წვეთიღა კმარა, რომ გადმოიღვაროს.

რაინდებმა ისე გაიხარეს, მაცკომ ისინი ძლივს შეაჩერა, მაშინვე უნდოდათ ცხენები შეეკაზმათ და სერაძისაკენ დაძრულიყვნენ.

– მზად იყავით, – უთხრა მან, – მაგრამ მოთმინებით ელოდეთ. ახლა ალბათ აღარც ჩვენ დავავიწყდებით.

და ლაშქრად გამზადებული რაინდები ელოდნენ, ელოდნენ დიდხანს, ისე დიდხანს, რომ ზოგიერთი კვლავ ეჭვმა შეიპყრო, მაგრამ მაცკოს არავითარი ეჭვი არ ეპარებოდა: როგორც ფრინველების მოფრენით გამოიცნობა გაზაფხულის მოახლოება, ისე ხვდებოდა ეს ბევრის მნახველი ადამიანი, ცალკეული ნიშნის მიხედვით, რომ ომი ახლოვდებოდა და თანაც საკმაოდ დიდი ომი.

უპირველეს ყოვლისა, სამეფოს ყველა ტყესა და ტევრში გამოცხადდა ისეთი ნადირობა, რომლის მსგავსი მოხუცებსაც არაფერი ახსოვდათ. მოაგროვეს ათასობით მარეკი, ხოცავდნენ დომბებს, ხარებს, ირმებს, ტახებსა და უამრავ წვრილ ცხოველს. თვეობითა და კვირაობით არ ქრებოდა კვამლი ტყეში, მარილიანი ხორცი იბოლებოდა და მერე სავოევოდო ქალაქებში, ხოლო იქიდან პლოცკის საწყობებში იგზავნებოდა. აშკარა იყო, დიდი ჯარისთვის მარაგი მზადდებოდა. მაცკოს მშვენივრად ესმოდა, რას ნიშნავდა ეს, რადგან ყოველი ლაშქრობის წინ ლიტვაში ვიტოლდი სწორედ ასეთ ნადირობას ბრძანებდა ხოლმე. მაგრამ იყო სხვა ნიშნებიც. გერმანელებისაგან გლეხები ჯგუფ-ჯგუფად გამორბოდნენ სამეფოსა და მაზოვიაში. ბოგდანეცის მიდამოებშიც გამოჩნდნენ უმთავრესად სილეზიაში მცხოვრები გერმანელი რაინდების ქვეშევრდომები; მაგრამ ყველამ იცოდა, რომ იგივე ამბავი ტრიალებდა ირგვლივ ყველგან, განსაკუთრებით კი მაზოვიაში. ჩეხმა, მაზოვიაში – სპიხოვში რომ მეურნეობდა, პრუსიიდან გამოქცეული ოცამდე მაზური გამოგზავნა ბოგდანეცში. ლიტველები ნებას თხოულობდნენ, ომში „ქვეითად“ მივიღებთ მონაწილეობას. მათ შურისძიების გრძნობა ამოძრავებდათ ჯვაროსნებისადმი, რომლებიც უსაზღვროდ სძულდათ. ისინი ჰყვებოდნენ, პრუსიაში ზოგიერთი საზღვრისპირა სოფელი სულ მთლად დაცარიელდაო, იქაური გლეხები თავიანთი ცოლ-შვილით მაზოვიის სამთავროში გადასახლდნენო. მართალია, ჯვაროსნები მაშინვე ჩამოხრჩობას უსჯიდნენ შეპყრობილ ლტოლვილთ, მაგრამ არ არსებობდა იმ უბედურთა დამაოკებელი ძალა და ზოგიერთი სწორედ სიკვდილს ამჯობი-

ნებდა გერმანული მძიმე უღლის ქვეშ სიცოცხლეს. მერე მთელ ქვეყანას მოეფინენ პრუსიელი „გლახები“. ყველა კრაკოვისაკენ მიიწევდა. ისინი მოდიოდნენ გდანსკიდან, მალბორგიდან, ტორუნიდან, შორეული კრულევეციდანაც, ყველა პრუსიული ქალაქიდან, ყველა კომანდორიიდან. მათ შორის მარტო მათხოვრები კი არ იყვნენ, იყვნენ მნათეებიც, ორღანზე დამკვრელები, მონასტრის ყოველგვარი მსახურნი, თვით მედავითნეები და მღვდლებიც. ადვილად მიხვდებოდა კაცი, რომ მათ ჩამოჰქონდათ პრუსიის ამბები, – როგორი იყო სამხედრო სამზადისი, როგორ გაემაგრებინათ ციხეები, ჰყვებოდნენ გუშაგებზე, დაქირავებულ ჯარსა და სტუმრებზე. ხალხი ჩურჩულით უამბობდა ერთმანეთს, სავოევოდო ქალაქებში ვოევოდები, ხოლო კრაკოვში მეფის მრჩევლები ჩაიკეტებიან ხოლმე საათობით ამ ხალხთან ერთად და ისმენენ და წერენ ყველაფერს, რასაც ისინი ჰყვებიანო. ზოგიერთი მათგანი ფარულად ბრუნდებოდა პრუსიაში, ხოლო შემდეგ ისევ სამეფოში გამოჩნდებოდა. კრაკოვიდან მოდიოდა ამბები, მეფემ და მისმა მრჩევლებმა ასეთი ხალხისგან ჯვაროსნების ყოველი ნაბიჯი ზეპირად იციანო.

სულ სხვა ამბავი ტრიალებდა მალბორგში. ერთი სასულიერო პირი, რომელიც ჯვაროსანთა დედაქალაქიდან გამოიქცა და კონეცპოლის მფლობელებთან დაიდო ბინა, ჰყვებოდა, მაგისტრ ულრიკსა და სხვა ჯვაროსნებს გაგონებაც არ სურთ იმისი, რა ხდება. პოლონეთში, დარწმუნებული არიან, რომ ერთი დარტყმით დაიპყრობენ მთელ სამეფოს და სამუდამოდ აღგვიან პირისაგან მიწისა, ისე, რომ „მისგან კვალიც აღარ დარჩებაო“. ამას გარდა, ლტოლვილმა გაიმეორა მალბორგში ნადიმზე მაგისტრის ნათქვამი სიტყვები: „რაც უფრო მეტნი იქნებიან ისინი, მით უფრო გაიაფდება პრუსიაში ტყაპუჭებიო“. ჯვაროსნები ომისათვის სიხარულით და შთაგონებით ემზადებოდნენ, დარწმუნებული იყვნენ საკუთარ ძალასა და იმაშიც, რომ მათ დასახმარებლად აღდგებოდა ყველა, თვით შორეული სახელმწიფოებიც. მიუხედავად ომის ყველა ამ ნიშნისა და ათასნაირი მზადებისა, ომი მაინც არ იწყებოდა, თუმცა ხალხს ძალზე დიდი სურვილი ჰქონდა ამისა. ბოგდანეცის ახალგაზრდა მფლობელმა შინ უკვე მოიწყინა, დიდი ხანია ყველანაირად მომზადებულიყო და ახლა ერთი სული ჰქონდა, როდის ჩაებმებოდა ბრძოლაში. მის სულს დიდება სწყუროდა, მისთვის აუტანელი გახდა ყოველი დაყოვნებული დღე და ბიძამისს საყვედურობდა, ასე გეგონებოდათ, ომი და მშვიდობა ამ მოხუც რაინდზე იყო დამოკიდებული.

– აკი პირობას იძლეოდით, ომი უეჭველად იქნებაო, - ეუბნებოდა მას ზბიშკო, – ის კი არა და არა ჩანს!

– ვითომც დიდი ჭკვიანი ხარ და თურმე არც იმდენად! პასუხობდა მაცკო, – ნუთუ ვერა ხედავ, რა ხდება?

– გავიხედოთ და მეფე ბოლო წუთებში მორიგებაზე წავიდა? ამბობენ, ომი არ სურსო.

– ეგ მართალია, ომი არა სურს, მაგრამ განა მან არ წამოიძახა: „მეფე არ ვიყო, თუ დრეზდენკოს დაპყრობის ნება მივცეო“. გერმანელებს კი დრეზდენკო იმის მერე ხელიდან აღარ გაუშვიათ. მართალია, მეფეს არ სურს ქრისტიანთა სისხლის ღვრა, მაგრამ ბრძენი მრჩევლები ჰყავს. ისინი ალღოთი ხვდებიან, რომ ჩვენი სამეფო ძლიერია და გერმანელებს ნელ-ნელა ავიწროებენ. იცი, კიდევ რას გეტყვი? დრეზდენკოც რომ არ ყოფილიყო, რაიმე სხვა მიზეზი გამოჩნდებოდა.

– გამიგონია, დრეზდენკო ჯერ კიდევ მაგისტრმა კონრადმა დაიპყროო. აკი იმას მეფის შიში ჰქონდა.

– ეშინოდა, რადგან სხვებზე უკეთ იცოდა პოლონელთა ძლიერება, მაგრამ ხარბი ჯვაროსნების შეჩერება ვერც იმან შეძლო. იცი, რა მიამბეს კრაკოვში: როცა გერმანელებმა ახალი მარხია დაიპყრეს, მოხუცი ფონ ოსტი, დრეზდენკოს მფლობელი, მდაბალი სალმით გამოცხადდაო მეფესთან როგორც ვასალი, – მისი მიწა-წყალი დასაბამიდან პოლონეთს ეკუთვნოდა და სურდა მისი სამფლობელო ახლაც სამეფოს კუთვნილება ყოფილიყო. მაგრამ ჯვაროსნებმა ის მალბორგში მიიპატიჟეს, დაათვრეს და დრეზდენკოს გადაცემის ქაღალდი გამოსტყუეს. მაშინ კი ამოიწურა მეფის მოთმინება.

– აბა, რა იქნებოდა! – შესძახა ზბიშკომ.

– ბოლოს ისე გამოვიდა, – გააწყვეტინა მაცკომ, როგორც ზინდრამ მაშკოვიცელი ამბობდა: დრეზდენკო მხოლოდ ის ქვა არის, რომელსაც ბრმა წამოედო.

– ერთიც ვნახოთ და გერმანელებმა დრეზდენკო დაგვითმეს. მაშინ რა იქნება?

– მაშინ სხვა ქვა გამოჩნდება. მაგრამ არა, ჯვაროსანი რას დაგითმობს, რაც უკვე ჩაახრამუნა, თუ მუცელი არ გაუფატრე. ღმერთმაც ქნას და მალე დადგებოდეს ეს დღე.

– არა! შესძახა გამხნევებულმა ზბიშკომ, – კონრადს იქნებ დაეთმო კიდეც, მაგრამ ულრიკი არ დათმობს. ეს ჭეშმარიტი რაინდია, ბრალს ვერაფერში დასდებ, მაგრამ ეკ არის, ძალიან ფიცხია.

სანამ ისინი ამ საუბარში იყვნენ, მოვლენები ისეთი სისწრაფით იცვლებოდა, როგორითაც უფსკრულში ეშვება მგზავრის მიერ მთის ბილიკიდან დაგორებული ქვა.

უცებ მთელ სამეფოზე გადაიგრგვინა ამბავმა, გერმანელები იოჰანიტებისათვის მიგირავებულ ძველ ციხესიმაგრეს სანტოკს დაესხნენ თავს და კიდეც დაიპყრესო ის. როცა ულრიკს პოლონელი ელჩები ესტუმრნენ, რომ მაგისტრად არჩევა მიელოცათ, ის განგებ წავიდა მალბორგიდან; თავისი მმართველობის პირველსავე წუთებიდან მან ბრძანება გასცა, რათა მეფესთან და პოლონეთთან ურთიერთობისას ლათინურის ნაცვლად გერმანული ენა ეხმარათ და ამითი ბოლოს და ბოლოს გამოამჟღავნა თავისი შინაგანი ბუნება. კრაკოვის მრჩევლები, რომლებიც ფარულად ამზადებდნენ ომს, მიხვდნენ, რომ ულრიკი მას სრულიად აშკარად ამზადებდა და თანაც სრულიად განუსჯელად. ამას დიდი მაგისტრები პოლონელ ხალხს მაშინაც კი ვერ უბედავდნენ, როცა ორდენი სამეფოზე ძლიერი იყო.

არცთუ ულრიკივით ფიცხი, მაგრამ იმაზე უფრო ცბიერი კარისკაცნი, ორდენის დიდებულები, რომლებიც კარგად იცნობდნენ ვიტოლდს, ცდილობდნენ თავის მხარეზე გადაებირებინათ ის, ამისათვის ხან საჩუქრებით ავსებდნენ, ხან ყურმოჭრილი მონებივით ქედს იხრიდნენ მის წინაშე, თითქოს ძველი დროება დადგაო, როცა რომის კეისრებს სიცოცხლეშივე უგებდნენ ტაძრებსა და საკურთხევლებს. „ორდენს ორი კეთილისმყოფელი ჰყავს, – ამბობდნენ ჯვაროსანთა ელჩები და იაგელოს ნაცვალს მიწამდე თავს უკრავდნენ, – პირველი ღმერთია, მეორე კი – ვიტოლდი. ვიტოლდის ყოველი სიტყვა და ყოველი სურვილი ჯვაროსნებისათვის კანონია“. ისინი ემუდარებოდნენ დიდ მთავარს, შუაკაცობა ეთავა დრეზდენკოს საქმეში. იმედი ჰქონდათ, ვიტოლდი რომ თავის მეფის განსჯას დააპირებდა, ამით შეურაცხყოფას მიაყენებდა მას და მათი კეთილი ურთიერთობაც ჩაიფუშებოდა თუ სამუდამოდ არა, ყოველ შემთხვევაში, დიდი ხნით მაინც. მაგრამ მეფის მრჩევლებმა იცოდნენ, რაც ხდებოდა მალბორგში, იცოდნენ, რა ჰქონდათ განზრახული ჯვაროსნებს, და ვიტოლდი მეფემაც თავის შუამავლად ამოირჩია.

ორდენმა მართლაც ინანა თავისი არჩევანი. ორდენის დიდებულებს ეგონათ, კარგად ვიცნობთო დიდ მთავარს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სულაც არ იცნობდნენ. ვიტოლდმა განა მხოლოდ დრეზდენკო მიაკუთვნა პოლონელებს, არამედ გაითვალისწინა კიდეც, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ ამბავს, და კვლავ საომრად მოუწოდა ჟმუდელებს, ორდენს ომით დაემუქრა

და ჟმუდელებს ხალხი, იარაღი და პოლონეთის ნაყოფიერ ველებზე მოყვანილი პური მიაშველა.

აი, მაშინ კი მიხვდა ხალხი ამ ვეება სახელმწიფოს ყველა კუნჭულში, რომ გადამწყვეტმა წამმა დაჰკრა. და მართლაც დაჰკრა.

ერთხელ, როცა მოხუცი მაცკო, ზბიშკო და იაგენკა ბოგდანეცის ციხეკოშკის ჭიშკართან ჩამომსხდარიყვნენ და მშვიდი თბილი ამინდით ტკბებოდნენ, მათ წინ ერთბაშად უცნობი მხედარი წამოიმართა; აქაფებული ცხენი ზედ ჭიშკართან უეცრივ შეაყენა, რაინდებს ფეხებში ტირიფისა და ვაზის ტოტებისაგან დაწნული გვირგვინი მიუგდო, თანაც შესძახა: „ვიცი! ვიცი!“ – ისევ მოსხლიტა ცხენი და გააჭენა. რაინდები აღელვებულები წამოხტნენ ადგილიდან, მაცკოს სახეზე მრისხანება და თანაც სიხარული ეხატა. ზბიშკო შინ შევარდა, რომ საჭურველმტვირთველი გვირგვინით ხელში ახლა თავის მეზობლებში გაეგზავნა; როცა დაბრუნდა, თვალებგაბრწყინებულმა შესძახა:

– ომი! ბოლოს და ბოლოს გვაღირსა ღმერთმა ომი!

– თანაც ისეთი, დღემდე რომ თვალით არავის უხილავს! – დაუმატა წარბშეკრულმა მაცკომ.

მერე მან გასძახა მსახურებს, რომლებიც წამში გარს შემოერტყნენ ბატონს.

– სასწრაფოდ ადით საგუშაგო კოშკზე და საყვირებით ამცნეთ ეს ამბავი მთელს არემარეს! გაიქეცით სოფელში მამასახლისების დასაძახებლად! გამოიყვანეთ საჯინიბოებიდან ცხენები და შეაბით ფორნებში! ცოცხლად!

ამის თქმა დამთავრებულიც არა ჰქონდა, რომ მსახურები სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ ბრძანების შესასრულებლად. ეს კი ძნელი არ იყო, რადგან მათ უკვე დიდი ხანია ყველაფერი გაემზადებინათ: ხალხი, ფორნები, ცხენები, საჭურველი, იარაღი, სურსათი, შეჯდომისა და გამგზავრების მეტი აღარაფერი დარჩენოდათ.

მაგრამ ზბიშკო ასეთი შეკითხვით მიუბრუნდა მაცკოს:

– იქნებ თქვენ შინ დარჩენილიყავით?

– მე? შენ სრულ ჭკუაზე ხარ?

– კანონით თქვენ დარჩენა შეგიძლიათ, ახალგაზრდა აღარა ხართ. აქ კი იაგენკას და ბავშვებს მიხედავთ.

– ყური მიგდე, მე სიბერის კარამდე ველოდი ამ წუთს.

საკმარისი იყო მისი ცივი, მოღუშული სახისათვის შეგეხედათ, რომ მიმხვდარიყავით, ყოველგვარი ჩიჩინი ამაო იქნებოდა. თუმცა უკვე მეშვიდე ათეულ წელში გადაებიჯებინა, მაცკო ჯერ ისევ მუხასავით ღონიერი იყო, სახსრები ადვილად უმოძრავებდა და ცულს რომ მოიქნევდა, სულ ნაპერწკლებს აყრევინებდა. მართალია, სრული აღკაზმულობით ცხენზე შეხტომა აღარ შეეძლო, მაგრამ ამას ბევრი ახალგაზრდა რაინდიც ვერ ახერხებდა, განსაკუთრებით დასავლეთელები. სამაგიეროდ, რაინდულად კარგად იყო გაწაფული და მთელ იმ არემარეში იმაზე გამოცდილი მეომარი არ მოინახებოდა.

იაგენკასაც, ეტყობოდა, სრულიად არ ეშინოდა მარტო დარჩენისა. ქმრის სიტყვები რომ გაიგონა, წამოდგა, ხელზე აკოცა და უთხრა:

– ჩემი დარდი ნუ გექნება, ძვირფასო. ციხესიმაგრე საიმედო გვაქვს, თვითონაც იცი, არც მე ვარ ლაჩარი და მშვილდი და შუბი ჩემთვის უცხო მოსახმარი არ არის. რა დროს ჩვენზე ფიქრია, როცა სამეფოა გადასარჩენი. ჩვენი დამცველი აქ ქრისტე ღმერთი იქნება.

ქალს ერთბაშად მსხვილი ცრემლები ჩამოუგორდა ლამაზ თეთრყირმიზ სახეზე. მან ბავშვებზე მიუთითა და აღელვებული, მთრთოლვარე ხმით განაგრძო:

– ეჰ, ეს ბუთხუზები რომ არა ყოფილიყვნენ, ფეხებში ჩაგივარდებოდი და მანამდის არ ავდგებოდი, სანამ ომში არ წამიყვანდი.

– იაგუსია! – შესძახა ზბიშკომ და გულში ჩაიხუტა. ქალი კი ყელზე მოეხვია, მაგრად ჩაეკრა და თან ამბობდა:

– ოღონდ კი დამიბრუნდი, ჩემო ოქრო, ჩემო ერთადერთო, ჩემო სასურველო.

– ყოველ ცისმარე დღე მადლი უნდა შესწირო უფალს, რომ ასეთი ცოლი გარგუნა! – ბუხუნით დაუმატა მაცკომ.

ერთი საათის შემდეგ სადარაჯო კოშკზე დროშა ჩამოხსნეს, ნიშნად პატრონების შინ არყოფნისა. ზბიშკო და მაცკო დათანხმდნენ, რომ იაგენკას ისინი სერაძამდე ბავშვებთან ერთად გაეცილებინა. ყუათიანი სადილის შემდეგ ყველანი ხალხითა და ფორნების მთელი აღალით დაადგნენ გზას.

მოწმენდილი უქარო ამინდი იდგა, ტყეები გარინდულიყვნენ. საქონელიც დასასვენებლად მიწოლილიყო მინდვრებში ნაშუადღევს და ნება-ნება იცოხნებოდა. გზა გამშრალი იყო და აქა-იქ ოქროსფერი მტვრის კორიანტელი ავარდებოდა ხოლმე. მტვრის სვეტებს ზევით კი მზეზე უთვალავ ცეც-

ხლებად რაღაც ელავდა. ზბიშკომ ცოლსა და ბავშვებს დაანახვა ეს და უთხრა:

– იცით, რა არის იქ, მტვერში ზემოთ რომ ბრჭყვინავს? ესენი ლახვრები და შუბებია. ეტყობა, გვირგვინები ყველგან მიიტანეს და ხალხი დაიძრა ხალხი დაიძრა გერმანელებზე სალაშქროდ.

ეს მართლაც ასე იყო. ბოგდანეცის საზღვართან ისინი იაგენკას ძმას, ჭაბუკ იასკო ზგოჟელიცელს შეხვდნენ, რომელსაც მდიდარი შლიახტიჩის შესაფერისად ორი შუბოსანი და ოციოდ კაციც ახლდა.

მალე გზაჯვარედინზე მტვრის ღრუბელში გამოიკვეთა ჩტან როგოველის ბანჯგვლიანი სახე. ის ბოგდანეცელი რაინდების მეგობარი არ იყო, მაგრამ ახლა შორიდანვე მიაძახა: „წინ, გერმანელ ძაღლებთან საბრძოლველად!“ – თავაზიანი სალმით გააჭენა ცხენი და მტვრის ნაცრისფერ ღრუბელს შეერია. მერე მოხუცი ვილკ ბჟოზოველიც ნახეს. თავი უცანცარებდა სიბერისაგან, მაგრამ ომში მასაც გაეწია, რათა გერმანელთაგან სილეზიაში მოკლული შვილის სისხლი აეღო.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ სერაძს, მტვერი გზაზე სულ უფრო მატულობდა, ხოლო როცა შორიდან ქალაქის კოშკები გამოჩნდა, მთელი გზა უკვე რაინდებით, მამასახლისებითა და შეიარაღებული ადგილობრივი მოსახლეობით გაივსო, ყველას შესაკრები ადგილისაკენ გაეწია. მოხუცმა მაცკომ რომ ეს ძლიერი, ომში შეუპოვარი, ყოველგვარ გაჭირვებას, უამინდობას, სიცივეს, მძიმე შრომას შეჩვეული ხალხის ნაკადი დაინახა, სიმხნევე მოეძალა და გულში, თავის თავს უეჭველი გამარჯვება უწინასწარმეტყველა.

XXVI

და, აი, როგორც იქნა, იფეთქა ომმა; პირველ ნანებში მტერთან არც ისე ხშირი იყო შეტაკებები და პოლონელებს ბედიც არ უღიმოდათ მაინცდამაინც. სანამ პოლონელთა ჯარები თავს მოიყრიდნენ, ჯვაროსნებმა აიღეს ბობროვნიკი, მიწასთან გაასწორეს ზლოტორია და ხელახლა დაიკავეს უბედური, ამ ცოტა ხნის წინ ასეთი ვაი-ვაგლახით დაბრუნებული დობჟინის მიწა. ჩეხებისა და უნგრელების შუამავლობით ომის ცეცხლი დროებით ჩაქრა. პოლონეთსა და ორდენს შორის დროებით ზავი დაიდო, რომლის დროსაც ჩეხეთის მეფეს ვაცლავს ისინი უნდა განესაჯა.

მაგრამ ჯარების თავმოყრა მოწინააღმდეგეებს არ შეუწყვეტიათ; მთელი ზამთარი და გაზაფხული მიიწევდნენ ეს ჯარები ერთმანეთის შესახვედრად, ასე რომ, როცა ორდენისაგან მოსყიდულმა ჩეხეთის მეფემ საქმე ჯვაროსნების სასარგებლოდ გადაწყვიტა, ხელახლა შეიქმნა ომის საშიშროება.

ამასობაში ზაფხულიც დადგა და მოვიდა ხალხი ვიტოლდის მეთაურობით. ჩერვენსკთან რომ მდინარე გადალახეს, ორთავე ჯარი და მაზოვიელ მთავართა სადროშოები შეერთდა. მდინარის მეორე ნაპირას, სვეცის მახლობლად დაცემულ ბანაკში, იდგა ჯავშანში ჩაჭედილი ასი ათასი გერმანელი. მეფეს სურდა მდინარე დრვენცა გადაელახა და უმოკლესი გზით წასულიყო მალბორგისაკენ. მაგრამ გადასვლა შეუძლებელი გახდა და მან კუჟენტნიკიდან ძიალდოვოსკენ შეუხვია, ჯვაროსნების ციხესიმაგრე დომბროვნო ანუ გილგენბურგი გაანადგურა და იქვე დაბანაკდა.

თვითონ მეფემაც და პოლონელთა და ლიტველთა დიდებულებმაც იცოდნენ, რომ სულ მალე უეჭველად გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყებოდა, მაგრამ ფიქრობდნენ, ეს რამდენიმე დღე კიდევ სიწყნარე იქნებაო. ისინი ვარაუდობდნენ, რომ მაგისტრი, რომელიც გზას გადაუღობავს მეფეს, მოისურვებს დაასვენოს თავისი ჯარი, რათა გადამწყვეტ ბრძოლებში განახლებული ძალებით გამოვიდნენო. ამასობაში მეფის ჯარები ღამის გასათევად დომბროვნოში შეჩერდნენ. ამ ციხესიმაგრის აღებამ სამხედრო საბჭოს ბრძანების გარეშე და, პირიქით, მისი სურვილის წინააღმდეგ, მეფე და ვიტოლდი აღაფრთოვანეს; ეს ძლიერ გამაგრებული ციხე იყო, სქელი კედლები ჰქონდა, უამრავი დამცველი ჰყავდა და გარშემო ტბა ერტყა. პოლონელმა რაინდებმა ციხე ელვისებურად აიღეს, ისეთი დაუოკებელი გაშმაგებით იბრძოდნენ, რომ, სანამ მთელი ჯარი მოაღწევდა, ქალაქისა და ციხისაგან აბოლებული ნანგრევების გარდა, აღარაფერი დარჩენილა. ამ ნანგრევებში ვიტოლდის ველური მეომრები და სალადინის თათრები დაცვაზე გადასულ გერმანელ კნეხტებს ხოცავდნენ.

ხანძარი დიდხანს არ გაგრძელებულა. ის ჩააქრო ხანმოკლე, მაგრამ კოკისპირულმა წვიმამ. თოთხმეტი ივლისის ღამე არაჩვეულებრივად ცვალებადი და ბობოქარი იყო. ქარი ზედიზედ მოერეკებოდა საავდრო ღრუბლებს. დროდადრო მთელი ცა ცეცხლმოდებული გეგონებოდათ ელვისაგან და ჭექაც შემაძრწუნებლად გადაიგრიალებდა ხოლმე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ხშირ ჭექა-ქუხილს ჰაერი გოგირდის სუნით გაეჟღინთა და ახლა უკვე წვიმის ხმაური ახშობდა ყველა სხვა ხმას. მერე ქარი ღრუბლებს ფანტავდა და მათ შორის ვარსკვლავები და ბადრი მთვარე იყურებო-

და. შუაღამე რომ გადავიდა, ავდარი მაშინღა მიწყნარდა და მებრძოლებმა შეძლეს კოცონები გაეჩაღებინათ. მალე პოლონელ-ლიტველთა ვეება ბანაკში ათასობით კოცონი აბრიალდა. მებრძოლები ცეცხლზე აშრობდნენ დასველებულ ტანსაცმელს და თან საბრძოლო სიმღერებს მღეროდნენ.

მეფეც ფხიზლობდა; ბანაკის განაპირას, იმ სახლში, სადაც მან ავდარს თავი შეაფარა, სამხედრო საბჭო თათბირობდა და გილგენბურგის აღების საქმეს იხილავდა. იერიშში მონაწილეობას ღებულობდა სერაძის სადროშო, მისი უფროსი იაკობ კონეცპოლელი სხვებთან ერთად სამხედრო საბჭოზე გამოიძახეს, რათა მათთვის ახსნა-განმარტება მოეთხოვათ, რის საფუძველზე გადავიდნენ შეტევაზე ბრძანების გარეშე და არ შეწყვიტეს შეტევა მას შემდეგაც, როცა მეფემ მათ თავისი ჯარის წარმომადგენლები და რამდენიმე საჭურველმტვირთველი გაუგზავნა ბრძანებით – შეეწყვიტათ იერიში.

მხედართუფროსს შეეშინდა, თვითნებობისათვის პასუხი მომეთხოვება და იქნებ სასჯელიც არ ამცდესო, და ამიტომაც თან წამოიყვანა საუკეთესო რაინდები, მათ შორის მოხუცი მაცკო და ზბიშკოც, რათა დაემოწმებინათ, რომ მეფის წარმოგზავნილებმა მხოლოდ მაშინღა მიაღწიეს მათთან, როდესაც ისინი უკვე ციხის კედლებზე იყვნენ და ხელჩართული ბრძოლა ჰქონდათ გამართული მის დამცველებთან. რაც შეეხება თვითნებურ იერიშს, მხედართუფროსი ამბობდა, ძალიან ძნელია ყველაფერზე ნებართვის აღება, როცა ლაშქარი რამდენიმე მილზეა გაჭიმულიო. რაკი ის წინა ხაზზე იყო გაგზავნილი, თავის მოვალეობად თვლიდა, მოესპო ყველა დაბრკოლება გზაზე და დაერტყა მტრისათვის, სადაც არ უნდა შეხვედროდა ის. როცა განმარტებები მოისმინეს, მეფემ, მთავარმა ვიტოლდმა და მრჩევლებმა, რომლებიც გულში კმაყოფილი იყვნენ მომხდარი ამბებით, მხედართმთავარს და სერაძელებს გამტყუნება კი არ დაუწყეს, ქებაც შეასხეს მამაცობისათვის და კიდევ იმისთვის, რომ მათ „ეგზომ სწრაფად აიღეს ასეთი თავგამოდებული დამცველებით შემოჯარული ციხესიმაგრე“. მაცკოსა და ზბიშკოს ამასობაში საშუალება მიეცათ კარგად დაეთვალიერებინათ სამეფოს პირველი ადამიანები, რადგან, მეფისა და მაზოვიელი მთავრების გარდა, საბჭოს ესწრებოდა ჯარების ორი წინამძღოლი: ვიტოლდი, რომელიც ლიტველების, ჟმუდელების, რუსების, ბესარაბიელების, ვალახებისა და თათრების მხედართმთავარი იყო, და ზინდრამ მაშკოვიცელი, კრაკოვის მეხრმლე, პოლონელთა ჯარების მთავარსარდალი, კაცი, რომელსაც ტოლს ვერავინ დაუდებდა სამხედრო საქმის ცოდნაში. მათ გარდა საბჭოს მრავალი მხედართუფროსი და დიდებული ესწრებოდა: კრაკოვის კაშტე-

ლანი ქრისტინ ოსტროველი; კრაკოვის მხედართუფროსი იასკო ტარნოველი; პოზნანის მხედართუფროსი სენძივოი ოსტრორროგელი; სენდომირის მხედართუფროსი მიკოლაი მიხალოვიცელი; წმინდა ფლორიანის ტაძრის წინამძღვარი, იგივე ქვეკანცლერი მიკოლაი ტრომბა; სამეფოს მარშალი ზბიგნევ ბჟეზიელი; კრაკოვის დიდებული პოეტი შაფრანეცი და, ბოლოს, ზემოვიტი, პლოცკის მთავრის ზემოვიტის ვაჟი, ერთადერთი ჭაბუკი ამ საბჭოზე, მაგრამ მეტად „ნიჭიერი მხედართმთავარი, რომლის აზრს ძალზე აფასებდა თვით მეფე.

მეზობელ დიდ ოთახში იცდიდნენ საუკეთესო რაინდები, რომელთა სახელი ქუხდა პოლონეთშიც და საზღვარგარეთაც; ისინი მეფის ახლოს უნდა ყოფილიყვნენ, რათა საჭიროების შემთხვევაში დახმარებოდნენ რჩევა-დარიგებით. მაცკომ და ზბიშკომ იქ ნახეს შავი ზავიშა სულიმჩიკიც თავის ძმასთან ფარურეისთან ერთად, სკარბეკ აბდან გურელიც, დობკო ოლესნიცელიც, რომელმაც ოდესღაც ტორუნის ტურნირზე თორმეტი გერმანელი გადმოაგდო უნაგირიდან, პაშკო ბისკუპიცელიც, მათი გულადი მეგობარი პოვალა ტაჩეველიც, ქშონ კოზიგლოველიც, მარცინ ვროციმოვიცელიც, რომელიც ატარებდა მთელი სამეფოს დიდ დროშას, ფლორიან ელიტჩიკ კორიტნიცელიც, ხელჩართული ბრძოლის რისხვა ლის ტარგოვისკელიც, სტაშკო ხარბიმოვიცელიც, სრული აღჭურვილობით რომ შეეძლო ორ ზორბა ცხენს გადახტომოდა.

აქ იყვნენ სხვადასხვა მხრიდან და მაზოვიიდან ჩამოსული ცნობილი რაინდებიც, რომლებიც ბრძოლაში მუდამ წინა ხაზზე, თვით დროშის წინ მიდიოდნენ. ყველა ნაცნობი და განსაკუთრებით პოვალა გულღიად მიესალმა მაცკოსა და ზბიშკოს და მაშინვე ლაპარაკი გაუბეს ძველ დროსა და გამარჯვებებზე.

– ეჰ, – ეუბნებოდა ზბიშკოს ტაჩეველი ბატონი, – შენ ძველი ანგარიშები გაქვს ჯვაროსნებთან, იმედია ახლა მაინც გაუსწორდები.

– სისხლით გავუსწორდები, როგორც ჩვენ ყველანი! – უპასუხა ზბიშკომ.

– ის თუ იცი, რომ შენი კუნო ლიხტენშტაინი ახლა დიდი კომტურია? – ჰკითხა პაშკო ბისკუპიცელმა.

– ვიცი და ბიძაჩემმაც იცის.

– ღმერთი იზამდეს და შემახვედრებდეს. მე იმასთან განსაკუთრებული საქმე მაქვს. – ჩაერია მაცკო.

– ის ხომ ჩვენც გამოვიწვიეთ ბრძოლაში, – წამოიძახა პოვალამ, მაგრამ შემოგვითვალა, წოდება მიშლის ხელს. აი, ახლა კი ალბათ წოდება ნებას მისცემს.

მუდამ გონიერმა ზავიშამ უპასუხა:

– ის იმას შეხვდება, ვისაც ღმერთმა არგუნა.

ზბიშკოს ძალიან აინტერესებდა ზავიშას აზრი მაცკოს საქმეზე და გადაწყვიტა ახლავე მოესმინა დიდებული რაინდისგან, შეიძლებოდა თუ არა ფიცი შესრულებულად ჩათვლილიყო, თუ მაცკომ იბრძოლა ლიხტენშტაინის ნათესავთან, რომელმაც გამოწვევა მიიღო კუნოს მაგივრად, და მოკლა ის. ყველამ ერთხმად იყვირა, რომ ეს საკმარისიც არის და კიდევ მეტიც. მოუდრეკელი მაცკო კმაყოფილი დარჩა ასეთი გადაწყვეტილებით, მაგრამ მაინც განაცხადა:

– ეს კი ასეა, მაგრამ მე უფრო მეტი იმედი მექნებოდა სულის სამუდამო ცხონებისა, თვითონ კუნოსთან რომ მებრძოლა.

მერე რაინდებმა მუსაიფი გააბეს გილგენბურგის აღებაზე და მომავალ დიდ ბრძოლაზე, რომელსაც სულ ახლო ხანში ელოდნენ, მაგისტრს სხვა აღარაფერი რჩებოდა, გზა უნდა გადაეჭრა მეფისათვის.

რაინდები რომ თავს იმტვრევდნენ იმაზე ფიქრით, რამდენ დღეში იყო მოსალოდნელი ბრძოლა, მათ მიუახლოვდათ წითელ მაუდის ტანსაცმელსა და ასეთივე ქუდში გამოწყობილი მაღალი გამხდარ-გამხდარი რაინდი და ხელებგაშლილმა ბილი, თითქოს ქალური ხმით დაილაპარაკა:

– სალამი შენ, რაინდო ზბიშკო ბოგდანეცელო!

– დე ლორშ! – შესძახა ახალგაზრდა რაინდმა, – შენ აქა ხარ?

ზბიშკოს საუკეთესო მოგონებები აკავშირებდა გელდრიელ რაინდთან, ამიტომ სიხარულით ჩაიკრა ის გულში. ერთმანეთი გადაკოცნეს, როგორც გულითადმა მეგობრებმა, შემდეგ ზბიშკომ ჰკითხა:

– შენ აქა ხარ, ჩვენს მხარეზე?

– იქნებ ბევრი გელდრიელი რაინდი იყოს იმათ მხარეზე, – უპასუხა დე ლორშმა, – მაგრამ მე დლუგოლიასის პატრონი ვარ და ჩემი ვალია ჩემს ბატონს მთავარ იანუშს ვემსახურო.

– მაშ შენ მოხუცი მიკოლაი დლუგოლიასელის სიკვდილის შემდეგ დლუგოლიასის მფლობელი გახდი?

– დიახ, მიკოლაისა და მისი ვაჟიშვილის სიკვდილის შემდეგ, ბობროვნიკთან რომ მოკლეს, დლუგოლიასი დარჩა მშვენიერ იაგენკას, რომელიც აგერ, მეხუთე წელია ჩემი მეუღლე და ქალბატონია.

– ღმერთო ჩემო, მომიყევი, როგორ მოხდა ეს ყველაფერი? მაგრამ დე ლორში ახლა მოხუც მაცკოს მიესალმა და თქვა:

– თქვენმა ძველმა საჭურველმტვირთველმა გლოვაჩმა მითხრა, რომ აქ გიპოვიდით, ახლა კი ჩემს კარავში იმყოფება და ვახშმის თადარიგსაც იჭერს. მართალია, ცოტა მოშორებითა ვარ, ბანაკის მეორე ბოლოში, მაგრამ ცხენებით უცებ მივალთ – ასე რომ, გეპატიჟებით ჩემთან.

მერე ის პოვალას მიუბრუნდა, რომელიც ოდესღაც პლოცკში გაიცნო, და უთხრა:

– თქვენც გთხოვთ, კეთილშობილო რაინდო. მე ბედნიერი და დიდად ნასიამოვნები დაგრჩებით.

– კეთილი, – უპასუხა პოვალამ. – რა სჯობია მეგობრებთან საუბარს, გზად კი ბარემ ბანაკსაც დავათვალიერებთ.

რაინდები გამოვიდნენ. როცა ცხენებზე დააპირეს შესხდომა, დე ლორშის მსახურმა მათ მხრებზე მოახურა წინასწარ საგანგებოდ მომზადებული მოსასხამები. მერე ის ზბიშკოს მიუბრუნდა და უთხრა:

– ქება და დიდება თქვენ, ბატონო. მე თქვენი ყოფილი მსახური ვარ. სიბნელეში ვერა მცნობთ? გახსოვთ სანდერუსი?

– ღმერთო ჩემო! – წამოიძახა ზბიშკომ.

წამით მის მეხსიერებაში აღსდგა სურათები გადატანილი უბედურებისა, დარდისა და წამებისა. ასე იყო რამდენიმე კვირის წინაც, როცა მეფის ჯარები მაზოვიის მთავართა სადროშოებს შეუერთდა და მან დიდი ხნის განშორების მერე ნახა თავისი ძველი საჭურველმტვირთველი ჰლავა.

– სანდერუს! – შესძახა ზბიშკომ, მახსოვს, ძველი დროც მახსოვს და შენც მახსოვხარ! სად იყავი ამდენი ხანი, სად დაეხეტებოდი? ნუთუ წმინდა ნაწილებით აღარ ვაჭრობ?

– არა, ბატონო. ამ გაზაფხულამდე მედავითნედ ვიყავი დლუგოლიასის ეკლესიაში, მაგრამ ჩემი განსვენებული მამა სამხედრო საქმის მოყვარული იყო და ომმა რომ იფეთქა, ზარების სპილენძი შემზიზღდა და რკინისა და ფოლადისაკენ სწრაფვამ გაიღვიძა ჩემში.

– ეს რა მესმის! – შესძახა ზბიშკომ, რომელსაც ვერაფრით ვერ წარმოედგინა სანდერუსი მახვილით, ოროლით ან ცულით ხელში საბრძოლველად გასული.

სანდერუსს კი მის უზანგზე ხელი ჩაევლო და ეუბნებოდა:

– ერთი წლის წინათ პლოცკის ეპისკოპოსის ბრძანებით პრუსიაში წავედი და სამეფოს დიდი სამსახური გავუწიე, მაგრამ ამაზე მერე მოგიყვებით, ახლა კი დაბრძანდით, თქვენო ბრწყინვალებავ, ცხენზე, ჩეხი გრაფი, რომელსაც თქვენ ჰლავას ეძახით, ჩემი ბატონის კარავში გელოდებათ და ვახშამი უკვე გაშლილი აქვს.

ზბიშკო ცხენზე შეჯდა, ბატონ დე ლორშს წამოეწია და გვერდით გაჰყვა, რათა საქმეებზე თავისუფლად მოელაპარაკათ.

– ძალიან გახარებული ვარ ჩვენს მხარეზე რომ გხედავ, მაგრამ მაინც მიკვირს, შენ ხომ უწინ ჯვაროსნებს ემსახურებოდი.

– მსახურობს ის, ვინც ხელფასს ღებულობს, – შეედავა დე ლორში, – მე კი ის არასოდეს მიმიღია. არა! მე ჯვაროსნებთან მხოლოდ ფათერაკების საძებნელად და რაინდული ქამრის მოსაპოვებლად ჩამოვედი. შენ იცი, რომ ეს ყველაფერი მე პოლონელი მთავრისაგან მივიღე. მრავალი წელი გავატარე ამ ქვეყანაში და მივხვდი, ვის მხარეზეც ყოფილა სიმართლე, ხოლო როცა ცოლიც შევირთე და აქ საცხოვრებლად დავრჩი, როგორღა უნდა გამოვსულიყავი თქვენს წინააღმდეგ? მე ახლა უკვე აქაური ვარ. მარტო ისა ნახე, თქვენებური ენა როგორ ვისწავლე – ლამის არის გერმანული სულ დამავიწყდეს.

– მერე შენი გელდრიის მამულები? გამიგონია, იქაური ჰერცოგის ნათესავია და ამასთან მრავალი მიწისა და სოფლის მფლობელიო?

– ჩემი მამულები ნათესავს ფულკონ დე ლორშს დავუთმე, რომელმაც ამაში ფული გადამიხადა. ხუთი წლის წინ გელდრიაში ვიყავი და იქიდან უთვალავი ფული ჩამოვიტანე ამ ფულით მაზოვიაში შევიძინე მამულები.

– დლუგოლიასელ იაგენკაზე როგორღა იქორწინე?

– აჰ! ქალს ეშმაკი ვერას გაუგებს! თავისი დღე და მოსწრება ჩემს დაცინვაში იყო, ხოლო როცა ვუთხარი, მომბეზრდა ეს ყველაფერი, ავდგები და დარდისაგან აზიაში გადავიხვეწები საომრად და იქიდან აღარასოდეს დავბრუნდები-მეთქი, უცებ ატირდა და მითხრა: „მაშინ მე მონასტერში წავალო“. ეს სიტყვები რომ გავიგონე, ფეხებში ჩავუვარდი, ორი კვირის მერე კი პლოცკის ეპისკოპოსმა ჯვარი დაგვწერა.

– ბავშვები თუ გყავთ? – ჰკითხა ზბიშკომ.

– ომი რომ დამთავრდება, იაგენკა თქვენი განსვენებული დედოფლის იადვიგას კუბოს უნდა ემთხვიოს და ლოცვა გამოსთხოვოს, – ამოიხვნეშა დე ლორშმა.

– შესანიშნავია. ამბობენ, ეს ნაღდი საშუალებააო და ასეთ შემთხვევებში ჩვენი წმინდა დედოფალივით ვერავინ გამოექომაგებაო. რამდენიმე დღის შემდეგ გადამწყვეტი ბრძოლა იქნება, მერე კი მშვიდობა დამკვიდრდება.

– სწორია.

– მაგრამ ჯვაროსნები ალბათ მოღალატედ გთვლიან.

– არა, – თქვა დე ლორშმა, – შენ კარგად იცი, როგორ ვიცავ რაინდულ წესებს. სანდერუსი პლოცკის ეპისკოპოსის დავალებით მალბორგში იყო და მაგისტრ ულრიკთან წერილი გავატანე, ვწერდი, სამსახურზე უარს ვამბობმეთქი და მიზეზებიც ჩამოთვლილი მქონდა, რომელთა გამო თქვენს მხარეზე გადმოვდიოდი.

– სანდერუსი! – შესძახა ზბიშკომ, – ზარების სპილენძი შემზიზღდა და რკინისადმი სწრაფვამ გაიღვიძა ჩემში. გაოცებული ვარ. ის ხომ ყოველთვის კურდღელივით მფრთხალი იყო.

– სანდერუსს, - გაეცინა ბატონ დე ლორშს, – რკინასთან მაშინა აქვს საქმე, როცა მე და ჩემს საჭურველმტვირთველებს გვპარსავს.

– აი, თურმე რა ყოფილა! – გამხიარულდა ზბიშკო.

ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ, მერე დე ლორშმა ზეცას ახედა და ჩაილაპარაკა:

– ვახშამზე მიგიპატიჟეთ, მაგრამ, სანამ მივიდოდეთ, ალბათ უკვე საუზმის დრო იქნება.

– მთვარე ჯერ ანათებს, – უპასუხა ზბიშკომ, – წავიდეთ. ისინი მაცკოსა და პოვალას წამოეწივნენ და ბანაკის ფართო ქუჩით განაგრძეს სიარული. ასეთი ქუჩები, მხედართმთავრების ბრძანებით, ყოველთვის გაჰყავდათ ხოლმე კარვებსა და კოცონებს შუა, რათა თავისუფალი გასასვლელი ჰქონოდათ. რაინდებს მთელი ბანაკი უნდა გაევლოთ, რომ მეორე ბოლოში მაზოვიელთა სადროშოებამდე მიეღწიათ.

– რაც პოლონეთი არსებობს, – ჩაილაპარაკა მაცკომ, - ამდენი ჯარი ერთად ჯერ არავის უნახავს. დედამიწის ყველა კუთხიდან მოგროვილა ხალხი.

– ვერც ერთი მეფე ამისთანა ჯარს ვერ მოაგროვებს, კვერი დაუკრა დე ლორშმა, – რადგან არც ერთი მათგანი არ მართავს ასეთ მძლავრ სამეფოს. და მოხუცი რაინდი პოვალა ტაჩეველს მიუბრუნდა:

– როგორა თქვით? რამდენი სადროშო მოიყვანაო ვიტოლდმა?

– ორმოცი, – უპასუხა პოვალამ, – ჩვენი, პოლონური, მაზურებთან ერთად ორმოცდაათია, მაგრამ ჩვენები ისეთი დიდები არ არის, როგორც ვიტოლდისა, იმის ერთ სადროშოში ხანდახან რამდენიმე ათასი კაცია. დიახ, იცით, რა უთქვამს მაგისტრ ულრიკს? მაგ ვიგინდარებს კოვზის ხმარება უფრო ეხერხებათ, ვიდრე მახვილისაო. მაგრამ ორდენის სასიკეთოდ ნუმც ახდენილიყოს ეს სიტყვები. და ლიტველთა შუბები მალე შეღებილიყოს ჯვაროსანთა სისხლით.

– ეს რა ხალხია, ვისაც ახლა ჩავუარეთ? – იკითხა დე ლორშმა.

– ესენი თათრები არიან, ვიტოლდის მოხარკემ სალადინმა მოიყვანა.

– ბრძოლა თუ იციან კარგი?

– ლიტვამ იცის მაგათთან ბრძოლა და რამდენჯერმე უჯობნია კიდევაც, ამიტომაც გახდნენ იძულებული ამ ომში მონაწილეობა მიეღოთ. მაგრამ დასავლეთის რაინდებს უჭირთ მაგათთან ბრძოლა. ეგენი უკან დახევისას უფრო საშიშნი არიან, ვიდრე პირისპირ ბრძოლაში.

– აბა ახლოდან ვნახოთ! – შესთავაზა დე ლორშმა.

რაინდები კოცონებთან მივიდნენ. ცეცხლს ირგვლივ მკლავებმოშიშვლებული ხალხი შემოსხდომოდა. ზაფხული იყო, მაგრამ მათ ცხვრის ტყავის უსახელო ტყაპუჭები ეცვათ. უმეტესობა პირდაპირ მიწაზე ან სველ, სიცხისაგან ოხშივარადენილ თივაზე მიყრილიყო და ეძინა. ბევრი კოცონთან ჩაცუცქულიყო; ზოგს ღამე ველური სიმღერების დუდღუნში გაჰყავდა, თან ცხენის გამხმარ ძვლებს ერთმანეთს ურტყამდნენ და ამით ეხმიანებოდნენ სიმღერას. ყველაფერი ეს ძალზე უცნაური და უსიამოვნო მოსასმენი იყო; ზოგიერთი ზანზალაკებზე უკრავდა ან მშვილდის დაჭიმულ ლარებზე ათამაშებდა თითებს. ბევრი პირდაპირ ცეცხლიდან იტაცებდა ბუღადენილ ხორცს და ლურჯი გამობურცული ტუჩებით ჯერ ისევ სისხლიანს ნთქავდა. შესახედავად თათრები ისეთი ავისმომასწავებელნი და ველურები იყვნენ, რომ ტყის საშინელ ურჩხულებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ადამიანებს. კოცონებს მწარე კვამლი დასტრიალებდა. რადგან ცხენისა და ცხვრის ქონს ცეცხლზე ადნობდნენ. შეტრუსულ მატყლსა და გამთბარ ტყაპუჭებს აუტანელი ბუღი ასდიოდა. ახალი ტყავები და სისხლი ყარდა. ქუჩის მეორე მხარეს ცხენები იდგნენ და იქიდან ცხენის ოფლის სუნი სცემდა. რამდენიმე ასეუ-

ლი ცხენი ახლოს ჰყავდათ დაყენებული სასწრაფო მისვლა-მოსვლისთვის. მათ თავიანთი ფლოქვების ქვეშ ბალახი სრულიად მოეწიწკნათ და ახლა გულისგამგმირავად ფრუტუნებდნენ და ფთხვინავდნენ. თათარი მეჯინიბეები შეძახილებით და ნედლი ტყავებისაგან გაკეთებული მათრახებით ამშვიდებდნენ მათ.

აქ მარტო მოსვლა საშიშიც კი იყო, ველურები გაუგონარი მძვინვარებით გამოირჩეოდნენ. მათ გვერდით განლაგებულიყვნენ თითქმის ასეთივე ველური, თავზე რქებმიმაგრებული ბესარაბიელები, გრძელთმიანი ვალახები, რომლებიც ჯავშნის ნაცვლად მკერდსა და ზურგზე ხის ფირფიტებს იფარებდნენ. ამ ფირფიტებზე უხეშად იყო ამოტვიფრული ეშმაკეულები, ჩონჩხები და მხეცები; მერე მოკალათებულიყვნენ სერბიელები, რომელთა ბანაკი ახლა გულის ძილს მისცემოდა, დღისით კი მათ აღალს ერთი ჟრიამული გაუდიოდა, – უამრავი ფლეიტა, ბალალაიკა, საყვირი და სხვა საკრავები ჰქონდათ წამოღებული.

ბრიალებდა კოცონები, ცაში კი ძლიერი ქარისაგან გაფანტულ ღრუბლებს შორის გამოიხედავდა ხოლმე ბადრი მთვარე, რომლის შუქზეც ჩვენი რაინდები ბანაკს ათვალიერებდნენ. სერბების გვერდით უბედური ჟმუდელები დაბანაკებულიყვნენ. გერმანელებს ჟმუდელთა სისხლის მდინარეები დაეღვარათ, მაგრამ ვიტოლდის ერთი მოწოდება და ისინი კვლავ და კვლავ მზად იყვნენ ახალი ბრძოლებისათვის. ახლა კი თითქოს წინათგრძნობა ეუბნებოდა ჟმუდელებს, რომ ყველა მათს უბედურებას ბოლო მოეღებოდა და სკირვოილოს სულით გამსჭვალულები მოვიდნენ. სკირვოილოს ხსენება გერმანელებს შიშის ზარსა სცემდა, მძვინვარება იპყრობდათ. ჟმუდელთა კოცონები ლიტველთა კოცონების გვერდით ბრიალებდა, ესენი ხომ ერთი და იგივე ხალხი იყო, ერთნაირი ადათებისა და ერთი ენის მქონე.

ლიტველთა ბანაკს რომ მიუახლოვდნენ, რაინდებს საშინელი სანახაობა წარმოუდგათ თვალწინ. მორებისგან სახელდახელოდ ამართულ სახრჩობელაზე ორი გვამი კონწიალობდა; ქარი აქანავებდა მათ, ატრიალებდა და ისეთი ძალით ისროდა მაღლა, რომ სახრჩობელის ბოგირი საცოდავად ჭრიალებდა. გვამის სუნი რომ ეცათ, ცხენებმა ფთხვინვა ატეხეს და უკანა ფეხებზე ჩაიჩოქეს, ხოლო რაინდებმა პირჯვარი გადაისახეს. როცა ისინი სახრჩობელებს გასცდნენ, პოვალამ თქვა: მთავარი ვიტოლდი მეფესთან ბრძანდებოდა, როცა ეს დამნაშავეები მოიყვანეს. იმ დროს მეც მეფესთან ვიყავი. ჩვენ ეპისკოპოსები და დიდებულები ადრევე ჩიოდნენ, ლიტველები ომში ძალიან მძვინვარებენ და ეკლესიებსაც არ ინდობენო. და, აი, როცა ეს უბედურები მოიყვანეს (ესენი ცნობილი ბოიარები იყვნენ,

მაგრამ მკრეხელობა ჩაიდინეს), მთავარი ისე განრისხდა, რომ შეხედვისა შეგეშინდებოდათ და უბრძანა თვითონვე ჩამოეხრჩოთ თავები. ამ უბედურებს სახრჩობელებიც თავისი ხელით უნდა აღემართათ და თვითონვე ჩამოკიდებულიყვნენ. ის კი არა, ერთმანეთს აჩქარებდნენ: „აბა, ცოცხლად, თორემ მთავარი კიდევ უარესად განრისხდებაო!“ ახლა თათრებიცა და ლიტველებიც დაფრთხნენ, სიკვდილისა ისე არ ეშინიათ, როგორც მთავრის რისხვისა.

– დიახ, დიახ, მახსოვს, – თქვა ზბიშკომ, – როცა კრაკოვში მეფე გამირისხდა ლიხტენშტაინის გულისთვის, მეფის ახლობელი ახალგაზრდა მთავარი იამონტიც მირჩევდა, თავი ჩამოიხრჩეო. ის სუფთა გულით მირჩევდა ასე, მე კი მაშინ ისედაც სიკვდილმისჯილი რომ არა ვყოფილიყავი, ამისათვის ორთაბრძოლაში გამოვიწვევდი.

– მთავარი იამონტი ახლა უკვე რაინდულ წესებს მისდევს, – დასძინა პოვალამ.

ასე საუბარში ჩაათავეს ლიტველთა ვეება ბანაკი და რუსთა სამი რჩეული პოლკი, რომელთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი სმოლენსკის პოლკი იყო, და პოლონელთა ბანაკში შევიდნენ. აქ ორმოცდაათი სადროშო იდგა – ბირთვი და მეთაური კოლონა მთელი არმიისა. პოლონელებს საჭურველიც უკეთესი ჰქონდათ, ცხენებიც უფრო მოსულები ჰყავდათ, რაინდებიც უფრო განსწავლულები იყვნენ და არაფრით ჩამოუვარდებოდნენ დასავლეთის რაინდებს. ეს ველკო და მალოპოლსკას მცხოვრებნი ფიზიკური ძალით სჯობნიდნენ კიდეც განებივრებულ დასავლელებს, შიმშილს, სიცივესა და გაჭირვებასაც უკეთ იტანდნენ. ადათები უფრო უბრალო ჰქონდათ, ჯავშანი უფრო უხეში, მაგრამ წვრთნა უფრო ძლიერი მიეღოთ, ხოლო სიკვდილის არაფრად ჩაგდებას და მათს უმაგალითო გამძლეობას ბრძოლაში იმ დროსაც კი განცვიფრებაში მოჰყავდა შორიდან ჩამოსული ფრანგი და ინგლისელი რაინდები.

– ამაშია, – დაიწყო დე ლორმა, რომელიც უკვე დიდი ხანია იცნობდა პოლონელ რაინდებს, – მთელი ძალა და მთელი ჩვენი იმედი. მახსოვს, მალბორგში ერთხელ და ორჯერ არ დაუწუწუნიათ, მაგათგან რომ ერთი გოჯი მიწა წამოიღო, სისხლის მდინარეები უნდა დაღვაროო.

– სისხლი ახლაც მდინარეებად დადინდება, – უპასუხა მაცკომ. – ორდენსაც არასოდეს მოუყრია თავი ამდენი ჯარისათვის.

– რაინდი კოჟბუგი, – თქვა პოვალამ, – მაგისტრთან იყო, მეფის წერილი წაუღო, და ის ჰყვებოდა, ჯვაროსნებსა ჰგონიათ, რომ ვერც რომის იმპერა-

ტორი, ვერც სხვა რომელიმე ხელისუფალი ვერ შეედრება ძლიერებაში და რომ მათ მთელი მსოფლიოს დაპყრობა შეუძლიათ.

– კეთილი, ოღონდ ჩვენ იმათზე მეტი ვართ! – შენიშნა ზბიშკომ.

– ეს მართალია, მაგრამ ისინი კაპიკად არ აგდებენ ვიტოლდის ჯარებს, იმათ შეიარაღებას, პირველსავე დარტყმაზე ისე დავფშვნით, როგორც თიხის ქოთანს ჩაქუჩითო. არ ვიცი, მართალია თუ არა ეს.

– მართალიც არის და არც არის მართალი, – უპასუხა გონიერმა მაცკომ. – მე და ზბიშკო ვიცნობთ ლიტველებს, ერთად ვიბრძოდით. რაღა თქმა უნდა, იარაღიც უარესი აქვთ და ცხენებიც შეუხედავი ჰყავთ, ხანდახან ვერ უძლებენ ლიტველები რაინდთა შემოტევას, მაგრამ გერმანელებზე გაცილებით გულადები არიან.

– სულ მალე შეიძლება მათი გამოცდა. – თქვა პოვალამ, – მეფეს თვალებზე ცრემლი მოადგება ხოლმე, როცა დაფიქრდება, რამდენი ქრისტიანის სისხლი უნდა დაიღვაროს. ყოველ წუთს მზად არის დასდოს სამართლიანი ზავი, მაგრამ ყოყოჩა ჯვაროსნები არა შვრებიან.

– მაგას ბევრი მტკიცება არა სჭირდება! ვიცნობ მე ჯვაროსნებს, ჩვენ ყველანი ვიცნობთ მათ, – დაუდასტურა მაცკომ. – ღმერთს სასწორის თეფშები უკვე მომზადებული აქვს, რომელზედაც უნდა აიწონოს ჩვენი და ჩვენი მოდგმის მტრების სისხლი.

ისინი უკვე სულ ახლოს იყვნენ მაზოვიელთა ბანაკთან, გამოჩნდა კიდევაც ბატონი დე ლორშის კარვები, როცა უეცრად შეამჩნიეს, რომ შუა „ქუჩაში“ ხალხმა თავი მოიყარა და ზეცისაკენ დაიწყო ყურება.

– ეი! შესდექით! შესდექით! – გაისმა ხალხში ხმა.

– ვინ ლაპარაკობს? აქ რას აკეთებთ? – ჰკითხა პოვალამ.

– კლობუცკის ქსონძი ვარ. თქვენ ვიღა ხართ?

– პოვალა ტაჩეველი, ბოგდანეცელი რაინდები და დე ლორში.

– ოჰ, თქვენ ბრძანდებით, ბატონებო, – იდუმალი ხმით ჩაილაპარაკა ქსონძმა და პოვალას ცხენს მიუახლოვდა. შეხედეთ მთვარეს, შეხედეთ, ზედ რა ხდება. ეს წინასწარმეტყველური ბრწყინვალე ღამეა!

რაინდებმა თავები ასწიეს და მათაც შეხედეს მთვარეს, რომელიც უკვე გაფერმკრთალებულიყო და სადაცაა უნდა ჩასულიყო,

– ვერაფერი გამირჩევია! – თქვა პოვალამ. – თქვენ განა რამეს ხედავთ?

– კაპიუშონიანი ბერი გვირგვინიან მეფეს ებრძვის! შეხედეთ! აი, იქ! სახელითა მამისათა და ძისათა და... ოჰ, როგორ საშინლად იბრძვიან... ღმერთო შეგვიწყალე, ჩვენ, ცოდვილები! ირგვლივ ყველა მიყუჩდა, ყველამ სული გატრუნა.

– შეხედეთ, შეხედეთ! – ყვიროდა ქსონძი.

– მართალია, რაღაც ჩანს! – უთხრა მაცკომ.

– მართალია! მართალია! – დაუდასტურეს სხვებმაც.

– ო! მეფემ დასცა ბერი, – შეჰყვირა უცებ კლობუცკის წინამძღვარმა, – ფეხი დაადგა!

– დიდება იესო ქრისტეს!

– უკუნითი უკუნისამდე!

ამ დროს მთვარეს დიდი შავი ღრუბელი გადაეფარა და ჩამობნელდა. მხოლოდ კოცონების გამონაშუქი წვებოდა გზის გარდიგარდმო სისხლის აცახცახებულ ზოლებად.

რაინდებმა გზა განაგრძეს. როცა ხალხს გასცდნენ, პოვალამ ჰკითხა:

– თქვენ რამე დაინახეთ?

– ჯერ ვერაფერი, – უპასუხა მაცკომ, – მერე კი მეფეც აშკარად დავინახე და ბერიც.

– მეც!

– მეც!

– ეს ზეციური სასწაულია, – თქვა პოვალამ. – როგორც ჩანს, მიუხედავად ჩვენი მეფის ცრემლებისა, მშვიდობა არ გვიწერია.

– და ბრძოლაც ისეთი მოგველის, ჯერ რომ არავის სმენია, – დასძინა მაცკომ.

მათ უხმოდ განაგრძეს გზა, გული მისცემოდათ და თავი მაღლა ეჭირათ.

უკვე უახლოვდებოდნენ ბატონი დე ლორშის კარავს, როცა კვლავ ამოვარდა ძლიერი ქარბუქი და ერთ წამში მიფანტ-მოფანტა მაზურთა კოცონები. ათასობით აბრიალებული ფიჩხი და ნაპერწკალი დატრიალდა ჰაერში და ირგვლივ ყველაფერი კვამლის ბოლქვებმა დაფარეს.

– აი, ეს კი ქარბუქია! – შესძახა ზბიშკომ და მოიშორა მოსასხამი, რომელიც მას ქარმა თავზე წამოაფარა.

– თითქოს ქარიშხალში კვნესა და მოთქმა ისმის.

– მალე გათენდება, მაგრამ არავინ იცის, ვის რას მოუტანს ხვალინდელი დღე, – დაუმატა დე ლორშმა.

XXVII

განთიადისას ქარი კი არ ჩადგა, პირიქით, უფრო გაძლიერდა, კარავიც ვეღარ დასცეს, რომელშიც მეფე ლაშქრად ყოფნისას დღეში სამ წირვას ისმენდა. ამ დროს მოირბინა ვიტოლდმა და ხვეწნა-მუდარით მიმართა მეფეს წირვა შესაფერისი დროისათვის გადაედო, როცა ჯარი შეძლებდა ტყეში შეეფარებინა თავი და არ შეეფერხებინა ლაშქრის მსვლელობა. ნებსით თუ უნებლიეთ მეფე იძულებული გახდა დამორჩილებოდა.

მზის ამოსვლასთან ერთად ჯარი ლავასავით დაიძრა წინ, მას მიჰყვა ფორნების უსასრულო ჯაჭვი. ერთ საათში ქარი ჩადგა და შეძლეს გაეშალათ დროშები. ირგვლივ მთელი ველი, სადამდისაც კაცს თვალი მიუწვდებოდა, გეგონებოდათ, ნაირ-ნაირი ყვავილებით დაიფარაო. ბოლოს ვერ უპოვიდი ამ ჯარსა და ათასფერი დროშების ტყეს, რომელთა ფრიალშიც წინ მოიწევდნენ პოლკები. მოდიოდა კრაკოვის მხარე წითელ დროშაზე ამოქარგული თეთრი არწივით; ეს იყო მთელი სამეფოს მთავარი სადროშო, მთელი ჯარების დიდი ალამი. ალამი მარცინ ვროციმოვიცელს მოჰქონდა, მძლავრსა და სახელოვან რაინდს. მერე მოდიოდნენ სამეფო პოლკები. ერთს ორმაგი ლიტვური ჯვარი მოუძღოდა, ხოლო მეორის ემბლემა იყო „დადევნება“. წმინდა გიორგის დროშის ქვეშ მოაბიჯებდა უცხოელი დაქირავებული ჯარისა და მოხალისეთა ძლიერი რაზმი. ის უმთავრესად ჩეხებისა და მორავიელებისაგან შედგებოდა. ბლომად წამოსულიყვნენ ისინი ამ ომში, მთელი ორმოცდამეცხრე სადროშო ამათგან შედგებოდა. ეს ველური და აღვირმიშვებული ხალხი, განსაკუთრებით ქვეითები, რომლებიც შუბოსნებს მიჰყვებოდნენ უკან, ისეთი გამობრძმედილები იყვნენ ბრძოლებში და ისეთი გააფთრებით ეკვეთებოდნენ ხოლმე მტერს, რომ ყველა დანარჩენი ქვეითი მებრძოლები გვერდზე ხტებოდნენ, როგორც ზღარბს გაურბის ხოლმე ძაღლი. მათი იარაღი იყო ბერდიშები, ცელები, ცულები და რკინის კვერები; ამ იარაღს ისინი საშინელი ძალით ხმარობდნენ. ჩეხები და მორავიელები ექირავებოდნენ ყველას, ვინც ფულს გადაუხდიდა, რადგან ომი, ძარცვა და ჩეხვა მათი სტიქია იყო.

ჩეხებისა და მორავიელების გვერდით თავ-თავიანთი ბაირაღებით მოდიოდა პოლონელთა თექვსმეტი სადროშო, მათ შორის ერთი პშემიშლის, ერთი ლვოვის, ერთი ჰალიციის, სამი პოდოლსკის, მათ უკან მოჰყვებოდა უმთავრესად მშვილდებითა და ცელებით შეიარაღებული ამათივე მიწაწყლის ჯარი. მაზოვიის მთავრები იანუში და ზემოვიტი ოცდამეერთე, ოცდამეორე და ოცდამესამე სადროშოებს მოუძღვოდნენ. მერე მოდიოდა ეპისკოპოსთა და დიდებულთა ოცდაორი სადროშო: იასკო ტარნოველის, ენდრიკ ტენჩინელის, სპიტკო ლელიველის, ქშონ ოსტროველის, ნიკოლაი მიხალოველის, ზბიგნევ ბჟეზიელის, ქშონ კოზიხგლოველის, კუბა კონეცპოლელის, იასკო ლიგენზელის, კმიტასი და ზაკლიკასი, ამას გარდა, საგვარეულო სადროშოები გრიფიტებისა, ბობოვსკელების, კოზიხროგელების და მრავალი სხვა, რომლებიც ბრძოლაში ერთი შერქმეული სახელითა და ერთი გერბით გამოდიოდნენ.

დედამიწა ისე გადაჭრელდა, როგორც გაზაფხულზე იცის ხოლმე ველმა აფერადება. მოედინებოდა ხალხისა და ცხენების ზღვა, თავზე დანანავებდათ შუბების ტყე, რომელთაც წვერებზე ყვავილებივით ჭრელი ნიშნები ჰქონდათ მიმაგრებული, ხოლო სულ ბოლოს მტვრის კორიანტელში მოდიოდნენ ქალაქებისა და სოფლების ქვეითი ჯარები. ყველამ იცოდა, რომ მოელოდათ ულმობელი ბრძოლა, მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ ეს მათი მოვალეობა იყო და ამიტომ ხალისით მიიწევდნენ წინ.

მარჯვენა ფლანგზე ვიტოლდის სადროშოები მოდიოდნენ, თავს ფერად-ფერადი დროშები - დაჰფრიალებდათ, მაგრამ ყველას ერთნაირი ნიშანი – ლიტვური „დადევნება“ ჰქონდა. თვალს ვერ გადააწვდენდი ამ ზღვა ჯარს, რომელიც მინდვრებსა და ტყეებზე გადაჭიმულიყო თითქმის ერთი გერმანული მილის მანძილზე.

შუადღეზე ლაშქარმა სოფლებს ლოგდაუსა და ტანენბერგს მიატანა და ტყის პირას შეჩერდა. ისე ჩანდა, აქ დასასვენებლად მოსახერხებელი ადგილი იყო, მოულოდნელი თავდასხმა არ შეიძლებოდა; მარცხნივ დომბროვის ტბის ყურე აკრავდათ, მარჯვნივ კი ლიუბენის ტბა, წინ, ერთი მილის სიგანეზე, მინდორი იშლებოდა. ამ მინდვრის შუაგულიდან დასავლეთით მაღლობისაკენ მიემართებოდა გრიუნვალდის ჭაობიანი ტყეები, უფრო იქით კი ნაცრისფრად იმზირებოდნენ ტანენბერგის ჩალის სახურავები და მოტიტვლებული, მოუხნავი სევდიანი მინდვრები. თუ მტერი მაღლობიდან დაეშვებოდა ტყეებისკენ, იმას ადვილად დაინახავდნენ, მაგრამ ერთ დღეღამეზე ადრე მას არავინ ელოდა. ჯარი აქ მხოლოდ დასასვენებლად შეჩერდა; სამხედრო საქმეში გამობრძმედილი ზინდრამ მაშკოვიცელი ლაშქრო-

ბის დროსაც იცავდა საბრძოლო წესრიგს, ამიტომ სადროშოები ისე განალაგა, რომ, რა წუთსაც დასჭირდებოდათ, ბრძოლისათვის მზად ყოფილიყვნენ. მხედართუფროსის ბრძანებით, გრიუნვალდისა და ტანენბერგის მხარეს და იმის იქითა სოფლებშიც მალემსრბოლები გაგზავნეს სწრაფმავალი ცხენებით, რათა მიდამო დაეზვერათ. ამასობაში კი იაგელოსთვის, რომელსაც ლოცვა მოწყურებოდა, ლიუბენის ტბის მაღალ ნაპირზე კარავი გაშალეს. აქ მეფეს შეეძლო თავისი ჩვეულებრივი სამი წირვა მოესმინა.

იაგელო, ვიტოლდი, მაზოვიის მთავრები და სამხედრო საბჭო კარვისაკენ გაეშურნენ. აქვე შეიკრიბნენ სახელოვანი რაინდები, რათა გადამწყვეტი ბრძოლის წინ თავი ღმერთისთვის მიენდოთ და მეფისთვისაც თვალი შეევლოთ. ყველამ დაინახა, როგორ მიდიოდა ის ნაცრისფერ სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი. მის მჭმუნვარე სახეს მძიმე ურვის დაღი აჩნდა. წლებს ის დიდად არ შეეცვალა, არც ნაოჭები დასჩენოდა და არც ჭაღარა გამორეოდა თმაში. ახლაც ისეთივე სწრაფი ჩვეული მოძრაობით იწევდა ყურზე თმას, როგორც მაშინ, როცა ის ზბიშკომ პირველად დაინახა კრაკოვში. მაგრამ ახლა მეფე ისე მოდიოდა, თითქოს საშინელ პასუხისმგებლობას მოედრიკა, თითქოს ღრმა დარდს დაეპყრო. ჯარში ხმა დაირხა, სულ ერთთავად ტირისო ქრისტიანთა მოსალოდნელი სისხლის ღვრის გამო; ეს მართალი იყო. იაგელოს ომის გაფიქრებაზეც ძრწოლა იტანდა, მით უმეტეს იმ ხალხთან, რომელთაც ლაბადებსა და დროშებზე ჯვარი ჰქონდათ გამოსახული, და მთელი სულითა და გულით სწყუროდა მშვიდობა. სულ ამაოდ მიაქცევდნენ მის ყურადღებას პოლონეთის მაგნატები და თვით უნგრელი შუამავლებიც ორდენის თვითდაჯერებულებასა და ყოყოჩობაზე, ასე რომ ახასიათებდა მაგისტრ ულრიხს, რომელიც მზად იყო ბრძოლაში გამოეწვია მთელი მსოფლიო.

მეფის პირადი ელჩი პეტრე კოჟბუგი სულ ამაოდ იფიცებდა ღმერთსა და ჯვარს, რომ ორდენს მშვიდობაზე ლაპარაკის გაგონებაც არ უნდა და ერთადერთი ადამიანი, რომელიც მშვიდობას ემხრობოდა, – გნევის კომტური გრაფი ფონ ვენდე – დანარჩენებმა აბუჩად აიგდეს და შეურაცხჰყვესო. მეფე ჯერ კიდევ არ ჰკარგავდა იმედს, რომ მტერი სცნობდა მისი მოთხოვნების სამართლიანობას, დაენანებოდა ადამიანთა სისხლი და ეს საშინელი გათიშვა სამართლიანი ზავით დამთავრდებოდა.

და ახლა მეფე გაემართა სამლოცველოსაკენ, რომ ელოცა ზავზე, რადგან საშინელ შიშს მოეცვა მისი უბრალო და კეთილი სული. იყო დრო, როცა თვითონ ცეცხლსა და მახვილს ატრიალებდა ჯვაროსნების მიწაზე, მაგრამ მაშინ ის წარმართი ლიტველი მთავარი იყო, ახლა კი მან, პოლონეთის მე-

ფემ და ქრისტიანმა, თვალი რომ ჰკიდა ცეცხლმოდებულ სოფლებს, ნანგრევებს, სისხლსა და ცრემლებს, ეს კი ჯერ მხოლოდ დასაწყისი იყო ომისა, განგების რისხვისა შეშინდა. ო! შესაძლებელი რომ ყოფილიყო ყველაფრის შეწყვეტა! მაგრამ არა, დღეს თუ ხვალ ხალხი ერთმანეთს შეებმოდა და მიწა სისხლით გაიჟღინთებოდა. მტერი მართლაც მრავალ უკანონობას სჩადიოდა, მაგრამ ის ჯვარს ატარებდა ლაბადაზე და ისეთი დიდი წმინდანები იცავდნენ, რომ მხოლოდ გახსენებაც თრთოლვას ჰგვრიდა ქრისტიანის სულს. ეს ფიქრები მთელ ჯარს აწუხებდა, რადგან პოლონელებს შუბების, მახვილებისა და ცულების ისე არ ეშინოდათ, როგორც ამ წმინდანებისა. „როგორ უნდა აღვმართოთ ხელი მაგისტრზე, – ამბობდნენ უშიშარი რაინდები, – როცა მას ჯავშანზე სანაწილე აქვს, ხოლო ამ სანაწილეში წმინდა ძვლები და ცხოველმყოფელი ჯვრის ნატეხი უდევს!“ დიახ, ვიტოლდს მთელი გულითა და სულით სურდა ომი, იაგელოსაც საბრძოლველად მოუწოდებდა და თვითონაც მიისწრაფოდა მისკენ, მაგრამ ხელმწიფის ღვთისმოშიში გული ცახცახით იხსენებდა იმ ციურ ძალებს, რომელთაც ორდენი ეფარებოდა.

XXVIII

ქსონძმა ბარტოშ კლობუცკელმა ის იყო მოათავა პირველი ლოცვა, კალიშელი ქსონძი იაროში კი მალე მეორე წირვის დაწყებას აპირებდა, რომ მეფე ცოტა ხნით გარეთ გამოვიდა კარვიდან, რათა მუხლებზე დგომით დაბუჟებული ფეხები დაესვენებინა, ამ დროს აქაფებული ცხენი გრიგალივით მოაგდო შლიახტიჩმა ჰანკო ოსტოიჩიკმა და შორიდანვე შესძახა:

– ყოვლად მოწყალეო ხელმწიფევ, გერმანელები მოდიან!

რაინდები ამ სიტყვების გაგონებაზე უნებლიეთ შეკრთნენ, მეფეს კი სახე შეეცვალა, წამით ენა ვერ მოაბრუნა, შემდეგ კი შესძახა:

– დიდება იესო ქრისტეს! სად ნახეთ ისინი? რამდენი დროშაა?

– მე მხოლოდ ერთი დროშა ვნახე, გრიუნვალდთან, – უთხრა ჰანკომ ქოშინით. – მაგრამ გორაკს იქით მტვრის კორიანტელი იდგა, ეტყობა, დიდძალი ჯარი მოდის.

– დიდება იესო ქრისტეს! – გაიმეორა მეფემ.

ჰანკოს პირველსავე სიტყვებზე ვიტოლდს სახეზე სისხლმა მოასხა, თვალები ნაკვერჩხლებივით აენთო; დიდი მთავარი თავის ამალას მოუბრუნდა და შესძახა:

– გადაიდოს მეორე წირვა, მომგვარეთ ცხენი!

მაგრამ მეფემ მას მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

– შენ წადი, ძმაო, მე კი დავრჩები და მეორე წირვას მოვისმენ.

ვიტოლდი და ზინდრამ მაშკოვიცელი ცხენებს მოახტნენ, მაგრამ ბანაკისკენ მიტრიალებაც ვერ მოასწრეს, რომ მეორე მალემსრბოლი შლიახტიჩი პიოტრ ოკშა ვლოსტოველი გაჩნდა და შორიდანვე დაიყვირა:

– გერმანელები! გერმანელები! მე ორი დროშა დავინახე.

– ცხენებზე! – გადასძახეს დიდებულებმა და რაინდებმა ერთმანეთს.

პიოტრ დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ცხენის თქარათქური გაისმა და მესამე მალემსრბოლი მოვარდა, იმას მოჰყვა მეოთხე, მეხუთე, მეექვსე: ყველას დაენახა, რომ გერმანელთა საროშოებს ემატებოდა და ემატებოდა. ეჭვი აღარ იყო, გერმანელთა მთელი არმია მოდიოდა, რათა სამეფო ჯარისათვის გზა გადაეღობა.

რაინდები სულმოუთქმელად გაემართნენ თავ-თავიანთი საროშოებისკენ. მეფესთან კარვის წინ ცოტაოდენი დიდებულები, ქსონძები და საჭურველმტვირთველებიღა დარჩნენ. ამ დროს ზარის რეკვამ ამცნო, რომ კალიშელი წინამძღვარი მეორე წირვას იწყებდა. იაგელომ ხელები სალოცავად დაიწყო მკერდზე, თვალები ზეცას აღაპყრო და ნელი ნაბიჯით მიაშურა კარავს.

როცა წირვა დასრულდა და ის კვლავ გამოვიდა კარვიდან, საკუთარი თვალით დაინახა, რომ მალემსრბოლები მართალს ამბობდნენ: ფართო მინდვრის ბოლოში, მთას რომ უერთდებოდა, შავად მოჩანდა რაღაც, გეგონებოდათ, უცებ ტყე ამოიმართაო ამ გაშლილ ველზე, და მზის სინათლეზე ცისარტყელას ფერებით ირხეოდა ბაირაღები. უფრო იქით, გრიუნვალდისა და ტანენბერგის მერე, ცას სწვდებოდა მტვრის ღრუბელი. მეფემ თვალი შეავლო ამ საშინელ სურათს და ქსონძ ქვეკანცლერ მიკოლაის ჰკითხა:

– დღეს რომელი წმინდანის დღეა?

– დღეს მოციქულების დღეა! – უპასუხა ქსონძმა.

მეფემ ამოიოხრა.

– მაშ ასე. მოციქულების დღე ცხოვრების უკანასკნელი დღე იქნება ბევრი ქრისტიანისათვის, ვინც დღეს ამ მინდორზე ერთმანეთს შეერკინება.

მან ხელი გაიშვირა უკაცრიელი ფართო მინდვრისაკენ, რომლის შუაგულში, ტანენბერგის გზაზე, მხოლოდ საუკუნოვანი მუხების გვირგვინები მოჩანდა.

ამასობაში მეფეს ცხენი მოართვეს, ცოტა მოშორებით კი სამოცი შუბოსანი გამოჩნდა, ზინდრამ მაშკოვიცელს მისი უდიდებულესობის პირადი დაცვისათვის რომ გამოეგზავნა.

მეფის დაცვას წინ უძღოდა ალექსანდრე, პლოცკის მთავრის უმცროსი ვაჟიშვილი, იმ ზემოვიტის ძმა, რომელიც მხედართმთავრის განსაკუთრებული ნიჭით იყო დაჯილდოებული სამხედრო საბჭოს თათბირში მონაწილეობდა. დაცვაში მის შემდეგ იდგა მეფის ძმისშვილი ლიტველი ზიგმუნდ კორიბუტი, მოუსვენარი ჭაბუკი, რომელზეც ძალიან დიდ იმედებს ამყარებდნენ და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ. რაინდებიდან ყველაზე სახელგანთქმულნი იყვნენ: იასკო მონჟიკ დომბროველი, ნამდვილი გოლიათი, ძალიან ჰგავდა პაშკო ბისკუპიცელს, ღონით კი ოდნავ თუ ჩამორჩებოდა შავ ზავიშას; ჩეხი ბარონი ჟულავა, სუსტი, გამხდარ-გამხდარი, მაგრამ საოცრად გაწაფული მეომარი, სახელგანთქმული თავისი ორთაბრძოლებით ჩეხეთისა და უნგრეთის მეფეთა კარზე, სადაც ოცამდე ავსტრიელი რაინდი ჰყავდა დამარცხებული; და კიდევ მეორე ჩეხი, სოკოლი, საუკეთესოზე საუკეთესო მშვილდოსანი; ბენიაშ ვერუში დიდი პოლონეთიდან; პიოტრ მილანელი; ლიტველი ბოიარი სენკო პოჰოსტაველი, რომლის მამა პიოტრი სმოლენსკის ერთ-ერთ სადროშოს ხელმძღვანელობდა; მეფის ნათესავი მთავარი ფედუშკო; მთავარი იამონტი და, ბოლოს, „ათასებში გამორჩეული“ პოლონელი რაინდები, რომელთაც ფიცი ჰქონდათ დადებული, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაეცვათ მეფე და მოერიდებინათ ბრძოლაში ყოველგვარი საშიშროებისაგან. უშუალოდ მეფის გვერდით იყვნენ: ქსონძი ქვეკანცლერი მიკოლაი და მდივანი ზბიშკო ოლესნიცელი – ნასწავლი ყმაწვილი, კითხვასა და წერაში გაწაფული და ამასთან ერთად აფთარივით ღონიერი. ხელმწიფის იარაღს სამი საჭურველმტვირთველი იცავდა: ჩაიკა ნოვიდვორელი, მიკოლაი მორავიცელი და დანილკო რუსინი, რომელსაც მეფის მშვილდი და საისრე ებარა. ამალაში კიდევ შედიოდა ოცამდე კარისკაცი, რომლებსაც სწრაფ ცხენებზე ყოველგვარი ბრძანებები უნდა მიეწოდებინათ ჯარისათვის.

საჭურველმტვირთველებმა მეფე ძვირფას აბჯარში გამოაწყვეს, მერე წაბლა ცხენი მოართვეს, ისიც „ათასებში გამორჩეული“, წაბლა სიკეთის მო-

მასწავებლად ფთხვინავდა ფოლადის საშუბლის ქვეშ და იჩოქებდა, თითქოს ჩიტია და გასაფრენად ემზადებაო. ცხენზე რომ შეჯდა და ხელში შუბი იგულა, მეფე ერთ წამში შეიცვალა. მის სახეზე გაქრა ნაღველი, მომცრო შავშავი თვალები ელვასავით დაკვესა, ლოყებზე ალისფერი მოედო; მაგრამ ეს ერთ წამს გაგრძელდა, – როცა ქსონძმა ქვეკანცლერმა პირჯვარი გადასახა, ის კვლავ მოიღუშა და მორჩილად დახარა ვერცხლისფერჩაფხუტიანი თავი.

ამასობაში გერმანელთა ჯარი ნელა ჩამოდიოდა გორაკებიდან, გამოიარა გრიუნვალდი, გამოიარა ტანენბერგი და სრული სამხედრო წესრიგით გაჩერდა შუა მინდორში. ქვემოდან, პოლონელთა ბანაკიდან, შესანიშნავად ჩანდა მაღალკანჭებიანი, ჯავშანში ჩამჯდარი ცხენები და რაინდები. როცა ქარი ნელა უბერავდა, ბაირაღებზე ამოქარგულ ნიშნებსაც კი გაარჩევდა კაცი: ჯვრებს, არწივებს, სვავებს, მახვილებს, ჩაფხუტებს, კრავებს, დომბისა და დათვის თავებს.

მოხუც მაცკოსა და ზბიშკოს უკვე ებრძოლათ ჯვაროსნებთან და იცნობდნენ მათს ჯარსა და გერბებს, ამიტომ თავიანთ სერაძელებს აჩვენებდნენ მაგისტრის ორ სადროშოს, რომლებშიც რაინდთა საუკეთესო წარმომადგენლები მსახურობდნენ, ორდენის მთავარ სადროშოს, სათავეში ფრიდრიხ ფონ ვალენროდი რომ ედგა, წმინდა გიორგის ძლევამოსილ სადროშოს, რომელთა თეთრ ბაირაღს წითელი ჯვარი ამშვენებდა, და ჯვაროსანთა სხვა მრავალ სადროშოს. მაცკო არ იცნობდა მხოლოდ მთელი მსოფლიოდან აქ ათასობით თავმოყრილი საზღვარგარეთელი სტუმრების დროშებს: აქ იყვნენ მეომრები ავსტრიიდან, ბავარიიდან, შვაბიიდან და შვეიცარიიდან, სახელგანთქმული რაინდები ბურგუნდიიდან, მდიდარი ფლანდრიიდან, მზიური საფრანგეთიდან, რომელთა შესახებ მაცკო თავის დროზე ამბობდა, უკვე დამარცხებულებიც არ იშლიან მამაცურ ლაპარაკსო; აქ ნახავდით მეომრებს ზღვისიქითა ინგლისიდან – ზუსტი შუბოსნების ქვეყნიდან და თვით შორეული ესპანეთიდანაც, სადაც სარკინოზებთან გაუთავებელ ბრძოლებში ისეთი სარბიელი მიეცა მამაცობასა და რაინდულ გმირობას, როგორც არსად.

იმის გაფიქრებაზე, რომ ერთი წუთის მერე ისინი შეებმოდნენ გერმანელებსა და მთელ ამ ბრწყინვალე რაინდობას, სისხლი აუდუღდათ ძარღვებში სერაძის, კონეცპოლის, ქშესნიის, ბოგდანეცის, როგოვის, ბჟოზოვის და პოლონელთა სხვა კუთხეების უდრეკ რაინდებს. მოხუცებს სახეზე მრისხანება და დაძაბულობა ეხატათ, მათ ხომ იცოდნენ, როგორი მძიმე და საშინელი ბრძოლა მოელოდათ. სამაგიეროდ, ახალგაზრდა რაინდებს გულები

ისე აუფართხალდათ, როგორც მონადირე ძაღლებს, როცა შორიდან ნადირის სუნს იკრავენ. ზოგი შუბებს, მახვილებსა და ცულებს უჭერდა მაგრად ხელს და ცხენების აღვირს მოზიდავდა, თითქოს ნახტომისათვის ემზადებაო; სხვები ფორიაქობდნენ; ზოგი მძიმედ სუნთქავდა, თითქოს ჯავშანი ევიწროვაო ერთბაშად. მაგრამ მათ ბრძოლებში გამოწრთობილი მეომრები ამშვიდებდნენ: „ნუ გეშინიათ, არც თქვენ აგცდებათ, ყველას თავს აუვა, ოღონდ ზედმეტი არ მოგივიდეთ“.

როცა ჯვაროსნები გორაკიდან ათვალიერებდნენ დაბლობს, ტყის პირას მხოლოდ ორ ათეულამდე პოლონელთა სადროშოს ხედავდნენ და ეჭვი ეპარებოდათ, სულ ეს იყო თუ არა მეფის ჯარი. მართალია, მარცხნივ, ტბასთანაც, მოჩანდა მებრძოლთა ნაცრისფერი ჯგუფები და ბუჩქებშიც თითქოს ლიტველთა პატარა შუბები ელავდნენ, მაგრამ ეს შეიძლებოდა პოლონელ მზვერავთა მოზრდილი რაზმი ყოფილიყო. და მხოლოდ დანგრეული გილგენბურგის ციხიდან გამოქცეულები, რომელთაგან ოციოდე მაგისტრს მიუყვანეს, ამტკიცებდნენ, რომ ჯვაროსნების პირისპირ იდგა პოლონელთა და ლიტველთა გაერთიანებული არმია.

მაგრამ ამაო იყო მათი ლაპარაკი ამ ჯარის სიძლიერეზე. მაგისტრ ულრიკს არ სურდა ამის დაჯერება. ომის დაწყებიდან მას მხოლოდ ის სჯეროდა, რაც ხელს აძლევდა და რაც უეჭველ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა. მზვერავები და მალემსრბოლები მას არსად გაუგზავნია, რადგან ფიქრობდა, გადამწყვეტი ბრძოლა მაინც უნდა მოხდეს და მხოლოდ და მხოლოდ მტრის საბოლოო განადგურებით დამთავრდესო. ულრიკი დარწმუნებული იყო ჯარის სიძლიერეში, ამდენი ხალხი ხომ არც ერთ მაგისტრს არ გამოუყვანია დღემდე ბრძოლაში, და ამიტომ სათანადოდ აღარ აფასებდა მტრის ძალებს; როცა გნევის კონტურმა დაუკითხავად მოახდინა დაზვერვა და მოახსენა, იაგელოს მაინც უფრო მეტი ჯარი ჰყავს, ვიდრე ჩვენო, მაგისტრმა უპასუხა:

– განა რა ჯარია ეს. ცოტას პოლონელები გაგვაწვალებენ, თორემ დანარჩენი, თუნდაც უთვალავნი იყვნენ, უბრალო ხროვაა, რომელმაც კოვზის ხმარება უკეთესად იცის, ვიდრე იარაღისა.

ამ ურიცხვი ჯარით ომში მიმავალი მაგისტრი ერთბაშად სიხარულმა მოიცვა, როცა უცებ მოწინააღმდეგეს წაადგა და დაინახა მთელი სამეფოს ღაჟღაჟა წითელი ბაირაღი, მკვეთრად რომ ისახებოდა ტყის ფონზე. ეჭვი აღარ იყო, რომ მის წინაშე სამეფოს მთავარი ძალები იდგა.

მაგრამ გერმანელებს არ შეეძლოთ შეეტიათ ტყის პირას და თვით ტყეში განლაგებული პოლონელებისათვის, რადგან ჯვაროსნები მხოლოდ გაშლილ ველზე იყვნენ საშიშნი, ტყეში ბრძოლა კი მათ არ უყვარდათ და არც იცოდნენ.

მაგისტრმა მთავარსარდლები ხანმოკლე სამხედრო საბჭოზე შეჰყარა, უნდა გადაეწყვიტათ, როგორ გამოეტყუებინათ ტყიდან მტერი.

– ვფიცავ წმინდა გიორგის! – შესძახა მან. – ჩვენ ორი მილი დაუსვენებლად გამოვიარეთ, სიცხისგან სული გვძვრება, საჭურველქვეშ ოფლი ღვარად გვდის. ხომ არ დავდგებით აქ და არ დაველოდებით, როდის მოეპრიანება მტერს ტყიდან გამობრძანება.

ამის საპასუხოდ წლებითა და გამოცდილებით გამობრძმედილმა გრაფმა ვენდემ მიუგო:

– აქ ერთხელ უკვე იცინეს ჩემს სიტყვებზე და იცინეს სწორედ იმათ, ვინც, ღმერთი იზამს და, სამარცხვინოდ გაიქცევა ამ ველიდან, სადაც მე თავს დავდებ. – ამ დროს მან ვერნერ ფონ ტეტინგენს გადახედა. – და მაინც ვიტყვი იმას, რისი თქმის უფლებასაც მაძლევს სინდისი და ორდენის სიყვარული. არა, პოლონელები არ არიან ჯაბანნი; მაგრამ მაინც ვიცი, რომ მათი მეფე უკანასკნელ წუთამდე სულიმწარით ელოდება მშვიდობის მოციქულებს.

ვერნერ ფონ ტეტინგენმა მას არაფერი უპასუხა, მხოლოდ ზიზღით ჩაიფრუტუნა, მაგრამ ვენდეს ნათქვამი მაგისტრს არ მოეწონა.

– განა ახლა მშვიდობაზე ფიქრის დროა! – შესძახა მან, – ჩვენ სულ სხვა საქმისთვის ვართ შეკრებილნი.

– ღვთის სასურველი საქმის დრო ყოველთვის არის, შეედავა ფონ ვენდე.

მაგრამ მძვინვარე ჩლუხოველმა კომტურმა ჰენრიკმა, რომელსაც დაფიცებული ჰქონდა: ვბრძანებ, მანამდე ატარონ ჩემს წინ ორი გაშიშვლებული ხმალი, სანამ ისინი პოლონელთა სისხლით არ შეიღებებაო, მაგისტრისკენ შეაბრუნა თავისი ქონიანი, ოფლისაგან ალაპლაპებული სახე და ველური მრისხანებით შესძახა:

– ჩემთვის სიკვდილი სჯობს სირცხვილს! მე მარტოდმარტო გავალ ამ მახვილებით პოლონელთა მთელი ჯარის წინააღმდეგ!

ულრიკი მოიღრუბლა.

– შენ ურჩობ! – თქვა მან.

ხოლო მერე კომტურებს მიუბრუნდა:

– იფიქრეთ, როგორ გამოვიტყუოთ მტერი ტყიდან.

ყველა მხედართუფროსმა თავისი რჩევა მისცა, მაგრამ კომტურებსა და განთქმულ უცხოელ რაინდებს გერსდორფის რჩევა მოეწონათ: მეფისთვის ორი ჰეროლდი ეახლებინათ და შეეთვალათ, რომ მაგისტრი უგზავნის მას ორ ხმალს და იწვევს ბრძოლაში პოლონელებს, ხოლო თუ ველი გეცოტავებათ, შეგვიძლია უკან დავხიოთ ჯარი და ადგილი დაგითმოთო.

მეფემ ძლივს მოასწრო ტბის ნაპირს მოშორებოდა და მარცხენა ფლანგზე პოლონელთა სადროშოებისკენ წასულიყო, სადაც რაინდად უნდა ეკურთხებინა მრავალი მებრძოლი, როცა ერთბაშად შეატყობინეს, ჯვაროსნების მხრიდან ორი ჰეროლდი მოდისო.

ვლადისლავის გულს ერთბაშად იმედი მოეფინა:

– იქნებ სამართლიანი მშვიდობა უნდათ შემოგვთავაზონ

– ღმერთმაც ქნას! – უპასუხეს სასულიერო პირებმა.

მეფემ ვიტოლდის მოსაყვანად კაცი გაგზავნა, მაგრამ დიდი მთავარი სადროშოების განლაგებით იყო დაკავებული და ვერ მოვიდა, ჰეროლდები კი ამასობაში აუჩქარებლად უახლოვდებოდნენ ბანაკს.

მზის სხივებით განათებულ გზაზე სრულიად აშკარად ჩანდა, როგორ მოდიოდნენ ისინი ვეება, საძაგრავგადაფარებულ საბრძოლო ცხენებზე ამხედრებულნი; ერთ მათგანს ფარის ოქროსფერ ფონზე იმპერატორის შავი არწივი ჰქონდა გამოსახული, მეორეს კი, შჩეცინის მთავრის ჰეროლდს, თეთრ ფონზე – სვავი. მებრძოლთა რაზმები გზას უთმობდნენ მათ. ჰეროლდები ჩამოქვეითდნენ და ერთი წუთის შემდეგ წარსდგნენ დიდებული ხელმწიფის წინაშე; მათ თავის დახრით გამოხატეს თავიანთი პატივისცემა და მერე საქმეზე გადავიდნენ.

– მაგისტრი ულრიკი, – თქვა პირველმა ჰეროლდმა, გიწვევთ თქვენ, თქვენო უდიდებულესობავ, და მთავარ ვიტოლდს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, და რომ სულით გაგამაგროთ, რადგან ვხედავთ, არც ისე მამაცი ბრძანდებით, გიგზავნით ამ ორ გაშიშვლებულ ხმალს.

ამ სიტყვებით მან ხმლები მეფის ფერხთით დააწყო.

იასკო მონჟიკ დომბროველმა გადაუთარგმნა მეფეს მისი სიტყვები. როგორც კი თარგმნა დაამთავრა, წინ წამოდგა მეორე ჰეროლდი, ფარზე სვავი რომ ჰქონდა გამოხატული, და თქვა:

– მაგისტრმა ულრიკმა გვიბრძანა შეგატყობინოთ თქვენ, ხელმწიფეო, რომ თუ საბრძოლველად მინდორი გეცოტავებათ, ის უკან დაიხევს თავისი ჯარებით, რათა თქვენ ტყეში ფუჭად არ დაობდეთ.

იასკო მონჟიკმა ეს სიტყვებიც გადათარგმნა; ჩამოვარდა სიჩუმე, მხოლოდ მეფის ამალის რაინდებმა გაახრჭიალეს კბილები ამ თავხედური და შეურაცხმყოფელი სიტყვების გაგონებაზე.

იაგელოს უკანასკნელი იმედი ნისლივით გაქრა. ის მშვიდობისა და თანხმობის მაცნეებს ელოდა და სიზვიადისა და ომის მაცნეები კი წარუდგნენ.

ცრემლით დანამული თვალები მან ზეცას აღაპყრო და თქვა:

– ჩვენ ჩვენი ხმლებიც გვყოფნის, მაგრამ ამასაც მივიღებ, როგორც გამარჯვების წინასწარმეტყველებს, რომელსაც თქვენი ხელით მიგზავნის თვით მამა ღმერთი. ის განსჯის ბრძოლის ველსაც. ახლა კი ვევედრები მის სამართლიანობას და ჩივილით მივმართავ იმ წყენის გამო, რომელიც თქვენ მომაყენეთ თქვენი უსამართლობითა და გულზვიადობით, ამინ.

და ორი მსხვილი ცრემლი ჩამოუგორდა შავტუხა ლოყებზე.

ამ დროს რაინდთა ჯგუფში გაისმა ხმები:

– გერმანელები უკან იხევენ, ადგილს გვითმობენ!

ჰეროლდები გაბრუნდნენ და ერთი წუთის მერე კვლავ გამოჩნდნენ. გორაკს მიუყვებოდნენ თავიანთი მარდი ცხენებით და საჭურვლის ზემოდან ჩაცმული აბრეშუმის ტანსაცმელი მზეზე ათასფრად უელავდათ.

პოლონელთა ჯარები საბრძოლოდ დაწყობილნი გამოვიდნენ ტყის ტევრიდან. წინა რიგებში მოდიოდნენ ყველაზე ძლიერი რაინდები, მათ ცოტა მოშორებით მოჰყვებოდა მთავარი სადროშო, ხოლო შემდეგ – ქვეითები და დაქირავებული ჯარები. ამგვარად, ჯარების მწკრივებს შორის ორი გრძელი ქუჩა წარმოიშვა, სადაც ახლა ცხენებით ჩაიქროლეს ზინდრამ მაშკოვიცელმა და ვიტოლდმა. მუზარადმოხდილი, ბრწყინვალე აბჯარში ჩაჭედილი ვიტოლდი ავისმომასწავებელ ვარსკვლავს ან ცეცხლის ალს ჰგავდა, გრიგალი რომ მიაქანებს.

რაინდები ღრმად ისუნთქავდნენ მკერდით ჰაერს და ცხენებზე მოხერხებულად სხდებოდნენ.

ბრძოლა სადაცაა უნდა დაწყებულიყო.

ამასობაში მაგისტრიც ათვალიერებდა ტყიდან გამომავალ მეფის ჯარებს.

დიდხანს გასცქეროდა მის მრავალრიცხოვან რიგებს, დიდი ფრინველის მსგავსად ორად გაფოფრილ ფრთას, ქარში ცისარტყელას ფერებით მოელვარე ბაირაღებს და უცებ გული რაღაც უცნობი ავი წინათგრძნობით შეეკუმშა. იქნებ ამ დროს თვალწინ წარმოუდგა გვამების მთები და სისხლის მდინარეები. ის ყოველთვის უდრეკი იყო ხალხთან, მაგრამ იქნებ შეკრთა ზენაარის წინაშე, რომელსაც იქ ცაში ალბათ უკვე ხელში ეჭირა გამარჯვების სასწორი...

მას პირველად მოუვიდა აზრად, რომ დადგა საშინელი დღე და მხოლოდ ახლა იგრძნო, რაოდენი პასუხისმგებლობა იტვირთა.

სახე გაუფითრდა, ტუჩები აუცახცახდა, ცრემლები წასკდა. კომტურები გაოცებულები შეჰყურებდნენ თავიანთ ბელადს.

– რა დაგემართათ, ბატონო? – ჰკითხა გრაფმა ვენდემ.

– ნახა რაღა ცრემლების დრო! – შესძახა ჩლუხოვის მძვინვარე კომტურმა ჰენრიკმა.

ხოლო დიდმა კომტურმა კუნო ლიხტენშტაინმა ტუჩები გამობურცა და წარმოთქვა:

– სრულიად აშკარად ვგმობ თქვენს საქციელს, მაგისტრო, რადგან ახლა თქვენ სულ სხვა რამ შეგეფერებოდათ. პირიქით, რაინდების სულისკვეთება უნდა აგემაღლებინათ და არამც და არამც აგეჩვილებინათ მათი გულები. ჭეშმარიტად დღემდე სულ სხვანაირს გიცნობდით.

მაგრამ მაგისტრი ცრემლებს ვერ იკავებდა, ღვარად ჩამოსდიოდა შავ წვერზე, თითქოს თვითონ კი არა, ვიღაც სხვა ტიროდა.

ბოლოს მან თავს დასძლია, კომტურებს ნაღვლიანი მზერა მიაპყრო და შესძახა:

– დროშებთან!

ისეთი მბრძანებლური იყო ეს მოწოდება, რომ ყველამ თავის ნაწილს მიაშურა, ხოლო თვითონ ხელი გაიშვირა და საჭურველმტვირთველს უბრძანა:

– მომართვი მუზარადი!

ორთავე არმიის მებრძოლებს უკვე დიდი ხანია გულები ჩაქუჩებივით უბაგუნებდათ, საბრძოლო საყვირის ხმა კი ჯერ არ ისმოდა.

დადგა მოლოდინის წუთი, რომელიც ყველას თვით ბრძოლაზე უფრო მძიმე ეჩვენა. გერმანელებსა და სამეფო ჯარებს შორის ტანენბერგის მხარეს რამდენიმე ასწლოვანი მუხა იდგა, ამ მუხებზე ადგილობრივი გლეხები ამძვრალიყვნენ, უნდოდათ ორი ჯარის შერკინებისათვის ეცქირათ. ასეთი ურიცხვი ჯარი ხომ კაცის თვალს არ ენახა დასაბამიდან დღემდე. თუ არა ეს მუხები, მთელი მინდორი მოტიტვლებული, სევდიანი და პირქუში იყო, მკვდარ ტრამალს მოგაგონებდათ, სადაც მხოლოდ ქარი დათარეშობდა და სიკვდილი ტრიალებდა. რაინდების თვალი ძალაუნებურად მიიპყრო ამ ავისმომასწავებელმა მდუმარე ველმა. ცაზე ღრუბლები დაქროდნენ და დროდადრო მზეს ჩრდილავდნენ, ამ დროს მინდორს სიკვდილის აჩრდილი ეფინებოდა.

უცებ გრიგალმა დაჰბერა, ტყეში გაიზუზუნა, ტოტები მილეწ-მოლეწა, მერე მინდორს გადაუქროლა, გამხმარი ბალახი ჰაერში აიტაცა, მტვრის კორიანტელი დააყენა და ჯვაროსნებს თვალებში მიაყარა. სწორედ ამ დროს იქაურობა შესძრა ბუკების, საყვირებისა და სტვირების ხმამ. ლიტველთა მთელი ფრთა ფრინველთა გუნდივით წინ გაიჭრა. ლიტველები ჩვეულებისამებრ ადგილებიდან ერთბაშად მოსწყდნენ. კისერწაგრძელებული, ყურებაწკურული ცხენები მთელი სისწრაფით მიქროდნენ წინ; მხედრები ხმლებისა და მოკლე ლიტვური მახვილების ქნევითა და საშინელი ყვირილით ეკვეთნენ მოწინააღმდეგის მარცხენა ფრთას.

მაგისტრი სწორედ აქ იყო. მას შიში გაუქრა, ცრემლები ამოუშრა, თვალები აუელვარდა. ლიტველთა უთვალავი ჯარი რომ დაინახა, მარცხენა ფრთის სარდალს ფრიდრიხ ვალენროდს მიუბრუნდა:

– პირველი ვიტოლდი დაიძრა. აბა, თქვენც ეკვეთეთ სახელითა ღვთისითა.

და ხელის ერთი მოძრაობით დასძრა ვალენროდმა კაჟივით რაინდებისაგან შემდგარი თოთხმეტი სადროშო.

– Gott mit uns![35] – შესძახა ვალენროდმა.

ჯარებმა ჯერ შუბები დახარეს და ცხენები ნაბიჯით ატარეს, მაგრამ, როგორც მთიდან დაგორებული ლოდი იკრებს თანდათან სისწრაფეს, ისე ჯვაროსნებიც ჩორთით სვლაზე გადავიდნენ, ბოლოს კი ცხენები გააქანეს საშინელი, დაუოკებელი ზვავივით, რომელმაც, გეგონებოდათ, ყველაფერი მიწასთან უნდა გაასწოროს, რაც წინ გადაეღობებაო.

[35] ღმერთი ჩვენთანაა! (გერმ.)

მათ ფეხქვეშ მიწა ზანზარებდა.

წუთიწუთზე ბრძოლა უნდა დაწყებულიყო და მთელ ხაზს მოსდებოდა. პოლონელთა სადროშოებმა წმინდა ვოიცეხის ძველი საბრძოლო სიმღერა შემოსძახეს. მძიმე ჯავშანში ჩაჭედილმა ასი ათასმა თავმა ცას ახედა, ასი ათასმა თვალმა აღაპყრო მზერა მაღლა და ასი ათასი მკერდიდან ერთხმად იქუხა ცის გრგვინვის სადარმა:

დედაო ღვთისავ, შენ, უხრწნელო,

მეოხ გვეყავ, გვექმენ მცველად,

უფალი ჩვენი მოგვაშველე,

ქრისტე მოგვივლინე მხსნელად...

კირიე ელეისონ!..

და მათ იმწამსვე ძარღვებში ძალის მოზღვავება იგრძნეს, ყველა მზად იყო სიკვდილისთვის. მათ ხმაში ისეთი დაუძლეველი გამარჯვების ძალა ისმოდა, გეგონებოდათ, ცაზე მართლა ქუხილი დაიგრაგნებოდა. რაინდთა ხელებში შეირხა შუბები, შეირხა დიდი და პატარა ბაირაღები, შეირხა ჰაერიც, ათრთოლდა ტოტები, ტყის სიღრმიდან ნახმევი გამოეპასუხა სიმღერას და თავაწყვეტილი ტბებისა და ველებისაკენ, უკიდეგანო სივრცეებისაკენ გაექანა:

ქრისტე მოგვივლინე მხსნელად...

კირიე ელეისონ!..

პოლონელები კი განაგრძობდნენ:

ოჰ, იესოვ, ქრისტე-ღმერთო,

შენ გსასოებთ და შენ გვიცავთ;

შეისმინე ლოცვა ჩვენი,

შეგვეწიე, ძეო ღვთისავ!

აქ – განწმენდა მორჩილებით

მოგვმადლე და ჩაგვაგონე,

იქ – ცხოვრება საუკუნო

და სიკვდილით ხსნა გვარგუნე...

კირიე ელეისონ!..

და ნახმევმა კვლავ აიტაცა: „კირიე ელეისონ!“ მარჯვენა ფრთაზე უკვე ცხარე ბრძოლა იყო გაჩაღებული და შუაგულისაკენ მიიწევდა. ქუხილი, ცხენების ჭიხვინი, მეომართა საშინელი შეძახილები აირია სიმღერის ხმებში, მაგრამ დროდადრო ყვირილი მიყუჩდებოდა, თითქოს ადამიანებს სული შეეხუთათო, და მაშინ კვლავ გაიგონებდით სიმღერის გუგუნს:

ადამ, ქრისტე-ღმერთი მწედ გყავს,

ადამ, ჩვენი ლოცვა გესმას,

ადამ, შეგისრულეთ აღთქმა,

შენც მოგვხედე შვილებს შენსას.

იქ მიგვიღე, სამოთხეში,

სადაც სული სუფევს ლაღად,

სადაც სიტკბო – სიამეა,

სადაც ყოვლადძლიერს ვნახავთ...

კირიე ელეისონ!..

და ისევ აიტაცა ტყემ ნახმევი: „კირიე ელეისოონ!“ მარჯვენა ფრთაზე ხმაურმა იმატა, მაგრამ რა ხდებოდა იქ, არც დამნახავი იყო ვინმე და არც გამგონი, – მაგისტრმა ულრიკმა, რომელიც ბორცვიდან დაჰყურებდა ბრძოლას, პოლონელებს ამ დროს ოცი სადროშო ერთად დაატეხა თავს ლიხტენშტაინის მეთაურობით.

პოლონელთა მოწინავე რიგებთან, სადაც სახელგანთქმული რაინდები იბრძოდნენ, ქარაშოტივით მიიჭრა ზინდრამ მაშკოვიცელი, ხმალი გერმანელთა ზვავისაკენ გაიშვირა და ისეთი ხმით დაიქუხა, რომ პირველ რიგში ცხენებმა უკანა ფეხებზე ჩაიკეცეს.

– წინ! დასცხეთ მტერს!

რაინდები ცხენის ზურგებს გაეკვრნენ, შუბები მოიმარჯვეს და წინ გაიჭრნენ.

მაგრამ ლიტვა შედრკა გერმანელთა საშინელი შემოტევისაგან. უკვე მოცელილიყო წინა რიგები, რომლებშიც საუკეთესოდ შეიარაღებული ცნობილი ბოიარები იბრძოდნენ. მათ უკან მდგომნი გააფთრებით ეკვეთნენ ჯვაროსნებს. მაგრამ ვერაფერი, ვერც სიმამაცე და ვერც გამძლეობა ვერ იხსნიდა მათ განადგურებისა და დაღუპვისაგან. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რადგან ერთ მხარეზე იბრძოდნენ რკინის ბადეგადაცმულ ცხენებზე ამხედრებული, აბჯარში ჩამსხდარი რაინდები, მეორეზე კი ძლიერი, მამაცი

ხალხი; მაგრამ ისინი დაბალ ცხენებზე ისხდნენ, ტყავებით შემოსილიყვნენ. ამაოდ ცდილობდნენ შეუპოვარი ლიტველები მისწვდომოდნენ გერმანელთა სხეულებს. მათი მოკლე მახვილები, ხმლები, ოროლები, ლურსმნებგარჭობილი ან კაჟით მოჭედილი მუხის კეტები ისე სხლტებოდნენ რკინის ფოლადის ჯავშნებზე, როგორც ლოდზე ან ციხის კედელზე. ხალხი და ცხენები ავიწროებდნენ ვიტოლდის უბედურ ჯარებს, მტრის მახვილები და ცულები ჩეხავდნენ მათ, ცელავდნენ ბერდიშები, ქელავდნენ ცხენის ფლოქვები. ამაოდ ისროდა მთავარი ვიტოლდი სიკვდილის ამ ხახაში ახალ და ახალ რაზმებს. ფუჭი იყო თავდადება, დაჟინება და სიკვდილისადმი ზიზღი. ამაოდ იღვრებოდა სისხლის მდინარეები! ჯერ თათრებმა, ბესარაბებმა და ვალახებმა მოიხარეს ქედი, მალე ლიტველთა კედელი გაიბზარა, საშინელმა ბორგვამ მოიცვა ყველა მებრძოლი.

ლიტველთა დიდი ნაწილი ლიუბენის ტბას მიაწყდა, მათ დაედევნა გერმანელთა მთავარი ძალები; ჯვაროსნები ათასობით ჩეხავდნენ გაქცეულებს, ისე რომ ტბის მთელი ნაპირი გვამებით დაიფარა.

ვიტოლდის ჯარების მეორე მცირე ნაწილმა სმოლენსკის სამი პოლკის შემადგენლობით პოლონელთა ჯარების ფლანგისაკენ დაიხია. მათ გერმანელთა ექვსი სადროშო ავიწროებდა, მათვე შეუერთდა მერე ლიტველებს დადევნებული ჯარები, მაგრამ სმოლენსკელები უკეთ იყვნენ შეიარაღებული და მედგრად აკავებდნენ მტრის შემოტევას. ბრძოლა სისხლიან ხოცვაჟლეტად გადაიქცა. ყოველი ნაბიჯი, მიწის ყოველი მტკაველი სისხლით ირწყვებოდა. სმოლენსკის ერთი პოლკი თითქმის მთლიანად გაანადგურეს. დანარჩენი ორი არაჩვეულებრივი შეუპოვრობითა და თავგანწირვით იბრძოდა. მაგრამ გამარჯვებით აღფრთოვანებულ გერმანელებს უკვე ვეღარაფერი დააკავებდა. ზოგიერთი სადროშო გაშმაგდა. ბევრი რაინდი ცხენს დეზებს ამოჰკრავდა, ყალყზე ააგდებდა და ცულმოღერებული თავდავიწყებით შეიჭრებოდა პირდაპირ მტრის შუაგულში. ისინი ზეადამიანური ძალით იქნევდნენ მახვილებსა და ბერდიშებს. მთელი ეს ზვავი სმოლენსკელი რაინდების შევიწროების, თელვისა და განადგურების შემდეგ ბოლოს და ბოლოს მიადგა პოლონელთა მეწინავე და მთავარი რაზმების ფლანგს, რომელიც უკვე ერთ საათზე მეტი იყო გერმანელებს ებრძოდა. იმათ კუნო ლიხტენშტაინი ედგა სათავეში.

მაგრამ ლიხტენშტაინისათვის ასეთი ადვილი არ იყო პოლონელებთან გამკლავება, რადგან მათი ჯავშანი და ცხენები ბევრად არ ჩამოუვარდებოდა გერმანელებისას, ხოლო რაინდული წვრთნა ერთნაირი ჰქონდათ. პოლონელთა მძიმე შუბებმა შეაჩერეს გერმანელები და უკან დაახევინეს.

ჯვაროსნებს პირველი დაატყდა თავს სამი მრისხანე სადროშო: კრაკოვისა, ცხენოსანთა, ენდრიკ ბროხოციცელის მეთაურობით, და სამეფო სადროშო, რომელსაც პოვალა ტაჩეველი ხელმძღვანელობდა. მაგრამ ყველაზე მკაცრი ბრძოლები მაშინ გაჩაღდა, როცა რაინდებს შუბები გადაემტვრათ და ხელი ცულებსა და მახვილებზე წაივლეს. ფარს ფარზე ურტყამდნენ, უნაგირებიდან ცვიოდნენ მებრძოლები, ითელებოდნენ ცხენები, იხრებოდა დროშები; მახვილებისა და ცულის ყუების დარტყმებისაგან ლაწალუწი გაუდიოდა ჩაფხუტებს, სამხრეებსა და ჯავშნებს; სისხლმა წითლად შეღება რკინა, რაინდები მოჩეხილი ფიჭვებივით ცვიოდნენ. იმ ჯვაროსნებმა, რომელთაც ვილნოსთან უკვე ეგემნათ პოლონელებთან ბრძოლის სიმწარე, კარგად იცოდნენ, როგორი „ველური“ და „აღვირახსნილი“ იყო ეს ხალხი; მაგრამ ახალბედები და უცხოელები შეძრწუნებული და შეშინებულები იყვნენ. ბევრი მათგანი უნებურად შეაყენებდა ცხენს, დაბნეული იყურებოდა წინ და ისე იღუპებოდა პოლონელთა მძიმე ხელით, რომ გონზე მოსვლასაც ვერ ასწრებდა, რა მოემოქმედა. სპილენძისფრად ჩაქუფრული ღრუბლიდან წამოსული სეტყვასავით წამოუშინეს მტერს საშინელი დარტყმები; ჩეხავდნენ მახვილები, ჩეხავდნენ ცულები, ჩეხავდნენ ჩუგლუგები, ჩეხავდნენ დაუნდობლად, შეუსვენებლად და სულისმოუთქმელად; სამჭედლო გეგონებოდათ, ისეთი წკრიალი გაუდიოდა ფოლადის ჯავშნებს, სიკვდილი გრიგალივით ცელავდა სიცოცხლეს; იხუჭებოდა თვალები, სახეებს სიკვდილის სითეთრე ეფინებოდა, გულიდან უკანასკნელი კვნესა ამოდიოდა და ჭაბუკი მეომრები საუკუნო ძილს ეძლეოდნენ.

ცვიოდა ნაპერწკლები ფოლადის ფოლადზე დარტყმისაგან, დაფრინავდნენ შუბების ნამტვრევები, ფარშავანგისა და სირაქლემას ფრთები. ცხენებს ფლოქვები უცურავდათ მიწაზე დაყრილ სისხლში ამოსვრილ ჯავშნებსა და დახოცილ ცხენებზე, დაჭრილებს ცხენები ფლოქვებით თელავდნენ.

მაგრამ განთქმულ პოლონელ რაინდთაგან ჯერ არც ერთი არ დაცემულიყო. ისინი თავისი მფარველის სახელს ან საგვარეულო შეძახილს ყვიროდნენ და ისე მიიწევდნენ წინ, როგორც ცეცხლი მიიკვლევს გზას გადამხმარ ტრამალზე და ნთქავს ბუჩქებსა და ბალახს. ლის ტარგოვისკელი პირველი შეება ოსტეროდელ მამაც რაინდს გამრატს, რომელმაც ფარი დაკარგა, მის ნაცვლად ხელზე თეთრი ლაბადა შემოიხვია და იმითი იცავდა თავს დარტყმებისაგან.

ლისმა მახვილით გასჭრა ლაბადა და სამხრეული და გამრატს ხელი ჩამოასხიპა. მეორე დარტყმით მან გერმანელს მუცელი ისე გაუფატრა, რომ

მახვილის წვერი ხერხემალს მისწვდა. ოსტეროდელებმა რომ დაინახეს, ბელადი მოგვიკლესო, შიშით ყვირილი მორთეს; მაგრამ ლისი ისე ეკვეთა მათ, როგორც არწივი წეროებს. სტაშკო ხარბიმოვიცელი და დომრატ კობილიანელი მასთან დასახმარებლად მიიჭრნენ და სამთავე ისე დაერია გერმანელებს, თითქოს დათვები შესევიანო ნორჩი მუხუდოს ბარდებს.

იქვე პაშკო ბისკუპიცელმა მოკლა განთქმული ჯვაროსანი კუნც ადელსბახი. როცა კუნცმა დაინახა გოლიათი, რომელსაც ხელში სისხლითა და ადამიანის თმებით მოსვრილი ცული ეკავა, შეშინდა და ტყვედ ჩაბარება დააპირა, მაგრამ პაშკომ აურზაურში ვერაფერი გაიგონა, უზანგებზე წამოიწია და ფოლადისმუზარადიანი თავი ვაშლივით გაუპო შუაზე. მერე პაშკომ რაინდი ლოხ მეკლენბურგელიც მიაწვინა, კლინგენშტაინიც, ცნობილი საგრაფო საგვარეულოს წარმომადგენელი შვაბი ჰელმსდორფიც, მოგუნციელი ლიმბახი და ნახტერვიციც; თავზარდაცემულმა ჯვაროსნებმა უკან დაიხიეს და აქეთ-იქით გაიფანტნენ; ის კი კვლავ ჩეხავდა მათ, როგორც კედელს, რომელიც გადმოქცევაზეა, მხოლოდ ისღა ჩანდა, როგორ წამოიწევდა ხოლმე პაშკო უნაგირზე, როგორ გაიელვებდა ცული და როგორ დაეცემოდა ცხენის ფეხებთან გერმანული მუზარადი.

მძლავრმა ენჯეი ბროხოციცელმა მახვილი თავზე გადაამტვრია რაინდს, რომლის ფარზე ბუ იყო გამოხატული, ჩაფხუტი კი ბუს თავს მიუგავდა. რაინდმა გერმანელს ხელი მოუმტვრია, მერე მახვილი გამოსტაცა და სასწრაფოდ მოუღო ბოლო მტერს. ჭაბუკი რაინდი დინჰაიმი, თითქმის მთლად ბავშვი, რომელიც უჩაფხუტოდ დარჩენილიყო და ბავშვური თვალებით შეჰყურებდა, ენჯეიმ შეიცოდა და ტყვედ წამოიყვანა. მან დინჰაიმი თავის საჭურველმტვირთველებს მიუგდო და ამ დროს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ტყვედ მოჰყავდა თავისი მომავალი სიძე; ჭაბუკმა რაინდმა მერე მის ქალიშვილზე იქორწინა და სამუდამოდ პოლონეთში დარჩა.

გერმანელები გააფთრებით ეცნენ ენჯეის, უნდოდათ ახალგაზრდა დინჰაიმი წაერთმიათ, რადგან ის გრაფთა ცნობილი საგვარეულოს წარმომადგენელი იყო, მაგრამ კეთილშობილმა რაინდებმა სუმიკ ნადბროჟელმა და ორმა ძმამ პლომიტოველებმა, დობკო ოხვიამ და ზიხ პიკნამ ალყა შემოარტყეს მათ, როგორც ლომი იმწყვდევს ხარს, და წმინდა გიორგის სადროშოსკენ გადარეკეს, ჯვაროსნებში სიკვდილსა და განადგურებას რომ თესავდა.

უცხოელ რაინდებს შეება სამეფო სადროშო, რომელსაც ციოლეკ ჟელეხოველი წინამძღვრობდა. არაადამიანური ძალღონის რაინდი პოვალა ტაჩეველი ცხენებს მხედრებიანად ცელავდა, კვერცხის ნაჭუჭივით ამსხვრევ-

და რკინის მუზარადებს, მარტო ებმოდა გერმანელთა მოზრდილ ჯგუფებს. მის გვერდით იბრძოდნენ ლეშკო გორაელი, მეორე პოვალა, ვიჰუჩელი, მსტისლავ სკშინელი და ორი ჩეხი სოკოლი და ზბისლავეკი. დიდხანს იბრძოდნენ ისინი, რადგან ერთ პოლონურ პოლკს მტრის სამი სადროშო ერთად უტევდა; მაგრამ როცა მათ დასახმარებლად იასკო ტარნოველის მეთაურობით ოცდამეშვიდე სადროშო მოვიდა, ძალები დაახლოებით გათანაბრდა და გერმანელებს ისრის ნახევარ გასროლაზე დაახევინეს.

კიდევ უფრო შორს გადარეკა გერმანელები კრაკოვის დიდმა სადროშომ, რომელსაც თვითონ ზინდრამი მეთაურობდა. სხვა განთქმულ რაინდებთან ერთად მათ წინ მიუძღოდა ყველაზე მრისხანე პოლონელი შავი ზავიშა, მის მხარდამხარ იბრძოდნენ საკუთარი ძმა ფარურეი, ფლორიან ელიტჩიკ კორიტნიცელი, სკარბეკ გურელი, სახელგანთქმული ლის ტარგოვისკელი, პაშკო ბისკუპიცელი, იან ნალენჩი სტახ ხარბიმოვიცელი. ზავიშას ულმობელი ხელით იხოცებოდნენ მამაცი მეომრები, თითქოს მათ შესახვედრად თვით შავად ჩაჯავშნული სიკვდილი მოდიოდა, ის კი იბრძოდა წარბშეკრული და პირმოკუმული, წყნარი, გულისყურიანი, გეგონებოდათ, სრულიად ჩვეულებრივ საქმეს აკეთებსო; დროდადრო ის დინჯად ამოძრავებდა ფარს და დარტყმებს იცილებდა; მაგრამ მისი ხმლის ყოველ მოქნევაზე ისმოდა საშინელი შეძახილი რომელიღაც მოცელილი რაინდისა, ზავიშა კი უკანაც არ იხედებოდა და მიდიოდა წინ, სპობდა მტერს, როგორც ელვით დაკვესილი შავი ღრუბელი.

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყვნენ ჩაბმული პოზნანის სადროშოს მეომრებიც, რომელთა დროშაზე უგვირგვინო არწივი იყო გამოხატული. ხოლო მას ეტოქებოდა არქიეპისკოპოსისა და მაზოვიის სამი სადროშო. დანარჩენებიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიმამაცეში, სიმტკიცესა და სისწრაფეში. სერაძის სადროშოში ჭაბუკი ზბიშკო ბოგდანეცელი არწივივით სწორედ იქ დააცხრებოდა, სადაც ბევრ გერმანელს ერთად დაინახავდა, მის გვერდით კი გერმანელებს ცელავდა მრისხანე მოხუცი მაცკო. ის ზუსტად გაანგარიშებულ დარტყმებს აგემებდა მტერს, როგორც მგელი, რომელიც თუ გიკბენს, უეჭველად სასიკვდილო ჭრილობა უნდა მოგაყენოს.

მაცკო ირგვლივ აცეცებდა თვალებს, სულ კუნო ლიხტენშტაინს ეძებდა, მაგრამ ამ არეულობაში ვერ ეპოვა და ამიტომ ჯერ სხვა რაინდებს არჩევდა, უფრო მდიდრულად ჩაცმულებს. და ვაი იმისი ბრალი, ვინც მას შეეყრებოდა. ბოგდანეცელ რაინდებთან ახლომახლო გააფთრებით იბრძოდა ჩტან როგოველი. მას პირველსავე ბრძოლაში ჩაფხუტი გაუჩეხეს და ახლა თავშიშველი დარჩენილიყო, გასისხლიანებული ბალნიანი სახით ის

გერმანელებს ადამიანი კი არა, ტყის რომელიღაც ნადირი ეგონათ და შიშის ზარს სცემდათ.

ასობით და ათასობით რაინდი დაეცა ორთავე მხრიდან და ბოლოს, როგორც იქნა, გააფთრებულ პოლონელთა დარტყმებმა შეარყია გერმანელთა რიგები. მაგრამ ამ დროს მონდა ისეთი ამბავი, რასაც ერთ წამში შეეძლო გადაეწყვიტა ბრძოლის ბედი.

ლიტველები რომ გადარეკეს და უკან ბრუნდებოდნენ, გამარჯვებით ფრთაშესხმულმა და თავბრუდახვეულმა გერმანულმა რაზმებმა პოლონელთა ფრთას გვერდიდან შემოუტიეს.

ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ მეფის მთელი ჯარი უკვე განადგურებული იყო და მტკიცე გამარჯვება ხელთა ჰქონდათ. ამიტომ არეულ-დარეულები, შეძახილებითა და სიმღერით მოუყვებოდნენ გზას და უცებ ზედ გადაეჩეხნენ ულმობელ ხოცვა-ჟლეტას. დაინახეს პოლონელები, რომლებიც ალყას არტყამდნენ გერმანელთა ურდოებს.

ჯვაროსნებმა თავები დახარეს და გაოგნებულებმა თავიანთი ზარადების ბადიდან დაინახეს თვალწინ გადაშლილი სურათი, მერე კი ცხენებს დეზი ჰკრეს და შიგ შუაგულ ბრძოლაში შეაგდეს.

გერმანელები ერთმანეთს ემატებოდნენ და მალე ათასობით რაინდი დაატყდა თავს უკვე საკმაოდ დაღლილ პოლონელთა რაზმებს. როცა დახედეს, დახმარებაც შემოგვემატაო, გერმანელებმა სიხარულის ყიჟინა დასცეს და კიდევ უფრო გააფთრებულნი ეკვეთნენ პოლონელებს. მთელ ხაზზე ულმობელი ბრძოლები გაჩაღდა. კვლავ შეიღება მიწა სისხლის ნაკადით, ცა მოიღრუბლა და გაისმა ჭექა-ქუხილის ყრუ ხმა, თითქოსდა თვითონ ღმერთს მოენდომებინოს მებრძოლთა რიგებში ჩარევა.

გამარჯვებამ ნელ-ნელა გერმანელთა მხარეზე გადაინაცვლა... პოლონელთა რიგებს არეულობა დაეტყო და გაშმაგებულმა გერმანელებმა ძლევის სიმღერაც კი წამოიწყეს:

Christ ist erstanden!..[36]

მაგრამ ამ დროს კიდევ უფრო მეტი საშინელება დატრიალდა.

ერთ-ერთმა დამარცხებულმა ჯვაროსანმა მუცელი დანით გაუფატრა ცხენს, რომელზედაც მარცინ ვროციმოვიცელი იჯდა და ხელთ მთელი ჯარისთვის წმინდათაწმინდა კრაკოვის სადროშოს დიდი ბაირაღი ეკავა

[36] ქრისტე აღსდგა!.. (გერმ.)

გვირგვინიანი არწივის გამოხატულებით. ცხენი და მხედარი წამში მიწას დაენარცხნენ, დაეცა დროშაც.

იმავე წუთს რკინაში ჩაჭედილი მრავალი ხელი ერთად წასწვდა დროშის ტარს, გერმანელებს კი სიხარულის ყვირილი აღმოხდათ. მათ ეგონათ, რომ გათავდა ყველაფერი, ახლა პოლონელებს შიში შეიპყრობთ და ეს მათ რიგებში არევდარევას შეიტანს, დგება მტრის დამარცხების წამი, თვითონ კი მხოლოდ ისღა დარჩენიათ, გაქცეულებს დაეწიონ და დახოცონ.

მაგრამ გერმანელები მწარედ მოტყუვდნენ.

როცა დაინახეს, დროშა ეცემოდა, პოლონელთა რიგებში მართლაც თავგანწირული ყვირილი გაისმა, მაგრამ ეს შიშის ყვირილი არ იყო. ეს იყო გააფთრების ხმა. გეგონებოდათ, ცეცხლის ალი მოედოო პოლონელთა ჯავშნებს. ორთავე არმიის ყველაზე მრისხანე რაინდები მძვინვარე ლომებივით ეძგერნენ დაცემულ დროშას და პოლონელთა ბაირაღის გარშემო ქარაშოტი დატრიალდა. ხალხი და ცხენები ერთ საშინელ გუნდად შეიკრნენ. ელავდა ხელები, ჟღარუნებდა იარაღი, შხუოდა ნაჯახები, ფოლადი რკინაზე ხრჭიალებდა, ხოლო ქუხილი, დაცემულთა კვნესა და ველური შეძახილები ერთ შემაძრწუნებელ გუნდად შეიკრა, თითქოს ჯოჯოხეთში მოხვედრილი ყველა ცოდვილი ერთხმად აყმუვლებულაო. მტვერი სვეტად დატრიალდა და ამ სვეტიდან გამორბოდნენ მხედრებდაკარგული, შიშისაგან დაბრმავებული, თვალებში სისხლმოწოლილი ფაფარაყრილი ცხენები.

ხანმოკლე იყო ეს ბრძოლა. ფიცხელი შეტაკებიდან არც ერთი გერმანელი არ გამოსულა ცოცხალი. პოლონელთა სადროშოს თავზე კი კვლავ ფრიალებდა წართმეული ბაირაღი. ქარმა წამოუბერა და დროშა ვეება ყვავილივით გაშალა, როგორც იმედის სიმბოლო, როგორც გერმანელთა თავზე ღვთის რისხვის სიმბოლო, როგორც პოლონელი რაინდების გამარჯვების სიმბოლო.

სიხარულის ყიჟინით შეეგება ჯარი ბაირაღის გაშლას და კიდევ უფრო მეტი ძალით შეუტიეს გერმანელებს, თითქოსდა ყოველ სადროშოში ორჯერ იმატაო ჯარმა და ძალამ.

სულმოუთქმელად, დაუნდობლად, შეუსვენებლად ურტყამდნენ პოლონელები ჯვაროსნებს, ყოველი მხრიდან ავიწროებდნენ, გაქცევის საშუალებას არ აძლევდნენ, ულმობლად ჩეხავდნენ ხმლებით, ცულებით, კეტებით; გერმანელები კვლავ შედრკნენ და უკან დაიხიეს. აქა-იქ უკვე გაისმა პატიების მუდარა. თუ რომელიმე უცხოელი რაინდი ზედახორიდან თავს დააღწევდა, გაფითრებული, გაოგნებული იქითკენ მიდიოდა, საითაც შიშისა-

გან გონდაკარგული დამფრთხალი ცხენი გააქანებდა. ბევრი თეთრი ლაბადა, რომელსაც ჯვაროსნები აღჭურვილობის ზევიდან იცვამდნენ, მიწაზე ეგდო.

საშინლად შეშფოთდნენ - ორდენის მხედართმთავრები, მიხვდნენ, რომ ხსნა ახლა მხოლოდ მაგისტრს შეეძლო, რომელიც თექვსმეტ სათადარიგო სადროშოს სათავეში ედგა გამზადებული.

მაგისტრი ბორცვიდან უყურებდა ბრძოლას და ისიც მიხვდა, რომ მისმა ჟამმა დაჰკრა. დასძრა კიდეც საბრძოლველად თავისი რკინისებური რაზმები ქარიშხალივით, სასეტყვე ღრუბელს რომ მორეკავს, სიკვდილისა და განადგურების მომტანს.

მაგრამ მანამდე პოლონელთა ჯარის მესამე მწყობრთან, რომელიც აქამდე არ მონაწილეობდა ბრძოლაში, გაჩნდა აქაფებულ ცხენზე ამხედრებული ზინდრამ მაშკოვიცელი. ის ფრთხილად ათვალიერებდა მინდორს და თვალყურს ადევნებდა ბრძოლის მიმდინარეობას.

აქ პოლონელ ქვეითებთან ერთად დაქირავებული ჩეხების რამდენიმე ასეული იდგა. ერთი მათგანი ჯერ კიდევ ბრძოლის დაწყებამდე შედრკა, მაგრამ დროულად შეარცხვინეს, მეთაური გააგდეს და ახლა ერთი სული ჰქონდათ, ბრძოლაში როდის ჩაებმებოდნენ და თავიანთ წუთიერ სისუსტეს როდის გამოისყიდდნენ. მაგრამ მთავარ ძალას მაინც პოლონელთა პოლკები შეადგენდნენ. ესენი იყვნენ უჯავშნო ცხენოსანი ღარიბი შლიახტიჩები და ქალაქისა და უმთავრესად სოფლის მოსახლეობისაგან შემდგარი ქვეითი რაზმები, ყველანი მშვილდებით, მძიმე შუბებითა და ცულებით შეიარაღებული.

– მოემზადეთ ბრძოლისთვის! – იქუხა ზინდრამ მაშკოვიცელმა და ელვის სისწრაფით ჩაიქროლა.

– მოემზადეთ! – იმეორებდნენ უმცროსი მეთაურები.

მეომრები მიხვდნენ, ჩვენი ჯერი დადგაო, შუბები, და ცელები ტარებით მიწას დააბჯინეს, პირჯვარი გადაისახეს და დიდრონ ნაჯაფარ ხელებზე დაიფურთხეს.

ამ ავბედითმა დაფურთხების ხმამ მთელს მწყობრს გადაუარა, მეომრებმა მთელი მკერდით ჩაისუნთქეს და ხელი სტაცეს თავ-თავიანთ იარაღს. ამ დროს ზინდრამთან მალემსრბოლმა მიაყენა ცხენი, მეფის ბრძანება გადასცა და ყურში რაღაც უთხრა. ზინდრამი ქვეითებს მიუბრუნდა და შესძახა:

– წინ!

– წინ! გაშლილი მწყობრით! სწორდით! – გაისმა ბრძანება მხედართმთავრებისა.

– ეი, ბიჭებო! დასცხეთ გერმანელ ძაღლებს! დასცხეთ! და ჯარი დაიძრა. მწყობრი ნაბიჯით რომ ევლოთ და რიგები არ გაეტეხათ, ყველამ ერთხმად წამოიწყო:

– ღვთის მშო–ბე–ლო, წმინ-და მა-რი-ამ!..

ნიაღვარივით მოედინებოდნენ დაქირავებული პოლკები, ქალაქელები, ველკო და მალოპოლსკელი გლეხები, სილეზიელები, რომელთაც ომის წინ თავშესაფარი სამეფოში ჰპოვეს, და ელკიდან გამოქცეული მაზურები. მთელი ველი ააბრჭყვიალა მზეზე ცელებისა და შუბების პრიალმა.

მაგრამ, აი, მათ მიაღწიეს დანიშნულ ადგილს.

– დასცხე! – შესძახეს მხედართმთავრებმა.

– უჰ!

აღმოხდა თითოეულს ღონიერი შეშისმიეხელივით, როცა პირველად მოიქნევს ხოლმე ცულს, და, რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, მოსდგნენ ჩეხვას.

ჭახა-ჭუხი და ყვირილი ცას სწვდებოდა.

მეფე ბორცვიდან ხელმძღვანელობდა მთელ ბრძოლას და ყოველი კუთხივ მალემსრბოლებს აგზავნიდა. ყელიც კი ჩაეხრინწა ბრძანებების გაცემით. ბოლოს და ბოლოს, როცა დაინახა, რომ მთელი ჯარი ჩაება ბრძოლაში, თვითონაც გულმა ბრძოლისაკენ გაუწია.

კარისკაცნი უფრთხილდებოდნენ ხელმწიფის წმიდათაწმიდა პიროვნებას და ბრძოლაში არ უშვებდნენ. ჟულავა აღვირში სწვდა მის ცხენს და მაშინაც კი არ შეუშვა, როცა მას მეფემ ხელზე შუბი დასცხო. სხვებმა მას გზა გადაუჭრეს და აფიცებდნენ არ წასულიყო, არწმუნებდნენ, ეს ბრძოლის ბედს არ შეცვლისო.

მაგრამ ამასობაში მეფესა და მთელ მის ამალას საფრთხე დაემუქრა.

მაგისტრმა ლიტველთა განადგურების მერე დაბრუნებული სადროშოების მაგალითს მიბაძა და გადაწყვიტა პოლონელებისათვის გვერდიდან დაერტყა. იგი შემოვლას შეუდგა. ამ მიზეზით მაგისტრის თექვსმეტ სადროშოს იმ ბორცვის მახლობლად უნდა გაევლო, სადაც მეფე ვლადისლავ იაგელო იდგა.

ამალის წევრები მაშინვე მიხვდნენ საფრთხეს, მაგრამ უკან დასახევად დრო აღარ რჩებოდა. ის იყო მეფის დროშა შეკეცეს, რომ მეფის მდივანი ზბიგნევ ოლესნიცელი სულმოუთქმელად გავარდა უახლოესი სადროშოსაკენ, რომელიც მიკოლაი კელბასას ხელმძღვანელობით სწორედ მტრის შესახვედრად ემზადებოდა.

– მეფე ხაფანგშია! გვიშველეთ! – შესძახა ზბიგნევმა.

მაგრამ კელბასამ, რომელსაც ჩაფხუტი უკვე დაეკარგა, სისხლსა და ოფლში გაჟღენთილი ქუდი თავიდან მოიგლიჯა, მაცნეს დაანახვა და საშინლად განრისხებულმა შესძახა:

– აი, შეხედე, როგორ უსაქმურად ვართ ჩვენ აქ! უგუნურო! ნუთუ ვერა ხედავ, რომ ეს ღრუბელი ჩვენკენ მოიწევს, საშველად წამოვიდეთ და მტერი ზედ თავზე დავაყენოთ მეფეს?!. მოწყდი აქედან, სანამ მახვილით არ მოგიღე ბოლო!

მრისხანებისაგან გონდაკარგულს მას მართლაც დავიწყებოდა, ვის ელაპარაკებოდა და მალემსრბოლს იარაღიც კი მოუქნია, მაგრამ ამ უკანასკნელმა გაუგო და მიხვდა, რომ ნაცადი მეომარი მართალი იყო, უკან გაბრუნდა მეფესთან და, რაც გაიგონა, ყველაფერი მოახსენა. - მეფის დაცვა კედლად აღიმართა, რათა მკერდით დაეფარათ თავისი ბატონი, მაგრამ ახლა კი ვეღარავინ შეძლო მისი დაკავება და მეფე მებრძოლთა პირველ რიგებში გაიჭრა. სანამ ისინი დაეწყობოდნენ, გერმანელთა რაზმები ისე მოახლოვდნენ, რომ მათ ფარებზე გამოსახულ გერბებსაც სულ ადვილად გაარჩევდა კაცი. ჯვაროსნების შეხედვაზე უმამაცესი გულიც კი შედრკებოდა, რადგან ბრძოლაში რჩეულზე რჩეული რაინდობა ებმებოდა, ბრწყინვალე აბჯრებში ჩაჭედილნი, ხარისოდენა ცხენებზე შემსხდარნი, ძალღონით სავსენი, დასვენებულნი: რაკი ჯერ არ მიეღოთ მონაწილეობა ბრძოლაში, გრიგალივით მოდიოდნენ, გუგუნითა და თქარათქურით, დროშების ფრიალით. თვით დიდი მაგისტრი ყველაზე წინ მოაჭენებდა ცხენს, განიერი თეთრი ლაბადა ეცვა, ქარისაგან აფრიალებული მისი კალთები არწივის უზარმაზარ ფრთებს მოგაგონებდათ.

მაგისტრმა უკვე აუარა გვერდი მეფის ამალას, იქით მიისწრაფოდა, სადაც ყველაზე ცხარე ბრძოლა იყო გაჩაღებული. მართლაც და აბა რა ბედენა იყო მისთვის ერთი მუჭა განზე გამდგარი რაინდები, რომელთა შორის აზრადაც არ მოუვიდოდა მეფის ხილვა! მაგრამ აი, ერთ სადროშოს გამოეყო გოლიათი გერმანელი, ვერ გაიგებდით, იაგელო იცნო, თუ მეფის ვერცხლის აბჯარმა მოსტაცა თვალი, ან იქნებ სულაც თავისი რაინდული შე-

მართების ჩვენება უნდოდა, ეგ კი იყო, თავი დახარა, შუბი მოიმარჯვა და პირდაპირ მეფისაკენ გაეშურა.

მცველებმა მეფესთან მისვლა ვერც კი მოასწრეს, რომ მან ცხენს ფერდებში დეზი ჰკრა და გერმანელს მიაშურა, ეჭვი აღარ იყო, რომ სამკვდროსასიცოცხლოდ უნდა შებმოდნენ ერთმანეთს, თუ არა ისევ ის ზბიგნევ ოლესნიცელი, მეფის ახალგაზრდა მდივანი, რომელიც ერთნაირად იყო განსწავლული ლათინურშიც და რაინდულ საქმიანობაშიც. შუბის ნატეხით ხელში მან გვერდიდან მოუარა გერმანელს, თავში ჩასცხო, ჩაფხუტი გაუჩეხა და ჯვაროსანი მიწაზე დასცა. „იმავე წამს თვით მეფემ მოშიშვლებულ შუბლში დასცხო რაინდს და საკუთარი ხელით გამოასალმა სიცოცხლეს“.

ასე დაიღუპა ცნობილი გერმანელი რაინდი დიპოლდ კიკერიც ფონ დიბერი. მისი ცხენი მთავარმა იამონტმა დაიჭირა, თვითონ კი იწვა მოცელილი, საჭურველს ზემოდან ოქროს ქამარშემოვლებული თეთრი ხიფთანი ეცვა, თვალები დაბინდვოდა, ფეხებს ჯერ კიდევ აფართხალებდა, სანამ სიკვდილმა, ამ უზენაესმა განმასვენებელმა, არ დაუბურა გონება სიბნელით და საუკუნოდ არ განასვენა.

ხელმინის სადროშოს რაინდები პოლონელებს ეკვეთნენ, რათა შური ეძიათ ამხანაგის სიკვდილისათვის, მაგრამ მათ თვით მაგისტრმა გადაუღობა გზა შეძახილებით: „Herum! Herium![37] – და იქით გაგზავნა, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო ამ სისხლიანი დღის ბედი, სადაც ცხარე ბრძოლა დუღდა.

და კვლავ რაღაც საოცრება დატრიალდა. მიკოლაი კელბასა ყველაზე წინ იდგა და იცნო ჯვაროსნები, მაგრამ პოლონელთა სხვა სადროშოებმა ერთბაშად ვერ შენიშნეს მტვრის კორიანტელში მტერი, მათ ეგონათ, ლიტველები ბრუნდებიანო ბრძოლაში და აღარ იჩქარეს მათ შესახვედრად.

მხოლოდ დობკო ოლესნიცელი გაიჭრა წინ, ელვის სისწრაფით მომავალ მაგისტრს გზა გადაუჭრა, ლაბადაზე, ფარსა და დიდ ოქროს სანაწილეზე იცნო ის, ამ სანაწილეს მაგისტრი მკერდზე ატარებდა ჯავშნის ზემოდან. მაგრამ პოლონელმა რაინდმა ვერ გაბედა სანაწილეზე ხელის აღმართვა, თუმცა მაგისტრზე ბევრად ღონიერი იყო; იმან მაინც აუკრა შუბზე ხელი და სულ ადვილად დაუჭრა ცხენი, რის შემდეგ ისინი ერთმანეთს დაშორდნენ, წრე შემოხაზეს და თითოეულმა თავისიანებს მიაშურა.

– გერმანელები! თვითონ მაგისტრი! – შესძახა დობკომ.

---

[37] აქეთ! აქეთ! (გერმ.)

ამის გაგონებაზე პოლონელების ყველა სადროშო ადგილიდან მოსწყდა და გრიგალივით დაიძრა მტრისაკენ. ჯვაროსნებს პირველი მიკოლაი კელბასა მიუხდა თავისი რაზმით და კვლავ განახლდა ბრძოლა.

მაგრამ კაცი ვერ იტყოდა, ხელმინელებმა, რომელთა შორის მრავალი წარმოშობით პოლონელი იყო, ვერ დასცხეს მტერს სათანადო ძალით; თუ პოლონელთა შეკავება აღარ ძალუძდა არავის, ეს კი იყო, რომ ჯვაროსნების ახალმა შეტევამ ვეღარ მოიტანა ის წარმატება, როგორც ამას მაგისტრი მოელოდა. მისი აზრით, ეს უკანასკნელი დარტყმა უნდა ყოფილიყო სამეფო ჯარებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მალე გაირკვა, რომ, პირიქით, პოლონელები უტევდნენ ჯვაროსნებს, ავიწროებდნენ მათ, ურტყამდნენ, ცელავდნენ და უკვე მარწუხივით უჭერდნენ, მაგისტრის რაინდები კი არ უტევდნენ, მხოლოდ და მხოლოდ თავს იცავდნენ.

ამაოდ ამხნევებდა მაგისტრი ჯვაროსნებს, ამაოდ ერეკებოდა მუქარით, მახვილის ქნევით ბრძოლაში. მართალია, ისინი თავს იცავდნენ და მამაცურადაც იცავდნენ, მაგრამ სადღა იყო ის გახელება, გამარჯვებისკენ ის დაუოკებელი სწრაფვა, სულს რომ უდგამს ხოლმე ჯარს და ახლა ასე მძლავრად რომ დაუფლებოდა პოლონელთა გულებს. ჯავშანდაჭყლეტილი, დაჭრილი, გასისხლიანებული, იარაღდალეწილი პოლონელი რაინდები უხმოდ, თავდავიწყებით ცვიოდნენ მტრის შუაგულში, მტრისა, რომელთა მებრძოლებს უკვე აღვირები მოეზიდათ და უკან-უკან იცქირებოდნენ, თითქოს სურდათ დარწმუნებულიყვნენ, რომ ჯერ არ შეკრულიყო რკინის რკალი, რომელიც ასე ულმობლად ვიწროვდებოდა. ისინი ნელა, მაგრამ შეუჩერებლად იხევდნენ უკან, კაცს ეგონებოდა, ამ სასიკვდილო შეტაკებას შეუმჩნევლად სურთ გაეცალონო. უცებ ტყის მხრიდან ყურისწამღები ყვირილი მოისმა. თურმე ზინდრამს გამოეყვანა თავისი მდაბიონი. წამიც და ახრჭიალდა ცელები რკინაზე, ჯავშნებზე კეტები აჟღარუნდა, დატკეპნილ მიწაზე სისხლის ახალი ნაკადი წამოვიდა, ველი გვამებით დაიფარა, ხოცვა-ჟლეტას ბოლო არ უჩანდა, რადგან გერმანელები მიხვდნენ, რომ ხმლის მეტი ვერაფერი იხსნიდა და გააფთრებულ თავდაცვაზე გადავიდნენ.

პოლონელები ჯერ კიდევ საბოლოოდ არ იყვნენ დარწმუნებული, რომ გამარჯვებას მოიპოვებდნენ, როცა მოულოდნელად მარჯვნივ მტვრის კორიანტელი დადგა.

– ლიტველები ბრუნდებიან! – გაისმა პოლონელთა გახარებული შეძახილები.

მართლაც, ლიტველები, რომელთა გაფანტვა ადვილი იყო, მაგრამ დამარცხება შეუძლებელი, უკან ბრუნდებოდნენ და ველური ყვირილით გრიგალივით მოაქროლებდნენ თავიანთ სწრაფმავალ ცხენებს.

მაშინ რამდენიმე კომტური ვერნერ ფონ ტეტინგენის მეთაურობით მაგისტრს ეახლა.

– თავს უშველეთ, ბატონო! – შესძახა ელბლონგის კომტურმა, რომელსაც ტუჩები გათეთრებოდა. – თავსაც უშველეთ და ორდენსაც, სანამ ალყა არ შემოურტყამთ.

მაგრამ ჭეშმარიტმა რაინდმა, კეთილშობილმა ულრიკმა პირქუშად შეხედა მას, ხელები ზეცისკენ აღაპყრო და უთხრა:

– დავტოვო ეს ველი, სადაც ამდენი გულადი დაეცა? არა, ღმერთმა ნუ ჩამადენინოს ეს. ღმერთმა დამიფაროს!

მან ჯვაროსნებს შეუძახა, მომყევითო, და შუაგულ ბრძოლაში შეიჭრა. ამასობაში ლიტველებიც მოვიდნენ და ყველაფერი ისე აირია, ადამიანის თვალი ვეღარაფერს გაარჩევდა.

ლიტველთა ლახვრით ორჯერ სახეში დაჭრილი მაგისტრი ერთხანს კიდევ იგერიებდა დარტყმებს ღონეწართმეული მარჯვენა ხელით, მაგრამ როცა ოროლი გაუყარეს კისერში, მოჭრილი მუხასავით დაენარცხა მიწას.

ნადირის ტყავებში გამოხვეული მთელი ურდო დაესია მას

ვერნერ ტეტინგენმა რამდენიმე სადროშოსთან ერთად გააღწია ბრძოლის ველიდან, დანარჩენს კი მეფის არმიის ჯარებმა ალყა შემოარტყეს. ბრძოლა ხოცვა-ჟლეტად გადაიქცა, ორდენის საშინელ დარბევად და განადგურებად. ასეთი იშვიათად ახსოვდა ადამის მოდგმის ისტორიას. და არასოდეს ქრისტიანობის დამკვიდრებიდან, ჯერ კიდევ რომაელთა და გუთების ატილასთან და კარლ მარტელის არაბებთან ბრძოლის დროიდან, ასეთი მძლავრი ჯარები ერთმანეთს არ შეხვედრიან. მაგრამ ახლა ერთ-ერთი მათგანი ბალახივით თითქმის უკვე მოცელილი იყო, ჩაბარდნენ სადროშოები, რომლებიც მაგისტრმა ბრძოლაში მოგვიანებით გამოიყვანა. ხელმინელებმა თავიანთი დროშები მიწაში ტარით ჩაარჭვეს. ზოგიერთი გერმანელი რაინდი ჩამოქვეითდა, ნიშნად დანებებისა, და სისხლით მორწყულ მიწაზე დაიჩოქა. დანებდა წმინდა გიორგის სადროშოც თავიანთი მეთაურებიანად. ამ სადროშოში უცხოელი სტუმრები მსახურობდნენ.

მაგრამ ბრძოლა მაინც გრძელდებოდა, რადგან ჯვაროსანთა მრავალი პოლკი პატიებასა და დანებებას სიკვდილს არჩევდა. თავიანთი სამხედრო

წეს-ჩვეულების მიხედვით, გერმანელებმა ვეება წრე შეჰკრეს და თავს იცავდნენ, როგორც მგლების ხროვით გარშემორტყმული ტახების კოლტი. პოლონურ-ლიტვურმა ჯარმა ალყა შემოარტყა ამ რაინდებს, გეგონებოდათ, მახრჩობელა გველი შემოეხვიაო ხარს, და წრეს უფრო და უფრო ავიწროებდნენ. კვლავ ელავდნენ ხელები, გრიალი გაუდიოდა კეტებს, წკრიალებდნენ ხელები, სხიპავდნენ მახვილები, გმირავდნენ ოროლები, პოლონელები ტყესავით კაფავდნენ გერმანელებს, ისინი მდუმარედ იხოცებოდნენ, ვეებანი, პირქუშნი და უშიშარნი.

ზოგიერთი ჩაფხუტს იწევდა და მეორეს დამშვიდობების ნიშნად კოცნიდა. სხვები გონდაკარგული მიიწევდნენ ყველაზე მძიმე ბრძოლაში. მესამენი მთვარეულებივით იბრძოდნენ და ბოლოს ზოგიერთი თვითონ იჭრიდა ყელს მოკლე დანებით, ანდა საყელურს მოიგლეჯდა და თანამებრძოლს ეხვეწებოდა, გამგმირეო.

პოლონელთა ჯიქური დაწოლის შედეგად მტრის ვეება რაზმი სულ მალე რამდენიმე მცირე ჯგუფად დაიქსაქსა, ასე ცალკეული რაინდები უფრო იოლად გარბოდნენ, მაგრამ ეს დაქუცმაცებული ჯგუფებიც თავგანწირვით იბრძოდნენ.

იშვიათად თუ ვინმე ჩაიჩოქებდა შებრალების სათხოვნელად. და მაშინაც კი, როცა ეს ჯგუფები პოლონელთა დაწოლით საბოლოოდ გაიფანტნენ, ცალკეულ რაინდებს მაინც არ სურდათ ცოცხლად დანებებოდნენ გამარჯვებულებს. ეს დღე დიდი განადგურების დღედ იქცა არა მარტო ორდენისათვის, არამედ მთელი დასავლეთის რაინდობისათვის, მაგრამ ეს დღე სახელისა და დიდების დღეც იყო მათთვის. გოლიათი არნოლდ ფონ ბადენის ფეხებთან, რომელსაც გარს ეხვეოდნენ ქვეითი მებრძოლები, პოლონელთა გვამების მთელი მთა აღიმართა, თვითონ კი მძლავრი და დაუმორჩილებელი იდგა მათ შორის, როგორც ბორცვზე აღმართული სასაზღვრო ბოძი, და ვინც გაბედავდა ხმლის სიგრძეზე მიახლოებას, მაშინვე მეხისგან მოცელილივით ეცემოდა.

ბოლოს თვით შავი ზავიშა მიუხდა მას. უცხენო არნოლდი რომ დაინახა, რაინდული წესების დარღვევა და უკნიდან თავდასხმა არ იკადრა, თვითონაც ჩამოქვეითდა და ჯვაროსანს შორიდანვე შესძახა:

– შემობრუნდი ჩემკენ, გერმანელო, და დამნებდი! ხოლო, თუ ეს არა გსურს, მაშინ შემებრძოლე!

არნოლდი შემობრუნდა და, როცა შავ ჯავშანზე ზავიშა იცნო, თავისთვის თქვა:

„მეწვია სიკვდილი, ჩემმა ჟამმაც დაჰკრა, რადგან მაგისი ხელიდან ჯერ ცოცხალი არავინ წასულა. მაგრამ, თუ ღმერთმა ქნა და მე დავამარცხე, გიყვარდეს, უკვდავვყოფ ჩემს სახელს და იქნებ სიცოცხლეც შევინარჩუნო“.

ასეთი ფიქრებით შეება ის მოწინააღმდეგეს. ისინი გრიგალივით დაეტაკნენ ერთმანეთს ამ გვამებით მოფენილ მინდორზე. მაგრამ ზავიშა ძალ-ღონით ყველას სჯობნიდა და ვაი იმ მამის ბრალი, ვისი შვილებიც მას უნდა შებრძოლებოდნენ. ზავიშას ხმლის დარტყმამ მალბორგში გამოჭედილი ფარი გახეთქა, თიხის ქოთანივით გასკდა ფოლადის მუზარადიც და მამაცი არნოლდი ორად თავგაჩეხილი დაეცა.

პოლონელთა მთელი მოდგმის უბოროტესი მტერი ჩლუხოვის კომტური ჰენრიკი, რომელმაც დაიფიცა, მანამდის ვატარებინებ ორ შემართულ ხმალს, სანამ პოლონელთა სისხლით არ შევღებავო, ახლა ქურდულად აპირებდა ბრძოლის ველიდან გაპარვას, როგორც მელა ცდილობს დაუძვრეს მონადირეებს. მაგრამ მოულოდნელად მას გზა გადაუღობა ზბიშკომ. მის თავზე აღმართული მახვილი რომ შენიშნა, კომტურმა შესძახა: „Erbarime dich meiner!“ (შემიბრალე!) – და შიშით ჩამოჰყარა ხელები; ახალგაზრდა რაინდმა ეს სიტყვები რომ გაიგონა, მოქნეული ხმლის შეჩერება ვეღარ მოასწრო, მაგრამ მოასწრო ხმლის შეტრიალება და სიბრტყივ ჩასცხო კომტურს მსუქან სახეში. მერე ის თავის საჭურველმტვირთველს მიუგდო, რომელმაც კისერზე თოკი გამოაბა და დასაკლავი ხარივით წაათრია დანარჩენ ტყვეებთან.

მოხუცი მაცკო კი ამ სისხლიან ბრძოლებში მთელი დღე დაეძებდა კუნო ლიხტენშტაინს და ბოლოს ბედმა, იმ დღეს რომ პოლონელებს ძალზე სწყალობდა, მაინც შეახვედრა ჯვაროსანი. იგი რამდენიმე გერმანელ რაინდთან ერთად თავის გადასარჩენად ბუჩქებში შემალულიყო. მზემ აალაპლაპა მათი ჯავშანი და გასცა ისინი. ყველა ერთად დაეცა მუხლებზე და მაშინვე ტყვედ ჩაბარდნენ, მაგრამ მაცკომ, როცა გაიგო ტყვეთა შორის ორდენის დიდი კომტურიც იყო, ბრძანა მასთან მიეყვანათ. მოხუცმა რაინდმა ჩაფხუტი აიხადა და უთხრა:

– მიცნობ თუ არა, კუნო ლიხტენშტაინ? კუნომ წარბები შეჰყარა, მაცკოს დააკვირდა და ერთი წამის მერე უპასუხა:

– მე შენ პლოცკის სასახლეში მყავხარ ნანახი.

– არა! – შეედავა მაცკო. – შენ მე უფრო ადრე მნახე! შენ მე კრაკოვში მნახე, როცა გემუდარებოდი სიცოცხლე გეჩუქებინა ჩემი ძმისშვილისათვის, რომელსაც შენზე თავქარიანი თავდასხმის გამო სიკვდილი ჰქონდა

მისჯილი. მაშინ მე ღმერთს შევფიცე და რაინდული აღთქმა დავდე, მეპოვე, სადაც არ უნდა ყოფილიყავი, და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გამომეწვიე.

– ვიცი! – თქვა ლიხტენშტაინმა და მედიდურად დაბუშტა ტუჩები, თუმცა ამ სიტყვებმა ფერი დაუკარგა, – მაგრამ ახლა მე შენი ტყვე ვარ და თავს შეირცხვენ, თუ ჩემზე მახვილს აღმართავ.

მაცკოს ავად შეეჭმუხნა სახე და მოხუცი რაინდი უცებ მგელს დაემსგავსა.

– კუნო ლიხტენშტაინ! – უთხრა მან, – მე შენ უიარაღოდ ხელს არ გახლებ, მაგრამ აი, რას გეტყვი: თუ ახლაც უარს იტყვი ჩემთან ბრძოლაზე, ვბრძანებ და ძაღლივით ჩამოვახრჩობინებ შენს თავს.

– მე სხვა არჩევანი არა მაქვს, დამიდექ! – შესძახა დიდმა კომტურმა.

– გახსოვდეს, ტყვეობაზე კი არა, მხოლოდ სამკვდრო-სასიცოცხლოდ! – კიდევ ერთხელ გააფრთხილა მაცკომ.

– სამკვდრო-სასიცოცხლოდ!

წამიც არ გასულა, რომ ისინი შეებნენ გერმანელი და პოლონელი რაინდების თვალწინ. კუნო უფრო ახალგაზრდა და მკვირცხლი იყო, მაგრამ მაცკოს გაცილებით ღონიერი ხელები და ფეხები ჰქონდა. მან თვალის დახამხამებაზე დასცა გერმანელი მიწაზე და მუცელზე მუხლი დააჭირა.

შიშისაგან კომტურს თვალები ბუდიდან ამოუცვივდა.

– შემიბრალე! – დაიკვნესა კუნომ, თან პირიდან დუჟს აფურთხებდა.

– არა! – უპასუხა უდრეკმა მაცკომ.

და მან ორჯერ დაუტრიალა ხანჯალი ყელში ლიხტენშტაინს; ლიხტენშტაინი ახრიალდა, პირიდან სისხლი წასკდა, სხეული სასიკვდილოდ დაეკრუნჩხა, მერე გაიჭიმა და რაინდების დიდმა განმასვენებელმა საუკუნოდ დაუხუჭა თვალი.

ბრძოლა ხოცვა-ჟლეტამ და გაქცეულების დევნამ შესცვალა. ვისაც დანებება არ სურდა, იღუპებოდა. ბევრი ომი და ორთაბრძოლა იყო იმ ეპოქაში, მაგრამ ხალხს ასეთი ხოცვა-ჟლეტა ჯერ არ ახსოვდა. დიდი ხელმწიფის ფერხთით დაეცა არა მარტო ჯვაროსანთა ორდენი, არამედ მთელი გერმანია. მისი განთქმული რაინდები ხომ მხარს უჭერდნენ ტევტონთა „ფორპოსტს“, რომელიც სულ უფრო ღრმად იჭრებოდა სლავთა სხეულში.

შვიდასი „თეთრი ლაბადიდან“, გერმანელთა შემოსევას რომ მეთაურობდა, თხუთმეტიოდე თუ გადარჩა ცოცხალი. ამ სისხლიან ველზე ორმოცი ათას კაცს ეძინა საუკუნო ძილით.

ყველა ბაირაღი, ჯერ კიდევ შუადღეზე რომ თავს დაჰფრიალებდა ტევტონთა ლაშქარს, ახლა პოლონელებს ეპყრათ გამარჯვებულ, სისხლისგან ალისფრად შეღებილ ხელებში. არც ერთი არ დარჩა ჯვაროსნებს, ვერც ერთი ვერ გადაარჩინეს და ახლა პოლონელი და ლიტველი რაინდები მეფის ფერხთით აწყობდნენ მათ. მეფე გრძნობამორევით აღაპყრობდა ზეცისკენ თვალებს და მღელვარედ იმეორებდა: „ასეთი იყო ნება ღვთისა!“ მეფეს მოჰგვარეს აგრეთვე სახელოვანი ტყვეები. აბდანკ სკარბეკ გურელმა მოიყვანა შჩეცინის მთავარი კაზიმეჟი, ჩეხმა რაინდმა ტროცნოვსკიმ – ოლესნიცის მთავარი კონრადი, ფშედპელკო კოპიდლოვსკიმ – ჭრილობებისაგან ღონემიხდილი გეორგ გერსდორფი, რომელიც წმინდა გიორგის ბაირაღით მიუძღოდა ყველა უცხოელ რაინდს.

ოცდაორი ეროვნების ხალხი მონაწილეობდა ორდენის ამ ბრძოლაში პოლონელების წინააღმდეგ, ახლა კი მეფის მდივნები იწერდნენ ტყვეთა სახელებს. ისინი მუხლს იყრიდნენ იაგელოს წინაშე და ემუდარებოდნენ, შინ გაეშვა გამოსასყიდის ჩამოსატანად.

ჯვაროსანთა ლაშქარმა არსებობა შეწყვიტა. პოლონელთა მდევრებმა ხელთ იგდეს გერმანელთა უზარმაზარი აღალი, რომელშიც გადარჩენილი ჯვაროსნების გარდა აღმოჩნდა პოლონელთა შესაბორკად დამზადებული ჯაჭვებით გამოტენილი უთვალავი ფორანი და გამარჯვების ნადიმისთვის განკუთვნილი ღვინო.

მზე დასავლეთისაკენ ეშვებოდა. ხანმოკლე შხაპუნა წვიმა წამოვიდა და მტვერი მიწას გააკრა. მეფე, ვიტოლდი და ზინდრამ მაშკოვიცელი ბრძოლის ველზე აპირებდნენ გასვლას, როცა შეუდგნენ დახოცილი ბელადების გვამების მოზიდვას. ლიტველებმა მოიტანეს დიდი მაგისტრის ულრიკ ფონ იუნგინგენის შუბებით დაცხრილული, მტვერსა და სისხლში ამოსვრილი ცხედარი და მეფის წინ დაასვენეს; მეფემ თანაგრძნობით ამოიოხრა, მიწაზე პირაღმა დაგდებულ ვეება ცხედარს შეხედა და თქვა:

– ჯერ კიდევ დილით ამ კაცს თავი მსოფლიოს ყველა მბრძანებელზე ძლიერი ეგონა.

და ცრემლები მარგალიტებივით ჩამოუგორდა ლოყებზე; ერთხანს იყუჩა, მერე კი განაგრძო:

– მაგრამ ის დაეცა მამაცთა სიკვდილით. ამიტომ ჩვენ უნდა დავაფასოთ ეს სიმამაცე და პატივით დავასაფლაოთ, როგორც ქრისტიანს შეეფერება.

მეფემ ბრძანა ცხედარი ტბაში განებანათ, საუკეთესო ტანსაცმელი ჩაეცმიათ და, სანამ კუბოს შეკრავდნენ, თეთრი ლაბადა გადაეფარებინათ.

ამასობაში მსახურებს მოჰქონდათ და მოჰქონდათ ახალახალი ცხედრები და ტყვეებს აჩვენებდნენ გამოსაცნობად. მოიტანეს დიდი კომტურის კუნო ლიხტენშტაინის ცხედარი, რომელსაც ყელი ხანჯლით ჰქონდა საშინლად გამოღადრული, ორდენის მარშლის ფრიდრიხ ვალენროდის, გრაფ ალბერტ შვარცბერგის, ტომაშ მერხაიმის, გრაფ ვენდეს – იგი პოვალა ტაჩეველის ხელით დაეცა – და ასე ექვსასამდე სახელგანთქმული კომტურისა და ბერის ცხედარი. მსახურებმა ისინი მოჭრილი ხეებივით ჩაამწკრივეს. თავიანთი ლაბადებივით გადათეთრებოდათ სახეები და ცისკენ მიეპყროთ ღიად დარჩენილი შუშის თვალები, რომლებშიც რისხვა და სიამაყე, მძვინვარება და შიში ერთად ჩაყინულიყო.

ცხედართა თავთით ჩაარჭვეს ნაალაფარი დროშები – ყველა ერთად, გამოუკლებლივ! საღამოს ნიავი ხან დაკეცავდა და ხან გაშლიდა ამ ფერად ტილოებს და ისინიც შრიალებდნენ, თითქოს ნანას უმღეროდნენ დახოცილთ. შორს, დაისის გამონაშუქში მოჩანდა, როგორ მოათრევდნენ ლიტველები მტრისთვის წართმეულ ზარბაზნებს. ჯვაროსნებმა ისინი პირველად გამოიყენეს პირისპირ ბრძოლაში, მაგრამ არავითარი ზიანი არ მიუყენებიათ გამარჯვებულთათვის.

გორაკზე მეფეს გარს ეხვივნენ განთქმული რაინდები. დაქანცულები, მძიმედ აქოშინებულები დაჰყურებდნენ დროშებსა და ცხედრებს, როგორც დამაშვრალი მკელები შესცქერიან მომკილ და ძნებად შეკრულ თავთავებს. მძიმე იყო დღევანდელი დღე და მძიმე იყო დღევანდელი მკა, მაგრამ, აი, დადგა დიადი, კურთხეული, სასიხარულო საღამო.

გამოუთქმელ ბედნიერებას გამარჯვებულთა სახეები გაენათებინა; ყველა მიხვდა, რომ ეს საღამო ზღვარს უდებდა წამებასა და უბედურებას არა ერთი დღით, არამედ საუკუნოდ.

მეფე თუმცა გონების თვალით სწვდებოდა, რა დამარცხებაც აგემეს გერმანელებს, მაინც გაოცებული იყურებოდა და ბოლოს წამოიძახა:

– ნუთუ ჩემს წინაა გართხმული მთელი ორდენი?!

ქვეკანცლერმა მიკოლაიმ, რომელმაც იცოდა წმინდა ბრიგიტას წინასწარმეტყველება, საპასუხოდ მოახსენა:

– დადგა დრო და ჩავუმტვრიეთ მათ კბილები და ჩამოვათალეთ მარ-ჯვენა!

მერე მან ხელი აღაპყრო და დალოცა ყველა, ვინც ახლომახლო ესვენა, და აგრეთვე მთელი ბრძოლის ველი გრიუნვალდსა და ტანენბერგს შორის. ცხელოდა; წვიმით განბანილ ჰაერში სისხლით მორწყული თვალუწვდენელი ველი ხელისგულივით მოჩანდა, ოხშივარი ასდიოდა იქაურობას, ირგვლივ მთებად იდგა ადამიანებისა და ცხენების გვამები. აქეთ-იქით კი გამოჩრილიყო შუბების, ოროლების, ცელების ნამსხვრევები, ადამიანთა ხელები და ფეხები. ათიათასობით გვამით მოფენილი სიკვდილის ველი თვალსაწიერამდე გადაჭიმულიყო.

ამ სასაკლაოზე მსახურები დაბორიალობდნენ, იარაღს აგროვებდნენ და დახოცილებს ტანსაცმელს ხდიდნენ.

მაღლა კი მეწამულ ცაზე ტრიალებდნენ არწივები და ყრანტალებდა ნადავლის შოვნით გახარებული ყორნების გუნდი.

მარტო ჯვაროსანთა ვერაგი ორდენი არ იყო აქ გართხმული მეფის ფერხთით: ამ განკითხვის დღეს პოლონელთა მკერდს შეეხალა და ტალღასავით დაიმსხვრა მთელი გერმანიის ძლევამოსილება, დღემდე წალეკვით რომ ემუქრებოდა სლავთა უბედურ მიწებს.

დიდება და პატივი უკუნითი უკუნისამდე შენ, დიდებულო წმინდა წარსულო, და შენც, შეწირულო სისხლო!

მაცკო და ზბიშკო ბოგდანეცში დაბრუნდნენ. მოხუცმა რაინდმა კიდევ დიდხანს იცოცხლა, ზბიშკო კი ჯან-ღონითა და სიცოცხლით სავსე მოესწრო იმ ბედნიერ წუთს, როცა მალბორგის ერთი ჭიშკრიდან თვალცრემლიანი გადიოდა ჯვაროსანთა მაგისტრი, ხოლო მეორეში ჯარს მიუძღოდა პოლონელთა მხედართმთავარი, რათა მეფისა და სამეფოს სახელით მიეღო ქალაქი და ბალტიის ზღვის ჭაღარა ტალღებამდე გადაჭიმული მთელი მხარე.

შენიშვნები

გვ. 18. საბატო – მონასტერი, რომლის წინამძღვარი წოდებით აბატი იყო. აბატს საგანგებო პრივილეგიები ჰქონდა. მაგალითად, ის არ ემორჩილებოდა ეპისკოპოსს. ბენედიქტელთა საბატო ტინეცში XI საუკუნეში დაარსდა, პოლონეთში ყველაზე მდიდარ საბატოდ ითვლებოდა.

გვ. 18. ლოკეტეკი – მეტსახელია პოლონეთის მთავრის, პიასტთა დინასტიის წარმომადგენლის ვლადისლავისა, რომელმაც ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად, როგორც იქნა, გააერთიანა პოლონეთის ძირითადი ტერიტორია. 1320 წელს ვლადისლავ ლოკეტეკმა კრაკოვში გვირგვინი დაიდგა. ლოკეტეკისათვის მეფის ტიტულის მიცემა ნიშნავდა ერთიანი პოლონეთის სახელმწიფოს აღდგენას (ლოკეტეკი გარდაიცვალა 1333 წელს).

გვ. 18. ლოკეტეკის მეფობისას გაღვივებული ზიზღი – კრაკოვის მცხოვრებლებს არაფრად ეჭაშნიკებოდათ, რომ ვლადისლავ ლოკეტეკმა გააერთიანა პოლონეთი. ისინი ჩეხეთის მეფეს იან ლუქსემბურგელს მიეკედლნენ, რომელმაც 1312 წელს მოინდომა პოლონეთის ტახტის დაპყრობა. კრაკოვის მოქალაქეებმა კი ალბერტის მეთაურობით მრისხანე აჯანყება მოაწყვეს.

გვ. 19. ზარ-ზეიმია ახლა სამეფოში – იგულისხმება მაშინდელი პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფო. 1385 წლიდან ის იყოფოდა პოლონეთის გვირგვინიან სამეფოდ და ლიტვის დიდ სამთავროდ. გვირგვინიან. სამეფოში შედიოდა პოლონეთის სამეფო ანუ ის ტერიტორია, რომელსაც პოლონეთის მეფე მართავდა, და ვასალური მიწებიც, რომელთაც ცალკე მთავრები ჰყავდა.

გვ. 19. გამროტ, აიერტრეტერ – მაშინდელი გვარები, უფრო სწორად, შერქმეული გვარები (ავტორის შენიშვნა).

გვ. 19. ალაყაფის კარს დაკეტავენ – მაშინდელი ქალაქებისა და ციხესიმაგრეების ალაყაფის კარები იკეტებოდა მზის ჩასვლიდან მზის ამოსვლამდე. დაგვიანებულები ღამეს გალავნის გარეთ ათევდნენ.

გვ. 19. ბურბუშელაში დაბუდებული უწმინდურება – ლაპარაკია რწყილებზე.

გვ. 20. გჟიმალითებისა და ნალენჩების ომი - ლუდვიგ უნგრელის მეფობის მთელ მანძილზე 1370 – 1382 წწ. პოლონეთის ჩრდილოეთით (ველკოპოლსკა) გამუდმებით აწყობდნენ ამბოხებებს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. ოპოზიციას სათავეში ედგა ნალენჩების მდიდარი გვარეულობა, ხოლო სამეფო ხელისუფლების მხარეზე მყოფ ხალხს მეთაურობდა გჟიმალითების გვარეულობა. ამ ანტაგონიზმმა ისინი შინაომამდეც მიიყვანა, რომელიც თითქმის ერთი წელი (1383) გაგრძელდა.

გვ. 20. ხმა დადიოდა, ომი იწყებაო... - 1388 წლიდან 1394 წლამდე ჯვაროსნები ყოველწლიურად ესხმოდნენ თავს ლიტვას, რადგან სურდათ ქალაქ ვილნოს დაპყრობა.

გვ. 20. მეფე ვლადისლავმა... – ვლადისლავ იაგაილო (იაგელო) ლიტვის დიდი მთავარი 1377 წლიდან; კრევოში 1385 წელს დადებული შეთანხმების შედეგად იგი გახდა პოლონეთის დედოფლის იადვიგას მეუღლე და პოლონეთის ტახტზე დასვეს ვლადისლავ II-ის სახელით. გარდაიცვალა 1434 წელს. იყო იაგელოანთა დინასტიის ფუძემდებელი. ეს დინასტია პოლონეთს მართავდა 1572 წლამდე.

გვ. 21. ვიტოლდი – იაგელოს ბიძაშვილი, დაიბადა დაახლოებით 1350 წელს. მეფემ არ მისცა მას კუთვნილი ტროიცკის სამეფო, გადასცა მხოლოდ პოლონეთის ერთი ნაწილი „პოდლასიეს“ სახელწოდებით ქალაქ გროდნოს მახლობლად. 1390 წელს ჯვაროსნების მხარეზე დადგა და მათთან ერთად ამავე წლის სექტემბერში ვილნოზე ილაშქრა, მაგრამ მისი აღება მაინც ვერ მოახერხა. ვილნომ მომდევნო წელსაც გაუძლო ჯვაროსნების დიდი მაგისტრის კონრად ვალენროდისა და ვიტოლდის მეთაურობით მოწყობილ თავდასხმას. მაცკო ბოგდანეცელს იმ დროს არ შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ კონრად ვალენროდი პოლონელი იყო და ჯვაროსნების მხარეზე მოჩვენებით იყო გადასული თავისი სამშობლოს დასახმარებლად. კონრად ვალენროდის გმირობამ შთააგონა აკაკი წერეთელს ეს სიტყვები:

მე მიცკევიჩის გმირებში
მომწონდა ვალენროდიცა,
რო მამხნევებდა ვაჟკაცად,
გულს მშორდებოდა ლოდიცა.

ვალენროდის სახის გავლენა ჩანს აკაკის სხვა ნაწარმოებებშიც „ბაშია-ჩუკში“, „ბაგრატ დიდში“ და სხვ.

გვ. 21. ბურგუნდიელები – ბურგუნდიის სამთავროს საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ეკავა. XIV საუკუნის დასასრულს და XV საუკუნის დასაწყისში ბურგუნდია ძლიერი სამთავრო იყო. ბურგუნდიელები ჯვაროსნებთან თავგადასავლების საძიებლად ჩამოდიოდნენ ან ფულით ექირავებოდნენ მათ.

გვ. 22. შეხვედრა დანიშნულია რომისა და ჩეხეთის მეფის ვაცლავის კარზე – ისტორიული ფაქტია, რომისა და ჩეხეთის მეფე ვაცლავ IV (მეფობდა 1378 წლიდან 1419 წლამდე) ლუქსემბურგების დინასტიის წარმომადგენელი იყო.

გვ. 22. კაშტელანი – XII–XIV საუკუნეებში ასე ერქვა ციხესიმაგრისა („კაშტელ“) და მისი შემოგარენის („კაშტელანია)“ მმართველს. მას ეკითხებოდა როგორც სამხედრო და ადმინისტრაციული, ასევე სამართლის საქმეები. XIV საუკუნეში კაშტელანებმა დაკარგეს თავიანთი უფლებები და მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფალთა მრჩევლებად იქცნენ.

გვ. 22. წმინდა სტანისლავი – კრაკოვის ეპისკოპოსი სტანისლავ შჩეპანოვსკი, რომელსაც მეფე ბოლესლავ მამაცმა 1079 წელს სიკვდილი მიუსაჯა. რადგან სტანისლავი ვლადისლავ ჰერმანის ხელმძღვანელობით მოწყობილი აჯანყების მონაწილეთა სიაში აღმოჩნდა, 1253 წელს რომის პაპმა სტანისლავი წმინდანად შერაცხა.

გვ. 23. სკოიცე – ფულის ერთეული, უდრის ორ ვერცხლის ორშაურიანს.

გვ. 24. ანკარები – ქრისტიანობამდელ ლიტვაში ანკარა წმინდა არსებად იყო მიჩნეული.

გვ. 24. მაზოვია – ძველი პოლონეთის ტერიტორია, მოიცავს ახლანდელი ვარშავის, კალიშის, ლომჟისა და პლოცკის სავოევოდოებს. XII საუკუნის დამდეგიდან 1526 წლამდე დამოუკიდებელი სამთავრო იყო. მაზოვიის სამთავრო ნაგელოანთა დინასტიის გადაშენების შემდეგ პოლონეთს შეუერთდა. მაზოვიის მცხოვრებთ მაზურებს ეძახდნენ.

გვ. 24. პლოცკის ეპისკოპოსი – პლოცკის ეპისკოპოსმა მთავარმა. ჰენრიკმა (ეპისკოპოსად აირჩიეს 1391 წელს და ამავე წელს დაამტკიცა რომის პაპმა ბონიფაციუს IX-მ) მართლაც დაარღვია საეკლესიო კანონები და ცოლად შეირთო ლიტვის მთავრის, კეისტუტის ასული რინგალა.

გვ. 25. ავინიონი – 1378 წლიდან 1439 წლამდე კათოლიკურ ეკლესიაში იყო ორი პაპი. ერთი რომში, მეორე კი საფრანგეთის ქალაქ ავინიონში. ამ უკანასკნელს საფრანგეთის მეფეები მფარველობდნენ.

გვ. 26. გულის დედოფლის არჩევა – მთელს დასავლეთ ევროპაში იყო წესად, მაგრამ პოლონეთში ის უშუალოდ გერმანიიდან შემოვიდა. ამიტომ უწოდებს მაცკო მას გერმანულ წესს.

გვ. 26. ავტორს აქ ჩამოთვლილი ჰყავს ყველაზე მამაცი და სახელგანთქმული რაინდები, რომლებიც სადროშოს თვით დროშაზე წინ მიუძღოდნენ ხოლმე მტრის წინააღმდეგ. ყველაზე ცნობილი იყო მათ შორის ზავიშა გარბოველი, პოლონეთში ზავიშა შავის სახელით ცნობილი. „ზავიშა შავი“ ამჟამად მრავალ პიონერულ რაზმს ჰქვია პოლონეთში. ბევრი ხელოვანი და მხატვარი შთაუგონებია მის სახეს. ყველაზე ცნობილია მხატვარ იან მატეიკოს ფერწერული პორტრეტი. პოლონეთში დღესაც ხშირად გაიგონებთ: „შეგიძლია ისე მენდო, როგორც ზავიშა შავსაო“.

გვ. 27. რომის პაპი ბონიფაციუსი – რომის ტახტზე იჯდა 1389 – 1404 წლებში, მაშინ როცა ავინიონში იყვნენ კლიმენტი VII (1378 – 1394) და ბენედიქტე XIII (1394 – 1417).

გვ. 27. სვიდრიგელო (1370 – 1452) – ლიტვის მთავარი, იაგელოს უმცროსი ძმა, რომელიც მთელი სიცოცხლე ძმისა და მთავარ ვიტოლდის მოწინააღმდეგე იყო და პირადი ინტერესების გამო იმასაც არ დაერიდა, თავისი ქვეყანა ჯვაროსნებისათვის მიეყიდა.

გვ. 27. მაგისტრი კონრად ფონ იუნგინგენი – ჯვაროსანთა დიდი მაგისტრი 1393 – 1407 წლებში. იგი ყველანაირად ცდილობდა პოლონეთი და ლიტვა ერთიმეორისათვის ჩამოეშორებინა, მაგრამ უშედეგოდ.

გვ. 27. ვილნო – ჯვაროსნებმა ვილნოზე 1394 წელს გაილაშქრეს.

გვ. 27. ულრიკ ფონ იუნგინგენი – კონრადის უმცროსი ძმა. დიდ მაგისტრად აირჩიეს 1407 წელს.

გვ. 28. ხარის ბუშტები ამოეღოთ – იმ დროს ფანჯრებში მინებს იშვიათად ნახავდით. მინის ნაცვლად ხარის ბუშტებს აკრავდნენ.

გვ. 28. იანუშ მაზოვიელი (1340 – 1429) – 1376 წელს, ჯერ კიდევ პოლონეთ-ლიტვის უნიის დადებამდე ბევრად ადრე, კეისტუტის ასულ ანა დანუტასთან ქორწინებით მან განამტკიცა პოლონეთისა და ლიტვის მეგობრობა. ის მომხრე იყო, რომ ლიტვას ქრისტიანობა პოლონელებისაგან მიეღო

და ამაზე რომის პაპის სათანადო საბუთიც შექმნილიყო 1373 წელს. იანუშის დროს განსაკუთრებით გაძლიერდა ვარშავა.

გვ. 30. ბოიარი – რაინდი მაშინდელ ლიტვაში. დაახლოებით ეთანაბრებოდა პოლონელ შლიახტიჩს,

გვ. 30. თათრებზე გასალაშქრებლად ემზადება... – ჯვაროსნების წაქეზებით ვიტოლდის მიერ 1399 წელს წამოწყებული ლაშქრობა ოქროს ურდოს წინააღმდეგ ვორსკლასთან მძიმე დამარცხებით დამთავრდა.

გვ. 31. სპიტეკ მელშტინელი – მაშინდელი ყველაზე ძლიერი მაგნატი, კრაკოვის ვოევოდა.

გვ. 33. კომესი – სიტყვასიტყვით ამხანაგი, თანამგზავრი. თავდაპირველად აღნიშნავდა ციხესიმაგრის, ქალაქის ან მთელი ოლქის გამგებელს. მერე შეიცვალა სხვა სიტყვებით (გრაფი, კონტი), რაც მხოლოდ საპატიო ტიტულს აღნიშნავს.

გვ. 33. ზლოტორიასთან დაესხნენ ჩვენს კარს – ისტორიული ფაქტია. აღწერილი აქვს იან დლუგოშს თავის ქრონიკებში. მოხდა 1394 წელს.

გვ. 34. მთავრის წინაპრებს უბოძებიათ... – მთავარი იანუში პირდაპირი შთამომავალი იყო კონრად მაზოვიელისა, რომელმაც 1226 წელს ჯვაროსნები პოლონეთში შეიყვანა.

გვ. 34. მეფე ვლადისლავი – ავტორს მხედველობაში ჰყავს ვლადისლავ იაგელო.

გვ. 34. ობუხი – ყუა, ნიღრი (ცულისა).

გვ. 38. ახალგაზრდა ფრიზიელ რაინდთან – ფრიზთა მოდგმის რაინდები გერმანიის ჩრდილო-დასავლეთით ცხოვრობდნენ, ჩრდილოეთის ზღვის მახლობლად, ახლანდელი გერმანიისა და ნიდერლანდის საზღვართან.

გვ. 39. ბრწყინვალე დედოფალ იადვიგას – იგულისხმება ვლადისლავ იაგელოს მეუღლე, დედოფალი იადვიგა.

გვ. 45. ორმოცი რაინდი დაატყვევა – ეს ჩაიდინა ნალენჩების ბელადმა ბარტო ოდოლიანოველმა. ისტორიაში ცნობილია, რომ ჯვაროსნებმა მაშინ გამოსასყიდად 20 ათასი ვერცხლისა და ოქროს მონეტა გადაიხადეს, რაც მაშინდელი პოლონეთის მთელი შემოსავლის მეოთხედს უდრიდა.

გვ. 46. ამბავი ვალგეკ მშვენიერზე – შუა საუკუნეებში გავრცელებული ლეგენდის პოლონური ვარიანტი. XIV საუკუნიდან შემონახულია წერილო-

ბითაც. ძალზე პოპულარული იყო პოლონეთში თითქმის XX საუკუნემდე, როცა ცნობილმა პოლონელმა მწერალმა სტეფან ჟერომსკიმ დაწერა მოთხრობა „ამბავი ვალგეჟ მშვენიერისა“.

გვ. 48. ჰოპელი – პოლონეთის პირველი პრეისტორიული მეფე.

გვ. 49. ეკონომები, ადვოკატები, პროკურატორები – ეკონომი მაშინდელ დროში სოფლის მმართველს ნიშნავდა, ადვოკატი – მოსამართლეს, ხოლო პროკურატორი ადმინისტრატორი იყო.

გვ. 49. Abbas centum villarum – „ასი სოფლის აბატი“ (ლათ). ასე ერქვა ტინეცის აბატს, რომელიც არქიაბატის წოდებასაც ატარებდა, რადგან თავდაპირველად ბენედიქტელთა ყველა მონასტერი პოლონეთში მას ემორჩილებოდა.

გვ. 49. ვლადისლავი და კაზიმეჟი – იგულისხმება ვლადისლავ ლოკეტეკი და კაზიმეჟ დიდი, პიასტთა დინასტიის ბოლო მეფე.

გვ. 49. ახლანდელი დედოფალი – იგულისხმება დედოფალი იადვიგა, რომელიც კაზიმეჟ დიდის დის შვილიშვილი იყო.

გვ. 50. წმინდა ბენედიქტე ნურსიელი (480 – 531) – მონტე კასინოს მთაზე 529 წელს დააარსა პირველი მონასტერი და შექმნა აგრეთვე ბენედიქტელთა კანონი.

გვ. 50. წმინდა მაურუსი, წმინდა ბონიფაციუსი, წმინდა ბენედიქტე ანიანელი იოანე ფტოლომეელი – ცნობილი ბენედიქტელი ბერები, მისი კანონების ცხოვრებაში განმახორციელებლები.

გვ. 51. კომტური – ციხესიმაგრის მმართველი და ადმინისტრაციული ოლქის ანუ საკომტუროს მეთაური.

გვ. 53. წმინდა ბრიგიტა (1301 – 1373) – შვედეთის დედოფალი, ბრიგიტას სასულიერო ორდენის დამაარსებელი. დიდი ღვაწლი მიუძღვის რომის პაპების ავინიონიდან რომში დაბრუნების საქმეში. ერთერთი ხილვით მან იწინასწარმეტყველა პოლონეთსა და ჯვაროსნებს შორის მალე მოსალოდნელი ომი, რომელშიც პოლონელები გაიმარჯვებდნენ. მისი ხილვათა წიგნები ძალზე გავრცელებული იყო მთელს ევროპაში.

გვ. 58. კაზიმეჟ დიდი – პიასტთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი. მის დროს დაიწყო პოლონეთის ეკონომიური წინსვლა და მოსახლეობის კეთილდღეობა. კაზიმეჟზე ამბობენ, როცა ფეხი შესდგა, ხის პოლონეთი დახვდა, მან კი აგურის ქვეყნად გადააქციაო.

გვ. 58. უნგრეთის საზღვრისკენ – იმ დროს პოლონეთისა და უნგრეთის საზღვარი ქვეყნის სამხრეთით, ტყით დაფარული კარპატების გასწვრივ გადიოდა.

გვ. 68. ფრანცისკელი ბერი – წმინდა ფრანციშეკის ორდენის წევრი, განთქმული თავისი ყოვლისშემნდობლობით.

გვ. 70. ფილიპე გაბედული – საფრანგეთის მეფის ძე, ბურგუნდიის მთავარი (1342 – 1404). ქორწინების შემდეგ მან თავის სამთავროს მდიდარი ფლანდრია შემოუერთა.

გვ. 71. წვენს ადენდაო – ისტორიული ფაქტია (ავტორის შენიშვნა).

გვ. 71. კარლოსის კარზე – კარლოს დიდი ანუ კარლოს IV ლუქსემბურგელი, იოჰან ლუქსემბურგელის ვაჟი. 1346 წლიდან იყო ჩეხეთის მეფე და ე. წ. რომის მეფე გერმანელი ხალხისა. მას მამამისისგან განსხვავებით შესანიშნავი დამოკიდებულება ჰქონდა პოლონეთის მეფე კაზიმეჟ დიდთან.

გვ. 71. მკვდარსღა გაუშვა ხელი - ისტორიული ფაქტია (ავტორის შენიშვნა).

გვ. 71. ვერ დასძრა ადგილიდან – ისტორიული ფაქტია (ავტორის შენიშვნა).

გვ. 72. კრაკოვის ეპისკოპოსი – იგულისხმება პიოტრ ვიში, რომელიც ამ თანამდებობაზე დედოფალმა იადვიგამ დანიშნა. იყო ძალზე განათლებული და სამართლიანი კაცი. შემდგომში მან იან სტენჩინელთან ერთად აღასრულა დედოფლის ანდერძი.

გვ. 72. ალექსანდრა ზემოვიტოვა – პოლონეთის მეფის ვლადისლავ იაგელოს და, 1387 წლიდან მთავარ ზემოვიტ IV-ის მეუღლე.

გვ. 74. წყრთა – სიგრძის საზომი ძველისძველი ერთეული. პოლონეთში ყველაზე გავრცელებული იყო კრაკოვის წყრთა. ის შეადგენდა 58,6 სანტიმეტრს.

გვ. 75. ქარვასლა – პოლონურად „სუკენიცე“. ააგო მეფე კაზიმეჟ დიდმა. განკუთვნილი იყო ჩამოსული ვაჭრებისათვის. შენობა დღესაც არსებობს და ეს ადგილი დიდ სავაჭრო ცენტრს წარმოადგენს.

გვ. 75. სვიდნიცა – ქალაქი კრაკოვის მახლობლად.

გვ. 75. ჯინგჰუსი - სასამართლოს სხდომის ადგილი.

გვ. 75. mercatorium – ლათინურად ნიშნავს ვაჭარს. აქ ნახმარია მაღაზიებისა და დუქნებისთვის განკუთვნილი შენობის მნიშვნელობით.

გვ. 75. შროტამტი (გერმ.) – საქალაქო დაწესებულება, რომელსაც ევალებოდა ბაჟის შემოწმება, აღება. ვაჭართა საწყობებში სავსე კასრების შეტანა და გამოტანა მხოლოდ და მხოლოდ მის თანამშრომლებს შეეძლოთ.

გვ. 76. კრაკოვის კაშტელანი – მართალია, კაშტელანის თანამდებობას იმ დროისათვის დაკარგული ჰქონდა თავისი მნიშვნელობა, მაგრამ კრაკოვის კაშტელანი ჯერ ისევ ითვლებოდა დიდ სახელმწიფო მოხელედ.

გვ. 76. ვოიცეხ იასტჟემბეი (დაახლოებით 1363 – 1436) – ფრიად ნიჭიერი და განათლებული ადამიანი. სქოლასტიკოსის სახელი მას ეკუთვნოდა, როგორც ბერს, რომელიც კათედრალურ სკოლაში ასწავლის. იაგელო სარგებლობდა მისი ცოდნით მნიშვნელოვანი დიპლომატიური საქმეების მოსაგვარებლად. გრიუნვალდის ბრძოლის შემდეგ ვოიცეხი პოლონეთის დიდი კანცლერი გახდა.

გვ. 76. უნგრეთის მეფე სიგიზმუნდი (გარდ. 1437 წელს) – ლუქსემბურგების დინასტიის წარმომადგენელი, ვაცლავ IV-ის უმცროსი ძმა. 1410 წლიდან გახდა გერმანიის იმპერატორი.

გვ. 77. ანა (გარდ. 1413 წელს). – ვიტოლდის მეორე მეუღლე, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა სახელმწიფოს მართვის საქმეებში.

გვ. 77. არალის ნაპირებამდე – ასეთ ვრცელ ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული მონღოლთა სახელმწიფო, ე. წ. ოქროს ურდო.

გვ. 77. ყივჩაღთა ტახტზე – ოქროს ურდოს სხვაგვარად ყივჩაღებსაც უწოდებდნენ, რადგან ამ სახელმწიფოს ცენტრი იყო ყივჩაღთა ქვეყანა.

გვ. 78. ატილა – ჰუნების ბელადი 434 წლიდან. გარდაიცვალა 453 წელს.

გვ. 78. ეგვიპტემდის სწვდებოდა – მონღოლების მიერ თურქთა ურიცხვი არმიის დამარცხებამ და დიდი ქალაქების განადგურებამ ისე იმოქმედა ეგვიპტის ქვეყანაზე, რომ მან უხმოდ სცნო თემურლენგის ხელისუფლება.

გვ. 78. საბერძნეთის სამეფომდის – აქ სენკევიჩი გულისხმობს ბიზანტიის სამეფოს.

გვ. 79. ყველაფერი მიგეტევება – ვიტოლდის ლაშქრობა ოქროს ურდოს წინააღმდეგ რომის პაპმა ბონიფაციუს IX-მ ჯვაროსნულ ლაშქრობად მიიჩნია. ამიტომ მის მონაწილეებს, ისევე როგორც ძველისძველ ჯვაროსნებს, იერუსალიმს რომ ქრისტეს კუბოს დასაცავად მიდიოდნენ, მიეტევებოდათ ყველაზე მძიმე ცოდვანი.

გვ. 79. მაცხოვარი მწყალობელი თვალით უყურებდა დედოფალს – ჯერ კიდევ დედოფლის სიცოცხლეში გავრცელდა ლეგენდა, თითქოს მას ლოცვის დროს წინასწარჭვრეტის უნარი ჰქონდა.

გვ. 80. საზღვრებს ჩეხებისგანაც სჭირდება დაცვა და უნგრელებისგანაც – ეს მტკიცება სიმართლეს არ შეეფერება. იმ დროს პოლონეთს ჩეხეთთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. 1394 წელს ვაცლავ ჩეხმა პოლონეთთან მშვიდობიანი ხელშეკრულება დადო ჯვაროსნების წინააღმდეგ. ისინი მხოლოდ უშუალოდ გრიუნვალდის ბრძოლის წინ გადაიბირეს ჯვაროსნებმა, მაგრამ პოლონეთის საზღვრებს არც მაშინ ემუქრებოდნენ. უნგრეთის მეფე სიგიზმუნდი არასოდეს ყოფილა პოლონეთის მეგობარი, მაგრამ 1396 წელს, თურქებთან დამარცხების შემდეგ, პოლონელთა წინააღმდეგ ვეღარ გამოვიდოდა. 1397 წ. მშვიდობიანი ხელშეკრულება დადო იადვიგასა და იაგელოსთან.

გვ. 82. ანჟუელები - საფრანგეთის ერთ-ერთი კუთხის ანჟუს მცხოვრებნი. XIV საუკუნეში ამ გვარმა დიდად გაითქვა სახელი და მალე სამეფო ტახტიც დაიკავა. ანჟუელები მეფობდნენ სამხრეთ იტალიაში, უნგრეთში, ხორვატიაში, ხოლო პოლონეთის მეფის კაზიმეჟ დიდის სიკვდილის შემდეგ მეფე ლუდვიგ უნგრელი პოლონეთის ტახტზეც ავიდა.

გვ. 82. პიასტების შთამომავალი – დედოფალი იადვიგა თავისი ბებიის ელიზაბეტის მხრივ იყო შვილისშვილის შვილი პოლონეთის მეფის ვლადისლავ ლოკეტეკისა.

გვ. 82. პირველი ქალწულებრივი სიყვარული – იადვიგა უკვე პოლონეთის დედოფალი იყო, როცა კრაკოვის დიდებულთა ძალდატანებით იძულებული გახდა უარი ეთქვა ქორწინებაზე ავსტრიის მთავარ ვილჰელმთან, რომელზეც ჯერ კიდევ ბავშვობაში იყო დანიშნული.

გვ. 84. აკადემიისათვის – კაზიმეჟ დიდმა 1364 წელს კრაკოვში დააარსა აკადემია. მისი სიკვდილის შემდეგ ეს აკადემია საშუალო სკოლის დონემდე დაეცა. მხოლოდ დიდებული იადვიგას საჩუქრების წყალობით (მან აკადემიას უანდერძა მთელი თავისი ძვირფასეულობა), 1400 წელს აკადემიამ ისევ აღადგინა მუშაობა და სულ მალე ევროპის გონებრივი ცხოვრების ცენტრი გახდა.

გვ. 87. გნეზნის ყოფილი არქიეპისკოპოსი იანი – იან კროპიდლო (გარდ. 1421 წელს) ვროცლავის ეპისკოპოსი, რომელიც ახლო დამოკიდებულებაში იყო ტევტონთა ორდენთან.

გვ. 88. კროპიდლო – სასხურებელს ნიშნავს.

გვ. 88. მეფეს მისთვის ებოძებინა – 1402 წელს იან კროპიდლომ კუიავის საეპისკოპოსო მიიღო და საეკლესიო კრებაზე პოლონეთის დელეგაციის შემადგენლობაშიც კი შედიოდა.

გვ. 88. მამაც სულიმჩიკთან – სულიმჩიკებს ეძახდნენ ზავიშა შავსა და მის ძმას ფარურეი გარბოველებს.

გვ. 89. სმოლენსკის გამგებელი – სმოლენსკი ვიტოლდმა 1395 წელს დაიპყრო, იქიდან რიურიკების დინასტიის წარმომადგენელი მთავრები გააძევა და 1396 წელს იქ თავისი ნაცვალი მთავარი იამონტი დასვა, რომელიც 1399 წელს ვორსკლასთან ბრძოლაში დაიღუპა.

გვ. 89. დობჟინის მიწა – ეს მიწა უკანონო ხელშეკრულებით დაიპყრეს ჯვაროსნებმა ვლადისლავ ოპოლელის დროს.

გვ. 89. გროში – პოლონეთში ვაცლავ II-ის შემოღებული ვერცხლის ფული. ხმარებაში იყო მთელი XV საუკუნე. უმეტესად გროშებს 60 – 60-ად თვლიდნენ, რადგან ჩეხეთის გრივნაში 60 გროში შედიოდა. პოლონეთის გრივნა 40 გროში ანუ 24 სკოიცე იყო. ასე რომ სკოიცე დაახლოებით 2 გროშია.

გვ. 90. მეხრმლე – წოდება სასახლის კარზე. მეხრმლე ყველა კუთხეში ჰყავდათ და მონარქის ჩამოსვლისას ვალდებული იყო მისი ხმალი ეტარებინა.

გვ. 90. დენთი – იგულისხმება გვარჯილის, ხის ნახშირის და გოგირდის ნარევი. ეს ნარევი ბერმა შვარცმა შექმნა 1313 წელს. რაკი ამ დროს უკვე არსებობდა დენთი, იგულისხმება, რომ იყო ცეცხლმსროლელი იარაღიც. გრიუნვალდის ბრძოლებში დენთიანი ზარბაზნები პოლონელებსაც ჰქონდათ და გერმანელებსაც, მაგრამ დიდი წარმატებით ვერ იყენებდნენ.

გვ. 90. ჰლოვცე – პლოვცესთან სისხლიან ბრძოლებში 1331 წლის 27 სექტემბერს მეფე ვლადისლავ ლოკეტეკმა დაამარცხა ჯვაროსნები, რომლებმაც ბრძოლის ველზე 4000-ზე მეტი მოკლული დატოვეს.

გვ. 90. ჩვენც გვინახავს ვილნოსთან – ჯვაროსნები მრავალრიცხოვან რაზმებს აგზავნიდნენ ვილნოში, რამდენჯერმე შეეცადნენ ლიტვის დედაქალაქის აღებას, მაგრამ ვერ შეძლეს.

გვ. 90. ზავიშა კუროზვენკელი (გარდ. 1382 წელს) – ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე ლუდვიგ უნგრელის მეფობაში. მან მაღალ სახელმწიფოებრივ წოდებებს მიაღწია – 1381 წელს იყო პოლონეთის მეფის თანაშემწე და

პოლონეთის პოლიტიკის გამგებელი. ის გახდა კრაკოვის ეპისკოპოსიც, თუმცა სახელი გაითქვა აღვირახსნილი ცხოვრებით.

გვ. 90. როგორც ეშმაკი იტყოდა – იანკო ჩარნკოველის ქრონიკების მიხედვით (ეპისკოპოს ზავიშას პირადი მტერი იყო), როცა ზავიშა კუროზვენკელი გარდაიცვალა, მისი ცხედარი კათედრაზე დაასვენეს და მთელი ღამე ისმოდა ცხენების ფლოქვების თქარათქური. აქედან გაჩნდა ლეგენდა, თითქოს იმ ღამეს ეშმაკებმა ჯოჯოხეთისკენ გააქანეს მრუში დიდკაცის სული.

გვ. 91. პალესტინაში იბრძოდა – ჯვაროსანთა ორდენი, რომელსაც ოფიციალურად წმინდა მარიამის ორდენი ერქვა, 1198 წელს დაარსდა პალესტინაში თავდაპირველად თითქოს ქრისტეს კუბოს დასაცავად. მაგრამ სარკინოზების ან ისლამის თაყვანისმცემელთა წინააღმდეგ ბრძოლით ახლო აღმოსავლეთში დიდხანს არ შეუწუხებია თავი. 1211 წელს მან უნგრეთში გადაინაცვლა, ვითომდა მონღოლებთან შესაბრძოლებლად. უნგრეთის მეფე მალე მიხვდა ამ „ბერებს“ ნამდვილ მიზნებს და 1225 წელს თავისი ქვეყნიდან გააძევა ისინი. ამის შემდეგ 1226 წელს ისინი პოლონეთში ჩამოიყვანა კონრად მაზოვიელმა ურწმუნო პრუსიელებისაგან ქვეყნის დასაცავად.

გვ. 94. თავი ჩამოიხრჩე – ლიტვის დიდი მთავარი ერთპიროვნულად მართავდა სამეფოს, ამიტომ, როცა დახედავდნენ, განრისხდაო, აღარ უცდიდნენ, სანამ თვითონ დასჯიდა, და დამნაშავე ხალხი თვითონვე იხრჩობდა თავს.

გვ. 111. ამქარი – ხელოსანთა ორგანიზაცია. პოლონურ ქალაქებში გერმანელებმა შემოიტანეს. მსხვილ ქალაქებში ხელოსნებმა შექმნეს ამქრები ცალკეულ ხელობათა მიხედვით (კრაკოვში 40 ამქარი იყო). პატარა ქალაქებში ერთი ამქარი აერთიანებდა სხვადასხვა პროფესიის თითქმის ყველა ხელოსანს. ამქარი უზრუნველყოფდა ხელოსანს სამუშაოთი, აწესებდა ფასებს, მკაცრად ებრძოდა სხვა ამქრების კონკურენციას, განსაზღვრავდა ოსტატებისა და ქარგლების რიცხვს თითოეული პროფესიისათვის.

გვ. 111. ძმობა – პროფესიული (მაგ. ვაჭრებისა) ან რელიგიურ-საქველმოქმედო ორგანიზაციები, შედარებით მოგვიანებით კი ლიტერატურულიც კრაკოვში, ვარშავაში, ლვოვში, ლიუბავაში). ასეთმა ორგანიზაციებმა ისე ვერ მოიკიდეს ფერი, როგორც ამქრებმა.

გვ. 111. სინაგოგასთან კაზიმეჟზე – ებრაელთა საღვთო სახლში, ვაველსა და მდ. ვისლას შუა მდებარე რაიონში, სადაც პოლონეთის მეფე კა-

ზიმეჟ დიდმა დაასახლა ებრაელები. ეს რაიონი დღესაც ამ მეფის სახელს ატარებს.

გვ. 111. ბონიფაცია – ლათინური სიტყვაა. ნიშნავს კეთილისმყოფელს.

გვ. 111. ვარსკვლავთმრიცხველი – ადამიანის ბედის წინასწარმეტყველი ვარსკვლავების მიხედვით. შუა საუკუნეებში ვარსკვლავთმრიცხველობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეცნიერება იყო. მეფეებს თავიანთი ვარსკვლავთმრიცხველები ჰყავდათ კარზე. იაგელოსა და იადვიგას შვილის ბედის წინასწარცნობა დღემდე არის შემონახული. კრაკოვის აღდგენილ აკადემიაში XV საუკუნის შუა წლებში დაარსდა ასტროლოგიის (ანუ ვარსკვლავთმრიცხველობის) კათედრა, რომელმაც ასტრონომიასთან ერთად მთელ ევროპაში გაუთქვა სახელი ამ აკადემიას.

გვ. 112. სტატისტი (ლათ.) – სახელმწიფო მოხელე, დიპლომატი, პოლიტიკოსი.

გვ. 112. სტანისლავ სკარბიმეჟელი – მოგვიანებით კრაკოვის აკადემიის პირველი რექტორი, აგრეთვე მისი აღმდგენელი.

გვ. 112. თავისუფალ მეცნიერებათა მაგისტრი – ეს იყო ხარისხი, რომელიც ეძლეოდათ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ. თავისუფალ მეცნიერებაში შედიოდა ყველაფერი, რაც მაშინ ისწავლებოდა: სამი დაბალი საგანი (გრამატიკა, ლოგიკა და რიტორიკა) და ოთხი უმაღლესი საგანი (სიმღერა და მუსიკა, არითმეტიკა, გეომეტრია გეოგრაფიითა და ასტრონომიით).

გვ. 113. ავინიონით დაემუქრენ – ავინიონით დამუქრება ნიშნავდა იმას, რომ დამუქრებოდნენ რომთან ურთიერთობის შეწყვეტით.

გვ. 117. ყაჩაღი რაინდები – იმ ხანებში დასავლეთსა და განსაკუთრებით გერმანიაში მრავალი გამოჩენილი რაინდი. სარგებლობდა თავისი აღჭურვილობით, თავს ესხმოდა ვაჭრებსა და მდიდარ მგზავრებს და ძარცვავდა მათ. ამასთან იძულებულს ხდიდა გამოსასყიდიც გადაეხადა, თუკი თავისუფლება სურდა.

გვ. 119. ხელმელია ლენციდან – ხელმის მცხოვრები, წარმოშობით ლენცებურგიდან.

გვ. 131. კრაკოვის ბატონი – კრაკოვის კაშტელანი. XVIII საუკუნის დასასრულამდე, ე. ი. პოლონეთის დაშლამდე, „კაშტელანის“ წოდება ყოველთვის შეგეძლოთ შეგეცვალათ სიტყვით „ბატონი“.

გვ. 124. ის კი ქალის კაბით გამოპარეს იქიდან – ეს ამბავი მოხდა ძმათა შორის ომების დროს ლიტვაში ჯერ კიდევ ლიტვისა და პოლონეთის შეერთებამდე. დროებითი წარუმატებლობის შემდეგ დიდმა მთავარმა იაგელომ დაამარცხა თავისი ბიძა კეისტუტი და ვიტოლდი და ციხეში ჩასვა ისინი (1382 წ.). კეისტუტი ციხეში გარდაიცვალა (1382 წლის აგვისტოში), ხოლო ვიტოლდი ქალის ტანსაცმელში გადაცმული გამოიპარა და კრევში ჯვაროსნებს შეაფარა თავი.

გვ. 130. პოდჰალე – პოლონეთის კუთხე, კარპატებისა და ტატრის მთის ძირში.

გვ. 134. ფლანდრიული მაუდი – ფლანდრიიდან ჩამოტანილი მაუდი. ფლანდრია იყო ჩრდილოეთ საფრანგეთის სამრეწველო საგრაფო. 1384 წლიდან ბურგუნდიაში შედიოდა. ფლანდრიული მაუდი ძალიან ძვირად ფასობდა მაშინ მთელს ევროპაში.

გვ. 135. ვარშავა – იმ დროს ვარშავამ ის-ის იყო დაიწყო განვითარება. მთავარ იანუშის სამთავროს დედაქალაქი ჯერ კიდევ ჩერსკი იყო, თუმცა გული უფრო ცეხანოვისკენ და ვარშავისკენ უწევდა, რომელიც 1406 წელს სამთავროს დედაქალაქად დაამკვიდრა.

გვ. 136. გლეიტი – გერმანული სიტყვაა, ნიშნავს „რკინის წერილს“, რომელიც უზრუნველყოფდა თავისუფალ მოგზაურობას ან ცხოვრებას რომელიმე ტერიტორიაზე.

გვ. 137. წითელი ყირიმული ქუდები – ქუდები, რომლებსაც იმ ხანებში ყირიმში ატარებდნენ.

გვ. 138. ბურსა – ქალაქი მცირე აზიაში, მარმარილოს ზღვის მახლობლად. თურქებმა აიღეს 1326 წელს და 40 წლის განმავლობაში მათი სახელმწიფოს დედაქალაქად ითვლებოდა.

გვ. 139. ედიგეიმ მთავარი ვიტოლდი დაამარცხა... – ედიგეი იყო თემურლენგის გამოჩენილი მხედართმთავარი, მოგვიანებით ოქროს ურდოს მფლობელი. ედიგეიმ (გარდ. 1431 წელს) თემურ ყუთლუღთან ერთად სასტიკად დაამარცხა ვიტოლდი მდინარე ვორსკლასთან 1399 წლის 12 აგვისტოს. ბრძოლის ველზე დაიღუპა ლიტველთა და რუსების მრავალრიცხოვანი რაზმები, აგრეთვე პოლონელთა რჩეული დამხმარე ძალები. თვითონ ვიტოლდმა ძლივს დააღწია თავი ამ ბრძოლიდან რამდენიმე პოლონელი რაინდის დახმარებით.

გვ. 140. შეუვალობის ქუდი – წვეტიანი ქუდი, რომელსაც ომის დროს შეუვალობის სიგელის ძალა ჰქონდა. ადამიანს, ვისაც ასეთი ქუდი ეხურა, არ მოკლავდნენ.

გვ. 147. მინისფანჯრებიანი კოშკი – მინის ფანჯრები იმ დროს იშვიათობა იყო და მხოლოდ ძალზე მდიდარ ხალხს შეიძლებოდა ჰქონოდა.

გვ. 149. ტავანი – კუნძული დნეპრის ქვემო წელში, ხელსაყრელი ადგილი მდინარეზე გადასასვლელად. ვიტოლდმა სწორედ აქ შეაჩერა თათრები ვორსკლასთან დამარცხების შემდეგ და ედიგეის ლაშქარს საშუალება არ მისცა მდინარის მეორე ნაპირზე გადასულიყო.

გვ. 152. ვერცხლის მადანს ამუშავებდნენ... – ოლკუშის ვერცხლის საბადოები სახელმწიფო შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო. XVI საუკუნის მონაცემებით, ოლკუშის მადნებიდან ყოველწლიურად დაახლოებით 5000 გრივნა ვერცხლი შემოდიოდა.

გვ. 153. ...გერმანულად ლაყბობდნენ – ძველი პოლონური თქმულებით, ეშმაკს გერმანელივით ეცვა და გერმანულად ლაპარაკობდა.

გვ. 154. ველკოპოლსკაში... – პოლონეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, დედაქალაქი პოზნანი.

გვ. 154. ...ომი ოპოლელ ნადერსპანთან – ვლადისლავ ოპოლელის გაუთავებელმა თავდასხმებმა, ძალადობამ და შეთქმულებებმა, მეფე იძულებული გახადა გადამწყვეტი ზომები მიეღო. 1396 წლის ზაფხულში პოლონეთის ჯარები თავს დაესხნენ ოპოლელის (მას ნადერსპანსაც ეძახდნენ, რადგან უნგრელი წარჩინებული იყო) სამფლობელოებს – კუიავასა და სლიონსკის. ამ ზვიადი მთავრის ციხესიმაგრეები სწრაფად დამარცხდა. მთავარი მყისვე მიატოვეს საკუთარმა ბიძაშვილებმაც კი და იაგელოსთან ზავი დადეს. ოპოლელს პოლონეთში არც ერთი სამფლობელო აღარ დარჩენია. ის რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა.

გვ. 167. მილი – გეოგრაფიული მილი 7, 42 კილომეტრია.

გვ. 199. გრივნა – ფულის ერთეული. სიტყვა თავდაპირველად დაკავშირებული იყო ძვირფასი ლითონის ყელსაბამთან. როგორც წონის ერთეული, ქვეყნისა და საუკუნის მიხედვით, სხვადასხვა რაოდენობას შეესაბამებოდა. აღნიშნულ პერიოდში უდრიდა ორას გრამ ვერცხლს.

გვ. 180. ვილკი – პოლონურად მგელს ნიშნავს.

გვ. 189. წმინდა გიორგი – რაინდების მფარველი. ცხოვრობდა რომის მმართველის დიოკლეტიანეს დროს და მაღალი თანამდებობები ეკავა რომის არმიაში. აწამეს ქრისტიანული რწმენისთვის 303 წელს.

გვ. 203. მოხეტიალე მედავითნე – სასულიერო სასწავლებლის დასრულებამდე გარიცხული ან გაქცეული მსახური ეკლესიისა. დახეტიალებდნენ ერთი მდიდარი ბატონისაგან მეორესთან და ასრულებდა ნენ ნაირ-ნაირ მოვალეობას – დაწყებული მოსიმღერიდან, გათავებული კანცელარიის მოხელით. ბევრი მათგანი თავის ცოდნას სხვადასხვა ფოკუსებისა და ოინბაზობისთვის იყენებდა, რისთვისაც გვარიან გასამრჯელოს იღებდნენ.

გვ. 205. ..ლაბადაზე დაკერებული ნიჟარებით – ნიჟარები იყო პილიგრიმების ნიშნები, ზღვაზე გადასვლის სიმბოლო. ამავე ნიშნებს იკერებდნენ ჩვეულებრივი მატყუარები, რომლებიც თავს პილიგრიმებად ასაღებდნენ, ხალხს მდიდარ საჩუქრებს და ფულს სტყუებდნენ და უზრუნველად ცხოვრობდნენ. აქ გამოყვანილი პილიგრიმი სწორედ ასეთი მატყუარაა. აბატი ამას კარგად ხვდება, როცა ეუბნება, არ იცი იმ ქვეყნების სახელები, რომელთა გავლითაც გზა წმინდა მიწისკენ მიდისო.

გვ. 205. რაკი კეფები გაპარსული გაქვთ... – კათოლიკე ბერად კურთხევის დროს ახალგაზრდებს კეფას პარსავდნენ ხოლმე, ვითომდა ისინი უკვე ხნიერები იყვნენ და თმა გაცვენილი ჰქონდათ.

გვ. 207. ბეიჰარდი – უფრო ზუსტად ბეგჰარდი – რელიგიური საზოგადოების წევრი. ეს საზოგადოება საფრანგეთში XIII საუკუნეში დაარსდა და იქიდან გავრცელდა გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში. ბეგჰარდები მალე სექტად იქცნენ და უარყვეს ეკლესიის ძირითადი დოგმები. ისინი ქადაგებდნენ, რომ ადამიანმა როგორი დანაშაულიც არ უნდა ჩაიდინოს, მაინც უბიწოაო. XIV საუკუნის დასაწყისიდან ბეგჰარდებს დევნიდნენ და კოცონზე წვავდნენ.

გვ. 211. სინოდი – რომელიმე ქვეყნის ან პროვინციის ეპისკოპოსთა და უმაღლეს სასულიერო პირთა ყრილობა.

გვ. 212. სენეკა – ლუციუს ანეუსი (4 წ. ჩვ. წ. აღ-მდე - 65 წ. ჩვ. წ.-ით) რომაელი ფილოსოფოსი, მორალის თემაზე დაწერილი ტრაქტატების ავტორი.

გვ. 212. ...ერთ ფილოსოფოსს – აბატი გულისხმობს ძველ ბერძენ ფილოსოფოსს სოკრატეს (470–399 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე), რომლის მეუღლე ქსანტიფა ჭირვეული, ანჩხლი და კაპასი დედაკაცი იყო. მისი სახელი დღესაც

ხასიათშეუწყობელი, უჟმური და მიზეზიანი ქალების ზოგად სახელადაა აღიარებული.

გვ. 239. ...ინდულგენციებსაც დავატარებ და ყოველგვარ რელიკვიასაც (წმინდა ნაწილებს) – მეტად გავრცელებული საზოგადოებრივი უბედურება იყო ინდულგენციებითა და წმინდა ნაწილებით ვაჭრობა. ხალხის ღვთისმოშიშობა და ფართო მასების სიბნელე ხელს უწყობდა ასეთ „ვაჭრებს“ ეწარმოებინათ ძალზე მომგებიანი საქმეები. მართალია, რომის პაპი უმკაცრეს უსტარებს უგზავნიდა ეპისკოპოსებს და ბრძანებდა აღეკვეთათ ამ მატყუარებისა და თაღლითების საქმიანობა, მაგრამ ეს ვერაფერს აკლებდა სანდერუსის მსგავს გაქნილ ვაჭრებს.

გვ. 240. პშეორი – ზოგიერთი ორდენის მონასტერთა წინამძღვარი, მაგალითად, დომინიკანელთა ორდენისა.

გვ. 240. ჯონ ვიკლეფი (1324 – 1384) – გამოჩენილი ინგლისელი საზოგადო მოღვაწე, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, რელიგიის რეფორმატორი. ის ძალზე მწვავედ გამოდიოდა პაპისა და ეკლესიების გამდიდრების წინააღმდეგ. ამ გამოსვლების გამო ერეტიკოსად გამოაცხადეს, მაგრამ დასჯის წინ (ერეტიკოსებს კოცონზე წვავდნენ) ის ინგლისის პარლამენტმა იხსნა. ვიკლეფის მოძღვრებამ დიდი გავლენა მოახდინა რელიგიის ჩეხ რეფორმატორზე იან ჰუსზე.

გვ. 240. არაგონიის მეფე ... – არაგონია და კასტილია მნიშვნელოვანი სამეფოები იყო პირენეის ნახევარკუნძულზე. 1469 წელს არაგონიისა და კასტილიის შეერთების შედეგად შეიქმნა ესპანეთის მონარქია. მატყუარა სანდერუსი ალბათ არაგონიაში არასოდეს ყოფილა, მაგრამ ახსენებს ამ ქვეყნის მეფეს, რათა შთაბეჭდილება მოახდინოს ზბიშკოზე.

გვ. 241. ცილია ანუ ცილეა – საგრაფო სტირიის პროვინციის სამხრეთ საზღვარზე. ცილიის ერთ-ერთი გრაფი დაქორწინდა კაზიმეჟ დიდის ქალიშვილზე. ხოლო შემდეგში მათი ქალიშვილი ანა ცილიელი იაგელოს მეორე ცოლი გახდა.

გვ. 241. ვინცენტი შამოტულელი – ველკოპოლსკის მამასახლისი და პოზნანის ვოევოდა; მეფე ლოკეტეკმა ჩამოართვა მას ეს წოდებები და ტიტულები, რის შემდეგ მან კავშირი დაამყარა ბრანდენბურგთან და ჯვაროსნებთან, რომელთაც დიდი დახმარება გაუწია პოლონელების წინააღმდეგ ლაშქრობის დროს 1331 წელს. ვინცენტი შამოტულელმა ნახა, როგორ ულმობლად უსწორდებოდნენ ჯვაროსნები უმწეო მოსახლეობას და შეურიგდა

პოლონეთის მეფეს. პლოვცესთან ბრძოლების დროს დიდი როლი შეასრულა მტრის განადგურების საქმეში.

გვ. 241. ჯვაროსნები ღამით დაესხნენ ქალაქს... – სერაძის განადგურება ჯვაროსნების ერთ-ერთი ყველაზე დიდი „გმირობა“ იყო 1331 წელს. უმწეო მოსახლეობა მთლიანად ამოწყვიტეს – ცოცხალი არ გადარჩენილან ის ცოტაოდენი მცხოვრებნიც კი, რომლებმაც სამრევლო ეკლესიასა და დომინიკელთა ტაძარს შეაფარეს თავი. ეს ომის წარმოებისა და კათოლიკური ეკლესიის წესების უდიდესი დარღვევა იყო.

გვ. 242. კომტური ჰერმანი... - ბალგის კომტური, ჰერმან ფონ ედინგერი. 1331 წლის ლაშქრობაში პოლონელების წინააღმდეგ ჯვაროსანთა ვერც ერთი ბელადი ვერ შეედრებოდა უმწეო მცხოვრებთა გაჟლეტაში ამ უსულგულო კომტურს. არც ერთ ჯვაროსანს ასე არ უძარცვია მოსახლეობა, არ გაუსწორებია მიწასთან ამდენი პოლონური ქალაქი და სოფელი. მან ფერფლად აქცია თექვსმეტი კათოლიკური ეკლესია.

გვ. 242. ღმერთმა... ოცი ათასი გერმანელი ამოაწყვეტინა.. – როგორც კუიავის ეპისკოპოსის 1331 წლის წერილიდან ჩანს, პლოვცესთან 4187 ჯვაროსანი დაიღუპა და არა ოცი ათასი.

გვ. 243. ქაღალდი - ევროპაში პირველად ესპანეთში გამოჩნდა. აქ ის მავრებმა შეიტანეს IX საუკუნეში. დასავლეთისა და შუა ევროპის ქვეყნებში ქაღალდის ხმარება გაცილებით უფრო გვიან დაიწყეს, მხოლოდ XIV საუკუნეში. ძონძებისგან ხელით დამზადებული ქაღალდი პერგამენტთან შედარებით გაცილებით უფრო იაფი ჯდებოდა. მაგრამ იმდროინდელ პოლონეთში ქაღალდს მაინც არ ჰქონდა ფართო მოხმარება და ამიტომ სანდერუსი ზბიშკოს გამოწვევას წერს არა ქაღალდზე, არამედ დაფაზე.

გვ. 245. აქატი – მინერალი; მისი ერთ-ერთი სახესხვაობა თეთრი და შავი ფენებისაგან შედგება.

გვ. 253. ლოტარინგიელს... – ლოტარინგია – ქვეყანა საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით. XIV საუკუნეში ლოტარინგია ბრაბანციას ეკუთვნოდა.

გვ. 253. ...დიდი მარშალი... – დიდი. მაგისტრის ბანაკის გამგებელი, მისი არყოფნის დროს კი ჯვაროსანთა ლაშქრის მთავარსარდალი. დიდი მარშალი ერთდროულად იყო ქალაქ კრულევეცის კომტური (შემდგომში კენიგსბერგი, ამჟამად კალინინგრადი) და მის მოვალეობას შეადგენდა ჯვაროსანთა ორდენის დაცვა ლიტველებისაგან.

გვ. 269. ბრაბანტი ანუ ბრაბანცია – მდიდარი სამთავრო, რომელსაც ეკავა ტერიტორია საფრანგეთის ჩრდილოეთით. დედაქალაქი იყო ანტვერპენი. დღეს სამხრეთ ბრაბანცია შედის ბელგიის მადგენლობაში, ჩრდილოეთი კი ჰოლანდიას ეკუთვნის. ბრაბანტელი მთავრების დინასტია XIV საუკუნის დასასრულს ამოწყდა და 1390 წელს ბრაბანტი ბურგუნდიელმა მთავრებმა დაიკავეს.

გვ. 270. ისეთი ქალიშვილებიც ახსოვთ... - იგულისხმება ციმბარკა, რომელიც ცოლად გაჰყვა ერნესტ ჟელეზნის, ჰაბსბურგს (ავტ. შენიშვნა). ის იყო ზემოვიტ IV-ის და ალექსანდრა ოლგერდის ასულის ქალიშვილი.

გვ. 272. ...რომ რომელიმე მერლინს ... იმ ახალგაზრდა რაინდად ექციეთ – რაინდმა უტერმა შეიყვარა უმწიკვლო და ზნეკეთილი იგერნა, მთავარ გორლასის მეუღლე. მერლინის მეშვეობით გორლასის სახე მიიღო და იგერნასთან შეეძინა ვაჟი, მეფე არტური (ავტ. შენიშვნა). მერლინი არის ჯადოქარი, შუა საუკუნეების თქმულებებისა და რაინდული რომანების გმირი.

გვ. 277. მის რიგებში არევ-დარევა შეჰქონდათ... – მსგავს შემთხვევებს იხსენიებს ვიგანდ მალბორგელი (ავტ. შენიშვნა). ვიგანდი XIV საუკუნის გერმანელი პოეტია, რომელსაც აღწერილი აქვს ჯვაროსნების ბრძოლები ლიტველებთან.

გვ. 291. დობჟინის მიწა – ვისლის ქვედა წელში, მის მარჯვენა ნაპირზე გაშლილი ტერიტორია. დღემუდამ ჯვაროსნების თავდასხმებს განიცდიდა, 1393 წელს კი სულაც დაიპყრეს. პოლონეთმა ის გრიუნვალდის ბრძოლის მერე დაიბრუნა. ოპოლის მთავარმა ვლადისლავმა დობჟინის მიწა ტევტონთა ორდენს მიაგირავა.

გვ. 292. მარკვარტ ზალცბახი და შომბერგი – ჯვაროსანთა ეს ორი დიდებული მთავარ ვიტოლდთან ელჩებად გააგზავნეს. მარკვარტ ფონ ზალცბახი ცნობილია იმით, რომ ელჩობისას, ე. ი. მაშინ, როცა მისი პიროვნება ხელშეუხებელი იყო, შეურაცხყო ვიტოლდი, მოღალატე უწოდა მას (1405). გრიუნვალდთან ფონ ზალცბახი და შომბერგი ტყვედ ჩაცვივდნენ და, ვიტოლდის ბრძანებით, სიცოცხლეს გამოასალმეს. რაც შეეხება ვიტოლდის შვილებს, პოლონელი ისტორიკოსის კარელ შაინონას ცნობებით, ჯვაროსნებმა ვიტოლდს მოუკლეს ორი ვაჟი, როცა ეს უკანასკნელი 1392 წლის აგვისტოში ოსტროვოში იაგელოს შეხვდა, გაწყვიტა კავშირი ჯვაროსნებთან, მათი მოწინააღმდეგე გახდა და ციხესიმაგრეებიც დაუნგრია. გასაოცარია ის ფაქტი, რომ ასეთი საშინელი დანაშაულის შემდეგ ზალცბახი და შომ-

ბერგი იყვნენ ვილნოში. როგორც ჩანს, ბავშვთა მკვლელების სახელებს არ იცნობდნენ პოლონეთსა და ლიტვაში. უახლესი გამოკვლევების შედეგად იმასაც კი ფიქრობენ, რომ ვიტოლდს საერთოდ არ ჰყოლია ვაჟები, მაგრამ სენკევიჩი დაენდო პოლონეთის ისტორიის კეთილსინდისიერ მემატიანეს შაინონას..

გვ. 292. წმინდა ბონიფაციუსი (680 – 755) – გამოჩენილი მისიონერი, წარმოშობით ბრიტიელი. თავდაპირველად ვინფრიდი ერქვა. ქრისტიანობას აზიარა ამჟამინდელი გერმანიის ტერიტორიაზე მცხოვრებ გერმანელთა მრავალი ტომი. დაიღუპა მისიონერული ექსპედიციის დროს ფრიზების დედაქალაქ დოხუაში.

გვ. 309. მირონცხებულ ხელმწიფეს – იგულისხმება პოლონეთის მეფე, რომელსაც მეფედ კურთხევის დროს წმინდა მირონს წასცხებდნენ ხოლმე.

გვ. 310. ბაზილიკის... – ლეგენდარული მამალი, რომელსაც გველის კუდი და ღამურას ფრთები აქვს. გადმოცემით, მისი ერთი შეხედვა საკმარისი იყო, რომ კაცს სული ამოსვლოდა.

გვ. 310. იერექონის ვარდი – ანუ გამაცოცხლებელი ვარდი – მცენარის ჯიში, რომელიც ხარობს ახლო აღმოსავლეთის უდაბნოებში (პალესტინა, სირია, ეგვიპტე). ცოცხლობს მხოლოდ ერთი ვეგეტაციური პერიოდი, შემდეგ კი ხმება და წარმოშობს რაღაც გორგალს შიგნით ჩამალული ნაყოფით. სინესტეში გამხმარი ნაყოფი იფუყება და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ხელახლა აყვავდაო. ამ თვისების გამო შუა საუკუნეებში იერექონის ვარდს სასწაულმოქმედ მცენარედ მიიჩნევდნენ.

გვ. 317. ეპისკოპოსი იაკუბ კურდვანოველი – იყო პლოცკის ეპისკოპოსი 1396 წლამდე.

გვ. 318. ეპისკოპოსი მამფიოლუსი – პლოცკში ეპისკოპოსად დანიშნეს ბონიფაციუს IX-ის შემწეობით 1392 წელს. სინამდვილეში ის თავისი მოვალეობის შესრულებას საერთოდ არ შესდგომია პლოცკის მთავართა წინააღმდეგობის გამო. გარდაიცვალა იტალიაში 1396 წელს.

გვ. 322. გოტიკური ტაძარი – კათედრალური ტაძარი, ნაგები გოტიკური სტილით. ამ სტილს ახასიათებს ისრული თაღები.

გვ. 322. გოტიკური ტაძრის ფანჯრებიდან ჩამოსული ანგელოზი – იმ ხანებში აშენებული გოტიკური ეკლესიების ფანჯრების მინები ხშირად იყო მოხატული ნაირფერი ნახატებით.

გვ. 328. გლოვაჩ – პოლონურ ენაზე ირონიულად ნიშნავს ჭკუის კოლოფს. ჩეხურად კი ჰლავა თავს ნიშნავს.

გვ. 335. თხით დადიოდნენ ალილო ზ ე ... - თხის ხელოვნური თავი, რომელსაც წამოიცვამდნენ და კარდაკარ დადიოდნენ საშობაო დღესასწაულებზე. ეზო-ეზო სიარულს საშობაოდ პოლონურად „კიელენდი“ ჰქვია. შეადარე ქართული კალანდა.

გვ. 338. ობლატები (ლათ. oblata – შესაწირავი) – გაუღვიარი ცომისგან გამომცხვარი მრგვალი, თხელი კვერები, რომლებსაც ზიარების დროს იყენებდნენ.

გვ. 351. გელდრია – საგრაფო ბრაბანციის ჩრდილოეთით.

გვ. 379. კაპადოკია – ქვეყანა მცირე აზიის ცენტრში, შავ ზღვასა და თაურუსის მთებს შორის.

გვ. 386. სამარცხვინო ტომარა – უხეში ტომარა, მოქსოვილი სელის ან კანაფის ნარჩენებისგან. ამ უხეშ ტომრებს აცმევდნენ მონანიებულ ცოდვილებს მორჩილების ნიშნად. როცა ასეთ პერანგს რაინდი ჩაიცვამდა, ეს იყო არა მხოლოდ მონანიება და მორჩილება, არამედ რაინდულ ღირსებაზე ხელის აღებაც.

გვ. 404. დიდი სასნეულების უფროსი – ჯვაროსანთა ყველა სასნეულოს მმართველი, წარჩინებულთა საბჭოს წევრი, კაცი, რომელიც მაგისტრთან ერთად წყვეტდა ორდენის ყველა მნიშვნელოვან საკითხს. ამ საპატიო წოდების გარდა, სასნეულოთა უფროსი ხელმძღვანელობდა საკომტუროს, საიდანაც დიდი შემოსავალი შემოსდიოდა.

გვ. 419. ფოსტა... – ჯვაროსნებმა საკუთარი ფოსტა ჯერ კიდევ 1276 წელს შექმნეს, დასავლეთში კი (საფრანგეთსა და გერმანიაში) პირველი საფოსტო დაწესებულებანი მხოლოდ და მხოლოდ XV საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა. ჯვაროსნების ფოსტას, რომლის მოხელეებსაც საგანგებო ფორმა ეცვათ, გადაჰქონდათ მხოლოდ ორდენის კორესპონდენციები. შედარებით სერიოზულ საკითხებში ჯვაროსნები საიდუმლო ანბანით სარგებლობდნენ. ფოსტის საშუალებით დიდ მაგისტრს შეეძლო სწრაფად მიეღო საჭირო ცნობები თავისი სახელმწიფოს ციხესიმაგრეებიდან. ასევე მოწესრიგებული იყო მუდმივი კავშირი ყველა ევროპული სახელმწიფოს მეფის კართან. სხვადასხვა ქვეყნის მეფეები, რომლებთანაც ორდენს კეთილი ურთიერთობა სურდა, სისტემატურად ღებულობდნენ ჯვაროსნებისაგან ახალ-ახალ ცნობებს. ეს წერილები ბრწყინვალედ იყო დაწერილი და ნაწილობრივ ცვლიდა დღევანდელ გაზეთებს.

გვ. 423. მალოპოლსკა და ველკოპოლსკა – მაშინდელი პოლონეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი.

გვ. 449. იან ლუქსემბურგელი (1296–1346) – ჩეხეთის მეფე 1310 წლიდან. იყო მოხეტიალე რაინდთა ყველაზე ჭეშმარიტი წარმომადგენელი, მრავალრიცხოვან ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა, უმთავრესად კი ჯვაროსნებს ეხმარებოდა მათს გამანადგურებელ ლაშქრობებში ლიტვასა და ჟმუდზე, აგრეთვე პოლონეთის მიწაზე. საბრძოლო ლაშქრობებისთვის თავი არ დაუნებებია მხედველობის დაკარგვის შემდეგაც (1336). დაიღუპა ინგლისელებთან ბრძოლაში კრესთან, სადაც თავისი ნათესავის, საფრანგეთის მეფის ფილიპეს დასახმარებლად იყო წასული.

გვ. 459. მთავარ ფშემეკ ოსვენციმელთან.. – მთელი ეს ამბავი ისტორიული ფაქტია, აღწერილი აქვს იან დლუგოშს (1415 – 1480) თავის ნაშრომში „პოლონეთის ისტორია“ (12 წიგნი უძველესი ხანიდან 1480 წლამდე). ფაქტი დათარიღებულია 1400 წლით. ჰ. სენკევიჩი „ჯვაროსნებში“ ძალზე ხშირად იყენებს გამოჩენილი პოლონელი ისტორიკოსისა და დიპლომატის დლუგოშის ნაშრომში აღწერილ ფაქტებს.

გვ. 466. ქალიშვილის შეურაცყოფისათვის კანონი მკაცრად სჯის – სამი მთავარი დანაშულის – ცეცხლის წაკიდების, გაძარცვისა და თავდასხმის გარდა, ეს იყო მეოთხე დანაშაული, რომელიც არ ექვემდებარებოდა სათემო სასამართლოს. ამ საქმეებს არჩევდა მხოლოდ ქალაქის მმართველი და ყველაზე მცირე სასჯელი ასეთი დანაშაულისათვის იყო შლიახტიჩის წოდების ჩამორთმევა ანუ რაინდული ღირსების აყრა და ქვეყნიდან გაძევება.

გვ. 466. სილეზიაც პოლონეთის კუთხეა – იმ დროს სილეზიის პიასტთა შთამომავლობის მთავრები ფორმალურად ჩეხეთის მეფის ვაცლავ IV-ის ვასალებად ითვლებოდნენ, მაგრამ ამ მეფის ხელისუფლების დასუსტებასთან დაკავშირებით სილეზია ესწრაფოდა დამოუკიდებლობის მოპოვებას. მისი ყველა მთავარი თავ-თავის პოლიტიკას ატარებდა. პოლონეთის სახელმწიფოს მზარდი ძლიერება კი სილეზიის მმართველთა პოლიტიკას წარმართავდა კრაკოვის (პოლონეთის მაშინდელი დედაქალაქის) მხარეს. ეს კარგად ესმოდა ვაცლავ IV-ს და ამიტომ 1404 წელს ვროცლავში გამართულ ყრილობაზე წამოაყენა წინადადება – პოლონეთის მეფე იაგელოსთვის დაეთმო მთელი სილეზია.

გვ. 466. უამრავი გერმანელი მიაწყდა იქ... – გერმანელებთან და გაგერმანელებულ ჩეხებთან დამოკიდებულების გამო გერმანულ კოლონიზაციას გარკვეული წარმატებები ჰქონდა სილეზიაში, მაგრამ მოსახლეობის უდი-

დესი ნაწილისათვის გერმანული ენა სრულიად გაუგებარი იყო თვით XV საუკუნის შუა წლებამდე,

გვ. 481. ბორუტა – ხალხური გადმოცემების მიხედვით იყო ეშმაკეული, რომელიც დარაჯად ედგა ლენჩიცის ციხესიმაგრის უთვალავ საუნჯეს, მაგრამ ახლომახლო ჭაობებსა და ტყეშიც (ნიор – აქედან ბორუტა) სიამოვნებით გაინავარდებდა ხოლმე.

გვ. 481. სწორედ ის შლიახტიჩიაო – ბორუტას შესახებ ზოგ თქმულებაში ის პოლონელ შლიახტიჩად არის გამოყვანილი.

გვ. 488. ხოცვა-ჟლეტა ლენჩიცაში... – 1331 წელს სერაძის მსგავსად ჯვაროსნებმა ლენჩიცაც გაანადგურეს და მთელი მოსახლეობა ამოჟლიტეს.

გვ. 489. ყრილობები სერაძსა და ლენჩიცაში – ჯერ კიდევ XII საუკუნეში დაიწყო ლენჩიცაში ეპისკოპოსთა და სასულიერო პირთა ყრილობები (სინოდები). მათ შორის განსაკუთრებით ცნობილია 1180 წლის ყრილობა. სერაძში ტარდებოდა საერო დიდებულთა ყრილობები შლიახტის მონაწილეობით.

გვ. 498. ჟმუდისათვის ვიტოლდთან ბრძოლა... „ვორსკლასთან დამარცხების შემდეგ აღმოსავლეთის ოლქების დამორჩილების გეგმები რომ ჩაიფუშა, ვიტოლდმა მთელი გულისყური ისევ ჟმუდისკენ მიაპყრო. 1401 წლის მარტში ჟმუდის ხელმძღვანელებმა ვიტოლდის მხარდაჭერით ისარგებლეს და ჯვაროსნების წინააღმდეგ აჯანყდნენ. მათ ციხესიმაგრეები და ჯვაროსანთა მიერ გამაგრებული დასახლებები დაანგრიეს და ვიტოლდს ჩაბარდნენ. ჯვაროსნებთან ვითომდა ხელოვნურად შენარჩუნებულ მშვიდობას ბოლო მოეღო, გაჩაღდა აშკარა ომი ორდენსა და ლიტვას შორის (1401 – 1403). იაგელომ ვიტოლდს დახმარება გაუგზავნა. მაგრამ ვიტოლდის წინააღმდეგ იმავე 1401 წლის შემოდგომით ჯვაროსანთა დიდი ლაშქრობა მზადდებოდა.

გვ. 501. ვეება ქვის სახრჩობელაზე – ამ სახრჩობელის ნარჩენები 1818 წლამდე შემორჩა.

გვ. 503. ოპალის თვლებივით... – ოპალი რძისფერი ძვირფასი ქვაა, რომელიც ნაირფერად ბრჭყვინავს.

გვ. 511. ჩვენნაირი პოლონელები... – პრუსიის მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი იყო პომოჟეში, დობჟინის მიწასა და მაზოვიაში მოსახლე გლეხები.

გვ. 524. რაგნეტა – ქალაქი მდინარე ნემანზე, კომტურის ადგილსამყოფელი.

გვ. 533. ...ვიქნები გართხმული – მორწმუნე კათოლიკებს ჩვეულებად ჰქონდათ საკურთხევლის წინ დამხობილიყვნენ პირდაღმა და ხელები ჯვარივით გაეშალათ რაიმე აღთქმის ან მონანიების ნიშნად.

გვ. 534. პეტროვინი – წმინდა სტანისლავ შჩეპანოვსკის, ლეგენდის თანარმად, მკვდრეთით აღუდგენია სამი წლის წინ გარდაცვლილი რაინდი პეტრე იანიშოველი სტრჟემენჩიკი, ანუ პეტროვინი, რათა მოწმედ გამოსულიყო პოლონეთის მეფის ბოლესლავ მამაცის სასამართლოზე.

გვ. 535. ვილნოს სეიმზე კიდევ უფრო განმტკიცდა ლიტვისა და პოლონელთა კავშირი – 1401 წლის 18 იანვარს ვილნოში გამოქვეყნდა მნიშვნელოვანი დოკუმენტები. ისინი შეიცავდნენ პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობის ახალ პრინციპებს. იაგელო ვიტოლდს სამუდამოდ აძლევდა ლიტვას და უბოძებდა დიდი მთავრის სახელს, ხოლო ვიტოლდმა განაახლა ვასალის ფიცის აქტი მეფის ერთგულებაზე. ვიტოლდის გარდაცვალების შემდეგ მთელი ლიტვა (გარდა იმ ნაწილისა, რომელიც მის ძმას ზიგმუნდს ეკუთვნოდა, და რაც მისი ცოლის უზრუნველსაყოფად იყო საჭირო) ისევ პოლონეთის მეფეს უნდა დაბრუნებოდა. ლიტველმა და რუსმა ბოიარებმა მეფესა და პოლონეთის სახელმწიფოს აღუთქვეს ერთგულება იმ პირობით, რომ პოლონელებსაც ერთგული დახმარება გაეწიათ ლიტველებისთვის. ბოიარები დათანხმდნენ, რომ ვიტოლდის სიკვდილის შემდეგ ლიტვა პოლონეთს დაბრუნებოდა. ეს დოკუმენტები ლიტვასა და პოლონეთს შორის დადებული პირველი უნიის აქტებია, მანამდე უნიები არ არსებობდა. ლიტვისა და პოლონეთის გაერთიანება (ინკორპორაცია) შედგა კრევოს აქტის საფუძველზე 1385 წელს.

გვ. 544, ნოვგოროდი (ნოვოგრუდი) – მდიდარი ქალაქი-სახელმწიფო, გაშლილი დიდი ლიტვის სამთავროს ჩრდილოეთით.

გვ. 545. სპათარი – სპათართა გერმანული რაინდული ორდენის წევრი.

გვ. 546. პოლოცკელი – პოლოცკის სამთავროს მცხოვრები. პოლოცკის სამთავრო ლიტვის დიდმა მთავარმა მინდოგმა დაიპყრო დაახლოებით 1235 წელს, ამის შემდეგ სამუდამოდ ლიტვის კუთვნილება გახდა.

გვ. 560. Bi den rôsen (ძვ. გერმ.)... – ვარდები მიახვედრებს, სად ესვენა თავი ჩემი – გერმანელი პოეტის ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდეს (1170 – 1230) სატრფიალო სიმღერის ფრაგმენტი.

გვ. 570. ...აქვისგრანის ყველა რელიკვიას – აქვისგრანში, მდინარე რაინზე გაშენებულ ქალაქში, კარლოს დიდის დროიდან მოყოლებული 1558 წლამდე ხდებოდა გერმანელ მეფეთა ხელდასხმა. აქ იყო ბრწყინვალე ტაძარი, ცნობილი თავისი რელიკვიებით.

გვ. 589. საკუთარ მახვილზე კუნძივით გამობმული... – იმ დროს ხალხს ხშირად მიაბამდნენ ხოლმე საკუთარ მახვილზე. ასე შეკოჭილ ადამიანს არაფრით არ შეეძლო განთავისუფლება.

გვ. 593. ეტლი – დიდი დათვის თანავარსკვლავედი.

გვ. 602. ბედის ჩარხი – ძველ რომში ბედნიერების ღმერთს, ფორტუნას, ჩვეულებრივ გამოხატავდნენ როგორც ჩარხზე შემომჯდარ მოგზაურს. აქედან გამოთქმა, ბედის ჩარხი ტრიალებს, ანუ ადამიანი ხან ზევითაა და ხან ქვევით.

გვ. 612. სამანს იქით გამოვიწვევ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში... – სტუმართმოყვარეობის ძველისძველი ძალიან მკაცრი ჩვეულება პოლონეთში. ეს კანონი კრძალავდა იარაღის აღმართვას თუნდაც მტერზე, თუ ის შენს მიწა-წყალზე იმყოფებოდა. მტერთან გასწორება შეიძლებოდა მხოლოდ სხვის ან ნეიტრალურ ტერიტორიაზე.

გვ. 613. წმინდა ზიარების დღესასწაული – ერთ-ერთი დიდი დღესასწაული კათოლიკური ეკლესიისა. იხდიან ზაფხულში, ივნისის ბოლო ხუთშაბათს.

გვ. 622. რაციონჟეკის ყრილობებზე... – ეს ყრილობები 1402 და 1404 წლებში ჩატარდა.

გვ. 633. Requiem aeternam (ლათ.) სამარადისო განსასვენებელი. კათოლიკების სულის მოსახსენიებელი ლოცვის დასაწყისი.

გვ. 637. კაპიტულა (ლათ.) – კაპუტ – თავი. ჯვაროსნების უმაღლესი სამხედრო საბჭო.

გვ. 639. მავრი – ასე ეძახდნენ არაბებს ესპანეთში, რომელიც იმ დროს უკვე ეწეოდა გამათავისუფლებელ ომს არაბთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის წინააღმდეგ. ესპანელებმა მხოლოდ 1492 წელს შეძლეს პირენეის ნახევარკუნძულზე ძლიერ გამაგრებული ციხესიმაგრის აღება.

გვ. 640. პერპინიანი – ქალაქი აღმოსავლეთ პირენეიში, ხმელთაშუა ზღვის მახლობლად. იმ დროს არაბებს ეკუთვნოდა.

გვ. 645. მთავარი სკირგელო – ავტორი აქ შეცდომას უშვებს. მთავარი სკირგელო, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე იაგელოს დავალებებს ას-

რულებდა, ჯერ კიდევ 1397 წელს გარდაიცვალა. 1402 წელს ღალატი ჩაიდინა მეფის ყველაზე უმცროსმა ძმამ სვიდრიგელომ.

გვ. 646. მწუხარებაში თმა მინდოდა შემეჭრა... – მწუხარებაში თმის შეჭრა ჩვეულებად იქცა პოლონეთში. მწუხარების ნიშნად წვერის მოშვებაც იცოდნენ.

გვ. 646. ვიზნა – მაზოვიისა და ლიტვის საზღვარზე მდებარე ქალაქი, რომელიც ხშირად იყო მათ შორის დავის საგანი. XV საუკუნიდან ვიზნა საბოლოოდ მიეკუთვნა მაზოვიას.

გვ. 653. ტამპლიერები - რაინდთა ორდენის წევრები (frates militiae templi–წმინდა რაინდთა ძმობა). ეს ორდენი 1118 წელს დააარსეს პალესტინაში ფრანგმა რაინდებმა წმინდა მიწაზე პილიგრიმთა დასაცავად. ჯვაროსნული ომების მარცხით დამთავრების შემდეგ ტამპლიერები გადავიდნენ კვიპროსზე (1291), მერე კი საფრანგეთში. ამ ორდენმა შეაგროვა უამრავი სიმდიდრე და სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ ფრანგთა მეფემ ფილიპე IV-მ მოინდომა მისი ლიკვიდაცია: ტამპლიერებს ბრალი დასდეს, ვითომ ისინი ეშმაკს ემსახურებოდნენ, და 1307 წელს ციხეში ჩაჰყარეს, სიმდიდრეს კი კონფისკაცია უყვეს სამეფო ხაზინის სასარგებლოდ. 1310 წელს ორდენის დიდი მაგისტრი ჟაკ დე მოლე და სხვა რაინდები გაასამართლეს და კოცონზე დაწვეს. 1312 წელს პაპმა მენტ V-მ საბოლოოდ გააუქმა ორდენი.

გვ. 661, რაციონჟეკში ყრილობა ჩატარდა... – რაციონჟეკის ამ პირველ ყრილობაზე ვერავითარ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს ჯვაროსნებთან. რაციონჟეკის მეორე ყრილობა 1404 წლის 23 მაისს დასრულდა მშვიდობიანი ხელშეკრულებით და გადაწყვიტა რიგი სერიოზული საკითხებისა, თუმცა პოლონეთისა და ლიტვისათვის არც ისე ხელსაყრელ პირობებს ითვალისწინებდა. ჯვაროსნები დათანხმდნენ დაებრუნებინათ და 1405 წელს მართლაც დააბრუნეს დობჟინის მიწა და ოპოლჩიკისთვის გადაცემული თანხის ნაწილი, მაგრამ ჟმუდი ისევ ორდენის მფლობელობაში გადავიდა. მიუხედავად ჯვაროსნებისთვის ასეთი ხელსაყრელი დასასრულისა, იმავე 1404 წელს მათ დაატყვევეს მთავარი იანუში თავისი ოჯახით. მხოლოდ პოლონეთის მეფის მხრიდან დაწყებული მწვავე ინტერვენციის შემდეგ მისცა მითითება დიდმა მაგისტრმა კონრადმა გაეთავისუფლებინათ ეს ტყვეები. იაგელოს წინ კი თავის მართლება დაიწყო, არაფერი ვიცოდი და არც არასოდეს დავთანხმებივარ მათს დატყვევებაზეო.

გვ. 662. სკირგაილო – ავტორი აქ შეცდომას უშვებს. უნდა იყოს სვიდრიგელო.

გვ. 666. ვინრიხ ფონ კნიპროდე – ჯვაროსანთა დიდი მაგისტრი 1351 – 1382 წლებში. ეს პერიოდი იყო ჯვაროსანთა სახელმწიფოს ყველაზე მეტი აყვავებისა და გაძლიერების ხანა.

გვ. 668. პალესტინაში... დამკვიდრება – მაშინ მთელი პალესტინა უკვე დაკავებული ჰქონდათ თურქებს, ასე რომ, იქ დაბრუნება შეუძლებელი იყო. იერუსალიმის სამეფო განაგრძობდა არსებობას კუნძულ კვიპროსზე (თითქმის XV საუკუნის დასასრულამდე). აი, სწორედ აქ შეეძლოთ ჯვაროსნებს გადმოსახლება, თუ მათ ჭეშმარიტად სურდათ ყოფილიყვნენ მსახურნი ჯვრისა.

გვ. 669. მალვაზია – სამხრეთის ქვეყნებიდან შემოტანილი ტკბილი, მაგარი ღვინო.

გვ. 670. მალბორგი – მალბორგი ძირფესვიანად დაანგრია პრუსიის მეფე ფრიდრიხ მეორემ რეჩპოსპოლიტა პოლსკას დაცემის შემდეგ.

გვ. 670. ესკარპი – აგურით ნაშენი ზემოთ დაწვრილებული კედლის გასამაგრებელი ბურჯი.

გვ. 670. მარიენბურგი – მალბორგის გერმანული სახელწოდებაა.

გვ. 671. გუმბათის ოქროს ფონზე წმინდა მარიამის გამოსახულება ბრწყინავდა – აქ ლაპარაკია ღვთისმშობლის მოზაიკურ გამოსახულებაზე, რომელიც მალბორგის ტაძრის აღმოსავლეთის კედელს ამკობდა და შექმნილი იყო XIV საუკუნეში.

გვ. 671. ორდენის რჩეული პოლიცია – ჯვაროსანთა ჩინებულად მოწყობილ სახელმწიფოში იყო აგრეთვე მეზობელი ქვეყნებისათვის მაშინ ჯერ კიდევ უცნობი ერთი ორგანიზაცია – პოლიცია, რომელიც ქალაქების სიმშვიდესა და წესრიგს ედგა დარაჯად.

გვ. 672. მაგისტრს შეხვდა ოცამდე ბერი – ორდენის ქსონძები. თავდაპირველი დანიშნულებით, თითოეულ კონვენტში (საბჭო, ერთეული ჯვაროსანთა ორდენში) ექვსი ქსონძი და ორდენის თორმეტი რაინდი უნდა ყოფილიყო. კონვენტის დაკომპლექტება რაინდებით არ წარმოადგენდა სიძნელეს, მაგრამ ჯვაროსანთა სახელმწიფოს არსებობის მთელ მანძილზე იგრძნობოდა სასულიერო პირთა ნაკლებობა. ამ კანონს ასე ართმევდნენ თავს: ქსონძების დაკანონებული რაოდენობა რომ შეენარჩუნებინათ, მათ რიცხვს აკუთვნებდნენ ქსონძთა მოწაფეებსაც და მეფსალმუნე ყრმებსაც.

გვ. 672. დიდებული ბერები ... – ყველა ჯვაროსანი ბერი იყო, მაგრამ აქ ალბათ ლაპარაკია ისეთ რაინდებზე, რომელთაც სასულიერო წოდება მინიჭებული არ ჰქონდათ. ბერი რაინდებიც სდებდნენ აღთქმებსა და ფიცს. მაგ. აღთქმა ჯვრისწერის უარყოფაზე. მაგრამ ეს არავითარ დაბრკოლებას არ უქმნიდა ჯვაროსანთა საყოველთაო გარყვნილებასა და აღვირახსნილობას. თვით მალბორგში ოფიციალურად არსებობდა ორდენის ხარჯზე მყოფი საროსკიპო.

გვ. 676. მრავალი პრუსიული ტომი... უკვე აღგვილი იყო პირისაგან მიწისა – პრუსიის საბოლოოდ შემოერთება ჯვაროსნებმა XIII საუკუნის დასასრულისათვის დაამთავრეს. ზოგიერთი ტომი, მაგალითად, იაძვინგები სულ გააძევეს მათი საუკუნო საცხოვრებლიდან, რომელიც მერე ტყეებით დაიფარა.

გვ. 676. პოლონეთმა ... დაკარგა თავისი სამფლობელოები ვისლის მარცხენა ნაპირზე – ჯვაროსნებმა პომოჟე, პჩევი და სვეცე პოლონეთსა და ორდენს შორის სრული მშვიდობიანობის დროს დაიპყრეს. გდანსკში ჯვაროსნები თვითონ ციხის უფროსმა მიიხმო ბრანდენბურგის წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად. ჯვაროსნები „სულითა და გულით მოვიდნენ დასახმარებლად“, მართლაც დააფრთხეს ბრანდენბურგელი დამპყრობლები, მაგრამ ციხესიმაგრეში მოტყუებით შესულებმა საშინელი ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს ქალაქში და თითქმის მთლიანად გადაწვეს ის. ეს მოხდა 1308 წლის 14 ნოემბერს. პჩევი მათ იძულებით ჩააბარა კუიავის მთავარმა კაზიმეჟმა, ხოლო სვეცე აიღეს ლოკეტეკის წინააღმდეგ სრულიად აშკარა ბრძოლაში.

გვ. 676. ლივონის რაინდთა ორდენი – ამ ორდენის „ხმლის კავალრები“ იმ დროისათვის ჯვაროსნებთან იყვნენ გაერთიანებული.

გვ. 677. რომელიც ოლგერდს თათრებისთვის წაერთმია... – დიდი მთავარი ოლგერდი ლიტვას მართავდა 1345 – 1377 წლებში კეისტუტთან ერთად. კეისტუტი ლიტვას იცავდა ჯვაროსნებისგან, ოლგერდი კი აფართოებდა თავის სამფლობელოს აღმოსავლეთით და სამხრეთით.

გვ. 685. სიცილიაში ვისწავლეთო სარკინოზებისაგან... – ჯვაროსნები მარტო არაბული არქიტექტურის გავლენას კი არ განიცდიდნენ, არამედ ადმინისტრაციის დარგშიც ბაძავდნენ სიცილიელებს (სიცილია არაბთა გამგებლობის ქვეშ იყო IX საუკუნის დასაწყისის დან XI საუკუნის დასასრულამდე).

გვ. 688. მოწყალების გამცემი ბერი – აქ ალბათ ლაპარაკია დიდ ჰოსპიტალერზე ანუ სასნეულოების უფროსზე.

გვ. 690. ერთმა გერმანელმა ხელისუფალმა ჩვენს ელჩს... – გადმოცემით, ასეთი საუბარი გაიმართა იმპერატორ ჰენრის V-სა და ბოლესლავ კრჟივოუსტელის ელჩს იან გურელს შორის, რომელსაც შემდგომში დაარქვეს სკარბეკი აბდანკის გერბისა. ეს მოხდა 1109 წელს პოლონელთა წინააღმდეგ გერმანელების ლაშქრობის დროს.

გვ. 690. Hundsfeld (გერმ.) – ძაღლის მინდორი. პოლონეთი დიდხანს წარმატებით ეომებოდა გერმანიის იმპერატორ ჰენრიხ V-ს, რომელიც ცდილობდა პოლონეთის ხარჯზე გაეფართოებინა თავისი სამფლობელოები სილეზიაში. 1109 წელს ვროცლავის მახლობლად პოლონელებსა და გერმანელებს შორის სისხლისმღვრელი ბრძოლა გაიმართა, ბრძოლის ველი გერმანელების გვამებით დაიფარა. იმპერატორმა გაქცევით უშველა თავს. დახოცილები არავის დაუმარხავს და მათ ძაღლები მიესიენ. აქედან წარმოდგა ამ მინდვრის სახელწოდება.

გვ. 708. ახალი დედოფალი... - ანა ცილიელი (დაახლ. 1380. 1416), კაზიმეჟ დიდის შვილიშვილი, რომელიც იაგელომ 1402 წელს შეირთო ცოლად. ის საკმაოდ შეუხედავი ქალი იყო და ცილიიდან მისმა ჩამომყვანმა დიდებულებმა მეფის დიდი საყვედური დაიმსახურეს.

გვ. 708. კრაკოვის მეხრმლე – ზინდრამ მაშკოვიცელი.

გვ. 736. კონეცპოლის მფლობელები – მძლავრი და შემდგომში დიდად გავლენიანი გვარი კონეცპოლელებისა, რომელთაც სერაძის სავოევოდოში ის იყო დაიწყეს დიდი თანამდებობებისა და ხალხის პატივისცემის მოპოვება.

გვ. 742. გერმანული კანონით ვალდებული იყვნენ... – ეს ნიშნავს, რომ სარგებლობდნენ შუა საუკუნეების გერმანული ქალაქის ძეგლისდებით, რომლის მიხედვით ქალაქებს მნიშვნელოვანი ავტონომია ეძლეოდათ. ეს ძეგლისდება არ იყო ამ სახელმწიფოს ყველა ქალაქის საერთო უფლება, ეს იყო მათი პრივილეგია, რომელიც ეძლეოდათ გამეფებული პიროვნებისაგან რაიმე სამსახურის ფასად, ან მოიპოვებოდა ძალისმიერად. ეს უფლება, რომელსაც ჩვეულებრივ მაგდებურგისას უწოდებდნენ, გავრცელებული იყო აღმოსავლეთ გერმანიაში და განსაკუთრებით მეზობელ სლავურ ქვეყნებში, მათ შორის, პოლონეთშიც.

გვ. 743. დრეზდენკო – ციხესიმაგრე მდინარე ნოტეცის პირად, მუდმივი საგანი დავისა პოლონეთს, ბრანდებურგსა და ჯვაროსნებს შორის. დრეზდენკოს მფლობელები იყვნენ ფონ დერ ოსტები.

გვ. 745. ელოდნენ დიდხანს ... – ორდენთან დიდმა ომმა იფეთქა მხოლოდ 1409 წლის ზაფხულში.

გვ. 746. მეფემ და მისმა მრჩევლებმა.. – მეფის მრჩევლების შემადგენლობაში ვლადისლავ იაგელოს დროს შედიოდნენ ეპისკოპოსები, ვოევოდები, კაშტელანები და მეფის არჩეული ზოგიერთი მოხელე. XV საუკუნეში მეფის საბჭო გადაკეთდა სენატად, ამასთან შეინარჩუნა თავისი პირვანდელი ძალაუფლება.

გვ. 747. ახალი მარხია... ანუ ახალი მარკა – პოლონეთის მოსაზღვრე გერმანული ოლქი, რომელიც რომის იმპერატორმა და უნგრეთის მეფე სიგიზმუნდმა ჯვაროსნებს მიჰყიდეს.

გვ. 748. იოჰანიტებისათვის ... – წმინდა იანის (იოჰანის) რაინდული ორდენის წევრები. მათი დანიშნულება იყო მოევლოთ ავადმყოფებისთვის და მზრუნველობით მოჰკიდებოდნენ პილიგრიმებს, აქედან მათი მეორე სახელი – ჰოსპიტალერი ძმები. მას შემდეგ, რაც 1187 წელს თურქებმა იერუსალიმი დაიპყრეს, იოჰანიტები საბოლოოდ გადასახლდნენ კუნძულ მალტაზე, საიდანაც წარმოდგა მათი მესამე სახელწოდება მალტელი კავალრები.

გვ. 748. საომრად მოუწოდა ჟმუდელებს... – ჟმუდელთა აჯანყებამ, რომელიც წინ უძღოდა ორდენთან დიდ ომს, იფეთქა 1402 წლის მაისში.

გვ. 749. „ვიცი“ – გვირგვინი – პოლონეთის საერთო-სახალხო ლაშქრის შეკრების ნიშანი. ლაშქარი დათქმულ ადგილას უნდა შეკრებილიყო მესამე გვირგვინის მიღების შემდეგ. უფრო მოგვიანებით გვირგვინი ეწოდა იმავე დანიშნულების მეფის სიგელს.

გვ. 751. როგორც იქნა, იფეთქა ომმა... – 1409 – 1411 წლების ომის უშუალო მიზეზი ჟმუდი იყო. დიდმა მაგისტრმა პოლონელთა საელჩოს მოსთხოვა პირობა, არ დახმარებოდნენ ვიტოლდს, როცა ორდენი ომს დაიწყებდა მასთან. ამაზე ბევრად ადრე, 1409 წლის ლენჩიცას ივლისის ყრილობაზე, პოლონელებმა გადაწყვიტეს დახმარებოდნენ ლიტვას, ამიტომ ახლა დიდ მაგისტრს დაუფარავად განუცხადეს, რომ თუ ჯვაროსნები თავს დაესხმოდნენ ლიტვას, მაშინ პოლონეთის მეფე თავს დაესხმოდა პრუსიას. ამის საპასუხოდ, 1409 წლის 6 აგვისტოს ულრიკ ფონ იუნგინგენმა ომი გამოუც-

ხადა პოლონეთს, ხოლო 16 აგვისტოს ჯვაროსანთა ძლიერი რაზმები თავს დაესხნენ დობჟინის მიწას.

გვ. 751. აიღეს ბობროვნიკი – პოლონელები განაცვიფრა ჯვაროსნების მოულოდნელმა თავდასხმამ დობჟინის მიწაზე. ამას დაემატა ისიც, რომ მთავარ ზემოვიტ IV-ს ომის დაწყების არავითარი სურვილი არ ჰქონდა. ასე აღმოჩნდა ციხესიმაგრე ბობროვნიკი ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე და ოთხდღიანი ალყის შემდეგ იძულებული გახდა დანებებულიყო.

გვ. 751. მიწასთან გაასწორეს ზლოტორია... – ზლოტორია გმირულად იცავდა თავს რვა დღის განმავლობაში, ამიტომ ციხესიმაგრე თითქმის მთლიანად დაინგრა ქვემეხებიდან დაშენილი ყუმბარებით, ხოლო მცველები უკანასკნელ კაცამდე ამოიხოცნენ. ციხესიმაგრის ნანგრევები 1409 წლის ორ სექტემბერს საბოლოოდ დაიპყრო დიდმა მაგისტრმა ულრიკ ფონ იუნგინგენმა.

გვ. 751. ჩეხებისა და უნგრელების შუამავლობით... – ჩეხეთის მეფემ ვაცლავმა პოლონელებს ძალით მოახვია თავს თავისი შუამავლობა ჯერ კიდევ 1409 წლის აგვისტოში. რაკი პოლონელები ჯერ საბოლოოდ არ იყვნენ მზად საომრად, დათანხმდნენ მიეღოთ ვაცლავის შუამავლობა, მაგრამ ჯვაროსნები, რომლებმაც უკვე მოიპოვეს წარმატება ნაკლებად გამაგრებულ დობჟინის მიწაზე, აღარ თანხმდებოდნენ ზავზე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ვლადისლავ იაგელომ სასწრაფოდ უკან დაიბრუნა ჯვაროსნების აღებული ბიდგოშჩი, დიდმა მაგისტრმა იკადრა ზავის დადება. მოლაპარაკება ითვალისწინებდა შეეწყვიტათ ომი 1410 წლის 24 აპრილამდე და ყველა სადაო საკითხი განსასჯელად გადაეცათ ჩეხეთის მეფის ვაცლავისათვის. ვაცლავის გამოტანილი განაჩენი პრაღაში 1410 წლის 15 თებერვალს, სრულიად ეთანხმებოდა ჯვაროსნების ინტერესებს. მართალია, ვაცლავმა დაადგინა, რომ პოლონეთს უეჭველად უნდა დაბრუნებოდა ოკუპირებული დობჟინის მიწა, მაგრამ, სამაგიეროდ, პოლონეთს უნდა გადაეცა ჯვაროსნებისათვის ჟმუდი. ამას გარდა, პოლონეთი არ უნდა ჩარეულიყო ორდენის ომში ვიტოლდის წინააღმდეგ. ჯვაროსნებს კი ეძლეოდათ უფლება ყოფილიყვნენ მფლობელნი იმ მიწებისა, რომლებიც მათ აჩუქეს იმპერატორებმა და რომის პაპებმა. ეს ეხებოდა არა მხოლოდ პრუსიას, არამედ გდანსკის ზღვისპირეთსაც, ჟმუდსაც და, ასე გასინჯეთ, მთელ ლიტვასა და რუსეთს! არაფერი იყო საკვირველი იმაში, რომ პოლონეთის დელეგაციამ კატეგორიულად უარყო ასეთი „განაჩენი“, რომლის გამო. ტანაში ჩეხეთის მეფემ წინასწარ მიიღო ჯვაროსნებისაგან 60000 ფლორენი (ოქროს მონეტა).

გვ. 752. ორთავე ჯარი შეერთდა... – იაგელო ვისლაზე პონტონის ხიდით გადავიდა და 1410 წლის 30 ივნისს ვიტოლდს შეუერთდა. პრუსიის საზღვარი 9 ივლისს გადალახეს.

გვ. 752. გადასვლა შეუძლებელი გახდა. – ჯვაროსნებმა ძლიერ გაამაგრეს მდინარე დრვენცა, იაგელომ გადაწყვიტა გვერდი აევლო მდინარისათვის. მან იცოდა, რომ თუ მდინარეს გადალახავდა, უამრავ ხალხს დაკარგავდა. იქ ორდენს მთელი თავისი სამხედრო ძალა მოეგროვებინა იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალა პოლონელთა ძალებისათვის მდინარეზე გადასვლაში.

გვ. 752. ციხესიმაგრე დომბროვნო... – ეს ციხე პოლონელებმა აიღეს და გაანადგურეს 1410 წლის 14 ივლისს.

გვ. 752. სალადინის თათრები... – სალადინი თათართა წინამძღოლი იყო გრიუნვალდის ბრძოლაში, ბოლოს ოქროს ურდოს ხანი გახდა. პოლონელ ისტორიკოსებს დღეს უჭირთ განსაზღვრონ თათართა რაოდენობა, რომელიც ოქროს ურდოს ხანმა ვიტოლდს გამოუგზავნა, როგორც თავის მოკავშირეს. ისტორიკოს იან დლუგოშს სხვა ეროვნების ჯართა რაოდენობა ზუსტად არ მოჰყავს, მაგრამ თათრებზე კი ამბობს, რომ გრიუნვალდთან იბრძოდა მხოლოდ 300 თათარი. ადვილი შესაძლებელია, დლუგოში ასეთ მცირე რაოდენობას იმ მიზნით ასახელებს, რომ თავიდან აიცილოს ჯვაროსანთა საყვედურები, რომლებიც კონსტანცის საეკლესიო კრებიდან მოყოლებული ხმამაღლა ჩიოდნენ, ორდენის წინააღმდეგ უწმინდური მონღოლები იბრძოდნენო.

გვ. 753. ჯარების მთავარსარდალი... – თანამედროვე ისტორიული გამოკვლევები (მაგ. სტეფან კუჩინსკი – „ჯვაროსანთა ორდენთან 1409 – 1411 წლების დიდი ომი“, ვარშავა, 1955 წ.) ეჭვის ქვეშ აყენებს ზინდრამ მაშკოვიცელის მთავარ როლს და მას მხოლოდ ბანაკთა ხელმძღვანელისა და ბრძოლისთვის მზადებაში წესრიგის მეთვალყურის ფუნქციას ანიჭებს. ლაშქრობის მთავარსარდალი იყო თვით მეფე, იგი გრიუნვალდის ბრძოლაში ხელმძღვანელობდა ჯარებს.

გვ. 753. მრავალი მხედართმთავარი და დიდებული ესწრებოდა... – მეფეს, როგორც მთელი ჯარების მთავარსარდალს, ყოველთვის თან ახლდა რვა კაცისაგან შემდგარი სამხედრო-პოლიტიკური საბჭო: მთავარი ვიტოლდი, ზბიგნევ ბჟეზიელი, კრისტინ ოსტროველი, იან ტარნოველი, სენძივოი ისტრორროგელი, მიკოლაი მიხალოველი, მიკოლაი ტრომბა და პიოტრ შაფრანეცი. საბჭოს შემადგენლობაში არ შედიოდნენ არც ზინდრამ მაშკოვიცელი და არც ახალგაზრდა მთავარი ზემოვიტი. მეფე საჭიროების შემთხვევა-

ში დაეთათბირებოდა ხოლმე მათ ისევე, როგორც სმოლენსკის პოლკების მამაც მეთაურს, თავის ძმას ლინგვენსემიონს და აგრეთვე ვიტოლდის მოადგილეს მონივიდს.

გვ. 759. ისეთი დიდები არ არის... – იყო სადროშოები, რომლებშიც შედიოდა ასი შუბის მტყორცნელი (მძიმედ შეიარაღებული რაინდები) და ორჯერ მეტი მსუბუქად შეიარაღებული მებრძოლი (საჭურველმტვირთველები და მშვილდოსნები), მაგრამ საერთოდ სადროშოები უფრო მრავალრიცხოვანი იყო, ხოლო კარგი სადროშოები ხანდახან სამასიდან ხუთასამდე შუბის მტყორცნელსაც ითვლიდა. ერთ შუბის მტყორცნელს კი მსახურის ჩათვლით ოთხი კაცი ახლდა.

გვ. 759. უკან დახევისას უფრო საშიშნი არიან... – თათრების საომარი ხერხები სრულიად არ ჰგავდა დასავლეთევროპულს. ერთ-ერთი ყველაზე ეშმაკური ხერხი იყო ბრძოლის დროს მოჩვენებითი გაქცევა. ასეთი მანევრი ხდებოდა მიზეზი მძიმედ შეიარაღებულ რაინდთა რაზმების რღვევისა, მერე კი თათრები შემობრუნდებოდნენ და შეტევაზე გადადიოდნენ: ქამანდით გუდავდნენ ხალხს, ანდა ცხენიდან აგდებდნენ უკან დადევნებულ მრავალ რაინდს, დანარჩენებს კი აშკარა ბრძოლებში სპობდნენ.

გვ. 760. ბესარაბელები და ვალახები... – ჯერ კიდევ 1387 წელს მოლდავეთის ვოევოდამ პიოტრმა და მისმა ძმამ რომანმა თავი პოლონეთის მეფის ვასალებად ცნეს. ეს იყო მიზეზი, რომ გრიუნვალდთან ბესარაბთა და ვალახთა რაზმები აღმოჩნდა. მაშინდელ მოლდავეთის სამთავროს, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ბესარაბია, ეკავა დნესტრის მარჯვენა ნაპირის ტერიტორია, მდინარე პრუტისა და სერეტის აუზები და აგრეთვე შავი ზღვის სანაპირო დნესტრის შესართავიდან დუნაის შესართავამდე.

გვ. 762. კლობუცკის ქსონძი... – ბარტოშ კლობუცკელი, მეფე იაგელოს კაშტელანი (სამხედრო მღვდელი) 1410 წლის ლაშქრობის დროს. იყო ისტორიკოს იან დლუგოშის ბიძა.

გვ. 764. ...ემბლემა იყო „დადევნება“ – ძველი ლიტვის მთავრები ხმარობდნენ სხვადასხვა ემბლემებს, რომლებიც ზუსტად გერბები არ იყო, რადგან ჰერალდიკა ლიტვაში გაცილებით უფრო გვიან შემოვიდა. ყველაზე ხშირად წარმართულ ლიტვაში სახელმწიფო ემბლემად იხმარებოდა ჯვარედინხაზებიანი განსაკუთრებული ფიგურები. ამ ემბლემის გვერდით შეხვდებოდით მსრბოლი მხედრის მუზარადიან ფიგურასაც, მარჯვენა ხელში მახვილი რომ ჰქონდა აღმართული, მარცხენაში კი ფარი. მონათვლის შემდეგ ლიტვის მთავრებმა დროშასა და ფარზე დაიწყეს ამხედრებული რაინ-

დებისა და ორმაგი ჯვრის გამოსახვა. რაკი მხედარი გამოსახული იყო მთელი სისწრაფით მიმქროლავი, ამიტომ ამ ფიგურას ჰერალდიკაში „დადევნებას“ უწოდებდნენ.

გვ. 765. ეპისკოპოსთა და დიდებულთა ოცდაორი სადროშო... – ეპისკოპოსები და გავლენიანი დიდებულები, როგორც მრავალრიცხოვან სოფელთა (ზოგჯერ კი ქალაქთა) მფლობელები, ვალდებული იყვნენ საკუთარი სადროშოები გამოეყვანათ.

გვ. 765. ყვავილებივით ჭრელი ნიშნები... – მსუბუქი ქსოვილისგან გაკეთებული სხვადასხვა ფერის ნიშნები წამოცმული იყო შუბების წვერზე. მათ პატარა ზომის სხვადასხვა სიგრძის ორმხრივ წაწვეტებული ვიმპელების ფორმა ჰქონდათ. შემდგომში ისინი ლახვრებით შეიარაღებულ ულანთა პოლკებსაც შემორჩათ.

გვ. 766. უნგრელი შუამავლები – ჩეხეთის მეფის ვაცლავის წყალობით უშედეგო „დაზავების“ შემდეგ შუამავლობა იკისრა უნგრეთის მეფემ ზიგმუნდ ლუქსემბურგელმა. მისმა ელჩებმა, უნგრეთის სამეფო კარზე მყოფმა პოლონელმა შლიახტიჩმა სციბორ სციბორიჭელმა და მიკოლაი დე გარამ, მიაღწიეს იმას, რომ ზავი 1410 წლის 4 ივლისამდე გაგრძელდა, ხოლო 6 ივლისს უკვე მოლაპარაკებას აწარმოებდნენ პოლონელებსა და ჯვაროსნებს შორის ზავის დადების თაობაზე. ახალი შუამავლის ჭეშმარიტ ზრახვებზე შემდეგი ფაქტები მეტყველებს: ჯერ კიდევ 1410 წლის 31 მარტს მან საიდუმლო თავდაცვით-შეტევითი კავშირი დადო ჯვაროსნებთან, რაშიც 40000 ფლორინი მიიღო მათგან. ხელშეკრულებას ჰქონდა დამატებითი შენიშვნა, რომ ჯვაროსნები კიდევ 300000 ფლორინს გადაუხდიდნენ უნგრეთის მეფეს პოლონეთზე თავდასხმის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ 1397 წლის ხელშეკრულება ავალებდა ზიგმუნდს მშვიდობიანობა დაეცვა პოლონეთთან 1413 წლამდე, მიუხედავად ელჩების გაგზავნისა, რომლებიც შუამავლებად გამოდიოდნენ და საზავო მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ივლისის პირველ რიცხვებში, ჯერ კიდევ 22 ივნისს (ე. ი. პოლონელებსა და ჯვაროსნებს შორის დროებითი დაზავების ვადის გასვლამდე) უნგრეთის მეფემ წერილი მისწერა პოლონეთის მეფეს იაგელოს და ომი გამოუცხადა. წერილი იაგელომ 1410 წ. 12 ივლისს მიიღო.

გვ. 766. კოჟბუგი... - გერბი კოჟბუგი ანუ კოჟბოგი არის ცისფერ ფონზე გამოსახული სამი ოქროს ჭანარი ერთმანეთის ქვეშ, თავები მარცხნივ აქვთ მიბრუნებული.

გვ. 766. იყო დრო, როცა თვითონ ცეცხლსა და მახვილს ატრიალებდა... – 1384 წელს შურისძიების გრძნობით შეპყრობილი მეფე იაგელო მრავალრიცხოვანი ლაშქრით თავს დაესხა ჯვაროსნებს და, მიუხედავად იმისა, რომ დასახმარებლად თვით დიდი მაგისტრი მოვიდა, აიღო (1384 წლის ნოემბერში) ციხესიმაგრე ახალი მარიენბურგი, რომელიც მდ. ვილიის და მდ. ნემანის შესართავთან იყო გაშენებული.

გვ. 768. დღეს მოციქულების დღეა – 15 ივლისი.

გვ. 769. ზიგმუნდ კორიბუტი (გარდ. 1435 წელს) – იაგელოს ძმის, დიმიტრი კორიბუტის ვაჟი. 1422 წელს ლიტვის დიდმა მთავარმა ვიტოლდმა ჩეხეთში გაგზავნა თავის ნაცვლად, სადაც ის უნგრეთის მეფის ზიგმუნდ ლუქსემბურგელის წინააღმდეგ მებრძოლ ჰუსიტებს ჩაუდგა სათავეში, 1423 წელს ის იაგელომ უკან გამოიწვია, მაგრამ ისევ დაბრუნდა ჩეხეთში 1424 წელს, დაიპყრო პრაღა და თავი ჩეხეთის მეფედ გამოაცხადა. თუმცა თავისი ძალაუფლების განმტკიცება ვერ მოახერხა და რამდენიმე წლის შემდეგ იძულებული გახდა დაეტოვებინა იქაურობა. სვიდრიგელოს აჯანყების დროს ის დიდ ბრძოლებს ხელმძღვანელობდა მდინარე სვეტნასთან (1435). აქ ის ტყვედ ჩავარდა და დაიღუპა კიდეც.

გვ. 769. ზბიშკო ოლესნიცელი (1389 – 1455) – პოლონეთის პოლიტიკის მომავალი წარმმართველი. 1423 წლიდან კრაკოვის ეპისკოპოსი, გერმანიის იმპერატორთან და რომის პაპთან არაერთხელ ელჩად ნამყოფი. იყო ვიტოლდის თავგადადებული მტერი. ვიტოლდის სიკვდილის შემდეგ (1430) პირადად განაგებდა პოლიტიკას, მანამ პოლონეთის ტახტზე მეფე კაზიმერ იაგელონჩიკი ავიდოდა.

გვ. 770. ფრიდრიხ ფონ ვალენროდი – ჯვაროსანთა დიდი მარშალი, დიდი მაგისტრის კონრად ვალენროდის ძმა.

გვ. 772. ვერნერ ფონ ტეტინგენი – ციხესიმაგრე ელბონგის კომტური და სასნეულოების უფროსი, გრიუნვალდის ბრძოლის დროს სამარცხვინოდ გაიპარა ბრძოლის ველიდან.

გვ. 773. გერსდორფის რჩევა მოეწონათ – გერსდორფ ქშიშტოფი – უნგრეთის მეფის ზიგმუნდ ლუქსემბურგელის ელჩი. სციბორ სციბორიტელთან და მიკოლაი გარასთან ერთად მოლაპარაკებას აწარმოებდა პოლონეთის მეფე იაგელოსთან 1410 წლის 6 ივლისს ჯვაროსნებთან ზავის დადების თაობაზე.

გვ. 773. შჩეცინის მთავრის... – მთავარი კაზიმეჟ VI (1380– 1434), მართავდა სამთავროს თავის ძმასთან, ოტო II-თან ერთად. ორთავენი გერმანელი იმპერატორის ვასალები იყვნენ.

გვ. 777. წმინდა ვოიცეხის საბრძოლო სიმღერა – ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული, რომ ვოიცეხი (გარდ. 997 წელს) არის ძველისძველი პოლონური სიმღერის „ღვთისმშობლის“ ავტორი. ამ თემაზე უკანასკნელი დისკუსიის დროს მრავალი პოლონელი სწავლული ამტკიცებდა, რომ ეს სიმღერა შეიქმნა პოლონეთის სახელმწიფოს არსებობის პირველ ათწლეულში ანუ სწორედ წმინდა ვოიცეხის ცხოვრების დროს. მისი ავტორობა დამყარებულია ლეგენდაზე და ბოლომდე დამაჯერებელი არ არის. სიმღერა „ღვთისმშობელი“ პირველად კრაკოვში ჩაიწერეს 1408 წელს. სენკევიჩს მთლიანად მოჰყავს ამ სიმღერის ძველისძველი, დღეს თითქმის გაუგებარი ვარიანტი.

პოლონური ლიტერატურის თანამედროვე ისტორიკოსი იულიან კრჟიჟანოვსკი თავის ბოლო ნაშრომში „პოლონური ლიტერატურის ისტორია“ (ვარშავა, 1972, გვ. 19 – 20) ათავსებს სიმღერა „ღვთისმშობლის“ ტექსტს, თარგმნილს თანამედროვე პოლონურ ენაზე. ვსარგებლობთ ამ თარგმანით და მოგვყავს ლექსის პწკარედი:

ღვთისმშობელო, ქალწულო,
ნეტარხსენებულო მარიამ,
შენი შვილი მეუფე,
ო, რჩეულო დედავ, მარიამ,
შეგვძინე ჩვენ, მოგვიძღვენ ჩვენ,
უფალო, შეგვიწყალე!
შვი მომნათვლელი, ო, ძე ღვთისა!
ისმინე ღაღადი, აღასრულე აზრნი კაცისანი,
და ინებე და გვიბოძე, რასაც გთხოვთ:
მიწაზე ხვავრიელი ცხოვრება,
სიკვდილის შემდეგ საყუდელი სამოთხეში,
უფალო, შეგვიწყალე!

ამ სიმღერას ჩვეულებრივ ბრძოლის წინ მღეროდნენ. ეს არის პირველი პოლონური ეროვნული ჰიმნი.

გვ. 777. ასი ათასმა თავმა... – გრიუნვალდის ბრძოლის ისტორიის დღევანდელ მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ სენკევიჩმა გააზვიადა ორთავე მხარის ლაშქრის სიმრავლე. სტეფან კუჩინსკი, რომელმაც დეტალურად შეისწავლა პოლონური წყაროები და ყველა სხვა ლიტერატურა, რაც კი არსებობდა ამ საკითხზე მსოფლიოში, ამტკიცებს, რომ პოლონეთ-ლიტვის გაერთიანებულ ჯარში გრიუნვალდთან იყო სულ 39000 კაცი (აქედან – 18000 პოლონელი მხედარი), ხოლო ჯვაროსნების ლაშქარში 27000 კაცი (მათგან 21000 მხედარი), ჯვაროსნების ბანაკში იყო 5000-მდე შინამსახური, პოლონელთა შინამსახურების რაოდენობის გარკვევა ვერ მოხერხდა.

გვ. 779. ლიტველთა დიდი ნაწილი ლიუბენის ტბას მიაწყდა... – გრიუნვალდის ბრძოლის დაწვრილებითი ანალიზის შედეგად სტეფან კუჩინსკიმ გვიჩვენა, რომ სინამდვილეში რუსეთ-ლიტვის მთელი ფრთა გაანადგურეს ჯვაროსნებმა სმოლენსკის სამი პოლკის გარდა, რომლებიც სისხლისმღვრელი ბრძოლებით ცდილობდნენ გაეღწიათ პოლონეთის ფრთისაკენ. განადგურებული ლიტვა-რუსეთის ცხენოსანი ჯარი ბრძოლის ველზე აღარ დაბრუნებულა, ბევრმა გაქცეულმა თვით ლიტვამდე ირბინა, ხოლო ლიტველთა ის ქვედანაყოფები, რომლებიც ჯვაროსანთა ნარჩენი ჯარის განადგურებაში მონაწილეობდნენ, შეაკავეს და სამხედრო წესრიგში მოიყვანეს პოლონელთა სარეზერვო ნაწილების ზურგში.

გვ. 788. საკუთარი ხელით გამოასალმა სიცოცხლეს...- დლუგოშთან სხვანაირად არის. დლუგოში, რომელიც თაყვანს სცემდა ოლესნიცელს, არ გვამცნობს კიკერიცის მკვლელი რაინდის გვარს, მაგრამ სხვა წყაროებით ცნობილია, რომ სწორედ ოლესნიცელმა უეცრად მოკლა ან ერთი დარტყმით მოუღო ბოლო უკვე წაქცეულ გერმანელს, რაც არ ითვლება რაინდულ ღირსებად. ოლესნიცელი მერე იძულებული გახდა დიდხანს ემართლებინა თავი, განსაკუთრებით ეპისკოპოსის წოდების მიღების დროს.

გვ. 790. ჯერ კიდევ რომაელთა და გუთების ატილასთან... ბრძოლის დროიდან... – კატალონიის ველებზე (საფრანგეთი) გამართულ დიდ ბრძოლებში რომაელთა სარდალმა ეციუსმა დაამარცხა ატილას ვეება არმია (431).

გვ. 790. ...და კარლ მარტელის არაბებთან ბრძოლის დროიდან - 732 წელს ტურსა (Tours) და პოატიეს (Poitiers) შორის ფრანგთა მეფემ კარლ მარტელმა (მოლოტმა) შვიდდღიან ბრძოლაში დაამარცხა არაბთა დიდი არმია აბდ-არ-რაჰმანის მეთაურობით და ამ გამარჯვებით ევროპა დაიცვა მუსლიმანური უღლისაგან. აბდ-არ-რაჰმანი დაიღუპა, არაბთა ტალღამ კი პირი იბრუნა და პირენეის იქით მიაწყდა.

გვ. 794. ორმოცი ათას კაცს ეძინა საუკუნო ძილით... – სენკევიჩი დლუგოშის ქრონიკაზე დაყრდნობით ზრდის დახოცილ ჯვაროსანთა რიცხვს. პროფ. კუჩინსკიმ გამოიყენა გრიუნვალდის ბრძოლის შემდეგ ჯვაროსანთა მიერ რომის პაპთან გაგზავნილი პატაკი და მოჰყავს იქ დასახელებული ნამდვილი ციფრები – 18000 დახოცილი გერმანელი მეომარი. საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჯვაროსნებმა დახოცილების ნაკლები რიცხვი მოახსენეს რომის პაპს.

გვ. 794. ტრონცოვსკი... – იან ჟიჟკა ტრონცოველი (1370 – 1424), დაქირავებული ჩეხი რაინდი, შემდგომ წლებში ძლევამოსილი ბელადი ჰუსიტებისა გერმანელ და დასავლეთევროპელ ფეოდალებთან ბრძოლაში.

გვ. 794. გადარჩენილი ჯვაროსნების გარდა... – კუჩინსკის მიხედვით, მთელი შინამოსამსახურენი (დაახლოებით 5000 ადამიანი) და ბრძოლის ველიდან გაქცეულთა მცირე ნაწილი შეტევაზე გადასულმა პოლონელმა ქვეითებმა ამოხოცეს.

გვ. 796. მალბორგის... ჭიშკრიდან... გადიოდა ჯვაროსანთა მაგისტრი... – ჯვაროსნებთან ცამეტწლიანი ომის შემდეგ პოლონეთის მეფემ კაზიმეჟ იაგელონჩიკმა 1466 წლის 19 ოქტომბერს ტორუნში ზავი დადო ორდენთან, რომლის თანახმად, პოლონეთმა დაიბრუნა პომორიე, მიხალოვის და ჰელმიის მიწები, მალბორგი, ელბორგი, შტუმი და ვარმიის საეპისკოპოსო. ჯვაროსანთა სახელმწიფო პრუსიაში პოლონეთის ვასალი გახდა.

შინაარსი

ჰენრიკ სენკევიჩი (წინასიტყვაობა სტანისლავ რავიჩისა) 3
ტომი პირველი 18
ტომი მეორე 203
ტომი მესამე 389
ტომი მეოთხე 599
შენიშვნები (სტანისლავ რავიჩისა) 797